ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS


აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი
მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის

# მასალების კრებული



## თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები

## MODERN ECONOMY, ECONOMIC SCIENCE AND PANDEMIC PROBLEMS OF ECONOMY: THE CHALLENGES AND WAYS OF FINDING SOLUTION

# PROCEEDINGS OF MATERIALS

of International Scientific Conference
Dedicated to the 115th Birth Anniversary of Academician Paata Gugushvili


თბილისი Tbilisi
2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

**IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**

**PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS**

---

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალების კრებული

# თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები

(17-18 ოქტომბერი, 2020)

**Proceedings of Materials**
**of International Scientific Conference**
**Dedicated to the 115th Birth Anniversary of Academician Paata Gugushvili**

# MODERN ECONOMY, ECONOMIC SCIENCE AND PANDEMIC PROBLEMS OF ECONOMY: THE CHALLENGES AND WAYS OF FINDING SOLUTION

**(17-18 October, 2020)**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE**
**OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**

თბილისი **Tbilisi**
**2020**

UDC (უაკ) 338(47+57)33(479.22)(063)
პ – 645

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში 2020 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები**

**Materials of reports made at the international scientific conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2020**

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: *რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), დ. ასლანიშვილი, თ. არნანია-კეპულაძე, თ. ბერიძე, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, თ. გოგოხია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ი. კინდზერსკი, ალ. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, მ. მუჩიაშვილი, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ა. სილაგაძე, დ. სოროკინი, ა. სულაბერიძე, ქ. ქველაძე, მ. ხუსკივაძე. რ. ჯავახიშვილი*

**Scientific-editorial Board:** ***R. Abesadze (Editor-in-Chief), T. Arnania-Kepuladze, D. Aslanishvili, T. Beridze, G. Berulava, N. Bibilashvili (Executive Secretary), V. Burduli, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, T. Gogokhia, R. Javakhishvili, E. Kakulia, Y. Kindzerskiy, K. Kveladze, M. Khuskivadze, Al. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, M. Muchiashvili, V. Papava, S. Pavliashvili, A. Silagadze, D. Sorokin, A. Sulaberidze***

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული
ემდ გ. ბერულავა

**Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli**
**Doctor of Economic Sciences G. Berulava**

© ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ, 2020

**© IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**
**PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS, 2020**

ISBN 978-9941-13-391-6

## სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტი:

**რამაზ აბესაძე** (*თავმჯდომარე*) – ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი
**ვლადიმერ პაპავა** – აკადემიკოსი, თსუ პროფესორი
**ავთანდილ სილაგაძე** – აკადემიკოსი, თსუ პროფესორი
**ნოდარ ჭითანავა** – საქ. ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
**პაატა კოღუაშვილი** – საქ. ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
**ანზორ აბრალავა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი
**ევგენი ბარათაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი
**გივი ბედიანაშვილი** – ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი
**თეიმურაზ ბერიძე** – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, პროფესორი
**გიორგი ბერულავა** – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი
**ვახტანგ ბურდული** – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი
**რევაზ კაკულია** – თსუ პროფესორი
**მურმან კვარაცხელია** – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი
**ალფრედ კურატაშვილი** – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკ-ის ინსტიტუტი, პროფესორი
**ელგუჯა მექვაბიშვილი** – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, პროფესორი
**სოლომონ პავლიაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი
**ავთანდილ სულაბერიძე** – დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, პროფესორი
**თეიმურაზ შენგელია** – თსუ პროფესორი
**ლალი ჩაგელიშვილი** – გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
**ნათია წიკლაშვილი** – ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
**ეთერ ხარაიშვილი** – თსუ პროფესორი
**მიხეილ ჯიბუტი** – საქ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი
**თამილა არნანია-კეპულაძე** – ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნი ვერ სი ტე ტი, პროფესორი
**ნანა ბიბილაშვილი** – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, აკად. დოქტორი
**ბადრი გეჩბაია** – ბათუმის შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
**ლინა დათუნაშვილი** – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, აკად. დოქტორი
**გულნაზი ერქომაიშვილი** – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასოც. პროფესორი
**გოჩა თუთბერიძე** – ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი
**ეთერ კაკულია** – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, აკად. დოქტორი
**ნაზირა კაკულია** – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასოც. პროფესორი
**თეა ლაზარაშვილი** – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, აკად. დოქტორი
**გივი ლემონჯავა** – ქართული უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი
**მარინა მუჩიაშვილი** – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასოც. პროფესორი
**დალი სოლოღაშვილი** – ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
**ფატი შენგელია** – სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემია, ასოც. პროფესორი
**მამუკა ხუსკივაძე** – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, აკად. დოქტორი

## სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტის უცხოური წევრები

**ფრენკ არაუჰო** - კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლი, პროფესორი (აშშ)
**ლარისა ბელინსკაია** - ვილნიუსის უნივერსიტეტი, პროფესორი (ლიეტუვა)
**იოშუა ბერნშტეინი** - ნიუ იორკის უნივერსიტეტი, პროფესორი (აშშ)
**მიხაილ გოლოვინი** - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (რუსეთი)
**რუსლან გრინბერგი** - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (რუსეთი)
**სიმონე გუერჩინი** - ფლორენციის უნივერსიტეტი, პროფესორი (იტალია)
**ბარნი ერედია** - საგანმანათლებლო კონსორციუმ ინსტიტუტი, პროფესორი (აშშ)
**ვოლფგანგ ვენგი** - ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი (გერმანია)
**ტომას დ. ვილეტი** - კლერმონტის უნივერსიტეტი, პროფესორი (აშშ)
**ელდარ ისმაილოვი** - კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი, პროფესორი (აზერბაიჯანი)
**გინდრა კასნაუსკიენე** - ვილნიუსის უნივერსიტეტი, პროფესორი (ლიეტუვა)
**სტივენ კოენი** - კოლუმბიის უნივერსიტეტი, პროფესორი (აშშ)
**დავით კურტანიძე** - პროფესორი (აშშ)
**სლავომირ პარტიცკი** - იოანე პავლე II-ს სახელობის ლუბლიანას კათოლიკური უნივერსიტეტი, პროფესორი (პოლონეთი)
**მიხეილ როკეტლიშვილი** - საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი (აშშ)
**გალინა სავინა** - ხარკოვის ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი (უკრაინა)
**ჯეფრი საქსი** - კოლუმბიის უნივერსიტეტი, პროფესორი (აშშ)
**დიმიტრი სოროკინი** - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (რუსეთი)
**დაროლ ჯ. სტეინლი** - პეპერდაინის უნივერსიტეტი, პროფესორი (აშშ)
**ალექს სტუპნიცკი** - ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი, პროფესორი (უკრაინა)
**ადამ ნიუმენ ტიორნერი** - ლესტერის უნივერსიტეტი, პროფესორი (დიდი ბრიტანეთი)

## კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:

**თეიმურაზ გოგოხია** (*ხელმძღვანელი*), **გოჩა გოგუაძე, ნინო კედია, ეთერ ჯაბანაშვილი**

## SCIENTIFIC-ORGANIZING COMMITTEE:

**Ramaz Abesadze** (*Chairman*) – Director of Institute, Doctor of Economics, Professor
**Vladimir Papava** - Academician, Professor of TSU
**Avtandil Silagadze** - Academician, Professor of TSU
**Nodar Chitanava** – Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences
**Paata Koghuashvili** - Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences
**Anzor Abralava** – Georgian Technical University, Professor
**Evgeni Baratashvili** – Georgian Technical University, Professor
**Givi Bedianashvili** - European University, Professor
**Teimuraz Beridze** – TSU, Faculty of Economics and Business, Professor
**George Berulava** - TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Professor
**Vakhtang Burduli** - TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Professor
**Revaz Kakulia** – TSU, Professor
**Murman Kvaratskhelia** –TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Professor
**Alfred Kuratashvili** - TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Professor
**Elguja Mekvabishvili** - TSU, Faculty of Economics and Business, Professor
**Solomon Pavliashvili** - Georgian Technical University, Professor
**Avtandil Sulaberidze** - Institute of Demography and Sociology, Professor
**Teimuraz Shengelia** –TSU, Professor
**Lali Chagelishvili** - Guram Tavartkiladze Teaching University, Professor
**Natia Tsiklashvili** - BSU, Professor
**Eter Kharaishvili** - TSU, Professor
**Mikheil Jibuti** – President of Georgian Academy of Economic Sciences, Professor
**Tamila Arnania-Kepuladze** - A.Tsereteli State University, Professor
**Nana Bibilashvili** - TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Academic Doctor
**Badri Gechbaia** – BSU, Professor
**Lina Datunashvili** - TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Academic Doctor
**Gulnazi Erkomaishvili** – TSU, Faculty of Economics and Business, Associate Professor
**Gocha Tutberidze** - European University, Professor
**Eter Kakulia** – TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Academic Doctor
**Nazira Kakulia** - TSU, Faculty of Economics and Business, Associate Professor
**Tea Lazarashvili** – TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Academic Doctor
**Givi Lemonjava** – Georgian University, Associate Professor
**Marina Muchiashvili** - TSU, Faculty of Economics and Business, Associate Professor
**Dali Sologhashvili** - A.Tsereteli State University, Professor
**Pati Shengelia** - Teaching University, European Academy, Associate Professor
**Mamuka Khuskivadze** - TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Academic Doctor

## SCIENTIFIC-ORGANIZING COMMITTEE (FOREIGN MEMBERS)

**Frank P. Araujo** – University California at Berkeley, Professor (USA)
**Larisa Belinskaia** – Vilnius University, Professor (Lithuania)
**Joshua Bernstein -** New York University, Professor (USA)
**Steven Cohen** - Columbia University, Professor (USA)
**Barney Eredia** – Educational Consortium Institute, Professor (USA)
**Mikhail Golovnin** - Institute of Economics of RAS, Corresponding Member of RAS (Russia)
**Ruslan Grinberg** – Institute of Economics of RAS, Corresponding Member of RAS (Russia)
**Simone Guercini** – University of Florence, Professor (Italy)
**Eldar Ismailov** – Caucasus Institute of Strategic Researches, Professor (Azerbaijan)
**David Kurtanidze** – Professor (USA)
**Gindra Kasnauskiene** – Vilnius University, Professor (Lithuania)
**Slavomir Partycki** – The John Paul II Catholic University of Lublin, Professor (Poland)
**Mikhail Roketlishvili** – Foreign Member of the Georgian National Academy of Sciences (USA)
**Jeffrey D. Sachs** – Columbia University, Professor (USA)
**Galina Savina** – Kharkiv Technical University, Professor (Ukraine)
**Dmitri Sorokin** – Institute of Economics of RAS, Corresponding Member of RAS (Russia)
**Darrol J. Stanley** – University of Pepperdine, Professor (USA)
**Oleksiy Stupnitskyy** – Taras Shevchenko National University of Kyiv, Professor (Ukraine)
**Adam Newman Turner** – Leicester University, Professor (United Kingdom)
**Wolfgang Weng –** Technical University of Berlin, Professor (Germany)
**Thomas D. Willet** – Claremont Graduate University, Professor (USA)

## ORGANIZING GROUP OF THE CONFERENCE:

**Teimuraz Gogokhia *(Head)*, Gocha Goguadze, Nino Kedia, Eter Jabanashvili**

# აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი
# 115



1905-1987

# აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა•

ქართული საზოგადოებრიობა, საქართველოს ეკონომიკური სამეცნიერო საზოგადოება, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორ-მასწავლებლები მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პედაგოგის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ეკონომიკური სკოლის ფუძემდებლის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავს.

ადემიკოსმა პაატა ბესარიონის ძე გუგუშვილმა დიდი და შინაარსით აღსავსე გზა განვლო. იგი დაიბადა 1905 წლის 28 სექტემბერს აბაშის რაიონის სოფელ კოდორში (ამჟამად კეთილარი).

მამა – ბესარიონ ნიკოლოზის ძე გუგუშვილი სოფლის მამასახლისი გახლდათ. მაშინ ეს თანამდებობა არჩევითი იყო და სოფლის მოსახლეობა წლების განმავლობაში სწორედ მას ენდობოდა.

დედა – მარიამ გიტოს ასული კიზირია დიასახლისი იყო. სწორედ მან შეასწავლა შვილებს სკოლაში შესვლამდე წერა-კითხვა. ასევე ხშირად უკითხავდა იგი მათ სხვადასხვა ნაწარმოებს, განსაკუთრებით, ლექსებს, რომელთა შორის, უმეტესობა ხალხუ- რი იყო. მას ჰქონდა საკმაოდ მოზრდილი ალბომი, სადაც ძლიერ სუფთა ხელით იყო ჩაწერილი ლექსები, რომელთაც ბავშვებს უმღეროდა კიდეც. ბატონი პაატა 11 წლის იყო, დედა რომ გარდაეცვალა და ოჯახის მთელი სიმძიმე მამამ სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად იტვირთა.

კოდორის ერთკლასიანი და აბაშის ორკლასიანი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ბატონი პაატა სწავლას აგრძელებს აბაშის ოთხკლასიან, ფოთის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებლებში და ფოთის გიმნაზიაში. შემდეგ საშუალო განათლების კურსს გადის ქუთაისში (აღსანიშნავია, რომ ერთ წელიწადში ორი კლასის საგნებს აბარებს) და შედის ტექნიკუმში, რომელსაც 1922 წელს ამთავრებს.

1923 წელს ბატონი პაატა ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე, მაგრამ, ეკონომიკური გაჭირვების გამო, სამსახურში დადიოდა, ამიტომაც იგი გადადის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელზეც ლექციები საღამოს საათებში იკითხებოდა. იგი ლექციებს ისმენდა აგრეთვე სამართლისა და საქართველოს ისტორიის დარგებში, მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის, ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის სემინარებში, რომელთაც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.

მეცნიერისათვის დამახასიათებელი ნიჭიერება, ნებისყოფა, პრობლემის საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლის უნარი მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოავლინა. Iგი, 1927 წლიდან მოყოლებული, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სტატიებს, რეცენზიებს, კრიტიკულ შენიშვნებს, ნარკვევებს ეკონომიკური მეცნიერებისა და საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საკითხზე. 1929 წელს შესრულებული მისი პირველი ნაშრომის –„ქართული წიგნი 1629-1929 წწ.“, რომელიც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას მიეძღვნა, წინასიტყვაობაში პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილი წერს: "...ავტორს იმდენად დიდი ლიტერატურა, წყაროები და მასალა აქვს გამოყენებული

• სტატიის მომზადებისას გამოყენებულია მასალები წიგნებიდან: “პაატა გუგუშვილი 100” (რედაქტორი: ლეო ჩიქავა, შემდგენელი: იზოლდა აბაშიძე, თბილისი, 2005) და “აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დღიურები და მოგონებები” (რედაქტორი რ. აბესაძე, 2015)

ქართული წიგნის სამასწლიანი ისტორიის გადმოსაცემად, რომ მისი შრომა უეჭველია, ყურადღების ღირსია და თავისი შინაარსით სათანადო დარგის გამდიდრებას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში".

ეკონომიკურ მეცნიერებას საქართველოში საუკუნეთა სიღრმეში აქვს ფესვები გადგმული. ქართულ ისტორიულ, ლიტერატურულ, ფილოსოფიურ თუ თეოლოგიურ წყაროებში მოცემულია საინტერესო მოსაზრებები ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ საქართველოში ეკონომიკურმა კვლევებმა მეცნიერული ხასიათი ივანე ჯავახიშვილისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის ნაშრომებში მიიღო. აკადემიკოს პაატა გუგუშვილს წილად ხვდა სწორედ მათი მოწაფე ყოფილიყო, მაგრამ არც იგი დარჩენია მის დიდ მასწავლებლებს ვალში. სწორედ აკადემიკოს პაატა გუგუშვილს მიუძღვის გადამწყვეტი წვლილი საქართველოში ეკონომიკური სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

განსაკუთრებულია ასევე აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამსახურება საქართველოში პირველი ეკონომიკური სამეცნიერო კერის – ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებაში, რომლის უცვლელი დირექტორი იყო 32 წლის განმავლობაში. რასაკვირველია, ბატონი პაატა ისედაც არ დააკლებდა ძალისხმევას საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების დიდ საქმეს, მაგრამ ინსტიტუტის დაარსებამ და მის ხელმძღვანელად, წლების განმავლობაში, უნარიანი, დიდი პოტენციალის მქონე პიროვნების ყოფნამ საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას დიდი იმპულსი მისცა და პროცესები მნიშვნელოვნად დააჩქარა.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა. მისი ნაშრომები ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ჟურნალისტიკის, ეკონო- მიკური აზრის ისტორიის, ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და სხვ. პრობლემებს. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული – “საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.”, რომელშიც, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე გამოვლენილია ეკონომიკური ურთიერთობების არაერთი მანამდე მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი მხარე და მოცემულია მათი სიღრმისეული ანალიზი. მან, სათანადო არგუმენტების მოტანის საფუძველზე, საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში დასავლეთ ევროპის რენესანსისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური მოვლენების ანალოგიური პროცესები აღმოაჩინა. მიწათსარგებლობის საბჭოთამდელი პერიოდის ეკონომიკური პრობლემების კვლევისას ის მიდის დასკვნამდე, რომ შუა საუკუნეების საქართველოში, წყლით რაციონალური სარგებლობის საფუძველზე, სოფლები ამქრებს ქმნიდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, თავისებურ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა სოფლის თემიდან ქალაქურ ხელოსანთა ამქრული კორპორაციისაკენ. კვლევის ასეთი გზით მან ქართული სოფელი და მისი სამიწათმოქმედო კულტურა სამართლიანად დააყენა კაცობრიობის უძველესი ცივილიზებული ქვეყნების სოფლების გვერდით. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომს ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში ჟურნალ „მაკრო მიკრო ეკონომიკის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, ავტორიტეტული ჟიურის გადაწყვეტილებით „მეოცე საუკუნის საუკეთესო მონოგრაფიის“ სტატუსი და პირველი პრემია მიენიჭა.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი რომ ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, ამაზე მეტყველებს იმ ნაშრომთა არასრული ჩამონათვალი, რომელიც ეხება ისტორიის, ჟურნალისტიკის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. აი ისინიც: “ქართული წიგნი 1629-1929 წწ.”; “ქართული ჟურნალისტიკა”; “სოციოლოგიური ეტიუდები”; “საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე”; “საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები”, “მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა”; “დემოგრაფიის

ნარკვევები” და სხვ., რომელთაც, ისე, როგორც მისმა ყველა ნაშრომმა, სპეციალისტთა ფართო გამოხმაურება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

პ. გუგუშვილს, გამოქვეყნებული დიდმნიშვნელოვანი ორიგინალური ნაშრომებისათვის, პროფესორების - ფილიპე გოგიჩაიშვილის, გრიგოლ ნათაძისა და მ. პოლიევქტოვის შუამდგომლობით, 1938 წელს საჯარო დაცვის გარეშე (Honoris Causa) ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1940 წელს პაატა გუგუშვილმა, სრულიად ახალგაზრდა მკვლევარმა, ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მის სადისერტაციო ნაშრომს – „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX ს.“ – მაღალი შეფასება მისცეს უაღრესად პრინციპულმა და მომთხოვნმა მეცნიერებმა: ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და ფილიპე გოგიჩაიშვილმა, როგორც ოფიციალურმა რეცენზენტ-ოპონენტებმა. მათ მაძიებლის სადისერტაციო ნაშრომი შეაფასეს როგორც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების დიდი მიღწევა და ახალი მნიშვნელოვანი წვლილი საერთოდ მეცნიერებაში. აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა საჯარო პაექრობაზე განაცხადა: „დასახული ამოცანების გადასაწ- ყვეტად ავტორს დაბეჭდილი წყაროების გარდა დიდძალი ახალი და აქამდის უცნობი საარქივო მასალა მოუპოვებია... ამიტომაც მის მიერ მიღებული დასკვნებიც ფრიად მნიშვნელოვანი და მეცნიერულად დამაჯერებელია. წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიისათვის დიდი შენაძენია“. ეს ეკონომიკის სპეციალობით საქართველოში დაცული პირველი სადოქტოტო დისერტაცია იყო.

მეორე მსოფლიო ომამდე არც ერთ ეკონომიკურ დისციპლინაში ქართულად არა თუ სახელმძღვანელო, საერთოდ, სტუდენტებისათვის საკითხავი ლიტერატურაც არ იყო. ამ მხრივ დიდია პ. გუგუშვილის დამსახურება. 1931 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ ქვეყნდება მის მიერ მომზადებული: „სახალხო მეურნეობის ისტორია“ 10 ნაკვეთად; „ტექნიკის ისტორია“ 5 ნაკვეთად და 2 წიგნად; ნაშრომი „ეკონომიკური ფორმაციებისათვის“ და ქრესტომათია – „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება“ – 3 ტომად. გარდა ამისა, ეკონომიკურ დისციპლინებში მის მიერ ან მისი რედაქციით რუსულიდან ითარგმნა და გამოქვეყნდა კიდევ ოთხი დამხმარე სახელმძღვანელო.

1957 წელს გამოიცა მონოგრაფიების შემოკლებული რუსული თარგმანი – «Развитие промышленности в Грузии и закавказье в XIX- XX вв.» ამ ნაშრომის ფართო რეზონანსსა და დიდ მეცნიერულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მასზე დადებითი რეცენზიები გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ, სომხურ, ჩეხურ, უნგრულ, გერმანულ, ინგლისურ და ამერიკულ პრესაში. აკადემიკოსი ნ. დრუჟინინი ამ ნაშრომის მაღალ მეცნიერულ შეფასებასთან ერთად სვამს საკითხს პაატა გუგუშვილის სხვა მონოგრაფიების რუსულ ენაზე გამოცემის თაობაზე.

მნიშვნელოვანი ძვრები, რაც 70-იანი წლების შემდეგ განხორციელდა საქართველოში დემოგრაფიის კვლევის დარგში, ბატონი პ. გუგუშვილის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა მან სოციალურ-ეკონომიკური ფაქტო- რებით ახსნა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომები – “საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800-1959წწ.)”, “საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები” და სხვ. ამ თემას მიუძღვნა მან ორი ტომი “სოციოლოგიური ეტიუდების“ სახელწოდებით.

თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ბაქოს, ერევნის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, გომელის, ოდესის სახელმწიფო არქივებში მის მიერ გამოვლენილი იქნა ახალი მასალები, რაც გამოქვეყნდა თემატიკურად შექმნილი სქელტანიანი ტომების სახით. საარქივო წყაროების ამ კრებულს ერთვის ანალოგიური მასალების ვარიანტები, ვრცელი არქეოგეოგრაფიული მიმოხილვები, სადაც მოცემულია გამოქვეყნებული დოკუმენტების კრიტიკული შეფასება, ეპოქის დამახასიათებელი გამოკვლევები, აგრეთვე საგნობრივი, გე-

ოგრაფიული და პერსონალური რეგისტრები. ამიერკავკასიის სამოქალაქო და მეურნეობის ისტორიის წყაროების კრებულთა გამოცემა პირველად პ.გუგუშვილმა განახორციელა, რითაც მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ არქეოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას.

აკადემიკოსი პ. გუგუშვილის რედაქტორობით და თანაავტორობით 1946-1972 წლებში გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომების 15 ტომი და სამეცნიერო შრომების კრებულ „ეკონომიკის" 7 ტომი.

აკადემიკოსი პ.გუგუშვილი სისტემატურად მონაწილეობდა ეკონომისტთა და სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესებში, აგრეთვე სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. მისი მოხსენებები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენებზე.

აკადემიკოს პ.გუგუშვილს დიდი დამსახურება აქვს ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. ნახევარ საუკუნეზე მეტი იმუშავა ამ მიმართულებით. მან ამ მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოს შესრულება შეძლო დიდი განსწავლულობის, ფართო ერუდიციის, მშობლიური ენის საფუძვლიანი ცოდნის, მრავალი უცხო ენის სტრუქტურაში ღრმად გარკვევისა და რაც მთავარია, ტერმინების შინაარსში წვდომისა და ქართული შესატყვისების ზუსტად ასახვის მისეული უნარით. ამ პრობლემებზე მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო მუშაობა, როდესაც ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკაში" (1928, №6) გამოაქვეყნა სტატია აღრიცხვისა და კომერციული ტერმინოლოგიის შესახებ. ოცი წლის შემდეგ – 1947 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების გრიფით გამოცემული „ეკონომიკის ტერმინოლოგია" (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) შედგენილია პ. გუგუშვილის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე.

მის მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას სხვადასხვა დროს რეცენზირებით, ბიბლიოგრაფიებით, ესეებით და სხვა ფორმებით დადებითად გამოეხმაურნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: კ. ოსტროვიტიანოვი (რუსეთი), ნ. დრუჟინინი (რუსეთი), ნ. ცაგოლოვი (რუსეთი), გ. ჰაინინგერი (გერმანია), ჯ. კოლაჯა (აშშ), პ. მასლოვი (რუსეთი), პ. პოდკოლზინი (რუსეთი), ბ. ურლანისი (რუსეთი), ტ. ფიოლდი (უნგრეთი), კ. სალია (საფრანგეთი), ზ. ურბანოვა (ჩეხეთი), ა. სუმბათზადე (აზერბაიჯანი), ტ. აზატიანი (სომხეთი), ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. ნუცუბიძე, მ. პოლიევქტოვი, ვ. ჩანტლაძე, ა. გუნია, ლ. გორგილაძე, შ. მესხია, ა. სურგულაძე, ს. ჯორბენაძე, მ. კახეთელიძე, ნ. იაშვილი, ი. კაჭარავა, ივ. ბალანჩივაძე, ა. კაკაბაძე, ი. ბაჯაძე, ვ. ბახტაძე, ა. იოსელიანი, გ. ჭანუყვაძე, ბ. ხასია, დ. ქორიძე, გრ. თოდუა, რ. გოგოხია.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა იმ დროის ისეთ ცნობილ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: პეტრე შარია, ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, სერგი დანელია, ვიქტორ ჩხიკვაძე, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ფრანგიშვილი, კანდიდ ჩარკვიანი, ვიქტორ კუპრაძე, ნიკო კეცხოველი, ანდრია აფაქიძე, როინ მეტრეველი, რაფიელ დვალი, სერგი დურმიშიძე, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, ართაშეს არაქელიანი და სხვ.

კონსტანტინე გამსახურდია პაატა გუგუშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოყოფს მის მიერ კვლევის ობიექტის მიგნებისა და შერჩევის საოცარ უნარს. როგორც იგი აღნიშნავდა, პაატა გუგუშვილს თავისი კვლევა-ძიების თემები ჩვენი ხალხის ნამდვილი ცხოვრების სიღრმისეული პროცესებიდან და საკუთარი ფართო ერუდიციის წიაღიდან აქვს აღებულიო.

ბატონი პაატა 1960 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – ნამდვილ წევრად. 1962 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ეკონომიკის ინსტიტუტში ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში ბატონ პაატას წესად ჰქონდა შემოღებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ექსპედიციების მოწყობა. მას მოვლილი ჰქონდა ქვეყნის ყოველი კუთხე-კუნჭული და უნიკალურ ინფორმა- ციას ფლობდა თითოეულის შესახებ. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მისი ხელმძღვანელობით მოპოვებული და გაანალიზებული ექსპედიციის (ფშავ-ხევსურეთის, მთა-თუშეთის, საინგილოს, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და სხვ.) მასალები.

პაატა გუგუშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1951 წლის ნოემბრის ცნობილ დისკუსიაში (ქ. მოსკოვი), რომელიც მოაწყო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს მაკეტის განხილვასთან დაკავშირებით. აქ მან თავის გამოსვლაში, როგორც სარედაქციო კომისიის წევრმა და სექციის ერთ-ერთმა თანათავმჯდომარემ, სახელმძღვანელოს ტექსტის სრულყოფისათვის გააკეთა რიგი შენიშვნები და წარადგინა კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები (ფორმულირებათა სახით), რაც სახელმძღვანელოს საბოლოო ტექსტში აისახა.

1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემათა განყოფილების გამგე და მისი ინიციატივით შეიქმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

პ. გუგუშვილი 30-იანი წლებიდან იყო ქართული ჟურნალის „ეკონომისტის" რედკოლეგიის წევრი, ხოლო 1958 წლიდან 15 წლის განმავლობაში მისი ინიციატივით აღდგენილი ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის" მთავარი რედაქტორი.

აკად. პ. გუგუშვილი მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობასთან შესანიშნავად ათავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს: 1930-1962 წლებში – სახალხო მეურნეობის ისტორიასა და ტექნიკის ისტორიაში, 1942-1966 წლებში – პოლიტიკურ ეკონომიაში. 1967 წლიდან მიჰყავდა ლექციების კურსი სოციოლოგიაში.

პ.გუგუშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ეკონომისტთა ეროვნული კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში, როგორც წლების განმავლობაში (1948-1974) ეკონომიკის ინსტიტუტთან შექმნილი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარესა და მეცნიერსა და პედაგოგს. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულ იქნა 120-ზე მეტი სადოქტორო თუ საკანდიდატო დისერტაცია.

ბატონი პაატა დიდ სზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იგი იყო სსრკ საგეგმო კომიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების ბიუროს, საქართველოს საზოგადოება "ცოდნის"' გამგეობის, უცხოეთთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამგეობის წევრი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექციის თავმჯდომარე, საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის (მოსკოვი), საბჭოთა სამეცნიერო ეკონომიკურ დაწესებულებათა ასოციაციის (მოსკოვი) პრეზიდიუმის, მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის, ასევე სხვა ადგილობრივი, საკავშირო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი.

ბატონი პაატა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „საპატო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი პაატას ადამიანური თვისებები - ობიექტურობა და პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა და მიზანსწრაფულობა, კეთილშობილება და ერთგულება და სხვ. იგი იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასევე მისი შეუპოვრობა მოწინააღმდეგისადმი, იგი იყო თითქმის უკომპრომისო პოლემიკაში, რის საშუალებასაც მას აძლევდა სამართლიანობის გრძნობა, დიდი ერუდიცია და გონებამახვილური იუმორის უნარი.

ბატონ პაატას რთული ცხოვრება ჰქონდა: იგი ბავშვობის ასაკიდან მოყოლებული მძიმედ იყო ავად არაერთი დაავადებით, ახალგაზრდა ასაკში გარდიცვალა დედა, და (ნაწლავების ტუბერკულიოზით), მეორე და (ფილტვების ტუბერკულიოზით), მამა (ფილტვების ანთებით), ვაჟი პირველ ცოლთან – გიორგი (სამი თვის, დეზინტერიით), პირველი ცოლი – თამარ თოდაძე (ფილტვების ტუბერკულიოზით). ბატონი პაატას გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, გარდაიცვალა შვილი – გულბაათ გუგუშვილი, ხოლო 5 წლის შემდეგ მეუღლე – ნინო მიქაბერიძე.

დაუნდობლად ებრძოდნენ არაკეთილსინდისიერად განწყობილი ადამიანები, რომლებმაც არაერთი ტკივილი მიაყენეს მას. მაგრამ მან ყველაფერს გაუძლო, ყველა დაავადებისაგან განიკურნა, შთამომავლობას დაუტოვა მაღალი ღირებულების სამეცნიერო ნაწარმოებები, შექმნა ქართული ოჯახი შესანიშნავ ქალბატონთან, ნინო ნიქაბაძესთან ერთად და სამშობლოს აღუზარდეს ორი მაღალი ინტელექტუალური ღირებულებების მატარებელი შვილი – ბესარიონ გუგუშვილი და გულბაათ გუგუშვილი. ყველასთვის ცნობილია, რომ ბატონი ბესარიონი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ბატონი პაატას სიცოცხლე მათ შვილიშვილებში და შვილთაშვილებში გრძელდება.

ბატონ პაატას, მიუხედავად მის წინააღმდეგ მდგომი ძლიერი ძალისა, არასოდეს მოუხრია ქედი, არასოდეს დაუწყია პირფერობა. მას ჰყავდა ერთგული მეგობრები, რომელთაც არასოდეს მიუტოვებია იგი, მათ შორის უნდა დასახელდეს აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, პროფესორები: ბექირბი ხასია, მიხეილ კახეთელიძე, რევაზ გოგოხია, ავთანდილ სულაბერიძე, ინსტიტუტის განყოფილების გამგე იზოლდა აბაშიძე და სხვ.

მადლიერი თაობა არ ივიწყებს ბატონი პაატას ღვაწლს. ამის დადასტურებაა ის, რომ აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას თაოსნობით, მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს პაატა გუგუშვილის სახელი ეწოდა, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – "პაატა გუგუშვილის სახელობის აუდიტორია" გაიხსნა. მშობლიური კოლექტივიც არ ივიწყებს მის სახელს. ინსტიტუტში მოეწყო და გაიხსნა პაატა გუგუშვილის სახელობის კაბინეტი, უკვე მესამედ ღირსეულად აღინიშნება აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან საიუბილეო თარიღები, ეძღვნება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, შესაბამისი კრებულები და საიუბილეო სხდომები. ინსტიტუტის ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა პაატა გუგუშვილის სამეცნიერო პრემია, შეიქმნა პაატა გუგუშვილის საიუბილეო მედალი, 2021 წლიდან დაწესდება პაატა გუგუშვილის მუდმივი მედელი, რომელიც გადაეცემა საქართველოს მოწინავე ადამიანებს, ძირითადად მეცნიერებს, მომზადდა და გამოიცა ბატონი პაატას "დღიურები და მოგონებები" და სხვ.

დღეს მისი სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლებს შეგვიძლია ბატონ პაატას სიამაყით გრძნობით ვუთხრათ, რომ ეკონომიკის ინსტიტუტი, მიუხედავად ცნობილი წინააღმდეგობებისა, დაუღალავი შრომით, პროგრესული საზოგადოების, უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის თანადგომით, არა მხოლოდ წარმატებით ინარჩუნებს ძველ ტრადიციებს, არამედ ახალ პირობებში კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყავს იგი.

ბატონ პაატას დავიწყება არ უწერია, მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.

რამაზ აბესაძე

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ემდ, პროფესორი

# პლენარული სხდომა

*რამაზ აბესაძე*

## პანდემიის ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ასპექტები მსოფლიოსა და საქართველოში

***ანოტაცია.*** *მსოფლიოსა და საქართველოს მაგალითზე ნაშრომში გამოკვლეულია პანდემიების გამოცდილება წარსულში, კორონავირუსული პანდემიის ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული შედეგები, ასევე მისი გავრცელების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები; გაანალიზებულია საქართველოსა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მიერ განხორციელებული ანტიკრიზისული გეგმები, პროექტები და პროგრამები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია, პანდემიები მსოფლიოში, ეკონომიკის პანდემიური შოკი, ეკონომიკის შეზღუდვები, ანტიკრიზისული გეგმები.*

### შესავალი

კორონავირუსის პანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებზე როგორც ჰუმანიტარული, ისე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. დაიღუპა ათასობით ადამიანი, დაეცა კეთილდღეობისა და კომფორტის დონე, ეკონომიკამ განიცადა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი დანაკარგები: ჩამოიშალა ტურიზმი, შეწყდა საერთაშორისო ფრენები, მუშაობა შეწყვიტეს საწარმოებმა, შეიზღუდა საერთაშორისო ვაჭრობა, განსაკუთრებით დაზარალდა მცირე და საშუალო ბიზნესი, ტურიზმი, ნავთობის მოპოვება, საჰაერო ტრანსპორტი და სხვა; მნიშვნელოვნად შემცირდა ინვესტიციები, მათ შორის, ინოვაციების განსახორციელებლად; **კორონავირუსული პანდემია ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.** ჯერჯერობით მიგნებული არ არის დაავადების სამკურნალო ქმედითი წამალი ან ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა. ეკონომიკურმა რეცესიამ იმ დონეს მიაღწია, რომ სახელმწიფოები იძულებულნი გახდნენ პანდემიის პირობებში გაეხსნათ ეკონომიკა, რათა თავიდან აეცილებინათ ეკონომიკის კოლაფსი. ამ ეტაპზე ტარდება ღონისძიებები ტურიზმისა და საერთაშორისო ფრენების აღსადგენად. **მსოფლიო სწავლობს ვირუსთან თანაცხოვრებას.**

**მაგრამ, ვითარება ისევ საკმაოდ რთულია, ბევრ ქვეყანაში ვირუსი კიდევ მძვინვარებს, რაც საფრთხეს უქმნის იმ ქვეყნებსაც, სადაც მდგომარეობა შედარებით სტაბილურია, მათ შორის, საქართველოს.**

### პანდემიის მსოფლიო გამოცდილება[1]

მსოფლიოს აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა არაერთმა სხვადასხვა სახის პანდემიამ, რომლებიც მძვინვარებდნენ საუკუნეების განმავლობაში. პირველი დარეგისტრირებული პანდემია იყო **„შავი ჭირის" პირველი პანდემია,** რომელიც წარმოიშვა იმპერატორ იუსტინიანეს დროს ეთიოპიასა და ეგვიპტეში, გავრცელდა კონსტანტინოპოლში, ბიზანტიასა და მეზობელ ქვეყნებში. იგი გრძელდებოდა 60 წლის განმავლობაში. 554 წელს კონსტანტინოპოლში ყოველდღე დაავადებისაგან იღუპებოდა 5 000, ზოგჯერ 10 000 ადამიანი. სულ დაიღუპა 100 მილიონი ადამიანი. ბიზანტიამ დაკარგა მოსახლეობის ნახევარი. ეკონომიკა ჩაკვდა, თითქმის შეწყდა ვაჭრობა, ხელოსნებმა მიატოვეს სამუშაო ადგილები.

**"შავი ჭირის" მეორე პანდემია („შავი სიკვდილი")** ჩაისახა აღმოსავლეთ ჩინეთში და გავრცელდა მთელ ევროპაში. იგი მძვინვარებდა დროგამოშვებით 5 საუკუნის განმავლობაში (გამოყოფენ ამ პანდემიის პიკის სამ პერიოდს: 1346-1382, 1545-1683, 1710-1830 წლები). შედეგად ადამიანთა მსხვერპლმა შეადგინა 34 მილიონი. **შავი ჭირის მესამე პანდემიამ** იფეთქა 1855 წელს და სწრაფად გავრცელდა ყველა კონტინენტზე სავაჭრო გემების მეშვეობით.

მსოფლიოში დაფიქსირებულია ასევე "**ქოლერის" შვიდი პანდემია,** რომელიც დაიწყო 1816 წელს ბენგალიაში და თანდათან გავრცელდა მთელ ინდოეთში, ჩინეთში, კასპიის ზღვის არეალში, შემდეგ ევროპაში, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასევე ცნობილია "**ტიფის" პანდემიები** 430–427 წლებში, პელოპონესის ომებისა და მეორე მსოფლიო ომის დროს. რომელთაც ადამიანთა დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

---

[1] მონაცემები აღებული შემდეგი წყაროებიდან [Павлова, 2020]; [20 of the..., 2020].

მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ასევე **გრიპის პანდემიამ**, რომელთაგან ყველაზე ძლიერი იყო **„ესპანური გრიპი“**, რომელიც აღმოცენდა ესპანეთში და 1918-1920 წლებში დაავადდა 550 მილიონი (მაშინდელი მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 20%) და იმსხვერპლა 100 მილიონი ადამიანის სიცოცხლე (ანუ დედამიწის მოსახლეობის თითქმია 5%).

1957-1958 წლებში 2 მილიონი ადამიანი დაიღუპა **„აზიური გრიპის“** ეპიდემიის გამო. 1968—1969 წლებში გავრცელდა ეგრეთ წოდებული **„ჰონკონგის გრიპი“**, რომელიც დაიწყო ჰონკონგში და სწრაფად გავრცელდა ვიეტნამში, სინგაპურში, ინდოეთში, ფილიპინებში, ავსტრალიასა და ევროპაში. მან შეიწირა თითქმის 1000 000 ადამიანის სიცოცხლე.

აღსანიშნავია ასევე "**იმუნოდეფიციტის ვირუსისა**" და მისი საბოლოო ფორმის — "**შიდსის**" **პანდემია** (გრძელდება 1981 წლიდან დღემდე. დაავადდა 60 მილიონი ადამიანი, გარდაიცვალა 25 მილიონი).

მედიცინის განვითარებასთან ერთად, ძირითადად დამარცხდა „შავი ჭირის“, „ქოლერისა“ და „ტიფის“ ვირუსები და სხვა სახის პანდემიათა მიერ მიყენებული უარყოფითი შედეგები თანდათან მცირდებოდა. მაგალითად, 2009-2010 წლებში ადგილი ჰქონდა ეგრეთ წოდებული **„ღორის გრიპის პანდემიას“**, რომელიც დაიწყო მექსიკაში და მოიცვა მთელი მსოფლიო. დაავადდა 220 მილიონი ადამიანი, გარდაიცვალა – 2 000. 2002-2003 წლებში დაფიქსირდა **„ატიპური“**, ხოლო 2013 წელს **„ფრინველის გრიპის“** პანდემია. პირველი პანდემიის დროს დაავადდა 8437 და გარდაიცვალა 813 ადამიანი, ხოლო მეორე პანდემიის დროს, შესაბამისად, 649 და 384 ადამიანი.

პანდემიები შეიძლება შევადაროთ დიდ ბუნებრივ სტიქიურ მოვლენებს, როგორიცაა ვულკანის ამოფრქვევა, გრიგალი, ცუნამი და ა. შ. ოღონდ არ ლოკალური, არამედ გლობალური მასშტაბით. ყველა დიდი პანდემიის დროს კოლოსალური იყო როგორც ადამანთა მსხვერპლის ოდენობა, ისე ეკონომიკური ზარალი, რაც, როგორც ჩანს, გამოწვეული იყო შრომითი რესურსების შემცირებით, რის გამოც ნადგურდებოდა ან გამოუყენებელი რჩებოდა (სამუშაო ადგილების მიტოვების გამო) დიდი რაოდენობის ფიზიკური კაპიტალი, ამის გამო კი ახალი ინვესტიციებიც აღარ ხორციელდებოდა. გარდა ეკონომიკისა, მათ დიდი დაღი დაასვეს ასევე ადამიანთა ფსიქიკას, კულტურასა და მოსახლეობის გენეტიკურ შემადგენლობასაც კი[2]. ამასთან ერთად, ამ პანდემიებიდან, განსაკუთრებით „ეპანური გრიპისგან“, კაცობრიობას გარკვეული გამოცდილება დარჩა: მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერისიტეტის კვლევებით დადგინდა, რომ 1918-1919 წლების პანდემიის შემდეგ, ქალაქებს, რომლებმაც უფრო მკაცრად დაიცვეს შეზღუდვები, გაცილებით ნაკლები ადამიანური მსხვერპლი ჰქონდათ და ეკონომიკაც გაცილებით ჩქარა აღადგინეს[3].

რასაკვირველია საქართველოც არ დარჩენილა უვნებელი ვირუსული ეპიდემიებისგან. „შავ ჭირს“ საქართველოში ჟამიანობა უწოდეს. „შავი ჭირის“ეპიდემია ოქროს ურდოს შემოჰყვა მეთოთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ბაგრატ V-ის მეფობის დროს (მისი მეუღლე, დედოფალი ელენე, სწორედ ჟამიანობას ემსხვერპლა). დაუმარხავი მიცვალებულებით აივსო ქუჩები. გვამებთან მიკარებას ჯანმრთელი ადამიანები ვერ ბედავდნენ, ამიტომ ტოვებდნენ საცხოვრებელ ადგილებს და გარბოდნენ. წყალსაც ვერ ეკარებოდნენ, რადგან ისიც ინფიცირებული იყო[4]. „შავი ჭირი“ საქართველოში ბობოქრობდა XIX და XX საუკუნეებში [ჟღენტი ე. 2019.].

1892 წელს, საქართველოში „ქოლერამ“ იჩინა თავი. ის ირანიდან გავრცელდა და საქართველოს მეზობელ ქვეყნებს აქტიურად მოედო. საბედნიეროდ, ამ დაავადებამ ჩვენს ქვეყანაში მალევე გადაიარა, რადგანაც მოსახლეობას ქოლერის საწინააღმდეგო აცრა ჩაუტარდა. ყველაზე მძაფრად ეპიდემიების ხანა საქართველომ 1919-1920 წლებში გამოცადა, თბილისში ტიფი გავრცელდა, რომელიც 2 თვის განმავლობაში მძვინვარებდა. ტიფის ეპიდემიამ საქართველოში რამდენიმე ასეული ადამიანი იმსხვერპლა. 1920 წელს საქართველოს მოსახლეობას კვლავ ქოლერა დაატყდა თავს. ქოლერის მწვავე ეპიდემია საქართველომ მხოლოდ მას შემდეგ გადაიტანა, რაც ქვეყანაში სანიტარული ზომები მიიღეს. ქოლერა ყველაზე მეტად სასმელი წყლით ვრცელდებოდა. საბოლოოდ, ეპიდემიის შეჩერება სამხედრო-სამედიცინო ლაბორატორიის მიერ დამზადებული ვაქცინების წყალობით მოხერხდა[5].

წარსულში ეპიდემიის წინააღმდეგ ხელისუფლებაც იღებდა გარკვეულ ზომებს, მაგრამ ძირითადად მოსახლეობა თვითიზოლაციას იყენებდა (სოფლებში წასვლა, ტყეში გახიზვნა და სხვ).

---

[2] https://ka.wikipedia.org/wiki/შავი_ჭირი

[3] https://www.infopostalioni.com/2020/04/24/zესპანური-გრიპიდან-covid19-მდე/

[4] http://geworld.ge/ge/შავი-ჭირიდან-კორონავირუს/

[5] https://www.marketer.ge/sakartveloshi-gavrcelebuli-epidemiebi/

**კორონავირუსის წარმოშობა და გავრცელება მსოფლიოსა და მის ზოგიერთ ქვეყანაში**[6]

ახალი კორონავირუსის წარმოშობის კერად მიჩნეულია ჩინეთის ხუბეის პროვინციის ქალაქ უხანის ზღვის პროდუქტებისა და ცხოველების ბაზრობა. 2019 წლის დეკემბერში პროვინციაში 41 ადამიანს დაუდგინდა პნევმონია, ყოველგვარი გამოკვეთილი ჩვენების გარეშე, რამაც ეჭვი გააჩინა უცნობი ვირუსის არსებობაზე და რაც კვლევებით დადასტურდა კიდეც – ადგილი ჰქონდა ადამიანების ახალი კორონავირუსით დაავადებას, რომლის წინააღმდეგ რაიმე წამალი ან ვაქცინა არ არსებობდა. 2020 წლის 9 იანვარს ვირუსით პირველი გარდაცვალების შემთხვევა დაფიქსირდა. 21 იანვარს ჩინეთმა დაადასტურა, რომ კორონავირუსი გადამდებია და უხანი ჩაკეტა, მაგრამ ვირუსი, როგორც ჩინეთში, ისე მის საზღვრებს გარეთაც სწრაფად გავრცელდა. **30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი გლობალურ საფრთხედ, ხოლო 11 მარტს პანდემიად გამოაცხადა.**[7]

ჩინეთში კორონავირუსის გავრცელების პიკი თებერვლის შუა რიცხვებში დაფიქსირდა – მხოლოდ ერთ დღეში, 12 თებერვალს, კორონავირუსის ახალი შემთხვევების რაოდენობამ 14 ათასს გადააჭარბა. მკაცრი შეზღუდვებით, ჩინეთმა სიტუაციის მნიშვნელოვნი გაუმჯობესება შეძლო, თებერვლის ბოლოდან ახალი შემთხვევების დინამიკური კლება დაიწყო. მარტის მონაცემებით კი ახალი შემთხვევების რაოდენობა მინიმუმამდე დავიდა. 15 მარტს კორონავირუსის გამო ქვეყნის შიგნით გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები გაუქმდა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მსოფლიოს ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალი დონისა, პანდემიის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება ვერ განხორციელდა, ვერ მოხერხდა ეპიდემიის წარმოშობის კერაშივე ლოკალიზება (რაც საერთო ძალისხმევით შესაძლებელი იყო) და ამიტომ იგი მთელ მსოფლიოში გავრცელდა: 10 იანვარს **იაპონიაში,** 13 იანვარს **ტაილანდში**, 20 იანვარს **სამხრეთ კორეაში,** 21 იანვარს **ამერიკის შეერთებულ შტატებში,** 23 იანვარს **სინგაპურში,** 24 იანვარს **ვიეტნამსა და საფრანგეთში, 25 იანვარს კანადაში, შვეიცარიასა** და **ავსტრალიაში,** 27 იანვარს **გერმანიაში**, 29 იანვარს **არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში,** 30 იანვარს **იტალიაში,** 31 იანვარს **რუსეთში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა** და **ინდოეთში, 19 თებერვალს ირანში,** 26 თებერვალს **საქართველოსა** და **ბრაზილიაში,** 28 თებერვალს **აზერბაიჯანში,** 1 მარტს **სომხეთში,** 11 მმარტს **თურქეთში** და ა.შ. ამჟამად იგი მსოფლიოს 215 ქვეყანაშია გამოვლენილი.

ქვეყნებმა კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ერთმანეთისაგან განსხვავებული ტაქტიკა აირჩია - ზოგმა უფრო მკაცრი, ზოგმა ნაკლებად მკაცრი ღონისძიებები გაატარა. ზოგმა დაასწრო ამ ღონისძიებების განხორციელება ვირუსის გავრცელებას, ზოგმა კი დააგვიანა. მაგალითად, **სამხრეთ კორეამ** ძირითად სტრატეგიად მაქსიმალურად მეტი ადამიანისათვის კორონავირუსის ტესტის ჩატარების გზა აირჩია, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. ასევე განხორციელდა სხვა ღონისძიებებიც: შეჩერდა სასწავლო პროცესი, დაიხურა სამუშაო ოფისები, აიკრძალა ხალხმრავალი თავყრილობები, შეწყდა საერთაშორისო ფრენები და სხვ. შედეგად სამხრეთ კორეაში კორონავირუსის ახალი შემთხვევების მნიშვნელოვანი კლება დაიწყო. **იტალიაში,** ექსპერტთა ნაწილის აზრით, ვირუსმა ქმედითი ნაბიჯების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე შეაღწია და ქვეყანაში შეუმჩნევლად გავრცელდა, რის გამოც მისი შეჩერება გაძნელდა. მიღებული იქნა მკაცრი ზომები: ადამიანთა დარჩენა შინ; სასწავლო პროცესის შეწყვეტა; სპორტული ღონისძიებების შეჩერება; კაფე-ბარების, რესტორნების, კინოთეატრების, სპორტული დარბაზების დახურვა; კარანტინის პირობების დარღვევისათვის სანქციების დაწესება და სხვ [რატომ…, 2020]. **იაპონიაში,** მიუხედავად იმისა, რომ ვირუსის უარყოფითი გავლენა შედარებით ნაკლები იყო, ვიდრე ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, საგანგებო მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები (შედარებით მსუბუქი), მაინც იქნა შემოღებული[8]. **ტაილანდში** კორონავირუსის სახიფათო გავრცელების გამო, საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს, რასაც მკაცრი შეზღუდვები მოჰყვა. **სინგაპურში** ჩინეთში ეპიდემიის აფეთქებისთანავე დაიწყო ვირუსის საწინააღმდეგო ზომების გატარება, კერძოდ: დიაგნოსტიკური სისტემის სწრაფად გამართვა და თითოეული დაავადებისადმი მიდევნება, რამაც კარგი შედეგები გამოიღო[9]. **ტაივანში** თავიდანვე მოხდა სამედიცინო პერსონალსა და სასაზღვრო-საბაჟო პუნქტებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება. მკაცრად აკონტროლებდნენ გარედან შემოსულ ადამიანებს და შემდეგ მათ ადევნებდნენ თვალს მობილური ტელეფონების გეოლოკაციური მონაცემების

---

[6] ნაშრომის ამ ნაწილში, სადაც მითითება არ არის, მონაცემები აღებულია შემდეგი წყაროდან: [აბესაძე, 2020.]; [როგორ ებრძვის…, 2020]; [პაპავა, 2020]; [ჭითანავა, 2020]; [მექვაბიშვილი, 2020]

[7] https://ka.wikipedia.org/wiki/კორონავირუსის_პანდემია_2019-2020

[8] https://www.bbc.com/russian/news-52182366

[9] https://hightech.plus/2020/03/13/kak-singapur-stal-obrazcovim-primerom-borbi-s-koronavirusom

მეშვეობით, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. რასაკვირველია, გატარებული იქნა სხვა ზომებიც (სოციალური იზოლაცია, ჰიგიენის დაცვა, პირბადის ხმარება დ ა. შ.), მაგრამ არა ძალიან მკაცრი[10]. **ვიეტნამმა** ვირუსის გამოვლენისთანავე უხანიდან ყველა რეისი აკრძალა და ეპიდემია გამოაცხადა, როდესაც ქვეყანაში მხოლოდ 6 შემთხვევა იყო დაფიქსირებული. თებერვალში ვიეტნამში შესვლა სამხრეთ კორეის, ირანისა და იტალიის მოქალაქეებს აეკრძალა, მარტში კი ქვეყნის საზღვრები ყველა უცხოელისთვის ჩაიკეტა. ამის შედეგად სამი კვირის განმავლობაში ქვეყანაში ინფიცირების შემთხვევები არ დაფიქსირებულა, მარტის ბოლოს კი კორონავირუსის გავრცელების მეორე ტალღა დაიწყო[11]. **ესპანეთში** მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. საფრანგეთსა და პორტუგალიასთან სახმელეთო საზღვრებიც ჩაიკეტა; შეწყდა სასწავლო პროცესი; დაიხურა მუზეუმები, ბიბლიოთეკები, სასტუმროები და რესტორნები; აიკრძალა სპორტული და კულტურული ღონისძიებები; მოქალაქეებს სახლების დატოვების შესაძლებლობა მიეცათ მხოლოდ სურსათისა და მედიკამენტების შესაძენად, ან განსაკუთრებული საჭიროებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე მთავრობამ მასობრივი შეკრებების გამართვას ხელი არ შეუშალა. მაგალითად, 8 მარტს, მადრიდში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მსვლელობაში მონაწილეობა 120 000-მა ადამიანმა მიიღო, რამაც, ვირუსის გავრცელებას, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო. **დიდ ბრიტანეთს,** ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, მკაცრი ზომებისთვის (საზღვრების ჩაკეტვა, მოსახლეობის თვითიზოლაცია, სკოლების დახურვა და ა.შ.) არ მიუმართავს. დიდი ბრიტანეთის მთავრობის სტრატეგია რისკ-ჯგუფების დაცვას, მოსახლეობის დანარჩენ ნაწილში კი იმუნიტეტის გამომუშავებას გულისხმობდა. გაიცა რეკომენდაცია, რომ მოქალაქეებს, რომელთაც კორონავირუსის სიმპტომები აღმოაჩნდებოდათ, 7 დღის განმავლობაში თვითიზოლაციაში ყოფილიყვნენ. მოგვიანებით, ბრიტანეთმა კურსი შეცვალა. აიკრძალა მასობრივი შეკრებები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით დიდ ბრიტანეთს ვირუსის შესაჩერებლად უფრო აგრესიული ზომებისთვის არ მიუმართავს. **გერმანიაში** ნაწილობრივ ჩაიკეტა საზღვარი ხუთ მოსაზღვრე ქვეყანასთან; შეწყდა სასწავლო პროცესი; აიკრძალა მასობრივი თავყრილობები; გადაიდო სპორტული და კულტურული ღონისძიებები; დაიკეტა ბარები, თეატრები, მუზეუმები, კინოთეატრები, საზოგადოებრივი პარკები და მაღაზიების ნაწილი; აიკრძალა ტურისტების გადაადგილება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. სუპერმარკეტები, აფთიაქები და ყველა ის ობიექტი, რომელიც მნიშვნელოვან მომსახურებას უწევს საზოგადოებას, ღია დარჩა. **ამერიკის შეერთებულ შტატებში,** ჩინეთიდან დიდი დაშორების გამო, ვირუსის აფეთქებას მნიშვნელობა არ მიანიჭეს. ქვეყანაში თავისუფლად შევიდა და საქმიანობდა ათობით დაავადებული, რის გამოც ვირუსი სწრაფად გავრცელდა და დიდი მასშტაბები შეიძინა. შემდეგად მიღებული იქნა მკაცრი ზომები: შეიზღუდა მგზავრობა ჩინეთიდან; 30 დღით შეჩერდა ყველა სახის მგზავრობა შენგენის ზონაში შემავალ სახელმწიფოებთან; 13 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა; შეწყდა სასწავლო პროცესი ზოგიერთ შტატში. უნივერსიტეტები გადადიან დისტანციურ სწავლებაზე . ნიუ-იორკის, ნიუ-ჯერსისა და კონექტიკუტის შტატებში; 16 მარტიდან, კინოთეატრები, სპორტული დარბაზები და კაზინოები დაიხურა, ხოლო ბარები და რესტორნები მუშაობას მხოლოდ ადგილზე მიტანის მომსახურების პირობებში აგრძელებდნენ.

ამავე დროს, ქვეყნებში ხორციელდებოდა **ანტიკრიზისული ღონისძიებები,** მაგალითად, 28 მარტს **გერმანიამ** მიიღო ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდი ანტიკრიზისული პროგრამა 156 მილიარდი ევროს მოცულობით. აქედან 50 მილიარდი ევრო განკუთვნილია მიკროსაწარმოებისა და თვითდასაქმენულთა დასახმარებლად. ყველა საწარმო, პერსონალის რიცხოვნობით არა უმეტეს 5 წევრისა, სამი თვის ფარგლებში მიიღებს ერთჯერადად 9 ათას ევროს. ფირმები თანამშრომლებით არა უმეტეს 10-სა კი - 15 ათას ევროს. ეს თანხა, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებული იქნება შენობის არენდის, მოწყობილობის ლიზინგისა და კრედიტების დასაფარავად [В Германии…, 2020]. 27 მარტს **აშშ** კონგრესმა მიიღო "კანონპროექტი ანტიკრიზისული ზომების შესახებ" 2 ტრილიონი დოლარის მოცულობით, რაც არის ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური პაკეტი. იგი ითვალისწინებს თითოეული მოქალაქის პირდაპირ ფინანსურ დახმარებას 1200-დან 2400 დოლარამდე, ასევე გადასახდელებს ბავშვზე (500 დოლარი). 150 მილიარდი გამოეყო საავადმყოფოებს, იგივე თანხა ცალკეულ შტატს ვირუსთან ბრძოლისათვის. მსხვილი ბიზნესისათვის განკუთვნილია 500 მილიარდი დოლარი სუბსიდირებული კრედიტებისა და გრანტების სახით დასაქმების მხარდასაჭერად, 348 მილიარდი შეღავათიანი კრედიტებისთვის მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად [Конгресс США…, 2020].

პანდემიის ეკონომიკური შედეგების გავლენა საგრძნობია მოსახლეობის ყველა ფენაზე, მაგრამ იგი განსაკუთრებით აისახება მოწყვლად ფენებზე, როგორიცაა: მოხუცებულები, შეზღუდული შესაძ-

[10] https://s1.stc.all.kpcdn.net/daily/27107.5/4182467/

[11] https://imedinews.ge/ge/covid19/145350/rogor-ebrdzvis-pandemias-97milioniani-vietnami-sadats-koronavirusit-am-dromde-aravin-gardatsvlila

ღებლობის პირები, უსახლკაროები, ობოლი ბავშვები, ასევე უმუშევრად დარჩენილები, მცირე-შემოსავლიანები. პანდემია ყველაზე საშიშია მოხუცებულებისათვის, ამიტომ მათდამი განსაკუთრებული ყურადღება ვლინდება.

ჯანმრთელობის სისტემა ძლიერ გადატვირთული იყო დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, ინდოეთში, იტალიასა და საფრანგეთში [Социальные…, 2020].

არსებობს არაერთი კვლევა, რომლებიც იძლევიან პროგნოზებს მშპ-სა და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებელთა შესახებ (მაგალითად,შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, ვირუსის გამო, მსოფლიოში უმუშევართა რაოდენობა, არსებული 188 მილიონიდან, დამატებით გაიზრდება 5.3 - 24.7 მილიონით [კორონავირუსის…, 2020] პანდემის გავლენის შედეგად. ჩვენ ეს მონაცემები არ მოგვყავს, ვინაიდან ისინი მეტად სუბიექტურია. ერთი ცხადია, რომ ეკონომიკურ ვარდნას ადგილი ექნება და იგი განსხვავებული იქნება ქვეყნების მიხედვით. ყველაზე დიდ ვარდნას ადგილი ექნება იქ, სადაც პანდემიამ ყველაზე მძიმე გავლენა იქონია. ასევე უფრო მეტად დაზარალდება ტურიზმი, ტრანსპორტი, მცირე და საშუალო ბიზნესი, გადამამუშავებელი მრეწველობა, ნავთობის მოპოვება, ავტომობილების წარმოება და ელექტროტექნიკა, საფინანსო სექტორი, საცალო ვაჭრობა, ხელოვნების, სპორტის, დასვენებისა და გართობის სფერო, ხოლო ყველაზე ნაკლებად – კვების ინდუსტრია, კავშირგაბმულობა, ელექტროენერგეტიკა, საერთაშორისო გადაზიდვები და სხვ.

### კორონაცირუსის პანდემია საქართველოში[12]

The work also defines the place of the knowledge economy in the system of modern economies. Based on a comparison of the totality of the infrastructure components of the systems of the innovation economy and the knowledge economy, we came to the conclusion that the concepts of "knowledge economy" and "innovative economy" are, if not synonyms, then very similar in content - they differ only in the "education" component, which is one of the key components of the knowledge economy, however, it is not formally included in the system of an innovative economy. In our opinion, such concepts as "information economy", "intellectual economy" and "network economy" are not synonyms of the knowledge economy and innovative economy, but enter into them as structural components called "intellectual capital", "information sector of the economy" and "network structures" (which is discussed in many other publications cited in this paper). The content of these concepts is disclosed in detail in the last four sections of the paper.

*რევაზ გველესიანი*

## ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების ოპერაციონალიზება და მათი ურთიერთდამოკიდებულების შეფასება

***ანოტაცია.*** *ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების იდენტიფიცირება გულისხმობს მიზნების ოპერაციონალიზების შესაძლებლობას. მას შემდეგ, რაც დადგენილია მიზნების ოპერაციონალიზების შესაძლებლობა, ხდება მათი მიღწევის დონეების განსაზღვრაც. სწორედ ასეთი დამოკიდებულება გვაძლევს როგორც პრობლემათა გადაჭრის კონკრეტული მცდელობის, ასევე მიღწეული შედეგების კონტროლის საშუალებას.*

*მიზანს მრავალი განზომილება აქვს, ამიტომ შესაძლებელი ხდება ისეთი პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც ეკონომიკური ზრდის მიზანს უკავშირდება. შეიძლება კონკრეტული მიზანი თავისი თვისებებით ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან გაზომვას დაქვემდებარებული ურთიერთობების კონტექსტში გვეძლეოდეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისი ოპერაციონალიზების შესაძლებლობას. აუცილებელია, რომ მიზნის მახასიათებლები გაზომვადი და აგრეგირებადი იყოს. მეორე მხრივ, აუცილებელია იმ მნიშვნელობის დადგენა, რომელიც მათ ასეთი აგრეგაციით ენიჭება.*

***საკვანძო სიტყვები***: *ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები, მიზნების ოპერაციონალიზება, მიზანთა ურთიერთდამოკიდებულების შეფასება, მიზნების იდენტურობა, მიზნების თავსებადობა, მიზანთა კონფლიქტი.*

### შესავალი

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების ოპერაციონალიზების პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, თუ რა პოზიციაზეა ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების გამტარებელი ეკონომიკისა და საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების პროცესებთან მიმართებაში (Kirsch, 1977, გვ. 612): მოთხოვნისა და ცოდნის მიხედვით აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება გადაწყვეტილების გამტარებლისაგან მოითხოვს, რომ მას ჰქონდეს ოპერაციონალიზებული მიზნები (ალოპლასტიკური პოლიტიკა), ხოლო ეკონომიკასა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებთან რეაქტიული შესაბამისობა გულისხმობს ღია და ნაკლებად ოპერაციონალიზებულ მიზნებს (ავტოპლასტიკური პოლიტიკა) [Streit, 2005, გვ. 278].

რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც ალოპლასტიკურობასა და ავტოპლასტიკურობას შორის შუალედური პიზიცია უკავია, დამოკიდებულია იმაზე, თუ:

- მართვის რა უნარ-ჩვევები აქვს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელს, რომელთა საფუძველზეც იგი შეძლებს სამომავლო მოქმედების შესაძლებლობათა (დაგეგმვას) შეფასებას;
- რას ფიქრობს გადაწყვეტილების გამტარებელი ინოვაციათა შესახებ. მიაჩნია თუ არა მას, რომ ინოვაციები, სულ მცირე, ნეგატიურ ზეგავლენას არ ახდენს განსაზღვრულ მიზნებზე;
- რას უნდა გაუწიოს ანგარიში ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელმა იმ შემთხვევაში, თუ ა) გადაწყვეტილების ფორმირების მისეული მცდელობა მარცხით დასრულდება და ბ) მასთან დაკავშირებული დანახარჯების კომპენსირების შესაძლებლობაც გამორიცხული იქნება.

## ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების ოპერაციონალიზების პრობლემა

მიზანშეწონილია ოპერაციონალიზების პრობლემა პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის მიზანთა საშუალებით განვსაზღვროთ. შინაარსის მხრივ ტიპურია „შემოსავლებისა და სიმდიდრის უფრო სამართლიანი განაწილების“ მიზანი. საკმაოდ მრავალმნიშვნელოვანია ალტერნატივები, რაც გულისხმობს სამართლიანობის ორად დაყოფას: სამართლიანობა წვლილის (დამსახურების) და მოთხოვნილების მიხედვით. ამიტომაც, შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილების შესახებ შეხედულებები სხვადასხვა მიზნობრივი შეფასებების ფორმით ყალიბდება. პრაქტიკული მიზანი – „უფრო სამართლიანი განაწილება“ – იმ განსხვავებათა საფუძველზე აიხსნება, რომლებიც უკვე არსებობს ეკონომიკურ აგენტებს შორის შემოსავლებისა და ქონების განაწილების სახით. შესაძლებელია, რომ დაკვირვებების საფუძველზე ჩამოყალიბებულმა ვერც ერთმა მოსაზრებამ სრულყოფილად ვერ განსაზღვროს ყველასთვის სასურველი სამართლიანობის ფორმა. ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რაც უფრო ნაკლებად არათანაბრადაა განაწილებული შემოსავლები და ქონება, მით უფრო სამართლიანია ამგვარი განაწილება [Streit, 2005, გვ. 276-277].

მიზნის მრავალმნიშვნელოვანმა განსაზღვრამ და მასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ შესაძლებელია თავი იჩინოს იმაში, რომ მაგ., დასაქმების მიზანი აიხსნას „დასაქმების მაღალი დონის“ მიღწევის მიხედვით. მაგრამ საქმე ის არის, რომ დასაქმების დონის ზუსტი მაჩვენებლის დასადგენად (მისი სტრუქტურული ცვლილების გათვალისწინებით) უნდა ვიცოდეთ თუ როგორ ფუნქციონირებს დასაქმების ბაზრები და რამდენად არიან ან იქნებიან ისინი გაჯერებული. ამ მიზნებთან დაკავშირებით გამოცდილება შესაძლებელია შეცდომის წყაროდ იქცეს.

კონკურენტულ მიზნებს შორის კომპრომისი ძნელად მიიღწევა ისეთ ფენომენთან მიმართებაშიც, როგორიცაა „სტაბილური და თანაბარზომიერი ეკონომიკური ზრდის“ უზრუნველყოფა. სახელმწიფოში თანაბარზომიერი ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია სხვა მიზნებზე, რომლებსაც საქმე აქვს სწორედ ზრდის „ხარისხის“ განსაზღვრასთან. ამ შემთხვევაში სხვა მიზნების მიღწევაზე დანახარჯები ეკონომიკური ზრდის ალტერნატიულ დანახარჯებს წარმოადგენს. ახალი მიზნის განსაზღვრისათვის კი აუცილებელი იქნებოდა ახალ-ახალი კომპრომისები. მიზანთა კონფლიქტი, რომელიც ყოველთვის ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტთანაა დაკავშირებული, მოითხოვს გარკვეულ სიზუსტეს ამ მიზნების შინაარსის თვალსაზრისით.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს შორის ვერტიკალური ურთიერთდამოკიდებულების გარდა შესაძლოა ისინი სხვა მიზნების მიღწევის საშუალებებადაც გამოიყენებოდეს. რაც შეეხება ჰორი-ზონტალურ მიზანდამოკიდებულებებს, ისინი ლოგიკური ბუნებით ხასიათდებიან ან საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებულ გვერდითი მოვლენების შედეგებს წარმოადგენენ და ტექნოლოგიურ და ემპირიულ ხასიათს ავლენენ. ამ მიზანთა ლოგიკური ურთიერთობებია: იდენტურობა; თავსებადობა ან/და არათავსებადობა (ანტინომია). ტექნოლოგიური ხასიათი აქვთ: კომპლემენტარულობას (ჰარმონია); დამოუკიდებლობასა (ნეიტრალურობა) და კონკურენციას (კონფლიქტი) [Streit, 2005, გვ. 278].

მიზანდამოკიდებულებათა ლოგიკური ანალიზი მოცემულია დებულებებში, რომელთა საშუა-ლებითაც ხორციელდება მიზნების შინაარსობრივი დახასიათება. იდენტურობის შესაძლებლობასთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორი ან მეტი მიზანი ერთმანეთისაგან შინაარსობრივად არ განსხვავდება. ასე რომ, უმუშევრობის თავიდან აცილება და სრული დასაქმება შესაძლებელია იდენტურ მიზნებად განვიხილოთ. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან მხოლოდ სხვადასხვა მიდგომის საფუძველზე. ოპერაციონალიზების ასპექტით შინაარსობრივი განსხვავება არც „ცხოვრების სტანდარტის აწევის“ მიზანსა და „რეალური შემოსავლების მაღალი და მუდმივად მზარდი დონის“ მიღწევის მიზანს შორის არსებობს. „ფულის ღირებულების სტაბილურობა“ და „ინფლაციისა და დეფლაციის თავიდან აცილება“ შინაარსობრივად იდენტური მიზნებია. ასე რომ, ის ტაქტიკური განსხვავებები, რომლებიც ამ ტერმინებს უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური დისკუსიების შედეგია [გველესიანი, გოგორიშვილი, 2018, გვ. 92].

თავსებადობა გვიჩვენებს თუ რამდენად წინააღმდეგობრივია დებულებები, რომლებიც მიზნებს გამოხატავს მაგ., თავსებადია ფასების დონის სტაბილურობა და დასაქმების მდგომარეობა. არათავსებადობასთან (ანტინომია) საქმე გვაქვს მაშინ, როცა ერთი მიზანი მეორე მიზნის საწინააღმდეგო შინაარსისაა და მის უარყოფას გულისხმობს. ასეთი წინააღმდეგობის პრაქტიკული შედეგია ის, რომ არც ერთი და არც მეორე მიზნის რეალიზება არ არის შესაძლებელი. ლოგიკურად არათავსებადია ავტარკია (საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების არარსებობა) და შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებით სარგებლობა. რამდენიმე მიზნის ერთდროულად განხორციელების შესაძლებლობის წინაპირობა სწორედ მათი ლოგიკური თავსებადობაა. თუმცა ასეთი მცდელობა მარცხით სრულდება,

როგორც კი მოვინდომებთ კონკრეტული საშუალებებით მათ ერთდროულ რეალიზებას. ამ შემთხვევაში ერთ მიზანთან მიახლოვება დანაკარგებს იწვევს სხვა მიზნებთან მიმართებაში (კონკურენცია, მიზანთა კონფლიქტი). იგივე უნდა ითქვას ფასების სტაბილურობის დონესა და დასაქმების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამასთან, ვნახავთ რომ მიზანთა კონფლიქტს ის ტექნოლოგიური დამოკიდებულებები წარმოშობს, რომლებიც მაკროეკონომიკური ასპექტით მიზნებსა და საშუალებებს შორის არსებობს.

რაც შეეხება დამოუკიდებლობას (ნეიტრალურობა), იგი შესაძლებელია მხოლოდ სხვა მიზნებისაგან განყენების საფუძველზე. მაგრამ მას უპირისპირდება ეკონომიკური მოვლენების ურთიერთ-დამოკიდებულება. რაც უფრო მეტია მიზეზშედეგობრივად განპირობებული მოვლენებისა და ურთიერთდაკავშირებული მიზნების რაოდენობა, მით უფრო იზრდება არანეიტრალური დამოკიდებულებების ალბათობა. ურთიერთდაკავშირებული მიზნების არსებობა კი იმ გვერდითი მოვლენების შედეგს წარმოადგენს, რომელსაც სხვადასხვა საშუალებების გამოყენება იწვევს. უმუშევრობის შემცირებისა და წარმოების მოცულობის ზრდის შემთხვევაში დასაქმება და ეკონომიკური ზრდა კომპლემენტარულ (ურთიერთშემავსებელ) მიზნებად გვევლინება კომპლემენტარულობის შესახებ შესაძლებელია მხოლოდ იმ მიზნებთან მიმართებაში ვისაუბროთ, რომლებიც სხვა მიზნების მიღწევის საშუალებებად არ გამოიყენება.

### ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს შორის კონკურენტული ურთიერთობის შეფასების პრობლემა

მიზნებს შორის კონკურენცია (კონფლიქტი) შეფასების პრობლემას უკავშირდება, რაც აძნელებს ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებათა მიღებას. ორ კონფლიქტურ მიზანს შორის ურთიერთობის პირობებში საქმე ეხება მათ შორის მაქსიმალური კომპრომისის მიღწევას. თუ არ გავითვალისწინებთ ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მაშინ მიზნების რეალიზების ხარისხის თვალსაზრისით ოპტიმალური იქნებოდა კომბინაცია, რომლის დროსაც ამ მიზანთაგან ერთ-ერთთან მიახლოება უფრო მეტ სარგებლობას მოგვიტანდა იმ ალტერნატიულ ხარჯებთან შედარებით, რაც დაკავშირებული იქნებოდა ნებისმიერი სხვა მიზნის მიღწევასთან.

მიზანთა ასეთი კონფლიქტის მაგალითზე ვივარაუდეთ, რომ ფასების სტაბილურობასა და დასაქმების მაღალ დონეს შორის ურთიერთკავშირი არსებობს, თუ მხედველობაში მივიღებთ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის კონვენციონალურ ინსტრუმენტებს (Samuelson, Solow, 1960). მიზანთა შორის განსხვავებიდან გამომდინარე ფასების დონის ზრდის შემცირების თვალსაზრისით მხედველობაში უნდა მიგვეღო უმუშევრობის დონის ზრდა. ფიქსირებული სავალუტო კურსის შემთხვევაში დასაქმების მაღალ დონეს, ფასების სტაბილურობასა და საგარეო ეკონომიკურ წონასწორობას შორის დამოკიდებულება გამოიხატება „მაგიური სამკუთხედით“, მაგრამ ამ მიზნებიდან ორი მაინც რეალიზებადი უნდა იყოს.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს შორის ასეთი კონკურენტული (კონფლიქტური) ურთიერ-თობების მიზეზი ცნობილი გახდება, როდესაც დავადგენთ: 1. თუ რამდენი ინსტრუმენტის გამოყენებაა შესაძლებელი მიზნის მისაღწევად; 2. მიზანთა კომპლექსის განსახორციელებლად როგორ ხდება ინსტრუმენტების გამოყენება მართვის არსებული უნარ-ჩვევების პირობებში; 3. რა გვერდითი მოვლენების პირობებში მიმდინარეობს მიზნის რეალიზება [გველესიანი, გოგორიშვილი, 2018, გვ. 93].

მიზანთა კონფლიქტის პირველი მიზეზი ის შეუსაბამობაა, რაც დასახულ მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებებს შორის არსებობს. მაგ., როდესაც მოცემულია ორი მიზანი და ერთი საშუალება და ამ უკანასკნელის გამოყენებას ერთ–ერთი მათგანის მიმართ ორივე მიზნისათვის უარყოფითი გვერდითი შედეგი მოაქვს. ამ შემთხვევაში უარყოფითი გვერდითი შედეგების კომპენსირება სხვა ინსტრუმენტის გამოყენებით ხდება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სწორი რაოდენობრივი თანაფარდობა მიზნებსა და საშუალებებს შორის ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების საწინდარი იყოს. წარუმატებლობას ხშირად ხელს უწყობს როგორც ინსტრუმენტების შეზღუდული რაოდენობა, ასევე გაურკვევლობა გვერდითი მოვლენების ზეგავლენის შედეგებთან დაკავშირებით.

მიზანთა კონფლიქტები (ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით) მაშინაც წარმოიშობა, როცა უზრუნველყოფილია რაოდენობრივი თანაფარდობა მიზნებსა და საშუალებებს შორის. საქმე ის არის, რომ მართალია ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების გამტარებელი წინასწარ ვარაუდობს იმას, თუ რა ზეგავლენა ექნება მიზანზე მის მიერ ინსტრუმენტების გამოყენებას, მაგრამ თავიდან შეუძლებელია იმის გათვალისწინება შეძლებს თუ არა იგი სხვა მიზანთა რეალიზების დონის ფაქტობრივ გაკონტროლებასაც. ეს პრობლემა თვალსაჩინო გახდება დასაქმების მაღალ დონესა და ფასების სტაბილურობას შორის დამოკიდებულების მაგალითზე, როცა ორივე მიზნის რეალიზებას მონეტარული

და ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებით ვცდილობთ. მაკროეკონომიკური თეორიის მიხედვით, როგორც ერთი, ისე მეორე ერთობლივი მოთხოვნის მართვის მიზნით გამოიყენება. თეორიული ასპექტით სრულიად მარტივი რამ იგულისხმება: შრომის მწარმოებლურობაზე მოთხოვნა და მიწოდება განსაზღვრავს ხელფასის დონეს. სახელფასო დანახარჯები ზეგავლენას ახდენს ფასწარმოქმნასა და შემოსავლებზე, ორივე ერთად კი – ერთობლივი მოთხოვნის ჩამოყალიბებაზე. შრომის მწარმოებლურობაზე მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის საფუძველზე წარმოიქმნება. მაგრამ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის საშუალებით ისე უნდა ფასდებოდეს, რომ ჩვენთვის გასაგები გახდეს: 1. თუ რა მდგომარეობაა შრომის ბაზარზე და 2. როგორ ხდება მის საფუძველზე ხელფასის ზრდა, რაც, თავის მხრივ, თავსებადი უნდა იყოს ფასების დონის სტაბილურობასთან. ამავე დროს საქონელსა და მომსახურებაზე დოზირებულმა ერთობლივმა მოთხოვნამ უნდა მოაწესრიგოს (დაასტაბილუროს) მიმწოდებლის საფასო პოლიტიკა [გველესიანი, გოგორიშვილი, 2018, გვ. 93-94].

დასაქმების მდგომარეობა და ფასების სტაბილურობის დონე იძლევა იმის ახსნის საშუალებას, თუ რატომ წარმოიშობა გვერდითი პირობების საფუძველზე კონკურენტული ურთიერთობების შესაძლებლობა. როგორც ითქვა, კონფლიქტის მოსალოდნელობა ამ შემთხვევაში იქიდან გამომდინარეობს, რომ ორივე ინსტრუმენტი გავლენას ახდენს მოთხოვნაზე, მაშინ როცა მიწოდების დისპოზიციები კერძო პირთა დამახასიათებელი მოვლენა ხდება. საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლები უშუალოდ შეფერხებას არ განიცდიან იმ მხრივ, რომ განაწილების კონფლიქტის ფარგლებში ფასებისა და ხელფასის ზრდის ისეთი ღონისძიებები განახორციელონ, სტაბილიზაციის ინტერესებს რომ ეწინააღმდეგება. პირიქით ცდილობენ, რომ საბაზრო ძალაუფლებისათვის დამახასიათებელი დაპირისპირებანი მოთხოვნის შემცირების საშუალებით ფასების სტაბილურობის მიღწევის სასარგებლოდ შეასუსტონ. ამ პროცედურამ შესაძლებელია ისეთი სახე მიიღოს, რომ მის საფუძველზე თავისუფალი ფასწარმოქმნისა და სატარიფო ავტონომიის გვერდითი პირობებიც კი შესრულდეს. მიზნებს შორის კონკურენციის შესუსტება თუ მისი თავიდან აცილება ამ პროცედურის გაუქმების გარეშე მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გამოყენებული იქნება ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც ამ პროცესში მიმწოდებელსაც ჩართავს. სხვას არაფერს ნიშნავს შემოსავლების პოლიტიკისათვის ქმედუნარიანობის მინიჭება; მნიშვნელობა არ აქვს თუ როგორ მოხდება ეს: საინფორმაციო პოლიტიკის თუ ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე. ასეთი ძალისხმევა იქიდან გამომდინარეობს, რომ თვითონ მიმწოდებლებს აქვთ შესაძლებლობა, რელევანტური ეკონომიკურ-პოლიტიკური მონაცემები გააანალიზონ და ერთმანეთთან ითანამშრომლონ [გველესიანი, გოგორიშვილი, 2018, გვ. 95].

## დასკვნა

მაქსიმალური ოპერაციონალიზება მოითხოვს, რომ გაზომვადი და მრავალგანზომილებიანი მიზნების შემთხვევაში, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნის დეფინიციის აგრეგირებადი მახასიათებლები რაც შეიძლება სრულად გამოხატავდეს მიზნის შინაარსს. აქედან გამომდინარე, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი გაზომვაში სხვაობა ანუ განსხვავება მიზნის შინაარსსა და გაზომვის დადგენილ სტანდარტს შორის.

გაზომვაში სხვაობის მიზეზებია: 1. მიზნის შინაარსის მრავალმნიშვნელოვნება და აქედან გამომდინარე სხვადასხვა სტანდარტის არსებობა; 2. სტანდარტის დადგენასთან დაკავშირებული სიძნელეები, რომლებიც აუცილებლად წარმოიშობა მიზნის შინაარსის მახასიათებლების დადგენისას. 3. არა მარტო დასაშვებია ორივე მიზეზის კომბინაციები, არამედ, როგორც წესი, სწორედ ასეთ კომბინაციებს ვხვდებით ხოლმე. გაზომვაში სხვაობებს ისინიც ითვალისწინებენ, ვინც გარკვეულ მიზნებს ისახავს ან ამ მიზნების შესაბამისად მოქმედებს. ასეთი ვითარებაა, როდესაც: მიზნები ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციებიდან გამომდინარე საყოველთაო და გრძელვადიან პრინციპებს ემყარება და იმ საზღვრებს ხვდება, რომელებშიც პრაქტიკული პოლიტიკა ხორციელდება. კომპრომისი კონკურენტულ მიზნებს შორის წინასწარ არის შეზღუდული და შეუძლებელია მიზნის შინაარსთან დაკავშირებით ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების სრულყოფილი გაერთიანება.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს შორის ლოგიკური ურთიერთდამოკიდებულება გულისხმობს მათ იდენტურობას, თავსებადობას ან/და არათავსებადობას (ანტინომიას); ტექნოლოგიური ხასიათი აქვთ კომპლემენტარულობას (ჰარმონიას), დამოუკიდებლობას (ნეიტრალურობას) და კონკურენციას (კონფლიქტს).

## გამოყენებული ლიტერატურა


1. BOEHM, E. (1966), Privatrechtsgesellschaft und Marktwrstchaft Ordo 17, S.75-151. p. 80
2. BOULDING, K.E. (1962), Knowledge as a Commodity; wiederabgedruckt in ders. (Hrsg.): Beyond Economics – Essays on Society, Religion, and Ethics, Ann Arbor 1968, p.141-150
3. DAHL, R.A. (1963), Die politische Analyse (Uebersetzung von ,,Modern Political Analysis," Englewood Cliffs), Muenchen 1973, p. 62.
4. HAYEK, F.A. (1960), The Constitution of Liberty, Neudruck, London u.a. Wiederabdruck in: BOSCH, A. und R. VEIT Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B3, Die Verfassung der Freiheit, Tuebingen 2005, p.134.
5. HAYEK, F.A. (1979), Law, Legislation and Liberty, Volume III – The Political Order of a Free People, Chicago, London, Wiederabdruck in: VANBERG, V. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B4, Recht, Gesetzgebung und Freiheit, Tuebingen 2003. p. 128.
6. HAYEK, F.A. (2003), Rechtsordnung und Handelnsordnung, in: STREIT, M. E. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. A4, Rechtsordnung und Handelnsordnung, Tuebingen. p. 217.
7. HAYEK, F.A. (2004), Der Weg zur Knechtschaft, in: STREIT, M. E. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B1, Tuebingen.
8. JONAS, H. (1979), Das Prinzip Verantwortung, Nachdruck, Frankfurt a. M, 2003. p.294; 393.
9. KIRSCH, G. (1977), Technischer Fortschrift III – Foerderung durch die oeffentliche Hand, in: Handwoerterbuch der Wirtschaftswissenschaft, Bd. 7, Stuttgart, New York, S.609-620.
10. MESTMAECKER, E.-J. (1975), Wirtschaftsordnung und Staatsverfassung; in ders. und H. SAUERMANN (Hrsg.): Wirtschaftsordnung und Staatsverfassung (Festschrift fuer Franz Boehm zum 80. Geburtstag), Tuebingen, p.383-419).
11. MILL, J.S. (1859), On Liberty; in ders.: Utilitarism, Liberty, Representative Government, neuausgabe, hrsg. v. H. B. ACTON, London 1972, p. 75.
12. SAMUELSON, P.A. und R. M. SOLOW (1960), Analytical Aspects of Anti-Inflation Policy. American Economic Review 50, Papers and Proceedings, p. 177-194.
13. STREIT, M. E. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart, S. 276-277; 278.
14. WEBER, M. (1921), Wirstchaft und Gesellschaft, 5. rev. Aufl., Studienausg., Nachdruck, Tuebingen, 2002. p. 28.
15. Gvelesiani R., Gogorishvili I. (2014), The Basic Problems for the Realization of the Concept of Economic Policy. XII International Conference on Economics and Management, International Science Index, Vol. 8. No 11; November 10-11, Madrid, Spain, p. 532-535.
16. Gvelesiani R. (2015), The Influence of Interest Groups on Economic Policy and Its Contradictory Results, Journal of Academy of Business and Economics, IABE, Volume 15, № 2, ISSN: 1542-8710, Roma Tre University, Italy, Editor: South Stockholm University, Sweden, p.35-40.
17. Gvelesiani R. (2017), Social inequality – The revealing form of conflicts among the main societal values, Journal of International Management Studies (JIMS), Volume 17, #1, ISSN: 1930-6105, University of Sassari, Italy, Editor: Trinity Western University, Canada, p.59-64.
18. Gvelesiani R. (2016), Individuals and Economic Group's Interests and Behaviour in the Economic and Political Decision-making Process, European Journal of Business Research (EJBR), IABE, Volume 16, №1,. ISSN: 1945-2977, University of Pisa, Italy, Editor: Johannes Kepler University Linz, Austria, p. 97-103.
19. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. (2018), გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში, გამომცემლობა „უნივერსალი," თბილისი, გვ. 92, 93-94; 95.
20. გველესიანი რ., (2012), საზოგადოების ეკონომიკური ინტერესების იერარქიაში არსებული წინააღმდეგობების დაძლევის გზები, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, თსუ მეცნიერება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 60-63.
21. გველესიანი რ., (2013), ეკონომიკური თავისუფლების საზღვრების მნიშვნელობა ინტერესთა კონფლიქტების დაძლევაში, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ,,ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება" მასალები, თბილისი, გვ.128-132.
22. გველესიანი რ., (2019), ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და მათ განსახორციელებლად მიღებული გადაწყვეტილებების თავსებადობის პრობლემა, ჟურნ. „გლობალიზაცია და ბიზნესი," N7, თბილისი, გვ.32-38.
23. გველესიანი რ., (2019), ეკონომიკური ინტერესების კონფლიქტი - ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების წინააღმდეგობრივი ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენის ფორმა, IV საერთა-

შორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მასალები, თსუ გამომცემლობა, თბ., გვ. 49-55.

***Revaz Gvelesiani***

**THE OPERATIONALIZATION OF THE OBJECTIVES OF AN ECONOMIC POLICY AND THE ESTIMATION OF THEIR INTERDEPENDENCE**

**Summary**

The article deals with the issues of operationalization of the objectives of an economic policy and the estimation of their interdependence.

*რევაზ გოგოხია*

## მსოფლიო განვითარების პროცესების ზღვარგადასული გლობალიზაციის დეგლობალიზაციის საკითხისათვის

***ანოტაცია.*** *სტატიაში განხილულია მსოფლიოს საყოველთაო გლობალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. გლობალიზაცია წარმოდგენილია როგორც უაღრესად წინააღმდეგობრივი მოვლენა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკის როგორც შინაარსს, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათს. ყურადღება გამახვილებულია კორონავირუსული პანდემიით გამოვლენილ ზღვარგადასული გლობალიზაციის ფენომენის უამრავ მანკიერებაზე, შესაბამისად, მინიშნებულია გლობალური ანტიგლობალიზმის პოლიტიკის მიმართულებები. ამასთან ერთად, ავტორი ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ განსაკუთრებით კორონაეკონომიკური კრიზისის პირობებში, აუცილებელია ქვეყნებს შორის ზოგიერთი გლობალური კავშირის გაძლიერება - დივერსიფიკაცია პოტენციური რისკების შემცირების მიზნით.აღნიშნულთნ ერთად, სტატიაში გარკვეული ადგილი ეთმობა საქართველოს თანამედროვე და პოსტკორონავირუსული განვითარების პრობლემას.*

***საკვანძო სიტყვები:*** *გლობალიზაცია, გლობალური ანტიგლობალიზმი, ანტიგლობალიზმის მიმართულებები, საქართველო და გლობალიზმი.*

### შესავალი

მსოფლიო გლობალიზაცია მრავალმხრივი ფენომენალური მოვლენაა თავისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლებით. შესაბამისად, სრულიად განსხვავებულია მასზე მკვლევარ-მეცნიერთა შეხედულებები. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც, ასე თუ ისე, ჩამოყალიბებულია სამი განსხვავებული შეხედულება: პირველი, გლობალიზაცია კაცობრიობის პროგრესული განვთარების მამოძრავებელი ფენომენია; მეორე, გლობალიზაცია არსებითად უარყოფითი მოვლენა, ანუ არცთუ უმნიშვნელო დესტრუქციული ფაქტორია, რაც სოციალურ-ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის კვლავ სიღატაკესა და მარადიული აუტსაიდერის ფუნქციას უზრუნველყოფს; მესამე, გლობალიზაცია დადებითისა და უარყოფითის, პოზიტივისა და ნეგატივის დიალექტიკური ერთიანობაა, რომლითაც სარგებელს იღებენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“. ასეა თუ ისე, კორონავირუსულმა პანდემიამ გააშიშვლა ზღვარგადასული გლობალიზაციის სიმახინჯეები, რაც დაძლეულ უნდა იქნეს მთელი მსოფლიოს ერთიანი ძალისხმევით, რათა გაკეთილშობილდეს კაცობრიობის ცხოვრება და შემოქმედება.

### „კაცობრიობის მომავალი ეკუთვნის არა გლობალისტებს, არამედ პატრიოტებს!“

სტატიის ქვესათაურად გამოტანილი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოსაზრება ეკუთვნის აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, რომელიც მან გაახმოვანა „მსოფლიოს ყველაზე დიდი სცენის“ (მისივე შეფასებით) მაღალი ტრიბუნიდან - გაეროს ასამბლეის 74-ე სესიაზე, რითაც მან ამხილა თანამედროვე მსოფლიოს „საყოველთაო წესრიგის“ ზღვარგადასული გლობალისტური თეორია და იდეოლოგია. ეს დასკვნა, რამაც ფართო მასშტაბის მოწონება დაიმსახურა, სავსებით რეალური და კანონზომიერია, რამდენადაც მსოფლიო პოლიტიკის გაკეთილშობილებას ისახავს მიზნად. თანაც, ტრამპი თავისი კონსერვატიული შეხედულებებითა და პოზიციებით, მარტო არ არის. აშშ-ის კონსერვატიულმა საზოგადოებამ აქტიურად აუბა მას მხარი და ულტრალიბერალებს დაუპირისპირდა.

უფრო მეტიც, ევროპასა და მთელ მსოფლიოში თვალსაჩინოდ გააქტიურდნენ და ძლიერდებიან კონსერვატორები და ტრადიციონალისტები.

აღნიშნულთან ერთად, ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით აკადემიკოს ვლადიმერ პაპავასა და სხვების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „პანდემია გლობალური ფენომენია და კორონაეკონომიკური კრიზისი მთელი მსოფლიოს საფრთხეა, იზოლაციონიზმი და დეგლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკისათვის აშკარად დამღუპველი გზაა, პირიქით, პოსტკრიზისულ პერიოდში აუცილებელია ღირებულებათა ჯაჭვებისა და მიწოდების ჯაჭვების დივერსიფიკაცია, რამაც უნდა უზრუნველყოს პოტენციური რისკების შემცირება"(პაპავა, 2020). ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, გლობალიზაციის ზოგიერთი მიმართულების არა თუ შესუსტება, არამედ გაძლიერებაა საჭირო - განსაკუთრებით ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფა-გაფართოების მიმართულებით. თუმცა, ამასთან ერთად, ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ მოსაზრებასაც, რომ აუცილებელია კაცობრიობის ცივილიზაციის საკვანძო მიმართულებათა ზღვარ-გადასული გლობალიზაციის დეგლობალიზაცია (როგორიცაა: ყოველგვარი ეროვნული ტრადიციების ნიველირების, უმშობლო ბავშვების, უეროვნებო და უსამშობლო, ანუ მომთაბარე მსოფლიო კაცობ-რიობის, უფლისაგან ადამიანთა მასობრივად განდგომის და ხელოვნური ადამიანის შექმნის, თავისუფლების არსის გაყალბებისა და გაბიაბურების, ერთიანი მსოფლიო მმართველობის (მთავრობის) ჩამოყალიბების და ა.შ. ყბადაღებული ანტიადამიანური თეორიების განხორციელების მცდელობები), რაც პრეზიდენტმა ტრამპმა ზემოაღნიშნული მოსაზრებით ახალ დოქტრინარულ ხარისხში აიყვანა. და ეს სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც კორონავირუსულმა პანდემიამ და მისმა თანმხლებმა პროცესებმა მთლიანად გააშიშვლა თავისთავად უაღრესად წინააღმდეგობრივი, მაგრამ ბოლო პერიოდამდე მაინც მსოფლიო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათის არსებითად განმსაზღვრელი გლობალიზაციის ფენომენის უამრავი მანკიერება და ის კანონზომიერი მსხვრევის გზას გაუყენა. მასთან ერთად, მომაკვდინებელი დარტყმა იგემა ასევე გაყალბებულმა ლიბერალიზმმა, რომლის თითქმის ყველა ,,წარმატება" მყისვე გაცამტვერდა, ე.ი. კორონავირუსმა სააშკარაოზე გამოიტანა და ერთბაშად გააშიშვლა მსოფლიოს განუკურნებელი მახასიათებლები. მან უმძიმესად დაარტყა მსოფლიო ეკონომიკას, უწინარესად-გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკას და, რაც მთავარია, საყოველთაო გლობალიზაცია ქრება თვით ადამიანის გონებიდან, რაშიც უწინარესად, იგულისხმება გლობალისტების თავგამოდებული, მაგრამ უსუსური მტკიცება იმისა, რომ სახელმწიფო, სამშობლო, პატრიოტიზმი, ტრადიციები, რელიგია და სხვა ეროვნული ფასეულობები, თანდათანობით ტოვებენ ისტორიულ ასპარეზს, ან უკანა პლანზე დგებიან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი უნდა იყოს ის, რომ საქართველოსთვის უცხო, უნიადაგო, გლობალიზაციის ბურუსში გახვეული კოსმოპოლიტიკური თეორიები, უცხოურ იდეოლოგიაზე აგებული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა, გარკვეულწილად, იმ ,,დიდი პოლიტიკის" შემადგენელი ნაწილია, რაც სამამულო ინდუსტრიისა და არსებითად მყარი ეკონომიკის ჩაკვლას ისახავს მიზნად და საქართველოს (უკეთეს შემთხვევაში) ნავთობსადენის, გაზსადენის, ევრაზიული დერეფნისა და სამომავლოდ - ტურისტთა საჯირითო ტერიტორიის მხოლოდ მიზერულ პერსპექტივას უტოვებს. განსხვავებით ამისგან ჩვენ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავითავისოთ, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს ჩართვა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული და ეფექტიანი, თუ ქვეყანა მტკიცედ მოირგებს ეროვნული ეკონომიკური და საერთოდ ქართული იდეოლოგიის ,,სამოსელს" (რ. გოგოხია, 2004).

მსოფლიო ეკონომიკურმა პრაქტიკამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა, მთლიანად ქვეყანა, არ არსებობს ეროვნული თვითგანსაზღვრულობის გარეშე, რომ ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი კვლავწარმოება ყოველთვის ხორციელდება როგორც ეროვნული კვლავწარმოება. სწორედ ეროვნულ ეკონომიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული, სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკური მოდელი (ამის საუკეთესო მაგალითია პოსტსოციალისტური ჩინეთი) უზ-რუნველყოფს ქვეყნის საუკეთესო მერმისს. ამიტომ ეროვნული სახელმწიფოს როლი კიდევაც იზრდება, რათა მოქნილად მოახდინოს თავისი საზოგადოების, ხალხის, ეროვნული ტრადიციების, მთლიანად ქვეყნის, ორმხრივად სასარგებლო ინტეგრირება მსოფლიოსთან. თუმცა, იმავდროულად გაძლიერდება ეკონომიკური ნაციონალიზმი, ანუ ეკონომიკების შემოსაზღვრა გარე სამყაროსაგან. ამისათვის არც სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის შეცვლაა აუცილებელი და არც ეროვნულობის ნიველირება, რასაც ქრისტიანულ-მართლმადიდებლური იდეოლოგია ადუღაბებს. ამასთან დაკავშირებით, ფრიად საინტერესოა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ სტიგლიცის უახლესი მოსაზრება: „ადრე ეკონომისტები ამტკიცებდნენ, რომ გლობალურ მსოფლიოში საზღვრები არაფერს ნიშნავს, მაგრამ ახლა საზღვრებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, კორონავირუსთან დაკავშირებულმა კრიზისმა ყველას შეგვახსენა, რომ საბაზისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთეულად სახელმწიფო რჩება".

დიახ! ,,კორონავირუსმა იმუშავა, როგორც ცეცხლგამჩენმა ნაერთმა, ის დაუნდობელია არამხოლოდ ჩვენი ჯანმრთელობის მიმართ, არამედ აშიშვლებს ჩვენს სისუსტეებს ეროვნულ, ევროპულ, სერთაშორისო დონეზე“, აცხადებს გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ზიგმან გაბრიელი, -„ გერმანიის კეთილდღეობა, უზრუნველყოფილი იყო გლობალიზაციით, ჩვენ შემოგვაქვს ნედლეული უამრავი ქვეყნიდან, გვაქვს მაღალტექნოლოგიური წარმოება, მაგრამ დამოკიდებული ვართ უცხოელ მომწოდებლებზე. ეს ყველაფერი რომ გაუქმდება, გერმანია და ევროპა გაღარიბდებიან. კორონავირუსმა დაუნდობლად გააშიშვლა დასავლეთის სუსტი მხარეები, დასავლეთმა ფიასკო განიცადა კორონავირუსთან ბრძოლაში“ - ასკვნის ის.

ამ მხრივ, საქართველოს მდგომარეობა თითქმის არც არასოდეს ყოფილა სახარბიელო, უფრო მეტიც, ჩვენ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლური პარტნიორების სახით, ყოველ შემთხვევაში, ბოლო პერიოდამდე მაინც, ძირითადად გვყავდა ჩამოყალიბებული ტიპური იდეოლოგიურ-პოლიტიკური ,,მოთამაშეები“. აბა, სხვა რაღა უნდა ვთქვათ იმ დასავლელ პარლამენტარებსა, სენატორებსა თუ კონგრესმენებზე, რომლებიც ხაზინის ფულის მიმთვისებელსა, თუ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში აქტიურ მონაწილეს, რომელთაც ქართულმა სამართალმა პატიმრობა მიუსაჯა, პოლიტპატიმრებად აცხადებენ და ქვეყნის მთავრობაზე ზემოქმედებით, ათავისუფლებენ ყოველგვარი დამატებითი სამართლებრივი განსჯა-განხილვის გარეშე. ეს და სხვა მსგავსი ქმედებები იმის დემონსტრირებაა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მათ დიდად არ ეპიტნავებათ. რაც შეეხება ევროკავშირსა (რომლის ბევრი სისუსტე გამოავლინა კორონავირუსულმა პანდემიამ) და ნატოს, განსაკუთრებით, ამ უკანასკნელს, თითქმის ყავლაგასული ორგანიზაციაა, თუმცა, ძალიანაც რომ გვინდოდეს მასში შესვლა, ეს მხოლოდ ოცნებათა რიგს განეკუთვნება. ასეც რომ არ იყოს, ნატოში შესვლა, რუსეთის ფაქტორის გამო, დიდი ალბათობით, სამუდამოდ უარის თქმა იქნებოდა დაკარგული ძირძველი ქართული ტერიტორიების დაბრუნებაზე. ამიტომ, ამჯერად აუცილებელია რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა და ყოველგვარი ძალისხმევით, ორივე მხარისათვის მისაღები შედეგების მიღწევა. ამავდროულად უნდა ვესწრაფოდეთ აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპსა და მის გარემოცვასთან დაახლოებას, რომელიც გამოირჩევა ანტიგლობალიზმით, ლიბერტარიანიზმის წინააღმდეგ ბრძოლითა და ეროვნული ტრადიციების პატივისცემით, ასევე ურთიერთობათა გაღრმავებას საქართველოსადმი კეთილგანწყობილ ყველა ქვეყანასთან. სხვანაირად, სამწუხაროდ, არაფერი გამოვა... საქმეს კიდევ ურო ართულებს ის გარემოება, რომ მსოფლიო გლობალისტების უმეტესობა კაცობრიობის სულიერ-მორალური დეგრადაციითაა დაინტერესებული, რადგან ასეთი მასების მართვა მსოფლიო მთავრობისათვის( რომლის შექმნაც მათი ოცნებაა) გაცილებით მარტივი იქნება. როგორც ჩანს, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში,ალბათ, სულ მალე ზნეობა და სამართლიანობა წარსულის გადმონაშთად გამოცხადდება. ამასთან დაკავშირებით, ,,საგულისხმოა“ დიდი ბრიტანეთის 74-ე პრემიერ-მინისტრის გორდონ ბრაუნის იდეა-კორონავირუსის დაძლევის შემდეგ მსოფლიოს დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს დედამიწაზე საყოველთაო წესრიგს. ამით, როგორც იტყვიან, ამით ყველაფერია ნათქვამი...

გარდა აღნიშნულისა, კაცობრიობას ემუქრება ციფრული ეკონომიკის საყოველთაოდ დამკვიდრების გარდაუვალობა, რაც მთლიანად უცვლის სახეს სახელმწიფოს მართვას, ჯანდაცვის, განათლების, მომსახურების სფეროს და ა.შ. ამის თაობაზე მრავალი მეცნიერი თუ ექსპერტი განგაშს ტეხს, რამეთუ საქმე ეხება ,,სახელმწიფოს მთლიანი სისტემის რადიკალურ რეფორმირებას“, რომლის მიზანია ყველასა და ყველაფერზე ტოტალური კონტროლის დამყარება, რაც ფაქტობრივად, ხელოვნურ ადამიანთა ცივილიზაციის შექმნის და კაცობრიობის დამონების მომასწავებელია. ეს კი ადამიანთან ერთად ღმერთის სრული უარყოფაა, რაც ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ სავსებით მიესადაგება ამ რეალობას პოეტ ლაშა ნადარეიშვილის ერთ-ერთი ბოლო ლექსიდან ეს სტრიქონები: ,,გადმოიღვარა მრისხანების თასი ზეციდან,ეს დედამიწა ამდენ ცოდვას ვეღარ დაიტევს“... და, ასევე პუბლიცისტ ჯაბა ხუბუას მრავლისმეტყველი-„კორონავირუსით ქრისტეს ვერ მოკლავთ!“.

**როგორი იქნება პოსტკორონავირუსული საქართველო!**

სამწუხაროდ, საქართველოშიც ბოლო პერიოდში, ფართო გასაქანს პოულობს აგრესიული ლიბერალური დემოკრატია, ანუ ლიბერტარიანიზმი, რომელიც გულმოდგინედ იცავს პედერასტთა, ლესბოსელების, სხვადასხვა ჯურის სექტანტების „უფლებას“ თავისუფლების აზრით. თავისუფლების ცნების არსს კი მცდარად გაგებული ლიბერალიზმის მრავალ განშტოებასთან აიგივებენ, რაც რადიკალურად მიუღებელია. არადა, რა კარგად ჟღერს ჯერ კიდევ დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას მიერ შემოთავაზებული განმარტება: „მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც

გნებავს, ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, - არა!, უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარელი მაინც არ უნდა იყოს“.

კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ აგრსიული ლიბერალური დემოკრატიის პირობებში, ხელისუფლების მეხუთე კოლონად ჩამოყალიბდა არასამთავრობოთა უმეტესობა, რომლებიც მხოლოდ გარყვნილ უმცირესობათა „უფლებას“ იცავენ მართალი უმრავლესობის საზიანოდ. „დღეს ქართველ საზოგადოებას არ სჭირდებია იმის მტკიცება, რომ უცხოეთიდან დაფინანსებული მეხუთე კოლონა თხემით ტერფამდე ანტიქართული და ანტიეროვნული ძალაა, რომელიც ფულს იღებს ყოველი ტრადიციული და ქრისტიანული ფასეულობის, მთლიანად კულტურის გამარგინალებაში“ (მამა გურამი - გამცემლიძე).

მათ ზურგს უმაგრებს ევროპელი (და არამხოლოდ) პედერასტ-ლესბიანკები და მათი აპოლოგეტები, რომელთა შორის „გამოირჩევა“ აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, დღეს კი პრეზიდენტობის აქტიური და აგრესიული მაძიებელი ჯო ბაიდენი, რომლის შეურაცხმყოფელ ფანტაზიას საზღვარი არა აქვს (რ. გოგოხია, 2017): „მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა! სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვა ცივილიზებული ქვეყნების მახასიათებელი ნიშანია და ის ეროვნულ კულტურასა და სოციალურ ტრადიციებზე მაღლა უნდა იდგეს. გეებისა და ლესბოსელების მომხრეები წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ნაკადს. მათი მოწინააღმდეგები კი ველურები არიან, ქვეყნებმა, რომლებიც არ იცავენ და არ ამყარებენ ლგბტ უფლებებს, უნდა ზღონ არაადამიანურობის გამო“. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ასეთ ვითარებაში, ყველა ჭეშმარიტი ქრიტიან-მართლმადიდებლის ქცევას უნდა განსაზღვრავდეს სახარებისეული მოძღვრება: „იყვენით სრული, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“. ეს იმას ნიშნავს, რომ ზენაარსმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად, ,,ხატება-უფლისგან ბოძებული უნარია, ვიცხოვროთ სწორად, ხოლო ,,მსგავსება“ - შესასრულებლად აუცილებელი ღვთიური დავალებაა. ამრიგად, საკაცობრიო აზრის განვითარების გზაზე ადამიანის წარმოდგენის განსაკუთრებულ მოდელს გვთავაზობს ქრისტიანობა. მან არამარტო თვითგარდაქმნისკენ მოუწოდა ადამიანს, არამედ შესთავაზა ცოცხალი მისაბაძი ხატი იესოს სახით - „მის მიერ შემოტანილი დოგმა - ,,გაღვთიურება ადამიანის და გაადამიანება ღვთაებისა,-ადამიანს გამოყოფილ ადგილს აძლევს კოსმოსის მთლიანობაში“ (ბრეგაძე, 2016).

მიუხედავად ამისა, და ფრიად სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა ღვთის ნებას კი არ მისდევს, არამედ იმას, რაც მას უნდა, მას ღვთის ნება - ,,მე მინდაში“ ეშლება, რითაც უფალს ეწინააღმდეგება და ცხოველს ემსგავსება. დიახ, დღეს კაცობრიობის დიდი ნაწილი სიბილწის მორევშია ჩაფლული და თუ ის ცოდვებს არ მოინანიებს, კორონაპანდემიაზე უარესიც შეიძლება მოხდეს - მსოფლიოში რამდენიმე წლით სატანა გამეფდეს, ხოლო მერმე ქრისტეს მეორედ მოსვლას ვერავინ დაუდგება წინ, ანუ განკითხვის დღე გარდაუვალია, რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს - ღვთის რჩეული და ყოვლადწმინდა დედაღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ცოდვებიც ნაკლები აქვს ღვთის წინაშე. მარტო ის რად ღირს, რომ კორონავირუსმოდებული მსოფლიოს თითქმის ყველა სალოცავი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებში ჩაკეტილი იყო მომლოცველთათვის, ხოლო საქართველომ არ ჩაკეტა ეკლესიის კარი - ჩვეულებრივ აღევლინა ღმრთის სადიდებელი წირვა - ლოცვანი, კურთხეული მიწიდან მრევლის მაღალი კულტურით დამშვენებული, რაც ცათამდე ქართულად ისმინებოდა ომახიანად. ესეც ხომ იმის მიმანიშნებელია, რომ სატანები და სხვა ჯურის ავანტიურისტ - ლიბერასტები, ჩვენს მართლმადიდებელ ქრისტიან ერს ვერ დააჩოქებენ, რამეთუ უმრავლესობა არ ცხოვრობს მხოლოდ მიწიერი ფუფუნებით - სული აქვს სუფთა, მდიდარი ღვთივკურთხეული, ანუ ,,ღმერთი ჩვენთან არს“ - და საქართველო უეჭველად გამთლიანდება და გაბრწყინდება.

ამ რწმენას განგვიმტკიცებს ის, რომ „სადაც ჭეშმარიტი სარწმუნოებაა, იქ სიხარული და სიყვარულია. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ვერავითარი უარყოფითი ძალა ვერ სძლევს საქართველოს სიყვარულსა და სიხარულს. საქართველო მტკიცედ იდგება მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე, ეს ჩვენი ბედია, ეს ჩვენი ჯილდოა, ღვთის ჯილდო, რომ საქართველო იყოს მართლმადიდებელი“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ა/წ 17 მაისის ქადაგება ოჯახის სიწმინდის დღეს).

დაბოლოს, სადღეისოდ, რაც მთავარია, ღვთის შემწეობით, საქართველომ უმცირესი დანაკარგებით, მსოფლიოში ერთერთმა პირველმა ღირსეულად დაძლია კორონავირუსული პანდემია და მთავრობამ მოკლე დროში წარმოადგინა ანტიკრიზისული სტრატეგიისა და პოსტკრიზისული განვითარების გეგმა - განაცხადი, რაც საკმაოდ დასაბუთებულია. ის გზადაგზა შეივსება, სრულიყოფა და ქვეყნის სამოქმედო პროგრამა გახდება. და მაინც, აქვე გვინდა შევნიშნო, რომ კვლავაც გაუაქტიურებელია ქართველ მეცნიერთა ძლიერი ჯგუფის (ხელმძღ. პროფ. პ. გიორგაძე) მიერ შემუშავებული ,,ქართული სასმელი

წყლის ინდუსტრიალიზაციის კონცეფცია - პროგრამა“, რამაც სამეცნიერო იერარქიის ყველა დონეზე წარმატებით გაიარა აპრობაცია და მისი საბოლოო ვარიანტი, 51 აკადემიკოსისა და პროფესორის ხელმოწერით გადაეგზავნა საქართველოს მთავრობას, ასევე ადეკვატური სტატიები გამოქვეყნდა გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკასა“ და თსუ-ის საერთაშორისო რეიტინგის მქონე ჟურნალში - ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, რასაც მრავალი მხარდამჭერის გამოხმაურება მოჰყვა. მთავრობის საბოლოო პოზიცია კი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ჩვენი განწყობა ოპტიმისტურია, რამდენადაც სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნით საფუძველი ჩაეყრება ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავლის ზრდას 12 მლრდ აშშ დოლარით, დაახლოებით 10 წ-ში ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 51 მლრდ დოლარს მიაღწევს. პროექტებში დასაქმდება 400 ათასზე მეტი ადამიანი საშუალო ხელფასით-4500 დოლარი. სხვა მრავალ სიკეთეზე აქ არ შევჩერდები, ოღონდ, დასკვნის სახით, დავაფიქსირებ, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელებით, საბოლოოდ მოიხსნება უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემა, მკვეთრად შემცირდება მიგრაციული პროცესები, რადიკალურად გაუმჯობესდება დემოგრაფიული სიტუაცია, ანუ საქართველო მართლაც გაბრწყინდება.

**დასკვნა**

კორონავირუსულმა პანდემიამ გააშიშვლა და სააშკარაოზე გამოიტანა ზღვარგადასული საყოველთაო გლობალიზაციის უამრავი მანკიერება და ის კანონზომიერი მსხვრევის გზას გაუყენა. მათ შორისაა გლობალისტთეორეტიკოსების თავგამოდებული, მაგრამ უსახური მტკიცება იმისა, რომ სახელმწიფო, სამშობლო, ეროვნება, პატრიოტიზმი, ტრადიციები, რელიგია და სხვა ეროვნული ფასეულობები თანდათან ტოვებენ ისტორიულ ასპარეზს ან უკანა პლანზე დგებიან. „კორონავირუსთან დაკავშირებულმა კრიზისმა ყველას შეგვახსენა, რომ საბაზისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთეულად სახელმწიფო რჩება“ (ჯოზეფ სტიგლიცი). ამავე მიმართულებით უაღრესად დიდმნიშვნელოვანია აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ყოვლისმომცველი თეზისი - „კაცობრიობის მომავალი ეკუთვნის არა გლობალისტებს, არამედ პატრიოტებს!“ რომლითაც მან ამხილა თანამედროვე მსოფლიოს საყოველთაო წესრიგის ზღვარგადასული გლობალისტური თეორია და იდეოლოგია. ამ მოსაზრებით, რაც მსოფლიო პოლიტიკის გაკეთილშობილებას ისახავს მიზნად, მან ზღვარგადასული გლობალიზაციის დეგლობალიზაციის იდეა ახალ დოქტრინარულ ხარისხში აიყვანა, რაც, ეჭვგარეშეა, მსოფლიო პოლიტიკაში ძირეულ პროგრესულ ცვლილებებს გამოიწვევს. ამის გარანტია ისაა, რომ ტრამპს აქტიურად აუბა მხარი აშშ-ის კონსერვატიულმა საზოგადოებამ და ულტრალიბერალებს დაუპირისპირდა. უფრო მეტიც, ევროპასა და მთელ მსოფლიოში თვალსაჩინოდ გააქტიურდნენ და გაძლიერდნენ კონსერვატორები და ტრადიციონალისტები.

ყოველივე ეს მომავლისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის საქართველოსათვის, რომელმაც, საბედნიეროდ, უმცირესი დანაკარგებით მსოფლიოში პირველმა მეტ-ნაკლებად დაძლია კორონავირუსული პანდემია, ხოლო მთავრობამ მოკლე დროში წარმოადგინა ანტიკრიზისული სტრატეგიისა და პოსტკრიზისული განვითარების გეგმა-განაცხადი, რომელშიც აუცილებლად უნდა აისახოს „ქართული სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის კონცეფცია-პროგრამა“, რომლის განხორციელებაც საქართველოს არნახულ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს გამოიწვევს.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკსი, მეთოდოლოგია და მეთოდიკა, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ–ის გამომც., თბ., 2020, გვ. 409.
2. გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თსუ–ის გამომც., თბ., 2004, გვ. 36.
3. გოგოხია რ. ბიბლიურ–ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური სიბრძნე: ,,შეიცან თავი შენი“ და თანამედროვეობა, შპს ,,საარი“, თბ., 2017, გვ. 20.
4. ბრეგაძე ა. მარადიული სიბრძნე, გამომც. ,,უნივერსალი“, თბ., 2016, გვ. 18.
5. აბესაძე რ. გლობალიზაცია და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III საერთაშორისო კონფერენცია, შრომების კრებული, თბ., 2018.
6. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია, გამომც. ,,სიახლე“, თბ., 2014.
7. ასათიანი რ. გლობალიზაციის ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბ., ,,სიახლე“, 2010.

8. ბერძენიშვილი ა., ქეცბაია კ. გლობალიზაცია და ტრადიციული რელიგიები, ჟურნ. ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, 2018, №3.
9. გველესიანი რ. ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებს შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის პრობლემა, ჟურნ. ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, 2017, №1.
10. გიორგაძე პ. საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, ჟურნ. ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, 2018, №4.
11. თოდუა გ., გოგოხია რ., ქუტიძე რ., ეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკა, თსუ–ის გამომც., 2009.
12. თოქმაზიშვილი მ. გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება, ჟურნ. ,,გლობალიზაცია და ბიზნესი“, №5.
13. კრუგმანი პ., ობსტფელდი მ., მელიტცი მ. საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პრაქტიკა, თსუ–ის გამომც., 2017.
14. ლორთქიფანიძე გ. გლობალიზაცია, „საქართველო - ენციკლოპედია“, ტ.2, თბ., 2012
15. მექვაბიშვილი ე. ეკონომიკური გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ., ,,ინოვაცია“, 2009.
16. მექვაბიშვილი ე. გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2018.
17. მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაციის წინააღმდეგობანი და საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები, ჟურნ. ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, 2007, №2.
18. შენგელია თ. საერთაშორისო მენეჯმენტი, გამომც. ,,ახალი საქართველო“, თბ., 2012.
19. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა, გამომც. ,,სიახლე“, თბ., 2010.
20. Быков А. Глобализация и либерализация (вопросы институционального совершенствования в контексте российских общественных интересов), «Проблемы прогнозирования», №5, 2000.
21. Шваб К. Четвертая промышленная революция, М., «ЭКСМО», 2018.
22. Лисичкин В., Шелепин А. Глобальная империя Зла, М., «Форум», 2001.
23. Мартин Г., Шуман Х. Западня глобализации: атака на процветание и демократию, М., изд. дом «Альпина», 2001.
24. Flankel. Globalization of the Economy. N.Y. 2009.
25. Silagadze, A., Atanelishvili, T., Silagadze, L. (2020) Some Economic Problems of the Post-Soviet States after the Global Financial Crisis. Bull. Georg. Natl. Acad. Sci., 14(3).

***Revaz Gogokhia***

**ON THE ISSUE OF DEGLOBALIZATION OF EXCESSIVE GLOBALIZATION OF THE WORLD DEVELOPMENT PROCESSES**

**Summary**

The article, in the wake of coronavirus pandemic, presents the vices of excessive globalization of fundamental vital events and processes in the world and Georgia, and, consequently, for the normal functioning of mankind, the focus is shifted to some issues of their deglobalization.

***Keywords:*** *globalization, global antiglobalism, directions of antiglobalism, Georgia and globalism.*

***Natalia Eremeeva***
***Liubov Zharova***

## SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS BASEMENT FOR ENERGY SAFETY AND ECONOMIC DEVELOPMENT

***Annotation.*** *The paper focuses on implementing sustainable development goals in the country's Action Plans and realities. Among the 17$^{th}$ aims chosen the 7$^{th}$ – affordable and safe energy which is part of country energy safety – the issue that is crucial for former USSR countries which were a part of the united energy system that was centered-oriented. That coursed a lot of problems for economic development and safety after independence. The paper aims to discover the main challenges of reaching energy safety and economic prosperity through the implementation sustainable development goals in Ukraine.*

***Keywords:*** *sustainable development, law, energy, safety, economics*

Sustainable development has become a popular catchphrase in contemporary development discourse. However, in spite of its pervasiveness and the massive popularity it has garnered over the years, the concept still developing and

transforming. The classical definition of sustainable development - this is the development that meets the needs of the present without compromising the ability of future generations to meet their own needs [*Our Common Future*,1987].

The idea of "sustainable development" as a system of views of the ideologists in the Club of Rome, having emerged in the 1960-70s, generated agitated scientific and sociopolitical debates, involving the problems of the economy version, under which, based on the rational use of all resources, the use of new technologies and organizational management tools will secure the environment and the conditions for the development of the society in the future. [*Akhmedova*, 2019]

We should underline that it is actually closely correlated with traditional economics ideas about the keystones of the economy - Scarcity, Choice, and Cost. Something is scarce if the choice of one alternative requires that another will be given up. The existence of alternative uses also forces us to make choices. The opportunity cost of any choice is the value of the best alternative forgone in making it that is why the latest research is moving to social from the mathematical spheres of economy. One more pillar of the economics is the idea that our resources are limited. That means that at any one time, we have only the defined set of resources of any kind (from natural to the virtual one), but our wants, our desires for the things that we can produce with those resources, are unlimited. We will always strive for more and better. Virtually everything is scarce. This scarcity makes the idea of sustainability actual and crucial for a long period, and the vitality of it based also on the world population forecast which will also endeavor more. Nature dictates the main constraints on economic growth and our knowledge determines how well we deal with these constraints.

Contemporary economics is developing in framework of VUCA world (Volatility, uncertainty, complexity and ambiguity) which is fastening with every decade. The main hypothesis is that finding the balance between equity and efficiency make everybody better off and became the basis for long-term development. The balance between equity and efficiency is no longer just an issue of economic theory and principles of economics. Finding the balance is no longer limited by political life anymore. Sustainable development principles are not just the rules of good tone on the international arena, it is the necessary elements of long-term development. The economic prosperity could not base only on efficiency because the result for such short sightedness and desire for growth here and now will lead to destruction of basis for further development. The examples of equity-efficiency balance should not be limited only national or entrepreneurial levels. The local communities also should be taken into account, they can become the agents of changes. One of the problems is the absence of clear understanding of mission, resources and possibilities of long-term development with the concentration on short-term aims which are more visible and understandable.

In the framework of this research we will focus on the 7th goal of sustainable development and peculiarities of its realization in the precise country – Ukraine.

The focus on the 7th goal is reasoned by the importance of energy safety and security issues for Ukraine. The energy security profile provides a brief snapshot of the energy security risks for Ukraine, including how it scores compared with the OECD average and a description of those factors that have had the greatest impact, both positively and negatively, on its energy security shows that country has one of the lowest levels of energy security (fig 1.)




**Fig. 1. International Energy Security Risk Index [*Global energy institute*, 2020]**

Among the threats to the state's energy safety could be highlighted the distortions of market mechanisms in the energy sector; insufficient level of diversification of energy sources and technologies; monopolization of energy industries by Russian capital; over-reliance on external markets; criminalization and corruption of the energy sector; its high "shadowing"; an inactive energy efficiency and energy policy; high deterioration of fixed assets of critical energy infrastructure facilities and insufficient level of physical protection [*Рябцев,* 2019].

That is also need to be mentioned, that the forecasts of the most recognized organizations - the International Energy Agency (IEA), the US Energy Information Administration (IEA), Bloomberg New Energy Finance (BNEF) are confidently highlighted the latest trends – decarbonization, decentralization, and digitalization that surely was developed under the sustainable development umbrella. The latest Big Data, Blockchain, Energy Storage, EV2G technologies will soon transform the world's energy into an automated, internet-based energy model, smart generation, transportation, distribution, and electricity supply. The Bloomberg NEF concluded that by 2040, the world market for storage

systems would cumulatively grow to almost 1 TWh of power and up to 1 TWh. capacity, raising $ 1.2 trillion for these purposes. At the same time, the cost of the accumulation systems themselves will be reduced more than twice already by 2030. with your own energy. The democratization of energy, its de-monopolization, involvement in its development of medium-sized, small businesses, private households - this is no longer a godsend, dreams are a new reality and the newest toolkit appears [*Пояснювальна записка*,2019]. All these transformations open up opportunities for Ukraine that are difficult to overestimate.

There are no doubts that reforming the energy sector and its modernization for the rising the energy safety and security should be done on the basis at the latest research, tendencies, and technologies in the framework of update priorities not only Ukraine but also the EU with which the Association Agreement was signed [*Association Agreement*, 2017] . That's all mean that research should be held in the frame of sustainable development goals and to be more precise – Goal 7.

The Global Sustainable Development Goals (SDG), approved by the UN Summit on Sustainable Development and the adoption of the Post-2015 Development Agenda set out a comprehensive framework for the values, principles, and key drivers of humanity's progress by 2030. Adapted to any country by taking into account national specificities SDG determine the directions of significant socio-economic transformation. Ukraine has developed a national SDG system (86 national tasks and 172 indicators for monitoring the progress) [*Національна доповідь*, 2017], that is defined by the appropriate Decree of the President of Ukraine [*Про Цілі сталого розвитку України*, 2019] and it is a base for the development of draft forecast and program documents, draft regulatory acts. Affordable and clean energy is an integral part of the national SDG system (Goal 7). Implementation of the Goal 7 provides for overall access to low-cost, reliable and modern energy supply, increasing the share of renewable energy in the energy balance, improving energy efficiency, facilitating access to research and technology in this sector, while also creating the conditions for achieving other sustainable development goals. The rating of electricity consumption, taking into account its availability, ecological generation and rationality of energy consumption, is an important indicator of the level of human development [*Human Development Report*, 2019] in the context of overcoming inequalities and polarization of society.

However, the analysis of the definition of sustainable development priorities at the level of regions and cities and the study of the corporate social responsibility cases in the context of the implementation of the Sustainable Development Goals by Ukrainian companies testify the lack of broad public support for Goal 7, which has become the subject of business and public cooperation. Thus, in designing regional policies, Goal 7 is not considered a top priority for any of the areas [*Обласні консультації,* 2016; *Громоздова,* 2017]. In 2018, among Ukraine's regions, the production of electricity from renewable sources was actively carried out in five regions (Zaporizhzhia, Odesa, Mykolaiv, Kherson, Vinnytsia) mainly in wind and solar power plants. Other renewables, such as the energy potential of waste management, are used to a small extent [*Аналітична доповідь*, 2018] (fig. 2).




**Fig. 2. Renewable Energy Sources. Ukraine [*RES Map*, 2020]**

According to the Business Contribution Assessment of Sustainable Development Goals, based on an analysis of practices of Ukrainian companies in 2016 -2019, companies in Ukraine do not practice or identify among the priorities the Goal 7 [*ЦСР*: *внесок бізнесу,* 2020; *Саприкіна*, 2018, 2019]. A requisition for engaging businesses in SDG implementation becomes the ability of the company to not only form the idea of its own impacts on sustainable development but to evaluate the risks and benefits of implementing a specific goal in the long run. A stepping stone in this process should be stable, unambiguous and simple rules, enshrined in the legislation, which determine the conditions for carrying out a certain type of business activity, the criteria for applying incentives, basis for responsibility, opportunities for innovation, development of new products. For the sustainable functioning of the energy sector, the key issue is ensuring a balance of national and collective (group) interests at the national and collective (individual markets, regions, communities) level, which provides the definition of development goals in the programming documents and regulatory support for the implementation of these goals within the legislative system acts of different levels affiliation. The Program Document for the Development of the Energy Sector is the Energy Strategy of Ukraine for the Period up to 2035 (hereinafter referred to as the Strategy) [*Урядовий кур'єр,* 2017]. The objectives of the Energy Strategy are correlated with the national SDG system, in particular, Goal 7: Ensuring the needs of society and the economy for fuel and energy resources in a technically sound, safe, cost-effective, and environmentally friendly way to guarantee a better living environment. However, the Strategy does not define the consistency of regulatory support for these priorities in order to guarantee an interconnection between the provisions updated in accordance with the defined goals of the legislation and the consequences of the acts adopted earlier. The absence of such a link is capable not only of creating tension between the rules of laws adopted at different time periods but also of "overheating" of relevant economic relations. An illustrative example is the introduction of a new model of functioning of the electricity market [*Відомості Верховної Ради,* 2017] without taking into account the existing long-term alternative energy [*Відомості Верховної Ради,* 2003] incentive system, which in fact preserved a non-flexible and dynamic fixed premium option. In the world practice, fixed preferential tariffs have proved their effectiveness as an initial incentive for the development of renewable energy, in case of sensitiveness to the dynamics of lowering the cost of electricity and achieving the target levels of production from separate sources. Thus, in the EU countries, the time of applying the tariffs, their magnitude and the timetable for the gradual reduction of the compensation premium differ markedly by region within member-states, by specific types of renewable energy sources (RES) and are regularly reviewed. For example, Germany has cut tariff support for photovoltaic plants after reaching forecasted capacity levels, increasing wind power generation tariffs amid annual reductions in preferential tariffs to reduce the cost of renewable energy [*Зарубіжна практика,* 2012]. However, in Ukrainian legislation the mechanism of ensuring compliance with the level of "green" tariffs to the conditions of electricity production has not been implemented, due to this, the main advantage of the fixed bonus system – the possibility of forecasting the development of renewable energy – was lost. The unpredictable production of renewable energy has led to "overstimulation" of wind and solar power and in combination with virtually unconditional (that is in fact not taking into account the impact of the new facility on the operation of the grid as a whole), the order of connection of RES to power grids against the backdrop of regulatory, maneuverability had led to significant imbalances in the functioning of the internal market, in particular, the reduction of the capacity of all types of traditional generation to balance the integrated energy system. Moreover, meeting the need for balancing the alternating power of solar and wind power plants has increased the load on the thermal generation and has delayed in time the economic decarbonization tasks envisaged by the Strategy. The current situation gave rise to the discussion in the expert environment of the consequences of uncontrolled expansion of RES as a destabilizing factor [*Коваль*, 2020].

Therefore, the legal support for the implementation of Goal 7 requires the implementation of certain protector's rules in the legislation that would contribute to the sustainable functioning of the energy sector. Such rules could be

the sustainability criteria for generating capacity;

specifying in the framework of mentioned criteria the powers of local executive bodies and local self-government bodies in relations with the entities of electricity; grounds for liability of electricity entrepreneurs;

the flexible and dynamic system of incentives for renewable energy.

The foundation for establishing a system of sustainability criteria have become EU Directives 2009/72 / EC on common rules for the internal market in electricity and 2009/82 / EC on the promotion of the use of energy from renewable sources [*Офіційний вісник ЄС,* 2009 1,2]. These criteria have to be the basis for resolving the issue of permitting the construction of new generating facilities; connection of electrical installations to the power grids; approval by local executive bodies and local self-government bodies of the placement of electricity objects in their territory; the application of a restriction, suspension (suspension) or termination of activity of electricity objects; conducting competitions for the construction of new generating capacity and implementation of demand management measures; the use of incentive measures. According to the mentioned Directives, the sustainability criteria can be divided into four groups: economic, technical, social, and environmental. Economic and technical criteria will provide an assessment of the economic impact of the project for the system as a whole; reliability of the project payback, which will ensure investment stability; compliance with the technical requirements taking into account the optimum ranges of operation of the grid and the factors of energy security. Social criteria include a preliminary analysis of the economic impact of the project on the consumer; opportunities to use local production facilities to create an affordable equipment market for an energy enterprise; indicators of creating additional jobs; fulfillment of the obligation of the energy supplier to inform the population (end consumers) in an accessible form at certain intervals about the structure of the fuel balance of the enterprise, indi-

cating the share of each energy source, environmental impact, the number of harmful substances and greenhouse gases. Environmental criteria should take into account the energy efficiency of the project; the contribution of generating capacity to emission reductions; waste generation; rational use of land resources.

It is advisable to provide regulatory prioritization during an assessment of a specific range of issues for ranging the application of a particular set of criteria and establishing the respective obligations of the generating companies.

According to these criteria, the powers of local executive authorities and local self-government bodies should be specified regarding the coordination of placement of electricity objects in their territory (Article 10 of the Law of Ukraine "On the Electricity Market"). Additionally, in order to resolve the issue of the territorial location of electricity facilities based on the interests of the territorial community, it is necessary to clearly state the importance of such approval when obtaining a permit for the construction of new generating facilities, to regulate the approval process, to harmonize it with the environmental impact assessment procedure [*Відомості Верховної Ради*, 2017]. Failure to comply with the sustainability criteria and their corresponding obligations may be considered as the basis of a restriction, temporary prohibition (suspension), or termination of activity of energy companies (Article 14 of the Law of Ukraine "On the Electricity Market"). Thus, the implementation of these criteria will serve as a basis for improving the rules of legal responsibility in the field of energy, subject to the harmonization of special legislation with the general rules of the Economic Code of Ukraine on administrative and economic sanctions; determination of the exhaustive circle of authorized bodies and the procedure for bringing to justice.

In the conditions of maintaining the fixed bonus system for renewable energy until 2030, the sustainability criteria can serve as a benchmark for assessing the compliance of the preferential ("green") tariff with the conditions of energy production from the relevant source. It is considered appropriate to give the national regulator the authority to carry out such an analysis and to propose tariff adjustments for new RES facilities, taking into account the achievement of projected (indicative) capacity and reducing the cost of producing certain renewable energy sources.

Therefore, the legal support for the achievement of the Sustainable Development Goals through the implementation of certain safety standards through the establishment of a system of criteria for the sustainability of energy companies will contribute to the stability of the conditions of economic activity in this area and the cooperation of business and the public in achieving Goal 7

**References**


1. *Akhmedova, M. G.* (2019). On Society Sustainable Development. Revista Inclusiones, 6, 278-287
2. *Association Agreement* (2017) between the European Union and Ukraine. Bilateral institutions of the Association Agreement between Ukraine and the EU. Government portal. – URL: https://www.kmu.gov.ua/en/yevropejska-integraciya/ugoda-pro-asociacyu (Accessed at 24 April 2020)
3. *Global energy institute* (2020) International Energy Security Risk Index. Available at https://www.globalenergyinstitute.org/international-energy-security-risk-index (accessed April 24, 2020)
4. *Human Development Report* (2019). Beyond income, beyond averages, beyond today: Inequalities in human development in the 21st century. By the United Nations Development Programme 1 UN Plaza, New York, NY 10017 USA. URL: http://hdr.undp.org/sites/default/files/hdr2019.pdf (дата звернення 25.02.2020)
5. *Our Common Future* (1987) Report of the World Commission on Environment and Developmentю Online resource http://www.un-documents.net/our-common-future.pdf (accessed April 24, 2020)
6. *RES Map* (2020) Renewable Energy sources. Interactive Ecomap Availabe at: https://www.google.com/maps/d/u/0/viewer?mid=1XpUHYI597UcL3fLyH0dZMRM9bTY (accessed April 24, 2020)
7. *Аналітична доповідь* (2018) Цілі сталого розвитку для України: регіональний вимір. ДУ «Інститут регіональних досліджень імені М. І. Долішнього НАН України». Львів, 2018. 90 с. (Серія «Проблеми регіонального розвитку») С.40-41, С.74.
8. *Громоздова Л.* (2017), Громоздов В. Глобальні цілі сталого розвитку в регіональній політиці України. Міжнародна економічна політика. 2017. № 2 (27). С.173-187.
9. Директива Європейського Парламенту та Ради ЄС 2009/72/ЄС про спільні правила внутрішнього ринку електроенергії та про скасування Директиви 2003/54/ЄС від 13.07.2009 р. *Офіційний вісник Європейського Союзу*. 14.08.2009. L211/55;
10. Директива Європейського Парламенту та Ради ЄС 2009/82/ЄС про заохочення до використання енергії, виробленої з відновлюваних джерел від 23.04.2009 р. *Офіційний вісник Європейського Союзу*. 05.06.2009. L140/16.
11. *Зарубіжна практика* (2012) стимулювання розвитку поновлюваних джерел енергії та їх приєднання до електромереж енергосистем. Міністерство енергетики та вугільної промисловості України, НЕК «Укренерго» Науково-технічний центр електроенергетики. Київ, 2012 URL: https://ua.energy/mediya/galereya/analitychni-materialy/ (дата звернення : 10.02.2020), с. 11-12.
12. *Коваль І.* (2020) «Зелено-жадібно»: чому альтернативна енергетика не рятує довкілля. І виснажує економіку. *Mind*. 14 січня 2020. URL:https://mind.ua/publications/20206516-zeleno-zhadibno-chomu-alternativna-energetika-ne-ryatue-dovkillya (дата звернення : 25.02.2020)

13. *Національна доповід*ь (2017) Цілі Сталого Розвитку: Україна. Міністерство економічного розвитку і торгівлі України. 42 с. ULR: http://www.un.org.ua/ua/tsili-rozvytku-tysiacholittia/tsili-staloho-rozvytku (дата доступу 25.02.2020)

14. *Обласні консультації* (2016) з питань адаптації Цілей Сталого Розвитку (ЦСР) в Україні. Міністерство економічного розвитку і торгівлі України, ПРООН в Україні, GIZ в Україні, 2016. — С. 10–28;

15. *Пояснювальна записка* (2019) до проекту Закону України, Народний депутат України, від 26.11.2019 № 2496, «Про забезпечення енергетичної безпеки та гнучкості енергосистеми, реальної конкуренції, декарбонізації економіки, зниження цін споживання електричної енергії (щодо систем накопичення енергії)» ULR: https://ips.ligazakon.net/document/GI00862A?an=9&scop=1702&fcop=3098 (дата доступу 25.02.2020)

16. *Практики КСВ в Україні* (2018). Під ред. *Саприкіної* М.; Центр «Розвиток КСВ». – К.: 2019. – 68 с. URL:http://csr-ua.info/csr-ukraine/library/%d0%bf%d1%80%d0%b0%d0%ba%d1%82%d0%b8%d0%ba%d0%b8-%d0%ba%d1%81%d0%b2-%d0%b2-%d1%83%d0%ba%d1%80%d0%b0%d1%97%d0%bd%d1%96/ (дата звернення 25.04.2020)

17. *Практики КСВ в Україні* (2019). Під ред. *Саприкіної* М.; Центр «Розвиток КСВ». – К.: 2019. – 152 с. URL: http://csr-ua.info/csr-ukraine/library/csr-cases-2019/ (дата звернення 25.04.2020);

18. Про альтернативні джерела енергії. Закон України *Відомості Верховної Ради.* 2003. № 24. Ст.155

19. Про оцінку впливу на довкілля. Закон України від 23 травня 2017 року № 2059-VIII. *Відомості Верховної Ради*. 2017. № 29. Ст.315.

20. Про ринок електричної енергії. Закон України від 13 квітня 2017 року № 2019-VIII (в редакції Закону України від 19 грудня 2019 року № 394-IX). *Відомості Верховної Ради*. 2017. № 27-28. Ст.312; *Голос України*. 28.12.2019. № 251

**21.** Про схвалення Енергетичної стратегії України на період до 2035 року «Безпека, енергоефективність, конкурентоспроможність». Розпорядження Кабінету міністрів України від 18 серпня 2017 р. № 605-р. *Урядовий кур'єр*. 08.09.2017.№ 167.

22. *Про Цілі сталого розвитку України* (2019) на період до 2030 року. Указ Президента України № 722/2019 від 30 вересня 2019 року. *Офіційний Вісник України*. 2019 р. № 79. Стаття 2712

23. *Рябцев Г.Л.* (2019), Суходоля О.М. Нові загрози у сфері забезпечення енергетичної безпеки: моніторинг реалізації стратегії національної безпеки – Національний інститут стратегічних досліджень URL: https://niss.gov.ua/en/node/144 (дата звернення 25.02.2020)

24. *ЦСР*: *внесок бізнесу* (2020). CSR Ukraine, експертна організація Центр «Розвиток корпоративної соціальної відповідальності (КСВ)» URL:http://csr-ua.info/csr-ukraine/article/%D1%86%D1%96%D0%BB%D1%96%D1%81%D1%82%D0%B0%D0%BB%D0%BE%D0%B3%D0%BE%D1%80%D0%BE%D0%B7%D0%B2%D0%B8%D1%82%D0%BA%D1%83%D0%B2%D0%BD%D0%B5%D1%81%D0%BE%D0%BA%D0%B1%D1%96%D0%B7%D0%BD%D0%B5%D1%81%D1%83/ (дата звернення 25.04.2020)

***გულნაზ ერქომაიშვილი***

## კორონავირუსის ეკონომიკური გამოწვევები და მისი დაძლევის ტენდენციები საქართველოში

***ანოტაცია.*** *ნაშრომში გადმოცემულია კორონავირუსის ეკონომიკური გამოწვევები და მისი დაძლევის ტენდენციები საქართველოში. აღნიშნულია, რომ განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიიღეს იმ ქვეყნებმა, რომლებიც ძირითადად ტურიზმის განვითარებას ეყრდნობოდა. მოცემული და გაანალიზებულია ის დარგები, რომელთა განვითარება, ტრადიციულ დარგებთან ერთად, ხელს შეუწყობს საქართველოში სიღარიბის დაძლევას და ეკონომიკურ ზრდას.*

***საკვანძო სიტყვები.*** *კორონავირუსის გამოწვევები; აგრარული სექტორი; მეაბრეშუმეობა; ეთერზეთები; სამკურნალო მცენარეები; ველნეს კურორტები; ციფრული ტექნოლოგიები.*

### შესავალი

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ უპრეცედენტო ძვრები გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკაში. განსაკუთრებით სერიოზული ეკონომიკური ზარალი მიადგა ისეთ ქვეყნებს, სადაც ეკონომიკაში დიდი ადგილი ტურიზმს ეკავა. ასეთ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც. ტურიზმის ინდუსტრია გარკვეული პერიოდით გაჩერდა, მაგრამ 2020 წლის ივნისიდან იგეგმება ჯერ შიდა ტურიზმის აღდგენა, ხოლო ივლისიდან საერთაშორისო ტურისტების მიღებაც. ჯერჯერობით უცნობია როდის დაუბრუნდება ტურიზმის სექტორი პრეკრიზისულ პერიოდს. დღესაც ძირითად

დარგებს არა ტექნოლოგიები და დამამუშავებელი მრეწველობა, არამედ ტურიზმთან ერთად დაბალგანვითარებული მშენებლობა, მომსახურების სექტორი და ტრანსპორტი წარმოადგენს. მრეწ-ველობის წილი ეკონომიკაში ამჟამად 2.5-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ეს იყო 1980-იანი წლების ბოლოს. ამასთან, საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, შიდა სამომხმარებლო ბაზრის 70 პროცენტზე მეტი (სურსათის ჩათვლით) იმპორტირებული პროდუქციაა.

* * *

დღევანდელ ურთულეს პირობებში ადგილობრივი წარმოების განვითარება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა. ქვეყანა უნდა ეცადოს აწარმოოს ის პროდუქცია და მომსახურება, რისი რესურსიც აქვს ან გარკვეულ შეფარდებით უპირატესობას ფლობს. არსებულთან ერთად, რომელი დარგების განვითარებას უნდა მიექცეს ყურადღება?

გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურა ისე უნდა შეიცვალოს, რომ იგი ძირითადად ერთ ინდუსტრიაზე არ იყოს დამოკიდებული.

პოსტკორონავირუსულ პერიოდში აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა. აგრარული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგება და ჯანსაღი კვების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საქართველოს აგრარულ სექტორს შეუძლია, სახელმწიფოს სწორი პოლიტიკითა და ხელშეწყობით, ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და, ასევე, მიაღწიოს წარმატებებს და გავიდეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციით. მსოფლიო ბაზარზე დღითი დღე იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები ამის განხორციელების სერიოზულ შესაძლებლობას იძლევა. ქართულმა პროდუქციამ პოპულარობა, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი უცხოეთში უნდა მოიპოვოს. საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ეს სექტორი პერსპექტივაში. იგი მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება;
- ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება;
- საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;
- აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება.

სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია მეაბრეშუმეობა. იგი იყო მოსახლეობის მასიური დასაქმების საშუალება და ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო. გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში იწარმოებოდა 4,0-4,4 ათასი ტონა პარკი და ფულადი შემოსავალი 15,5-16,5 მილიონ მანეთს შეადგენდა. აბრეშუმის პარკის წარმოებაში დასაქმებული იყო 100-120 ათასი ოჯახი, ხოლო აბრეშუმის მრეწველობაში 5-6 ათასი კაცი. საქართველოში თუთის ფოთლის დაავადების გავრცელების შედეგად მეაბრეშუმეობის მთლიანი ინდუსტრია თანდათან შეიკვეცა. შესაბამისად, ბაზარი მეტად ვერ განვითარდა და მეაბრეშუმეობამ საქართველოში პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა [1].

ბოლო წლებში იყო მისი აღორძინების მცდელობა, მაგრამ, სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრობ-ლემების გამო, ეს მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. კონკრეტულად, 2007 წელს ბოლნისში დამზადდა აბრეშუმის პარკი, თუმცა, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების უკმარისობის გამო, ვერ მოხერხდა ინდუსტრიის შემდგომი საფეხურების განვითარება.

მსოფლიო მასშტაბით აბრეშუმის ბაზარი საკმაოდ დიდია და ზრდას განაგრძობს. მეაბრეშუმეობის განვითარება ხელსაყრელია ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც არის ინდუსტრიალიზაციის დაბალი დონე; სოფლის მოსახლეობის მაღალი წილი; უმუშევრობის მაღალი დონე; იაფი მუშახელი. მაშასადამე, საქართველოში ამ დარგის აღდგენა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც მისაღებია. იგი დაასაქმებს დიდი რაოდენობით მოსახლეობას როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ადგილობრივ ბაზარზე აბრეშუმის ინდუსტრიის განვითარება შექმნის ახალ მოთხოვნას და გრძელვადიან პერიოდში ხელს შეუწყობს მსუბუქი მრეწველობის განვითარებას.

საქართველოს ნიადაგ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა სუბტროპიკული წარმო-შობის ეთერზეთოვანი კულტურების არსებობისა და განვითარებისათვის. საქართველოში გავრცე-ლებულია: ევგენოლური რეჰანი, მსხვილყვავილოვანი ჟასმინი, დაფნა, ევკალიპტი, ვარდი და სხვ.

საბჭოთა პერიოდში საქართველოში იწარმოებოდა 20-ზე მეტი დასახელების ეთეროვანი ზეთი. მათი ქიმიური შემადგენლობა და სურნელი ზოგიერთი მონაცემებით სჯობდა კიდეც მსოფლიო ანალოგებს. ეს გამოწვეული იყო საქართველოს ფლორის ფენომენით. დარგში დასაქმებული იყო ოთხიათას კაცზე მეტი [6].

სხვადასხვა მცენარეებისაგან დამზადებული ეთერზეთების ყველაზე მსხვილი მწარმოებელი ქვეყნებია: ბრაზილია, ჩინეთი, აშშ, ეგვიპტე, ინდოეთი, მექსიკა, გვატემალა, მაროკო და ინდონეზია. ეთერზეთების მთლიანი მოცულობის 65%-ი მზადდება განვითარებად ქვეყნებში. რაც შეეხება ყველაზე მსხვილ მომხმარებლებს ესენია: აშშ (40%), დასავლეთ ევროპის ქვეყნები (30%) და იაპონია (7%). განსაკუთრებით დიდია ეთერზეთების მოხმარება გერმანიაში, ბელგიაში, ირლანდიაში, ნიდერლანდებსა და დიდ ბრიტანეთში, ანუ იმ ქვეყნებში, სადაც ყველაზე მეტად არის განვითარებული ფარმაცევტული, კოსმეტიკური და პარფიუმერული ინდუსტრიები.

მიუხედავად საქართველოს დიდი პოტენციალისა ეთერზეთების ინდუსტრიაში, დღესდღეობით არ ხდება ეთერზეთების იმ რაოდენობით წარმოება და რეალიზაცია უცხოურ ბაზარზე, რომ საქართველო შევიდეს მსხვილ ექსპორტიორ ქვეყნების სიაში. საქართველო არამარტო არ ახორციელებს ექსპორტს, არამედ საკმაოდ დიდი რაოდენობის იმპორტს ახორციელებს და შესაბამისად, მოყვანილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ ეთერზეთების იმპორტი ჭარბობს ექსპორტს და 2002 წლიდან აღინიშნება უარყოფითი სალდო.

საქართველოში ამჟამად არსებობს ეთერზეთების მწარმოებელი რამდენიმე კომპანია: „აგრო არომა“ , „არომატიკა“, „ინდ. მეწარმე მამუკა ბუკია“ და სხვ.

ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით დიდია დაფნის ზეთზე მოთხოვნა, თუმცა საქართველო არ ახორციელებს ამ პროდუქტის ექსპორტს, რადგან ჯერჯერობით არ არსებობს დაფნის ზეთების მწარმოებელი ქართული საწარმო, რომელიც დააკმაყოფილებს უცხოურ მოთხოვნებს და სტანდარტებს. იმისათვის, რომ მოხდეს ზეთების რეალიზაცია, სულ მცირე, 3000-4000 კილოგრამი პროდუქციის დამზადებაა საჭირო, რადგან უცხოელი შემსყიდველები მინიმუმ ამ რაოდენობის პროდუქტს ითხოვენ წლის განმავლობაში.

საქართველოს, როგორც ეთერზეთების მწარმოებელი ქვეყნის უპირატესობები იქნება: გადასახადებისგან თავისუფალი ექსპორტი ევროკავშირში, აშშ-ში, დსთ-სა და სხვა რეგიონებში, რომელთა საერთო მოსახლეობა 2 მილიარდია. იაფი რესურსები, როგორიცაა _ წყალი, ელექტროენერგია და მუშახელი, ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ადვილად ხელმისაწვდომი ევროპისა და აზიის ბაზრები ფოთისა და ბათუმის შავი ზღვის პორტების მეშვეობით.

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა მცენარეული წარმოშობის პრეპარატებისადმი, შესაბამისად იმატა მოთხოვნამ სამკურნალო მცენარეებზე. სამკურნალო მცენარეები, რომლებიც ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობენ ფარმაკოლოგიურ კვლევებსა და ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნაში, დღესაც ფართოდ არის გავრცელებული. ნატურალური პრეპარატები სამკურნალო საშუალებებით ვაჭრობის საერთო მოცულობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. სამკურნალო მცენარეებით ოდითგანვე მდიდარია საქართველოს ფლორა. საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს სამკურნალო მცენარეების წარმოება-რეალიზაციის საერთაშორისო ბაზარზე. 2015 წლის მონაცემებით, სამკურნალო საშუალებები უკვე უმსხვილეს საექსპორტო პროდუქციაში შედის 6%-იანი წილით. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოებას და დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების მოზიდვას. სამკურნალო მცენარეების რესურსების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, საექსპორტო შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირებას [4].

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ადგილია სამკურნალო რესურსების მრავალფეროვნებით, იგულისხმება ბიოაქტიური ენდემური სახეობები, სამკურნალო მინერალები და ტალახები. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არის უნიკალური ბუნება, ამ მცირე ტერიტორიაზე მრავალფეროვანი კლიმატური ზონები, ზღვა, მთები, მდინარეები, ტყეები, სხვადასხვა სახეობის მინერალური წყალი, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო მცენარეები, ღვინოთერაპიის, მაგნიტური ქვიშების და კიდევ მრავალი სხვა უნიკალური შესაძლებლობები, ეს ტერიტორია, ისე როგორც არცერთი სხვა, მიესადაგება იმას, რომ თანამედროვე მსოფლიო მიღწევების გამოყენებით გახდეს მსოფლიოს ველნეს კურორტების ქვეყანა.

ველნეს ინდუსტრიაში გამოიყოფა უახლესი ნიშა - ველნეს კურორტების ახალი სამედიცინო იდეოლოგიით ამუშავება. სწორედ ველნეს ინდუსტრიის ამ მიმართულებით შესაძლებელია

საქართველო გავიდეს მსოფლიო ბაზარზე და თავი დაიმკვიდროს როგორც სამედიცინო ველნეს კურორტების ქვეყანამ [2].

საქართველოს ერთ-ერთი კონკურენტული უპირატესობა მისი სატრანზიტო ფუნქციაა, რომელმაც ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან, ინტელექტუალურ რესურსებთან და სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

საქართველომ უპირატესობა უნდა მოიპოვოს არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი და შეუქცევადი ზრდა, შემოსავლებისა და ხელფასების ამაღლება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუმჯობესება. ასეთია მაგალითად, ფარმაცევტული პროდუქციის, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის, აგრეთვე ხელსაწყოებისა და ჩარხების წარმოება. ანუ ყურადღება უნდა გამახვილდეს მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოებაზე. ეს ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს საექსპორტო პროდუქციის სანაცვლოდ მიიღოს იმპორტული პროდუქციის შედარებით მეტი რეალური მოცულობა.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მთავარ სტრატეგიად უნდა იქცეს ქვეყნის დაჩქარებული ინტეგრირება გლობალურ ტექნოლოგიურ ტენდენციებში. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა უნდა მოხდეს ყველა შესაძლო სექტორში, სხვაგვარად ეკონომიკური ზრდა შეუძლებელი გახდება. უნდა ამაღლდეს ციფრული სამეწარმეო კულტურა და ის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად იქცეს [3].

საქართველოში ციფრული ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია:

ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს ციფრული ეკონომიკური პოლიტიკა, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების მიმართულებით. დღეისათვის ერთობ დაბალია ტექნოლოგიების ზრდისა და ათვისების პროცესი;

სახელმწიფომ, ბიზნესსა და სამეცნიერო სექტორთან თანამშრომლობით, უნდა შექმნას ციფრული გარემოს განვითარებისა და რეგულირების საკანონმდებლო ბაზა, ხელი შეუწყოს ინტერნეტკომპანიების წარმოქმნას და ინტერნეტბაზრის სტიმულირებას;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამაღლდეს ციფრული ტექნოლოგიების ცოდნა;

ყურადღება უნდა გამახვილდეს შემეცნებითი პრობლემების გადაჭრის უნარებზე;

უახლესი ტექნოლოგიების შექმნის წახალისებისათვის ამოქმედდეს საგადასახადო შეღავათები;

უნდა მოხდეს ერთიან ციფრულ ბაზარში ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას, გაზრდის ეკონომიკურ აქტივობებს და საფუძველს დაუდებს ახალი სტარტაპებისა და ლაბორატორიების შექმნას, დამწყები ბიზნესი შეძლებს განვითარდეს სასტარტო კაპიტალზე წვდომის რეფორმის დახმარებით, მეტი რესურსი ჰქონდეს ინოვაციისთვის და გაიტანოს საკუთარი შრომის პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბრეშუმის წარმოების შესაძლებლობების და ბაზრის კვლევა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი. თბილისი, 2015.

2. ერქომაიშვილი გ., რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა - ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ მამოძრავებელი ძალა. თბილისი, 2019.

3. ერქომაიშვილი გ., ციფრული ეკონომიკა - ეკონომიკური ზრდის ინოვაციური ინსტრუმენტი. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი," №2, თბილისი, 2019.

4. ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისი, „უნივერსალი", 2016.

5. ერქომაიშვილი გ., აგრარული სექტორის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი," №1, 2015.

6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. სუბტროპიკული ეთერზეთოვანი კულტურები. თბილისი-ბათუმი, 2016.

7. ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი. ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა. ჟურნალი ,,გლობალიზაცია და ბიზნესი“, №8, 2019.

8. E. Kharaishvili, G. Erkomaishvili, M. Chavleishvili. Trends of Agro-Food Production and Export Stimulating Economic Policy in Georgia, International Journal of Economics and Management Engineering, Vol:13, No:1, 2019.

9. Kharaishvili, E., The Impact of Preferential Agro Credit on the Development of Agribusiness in Georgia, 2018. ECOFORUM. Volume 7, Issue 1(14), 2018.

10. Kharaishvili E., Diversification of Agribusiness and Rural Development Models in Georgia, IV International Scientific and Practical Conference „Strategic Imperatives of Modern Management,“ 19-20 April, 2018. http://ir.kneu.edu.ua/bitstream/2010/24417/1/5348.pdf

*Gulnaz Erkomaishvili*

**THE ECONOMIC CHALLENGES OF CORONAVIRUS AND THE TRENDS TO OVERCOME IT IN GEORGIA**

**Summary**

The pandemic caused by Coronavirus has caused unprecedented shifts in the world economy. Especially the serious economic damage caused to such countries, where the economy was in a great place for tourism. Georgia is one of such countries. In today's difficult conditions, the development of local production is a vital task for Georgia. The country should try to produce products and services, which have the resources or the ratio of a certain advantage.

The paper presents the economic challenges of Coronavirus and the tendencies to overcome it in Georgia. Given and analyzed are the sectors, the development of which, together with traditional sectors, will help to overcome poverty and economic growth in Georgia.

*მურმან კვარაცხელია*

## გლობალური პანდემიის ეკონომიკური გამოწვევები

***ანოტაცია.*** *მსოფლიოში გავრცელებულმა გლობალურმა პანდემიამ ახალი სახის ეკონომიკური კრიზისი ჩამოაყალიბა. რეალურ ეკონომიკაში დაიწყო რეცესიული პროცესები, რომლებმაც კიდევ უფრო დაამძიმა უმუშევრობით გამოწვეული სიძნელეები და მკვეთრად შეამცირა მოსახლეობის შემოსავლები. ასეთი ძლიერი რყევები მოულოდნელი აღმოჩნდა თვით განვითარებული ქვეყნებისთვისაც. მსოფლიოს ახალი ეკონომიკური წესრიგისკენ უბიძგა ამ პროცესებმა, რომელმაც არსებული სიტუაციების ფონზე ძირეული სტრუქტურული გარდაქმნების აუცილებლობა გამოიწვია. საბოლოოდ, ახალ-ახალი ინოვაციური დარგებისა და მიმართულებების ჩამოყალიბებას ეყრება საფუძველი, რაც ხელს შეუწყობს ახალი პროცესების დაწყებას. ეს არსებითად შეცვლის არსებულ სტრუქტურასა და დააწესებს ახალი თამაშის წესებს.*

*ასეთ სიტუაციაში მკვეთრად მაღლდება სახელმწიფოს როლი, მისი პროტექციონისტური პოსტულატები. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკა მოითხოვს „ძლიერ ხელს“ დროის ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის.*

*სტატიაში ნაჩვენებია გლობალური პანდემიური პროცესების ფონზე ქვეყანაში მიმდინარე კრიზისული სიტუაციების ანალიზი, მისი გადაწყვეტისათვის მოკლევადიან პერიოდში სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების მიმართულებები ეკონომიკის სხვადასხვა დარგებსა და სფეროებში.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემიური კრიზისი, ეკონომიკის სტაგნაცია, ინტეგრალური მოდელები.*

### შესავალი

მსოფლიო გლობალური პროცესები არაორდინალური ტენდენციებით ხასიათდება, რომელიც გამოწვეულია პანდემიური მოვლენებით. ამის შედეგად ეკონომიკაში ღრმა სისტემური კრიზისის ნიშნები წარმოიშვა. კაცობრიობის ისტორიას უამრავი გამოწვევა ახსოვს სხვადასხვა დროს, მაგრამ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის ეპოქაში ეს პროცესები განსხვავებულად წარიმართა. მისი შესწავლისა და სწორად გააზრების პრობლემებში მთელი მეცნიერული სპექტრია ჩართული, თუმცა ჯერჯერობით სასურველი შედეგები არ არის მიღწეული და შეფასებებიც

განსხვავებულია. მომავლის პროგნოზები ოპტიმისტურია, ეკონომიკის გამოცოცხლების ნიშნებიც სახეზეა, მაგრამ მისი ვარდნის პროცესი ისევ გრძელდება.

ეკონომიკაში მიმდინარე აქტიური რყევების წინაშე დიდი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებიც კი მოუმზადებელი აღმოჩნდნენ. კრიზისის დასაძლევად ახალი რეალობების აღქმა გახდა საჭირო. რეცესიული პროცესები გრძელდება. მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, მოსალოდნელია სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის გაძლიერება და კრიზისული სიტუაციების მართვა ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით.

პანდემიურმა კრიზისმა აჩვენა, რომ უკვე შეუძლებელი ხდება ძველებურად ცხოვრება და ახალი წესრიგის ძიება გახდა საჭირო. ამისათვის აუცილებელია ინსტიტუციური ეკონომიკის უფრო ფართოდ გამოყენება და ეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერება. რეალური შედეგების მოლოდინი დიდია და უახლოეს მომავალში ეკონომიკის ვარდნის პროცესის შეჩერებაც გარდაუვალია.

* * *

ცვალებად მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ეკონომიკას ძირეული სტრუქტურული გარ-დაქმნებისაკენ უბიძგა. ამან გამოიწვია წარმოებაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა შესაბამისი ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებისათვის. აქ იკვეთება სრულიად განსხვავებული მამოძრავებელი ძალის ჩამოყალიბება, მმართველობითი სტრუქტურის შეცვლა საზოგადოების პროგრესული მოთხოვნების შესაბამისად.

გამოცდილება ადასტურებს, რომ ეკონომიკური რყევებისა და, განსაკუთრებით, რეცესიის დამთავრების შემდეგ საბაზრო სტრუქტურებში წარმოქმნილი დისბალანსის შედეგად შეიძლება ფინანსურ სივრცეში ტურბულენტური პროცესები განვითარდეს, რომლებიც კრიზისს კიდევ უფრო გააღმავებს. ცხადია, ფინანსური სფერო ყველაზე მგრძნობიარე დარგია, რომელშიც ირეკლება გლობალური და ლოკალური პროცესების ცვალებადობა.

მოსალოდნელმა ახალმა ცვალებადობამ აუცილებელი გახადა ტექნოლოგიებისა და მმართველობის სფეროში რევოლუციური გარდაქმნების დაწყება. ეს დროის მოთხოვნაა და ის აშკარაა. მაგრამ არც მენეჯმენტი უნდა დარჩეს პროცესების მიღმა და ამან მისი სტრუქტურის ძირეული შეცვლა თავისთავად, ბუნებრივად უნდა გამოიწვიოს.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ როგორც დიდი, ასევე მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ინტეგრალური მოდელების დანერგვა წარმატებულ შედეგებთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. სხვა ქვეყნებში მიმდინარე ბევრ დადებით და სასარგებლო გამოც-დილებებს დასჭირდება ფრთხილი და „ცოდნის ჩარხზე გალესილი ჭკუით"[ი.ჭავჭავაძე] გამოყენება. მასში ბევრია ეროვნული და სუვერენული სახელმწიფოსთვის ხელის შემწყობი ატრიბუტები, ისეთი, როგორებიცაა: ეროვნული სუვერენიტეტის დაცვა, ნაციონალური კულტურის პრიორიტეტები და სხვა. დღეს მსოფლიოში აპრობირებულ ნაციონალური მმართველობის მოდელებს ჩვენს სასარგებლოდ დახვეწა და ქვეყნის თავისებურებაზე მორგება სჭირდება. აუცილებლად გამოსაყენებელია სტრატეგიული დაგეგმვის ელემენტებიც. ეს ის „სამომავლო ჩარჩოა", სადაც უნდა ჩაისვას დროის მოთხოვნის შესაბამისი ხანგრძლივი მოქმედების დახვეწილი პროგრამები. ეს მოითხოვს დიდი და სწრაფად ცვალებადი მსოფლიოს განუყოფელ ნაწილად ყოფნას, რაც სახეზეა. ეს კი ასეთ ურთულეს ვითარებაში მოითხოვს სახელმწიფოს როლის კიდევ უფრო გაზრდას ეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერების კუთხით.

ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისულმა რყევებმა კიდევ უფრო დაამძიმა მოსახლეობის ცხოვრების დონე, გაამწვავა ეკონომიკური სიტუაციები. კერძოდ, დაჩქარდა ინფლაციური პროცესები თავისი ნეგატიური შედეგებით. პირველ რიგში დაზარალდა ბიზნესი, ეკონომიკის სტაგნაცია გარდაუვალი გახდა, მოთხოვნა-მიწოდების კანონის მოთხოვნები სრულყოფილად არ შესრულდა და სხვა. ეკონომიკა აღორძინებისა და დაჩქარების მოლოდინშია.

ეს ზოგადი ტენდენციები მსოფლიოში ყველასთვის საერთოა, მაგრამ მისი გამოცოცხლებისა და აღორძინების პროცესები შეიძლება სხვადასხვა ქვეყნებისათვის განსხვავებული იყოს. ამიტომ, ცხადია, ცალკეული სახელმწიფოები განახორციელებენ კონკრეტულ ქმედით ეკონომიკურ პოლიტიკას, ეკონომიკურ პროცესებში უფრო ქმედითად ჩაერევიან საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესების კუთხით.

ახალ ეკონომიკურ კრიზისს საქართველოში განსხვავებული მიზეზები გააჩნია. ის დღეს არ დაწყებულა. მისი ფესვები წარსულიდან მოდის, ანუ ოცდაათწლიანი პერიოდის ეკონომიკური განვითარების ხარვეზების შედეგია [4]. ამ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები და პროცესები მისი პროგრესის სერიოზული ხელის შემშლელი ფაქტორი გახდა. რეფორმების

გატარებისას შეცდომები იქნა დაშვებული საბაზრო ურთიერთობებში გადასვლის პირველ ეტაპზე. ამასთან, საზოგადოებრივი ქონება, რომელსაც მთლიან საკუთრებით სტრუქტურაში 95-97 პროცენტი ეკავა, სტიქიური მიტაცების ობიექტი გახდა, წლების განმავლობაში დაგროვილი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე „ველური კაპიტალიზმის" თავდაპირველი დაგროვების პრინციპით განაწილდა.

სახელმწიფო პოლიტიკა მოჩვენებით ხასიათს ატარებდა, რომელიც გამოვლინდა მოსახლეობისთვის მიზერული ნომინალური ღირებულების ვაუჩერების დარიგებაში, რომელსაც არც დასაწყისში და, მით უმეტეს არც შემდგომ პერიოდში, რეალური ღირებულება არ გააჩნდა. ამან ეკონომიკური აღორძინების პროცესი ჩიხში შეიყვანა.

გარდა ამისა, დამოუკიდებელი საქართველო საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის საწყის ეტაპზე მსოფლიოში თავისებურად აპრობირებული სხვადასხვა მოდელის ექსპერიმენტების საჯილდაო ასპარეზი გახდა. იგნორირდა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ისტორიული და ბუნებრივი თავისებურებები, არ შეფასდა სათანადოდ მისი ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ეფექტიან საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლისათვის ხელსაყრელი პლაცდარმი იყო.

გარდამავალ პერიოდში „აქილევსის ქუსლად" იქცა ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორი. საზოგადოებრივი საკუთრების სისტემაზე მორგებული კვალიფიციური სამუშაო ძალა ჩაკეტილი სივრციდან მყისიერად აღმოჩნდა თავისუფალ სამყაროში და სრულიად უცნობი საბაზრო ურთიერთობების გარემოში. ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა მისი გაუარესების მიმართულებით. სტატისტიკური მონაცემებით დღეის მდგომარეობით 1.5-1,8 მილიონი საქართველოს მოქალაქე სხვა ქვეყნის ეროვნული პროდუქტის შექმნის სამსახურშია. მათი უმრავლესობა მსოფლიო პანდემიის ტრაგიკული მასშტაბების მიუხედავად, სიცოცხლის რისკის ფასად, ისევ იმ საშიშ ზონაში დარჩა და ქვეყანაში არ დაბრუნდა.

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისათვის მნიშვნელოვანია წარმოების ძირითადი ფაქტორების - მიწა, შრომა და კაპიტალი, გამოყენება. ამ კუთხით მდგომარეობა საკმაოდ კრიტიკულია. აქ საკუთარი შესაძლებლობები მწირია და აქცენტი მისი გამოყენების ეფექტიანობაზე უნდა გადავიტანოთ. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა. ამ სფეროში საკუთარი რესურსების არაეფექტიანად გამოყენების გამო იმპორტზე დამოკიდებულება დიდია, რაზეც მეტყველებს წმინდა ექსპორტის მაჩვენებელი - 20/80-თან. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება განვიხილოთ სოფლის მეურნეობის დარგის ჩამორჩენილობა და პრიორიტეტების მომსახურების დარგებზე გადატანა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ სოფელში მცხოვრები სამუშაო ძალა უმუშევართა კატეგორიას არ განეკუთვნება მასზე გაპიროვნებული უმნიშვნელო რაოდენობის მიწის ფართობის კერძო საკუთრებაში ფლობის საბაბით.

ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ არსებული მონაცემებით საქართველოს ეროვნული ეკონომიკა სისტემურ კრიზისში იმყოფება. ამის ერთ-ერთ ძირითად ხელშემწყობ ფაქტორად დღევანდელ ეტაპზე გლობალური პანდემიური პროცესები განიხილება, რომლებმაც შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა და ნიადაგი მოამზადა ახალი მსოფლიო წესრიგისათვის. აქედან ცხადია, ქვეყანას ესაჭიროება საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა სერიოზული ინექციური ღონისძიებების მხრივ, რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს. ამ მიმართულებით სახელმწიფომ უკვე დააანონსა ანტიკრიზისული პროგრამები სხვადასხვა დარგებში, რომლის რეალიზაციის შედეგად დაიწყება ეკონომიკის აღორძინების რეალური პროცესი.

ეს პროგრამები მოითხოვს არსებული რესურსული პოტენციალის ეფექტიან და მიზნობრივ გამოყენებას, რაც გარღვევის სტრატეგიის ნაწილი გახდება. „იგი გულისხმობს, რომ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად - ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის შესაქმნელად, საჭიროა ქვეყანაში არსებული რესურსების მაქსიმალური კონცენტრაცია და მიზნობრივი პროგრამებით მათი გამოყენება. გარღვევის სტრატეგიაში მიზნის მიღწევის ცენტრალური რგოლი მაღალი ტემპებით ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა. სხვანაირად ვერ მოხერხდება მთელი საზოგადოების (და არა მხოლოდ მისი მცირე ნაწილის, როგორც დღესაა) მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება"[3].

აქედან ცხადია, რომ გარღვევის სტრატეგია ის მთავარი ბერკეტია, რითაც შესაძლებელი გახდება მაღალეფექტიან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა და კრიზისიდან ეკონომიკის გამოყვანაც დაჩქარდება.

ანტიკრიზისული პროგრამების რეალიზაცია დაწყებულია. ამისი წინაპირობებიც არსებობს და საფუძველიც მომზადებულია. ეს არის ქვეყნის განვითარების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზანშეწონილობათა ჰარმონიული შეთავსებადობა, რომელიც მრავალრიცხოვანი ფაქტორების სწორი

შეფასებისა და ანალიზის შედეგია. ამას ხელს შეუწყობს დიდ სახელმწიფოთა გამოცდილების თავისებურებების გათვალისწინებაც.

სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიზანია მისი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, რისთვისაც აუცილებელია მის ყველა ფენას ჰქონდეს თანაბარი სასტარტო პირობები ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, შრომისა და დასვენებისათვის. ამ კუთხით აშკარაა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის სხვაობის ნიშნები. სამწუხაროდ, სასტარტო პოზიციები მთლიანად იქნა მოშლილი სოციალისტური სისტემის მყისიერი დანგრევის შედეგად, როდესაც შეიძლებოდა მისი თანდათანობით დემონტაჟი და საბაზრო პრინციპებზე მორგება. ამის სავალალო შედეგია სწორედ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაკოტრება და თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბების პროცესის სრული სტაგნაცია. საშუალო ფენის ფორმირება ჩვენი ქვეყნისათვის დიდი პრობლემაა, რომელიც ათეული წლებია გრძელდება, მაგრამ საბოლოოდ ჯერ არ დასრულებულა. ამ კუთხით დღევანდელი მდგომარეობით უკუპროცესთან გვაქვს საქმე. მთავარია სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობის ძლიერი მხარდაჭერა, რაც გამოიხატება მათ ფინანსურ უზრუნველყოფაში იაფი კრედიტებით, საგადასახადო სისტემის დახვეწაში, ფასების სტაბილურობაში, ინფლაციური პროცესების მართვის გაუმჯობესებასა და ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებაში. ქვეყანა უკვე ჩართულია ამ პროცესებში და შედეგებიც თვალსაჩინოა. როგორც ვხედავთ, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს ეკონომიკის აღდგენისათვის მყარი წინაპირობა შექმნილია.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე თანდათანობით გადასვლამ საკუთრებით სტრუქტურაში დომინირებადი გახადა კერძო სექტორი. იგი იძლევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის 100%, სამრეწველო პროდუქციის 96%-ზე მეტს, ტრანსპორტზე შექმნილი პროდუქციის 60%-ზე მეტს, ვაჭრობის - 14,4%-ს [6]. ეს დადებითი ტენდენციაა, მაგრამ საჭიროა ინტენსიფიკაციის დონის საგრძნობი ამაღლება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. ამის მყარი საფუძველი უკვე შექმნილია ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების შედეგად. ასე მაგალითად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველო მე-8 ადგილზეა ევროპაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ საბაზრო მენტალიტეტი გაძლიერდა, სიახლეებთან (გლობალურ მოვლენებთან) ადაპტირების პროცესი დინამიკური გახდა. ყოველივე ეს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძლიერი რეზერვია პერსპექტივაში.

ცხადია, დღევანდელი გლობალური გამოწვევები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. უკვე აშკარაა ინფლაციური პროცესების ზრდა, განსაკუთრებით სასაქონლო ინფლაციის სფეროში, რომელიც მტკივნეულად მოქმედებს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე არსებული რეცესიის პირობებში. ამასთან აღსანიშნავია ისიც, თუ რა მიმართულებით წავა მსოფლიო მასშტაბის გამოწვევები უახლოეს პერსპექტივაში.

საინტერესოა, გლობალური გამოწვევების ფონზე როგორი ცვლილებებია მოსალოდნელი უახლოეს პერსპექტივაში მსოფლიოში მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის - მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით.

მსოფლიო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2020 წელს მშპ-ის 3,3 პროცენტიანი ზრდაა მოსალოდნელი, 2023 წელს კი - 3,4 პროცენტიანი. ევროკომისიაც იმავე პროგნოზს აკეთებს. მსოფლიო ბანკის პროგნოზები განსხვავებულია - 2,5, 2,6 და 2,7 პროცენტი. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო ეკონომიკას დიდი ძალისხმევა დასჭირდება ეკონომიკის სრულად აღდგენისა და განვითარებისათვის. ეს კი, ბუნებრივად საქართველოს ეკონომიკაზეც აისახება.

მეტად თავისებურია დარგობრივი სტრუქტურული ცვლილებების პროგნოზი. ამ მხრივ საქართველოში დაჩქარებული ტემპით უნდა გაიზარდოს სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტის ცალკეული სახეობები, რეკრეაციული და საზკვების სხვადასხვა დარგები და სხვა. ყველაზე დიდი გარღვევა სოფლის მეურნეობაშია საჭირო. ასევე მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებაც, მაგრამ ტურიზმის ინდუსტრიაზე მთავარი აქცენტის გადატანა დიდ შედეგებზე ნაკლებად უნდა იყოს გათვლილი სამომავლოდ, თუმცა ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში ტურისტული ინდუსტრია იძლევა მშპ-ის 20-დან 25 პროცენტამდე და დასაქმებულია მოსახლეობის 25-30 პროცენტი. ჩვენი აზრით, ტურიზმის ანტიკრიზისული პროგრამა საქართველოს ეკონომიკაზე არსებით ზეგავლენას ვერ მოახდენს.

გლობალური გამოწვევების დრო ჯერ არ დასრულებულა. მაღალგანვითარებული და განვითარებადი ქვეყნები არ იშურებენ ძალისხმევას მისი თანმდევი შედეგების აღმოსაფხვრელად. მიმდინარე წელს ეკონომიკის ვარდნის პროცესი ცალკეულ ექსპერტთა მონაცემებით 6%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, თუმცა ეკონომიკის აღდგენის პროცესი დაწყებულია და ეს პროგნოზი რეალურად შეიძლება არც გამართლდეს.

საქართველო ჩართულია გლობალურ გამოწვევებში. საჭიროა აქ მთავარი აქცენტი გაკეთდეს ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნასა და მწირი რესურსების პირობებში მათ მაქსიმალურ და რაციონალურ გამოყენებაზე. სახეზეა სტრატეგიული გარღვევისათვის მზაობა, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი პროგრამების საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებზე მორგებას ითვალისწინებს.

ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისულმა სიტუაციებმა სოციალური მდგომარეობა დაამძიმა. კერძოდ, დაჩქარდა ინფლაციური პროცესები თავისი ნეგატიური შედეგებით, დაზარალდა ბიზნესი, ეკონომიკა სტაგნაციის რეჟიმში აღმოჩნდა.

აქედან ცხადია, რომ გლობალური გამოწვევები მოითხოვს ეროვნული ეკონომიკების აღორძინების პროცესების დაჩქარებას, რისთვისაც საჭიროა მათი სტრუქტურული გარდაქმნა და არსებული რესურსების მაქსიმალური და რაციონალური გამოყენება. ყოველივე ეს შექმნის სტრატეგიული გარღვევის წინაპირობას საერთაშორისო პროგრამების საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებზე მორგების თვალსაზრისით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. https://www.facebook.com/watch/?v=2557448011144509.
2. www.iverioni.com.ge.12.04.2020.
3. www.iverioni.com.ge.26.04.2020.
4. www.iverioni.com.ge.05.05.2020.
5. newspaper.tsu.ge.08.05.2020.
6. geostat.ge.



***Murman Kvaratskhelia***


## ECONOMIC CHALLENGES OF GLOBAL PANDEMIC


**Summary**

In the article the role of a state and the problems of current crisis situations of a country under the global pandemic processes are analyzed.

To solve these problems in the different branches and spheres of an economy and in a short-run period, the corresponding directions of state measures are given.



***Юрий Киндзерский***


## ИНДУСТРИАЛИЗАЦИЯ В УКРАИНЕ: ВЫЗОВЫ ДЛЯ ПОЛИТИКИ В КОНТЕКСТЕ ЦЕЛЕЙ ИНКЛЮЗИВНОГО РАЗВИТИЯ


***Аннотация.*** *Акцентировано внимание на несоответствии процессов индустриальных преобразований в Украине трендам развития мировой промышленности, а также целям инклюзивного и устойчивого индустриального развития, определенных Лимской декларацией ЮНИДО. Предложена модель политики инклюзивной и устойчивой индустриализации, в основу которой положен принцип дуалистического сочетания инструментов «вертикальной» и «горизонтальной» промышленной политики. Определены приоритетные направления развития украинской промышленности, исходя из возможной специализации страны и с учетом угроз и вызовов, стоящих перед ней.*



***Ключевые слова:*** *деиндустриализация, промышленная политика, инклюзивное развитие.*


*Следовательно, объективной необходимостью является использование разработанного мной радикально нового подхода к проблеме целевой направленности законодательства.*

*Притом, революционной альтернативой целевой направленности законодательства, служащего господству денег, рынка, прибыли, капитала над человеком в обществе и в государстве – служащего экономическому фашизму, основанному на так называемой «невидимой руки» Адама Смита, должна стать целевая направленность законодательства, служащего реализации господства (верховенства) интересов человека – интересов народа, на основе созданных мной принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий – на основе Философии социальной цели, на основе Теории верховенства интересов народа и на основе Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц.*

***Ключевые слова:*** *Целевая направленность законодательства; Экономический фашизм; Преступление против человечности; «Невидимая рука» Адама Смита; Философия социальной цели; Теория верховенства интересов народа; Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц.*

### Введение

***Постановка проблемы.*** Исследование и решение проблемы целевой направленности законодательства имеет принципиальное значение, ибо именно от целевой направленности законодательства во многом зависит, служит ли законодательство интересам человека – интересам народа, или же служит оно господству денег, господству рынка, прибыли, капитала над человеком в обществе и в государстве.

Вышеотмеченной проблемой и определяется актуальность темы данного исследования.

***Анализ последних исследований.*** Научный анализ научных исследований показывает, что среди публикаций, посвященных проблемам законодательства, за исключением моих научных трудов, почти не встречаются научные труды, в которых рассматривалась бы проблема целевой направленности законодательства, хотя решение данной проблемы имеет принципиальное значение с точки зрения необходимости реализации интересов народа.

***Цель и задачи исследования.*** Целью данного научного исследования является внедрение в законодательства государств мира социальной целевой направленности, служащей интересам народа, на основе созданных мной принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий – на основе Философии социальной цели, на основе Теории верховенства интересов народа и на основе Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц, в качестве радикальной альтернативы экономической целевой направленности законодательства, основанной на «Невидимой руке» Адама Смита, и служащей господству экономического фашизма.

**Задачей же данного исследования является** научное обоснование необходимости внедрения в законодательства государств мира социальной целевой направленности, служащей интересам народа, на основе созданных мной принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий – на основе Философии социальной цели, на основе Теории верховенства интересов народа и на основе Теории сбалан-

сированности прав и ответственности должностных лиц, в качестве радикальной альтернативы экономической целевой направленности законодательства, основанной на так называемой «Невидимой руке» Адама Смита, и служащей господству экономического фашизма.

***Научная новизна.*** Главной новизной научного исследования является рассмотрение в качестве радикальной альтернативы экономической целевой направленности законодательства, *основанной на «Невидимой руке» Адама Смита, и служащей господству экономического фашизма,* социальной целевой направленности законодательства, служащей интересам народа, на основе созданных мной принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий – на основе Философии социальной цели, на основе Теории верховенства интересов народа и на основе Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц, и обоснование необходимости их внедрения в законодательства государств в международном масштабе.

## Изложение основного материала

В связи с проблемой целевой направленности законодательства, необходимо обратить особое внимание на то, что закон и законодательство в целом создаётся *(должно создаваться)* для служения интеремам человека – для служения интеремам народа, а не наоборот.

Следовательно, **определяющее значение имеет целевая направленность законодательства, и, *в частности,* определяющее значение имеет то: служит ли законодательство защите прав и интересов человека – служит ли оно интересам народа, или же служит законодательство господству денег, господству рынка, прибыли, капитала над человеком в обществе и в государстве, что является показателем господства экономического фашизма (?!).**

В связи с предложенной и обоснованной мной определяющей значимостью целевой направленности законодательства, основывающейся на созданной мной Философии цели [1; 2; и др.] и на Философии социальной цели [1; 2; и др.], а также на созданной мной же Теории верховенства интересов народа [3; 4; и др.], принципиально важно обратить внимание на следующее:

**Ошибочно утвердившееся в так называемом «цивилизованном» мире «Верховенство закона» – это верховенство средств над человеком, это верховенство средств над народом, тогда как, в соответствии с созданной мной революционно новой научной теорией – Теорией верховенства интересов народа** [3; 4; и др.], **верховенство должно принадлежать интересам каждого человека – интересам всех членов общества, которым должны служить все политические, экономичекие, правовые, организационные и управленческие средства их реализации.**

Исходя из вышеотмеченного, **принципиально важно обратить внимание на то, что «верховенство закона», вообще, *и, в частности,* в условиях, когда законодательство находится на службе господства денег, рынка, прибыли, капитала над человеком, является верховенством экономического фашизма над интересами человека – над интересами народа в обществе и в государстве (?!).**

Следовательно, **объективной необходимостью является использование разработанного мной радикально нового подхода к проблеме целевой направленности законодательства, а значит, к проблеме определения места закона и законодательста в обществе и в государстве.**

**Именно поэтому, созданную мной Теорию верховенства интересов народа** [3; 4; и др.], вместе с созданной мной же – Философией социальной цели [1; 2; и др.], **необходимо рассматривать как революционную альтернативу господствующему в международном масштабе экономическому фашизму, как радикальную альтернативу господствующему в так называемом «цивилизованном» мире явно ошибочному подходу, «провозглашающему» «верховенство» «средств» над человеком (?!).**

В связи с вышеотмеченным, необходимо учесть, что **господство денег, господство рынка, прибыли, капитала над человеком в обществе и в государстве – это преступное господство средств над интересами народа, это преступное господство экономического фашизма над человеком, революционной альтернативой которому является Верховенство справедливых и законных интересов каждого человека – Верховенство интересов народа.**

Важно также отметить, что **ошибочно признанное в науке и в политике в международном масштабе, и «традиционно» «утвердившееся» – «верховенство закона», является опять-таки верховенством средств над человеком, является господством средств над человеком в обществе и в государстве, тогда как – «законы создаются и функционируют для человека (для народа), а не человек рождается и живет для законов»** [4, с. 280].

Исходя из вышеотмеченного, **как в процессе научных исследований, так и в процессе управления обществом и государством, необходимо руководствоваться не «верховенством закона», а верховенством интересов народа, с обязательным использованием при этом политичеких, экономических, правовых и т.д. средств, *но с использованием этих средств – именно как средств,* подчинённых эффективной защите прав, свобод и интересов каждого человека – подчинённых эффективной реализации интересов народа.**

**Что же касается так называемого «верховенства права», то** при, *безусловно,* уважительном отношении к совокупности норм права, **руководствоваться «верховенством права» в обществе и в государстве также ошибочно, *как и руководствоваться «верховенством закона»,* ибо хотя понятие «права» шире по-**

**нятия любого одного** (отдельно взятого) **«закона», но «право»,** *так же, как и «закон»,* **является** (должно быть) **лишь средством, которое должно быть подчинно защите прав, свобод и интересов человека.**

Таким образом, **даже использование в науке и в политике самого термина и самого «понятия» – «верховенство права» не оправдано,** ***так же, как не оправдано использование термина – «верховенство закона»,*** **ибо «право»** ***так же, как и «закон»*** **– это необходимое средство реализации интересов народа, так как право – это «совокупность общеобязательных правил (норм), охраняемых силой государства»** [5].

Или, что фактичеки то же самое: **«Право представляет собой совокупность общеобязательных правил поведения, которые установлены и санкционированы государством, исполнение которых обеспечивается мерами государственного регулирования** [6].

Следовательно, **«право» представляет собой совокупность законов и других правовых актов, которые,** ***как и «право» в целом,*** **в качестве необходимых средств должны справедливо служить защите прав и интересов каждого человека в соответствии с созданной мной Теорией верховенства интересов народа** [3; 4; и др.].

**Что касается «верховенства права», рассматриваемого,** ***будто бы в отличие от «верховенством закона»,*** **с позиции защиты прав человека, т.е. рассматриваемого – как призванного защищать права человека, то,** ***во-первых,*** **права человека призван также защищать** *(должен быть призван защищать)* **любой закон и любой другой правовой акт, и,** ***во-вторых,*** **это опять-таки доказывет, что «право»,** ***так же, как и «закон»,*** **является средством, которое должно служить защите прав и интересов каждого человека в соответствии с Теорией верховенства интересов народа,** ***а значит,*** **«право»,** ***так же, как и «закон»,*** **не может имеет верховенство над человеком – над народом.**

Кроме того, считаю необходимым отметить, что для любого мыслящего человека должно быть ясно и понятно, что **Теория верховенства интересов народа также радикально отличается от «верховенства права»,** ***как и от «верховенства закона»,*** **ибо «верховенство права»,** ***так же, как и «верховенство закона»,*** **является «верховенством средств» над человеком, что глубоко ошибочно (?!).**

Следовательно, **в соответствии с Теорией верховенства интересов народа, верховенство должно принадлежать именно интересам Человека – интересам народа, но эти интересы должны реализовываться с использованием не просто закона, и не просто права, а с использованием только справедливых законов, ибо соблюдение справедливости –** ***соблюдение равноправия всех людей перед законом*** **– необходимое условие реализации интересов народа.**

Принципиально важно также отметить, что **рассматривая** созданные мной новые научные направления и новые научные теории – **Философию социальной цели и Теорию верховенства интересов народа, необходимо особо учесть, что они не могут быть полноценно и эффективно реализованы в государстве без созданной мной же Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц** [7; 8; и др.], **ибо именно Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц является необходимой научной основы реализации Философии социальной цели и Теории верховенства интересов народа.**

Именно **Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц является необходимой научной основой соблюдения и утверждения справедливости, является необходимой научной основой достижения равноправия всех людей –** ***в том числе, и всех должностных лиц*** **– перед законом, именно отмеченная Теория является необходимой научной основой «снятия» противозаконно «узаконенного» «иммунитета» у всех должностных лиц, и,** ***соответственно,*** **привлечения должностных лиц к уголовной ответственности за совершённые ими противозаконные – преступные – деяния.**

Вышеотмеченным подтверждается, что **в соответствии с Теорией сбалансированности прав и ответственности должностных лиц, все должностные лица должны не только обладать правами и иметь соответствующие обязанности, но за результаты своей деятельности они должны также нести ответственность** ***(в том числе, и уголовную),*** **которая будет сбалансирована с их правами.**

Именно **сбалансированность прав и ответственности должностных лиц является необходимым условием эффективного функционирования общества, государства и человечества в целом.**

Притом, **«значимость Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц возрастает не только для решения внутренних проблем эффективного функционирования общества и государства, но и для нормальной жизни и деятельности всего мирового сообщества»** [8, с. 206].

*** * ***

**Возвращаясь непосредственно к проблеме целевой направленности законодательства, необходимо отметить, что если служение законодательства социальной (гуманносоциальной) целевой направленности общества и государства – это служение верховенству интересов народа,** ***то служение законодательства*** **господству – верховенству – денег, рынка, прибыли, капитала над человеком в обществе и в государстве – это служение экономическому фашизму,** ***а значит,*** **это преступление против человечности (?!).**

Притом, принципиально важно отметить, что так называемое **«верховенство закона»,** ***так же, как и «верховенство права»,*** **является верховенством – господством – средств над человеком в обществе и в государстве, что опять-таки является преступлением против человечности, ибо все средства в обще-**

**ственно-государственной системе должны служить интересам народа, а не господствовать над человеком – над народом (?!).**

Вместе с тем, **не подлежит сомнению принципиальная важность и необходимость использования как правовых, так и экономических, а также политических, управленческих и т.д. средств, но их использование должно осуществляться именно в качестве средств, подчинённых социальной (гуманносоциальной) целевой направленности общества и государства – подчинённых направленности на релизациию верховенства интересов народа.**

**Несмотря на вышеотмеченное, целевая направленность законодательства в государстве нередко направлена на служение экономическому фашизму, «научным» основателем и «отбеливателем» которого является один из крупнейших представителей классической политэкономии Адам Смит, с его «главной идеей», названной им самим – «Невидимой рукой», согласно которой будто бы получение максимальной прибыли автоматически решает социальные проблемы – будто бы так называемая «Невидимая рука» Адама Смита решает проблемы реализации интересов народа (?!)** [9, с. 332].

**Чем же является, если не проявлением целевой направленности законодательства на службе экономическому фашизму, когда на «основе» противозаконно «узаконенного» законодательства в государстве разрешается функционирование азартных так называемых «игр» –** ***так называемого «игорного» (явно криминального) бизнеса,*** **служащих обогащению отдельных людей –** ***и даже приносящих дополнительные доходы в государственный бюджет,*** **но за счёт ограбления, обнищания и даже физического уничтожения многих людей – их семьей и близких, что анитичеловечно, позорно и преступно (?!).**

**Не является ли допущение функционирование азартных так называемых «игр» – проявлением целевой направленности законодательства на службе экономическому фашизму, когда в условиях господства денег, рынка, прибыли, капитала над человеком в обществе и в государстве, происходит криминально «узаконенное» целенаправленное ограбление и уничтожение огромного количества больных «Игроманией» людей, имеющих «психическое расстройство, в основе которого лежит болезненное влечение к азартным играм»** [10]?!

Ведь как известно: «Международная конференция по Десятому пересмотру Международной классификации болезней, проведенная Всемирной Организацией Здравоохранения в Женеве в 1989, присвоила код F63.0 болезни **Игромания** – патологическая склонность к азартным играм; заключается в частых повторных эпизодах участия в азартных играх, которые доминируют в жизни человека и ведут к снижению социальных, профессиональных, материальных и семейных ценностей: такой человек не уделяет должного внимания своим обязанностям в этих сферах» [11].

Притом, **необходимо и принципиально важно учесть, что «Игроманией» могут болеть и болеют не только молодые, но и люди в любом возрасте,** ***а значит,*** **имеет место не только ограбление и уничтожение больних «Игроманией» и их родителей, но и многих других членов их семьей, родственников и их близких (?!).**

**Поэтому, частичные меры, которые могут быть приняты** *(хотя и их принятие весьма сомнительно в условиях господства экономического фашизма в обществе и в государстве)* **против функционирования азартных так называемых «игр»** *(например, недопущение к азартным так называемым «играм» молодых людей до определённого возраста, частичное или даже полное запрещение рекламы азартных «игр» и т.д.),* **никак не решат данную проблему, ибо единственный выход, который может спасти людей от этого экономического фашизма – искоренение (полный запрет) азартных так называемых «игр» в международном масштабе, и,** ***наряду с этим,*** **создание, узаконение и внедрение правовых механизмов, предусматривающих уголовную ответственность криминалов за противозаконную («подпольную») организацию азартных «игр», с максимальным сроком их наказания, приравненным к мере наказания за умышленноое убийство многих людей.**

**Таким образом, вместо того, чтобы государство создало правовые механизмы и приняло неотложные узаконенные меры по искоренению азартных так называемых «игр», и по лечению больных «Игроманией» людей, государственная власть фактически позволяет грабить и уничтожать этих тяжелобольних лиц созданием условий для их привлечения в азартные «игры» – либо непосредственно** ***(возможно, через «своих» лиц),*** **либо же опосредованно, но в любом случае путём противозаконно «узаконенного» допущения функционирования так называемых азартных «игр» –** ***так называемого «игорного» бизнеса,*** **что,** ***безусловно,*** **является экономическим фашизмом и преступлением против своего собственного народа и против человечности (?!).**

**Думается, что дальнейшие комментарии здесь излишни (?!).**

## Заключение

Исходя из всего вышеизложенного, **логически подтаерждается научная обоснованность моего принципиально нового подхода к проблеме целевой направленности законодательства,** согласно которому:

**Революционной альтернативой целевой направленности законодательства, служащего господству (верховенству) денег, рынка, прибыли, капитала над человеком в обществе и в государстве – служашего экономическому фашизму,** ***на основе так называемой «Невидимой руки» Адама Смита,*** **должна стать це-**

**левая направленность законодательства, служащего реализации господства (верховенства) интересов человека – интересов народа,** ***на основе созданных мной принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий – на основе Философии социальной цели, на основе Теории верховенства интересов народа и на основе Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц.***

### Использованная литература


1. **Кураташвили Альфред А.** (1997). **Философия цели – альтернатива философии средств** (монография на грузинском и русском языках). Тбилиси: «Мецниереба». – 100 с.
2. **Кураташвили Альфред А.** (2003). **Философия социальной цели.** ***Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно человеческого общества и государства*** (*монография на грузинском, английском и русском языках*). Тбилиси: Международное издательство «Прогресс» , – 352 с.
3. **Кураташвили Альфред А.** (1997). **Теория диктатуры интересов народа.** ***Определяющее научное направление социально-экономического развития истинно человеческого общества и государства*** (монография на грузинском и русском языках). Тбилиси: «Мецниереба». – 76 с.
4. **Кураташвили Альфред А.** (2003). **Теория верховенства интересов народа.** ***Принципиально новое научное направление и системообразующая теория управленческого права, правовой системы истинно человеческого общества и социально-экономических наук в целом*** (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», – 336 с.
5. **Право (значения).** https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9F%D1%80%D0%B0%D0%B2%D0%BE_(%D0%B7%D0%BD%D0%B0%D1%87%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F)
6. **Что такое право.** https://www.kakprosto.ru/kak-85612-chto-takoe-pravo
7. **Кураташвили Альфред А.** (1997). **Сбалансированность прав и ответственности должностных лиц – политико-правовая теория эффективного функционирования общества** (монография на грузинском и русском языках). Тбилиси: “Мецниереба”. – 76 с.
8. **Кураташвили Альфред А.** (2003). **Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц.** ***Принципиально новое научное направление – необходимая научная основа защиты интересов человека и социально-экономического прогресса*** (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс». – 256 с.
9. **Адам Смит.** (1962). **Исследование о природе и причинах богатства народов,** М., «Соцэкгиз», – 684 с.
10. **Игромания.** https://go.mail.ru/search?q=%D0%B8%D0%B3%D1%80%D0%BE%D0%BC%D0%B0%D0%BD%D0%B8%D1%8F&fm=1&gp=811008&rf=775012&mg=1
11. **Игромания.** http://security.mosmetod.ru/internet-zavisimosti/4-igrovye-zavisimosti



***Alfred Kuratashvili***


## TARGETED DIRECTION OF LEGISLATION IN THE SERVICE OF ECONOMIC FASCISM – THIS IS CRIME AGAINST HUMANITY (?!)

### Summary


The scientific work examines the targeted orientation of legislation in the service of economic fascism – as a crime against humanity (?!).

In connection with the problem of the targeted orientation of legislation, special attention should be paid to the fact that the law and legislation as a whole are created to serve the interests of man – to serve the interests of the people, and not vice versa.

Consequently, the legislative focus is of decisive importance, and in particular, is it: does the law serve the interests of person – the interests of the people, or does it serve the dominance of money, the dominance of the market, the dominance of profit, capital over person in society and in the state ?!

Based on the foregoing, it is fundamentally important to pay attention to the fact that the "supremacy of law", as well as the "supremacy of jurisprudence", in general, and, in particular, when the legislation is in the service of the dominance of money, market, profit, capital over person, is supremacy of economic fascism over the interests of person – over the interests of the people in society and in the state (?!).

Therefore, an objective necessity is the use of a radically new approach developed by me to the problem of the targeted orientation of legislation.

Moreover, a revolutionary alternative to the targeted orientation of legislation serving the dominance of money, market, profit, capital over person in society and in the state serving economic fascism, based on the so-called “invisible hand” of Adam Smith, should be the targeted orientation of legislation serving the implementation of domination (supremacy) of human interests – the interests of the people, on the basis of fundamentally new scientific directions and

fundamentally new scientific theories that I created – on the basis of the Philosophy of Social goal, on the basis of the Theory of the supremacy of the interests of the people and on the basis of the Theory of balance of rights and responsibility of officials.

*თეა ლაზარშვილი*

## ინოვაციების სტიმულირებს ფინანსური მეთოდები და გამოყენების თავისებურებები

***ანოტაცია.*** *სტატიაში გაანალიზებულია მსოფლიო პრაქტიკაში არსებული ინოვაციების სტიმულირების მეთოდები. განსაკუთრებული ყურადღებაა დათმობილი ინოვაციების სტიმულირების ფინანსური მეთოდებისადმი. დახასიათებულია ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ძირითადი წყაროები და მათი გამოყენების პრაქტიკა ქვეყნების მიხედვით, აგრეთვე, ინოვაციის სტიმულირების სპეციფიკური მეთოდები.*

*გაშუქებულია ინოვაციური პროცესების განვითარების თავისებურებები ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში და ის ინოვაციური კლიმატი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინოვაციური პროცესების განვითარებაში.*

*განხილულია ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო სტიმულირების 3 ძირითადი ფორმა: ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურული და ფინანსური.*

***საკვანძო სიტყვები***. *ინოვაციები, ინოვაციების სტიმულირების მეთოდები, ფინანსური ინოვაციები, ინოვაციური პროცესები.*

### შესავალი

უდავოა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციების სტიმულირება მაღალ შედეგებს იძლევა. საზღვარგარეთის ქვეყნებში ხორციელდება დაბალანსირებული ინოვაციური პოლიტიკა, სადაც პირდაპირი და ირიბი მხარდამჭერი ზომების კომბინირება ხდება. კანადაში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და იაპონიაში სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში სახელმწიფო სტრუქტურები მონაწილეობენ. ინოვაციების სტიმულირება ხორციელდება სპეციალური უწყებებისა და სამინისტროების მუშაობის, აგრეთვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური ფონდების, კომერციული ბანკების, ტექნოპარკების, სადაზღვევო ფონდების ხელშეწყობით, დაბეგვრის განაკვეთის შემცირების, შეღავათიანი კრედიტების, რისკების დაზღვევის, ვენჩურულ მეწარმეობაში ფულადი ინვესტირების ხარჯზე. საზღვარგარეთ ინოვაციური საქმიანობა რეგულირდება და დაცულია კანონმდებლობით.

* * *

ინოვაციების სტიმულირების მეთოდები პირობითად პირდაპირ და ირიბ მეთოდებად შეიძლება დაიყოს. ინოვაციების სტიმულირების პირდაპირ მეთოდებს მიეკუთვნება სამეცნიერო შემუშავებების საბიუჯეტო დაფინანსება, შეღავათიანი დაკრედიტება, ინოვაციურ საქმიანობაზე აღებული კრედიტების საპროცენტო განაკვეთის ნაწილის სუბსიდირება, სახელმწიფო შეკვეთები და სხვა.

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდამჭერ ირიბ მეთოდებს მიეკუთვნება სტიმულების შექმნა ინოვაციური პროცესებისა და ისეთი ეკონომიკური კლიმატის რეალიზაციისათვის, რომელშიც ინოვაციური საქმიანობა ყველაზე კარგად ვითარდება. მნიშვნელოვანია, მათ შორის გამოვყოთ ინოვაციების საგადასახადო სტიმულირება, რომლის ყველაზე პოპულარულ ნაირსახეობას წარმოადგენს საგადასახადო კრედიტი, რომელიც საშუალებას აძლევს საწარმოებს, შეამცირონ დარიცხული გადასახადი (მაგალითად, მოგებაზე გადასახადი) იმ თანხაზე, რომელიც დამოკიდებულია დანახარჯების სიდიდეზე კვლევებსა და შემუშავებებზე. აშშ-ში უამრავი შეღავათია დაწესებული ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებაზე. ამავდროულად, შეღავათები ეძლევათ რეალური ინოვაციების წასახალისებლად არა სამეცნიერო ორგანიზაციებს, არამედ საწარმოებს და ინვესტორებს. შეღავათები რეგულარულად გადაიხედება, რაც საშუალებას იძლევა, მიზანმიმართულად მოხდეს ინოვაციური აქტივობის სტიმულირება პრიორიტეტულ დარგებში და აგრეთვე ზემოქმედება მოახდინოს წარმოების სტრუქტურაზე. რიგ ქვეყნებში, ისეთში, როგორიცაა

ესპანეთი, კანადა, აშშ, არსებობს ინოვაციების საგადასახადო სტიმულირების დამატებითი მექა-ნიზმები რეგიონულ დონეზეც.

განსაკუთრებული ყურადღებაა გასამახვილებელი ინოვაციების ფინანსურ სტიმულირებაზე, რომელიც გულისხმობს ფინანსური რესურსების მოდინების წყაროებს, მათ აკუმულირებას, ინვეს-ტიციებზე კონტროლის განხორციელებას, აგრეთვე ინოვაციურ პროცესში თანხების ჩადების ზრდის მექანიზმს. მის განმასხვავებელ მახასიათებელს წარმოადგენს ინვესტიციური საქმიანობის დაფი-ნანსების მრავალფეროვანი წყაროები, რომელთა შორისაა სახელმწიფო კაპიტალი, საკრედიტო რესურსები, ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში, საწარმოებისა და ორგანიზაციების ვენჩურული, უცხოური და საკუთარი კაპიტალი.

ზოგიერთი მკვლევარი ინოვაციური საქმიანობისაკენ მიმართული ინვესტიციების კლასი-ფიკაციას ახდენს შემდეგი კრიტერიუმებით:

საკუთრების ფორმით: სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო და შერეული;

დაბანდების ფორმის მიხედვით: პირდაპირი, პორტფელური;

ფინანსური უზრუნველყოფის მეთოდების ალტერნატივის მიხედვით: ლიზინგი, ვენჩურული დაფინანსება, ფაქტორინგი და სხვ.

დღეისათვის ინოვაციური საქმიანობის ფინანსირების ძირითად წყაროებად გამოდის:

საბიუჯეტო ასიგნებები ფედერალურ და რეგიონულ დონეზე;

საწარმოების საკუთარი სახსრები;

საინვესტიციო კომპანიების და კომერციული ბანკების ფინანსური რესურსები;

საზღვარგარეთული ინვესტიციები;

სამეცნიერო ფონდების სახსრები.

საბაზრო ურთიერთობების ხასიათს უმეტესწილად შეესაბამება საკრედიტო რესურსები, რომელთა გამოყენება შეიძლება ინოვაციური საქმიანობის ყველა დონეზე. თუმცა ზოგიერთ ქვეყნაში ინოვაციური საქმიანობის დაკრედიტება უმეტესწილად მისაღწევია მხოლოდ მსხვილი და საშუალო საწარმოებისათვის.

უდავოა, რომ ინოვაციის დანერგვის აუცილებლობა მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ძვირადღირებული მოწყობილობების გამოყენებას. ამიტომ ინოვაციური საქმიანობის დაფინან-სირების გავრცელებული წყარო გახდა ლიზინგი, რომელიც წარმოადგენს მეწარმეებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთქმედების თანამედროვე პირობების ადეკვატურ ფორმას. ლიზინგურ ოპერაციებში მონაწილეობისათვის მომგებიანია ამორტიზებული და საგადასახადო შეღავათების გამოყენება, რომელთა შორისაცაა დაჩქარებუილი ამორტიზაცია. ამ შეღავათების გათვალისწინებით მცირდება საპროცენტო განაკვეთები.

ვენჩურული დაფინანსებაც აგრეთვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინოვაციურ საქმიანობაში და წარმოადგენს ინვესტირების დამოუკიდებელ მიმართულებას, რომელიც განსხვავებულია ტრადიციულისაგან და დაკავშირებულია სარისკო ოპერაციებთან. ვენჩურული დაფინანსება მოიცავს სახელმწიფო რეგულირების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა: ვენჩურული ორგანიზაციების პირ-დაპირი დაფინანსება, საგადასახადო ლგოტირება და ვენჩურულ კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიები, ინოვაციური საწარმოების კაპიტალში მონაწილეობა, ინოვაციური გარემოს რეგუ-ლირება, ინოვაციურ პროცესებში სადაზღვევო კომპანიების, საპენსიო ფონდების ჩართვა და სხვა.

ვენჩურული კაპიტალი ინოვაციური ინფრასტრუქტურის ელემენტია, რომელიც აერთიანებს ფინანსური რესურსების მფლობელებსა და ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შემმუშავებლებს სასტარტო ინოვაციური პროექტების სექტორში. ამასთან დაკავშირებით, განსა-კუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინოვაციური განვითარების მრავალფეროვანი ინსტიტუტები.

მსოფლიო პრაქტიკაში ეკონომიკურ სისტემაში ინოვაციური პროცესების აქტივიზაციისათვის შექმნილია ეკონომიკური ინსტრუმენტების ფართო სპექტრი. თითოეულ ქვეყანაში არსებობს საკუთარი ფორმირებული ეროვნული სისტემა, ინოვაციური ინფრასტრუქტურა და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების ზოგიერთი ეროვნული თავისებურებები.

მაგალითად ავსტრალიაში, კანადაში აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში მოქმედებს ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისა და მხარდამჭერი რეგიონული პროგრამები, სადაც დაფინანსების სისტემა შერეულია, თუმცა მკვეთრად გამოხატული ტენდენცია აქვს კერძო კაპიტალის გაზრდისაკენ;

ბელგია, იტალია, ესპანეთი და საფრანგეთი იყენებს სახელმწიფო პროგრამებს, სადაც სახელმწიფო დონეზე ხდება შეღავათების დაწესება და დაფინანსებას აქაც შერეული ფორმა აქვს, თუმცა ადგილობრივი ბიუჯეტის ძალიან მცირე წილია;

შვეცია, იაპონია, გერმანიაში მოქმედებს სახელმწიფო, რეგიონული, დარგობრივი პროგრამები, სადაც შეღავათები და პრეფერენციები სახელმწიფო დონეზე განიხილება და დაფინანსების შერეული სისტემა გამოიყენება.

მნიშვნელოვანია, რომ საზღვარგარეთ საპენსიო ფონდები აქტიურად მონაწილეობენ ინსტიტუციურ და ორგანიზაციულ ალიანსში, თტუმცა ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., რუსეთში) მათ არ აქვთ უფლება, დაკავდნენ კომერციული საქმიანობით.

განვითარებულ ქვეყნებში ფართო გავრცელება პოვა ფრანჩაიზინგმა, რომლის ქვეშ იგულისხმება კომპანიების მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ლიცენზიების მინიჭება წარმოებასა და საქონლის გაყიდვაზე მისი სასაქონლო ნიშნის ქვეშ, რის ხარჯზეც მცირდება დანახარჯები მათ შემუშავებაზე, ბაზრების კვლევაზე, პერსონალის ტრენინგებსა და რეკლამაზე.

მსოფლიოში ინოვაციების სახელმწიფო სტიმულირების ძირითად თვისებას წარმოადგენს:

საგადასახადო შეღავათებისა და სახელმწიფო გარანტიების შეთავაზება;

ინოვაციური საწარმოებისათვის რეგიონული შეღავათების მიწოდება;

საბაჟო სატარიფო რეგულირება საბაჟო კავშირების შექმნისა და თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნის ფარგლებში.

სხვადასხვა ქვეყნებისათვის ინოვაციის სტიმულირების საერთო მეთოდების გარდა, არსებობს სპეციფიკური მეთოდები და ინსტრუმენტები, რომლებიც დამოკიდებულია ეროვნული ეკონომიკების თავისებურებებზე. მაგალითად, არგენტინასა და ჩილეში “ჩრდილოვანი” კაპიტალის ლეგალიზაციის მიზნით მიღებული იქნა კანონები, რომლებიც საშუალებას იძლეოდა, არ მოეხდინათ ფულადი სახსრების დეკლარირება 3-5 წლის განმავლობაში იმ პირობით, რომ ისინი ჩადებული იქნებოდა ინოვაციურ საქმიანობაში და არ ხდებოდა მათი სახელების გამჟღავნებაც. ანალოგიური ზომები გამოიყენებოდა ისეთი ქვეყნების მიერ, როგორიცაა საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია და ბელგია.

საზღვარგარეთ ინოვაციური ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის კეთილსასურველი პირობების ფორმირება, უმეტეს შემთხვევაში, ხორციელდება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ბაზაზე, რომლის ქვეშ იგულისხმება ინსტიტუციური და ორგანიზაციული ალიანსი სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის, საზოგადოდ, მნიშვნელოვანი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციის მიზნით ფართო სპექტრით მრეწველობის დარგებისა და სამეცნიერო კვლევების სფეროებში. უმეტესობა მათგანი ფუნქციონირებს ერთობლივი სახელმწიფო-კერძო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ფორმით, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ერთობლივი კვლევითი შემუშავებების განხორციელებაზე.

ერთობლივი მიზნების მიღწევის მიზნით, ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის მნიშვნელოვან წყაროს მსოფლიოში სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმა წარმოადგენს, რაც კონცენტრირების მოხდენის საშუალებას იძლევა მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების იმ აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია ინოვაციებთან. კორპორაციების უპირატესობა განპირობებულია სწორედ დიდი ფულადი რესურსების კონცენტრაციის შესაძლბლობით და აგრეთვე სახელშეკრულებო შეთანხმებებით კორპორაციის შიგნით და სახელმწიფოსთან. ამასთან დაკავშირებით, ურთიერთქმედებისა და ინტეგრაციის განვითარება მსხვილ, საშუალო და მცირე სამეწარმეო სტრუქტურებს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, მეცნიერებისა და განათლებას შორის ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება ხდება.

1980-იან წლებში აშშ-სა და ევროპაში ფართო გავრცელება პოვა ტექნოპარკების ე.წ. “ბიზნესინკუბატორების” შექმნამ, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა ინოვაციური ბიზნესის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების ფორმირება. მსგავსი ინსტუტუტები მოწოდებულია, მოიზიდოს ფინანსური რესურსები, განავითაროს ინოვაციური პროცესები და რეალიზება გაუკეთოს პერსპექტიულ სამეცნიერო იდეებსა და შემუშავებებს. ამჟამად “ბიზნესინკუბატორები” აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას და თავიანთი საწყისის ქვეშ აერთიანებენ სასწავლო დაწესებულებებს, სამეცნიერო ინსტიტუტებს, ცენტრებს და აგრეთვე საწარმოებს. ტექნოპარკები მოიცავს რეგიონულ და დარგობრივ საქმიანობას. “ბიზნეს-ინკუბატორის” უმეტესობა შექმნილია სასწავლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების ბაზაზე. საწარმოებს ეძლევათ მოწყობილობები ლიზინგში ხელსაყრელი პირობებით, ეწევათ საკონსულტაციო მხარდაჭერა, დახმარება ბუღალტერიის წარმოებასა და სამეცნიერო კვლევების გასატარებლად.

ინტერესს იწვევს კვების მრეწველობისა და ეკონომიკის აგრარული სექტორის ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების კანადის გამოცდილება, სადაც ინოვაციური განვითარების აქტივიზაციის საკვანძო ინსტრუმენტს წარმოადგენს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები. მაგ., “კანადის

საერთაშორისო სოფლის მეურნეობისა და კვების პროგრამა", რომელიც მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობას, უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზრებზე. "სოფლის მეურნეობის პროგრამა ინოვაციური ბიო პროდუქტები" ანვითარებს სამეცნიერო კვლევებს ბიოტექნოლოგიის სფეროში.

აშშ-ში მრეწველობის მხარდაჭერის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ინოვაციების დანერგვის სტიმულირება წარმოების ყველა სტადიაზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გამოყენებული რესურსების რაოდენობას და ერთდროულად აუმჯობესებს წარმოებული პროდუქციის ხარისხს. ამერიკული ინოვაციური მექანიზმის მნიშვნელოვან შტრიხს სახელმწიფოსა და ბიზნესის მჭიდრო ურთიერთქმედება წარმოადგენს.

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო სტიმულირების 3 ფორმაა ცნობილი: ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურული, ფინანსური. ადმინისტრაციულს მიეკუთვნება მაკროეკონომიკური რეგულირების სისტემა, რომელიც მიმართულია ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისაკენ და საავტორო უფლებების დაცვის სისტემის ფორმირებისაკენ. ინფრასტრუქტურული ფორმა მოიცავს სახელმწიფო შესყიდვებისა და კვალიფიციური პერსონალის ბაზრისა და ინოვაციის ბაზრის ფორმირების მექანიზმებს. ფინანსურ ფორმას მიკუთვნება ინოვაციური პროექტების სახელმწიფო ფონდირება, კერძოდ, სუბსიდიები და გრანტები, ვენჩურული დაფინანსებისა და ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო სტიმულირების გამოყენება.

## დასკვნა

ინოვაციების სტიმულირების საზღვარგარეთული გამოცდილებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საზღვარგარეთის სახელმწიფოების ძირითადი ყურადღება ეთმობა სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის შედეგების ადაპტაციის სტიმულირებას თანამედროვე სამეწარმეო გარემოს მოთხოვნებთან. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ლოკალური და კომპლექსური მექანიზმები, რომლებსაც მიეკუთვნება განსაკუთრებული სტატუსის თანამედროვე ეკონომიკური ზონები.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური პროცესები ვითარდება სახელმწიფო და კერძო დაფინანსების ხარჯზე. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინოვაციური კლიმატი: საკანონმდებლო ბაზა, კვლევების ინფორმაციული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ურთიერთქმედება ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებს შორის. სახელმწიფო ქმნის ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს ქვეყნის შიგნით ინფორმაციულ სისტემას, რომელიც შედგება ინოვატორებისათვის საკონსულტაციო ცენტრებისა და ინოვაციების გავრცელების ცენტრებისაგან. ევროპის კომისიის მიერ ევროპის 30 სახელმწიფოში შექმნილია ინოვაციების გაცვლის ცენტრის ქსელი, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციური ტექნოლოგიების გადატანას სამეცნიერო ორგანიზაციებიდან ბიზნესისაკენ. აშშ-ში, კანადაში, დანიასა და სხვა ქვეყნებში არსებობს ე.წ. გაფართოების სისტემა - ფერმერების მიზანმიმართული სწავლების განასაკუთრებული სახე, რომელიც საშუალებას აძლევს მათ, გამოიყენონ უახლესი სამეცნიერო მიღწევები რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია სამამულო ინოვაციური საქმიანობის შეთავსება წამყვან მსოფლიო გამოცდილებასთან, რომელიც საშუალებას იძლევა შევაფასოთ ეროვნული მეურნეობის ინოვაციური დარგების სტიმულირების შედარებით პერსპექტიული ფორმები და მეთოდები. ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციის ფორმების, მეთოდების და ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში გამოიყენება, შესაძლებელს გახდის ჩვენი ქვეყნის ჩართვას ინოვაციური საქმიანობის საერთაშორისო სისტემაში.

მსოფლიოში ჩამოყალიბებული აზრის საწინააღმდეგოდ, რომელიც გულისხმობს, რომ თითქოს საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო არ არეგულირებს საქონლის წარმოების განვითარებას, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში თითქმის ყველა ბაზარი დამოკიდებულია სახელმწიფოს ჩარევაზე.

საზღვარგარეთის ქვეყნების სამრეწველო განვითარების თანამედროვე ეტაპს უმრავლესობა ახასიათებს როგორც მკვეთრად გამოხატულ ინოვაციურ მიმართულებას. უმეტესობა განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკაში მთავარს წარმოადგენს საკანონმდებლო და ორგანიზაციული ზომების მთელი კომპლექსის რეალიზაცია, რომელიც მიმართულია ქვეყანაში კეთილსასურველი "ინოვაციური კლიმატის" შექმნისა და მხარდაჭერისაკენ. პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს მრეწველობის დარგების ინოვაციური განვითარებისა და ინოვაციური საქმიანობისათვის პირობების შექმნა. საკითხის შემდგომი შესწავლისათვის აუცილებელია

გვესმოდეს, თუ სტიმულირების სხვადასხვა ხერხები და ფაქტორები როგორ ზემოქმედებს ინოვაციურ აქტივობაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. Вагизова В.И. Финансовые инновации в отечественной экономике. Креативная экономика - № 8 (20), Август 2008.
2. Гаврилко Г.Н. Финансовые инновации и колебания деловой активности. Беларусь и мировые экономические процессы : сб. науч. ст. Вып. 11 . − Минск, 2014. – С.124-130.
3. Инновационный менеджмент [Электронный ресурс] // Сберкарт: [сайт]. [2013]. – URL: http://finresult.ru/megdynarodnie-finansi6.html (дата обращения: 14.12.2014).
4. Коптырева, А. В. Финансовые инновации: преимущества, недостатки, перспективы развития в России. Проблемы управления рыночной экономикой: межрегиональный сборник научных трудов. — Томск : Изд-во ТПУ, 2015. — Т. 2. — [С. 84-87].
5. Финансовые инновации в отечественной экономике [Электронный ресурс] // Креативная экономика: [сайт]. [2014]. – URL:. http://www.creativeconomy.ru/articles/254 8/ (дата обращения: 14.12.2014).
6. Финансовые инновации [Электронный ресурс] // GCF FinInnovacii: [сайт]. [2014]. – URL: http://fininnovacii.ru/fininnovacii.php (дата обращения: 14.12.2014).


***Tea Lazarashvili***

### FINANCIAL METHODS OF STIMULATING INNOVATION AND FEATURES OF USE

**Summary**


The article analyzes methods to stimulate innovation in world practice. Particular attention is paid to financial methods of stimulating innovation. The main sources of financing for innovative activities and the practice of their use by countries are characterized, as well as specific methods of stimulating innovation.

It covers the development of innovative processes in economically developed countries and the innovative climate that plays an important role in the development of innovative processes.

Three main forms of state stimulation of innovative activities are discussed: administrative, infrastructural and financial.


***Keywords****: Innovation, methods of stimulating innovation, financial innovation, innovative processes.*

***ზურაბ ლიპარტია***

## საქართველოში სახელმწიფო პროგრამული ბიუჯეტირების სრულყოფის მეთოდოლოგიური მიდგომები


***ანოტაცია.*** *სტატიაში განხილულია ქვეყანაში ეკონომიკური აზრის განვითარების პროცესში სახელმწიფო (საჯარო) ფინანსური პოლიტიკისა და მმართველობითი გა-დაწყვეტილების ოპტიმალურობის დონის, შედეგზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტირების სრულყოფის მეთოდოლოგიური მიდგომები. საქართველოში, საბიუჯეტო სისტემის შედეგების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების პოზიციე-ბიდან გამომდინარე, მაკროეკონომიკური პოლიტიკის განვითარება იძლევა შესაძლებლობას საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად; შესა-ბამისად, შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო სისტემის განვითარების მეთოდო-ლოგიური მიდგომების, შემოთავაზებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზურ-შემფასებელი სისტემების გამოყენებით სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნო-ბრივი პროგრამების შემუშავებას, ეკონომიკური ფაქტორების გამოყენების შესაბამისი მექანიზმების სამეწარმეო პრაქტიკაში დანერგვა-დასამკვიდრებლად საქართველოში.*


***საკვანძო სიტყვები:*** *ეკონომიკური აზროვნება; ეფექტური მართვის პრინციპები; პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიური მიდგომები; ქვეყანაში არსებული ტერიტორიულ-კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტის ხელშემწყობი სახელმ-წიფო ფინანსების მართვის მექანიზმი.*

### პრობლემის დასმა

საჯარო ფინანსების ადმინისტრირების კონტექსტში სახელმწიფო ფინანსების მართვაში, შედეგზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტირების მნიშვნელობის, როლისა და გავლენის განხილვა, სახელმწიფო ხარჯების მართვის რეფორმირების მეთოდებისა და ინსრტუმენტების გამოყენების მიდგომების კვლევა, ფრიად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, თანამედროვე,

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკით მიღებულია, რომ ყველა საბიუჯეტო სისტემამ უნდა განახორციელოს ურთიერთშემვსები და ურთიერთდამოკიდებული ამოცანები, როგორიცაა: 1) საერთო ფისკალური დისციპლინის დაცვა; 2) რესურსების განაწილება სახელმწიფო პრიორიტეტების შესაბამისად; 3) მომსახურებათა ეფექტიანობის ხელშეწყობა.

**გამოწვევების ანალიზი**

სტატიაში მიმოხილულია სხვადასხვა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების შედეგზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის გამოცდილება. შესაბამისად, საერთაშორისო მასშტაბით არსებული პრაქტიკის მიხედვით განხილულია პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის ძირითადი მიმართულებები, მეთოდები და შედეგები. მოცემულია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით პროგრამების გავლენის შეფასების თანამედროვე, აპრობირებული მეთოდოლოგიური მიდგომები და გაანალიზებულია შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო დაგეგმვის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები [1].

კვლევის შედეგად გამოიკვეთა **აშშ-ს, კორეის, კანადის, დიდი ბრიტანეთის** და სხვათა გამოცდილება შეფასების ინდიკატორების შერჩევის საკითხში, რომელიც ქმნის სტიმულებს ბიუჯეტის დაგეგმვის დროს მაღალეფექტიანი პროგრამებისთვის და იძლევა დაბალეფექტიანი პროგრამებისთვის ასიგნებების შემცირების საფუძველს. დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდის საშუალებით გაანალიზებულია მოცემულ ალტერნატივებს შორის საუკეთესო ვარიანტი, არსებული პრაქტიკა და გამოწვევები. კვლევები მოწმობს, რომ ზოგიერთი განვითარებული, წარმატებული ქვეყანა, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ინტენსიურად ახორციელებდა შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების დანერგვასა და მის საბიუჯეტო სისტემაში ინტეგრირებას. სხვადასხვა ქვეყანამ რეფორმის ეტაპებისა და განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით მეტ-ნაკლებად მეტი ან ნაკლები დრო მოანდომა, მაგალითად, კანადის შემთხვევაში პროგრამების შეფასების მეთოდოლოგია და პროგრამების მართვის ახლებური პოლიტიკა მოქმედებაში მოვიდა გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს [2].

**აშშ-ის** საბიუჯეტო სისტემის მართვის კონტექსტში ეფექტიანობის ინდიკატორების შესახებ ინფორმაციის ინტეგრირება გაცილებით ადრე დაიწყო (1947 წელს როცა ჰუვერის კომისია ჩამოყალიბდა და აქტიურად პოზიციონირებდა ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის გამოყენება/დანერგვისათვის, შესაბამისად, ბიუჯეტის დაგეგმვის საუკეთესო მეთოდის მაძიებლები პროგრამის ფინანსური დაგეგმარების სისტემის შემუშავების საკითხთან მივიდნენ. საბიუჯეტო პროგრა-მების დაგეგმვის სისტემის შემუშავება (PPBS) აშშ-ს მთავრობაში 1965 წელს განხორციელდა. იგი წარმოადგენდა პროგრამებს შორის რესურსების განაწილების ინსტრუმენტს და ძირითადად სამი ფაზისაგან შედგებოდა. დაგეგმარების ფაზაში გამოყენებული იყო სისტემების ანალიზი, რათა განსაზღვრულიყო პროგრამის ამოცანები და მიღებულიყო მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. პროგრამების დაგეგმვის ეტაპზე ხდებოდა არსებული საშუალებების განხილვა და მათი დაგეგმარების ფაზისას განსაზღვრულ გადაწყვეტილებებთან შედარება. სხვადასხვა საქმიანობები ჯგუფდებოდა გრძელვადიან პროგრამებად, რის შემდგომაც ხდებოდა მათი შეფასება და შედარება. შესაბამისად, აშშ-ში თანამედროვე სისტემის განვითარება დღესდღეობით ეფუძნება შედეგზე ორიენტირებულ მართვას, რომელიც ფედერალურ დონეზე სამართლებრივად, საკანონდებლო დონეზე რეგულირდება (US Modernization Act of 2010), სადაც განსაზღვრულია და ინტეგრირებულია სტრატეგიული დაგეგმვისა და საბიუჯეტო პროგრამების მართვის მექანიზმები. ფედერალურ დონეზე კოორდინაციისთვის შექმნილია პრეზიდენტის მართვისა და ბიუჯეტის სამსახური (Office of Management and Budget-OMB), რომელმაც ფედერალური პროგრამების შესაფასებლად 2002 წლიდან დაიწყო და მოქმედებაში მოიყვანა მეთოდოლოგია პროგრამათა შეფასების სარეიტინგო სისტემის სახით, რომლის უპირველესი მიზანიც იყო GPRA-ის კრიტერიუმების მიხედვით ფედერალური ორგანიზაციების დაგეგმვისა და ანგარიშგების გაუმჯობესება [3].

**დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ბიუჯეტირების სისტემა** ერთ-ერთი განვითარებული და კარგად ორგანიზებული სისტემაა. იგი ეფუძნება ბიუჯეტირების მიზნობრივი მაჩვენებლების იდენტიფიცირებას, ანუ ისეთ მექანიზმებს, სადაც საჯარო მომსახურებები სახელშეკრულებო სისტემაზეა აწყობილი. ინგლისში საჯარო მომსახურების შეთანხმების სისტემა 1998 წელს ბლერის მმართველობის დროს დაინერგა. ახალი სისტემის მიზანი გაზრდილი დაფინანსების პირობებში საჯარო ფინანსების ეფექტიანად განკარგვა იყო.

**საჯარო მომსახურების შეთანხმების სისტემის** (**PSA - Public Servvice Agreements**)-ს ფარგლებში ეფექტიანობის შესახებ მონაცემები განხილულია როგორც ცენტრალურ ხაზინასა და მხარჯავ უწყებებს შორის ხარჯვის შესახებ მოლაპარაკებების შემადგენელი ნაწილი. აღსანიშნავია რომ პროცესი, რომელიც

მოიცავს უწყებებს შორის ურთიერთობას არ არის მექანიკური. ეს უკანასკნელი გულისხმობს PSA-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას. შესაბამისად, გაზრდილი მოთხოვნებისა და სტანდარტების დანერგვის კვალდაკვალ გაიზარდა მხარჯავი დაწესებულებების უნარები, უკეთ მომსახურებოდნენ ეფექტიანობის შესახებ ანგარიშგებას, რაშიც, ბუნებრივად, ხაზინასთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა ინგლისის უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანომ. **PSA**-ს სტრუქტურა შემდეგი ელემენტებისაგან შედგებოდა (იხ. ნახაზი 1):

| დოკუმენტის სახე | PSA ელემენტები |
|---|---|
| საჯარო მომსახურების შეთანხმების სისტემა (PSA - Public Servvice Agreements) | -მიზნები და ამოცანები, რომელთა მიღწევასაც ისახავს მიზნად საჯარო უწყება;<br>-მისაღწევი შედეგების მიზნობრივი მაჩვენებლები, რომლებიც აწესებს ნათელ და გასაგებ მიზნობრივ მაჩვენებელს თითქმის ყველა ამოცანისათვის; |
| PSA 2 | -ოფიციალური მითითება, თუ ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშნული მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევაზე;<br>-მინიმალური მიზნობრივი მაჩვენებლები პრიორიტეტული სფეროს პროგრა-მისათვის |
| PSA 3 | -„სტანდარტები", რომლებიც განსაზღვრავს უკვე მიღწეული მიზნო-ბრივი მაჩვენებლების საფუძველზე და მიზნად ისახავს წინა პერიოდში წარმატებით განხორციელებული პროგრამების ეფექტიანობის შენარჩუნებას. |

**ნახ. 1. საჯარო მომსახურების შეთანხმების სისტემის (PSA) სტრუქტურა**

**კორეაში** რეფორმები აშშ-ს მოდელის ნაირსახეობას წარმოადგენდა და საფეხურეობრივად და ეტაპობრივად განხორციელდა.

**ავსტრალიური ბიუჯეტირების სისტემა** ითვლება დაწინაურებულ, განვითარებულ სისტემად. ავსტრალიის განვითარებული სისტემა გამოიხატება უპირველეს ყოვლისა სისტემის მახასიათებლებში. კერძოდ, ავსტრალიის ბიუჯეტირების სქემას ახასიათებს შეფასების ინდიკატორების კარგად სტრუქტურიზებული მეთოდოლოგიური ბაზისი. ანუ პროგრამების და ქვეპროგრამების შედეგების შეფასების მეთოდოლოგია იყენებს კარგად დეტალიზებულ პროდუქტიულობის, ეკონომიურობისა და ეფექტიანობის მახასიათებლებს. ავსტრალიაში საჯარო ფინანსების მართვის კონტექსტში 1999-2000 წლებში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. მათ შორის საჯარო ფინანსების საბუღალტრო მეთოდოლოგიური მიმართულებით. შესაბამისად, გაიზარდა ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის ანალიზის საშუალებები და ანგარიშგების ხარისხის სტანდარტი. ავსტრალიამ ასევე წარმატებით განახორციელა ე.წ. სუპერ სამინისტროთა (ანუ მსხვილი დაფინანსების პორტფელური სამინისტროების) რეფორმა, სადაც სამინისტროები პასუხისმგებელნი იყვნენ თავიანთ სექტორებში პრიორიტეტების განსაზღვარაზე. ამ ორგანიზაციულმა მოწყობამ გააადვილა ხარჯვითი პროგრამების შემადგენ-ლობაში ცვლილებების შეტანის პროცესი, რომელიც, შესაძლოა, სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს ადმინისტრაციულ სისტემებში ფუნქციონირების ეფექტურობაზე ორიენტაციის გაუმჯობესებისა და სასურველი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებისათვის.

ამრიგად, პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის ძირითადი მიმართულებების შეფასება-ანალიზი უჩვენებს, რომ თანამედროვე განვითარე-ბულმა ბიუჯეტირების სისტემამ უნდა უზრუნველყოს სამ საკვანძო საკითხზე ფოკუსირება, კერძოდ:

1) დაფინანსების კონტროლი და კანონმდებლობასთან შესაბამისობა;

2) საჯარო ფინანსების მართვით მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა;

3) რესურსების განაწილების ეფექტიანობა.

В отличие от предыдущего кризиса (2008-2009 гг.), когда слабым звеном была финансово-банковская система и не совсем удачные действия некоторых правительств по ее локализации; появившиеся на данный момент вызовы, на наш взгляд, связаны в большей степени с нарушением сложившихся мирохозяйственных связей, а также со значительным снижением спроса в целом ряде отраслей (авиаперевозки, наземные и водные перевозки пассажиров, туризм, гостинично-ресторанная деятельность; сервисно-обслуживающая сфера, культурно-развлекательный сектор и т.д.), что в дальнейшем грозит банкротством и тяжелому восстановлению после кризиса этих сфер деятельности. Кроме того, существенно пострадают предприятия инфраструктуры, которые обеспечивают вышеуказанные отрасли соответствующим оборудованием, машинами, инструментом, профессиональными услугами и т.п. А люди при этом, которые находятся в разных странах мира на карантине в закрытых помещениях и не работают – тратят собственные средства, постепенно уменьшая свои сбережения и богатство. В значительной степени выросла безработица в экономически развитых странах мира и странах, которые развиваются, поэтому спрос даже после отмены карантина не сразу восстановится. Приостановленные производства ТНК и крупных компаний в различных странах мира также снизят экономический рост в мире. Но все же падение активности изначально является наиболее сильным в сфере услуг, особенно там, где они связаны с поездками и развлекательными мероприятиями. В ЕС ЕЦБ сделал соответствующие расчеты (табл.2).

*Таблица 2*

**Первоначальные отраслевые потери в ЕС из-за строгих карантинных мер по блокировке бизнес-структур (процент от валовой добавленной стоимости) [4]**

| № | Сектор экономики | Потери |
|---|---|---|
| 1. | Сельское хозяйство | 10% |
| 2. | Промышленность (кроме производства и строительства) | 40% |
| 3. | Производство | 40% |
| 4. | Строительство | 40% |
| 5. | Розничная торговля, транспорт, размещение, услуги общественного питания | 60% |
| 6. | Информация, связь | 10% |
| 7. | Финансовая и страховая деятельность | 10% |
| 8. | Операции с недвижимостью | 20% |
| 9. | Профессиональная, научная, административная и техническая деятельность | 30% |
| 10. | Государственное управление | 10% |
| 11. | Искусство, развлечения, отдых и другие мероприятия | 30% |

Из табл.2 видно, что наиболее уязвимые отрасли еврозоны – это розничная торговля, транспорт, размещение, услуги общественного питания; строительство и промышленность; профессиональная, научная, административная и техническая деятельность; искусство, развлечения, отдых и другие мероприятия. Поэтому в данных отраслях ожидаются наибольшие потери, банкротства и рост безработицы.

Предполагается, что в ЕС экономические потери из-за блокирования экономических секторов начали накапливаться в марте 2020 года и могут исчерпать свое негативное воздействие к концу 2021 года в рамках умеренного сценария, но также они могут и продолжаться при определенных негативных сценариях, поэтому будут оказывать негативное влияние на экономическую активность в 2022 году при появлении средних и тяжелых сценариях влияния пандемии COVID-19 на мировую экономику. В результате повышенной процикличности мировой торговли в отношении деловой активности в мире, внешний спрос в еврозоне упадет примерно на 7%, 11% и 19% при разворачивании мягкого, среднего и тяжелого сценария соответственно, в 2020 году. Убытки от снижения иностранного спроса в еврозоне по сравнению с уровнем конца 2019 года, вероятно, сохранятся только при суровом сценарии до конца 2022 года. Прогнозируется, что реальный ВВП резко упадет примерно на 5%, 8% и 12% при сценариях слабого, среднего и сильного влияния COVID-19 в 2020 году. Годовой показатель по тяжелому сценарию отражает ежеквартальный рост реального ВВП, который во втором квартале 2020 года снизится до -15%, после чего последует длительное и неполное восстановление, в результате чего квартальные темпы роста составят около 6% и 3% соответственно в III и IV кварталах 2020 года. Поскольку меры сдерживания позволяют постепенно нормализовать экономическую активность, ожидается, что в 2021 году реальный ВВП в еврозоне вырастет примерно на 6%, 5% и 4% при тяжелых, умеренных и средних сценариях, соответственно, в 2021 году [4].

Кроме тяжелых последствий от COVID-19 для двух крупнейших экономик мира: США и ЕС, в международном финансово-инвестиционном секторе I квартал 2020 года также ознаменовался рекордным оттоком иностранных портфельных инвестиций из формирующихся рынков: изъятие средств инвесторами-нерезидентами достигло более 100 млрд долл. США. Эта сумма относительно ВВП этих стран является рекордной за весь период наблюдения. Глобальный финансово-экономический кризис связанный с распространением пандемии COVID-19 в мире существенно повлиял на международные финансовые рынки. На фондовых биржах и финансовых рынках ресурсы становятся более дорогими и труднодоступными для компаний и правительств. Спреды суверенных облигаций на формирующихся рынках, в марте 2020 года выросли на 700 базисных пунктов, что является самым высоким показателем со времен глобального финансово-экономического кризиса 2008-2009 гг.

В связи с ухудшением финансово-экономического положения 22 мая 2020 года Аргентина объявила дефолт по своим внешним облигациям. Страна не выплатила 503 млн долл. США купонных платежей по трем выпускам долларовых облигаций, выпущенных по праву штата Нью-Йорк. Эти облигации должны быть погашены в 2021, 2026 и 2046 годах. Правительство Аргентины ведет переговоры с кредиторами о реструктуризации внешнего долга, который на данный момент достиг 65 млрд долл. США.

С началом эпидемии COVID-19 набирает и обороты процесс снижения мировых цен на сырьевые товары: с середины января до конца марта цены на основные металлы снизились на 15%, природный газ – на 38%, сырую нефть – на 65%. По оценкам UNCTAD, с марта 2019 до марта 2020 мировые цены на металлы упали на 18,4%, а на сельскохозяйственные товары – на 6,8%. По итогам 2020 года, МВФ ожидает падения цен на металлы на 15%, а на продовольственные товары – на 1,8% [5;6].

Ведущие аналитики JPMorgan Chase и Citigroup Inc. провели исследование и прогнозируют потенциальные убытки мировой экономики из-за пандемии коронавируса COVID-19 на уровне 5-5,5 трлн долл. США в следующие два года. По прогнозу Европейской комиссии, спад экономической активности в ЕС будет сопоставим с кризисом 2008-2009 годов, а замедление в Великобритании во втором квартале может оказаться худшим за последние почти 100 лет. Темпы роста ВВП Китая могут опуститься до рекордно низких значений с 1976

года. В США начинается глубокая рецессия, а ВВП страны может, по некоторым оценкам, показать худшую динамику с 1947 года. Правительство Японии ухудшило экономические прогнозы, описав текущую ситуацию, как «тяжелую» и «экстремально депрессивную» из-за распространения коронавируса COVID-19. Вопрос на данный момент времени состоит только в том, станет ли это лишь временным шоком или будет иметь долгосрочные последствия [7;8].

По оценкам МВФ падение мировой экономики составит в 2020 году около 3%, в странах еврозоны упадет на 7,5%, в США – на 5,9%. При этом экономика Китая вырастет на 1,2%. Согласно оценкам международного рейтингового агентства «Fitch», мировой ВВП сократится на 3,9% в 2020 году, экономика еврозоны снизится в этом году на 7%, США – на 5,6% [5;9].

Последние годы темпы роста международной торговли снижаются (по товарам: + 2,3% в 2018 году, - 2,4% в 2019 году /19 трлн долл. США/; по услугам: + 7,7% в 2018 году, + 2,7% в 2019 году /6 трлн долл. США/). Мировая экономика и торговля оказались на грани стагнации еще в 2018-2019 гг., а в 2020 году происходит дальнейшая более глубокая фрагментация и уменьшение масштабов свободной международной торговли (табл.3) [10].

*Таблица 3*

**Темпы роста ВВП мира и мировой торговли за 2009-2019 гг. [11]**

| годы | Темпы роста ВВП мира, % | ВВП мира, млрд долл. США | Экспорт товаров и услуг в мире | Импорт товаров и услуг в мире |
|---|---|---|---|---|
| 2009 | -0,6 | 60 505 | 15 943 | 15 542 |
| 2010 | 4,3 | 66 232 | 19 035 | 18 449 |
| 2011 | 3,9 | 73 648 | 22 588 | 21 937 |
| 2012 | 3,2 | 75 219 | 22 918 | 22 184 |
| 2013 | 3,0 | 77 355 | 23 569 | 22 787 |
| 2014 | 3,3 | 79 236 | 23 933 | 23 252 |
| 2015 | 3,7 | 74 883 | 21 309 | 20 974 |
| 2016 | 3,9 | 76 019 | 20 890 | 20 379 |
| 2017 | 4,0 | 80 789 | 22 945 | 22 444 |
| 2018 | 3,6 | 85 693 | 25 034 | 24 427 |
| 2019 | 2,3 | 87 664 | 25 282 | 23 694 |
| 2020 /прогноз/ | -3 | 82 000 | 21 000 | 20 000 |

Анализ табл.3 показывает, что даже до эпидемии COVID-19 последние 3-4 года темпы роста мирового ВВП затухали, к тому же импорт и экспорт показывал в основном худшую динамику, по сравнению с ростом ВВП в мире. Такие данные свидетельствуют об усилении деглобализационных процессов в мире, фрагментации и сужении мировой торговли. Поэтому наступивший кризис 2020 года еще больше усугубит экономическую активность в мире, что приведет, на наш взгляд, к потерям от 3% до 7% по мировому ВВП и международной торговле.

По данным международного издания «Business Insider» ученые Австралийского национального университета смоделировали 7 сценариев воздействия эпидемии коронавируса (COVID-19) на мировую экономику. По мере распространения этого коронавируса при оптимистическом сценарии его жертвами станут 15 млн. человек, а мировой ВВП потеряет 2,4 трлн долл. США. Они смоделировали свои оценки по примеру пандемии гриппа в Гонконге, от вспышки которого в 1968-1969 годах погибли около 1 млн. человек. В модели высокой степени тяжести, смоделированной после пандемии испанского гриппа, по которой в период с 1918 по 1920 годы в мире погибло примерно 17-50 млн. человек, глобальные потери ВВП могут достигать 9 трлн долл. США. По этой модели число погибших превышает 68 млн. человек [12].

В таких условиях каждой стране необходимо иметь собственный план действий по стабилизации системы здравоохранения и социально-экономических процессов. Данный вирус нельзя быстро победить, поэтому необходимо постепенно ослаблять карантин после улучшающейся системной статистике по заболевшим, проводить профилактические работы, совершенствовать дистанционно-удаленную работу. Для стран, которые существенно интернационализированы в международное сотрудничество и торговлю необходимо постоянно оценивать риски закрытия стран, которые являются важными торговыми партнерами и где экспорт может значительно снизиться. Эффективным средством будет и запуск системы мониторинга и информирования отечественных производителей, особенно экспортеров, об изменениях по условиям доступа на внутренний и внешние рынки. Также необходимо активизировать работу правительственных структур и внешнеторговых представительств по переговорам и консультациям с основными торговыми партнерами о продлении бесперебойных поставок. Поэтому целесообразно сформировать новые оптимальные логистические маршруты для реализации товаров в условиях карантина.

Учитывая деглобализационные процессы, все большую закрытость между странами, необходимо каждой современной стране сосредоточится на самосовершенствовании внутренних технологий с получением в даль-

нейшем мировых конкурентных преимуществ. По критическому импорту, целесообразно постепенное уменьшение такой зависимости, так как имеющиеся вызовы изоляции в условиях карантина могут серьезно дестабилизировать страну без сильных институтов и внутреннего самодостаточного рынка.

Фискально-кредитные механизмы являются также эффективными стимулирующими мерами, которые должны обеспечить отечественную высокотехнологичную продукцию оборотными средствами и кредитными ресурсами, поэтому необходимо запустить мониторинг ставок ведущих стран-партнеров по международному сотрудничеству и пытаться постепенно сравниться с ними хотя бы по позициям высокотехнологичных товаров на экспорт, товаров с высокой добавленной стоимостью. Для экспортеров такой продукции, как минимум необходимо страховать товары на экспорт, предоставлять гарантии экспортерам и предоставлять кредиты покупателям высокотехнологичной экспортной продукции; а как максимум – инвестировать и предоставлять льготные кредиты в наиболее перспективные экспортоориентированные и импортозамещающие товары и технологии. Эта деятельность целесообразна при активизации экономической дипломатии, усилении торгово-экономических миссий, фокусировке на наиболее перспективных странах экономического сотрудничества.

В период глобального экономического спада и волатильности финансовых рынков специалисты МВФ предоставляют такие советы правительствам и центральным банкам стран с формирующимися рынками:

1. Кредитные менеджеры должны ориентироваться на мероприятия и механизмы, которые срабатывают в условиях ограниченного доступа к внешнему финансированию в течение длительного периода времени; а странам, которые имеют высокие потребности во внешнем финансировании и у них ограничен доступ к рыночным займам, к тому же динамика долга которых стремительно ухудшается, следует искать варианты реструктуризации долгов с их кредиторами, включая официальных кредиторов. Поэтому сотрудничество с партнерами-кредиторами является важным аспектом для стабильности финансово-инвестиционной сферы.

2. Большинство развивающихся стран, должны найти тонкий баланс между учетом потребностей экономического развития и обеспечением долговой устойчивости. Достижения этого баланса требует использования здоровой системы среднесрочного бюджетного планирования, увеличение внутренних доходов, повышение эффективности государственных расходов, а также улучшения качества государственного регулирования и действенности правовых институтов. В этом контексте следует усиливать сотрудничество между разными органами власти для достижения оптимального и устойчивого развития.

3. В сфере управления государственным долгом активные усилия должны быть направлены на управление рисками с учетом новых вызовов в сфере структурирования портфеля долговых обязательств. Весомыми задачами в этой сфере является уменьшение рисков условных обязательств, расширение сферы действия долговой статистики и обнародования регулярных отчетов об управлении государственным долгом. Учитывая внутреннее состояние, целесообразно проводить стратегически взвешенную политику долговой нагрузки на бюджет, что бы она не подавляла бы экономический рост бизнес-структур и социальное положение населения, и в то же время ориентировалась на постепенное снижение абсолютной величины валютного внешнего и внутреннего национального долга [5].

Пандемия COVID-19 показала насколько важна также в современных условиях IT-сфера, поэтому целесообразным было бы активизировать бизнес-структурам и органам власти подготовку, переподготовку персонала, особенно при учреждениях социальной помощи по безработице. Благодаря этому динамичному сектору экономика современной страны может еще быстрее расти. При этом, не тратятся значительные ресурсы на обновление производственных фондов, инфраструктуру, нет серьезных экологических загрязнений и последствий. Такой же перспективной сферой является и фармацевтика, но подготовка специалистов этой профессии требует значительного периода времени и соответствующих узкопрофильных квалифицированных преподавателей, наличие современных производственных фондов, умение патентования и брендирование перспективных образцов фармацевтической продукции. Стратегически эту сферу необходимо иметь не только с экономических позиций, но и с позиций безопасности в XXI веке. В связи с этим постепенно нужно инвестировать в медико-фармацевтическую отрасль средства, чтобы чувствовать себя относительно безопасно в условиях существующих вызовов и критически не зависеть от развитых стран мира и стран мира, которые развиваются по технологиям, продуктам и необходимым медицинским товарам.

На наш взгляд, в мировой экономике должно произойти изменение подходов к оценке внешних рынков. Современная мировая экономика очень динамичная и непрогнозируемая, поэтому нужно быстро приспосабливаться к существующим вызовам и адаптироваться перед ними соответствующими мерами протекционизма (если страна-импортер, продает нам, то должна на таком же уровне и нашу продукцию закупать). Кроме того, торговые войны гегемонов мировой экономики (США, Китай, ЕС) нужно использовать в собственных целях и при соответствующих условиях пользоваться этим, заменять освободившиеся ниши международной торговли. Для этого необходимо иметь соответствующий оперативный штаб, как в правительстве, так и стимулировать предпринимательский сектор быть более динамичными.

Отметим, что кризис – это не только риски и потери, это также и появление новых возможностей, особенно во внешнеэкономическом пространстве. Когда кризис закончится, и спрос на мировых рынках восстановится, то быстрое реагирование экономики определенной страны на встраивание в новые ниши и сегменты спроса – предоставит конкурентное преимущество и выведет экономику страны-производителя из кризисного состояния в лидеры роста. Поэтому целесообразно формировать обновленную стратегию внешнеэкономической экспансии на основе динамичности и прагматичности. При этом значительная технологичность и иннова-

ционность способствует устойчивости и конкурентоспособности на внешних рынках даже во время кризисных явлений. А запущенная правительством и активным бизнес-сектором система диверсификации рынков способствует переориентированию на регионы более быстрого восстановления и активизирует восстановление производства. В связи с этим динамичная экспортоориентированность будет способствовать быстрейшему выходу из кризиса и стагнации, но в XXI веке это возможно только при фокусировке отечественных компаний на инновационность и нахождение новых рынков [13;14;15].

**Заключение**. Мировая экономика, на наш взгляд, подошла к своему очередному этапу трансформации с перспективой глубоких и фундаментальных изменений, предусматривающих возвращение к самодостаточным экономикам и в какой-то степени к деглобализационным процессам, к стратегически осмысленным пересмотрам существующих торгово-промышленных цепей добавленной стоимости в мире. Причиной этого процесса являются правительства государств-гегемонов (США, Китай, ЕС), которые пытались изменить процессы глобализации под свои правила и желания, что и привело к снижению темпов экономического сотрудничества в последние годы. К тому же пандемия COVID-19 показала, что только эффективные многосторонние действия могут противостоять таким угрозам, как болезни, бедность, изменение климата, кибератаки, распространение ядерного оружия и терроризм. В случае с пандемией коронавируса, чем менее зависима национальная экономика от импортных поставок, чем меньше она нуждается в других партнерах из разных стран мира, тем меньшему риску подвергается. Зато преимущества сильно специализированных экономик становятся все менее очевидными. Комплексно и разносторонне развитой хозяйственный комплекс в определенной стране будет способствовать более быстрому выходу из кризиса и повышению конкурентности определенной страны. Экономическая самодостаточность и безопасное функционирование становятся синонимами в современных условиях. При этом, на наш взгляд, пандемия COVID-19 скорее всего приведет к двум наиболее вероятным сценариям:

Легкий (быстрое восстановление), который характеризуется быстрым восстановлением существующих логистических цепочек добавленной стоимости в мире, уровень безработицы не будет критичным, все пострадавшие отрасли при соответствующей поддержке правительств и эмиссионных центров смогут быстро восстановить экономическую активность, при этом долговая нагрузка не будет критична;

Тяжелый (медленное в несколько этапов восстановление), который сопряжен со многими рисками высокой безработицы, значительным снижением деловой активности и непомерным увеличением долговой нагрузки на бюджеты пострадавших стран; как следствие будет повышенная или неконтролируемая инфляция, усиление торгово-экономических конфликтов между странами, протекционизм, переходящий в изоляционизм.

В целом, мировая экономика будущего под действием разносторонних факторов и в том числе под действием пандемии COVID-19 выводит три основные тенденции, несколько модифицирующие хаотичный и не всегда эффективный капитализм, с которым мир вступил в XXI век. Во-первых, прослеживается увеличение роли государств по сравнению с рынком в противовес тенденциям укрепления свободы предпринимательства, которые наблюдались в последние десятилетия. Во-вторых, проявляется все большее сопротивление гиперглобализации, которая возможно уступит место национальным производственным автономиям, что приведет к переформатированию логистических цепочек и посодействует более конструктивным формам глобализации. В-третьих, пересмотр амбиций в отношении экономического роста, да и само понятие этого роста может быть переосмыслено в сторону экологического, интеллектуального, социального и в целом, более гармоничного развития.

## Использованная литература


1. Daily confirmed new cases (5-day moving average), 2020, Outbreak evolution for the current 10 most affected countries / 23.05.2020 / URL: https://coronavirus.jhu.edu/data/new-cases
2. COVID-19 Dashboard by the Center for Systems Science and Engineering (CSSE) at Johns Hopkins University, 2020, World map / 23.05.2020 / URL: https://coronavirus.jhu.edu/map.html
3. Daily confirmed new cases (5-day moving average), 2020, Outbreak evolution for the current 10 most affected countries / 23.05.2020 / URL: https://coronavirus.jhu.edu/data/new-cases
4. Niccolò Battistini, Grigor Stoevsky, 2020, Alternative scenarios for the impact of the COVID-19 pandemic on economic activity in the euro area. ECB Economic Bulletin, Issue 3/2020. European Central Bank. URL: https://www.ecb.europa.eu/pub/economic-bulletin/focus/2020/html/ecb.ebbox202003_01~767f86ae95.en.html
5. International Monetary Fund, 2020, Official site. URL: https://www.imf.org/en/Topics/imf-and-covid19
6. Argentina to make new offer to creditors as it heads for default, 2020, Financial Times. 22.05.2020. URL: https://www.ft.com/content/0750699a-4e81-4eff-ae32-f3f2075c8285
7. 5,5 трлн. долларов: эксперты подсчитали потенциальные убытки от пандемии, 2020, интернет-издание «Зеркало недели». 9 апреля 2020. URL: https://dt.ua/ECONOMICS/5-5-trln-dolariv-eksperti-pidrahuvali-potenciyni-zbitki-vid-pandemiyi-344150_.html
8. Bloomberg сравнил текущий кризис с предыдущими, 2020, информационное агентство «ProFinance.ru». 27.03.2020. URL: http://www.profinance.ru/news/2020/03/27/bx30-bloomberg-sravnil-tekuschij-krizis-s-predyduschimi.html
9. Официальный сайт международного рейтингового агентства «Fitch», 2020. URL:

https://www.fitchratings.com/research/sovereigns/fitch-revises-ukraine-outlook-to-stable-affirms-at-b-22-04-2020

10. Свежая статистика: международная торговля товарами сокращается, потребительские цены растут, рост населения планеты замедляется, 2019, рубрика: Экономическое развитие. Новости ООН. 10 декабря 2019 года. URL: https://news.un.org/ru/story/2019/12/1368851

11. Gross domestic product: GDP by type of expenditure, VA by kind of economic activity, total and shares, annual, 2020, UNCTATSTAT URL: https://unctadstat.unctad.org/wds/TableViewer/tableView.aspx?ReportId=95

12. Rosy Perper, 2020, As the coronavirus spreads, one study predicts that even the best-case scenario is 15 million dead and a $2.4 trillion hit to global GDP. Business Insider. 05.03.2020. URL: https://www.businessinsider.com/coronavirus-death-toll-global-gdp-loss-australian-national-university-study-2020-3

13. Богдан Т., 2020, Дефіцит державного бюджету та управління боргом у I кварталі 2020 року. Аналітичний звіт. GROWFORD Institute: Київ, 33 с.

14. Редзюк Є.В., 2010, Трансформація фінансово-економічних відносин у світі в період нестабільності. Теорії мікро-макроекономіки. Випуск 35, с.35-40

15. Редзюк Є.В., 2017, Прямі іноземні інвестиції: можливості для продуктивного економічного зростання в Україні / Фінанси України / Випуск №3, с.96-110

***Yevhenii Redziuk***

**FEATURES AND CONSEQUENCES OF THE CRISIS OF THE COVID-19 PANDEMIC ON GLOBAL ECONOMIC ACTIVITY**

**Summary**

The article considers the impact of the COVID-19 pandemic on world economic processes, international business activity, and the adaptability of the state apparatus to anti-crisis actions. The author presents modern statistics and approaches to counteract the spread of crisis phenomena in the global economy. The possibilities and potential for the quick recovery of the world economy based on new rules that take into account current trends are identified. Based on a comprehensive analysis, it is proposed to prepare for various scenarios for quitting quarantine and to be ready for the formation of economic self-sufficiency within the country.

***Keywords:*** *world economy, crisis and global economic activity, COVID-19 and economic recovery*

*ავთანდილ სულაბერიძე*
*ვლადიმერ სულაბერიძე*
*ვანო შუშტაკაშვილი*

## პანდემიის დემოგრაფიული ასპექტები და თვითმოვლითი ქცევა

***ანოტაცია.*** *ნაშრომში განხილულია პანდემიაზე მოქმედი დემოგრაფიული ფაქტორები. საქართველოსა და COVID-19-ით დაინფიცირებული ზოგიერთი ქვეყნის სტატისტიკური მონაცემების ფონზე გაანალიზებულია პანდემიაზე მოქმედი დემოგრაფიული ფაქტორების თავისებურებანი. მოცემულია თვითმოვლითი ქცევის არსი, როგორც  სოციალური უსაფრთხოების ერთ-ერთი მეთოდი.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია, დემოგრაფიული ფაქტორები, სოციალური უსაფრთხოება, თვითმოვლითი ქცევა, ასაკობრივი სტრუქტურა.*

### შესავალი

მსოფლიო ახალი გლობალური გამოწვევის წინაშე დგას. ახალმა COVID-19-ის პანდემიამ მოსახლეობის ჯანმრთელობის გარდა სერიოზული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა სახის პრობლემები გამოიწვია. პრობლემის გადაჭრას ართულებს პანდემიის წარმომავლობის და განვითარების გაურკვევლობა, მის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებების და ვაქცინის ჯერ-ჯერობით არარსებობა და სხვა.

პანდემიები პირდაპირ კავშირშია დემოგრაფიულ ფაქტორებთან. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვებს და ხანდაზმულებს აქვთ სუსტი იმუნური სისტემა და, ხშირ შემთხვევაში, ქრონიკული დაავადებები, ისინი განსაკუთრებით დაუცველნი არიან ვირუსებისგან. COVID-19-ის სიმძიმე არ არის დამოკიდებული მხოლოდ ქვეყნის ჯანმრთელობის სისტემის მდგომარეობასა და გასატარებელი პოლიტიკის ზომებზე, არამედ ასაკობრივ სტრუქტურაზე, მოსახლეობის რეგიონულ გაადგილებაზე, პიროვნების, ოჯახის და საზოგადოების თვითმოვლითი ქცევის ხარისხზე და საერთოდ სოციალურ

ქცევაზე. ძირითადად სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავს რამდენად მძიმე შედეგები მოჰყვება COVID-19-ის პანდემიას მსოფლიოს და ცალკეული ქვეყნების მასშტაბით.

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19–ის წინააღმდეგ, მის სრულ გაუვნებელყოფამდე, მსოფლიოს პირველადი ძალისხმევა ფოკუსირებულია მსოფლიოში პანდემიის გავრცელების შენელებისა და მისი დაუყოვნებელი ზემოქმედების შემცირების საკითხზე, გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც მოსა-ლოდნელია მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები. ამიტომ პასუხი უნდა გაეცეს რიგ კითხვებს, რომელნიც პადემიის დასაწყიშივე გაჩნდა.

კითხვები მრავლადაა, რასაც განაპირობებს უახლესი პანდემიის COVID-19-ის მოქმედების ირგვლივ არარსებული ინფორმაცია. ამიტომ, მის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა არის ძირითადად არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ სხვა დარგებში მოღვაწე მეცნიერების, მკვლევარების და საერთოდ მსოფლიო საზოგადოების თავის ტკივილის წამალი. მის შექმნამდე კი აუცილებელია ადამიანებს მივაწოდოთ COVID-19-ით დაინფიცირების თავიდან აცილების თვითმოვლითი ქცევის მეთოდები, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს არა მხოლოდ ცალკეული პიროვნების, არამედ მთელი საზოგადოების სოციალურ უსაფრთხოებას.

**პანდემია ორი დემოგრაფიული იდეოლოგიის ფონზე**

მოსახლეობის ორი ძირითადი დემოგრაფიული იდეოლოგიის დაპირისპირება ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან მომდინარეობს. მეცნიერთა და საზოგადოების ერთი ნაწილი მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის მომხრეა, ხოლო მეორე მისი შემცირების (თუნდაც ხელოვნურად). ამ უკანასკნელთა იდეოლოგია, როგორც COVID-19 ხელოვნურად შექმნის ეჭვის საფუძველი, ერთ-ერთი კითხვაა და გამომდინარეობს გლობალისტთა (ნეომალთუსიანელთა) მიზნიდან პლანეტის მოსახლეობის შემცირების თაობაზე, რომელიც მე-18-საუკუნეში თომას მალთუსის შექმნილი თეორიიდან გამომდინარეობს, რომ დედამიწაზე მოსახლეობის აღწარმოება გარკვეულ ზღვარს უნდა ექვემდებარებოდეს და რადგან ადამიანთა საარსებოდ ნაკლები საშუალებებია, მოსახლეობის რაოდენობა უნდა შემცირდეს. ეს თეორია ბიოლოგიურ დეტერმინიზმს ეფუძნება და შიმშილის, ომებისა და ეპიდემიების ძირითად მიზეზად მოსახლეობის ზრდის მაღალ ტემპს მიიჩნევს. ამ თეორიის მიმდევარ გლობალისტთა კასტის ნაწილი კარგა ხანია მოკალათებულია მსოფლიოს გავლენიან საერაშორისო ორგანიზაციებში (მაგ., გაერო) და ფონდებში, ხოლო ზოგიერთმა, რომელთა ქონება და სიმდიდრე მრავალჯერ აღემატება განვითარებადი და ღარიბი ქვეყნების ბიუჯეტს, მოსახლეობის შემცირების და ოჯახის გადაგვარების მიზნით საკუთარი ფონდებიც კი შექმნეს (ჯორჯ სოროსი, ბილ გეითსი, როკფელერი და სხვ.). როგორც აშშ-ს პრეზიდენტი დ. ტრამპი აღნიშნავს, საიდუმლო (ჩრდილოვანი) სახელმწიფოს შექმით მათ სურთ კაცობრიობა მართონ თავიანთ ნებაზე და მასთან ერთად შეამცირონ მოსახლეობა პირადი ეგოისტური მიზნებით. COVID-19-ის ხელოვნურად შექმნის ეჭვს ამლიერებს სხვადასხვა წლებში მსოფლიოს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების, გამოჩენილი ავტორიტეტული პირების და მეცნიერების შეხედულებების ღიად გამონათქვამები. ჯერ კიდევ 1959 წელს „იუნესკოს“ გენერალური დირექტორი ჯულიან პაკსლი აცხადებდა, რომ „...თუ ბავშვების გაჩენის თავისუფლება არ შეიზღუდა, გაქრება ყველა ჩვენი თავისუფლება...“ მას ეთანხმება ჩარლზ დარვინის შვილიშვილი პროფ. ჩარლზ დარვინი: „გაქრება ჩვენი თავისუფლება... თავისუფლება მონახო შენი ავტომობილის დასაყენებელი ადგილი... ანდა თავისუფლება მონახო გასასეირნებლად სასიამოვნო მწვანე მინდორი.“ ტომას ზარლოუ იროდის სთვლიდა დიდ ისტორიულ პიროვნებად, რადგან მან შეძლო ყრმათა ამოჟლეტა [გუგუშვილი პ., 1979: 337-338].

მოსახლეობის შემცირებისკენაა მიმართული 1980-იან წლებში ამერიკის ჯორჯიის შტატში აღმართული მარმარილოს სტელაჟები წარწერით: დაე, დედამიწის მოსახლეობა 500 მილიონს არ აღემატებოდესო. ჟაკ კუსტოს მიაჩნია, რომ მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციისთვის მოსახლეობა ყოველდღიურად 350 ათასი ადამიანით უნდა განადგურდეს. გასაოცარია კომუნისტური იდეების მქადაგებლის და საბჭოთა ხალხზე გულდათუთქული მიხეილ გორბაჩოვის აზრი, რომ მოსახლეობის 90 პროცენტით შემცირება ეკოლოგიურ პრობლემებს გადაჭრიდა. მოსახლეობის შემცირების ზოგიერთი მოსურნე მუქარაზეც კი გადავიდა. მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი ჩინოვნიკი მოსახლეობის საქმეთა საკითხებში თომას ფერგიუსონი იმუქრება, რომ მოსახლეობის შემცირებას ან ჩვენი კარნახით შეასრულებენ კარგი და სუფთა მეთოდების საშუალებით, ან მიიღებენ უსიამოვნებებს... მოსახლეობა პოლიტიკური პრობლემაა რახან მოსახლეობა კონტროლს აღარ ექვემდებარება, მას ავტორიტარული მთავრობა სჭირდება, ფაშისტურიც კი, რათა შემცირდეს მისი რაოდენობა [სანებლიძე ა., 2012. N 27].

თანამედროვე მალთუსელები თავის გამოსვლებში არ მალავენ, რომ არ მოსწონთ დედამიწაზე მოსახლეობის ზრდა. მის შესამცირებლად ნაცისტურ რეკომენდაციებსაც კი იძლევიან. მაგალითად, მარგარეტ სენჯერი, მწერალი და ოჯახის დაგეგმვის ამერიკის ფედერაციის დამფუძნებელი გულმოწყალების უმაღლეს გამოვლენად მიიჩნევდა ოჯახის მიერ თავისი ერთ-ერთი შვილის მოკვდინებას. მისი აზრით შობადობის ასეთი რეგულირება უფრო სუფთა რასამდე მიგვიყვანს. COVID-19 ხელოვნურად შექმნის თაობაზე არ შეიძლება ეჭვი არ გაგიჩნდეს ედინბურგის ჰერცოგის პრინც ფილიპის (ელისაბედ მეორის მეუღლე) სურვილის შემდეგ: «რომ შემეძლოს, დედამიწას მკვლელი ვირუსის სახით დავუბრუნდებოდი, რათა შემემცირებინა კაცობრიობის პოპულაცია». ან კიდევ ულტრამილიარდერის ბილ გეიტსის მოსაზრებაზე, რომ მოსახლეობის 10-15%-მდე შემცირება შესაძლებელია რეპროდუქციაში ახალი ვაქცინების გამოყენებით [სანებლიძე ა., 2012. N 27]. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მასმედიის ცნობით, ბილ გეითსი დღეისათვის აფინანსებს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინას, რაც მიანიშნებს მის გადარჩენაზე და შიშზე, რომ პანდემია არავის არ ინდობს, არც მილიარდერს და არც უქონელ ღატაკს. შესაბამისად, მიუხედავად მოსახლეობის ზრდის შესახებ შეხედულებებისა, პანდემიასთან ბრძოლა ყველას საქმეა.

## პანდემიის დემოგრაფიული ფაქტორები

COVID-19-ის განვითარება გარკვეულწილად დაკავშირებულია დემოგრაფიულ ფაქტორებთან, განსაკუთრებით მოსახლეობის რაოდენობასა და სიმჭიდროვესთან, მის გაადგილებასთან, ასაკობრივ ტრუქტურასა და მიგრაციასთან.

მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში პანდემიის გავრცელების ტემპს, რაშიც მთავარ როლს ურბანიზაციის დონე თამაშობს, რამდენადაც მოსახლეობის პანდემიის „იმპორტი“ ქვეყანაში უცხოეთიდან შემოსული მოქალაქეების გადაადგილების და ტურიზმის შედეგია. საქმე ისაა, რომ პირველად ეს ადამიანები (მ.შ. დაინფიცირებულები) ძირითადად სწორედ ქვეყნის დედაქალაქებში და დიდი ქალაქებში ჩადიან და მოსახლეობის დაინფიცირების პირველ წყაროს წარმოადგენენ. მოსახლეობის შიგა მიგრაცით გადაადგილების შედეგად კი მიმდინარეობს ვირუსის გავრცელება სხვა ქალაქებსა და სოფლებში. პანდემიით დაინფიცირების ტემპს და დონეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს ამ დასახლებული პუნქტებს შორის მანძილი, მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. მეტრზე 59,9 კაცს შედგენს, მაგრამ მოსახლეობის არათანაბარი გადაადგილების და ცალკეული ქვეყნების თავისებურებათა გამო პანდემიის გავრცელება ერთბაშად ყველა ქვეყანაში არ მომხდარა. იმ ქვეყნებში, რომელიც დიდ ტერიტორიებს ფლობენ და შესაბამისად მოსახლეობის სიმჭიდროვე დაბალია მაგალითად, აშშ (1 კვ. კმ-ზე 36,2 კაცი), რუსეთი (8,9 კაცი), ბრაზილია (25,4 კაცი) და სხვ. პანდემია გავრცელებულია ძირითადად დედაქალაქებსა და დიდ ქალაქებში, სადაც მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე. მათ საპირისპიროდ მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის მქონე ქვეყნები: იაპონია (346,9კაცი), ჩინეთი (153,3 კაცი), იტალია (205,8 კაცი), გერმანია (240,4 კაცი), საფრანგეთი (119,2 კაცი) და სხვ. ვერ ასცდნენ დაინფიცირების მაღალ დონეს. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ქვეყნებში ქალაქები კომპაქტურადაა განლაგებული და მათ შორის მანძილი დიდი არ არის და მათზე ტურისტული მარშრუტები გადის.

შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოს მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი (57,4 კაცი) ჩამორჩება არა მხოლოდ მსოფლიოს საშუალო დონეს, არამედ სომხეთისას (104,1 კაცი) და აზერბაიჯანისას (122,2 კაცი). ჩვენი აზრით, გარდა მთავრობის და ჯანდაცვის ორგანიზაციების გატარებული ღონიძიებებისა, პანდემიის გავრცელებაში არსებითი როლი მოსახლეობის სიმჭიდროვემაც ითამაშა, რის შედეგადაც პანდემიით დაინფიცირების მაჩვენებელმა ოთხი თვის მანძილზე (20. 06. 2020-ის მონაცემებით) საქართველოში 898 კაცი შეადგინა და გარდაიცვალა 14 კაცი, მაშინ, როცა სომხეთსა და აზერბაიჯანში დაინფიცირებულთა რაოდენობამ შესაბამისად 1300 და 1444 კაცი, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობამ 1000 და 133 კაცი შეადგინა.

**ცხრილი 1. მოსახლეობის სიმჭიდროვე (კაცი 1 კვ. მეტრზე) საქართველოში, მის მოსაზღვრე და COVID-19-ით მაღალი დაინფიცირების მქონე ზოგიერთ ქვეყანაში (%), 2020 წ.**

| წლები | 2000 | 2005 | 2010 | 2015 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 62,8 | 60,6 | 59,0 | 57,9 | 57,4 |
| მსოფლიო | 47,2 | 50,3 | 53,5 | 56,7 | 59,9 |
| სომხეთი | 107,8 | 104,7 | 101,1 | 102,8 | 104,1 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | 98,3 | 103,3 | 109,3 | 116,4 | 122,7 |
| რუსეთი | 8,9 | 8,8 | 8,8 | 8,9 | 8,9 |
| ჩინეთი | 137,5 | 141,7 | 145,8 | 149,9 | 153,3 |
| იაპონია | 349,8 | 352,0 | 352,6 | 351,1 | 346,9 |
| ბრაზილია | 20,9 | 22,3 | 23,4 | 24,5 | 25,4 |
| იტალია | 192,7 | 198,1 | 201,7 | 206,0 | 205,6 |
| ესპანეთი | 81,8 | 88,3 | 94,1 | 93,6 | 93,7 |
| საფრანგეთი | 107,8 | 111,6 | 114,8 | 117,7 | 119,2 |
| გერმანია | 233,5 | 234,1 | 231,9 | 234,6 | 240,4 |
| აშშ | 30,8 | 32,2 | 33,8 | 35,1 | 36,2 |

*წყარო:* World Population Prospects 2019.

პანდემიის გავრცელების ძირითად დემოგრაფიულ ფაქტორს მიგრაცია წარმოადგენს. ადრეულ საუკუნეებში სატრანსპორტო საშუალებების განუვითარებლობის გამო ტერიტორიათაშორის გადაადგილებას ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა, რის შედეგადაც პანდემიის სხვა ტერიტორიაზე გავრცელების ტემპი დაბალი იყო. აღსანიშნავია, რომ დაინფიცირებული ტერიტორიიდან პანდემია ძირითადად სავაჭრო გემებზე მყოფ დაინფიცირებულ ვირთხებს გადაჰქონდათ. წინა საუკუნეებისგან განსხვავებით, დღეისათვის სატრანსპორტო საშუალებების განვითარებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა არა მხოლოდ დიდი მანძილით დაშორებულ ტერიტორიათა (ქვეყნებს) შორის, არამედ კონტინენტთა შორის პანდემიის გავრცელების ტემპი, ხოლო მის ძირითად გამავრცელებლად საერთაშორისო მიგრანტები და ტურისტები მოგვევლინნენ.

რაც შეეხება შიგა მიგრაციას, იგი ტერიტორიის (ქვეყნის) შიგნით პანდემიის გავრცელების ძირითადი დემოგრაფიული ფაქტორია და მისი შეჩერება ქვეყნის ხელისუფლების მირ გატარებულ ღონისძიებებზეა დამოკიდებული. მაგალითად, საქართველოს მთავრობის მიერ, ქვეყანაში ერთი თვით საგანგებო მდგომარეობის დროული გამოცხადებით შიგა რაიონთაშორისი მოსახლეობის მიგრაცია შეიზღუდა, ხოლო საერთაშორისო მიგრაცია, სხვა ქვეყნების მსგავსად, საერთაშორისო ფრენების დროებით შეწყვეტით შეაჩერა. არსებითი როლი ითამაშა დედაქალაქის მსგავსად COVID-19-ის ვირუსისგან დაინფიცირებულ რაიონებში (მარნეულსა და ბოლნისში) გამოცხადებულმა კარანტინმა.

პანდემიის შედეგები დიდადაა დამოკიდებული დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. განსაკუთრებით მძიმე შედეგები შეიძლება მოუტანოს დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნებს, თუმცა ასევე დაბალი იმუნიზაციის გამო, შესაძლებელია ბავშვთა მოკვდაობის ზრდაც. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დასკვნით, პანდემიის „ძირითად სამიზნეს" ბავშვები და ხანდაზმული მოსახლეობა წარმოადგენს, თუმცა გასათვალისწინებულია ქრონიკული დაავადებების მქონე შუახნის ასაკის მოსახლეობაც. დემოგრაფიული სტრუქტურიდან, სუსტი იმუნური სისტემის ქონის გამო სწორედ ეს ჯგუფებია განსაკუთრებით დაუცველი COVID-19-ის ვირუსისგან და ითვლებიან დაინფიცირების მაღალი რისკის მქონე ჯგუფებად. მართალია დღეისათვის ცალკეული ქვეყნები, მ.შ. საქართველო ყოველდღიურად იძლევიან სტისტიკურ ინფორმაციას COVID-19-ით დაინფიცირებულთა, გამოჯანმრთელებულთა და გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის შესახებ, მაგრამ მათზე მეცნიერული დასკვნის გაკეთება არამართებულია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პანდემია გრძელდება და შესაბამისად დავირუსებულთა რაოდენობა მცირე პერიოდს ასახავს, მეორეც, მონაცემები არ არის მოცემული სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნიეთ საქართველოში, მის მოსაზღვრე და COVID-19-ით მაღალი დაინფიცირების მქონე ზოგიერთ ქვეყანაში გაგვეანალიზებინა 2020 წლის დემოგრაფიული სტრუქტურა (იხ. ცხრილი 2) და მაღალი დაინფიცირების ასაკობრივი ჯგუფების შედარების საფუძველზე შეგვეფასებინა დაინფიცირების რისკი.

**ცხრილი 2. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა გამსხვილებული ჯგუფების მიხედვით საქართველოში, მის მოსაზღვრე და COVID-19-ით მაღალი დაინფიცირების მქონე ზოგიერთ ქვეყანაში (%) 2020 წ.**

| | საქართველო | მსოფლიო | სომხეთი | აზერბაიჯანი | რუსეთი | ჩინეთი | იტალია | ესპანეთი | საფრანგეთი | გერმანია | აშშ | ბრაზილია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100.0 | 100,0 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0-14 | 20,2 | 25,4 | 20,8 | 23,5 | 18,4 | 17,7 | 13,0 | 14,4 | 17,7 | 14,0 | 18,4 | 12,4 |
| 15-64 | 64,5 | 65,2 | 67,4 | 69,7 | 66,1 | 70,3 | 63,7 | 65,6 | 61,6 | 64,4 | 65,0 | 59,2 |
| 65+ | 15,3 | 9,3 | 11,8 | 6,7 | 15,5 | 12,0 | 23,3 | 20,0 | 20,8 | 21,7 | 16,6 | 28.4 |
| 65-79 | 11,5 | 7,5 | 8,7 | 5,4 | 11,6 | 10,1 | 15,8 | 13,7 | 14,6 | 14,7 | 12,7 | 19.4 |
| 80+ | 3,7 | 1,9 | 3,1 | 1,3 | 3,9 | 1,8 | 7,5 | 6,3 | 6,2 | 7,0 | 4,0 | 9.0 |

*წყარო:* World Population Prospects 2019

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, მსოფლიოში ბავშვთა (0-14 წლის) წილი (25,4) 2,7-ჯერ აჭარბებს ხანდაზმულთა რაოდენობას. ამასთან, ბავშვთა უმრავლესობა, ტრადიციულად მაღალი შობადობის გამო განვითარებად და ღარიბ ქვეყნებს მიეკუთვნება, ხოლო 65, განსაკუთრებით 80 წელს გადაცილებული მოსახლეობა, სიცოცხლის მაღალი ხანგრძლივობიდან გამომდინარე, მაღალგანვითარებულ ქვეყნებს. ამ უკანასკნელს განვითარებად ქვეყნებთან შედარებით განაპირობებს ცხოვრების მაღალი დონე, სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხი, განათლება და საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, რაც მსოფლიოში სიმდიდრის არათანაბარი გადანაწილების შედეგია და შესაძლებელია არსებითი როლი ითამაშოს მსოფლიოს რეგიონებსა და ქვეყნებს შორის COVID-19-ით დაინფიცირების რისკის დიფერენცირებულ განვითარებაში. ცხრილი 2-ის თანახმად, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის დასკვნის შესაბამისად, ჰიპოთეზურად, განვითარებად და ღარიბ ქვეყნებში ბავშვთა დაინფიცირების რისკი უფრო მაღალი უნდა იყოს ვიდრე განვითარებულში, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ხანდაზმულთა შორის. ამ თვალსაზრისით კავკასიის რეგიონში, ცხრილი 2-ის მონაცემებიდან გამომდინარე აზერბაიჯანთან შედარებით მსგავსი ასაკობრივი მაჩვენებლების (მ.შ. 80 წელს გადაცილებულნი) შესაბამისად, საქართველოს და სომხეთს ჰიპოთეზურად დაინფიცირების უფრო მეტი რისკი გააჩნიათ, თუმცა საქართველოში COVID-19-ის გამოვლენიდან დღემდე, ანუ ოთხი თვის მანძილზე დაინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე ორივე მეზობელ ქვეყანაში. ანალოგიური ვითარებაა საქართველოს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებისას.

აღნიშნული ვითარება საქართველოში გამოწვეული უნდა იყოს COVID-19-ის წინააღმდეგ ქვეყნის მთავრობის და ჯანდაცვის სისტემის დროული და სწრაფი ღონისძიებების (კარანტინი, თვითიზოლაცია, დაინფიცირებულთა დროული გამოვლენა და მკურნალობა და სხვ.) გატარებით. აღსანიშნავია მოსახლეობის სერიოზული დამოკიდებულება COVID-19-ის წინააღმდეგ, რაც გამოვლინდა თვითმოვლითი ქცევის მაღალ დონეში.

**თვითმოვლითი ქცევა, როგორც პანდემიასთან ბრძოლის მეთოდი**

სოციალური უსაფრთხოების (ჯანმრთელობის კუთხით) ძირითად ელემენტს წარმოადგენს პიროვნების და საზოგადოების თვითმოვლითი ქცევა ჯანმრთელობისადმი.

თვითმოვლითი ქცევა არის ადამიანის აქტივობა, რომელიც მიმართულია ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდისკენ. იგი შეიძლება მოგვევლინოს, როგორც გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი სახით და გამომდინარეობს ადამიანის ჯანმრთელობის თვითდაცვისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის მოთხოვნილებიდან. ამასთან, სოციალური ქცევის დონისას შეიძლება ითვალისწინებდეს საზოგადოების და სხვა ადამიანების მოთხოვნილებასაც,

თვითმოვლითი ქცევა წარმოადგენს პიროვნებათაშორისი ურთიერთობის ფორმას (მოვლა და თვითმოვლა) და ხასიათდება სხვადასხვა დონის აქტივობით:

I დონე ინსტინქტური, ჩვეული, იმპულსური ქცევები, რომლებიც ადამიანის ავტომატური მექანიზმების საფუძველზე ხორციელდება.

II დონის აქტივობისას სუბიექტის ქცევა ცნობიერებისა და აზროვნების დონეზე სრულდება. ამ დროს ადამიანი თავის განწყობაში რთავს საზოგადოებრივ და პიროვნულ მოთხოვნებს. აქ გადამწყვეტია ობიექტივაცია - დამაბრკოლებელი ობიექტის დაკვირვება, ქცევის ხელშემშლელი აქტების გამოყოფა, მიზეზების გარკვევა და მიზანშეწონილი ქცევის გაგრძელების გზების დასახვა [წულაძე გ... 2015:188].

თვითმოვლითი ქცევის წინ ადამიანს უჩნდება დიდხანს სიცოცხლის მოთხოვნილება. ის ახდენს ობიექტივაციას, ანუ დაკვირვებას თავისთავზე, როგორ, რა მიმართულებით წარმართოს ქცევა, ახდენს შესაძლებლობების მობილიზებას და იწყებს მიზანდასახულ მოქმედებას, რომელიც მიმართულია სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

დღეისათვის, პანდემიის პირობებში თვითმოვლითი ქცევის განწყობა სოციალურ დონეს მიეკუთვნება, რამდენადაც წინა პლანზე გამოდის სოციალური მოთხოვნები, პანდემიის დაძლევის მოტივაცია და მისაღები ქცევის წარმოსახვა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

ამდენად, ადამიანებს და საზოგადოებას შეუძლიათ, თავისი თვითმოვლითი ქცევიდან გამომდინარე, პანდემიის პირობებში აიცილონ ინფიცირება და შეამცირონ დაავადებებისა და სიკვდილის დონე და, საერთო ჯამში, გაზარდონ სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამ ასპექტში მოქალაქეებმა ყურად უნდა იღონ ქვეყნის მთავრობის და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები და შეასრულონ ისინი.

აღვნიშნავთ, რომ პანდემიის პირობებში ინფიცირების თავიდან აცილება და ჯანმრთელობის შენარჩუნება დამოკიდებულია ადამიანის ყოველდღიურ ისეთ საქმიანობაზე, როგორიც არის პირადი ჰიგიენა, ადამიანებთან ურთიერთობისას სოციალური დისტანციის დაცვა და სხვ.

## დასკვნა

ამდენად, უახლესმა პანდემიამ COVID-19-მა მსოფლიოს ქვეყნები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გარდა სერიოზული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა სახის გამოწვევების წინაშე დააყენა. ჯერჯერობით ისევ შეუსწავლელია პანდემიის წარმომავლობა და განვითარება, შესაქმნელია მის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებები და ვაქცინა და ა.შ.

ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, თუმცა პანდემიასთან ბრძოლაში, არსებული მონაცემებით იგი ერთ-ერთი სამაგალითოა, რასაც ხელი შეუწყო მთავრობისა და სამედიცინო სისტემის დროულმა და ეფექტიანმა მოქმედებებმა. პანდემიის „იმპორტის" წინააღმდეგ ჩაიკეტა სახელმწიფო საზღვარი და აღიკვეთა პანდემიის ერთ-ერთი დემოგრაფიული ფაქტორი გარე მიგრაციის სახით. პარალელურად ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობით, დედაქალაქის და პანდემიით დაინფიცირებული რაიონების იზოლაციით ნულოვან დოემდე შემცირდა შიგა მიგრაცია.

არსებითი როლი ითამაშა მთავრობის და განსაკუთრებით სამედიცინო ინსტიტუტების რეკომენდაციებმა არა მხოლოდ საერთოდ მოსახლეობაში, არამედ პანდემიის გავრცელების მაღალი რისკის მქონე ბავშვების და ხანდაზმულთა თვითიზოლაციაში.

აღსანიშნავია მოსახლეობის მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რაც გამოვლინდა მოქალაქეთა თვითმოვლითი ქცევის მაღალ ხარისხში და რამაც, სხვა სახის გატარებულ ღონიძიებებთან ერთად, განამტკიცა პანდემიის წინააღმდეგ სოციალური უსაფრთხოება.

დღეისათვის ხელისუფლების ახალ „თავის ტკივილს" წარმოადგენს პოსტპანდემიურ პერიოდში მოსალოდნელი პანდემიის მეორე ტალღისთვის მზადება, რაც გამოიხატება პანდემიით გამოწვეული ქვეყნის სოციალურ-ეკონომკური დანაკარგების დროულად აღკვეთასა და შესაბამისად ეკონომიკის დარგების განვითარებით მოსახლეობის სოციალურ დაცვაში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. გუგუშვილი პ., 1971, სოციოლოგიური ეტიუდები. ტ.2, თბილისი, "საბჭოთა საქართველო", გვ. 337-338.
2. სანებლიძე ა., გაზ. „ასავალ-დასავალი". 2012. # 27 (165).
3. წულაძე გ., ა. სულაბერიძე, 2015, „დემოგრაფია". სახელმძღვანელო, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ.188.



***Avtandil Sulaberidze***
***Vladimer Sulaberidze***
***Vano Shushtakashvili***


## DEMOGRAPHIC FACTORS OF A PANDEMIC AND SELF-CARING BEHAVIOR


**Summary**

The recent pandemic COVID-19 has caused serious political, social, economic, demographic and other types of problems besides population's health issues. It is difficult to fight the mentioned problem as there are uncertainties concerning the origin and development of the pandemic, as well as the fact that we do not yet possess a vaccine and medication against the virus, etc.

The pandemic is directly linked with demographic factors and millions of demographic losses. The gravity of COVID-19 depends not only on the condition of a country's health system and future measures of policy, but also on the demographic factors. In particular, it relies on the age structure of population, regional movement, migration, social behavior, the degree of self-care of individuals, families and society at large, etc. These are the basic factors that determine how grave the consequences of the COVID-19 pandemic will be in the world and in separate countries.

In accordance with the World Health Organization's conclusion, the risk of children's infection must be higher in developing and poor countries than in developed ones. The contrary is true among the elderly of the developed countries. From this standpoint, according to the data of Table 1, in the region of Caucasus, Georgia and Armenia have high-

er risks of hypothetical population infection than does Azerbaijan in terms of the same age indicators (among them persons aged above 80). However, since the emergence of the COVID-19, in other words, during four months, the quantity of the infected and deceased was much less in Georgia compared to the above-mentioned two neighboring countries. We see the analogous situation when we compare Georgia with the other countries of the world.

One of the elements of social security (in terms of health) is self-caring behavior of an individual or a society toward health, which is a form of relationship between the individuals (care and self-care) and is characterized by activities of various levels.

Nowadays, under the circumstances of the pandemic, the attitude of self-caring behavior belongs to the social level, inasmuch as social demands, motivation of overcoming the pandemic as well as imagining the acceptable behavior in order to make an appropriate decision, come to the forefront.

Thus, people and societies can, as a result of their self-caring behavior, avoid becoming infected during a pandemic and decrease the level of diseases and mortality. In this regard, citizens have to take heed of and fulfil the recommendations of government and Word Health Organization.

*თეიმურაზ შენგელია*
*იური კოზაკი*

## სოციალური ინჟინერიის როლი ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებაში

***ანოტაცია.*** *სტატიაში განხილულია კულტურის ზეგავლენა ეკონომიკის განვითარებაზე, დადგენილია კავშირი სხვადასხვა საზოგადოების ზოგად ღირებულებით ორიენტირებსა და ეკონომიკურ წარმატებებს შორის. წარმოდგენილია სოციალური ინჟინერიის გამოყენების საფუძველზე კულტურის ელემენტების უნივერსალური ჩამონათვალის შექმნისა და გამოყენების შესაძლებლობა საზოგადოების ეკონომიკურ პროგრესში.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სოციალური ინჟინერია, კულტურა, ფასეულობათა სისტემა, ინსტიტუტები, ქცევის მოდელები.*

### შესავალი

საზოგადოებაში გაბატონებული ქცევის მოდელების, არაფორმალური ინსტიტუტების სტრუქტურისა და ღირებულებითი ორიენტაციის გავლენა ეკონომიკურ ცხოვრებაზე დადგენილია კულტურათაშორისი კვლევებით, რომლებმაც დადასტურეს საზოგადოების ზოგად ღირებულებით ორიენტირებსა და ეკონომიკურ წარმატებებს შორის პირდაპირი კავშირის არსებობა [4;5]. ღირებულებებსა და ეკონომიკურ წარმატებებს შორის ურთიერთობის დადგენასთან ერთად, საჭირო გახდა იმ ქცევის მოდელებისა და კულტურის ელემენტების იდენტიფიცირება, რომლებმაც შეიძლება დააჩქარონ საზოგადოების ეკონომიკური პროგრესი. თუ არსებობს გარკვეული ქცევითი მოდელები, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკურ კეთილდღეობას, აუცილებელია მათი შესწავლა და გამოყენება, რაც მიიღწევა ეკონომიურად განვითარებული საზოგადოებებიდან ამ კულტურული არქეტიპების გადატანით განვითარებადში.

სოციალური ინჟინერიის გამოყენების საფუძველზე კულტურის ელემენტების უნივერსალური ჩამონათვალის შექმნა და გამოყენება იძლევა საზოგადოების ეკონომიკური პოტენციალის ზრდის, მისი განვითარების დაჩქარების შესაძლებლობას. ამ მიდგომას საფუძვლად უდევს სოციალური ინჟინერიის ერთ-ერთი მიდგომა, რომლის მიხედვითაც საზოგადოება აყალიბებს ინდივიდის სხვა ადამიანებთან ურთიერთობის კონკრეტულ მიმართულებებს, რომლებიც პოზიტიურ ზეგავლენას ახდენენ მის ეკონომიკურ წინსვლაზე.

### ინდივიდუალიზმი და იერარქია

კვლევებმა აჩვენა, რომ იერარქიულ (კოლექტივისტურ) საზოგადოებებში ინოვაციური ტექნოლოგიები უფრო ნელი ტემპით ვითარდება, ვიდრე ჰორიზონტალურში (ინდივიდუალისტურში). მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ინდივიდუალისტური ღირებულებების, ინდივიდის პრიორიტეტის დამკვიდრება აჩქარებს ინოვაციების განვითარებას [3]. თუ კონტექსტში განვიხილავთ იმ ფასეულობებსა და ნორმებს, რომლებიც დამკვიდრებულია ქართულ საზოგადოებაში, დავინახავთ, რომ იერარქიის და პრიორიტეტის ფასეულობები არსებით ზეგავლენას ახდენს ინდივიდზე. კვლევის

შედეგები (ცხრილი 1) გვიჩვენებს, რომ საქართველოში, ეკონომიკურად წარმატებული დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, ინდივიდები უფრო მეტად ეყრდნობიან სახელმწიფოს. ეს ნიშნავს, რომ ქართულ საზოგადოებაში კვლავაც დომინირებს პატერნალისტური დამოკიდებულებები. საქართველოში იერარქიულობაზე ღირებულებითი ორიენტაცია ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია, იმის მიუხედავად, რომ ადმინისტრაციული მართვა შეიცვალა დემოკრატიული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ოფიციალური ინსტიტუტებით. ამ მოვლენის ახსნა შესაძლებელია იმით, რომ არაფორმალური ინსტიტუტები, ტრადიციები, კულტურული არქეტიპები და ქცევის ნიმუშები საზოგადოებაში უფრო ნელა იცვლება, ვიდრე ფორმალური.

*ცხრილი 1*

*სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოსახლეობის კეთილდღეობაზე* (%-ში)

| | საქართველო | გერმანია | ჰოლანდია | შვედეთი | აშშ | ავსტრალია |
|---|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფოს უნდა დაეკისროს მეტი პასუხისმგებლობა ინდივიდების კეთილდღეობაზე | 41,9 | 12 | 4,8 | 7,7 | 8,5 | 11,5 |
| ინდივიდებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთ კეთილდღეობაზე | 4 | 5,5 | 2,4 | 7 | 18,2 | 10,4 |

*წყარო:* შედგენილია (World Values Survey) http://www.worldvaluessurvey.org და ავტორის ინდივიდუალური კვლევების მიხედვით

არაფორმალური ინსტიტუტების ფორმალურთან შეუსაბამობა არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიდან გადმოტანილი ფორმალური ინსტიტუტები ყოველთვის არ იწვევს ეკონომიკური კეთილდღეობისა და ზრდის დაჩქარებას.

ქართულ საზოგადოებაში ინდივიდუალისტური ფასეულობების დაბალ დონეზე მეტყველებს კვლევის შედეგები, რომლითაც დადგინდა, რომ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ საკუთარი ცხოვრების კონტროლის უფრო დაბალი შეგრძნება, ვიდრე ეს ეკონომიკურად განვითარებულ დასავლეთის ქვეყნებშია (ცხრილი 2).

*ცხრილი №2*

**არჩევანის თავისუფლება და საკუთარი ცხოვრების კონტროლი (%-ში)**

| | საქართველო | გერმანია | ჰოლანდია | შვედეთი | აშშ | ავსტრალია |
|---|---|---|---|---|---|---|
| არ არსებობს არჩევანის თავისუფლება და ცხოვრების კონტროლი შეზღუდულია | 3,6 | 1,6 | 0,5 | 0,3 | 0,5 | 0,8 |
| არსებობს არჩევანის თავისუფლება და ცხოვრების კონტროლის სრული შესაძლებლობა | 6,4 | 13,2 | 12,1 | 20,4 | 18,4 | 20,4 |

*წყარო:* შედგენილია (World Values Survey) http://www.worldvaluessurvey.org და ავტორის ინდივიდუალური კვლევების მიხედვით

გ. ჰოფსტედის მეთოდით ჩატარებულმა კვლევებმა ასევე დაადასტურება, რომ ქართული საზოგადოების სოციოკულტურულ პროფილში არსებობს ძლიერი დამოკიდებულება იერარქიული

ფასეულობების მიმართ და აგრეთვე საზოგადოების პრიორიტეტი ინდივიდზე. ქვემოთ მოყვანილ ნახატში კარგად ჩანს, რომ ქართველებს ახასიათებთ ძალაუფლების მაღალი მანძილი და შედარებით დაბალი ინდივიდუალიზმი (ნახატი 1).

*ნახატი 1*

**კულტურული მახასიათებლების კვლევა გ. ჰოფსტედის მეთოდით**




*წყარო:* *Hofstede G.* Country comparison. URL: https://geerthofstede.com/countries.html

ამრიგად, საქართველოს კულტურულ ფასეულობათა ჩარჩო ხასიათდება საზოგადოებრივი ინტერესების პრიმატით ინდივიდუალურ მიდგომებზე და იერარქიული სტრუქტურის პრიო-რიტეტით. აუცილებელია დავადგინოთ ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური ინჟინერიის მექანიზმის ამოქმედება ეკონომიკურად არაეფექტიანი ფასეულობების ტვირთის შესამცირებლად.

**თვითგამოხატვა, როგორც პოსტმატერიალური ფასეულობა**

კულტურული მახასიათებლები გავლენას ახდენ ინდივიდების ეკონომიკურ ქცევაზე და რადგანაც არსებობს სხვადასხვა კულტურა, იარსებებს სოციუმის სამყაროსთან ურთიერთქმედების სხვადასხვა სტრატეგია. კულტურული სპეციფიკა განისაზღვრება ადამიანის მიერ დასახული მიზნების თავისებურებებით. სხვადასხვა კულტურებში არსებობს ამ მიზნების მიღწევის განსხვავებული მეთოდები. თუ იერარქიულ საზოგადოებაში მთავარი მიზანი არის სახელმწიფოსთან სიახლოვე, რადგანაც ის ახდენს რესურსების კონცენტრაციას და მათ განაწილებას. ჰორიზონტალურ საზოგადოებაში პრიორიტეტულია საკუთარი ცოდნისა და ნიჭის რეალიზაცია, რომელიც ტრანსფორმირდება საზოგადოებრივ სიკეთეებში. დემოკრატიულობისა და ინდივიდუალიზმის მაღალი ხარისხი იძლევა თვითრეალიზაციის საშუალებას, რაც ადამიანში ყალიბდება ბავშვობის ასაკიდან. მე-3 ცხრილში კარგად ჩანს, ზოგიერთ ქვეყანაში რა პრიორიტეტი ენიჭება ბავშვებში ცალკეული თვისების განვითარებას. როგორც კვლევის შედეგებით დადგინდა, ქართველებში ბავშვობიდან მნიშვნელოვნია ისეთი თვისების ჩამოყალიბება, როგორიც მორჩილებაა (ცხრილი 4).

*ცხრილი 4*

**„მორჩილების“ მნიშვნელობა ბავშვის აღზრდაში**

| | საქართველო | გერმანია | ჰოლანდია | შვედეთი | აშშ | ავსტრალია |
|---|---|---|---|---|---|---|
| მორჩილება არის მნიშვნელოვანი | **34,8** | 12,6 | 26,6 | 12,2 | 27,9 | 28,2 |
| მორჩილება არ არის მნიშვნელოვანი | **64,6** | 87,4 | 74,4 | 87,8 | 72,1 | 71,8 |

*წყარო:* შედგენილია (World Values Survey) http://www.worldvaluessurvey.org და ავტორის ინდივიდუალური კვლევების მიხედვით

ჰორიზონტალური (ინდივიდუალისტური) სოციალური სისტემისთვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება არა იერარქიაში ინტეგრაციის, არამედ ინოვაციურობისადმი მიდრეკილების შესაძლებლობის არსებობა. ინდივიდუალიზმის პირობებში ადამიანისთვის მაქსიმალურად ფართოვდება საკუთარი ნიჭისა და ცოდნის გამოყენების შესაძლებლობები. ცხადია ისიც, რომ ინდივიდის ორიენტაცია ინოვაციებზე, მნიშვნელოვანია ეკონომიკური სისტემის განვითარებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თვითგამოხატვაზე, კრეატიულობასა და ორიგინალობაზე ორიენტაცია საზოგადოებისთვის ეკონომიკურად მნიშვნელოვანია.

ქვეყნები, სადაც დომინირებს ინდივიდუალისტური ფასეულობები, ქცევის ამ მოდელისაგან იღებენ დამატებით ეკონომიკურ სარგებელს. ეს შესაძლებელია იმ ინკლუზიური ინსტიტუტებით [7], რომლებიც ხელს უწყობენ ინდივიდუალურ საქმიანობას, აფართოებენ იმ სივრცეს, რომელშიც ადამიანს შეუძლია გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები (მათ შორის, ტრადიციების, ზნეობის ნორმების გათვალისწინებით) და თვითრეალიზაციის პროცესის განვითარებით, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში კონსერვატიული ტენდენციების განვითარებას. თვითგამოხატვაზე ორიენტაცია არის მაღალი ცხოვრების დონის შედეგი და წარმოადგენს პოსტმატერიალურ ფასეულობას [9].

## კულტურული არქეტიპები, როგორც განვითარების რესურსი

ინოვაციური პროდუქტის შექმნის პროცესში ინდივიდუალიზმის პრიორიტეტი კოლექტივიზმზე დადასტურებულია. რიგი მეცნიერების [მ. ტეილორი და ს. ვილსონი] კვლევებით [6] დასაბუთებულია, რომ კოლექტივიზმის ზოგიერთ ფორმას აქვს მასტიმულირებელი გავლენა ინოვაციურ განვითარებაზე. ასეთ ფორმებში ისინი გულისხმობენ პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს. საზოგადოებად რომელმაც, იერარქიულობის მიუხედავად, წარმატებებს მიაღწია ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროში, მათ მიაჩნიათ იაპონია.

საზოგადოებისა და ინსტიტუტების ფასეულობები ურთიერთდაკავშირებულია [8]. საზოგადოებაში ინსტიტუტის წარმატება აძლიერებს კულტურულ ფასეულობებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინსტიტუტის ელიტარიზმი არის საზოგადოების მიერ მისი ფასეულობების გაზიარების შედეგი. შესაბამისად, საზოგადოებაში წარმატებულია ის ინსტიტუტები, რომლებიც მის კულტურულ ფასეულობებს შეესაბამება. ამდენად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია არა დასავლეთის ფასეულობებისა და ინსტიტუტების (როგორც ფორმალურის, ასევე არაფორმალურის) ბრმა კოპირება, არამედ საკუთარი ფასეულობების მისადაგება ამ ინსტიტუტებისადმი.

## დასკვნა

კვლევებმა აჩვენა, რომ იერარქიულ (კოლექტივისტურ) საზოგადოებებში ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება გაცილებით დაბალ დონეზეა, ვიდრე ჰორიზონტალურში (ინდივიდუალისტურში). თუ ამ მიდგომის კონტექსტში განვიხილავთ იმ ფასეულობებსა და ნორმებს, რომლებიც გავრცელებულია ქართულ საზოგადოებაში, დავინახავთ, რომ საქართველოში იერარქიის და პრიორიტეტის საზოგადოებრივი ფასეულობები არსებით ზეგავლენას ახდენს ინდივიდზე. იერარქიულ საზოგადოებაში მთავარი მიზანი არის სახელმწიფოსთან სიახლოვე, რადგანაც ის ახდენს რესურსების კონცენტრაციას და მათ განაწილებას. ჰორიზონტალურში კი საკუთარი ცოდნისა და ნიჭის რეალიზაცია, რომელიც ტრანსფორმირდება საზოგადოებრივ სიკეთეებში. მიუხედავად ამისა, კოლექტივიზმის ზოგიერთ ფორმას აქვს მასტიმულირებელი გავლენა ინოვაციურ განვითარებაზე. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია არა დასავლეთის ფასეულობებისა და ინსტიტუტების (როგორც ფორმალურის, ასევე არაფორმალურის ბრმა კოპირება) არამედ საკუთარი ფასეულობების მისადაგება ამ ინსტიტუტებისადმი.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Инглхарт Р. (1997). Постмодерн: меняющиеся ценности и изменяющиеся общества // Психология. Журнал Высшей школы экономики. № 4. С. 6–32.
2. Guiso L., Sapienza P., Zingales L. Does Culture Affect Economic Outcome // Journal of Economic Prospective. — 2006. Vol. 20. № 2.
3. Henrich J. 2000 Does Culture Matter in Economic Behavior? Ultimatum Game Bargaining among the Machiguenga of the Peruvian Amazon // American Economic Review. — 2000. — Vol. 90. — №4.
4. Shane S. 1992 Why do some societies invent more than others? / Journal of Business Venturing. Vol. 7. — P. 29–46.

5. Taylor M., Wilson S. 2012 Does culture still matter? The effects of individualism on national innovation rates // Journal of Business Venturing. — Vol. 27. — P. 234–247.
6. World Values Survey. 2010–2014.URL: http://www.worldvaluessurvey.org
7. Shengelia T. 2018 Influence of Cultural Determinants on the Process of Business Innovations Management - Ecoforum Journal, Vol. 7. Issue 1, P. 48.
8. Shengelia T. 2016 Generation of Knowledge Into Conception of Cultural Pragmatizm and its Influence on International Business. Ecoforum Journal, Vol. 5. Issue 2, P. 34.

***Teimuraz Shengelia***
***Yuri Kozak***

**THE ROLE OF SOCIAL ENGINEERING IN PREDICTING ECONOMIC GROWTH**

**Summary**

Studies have shown that the development of innovative technologies in hierarchical (collectivist) societies is at a much lower level than in horizontal (individualistic) ones. In the context of this approach, this study examines the values and norms that are prevalent in Georgian society. Studies have shown that the social values of hierarchy and priority in Georgia have a significant impact on the individual. The main goal in a hierarchical society is to be closer to the state, because it concentrates resources and distributes them. Horizontally, the realization of one's own knowledge and talents that turns into a public good. Nevertheless, some forms of collectivism stimulate innovative development. For Georgia, it is important not to blindly copy Western values and institutions (both formal and informal), but to adapt their own values to these institutions.

***Anna Chechel***

## REFORM OF DECENTRALIZATION IN UKRAINE: IMPACT ON LOCAL BUDGET INCOME

***Annotation.*** *The analysis of the effectiveness of budgetary policy implementation by local councils in the context of reform implementation in Ukraine. The tendencies of changes in the formation of revenue and expenditure of local budgets in terms of financial decentralization have been determined. The main sources of revenues and state transfers to local budgets are identified.*
***Keywords:*** *decentralization, budget policy, local budget, territorial communities.*

One of the key conditions for a functioning democratic society is transparency of the budget and budgetary policy. According to the Ukraine 2020 Sustainable Development Strategy, the priority in the budget process should be to increase transparency and efficiency in the allocation and spending of the country's budget. [1]. Due to the changes in the budget legislation of Ukraine, in order to achieve European standards, it is necessary to analyze international practices of implementing transparent budgetary policy and to search for new methodological directions of forming the budgetary policy of the country among scientific works. However, the study of the peculiarities of budgetary policy implementation in the initial stages of decentralization in accordance with the country's sustainable development strategy remains relevant in the context of reforms in Ukraine.

Forming financial support for local budgets is an important component of Ukraine's decentralization development. Since January 1, 2015, 60% of the personal income tax will be credited to the local budget revenues, according to Article 69 of the Budget Code of Ukraine [2]. It should be noted that before the amendments to the Budget Code of Ukraine, the corresponding tax was credited in the amount of 25%. This has become a major factor in increasing the interest of local governments in increasing local budget revenues, implementing measures to attract reserves to fill them, and improving the efficiency of administering taxes and fees. In addition to this basic tax, local budgets include: 25% environmental tax; 5% excise duty on sales of excisable goods; 100% single tax; 100% tax on profit of enterprises and financial institutions of communal property; 100% property tax (real estate, land and transportation), fees and other payments in accordance with the Budget Code of Ukraine.

Since 2014, there has been a gradual increase in the share of local budgets in the consolidated budget from 23.8% in 2013 to 46.9% in 2018, which directly indicates the strengthening of the financial base of local governments and is, in our opinion, direct as a result of the implementation of the Concept of Local Government Reform and Territorial Organization of Government in Ukraine, adopted on April 1, 2014. (Fig. 1.)




**Fig.1. - Dynamics of the share of local budgets in the State Budget since the beginning of reform in Ukraine**

Local budgets should be sufficient to ensure that local governments exercise their powers and to provide the population with services no lower than the minimum social needs, as defined in Article 66 of the Law of Ukraine "On Local Self-Government in Ukraine". [3]

Much attention is paid to issues and problems related to the formation of the local budget revenue and the implementation of reserves to fill it.

Studies of the actual revenues of the general fund of local budgets of Ukraine during 2015-2018 showed a significant increase in the total volume of their revenues. (Table 1.)

**Table 1. - Dynamics of Indicators of General Fund of Local Budgets for 2015-2018**

| Indicators | 2015 | 2016 | Growth | 2017 | Growth | 2018 | Growth |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **Revenues of the general fund of local budgets, billion UAH. including:** | **99,8** | **146,6** | **46,9%** | **191,9** | **30,9%** | **233,9** | **21,90%** |
| Income Tax | 53,6 | 79,0 | 47,3% | 110,0 | 39,2% | 138,1 | 25,51% |
| Payment for Land | 14,5 | 23,3 | 61,1% | 26,4 | 13,3% | 27,3 | 3,48% |
| Real Estate Tax | 0,7 | 1,4 | 90,0% | 2,4 | 71,4% | 4,8 | 100,88% |
| Excise Tax | 7,7 | 11,6 | 51,2% | 13,1 | 12,9% | 13,8 | 5,32% |
| **Intergovernmental transfers, UAH billion** | **174,2** | **196,0** | **12,5%** | **272,9** | **39,2%** | **285,5** | **4,61%** |
| in particular, basic grant, UAH billion. | 5,3 | 4,7 | -10,7% | 5,8 | 23,4% | 8,2 | 41,07% |

By 2014, the increase was an average of 4%. Since the beginning of the reform, the situation has changed dramatically: the amount of revenues to the general fund of local budgets in 2016 amounted to UAH 146.6 billion, which is by 47.3% more than in 2015. The growth of the main types of revenues of the general fund of the local budget, especially the personal income tax, is shown in Fig 2.




**Fig.2. - Structure of Revenues of the General Fund of Local Budgets for 2015-2018, billion UAH.**

To provide a clearer idea, we will create a schedule of changes in the revenues of the general fund of local budgets since the beginning of the reform (data for 2014 are taken from the annual report of the Ministry of Finance of Ukraine (MFU) and to date according to the forecast of the MFU). (Fig. 3.)




**Fig. 3. - Own revenues of the General Fund of Local Budgets, billion UAH.**

According to the results of 2018, the general fund's own income per capita increased by 21.5% compared to 2017 and amounted to UAH 6 032,9, the amount of personal income tax revenue per capita increased by 25.5% and amounted to UAH 3,557.9, local taxes and fees per capita increased by 16.1% and amounted to UAH 1,570.6. (Fig. 4.)

It should be noted that the city's PIT score per capita affects the amount of reverse subsidy from the local council. A more detailed calculation of the reverse subsidy on the example of the Mariupol City Council is made in the next paragraph of this section.

Also, convincing factors of the effective impact of financial decentralization on local government budgets in Ukraine are the decrease in the number and volume of loans granted by the State Treasury to cover temporary cash gaps (from UAH 28.1 billion in 2014 to UAH 0.1 billion in 2017), indicating that local budgets have increased solvency since the adoption of local government reform.

Based on the Concept of Local Self-Government Reform and Territorial Organization, the Government's Program of Activities, the 2020 Strategy of the President of Ukraine and the corresponding plan for their implementation, the Law of Ukraine "On Voluntary Association of Territorial Communities" [4] and the Methodology of Forming Able Territorial Communities, approved by a resolution of the Cabinet of Ministers of Ukraine in April 2015, [5] local authorities were given the opportunity to develop and approve in the regions perspective plans for the formation of capable territorial communities and submit them to the Government for approval.




**Fig. 4. - Own revenues of the general fund of local budgets for 1 inhabitant for 2016-2018 years, % and UAH**

However, it should be noted that there is a significant increase in state support for community development and infrastructure development, which is another positive consequence of budgetary decentralization and, directly, a step from “eating” budgets to development budgets.

Thus, if in 2014 only UAH 0.5 billion was allocated to the regions from the state budget to support socio-economic development, then in 2018 the amount of funds for the implementation of infrastructure projects amounted to UAH 19.37 billion, and in 2019 UAH 20.75 billion is foreseen, which is 41.5 times more than in 2014.

In addition, a subsidy for construction, reconstruction, repair and maintenance of public roads of local importance in the amount of UAH 14.7 billion is foreseen for 2019. (Fig. 5.) [6]

It should be noted that the budget execution indicators reflect the general socio-economic status of the territory concerned and its potential for further development. The availability of sufficient resources in local budgets is an indicator that the territorial community is able to provide better and more diverse services to its residents, implement social and infrastructure projects, create conditions for business development and attract investment, develop local development programs and finance other comprehensive activities improving the living conditions of community residents [7].

Decentralization reform contributes to the qualitative improvement of the living conditions of the residents of the communities, the creation of real conditions for the comprehensive development of territories and human resources, the formation of the principles of effective local self-government [8].

In addition to finance, communities were given additional powers - external borrowing, self-selection of local budget development agencies and developmental budget revenues. Communities have also been given authority in the field of architectural and construction control and improvement of town planning legislation. From now on, local self-governments can determine their urban planning policies.




**Fig. 5. - Dynamics of state support from 2014 to 2019, billion UAH.**

Thus, studies of the impact of budgetary decentralization on Ukraine's local budgets have shown significant positive developments in the country's local government system. In addition, as a result of the reform, municipalities have

become more independent and self-sufficient, and they have significant funds (by increasing their own revenues) that they can use without undue guidance from the center for the needs and development of the community, which, is one of the significant benefits of financial decentralization.

## References


1. Про стратегію сталого розвитку «Україна – 2020» [Електронний ресурс]: Указ Президента Україні від 12.01.2015 №5/2015: https://zakon.rada.gov.ua/laws/show/5/2015
2. Бюджетний кодекс України від 08.07.2010 № 2456-VI [Електронний ресурс]: https://zakon.rada.gov.ua/laws/show/2456-17
3. Закон України від 21.05.1997 № 280/97-ВР «Про місцеве самоврядування в Україні» URL: https://zakon.rada.gov.ua/laws/show/280/97-%D0%B2%D1%80
4. «Про добровільне об’єднання територіальних громад» [Електронний ресурс]: Закон Україні від 05.02.2015 № 157-VIII: https://zakon.rada.gov.ua/laws/show/157-19
5. Постанова КМУ від 0.04.2016 №214 «Про затвердження Методики формування спроможних територіальних громад» [Електронний ресурс]: https://zakon.rada.gov.ua/laws/show/214-2015-%D0%BF
6. Децентралізація в Україні [Електронний ресурс]: https://decentralization.gov.ua/
7. Чечель А.О., Аршакян А.А. Особливості реалізації прозорої бюджетної політики в рамках децентралізації в Україні. Збірник наукових праць Донецького державного університету управління «Сучасні проблеми державного управління в умовах системних змін». Серія «Державне управління». Т. XIX, вип.307. – Маріуполь. ДонДУУ, 2018. – 164 с.
8. Децентралізація влади: порядок денний на середньострокову перспективу: аналіт. доп. / [Жаліло Я. А., Шевченко О. В., Романова В. В. та ін.] ; за наук. ред. Я. А. Жаліла. – Київ: НІСД, 2019. – 192 с.



*ეთერ ხარაიშვილი*
*ია ნაცვლიშვილი*


## სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევები საქართველოში და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები პოსტკორონავირუსულ პერიოდში


***ანოტაცია.*** *სტატიაში გაანალიზებულია სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლები, შეფასებულია საქართველოში ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების სასურსათო ბალანსები, გაკეთებულია დასკვნა, რომ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდება პოსტკორონავირუსულ პერიოდში. ადგილობრივი აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლების დინამიკური ანალიზის საფუძველზე ნაშრომში განსაზღვრულია წარმოების ზრდის ტენდენციები. მიმდინარე ეტაპზე მიღწეული დონისა და სამომავლო ტენდენციების გათვალისწინებით დადგენილია, რომ აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების არსებული პარამეტრებით მოკლევადიან პერიოდში ვერ მიიღწევა ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების უსაფრთხო დონე, ვერ გადაწყდება სასურსათო ბალანსების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირების პრობლემა. ნაშრომში შეფასებულია პანდემიით გამოწვეული მოვლენების შედეგად განვითარებული სცენარები სოფლის მეურნეობის დარგში, შემოთავაზებულია პოსტკორონავირუსულ პერიოდში დარგის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები.*



***საკვანძო სიტყვები:*** *სასურსათო უსაფრთხოება, თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი, სასურსათო ბალანსები, განვითარების პრიორიტეტი, პოსტკორონავირუსული პერიოდი.*


სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა ნებისმიერი ქვეყნისთვის ფუნდამენტური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევაა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა მათი კეთილდღეობის პირამიდის საძირკველია. სურსათი ადამიანის ბიოლოგიური არსებობის საფუძველია და იგი მუდამ დარჩება ადამიანთა მოდგმის არსებობის მარადიულ პირობად **[პავლიაშვილი,... 2014].**

მსოფლიოში კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა ზომებმა შესაძლებელია სურსათის გლობალური დეფიციტი გამოიწვიოს [**The Guardian, March 26, 2020**]. მთავრობებმა უკვე შემოიღეს თავისუფალი ვაჭრობის საწინააღმდეგო ღონისძიებები, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეზღუდა სურსათის ნაკადების მოძრაობა ქვეყნებს შორის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სურსათის წარმოება სეზონური ხასიათისაა და ზოგიერთი პროდუქტი (ხილი, ბოსტნეული და სხვ.) მალფუჭადია.

შესაბამისად, ნათელია, რომ კორონავირუსის პანდემია აუცილებლად გამოიწვევს სასურსათო კრიზისს [**Leiroz, 2020**].

ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ე.წ. „შეჩერებას" და კრიზისს ხშირად ადარებენ მსოფლიო ეკონომიკურ თუ ფინანსურ კრიზისებს წარსულში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითად ზემოქმედებს წარმოებასა და მწარმოებლურობაზე, განსაკუთრებით, ღარიბ ქვეყნებში. ვაჭრობა არის ზრდის და ზრდასთან დაკავშირებული რეფორმების განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება დაბალგანვითარებულ ქვეყნებში. ზოგადად, მსოფლიო ფინანსური თუ ეკონომიკური კრიზისების ფონზე, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება გლობალური სავაჭრო სისტემის რელევანტურობა, მრავალ ქვეყანაში იზრდება სურვილი იმისა, რომ დაიცვან საკუთარი ფირმები უცხოელი კონკურენტებისგან, რთულდება თავისუფალ საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციებზე ყოვლისმომცველი შეთანხმებების მიღწევა [**Natsvlishvili, 2013**]. მაგალითად, მას შემდეგ, რაც 2007-2008 წლების მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას, დადებითი დამოკიდებულება ბაზარზე ორიენტირებული რეფორმებისადმი ზოგადად შემცირდა. მსოფლიო მოწმე გახდა ზრდადი ტენდენციისა, რომელიც მიმართული იყო ფინანსური სექტორის ხელახალი რეგულირების და შერჩევითი სამთავრობო ინტერვენციისკენ [**ნაცვლიშვილი ა...2013**]. ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციისადმი ნაკლები ენთუზიაზმი დღესაც სიმპტომურია იმ ტენდენციისა, რომელიც ასახავს სკეპტიციზმს საბაზრო ძალების მიმართ. დღეს მეცნიერები უკვე ასაბუთებენ, რომ ახალი კორონავირუსის პანდემიისას და პოსტპანდემიურ პერიოდში ექსპორტის შეზღუდვების მზარდი ტალღის გამო გლობალურ დონეზე უდავოდ იქნება სასურსათო პროდუქტების წარმოებისა და მიწოდების კრიზისი [**Reuters, April 03, 2020**]. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ სასურსათო უსაფრთხოება მრავალ ქვეყანაში კრიზისის გარეშეც მიუღწეველი იყო.

დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრობლემის მოგვარების გზების ძიება მსოფლიოში არსებული თანამედროვე რეალობების გათვალისწინებით, განსაკუთრებით ჯანდაცვის სფეროსა და ეკონომიკურ საკითხებთან ურთიერთობის კონტექსტში, მით უმეტეს, რომ სწორედ დასახელებული ორი სფეროს მიჯნაზეა განმარტებული სასურსათო უსაფრთხოების ტერმინიც: ,,სასურსათო უსაფრთხოება არის ყველა ადამიანის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე" [**The Food…2006**]. ამგვარ განმარტებას არაერთი მეცნიერი იზიარებს [**Napoli,…2011**].

მაშასადამე, გლობალური სასურსათო კრიზისი გარდუვალი იქნება და ამ კრიზისიდან გამოსავალი გზების ძიება უპირველესად საკმარისი და ხელმისაწვდომი სურსათის წარმოების გაზრდისა და მიწოდების უზრუნველყოფით უნდა დაიწყოს. პასუხი გასაცემი იქნება კითხვებზე: რა გავლენას მოახდენს პანდემია სურსათის წარმოებაზე? რა ფაქტორები უშლის ხელს სურსათის მოწოდებას? როგორ შეიცვლება სურსათის მიწოდების ჯაჭვი? როგორი იქნება სურსათზე წარმოების დანახარჯები? რა გავლენას მოახდენს კრიზისის პერიოდი სურსათის დეფიციტზე? როგორი იქნება სურსათით უზრუნველყოფის მაჩვენებლები? როგორი გახდება სასურსათო უსაფრთხოების დონის მაჩვენებლები პოსტკორონავირუსულ პერიოდში და სხვ. აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა აქტუალურია საქართველოსთვისაც. ამდენად, მნიშვნელოვანია იმ გამოწვევების დადგენა, რომელიც ხელს უშლის ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების დონის მიღწევას, ასევე, მნიშვნელოვანია პოსტკორონავირუსულ პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარების მოსალოდნელი სცენარების შეფასება. შესაბამისად, კვლევის მიზანია პოსტკორონავირუსულ კრიზისულ პერიოდში სასურსათო უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენის საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტების დასახვა.

აგროსასურსათო წარმოების ტრანსფორმაცია გლობალურ გამოწვევებს შორის ერთ-ერთ მთავარ საკითხად განიხილება [**Kharaishvili, 2017**]. ასევე, აქტუალურობას არ კარგავს სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაციისა და სურსათის უსაფრთხოების პრობლემები [**Kharaishvili, 2015**]. აღნიშნულ პროცესებზე ერთ-ერთ მთავარ გავლენას ახდენს ურბანიზაცია. ექსპერტების შეფასებით 2050 წლისთვის მოსახლეობის 65%-ზე მეტი ურბანული მაცხოვრებელი იქნება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სასურსათო უზრუნველყოფასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები კიდევ უფრო მეტს მნიშვნელობას შეიძენს.

თანამედროვე ტექნოლოგიის მიღწევებმა გარკვეულწილად გააუმჯობესა მსოფლიოში სასურსათო ბაზრებზე სურსათის მიწოდება, ნაწილობრივ შენარჩუნდა სურსათის წარმოების ზრდის ტემპიც მოსახლეობის ზრდასთან მიმართებაში. თუმცა, აღნიშნული საკმარისი არ აღმოჩნდა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის სფეროში რისკების შესამცირებლად [**Blazhekovikj-Dimovska,…2014**].

ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის 2024 წლის პროგნოზის მიხედვით ძირითად სასოფლო-სამეურნეო და მეთევზეობის პროდუქციაზე, ბიოსაწვავზე მოსალოდნელია ფასების კლება მომავალი 10 წლის განმავლობაში. პროდუქციის ზრდა, სავარაუდოდ, განპირობებული იქნება პროდუქტიულობის ზრდითა და ფაქტორებზე ფასების კლებით. ადგილი ექნება მოთხოვნის ზრდის შენელებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის მაღალი დონის პირობებში. ამასთან ერთად, განვითარებად ქვეყნებში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები მოთხოვნის სტრუქტურაში [**Natsvlishvili, 2016**].

დღეს ბევრი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება უფრო მდგრადი უნდა გახდეს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია დარგის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, საჭიროა რესურსების მობილიზაცია, კვლევისა და ინოვაციის პოლიტიკის წახალისება [**Campanhola,…2019**]. ზოგადად, აგრარულ სექტორში მწარმოებლურობის გაუმჯობესების პარალელურად ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია და გაუმჯობესება არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების არსებითი მოთხოვნა, რათა მდგრადი განვითარების პირობებში მოხდეს გლობალური სურსათის მარაგის ზრდა. ამ მიმართულებით მცირე ფერმერების როლი სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდაში მომავალში გადამწყვეტი იქნება. მსოფლიოში ნახევარ მილიარდზე მეტი მცირე საოჯახო ფერმა აწარმოებს სურსათის უმეტეს ნაწილს, რომელიც მოიხმარება განვითარებად ქვეყნებში. აზიისა და აფრიკაში ისინი ამუშავებენ მიწების ორ მესამედზე მეტს, მაგრამ მათი მწარმოებლურობა ზოგადად დაბალია **[ნაცვლიშვილი ზ., 2013]**. განვითარებადი ქვეყნების წარმატებას აგრარული მწარმებლურობის გაზრდის კუთხით გლობალური მნიშვნელობა აქვს სურსათის ბაზრების განვითარების, სასურსათო უსაფრთხოების გაზრდის, კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მდგრადი განვითარების ხელისშეწყობის მიმართულებით [**Natsvlishvili, 2014**].

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების კვლევა ბოლო პერიოდში მეცნიერთა და ექსპერტთა მიერ განსაკუთრებულად აქტუალურ პრობლემათა ჭრილში განიხილება [**Kharaishvili,…2015**]. პრობლემას ისიც ამწვავებს, რომ ადგილობრივი აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდის ტენდენციები ვერ უზრუნველყოფს სასურსათო ბალანსების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებას, აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების არსებული პარამეტრებით ვერ მიიღწევა ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების უსაფრთხო დონე.

საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლების ტენდენციების შესწავლამ გვიჩვენა, რომ სტრატეგიული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები 2019 წელს წინა წლებთან შედარებით ხშირ შემთხვევაში კვლავ კლებადია, განსაკუთრებით სტრატეგიულ პროდუქტებზე (იხ. დიაგრამა 1) [**საქართველოს გ…2020:2**].




**დიაგრამა 1. მარცვეულის წარმოება 2014-2019 წლებში (ათასი ტონა)**

2019 წელს ხორბლის წარმოებამ 102.5 ათასი ტონა შეადგინა, რაც 4.3%-ით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ქერის წარმოება 5.7%-ით შემცირდა და 54.4 ათასი ტონა შეადგინა. სიმინდის წარმოება 205.9 ათასი ტონით განისაზღვრა, რაც 6.0%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა კარტოფილის წარმოებაში - 12.2%-ით[**საქართველოს გ…2020: 3-4**].

არსებითად არ გაზრდილა სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული მიწის ფართობი. საქართველოში, ტრადიციულად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობები 3 მილიონ ჰექტარს შეადგენდა, მათ შორის 900 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესად გამოიყენებოდა, მრავალწლოვან ნარგავებს 260 ათასი ჰექტარი ეკავა, ხოლო 400 ათასი ჰექტარი საძოვრებისთვის გამოიყენებოდა.

2019 წელს 2015 წელთან შედარებით ერთწლიანი კულტურებით დაკავებული მიწის ფართობი შემცირდა 56,6 ათასი ჰექტარით, შესაბამისად, შემცირეულია წარმოების მაჩვენებლებიც. ამავე პერიოდში კლება განიცადა ბოსტნეულის წარმოების მაჩვენებელმაც - 10,1 ათასი ტონით, მიწის ფართობების თითქმის უცვლელობის პირობებში უმნიშვნელოდ გაიზარდა წარმოება მრავალწლიანი ნარგავების სექტორში, მცირედ გაზრდილია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მაჩვენებლებიც - 5,9 ათასი ტონით [**საქართველოს გ...2020: 30, 45, 59,78**].

მრავალწლიანი კულტურებიდან 2014-2019 წლებში ზრდის ტენდენცია აღინიშნება ყურძნის წარმოებაში, თუმცა, ხილისა და ციტრუსების წარმოების მაჩვენებლები კლებადი ტენდენციისაა (იხ. დიაგრამა 2) [**საქართველოს გ...2020**].




**დიაგრამა 2. მრავალწლიანი კულტურების წარმოება 2014-2019 წლებში (ათასი ტონა)**

წარმოების მოცემული პრამეტრების პირობებში ძირითადი სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებიც დაბალია. სასურსათო ბალანსების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ხორბალზე ეს მაჩვენებელია 15%, სიმინდზე - 71%, კარტოფილზე - 102%, ბოსტნეულზე - 59%, ყურძენზე - 152%, ხორცზე - 52%, რძესა და რძის პროდუქტებზე - 81%, კვერცხზე - 99% [**საქართველოს ა...2019**]. როგორც ჩანს, დასახელებული მაჩვენებლები ძალიან დაბალია სტრატეგიულ პროდუქტზე - ხორბალზე, ასევე, ბოსტნეულზე, ხორცის პროდუქტებზე.

საქართველოში მაღალია შინამეურნეობების სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში. 2018 წელს ეს მაჩვენებელი 42% იყო [**საქართველოს ბ...2019**]. ასევე, ბოლო წლების მონაცემების შედარებითი ანალიზით გამოვლინდა, რომ სასურსათო პროდუქტებზე ფასების ინდექსი ზრდადი ტენდენციისაა. სურსათის უმეტესობაზე გაზრდილია ფასებიც [**საქართველოს გ...2019:19**].

ქვეყანაში კვლავ მაღალია სიღარიბის დონე. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2018 წელს 20,1% იყო [**საქართველოს დ... 2019: 59**]. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს აგროსასურსათო სექტორი კვლავ დიდი რაოდენობით შინამეურნეობების ფუნქციონირებაზეა დაფუძნებული. შინამეურნეობების მასშტაბები მცირეა და სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებში არსებით გარდატეხას ვერ უზრუნველყოფს [**ხარაიშვილი, ... 2019**]. მცირე ზომის შინამეურნეობებს ბაზართან შეზღუდული წვდომა აქვთ, ასევე, გააჩნიათ შეზღუდული რესურსები და ზრდის ნაკლები პოტენციალი აქვთ [**Kharaishvili a, 2018**]. საქართველოში უახლოეს წლებში სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მკვლევარები განსაკუთრებულ ყურადრებას უთმობენ მეწარმეობის გაძლიერებას, განსაკუთრებით, მის შემდგომ განვითარებას წარმოების რეალურ სექტორში. სამრეწველო წარმოება, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი მიჩნეულია საქართველოში მეწარმეობის გაძლიერებისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებად. ეს სექტორები ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს დასაქმებას და ზრდის საშუალო კლასს საქართველოში, სადაც უმუშევრობა და სიღარიბე კვლავ რჩება სერიოზულ პრობლემად. მსოფლიო ეკონომიკის პრაქტიკა

ადასტურებს, რომ საშუალო კლასის ზრდა და მდგრადი განვითარება შესაძლებელია ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით [**Natsvlishvili, 2020**]. ამ კონტექსტში მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი, და მეორე მხრივ, პრობლემატური ხდება სოფლის მეურნეობაში, რომლის წინაშეც განსაკუთრებული სიმწვავით დგება სასურსათო უსაფრთხოების ამოცანა პოსტკორონასეულ ეპოქაში.

საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება ტრადიციული სფეროა, თუმცა, ეკონომიკურ პრობლემებს შორის განსაკუთრებით მძიმე სოციალურ ფონს ქმნის სასურსათო უსაფრთხოების დაბალი მაჩვენებელი, სურსათზე ფასების ზრდა, ინფლაცია, აგროსასურსათო პრო-დუქტების ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და სხვ. [**ხარაიშვილი, 2017**].

აღსანიშნავია ისიც, რომ აგროსასურსათო პროდუქტებზე ექსპორტ-იმპორტს შორის წლების მანძილზე ფორმირებული უარყოფითი სალდო კვლავ შენარჩუნებულია. იმპორტის მოცულობა ექსპორტს 3-ჯერ და მეტად აღემატება და ქვეყანაში მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა არსებობს [**Kharaishvili, ... 2018**]. საქართველოში სურსათის ექსპორტის წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში საშუალოდ 2018 წელს 9%-ს შეადგენდა. 2019 წლის პირველი სამი კვარტლის მიხედვით ეს მაჩვენებელი 7.5%-ია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე ნაკლებია [**National…2018:16**].

მიმდინარე ეტაპზე, პანდემიის მიმდინარეობისა და კიდევ უფრო მეტად პოსტპანდემიურ პერიოდში, ზემოთ მოყვანილი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებაა მოსალოდნელი. ასეთ პირობებში, ცხადია, საქართველოში სასურსათო უსაფრთხოებაზე დიდ გავლენას მოახდენს COVID-19. როგორც მონაცემებმა ცხადყო, საქართველოში ძირითადი პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები დაბალია, ასევე, ქვეყანა საკვები პროდუქტების წმინდა იმპორტიორია და პანდემიის გამო მთელი რიგი პრობლემები შეიქმნება მოსახლეობის უვნებელი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საკვებით უზრუნველსაყოფად. სასურსათო ბაზრებზე მოსალოდნელი ტენდენციებისა და პროცესების შეფასების საფუძველზე მკვლევრების მიერ გამოითქვა მოსაზრებები სასურსათო ბაზრებზე კრიზისის გაღრმავების შესახებ, უპირველესად სურსათის მიწოდების ჯაჭვში შექმნილი პრობლემების გამო [**მამარდა-შვილი,...2020**].

საერთაშორისო ვაჭრობა პანდემიის პირობებში მკვეთრად შეზღუდულია. საერთაშორისო ვაჭრობა მოსახლეობისათვის სურსათის მიწოდებაში მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს წარმოადგენს და განსაკუთრებული როლი ენიჭება ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის [**The Food…2018**]. პანდემიის გახანგრძლივება საკვების მომმარაგებელ ქსელს მნიშვნელოვან ზარალს მიაყენებს. თუ გავითვა-ლისწინებთ, რომ აღნიშნული ქსელი კომპლექსურია და მოიცავს ფერმერებს, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, გადამამუშავებელ ქარხნებს, გადაზიდვებს, საცალო ვაჭრობას და ა.შ., კრიზისი ღრმა და სხვადასხვა ქსელის მომცველი იქნება [**Business…2018**].

2020 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ეს მაჩვენებელი წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 2.7%-ით ნაკლებია. აქედან, ექსპორტი 5.9%-ით ნაკლები იყო, ხოლო იმპორტი 1.4%-ით ნაკლები. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2020 წლის იანვარ-მარტში 1 217.6 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 43.9% შეადგინა [**საქართველოს ა...2020:1**].

2020 წლის მარტში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონე საქართველოში 0.7%, ხოლო წლიური ინფლაციის დონე 6.1% იყო. გასათვალისწინებელია, რომ ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე. დასახელებულ ჯგუფში ფასების 2.0%-იანი მატება აღინიშნება. ფასები გაზრდილია ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (9.6%), ხილსა და ყურძენზე (8.9%), შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე (3.7%), ზეთსა და ცხიმზე (2.6%), მინერალურ და წყაროს წყალზე, უალკოჰოლო სასმელებსა და ნატურალურ წვენებზე (2.3%), პურსა და პურპროდუქტებზე (1.7%). ამასთან, ფასები შემცირდა რძეზე, ყველზე, კვერცხზე (-1.3%) და თევზეულზე (-1.2%) [**საქართველოს ბ...2020**].

სასურსათო უსაფრთხოება ეხება მოსახლეობის პროდუქტებზე ხელმისაწვდომობას, ასევე, მათ ჯანმრთელობას. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა დაკავშირებულია ურბანიზაციის, შემოსავლების უთანასწორობის, ეკოსისტემის დეგრადაციის და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებთან [**Erkomaishvili, 2017**]. მეცნიერები სწორედ ამ ურთიერთკავშირებს იკვლევენ და ამუშავებენ სამომავლო განვითარების პროგრამებს [**Havas, 2011**].

აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რესურსებზე ხელმისაწვდომობა განიხილება. არანაკლებ მნიშვნელოვანია მიწისა და სასურსათო ბაზრების განვითარება, მწარმოებლურობის ზრდის სტრატეგიების შემუშავება და სხვა. აღნიშნულის მისაღწევად, თავის მხრივ, აუცილებელია კომპლექსური სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება [**The**

**Food…2006]**. უსაფრთხოების პოლიტიკის შესამუშავებლად და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად მნიშვნელოვანია აგროსასურსათო სფეროს განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა [**ერქომაიშვილი, 2016**], ასევე, კვლევების საფუძველზე შესაბამისი კონცეფციებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება [**The Food...2017**].

სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად, სავსებით კანონზომიერად, მიჩნეულია სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება, აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების გაზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირება. სოფლის მეურნეობაში მდგრადი განვითარების მისაღწევად მეცნიერები რამდენიმე ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას მიიჩნევენ, მათგან აღსანიშნავია აგროსასურსათო სექტორში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასურსათო ბაზრების გაფართოება და ახალი ბაზრების ათვისება, აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება [**პავლიაშვილი,… 2014**].

ფერმერთა ასოციაციის კვლევის შედეგების მიხედვით, COVID-19-მა უკვე უარყოფითი გავლენა უკვე იქონია საწარმოო რესურსების ხელმისაწვდომობაზე. ამ კვლევით გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობა - 61% - მიიჩნევს, რომ იმპორტირებული აგროსაშუალებების ფასი ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო გაიზარდა; ამასთან, ნაწილი მიიჩნევს, რომ აგროსაშუალებებზე წვდომა შეიზღუდა, ნაწილი კი ამ აზრს არ იზიარებს და ეწინააღმდეგება კიდეც, თუმცა, მათი უმრავლესობა - 42% თანხმდება იმაზე, რომ ისეთ საწარმოო რესურსებზე, როგორიცაა სამშენებლო მასალები, მექანიზაცია და სხვა წვდომა შეზღუდულია [**მღებრიშვილი, 2020**]. მთავარ გამოწვევად ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა განიხილება [**Kharaishvili b, 2018**].

როგორც ზემოთ აღინიშნა, დღეს სოფლის მეურნეობაში მთავარი გამოწვევაა მწარმოებლურობა. შესაბამისად, პრიორიტეტებს შორის უნდა განვიხლოთ მიწის ფართობების გზარდით მისგან მეტი ღირებულების შექმნის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

მსოფლიოში ყველაზე მაღალი მწარმოებლურობა აგრარულ სექტორში არის აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. ამ ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა აგრარულ სექტორში ერთ დასაქმებულზე 100 ათას დოლარს აჭარბებს; დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და იაპონიაში ეს მაჩვენებელი 30 ათასიდან 50 ათას დოლარამდე მერყეობს. საქართველოში იგივე მაჩვენებელი 1.6 ათასი დოლარია, თურქეთსა და რუსეთში - 10 ათას დოლარზე მეტი [**სოფლისა...2015**]. მაშასადამე, საქართველოში სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობა თითქმის 20-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში და 60-ჯერ ნაკლები, ვიდრე აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში.

მწარმოებლურობის მოცემულ დონეზე, ცხადია, ქართული აგროსასურსათო პროდუქტები კონკურენტუნარიანი ვერ იქნება. მთავარი გამოწვევაა მწარმოებლურობის გაზრდა, საშუალოდ 7-8-ჯერ მაინც, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო მიწის გამსხვილებას და წარმოების მასშტაბების ზრდას, ფინანსურ და სხვა სახეობის რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავებას [**Erkomaishvili, 2018**].

2003 წელს საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორში 1.9 მილიარდი ლარის პროდუქცია იწარმოებოდა, ხოლო 2017 წელს ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 1.8 მილიარდი ლარი შეადგინა. მართალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა ამ პერიოდში შემცირდა, მაგრამ ზემოთ მოყვანილმა მონაცემებმა ცხადყო, რომ მწარმოებლურობა კვლავ დაბალია და მისი ზრდის მექანიზმების ამოქმედება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად.

2004-2018 წლებში ზრდის საშუალო ტემპმა 0.4% შეადგინა, თუმცა, 2013 წელს, როდესაც სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან სფეროდ გამოცხადდა და მეტად დაფინანსდა, სექტორის 11.3%-იანი ზრდა დაფიქსირდა წინა წელთან შედარებით. მომდევნო წლებში კი ფინანსური რესურსების დეფიციტის პირობებში ზრდის ტემპი 1.5%-მდე შემცირდა, 2017-2018 წლებში კი სოფლის მეურნეობის სექტორში დაახლოებით წლიური 3%-იანი კლება აღინიშნება. 2016 წლის შემდეგ წარმოებული პროდუქცია დაახლოებით 100 მლნ ლარით შემცირდა. შემცირდა როგორც ნათესი ფართობები, ასევე პირუტყვის სულადობა [**საქართველოს ე...2019**].

2019 წლის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, განსაკუთრებით შემცირებულია ხორბლისა (4,3%-ით) და კარტოფილის (12,2%-ით) წარმოების მაჩვენებლები, გაიზარდა სიმინდისა (6%-ით) და ბოსტნეულის (14%-ით) წარმოება. იგივე ტენდენცია აღინიშნება მრავალწლიანი კულტურების წარმოებაში (იხ. დიაგრამა 3) [**საქართველოს გ...2020**].




**დიაგრამა 3. მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 2014-2019 წლებში (ათასი ტონა)**

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო წლების განმავლობაში მცირდება ხილისა და ციტრუსების, ხოლო გაიზარდა ყურძნის წარმოების მაჩვენებლები.

პოსტკორონავირუსულ პერიოდში აუცილებელი იქნება სახელმწიფო პოლიტიკის მექანიზმების გამოყენება აგროსასურსათო პროდუქტებზე. პანდემიის პერიოდში პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე, ფასების შენარჩუნების მიზნით, უკვე ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც მოხდება ფასების სუბსიდირება პირველადი მოხმარების ძირითად სასურსათო პროდუქტებზე (ბრინჯი, მაკარონის ნაწარმი, წიწიბურა, მზესუმზირის ზეთი, შაქარი, ხორბალი, ხორბლის ფქვილი, რძის ფხვნილი, ლობიო). პროგრამის ამოცანას წარმოადგენს პროდუქტებზე სავალუტო კურსის ცვალე-ბადობით გამოწვეული ფასის ზრდის შეჩერება სუბსიდირების გზით და ქვეყანაში პროდუქტების საჭირო მარაგების შექმნის სტიმულირება [**საქართველოს მთავრობის...2020**]. ძირითად აგროსასურსათო პროდუქტებზე ფასებზე სუბსიდირების პოლიტიკა გასატარებელი იქნება პოსტკორონავირუსულ პერიოდშიც.

საქართველოში სოფლის მეურნეობა ყოველთვის ასრულებდა ქვეყნის მოსახლების სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფისა და თვითდამკვიდრების შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. უფრო მეტიც, სხვადასხვა კრიზისულ პერიოდში მოსახლეობამ შიმშილისაგან გამოსავალი სწორედ სოფლის მეურნეობაში დასაქმებით გამონახა. დღეს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 1,5 მლნ ადამიანი, რაც ქვეყნის მოსახლეობის 41,3%%-ს შეადგენს [**საქართველოს გ...2019:17**]. მათი უმეტესობა თვითდასაქმებულად ითვლება. პოსტკორონავირუსულ პერიოდში კვლავ გაიზრდება თვითდასაქმებულთა კატეგორია, რადგან მოსალოდნელია ქალაქად უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობისა და ემიგრაციიდან დაბრუნებული მოსახლეობის ნაწილის გადანაცვლება სოფლის მეურნეობის დარგში, შესაბამისად, უახლოეს პერიოდში ნაკლებად მოსალოდნელია მცირემასშტაბიანი მიწის ნაკვეთების გამსხვილების პროცესის დაწყება. მაშასადამე, მიღებული შემოსავლები მცირე იქნება და მხოლოდ ოჯახის წევრების დაკმაყოფილებას მოხმარდება.

საქართველოში აგრარული სექტორის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა მიწის რესურსების ეფექტიანად გამოყენება. პოსტკორონავირუსულ პერიოდში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდის პრიორიტეტი უნდა იყოს მიწის ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის განვითარება მიწების გამსხვილების თვალსაზრისით. მცირემიწიანობა მიწის ნაკვეთების არაეფექტიანად გამოყენებას იწვევს, მასშტაბიდან არაეკონომიურობის გამო ზრდის სურსათზე ფასებს. აუცილებელია მცირე საოჯახო მეურნეობის საშუალო ან მსხვილ ფერმერულ მეურნეობად გარდაქმნის პროგრამებისა და მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება.

სასურსათო უსაფრთხოება კომპლექსური საკითხია. ის მოიცავს, როგორც სოფლის მეურნეობის გააზრებულ და სტრატეგიულ დაგეგმარებას, ისე ჯანდაცვისა და განათლების ელემენტების გათვალისწინებას [**სოფლის...2015**].

აღნიშნულიდან გამომდინარე, პოსტკორონავირუსულ პერიოდში კრიტიკული მნიშვნელობა ექნება მცირე ფერმერების ხელშეწყობას შესაბამისი რესურსებით, მათთვის ეკონომიკისა და განათლების სფეროში თანამედროვე გამოწვევებისა და განვითარების მიმართულებების შესახებ განათლების მიწოდებას, რეფორმების განხორციელებას მიწის ბაზრის განვითარებისათვის, ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვ. სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად უნდა

შემუშავდეს რეალურ საჭიროებებზე მორგებული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები და დაიგეგმოს მათი თანმიმდევრული განხორციელების ეტაპები.

**დასკვნები და რეკომენდაციები**

საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები დაბალია, უმეტეს აგროსასურსათო პროდუქტებზე საქართველო იმპორტზეა დამოკიდებული, შესაბამისად, დიდია საქართველოს დამოკიდებულება სურსათის საიმპორტო ბაზრებზე. საქართველო გლობალური სასურსათო ბაზრის შემადგენელი ნაწილია და COVID-19-ის პოსტკორონავირუსულ პერიოდში მოსალოდნელია კრიზისის გაღრმავება, რაც სასურსათო უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა გახდება. აუცილებელია სისტემური პრობლემების გამოვლენა და დასაბუთებული სტრატეგიების შემუშავება სურსათზე მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვან პრობლემად გამოვლენილია რესურსებზე შეზღუდული წვდომა, განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. საჭიროა წარმოებისათვის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება სუბსიდირების, გარანტირებული ფასებისა და სტიმულირების პროგრამების გამოყენებით.

წარმოების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია მცირემასშტაბიანი ფერმერული მეურნეობები. მცირე მასშტაბების პირობებში გართულებულია სასურსათო ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობები, დაბალია მწარმოებლურობის დონე, ძვირადღირებული ხდება სურსათის ტრანსპორტირება, გართულებულია ლოგისტიკური პრობლემები და სხვ. მიწის ბაზრის განვითარება და კოოპერირების გაფართოება წარმოების მასშტაბების ზრდას და მწარმოებლურობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტს შორის გამოკვეთილია მკვეთრად უარყოფითი სალდო. პოსტკორონავირუსულ პერიოდში მნიშვნელოვანია იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალის მქონე პროდუქტებისთვის პრიორიტეტის მინიჭება შესაბამისი რესურსული უზრუნველყოფით, საჭიროა ღონისძიებების დაგეგმვა ექსპორტის ინტენსიური დივერსიფიკაციის მიმართულებით.

სასურსათო პროდუქტების ნაწილზე ფასების სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა მხოლოდ დროებით უზრუნველყოფს სასურსათო ღირებულების ჯაჭვში ფასების სტაბილიზაციას. შედარებით გრძელვადიან პერიოდში მწარმოებლებსა და მიმწოდებლებს შორის არსებული სუსტი კავშირების გამო შესაძლებელია სურსათის მიწოდების ბალანსი დაირღვეს და გარკვეულ პროდუქტებზე დეფიციტი შეიქმნას. მიზანშეწონილია სასურსათო პროდუქტების ღირებულების ჯაჭვში კავშირების გაძლიერება და უპირატესად ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურაში ინვესტირების განხორციელება.

პანდემიის პირობებში გამოვლინდა ციფრული მომსახურების შესახებ ფერმერთა ცოდნისა და ციფრულ პლატფორმებზე წვდომის პრობლემები. აღნიშნული პრობლემები პოსტკორონავირუსულ პერიოდში განსაკუთრებით იქნება მოსაგვარებელი. შესაბამისად, საჭიროა განხორციელდეს ფერმერთა მხარდაჭერა სხვადასხვა სახეობის ონლაინ პლატფორმებით, მათთვის ტრენინგების შეთავაზება სასურსათო ბაზრების შესახებ ინფორმაციების ძიების, სურსათის ონლაინ გაყიდვებისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ერქომაიშვილი გ., 2016. საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, თბილისი, „უნივერსალი“.
2. მამარდაშვილი ფ., გელაშვილი ს., კაცია ი., დეისაძე ს., 2020. რა ზეგავლენას მოახდენს COVID-19 სურსათის მიწოდების ჯაჭვზე საქართველოში? ვებგვერდიდან: https://bm.ge/ka/article/ra-zegavlenas-moaxdens-covid-19-sursatis-miwodebis-jachvze-saqartveloshi-/53731 (ნახვის თარიღი: 26 აპრილი, 2020).
3. მღებრიშვილი ვ., 2020. რა გამოწვევების წინაშე დააყენა ქართველი ფერმერები COVID-19-მა - კვლევა. ვებგვერდიდან: https://bm.ge/ka/article/ra-gamowvevebis-winashe-daayena-qartveli-fermerebi-covid-19-ma---kvleva/53613. (ნახვის თარიღი: 26 აპრილი, 2020).
4. ნაცვლიშვილი ი., 2013ა. ინოვაციური მიდგომები გლობალურ ვაჭრობაში - მსოფლიო კეთილდღეობის გაუმჯობესების ფაქტორი. ჟ.: „ბიზნესი და ეკონომიკა“ N#1; იანვარი-თებერვალი, თსუ, თბილისი. გვ. 61-78.
5. ნაცვლიშვილი ი., 2013ბ. მდგრადი მწარმოებლურობის ზრდის გამოწვევები აგრარულ სექტორში (გლობალური ტენდენციების მიმოხილვა). II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის

(თბილისი, 11-12 ოქტომბეri, 2013) მასალათა კრებული: „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“. თსუ, თბილისი. გვ. 360-367.
6. პავლიაშვილი ს., გუბელაძე დ., 2014. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი კრიტერიუმები. ვებგვერდიდან: https://for.ge/view/36048/erovnuli-sasursaTo-usafrTxoebis-ZiriTadi-kriteriumebi.html (ნახვის თარიღი: 26 აპრილი, 2020).
7. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 მარტის N185 დადგენილება „პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“. ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4832948?publication=0 (ნახვის თარიღი: 26 აპრილი, 2020).
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020ა. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2020 წ. იანვარი-მარტი (ექსპრეს მონაცემები), გვ. 1. ვებგვერდიდან: https://www.geostat.ge/ka/single-news/1826/sakartvelos-sagareo-vachroba-2020-ts-ianvari-marti-ekspres-monatsemebi (ნახვის თარიღი: 26 აპრილი, 2020).
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020ბ. ინფლაცია საქართველოში 2020 წლის მარტი. ვებგვერდიდან: https://www.geostat.ge/ka/single-news/1797/inflatsia-sakartveloshi-2020-tslis-marti (ნახვის თარიღი: 26 აპრილი, 2020).
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020გ. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2019 წელი (წინასწარი მონაცემები მემცენარეობის შესახებ), გვ. 2. ვებ-გვერდიდან: https://www.geostat.ge/ka/single-news/1827/sakartvelos-soflis-meurneoba-2019-tseli-tsinastsari-monatsemebi-memtsenareobis-shesakheb (ნახვის თარიღი: 10 აპრილი, 2020).
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019ა. სასურსათო ბალანსები, ვებ-გვერდიდან: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usafrtkhoeba (ნახვის თარიღი: 16 აპრილი, 2020).
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019ბ. შინამეურნეობათა სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში. ვებგვერდიდან: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usafrtkhoeba (ნახვის თარიღი: 16 აპრილი, 2020).
13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019გ. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2018. გვ. 19. ვებგვერდიდან: https://www.geostat.ge/media/24488/soflis-meurneoba_2018.pdf (ნახვის თარიღი: 16 აპრილი, 2020).
14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019დ. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2019. გვ. 59. ვებგვერდიდან: https://www.geostat.ge/media/28915/Yearbook_2019.pdf (ნახვის თარიღი: 26 აპრილი, 2020).
15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., 2019ე. საქსტატის მონაცემებით საქართ-ველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კლების ტენდენციაა ( 20 აგვისტო 2019). ვებგვერდიდან: http://georgiandairy.org/ka/post/sakstatis-monatsemebit-sakartveloshi-mskhvilpekha-rkosani-pirutqvis-klebis-tendentsiaa (ნახვის თარიღი: 26 აპრილი, 2020).
16. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD)., 2015. სასურსათო უსაფრთხოება, როგორც პოლიტიკის დაგეგმარების გამჭოლი კონცეფცია. ვებგვერდიდან: http://enpard.ge/ge/food-security-as-a-crosscutting-concept-for-policy-making-in-georgia/ (ნახვის თარიღი: 26 აპრილი, 2020).
17. ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი., 2019. ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა. ჟ.: ,,გლობალიზაცია და ბიზნესი“, #8. გვ. 44-53
18. Blazhekovikj-Dimovska D., Stojanovski S., 2014. Food safety management – A practical guide for the food industry, [on-line] https://www.researchgate.net/publication/283734184_Food_safety_management_-_A_practical_guide_for_the_food_industry (retreved on April 10, 2020).
19. Business and Sustainable Development Commission. 2018, The Food and Land Use Coalition, [on-line] http://businesscommission.org/our-work/the-food-and-land-use-coalition (retreved on April 26, 2020).
20. Campanhola C., Pandey Sh., (ed.). 2019. Sustainable Food and Agriculture, 1-st edition. [on-line] https://www.elsevier.com/books/sustainable-food-and-agriculture/campanhola/978-0-12-812134-4 (retreved on April 15, 2020).
21. Erkomaisvili G., 2018. Economic Policy for Beginner Entrepreneurs in Georgia. ჟ.: „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“, №3, 2018.
22. Erkomaisvili G., 2017. Trends in the Development of Cooperatives and the Policies for Sustainable Development of Agriculture in Georgia. International Research Conferences Modern marine technologies, problems of socio-economic development and solutions. Batumi-Georgia, June 24,2017.

23. Havas Karyn A., 2011. Food security: its components and challenges., International Journal of Food Safety Nutrition and Public Health 4(1). pp. 4 – 11.

24. Leiroz L., 2020. Coronavirus Pandemic Will Inevitably Cause Food Crisis. http://infobrics.org/post/30675/ (retreved on April 10, 2020).

25. National Statistics Office of Georgia., 2018. External Trade of Georgia, 2018, Statistical Publication, p. 16, [on-line] https://www.geostat.ge/media/24972/External-Merchandise-Trade-2018_publication.pdf (retreved on April 26, 2020).

26. Napoli M., De Muro P., Mazziotta M., 2011. Towards a Food Insecurity Multidimensional Index (FIMI). [on-line] http://www.fao.org/fileadmin/templates/ERP/uni/FIMI.pdf (retreved on April 10, 2020).

27. Natsvlishvili I., 2020. Sustanable Business Models to Conect Tourism and Agriculture (Georgian Perspective). Strategic Imperatives of Modern Management. Conference Proceedings. V International Scientific and Practical Conference., Kyiv. April 23-24, 2020. pp. 265-268. [on-line] https://ir.kneu.edu.ua/bitstream/handle/123456789/32937/sism_20_265-268.pdf?sequence=1&isAllowed=y (retreved on April 26, 2020)

28. Natsvlishvili I., 2016. European Models of Farms Diversification and Current Challenges. *International Journal of Business and Management Studies,* 05(02). pp. 31–38. [on-line] *UniversityPublications.net* . http://universitypublications.net/ijbms/0502/html/B6R219.xml (retreved on April 10, 2020).

29. Natsvlishvili I., 2014. Challenges of Sustainable Productivity and Trends of Its Growth in Global Agricultural Sector. Business Systems Laboratory 2-nd International Symposium “ SYSTEMS THINKING FOR A SUSTAINABLE ECONOMY. ADVANCEMENTS IN ECONOMIC AND MANAGERIAL THEORY AND PRACTICE”., conference proceedingს., January 23-24, 2014 ., UNIVERSITAS MERCATORUM. Rome , Italy. [on-line]

30. https://iris.unipa.it/retrieve/handle/10447/86851/99341/New%20forms%20of%20urban%20and%20social%20sustainability.pdf (retreved on April 10, 2020).

31. Natsvlishvili I., 2013. Need of Innovative Approaches in Economic Cooperation in Post Crisis Period. THE ECONOMIC CRISIS: TIME FOR A PARADIGM SHIFT – TOWARDS A SYSTEMS APPROACH., proceedings of Business Systems Laboratory 1-st International Symposium., January 24-25, 2013. Valencia, Spain. [on-line] http://www.bslaboratory.net/web/images/BSR/bsr.vol.2-iss.2-symposium.valencia.2013.pdf (retreved on April 10, 2020).

32. Reuters., (April 03, 2020). Explainer: How Coronavirus Crisis Is Affecting Food Supply. [on-line] https://www.voanews.com/science-health/coronavirus-outbreak/explainer-how-coronavirus-crisis-affecting-food-supply (retreved on April 10, 2020).

33. The Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO)., 2018. Technical guidance for the development of the growing area aspects of Bivalve Mollusc Sanitation Programmes. [on-line] http://www.fao.org/3/CA1213EN/ca1213en.pdf (retreved on April 26, 2020).

34. The Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO)., 2017. WORLD PROGRAMME FOR THE CENSUS OF AGRICULTURE 2020, VOLUME 1 Programme, concepts and definitions,. [on-line] https://www.geostat.ge/media/19735/World-Programme-for-the-Census-of-Agriculture-2020.pdf (retreved on April 16, 2020).

35. The Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO)., 2006. Food Security., FAO’s Agriculture and Development Economics Division., Policy Brief, issues #2 (June, 2006). [on-line] http://www.fao.org/fileadmin/templates/faoitaly/documents/pdf/pdf_Food_Security_Cocept_Note.pdf (retreved on April 26, 2020).

36. The Guardian., (March 26, 2020). Coronavirus measures could cause global food shortage, UN warns. [on-line] https://www.theguardian.com/global-development/2020/mar/26/coronavirus-measures-could-cause-global-food-shortage-un-warns (retreved on March 26, 2020).

37. Kharaishvili E., 2018a. Diversification of Agribusiness and Rural Development Models in Georgia, IV International Scientific and Practical Conference “Strategic Imperatives of Modern Management,” 19-20 April, 2018. [on-line] https://www.researchgate.net/publication/324840417_DIVERSIFICATION_OF_AGRIBUSINESS_AND_RURAL_DEVELOPMENT_MODELS_IN_GEORGIA (retreved on March 26, 2020).

38. Kharaishvili, E., 2018b. The Impact of Preferential Agro Credit on the Development of Agribusiness in Georgia, ECOFORUM. Volume 7, Issue 1(14).

39. Kharaishvili E., Gechbaia B., Mamuladze G. 2018. Vegetable Market: Competitive Advantages of Georgian Product and Competition Challenges. *Innovative Marketing,* Vol. 14, Issue 3,. pp. 8-16.

40. Kharaishvili E., 2017. Challenges for sustainable food security in Georgia, XV EAAE Congress in Parma: Towards Sustainable Agri-Food Systems: Balancing between Markets and Society, Parma, Italy, 29 August – 1 September. [on-line] https://www.researchgate.net/publication/319979747_Challenges_for_sustainable_food_security_in_Georgia (retreved on April 26, 2020).

41. Kharaishvili E., 2015. Farm Diversification and the Corresponding Policy for its Implementation in Georgia, World Academy of Science, Engineering and Technology, International Science index 101, International Journal of Social, Education, Economics and Management Engineering. Vol. 9, #5. pp. 1470 - 1473.

42. Kharaishvili E., Erkomaisvili G., Chavleishvili M., 2015. Problems Faced by the Agricultural Sector and Agribusiness Development Strategy in Georgia, International Science Index 107, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering, Vol. 9, #11. pp. 3833 - 3837.

***Eter Kharaishvili***
***Ia Natsvlishvili***

## FOOD SAFETY CHALLENGES IN GEORGIA AND AGRICULTURAL DEVELOPMENT PRIORITIES IN THE POST-CORONAVIRUS PERIOD

**Summary**

Food safety indicators are analyzed in the article, as well as food balances of the main agricultural products in Georgia are assessed. It is concluded that the problem of food security is one of the main challenges for Georgia and the problem will become even more urgent in the post-pandemic period.

Production growth trends are identified based on a dynamic analysis of local agricultural production indicators. Given the current level and future trends, it is clear that the existing parameters of agricultural production in the short term will not achieve a safe level of self-sufficiency in local products, will not solve the problem of forming an optimal structure of food balances.

The scenarios developed as a result of the events caused by the pandemic in the field of agriculture are evaluated in the paper and the priority directions of the development of the field in the post-pandemic period are proposed.

***Keywords:*** *Food Safety, Self-sufficiency Index, Food Balances, Development Priority, Postcoronavirus Period.*

*რევაზ ჯავახიშვილი*

## განათლება და მეცნიერება – სამხრეთ კორეის ადამიანისეული კაპიტალის განვითარების პრიორიტეტები

***ანოტაცია.*** *სტატიაში გაანალიზებულია განათლებისა და მეცნიერების განვითარების როლი სამხრეთ კორეაში ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესში. ქვეყნის ეკონომიკის ცალკეული ეტაპების შესაბამისად, მასში ნაჩვენებია განათლების სისტემის წინაშე მდგარი ამოცანები და მათი გადაჭრის გზები, სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები, რამაც უზრუნველყო ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც სრულად პასუხობენ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნის სტანდარტებს. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ფუნდამენტური სამეცნერო კვლევების გაღრმავების, საინჟინრო-საკონსტრუქტორო სამუშაოების გაფართოების მძლავრ სახელმწიფო მხარდაჭერაზე, მის ორგანიზაციულ-ფინანსურ უზრუნველყოფაზე.*

***საკვანძო სიტყვები:*** *განათლების სისტემა, მეცნიერება, ინვესტიციები, კვლევის შედეგები, კვალიფიციური სპეციალისტები.*

* * *

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ კორეამ ისეთ ეკონომიკაზე განახორციელა უსწრაფესი გადასვლა, რომლის განვითარების ძირითადი ფაქტორებია ცოდნა და ადამიანისეული კაპიტალი. ასეთი ეკონომიკის განვითარება ეფუძნება ადამიანისეული კაპიტალის ზრდასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, ცხოვრების დონის ამაღლებას, უახლესი ტექნოლოგიების, მაღალხარისხოვანი მომსახურების ცოდნის წარმოებასა და მისი განვითარების სრულყოფას.

აზიის 1998 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, კორეის მთავრობამ დაამუშავა პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკის სტაბილიზებას და ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას. პროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკურ კლასტერებად დაყოფას, თითოეული მათგანის განსაზღვრული სახის საქონლისა და მომსახურების დამუშავებასა და წარმოებაზე Pპასუხისმგებლობას. ეს პროგრამა საფუძვლად დაედო ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების ახალ სტრატეგიას, რომლის ჩარჩოებში შეიქმნა რეგიონული ინოვაციების საბჭო, რომელიც შედგება ცალკეული პროვინციების საწარმოების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და არასამთავრობო კომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. საბჭო ამუშავებს საქმიანობის ღონისძიებათა სტრატეგიას და პროგრამას რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ადგილებზე მუდმივად აწყობს ინოვაციების ბაზრობებს, რაც ხელს უწყობს უახლესი ცოდნისა და იდეების ურთიერთგაცვლასა და გავრცელებას, მაღალი კულტურისა და საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამ სტრატეგიის თავისებურება ისაა, რომ რეგიონების

ინოვაციური პოტენციალის გაფართოება ხორციელდება ლოკალური უმაღლესი სასწავლებლების ინოვაციური პოტენციალის კონკურენტუნარიანობის განმტკიცების ხარჯზე. კორეაში უმაღლესი სასწავლებლები წარმოების საკუთარი ბაზის ფორმირების მნიშვნელოვანი წყაროა, რის გამოც ქვეყანაში სათანადოდ ხორციელდება უმაღლესი სასწავლებლებისა და სამრეწველო საწარმოების თანამშრომლობის წახალისება. გარდა ამისა, ხდება ადგილობრივი მცხოვრებლების მიმაგრება უმაღლეს სასწავლებლებზე, რითაც მიიღწევა მათი უწყვეტი სწავლება სოფლად ინოვაციების განვითარებისათვის. რეგიონული განვითარება ეფუძნება იმას, რომ თითოეული მათგანი უნდა ეყრდნობოდეს მის ხელთ არსებულ რესურსებს და ადგილობრივი თავისებურებებით განპირობებულ უპირატესობებს.

ახალ ეკონომიკაზე გადასვლის ყველა ეტაპზე, ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების პროცესში, სამხრეთკორეის მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა განათლებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის პრობლემებს.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა სამხრეთ კორეის ეკონომიკა თავის განვითარებას იწყებდა ნატურალური სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობიდან, განთლების ძირითადი ამოცანა იყო საყოველთაო დაწყებითი და საშუალო განათლების უზრუნველყოფა. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ასეთი განათლების მიღება აუცილებელია გადამამუშვებელ მრეწველობაში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვისა და ასიმილაციისათვის. 90-იანი წლებიდან და, განსაკუთრებით კი 21-ე საუკუნეში, კორეაში იწყება ცალკეული დარგების სწრაფი განვითარება კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონიკის სფეროში, რისთვისაც აუცილებელი გახდა ქვეყანაში უმაღლესი განათლების სისტემის განვითარება და სრულყოფა, რათა შეუფერხებლად განხორციელებულიყო როგორც საწარმოო, ისე სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების შესასრულებლად სათანადო კვალიფიციური კადრების მომზადება. ეს აგრეთვე ნაკარნახევი იყო უცხოეთიდან მაღალი ტექნოლოგიების შემოდინებითა და მათ შესახებ ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელების აუცილებლობით.

სამხრეთ კორეამ განათლებისა და მეცნიერების განვითარების სფეროში ბევრი რამ ისწავლა იაპონიის მოწინავე გამოცდილებიდან და მის მიერ დაშვებული შეცდომებიდანაც. ცნობილია, რომ ამ მხრივ, იაპონიამ ლიდერობა დაკარგა უფრო მეტად იმის გამო, რომ ახალ ტექნოლოგიებს ძირითადად ყიდულობდა მსოფლიო ბაზარზე. მან ვერ შეძლო შეექმნა მათი საკუთარი წარმოება და, შესაბამისად, ვერ მოახერხა შეენარჩუნებინა ტექნიკური ინოვაციების მაღალი დონე.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარების დაბალი დონისა და ხარისხის პირობებში, ინვესტიციები მაღალტექნოლოგიურ დარგებში არ იძლევა სათანადო უკუგებას. ამიტომ სამხრეთ კორეამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ინვესტიციების გაფართოებას ადამიანისეულ კაპიტალში, კერძოდ, მის საგანმანათლებლო ნაწილში, რამაც მას საშუალება მისცა შეექმნა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ახალ-ახალი ნიმუშები. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კორეაში ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებას საფუძვლად დაედო ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მაღალი კულტურა.

სამხრეთ კორეის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ სწორედ განათლებას და მეცნიერებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის შეუფერხებელ განვითარებაში. ამჟამად კორეაში ფუნქციონირებს 408 უმაღლესი სასწავლებელი და კოლეჯი, სადაც განათლებას 3,5 მლნ სტუდენტი, რომელთა დიდი ნაწილი (32%) საინჟინრო პროფილითაა [6]. სტუდენტთა ხვედრიწონის მიხედვით სამხრეთ კორეას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მთელ მსოფლიოში.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ქვეყნის საუნივერსიტეტო განათლების მიზნები: ფართო დიაპაზონის თეორიებისა და სამეცნიერო ნაშრომების შესწავლის საფუძველზე პიროვნების აღზრდა და ფორმირება; საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებისათვის მათი გამოყენების მეთოდების შემუშავება, ანუ ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის თეორიისა და პრაქტიკის ორგანული შერწყმა. ქვეყნის მაგისტრატურაში სწავლების მიზანია დამოუკიდებელი მუშაობის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების გაღრმავებული შესწავლა. ჩვეულებრივ, მაგისტრატურაში დიდი ყურადღება ექცევა თეორიას, ხოლო პროფესიულ სასწავლებლებში - პრაქტიკის შესწავლას.

ქვეყნის უმსხვილესი უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ მაღალი ცოდნისა და უნარჩვევების კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც სრულად პასუხობენ მსოფლიოს ყველა მაღალგანვითარებული ქვეყნის მოთხოვნებს. უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობას აქვს მძლავრი მატერიალური ბაზა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობებით, რაც იძლევა სტუდენტთა თვითრეალიზაციის მტკიცე გარანტიას. თვითონ განათლების კორეული

სისტემა სრულად პასუხობს განათლების დასავლური სისტემის სტანდარტებს, რაც სათანადო ასახვას პოულობს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ურთიერთგაცვლისა და დასავლეთის ქვეყნებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებში.

თავის მხრივ, საზღვარგარეთულ უმაღლეს სასწავლებლებთან სამხრეთკორეული უნივერსიტეტების მჭიდრო კავშირებმა და თანამშრომლობამ დიდად შეუწყო ხელი და მნიშვნელოვნად გააფართოვა ქვეყანაში უცხოელი სტუდენტების ტალანტის გამოვლენა და განვითარება. ამ მიზნით კორეის უმაღლეს სასწავლებლებში მუშავდება სპეციალური პროგრამები პრინციპით: კომფორტული მატერიალურ-ტექნიკური პირობები, როგორიცაა მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიები, სპეციალური სტიპენდიების სისტემა, ყოფა-ცხოვრების მეგობრული და უსაფრთხო გარემო და ა.შ. სტუდენტთა ასეთი პრინციპით გაცვლა გამოიყენება მათი წარმატების მოტივაციისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

სამხრეთ კორეაში განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში, სახელმწიფოსთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კერძო სექტორი, ქვეყნის უმსხვილესი კორპორაციული გაერთიანებები. სამხრეთ კორეას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მხრივ ადგილი დაიმკვიდროს, მსოფლიოში ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყნების ხუთეულში. ამ მიმართულებით ქვეყანაში იგეგმება ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე მოწინავე დარგებში.

სახელმწიფო ყველანაირად ზრუნავს საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსურ დახმარებაზე. სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები სამხრეთ კორეაში არ იხდიან არავითარ გადასახადებს, არასახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები კი თავისუფლდებიან სასწავლო პროცესში რეინვესტირებული სახსრების გადასახადისგან. აღსანიშნავია, რომ ჩინეთში ეკონომიკის ზრდის წყაროს წარმოადგენს იაფი სამუშაო ძალა, რამდენადაც მილიონობით გლეხობა შედის ინდუსტრიულ ეკონომიკაში, წარმატების კორეული რეცეპტი კი განპირობებულია კერძო მეწარმეობით, ქვეყნის წამყვანი კორპორაციების ინოვაციური საქმიანობითა და პროდუქციის ხარისხით და არა იაფი სამუშაო ძალით. ამასთან ერთად, სამხრეთკორეული წარმატების მნიშვნელოვანი გარანტიაა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის სტაბილური, კარგად დაბალანსებული ურთიერთობა.

სათანადო გამოკვლევებით დასტურდება, რომ განვითარებულ ქვეყნებში ეროვნული შემოსავლების ზრდის 60% განპირობებულია განათლების დონის ამაღლებით. ამერიკელმა მეცნიერ-ეკონომისტებმა გამოთვალეს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა იმ მუშაკთა მიერ, რომელთაც თავიანთ განათლებაზე დახარჯეს 10,5, 12,5 და 14 წელი. აღმოჩნდა, რომ სწორედ მე-3 ჯგუფის მუშაკები აწარმოებენ მშპ-ს ნახევარზე მეტს [7]. განვითარებულ ქვეყნებში არსებობს განათლების უპირატესი დაფინანსების კონცეფცია, რომელიც ეფუძნება ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების თეორიას. უმაღლესი განათლება არის ინვესტიცია ადამიანში, რომელიც ზრდის მის სამომავლო ხელფასს. სწორედ ამიტომ, სტუდენტები ვალდებული არიან, მონაწილეობა მიიღონ თავიანთ სწავლის დაფინანსებაში. ამითაცაა განპირობებული ის, რომ ისინი უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სასწავლო პროცესის სრულყოფას და ამ მიმართულებით სათანადო მოთხოვნებს უყენებენ უმაღლეს სასწავლებლებს.

კორეაში უმაღლესი განათლების დაფინანსების სტრუქტურაში სახელმწიფო დაფინანსების წილი მერყეობს 65-დან 90%-მდე. ამ მხრივ, მაღალი დონეა ავსტრიასა და იტალიაში, შედარებით დაბალი კი - დიდ ბრიტანეთში, დანიაში, შვეციასა და ფინეთში. ამასთან, არსებობს უმაღლესი განათლების დაფინანსების სხვა წყაროებიც: სტუდენტთა სწავლის გადასახადი, კონტრაქტები, სამეცნიერო დამუშავებიდან მიღებული შემოსავლები და სხვა. სამხრეთ კორეის მთავრობა დაბეჯითებით და თანმიმდევრულად ატარებს ადამიანისეული კაპიტალის ზრდის მიმართულებით საჭირო ღონისძიებებს, რათა ქვეყანა გადააქციოს მაღალკონკურენტუნარიანად მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ისტორიულად მოკლე პერიოდში 1953-1961 წწ. სამოქალაქო ომით დანგრეულმა სამხრეთ კორეამ 2012 წელს შეძლო დაეკავებინა მსოფლიოს 155 ქვეყანას შორის საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების დონის მიხედვით პირველი, ხოლო მშპ-ს მიხედვით - მე-16 ადგილი [7].

სამხრეთ კორეაში ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევას, სამეცნიერო-ტექნიკური და საკონსტრუქტორო დამუშავების განვითარებას აქვს მძლავრი სახელმწიფო მხარდაჭერა, რის გამოც ამ მიმართულებით გაწეული საბიუჯეტო დანახარჯები ყოველწლიურად იზრდება. მაგალითისათვის, 2008-2012 წწ. ასეთი დანახარჯები 2,4 მლრდ დოლარიდან 6,9 მლრდ დოლარამდე, ანუ თითქმის 3-ჯერ გაიზარდა და საერთო ბიუჯეტის 1,9% შეადგინა. 2018 წლის მონაცემებით, სამხრეთკორეაში მეცნიერების განვითარების დანახარჯებმა შეადგინა 79,4 მლრდ დოლარი და ამ მაჩვენებლით იგი იმ-

ყოფებოდა მსოფლიოში მე-4 ადგილზე აშშ-ს (511,1 მლრდ), ჩინეთის (451,2 მლრდ), იაპონიის (168,6 მლრდ) და გერმანიის (118,5 მლრდ) შემდეგ, ხოლო წინ უსწრებდა საფრანგეთს (62,2 მლრდ), ინდოეთს (50,12 მლრდ), დიდ ბრიტანეთს (47,2 მლრდ აშშ დოლარი) [7]. სამხრეთ კორეა შედის მოწინავე განვითარებული ქვეყნების რიგში, რომელთაც აქვთ ასეთი დანახარჯების მაღალი მაჩვენებლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. თუ 1970 წ. კორეაში იგი უდრიდა 0,4%-ს, 2012 წ. - 3,7%, 2015 წ. მან შეადგინა 4,2%. ამასთან, მისი 2/3 მოდის კერძო სექტორის ასიგნებებზე. შეიცვალა ასეთი სამუშაოების ხასიათიც. თუ ადრე ჭარბობდა იმპორტული ტექნოლოგიების უბრალოდ დანერგვა და ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია, ამჯერად უფრო მეტად ქვეყანაში ხდება ინოვაციური დამუშავება, რამაც საგრძნობლად შეამცირა ტექნოლოგიების იმპორტის მოცულობა.

სამხრეთ კორეის ხელმძღვანელობა სისტემატურად ახორციელებს ღონისძიებებს განათლებისა და მეცნიერების მართვის სრულყოფის მიმართულებით. 1967-1988წწ. ქვეყნის მასშტაბით მეცნიერებისა და განათლების საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებდა სპეციალური სამთავრობო განყოფილება, რომელსაც უფრო დაბალი დონე ჰქონდა, ვიდრე სამინისტროს მთავრობის შემადგენლობაში. 2008 წელს განათლების სამინისტრო და მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო გაერთიანდა განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის ერთ მძლავრ სამინისტროდ, ხოლო ეკონომიკის სამინისტრო გარდაიქმნა ცოდნის ეკონომიკის სამინისტროდ, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასა და გამოყენებას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაღრმავებასა და მისი შედეგების პრაქტიკაში დანერგვას.

## დასკვნა

საბოლოო დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სამხრეთ კორეა კლასიკური მაგალითია ქვეყნისა, რომელმაც ისტორიულად დროის უმოკლეს პერიოდში არნახულ წარმატებებს მიაღწია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. მან ეს მოახერხა, ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციაზე დაყრდნობით, ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნების საფუძველზე, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა განათლების სისტემის პრიორიტეტულმა განვითარებამ და სრულყოფამ, ფუნდამენტური სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო-საკონსტრუქტორო სამუშაოების გაღრმავება-გაფართოებამ და მისმა მძლავრმა სახელმწიფო მხარდაჭერამ. ყოველივე ამის შედეგად დასავლური სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გაღრმავებისა და მისი შედეგების პრაქტიკული გამოყენების სფეროში კორეა დამსახურებულად იკავებს მოწინავე პოზიციებს მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XI, თბ., 2018.
2. "მწვანე ეკონომიკის" ფორმირების თანამედროვე პრობლემები, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის 75 და ჟურნ. "ეკონომისტის" 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2019.
3. Бровко Н., Борбугулов М;, Опыт создания экономики знаний в Южной Корее, 2016. https://sovman.ru/article/5702/
4. Дятлов С., Основы теории человеческого капитала, М., 1994.
5. Как улучшить человеческий капитал, 2016. https://softblog.am/post/
6. Подходы к формированию человеческого капитала и опыт республики Корея, 2016. https://cyberlenika.ru/article/n/
7. Седальщев С. Инвестиции в человеческий капитал, 2016.
8. https://allbest.ru/otherrterats/economy/00208919_0.htin/



***Revaz Javakhishvili***


## EDUCATION AND SCIENCE – THE PRIORITIES OF THE DEVELOPMENT OF HUMAN CAPITAL OF SOUTH KOREA

**Summary**


The article deals with education and science as the priority directions of the development of human capital of South Korea.

***Рамиля Алиева***

# ЭКОНОМИКА В КАРАНТИНЕ

***Аннотация.*** *Оценивать последствия эпидемии коронавируса для мировой и азербайджанской экономики, без сомнений, слишком рано. Но возможно предположить, что странам ждать «за поворотом», поскольку все крупнейшие страны уже определили свои стратегии противодействия сегодняшним трудностям. Данная статья посвящена последствиям эпидемии коронавируса для экономики и социальной стабильности стран.*

***Ключевые слова:*** *экономика, коронавирус, пандемия, режим самоизоляции.*

В мире продолжается распространение нового коронавируса, эпицентром вспышки которого стал китайский город Ухань. 11 марта ВОЗ признала коронавирус пандемией.

С марта в Европе и США резко увеличилось количество заболевших. По их числу в лидерах сейчас – США, Испания и Италия, где распространение идет экспоненциально и сопровождается повышенной смертностью (см. Табл. 1).

***Таблица 1***

**Распространение коронавируса по странам мира**

| № | Страна | Заболели | Умерли |
|---|---|---|---|
| 1. | США | 702 164 | 37 150 |
| 2. | Испания | 190 838 | 20 002 |
| 3. | Италия | 172 434 | 22 745 |
| 4. | Франция | 149 130 | 18 681 |
| 5. | Германия | 141 397 | 4352 |
| 6. | Великобритания | 109 769 | 14 576 |
| 7. | Китай | 84 738 | 4639 |
| 8. | Иран | 79 494 | 4958 |
| 9. | Турция | 78 546 | 1769 |
| 10. | Россия | 36 793 | 313 |
| 11. | Бразилия | 34 221 | 2141 |
| 12. | Саудовская Аравия | 6380 | 83 |
| 13. | Белоруссия | 4204 | 40 |
| 14. | Украина | 4161 | 116 |
| 15. | Казахстан | 1470 | 17 |
| 16. | Азербайджан | 1283 | 15 |
| 17. | Армения | 1159 | 18 |
| 18. | Монако | 93 | 3 |

***Источник:*** Статистические данные ВОЗ, обновлены 18.04.2020 в 12:20.

Распространение коронавируса и введение режима самоизоляции в большинстве стран мира прямо сказывается на мировой экономике.

Положительная сторона: режим самоизоляции уменьшает масштаб эпидемии, а соответственно, и ее последствий. Жесткие упреждающие меры дают возможность скорее ослабить карантин и сократить его продолжительность.

Карантин по принуждению позволяет избежать более серьезных экономических проблем в будущем еще и потому, что сглаживает пики смертности. Если система здравоохранения не справится, страшные картины переполненных больниц и моргов перепугают население, что оно рассядется по домам уже не по принуждению, а по доброй воле. В таком случае вытащить людей в ресторан, на концерт или в офис будет очень трудно; деньги будут копить, а не тратить. Рухнет спрос на товары и услуги не первой необходимости – от мебели и машин до туров на пляж и уроков музыки. Потребление окажется подавленным на долгое время, экономика войдет в пике.

Отрицательная сторона: активная социальная жизнь лежит в основе потребления в современной экономике. Вводя карантин и самоизоляцию, государство, таким образом, подавляет спрос. И тем же выстрелом убивает второго зайца – предложение. Поскольку сокращается как рабочая сила (люди сидят дома), так и выпуск товаров и услуг (ограничены собрания, торговля, спорт и транспорт).

В результате бизнес перестает вкладывать деньги в развитие, что подрывает создание богатства в будущем. Кроме того, растет число банкротств, разоряются не только компании, но и люди.

Это угрожает и банковской системе: массовые неплатежи чреваты финансовым кризисом, убытками банков, сокращением ликвидности и доступности кредитов.

Главный фактор, осложняющий любые прогнозы, – неясность медицинской картины. Пика и плато эпидемии пока не видно.

Рейтинговое агентство Moody’s в своем прогнозе рассчитывает на нормализацию экономической активности во всем мире во втором полугодии 2020 года. Но в агентстве подчеркивают, что для нынешнего прогноза характерна куда большая степень неопределенности чем обычно, ведь никто не знает, как долго будет длиться эпидемия.

Чуть более 100 лет назад, вскоре после окончания Первой мировой войны, так называемый испанский грипп унес по меньшей мере 50 миллионов жизней по всему миру. Эпидемия «испанки» 1918 года сократила промышленное производство в США в среднем на 18%. Но если бы не карантин тогда, все было бы намного хуже. Пандемии крайне вредоносны для экономики, однако своевременные меры способны уменьшить их масштаб и тем самым смягчить последующий экономический кризис».

Таким образом, карантинные меры не только сокращают смертность, но и приносят экономическую выгоду.

Ученые признают разницу между Covid-19, подвергающему наибольшему риску пожилых и людей с хроническими заболеваниями, или недавно чем-то переболевших (самая высокая смертность – среди тех, кому за 80) и «испанкой», убивающей молодое и здоровое трудоспособное население, и разницу между архаичным хозяйством вековой давности и современной высокотехнологичной экономикой. Однако видят больше параллелей, чем отличий.

Исследования показывают, что страны, которые без промедления сели на карантин, в частности, Тайвань и Сингапур, не только ограничили распространение инфекции. Им удалось сгладить и самые неприятные экономические последствия пандемии. Таким образом, карантинные меры нельзя рассматривать только как источник серьезного экономического ущерба при пандемии [3].

Уникальность нынешнего кризиса в том, что физических разрушений от него нет, экономическую активность просто поставили на паузу. Возвращение к нормальной жизни зависит только от того, прошла ли эпидемия.

Временная пауза в экономике – в первую очередь закрытие предприятий из-за карантина – серьезно замедлила экономический рост в странах.

Эпидемия нанесла сильнейший удар по туристической отрасли, доля которой в мировом ВВП составляет около 2%. Больше того, пострадали все секторы экономики, так или иначе связанные с передвижением людей, а также индустрия развлечений и питания вне дома. В ВВП США доля развлечений, туризма и общественного питания составляет более 4%.

Девять стран представили совместную декларацию с просьбой к ЕС о разработке плана восстановления работы туристического сектора. Министры туризма Испании, Франции, Италии, Португалии, Греции, Мальты, Кипра, Румынии и Болгарии провели переговоры онлайн с целью выработки общей позиции. Инициатором принятия декларации стала Испания. В тексте содержится три основных момента:

– установление одинаковых протоколов для обеспечения безопасных переездов,

– внимание к конкретным проблемам наиболее пострадавших стран и территорий – далеко расположенных регионов и островов,

– привлечение необходимых средств для оказания помощи компаниям и сотрудникам в туристическом секторе.

ЕС должен поддержать данную стратегию через программу SURE Еврокомиссии и фонда Европейского инвестиционного банка. Кроме того, необходимо, чтобы ЕС привлек фонды для помощи компаниям в туристическом секторе, чтобы сохранить их конкурентоспособность в новой изменяющейся среде. Была подчеркнута необходимость оказания помощи «ключевому сектору для туризма» – авиаперевозчикам. Должна быть гарантирована безопасность передвижения – доверие путешественников. Необходимо, чтобы были единые и общие для стран-членов меры безопасности на европейском уровне, что обеспечит безопасное и безболезненное путешествие.

В Азербайджане коронавирус задел все сектора национальной экономики. Туристический сектор республики понес наибольший ущерб от сложившейся ситуации. Закрытие границ негативно повлияло на развитие туризма в стране. Так, в марте было зарезервировано в 2,7 раза меньше номеров, нежели в феврале этого года. А по сравнению с мартом 2019 года, показатели и вовсе снизились в 2,9 раза. Азербайджан потерял почти 16% от доходов туризма по сравнению с 2019 годом. Вследствие снижения турпотока доход от туризма в 2020 году составил 60 миллионов манатов (-15,8%).

В Азербайджане предупредительные меры были приняты своевременно, были подготовлены программы по оказанию государственной поддержки всем уязвимым секторам экономики, включая частный бизнес. Программы разработаны правительством Азербайджана в соответствии с распоряжением президента Ильхама Алиева «О мерах по снижению негативного воздействия на экономику Азербайджанской Республики пандемии коронавируса (COVID-19) и резких колебаний на мировых энергетических и фондовых рынках, и соответственно, обеспечению макроэкономической стабильности, занятости и поддержки предпринимательства».

В результате пандемии коронавируса в 2020 году прогнозируется резкое сокращение мировой экономики – на 3%, что намного больше, чем во время финансового кризиса 2008–2009 годов, отмечается в опубликованном Международным валютным фондом (МВФ) апрельском обзоре «Перспектив развития мировой экономики» [4].

При этом экономика Азербайджана, по прогнозам МВФ, в 2020 году снизится на 2,2%, а в 2021 году рост составит 0,7%. Тем самым, рецессия азербайджанской экономики в этом году будет ниже в сравнении с мировой экономикой [4].

С розничной торговлей ситуация сложнее, здесь пострадают не столько продажи продуктов питания, сколько продажи товаров длительного пользования. Во Франции уже распоряжением властей закрыта любая торговля, кроме необходимой для выживания. В странах, где нет таких жестких мер, население минимизирует походы в магазины, но без продуктов ему не обойтись, а вот с телевизорами и стиральными машинами можно и подождать. Равно как и с автомобилями. В экономике США доля товаров длительного пользования составляет около 6%.

Пострадают профессиональные и бизнес-услуги, чья доля в ВВП США превышает 10%, но зато вырастет спрос на услуги медицины. Под ударом окажутся транспортные перевозки (около 3% экономики США, вместе со складскими услугами) и оптовая торговля.

Нанесенный эпидемией удар по экономикам развитых стран столь силен, что правительствам придется всерьез пересмотреть свою политику в отношении здравоохранения, где последние десятилетия проводилась политика минимизации: лучше за счет налогов содержать больше медицинского персонала, чем нужно «в моменте», и иметь избыток койко-мест и медицинского оборудования, чем терять десятки процентов ВВП во время эпидемии.

Корпорации и государство будут инвестировать в сервисы, обеспечивающие возможность быстрого переключения в режим удаленной работы на дому десятков миллионов офисных работников, а школьного и вузовского образования — в режим дистанционного обучения.

Дополнительный стимул получит роботизация торговли – в постэпидемическом будущем массовое появление полностью автоматизированных магазинов без человеческого персонала. А также еще большую долю отрежет у обычной розничной торговли торговля-онлайн [2].

Потребуются новые технологии обеззараживания воздуха в небольших замкнутых помещениях типа салона самолета и помещений круизного лайнера. Либо же развитие пойдет по другому пути, и в прогулочных лайнерах будут менять систему вентиляции с общей для всех на локальную.

Появится спрос на усовершенствованные технологии общения на небольшом расстоянии, общего разговора группы, где каждый участник находится от других на безопасном расстоянии в несколько метров. В реальности речь может зайти о вживлении чипа мобильного общения в режиме конференции.

Мощный допинг получит индустрия развлечений на дому – компьютерные игры, стриминговые видео и т.п.

Если пандемия пойдет на спад во второй половине 2020 года, а ограничительные меры, связанные с санитарным кризисом, будут отменены, последствия экономических проблем, спровоцированных эпидемиологическими трудностями, можно будет преодолеть. Как только вирус отступит и государства смогут дать зеленый свет для экономической жизни, производство и потребление достаточно быстро увеличатся до того уровня, который имел место до пандемии. Например, экономика Китая уже восстановилась после карантина на 90%. В конце марта производство страны было запущено практически в полном объеме, показатели фондового рынка отыграли падение. На фоне карантина, установленного в Европе и США, КНР стала привлекательна для иностранных инвесторов.

### Использованная литература


1. Статистические данные ВОЗ, 18.04.2020.
2. A policy framework for mitigating the economic impact of COVID-19.
3. https://www.brookings.edu/blog/future-development/2020/04/20/a-policy-framework-for-mitigating-the-economic-impact-of-covid-19/
4. Covid-19: protect, recover, retool.
5. https://www.bain.com/insights/covid-19-protect-recover-and-retool/
6. Latest World Economic Outlook Growth Projections, April 2020.
7. https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020/


***Ramila Aliyeva***

### THE ECONOMY IN QUARANTINE
**Summary**

There is, no doubt, too early to assess the impact of the coronavirus epidemic on the global and azerbaijani economies. But it is possible to assume that countries are waiting "for a turn," as all major countries have already defined their strategies to counter todays’ difficulties. This article deals with the impact of the coronavirus epidemic on the economy and social stability of countries.

***Keywords:*** *economy, coronavirus, pandemic, self-isolation regime.*

*მირზა ბახტაძე*

## საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი პანდემიის პირობებში

***ანოტაცია.*** *მსოფლიო პანდემიამ მნიშვნელოვანი დარტყმა განახორციელა გლობალურ ეკონომიკაზე. თავის მხრივ შეირყა ცალკეული ქვეყნების ეკონომიკა, მათ შორის საქართველოც არ არის გამონაკლისი. შესაბამისად, საჭიროა თითოეულმა ქვეყანამ შექმნას ანტიკრიზისული გეგმა, რათა ერთად დავამარცხოთ „უხილავი მტერი“. საქართველოს ეკონომიკური რესურსებიდან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ სოფლის მეურნეობა არის ის დარგი, რომელიც მოკლევადიან პერიოდში მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ კრიზისულ ვითარებაში საოჯახო მეურნეობებმა შეძლონ პირადი მოხმარებისათვის საჭირო სასურსათო მარაგების შექმნის წინაპირობა და, ასევე, ბაზარზე მეტ-ნაკლებად შევინარჩუნოთ ადგილობრივი წარმოების აგროსასურსათო პროდუქცია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი მომხმარებლისათვის. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, პანდემიის პირობებში ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორის გამოსავლენად ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა, სადაც გამოკითხულთა დიდი ნაწილი სწორედ სოფლის მეურნეობას მიიჩნევს პრიორიტეტად. სტატიაში განხილულია საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაზე პანდემიის (ახალი covid-19) გავლენების გარკვეული ასპექტები და ამ პროცესში სოფლის მეურნეობის დარგის ინოვაციური განვითარების მნიშვნელობა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *საქართველო; კორონავირუსი; covid-19; გლობალური ეკონომიკა; თანამედროვე გამოწვევები; სოფლის მეურნეობა; პანდემია; ეკონომიკური კრიზისი; სოცილურ-ეკონომიკური პრობლემები; „ნოკდაუნი“; ინოვაცია; ტექნოლოგიები.*

* * *

ტერმინი „ნოკდაუნი“ (ინგლ - knock-down) კრივში აღნიშნავს მდგომარეობას, როდესაც მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმისაგან ძირს არის დავარდნილი და 10 წამის განმავლობაში შეუძლია ადგეს ბრძოლის გასაგრძელებლად. თუკი 10 წამის განმავლობაში იგი ვერ წამოდგება, ითვლება დამარცხებულად, რასაც, თავის მხრივ უწოდებენ „ნოკაუტს“ (ინგლ - knock-out). ვირუსმა სახელად კორონა (covid-19) შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ეკონომიკასა და მათ შორის საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაზე დროის მცირე მონაკვეთში განახორციელა ზუსტი დარტყმები, შედეგად, მთელი რიგი ქვეყნები და საოჯახო მეურნეობები ჩავარდა დაახლოებით ზემოხსენებული ნოკდაუნის მსგავს მდგომარეობაში, როდესაც დანამდვილებით ვიცით მხოლოდ ის, რომ მიღებული დარტყმა ნამდვილად უძლიერესია და ძალიან ცოტა დრო გვაქვს ფეხზე წამოდგომისა და ცხოვრების ჩვეულ რიტმში გაგრძელებისათვის. ამასთან, მეტ-ნაკლებად ვიცით ისიც, თუ რაოდენ ძლიერი დარტყმების აცილება მოგვიწევს „ფეხზე წამოდგომის“ შემდეგ. ნოკდაუნის დროს კრივში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე უმთავრესი ფაქტორი, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ესენია: მოკრივის ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, მათ შორის ანატომიური რესურსი (ჩვენს შემთხვევაში ეს იქნება, ცხადია, ფინანსური და ეკონომიკური რესურსი) და დროის მცირე ოდენობა (სულ რაღაც 10 წამი). ამასთან, მიზანი მხოლოდ წამოდგომა როდია. მოცემული ფაქტორებისა და ვირუსის გავრცელების მასშტაბების გათვალისწინებით, მსოფლიო ქვეყნებს სხვადასხვა შანსები აქვთ, აქედან გამომდინარე, რთულია ავიღოთ რომელიმე მოწინავე ქვეყნის ანტიკრიზისული გეგმა და ვიხელმძღვანელოთ მიმდინარე პროცესიდან თავის დასაღწევად. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, ცალკეულმა ქვეყანამ უნდა შექმნას ორიგინალური ანტიკრიზისული გეგმა, რისთვისაც საჭიროა კარგად გაანალიზდეს ქვეყნის სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, საფინანსო-ეკონომიკური რესურსები და რეაბილიტაციის პერიოდი, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ძალზე მწირია. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს ა. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მეტ-ნაკლები გათვალისწინებით და მოქალაქეებს პირველ რიგში უნდა ჰქონდეთ პირველადი მოთხოვნილებების/მოთხოვნების (საკვები, აუცილებელი მედიკამენტები და სხვა) დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მაშინ როდესაც მიკრო თუ მაკროეკონომიკური კატაკლიზმების შედეგად გაღარიბდა საოჯახო მეურნეობები, ამასთან ქვეყნების ფინანსური რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულ იქნა ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებების მხარდასაჭერად, ფინანსური თვალსაზრისით რისი იმედიც მეტწილად რჩება კრიზისადან გამოსასვლელად ეს არის ქვეყანაში არსებული სავალუტო რეზერვები და საერთაშორისო გრანტები, თუმცა ორივე მათგანი თავის თავში მოიცავს სპეციფიკურ რისკებს. ერთი მხრივ, სავალუტო რეზერვებიდან განხორციელებული ფულადი ინტერვენციების მოცულობის არასწორად განსაზღვრა შეიძლება აღმოჩნდეს დამღუპველი

ეკონომიკის მდგრადობისათვის, ხოლო მეორე მხრივ, იმ პირობებში, როდესაც საგრძნობლად შემცირებულია ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლები რამდენად სწორი იქნება დიდი ოდენობით უცხოური ვალუტის სესხად აღება და რამდენად ლიკვიდური იქნება ჩვენი ეკონომიკა უახლოეს მომავალში ამ სესხის დასაფარად. აღნიშნულის გათვალისწინებით სესხთან მიმართებაში არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები გააძვირებენ სესხებს ან/და გაამკაცრებენ პირობებს, რაც, საბოლოო ჯამში, სუსტი ეკონომიკის ქვეყნებს შეუზღუდავს მათზე ხელმისაწვდომობას. ამდენად, ეს ორი მიმართულებაც არ არის პანაცეა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის, თუმცა სწორი ადმინისტრირების პირობებში შესაძლებელია გარკვეული პოზიტიური შედეგების მიღწევა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ აპრილის პირველ ნახევარში სწორედ აღნიშნული მექანიზმების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებისაკენ იქნა გადადგმული ნაბიჯები და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის ფარგლებში ადრე დამტკიცებული დაფინანსების დაახლოებით 375 მლნ დოლარით გაზრდა იგეგმება. ასევე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით ოფიციალური დახმარების გარდა, საერთაშორისო და ორმხრივი საფინანსო ინსტიტუტები კერძო სექტორს დამატებით 1,5 მილიარდამდე აშშ დოლარის დაფინანსებას გამოუყოფენ, რომლის ძირითადი ნაწილიც ბანკების გავლით რეალურ სექტორში მოხვდება, მისი თქმით, „გასულ წლებში ეროვნული ბანკი საერთაშორისო რეზერვებს აგროვებდა და ამ პოლიტიკის სარგებელი სწორედ დღეს ჩანს. ამ განსაკუთრებული ვითარების ფონზე, ინტერვენციების საშუალებით, სწორედ იმ დაგროვებულ რეზერვებს გამოვიყენებთ სავალუტო ბაზრისთვის მისაწოდებლად“[40].

შექმნილი ვითრებიდან გამომდინარე მეცნიერებსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანალიტიკოსებს უჭირთ რეალური პროგნოზების გაკეთება. შესაბამისად, მსოფლიოში ყალიბდება კრიზისიდან გამოსვლისათვის საჭირო ზოგადი მიდგომები, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქცენტს აკეთებს პანდემიის შედეგად დაზარალებული ეკონომიკური სუბიექტების, საკრედიტო სექტორისა და საოჯახო მეურნეობების მხარდასაჭერად სახელისუფლებო მექანიზმების უფრო აქტიურად გამოყენებაზე, კერძოდ უნდა მოხდეს საბიუჯეტო სახსრების მაქსიმალურად ეფექტიანად მართვა ამ პროცესში.[41] მსოფლიო ბანკი კი მომდევნო 15 თვის განმავლობაში ჯანდაცვისა და განათლების სფეროების ხელშეწყობის მიზნით აპირებს, განვითარებად და ღარიბ ქვეყნებში განახორციელოს სხვადასხვა პროგრამები - ჯამური ღირებულებით 160 მილიარდი აშშ დოლარი.[42] McKinsey-ის, Bloomberg-ის და Haver-ის ანალიტიკოსები კორონავირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე განიხილავდნენ მოვლენათა განვითარების სხვადასხვა სცენარებს და აკეთებდნენ გარკვეულ პროგნოზებს, თუმცა ბოლო პერიოდში აშშ-ს მაგალითზე უპირველეს მისიად მიიჩნევენ ინფექციის დროულად დამარცხებას, რის წინაპირობადაც მიჩნეულია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს მაქსიმალური მხარდაჭერა[43,44].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული პერიოდისათვის კონცენტრირება უნდა მოხდეს უხილავი მტერის დამარცხებაზე. პარალელურად კი ქვეყნის არსებული რესურსები მაქსიმალურად უნდა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომელიც მოკლევადიან პერიოდში უზრუნველყოფს მოქალაქეების პირველადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, კერძოდ ფასების სტაბილურობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ადგილობრივი ბაზრის ნაწილის მომარაგება უნდა მოხდეს ქვეყანაშივე წარმოებული სურსათით, მათ შორის ერთწლიანი და მრავალწლოვანი კულტურით, რძის პროდუქტებით და ა.შ.. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მფლობელთა/მოსარგებლეთა ძალისხმევისა და ხელისუფლების დახმარებით უნდა მოხდეს ქვეყანაში არსებული თავისუფალი მიწების დამუშავება და სოფლის მეურნეობის განვითარება, რაც, ერთი მხრივ, დააკმაყოფილებს მოსახლეობას საკვებით და მეორე მხრივ დასაქმების მკვეთრად შემცირებას რამდენადმე დააკომპენსირებს თვითდასაქმება და სოფლად საოჯახო მეურნეობათა გაძლიერება. ამ კუთხით საყურადღებოა ევროკომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების ფერმერულ მეურნეობებს სთავაზობს სხვადასხვა ფინანსურ შეღავათსა და დაბალპროცენტიანი გრანტის მიღების შესაძლებლობებს, რათა შენარჩუნდეს აღნიშნული დარგის მდგრადი განვითარება[45]. ანალოგიურად, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაზე ყურადღება გამახვილდა მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანტიკრიზისულ გეგმაში, სადაც აღსანიშნავია ფერმერების სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან გათავისუფლება, ერთწლიანი კულტურების მოყვანის წახალისების მიზნით, ფერმერებისთვის საბრუნავ

[40] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3912
[41]https://blogs.imf.org/2020/04/01/economic-policies-for-the-covid-19-war/
[42] https://www.worldbank.org/en/news/feature/2020/04/02/the-world-bank-group-moves-quickly-to-help-countries-respond-to-covid-19
[43] https://www.mckinsey.com/industries/healthcare-systems-and-services/our-insights/winning-the-local-covid-19-war
[44] https://www.bloomberg.com/newsletters/coronavirus-daily/latest
[45] https://ec.europa.eu/info/food-farming-fisheries/farming/coronavirus-response_en

საშუალებებზე წვდომის შესაძლებლობის მიცემა. აგროკრედიტის ფარგლებში გაჩნდა ახალი კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს სრულ თანადაფინანსებას საბანკო პროცენტის 5-დან 100 000 ლარამდე სესხებზე. ამ სესხებზე სახელმწიფო, უზრუნველყოფის ნაწილში, 50 %-ით თავდებად უდგება ფერმერებს იმისათვის, რომ მარტივი იყოს ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობა და მათ ადვილად შეძლონ კრედიტების აღება.[46]

კვლევის ობიექტის, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, საინტერესოა მიმდინარე ეტაპზე საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, თუ ეკონომიკის რომელი სექტორი მიიჩნევა პრიორიტეტულად ქვეყნის მოქალაქეების მიერ, ამ მიზნით ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა, კერძოდ სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით (Google Forms) 300-მდე აქტიურ მოქალაქეს მივმართეთ ზემოხსენებული კითხვით. კვლევის შედეგი ნათლად გვიჩვენებს, რომ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი covid19-ის შედეგად ქვეყანაში შექმნილ კრიზისულ ვითარებაში, ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორად მიიჩნევს სოფლის მეურნეობას (იხ. დიაგრამა).

**დიაგრამა. covid19-ის შედეგად ქვეყანაში შექმნილ კრიზისულ ვითარებაში, ჩამოთვლილთაგან ეკონომიკის რომელი სექტორი უნდა გამოცხადდეს პრიორიტეტად?**




**წყარო:** დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა სხვადასხვა ღონისძიებებმა, როგორიცაა მოქალაქეებისათვის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გადასახადის სუბსიდირება, სესხების თუ გადასახადების გადავადება, ფულადი კომპენსაციები და ა.შ., მნიშვნელოვნად გაუადვილა მოსახლეობას და ადგილობრივ ბიზნესს პანდემიით გამოწვეულ უარყოფით პროცესებზე გამკლავება. გარდა ამისა, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მიმდინარე მიწის რეფორმის ფარგლებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რომელიც ხელს შეუწყობს თავისუფალი მიწების დამუშავებას, ხოლო ამ პროცესის პარალელურად მყისიერად უნდა დაიწყოს ხსენებული თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამუშავების სტიმულირების მექანიზმების გააქტიურება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. უნდა მოხდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების სუბსიდირება სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ინვენტარით, შერჩეული რამდენიმე კულტურის სათესლე და სანერგე მასალითა და სპეციალური ტრენინგებით მათთვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება. ასევე, აქტიურად უნდა ამოქმედდეს სასათბურე მეურნეობების პროგრამა და ეს ყველაფერი უნდა ეფუძნებოდეს ცოდნას და თანამედროვე ტექნოლოგიებს.

თანამედროვე ტექნოლოგიები გვევლინება სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდის უმთავრეს საშუალებად. აუცილებელია გამოყენებულ იქნეს უახლესი მიღწევები ტექნიკისა და მეცნიერული თვალსაზრისით. ცალკეულ ფერმერს კარგად უნდა ესმოდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შინაარსი და მისგან ფინანსური სარგებლის მიღების შესაძლებლობა. ამასთან, მან უნდა იცოდეს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ინოვაციებს, რომლის გარეშე ყოველგვარი წარმატება

[46] https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/17927

გამორიცხულია. მაგალითად, გლობალური ტემპერატურის მატებისას მიწა უფრო და უფრო კარგავს მის ნაყოფიერებას. შესაბამისად, წყალი ყველაზე მნიშვნელოვანია საკვების წარმოებისთვის. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია წყლის ავტომატური და კომპიუტერიზებული სისტემის საშუალებით. გარდა ამისა, საკვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ბიოტექნოლოგიური მიღწევები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მეცნიერებმა წარმოქმნან ახალი ჯიშის მრავალფეროვანი მცენარეები და ცხოველები ჩვენი ქვეყნისთვის ხელსაყრელი და სასურველი მახასიათებლებით. ე.წ. „მწვანე სახლებში" სხვადასხვა კულტურები შეიძლება ცოცხლობდეს მთელი წლის განმავლობაში. ასევე ვითარდება ნანოტექნოლოგიური მექანიზმები ნიადაგის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად და შესაბამისი კულტურის „კვების" ბალანსირებისთვის, რაც ხელს უწყობს საკვების წარმოების გაზრდას. სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანია ცალკეული ფერმერების კოოპერაცია, მათი ერთიან ელექტრონულ პლატფორმაში ჩართვა, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც დისკუსია ცალკეულ საკითხზე, ასევე ამა თუ იმ ტექნოლოგიისა და ტექნიკის გაზიარება. სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების მიზნით უნდა შეიქმნას მდგრადი, მაღალტექნოლოგიური სოფლის მეურნეობის სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი საკვების წამოება და ბაზარზე რეალიზება.

### დასკვნა

ამრიგად, საგულისხმოა, რომ რთული და არაპროგნოზირებადი მდგომარეობა მნიშვნელოვნად ამცირებს ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, გაურკვეველი ვადით მცირდება ტურიზმიდან, უცხოური ინვესტიციებიდან და საბანკო გზავნილებიდან უცხოური ვალუტის ქვეყანაში შემოდინება, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას. ასეთ დროს კი უმთავრესი საზრუნავი, როგორც წესი, ხდება მოქალაქეების საკვებით უზრუნველყოფა, ხოლო აღნიშნული საკითხის მოგვარების ყველაზე რეალური გზა მოცემულ ეტაპზე სოფლის მეურნეობის სფეროში უნდა მოიძებნოს. ამ მიმართულებით არსებობს წარმატებული პრაქტიკა. შესაბამისად, კვლავ აქტუალურია ცოდნაზე დამყარებული მენეჯმენტი, რომელიც უნდა იქცეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობისა და მდგრადობის მტკიცე საფუძველი.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3912
2. https://blogs.imf.org/2020/04/01/economic-policies-for-the-covid-19-war/
3. https://www.worldbank.org/en/news/feature/2020/04/02/the-world-bank-group-moves-quickly-to-help-countries-respond-to-covid-19
4. https://www.mckinsey.com/industries/healthcare-systems-and-services/our-insights/winning-the-local-covid-19-war
5. http://www.haver.com/
6. https://www.bloomberg.com/newsletters/coronavirus-daily/latest
7. https://ec.europa.eu/info/food-farming-fisheries/farming/coronavirus-response_en
8. https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/17927



***Mirza Bakhtadze***


**SOME ASPECTS OF SOCIAL-ECONOMIC STATE OF GEORGIA UNDER THE PANDEMIC**

**Summary**


The global pandemic has dealt a significant blow to the world economy. For its part, the economies of individual countries have been shaken and Georgia isn't exception. Therefore, each country has to come up with an anti-crisis plan to defeat the "invisible enemy" together. Based on Georgia's economic resources, we consider that agriculture is a sector that in the short term will give us possibility to create the necessary preconditions for household use in times of crisis, as well as to maintain more or less local agro-food products in the market, which will also be available for local customers In order to identify the priority sector of the country's economy.

A quantitative study was conducted by us, where a large part of the respondents consider that agriculture as a priority. The article discusses the negative consequences of the impact of the pandemic (new covid-19) and the importance of innovative development of the agricultural sector in this process.

*დავით ბიბინაშვილი*

# მიმდინარე პანდემიის პირობებში ინფლაციის გაზრდისა და ფინანსური რესურსების არაეფექტიანი ხარჯვის საფრთხეები საქართველოში

***ანოტაცია.*** *ბოლო დროს, COVID-19-ის პანდემია მთელ მსოფლიოში ჩვენი ახალი რეალობის ნაწილი გახდა. ყოველდღიურად ახალი საპასუხო ზომებისა და ქმედებების მოწმე ვიყავით როგორც მთავრობის, ისე სხვადასხვა ორგანიზაციის მხრიდან, რამაც, თავის მხრივ, ახალი რეალობა და გამოწვევები წარმოშვა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს ასეთი ძლიერი გამოწვევა არ ჰქონია. თუკი ჩვენ ოდესმე დაგვიდგებოდა საგარეო ვალის მყისიერად გაზრდის აუცილებლობა, სწორედ ახლა არის ეს აუცილებლობა იმიტომ, რომ ვხედავთ, ამ კრიზისში მთელი მსოფლიოა ჩათრეული და არ ვიცით, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს. ჩვენ არ ვიცით, რამდენად სწრაფად გაჩნდება ვაქცინა და როგორ შეძლებს კაცობრიობა ამ გამოწვევის გადალახვას. ჩვენ მოგვიწევს კოვიდთან ერთად ცხოვრება, რაც დამატებით ძალისხმევას საჭიროებს. ადამიანებს გაუჭირდებათ, ბიზნესებს გაუჭირდება და საზოგადოება ამისთვის მზად უნდა იყოს. ამისთვის საკუთარი რესურსით ვერც ერთი ქვეყანა ვერ გავა ფონს. მით უფრო ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც არის საქართველო, ასეთი გლობალური გამოწვევის წინაშე თავისი პარტნიორების იმედადაა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია; ინფლაცია; კრიზისი; რესტრუქტურიზაცია; რეზერვების ხარჯვა.*

## შესავალი

ახალი ტიპის კორონავირუსის (Covid-19) პანდემია მსოფლიოსთვის მოულოდნელ გამოწვევად იქცა, რომლის მასშტაბიც უახლესი ისტორიის განმავლობაში უპრეცედენტოა. საქართველო, როგორც ღია მსოფლიოს ნაწილი, მთელი რიგი მიზეზების, მათ შორის, ეკონომიკური გამოწვევების გამო, რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. მოვლენების განვითარების პერსპექტივის, მოსალოდნელი ჰუმანიტარული და ეკონომიკური ზიანის მოცულობის სრულად განჭვრეტა, არსებული მონაცემებით, თითქმის შეუძლებელია.

კრიზისულ სიტუაციებში სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები, ხარჯების ზრდის პარალელურად, გადასახადებსა და რეფინანსირების განაკვეთს ამცირებენ, რათა კრიზისით გამოწვეული მოთხოვნის კლების დაბალანსება და ეკონომიკური სტიმულირება ისე მოხდეს, რომ ეკონომიკის რეალური სექტორი კრიზისის/რეცესიის განმავლობაში წონასწორულ მდგომარეობასთან ახლოს დარჩეს.

* * *

**(მსჯელობა):** მსოფლიოში მიმდინარე პანდემიამ საქართველოში სავალუტო ბაზარზე ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით იქონია გავლენა და დოლარის შემოდინების თითქმის ყველა წყაროს შეეხო. პირველ რიგში, პანდემიის შედეგად ტურისტული აქტივობა მსოფლიოს მასშტაბით შეწყდა. შედეგად, საქართველომ ის ფულადი ნაკადები სრულად დაკარგა, რასაც ტურიზმიდან იღებდა ან შეიძლება მიეღო. შესაბამისად, ბაზარმა უცხოური ვალუტის ის წილი დაკარგა, რასაც მომსახურების ექსპორტიდან (ტურიზმი) ელოდებოდა.

მსოფლიო ეკონომიკამ პანდემიის შედეგად მნიშვნელოვანი დარტყმა მიიღო და შემოსავლები გლობალურად შემცირდა. შესაბამისად, იკლო იმ შემოსავლებმა, რასაც საქართველოს მოქალაქეები უცხოეთში გამოიმუშავებდნენ (მაგალითად, იტალიაში ფაქტობრივად ყველა აქტივობა შეზღუდული იყო, რაც საქართველოსთვის ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი წყაროა). ფულადი გზავნილების შემცირება მეორე მნიშვნელოვანი მიზეზია, რამაც ქვეყანაში დოლარის მიწოდების შემცირება გამოიწვია.

ისეთ არასტაბილურ ვითარებაში, როგორშიც დღეს მსოფლიო ეკონომიკაა, ინვესტორები მოლოდინის რეჟიმში გადასვლით გამოირჩევიან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, ინვესტორებმა განვითარებადი ბაზრებიდან (საქართველოც განვითარებად ბაზარს მიეკუთვნება) 83 მლრდ დოლარის მოცულობით სახსრები უკვე გაიტანეს, რაც კაპიტალის გადინების დღემდე დაფიქსირებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. შესაბამისად, სახარბიელო მდგომარეობა არც ინვესტიციების კუთხით იქნება მოსალოდნელი. მით უმეტეს, საქართველო ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, კრიზისამდეც განიცდიდა სირთულეებს; კერძოდ, 2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, პრაქტიკულად არ გაზრდილა (0.2%) და 2018-2019 წლების ნიშნული მხოლოდ 2013 წლის მონაცემს აღემატებოდა.

უცხოური ვალუტის კიდევ ერთ წყაროზე, ექსპორტზე, სავაჭრო პარტნიორების მხრიდან შემცირებული საგარეო მოთხოვნა უარყოფითად მოქმედებს. შესაბამისად, კრიზისისათვის დამახასიათებელი სავაჭრო ბრუნვის შემცირების ფონზე, ექსპორტის მოცულობაც შემცირდება როგორც ნატურალური მოცულობის კლების, ასევე საქონლის ფასის შემცირების შედეგად. მეორე მხრივ, იმპორტზე საქართველოს მოთხოვნაც მცირდება, რაც, თავის მხრივ, უცხოური ვალუტის გადინებასაც უშლის ხელს და ლარის კურსის ერთგვარი დამაბალანსებელია (თუმცა, როგორც ჩანს, არასაკმარისი).

გარდა აღნიშნული ფუნდამენტური ფაქტორებისა, რომელთა ერთობლივი მოქმედება ლარის კურსის შემცირებას ნებისმიერ შემთხვევაში გამოიწვევდა, სავარაუდოა, რომ ბაზარზე არსებულმა ერთგვარმა პანიკამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც მოლოდინების როლი ცალსახად დადასტურდება, ხელმისაწვდომი არ არის. თუმცა ემპირიული დაკვირვებიდან თუ ოპერატიული ინფორმაციის მქონე პირების დაკვირვებიდან, მსგავსი ფაქტორის მოქმედება დასტურდება.

ლარის გაუფასურების რამოდენიმე ფაქტორი შეიძლება დავასახელოთ:

*ტურიზმი* – მას შემდეგ, რაც ქვეყნების დიდი ნაწილი ერთმანეთის მიყოლებით ჩაიკეტა და ტურისტული მიმოსვლები შეწყდა (თებერვლის ბოლო), ლარმა მყისიერად დაიწყო გაუფასურება.

*საერთაშორისო გზავნილები* – უდიდესი წილი რუსეთიდან და იტალიიდან შემოდის. იტალიაში ეპიდაფეთქების გამო შეწყდა ეკონომიკური აქტივობა, შესაბამისად, საქართველოსკენ ფულადმა ნაკადმაც საგრძნობლად იკლო. ნავთობის ფასის დრამატულმა ვარდნამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რუსეთის ეკონომიკაზე, შესაბამისად, გზავნილებზე, ლარი მის ტრენდს მარტის დასაწყისიდანვე აჰყვა და გაუფასურდა.

ტურიზმის პირდაპირი წვლილი საქართველოს ეკონომიკაში დაახლოებით 8% იყო. ეს არის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 4-დან 4,2 მლრდ ლარამდე, ხოლო ტურისტების მიერ დახარჯული თანხის სიდიდით ეს დაახლოებით 10 მლრდ ლარზე მეტია. წარმოიდგინეთ, ეს თანხა რომ ერთბაშად დააკლდება ეკონომიკას. არ მინდა ვინმე სკეპტიკურად განვაწყო, მაგრამ გრძელვადიანი ორიენტაცია ტურიზმზე ყოველთვის არ ამართლებს. შეიძლება რენტაბელობა მაღალია, მოგებაც სწრაფად ხდება, შემოსავლიანია, მაგრამ გარე ფორსმაჟორული სიტუაციებისთვის და ნეგატიური მოვლენებისადმი საკმაოდ მოწყვლადი სფეროა. პატარა პრობლემა და ეს დარგი ჩერდება. ამიტომ ორიენტაცია უნდა ავიღოთ რეალური სექტორის განვითარებაზე. განსაკუთრებით იმ დარგებისთვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში გამოიყენებენ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციებს.

*ექსპორტი* – თებერვლის ბოლოდან მსოფლიოში ეკონომიკური აქტივობების შემცირების შესაბამისად, შემცირდა მოთხოვნა ქართულ ექსპორტზეც.

*იმპორტი* – მასობრივი გაურკვევლობისა და იზოლაციის ფონზე შემცირებული ერთობლივი მოთხოვნა იმპორტის კლებას განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, ქვეყნიდან უცხოური ვალუტის ნაკადების გადინებას ამცირებს.

თუ გვინდა, რომ სახელმწიფო მყარად იდგეს ფეხზე და ნაკლებად დაზარალდეს ისეთი არაორდინალური შემოტევებისგან, როგორიც ეს კორონავირუსია, მას უნდა ჰქონდეს საკუთარი სოფლის მეურნეობის წარმოების თვითუზრუნველყოფის მაღალი დონე სასოფლო_სამეურნეო პროდუქციის მიხედვით. მაგალითად, რომ ავიღოთ მარცვლეული, ჩვენი ადგილობრივი წარმოების თანაფარდობა, ჩვენს მოხმარებაში ის შეადგენს მოსავლიანობის 10-15 პროცენტს, ყოველწლიურად ჩვენ შემოგვაქვს თითქმის 400 მილიონი დოლარით მეტი აგროსასურსათო პროდუქცია, ვიდრე გაგვაქვს. ჩვენ ვაკრიტიკებთ ხოლმე ეროვნულ ბანკს, თუ რატომ ყიდის სავალუტო რეზერვებს და ამ დროს იმის არასრულყოფილი და ნაკლებად ეფექტიანი სოფლის მეურნეობა გვაქვს. ხაზს ვუსვამ, ყოველწლიურად არანაკლებ 400 მილიონი დოლარის აგროსასურსათო პროდუქცია შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს ვალუტა დარჩეს ქვეყანაში.

მართალია, არაერთი სიმპტომია იმისა, რომ ეკონომიკური ვარდნა - მსოფლიოშიც და საქართველოშიც მალე შეწყდება, მაგრამ კრიზისს ექნება გრძელვადიანი შედეგები. კრიზისამდელი დონის მიღწევას საკმაო დრო დასჭირდება.

ნებისმიერი სახის ეკონომიკური სტიმულირება ამ პირობებში მაქსიმალური სიფრთხილით უნდა განხორციელდეს, რადგან არსებობს ერთი მხრივ ინფლაციის, მეორე მხრივ კი რესურსების არაეფექტიანი ხარჯვის საფრთხე

ახალი ტიპის კორონავირუსის (Covid-19) პანდემია მსოფლიოსთვის მოულოდნელ გამოწვევად იქცა, რომლის მასშტაბიც უახლესი ისტორიის განმავლობაში უპრეცედენტოა. საქართველო, როგორც ღია მსოფლიოს ნაწილი, მთელი რიგი მიზეზების, მათ შორის, ეკონომიკური გამოწვევების გამო, რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. მოვლენების განვითარების პერსპექტივის, მოსალოდნელი ჰუმანიტარული და

ეკონომიკური ზიანის მოცულობის სრულად განჭვრეტა, არსებული მონაცემებით, თითქმის შეუძლებელია.

ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი კლების ფონზე ეკონომიკური სუბიექტები შემოსავლების კლებით ზარალდებიან, რაც სამუშაო ადგილების დაკარგვის, ვალდებულებების, მომსახურების შეუძლებლობის და გაკოტრების რისკებს მკვეთრად ზრდის. პირდაპირი თუ ირიბი გზებით, ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი ზარალდება, განსაკუთრებით მომსახურების, ტრანსპორტის და ვაჭრობის სფეროები, ტურისტული ინდუსტრია. ჩამოთვლილი დარგები საქართველოში მზარდი დინამიკით წლებია გამოირჩევა და ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. გარდა იმისა, რომ ტურიზმის კრიზისი პანდემიის ფონზე ბუნებრივი მოცემულობაა, მთავრობის გადაწყვეტილებით, 18 მარტიდან, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის შემოსვლა აიკრძალა. საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, საჰაერო, საზღვაო და სამგზავრო მატარებლით მიმოსვლა შეიზღუდა. შეუფერხებლად მხოლოდ სატვირთო გადაზიდვები ხორციელდება. გასართობ-დასასვენებელი ცენტრების, კინოთეატრების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების, სილამაზის სალონების და ღამის კლუბების საქმიანობა შეჩერდა, მთელი რიგი სერვისების მიწოდებაზე შეზღუდვა დაწესდა.

პანდემიურ კრიზისს გრძელვადიან პერიოდში არსებითი ზიანის მოტანა შეუძლია როგორც მიკრო, ასევე მაკროეკონომიკურ დონეზე. ზოგადად, განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმის შესახებ, ამა თუ იმ მთავრობის საპასუხო ქმედებები და ჩარევის მასშტაბები როგორი ხასიათის და რა მოცულობის უნდა იყოს. აღნიშნული მოსაზრებები, თითქმის ყოველთვის სხვადასხვა იდეოლოგიურ შეხე-დულებებზეა დამოკიდებული.

ძირითადად, კრიზისულ სიტუაციებში, სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები, ხარჯების ზრდის პარალელურად, გადასახადებსა და რეფინანსირების განაკვეთს ამცირებენ, რათა კრიზისით გამოწვეული მოთხოვნის კლების დაბალანსება და ეკონომიკური სტიმულირება ისე მოხდეს, რომ ეკონომიკის რეალური სექტორი კრიზისის/რეცესიის განმავლობაში წონასწორულ მდგომარეობასთან ახლოს დარჩეს.

აქვე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე და მოსალოდნელი მასშტაბური ეკონომიკური კრიზისის საფუძველი „არაეკონომიკურია“. შესაბამისად, რეაგირების სტანდარტული მექანიზმის ეფექტურობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არსებობს. კონკრეტულად, ეკონომიკისათვის დამატებითი სახსრების მიწოდება კრიზისის პირობებში შემცირებული მოთხოვნის დასაბალანსებლად მუშაობს. თუმცა, ეკონომიკის შენელებას არა უშუალოდ ფინანსური მიზეზით გამოწვეული მოთხოვნის კლება, არამედ ძირითადად, უსაფრთხოების რეკომენდაციებით შემცირებული აქტივობა განაპირობებს. მოცემული რეკომენდაციის შესრულებით გამოწვეულ ჩავარდნას კი ფინანსური რესურსის მიწოდება ვერ აღმოფხვრის და ის არა ეკონომიკური, არამედ უფრო სოციალური მიზნის მატარებლად შეიძლება მივიჩნიოთ. დამატებითი ფინანსური რესურსის გაჩენა მოთხოვნის წახალისების მიზნით, სავარაუდოა, რომ უფრო ეფექტიანი პოსტ-კრიზისულ პერიოდში იქნება, მაშინ, როდესაც უსაფრთხოების მიზნით დაწესებული შეზღუდვები მოიხსნება და ეკონომიკურ აგენტებს სრულფასოვანი ოპერირების შესაძლებლობა მიეცემათ. აქედან გამომდინარე, როგორც რეაგირების შინაარსობრივი მხარე, ასევე მისი მოქმედებაში მოყვანის პერიოდი, სწორად უნდა შეირჩეს, რათა, ერთი მხრივ, ეკონომიკის სტიმულირების მიზანი იქნეს მიღწეული, მეორე მხრივ კი, ჭარბი ლიკვიდობის მიწოდებით, ინფლაციური პროცესები არ წახალისდეს.

კრიზისის ფონზე, ლარის კურსი დოლართან მიმართებით, დაახლოებით 24%-ით შემცირდა. 18 მარტს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად, 9%-ზე დარჩა. შესაძლოა, დავასკვნათ, რომ ინფლაციური პროცესების სიმწვავე საპროცენტო განაკვეთის შემცირების (რაც სხვა შემთხვევაში კონტრ-კრიზისულ ერთ-ერთი საპასუხო ზომას წარმოადგენს) საშუალებას არ იძლევა.

ხელისუფლების პოზიცია კრიზისზე რეაგირებასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გაახმოვანა, სადაც მან ეკონომიკურ გუნდთან ერთად, ეკონომიკის სტიმულირების ღონისძიებების გეგმა წარადგინა. გეგმა სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას გულისხმობს, რომელთა შედეგად ქვეყნის ეკონომიკაში დამატებით ჯამურად 1 მილიარდ ლარზე მეტი ფინანსური რესურსი უნდა გაჩნდეს. კერძოდ:

- ბიზნესს, რომელსაც სესხის გადახდის პრობლემა შეექმნება, ბანკები ინდივიდუალურად გაუკეთებენ სესხის რესტრუქტურიზაციას;
- გარდა ამისა, მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ სურვილი, გადაავადონ სესხის გადახდა, მომდევნო სამი თვის განმავლობაში ბანკი მათ შენატანის გადავადების საშუალებას მისცემს;

• კომპანიებს, რომლებიც ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობებს ახორციელებენ, გადაუვადდებათ მომდევნო 4 თვის განმავლობაში გადასახდელი ქონების და საშემოსავლო გადასახადები (1 ნოემბრამდე);

• კომპანიებისთვის ფინანსური რესურსის მიწოდების მიზნით, მთავრობა გააორმაგებს დღგ-ს დაბრუნებებს და, წლის ბოლომდე დაგეგმილი 600 მლნ ლარის ნაცვლად, ფინანსთა სამინისტრო, კომპანიებს დააბრუნებს 1,200 მლნ ლარს (600 მლნ ლარით მეტს);

• გაკეთდება სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომლის საშუალებითაც 4-დან 50 ნომრამდე სიდიდის სასტუმროები, მთელი საქართველოს მასშტაბით, მიიღებენ საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებას;

• სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის დამატებით სტიმულირებისთვის გაიზრდება ქვეყანაში კაპიტალური პროექტების მხარდაჭერა. 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური ხარჯები დამატებით გაიზრდება 300 მლნ ლარით.

დღევანდელი კრიზისი რეალური ეკონომიკის შემცირების ფონზე მიმდინარეობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარკვეული ფასის სანაცვლოდ, ხელმისაწვდომია, უფრო ნაკლები საქონელი და მომსახურება, ვიდრე არსებული კრიზისის დაწყებამდე იქნებოდა. ბუნებრივია, ნებისმიერი სახის ეკონომიკური სტიმულირება, ამ პირობებში, მაქსიმალური სიფრთხილით უნდა განხორციელდეს, რადგან არსებობს ერთი მხრივ ინფლაციის, მეორე მხრივ კი რესურსების არაეფექტიანი ხარჯვის საფრთხე. მთავრობის პოზიციით, არსებულ ვითარებაში, მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილების შენარჩუნება და ბიზნესის უშუალოდ ფიზიკური გადარჩენის უზრუნველყოფა. ბუნებრივია, გადასახადების გადავადება მომავალში პრობლემას წარმოქმნის ეკონომიკური სუბიექტებისთვის, რომლებსაც ოპერირება უშუალოდ პოსტკრიზისულ მოცემულობაში მოუწევთ. აქაც, მომავალი მოვლენების განვითარების პერსპექტივები ბუნდოვანია. ასევე, მთავრობის ხარჯების ზრდის უზრუნველყოფა საბიუჯეტო დეფიციტის გაზრდითა თუ ვალის ზრდით, დიდი ალბათობით, გრძელვადიან ინფლაციურ პროცესებს წარმოშობს.

საქართველოს პრემიერ - მინისტრის ინფორმაციით, 2020 წლისთვის ეკონომიკა 4 პროცენტით შემცირდება, ბიუჯეტის დანაკლისი საშემოსავლო ნაწილიში კი 1.8. მილიარდი ლარი იქნება. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, საქართველოს მთავრობას, მომავალში ბიუჯეტის გადახედვა და რიგი ხარჯების სეკვესტრირება მოუწევს. პარალელურად, ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლის კიდევ უფრო გაღრმავება და სამთავრობო ვალის ზრდა ფასების დონეზე დამატებით წნეხს გააჩენს.

კორონავირუსთან დაკავშირებული პანდემიის გამო დაირღვა ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული კავშირები, სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობები, მდგრადობის სერიოზულ გამოცდას გადიან ვალდებულებები, საკონტრაქტო ქსელები, მიწოდების ჯაჭვები, რომლებსაც ყველა და ყველგან ვერ უძლებენ.

მრავალმა ქვეყანამ და მსხვილმა კორპორაციამ გადაწყვიტა თავისი აქტივების ჩინეთიდან სხვა ქვეყნებში გადატანა. ხარისხის კონტროლისა და მიწოდების ქსელის აუდიტორის QIMA-ს ჩატარებული გამოკითხვით, ჩინეთის დატოვებას აპირებს ამერიკული კომპანიების 80% და ევროპული კომპანიების 67%.

იაპონიის მთავრობამ უკვე გამოყო 240 მლრდ იენი ($2.2 მლრდ) იაპონური კომპანიების ბიზნესის ჩინეთიდან სამშობლოში (ძირითადად) ან სხვა ქვეყნებში გადასატანად. 2600 იაპონური კომპანიიდან 7 პროცენტი უკვე აქტიურად ახორციელებს გადატანისათვის ხელსაყრელი ქვეყნების მოძიებას ან უკვე გადააქვთ იქ საკუთარი ბიზნესი.

რატომ არ უნდა სცადოს საქართველომ ამ სიტუაციაში და არ გადადგას ნაბიჯები წარმატებული კომპანიების საქართველოში შემოყვანაზე?! - ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, შედარებით იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალა, გასაღების ბაზრებთან სიახლოვე, ბიზნესის კეთების სიიოლით მე-7 ადგილი მსოფლიოში - საუკეთესო მაჩვენებელი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, დაბალი საგადასახადო ტვირთი, მშპ-სთან მიმართების მხრივ - 1.9-ჯერ უფრო დაბალი ევროზონასთან შედარებით.

მოკლედ, უპირატესობების მთელი თაიგულია, მათი არდანახვა და არგამოყენება დანაშაული იქნებოდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა და მომავალი თაობების წინაშე.

## დასკვნა

- გაათმაგებული ყურადღებაა საჭირო ადგილობრივი წარმოების, განსაკუთრებით იმპორტჩანაცვლებადი სფეროების განვითარებაზე. ამ მხრივ, იმედი მაქვს, რომ მთავრობა ამ გამოწვევას გაძლიერებული ძალისხმევით და გაზრდილი მიზნობრივი დაფინანსებით უპასუხებს. სახელმწიფომ ყველა შესაძლო ბერკეტი უნდა აამოქმედოს იმისთვის, რომ ადგილობრივი წარმოება იყოს დაცული,

ადგილობრივი წარმოება განვითარდეს და მისი კონკურენტუნარიანობა ამაღლდეს. პირველ რიგში, საკუთარი ბაზარი რომ დავაკმაყოფილოთ და როგორც კი გლობალური ბაზრები მოგვცემს ამის საშუალებას, ექსპორტი მაქსიმალურად გავაფართოოთ და მხარი დავუჭიროთ;

- ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა უპირველესია და საგანგებო მდგომარეობა, კარანტინის რეჟიმში აუცილებლობას წარმოადგენს. თუმცა, მთავრობამაც და ეკონომისტებმაც უნდა დავძაბოთ ფანტაზია და მივაღწიოთ, რომ ეკონომიკის რაც შეიძლება მეტი სეგმენტი დარჩეს ფუნქციონირების რეჟიმში, რადგან სხვა შემთხვევაში, კოლაფსიდან ეკონომიკის ,,ამოძვრენა'' წარმოუდგენელი იქნება. ამ საგანგაშო და ურთულეს ვითარებაში სრულად უნდა იქნეს ამოქმედებული ყველა საჭირო შიდა რესურსი მთავრობის მიერ ადამიანთა გადასარჩენად. სრული პასუხისმგებლობა კრიზისის დაძლევაზე, მოქალაქეთა გადარჩენაზე და ეკონომიკის პოტენციალის შენარჩუნებასა და მომავალ განვითარებაზე ეკისრება მთავრობას. შესაბამისად, სწორედ მთავრობისა და სახელმწიფოს ვალდებულებაა ყველა საჭირო რესურსის (ფინანსური და არაფინანსური) მობილიზება ამ ამოცანების გადასაჭრელად;

- საქართველოს ეროვნული ბანკის რეაგირება პროცესებზე იყო დაგვიანებული, რომელიც თავიდანვე მოლოდინის რეჟიმზე იყო გადასული. მან მხოლოდ ბოლო დღეებში გამოიჩინა აქტიურობა, საჭირო იყო სავალუტო რეზერვების დროული გამოყენება (ხარჯვა) და ზევრად ნაკლები ზიანი მიადგებოდა ჩვენს სავალუტო ბაზარს და მთლიანად საქართველოს ეკონომიკას;

- უნდა ვიცოდეთ, დღეს ლარის გაუფასურება არის გარდაუვალი პროცესი. ლარი აუცილებლად უნდა გაუფასურდეს, სხვანაირად არ შეიძლება, მაგრამ ცუდია, როდესაც ადგილი აქვს დიდ ნახტომებს. ეს დიდი ნახტომები ანგრევს ჩვენს სავალუტო ბაზარს და ქმნის დამატებით სირთულეებს. ეს არის დღეს საქართველოს ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლი. ამას არ სჭირდება არანაირი პროგრამა, საჭიროა სავალუტო ბაზარზე ცეცხლის ჩაქრობა და არა უაზროდ რეზერვების ხარჯვა, არამედ გონივრული ხარჯვა;

- დღეს საჭიროა მინიმალური დანახარჯები, მინიმალური ზარალი ეკონომიკისთვის, ეპიდემიის დასრულება, ხოლო შემდეგ უკვე, ამ ზარალიდან გამომდინარე, უწინარეს ყოვლისა, იმ სექტორების სტიმულირება, რომელიც განავითარებენ ქვეყნის ეკონომიკას;

- ახალ კორონავირუსთან ბრძოლა აუცილებელია, თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები ნელნელა ხვდებიან, რომ სახლში დარჩენით უფრო მძიმე შედეგამდე მივლენ, რადგან ეკონომიკის განადგურებით გამოწვეული პრობლემები გაცილებით უფრო სასტიკი იქნება, ვიდრე კორონავირუსია. ვირუსთან ბრძოლა უნდა გაგრძელდეს, თუმცა ეფექტური და არა ეკონომიკის გამანადგურებელი მეთოდებით;

- მთავარია, რომ იმ პერიოდში, როდესაც კორონავირუსის გამო მინიმუმამდეა დასული ეკონომიკური აქტივობა, მთავრობამ უზრუნველყოს ის მინიმალური ფინანსური ინექცია სოციალურ სფეროში, რომელიც მოსახლეობას შედარებით უმტკივნეულოდ გადაატანინებს ამ მძიმე პერიოდს;

- საკრედიტო რესურსის შოვნა არ იქნება რთული, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს რა მოცულობის თანხები უნდა ვისესხოთ და რა მიზნობრიობით. საამისოდ კი საჭიროა მეტ-ნაკლებად გამოიკვეთოს კორონავირუსის ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლენის მასშტაბი;

- კორონავირუსი დიდი საფრთხეა, მან უკვე მოგვიტანა დიდი ზიანი და გაცილებით მეტის გაფუჭება შეუძლია. მაგრამ მთავარი საფრთხე, ვფიქრობ, თავად კორონავირუსი არ არის. თუ ხატოვნად ვიტყვით, ათასგზის მეტი ხიფათის და საფრთხის შემცველია ეკონომიკის კოლაფსი, რომელიც უეჭველად დადგება მთელ მსოფლიოში და მათ შორის, რაღა თქმა უნდა საქართველოში. ამის ნიშნები უკვე სახეზეა ფაქტობრივად ჩამოშლილი საფონდო ბირჟების სახით. კოლაფსის მასშტაბები დამოკიდებულია, რამდენ ხანს ვიქნებით ვირუსის მძვინვარების პირობებში;

- 2008 წელს დაწყებული მსოფლიო საფინანსო კრიზისის და რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკისა და საფინანსო სისტემის ჩამოშლის თავიდან აცილება იმ 5 მილიარდის მეშვეობით შევძელით, რომელიც აშშ-სა და ევროკავშირისგან მივიღეთ და რომლის სავარაუდოდ ნახევარზე მეტი მაინც მოხმარდა დასახულ ამოცანას... დღეს აშშ-ც და ევროპაც თავადაა "შავ დღეში". საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან - სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან მოლაპარაკებები, რამდენადაც ვიცი, უკვე დაწყებულია და მათი დახმარება ჩვენი ეკონომიკის რეანიმირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება. ახლა თითოეული ჩვენგანის თანადგომა სჭირდება მთავრობას, რათა ჩვენი ეკონომიკა ისე არ ჩამოიშალოს, რომ მისი აღდგენა უახლოეს პერიოდში შეუძლებელი გახდეს;

- ამავე დროს, ჩვენ უნდა ვისწავლოთ ცხოვრება და მუშაობა კორონავირუსის არსებობის პირობებში, რადგან იგი უახლოეს მომავალში, ერთ მშვენიერ დღეს არ გაქრება.

ეს არის გლობალური გამოწვევა და როგორც კი ეს მოხდება, სხვა ქვეყნები და მათ შორის საქართველოც დაიწყებს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას და მთავარი კონკურენციის პროცესი სწორედ კრიზისიდან გამოსვლის პროცესში იქნება ქვეყნებს შორის და აქ მნიშვნელოვანია, რომ

საქართველომ შეინარჩუნოს როგორც რეგიონული ასევე გლობალური კონკურენტუნარიანობა და სწორედ ამიტომ დაანონსდა, რომ საჭიროა ახლებური ხედვა, ახლებური მიდგომა იმ პოსტკრიზისულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც სახელმწიფომ უნდა გაატაროს იმისთვის, რომ სწრაფად მოახერხოს კერძო სექტორმა და ბიზნესმა ამ კრიზისიდან გამოსვლა, სწრაფად აკრიფოს, გაააქტიუროს ეკონომიკური საქმიანობა, გაზარდოს დასაქმება და მაქსიმალურად სწრაფად დავუბრუნდეთ იმ ძალიან მნიშვნელოვან და წარმატებულ საწყის მდგომარეობას, რაც კრიზისამდე გვქონდა.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. http://economy.ge
2. http://geostat.ge
3. http://mof.ge
4. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/coronavirus.html
5. https://idfi.ge/ge/pandemics_and_corruption_risks
6. https://forbes.ge/news/8184/koronavirusis-pandemia-mTel-msoflios-SesaZloa-4trilioni-dolari-daujdes
7. https://www.bpn.ge/



***Davit Bidzinashvili***


## THREATS OF RISING INFLATION AND INEFFICIENT SPENDING OF FINANCIAL RESOURCES IN GEORGIA UNDER THE CURRENT PANDEMIC


**Summary**

The current world pandemic has affected several foreign exchange markets in Georgia at the same time and affected almost all sources of dollar inflows. First of all, as a result of the pandemic, tourist activity around the world has stopped. As a result, Georgia has completely lost the cash flow it received or could receive from tourism. Consequently, the market lost the share of foreign currency that was expected from the export of services (tourism).

The world economy suffered a major blow as a result of the pandemic, and revenues fell globally. Consequently, the income generated by Georgian citizens abroad has decreased (for example, in Italy, virtually all activities were limited, which is an important source of remittances for Georgia). Reducing remittances is another major source of declining dollar supply in the country.

In a volatile world economy today, investors are looking forward to the transition. According to the International Monetary Fund, investors have already raised $ 83 billion from emerging markets (including Georgia), which is the highest rate of capital outflows to date. Consequently, a favorable situation will not be expected in terms of investment. Moreover, in terms of attracting investment, Georgia experienced difficulties even before the crisis; In particular, in 2019, the volume of foreign direct investment, compared to the previous year, practically did not increase (0.2%) and the 2018-2019 benchmark only exceeded the 2013 data.

On another source of foreign currency, exports, reduced foreign demand from trading partners has a negative effect. Consequently, against the background of the decline in trade turnover characteristic of the crisis, the volume of exports will also decrease as a result of the decrease in natural volume, as well as the decrease in the price of goods. On the other hand, Georgia's demand for imports is also declining, which in turn hinders the outflow of foreign currency and is a kind of balance of the lari exchange rate (although it seems to be insufficient).

In addition to the above-mentioned fundamental factors, the joint action of which would reduce the exchange rate of the lari in any case, it is likely that a kind of panic in the market played an important role. The data on which the role of expectations will be uniquely confirmed is not available. However, from the observation of empirical observations or observations of persons with operative information, the action of such a factor is confirmed.

The new type of coronavirus (Covid-19) pandemic has become an unexpected challenge for the world, the scale of which is unprecedented in recent history. Georgia, as a part of the open world, has found itself in a difficult situation due to a number of reasons, including economic challenges. It is almost impossible to fully predict the prospects for the development of events, the expected amount of humanitarian and economic damage.

Amid a sharp decline in economic activity, economic entities are suffering from declining revenues, which dramatically increases the risks of job losses, liabilities, inability to provide services and bankruptcies. In direct or indirect ways, almost every sector of the economy suffers, especially in the service, transport and trade sectors, the tourism industry. The listed sectors have been growing in Georgia for years and are making significant contributions to economic growth. In addition to the fact that the tourism crisis is a natural phenomenon against the background of the pandemic, the government has banned the entry of foreign nationals to the Georgian state border since March 18. Due to the state of emergency, traffic was restricted by air, sea and passenger trains. Only trucks are uninterrupted. The activities of entertainment centers, cinemas, sports and recreation complexes, beauty salons and nightclubs have been suspended, and a number of services have been restricted.

This is a global challenge, and as soon as it happens, other countries, including Georgia, will emerge from the economic crisis, and the main competition will be between countries. That we need a new vision, a new approach to the post-crisis measures that the state needs to take in order for the private sector and business to be able to get out of this

crisis quickly, dial up economic activity, increase employment and get back to that very important and successful start. Which we had before the crisis.

*თამაზ გამსახურდია*
*თეიმურაზ ფესტვენიძე*

### მენეჯმენტის როლი პანდემიასთან ბრძოლის საქმეში

***ანოტაცია.*** *ნაშრომში განხილულია ის დიდი წარმატებები, რომელიც კრიზისულ პერიოდში გამოვლინდა ქართველი კაცის ნიჭის, ტალანტისა და გამჭრიახობის მეშვეობით. საქართველოს მთავრობამ პრემიერ მინისტრ გიორგი გახარიას მეთაურობით, ჯანდაცვის სამინისტრომ, ინფექციონისტ ექიმთა კორპუსმა დროულად, პროფესიულად, მაქსიმალურად გამოიყენეს ხელთ არსებული ყველა რესურსი, რათა გამკლავებოდნენ უხილავ მტერს - ეპიდემიას, რომელმაც შეძრა მსოფლიო. ყველა ზომა იქნა მიღებული იმისათვის, რომ მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი სიკვდილიანობა. სწორმა და ეფექტურმა მენეჯმენტმა რიტმულად იმუშავა და სწორედ ამის შედეგია, რომ ჩვენი ქვეყნის ეპიდოლოგიური მენეჯმენტი ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა მსოფლიოში, რამაც ჩვენი ქვეყანა შეიყვანა უსაფრთხო მწვანე ზონაში.*

*საამაყოა, რომ მსოფლიომ ცნო საქართველო, როგორც ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია პანდემიასთან ბრძოლაში. დროულად გატარებულმა და გადაუდებელმა პრევენციულმა ღონისძიებებმა დადებითი ასახვა პოვა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.*

*ცხადია, პანდემიამ დილემის წინაშე დააყენა ხელისუფლება, მაგრამ სწორი და ეფექტური მენეჯმენტის შედეგად გამონახა ოქროს შუალედი და უხილავი მტრის დასამარცხებლად გამოყენებული იქნა ყველა სასარგებლო რესურსი, რათა საფრთხე არ შექმნოდა ადამიანის ჯანმრთელობას. მასიური ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად დიდი ფინანსური რესურსები დაიხარჯა. საქართველომ ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებთან შედარებით, მსოფლიოს წინაშე კარგი იმიჯი და რეპუტაცია დაიმსახურა.*

* * *

ქართველი კაცის ნანატრი ოცნება მაშინ აღსრულდა, როცა საქართველოში დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ყველა გახარებული იყო იმით, რომ ჩვენი ქვეყანა ჩვენ გვეკუთვნოდა და თითქოს შევუდექით მის აღმშენებლობას. მაგრამ სამწუხაროდ, ბედნიერება დიდხას არ გაგრძელებულა. შინაური მტრების დახმარებით დამხობილ იქნა ეროვნული ხელისუფლება, რასაც მოჰყვა აფხაზეთისა და ძირძველი სამაჩაბლოს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაკარგვა.

სასწრაფოდ, კანონდარღვევებით დაიწყეს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მრავალდარგოვანი სამრეწველო ინდუსტრიის პრივატიზაცია, რომ ხელში ჩაეგდოთ სახელმწიფო საწარმოები, დიდძალი ფულის შოვნის მიზნით არსებულ ტექნიკასა და ტექნოლოგიას დაარქვეს საბჭოთა გადმონაშთი და არქაულის იარლიყი მიაწებეს, ამ დროს თურქი და ირანელი ბიზნესმენები კაპიკებად (ჯართის ფასზე იაფად) ყიდულობდნენ მათ და ავითარებდნენ საკუთარ ბიზნესს, რამაც გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი დაშლა-დანგრევა. გაჩერდა თითქმის ყველა საწარმო. ყოველივე ამან მშრომელთა საყოველთაო უმუშევრობა გამოიწვია. მოსახლეობამ დაიწყო ფიქრი და ბჭობა რა ექნა, სად უნდა წასულიყო. ქართველი კაცი არ უნდა ფიქრობდეს ემიგრაციაში წასვლაზე, თავის სამშობლოზე უნდა იყოს შეყვარებული, ზრუნავდეს მისი მომავლისათვის, კეთილდღობისათვის. ცნობილი ექიმი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა მართებულად აღნიშნავს „სხვა ქვეყანაში მყოფი ემიგრანტი შეიძლება იყოს წარმატებული, დაფასებული ადამიანი, მაგრამ სრულყოფილი პიროვნება მხოლოდ შენს სამშობლოში შეიძლება გახდე“.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართველს არ ჰყვარებია თავისი სამშობლო, მისი ძირძველი მხარე, რადგან მას გული მიუწევს საზღვარგარეთ წასვლაზე. რაც არ უნდა უჭირდეს ქართველ კაცს, არ უნდა წავიდეს საზღვარგარეთ. თუ ის გაანძრევს ხელს, უთუოდ ექნება შესაძლებლობა, იცხოვროს თავის ქვეყანაში. ნათლად დასტურდება ქართველის ლტოლვა საზღვარგარეთ წასვლაზე, როგორც ეს დიდი ვაჟას ნათქვამიდან ჩანს - შეაყვარე საქართველო ქართველებს. მაშინ, როცა საქართველო ბუნებით და წიაღისეული სიმდიდრით დაჯილდოებული ქვეყანაა, რომელიც გამოირჩევა თავისი მდებარეობით, კლიმატური პირობებით, მრავალფეროვნებითა და სილამაზით. აქ ყველა შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ მაღალი ტემპებით განვავითაროთ მცირე და საშუალო ბიზნესი. აღსანიშნავია რომ

ბიზნესისა და ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ უფრო ფართოდ განვითარდეს აღნიშნული მიმართულება, რათა შეიქმნას ათეული და ასეული სამუშაო ადგილი და დასაქმდეს ადამიანური რესურსები.

რეალურია, რომ ქვეყანაში მცირდება ეროვნული პროდუქციის მოცულობა და იზრდება იმპორტირებული პროდუქციის ხვედრითი წილი, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს ქვეყნის ბიუჯეტს. ჩვენი აზრით, ეს განპირობებულია იმით, რომ დღეს საქართველოში მხოლოდ 207 ათასი ჰექტარი მიწა იხვნება და ითესება. იმდენი პროდუქცია არ იწარმოება, რომ უზრუნველყოს მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. დღეს ჩვენი პროდუქტით მხოლოდ 1 მილიონი ადამიანის გამოკვება შეგვიძლია. ჩვენ მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას რომ მივუახლოვდეთ, ამისათვის საჭიროა 800 ათას ჰექტრამდე გავზარდოთ მიწის დამუშავება. თუ არადა, იზრდება იმპორტის ხვედრითი წილი. თუ ასე გაგრძელდა, როგორც ამას ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა, სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვიდრე გასაზიდი, ჩვენ მონობას ვერ ავიცილებთო. მაშინ, როცა ქვეყანას გააჩნია ისეთი რესურსები, რომელიც იშვიათობას წარმოადგენს სხვა ქვეყნებისათვის. ამიტომ უდავო ფაქტია, რომ პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი ნებისმიერი ნორმალური საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ყოვლად გაუმართლებელია, როცა ექსპორტის თუ იმპორტის მიზან-შეწონილობა ეკონომიკურად დაუსაბუთებელია. ცხადია, ქვეყნის ფარგლებს გარეთ უნდა გავიტანოთ ისეთი მაღალკონკურენტუნარიანი და შიდა ბაზარზე ჭარბი პროდუქცია, როგორიცაა საქვეყნოდ ცნობილი ბრენდები: ბორჯომი, ღვინოები, ღვინომასალები და სხვა. შემოვიტანოთ ისეთი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომლის წარმოება ქვეყანაში შეუძლებელია სხვადასხვა ობიექტური და კლიმატური პირობების გამო, როგორიცაა ბანანი, ყავა, კაკაო და სხვა.

საჭირო და აუცილებელია, რომ ჩვენი ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ ჩვენს ხელთ არსებული მდიდარი პოტენციალი. აუცილებელია რეალურად შევაფასოთ ქვეყანაში ბიზნესის მდგომარეობა. დღესდღეობით მარკეტების თაროებზე მრავლადაა გამოფენილი კვების პროდუქტები, როგორიცაა: ტომატი, საწებელა, ხილის წვენები, ხილფაფა, კომპოტი, მრავალი ასორტიმენტის შოკოლადი, კამფეტები, ნამცხვრები, ჰალვა და მრავალი სხვა პროდუქტი, რომელთა საგემოვნო თვისებები და ხარისხი ეჭვქვეშ დგას. არ ახლავს ვარგისიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, თანაც ყოველი მათგანის წარმოება ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი. ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციის წინააღმდეგ მიმდინარეობს ბრძოლა, მაგრამ ეს საკმარისი როდია. ამ ეტაპზე მიგვაჩნია, რომ იმპორტირებულ პროდუქციაზე შემოვიღოთ რეგულაციები, რომელიც გაამკაცრებს მოთხოვნას და აამაღლებს კვების პროდუქტების სახმარ ღირებულებას. ჩვენთან დამზადებულ პროდუქციას უფრო მაღალი ღირებულება გააჩნია. გვყავს მაღალკვალიფიციური გამოცდილი სპეციალისტები. ამიტომ კიდევ არ დავაგვიანოთ და დროზე დავიწყოთ ჩვენი ნედლეულის გამოყენება-გადამუშავება, რისგანაც მივიღებთ მაღალი თვისებების მქონე კვების პროდუქტებს. გათვლებით ირკვევა, რომ ათიათასობით ტონა მანდარინი, ტყემალი, ვაშლი, პომიდორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეული გადაურჩება გაფუჭება-განადგურებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ტყემალი განსაკუთრებული კურკოვანი მცენარეა, რომელიც იძლევა ძალზე სასარგებლო პროდუქტს. მისგან მზადდება მრავალი ასორტიმენტის პროდუქცია, როგორიცაა საწებელი, ტყლაპი, ჯემი, მურაბა, სასიამოვნო არომატის მქონე არაყი, რაზედაც დიდი მოთხოვნაა. ტყემალს როგორც საკვები, ასევე სამკურნალო თვისებები გააჩნია. ამასთან, ტყემლისგან მიღებული ფხვნილით შეიძლება სხვადასხვა ასორტიმენტის მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქცია დამზადდეს. ამიტომ საჭიროა მივაქციოთ მეტი ყურადღება და გავაშენოთ პლანტაციების სახით, როგორც ეს ბულგარეთს რესპუბლიკაშია გავრცელებული. მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი ტყემლის პროდუქცია მოწონებას თუ დაიმსახურებს, ექსპორტში სასურველ ადგილს დაიკავებს.

მეტი ძალისხმევაა საჭირო, რომ ავამოქმედოთ, ავაღორძინოთ და განვავითაროთ ტრადიციული დარგები, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების მოცულობის გაზრდაში, თანაც, შიდა ბაზარი გაჯერებული იქნება ადგილობრივი ასორტიმენტის მქონე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით.

გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ უხარისხო ჩაის შემოტანას ვუხსნით გზას მაშინ, როცა ათიათასობით ჰექტარი ჩაის პლანტაცია ნადგურდება. მის მიმართ უყურადღებობა ღალატის ტოლფასია. ქართული ჩაი უნდა გადავარჩინოთ განადგურებას და ის დავუბრუნოთ ჯერ შიდა ბაზარს და ამის შემდეგ ვიფიქროთ მის ექსპორტირებაზე. ქართული ჩაი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი საგემოვნო თვისებებით და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა. მოვიძიოთ ინვესტორები, რომ დახმარება გაგვიწიონ ქართული ჩაის კულტურის შენარჩუნებაში. ავაშენოთ ჩაის მიკროფაბრიკები, რაც მოგვცემს იმის გარანტიას, რომ მოვკრიფოთ და დავამზადოთ სურნელოვანი,

კონკურენტუნარიანი ჩაი, რათა დავაკმაყოფილოთ ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნები და გავიტანოთ კიდეც საზღვარგარეთ. ქართული ჩაის აღორძინება იქნება ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. ბევრი ადამიანი დაუბრუნდება თავის სოფელს, მშობლიურ სახლ-კარს, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოფლის აღორძინება-განვითარებასა და მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურის მოწყობაში.

ქვეყანაში, გარდა სხვა ობიექტური თუ სუბიექტური ხელშემშლელი პირობებისა, თავი იჩინა მოქალაქეების პოლარიზებამ პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. სწორედ ამ ურთიერთობის შედეგია ის მწვავე პრობლემები, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. გრიგოლ რობაქიძე სწორად მიანიშნებდა, რომ „საქართველოს ქართველზე უფრო დიდი მტერი არავინ ჰყავსო“. ქართველის ხელით არაერთი უბედურება დატრიალებულა ჩვენს თავს. საჭიროა ერთად ყოფნა, ძალა ერთობაშია. მაშინ ქვეყანა ეკონომიკურად უფრო ძლიერი, სტაბილური და მიმზიდველი იქნება როგორც ტურისტების, ასევე ყველა ადამიანისათვის. როცა ქვეყანა ეკონომიკურად წელში იმართება, მაშინ ახალ-ახალი პროექტების რეალიზაცია უწყვეტად უნდა ხორციელდებოდეს. ხალხის კეთილდღეობა უკეთესობისკენ მიიწევს. ერი და ბერი მორიგი საპარლამენტო არჩევნებისათვის ემზადება, როცა მთელი მსოფლიო შეძრა პანდემიამ, სამყაროს მოსახლეობა პანიკამ მოიცვა, ოპოზიცია ცდილობს ქვეყნის ინტერესების საზიანოდ ეს სიტუაცია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. შეწყდა ქვეყნებს შორის ფრენები, გაჩერდა საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტის მოძრაობა, შეიზღუდა ბიზნესურთიერთობები, სწავლება ონლაინრეჟიმში გადავიდა, შეწყდა კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარება...ერთი სიტყვით, ჩაკვდა ცხოვრების რიტმი. ყველა მოქალაქეს თვითიზოლაციის რეჟიმში უხდებოდა ცხოვრება, რათა პანდემია არ გავრცელებულიყო მოსახლეობაში. დღითი დღე იზრდებოდა პანდემიის ტემპები იტალიაში, ესპანეთში, ინგლისში, აშშ-ში, რუსეთში, თურქეთში და ა.შ. მძიმე ჟამი დაუდგა საქართველოსაც. როგორც ყოველთვის და ახლაც შექმნილმა გარემოებამ ცუდ გზაზე დაგვაყენა, როგორც აღნიშნავს პოეზიის ბულბული აკაკი. მაგრამ ვინ უნდა დაგვაყენოს სწორ გზაზე, სხვისი იმედით თუ ვიქნებით, ვერას გავხდებით, ჩვენს თავს ჩვენ უნდა ვუპატრონოთ.

სწორედ გაჭირვების დროს გამოვლინდა ქართველი კაცის ნიჭი, ტალანტი და გამჭრიახობა. საქართველოს მთავრობამ პრემიერ - მინისტრ გიორგი გახარიას მეთაურობით, ჯანდაცვის სამინისტრომ, ინფექციონისტ ექიმთა კორპუსმა დროულად, პროფესიულად, მაქსიმალურად გამოიყენეს მათ ხელთ არსებული ყველა რესურსი, რათა გამკლავებოდნენ უხილავ მტერს - პანდემიას, რომელმაც შეძრა მსოფლიო. ყველა ზომა იქნა მიღებული იმისათვის, რომ მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი სიკვდილიანობა. ათასობით ადამიანი იქნა მოთავსებულ კარანტინში. დროულად ხორციელდებოდა ღონისძიებანი. გამოცხადდა კომენდანტის საათი, შეიზღუდა და აიკრძალა თავყრილობები, დაიკეტა ყველა ის ობიექტი, სადაც ადგილი ჰქონდა ხალხმრავლობას, გარდა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისა. სწორმა და ეფექტურმა მენეჯმენტმა რიტმულად იმუშავა და სწორედ ამის შედეგია, რომ ჩვენი ქვეყნის ეპიდოლოგიური მენეჯმენტი ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა მსოფლიოში, რამაც ჩვენი ქვეყანა შეიყვანა უსაფრთხო მწვანე ზონაში, მაშინ, როცა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ასეულობით და ათასობით ადამიანია გარდაცვლილი. ყოველივე ამას ერი უნდა უმადლოდეს საქართველოს ხელისუფლებას და მაღალკვალიფიციურ მედიკოსთა თავდაუზოგავ და თავდადებულ შრომას.

საამაყოა, რომ მსოფლიომ ცნო საქართველო, როგორც ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია პანდემიასთან ბრძოლაში. დროულად გატარებული და გადაუდებელი პრევენციული ღონისძიებები დადებითად აისახა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. რაც მთავარია, ძირითადი ამოცანა იყო ზრუნვა ადამიანის გადარჩენისათვის. უდავო ფაქტია, რომ პანდემიამ უზარმაზარი ზარალი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. ყველაზე მწვავედ ეს შეეხო ტურისტულ ინდუსტრიას. როგორც ყველა ქვეყანაში, ასევე საქართველოში დაეცა წარმოების ტემპები, რამაც გამოიწვია უმუშევრობა, მძიმე პირობებში აღმოჩნდა მოსახლეობა. ხელისუფლებამ გამონახა რესურსები, რომ დახმარება გაეწია როგორც მცირე ბიზნესის, ისე სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. ასევე გაუსაძლის პირობებში აღმოჩნდა ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეები, ამიტომ ხელისუფლების ხელშეწყობით ჩარტერული რეისებით თოთხმეტი ათასზე მეტი ადამიანი იქნა სამშობლოში ჩამოყვანილი და ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით ათასობით ადამიანმა გაიარა კარანტინი. ემიგრაციიდან ჩამოსულ ე.წ. უმუშევარი ადამიანების უმრავლესობას გააჩნია საკუთარი კარმიდამო, სახნავ-სათესი მიწები, რომლის მიმართ ეფექტური და გონივრული მიდგომა უდავოდ ხელს შეუწყობს თითოეულ ადამიანს ცხოვრების გაუმჯობესებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება ხშირად გარკვეულ დახმარებას უწევდა სოფლის მოსახლეობას, მაგრამ კრიზისულ ეტაპზე მყოფთ დახმარება უნდა გაუწიოს ტექნიკის შეძენაში, რაც ხელს შეუწყობს ფერმერად ჩამოყალიბებაში.

ცნობილია, რომ ათასობით ფერმერი ფუნქციონირებს ჩვენს ქვეყანაში, რომლებსაც არ აკლიათ ხელშეწყობა ხელისუფლების მხრიდან.

მიწის მესაკუთრეს, რომელსაც გააჩნია მრავალი ჰექტარი მიწა, უნდა დავუწესოთ რეგულაციები მიწასთან დაკავშირებით, რათა უფრო მეტად დაინტერესდეს და დაამუშაოს მის ხელთ არსებული მიწის ფართობი, რომელიც თავის თავსა და სახელმწიფოსაც არგებს. იმ მიწის მესაკუთრეს, რომელიც არ ამუშავებს და ყამირ და ნასვენებ მიწათა კატეგორიას მიეკუთვნება, ყოველ დაუმუშავებულ ჰექტარზე დავუწესოთ გადასახადი და მისი ოდენობა განისაზღვროს მოცემულ რეგიონში სახნავ-სათესი მიწებიდან მიღებული საშუალო წლიური პროდუქციის ღირებულების მიხედვით. თუ მომდევნო წლებშიც გაგრძელდება მიწის მოცდენა, გაიზარდოს გადასახადი და რაღაც ზღვარის გადალახვის შემდეგ ვაიძულოთ მიწის გასხვისება დაინტერესებულ პირზე. შეიძლება ბევრ ადამიანს ძალდატანებით მეთოდად მოეჩვენოს ჩვენი შეხედულება, მაგრამ უკეთეს გამოსავალს ვერ ვხედავთ მიწის ეფექტურად გამოყენებისა და დამუშავების თვალსაზრისით.

სახელმწიფოსაგან სოფლად მცხოვრები ადამიანებისადმი ხელშეწყობა იმით კი არ უნდა განისაზღვროს, თუ რა თანხები გამოყო ბიუჯეტში მთავრობამ, არამედ იმითაც, თუ როგორაა დაკომპლექტებული ცენტრალური მმართველობა და მუნიციპალიტეტები კადრებით, რომელთაც უყვართ სამშობლო, პროფესია და აქვთ გარკვეული გამოცდილება. ასეთი ადამიანები ყველა პირობას შექმნიან იმისათვის, რომ უფრო მეტად დაინტერესდნენ სოფლად მცხოვრები ადამიანები, მასიურად შეეჭიდონ მიწის დამუშავებას და იგრძნონ მიწის სიყვარული, როგორც ქვეყნისა და მისი ოჯახის მარჩენალი.

პანდემიამ დიდი ზარალი მიაყენა ქვეყანას და მის ეკონომიკას, საქართველოს მოსახლეობას უჭირს, ხელმძღვანელმა პირებმა, რა რანგის არ უნდა იყვნენ ისინი, უნდა შეიმუშაონ ისეთი ეფექტური კანონები და რეგულაციები, რომელიც დააინტერესებს ადამიანს, რათა გაუჩნდეს საქმის კეთების სურვილი, მაღალნაყოფიერად იშრომოს და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ დღესდღეობით დაბალია შრომის ანაზღაურება, მით უმეტეს ლარის კურსის დაცემის გამო. ამიტომ გაურბიან შრომას. სანამ გაგრძელდება ასეთი დამოკიდებულება?

დღევანდელ ეტაპზე თითქმის ყველა სოფლის ცენტრალური თუ საუბნო გზები კეთილ-მოწყობილია, გაზიფიცირებული და ელექტროფიცირებულია. მიდის ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მიმზიდველს ხდის სოფლის იერსახეს. ადამიანს გაუჭირდა პანდემიის პერიოდში, ბევრმა მიაშურა სოფელს და უსაფრთხოდ იგრძნო თავი. ამ პერიოდში სოფლის სიყვარული გაათკეცდა, ხელი მოჰკიდა ტექნიკას და დაიწყო მიწის დამუშავება, გაუჩნდა მოსავლის მოყვანის სურვილი. ნათქვამია „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. თუ ქალაქში არ გაქვს კომფორტული ცხოვრების პირობები და სოფელში გაქვს ორსართულიანი სახლი და რამდენიმე ჰექტარი მიწა, ადექი და დაუბრუნდი შენს მშობლიურ კერას. ნათქვამია: „თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერია“.

ხელისუფლებამ სწორი ნაბიჯი უნდა გადადგას იმ თვალსაზრისით, რომ როცა სოფელში მცხოვრებ ადამიანებს დიდი რაოდენობით მოჰყავთ უხვი პროდუქტი, ხელი შეუწყოს, რომ გარანტირებული იყოს მისი პროდუქციის რეალიზაცია, რომ მისმა შრომამ ფუჭად არ ჩაიაროს, „მაფიას“ შეუზღუდოს პარპაშის არეალი, ხელისუფლებამ ადგილობრივი პროდუქციისადმი პროტექციონისტული პოლიტიკის გან-ხორციელებით შეამციროს იმპორტირებული პროდუქციის შემოდინება, გლეხმა ამოისუნთქოს და კმაყოფილი დარჩეს შრომის შედეგით.

გლეხს, რომელსაც მოჰყავს ნატურალური პროდუქტი, ამ ეტაპზე იმდენი სარგებლობა არ მოაქვს მისთვის, რამდენსაც ე.წ. „გადამყიდველები“ იღებენ, რომლებიც გაურბიან შრომას და სხვის ნაამაგარს მამასისხლად ყიდიან. ამიტომ გლეხს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მის მიერ მიღებული მოსავალი (პროდუქტი) ჩააბაროს სპეციალიზებულ პუნქტს.

ცხადია, პანდემიამ დილემის წინაშე დააყენა ხელისუფლება, მაგრამ სწორი და ეფექტური მენეჯმენტის შედეგად გამონახა ოქროს შუალედი და უხილავი მტრის დასამარცხებლად გამოყენებული იქნა ყველა სასარგებლო რესურსი, რათა საფრთხე არ შექმნოდა ადამიანის ჯანმრთელობას. ამ მიზნით დიდი ფინანსური რესურსები დაიხარჯა, მასიური ეპიდემიის ასაცილებლად. საქართველომ, ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებთან შედარებით მსოფლიოს წინაშე კარგი იმიჯი და რეპუტაცია დაიმსახურა.

ქვეყანას უნდა ჰყავდეს ჯანსაღი ოპოზიცია, რომელთა გამოთქმული აზრები და კრიტიკული წინადადებები ხელს უნდა უწყობდეს მმართველ პარტიას, რომ დროულად დაძლიოს ის პრობლემები, რომელიც არსებობს საზოგადოებაში. ვფიქრობთ, მმართველი ხელისუფლება და მისი გუნდი გამონახავს ეფექტურ გზებს, რომ ქვეყანა ეკონომიკურად და სულიერად გაძლიერდეს და მშრომელი ადამიანების კეთილდღეობა ამაღლდეს. დღის წესრიგში ყოველთვის დგას ახალ-ახალი სოციალურ-ეკონომიკური,

კულტურული, საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება-შედგენა და მისი რეალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ადამიანების რესურსების ეფექტურ გამოყენებას. ამ ეტაპზე და ყოველთვის საჭიროა ფერმერებმა მოკიდონ ხელი ისეთი კულტურების აღორძინება-მოყვანას, რომლის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნა იყო. გამოვყოფდით ერთ-ერთს, როდესაც კოლხეთის დაბლობზე და მეტწილად აფხაზეთის ტერიტორიაზე, დაფნის წარმოება და რეალიზაცია სერიოზული შემოსავლის წყაროდ ითვლებოდა. დაფნის გვირგვინი და ტოტი კი ძველთაგანვე დიდებისა და გამარჯვების სიმბოლოდ მიიჩნეოდა. დღეისათვის ამ კულტურას თითქმის არავინ აქცევს ყურადღებას, მაშინ როცა ზღვისპირეთში ფართოდ იყო გავრცელებული. დღეს კი მისი დარგვა-განაშენიანება აღარ ხდება. ამიტომ საჭიროა მასზე მოთხოვნის შესწავლა. დაფნის კულტურის მოვლა-მოყვანისათვის იდეალური პირობებია. ამიტომ კეთილშობილი დაფნის კულტურა მივიწყებას არ უნდა მიეცეს. ასევე ავაღორძინოთ ის ძვირფასი და მივიწყებული კულტურები, რომელიც ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანს და შექმნის სამუშაო ადგილებს.

ღარიბი ხარ თუ მდიდარი, უნდა გიყვარდეს ქვეყანა, უნდა იყო პატრიოტი და იზრუნო ქვეყნის აღმშენებლობისათვის. თავისი მუყაითი შრომითა და გონივრული მმართველობითი გადაწყვეტილებების გზით ხელისუფლებამ შექმნას პირობები, რათა უზრუნველყოს ხალხის დარწმუნება, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავძლიოთ ჩვენი უნიათობა, ჩამორჩენილობა და მივბაძოთ ჩვენს ღირსეულ წინაპრებს. როდესაც სამშობლოს უჭირდა, ერი და ბერი ერთიანდებოდა და ამ ერთსულოვნების საფუძველზე აღწევდნენ წარმატებებს.

როგორც ცნობილია, საქართველო მდიდარია უთვალავი და მიმზიდველი სანახაობებით. შეიძლება ითქვას, გაოცებას იწვევს საქართველოს სილამაზე, მისი ბუნება, მყინვარები, ლამაზი მთა-ბარი. შორს წაგვიყვანდა მისი ჩამოთვლა, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ. ახალი საოცრებაა ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით შეკვეთილში გაშენებული დენდროლოგიური პარკი, რომელიც მსოფლიოში არსებულ პარკებს შორის იშვიათობას წარმოადგენს. სწორედ ასეთი საოცრებები იზიდავს ტურისტებს. ამას თან სდევს „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება - ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვეღარ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმაღლე“, როგორც ამას ბრძანებდა დიდი ილია. თუ გადავხედავთ გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებს, დავინახავთ, რომ ყველა უდიდეს პატივს მიაგებდა შრომას. ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელი ამბობდა, რომ „არაფერი არ არის შრომაზე მეფური და ფუფუნებაზე უფრო მონური“. რაც შეეხება სწავლას, ის შრომის პროცესში ხდება, მაგრამ დღეს თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში იგი უნდა განვიხილოთ, როგორც მიზანმიმართული ქმედება. სავალდებულო არ არის ყველაფრის ცოდნა, მაგრამ აუცილებელია, ღრმად ვიცნობდეთ იმ სფეროს, სადაც ვაპირებთ მოღვაწეობას. ამიტომ კარგად უნდა ვისწავლოთ, დავეუფლოთ ჩვენთვის სასურველ პროფესიას. ამისი კლასიკური მაგალითია ქართველ მედიკოსთა მაღალი კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი და გამოცდილება, რომლებიც გამოავლინეს პანდემიასთან ბრძოლის მიმდინარე პროცესში. მათმა გამჭრიახმა აზრმა, მიზანდასახულმა და დროულმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგი გამოიღო. ეს არის ნათელი მაგალითი, თუ როგორ უნდა ებრძოლონ ვერაგ დაავადებას. არ იქნებოდა ურიგო ის გამოცდილება და მიღწევები გადაეღოთ ჩვენგან საზღვარგარეთელ სპეციალისტებს, რაც საქართველოს ხელისუფლებამ და მედიკოსთა კორპუსმა დაანახა მთელ მსოფლიოს.

ფაქტია, რომ პანდემიამ ხელი შეუშალა ქვეყნის ეკონომიკის წინსვლა-განვითარებას, მაგრამ არ შენელებულა იმ პროექტების განხორციელება, რომელიც სოფლის, ასევე ქალაქის ინფრასტრუქტურისა და სასიცოცხლო ღონისძიებების განხორციელებასთან იყო დაკავშირებული.

დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეების კანონმორჩილებას და სამართლიანობას. „ქართულმა ოცნებამ“ სრულად ვერ შეძლო ქვეყანაში დაპირებული სამართლიანობის აღდგენა. უნდა ვიმოქმედოთ რომაული პრინციპით „სამართალი უნდა აღსრულდეს, თუნდაც დაიქცეს მთელი სამყარო“, როგორც ეს გაკეთდა გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ცხადია, სამართლის აღდგენა მნიშვნელოვანი სამოტივაციო ფაქტორია შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის. დღევანდელმა პანდემიურმა სიტუაციამ გვაჩვენა - იქ, სადაც მეტი მოწესრიგებულობითა და კანონმორჩილებით გამოირჩეოდნენ მოქალაქეები, უფრო ქმედითი იყო ანტიპანდემიური ღონისძიებები და მეტად წარმატებული აღმოჩნდნენ Covid-19-თან წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც ცნობილია, მტერს არაერთგზის აუოხრებია ჩვენი სამშობლო. მიუხედავად ამისა, ქართველ კაცი არ იშურებდა ძალ-ღონეს, რათა მამული აეღორძინებინა და ცხოვრება გაგრძელებულიყო. ქართველი ყოველთვის მზად იყო სამშობლოს დასაცავად. დღეს ქვეყანაში მძლავრობს შური, მუქარა, დაშინება და ა.შ. ქართველებო, გონს მოდით, გიყვარდეთ ერთმანეთი, მოვუაროთ ჩვენს საფიცარ საქართველოს! ძალადობრივი კი არა, არჩევნების გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში სინდისიერი, პროფესიონალი

ადამიანები, რომლებიც ეფექტური მმართველობის შედეგად უზრუნველყოფენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიასთან ბრძოლაში ხელისუფლების მიერ გატარებულმა გონივრულმა და ეფექტურმა მმართველობითმა ღონისძიებებმა დაგვანახა - კვალიფიციური, პროფესიონალი და გამოცდილ სპეციალისტებთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობებითა და მოქალაქეების მაღალი თვითშეგნებით შესაძლებელი ყოფილა მიაღწიო ისეთ შედეგებს, რომლებიც მოწონებული და აღიარებულ იქნება მთელი მსოფლიოს მიერ. მაგრამ ამაზე არ უნდა შევჩერდეთ! საჭიროა ასეთივე მიდგომით და ერთობით შევუტიოთ ქვეყნის წინაშე მდგარ სხვა საშინაო თუ საგარეო პრობლემებს.

***Tamaz Gamsakhurdia***
***Teimuraz Pestvenidze***

**THE ROLE OF MANAGEMENT IN THE FIGHT AGAINST THE PANDEMIC**

**Summary**

The paper deals with the greatest talent and intelligence of Georgian people revealed during the crisis. The Government of Georgia, headed by the Prime Minister Giorgi Gakharia, Ministry of Health, the Infectious Diseases Corps used all available resources in timely and professional manner and did their best to handle the invisible enemy - epidemic that terrified the world. All measures were taken to minimize mortality rate. Proper and effective management has worked rhythmically and this is the reason why the epidemiological management of our country occupies a leading place in the world. Therefore, our country entered a safe green zone.

We are proud that the world recognized Georgia as one of the leading countries that has achieved great success in the fight against the pandemic. Timely measures had a positive effect on the health of the population.

Obviously, the government had to face a dilemma because of the pandemic but with the right and effective management the golden ratio was found and all resources were used to defeat the invisible enemy and save the health of the population. Great financial resources have been spent to avoid mass pandemic. Georgia has earned a good image and reputation in comparison with economically advanced countries of the world.

***ზურაბ გარაყანიძე***
***სოლომონ პავლიაშვილი***

## პანდემიის გავლენა საქართველოზე გამავალ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფანზე“

***ანოტაცია.*** *2000-დან 2015 წლამდე პერიოდში გაზის მსოფლიო მოხმარება თითქმის 45% -ით გაიზარდა - 2405-დან 3469 მლრდ კუბ.მ-მდე. ბოლო ხუთ წელში მსოფლიო ენერგობალანსში გაზის წილი ასევე გაიზარდა 22-23%-მდე. ნავთობის ანალოგიური სტატისტიკით, მისი მოხმარება იმავე პერიოდში გაიზარდა მხოლოდ 10-11%-ით, რაც მიუთითებს ბუნებრივი გაზის სერიოზულ კონკურენტ-უნარიანობაზე, ხოლო სხვა ენერგორესურსებისთვის - მისი სახით სერიოზული ალტერნატივის გამო-ჩენაზე. პანდემიის დაწყებამდე, გაზის მილიარდებიანმა ბრუნვამ მოგვცა საშუალება, გვესაუბრა გაზის ბაზრის ე.წ. გლობალურ სტატუსთან მიახლოების შესახებ. მაკრო-რეგიონებს შორის გაჭიმული გაზსადენებით, ისევე, როგორც ტანკერების საზღვაო გადაზიდვების მარშრუტებით, ბოლო წლებში გაზი სულ უფრო ემსგავსებოდა ნავთობს. ბოლო თვეებში კორონავირუსი „კოვიდ19-ის სწრაფმა გავრცელებამ აჩვენა, რომ საქართველოში "ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის" (SGC) პროექტების სრულყოფილად განხორციელებას, რუსეთის პირდაპირი სამხედრო ან "რბილი" ჩარევის გარდა, შეფერხება კორონავირუსის პანდემიიდანაც შეიძლება დაემუქროს.*

*საქმე ისაა, რომ მალე ჩვენი შავი ზღვის პორტებში გაზის გათხევადების ტერმინალების აშენება იქნება საჭირო, რომ კასპიის გაზი ტანკერების საშუალებით გავიდეს მსოფლიო ბაზარზე გათხევადებული (LNG) სახით. თურქმენული გაზის „ტრანსკასპიური გაზსადენით“ (TCP) საქართველოს გავლით დაგეგმილი ტრანზიტის შემთხვევაში, ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) გაზსადენების სიმძლავრეები აღარ იქნება ფიზიკურად საკმარისი კასპიის გაზის გასატანად და საჭირო იქნება ქართულ პორტებში დეგაზაციის (LNG) ტერმინალების აგება ჭარბი თხევადი გაზის წვრილ პარტიებად - ე.წ. „სპოტ-კონტრაქტებით“ საბირჟო ვაჭრობისთვის. ახალი კორონავირუსის პანდემია სავარაუდოდ შეაფერხებს საქართველოს და ევროკავშირის აღნიშნული მიზნების მიღწევას. ამაზე მეტყველებს აზერბაიჯანული გაზის რეგიონული მასშტაბით - საქართველოსა და თურქეთის გავლით ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში გადატუმბის გეგმა, რომელიც გაფორმდა 2020 წლის 25 თებერვალს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე.*

*საკვანძო სიტყვები:* *კორონავირუსი, სამხრეთის გაზის დერეფანი, SWAP კონტრაქტი, თხევადი გაზი LNG, „სპოტ-კონტრაქტებით“ მიწოდება, ყარს-იგდირ-ნახჭევანის რკინიგზა, ბაქო-ნახჭევანის გაზსადენი.*

## შესავალი

2008 წლის აგვისტოს ომით რუსეთმა დასავლეთს ღიად აგრძნობინა, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მისწრაფების მიუხედავად, მისი ინფრასტრუქტურა, როგორც „ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის“ შემადგენელი, სრულიად მოწყვლადია. მაშინ, საერ-თაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით, ჩვენს ტერიტორიაზე გამავალი ევროკავშირის კრიტიკული ენერგოინფრასტრუქტურა გადარჩა. საბოლოო ჯამში, თუ 2008 წელს პირდაპირი სამხედრო აგრესიით რუსეთმა ვერ შეძლო "დერეფნის" რომელიმე პროექტის ჩაშლა, 2013 წელს მან ვირტუალური „სამხრეთის ნაკადის“ (მოგვიანებით უკვე რეალური „თურქული ნაკადის“ და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის) ინიცირებით მოახერხა ჯერ გლობალური, პანევროპული "ნაბუქოს", მოგვიანებით კი მისგან დარჩენილი ნაწილის - „ნაბუქო უესტის“, ხოლო 2014 წელს, საქართველოზე გამავალი "ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის" კიდევ ერთი პროექტის - „თეთრი ნაკადის“ ჩაშლა.

ზემოაღნიშნული ნეგატიური პროცესების საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ომის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური საფრთხეების ნეიტრალიზაციის "სივრცითი მოწყობის" პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მიმართულება საქართველოში ლოჯისტიკურ-სატრანსპორტო „ჰაბების“ ჩამო-ყალიბება იყო. პროგრამა 2016 წლის ზაფხულში მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა, თუმცა მასში დასმული ამოცანები რეგიონული „ჰაბების“, აგრეთვე გაზსაცავების, ნავთობის ტრანსპორტირებისა და შენახვის ახალი ინფრასტრუქტურის შექმნის შესახებ, არ გადაწყვეტილა. შესაბამისად, ეკონომიკური მეცნიერების დღის წესრიგში დადგა „სივრცითი მოწყობის“ თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლის - გეოეკონომიკის შესწავლის ამოცანა. წინამდებარე სტატია გეოეკონომიკის სწორედ აღნიშნული მიმართულებით განხილვის ინიცირებას ისახავს მიზნად.

## სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნების გეოეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობა

დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიაში გეოეკონომიკის პრობლემის შესწავლის დაწყება მე-20 საუკუნის 90-იან წლებს უკავშირდება. კონკრეტულად, სივრცით მოწყობას შეისწავლის ახალი დისციპლინა - "გეოეკონომიკა".

გეოკონომიკა მოცემული ქვეყნის სტრატეგიული ანალიზისა და კონკურენტუნარიანობის ინსტრუმენტებს იკვლევს. ის სწავლობს სახელმწიფოთაშორის ეკონომიკურ კავშირებს, რეგიონულ ეკონომიკურ ინტეგრაციას, ეკონომიკის გლობალიზაცია-ლოკალიზაციის პროცესს და ეკონომიკურ კოოპერაციას. თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოები საერთო ეკონომიკური გამოწვევების, რისკებისა და საფრთხეების დასაძლევად ერთიანდებიან, მიმდინარეობს ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საინფორმაციო კომუნიკაციების არნახული განვითარება, ქვეყნების ეკონომიკების და საფინანსო სექტორების გლობალიზაცია. ცალკეული ქვეყნების მაკროეკონომიკური პოლიტიკა უკვე აღარ არის მიმართული მხოლოდ შიდა ეკონომიკური ზრდისა და სოციალური საკითხების გადაწყვეტისაკენ და იგი ეკონომიკური დიპლომატიის ბერკეტადაა გადაქცეული. ჩვენ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ გეოეკონომიკას შევეხეთ რამდენიმე სტატიაში და 2014 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში: „საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები, პერსპექტივები“ [ს. პავლიაშვილი, ზ. გარაყანიძე. 2014, გვ. 21].

ჩვენს პუბლიკაციებში ხაზგასმულია, რომ გეოეკონომიკის, როგორც მეცნიერების, ფუძემდებლად ამერიკელი ედვარდ ლუტვაკი გვევლინება [Edward N. Luttwak]. მან ეს დისციპლინა დაახასიათა, როგორც სახელმწიფოს მიერ მაკროეკონომიკური ბერკეტებით საგარეო-პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება.

თანამედროვე გეოეკონომიკის აქტუალობა მდგომარეობს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების ბაზრების არა მარტო თავისი ტერიტორიულ-ადმინიტრაციულ საზღვრებში გავრცელებაში, არამედ მათ ექსპანსიაში, ასევე რეგიონულ და გლობალურ მასშტაბებში ამ ბაზრების განვითარებაში. ამა თუ იმ ქვეყნის გეოეკონომიკური საქმიანობის სტრატეგიული მიზანია მაკომპლექტებლების, ნედლეულისა და მასალების მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია და კონკურენტული გლობალური/რეგიონული უპირატესობის მოპოვება.

გეოეკონომისტები იკვლევენ ე.წ. სივრცით სამეურნეო პროცესებს და სივრცის გავლენას წარმოების ფაქტორებისა და საქონლის/მომსახურების ნაკადებზე. თუ ეკონომიკური გეოგრაფია იკვლევს საწარმოო ძალების განლაგებას, გეოეკონომიკაში სივრცის ფაქტორი გულისხმობს გეოგრაფიული მდებარეობის გავლენას სხვადასხვა რესურსების გადანაწილებაზე, რეგიონული და გლობალური საწარმოო კვანძებისა და „ჰაბების" მოწყობაზე. ის შეისწავლის ასევე მილსადენების, საავტომობილო და სარკინიგზო გზებისა და ტელეკომუნიკაციების დივერსიფიცირებული განვითარების პერსპექტივებს, მათი სტრუქტურისა და საექსპლუატაციო ხარჯების ოპტიმიზაციას.

გეოეკონომიკა განისაზღვრება როგორც გეოგრაფიის, ეკონომიკის, ისტორიისა და პოლიტიკის სინთეზი. გეოეკონომიკა ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკას შეიმუშავებს, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურ განვითარებასა და მსოფლიო ეკონომიკაში ღირსეული ადგილის დაკავებაში, გლობალურ ან რეგიონულ გეოგრაფიულ სივრცეში წარმატებული პოზიციონირების საშუალებას აძლევს.

საქართველოში გეოეკონომიკური პრობლემების კვლევის "პიონერები" არიან პროფესორები ლადო პაპავა და მიხეილ თოქმაზიშვილი [Papava V., Tokmazishvili M. 2010]. ასევე აღსანიშნავია პროფესორ თეიმურაზ გოჩიტაშვილის ნაშრომები [თ. გოჩიტაშვილი. 2004], სადაც, მიუხედავად იმისა, რომ გეოეკონომიკა არ არის ნახსენები, ფართოდაა განხილული საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობა ქვეყნის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და გაზის მოპოვებისა და მიწოდების ახალი ტექნოლოგიები. ავტორი დეტალურად განიხილავს როგორც მაგისტრალური გაზსადენების დაპროექტების, მშენებლობისა და ფუნქციონირების ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და გეოპოლიტიკურ საკითხებს [თ. გოჩიტაშვილი, 2004], ასევე საქართველოს ტერიტორიის გავლით კასპიის რეგიონიდან საერთაშორისო ბაზრებზე ენერგეტიკული რესურსების მიწოდების პრობლემებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ზემოაღნიშნული ავტორების მიერ საქართველოს ევროპის ერთიან ენერგეტიკულ სივრცეში ინტეგრაციისათვის საჭირო კონკრეტული წინადადებების შემუშავება, რაც საქართველოს "ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში" გაწევრია-ნებისთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობის იყო.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ითქვას, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია სახელმწიფოთა გლობალური კონვერგენციული გეოეკონომიკური სტრატეგიების ფორმირების შედეგია. თავად ეკონომიკური გლობალიზაცია უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების მთელ კომპლექსზე და მათ შორის სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნების განვითარებაზე. თუმცა, ეს გავლენები განსხვავებულია რეგიონებისა და ქვეყნების გეოგრაფიულ-სივრცითი მდებარეობის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ მონოგრაფიაში [ს. პავლიაშვილი, ზ. გარაყანიძე. 2014, გვ. 21] განხილულია სატრანსპორტო დერეფნის განვითარების სპეციფიური პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, როგორც სამხრეთ კავკასიის გეოეკონომიკური სივრცის შემადგენელ ნაწილში.

თუმცა, კორონავირუსის - „კოვიდ19"-ის გავრცელების თითქმის ნახევარწლიანმა პროცესმა გვიჩვენა, რომ საქართველოში „ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის" პროექტების სრულფასოვან რეალიზაციას, პირდაპირი სამხედრო ან „რბილი" ჩარევის გვერდით, „კოვიდ19"-ის პანდემიაც შეუშლის ხელს.

## „სამხრეთის გაზის დერეფანი" გაზის გლობალური ბაზრის გეოეკონომიკაში

დღემდე, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, გაზის ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი იყო ბაზრების თანდათანობითი დემონოპოლიზაცია, რის შედეგადაც ენერგობაზრის სტრუქტურაში და გაზით საერთაშორისო ვაჭრობაში ხდებოდა რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები. გაზის რეალიზაციის დროს სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა ფინანსური ინსტრუმენტები, რაც, თავის მხრივ, ფასების ლიბერალიზაციას იწვევდა. მსგავსი ტენდენციები გლობალურად ნავთობის საერთაშორისო ბაზარმა გაიარა გასული საუკუნის 80 - 90-იან წლებში.

ახალ კორონავირუს „კოვიდ19"-ის პანდემიამდე გაზის გლობალური ბაზრის განვითარებაში გამოიყოფოდა ფაქტორთა ორი ჯგუფი: ტექნოლოგიური და საბაზრო. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სატრანსპორტო ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარება ე.წ. გათხევადებული ბუნებრივი გაზის (LNG) ფორმით, რამაც შეცვალა მსოფლიოში გაზის სასაქონლო ნაკადების მიმართულება და ხასიათი. მეორე ჯგუფი მოიცავს ბუნებრივ გაზზე მზარდ მოთხოვნას, ამ ენერგორესურსის როგორც საფასო, ისე ეკოლოგიურ კონკურენტუნარიანობას. ასევე, გაზით საბირჟო ვაჭრობის განვითარებას, რაც ამ საწვავზე ფასების რყევის რისკების მართვის საშუალებას იძლევა.

ბოლო პერიოდში გლობალური გაზის ინდუსტრიაში მიმდინარე ტენდენციები ხასიათდება მნიშვნელოვანი თვისებრივი და რაოდენობრივი ტრანსფორმაციით, განსაკუთრებით „ცისფერი საწვავის" რეგიონული ბაზრების სტრუქტურაში. მსოფლიო გაზით ვაჭრობის წილის ზრდა ქვეყნების ენერგეტიკულ ბალანსში, აგრეთვე ინსტიტუციური ტრანსფორმაცია ადგილობრივ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება მწარმოებლების და მომხმარებლების რაოდენობის ზრდით და ფასწარმოქმნის ლიბერალიზაციით, ხელს უწყობს გაზის ინდუსტრიის ღრმა ინტერნაციონალიზაციას. გაზის მოპოვების ხარჯების შემცირებას და ხელმისაწვდომობის გეოგრაფიას მნიშვნელოვნად აფართოებს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები, ასევე გაზის კომპანიების აქციების საფონდო ბირჟებზე მასიურად გატანა, თხევადი გაზის მცირე ე.წ. „სპოტ" პარტიებით საბირჟო ვაჭრობა. ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა საშუალებას, რომ ამ საუკუნის დასაწყისიდან 2020 წლამდე პერიოდი გამოცხადდეს გაზის ინდუსტრიის გლობალიზაციის დასაწყისად. ეს პროცესი, ისევე, როგორც ნავთობის გლობალური ბაზრის შექმნის პროცესი, უნდა დასრულებულიყო იზოლირებული რეგიონული გაზის ბაზრების, ე. წ. „ჰაბების", კონვერგენციით გლობალურ მოთხოვნა-მიწოდებაზე დამყარებულ და უნივერსალურ-კონკურენტულ პრინციპებით მოქმედ მსოფლიო ბაზრად. გლობალიზაციის აღნიშნულ ტენდენციას ადასტურებს ბოლო პერიოდის მსოფლიო სტატისტიკაც.

კერძოდ, 2000-დან 2015 წლამდე პერიოდში მსოფლიო გაზის მოხმარება გაიზარდა თითქმის 45%-ით - 2405-დან 3469 მლრდ კუბ.მ-მდე [BP statistical review, 2002-2016]. მსოფლიოს სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში გაზის ხვედრითი წილი ბოლო წლებში ასევე გაიზარდა 22-23%-მდე [IEA 2016]. ნავთობის ანალოგიური სტატისტიკიდან ირკვევა, რომ იმავე პერიოდში მისი მოხმარება გაიზარდა მხოლოდ 10-11%-ით, რაც ბუნებრივი გაზის ნავთობისადმი სერიოზულ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს და მისი, აგრეთვე სხვა ენერგორესურსების სერიოზული ალტერნატივა ხდება [BP statistical review: 2002-2016].

პანდემიამდე გაზის ბაზრის ტრილიონიანი ბრუნვები საშუალებას იძლეოდა გვესაუბრა ბოლო ხუთ წელში გაზის ბაზრის „გლობალურის" სტატუსთან მიახლოებაზე როგორც ე.წ. მაკრორეგიონებს შორის გადაჭიმული გაზსადენების, ისე საზღვაო გადაზიდვების მარშრუტების თვალსაზრისით. დღემდე ასეთი მაკრორეგიონი ჩამოყალიბდა რვა: აქედან სამი - ჩრდ. ამერიკის, ევროპის და აზიის, უკვე ფორმირებულია, ხოლო დარჩენილი ხუთი - დსთ-ს, ლათ. ამერიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის, ოკეანეთის და აფრიკის, - ფორმირების პროცესშია (იხ. ამ მაკრორეგიონების მონაცემები):

*ცხრილი 1*

**გაზის სავაჭრო ბრუნვა ე.წ. მაკრორეგიონების მიხედვით**

| წლები/რეგიონები | 2001 | 2005 | 2010 | 2015 |
|---|---|---|---|---|
| ჩრდ. ამერიკა | 120,6 | 126,3 | 125,2 | 124,8 |
| სამხ. ამერიკა | 11,3 | 31,2 | 36,5 | 40,5 |
| ევროპა | 117,3 | 164,4 | 195 | 219,4 |
| რფ და დსთ | 131,1 | 160,9 | 251,5 | 272 |
| ახ.აღმოსავლეთი | 31,2 | 49,2 | 128,2 | 154,4 |
| აფრიკა | 66,3 | 90,2 | 112,9 | 84,8 |
| აღმ. აზია | - | - | 3,8 | 0,3 |
| აზია-წყნ.ოკეანე | 76,6 | 99,5 | 122,1 | 146,4 |

***წყარო:*** BP statistical review of world energy: June 2016.

გაზის მსოფლიო ბაზარზე ბოლო ხუთ წელში რეალიზებული გაზის უდიდესი ნაწილი - 67% (704 მლრდ კუბ.მ) მომხმარებლებს გაზსადენების საშუალებით მიეწოდება. ამ მილების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და საკანონმდებლო შეზღუდვები (მაგ.: ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნა - „მესამე მხარის დაშვების", ტრანსევროპულ ქსელში - TEN აუცილებელი ჩართვის, ან ე.წ. საერთო ინტერესების პროექტების - PCI შესახებ) წარმოადგენს მაგისტრალური გაზსადენების გაზის მნიშვნელოვან შეზღუდვებს იმისათვის, რომ გასცდეს რეგიონულ, ამ შემთხვევაში ევროკავშირის, საზღვრებს. ამ თვალსაზრისით, ბოლო დრომდე გაზის ბაზრის გლობალიზაციის უმთავრესი ტენდენცია იყო თხევადი გაზის (LNG) ტექნოლოგიების საყოველთაო განვითარებით, ყველა მაკრორეგიონული ბაზრის დაახლოება. მეტიც, თხევადი გაზის საზღვაო მარშრუტებმა ისეთი ქვეყნებისა და რეგიონების გაერთიანების შესაძლებლობა წარმოაჩინა, რომლებიც ტრანსკონტინენტურ გაზსადენებში არასდროს ყოფილან ჩართული (იხ. ცხრილი 1). ბოლო ხუთ წელში თხევადი გაზი გლობალური გაზის ბაზარზე 33%-იანი წილითაა წაროდგენილი და ყოველწლიურად საშუალოდ 8-10%-ით იზრდებოდა. შედეგად, 2000-იანი წლების დასაწყისიდან 2019 წლამდე ეს წილი 1,5 -ჯერ გაიზარდა.

საქართველო მონაწილეობს კასპიისპირეთიდან მხოლოდ გაზსადენების (ანუ მილებით გადა-ტუმბული) აირის და არა თხევადი გაზის (LNG) ტრანზიტში. ამ დროს ევროპა დაინტერესებულია აზერბაიჯანიდან მისაღები გაზის მოცულობის გაორმაგებაში 20 მლრდ კუბ. მ-მდე, რომელიც „ტრანსადრიატიკური გაზსადენით" (TAP) ბაქოდან იტალიამდე გადაჭიმული „სამხრეთის გაზის დერეფნის" (SGC) ჯაჭვის ბოლო რგოლს წარმოადგენს. ევროკავშირის SGC-ის პირველი ორი სექცია - საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენის გაფართოება" (SCPx) და „ტრანსანატოლიური გაზსადენი" (TANAP) - 2018 წლის შუა რიცხვებიდან მწყობრშია, რომლებიც კასპიის ზღვის „შაჰ დენიზის" საბადოდან თურქეთისაკენ, BP-ის ოპერირებით მოქმედი კონსორციუმის საშუალებით მოპოვებულ გაზს ატარებს. „ტრანსადრიატიკური გაზსადენი" (TAP) საბერძნეთის, ალბანეთის და ადრიატიკის ზღვის გადაკვეთით გადის იტალიაში, ქალაქ ბარისთან. ეს მილსადენი თურქეთის დასავლეთ საზღვარზე TANAP-ზეა მიბმული, რომელიც, თავის მხრივ, თურქეთის აღმოსავლეთში, ერზერუმთან SCPx-თანაა დაკავშირებული. ამ სამივე გაზსადენის გამაერთიანებელია პანევროპული SGC პროგრამა, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება „შაჰ დენიზის" მეორე ეტაპის და თურქმენეთიდან მისაღებ გაზს. 2018 წელს, გაფართოების შემდეგ „შაჰ დენიზი 2"-მა დამატებით ყოველწლიურად 16 მლრდ კუბ.მ გაზი შემატა ევროკავშირისა და თურქეთის გაზმომარაგებას. აქედან თურქეთი იღებს წლიურად 6 მლრდ კუბ.მ ამ გაზს, ხოლო ევროპა - დანარჩენ 10 მლრდ კუბ.მ-ს. თურქმენეთიდან ჯერ ვერ მოხერხდა კასპიის ფსკერზე „ტრანსკასპიური გაზსადენის" (TCP) გატარება, რაც ასევე SGC-ის უკვე მოქმედი სამი გაზსადენის ერთ-ერთი შემავსებელი უნდა გახდეს.

თუ აზერბაიჯანული გაზის დამატებითი საბადოები - აბშერონი, ბაბეკი, უმიდი ჩადგებიან მწყობრში, SGC-ს ევროპულმა გაზსადენების ჯამურმა სიმძლავრემ მალე შესაძლოა წელიწადში 20 მლრდ კუბ.მ-ს მიაღწიოს მიუხედავად იმისა, რომ SGC დერეფნის გაზსადენების მაქსიმალური წლიური წარმადობა 30-31 მლრდ კუბ.მ-ითაა შეფასებული, ზემოაღნიშნული დამატებითი საბადოებისა და თურქმენეთის „ტრანსკასპიური გაზსადენით" (TCP) მომავალში „სამხრეთის გაზის დერეფანში" (SGC) მისაღები გაზის ჩვენს ტერიტორიაზე ტრანზიტის შემთხვევაში, ჩვენს შავიზღვისპირა პორტებში აუცილებელი გახდება გაზის გათხევადების ტერმინალების მშენებლობა. ამ ტერმინალებიდან საზღვაო ტანკერებით გათხევადებული სახით (LNG) მსოფლიოს ბაზრებზე გადაიზიდება კასპიის აირის ის ნაწილი, რომელიც ევროკავშირის SGC „დერეფნის" გაზსადენებში ფიზიკურად აღარ ჩაეტევა. ეს „მისია" უნდა შეესრულებინა 2010 წელს ევროკავშირის მხარდაჭერილ გაზსადენის პროექტს AGRI-ს (აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთი-უნგრეთი-ინტერკონექტორი). ამ პროექტით ერთობლივი საწარმო SC AGRI LNG ProjectCompany SRL-იც დაფუძნდა, თუმცა, ყირიმის ანექსიამ მისი რეალიზაცია გაურკვეველი ვადით გადადო. დღის წესრიგში დადგა კასპიის ჭარბი გაზის ტანკერებით, შავი ზღვის ტერმინალებიდან მსოფლიო ბაზრებზე „სპოტ" პარტიებად გაგზავნა. ახალი კორონავირუსის „კოვიდ 19"-ის პანდემია საქართველოს და ევროკავშირის სწორედ ზემოაღნიშნულ მიზნებს შეიძლება დაუპირისპირდეს.

გაზსადენების მშენებლობის მომხრეთა უმთავრესი ანტიეპიდემიოლოგიური არგუმენტი ძალიან მარტივია - გაზის გრძელვადიან სამეურნეო ხელშეკრულებებზე დამყარებულ მილსადენებით ვაჭრობის LNG გაზის „სპოტურ" (წვრილპარტიებად) ვაჭრობასთან შედარებითი უპირატესობა ისაა, რომ მიმწოდებელი და მომხმარებელი ათეული წლების მანძილზე არ ხვდებიან ერთმანეთს, ანუ ბაზარზე სოციალური კონტაქტი გამორიცხულია, მაშინ როდესაც „სპოტური" ვაჭრობა ხშირ კონტაქტებს მოითხოვს საზღვაო ტრანსპორტით გაზის „მიწოდების ჯაჭვის" პერიოდული ცვლილებებით.

### „კოვიდ19" პანდემიის გეოეკონომიკური გამოწვევები

ბუნებრივი გაზის გლობალიზებული ან რეგიონული „მიწოდების ჯაჭვის" საკითხი არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელსაც „კოვიდ19" პანდემია გამოავლენს. ამ საუკუნის დასაწყისიდან დღემდე თითქმის გლობალიზებული გაზის ბაზრის, პანდემიის ზეგავლენით კვლავ რეგიონალიზაციისა და ლოკალიზაციისთვის აუცილებელია „მიწოდების ჯაჭვის" გასწვრივ პროდუქციის (ჩვენს შემთხვევაში - ბუნებრივი გაზის მარაგების) მიტანა და მისი გათხევადებული, წვრილპარტიებად გასაყიდი ნაკადების შეკრება. ამისათვის კი აუცილებელია ლოგისტიკური „ჰაბების", ნავთობ და გაზსაცავების კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურის შექმნა. ეფექტიანობის ზრდისათვის მრავალეროვნული კომპანიები ცდილობენ LNG გაზის „მიწოდების ჯაჭვის" ლოგისტიკური პროცესის ოპტიმიზაციას, შენახვის ხარჯების შემცირების მიზნით. ამასთან, მზარდი გაურკვევლობის და რისკების პირობებში, ტრანსპორტირების და წარმოების ეფექტიანობაზე მზარდი აქცენტის გაკეთება, ენერგოკომპანიებს დაუცველებს ტოვებს შოკებისგან. მიმდინარე რეცესიის პირობებში მოწინავე ენერგოკომპანიები სულ უფრო მეტ ყურადღებას

უთმობენ მარაგების დასაწყობებას სტრატეგიულ ლოკაციებში, საიდანაც მზა საქონელი და რესურსები ადვილად მისაწოდებელი იქნება მყიდველებისათვის. ამგვარი მიდგომა მართალია ძირითადად მზა პროდუქციაზე ვრცელდება, მაგრამ ასევე გამოიყენება მათ შესაქმნელად საჭირო ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კომპონენტებისთვისაც, როგორებიცაა ენერგორესურსები. სწორედ მზა საქონლის და მისი კომპონენტების სტრატეგიული მარაგების შენარჩუნება დაეხმარა ზოგიერთ კომპანიას გაუმკლავდეს კორონავირუსის გავლენას.

ახალმა კორონავირუსმა „კოვიდ19"-მა, „მიწოდების ჯაჭვის" ზემოაღნიშნული „დამოკლების" ტენდენციით, ფუნდამენტურად შეცვალა საგარეო ვაჭრობა. ე.წ. „წარმოება ზუსტად დროში" (Just-in-time manufacturing) იაპონური მენეჯმენტის მეთოდი, რომელიც გლობალურ „მიწოდების ჯაჭვს" იყენებდა, ახლა გზას უთმობს „მიწოდების რეგიონული ჯაჭვების", ენერგორესურსების მარაგების სტრატეგიულად გამოყენებას და რისკების ანალიზს. ამასთან, პანდემიის სწრაფად დასრულების შემთხვევაშიც კი თანამედროვე, გლობალიზებულ მსოფლიოში, ტრანსნაციონალური ენერგოკომპანიები სულ უფრო ხშირად დაექვემდებარებიან მოთხოვნისა და მიწოდების ერთდროულ შემცირებას. კერძოდ, გლობალური ეკონომიკური რეცესია შეამცირებს ენერგორესურსების მოხმარებას და მათ ღირებულებას. გარკვეული პერიოდის შემდეგ მიწოდებაც ახალი მოთხოვნის მიხედვით ადაპტირდება და ფასები დასტა-ბილურდება. ამ პროცესიდან კი, რა თქმა უნდა, მომხმარებელი დარჩება მოგებული. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნული პროცესი საერთო ეკონომიკურ რეცესიას იწვევს. ამავე დროს, მოსალოდნელია ენერგობაზრებზე ინტერესთა კონფლიქტის გამწვავება - პირველ რიგში დაიძაბება ურთიერთობა ტრადიციული და განახლებადი ენერგორესურსების მიმწოდებელთა შორის. ფინანსური პრობლემების გამო, სავარაუდოდ, შეიზღუდება კაპიტალდაბანდებები „ალტერნატიულ" ენერგეტიკაშიც.

ამასთან აღსანიშნავია, რომ გაზის ინდუსტრია კორონავირუსიდან უფრო ნაკლებად დაზარალდა, ვიდრე ნავთობის. ამის მიზეზი ისაა, რომ გაზის მოთხოვნა მშპ-ს მიხედვით უფრო ნაკლებად ელასტურია, ვიდრე ნავთობის. ეს განსხვავება ამ კრიზისის ფონზე განსაკუთრებით თვალში საცემია, როდესაც კარანტინის გამო დაზარალდა სატრანსპორტო დარგი, რომელშიც გაზის ხვედრითი წილი ნაკლებია, ხოლო შინამეურნეობებში გაზის წილი პირიქით, გაიზარდა მოსახლეობის თვითიზოლაციის გამო. ამასთან, გაზის მოხმარება ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვან სხვაობებს იძლევა - ჩინეთში მაგალითად, მოხმარებული გაზის 40%-ზე მეტი მრეწველობაზე, 20% - ელექტროგენერაციაზე, ხოლო - 36%-მდე კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და ტრანსპორტის სფეროებზე მოდის. ევროპაში ელექტროგენერაციაზე მეოთხედამდე გაზი მოიხმარება, ხოლო უდიდესი ნაწილი - თბო- და ელექტროგენერაციაზე. ჩინური სტატისტიკის თანახმად, 2020 წლის ორ თვეში სამრეწველო წარმოების მოცულობა შემცირდა 14%-ით, მათ შორის ქიმიური მრეწველობისა - 21%-ით [COVID19 mostly behind China chemical industry]. სწორედ ამ დარგის მთავარი ნედლეულია ბუნებრივი გაზი. ამიტომ ევროპასთან შედარებით პანდემიამ გაზის ინდუსტრია უფრო მეტად ჩინეთში დააზარალა. საინტერესოა, რომ ფორს-მაჟორის საბაბით თხევადი გაზის „სპოტ" კონტრაქტების დიდი ნაწილის შესრულება შეაჩერეს ჩინურმა, კორეულმა და ინდურმა ენერგოკომპანიებმა [Shuttered buyers send force-majeure notices to energy cos]. საქმე ისაა, რომ თხევადი გაზის „სპოტ" კონტრაქტების შეჩერება ან მიწოდების გადავადება ბევრად ადვილია, ვიდრე მილსა-დენებით ათწლეულებზე გაწერილი მიწოდების ჩაშლა, რომელიც დისკრიმინაციული „აიღე ან გადაიხადე" პრინციპითაა გაფორმებული.

პანდემიით გამოწვეულმა რეგიონალიზაციამ გვერდი არ აუარა საქართველოზე გამავალ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის" და სხვა სატრანსპორტო პროექტებსაც. კერძოდ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა გამოხატეს ერთობლივი ინტერესი ნახჭევანისკენ, სომხეთის ტერიტორიით გამოყოფილი აზერბაიჯანული ავტონომიისკენ, რკინიგზისა და გაზსადენის აშენებისთვის.

2020 წლის 25 თებერვალს ბაქოში მოლაპარაკებები გამართეს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და მისმა თურქმა კოლეგამ რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა. განხილვის მთავარი თემა იყო - შეუძლია თუ არა დაეხმაროს თურქეთს აზერბაიჯანის ავტონომიის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებაში. ცნობილია, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი ამჟამად გაყინულ კონფლიქტში იმყოფებიან მთიან ყარაბაღის სადავო ტერიტორიის გამო და არ აქვთ დიპლომატიური და ეკონომიკური კავშირები. ამიტომ ნახჭევანი იძულებულია გაზი მიიღოს მეზობელი ირანიდან 2004 წელს გაფორმებული ირან-აზერბაიჯანის ე.წ. SWAP კონტრაქტით, რაც ნიშნავს, რომ აზერბაიჯანი ნახჭევანში მიღებული ირანული გაზის სანაცვლოდ იმავე რაოდენობის გაზს აწვდის ჩრდილოეთ ირანის პროვინციებს. ამ 25 წლიანი ხელშეკრულების თანახმად, აზერბაიჯანი ირანს გაზს აწვდის საზღვრისპირა ქ. ასტარას გავლით, ხოლო ირანი ნახჭევანს ქ. ჯულფაში უგზავნის ამ გაზის 85%-ის ეკვივალენტს, დანარჩენს კი ტრანზიტის საფასურად იტოვებს. 2019 წელს ირანში აზერბაიჯანული გაზის გადაზიდვებმა წლიურად 395 მლნ კუბ. მ. შეადგინა. ნახჭევანი

დიდწილად არის დამოკიდებული ირანიდან ასევე მრავალი სხვა საქონლის იმპორტ-ექსპორტზეც, რაც ამ ქვეყანასთან ნახჭევანის ავტონომიის 179 კილომეტრიანი საზღვრის მთელ სიგრძეზე ხორციელდება.

წლების განმავლობაში აზერბაიჯანის ხელისუფლება შეშფოთებული იყო ნახჭევანის ირანზე ურთიერთდამოკიდებულების გამო. 2010 წელს აზერბაიჯანსა და ირანს შორის ურთიერთობები დაიძაბა მრავალ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის იყო ბაქოს მხარდაჭერა თეირანის წინააღმდეგ დაწესებული აშშ-ს სანქციებისადმი და თეირანის მიერ აზერბაიჯანული ოპოზიციური პარტიის დაფინანსება. ამ დაძაბულობის კულმინაცია იყო ირანის მუქარა, რომ შეწყვეტდა ყველანაირ ეკონომიკურ კავშირებს ნახჭევანთან. თავის მხრივ, აზერბაიჯანიც ასევე არაერთხელ შეეცადა გაზის SWAP გარიგების პირობების გადახედვას. დიპლომატიური ურთიერთობა შედარებით გაუმჯო-ბესდა 2013 წელს, ჰასან რუჰანის ირანის პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ. მაგრამ 2018 წლიდან აშშ-ს ხელახლა დაწესებული ანტი-ირანული სანქციების გამო, ირან-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობა კვლავ დაიძაბა.

ამან აზერბაიჯანის მხრივ ნახჭევანსა და თურქეთს შორის ინფრასტრუქტურული კავშირების გაფართოების მოთხოვნა გამოიწვია. ნახჭევანს თურქეთთან 8 კილომეტრიანი საზღვარი აქვს. მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანისა და თურქეთის სახელმწიფოს მეთაურებმა განაცხადეს მემორანდუმის გაფორმების შესახებ ნახჭევანსა და თურქეთის სასაზღვრო ქალაქ ყარსს შორის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე. პროექტი წარმოადგენს ბაქოდან საქართველოს გავლით ყარსში მიმავალი სარკინიგზო მაგისტრალის გაგრძელებას. "ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სომხეთის აგრესიული პოლიტიკის გამო ნახჭევანი ცხოვრობს ბლოკადაში მოქცეული, ანუ ალყაშია მრავალი წლის განმავლობაში, "- განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა. "ნახჭევანისთვის დიდი პრობლემაა მისი პროდუქციის უცხოურ ბაზრებზე გატანა. ყარს-იგდირ-ნახჭევანის რკინიგზის მშენებლობა აღმოფხვრის ამ პრობლემას და ამით გააუმჯობესებს ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის კეთილდღეობას" - თქვა მან. თავის მხრივ, რ.ტ. ერდოღანმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგშია ასევე, ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში ინიცირებული, 160 კილომეტრიანი ტრანსსასაზღვრო გაზსადენის აგება. "ნახჭევანს მეტი ექნება ბუნებრივი აირი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის კიდევ უფრო გაძლიერდება, როგორც ირანის, ასევე თურქეთის მხარდაჭერით,"- განაცხადა პრეს-კონფერენციაზე თურქეთის სახელმწიფოს მეთაურმა [Azerbaijan Turkey return to plan for gas pipeline to Azeri exclave]. გაზსადენის პროექტი პირველად შეაჩერეს 2010 წელს, როდესაც აზერბაიჯანსა და ირანს შორის ურთიერთობები გაუარესდა. ამ წელს აზერბაიჯანის ნავთობის ეროვნულმა კომპანია „სოკარმა" ხელი მოაწერა მემორანდუმს გაზსადენის პროექტის შესახებ თურქეთის სახელმწიფო გაზის კომპანია „ბოტაშთან" (Botas). არც ერთმა მხარემ არ გამოაქვეყნა ამ გაზსადენის მშენებლობის გრაფიკი და არც განაცხადეს, მიღწეულია თუ არა საკრედიტო ხელშეკრულებები მის დასაფინანსებლად.

როგორც ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან ირკვევა, აზერბაიჯანი და თურქეთი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სფეროებში აგრძელებენ გ. ალიევის მიერ ინიცირებულ „ერთი ხალხი, ორი ქვეყანა" პოლიტიკას, რაც გლობალური პანევროპული პროექტებიდან ლოკალურ-რეგიონული ტრანსსასაზღვრო პროექტებისკენ შემობრუნებას მოასწავებს.

## დასკვნა

ამრიგად, ახალი კორონავირუსის „კოვიდ19"-ის პანდემიამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა გეოეკონომიკური პრობლემების კვლევაში. კერძოდ, გეოეკონომიკური გლობალიზაციის ნაცვლად სულ უფრო აქტუალური ხდება მისი საპირისპირო პროცესის - პანდემიით გამოწვეული რეგიონალიზაციის, ეკონომიკური პროცესების ლოკალიზაციის შესწავლა. საქართველოზე გამავალი ევროკავშირის ენერგოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არა თხევადი გაზის (LNG) ტერმინალებსა და ტანკერებს ემყარება, არამედ პირდაპირი, გრძელვადიანი სამეურნეო კონტრაქტების, ანუ გაზსადენებით ვაჭრობის სისტემას იყენებს. ამ სისტემის მხარდამჭერებს პანდემიის პირობებში აქვთ ძლიერი არგუმენტი, რაც ასევე საკმაოდ მარტივია - გაზის მიღებით მიმწოდებლები და მომხმარებლები ათწლეულების განმავლობაში არ ხვდებიან ერთმანეთს, ანუ არ აქვთ ე.წ. სოციალური კონტაქტები. მაშინ როდესაც, LNG გაზის "სპოტ" ვაჭრობის შედარებითი უპირატესობაა, რომ ის საბირჟო ფასწარმოქმნის მექანიზმებს ეყრდნობა და საზღვაო ტანკერებით ხორციელდება. თუმცა, პანდემიის პირობებში ასეთი ვაჭრობის ნეგატიური მხარეა გაზის "მიწოდების ჯაჭვში" პერიოდულ ცვლილებების შეტანა, რაც ხშირ სოციალურ კონტაქტებს მოითხოვს. ეს კი პანდემიის გავრცელების საფრთხეს ზრდის. ამაზე მეტყველებს აზერბაიჯანული გაზის საქართველოსა და თურქეთის გავლით ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ანუ რეგიონული მასშტაბით მიწოდების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც გაფორმდა

2020 წლის 25 თებერვალს აზერბაიჯანისა და თურქეთის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს. ეს მაშინ, როდესაც პანევროპული „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ბოლო რგოლის - „ტრანსადრიატიკული გაზსადენის“ (TAP) მწყობრში ჩადგომა 2020 წლის ბოლომდე გადაიდო.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ზ. გარაყანიძე, ს. პავლიაშვილი. ”საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები, პერსპექტივები”, თბილისი, 2014 „მწიგნობარი“. გვ.21.

2. From Geopolitics to Geo-Economics: Logic of Conflict, Grammar of Commerce. Edward N. Luttwak. The National Interest. No. 20 (Summer 1990), pp. 17-23. Published by: Center for the National Interest. https://www.jstor.org/stable/42894676 Page Count: 7

3. Papava V., Tokmazishvili M. Russian Energy Politics and the EU: How to Change the Paradigm. Caucasian Review of International Affairs, Vol. 4, No. 2, Spring 2010. https://www.researchgate.net/publication/46418125_Russian_Energy_Politics_and_the_EU_How_to_Change_the_Paradigm

4. თ. გოჩიტაშვილი. „ბუნებრივი გაზის მიწოდების ახალი მარშრუტები და თანამედროვე ტექნოლოგიები”. ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო. თბილისი 2004.

5. იქვე. გვ. 41.

6. ზ. გარაყანიძე, ს. პავლიაშვილი. ”საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები, პერსპექტივები”, თბილისი, 2014 „მწიგნობარი“. გვ.21.

7. BP statistical review of world energy: 2002-2016

8. Key world energy statistics, IEA 2016

9. BP statistical review of world energy: 2002-2016

10. Futures Industry Association Annual Survey // www.fia.org. 2014. https://fimag.fia.org/articles/2014-fia-annualglobal-futures-and-options-volume-gains-north-america-and-europe-offset.

11. COVID19 mostly behind China chemical industry. https://cen.acs.org/business/economy/COVID-19-mostly-behind-China-chemical-industry/98/web/2020/03

12.Shuttered buyers send force-majeure notices to energy cos https://economictimes.indiatimes.com/industry/energy/power/shuttered-buyers-send-force-majeure-notices-toenergy-cos/articleshow/74920676.cms?from=mdr

13. Azerbaijan Turkey return to plan for gas pipeline to Azeri exclave. http://online.flipbuilder.com/myab/eafb/mobile/index.html pp.4-5; p.8



***Zurab Garakanidze***
***Solomon Pavliashvili***


## THE IMPACT OF THE PANDEMIC ON THE "EU SOUTHERN GAS CORRIDOR" (SGC) IN GEORGIA


**Summary**

Between 2000 and 2015, world gas consumption increased by almost 45% - from 2405 to 3469 bcm. The share of gas in the world's fuel and energy balance in last years also increased to 22-23%. According to similar oil statistics, its consumption increased by only 10-11% during the same period, indicating a serious competitiveness of the natural gas with oil, and a serious alternative to the other energy resources. Prior to the pandemic, trillions of turnover of the gas market allowed us to talk about approaching the status of a gas market as the so-called global in terms of gas pipelines stretching between macro-regions, as well as maritime shipping routes. The months-long process of spreading Coronavirus "Covid 19" has shown that the full implementation of the "EU Southern Gas Corridor" (SGC) projects in Georgia, in addition to Russia's direct military or "soft" intervention, will be hindered by the Coronavirus pandemic.

Soon, it will be necessary to build gas-liquidation terminals in our Black Sea ports to transport Caspian gas by liquid tankers in the form of liquefied petroleum gas (LNG), which will no longer be physically utilized into the EU's SGC pipes. However, the pandemic of the new Coronavirus may contradict the above-mentioned goals of Georgia and the European Union. Supporters of the pipelines have strong anti-epidemiologists’ argument which is very simple - long-term gas contracts based on a pipeline trade, when LNG gas "Spot" trade comparative advantage is that the gas supplier and the gas consumer for decades do not meet each other, they have no social contacts. However, the "Spot" trade requires frequent contacts with maritime transport gas "supply chain" and periodic changes in that supply chains.

The future transfer of Azerbaijani gas via Georgia and Turkey to the Nakhchivan Autonomous Republic according to signed on February 25, 2020 memorandum of understanding between Azerbaijan and Turkey, evidences this.



***Keywords:*** *Coronavirus, South Gas Corridor, SWAP Contract, LNG Liquid Gas, Spot agreement, Kars-Igdir-Nakhchivan Railway, Baku-Nakhchivan Gas Pipeline.*

***Tamara Gvenetadze***

# PANIC BUYING BEHAVIOR CAUSED BY THE CORONAVIRUS

***Annotation.*** *The motive behind this work is to discuss the latest global panic buying behavior of customers. Factors such as what are the reasons of panic buying? What is the cause of unusual buying behavior? What could be economic effects of panic buying will be highlighted. Panic buying is considered to be a behavior marked by a rapid growth in purchased amounts by customers. The negative outcomes of panic buying is the creation of uncontrollable demand leading to the shortage of supply thus typically causing the price increase.*

***Key words:*** *Panic buying, Coronavirus COVID-19 pandemic, Shortage, Demand, E-commerce.*

The world is currently facing a major health concern. On March 12, 2020 the World Health Organization has officially declared the outbreak of coronavirus disease COVID-19 as pandemic.

The worldwide spread of the disease in rapid terms has caused a noticeable change in consumer behavior worldwide. One such shift is expressed in consumer behavior of panic buying.

Left alone with the fear of the rapidly spreading coronavirus a change in consumer behavior was inevitable and they commenced making purchases of frequently consumed items in large volumes. Consumers were stocking up goods in the fear of not being able to purchase them other time, possible increase in selling price of the product or due to the fact that products would disappear from the market at all.

The nature of consumer buying behavior has been researched by numerous scholars throughout the years. It has been concluded that buying behavior is highly influenced by emotional factors (Leverin & Liljander, 2004; Yu & Bastin, 2010).

The above has opened a new world of opportunities for the companies operating in the fields of healthcare, personal care items, hygienic and cleaning product categories, just to mention a few. While some companies now have products in high demand, others are struggling to find ends and reach some sales.

As for the revenues of companies producing the products that have high demand at current stage, of course it spikes revenues right now but it is unlikely to continue in the long run since the demand is created due to the present pandemic situation that will reach its decline. If customers will notice that, the amount of their stock has reached ridiculous volumes they will simply just stop buying until their stock runs out and only after it make further purchases.

Problems of supply chain management and product allocation in retail stores could urge consumers to panic buying. Retailer decisions about imposing purchasing quotas can help in managing the demand. For example, in Australia consumers had to experience the shortage of consumer products and after this fact limitation was set to the amount of hygienic items that could have been purchased by a customer. Retailers in U.K. have limited sales of hand sanitizer products per customer.

Panic buying can sometimes be considered as sensible because consumers get afraid after noticing empty shelf spaces in stores and get the fear that other customers will be first to obtain the products thus it explains the reason why they want to rush to the stores and stock up the essential items. Studies researching consumer behavior outline the importance of attitudes, perceptions and motivation of consumers (Haq & Abbasi, 2016).

Panic buying caused by the global pandemic is the reason of the worldwide change in consumer behavior leading to increase of demand on canned food, bottled water, medical masks, hand sanitizers and even toilet paper from the side of consumers. Customers are buying adequate products in order to protect themselves and stay healthy in current conditions.

In the period of national lockdowns when consumers are advised to stay home for the sake of human welfare, E-commerce gains more and more importance. Quarantine restrictions are keeping consumers away from the traditional channels and retailers, thus opening new gates for the companies engaded in e-trade.

As the impact of coronavirus continues to unfold it is necessary for the companies to research the market needs of customers, control supply and demand and provide superior value to the customers. Due to the coronavirus, consumers as well as the manufacturers are facing complex challenges. Interest towards behavioral economics stays to be an actual topic. In order to avoid the negative effects of panic buying and protect the customers it is recommended to take into consideration the main aspects of “rational expectancy” doctrine principles (Silagadze A., Atanelishvili T., Silagadze N. (2010).

Time will pass and coronavirus pandemic will be long gone but the world will be left with totally new trends of consumer behavior since customers all around the worls will change their usual buying habits. Thus, companies should be flexible and must manage to adapt to the environmental changes. Since context and pattern in which people live changes, companies should search for new and innovative ways of selling and adding value for consumers.

## References

1. Haq, M., & Abbasi, S. (2016). Indirect impact of hedonic consumption and emotions on impulse purchase behavior: A double mediation model. Journal of Management Sciences, 3(2), 108–122.
https://doi.org/10.20547/jms.2014.1603202 [Crossref], [Google Scholar]

2. Leverin, A., & Liljander, V. (2004). Journal of business & Industrial marketing. Journal of Business & Industrial Marketing Management Decision International Journal of Bank Marketing Iss Journal of Product &amp Brand Management, 19(11), 5–14.
3. Silagadze A., Atanelishvili T., Silagadze N. (2010). Economic Doctrines. Georgian National Academy of Sciences. Tbilisi. (In Georgian).
4. World Health Organization (2020). Global research on coronavirus disease: https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/global-research-on-novel-coronavirus-2019-ncov
5. Yu, C., & Bastin, M. (2010). Hedonic shopping value and impulse buying behavior in transitional economies: A symbiosis in the Mainland China marketplace. Journal of Brand Management, 18(2), 105–114. https://doi.org/10.1057/bm.2010.32 [Crossref], [Google Scholar]

*დავით გოგლიძე*

# კორონავირუსის პანდემიის გავლენა ელექტრონულ ბიზნესზე საქართველოში

***ანოტაცია.*** *სტატიაში აღწერილია ელექტრონული ბიზნესის არსი, ძირითადი მახასიათებლები და განსაზღვრულია მისი მოქმედების არეალი. დახასიათებულია ეროვნული და საერთაშორისო ბიზნესის ის მიმართულებები, რომლებმაც ყველაზე კარგად აითვისეს ელექტრონული ტექნოლოგიები, გაზარდეს მწარმოებლურობა და სამუშაოს ეფექტიანობა.*

*გარდა ამისა, სტატიაში აღწერილია საქართველოს ელექტრონული ბიზნესის გარემო. მოცემულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც შეფასებულია ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავლენა მომხმარებლების მიერ პროდუქციის ელექტრონულად შესყიდვის პროცესსა და ელექტრონულ ბიზნესზე. კვლევის შედეგებიდან გამოტანილი დასკვნების საფუძველზე შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია, კორონავირუსი, ელექტრონული ბიზნესი, ელექტრონული ტექნოლოგიები.*

## შესავალი

ტექნოლოგიების განვითარება უდიდეს გავლენას ახდენს კაცობრიობაზე. მათი საშუალებით ხდება ცხოვრების მარტივად და კომფორტულად წარმართვა და ამავდროულად საზოგადოების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა. აღნიშნულ საკითხში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინტერნეტის განვითარებას. ძველად გარკვეული სამეწარმეო თუ არასამეწარმეო გადაწყვეტილების მიღება მოითხოვდა შედარებით დიდი დროის და ენერგიის დახარჯვას, რაც იმ დროისთვის შესაძლოა ნორმალურიც ყოფილიყო, თუმცა დღეს ინტერნეტის საშუალებით შესაძლოა მრავალი გადაწყვეტილების ბევრად უფრო სწრაფად მიღება, რაც იმას ნიშნავს, რომ გაზრდილია ინფორმაციის გადაადგილების სიჩქარე და მასთან ერთად ადამიანთა ცხოვრების სისწრაფე, რამაც დღის წესრიგში დააყენა ელექტრონული ბიზნესის შექმნის და განვითარების საკითხი.

ბიზნესისთვის მნიშვნელოვან ადგილას დგას მომხმარებლის ინტერესები, რადგან სწორედ მომხმარებელთან ვაჭრობის შედეგად იღებს ბიზნესი ფულს. იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებელთა დიდი ნაწილი ჩართულია ინტერნეტში, საჭირო გახდა ბიზნესის ინტერნეტში შესვლაც. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ორგანიზაციის შიდა გარემოს მუდმივი ოპტიმიზაცია, რომლის კარგი საშუალება ელექტრონული ტექნოლოგიებია. მისი დახმარებით შესაძლებელი ხდება ინფორმაციის გადაცემის დაჩქარება, დაარქივებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გამარტივება, საკანცელარიო მასალების და მისი დასაწყობების ხარჯების შემცირება და, ამავდროულად, თანამშრომელთა ჩართვა ახალი ინტერნეტტექნოლოგიების ათვისებაში, რაც ხსნის გზას ინოვაციებისკენ. ბიზნესების გარდა სახელმწიფოც აქტიურადაა ჩართული საზოგადოებასთან ურთიერთობის ელექტრონული ფორმით წარმართვაში. იგი მუდმივად ცდილობს ისეთი ელექტრონული სერვისების დანერგვას, რამაც უნდა შეამციროს ურთიერთობით გამოწვეული ხარჯები და გაზარდოს გამჭვირვალობის ხარისხი.

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა მოვლენებმა განაპირობა როგორც მომხმარებლების, ისე ბიზნესების მხრიდან ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების დიდი სისწრაფით ათვისება. ამიტომ ამ ეტაპისთვის კორონავირუსი შეიძლება განვიხილოთ როგორც ელექტრონული და ზოგადად ბიზნესგარემოს ცალკეული შემადგენელი ნაწილი. შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს კორონავირუსის გავლენის შეფასება მომხმარებლების მიერ პროდუქციის ელექტრონულად შესყიდვის პროცესზე. ასევე იმის დადგენა, თუ როგორ უპასუხეს

ბიზნესებმა პანდემიის მიზეზით გამოწვეულ შეზღუდვებს და რამდენად კმაყოფილნი იყვნენ დასაქმებულები დისტანციურად მუშაობის მეთოდზე გადასვლით.

* * *

ელექტრონული ბიზნესის იდეა ინტერნეტის პოპულარიზაციამდე არსებობდა. მას ძირითადად საფინანსო სექტორში ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლისთვის იყენებდნენ, რაც ინფორმაციის გადაადგილების დროს და ქაღალდის გამოყენებას მნიშვნელოვნად ამცირებდა. მას შემდეგ რაც გაფართოვდა ინტერნეტი, შეიქმნა მძლავრი სერვერები, საძიებო სისტემები და ვებგვერდები, შესაძლებელი გახდა ბიზნეს ურთიერთობების ახალ საფეხურზე აყვანა (*Daniel, A.,* 1999).

ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის შემდეგ, IBM-მა დაინახა ბიზნესსა და ხალხს შორის ურთიერთობის ახალი შესაძლებლობები, შედეგად მარკეტინგის და ინტერნეტტექნოლოგიის ჯგუფების დაუღალავი შრომით და დიდი ფინანსური და ინტელექტუალური ინვესტიციების დაბანდებით მივიდნენ ტერმინ ელექტრონულ ბიზნესამდე (e-business). IBM-ის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი ლუის გერსტნერი თავის წიგნში „ვინ ამბობს, რომ სპილოებს არ შეუძლიათ ცეკვა?“ წერს, რომ IBM-მა დააბანდა 5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი, რათა მომხმარებლისთვის გაეცნო ელექტრონული ბიზნესის შესაძლებლობები. ეს რა თქმა უნდა საკმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ უკუგება, რომელიც ამ აქტივობამ მოუტანა კომპანიას და მის საბაზრო პოზიციას, იყო განუზომლად დიდი (*Gerstner, L. V.*, 2003).

IBM-ის ხედვით, ბიზნესი მაშინ არის ელექტრონული, როდესაც ტრადიციული საინფორმაციო სისტემის გლობალურ ქსელთან გაერთიანებით ხდება კონკრეტული ბიზნესოპერაციების დაკავშირება მომხმარებლებთან, მომწოდებლებსა და თანამშრომლებთან ინტრანეტის, ექსტრანეტის და ინტერნეტის საშუალებით.

შესაბამისად, ელექტრონული ბიზნესი შესაძლოა შემდეგნაირად განიმარტოს: **ელექტრონული ბიზნესი არის საქმიანობა, სადაც ძირითადი ბიზნესპროცესები წარიმართება ინტერნეტტექნოლოგიის დახმარებით, რათა შესაძლებელი გახდეს ბიზნესის უსაფრთხოდ, მარტივად და მოქნილად წარმართვა** (*Daniel, A.,* 1999).

იმისათვის, რომ კომპანია ინტერნეტში წარმატებულად ფუნქციონირებდეს, საჭიროა გააჩნდეს გამართული ინტრანეტი. ინტრანეტი საშუალებას აძლევს ფირმებს, გააციფრულონ შიდა ბიზნესპროცესები და თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია გახადონ უფრო ეფექტიანი. აღნიშნული განსაკუთრებით ისეთი კომპანიებისთვისაა მომგებიანი, რომლებსაც ფილიალები სხვადასხვა რეგიონებში, ქალაქებში ან ქვეყნებში აქვთ. გამოცდილება, რასაც კომპანია და თითოეული თანამშრომელი ინტრანეტისგან იღებს, არის საკმაოდ მნიშვნელოვანი და ეხმარება მათ ახალი ტექნოლოგიების და პროცესების ათვისებაში. იგი საშუალებას აძლევს დასაქმებულებს, რომ შექმნან ახალი ბიზნესპროცესი, რომელიც გაამარტივებს მათ საქმიანობას. შედეგად, ინტრანეტი შეიძლება ჩავთვალოთ გარემოდ, რომელიც ამზადებს კომპანიას ინტერნეტისთვის.

მნიშვნელოვანი საკითხია ინტრანეტის და ინტერნეტის შერწყმა. ამის კარგი მაგალითია ამერიკული ტრანსნაციონალური კომპანია FedEx (Federal Express), რომელმაც თავის მომხმარებლებს მსოფლიოში პირველმა შესთავაზა ვებსაიტზე ტვირთის მონიტორინგი (თრექინგი). იგი ითვალისწინებდა ტვირთისთვის უნიკალური კოდის მინიჭებას, რომელიც ცნობილი იყო ტვირთის მიმღებისთვის და ამ კოდის საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა ტვირთის გადაადგილებაზე დაკვირვება. აღნიშნული პროექტის წარმატებამ კომპანიას კარგი გამოცდილება მისცა, რამაც დიდი როლი ითამაშა როგორც ამ უკანასკნელი ფუნქციის, ისე სხვა ბიზნესპროცესების დახვეწაში. საბოლოოდ, FedEx-მა ერთ სისტემაში მოაქცია მომხმარებლები, პარტნიორები და თანამშრომლები, სადაც თითოეულ მათგანს შეეძლო მთლიანი ბაზიდან მისთვის გამოყოფილ ნაწილთან დაკავშირება. მაგალითად, თანამშრომელს შეეძლო ენახა კომპანიის მთლიანი ტვირთნაკადები, ხოლო მომხმარებელს - საკუთარი. ერთი დიდი მონაცემთა ბაზა არის წყარო, საიდანაც ეს და სხვა ინფორმაცია ნაწილდება, შედეგად, ეს მეთოდი მნიშვნელოვნად ამცირებს კომპანიის დანახარჯებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ამან ძალიან დიდი კონკურენტული უპირატესობა მიანიჭა FedEx-ს, რადგან როგორც მისმა დამფუძნებელმა ფედერიკ სმიტმა თქვა, „ინფორმაცია ტვირთზე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თვითონ ტვირთი“, ამიტომ სხვა საკურიერო კომპანიებიც იძულებულნი გახდნენ დაენერგათ მსგავსი სისტემა, რათა არ ჩამორჩენოდნენ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებას (*Daniel, A.,* 1999).

## ელექტრონული კომერცია

ელექტრონული კომერცია ელექტრონული ბიზნესის შემადგენელი ნაწილია და არის სავაჭრო პროცესი, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ხორციელდება. გლობალიზაციამ უდიდესი გავლენა

მოახდინა ელექტრონულ კომერციაზე. ინტერნეტის ეპოქაში მომხმარებელს თავისუფლად შეუძლია იყიდოს პროდუქცია საზღვარგარეთის მაღაზიიდან, რადგან ფიზიკური საზღვარი უკვე ნაკლებადაა ხელის შემშლელი ფაქტორი. ბიზნესის მხრიდან ელექტრონული კომერციის პროცესი შესაძლოა ხორციელდებოდეს როგორც სხვა ბიზნესის, ისე მომხმარებლების და მთავრობების მიმართ. ელექტრონულ კომერციაში აქტიურადაა ჩართული საბანკო სექტორი. ისინი ბიზნესებს სთავაზობენ ელექტრონული გადახდის სერვისების ვებ-გვერდზე ინტეგრირებას, რითიც პროდუქციის შეძენის დაფიქსირება შესაძლებელია საგადახდო ბარათების ან ელექტრონული ფულის გამოყენებით, რაც შესყიდვის პროცესს ხდის უფრო მარტივს და მოსახერხებელს.

### ელექტრონული ბანკინგი

ბანკებმა განვითარების საკმაოდ რთული გზა გაიარა და დღევანდელი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ბანკების მიერ შესასრულებელი ფუნქციების და საქმიანობის ზრდამ დღის წესრიგში დააყენა შესაბამისი საინფორმაციო სისტემების შემუშავება და გარკვეული პროცესების ავტომატიზება. შედეგად, საბანკო სფერო ერთ-ერთი წარმატებული სფერო გახდა, სადაც ელექტრონული სისტემების დანერგვა საკმაოდ ეფექტიანი გამოდგა.

1950-იან წლებში ამერიკის ბანკი, რომელიც კალიფორნიის უმსხვილესი ბანკი იყო, დადგა დიდი მოცულობით ინფორმაციის დამუშავების პრობლემის წინაშე. ამ დროს აქტიურად გამოიყენებოდა ჩეკები, ამიტომ ბანკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ჩეკების აღრიცხვასთან დაკავშირებული დროის შემცირება გახდა. ბუღალტერს ერთ საათში საშუალოდ 245, ხოლო თვეში 40 000 ჩეკის აღრიცხვა შეეძლო, ბანკში კი ყოველ თვე დაახლოებით 23 000-ით მეტი ჩეკი შედიოდა, რაც აიძულებდა მათ, შუადღის 2 საათზე დაეხურათ კარი, რათა დღის ბოლომდე მოესწროთ მიმდინარე დღის ჩეკების აღრიცხვა. 1954 წელს ამერიკის ბანკი პირველი ბანკი გახდა, რომელმაც საბანკო პროცესში გამოიყენა კომპიუტერი, რითიც საფუძველი ჩაუყარა დარგის განვითარების სრულიად ახალ ეტაპს. მოგვიანებით მათ წარადგინეს ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული მეთოდი (ERMA - Electronic Recording Method of Accounting), რომელიც წუთში ამუშავებდა 600 ჩეკს, ახდენდა მათ წაკითხვას, სორტირებას, ოვერდრაფტად მონიშვნას, საკომისიოს გამოთვლას, კონკრეტულ ანგარიშთან დაკავშირებას და ასევე დღიური და თვიური ამონაწერის მომზადებას. საბოლოოდ, აღნიშნულმა მეთოდმა ჩეკების აღრიცხვისთვის საჭირო დრო 80%-ით შეამცირა (*Bank of America*, 2020).

1980-იან წლებში კომპიუტერული ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ ბაზარს სრულად ახალი პროდუქტი - მიკროჩიპები შესთავაზა, რამაც უმთავრესი როლი ითამაშა ინფორმაციის დამუშავების სრულყოფაში, რადგან მისი ღირებულება იყო დაბალი, ხოლო მწარმოებლურობა - მაღალი. ამ დროს გაჩნდა სიტყვა „პერსონალური“ და შესაძლებელი გახდა როგორც საბანკო სექტორის, ისე შინამეურნეობების მცირე ზომის, მაგრამ მძლავრი კომპიუტერებით აღჭურვა. ბანკებს საშუალება მიეცათ საბანკო მომსახურების მთავარი ელემენტების მიწოდება დისტანციურად მოეხდინათ. შედეგად, გაჩნდა ინტერნეტ და მობაილ ბანკი და შეიქმნა სხვა ელექტრონული სისტემები, რომლებიც დღესაც აქტიურად ფართოვდება და უზრუნველყოფს ბანკის ყველაზე მოთხოვნადი ფუნქციების შეუფერხებლად წარმართვას.

საქართველოში დღეისთვის ელექტრონული საბანკო სისტემები წარმატებულად განაგრძობს განვითარებას. მომხმარებლების მიერ აქტიურად გამოიყენება დისტანციური საბანკო სერვისები, როგორიცაა ინტერნეტ და მობაილ ბანკი, საგადახდო ბარათები, ასევე დანერგილია დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS – Real-Time Gross Settlement) და, ამავდროულად, 15-ვე ბანკი გაწევრიანებულია S.W.I.F.T. სისტემაში.

დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა საქართველოში 2010 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დანერგა. მისი მონაწილეები არიან საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და კომერციული ბანკები. RTGS სისტემის დანერგვით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საბანკო სექტორს შესთავაზა ეფექტიანი და გამართული საგადახდო სერვისი, რომლის საშუალებით მინიმუმამდეა დაყვანილი საოპერაციო რისკები, მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული სისტემაში გადარიცხვების დამუშავების პროცესი, საოპერაციო საათების განმავლობაში ბანკთაშორისი გადარიცხვები იწარმოება დავალებათა დამუშავების უწყვეტ რეჟიმში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფილია წვდომის უსაფრთხოება და სისტემაში გამავალი ინფორმაციის დაცულობა (*საქართველოს ეროვნული ბანკი*, 2020).

S.W.I.F.T. (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication) სისტემის დახმარებით შესაძლებელი ხდება ფინანსურ ინსტიტუტებს შორის კომუნიკაცია საერთაშორისო დონეზე. განსხვავება

RTGS-სა და SWIFT-ს შორის ისაა, რომ RTGS გამოიყენება ქვეყნის შიგნით არსებულ ფინანსურ ინსტიტუტებს შორის კომუნიკაციისთვის, ხოლო SWIFT - სხვადასხვა ქვეყნებს შორის. ამიტომ, SWIFT-ში ჩართულნი არიან ის ბანკები, რომლებსაც მოპოვებული აქვთ საერთაშორისო ბაზარზე ანგარიშსწორების უფლება.

### ელექტრონული მარკეტინგი

ელექტრონული მარკეტინგი არის მყიდველებთან მომგებიანი ურთიერთობების მართვა ინტერნეტის მეშვეობით. კომპანიათა უმრავლესობა ელექტრონულ მარკეტინგს ძირითადად ოთხი მეთოდით ეწევა, ესენია: ვებსაიტის შექმნა, სოციალურ ქსელებში გვერდების შექმნა, რეკლამების განთავსება და ელფოსტის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მეთოდები უნდა იყო კომპანიის მარკეტინგულ სტრატეგიასთან ურთიერთკავშირში და არა განცალკევებით (*კოტლერი, ფ., არმსტრონგი გ.*, 2015).

ვებსაიტის დახმარებით მომხმარებელს შეუძლია გარკვეული წარმოდგენა შეიქმნას კონკრეტული საქონლის, მომსახურების ან ბრენდის მიმართ, შეიძინოს პროდუქცია, დატოვოს შეფასება ან მოსაზრება. იმ ბიზნესებისთვის, რომელთა ვებ-საიტს ბევრი მომხმარებელი ჰყავს, შეუძლია მყიდველთა ქცევაზე დაკვირვება და შედეგების სამომავლოდ გამოყენება. მაგალითად, კომპანიას ვებსაიტზე ხელოვნური ინტელექტის დანერგვით შეუძლია დააკვირდეს თითოეული ვიზიტორის ქცევას, შეისწავლოს მათ მიერ ნანახი გვერდები, შესყიდვები, პროდუქციაზე დაფიქსირებული შეფასებები ან სოციალურ ქსელში გაზიარებები და ამის მიხედვით შესთავაზოს ის პროდუქცია, რომელიც დიდი ალბათობით მათ ინტერესებს შეესაბამება. ამ მხრივ საკმაოდ წარმატებულად მუშაობს Google, რომელიც თავის მომხმარებლებს ყველა შესაძლო მხრიდან სწავლობს, ეს იქნება YouTube, Gmail, Google Search, ანდროიდის სისტემის მობილური ტელეფონი, Play Store, Google Maps და სხვა. იგი ცდილობს მუდმივად დააკვირდეს კონკრეტული მომხმარებლის მიერ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს, მოაქციოს ეს ინფორმაცია ერთიან სისტემაში და ოპერატიულად შესთავაზოს მასზე მორგებული კონტენტი. მაგალითად, თუ თქვენ Google-ში ხშირად მოძებნით ინფორმაციას ტანსაცმელზე, ნახავთ ვიდეოებს ან ინტერნეტში ჩართული მობილურით შეხვალთ ტანსაცმლის მაღაზიებში, ნახავთ, რომ YouTube-ს რეკომენდაციებში გაჩნდება ვიდეოები ტანსაცმლის შესახებ, ვებსაიტებზე, სადაც Google-ს რეკლამების სისტემაა ჩაშენებული, დაგხვდებათ რეკლამები ტანსაცმლის შესახებ, Google Maps შემოგთავაზებთ ადგილებს, სადაც შეგეძლებათ ტანსაცმლის ყიდვა. ასეთ მიდგომას Google-ს გარდა იყენებს Facebook, Twitter, Spotify, Netflix. ზოგადად აუცილებელია, რომ ვებსაიტი იყოს დინამიური და არა სტატიკური, რადგან ის, ვინც დროზე მოახდენს ვებ-საიტზე არსებული ინფორმაციის განახლებას და დროულად შეუსაბამებს პროდუქციას მომხმარებლების მოთხოვნებს, ექნება ინტერნეტსივრცეში კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მაღალი შანსი.

აღნიშნული საკითხი კარგად აქვს აღწერილი დანიელ ამორს. იგი თავის წიგნში _ „ელექტრონული ბიზნესის (რ)ევოლუცია“ _ გვთავაზობს 5P მოდელს, რომელიც მოიცავს: პროდუქტი (Product), სტიმულირება (Promotion), პრეზენტაცია (Presentation), პროცესები (Processes) და პერსონალიზაცია (Personalization). კომპანიამ უნდა შეარჩიოს სამიზნე მომხმარებელი, შეაფასოს მათი საჭიროებები და შეიმუშაოს პროდუქტი, რომელსაც განათავსებს ვებსაიტზე. რეკლამის საშუალებით უნდა შეეცადოს ბრენდის ან პროდუქციის ცნობადობის ამაღლებას, რათა მოიზიდოს მეტი მომხმარებელი. პრეზენტაცია გულისხმობს იმას, თუ როგორ აჩვენებ მომხმარებელს პროდუქციას ვებ-საიტის დახმარებით, ამიტომ საჭიროა თითოეული პროდუქციისთვის შეირჩეს რა სახით იქნება წარმოდგენილი ვებგვერდზე. ვებსაიტზე ინტეგრირებული უნდა იყოს მომხმარებელთან კომუნიკაციის საშუალებები, რათა მყისიერად მოხდეს მათ კითხვებზე პასუხის გაცემა და პრობლემების მოგვარება. ამავდროულად, გამართული შესყიდვის მიღების და ლოგისტიკის პროცესი დიდ გავლენას ახდენს მყიდველთა კმაყოფილებაზე. ვებსაიტი თითოეულ კლიენტზე ინდივიდუალურად უნდა იყოს მორგებული, რაც მიიღწევა მყიდველთა ქცევაზე დაკვირვებით, ანალიზით და ინდივიდუალური შეთავაზებების ავტომატიზაციით (*Daniel, A.*, 1999).

### ელექტრონული ლოგისტიკა

ლოგისტიკის დარგმა კარგად აითვისა ელექტრონული ტექნოლოგიების შესაძლებლობები ლოგისტიკური პროცესების განხორციელებაში. როდესაც კომპიუტერული პროგრამების მწარმოებელი კომპანია ყიდის თავის ნაწარმს, ამ შემთხვევაში ლოგისტიკური პროცესი შედარებით მარტივია. უმრავლეს შემთხვევაში ფიზიკური ასლის გაგზავნის ნაცვლად ხდება საქონლის ინტერნეტით მიწოდება,

რასაც მიწოდების ხარჯები თითქმის ნულამდე დაჰყავს. მიწოდებული საქონლის ზომის გათვალისწინებით ერთადერთი ხარჯი შესაძლოა მომხმარებლის დრო გახდეს, რადგან სერვისის ინტერნეტით ჩამოტვირთვას, ინტერნეტის სიჩქარიდან გამომდინარე, შესაძლოა რამდენიმე წუთი, საათი ან დღე დასჭირდეს. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში შესაძლოა ისეთ კომპანიასთან გვქონდეს საქმე, რომელსაც აქვს საკუთარი სერვერები, სადაც ხდება აღნიშნული პროგრამის შენახვა და ყიდვის ან ლიცენზიის გააქტიურების პროცესების დამუშავება, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან.

სრულიად სხვა სიტუაციაა ელექტრონული ტექნოლოგიებით მატერიალური ნაკადების მართვასთან დაკავშირებული ლოგისტიკური ოპერაციების წარმართვაში. ამ დროს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ინფორმაციულ ნაკადს. იგი გულისხმობს ლოგისტიკურ სისტემასა და გარემოს შორის შეტყობინებათა ნაკადს, რომელიც საჭიროა ლოგისტიკური ოპერაციების მართვისა და კონტროლისთვის. საწარმოების მასშტაბების ზრდასთან ერთად იზრდება ნედლეულის, დაუსრულებელი და მზა პროდუქციის ნაკადების მოცულობა და გადაადგილების სიჩქარე. იმისათვის, რომ საწარმომ ეფექტიანად იმუშაოს, დროის ნებისმიერ მომენტში საჭიროა მატერიალური ნაკადების მოძრაობის შესახებ დეტალური ინფორმაციის არსებობა, ხოლო როდესაც დაუმუშავებელი ინფორმაცია ძალიან დიდი და სწრაფად ცვალებადია, საკმაოდ რთულია ადამიანების მიერ მისი მართვა, რომლის კარგი მაგალითი ზემოთ ხსენებული ამერიკის ბანკია. ამიტომ, ამ შემთხვევაში ყველაზე ეფექტიანი გამოსავალი ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვაა, სადაც ყველაზე ხშირად კომპიუტერი და ინტერნეტი გამოიყენება.

**კვლევის მიზანი**

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა 26 თებერვალს დაფიქსირდა, ხოლო 21 მარტს მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელსაც მოჰყვა სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობაზე რიგი შეზღუდვები. ამ გარემოებამ განაპირობა როგორც მომხმარებლების, ისე ბიზნესების მხრიდან ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების დიდი სისწრაფით ათვისება. ამიტომ ამ ეტაპისთვის კორონავირუსი შეიძლება განვიხილოთ როგორც ელექტრონული და, ზოგადად, ბიზნესგარემოს ცალკეული შემადგენელი ნაწილი.

კვლევის მიზანია კორონავირუსის გავლენის შეფასება მომხმარებლების მიერ პროდუქციის ელექტრონულად შესყიდვის პროცესზე. ასევე იმის დადგენა, თუ როგორ უპასუხა ბიზნესებმა პანდემიის მიზეზით გამოწვეულ შეზღუდვებს და რამდენად კმაყოფილნი იყვნენ დასაქმებულები დისტანციურად მუშაობის მეთოდზე გადასვლით.

**კვლევის მეთოდოლოგია**

მონაცემები შეგროვილია 13 კითხვისგან შემდგარი ანონიმური, ელექტრონული კითხვარის დახმარებით, სადაც გამოყენებული იყო ღია კითხვები, დახურული კითხვები და 5 ბალიანი ლიკერტის სკალა. კითხვარი დაყოფილი იყო ოთხ ნაწილად:

I. დემოგრაფიული ცვლადების დადგენა;
II. კორონავირუსის გავლენა მომხმარებლის მიერ ინტერნეტშესყიდვების განხორციელებაზე;
III. კორონავირუსის გავლენა ბიზნესის მიერ ინტერნეტსაშუალებების ათვისებაზე;
IV. ადამიანთა ქცევის შეფასება პანდემიის დასრულების შემდგომ.

პირველი ნაწილში არსებული კითხვები დაკავშირებული იყო რესპონდენტის სქესსა და ასაკთან. კერძოდ, ასაკი დაყოფილი იყო ხუთ ნაწილად, რადგან თითოეულ დიაპაზონში ადამიანის ქცევა, ინტერესები და ხარჯვის მოცულობა სხვებისგან განსხვავებულია. ასაკის მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ პირის სოციალური სტატუსიც, სადაც:

- 0 – 17: არასრულწლოვანი (სკოლის მოსწავლე);
- 18 – 24: სტუდენტი;
- 25 – 43: ზრდასრული;
- 44 – 62: შუა ხნის;
- 63+ მოხუცი (პენსიონერი)

კითხვარის მეორე ნაწილში არსებული კითხვები დაკავშირებული იყო კორონავირუსის პერიოდში მომხმარებელთა ქცევის ცვლილების გაზომვასთან. კერძოდ:

- მოუხშირეს თუ არა პროდუქციის შესყიდვას ინტერნეტით;

- რა სახის პროდუქციას იძენდნენ უმეტესად;
- რამდენად გაუმარტივდათ ონლაინ შესყიდვის პროცესი;
- როგორი იყო მათი კმაყოფილების დონე აღნიშნული სერვისის გამოყენებიდან;
- რა პრობლემებს წააწყდნენ ინტერნეტით განხორციელებული შესყიდვის პროცესში.

სიმარტივესა და კმაყოფილებასთან დაკავშირებულ კითხვებში გამოყენებული იყო ლიკერტის ხუთბალიანი სკალა, რათა ზუსტად და მარტივად შესძლებოდა რესპონდენტს პოზიციის დაფიქსირება.

კითხვარის მესამე ნაწილში არსებული კითხვები აფასებდა ბიზნესებისა და მათი თანამშრომლების პასუხს პანდემიაზე (ნაწილობრივ მომხმარებლისასაც), კერძოდ:

- პიროვნებამ დაკარგა სამსახური (ან შეაჩერა საქმიანობა), თუ გააგრძელა მუშაობა დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;
- დისტანციური მუშაობით გამოწვეული კმაყოფილების შეფასება ლიკერტის სკალის დახმარებით;
- კორონავირუსის ზოგადი გავლენის შეფასება ბიზნესის მიერ გაყიდული პროდუქციის რიცხვზე;
- იმ პრობლემების აღწერა, რაც გამოიწვია დისტანციურად მუშაობამ.

ხოლო ბოლოს, მეოთხე ნაწილში მოცემული კითხვები აფასებდა რესპონდენტის მიერ ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენებისადმი სამომავლო ხედვებს და აღნიშნული თემის ირგვლივ თავისუფალი აზრის დაფიქსირების საშუალებას იძლეოდა.

**კვლევის შედეგები**

სქესისა და ასაკის მიხედვით რესპონდენტთა განაწილება შემდეგნაირად შეგვიძლია გამოვსახოთ:

*ცხრილი 1*

| | **პროცენტი (%)** |
|---|---|
| **სქესი** | |
| ქალი | 55.9 |
| კაცი | 44.1 |
| **ასაკი** | |
| 0 – 17 | 0 |
| 18 - 24 | 52.9 |
| 25 - 43 | 17.6 |
| 44 - 62 | 26.5 |
| 63+ | 3 |

კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 52.9%-მა მოუხშირა პროდუქციის ინტერნეტით შესყიდვას პანდემიის პერიოდში. ხოლო მთლიანობაში ყველაზე მოთხოვნადი საქონელი იყო საკვები, ტექნიკა და განათლება.

ზოგადად, საკვები მიეკუთვნება პირველადი მოხმარების საგნების კატეგორიას, ამიტომ კარანტინის პირობებში მასზე დიდი რაოდენობით ონლაინ შეკვეთების დაფიქსირება მოსალოდნელიც იყო, რადგან ადამიანები ერიდებოდნენ სუპერმარკეტებში სიარულს და, გარდა ამისა, მათ გააჩნდათ მოთხოვნა განსაკუთრებულ კულინარიულ საკვებზეც, რისი მიღებაც მხოლოდ ონლაინ შეკვეთით იყო შესაძლებელი. ამავდროულად, მრავალმა კვების ობიექტმა დანერგა ადგილზე მიტანის სერვისი, რათა მოეზიდათ არსებული და პოტენციური კლიენტები.

მოთხოვნადი კატეგორია გამოდგა ტექნიკა და განათლება. გამოკითხული მომხმარებლების ნაწილს ელექტროტექნიკა უცხოური ბაზარზე ჰქონდა შეძენილი, ამიტომ ფრენების აკრძალვამ და შუამავალი კომპანიების უფუნქციობამ მნიშვნელოვნად დააყოვნა საქონლის მიღების დრო. ქართულ ბაზარზე არსებულმა ტექნიკის მაღაზიათა უმრავლესობამ დროულად შეძლო ელექტრონული კომერციის მოწესრიგება, შესაბამისად, დარგს სხვებთან შედარებით ნაკლები ზიანი მიადგა. ამას დამატებული ისიც, რომ საზოგადოების დისტანციურ ურთიერთობაზე გადასვლას, სავარაუდოდ, გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა მოსახლეობის მიერ შესაბამისი ელექტრონული საშუალებების შეძენაზე. სახლში დიდი დროის გატარებამ მრავალ ადამიანს უბიძგა წიგნების აქტიურად კითხვისკენ, ამავდროულად, გაიმართა თბილისის წიგნის ვირტუალური ფესტივალი და გაიზარდა ონლაინ ტრენინგების მიწოდების რიცხვი. შედეგად, ამ მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეამცირა საგანმანათლებლო დარგზე მოსული შოკის ხარისხი.

კვლევაში შესწავლილ იქნა ორი ზოგადი მაჩვენებელი, რომელიც აღწერს როგორც კორონავირუსის პერიოდამდე, ისე პერიოდში განხორციელებული ონლაინ შესყიდვის პროცესის სიმარტივეს და კმაყოფილებას. ეს მაჩვენებლები დიაგრამის სახით შემდეგნაირად შეგვიძლია გამოვსახოთ (1 - ყველაზე ცუდი, 5 - ყველაზე კარგი):







**დიაგრამა 1**

როგორც დიაგრამიდან ჩანს, მომხმარებელს უფრო მეტად უმარტივდება საქონლისა და მომსახურების შეძენა ინტერნეტით, ვიდრე კმაყოფილდებიან მიღებული პროდუქციით. კერძოდ, სიმარტივეში საშუალო ქულაა 4, ხოლო კმაყოფილებაში - 3.8.

რესპონდენტთა ნაწილმა აღწერა, თუ რა პრობლემებს გადააწყდნენ შესყიდვის პროცესში და საქონლის მიღებისას.

- **ვებგვერდის დატვირთვა ან ზედმეტად ბევრი ან მცირე ინფორმაციით.** ვებსაიტების ნაწილი დატვირთულია დიდი რაოდენობით რეკლამებით, რაც აბნევს მყიდველს. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორ ვებგვერდის მფლობელის, ისე მომხმარებლის მიერ. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებლის მოწყობილობაში მოქმედებს ვირუსული პროგრამა, ყველა ვებსაიტზე ჩნდება არასასურველი რეკლამები არასასურველ ადგილას და მყიდველი ვერ ხვდება რომელი ღილაკი რა ფუნქციას ასრულებს.
- **პროდუქციის ხარისხი.** რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი პროდუქციის ხარისხის განუსაზღვრელობას მთავარ პრობლემად აფასებს. ხშირ შემთხვევაში მომხმარებელს ხელი მხოლოდ პროდუქციის ძირითად მახასიათებლებზე მიუწვდება, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვან არჩევანსა და უკმაყოფილებასთან მივყავართ. ამიტომ მნიშვნელოვანია, პროდუქციის პარამეტრებთან ერთად, შეძლებისდაგვარად განთავსდეს საინფორმაციო ფოტო და ვიდეომასალა და სხვა მომხმარებელთა შეფასებები.
- **შუამავლები.** მომხმარებელთა დიდი ნაწილი აქტიურად მოიხმარს ისეთ ონლაინმაღაზიებს როგორიცაა Amazon, Ebay, B&H და სხვა. ამგვარი ვებსაიტებიდან პროდუქციის გამოწერა შუამავლების დახმარებითაა შესაძლებელი, რაც ზოგიერთისთვის დისკომფორტს შემქმნელია. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პანდემიის პერიოდში შეზღუდული იყო ფრენები, რამაც საგრძნობლად გაზარდა საქონლის გადაადგილების დრო.

საკმაოდ საინტერესო სიტუაციაა ასეთ რთულ ვითარებაში ბიზნესის გაელექტრონულების პროცესში. გამოკითხული დასაქმებულებიდან 26.3%-მა დაკარგა სამსახური ან შეაჩერა კომპანიის მუშაობა შეზღუდვების გამო, ხოლო 73.7%-მა გააგრძელა საქმიანობა დისტანციური მეთოდის გამოყენებით. ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, რადგან მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბიზნესებმა სწრაფად გასცეს პასუხი გარემოში მიმდინარე მოვლენებს, თუმცა ცალკე საკითხია რამდენად კმაყოფილები იყვნენ დასაქმებულები ან რამდენად მზად იყო ცალკეული ბიზნესი დისტანციურ მეთოდზე გადასასვლელად.




**დიაგრამა 2**

როგორც გამოკითხვიდან დადგინდა, მათ, ვინც კმაყოფილებაში დაბალი შეფასება დააფიქსირეს (3 და ნაკლები) და ასევე აღწერეს დისტანციური მუშაობით გამოწვეული პრობლემები, ყველა მათგანი იდგა თანამშრომლებსა და მომხმარებლებთან კომუნიკაციის პრობლემის წინაშე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული რესპონდენტების დამსაქმებლებმა ვერ შეიმუშავეს ეფექტიანი საკომუნიკაციო სისტემა, რითიც შემცირდა მათი საქმიანობის ეფექტიანობა, ანუ ვერ მოხერხდა მათ ხელთ არსებული და პოტენციური ინტერნეტტექნოლოგიების სათანადოდ ათვისება. ამავდროულად, გარკვეული საქმიანობა მოითხოვს კლიენტთან პირისპირ ურთიერთობას, რაც დისტანციურად საკმაოდ რთული ან შეუძლებელია. ამის კარგი მაგალითია დისტანციური სწავლებები. გამოკითხვიდან გამოჩნდა, რომ პედაგოგების ნაწილი უპირატესობას ანიჭებს ჩვეულ რეჟიმში მუშაობას, რადგან პროფესორ-მასწავლებელი მოსწავლეებზე ფიზიკურად დაკვირვებით, უკეთესად აფასებს სწავლის ხარისხს, მოსწავლეთა პრობლემებს და საჭიროებებს.

კითხვარის ბოლო ნაწილით საკმაოდ დამაიმედებელი პერსპექტივა გამოჩნდა. გამოკითხულთა 41.2%-მა დააფიქსირა, რომ კორონავირუსის პანდემიის შემდეგ მოუხშირებენ ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენებას როგორც სამომხმარებლო შესყიდვისას, ისე კომპანიის საქმიანობაში. მათ, ვინც აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა (29.4%), უმეტესობას ონლაინ შესყიდვისას სურათისგან ბევრად განსხვავებული პროდუქცია ან საერთოდ არაფერი მიუღია, რამაც გამოწვია მათი მხრიდან ელექტრონული ბიზნესურთიერთობებისადმი ნდობის დაკარგვა. ხოლო დანარჩენი 29.4% არ არის დარწმუნებული მოუხშირებს თუ არა ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებას პანდემიის დასრულების შემდგომ.

## დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

1. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა საზოგადოების ნაწილი იძულებული გახადა აქტიურად ესარგებლა ონლაინ შესყიდვებით და ელექტრონული გადახდის სისტემებით, რამაც დააჩქარა როგორც ბიზნესის, ისე მომხმარებლის მიერ საქმიან ურთიერთობებში ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება და მოამზადა ნიადაგი ინოვაციური სერვისების შეთავაზებისთვის.
2. ელექტრონული შესყიდვის პროცესი მომხმარებლებში სიმარტივით გამოირჩევა, თუმცა მაღალ შეფასებებს ვერ იმსახურებს ონლაინ შესყიდვის განხორციელებით მიღებული კმაყოფილება, სადაც უმთავრესი პრობლემა ხარისხის შეუსაბამობა ან პროდუქტზე საკმარისი ინფორმაციის არარსებობაა.
3. პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა საზოგადოების დიდი ნაწილი აიძულა, გადასულიყვნენ დისტანციურ მუშაობაზე, სადაც გარკვეული ნაწილი ამგვარი ცვლილებებისთვის მზად არ იყო და, შედეგად, დადგა კომუნიკაციის პრობლემა, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია თანამშრომელთა კმაყოფილებასა და კომპანიათა საქმიანობის ეფექტიანობაზე.
4. აგრეთვე აღსანიშნავია ის, რომ არსებობს ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენების და განვითარების ზრდის საკმაოდ კარგი პერსპექტივა. ამიტომ, სავარაუდოა, ბაზარზე დაიწყოს ელექტრონული კომერციის აქტიურად დანერგვის პროცესი, საზოგადოების მიერ უნაღდო ანგარიშსწორების მეთოდზე აქტიურად გადასვლა, დისტანციური კომუნიკაციის მეთოდების სრულყოფილად ათვისება და თანამშრომელთა ნაწილის ძირითადად სახლიდან მუშაობაზე გადართვა.

**რეკომენდაციები:**

1. საჭიროა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების მიმართ, რომლისთვისაც კორონავირუსის პანდემიამ ნიადაგი მეტ-ნაკლებად მოამზადა.
2. მნიშვნელოვანია მოსახლეობის და მცირე ბიზნესების აქტიური მხარდაჭერა სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებისგან. კარგი იქნება მარტივი ინტერნეტ პორტალის მომზადება, სადაც განთავსებული იქნება ვებსაიტის შექმნისა და მართვისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია. ამავდროულად, დომენის შესყიდვის ფუნქცია და მარტივი ინტერფეისი, რომელიც საშუალებას მისცემს მეწარმეს, დაამზადოს ვებსაიტი უფასოდ. ვებსაიტის დამზადების სიმარტივისთვის პორტალზე ჩატვირთული უნდა იყოს წინასწარ გამზადებული დიზაინი, რომლის არჩევის შემდეგ მომხმარებელს შეეძლება პროდუქტის შესახებ ფოტო, ვიდეო და ტექსტური მასალის ატვირთვა.
3. ბიზნესმა უნდა განსაზღვროს, ვინ დააბრუნონ სამუშაო ადგილზე და ვინ დატოვონ მთლიანად ან ნაწილობრივ დისტანციურად მუშაობის მეთოდზე. მნიშვნელოვანია რისკჯგუფში შემავალი მოსახლეობის დისტანციურ მუშაობაზე დატოვება, რათა მოხდეს ზედმეტი სტრესის და უკმაყოფილების თავიდან აცილება. ასევე, მათ, ვისაც არ სჭირდება თანამშრომლებთან აქტიური კომუნიკაცია ან

უპრობლემოდ შეუძლია საქმის დისტანციურად წარმართვა, სახლიდან მუშაობა შესაძლოა ზევრად ეფექტიანი იყოს, რაც ამავდროულად ამცირებს ორგანიზაციის ისეთ ხარჯებს, როგორიცაა ოფისის ფართის გადასახდელი, კომუნალურები, ინვენტარი და სხვა.

4. რესტორნებმა, კაფეებმა და ბარებმა, ასევე ტანსაცმლის, სურსათის, ტექნიკის, საკანცელარიო და სხვა სახის მაღაზიებმა უნდა დაიწყონ ადგილზე მიტანის სერვისის დანერგვა, რადგან ჩვენ არ ვიცით როდის შემსუბუქდება სოციალური დისტანციის აუცილებლობა. თუმცა, მხოლოდ ადგილზე მიტანის სერვისის შეთავაზება არ არის საკმარისი. საჭიროა, რომ კლიენტს სხვადასხვა მარკეტინგული არხების საშუალებით მიეწოდოს ინფორმაცია პროდუქციის ხარისხისა და მახასიათებლების შესახებ, რათა გაუჩნდეთ ბრედისადმი სანდოობის განცდა;

5. თანამშრომელთა დისტანციურად მუშაობაზე გადასვლამდე ფირმებმა უნდა განსაზღვრონ ვირტუალური კომუნიკაციის მეთოდი და ნდობის ხარისხი. კომუნიკაციაში იგულისხმება ის ტექნოლოგიები, რომლითაც თანამშრომლები ურთიერთობენ ერთმანეთთან და მომხმარებელთან. ეს მოიცავს ისეთ პროგრამებს, როგორიცაა Google meet, Skype, Facebook, Zoom, Slack, Google Drive, DropBox და სხვა. ნდობა, თავის მხრივ, ვირტუალური კომუნიკაციის შემადგენელი უმთავრესი ნაწილია. მარტივად რომ ვთქვათ, დისტანციური მუშაობა მთლიანად ნდობაზეა აგებული, ამიტომ მნიშვნელოვანია ლიდერის მხრიდან თანამშრომლებისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც არ იჭრება მათ პირად ცხოვრებაში და არ ამყოფებთ მათ სტრესის ქვეშ, მაგრამ ამყარებს მათზე გარკვეულ მოლოდინებს და ასტიმულირებს სამუშაოს სათანადოდ შესასრულებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. თურქია ეკატერინე. 2008. *ელექტრონული ბიზნესისა და ელექტრონული კომერციის სისტემების მოდელირება და დაპროექტება.* თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
2. კოტლერი ფილიპ, და გარი არმსტრონგი. 2015. *მარკეტინგის საფუძვლები.* თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
3. მაღრაძე მურთაზ. 2016. *საბანკო საინფორმაციო სისტემები.* თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. სურმანიძე ზეინაბ. 2018. *ინტერნეტ ეკონომიკის როლი საქართველოს სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში.* ბათუმი. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
5. შარაშიძე შორენა. 2019. *ელექტრონული ბიზნესის როლი საერთაშორისო ბიზნესში.* ხიჭაური: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.
6. ჯარიაშვილი ნინო, თეონა გაგნიძე და ლია ლაცაბიძე. 2019. *ციფრული კომუნიკაციების მნიშვნელობა სტრატეგიული კომუნიკაციის კონტექსტში.* თბილისი. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი.
7. Daniel, Amor. 1999. *The e-business (R)evolution: living and working in an interconnected world.* Upper Saddle River, NJ: Prentice-Hall PTR.
8. Deshmukh, Sandip. 2019. "Impact of E-Business on Business Association." *International Journal of Engineering and Management Research.*
9. Gerstner, Louis Vincent. 2003. *Who Says Elephants Can't Dance?: inside IBM's historic turnaround.* New York: HarperCollins Publishers.
10. Goor, Ad R. Van, M.J. Ploos van Amstel, and Walther Ploos van Amstel. 2003. *European Distribution and Supply Chain Logistics.* Routledge.
11. Hasanat, Mohammad Waliul, Ashikul Hoque, Farzana Afrin, Mashrekha Anwar, Abu Bakar Abdul Hamid, and Tat Hon Huam. 2020. "The Impact of Coronavirus (Covid-19) on E-Business in Malaysia." *Asian Journal of Multidisciplinary Studies* Vol. 3, No. 1.
12. Hassen, Yasin Ali, and Ann Svensson. 2014. "The Role of E-commerce for the Growth of Small Enterprises in Ethiopia." *Electronic International Journal of Information Systems in Developing Countries* Vol. 65.
13. Jackson, Paul, Lisa Harris, and Peter Eckersley. 2003. *E-business fundamentals.* London: Routledge.
14. Katz, Richard, and Diana Oblinger. 2000. *The "E" is for everything: e-commerce, e-business, and e-learning in higher education.* San Francisco: Jossey-Bass.
15. Pereira, Sanchit Michael, Prateek Nima, and Akshay Mungekar. 2018. "Strategic ICT and E-Business." *Researchgate.*
16. 2018. *ელექტრონული კომერცია 101: ბიზნესის მოდელები.* 7 ნოემბერი. წვდომილი 2020 წლის ივნისი. https://fintech.ge/news/details?id=20.
17. კომუნიკაციების კომისია. 2014 - 2020. *ინფორმაციულ-ანალიტიკური პორტალი.* წვდომილი 2020 წლის ივნისი. https://analytics.comcom.ge/.

18. საქართველოს ეროვნული ბანკი. თ.გ. *საგადახდო სისტემები.* Accessed ივნისი 2020. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=202.
19. სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო. 2013. „ციფრული საქართველო 2014 - 2018." *მონაცემთა გაცვლის სააგენტო.* 18 დეკემბერი. წვდომილი 2020 წლის 12 აპრილი. https://dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy.pdf.
20. IBM. n.d. *e-business.* Accessed აპრილი 16, 2020. https://www.ibm.com/ibm/history/ibm100/us/en/icons/ebusiness/.
21. Bank of America. 2020. *Bank of America revolutionizes banking industry.* Accessed მაისი 2020. https://about.bankofamerica.com/en-us/our-story/bank-of-america-revolutionizes-industry.html#fbid=6mXslWD7RMi.
22. Rahman, Saimunur. 2014. *Introduction to E-Commerce Technology in Business.* Accessed ივნისი 2020. https://www.grin.com/document/280494.

***David Goglidze***

**THE IMPACT OF CORONAVIRUS PANDEMIC ON ELECTRONIC BUSINESS IN GEORGIA**

**Summary**

Evolution of technologies has had a huge impact on mankind. They make life easier, more comfortable and at the same time, increase the efficiency of human activities. In this matter, evolution of Internet holds one of the most important places. A while ago, making entrepreneurial and non-entrepreneurial decisions required spending too much time and energy, which was normal at that time. Yet, today it is possible to make decisions way faster, which means that speed of information transfer and speed of our lives are increased. All this made importance of creating and developing E-business in worldwide.

The article describes meaning and key features of E-business and defines its area of action. Characterizes national and international fields, that mastered electronic technologies and increased productivity and efficiency. In addition to this, it describes E-business environment in Georgia.

The article also contains research, where we determined the impact of coronavirus (Covid-19) on consumer and business behavior. We drew conclusions from it and developed appropriate recommendations.

***Keywords:*** *Pandemic, Coronavirus (Covid-19), Electronic Business, Electronic Technologies.*

***ნინო გომელაური***

**საქართველო მესამე ეპიდემიოლოგიური გადასვლის პერიოდში**

***ანოტაცია.*** *სტატიაში გადმოცემულია ინფექციური დაავადებების ისტორია და საქართველოში პანდემიების შედეგების მაჩვენებლები. მესამე ეპიდემიოლოგიური გადასვლის თეორიის მიხედვით განხილულია ცვლილებები მოკვდაობისა და ავადობის მაჩვენებლებში.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია, ეპიდემიოლოგიური გადასვლა, მოკვდაობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა.*

**შესავალი**

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) 2020 წლის 11 მარტს ახალი კორონა ვირუსი (COVID-19) პანდემიად გამოაცხადა. ვირუსით გამოწვეული საბოლოო შედეგების პროგნოზი ჯერ კიდევ შეუძლებელია. სხვა ქვეყნებთან ერთად ამ გლობალური გამოწვევის წინაშე დგას საქართველოც. ჩვენი პლანეტის მოსახლეობას მთელ რიგ ეპიდემიასა თუ პანდემიასთან მოუწია გამკლავება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეპიდემიები იყო გარკვეული რეაქცია დემოგრაფიული წონასწორობის დარღვევაზე. შავი ჭირი, ყვავილი, ტიფი და სხვა დაავადებები მძვინვარებდა ევროპის მოსახლეობაში, იპყრობდა დიდ ტერიტორიებს და მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა. შავი ჭირის ეპიდემიის შესახებ ინფორმაცია დღემდე მოღწეულ წყაროთა შორის უძველეს შუმერულ ლიტერატურულ ნაწარმოებში, გილგამეშის ეპოსშია მოცემული (ჩვ.წაღ-მდე XXII ს.). ისტორიკოსი ფუკიდიდი წერდა ეპიდემიებზე ძველ საბერძნეთში ჩვ. წელ.აღ. II საუკუნეში. VI საუკუნეში იუსტიანეს დროს ევროპაში გავრცელდა შავი ჭირის ეპიდემია. VII საუკუნეში შავი ჭირის ეპიდემია აღინიშნა იტალიაში, ინგლისსა და ირლანდიაში, მაგ., ირლანდიაში გადარჩა მთელი მოსახლეობის მხოლოდ ერთი მესამედი. ევროპისათვის ყველაზე მძიმე იყო შავი ჭირის ეპიდემია 1348-1353 წწ., რომელიც ცნობილია „შავი სიკვდილისა" და „დიდი პესტიციმიის" სახელით. შუა საუკუნეების ევროპაში გავრცელებული იყო ყვავილი და კეთრი (მხოლოდ

საფრანგეთში არსებობდა 2 ათასამდე ლეპროზოლია). XV საუკუნის ბოლოსა და XVI ს. დასაწყისში მძვინვარებდა სიფილისი. მე-18 საუკუნის ბოლოსათვის ეპიდემიების გავრცელება შემცირდა და პრაქტიკულად ნულამდე დავიდა. მაგრამ მე-19 ს. ევროპაში გავრცელდა ქოლერა, მაგ., მე-19 ს. 40-იან წლებში ინგლისში გარდაიცვალა დაახლოებით 50 ათასი კაცი [Урланис 2007: 272-276].

მსოფლიო მასშტაბიდან ორიენტირი საქართველოზე გადმოვიტანოთ. საარქივო ცნობების მიხედვით საქართველოში შავი ჭირის ეპიდემიები მე-19 საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1803 –1807 წწ., 1811 – 1812 წწ., 1838 – 1843 წწ. დაფიქსირდა. ისტორიული ცნობებით მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ხოლო იმერეთის სამეფოში მცხოვრებთა თითქმის ნახევარი შეიწირა. საქართველოში შავი ჭირის მძვინვარებას ყვავილიც დაერთო. აუცილელად მინდა აღვნიშნო 1772 წელი, როცა ერეკლე მეფემ აცრის ბრძნება გასცა და იულონ ბატონიშვილი აცრა, რათა მოსახლეობას ერწმუნა, რომ აცრა საშიში არ იყო. იმ დროის საქართველოსთვის აცრა დაავადების პრევენციის არც ისე ნაცნობი საშუალება იყო და აცრების ფუძემდებლად სწორედ ერეკლე მეფეს მოიაზრებენ. ქოლერის ეპიდემია პირველად 1840 წელს გავრცელდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ქოლერის მეორე ეპიდემიამ 1919 წელს იფეთქა.

* * *

კაცობრიობა თავისი ისტორიის მანძილზე დაადგა მოკვდაობის ფაქტორების კონტროლის გზას და დიდ წარმატებასაც მიაღწია. ისევე, როგრც კაცობრიობის ისტორია, იგი ნახტომისებურად ვითარდებოდა. ბუნებრივი და სოციალური გარემოს არაკეთილსაიმედო ფაქტორების თანდათანობითი შეზღუდვით დაახლოებით ორჯერ შეწყდა რევოლუციური ნახტომი, რომელთა შედეგად მკვეთრად გაფართოვდა ადამიანთა შესაძლებლობა, გაეკონტროლებინა მოკვდაობის ფაქტორები. პირველად ეს მოხდა წარმოებითი ეკონომიკისა და აგრარული საზოგადოების აღმოცენების შედეგად ნეოლითური რევოლუციის პერიოდში, მეორედ ევროპაში სამრეწველო რევოლუციის შედეგად. თითოეული ეს ნახტომი აღნიშნავდა მოკვდაობის ეგზოგენური ფაქტორების როლის შეზღუდვას და ენდოგენური ფაქტორების გაძლიერებას, ანუ მოკვდაობის ეპიდემიოლოგიური სტრუქტურის ან ეპიდემიოლოგიური მოდელის ცვლილებას, შედეგად გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. ეს ძვრები მოითხოვდა ადამიანების მასიური ქცევის ღრმა ცვლილებებს – მათი ვიტალური ქცევის ცვლილებას. როგორც ყველა დემოგრაფიული ქცევა, ვიტალური ქცევაც განისაზვრება საზოგადოებაში გაბატონებული მოსახლეობის აღწარმოების ამა თუ იმ ტიპისთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული ურთიერთობებით. შესაბამისად, ისევე, როგორც მოსახლეობის აღწარმოების ტიპოლოგიზაციისათვის დამახასიათებელი, გამოიყოფა მოკვდაობის სამი ისტორიული ტიპი.

ისტორიულად განსხვავებული ეპიდემიოლოგიური მოდელების ცნება შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი დემოგრაფის აბდელ ორმანის მიერ (Abdel Rahim Orman 1925-1999) და გამოიყენა ტერმინი „ეპიდემიოლოგიური გადასვლა“. ორმანის კონცეფციის თანახმად ეპიდემიოლოგიური გადასვლა ისტორიულ ჭრილში ასახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ავადობის მახასიათებელთა კომპლექსურ ცვლილებებს და მათ ურთიერთკავშირს დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციალურ დეტრემინანტებთან და შედეგებთან [Orman 1971: 34]. აღსანიშნავია, რომ ავტორის მიერ ჩამოყალიბებული თეორია საკმაოდ ზუსტად ახასიათებდა რეალობას 1960-იანი წლების დასასრულამდე.

ეპიდემიოლოგიური გადასვლის პირველ ეტაპზე გარდაცვალების მიზეზებში პრევალირებს ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეული ინფექციური დაავადებები და ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლოვობა 20-დან 40 წლამდე მერყეობდა. სიკვდილიანობის კრიზისული ზრდა იმანენტურად დამახასიათებელი იყო ტრადიციული ტიპისთვის და მოკვდაობის ფაქტორებზე სუსტ სოციალურ კონტროლზე მიუთითებდა. გარდამავალი ეპოქის გავლით მოკვდაობა მცირდება, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლოვობა დაახლოებით 50 წლამდე იზრდება. ამერიკელი ჰიგიენისტი მილტონ ტერისი თავის კონცეფციაში აღნიშნავდა, რომ პირველი ეპიდემიოლოგიური გადასვლისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ინფექციურ დაავადებებს, არამედ ძალადობრივი სიკვდილის შემთხვევებსაც – უბედურ შემთხვევებს, მკვლელობებს და თვითმკვლელობებს [Terris 1976:159]. 1800-იანი წლებიდან დაიწყო მეორე ეპიდემიოლოგიური გადასვლა, როდესაც ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის შედეგად გაიზარდა საზოგადოებრივი სიმდიდრე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სანიტარული პირობები და ცხოვრების სტანდარტი. გარდაცვალების მიზეზებში წამყვანი ადგილი თანდათანობით დაიკავა ენდოგენურმა ფაქტორებმა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში გატარებული ღონისძიებების და მედიცინის დარგში მიღწევების გამო შემცირდა ინფექციური დაავადებებით გარდაცვალების რისკი და გაიზარდა დეგენერაციული (გულსისხლძარღვთა, ონკოლოგიური, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის და ა.შ.) დაავადებების შედეგად გარდაცვალების რისკი. აღნიშნული დაავადებები უმთავრესად

დაკავშირებულია ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივ დაბერებასა და სიცოცხლისუნარიანობის ასაკობრივ დაქვეითებასთან.

1990-იანი წლების შუახნიდან მკვეთრად შემცირდა ინფექციური დაავადებების შედეგად გარდაცვალება, საგრძნობლად გაიზრდა ქრონიკული, არაგადამდები დაავადებები. სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა 70 და უფროს წლამდე. 1960-იანი წლებიდან მოკვდაობა შემცირდა როგორც შუახნის, ასევე ხანდაზმულ ადამიანებში. ცვლილებები განაპირობა როგორც ქცევითი რისკის ფაქტორების (მაგ., თამბაქოს მოხმარების შემცირება და არტერიული წნევის კონტროლის გაუმჯობესება) შემცირებამ, ასევე სამედიცინო ტექნილოგიურმა მიღწევებმა. ზოგი მკვლევარი ცალკე გამოყოფს სიმსუქნეს და დაბალი ფიზიკური აქტივობის პერიოდს.

XXI საუკუნეში ისევ გაიზარდა ინფექციური დაავადებები. მათი გავრცელება უკავშირდება გლობალიზაციას, ადამიანთა მიგრაციას, მოგზაურობის გაიოლებას. ამ პერიოდს მეცნიერები უწოდებენ მესამე ეპიდემიოლოგიური გადასვლის პერიოდს. ინტერესს იწვევს XX და XXI საუკუნეებში ინფექციური დაავადებების გავრცელების სტატისტიკური მინაცემები. ესპანურმა გრიპმა იმავე „ესპანკამ“ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მთელი ევროპის მოსახლეობა მოიცვა. 1918 წლიდან, კაცობრიობის ისტორიაში ის ერთ-ერთ ძლიერ პანდემიად ითვლება. დედამიწის მოსახლეობის 30%-ზე მეტი ამ ვირუსით იყო დაავადებული, 100 მილიონზე მეტი შემთხვევა კი ლეტალურად დასრულდა. 1957 წლის თებერვალში აღმოსავლეთ აზიაში ახალი ტიპის ვირუსი გავრცელდა (H2N2), რამაც პანდემია წარმოქმნა. კრიზისი ვაქცინის სწრაფად შემუშავებამ შეაჩერა, თუმცა, აზიურმა გრიპმა მსოფლიო მასშტაბით 1,1 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

2009 წელს, პანდემიად გამოცხადდა ე.წ. ღორის გრიპის (H1N1) ვირუსი, რომელიც 2010 წლის აგვისტოში დასრულდა. მთელ მსოფლიოში ვირუსმა 575 400 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. პანდემიის დროს საქართველოში 120 შემთხვევა დაფიქსირდა, საიდანაც 18 გარდაიცვალა. დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკით ე.წ. ღორის გრიპის შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2009-2010 და 2010-2011 წლებში დაფიქსირდა. 2009-2010 წწ. 1550 შემთხვევა, ხოლო 2010-2011 წწ. 1995 შემთხვევა. შემდგე წლებში გრიპის მაჩვენებელმა დაიკლო და პანდემიის ზღვარს, ანუ 450 შემთხვევას ყოველ 1000 მოსახლეზე შემდეგ წლებში გადააჭარბა. მომდევნო წლებში H1N1-ის პანდემია სეზონურ გრიპად იქცა, რომელსაც, როგორც სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, კვლავ გააჩნია მძიმე შემთხვევების გამოწვევის მაღალი უნარი. როგორც ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევები აჩვენებს, 2010 წლის შემდეგ იმავე შტამის A/H1p ქვეტიპის ვირუსის შედეგად, საქართველოში დაიღუპა 133 ადამიანი, საიდანაც ყველაზე მეტი (46), 2015-2016 წლების გრიპის სეზონს უკავშირდება. 2014 წელს მთელ მსოფლიოში პანდემიის ახალი საშიშროება_ებოლას ვირუსი – ყველაზე ლეტალური ეპიდემია წარმოიქმნა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ებოლას ვირუსის მოკვდაობა 90%-ს აღწევს და მის საწინააღნდეგო ვაქცინაზე მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით:

- 2010-2019 წწ. გრიპის სეზონებზე ლაბორატორიულად დადასტურებულია A ტიპის 2549 და B ტიპის გრიპის 1088 შემთხვევა.
- 2018-2019 წწ. ლაბორატორიულად დადასტურებულია A ტიპის 462, ხოლო B ტიპის მხოლოდ 3 შემთხვევა.
- 2010-2019 წწ. გრიპის სეზონებზე ლაბორატორიულად დადასტურებული გრიპით სიკვდი-ლიანობის 165 შემთხვევაა, საიდანაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (47) 2015-2016 წლებზე მოდის.
- გრიპით გამოწვეული სიკვდილის 93% A ტიპის ვირუსს უკავშირდება, საიდანაც ე.წ. ღორის გრიპის ქვეტიპი დომინირებს.
- 2019 წელს წითელას 3918 შემთხვევა აღირიცხა, ხოლო 2018 წელს 21999.

ინფექციური დაავადებების სტატისტიკური მონაცენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო წლებში მსგავსი დაავადებების გავრცელების კონტროლის თვალსაზრისით ქვეყანას მნიშვნელოვანი შეფერხებები არ ჰქონია და ცალკეულ გამოწვევებს წარმატებით ართმევს თავს.

რაც შეეხება გარდაცვლილთა წილს დაავადებათა ძირითადი კლასების მიხედვით, გარდაცვლილთა ყველაზე მეტი წილი მოდის სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებსა და ახალწარმონაქმნებზე. სხვა დაავადებათა წილი მათთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია (იხ. ცხრილი).

*ცხრილი*

გარდაცვლილთა რაოდენობა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით

| გარდაცვალების ძირითადი მიზეზები | 2005 | 2010 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები | 380 | 223 | 516 | 558 | 717 | 588 |
| სიმსივნეები | 5386 | 3085 | 6268 | 6829 | 7095 | 7329 |
| სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების ავადმყოფობები იმუნური მექანიზმების ჩათრევით | 80 | 55 | 329 | 335 | 557 | 491 |
| ენდოკრინული სისტემის, კვების და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული | 606 | 511 | 1085 | 765 | 990 | 675 |
| ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები | 35 | 31 | 76 | 102 | 114 | 52 |
| სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები | 33493 | 17888 | 20931 | 17990 | 19853 | 21549 |
| ნერვული სისტემის ავადმყოფობები | 339 | 430 | 565 | 468 | 623 | 521 |
| სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები | 1254 | 583 | 1814 | 2492 | 2608 | 3676 |
| ტრამვები და გარეგანი ზემოქმედების ზოგიერთი სხვა | 1509 | 1109 | 1698 | 1647 | 1840 | 2015 |

*წყარო:* საქსტატი www.geostat.ge

## დასკვნა

მესამე ეპიდემიოლოგიური გადასვლის პერიოდში, მისთვის დამახასიათებელი ცვლილებები მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ავადობის მაჩვენებლებში მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ გადასვლებთან. მნიშვნელოვანი გახდა გარემოს დაცვა, მოსახლეობის ყოფისა და შრომის პირობების გაუმჯობესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა. მედიცინის შემდგომი განვითარება, დაავადებების პროფილაქტიკაზე ორიენტირება ამცირებს დაავადებებსა და მოკვდაობას. შედეგად იზრდება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა. გლობალიზებულ სამყაროში ჯანმრთელობის მიმართ წარმოქმნილი გამოწვევები ეროვნულ საზღვრებს სცდება და მისი გადაჭრის საუკეთესო საშუალებაა მსოფლიოს სხვადსხვა ქვეყნებს შორის კოორდინირებულ თანამშრომლობაზე დაფუძნებული ტრანსნაციონალური ქმედებები და გადაწყვეტილებები.

ახალი კორონავირუსის პანდემიის შედეგად ქვეყნის წინაშე გამოწვევების მასშტაბები მნიშვნელოვნად აღემატება სტატიაში განხილულ საკითხს, იმედს გამოვთქვამთ, ქვეყანა შეძლებს არსებული კრიზისული სიტუაციიდან ეფექტიან გამოსვლას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. მელაძე გ. (2007). საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. „უნივერსალი", თბილისი.
2. სულაბერიძე ა. (2007). ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. თბილისი.
3. წულაძე გ., სულაბერიძე ა., მაღლაფერიძე ნ., მამარდაშვილი გ. (2008). საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ. თბილისი.
4. წულაძე გ. (2013). დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 1950-2050. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი
5. Omran A.R. (1971). The Epidemiologic Transition. A Theory of the Epidemiology of Population Change. "The Milbank Memorial Fund Quarterly," Vol.49 (4), New-York. P. 355-391
6. Omran A.R. (1982). The Epidemiologic Transition. In: Ross J.A., ed., International encyclopedia of Population. London. The Free Press.
7. Omran A.R. (1998). The Epidemiologic Transition Theory Revisited Thirty Years Later, World Health Statistics Quarterly. Vol. 51. (2-4). P. 99-119
8. Omran A.R. (2005). The Epidemiologic Transition. A Theory of the Epidemiology of Population Change//The Milbank Memorial Fund Quarterly," Vol.83 (4). P. 731-757
9. Terris M. (1976). The epidemiologic revolution, national health insurance and the role of health departments//American Journal of Public Health. Vol. 66 No. 12 (December). P. 1155-1164.
10. Вышневский А. Г. (2019). Демографическая история и демографическая теория. Высшая школа экономики, Москва.
11. Вышневский А. Г. (2015). Время демографических перемен. Высшая школа экономики, Москва.

12. Урланис Б. Ц. (2007). Рост населения земного шара. Народонаселение. Иследования, публицистика. М.: Наука, С. 19-308
13. www.geostat.ge
14. http://www.mortality.org The Human Mortality Database
15. http://www.demoscope № 153-154

***Nino Gomelauri***

**GEORGIA IN THE THIRD PERIOD OF EPIDEMIOLOGIC TRANSITION**

**Summary**

The article deals with the history of infectious diseases and parameters of the results of pandemics in Georgia. According to the theory of the third epidemiologic transition, we discuss changes between the indicators of mortality and morbidity. As reported by the concept of the American demographer Abdel Orman, in terms of history epidemiologic transition depicts complex changes of the characteristics of population's state of health and morbidity, as well as their inter-relationship with demographic, economic and social determinants and consequences. During the first stage of the epidemiologic transition, infectious diseases caused by exogamous factors are prevalent among the reasons of mortality. The second epidemiological transition started during 1800s, when as a result of industrialization and urbanization, societal wealth increased together with significant improvement of sanitary conditions and life standard. Endogamous factors gradually occupied leading position among the causes of death. In consequence of achievements in the sphere of medicine and measures undertaken in the field of public healthcare, the risk of death from infectious diseases decreased and the risk of dying of degenerative diseases (cardiovascular, oncological, metabolic, etc. disorders) grew. From the middle of 1990s one witnessed a drastic reduction of death from infectious diseases, as opposed to a substantial increase of chronic, non-communicable diseases. Life expectancy went up to the age of 70 and higher. Since 1960s mortality rate decreased among middle-aged as well as elderly people. These changes were determined by decline in behavioral risk factors and by technological achievements in medicine. In the 21st century, we again see a renewed increase of infectious diseases. The spread of the mentioned ailments is connected with globalization, human migration and simplification of travel. Scientists call this period the third epidemiologic transition.

The analysis of the recent years' statistical data, linked with infectious diseases, indicates that in terms of control of the infectious diseases' spread the country did not face any significant setbacks and it successfully copes with certain challenges. With regard to the share of the deceased individuals according to the main classes of ailments, the largest share of the dead falls on the diseases of the circulatory system and neoplasms. The share of other ailments is substantially lower in comparison with the above-mentioned ones.

***Ната Давлашеридзе***

# ЛАУРЕАТЫ НОБЕЛЕВСКОЙ ПРЕМИИ ОБ ЭКОНОМИЧЕСКОМ И ФИНАНСОВОМ ПОРЯДКЕ В МИРЕ ПОСЛЕ ПАНДЕМИИ COVID-19

***Аннотация.*** *В работе рассматриваются актуальные вопросы, связанные с проблемой распространения короновирусной инфекции и теми трудностями, с которыми столкнулись страны в экономическом и финансовом отношении. Особый акцент сделан на анализе сложившейся сложнейшей ситуации и тех или иных предложениях выхода из нее, сделанными лауреатами Нобелевской премии по экономике Джозефом Э. Стиглицем, Робертом Шиллером, Вернон Смитом, Робертом Ауманном, Полом Ромером, Джеймсом Хекманом, Бенгтом Хольмстремом, Ларсом Хансеном, Полом Кругманом, Абхиджит Банерджи и Эстер Дюфло.*

***Ключевые слова:*** *пандемия, COVID-19, рецессия, нобелевская премия, безработица.*

## Введение

После закрытия большей части мировой экономики радикальная неопределенность является лучшим способом описания этого исторического момента. Можно назвать этот кризис беспрецедентным, и есть много аспектов, которые выглядят гораздо более тревожными, чем даже Великая депрессия. Скорость, с которой рухнула экономика, просто ошеломляет. Продажи автомобилей только за один месяц упали на сумму, которая потребовалась за год во время финансового кризиса: в Германии — на 38 %, в Великобритании — на 44 %, в Южной Африке — на 30 %. Везде спад: даже в Австралии, где такого не было с 2009 года. Мир никогда не видел, чтобы так много людей оказывались безработными в столь короткий промежуток времени. Несомненно, пандемия приведет к изменениям экономической ситуации, но к каким - это станет очевидным только значительно позже.

Как будет выглядеть экономика после пандемии коронавируса – этот вопрос занимает умы ведущих экономистов мира.

**Джозеф Э. Стиглиц** (Joseph E. Stiglitz), профессор экономики в Колумбийском университете, лауреат Нобелевской премии по экономике за 2001 год считает, что кризис коронавируса стал мощным напоминанием о том, что основной политической и экономической единицей по-прежнему остается национальное государство. Раньше экономисты считали ошибочными призывы к странам проводить политику продовольственной и энергетической безопасности. Они утверждали, что в глобализованном мире, где границы ничего не значат, всегда можно обратиться за помощью к другим странам, если что-то случится. Но сейчас границы вдруг снова обрели былое значение, а страны цепко ухватились за свои запасы масок и медицинской техники, которых явно не хватает. Как считает Стиглиц, в условиях пандемии политика глобализации не оправдала себя: «В своем стремлении наладить эффективные цепочки поставок мы рыскали по миру в поисках самого дешевого производителя в каждом звене этих цепочек. Но мы поступали недальновидно, строя такую систему, которая явно неустойчива, недостаточно диверсифицирована и не защищена от сбоев в работе. Оперативная система производства и распределения с низким или нулевым уровнем запасов способна преодолевать мелкие проблемы, но мы сейчас видим, как эта система рушится из-за неожиданных потрясений»[47].

Джозеф Э. Стиглиц утверждает, что монетарные меры, принимаемые регуляторами, «явно недостаточны», чтобы остановить экономический кризис из-за вспышки коронавируса и могут привести страну ко второй Великой депрессии. По мнению Стиглица, хотя Федеральная резервная система США снизила целевую ставку почти до нуля, она «не стабилизировала рынки». «Потому что это другой вид кризиса. Это не проблема спроса. Бизнесы закрываются, и увеличение спроса не спасет в этой конкретной ситуации»[48], — считает ученый. Он уверен, что ни одна финансовая организация в таких условиях не избежит последствий экономического спада. По его мнению, «люди не смогут погасить свои кредиты, люди не будут брать новые кредиты, предприятия не будут брать новые кредиты. А бизнес-модель банков очень чувствительна к бизнес-циклу». Стиглиц считает, что в такой ситуации государство, «не обращая внимания на дефицит», должно оказывать финансовую помощь как целым секторам экономики, так и всем тем, на кого ляжет повышенная нагрузка. Сюда входит система здравоохранения, а также те, кто обеспечивает меры, способствующие социальной изоляции ради сдерживания инфекции. Стиглиц сравнил нынешнюю ситуацию в экономике с состоянием войны. Он считает, что 14% населения зависит от продовольственных талонов, и предсказал, что социальная инфраструктура не сможет справиться с уровнем безработицы, который может достичь 30% в ближайшие месяцы.

Стиглиц предлагает создать такую экономическую систему после пандемии, которая должна быть более дальновидной, более жизнестойкой и более восприимчивой к тому обстоятельству, что экономическая глобализация намного обогнала глобализацию политическую. Пока сохраняется такая ситуация, странам придется искать более прочный баланс между преимуществами глобализации и необходимой опорой на собственные силы.

**Роберт Шиллер** (Robert J. Shiller) — профессор экономики Йельского университета, лауреат Нобелевской премии по экономике за 2013 год, как и Стиглиц считает, что время от времени в мире происходят коренные изменения — зачастую в период войн, и сегодня, пандемия COVID-19 сформировала атмосферу военного времени, дала возможность для создания новых путей и средств по преодолению страданий, в том числе, более эффективных мер борьбы с усиливающимся неравенством. Чрезвычайные выплаты людям, на которые пошли многие страны, это путь к безусловному базовому доходу. В США новый стимул получила более качественная и более универсальная система медицинского страхования. Появилась мотивация для создания новых международных институтов, позволяющих лучше распределять риски между странами. Р. Шиллер высказывает надежду, что атмосфера военного времени постепенно уйдет, а эти новые институты останутся.

**Вернон Смит** (Vernon L. Smith) — профессор экономики бизнеса и права Университета Чепмена, лауреат премии по экономике памяти Альфреда Нобеля 2002 года, (основатель экспериментальной экономики) и **Роберт Джон Ауманн** (Robert John Aumann) — израильский математик, профессор Еврейского университета в Иерусалиме, лауреат Нобелевской премии по экономике 2005 года (за работу по конфликтам и сотрудничеству посредством анализа теории игр) отмечают расхождениям между моделями рационального поведения, представленными экономической теорией и теорией игр, с одной стороны, и реальным поведением, выявленным экспериментальными и эмпирическими выводами, с другой стороны, в реакциях при кризисе Covid-19. Такие концепции, как "Экологическая рациональность" (профессор Смит) и "Рациональность правил" (профессор Ауманн), предложены ими в качестве средства устранения несоответствия и предполагает, что рациональность следует рассматривать не в конкретных случаях, а скорее на большом наборе решений, принимаемых в различных условиях и обстоятельствах.

**Пол Ромер** (Paul M. Romer), лауреат Нобелевской премии по экономике 2018 года, экономист, работавший в качестве главного экономиста во Всемирном банке, выдвигает свои планы по смягчению экономических последствий от коронавируса и обеспечению возможности возобновления нормальной экономической активности в США. Основное предложение Ромера состоит в поголовном тестировании. Он считает, что ключом к решению экономического кризиса является снижение страха того, что кто-то заболеет, если он пойдет на работу или в магазин. Страх и неуверенность подобны кислоте, которая убивает инвестиции, а инвестиции - это то, что нужно для перезапуска и если нет надежного и понятного способа избавиться от страха, не получится нужного восстановления экономики.

---

[47] https://www.theguardian.com/business/2020/apr/22/top-economist-us-coronavirus-response-like-third-world-country-joseph-stiglitz-donald-trump

[48] Там же.

Таким образом, Ромер сформулировать очень простой подход к управлению этим кризисом - для борьбы с пандемией нужно вывести разумное большинство заразных людей на карантин, поскольку это имеет решающее значение для восстановления доверия, которое очень важно для принятия инвестиционных решений, планирования, прогнозирования будущего. Он полностью поддерживает решение Конгресса США потратить двадцать пять миллиардов долларов на тестирование, поскольку эта цифра несравнима с ежемесячными потерями в пятьсот миллиардов долларов от пандемии.

Такой же позиции придерживается финский экономист **Бенгт Хольмстрем** (Bengt Holmstrom), лауреат Нобелевской премии по экономике за 2016 год. Он считает, что опасения людей по поводу заражения коронавирусом могут представлять большую угрозу для экономики, чем предписанные правительством ограничения, установленные для предотвращения распространения эпидемии, страх сам по себе делает коронавирусный кризис серьезной угрозой для экономики. Холмстрем заявил, что для правительства будет пустой тратой времени ослабить ограничения и попытаться стимулировать экономику за счет государственных средств, если жители просто не решатся ходить по магазинам, ходить на работу и пользоваться услугами и поэтому всестороннее тестирование на коронавирус должно быть одним из инструментов, который должно использовать государство. Хольмстрем входит в состав группы экспертов, которая рассматривает экономическое будущее Финляндии в мире после коронавируса. Согласно их оценке, Финляндии необходимо вкладывать средства в поддержку бизнеса, а затем быстро сократить расходы и увеличить налоги после кризиса с коронавирусом, поскольку ВВП страны может сократиться в этом году от пяти до 13 процентов из-за ситуации, тогда как более десяти лет назад финансовый кризис, потрясший мировую экономику, привел к падению ВВП Финляндии в 2009 году чуть более чем на 8 процентов. Холмстрем высказывает беспокойство тем, как можно сохранить бизнес на плаву во время кризисной ситуации, потому как во многих фирмах продажи сократились вдвое, а некоторые сектора полностью прекратились. Когда неизвестно, как долго продлится эта ситуация, невозможно говорить о конкретной помощи и поддержки этих компаний. Однако, он считает, что фирмам, которые находятся в хорошей форме, не должно быть разрешено обанкротиться, благодаря государственным субсидиям.

ლიდერები ვალდებულებას იღებენ, ყველაფერი გააკეთონ და ყველა შესაძლებლობა გამოიყენონ იმისთვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური ზარალი.

თუ ფართოდ შევხედავთ ამ პრობლემას, COVID-19-ის შემდგომი პერიოდი, ანუ ეკონომიკური აღდგენის ფაზა მთავრობისა და ბიზნესისათვის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებში, უნდა იქცეს ადგილობრივი აგროსამრეწველო დარგის განვითარების საწყის პერიოდად, რათა მომავალში დარგი დაცული იყოს მსგავსი კრიზისებისგან და, თავის გადარჩენის შანსთან ერთად, წარმატებით ფუნქციონირების რეალური შესაძლებლობა გააჩნდეს. ეს კი სოფლის მეურნეობას მისცემს შესაძლებლობას, რომ გამოვიდეს არა მხოლოდ გაჭირვებიდან, არამედ დარჩეს წარმატებულიც, უფრო მეტად ძლიერი და დამოუკიდებელი.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Германия разрешит въезд в страну 80 тыс. сезонных ... www.eurointegration.com.ua › rus › news › 2020/04
2. США выделят 19 млрд долларов на поддержку фермеров ... www.dw.com › сша-выделят-19-млрд-долларов-на-п...
3. (Как пандемия влияет на экономику США - исследование psm7.com›money…koronavirus-vliyaet…ekonomiku-ssha…)
4. https://rossaprimavera.ru/news/93bf284a
5. Во Франции подсчитали влияние коронавируса на экономику - www.epravda.com.ua › rus › news › 2020/03/17
6. მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა სრულად - ნეტგაზეთი netgazeti.ge › news
7. COVID-19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და ... – EPRC eprc.ge › brosh › COVID__fin-geo
8. https://for.ge/view/185020/turizmisa-da-aviaciis-Semdeg-didi-dartymis-qveSaa-soflis-meurneobac.html
9. Почему у сельского хозяйства больше рисков, чем... forbes.kz›Forbes Life›Наблюдение›selskoe_hozyaystvo_posle…
10. Как Covid-19 повлияет на продовольствие и сельское хозяйство в мире | Факты ICTV fakty.com.ua
11. Пандемия COVID-19: мир столкнется с дефицитом... dw.com›ru/пандемия-covid-19-мир…дефицитом…питания…
12. Как пандемия коронавируса влияет на сельское хозяйство rynok-apk.ru›Статьи›actual/pandemiya-kv
13. აგრარულ წარმოებაში ეკონომიკური ზიანის შესამცირებლად ... 1tv.ge › news › agrarul-warmoebashi...
14. https://mepa.gov.ge/Ge/Page/AntiCrisisPlan



***Lina Datunashvili***


**AGRICULTURE AND ECONOMIC CHALLENGE IN CONDITIONS OF PANDEMIC**

**Summary**


By 2020, the worldwide pandemic of the new coronavirus (COVID-19) has affected most countries in the world, spreading to 210 countries in two months, injuring more than 4,5 million people and more than 3.5 thousand died (these data are changing daily). The economies of the world's largest countries have fallen into recession, with half the world being forced into isolation. The closure of borders, quarantines, closed markets and, in general, trade delays are particularly affecting countries severely suffered by coronavirus and food insecurity. The shock caused by coronavirus affected all sectors of the economy, including agriculture. It ranks among the industries that are less affected than others, but the consequences of the pandemic will be negative for both agricultural producers and consumers (lack of labor, food security, disruption of the production process, food shortages, rising prices, etc.). But given that no virus can eradicate human demand for food, agriculture is a sustainable source of food. Agriculture is a continuous cycle, it cannot be stopped because of quarantine, when it is time to cultivate, sow, and harvest, and it will not happen in time, even if it is due to a pandemic, the sector will fail and the world will be starved. The article also discusses the state of the industry in the world and in Georgia in the context of the pandemic, the economic challenges of the pandemic period and the general aspects of their solution.

*გია ზოიძე*

## პანდემიით გამოწვეული რისკები და ანტიკრიზისული მენეჯმენტი

***ანოტაცია.*** *დღეს არსებული გლობალიზაციის პირობებში, საზღვრების ღიაობისა და პრაქტიკულად შეუზღუდავი, თავისუფალი მიმოსვლის შედეგად, მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გამძაფრებული სავაჭრო ურთიერთობებითა და გლობალურ დონეზე სწრაფად მზარდი ტურისტული გადაადგილებებით, რაც ამჟამინდელი პანდემიით გამოწვეულ რისკებს სულ უფრო მეტად ზრდის. თუმცა, მეორე მხრივ, მოცემული რისკები შეიძლება ვაქციოთ შესაძლებლობებად. ამიტომ, ნაშრომში წარმოდგენილია პანდემიით გამოწვეული რისკები და ამ რისკების შესაძლებლობებად ქცევის ერთგვარი მიმართულებები. ანტიკრიზისული მენეჯმენტი კი სწორედ მსგავსი რისკების მართვის, შემცირებისა და თავიდან არიდების ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია, რისკები, შესაძლებლობები, ანტიკრიზისული მენეჯმენტი.*

### შესავალი

პანდემია - Covid-19 - დღევანდელ პირობებში მასშტაბურ კრიზისს წარმოადგენს მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ჯანდაცვის სფეროსათვის. მას შემდეგ, რაც 2019 წლის ბოლოს პირველად გამოჩნდა კორონავირუსი, იგი გავრცელდა ყველა კონტინენტზე (გარდა ანტარქტიდისა).

საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ცალკეული სახელმწიფოებისა თუ კერძო ინვესტორებისაგან ფულადი რესურსების ან სხვადასხვა სახის დახმარების მოზიდვა ძალზე მნიშვნელოვანია. საქართველოს ეკონომიკაში საერთაშორისო ფულადი რესურსები მოცემულ კრიზისამდეც საკმაოდ მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, ტურიზმის სფეროსგან მიღებული შემოსავლები და ფულადი გზავნილები მშპ-ს დაახლოებით 25%-ს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო დონორებისგან მიღებული დახმარების ზომა მეტწილად განსაზღვრავს, რამდენად მოხდება პანდემიისგან გამოწვეული შესაძლო მწვავე ეკონომიკური ზიანის შემცირება. თუმცა, ვფიქრობ, ყოველი მწვავე თუ საშუალო დონის კრიზისის დროს საქართველოს ეკონომიკის კრიზისისგან გამოყვანა არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ საერთაშორისო დონორების მიერ გაწეულ დახმარებაზე. ამისათვის, ჩემი აზრით, აუცილებელია შეიქმნას ანტიკრიზისული ფონდი, სადაც ქვეყანამ ეტაპობრივად უნდა მოახდინოს თანხების მობილიზება და რეზერვირება, რაც იქნება სტაბილური ეკონომიკური განვითარებისა და სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი მყარი გარანტი.

კოლაფსი განიცადა იმ ქვეყნებმა, რომელთაც საგანგებო მდგომარეობის ცენტრალიზებული მართვა ვერ განახორციელეს. კრიზის-მენეჯმენტის ეფექტიანი მართვისათვის სხვადასხვა დონის მთავრობების მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა და მიდგომებმა გამოიწვია არეულობა, შეიქმნა გაურკვეველი ვითარებები, რამაც გაართულა მართვის პროცესები. საბედნიეროდ, საქართველომ დროულად მოახდინა კრიზისული ვითარების ცენტრალიზებული მართვა, რითაც წარმატებით ცდილობს თავიდან აიცილოს პანდემიით გამოწვეული მოსალოდნელი საფრთხეები.

კოვიდ-19-ის პანდემია ჯერ ისევ მძვინვარებს მსოფლიო მასშტაბით, ხოლო პოსტ-პანდემიურ პერიოდში მოსალოდნელია გლობალური სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამძაფრება, თუმცა ის, აგრეთვე იძლევა შესაძლებლობას, მოვახდინოთ უფრო კომპლექსური მიდგომა ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებისათვის, მოვახდინოთ ინვესტიციების დაბანდება სამედიცინო სფეროსა და უფრო სტაბილური მიწოდების ჯაჭვებში, რითაც მოკლევადიან პერიოდში დიდი ალბათობით ვერ, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ყველანი მივიღებთ მნიშვნელოვან ბენეფიტებს (სარგებელს).

* * *

**Covid-19-**ის საქართველოში გამოჩენიდან უკვე რამდენიმე თვეა გასული. თუ ჩვენს ქვეყანაში დაინფიცირებულთა სტატისტიკას გადავხედავთ და მოვახდენთ მოცემული ციფრების შედარებას სხვადასხვა რეგიონულ თუ საერთაშორისო მასშტაბით სახელმწიფოთა სტატისტიკურ მონაცემებს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ შედარებით წარმატებულად (ჯერჯერობით, და იმედს გამოვთქვამ, რომ სამომავლოდაც ასე იქნება) მოახერხა ვირუსის გავრცელების დროულად ლოკალიზება და მართვა, რითაც მყიფე ჯანდაცვის სფერო გადატვირთვისგან იხსნა.

თუმცა, პარადოქსულია საკითხი, თუ რა უფრო მეტს ზიანს მოუტანს ქვეყანას და საზოგადოებას: პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგოდ გატარებული პრევენციული ღონისძიებებისგან წარმოქმნილი ხარჯები თუ თავად დაავადებით გამოწვეული ზიანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველომ ბოლომდე არ მოახდინა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების გათვალისწინება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ატარებდა ორაზროვან ან ბუნდოვან ხასიათს (მაგალითად, ინსტრუქციები ქირურგიული პირბადეების არაეფექტიანობის შესახებ ან რეკომენდაციები საერთაშორისო მოძრაობის არ აკრძალვაზე).

მიუხედავად საქართველოში მოცემული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მიღწეული გარკვეული წარმატებებისა, ქვეყანა მზად უნდა იყოს სცენარის მოსალოდნელი გართულებისთვისაც. საქართველოც, ისევე როგორც დანარჩენი მსოფლიოს სახელმწიფოები, დგას მნიშვნელოვანი დილემისა და გამოწვევის წინაშე:

- არ შენელდეს ეკონომიკური აქტივობები, რათა ქვეყნის ეკონომიკამ არ განიცადოს კოლაფსი.
- იზრუნოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება.

ყველაზე მეტად პანდემიით გამოწვეული მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისი მოწყვლად ჯგუფებს შეიძლება შეეხოს: მცირე ტიპის სამეწარმეო სუბიექტებს, დღიურ გამომუშავებაზე მყოფ პირებს, საწარმოთა მუშახელს და თვითდასაქმებულ პირებს.

დღეს არსებული გლობალიზაციის პირობებში, საზღვრების ღიაობისა და პრაქტიკულად შეუზღუდავი, თავისუფალი მიმოსვლის შედეგად, მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გამძაფრებული სავაჭრო ურთიერთობებითა და გლობალურ დონეზე სწრაფად მზარდი ტურისტული გადაადგილებებით, რაც პანდემიით გამოწვეულ რისკებს სულ უფრო მეტად ზრდის.

**პანდემიით გამოწვეული რისკები ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით, რომელთა შორისაცაა:**

1. **სამედიცინო რისკები.** მოცემული რისკები მოიცავს საავადმყოფოების შესაძლო გადატვირთვას; მედიკოსებისთვის პანდემიის შესახებ ინფორმაციის ასიმეტრიულობას; ჯანდაცვის სისტემისთვის გამოყოფილი თანხების რაციონალურად და მიზნობრივად ხარჯვას, რაც ასევე გულისხმობს კორუფციული რისკფაქტორების იდენტიფიკაციას და ადეკვატური ზომების გატარებას.

2. **უმუშევრობის რისკები.** პანდემიის პირობებში ბევრმა საწარმომ გაატარა ხარჯების შემცირების პოლიტიკა, რაც ხშირ შემთხვევაში გულისხმობდა პერსონალის რაოდენობის შეკვეცასაც. აღნიშნული კი, სამწუხაროდ, ხელს შეუწყობს უმუშევრობის დონის მატებას.

3. **კორუფციის რისკები.** სამწუხაროდ, საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსგავსი კრიზისების წარმოქმნისას ხორციელდება კორუფციის რისკების ზრდა. კორუფციის შემთხვევათა რაოდენობა ხშირ შემთხვევაში სწორედ კრიზისის პერიოდში მატულობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყურადღება არის მოდუნებული და შესუსტებულია მონიტორინგი შესაბამისი უწყებების მიერ. ამიტომაც, მსგავსი პანდემიების პირობებში მნიშვნელოვანია გაძლიერდეს სამოქალაქო საზოგადოების როლი, რათა მოხდეს მობილიზებული ფინანსური რესურსების მიზნობრივი, რაციონალური ხარჯვა და გამჭვირვალობის მაღალი დონის უზრუნველყოფა.

4. **პოლიტიკური რისკები.** პანდემიით გამოწვეულმა სხვადასხვა რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გამწვავება და არსებული რესურსების ხელახალი გადანაწილება. აღნიშნულმა, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ამა თუ იმ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტური სიტუაციების გაღვივებას და მრავალი მიმართულებით მცირე დაპირისპირებული კერების წარმოქმნას.

5. **სავალუტო რისკები.** პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა შოკებმა მწვავე ასახვა პოვა ლარის კურსზე, რომელიც 2020 წლის დასაწყისში გამოირჩეოდა შედარებით სტაბილურობით დოლართან მიმართებაში. ეროვნულმა ბანკმა დაიწყო პირდაპირი ინტერვენციების განხორციელება, რამაც მცირედით მოახერხა ლარის კურსის გამყარება. ბოლო პერიოდებში სავალუტო შემოდინებებმა იკლო, რამაც საზოგადოებაში შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი მოლოდინების გაჩენა და ლარის მნიშვნელოვანი გაუფასურება. ამიტომაც, უმჯობესი იქნება განხორციელდეს ჰეჯირება, რომელიც გამოიყენება სავაჭრო-საფინანსო ბაზრებზე არახელსაყრელი ფაქტორებით გამოწვეული რისკების შესამცირებლად. შესაბამისად, სავალუტო რისკების შემცირებაში შესაძლოა დიდი როლი შეასრულოს ჰეჯირების ინსტრუმენტმა.

6. **ტურისტული ნაკადების შემცირების რისკები.** ბოლო პერიოდებში ტურიზმის ინდუსტრია საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ საკვანძო სექტორად ყალიბდება, რომელიც დღესდღეობით დაახლოებით მშპ-ს 11%-ს წარმოადგენს, ხოლო ტურიზმის სფეროდან ფორმირებული შემოსავლები ზრდის მაღალი ტემპებით საქონლის ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებს მიუახლოვდა (საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით). პანდემიის შედეგად გამოწვეული საზღვრების ჩაკეტვა და

მოგზაურობის მიმართ პანიკის საფუძვლები ყველაზე უარყოფითად სწორედ ტურიზმის სექტორზე იმოქმედებს. ტურისტთა შემცირებული ნაკადები თავის ასახვას პოვებს სარესტორნო საქმიანობაზე, სავაჭრო ობიექტების შემოსავლიანობაზე და ა.შ. გარდა ამისა, მოცემულ სამეწარმეო საქმიანობებზე გავლენას მოახდენს აგრეთვე დისტანცირების დაცვასთან დაკავშირებული შეზღუდვები.

7. **საინვესტიციო რისკები.** ბოლო პერიოდისათვის ინვესტიციების შემცირების ტენდენცია ისედაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისათვის. პანდემიის პირობებში კი მოცემულმა რისკებმა კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა შეიძინა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორსაც, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდა, ძირითადად, დამოკიდებულია სწორედ ინვესტიციების მოზიდვასა და წარმოების ხელშეწყობა-გაფართოებაზე. შედეგად, დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ინვესტორთა გაზრდილი სიფრთხილის გამო შესაძლოა მოხდეს ინვესტიციათა გადავადება, ხოლო მოკლევადიან პერიოდში კერძო ფინანსური შემოდინებების კლება.

8. **ფულადი გზავნილების შემცირების რისკები.** უცხოეთიდან საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილიების წილი დაახლოებით 10-15%-ის ფარგლებშია, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას. საზღვრების ჩაკეტვამ და პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა გლობალურ დონეზე კი გამოიწვია ჩვენი უცხოეთში მყოფი მოქალაქეების მიერ საქართველოში ფულადი გზავნილების ოდენობის შემცირება, რაც ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი დანაკლისი იქნება.

9. **გარკვეულ ქვეყანათა ჯგუფების მიერ პროტექციონისტული პოლიტიკის არჩევის რისკები.** შესაძლოა ზოგიერთმა სახელმწიფომ მოსალოდნელი პანდემიის გავრცელების რისკების პრევენციისა და თავის არიდების მიზნით მოახდინოს საზღვრების ჩაკეტვა, ეკონომიკური საქმიანობების შეზღუდვა, რაც, ვფიქრობ, იმთავითვე არასწორ გადაწყვეტილებას წარმოადგენს. პროტექციონიზმი მოშლის ეკონომიკურ სისტემას, შეამცირებს შემოსავლებს, გაზრდის უმუშევრობას, გამწვავდება სოციალური ფონი, გაუარესდება კეთილდღეობა... ნაცვლად ამისა, უმჯობესი იქნება ქვეყანათა შორის ეკონომიკური, სამედიცინო თუ სხვა მიმართულებებით ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება და დაგროვებული გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება.

10. **სამომავლოდ მოსალოდნელი ახალი გლობალური ინფექციების წარმოშობის რისკები.** პანდემია - Covid-19-მა ყველას ნათლად დაანახა, რომ მძლავრი განვითარებული სახელმწიფოები თუ საერთაშორისო ორგანიზაციებიც კი სრულყოფილად ვერ უმკლავდებიან მოცემული ვირუსით გამოწვეულ რისკებს, რაც საზოგადოების ნაწილში ბადებს დაუცველობის სინდრომს, აჩენს გარკვეულ მოლოდინებს მსგავსი გლობალური პანდემიების სამომავლოდ წარმოშობასთან დაკავშირებით, რომელმაც შესაძლოა კიდევ უფრო ფატალური შედეგები მოუტანოს კაცობრიობას, ვიდრე თვითონ Covid-19-მა.

11. **ხარჯების არასწორად შემცირების რისკები.** კრიზისის პერიოდში, ხშირ შემთხვევაში განიხილავენ ხარჯების შეკვეცის შესაძლო ვარიანტებს სხვადასხვა მიმართულებით. ხარჯების შეკვეცა შესაძლოა განიხილოს 3 ძირითადი მიმართულებით: 1. საოპერაციო და მარკეტინგულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები; 2. ადმინისტრაციულ და სამეურნეო აქტივობებთან დაკავშირებული ხარჯები; 3. თანამშრომლებთან დაკავშირებული ხარჯები. რომელიმე მათგანის ხარჯების შემცირებისას დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, თუ რა მეთოდებით და რა პრინციპებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს ხარჯების შეკვეცა. ამასთან, მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს ხარჯების არასწორად შემცირების რისკები, რომელსაც მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგების მოტანა შეუძლია გრძელვადიან პერსპექტივაში.

მოცემული რისკების მართვაში შესაძლოა დაგვეხმაროს ისტორიის მანძილზე არსებული სხვადასხვა სახის ეპიდემიების მართვით დაგროვებული გამოცდილება, რომელიც დაგვეხმარება სცენარების შემუშავებასა და მოსალოდნელი რისკების შეფასებაში.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია: 1. სახელმწიფოს; 2. კერძო სექტორისა და 3. სამოქალაქო საზო-გადოების კოორდინირებული და ეფექტიანი მუშაობა, რითაც შესაძლებელი გახდება მოსალოდნელი მრავალფეროვანი რისკების მართვა და მოცემული რისკების გადაქცევა შესაძლებლობებად.

**პანდემიით გამოწვეული რისკები შეიძლება ვაქციოთ შემდეგი სახის შესაძლებლობებად:**

1. **დისტანციური სწავლების დანერგვა/განვითარება.** თანამედროვე განათლების სისტემა წარმოუდგენელი გახდა სასწავლო პროცესში უახლოესი ტექნოლოგიური მიღწევების (მაგ.,კომპიუტერი, ინტერნეტი) გამოყენების გარეშე. დღეს არსებული განათლების სისტემა გვთავაზობს „ერთხელ მიღებულ განათლებას", რომელიც შემდგომ პერიოდში საჭიროებს მუდმივ გადამზადებას და დაგროვილი ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებას. აღნიშნულის საპირისპიროდ, დისტანციური სწავლება გვაძლევს ახალ შესაძლებლობებს უწყვეტი განათლების მისაღებად ნებისმიერი ადგილიდან და სასურველ დროს. დისტანციური სწავლება გამოირჩევა უფრო მეტი მოქნილობით, დროის ეფექტურად გადანაწილებით.

ამასთან, იგი ფართო შესაძლებლობას აძლევს შშმ პირებს ახალი პროფესიის დაუფლებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების მხრივ. თუმცა, დისტანციური სწავლების დასანერგად უნდა მოხდეს საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და გათვალისწინება.

**2. სოფლის მეურნეობის იმპორტის ჩანაცვლება ძირითადად ადგილობრივი წარმოებით.** როგორც ყველას კარგად მოგვეხსენება, საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა ძირითადად დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე. ამასთან, პანდემიით გამოწვეული კრიზისული ვითარების შედეგად მსოფლიო სახელმწიფოთა უმრავლესობა მოექცა იზოლაციაში, რამაც შესაძლოა უახლოეს პერიოდში გამოიწვიოს საკვებ პროდუქტებზე დეფიციტი და შესაბამისად, საქართველოშიც აღნიშნული საკვები პროდუქტების შეზღუდული რაოდენობით შემოტანა. მოცემული სიტუაცია შესაძლოა იქცეს მნიშვნელოვან შესაძლებლობად საქართველოს აგრო-ინდუსტრიის განსავითარებლად, რომელმაც უნდა მოახდინოს იმპორტის შემცირებით გამოწვეული დანაკლისის შევსება ადგილობრივი წარმოებით. ეს ხელს შეუწყობს, დამატებით სტიმულებს გააჩენს ქვეყანაში წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, უყურადღებოდ დატოვებული აგროსფეროს გამოღვიძებას. გარდა ამისა, პოსტკრიზისულ პერიოდში შესაძლებელია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბაზრების ათვისება, რაშიც დიდი როლი დაეკისრება კერძო სექტორის მიერ ასოცირების ხელშეკრულების საფუძვლიან შესწავლას და მის ეფექტურ გამოყენებას. სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება და მოდერნიზება კი, თავის მხრივ, დადებით ეფექტებს გამოწვევს სხვა დარგებზეც.

**3. ტურისტული „მწვანე ზონა" + შიდა ტურიზმის განვითარება.** პანდემიით გამოწვეული საზღვრების ჩაკეტვის შედეგად, ადგილობრივ მოსახლეობას ეძლევა „შეზღუდული ალტერნატივა", დაისვენოს მხოლოდ ადგილობრივ საკურორტო-გამაჯანსაღებელ რეგიონებსა თუ ქალაქებში. თუმცა, ეს იქნება ერთგვარი შესაძლებლობა, მრავალფეროვანი შიდა ტურისტული მომსახურებების შემუშავებისა და დახვეწისათვის. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ Covid-19-ის ამჟამინდელმა სტატისტიკამ საქართველო აქცია ტურისტულ „მწვანე ზონად". ეს კი, პოსტკრიზისულ პერიოდში, საქართველოს ტურისტულად აქცევს ერთ-ერთ უსაფრთხო და მიმზიდველ რეგიონად მთელ მსოფლიოში.

**4. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სტიმულირება.** საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის ხელშეწ-ყობა, რომლის დაფინანსებასაც მხოლოდ კერძო სექტორის წარმომადგენლები იშვიათად ახორციელებენ. ამ მხრივ, აუცილებელია კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება. აღსანიშნავია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მთავრობას შესთავაზა ინსტრუქციები, რის შედეგადაც უნდა განხორციელდეს პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებული ხარჯების გაზრდა, რათა მოხდეს მოთხოვნის ზრდის სტიმულირება. მოცემული კი, მეტწილად გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურული ხარჯების გაწევას.

**5. დისტანციური საქმიანობა/ონლაინ ვაჭრობა.** ვაჭრობა ინტერნეტ-კომუნიკაციების გამოყენებით მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს კერძო სექტორს სავაჭრო ურთიერთობებში ახლებური მეთოდების გამოყენებასა და დანერგვაში. ამ მხრივ, ონლაინ-გაყიდვებს აგრეთვე ხელს შეუწყობს ახალი მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებასა და მრავალფეროვანი მარკეტინგული მომსახურების შეთავაზებაში. ეს ყოველივე კი გამოიწვევს საწარმოო რესურსების მნიშვნელოვან ეკონომიასა და დროის დაზოგვას.

შესაბამისად, ვინაიდან რისკები საფრთხეებთან ერთად ყოველთვის აჩენს საზოგადოებისათვის ახალ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს, შეიძლება ითქვას, ზემოთ ნახსენები შესაძლებლობები გაგრძელდეს უსასრულოდ. მთავარია, ეფექტურად და რაციონალურად მოხდეს ხელთ არსებული რესურსების (პირველ რიგში, ქვეყნის ინტელექტუალური კაპიტალის) გამოყენება.

XXI საუკუნის პირველ ორ დეკადაში მომხდარი სწრაფი ტექნოლოგიური, კომუნიკაციური თუ სხვა სახის ცვლილებებიდან გამომდინარე, იძულებული ვხდებით ვიყოთ მუდმივად ფორმაში: სიახლეების ძიებასა და მათ დანერგვაში, ახალი გამოწვევებისთვის მზადყოფნაში, გარემო ფაქტორების ეფექტიან კონტროლირებასა და მიმდინარე პროცესებზე ადეკვატურ რეაგირებაში. აღნიშნული კი მოითხოვს მძლავრ, გაჯანსაღების ღონისძიებებზე ორიენტირებულ ანტიკრიზისულ მენეჯმენტს.

ანტიკრიზისული მენეჯმენტი, ეს არის ავარიულ მოქმედებათა კომპლექსური გეგმა, რომელიც ორგანიზაციებსა და სახელმწიფო მმართველობით ორგანოებს განსაკუთრებულად შეცვლილ გარემო პირობებში ეხმარება უფრო მეტი მოქნილობის, მობილურობისა და სიცოცხლისუნარიანობის მიღწევაში. ანუ როდესაც არსებული მიდგომები, წესები და ჩვევები აღარ არის ადრინდელივით ეფექტური და სარგებლის მომტანი, ორგანიზაციებსა თუ სახელმწიფოებს სჭირდებათ მოდერნიზება, ახალი სისხლი,

განახლებული ენერგია, რათა მოახდინონ კრიზისული სიტუაციებისგან თავის დაღწევა რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით.

ანტიკრიზისული მენეჯმენტი წარმოადგენს პროცესს, რომელიც მოიცავს:

- ✓ პრეკრიზისულ მართვას,
- ✓ მართვას კრიზისის დროს,
- ✓ პოსტკრიზისულ მენეჯმენტს,
- ✓ მიღებულ და მისაღებ გადაწყვეტილებებს.

ანტიკრიზისული მენეჯმენტის დროს მნიშვნელოვანია მართვის ავარიული რეჟიმის ამოქმედება, რომელიც უნდა იყოს კარგად გაანალიზებული და წინასწარ განსაზღვრული. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს ორგანიზაციის (ან სახელმწიფოს) მუდმივ მდგომარეობას. დროთა განმავლობაში ორგანიზაციები (სახელმწიფოები) უბრუნდებიან ადრინდელ კალაპოტს ახლადმიღებული გამოცდილების შემდგომი გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ კრიზისისგან მიღებული ზიანი იყოს მინიმალური, მნიშვნელოვანია პრეკრიზისული მართვა, რათა კრიზისის პერიოდში არ დაიკარგოს დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მოსალოდნელი საფრთხეების შესწავლასა და ადეკვატური მოქმედებების გეგმის შედგენაზე. სწორედ ამიტომ, თავიდანვე საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი სარისკო პარამეტრის გამოკვეთა, რომელთა მართვაც პრეკრიზისულ პერიოდში ბევრად მარტივია, ვინაიდან ორგანიზაცია იმყოფება მშვიდ, სტაბილურ სამუშაო პროცესში.

რაც შეეხება მოქმედებებს კრიზისის დროს, პირველ რიგში, უნდა მოხდეს მენეჯმენტის საორგანიზაციო სტრუქტურის მორგება კრიზისულ ვითარებაზე. ამასთან, ეფექტიანი და სწრაფი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად სასურველია განხორციელდეს მართვის პროცესის ცენტრალიზება. შესაბამისად, მართვის სტრუქტურა ხდება უფრო ვერტიკალური, იზრდება გაცემული დავალებების კონტროლი და ხორციელდება ადრე დაგეგმილი საბიუჯეტო ხარჯების გადახედვა.

გარდა ამისა, კრიზისის პერიოდში მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს თანამშრომელთა ინფორმირება, რათა არ მოხდეს დამახინჯებული ან არასწორი ინფორმაციის გავრცელება, შესაბამისად, პანიკის წარმოქმნის საფრთხე უნდა იყოს მინიმალური, ხოლო პოსტკრიზისულ პერიოდში, სასურველია, განხორციელდეს განსაკუთრებით მნიშველოვან თანამშრომელთა დაფასება, წახალისება და მათი შემდგომი სტიმულირება.

დასასრულს, მნიშვნელოვანია პოსტკრიზისული მენეჯმენტი. ამ პერიოდისათვის უნდა მოხდეს კრიზისით გამოწვეული ზარალის ოდენობის შეფასება და მოცემული კრიზისის შესამცირებლად გაწეული ეფექტიანი მოქმედებების გამოყოფა. შემდგომ ამისა, უკვე ახალი გამოცდილებიდან გამომდინარე, მენეჯმენტი ცდილობს მოახდინოს ანტიკრიზისული გეგმის მნიშვნელოვანი გადახალისება.

**ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კრიზისის შემდგომ პერიოდში მენეჯმენტი იწყებს მოდუნებას და ხშირ შემთხვევაში ყურადღების დონე კლებულობს. ამიტომაც, ანტიკრიზისულ მოქმედებებთან ერთად, ხშირად უფრო მნიშვნელოვანია კრიზისის დასრულების შემდგომ მიღებული და მისაღები გადაწყვეტილებები.**

## დასკვნა

პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, იღებენ რა თავის წილ სოციალურ პასუხისმგებლობას და საწყის პერიოდშივე ცდილობენ არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას, მზაობას გამოთქვამენ სწრაფად მოახდინონ ვირუსით გამოწვეული ეკონომიკური რისკების მინიმიზება. ზუსტი ეკონომიკური ეფექტების შეფასებაზე საუბარი, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ადრეა. ფაქტია, რომ მსოფლიო ეკონომიკა მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვნად დაზარალდება.

საქართველო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან რამდენადაც უკეთ შეძლებს თანამშრომლობას და მოზიდული სახსრების ეფექტურ გამოყენებას, იმდენად წარმატებით განახორციელებს პანდემიასთან ბრძოლას და მისგან მიყენებული ზარალის შემცირებას. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია კორუფციული რისკების ზრდა, ამიტომაც სახელმწიფომ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს კორუფციული რისკების შემცირებას.

დღეს არსებული გლობალური გამოწვევები იძლევა შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმოთ ელექტრონულად, დისტანციური ფორმით საქმის წარმოების სტიმულირებას, ამ

მიმართულებით რეფორმების გატარებას, არსებული ონლაინპლატფორმების მოდერნიზებას და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდას;

უნდა მოხდეს სხვა ქვეყნების დადებით და უარყოფით გამოცდილებათა გაანალიზება, არა მარტო ჯანდაცვის, არამედ ეკონომიკური ანტიკრიზისული მენეჯმენტის მიმართულებით;

საბოლოო თვალსაზრისით, საქართველოში პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პროცესების მიმოხილვა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კომპლექსური და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკა აღმოჩნდება კოლაფსის წინაშე, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს უმუშევრობის ზრდასა და მოსახლეობის უმრავლესობისათვის ცხოვრების დონის დაცემას.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. აბესაძე რ., 2020, გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური პრობლემები, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“.
2. ლებანიძე ბ., 2020, აზიური ვეფხვების კვალდაკვალ: როგორ დავამარცხოთ Covid-19, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
3. ნადარაია ო., 2020, ჰეჯირების შემთხვევაში მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა მეტისმეტი სავალუტო რისკი არ უნდა აიღოს, ჟ. „კომერსანტი“.
4. ჭითანავა ნ., 2020, განსაცდელმა გააზრებული ნაბიჯების გადადგმა უნდა შეგვაძლებინოს, საინფორმაციო–ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“.
5. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2020, ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის.
6. World Health Organization, 2020, Don't expect travel bans to beat coronavirus (www.euronews.com)
7. www.synergy.ge
8. www.strategy.ge
9. www.insource.ge



***Gia Zoidze***


## RISKS CAUSED BY PANDEMICS AND ANTI-CRISIS MANAGEMENT

**Summary**


The pandemic - Covid-19 - is currently a major crisis in the healthcare system of most countries in the world. Since the Corona virus first appeared in late 2019, it has spread to all continents (except Antarctica).

It is very important for Georgia, as a developing country, to attract financial resources or various types of assistance from international organizations, individual states or private investors. International monetary resources in the Georgian economy were represented by a significant share even before the crisis. In addition, revenues from tourism and remittances accounted for about 25% of GDP. Therefore, the amount of aid received from international donors largely determines how much of the potential acute economic damage caused by the pandemic will be reduced. However, I think that in each acute or moderate crisis, bringing Georgia out of the economic crisis should not depend only on the assistance provided by international donors. For that, I think it is necessary to create an anti-crisis fund, where the country should gradually mobilize and reserve funds, which will be one of the solid guarantees of stable economic development and the existence of the state.

The countries that failed to manage the centralized state of emergency have collapsed. Statements and approaches made by governments at various levels to effectively manage crisis management have caused unrest, creating uncertain circumstances that have complicated management processes. Fortunately, Georgia has managed to centralize the crisis in a timely manner, thus successfully trying to avoid the potential dangers caused by the pandemic.

The pandemic of Covid-19 is still raging around the world, and in the post-pandemic period the global socio-economic crisis is expected to intensify, but It also provides an opportunity to take a more complex approach to promoting health and a healthy lifestyle, investing in healthcare systems and more stable supply chains, which we are unlikely to achieve in the short term, but in the long run we will all reap significant benefits.

*ხათუნა თაბაგარი*

# საქართველოს ექსპორტის ზოგადი ანალიზი: გამოწვევები Covid-19 ვირუსის ფონზე

***ანოტაცია.*** *საქართველოს გააჩნია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. კორონა ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების  გამო, 2020* წლის პირველ კვარტალში მყისიერად შემცირდა ექსპორტის მოცულობა წინა წლის იმავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით. ყველაზე მეტად ეს აისახა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტზე. კიდევ ერთხელ გავხდით მოწმე იმისა, რომ მრეწველობის განვითარება და სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი მეტად მოგებიანია ვიდრე, ნედლი საქონლით ვაჭრობა. ამასთან, აუცილებელია ქვეყნის საგადასახადო სისტემა ითვალისწინებდეს მნიშვნელოვან შეღავათებს სამრეწველო პროდუქციის ექსპორტისთვის, ვიდრე ნედლეულისა.*

## შესავალი

მრავალფეროვან საექსპორტო სტრუქტურას, როგორც პროდუქციის, ასევე დანიშნულების ადგილების მხრივ, აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობა, რადგან ამცირებს ისეთ შოკებზე დამოკიდებულებასა და მათგან დაუცველობას, როგორებიცაა პროდუქციის უკმარისობა და სავაჭრო კანონმდებლობის ცვლილება (კრამონ-ტაუბადელი, ს. ვ., 2014).

დამუშავებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი წარმოქმნის დასაქმებას დამამუშავებელ მრეწველობაში და ქმნის დამატებით ღირებულებას შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და ხარისხის კონტროლის სფეროში. მათი  ფასები ნაკლებად მერყევია, ვიდრე პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის. ასევე, მარტივია მათი შენახვა, რის გამოც შესაძლებელია მათი გადანაწილება დროში. ეს იძლევა არსებული ინფრასტრუქტურის უკეთესად ათვისების შესაძლებლობას და დროებით გაჯერებულ ბაზრებზე გაყიდვის აუცილებლობას ამცირებს (კრამონ-ტაუბადელი, ს. ვ., 2014).

საქართველოს სურსათის ექსპორტი კონცენტრირებულია რამდენიმე პროდუქტსა და არამოთხოვნად ბაზარზე, რაც მას დაუცველს ხდის მცირე რაოდენობით საქონლისა და გეოგრაფიული ბაზრების შოკებისადმი. მწარმოებელთა მიზანი უნდა იყოს მოთხოვნად საექსპორტო ბაზრებზე ეტაპობრივი გადასვლა. გარდა ამისა ექსპორტის განხორციელებას ხელს უშლის ორი მოცემულობა: ნედლეულის დეფიციტი და საექსპორტო ჯაჭვების არასახარბიელო ორგანიზება (მაქსიმოვი, ა., 2017).

როგორც ჩატარებული კვლევა მოწმობს, 2016-2017 და 2018 წლის პირველი ხუთი თვის ანალიზის მიხედვით, ექსპორტის ნომენკლატურაში ჭარბობს ნედლეული ან  შედარებით ნაკლებად ტექნოტევადი საქონელი, რაც მისი შოკებისადმი მაღალ მოწყვლადობას განაპირობებს (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2018). აღნიშნული მდგომარეობა არც 2019* წელსა და 2020* წლის პირველ კვარტალში არის შეცვლილი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

საქართველოს ეკონომიკა ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. ახალი კორონა ვირუსის გავრცელების გამო, საქართველოს მთავრობის 181-ე დადგენილების მიხედვით (საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2020), მკაცრი შეზღუდვები დაწესდა ტრანსპორტთან, გადაადგილებასთან, ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ამ გარემოებამ შეცვალა ეკონომიკური დარგების მიმართ შეხედულება: არსებული საკანონმდებლო რეგულირებით (ამავე დადგენილების მუხლი მე-7) დასაშვებია მხოლოდ სურსათით ვაჭრობა, სააფთიაქო, კომერციული ბანკების მომსახურება, დისტანციური მუშაობა, ადგილზე მიტანის მომსახურება, სამშენებლო საქმიანობა და სხვ. აკრძალულს განეკუთვნება საქმიანობის თავშეყრის ადგილები დახურულ სივრცეში, წარმოება, და სხვ. ე. ი. ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი სამრეწველო დარგების მუშაობა. თუმცა, მოგვიანებით, დადგენილებაში შევიდა ცვლილება სხვადასხვა გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში დასაქმებული ფირმებისთვის საქმიანობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. ამასთანავე, ქვეყანაში დროებით აიკრძალა იმპორტის განხორციელება, ხოლო ექსპორტთან მიმართებაში შეიზღუდა კორონა ვირუსით დაავადებულებისთვის განკუთვნილი განკუთვნილი აუცილებელი სამედიცინო და სხვა საშუალებების გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ (პირბადეები, სამედიცინო ხალათები, სასუნთქი აპარატები და სხვ.) (საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2020).

აღნიშნულმა ვირუსმა გარკვეული გავლენა მოახდინა ადამიანთა განწყობაზე და ეკონომიკურ პროცესებზე, საზოგადოება მაქსიმალურად ცდილობს უსაფრთხოების დაცვას და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიები იმდაგვარად ეცდებიან ბიზნეს პროცესების წარმართვას, რომ შეძლონ დანაკლისის ანაზღაურება მცირე დროში.

საქართველოს წლებია გააჩნია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი (იხ. ნახაზი 1). 2019* წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, წინა წელთან შედარებით, იმპორტის მოცულობა (9.1 მლრდ აშშ დოლარი) დაახლოებით 39 მილიონი ლარითაა შემცირებული, ხოლო ექსპორტის მოცულობა (3.8 მლრდ აშშ დოლარი) გაზრდილია დაახლოებით 408 მილიონი დოლარით; ამავე წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, მშპ 17.7 მლრდ აშშ დოლარია, იმპორტის წილმა მშპ-ში შეადგინა - 51.4%, ექსპორტის წილმა კი - 21% (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

**ნახაზი 1: საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი 2009-2019*[61] წლებში**




***წყარო:*** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

საქართველოს მთავარ საექსპორტო ქვეყანას 2019* წლის წინასწარი მონაცემებით, ისევ აზერბაიჯანი წარმოადგენს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

საგარეო ვაჭრობა, მისი ბალანსი და სტრუქტურა საქართველოს გამოწვევად რჩება, მისი საექსპორტო ქვეყნები ნაკლებად დივერსიფიცირებულია (ჩეჩელაშვილი, ვ., 2019).

2020* წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2 773.9 მლნ აშშ დოლარი იყო, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 2.7%-ით ნაკლებია; საქართველოდან ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 778.2 მლნ აშშ დოლარი, რომელიც წინა წლის პირველი კვარტლის მონაცემებთან შედარებით 5.9%-ით მეტია, ხოლო იმპორტმა - 1 995.8 მლნ აშშ დოლარი, რომელიც 1.4%-ით ნაკლებია წინა წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით; მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი გააჩნია - 1 217.6 მლნ აშშ დოლარი, რომელიც არის საგარეო ვაჭრობის 43.9%; კორონა ვირუსის გავრცელების გამო (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და პრეზიდენტის დეკრეტი გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, 2020), 2020* წლის პირველ კვარტალში იმპორტის მოცულობა წინა წლის შესაბამისი პერიოდის მოცულობასთან შედარებით შემცირებული იყო 78%-ით, ხოლო ექსპორტი - 5.9%-ით; ამის შედეგად ბოლო რამდენიმე წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, 2020* წლის პირველ კვარტალში პირველად გამოვლინდა მცირე უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 1 217.6 მლნ აშშ დოლარი, რომელიც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 85%-ით ნაკლებია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020) (იხ. ნახაზი: 2).

[61] 2019* წლის წინასწარი ინფორმაცია (ავტორი).

**ნახაზი 2: საქართველოს ექსპორტი, იმპორტი და ბალანსი 2016-2020* წლების 1-ლი კვარტლის მიხედვით**




*წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

იმპორტის შემცირება თავის მხრივ დადებითად აისახება სავაჭრო ბალანსზე. ამან შესაძლოა ხელი შეუწყოს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას და წარმოებული პროდუქციის ექსპორტზე გატანას.

კორონა ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით დაწესებულმა შეზღუდვებმა (საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2020) უარყოფითი გავლენა მოახდინა საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელზე. ექსპორტის შემთხვევაში, 2019* წლის მარტში 13.1%-ით მოიმატა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ხოლო 2020* წლის მარტში, 2019* წლის მარტის თვესთან შედარებით, ის 22.1%-ით შემცირდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020) (იხ. ცხრილი 2).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე წელს ვირუსის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა მყისიერი გავლენა მოახდინა იმპორტის მოცულობაზე, ექსპორტის მოცულიბისგან განსხვავებით.

**ცხრილი 1: საქართველოს ექსპორტის მოცულობის ცვლილება წინა წელთან შედარებით 2019*-2020* წლების პირველ კვარტალში**

| თვე | 2019* წლის ცვლილება წინა წელთან შედარებით | 2020* წლის ცვლილება წინა წელთან შედარებით |
|---|---|---|
| იანვარი | 7.2% | 10% |
| თებერვალი | 18.5% | -0.5% |
| მარტი | 13.1% | -22.1% |

*წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

იმპორტის შემთხვევაში 2019* წლის მარტის თვეში, წინა წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით, შემცირდა 11.3%-ით, ხოლო 2020* წლის იმავე თვეში - 13.4%-ით წინა წლის მარტის თვესთან შედარებით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

იმპორტის მონაცემების მიხედვით (იხ. ცხრილი 3), მიუხედავად იმისა, რომ 2020* წლის თებერვალში 7.9%-იანი ზრდა აღირიცხა წინა წლის იმავე თვის მაჩვევენებელთან შედარებით, 2020* წლის მარტის თვეში ამავე წლის თებერვლის მაჩვენებეკთან შედარებით შემცირდა 13.4%-ით აღნიშნული ვირუსის გავრცელების გამო.

**ცხრილი 2: საქართველოს იმპორტის მოცულობის ცვლილება წინა წელთან შედარებით 2019*-2020* წლების პირველ კვარტალში**

| თვე | 2019* წლის პირველი კვარტლის მონაცემის ცვლილება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლთან შედარებით | 2020* წლის პირველი კვარტლის მონაცემის ცვლილება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლთან შედარებით |
|---|---|---|
| იანვარი | 4.4 | 3.4 |
| თებერვალი | 1.4 | 7.9 |
| მარტი | -11.3 | -13.4 |

*წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

2020* წლის იანვარ-მარტში საექსპორტო ჯგუფში, ისევე, როგორ 2019* წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, ისევ დსთ არის პირველ ადგილზე საქართველოს მიერ განხორციელებულ მთლიან ექსპორტის 45.2%-ით, ხოლო ევროკავშირი - 21.3%-ით. რაც შეეხება იმპორტს, ამავე პერიოდში დსთ ისევ პირველ ადგილზეა - საქართველოს მიერ მთლიანად იმპორტირებული მოცულობის 31.3%-ით, ხოლო ევროკავშირი - 23.9%-ით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

ჩვენი კვლევის მიხედვით, ექსპორტის მოცულობა შემცირდა რუსეთში, თურქეთში, უკრაინაში, სომხეთში, აშშ-ში და სხვ. ვგულისხმობთ თითქმის ყველა საქონელს, რომლითაც ვაჭრობს საქართველო აღნიშნულ ქვეყნებთან (იხ. ცხრილი 3).

**ცხრილი 3: საქართველოს მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობის ცვლილება მოცემულ ქვეყნებში 2019*-2020* წლებში 1-ლ კვარტალში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020)**

| ქვეყანა | 2019* წლის პირველი კვარტალი | 2020* წლის პირველი კვარტალი | % ცვლილება |
|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | 10.3 | 15.7 | 42.6 |
| ჩინეთი | 4.2 | 12.8 | 185.9 |
| რუსეთი | 16.4 | 11.7 | -32.6 |
| ბულგარეთი | 8.2 | 10.7 | 22.5 |
| თურქეთი | 6.9 | 6.9 | -5.8 |
| უკრაინა | 7.5 | 6.8 | -14.8 |
| სომხეთი | 7.7 | 5.9 | -28.2 |
| შვეიცარია | 1.9 | 2.7 | 33.1 |
| აშშ | 4.9 | 2.4 | -53.5 |
| ესპანეთი | 0.6 | 2.1 | 222.6 |
| დანარჩენი | 31.2 | 22.1 | -33.3 |

*წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

2020* წლის პირველი კვარტლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, წინა წლის იმავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით, იმპორტის მოცულობა შემცირდა აზერბაიჯანიდან - 1.6%-ით, ჩინეთიდან - 18.2%-ით, იტალიიდან - 10.9%-ით, იაპონიიდან - 17%-ით და სხვ. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

2020* წლის იანვარ-მარტში შემდეგი საქონლის ექსპორტი გაიზარდა: სპილენძის მადნები და კონცენტრატები წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 17.3%-ით, მსუბუქი ავტომობილები - 26%-ით, ხოლო ოქრო - 19.6%-ით; ყველაზე მეტად შემცირდა - სამკურნალო საშუა-ლებები - დაფასოებულის ექსპორტი - 76.8%-ით, ფეროშენადნობების - 39.1%-ით, აზოტოვანი სასუქები - 14.2%-ით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

იმპორტის თვალსაზრისით, 2020* წლის იანვარ-მარტში გაიზარდა სატვირთო ავტომობილების იმპორტი წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 52.9%-ით, ხოლო შემცირდა - სამკურნალო საშუალებების იმპორტი - 19.6%-ით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

ცხრილის 4 მიხედვით, მნიშვნელოვნად შემცირდა სხვადასხვა საქონლის ექსპორტი, აღსანიშნავია, რომ 2020* წლის პირველ კვარტალშიც ნედლი საქონლის ექსპორტი ჭარბობს.

ცხრილი 4: 2019*-2020* წლების 1-ლ კვარტალში
საქართველოს მიერ განხორციელებული ექსპორტის % ცვლილება

| # | დასახელება | 2019* წლის 1-ლი კვარტალი | 2020* წლის 1-ლი კვარტალი | % ცვლილება |
|---|---|---|---|---|
| 1 | ცოცხალი ცხოველები და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები | 75.4 | 14.5 | -80.8 |
| 2 | მცენარეული წარმოშობის პროდუქტები | 161.7 | 33.5 | -79.3 |
| 3 | ცხიმები და ზეთები | 10.7 | 3.8 | -64.4 |
| 4 | კვების მზა პროდუქტები; სასმელები; თამბაქო | 647.6 | 131.3 | -79.7 |
| 5 | მერქანი, მერქნის და ჩალის ნაწარმი | 35.7 | 7 | -80.4 |
| 6 | მინერალური პროდუქტები | 704.8 | 190.9 | -72.9 |
| 7 | ქიმიური და ფარმაცევტული პროდუქცია | 357.7 | 61 | -83 |
| 8 | პლასტმასები, რეზინი და მათი ნაწარმი | 70.3 | 7.9 | -88.8 |
| 9 | ტყავი, ბეწვი და მათი ნაწარმი | 3 | 0.4 | -87.8 |
| 10 | ბოჭკოვანი და ცელულოზური მასალების ნაწარმი | 17.2 | 3.1 | -82.1 |

*წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

ქვეყანაში არსებული მრავალფეროვანი რესურსი არ არის ბოლომდე ათვისებული (თვალჭრელიძე, ა., სილაგაძე, ა., ქეშელაშვილი, გ., გეგია, დ., 2011). ქართული საექსპორტო პროდუქციის და მომსახურების კონკურენტუნარიანობა მდგომარეობს სპეციფიკურ საბაზრო ნიშეზე სპეციფიკური პროდუქციის წარმოებაში (ღაღანიძე, გ., 2018). უპირატესობა ნაკლებად ენიჭება ტექნოტევადი პროდუქციის წარმოებას. აღსანიშნავია, რომ საქართველო არასდროს წარმოადგენდა მკვეთრად საექსპორტო ორიენტაციის ეკონომიკას. ქვეყანას ჯერ არ აქვს იმ დონის სპეციალიზაციო სასოფლო-სამეურნეო სასაქონლო ჯგუფები, როგორც სამხრეთ ნახევარსფეროს ცალკეულ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირში არიან გაერთიანებულები (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2018).

## დასკვნა-რეკომენდაციები

1. საქართველოს საექსპორტო პროდუქცია ძირითადად ისევ ნედლეულს წარმოადგენს, რის გამოც ვირუსის გავრცელებით წარმოქმნილმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა და მისი მოცულობა პირველ კვარტალში მკვეთრად შემცირდა;
2. საექსპორტო საქონლის სიაში უცილებლია დომინირებდეს გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების პროდუქცია, რაც ხელს შეუწყობს მკვეთრი შოკების თავიდან აცილებას და გრძელვადიან პირობებში საქონლის მიწოდებას;
3. ვირუსის გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, ადგილობრივმა წარმოებამ შესაძლოა უფრო მეტად გაააქტიუროს ინტერნეტ-მომსახურება, ინფორმაციის გავრცელება, რაც ხელს შეუწყობს ვაჭრობის მასშტაბის გაზრდას და პროდუქციის ექსპორტზე გატანას;
4. აღნიშნული ეპიდემიის კიდევ ერთი დადებითი მოვლენაა ლოჯისტიკის თანდათანობითი გაუმჯობესება, რაც ექსპორტის განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა;
5. აუცილებელია ამაღლდეს ცნობიერება, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნედლი სახით გაყიდვის მაგივრად, უნდა იწარმოოს ადგილობრივად და სახელმწიფომ მასობრივი მედიისა და სხვა საშუალებით დააინტერესოს საზოგადოება, რომ ჩაერთოს აღნიშნულ პროცესებში;
6. აუცილებელია საგადასახადო კოდექსში შევიდეს ცვლილებები (შეღავათები) ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის წარმოება/ექსპორტით მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებით;
7. იმპორტის შემცირებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ქვეყნის შიგნით შესაბამისი პროდუქციის მეტ-ნაკლებად წარმოების წამოწყება/გაფართოებას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. (2018). *საქართველოს ექსპორტის დინამიკის ცალკეული ასპექტები საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ფონზე.* თბილისი: ღია საზოგადოების ფონდი.
2. თვალჭრელიძე, ა., სილაგაძე, ა., ქეშელაშვილი, გ., გეგია, დ. (2011). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა.* თბილისი: ნეკერი.
3. კრამონ-ტაუბადელი, ს. ვ. (2014, ნოემბერი). საქართველოს აგრო ექსპორტი. *კვლევითი ნაშრომების სერია*, pp. 1-12.
4. მაქსიმოვი, ა. (2017, აპრილი). საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალის ათვისება. *კვლევითი ნაშრომების სერიები*, pp. 1-20.
5. საქართველოს მთავრობის განკარგულება. (2020, იანვარი 28). *matsne.gov.ge*. Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/4821121?publication=29
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება. (2020, მარტი 23). *matsne.gov.ge*. Retrieved from https://matsne.gov.ge/document/view/4830610?publication=32
7. *საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და პრეზიდენტის დეკრეტი გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.* (2020, მარტი 21). Retrieved from საქართველოს პარლამენტი: http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/announcements-all/announcements-main/saqartvelos-prezidentis-brdzaneba-saqartvelos-mtel-teritoriaze-sagangebo-mdgomareobis-gamocxadebis-shesaxeb-da-prezidentis-dekreti-gasatarebel-gonisdziebebtan-dakavshirebit.pag
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020, მაისი 1). Retrieved from https://www.geostat.ge/ka
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020, მაისი 5). *geostat.ge*. Retrieved from https://www.geostat.ge/ka
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). *საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2020 იანვარი-მარტი.* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
11. ღაღანიძე, გ. (2018). *საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
12. ჩეჩელაშვილი, ვ. (2019). *საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელს: ტენდენციები და გამოწვევები.* თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.



***Khatuna Tabagari***


**GENERAL ANALYSIS OF GEORGIAN EXPORT:**
**THE CHALLENGES IN THE CONTEXT OF COVID-19**


**Summary**

The article deals with the analysis of the export of Georgia in the context of the challenges of Covid-19 pandemic.



*სოფიკო თევდორაძე*


## COVID 19-ის გამოწვევები ტურისტული ბიზნესის განვითარებაში - პრობლემები და პერსპექტივები


***ანოტაცია.*** *ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია, რომელიც მშპ-ს დაახლოებით 11%-ს აგენერირებს. 2019 წელს ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 9 357 964-ს მიაღწია, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 7.8%-ით მეტია. თუმცა, მსოფლიო პანდემიის COVID-19-ის შედეგად გამოწვეული მოგზაურობის შიშმა და ჩაკეტილმა საზღვრებმა ყველაზე ნეგატიური გავლენა სწორედ ტურიზმის ინდუსტრიაზე იქონია. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წელს საქართველო პოზიციონირდება როგორც უსაფრთხო დანიშნულება, ვინაიდან ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ღონისძიებები დროულად გატარდა და დღეს ქვეყანაში სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.*



***საკვანძო სიტყვები:*** *ტურისტული ბიზნესი, მსოფლიო პანდემია - COVID 19, ახალი გამოწვევები.*

ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის, საერთაშორისო კავშირების თუ საქმიანი აქტივობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყანაში მშვიდობისა და განვითარების სტაბილურობას, შემოსავლების ზრდის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით. ეს დარგი თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკის ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი დარგი, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას და შესაბამისად, ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას. ტურიზმი უფრო სწრაფად ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგები, იგი იძლევა ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის დაბალანსების საშუალებას. თუმცა, დღეს ტურისტული ბიზნესი ახალი გამოწვევის, მსოფლიო პანდემიის _ COVID - 19 წინაშე დგას.

2019 წლის დეკემბერში მსოფლიო პანდემია სახელწდებით - COVID 19  ჩინეთის ქალაქ უხანში გაჩნდა, შემდეგ კი გავრცელდა ჩინეთის სხვადასხვა პროვინციაში. დღეს კი კორონავირუსი მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაში ფიქსირდება და  ინფიცირებულთა რაოდენობა, მსოფლიოს მასშტაბით, მილიონ 800 ათასს აჭარბებს.

ადამიანების ჯანმრთელობაზე გავლენის გარდა, კორონავირუსმა მსოფლიო ეკონომიკაზეც იქონია მნიშვნელოვანი გავლენა.  მონაცემთა პლატფორმის statista.com-ის თანახმად, ყველაზე მეტად კი კორონავირუსისგან  ტურიზმისა და ტრანსპორტირების სექტორი დაზარალდება[62].

კორონავირუსის პანდემიამ დიდი გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკაზე,  თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიოში არსებული მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლება, ამ ეტაპისთვის შეუძლებელია განსაზღვრო აღნიშნული გავლენის მასშტაბები. კორონავირუსის პანდემიის ეფექტს ხშირად მესამე მსოფლიო ომსაც კი ადარებენ და ვირუსის აღმოფხვრისთანავე, მსოფლიოს ნომერ პირველ გამოწვევად არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება გახდება.

დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს  მსოფლიოში COVID-19-ის პანდემიის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევები, რომელიც  გლობალურ ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისად იქცა. იბადება უამრავი კითხვა  მისი როლისა და გავლენის შესახებ როგორც ახლო, ასევე გრძელვადიან პერიოდში ტურიზმის სექტორზე, რომელმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო COVID-19-ისგან, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, რთულია საერთაშორისო ტურიზმზე კორონავირუსის გავლენის შეფასება, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) შეფასებით, 2020 წელს საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები შემცირდება 1-3%-ით, წინაზე ნავარაუდევი 3-4%-იანი ზრდის ნაცვლად.[63] რაც ნიშნავს, საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯებიდან მიღებული თანხების 30-50 მილიარდი აშშ დოლარით შემცირებას.

Mobility Market Outlook on COVID-19-ის მიხედვით, 2020 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის გლობალური შემოსავალი, სავარაუდოდ, იქნება  568.6 მილიარდი აშშ დოლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 17%-ით ნაკლებია[64]. აღნიშნული მონაცემი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება 2020 წლის საწყის პროგნოზს, დაახლოებით 712 მილიარდ აშშ დოლარს.

UNWTO-ს თანახმად, ამ ეტაპისთვის COVID-19-ისგან ყველაზე მეტად დაზარალდა აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი, სადაც საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები შემცირდა 9-12%-ით, იანვარში ნავარაუდევი 5-6%-იანი ზრდის ნაცვლად. აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა კუთხითაც დაზარალდა. Statista.com-ის მონაცემებით, მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის ბაზარი 2020 წელს, სავარაუდოდ, 75.2 მილიონ სამუშაო ადგილს დაკარგავს[65].

2020 წელს აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონში ნავარაუდევია, რომ იქნება 48.7 მილიონი სამუშაო ადგილით ნაკლები, ხოლო ევროპა,  დანაკარგის სიდიდით, რიგით მეორე რეგიონი იქნება, რომელიც აღნიშნულ ინდუსტრიაში, სავარაუდოდ, 10.1 მილიონ სამუშაო ადგილს დაკარგავს  (იხ. გრაფიკი1).

[62] https://www.statista.com/statistics/1106302/coronavirus-impact-index-by-industry-2020/

[63] The World Tourism Organization, “Tourism and COVID-19”, March 27, 2020  https://www.unwto.org/tourism-covid-19-coronavirus

[64] https://www.statista.com/forecasts/1103426/covid-19-revenue-travel-tourism-industry-forecast

[65] https://www.statista.com/statistics/1104835/coronavirus-travel-tourism-employment-loss/




**გრაფიკი 1. კორონავირუსის გამო 2020 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიაში ნავარაუდევი სამუშაო ადგილების დანაკარგი რეგიონების მიხედვით (მილიონი)**

*წყარო:* statista.com

COVID-19-მა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოსაც. გაზრდილი მოთხოვნა პროდუქტზე, უმუშევრობის (დროებითი მაინც) გარდაუვალი ზრდა, სიღარიბის მაჩვენებლის გაზრდა, ეროვნულ ვალუტაზე სხვადასხვა ფაქტორების ზეწოლა, ტურიზმისა და საერთაშორისო გზავნილების შემცირება - ეს ის ხილული ეკონომიკური ეფექტებია, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ საკუთარ თავზე უკვე განიცადა.

თუმცა, მსოფლიოში საქართველო ევროპის იმ ქვეყნების ჩამონათვალშია, სადაც COVID-19 ვირუსის საწინააღმდეგო ღონისძიებები ადეკვატურად და დროულად გატარდა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ის, რომ სიტუაცია ქვეყანაში კონტროლს ექვემდებარება. საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს, საქართველო გახადოს პირველი ქვეყანა, რომელიც კორონავირუსის პანდემიის გამო თვეების განმავლობაში ჩაკეტვის შემდეგ, გახსნის კარს და მიესალმება საერთაშორისო მოგზაურებს ახალი იმიჯით - "საქართველო - უსაფრთხო დანიშნულება!".[66]

მთავრობის დადგენილებით, საქართველოში შიდა ტურიზმი 15 ივნისს განახლდა, ხოლო საერთაშორისო ტურისტებს 1 ივლისიდან უმასპინძლებს. ტურიზმის მესვეურთ სწორედ ახლა მართებთ გააანალიზონ COVID-19-ის პანდემიის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევები და დროულად მოახდინონ არსებულ გარემოსთან ადაპტირება.[67]

COVID-19 პანდემიის დროს ტურისტულმა კომპანიებმა უნდა შეძლონ ონლაინ ტურიზმზე მობილიზება. შესაძლებელია, შეიქმნას ისეთი ვირტუალური ტურები, რომლებიც მოახდენს საქართველოს ტურისტული ადგილების პოპულარიზაციას.

სასურველია, ქართულმა ტურისტულმა ბიზნესმა სწორედ ინტერნეტსივრცეში მოახდინოს სრული ინტეგრირება, აითვისოს ინტერნეტ-მარკეტინგის ინსტრუმენტები, ტურისტული პროდუქტების ეფექტურად წარდგენისა და რეალიზების არხები, დროულად შეძლოს ადაპტირება იმ გამოწვევებთან, რომელიც უკავშირდება მსოფლიოში არსებულ პანდემიას, განავითაროს და უფრო მიმზიდველი გახადოს: ვებგვერდები, სოციალური მედიის ტექნოლოგიები, ტურისტული ონლაინ აპლიკაციები, შეიმუშაოს ონლაინ გაყიდვისა და გაყიდვის შემდგომი მომსახურების ფორმები.

ტურიზმის სექტორს ნამდვილად შესწევს მოულოდნელ მოვლენებთან ადაპტაციის უნარი. ამ ეტაპისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ისეთ კომპანიებს, რომლებიც ადგილობრივ ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებულ ეკოტურიზმის პროდუქტებს გვთავაზობენ და, რაც მთავარია, ხელს არ შეუწყობს გადატვირთვას. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, ტურისტულმა კომპანიებმა უფრო მგრძნობიარე გახადონ მათი პროდუქტები მომავალი პანდემიებისთვის. კომპანიების მთავარი ამოცანა კი როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის თვალ-საზრისით , რეალურად, მდგრადი პროფილისკენ უნდა იყოს მიმართული, რომელიც ადვილად მოახდენს ახალი გამოწვევების შედეგად წარმოქმნილ ცვლილებებთან ადაპტირებას.

[66]https://tinyurl.com/y7vnjlqy
[67]https://tinyurl.com/y7vnjlqy

## გამოყენებული ლიტერატურა


1. https://www.statista.com/statistics/1106302/coronavirus-impact-index-by-industry-2020/
2. The World Tourism Organization, “Tourism and COVID-19”, March 27, 2020 https://www.unwto.org/tourism-covid-19-coronavirus
3. https://www.statista.com/forecasts/1103426/covid-19-revenue-travel-tourism-industry-forecast
4. https://www.statista.com/statistics/1104835/coronavirus-travel-tourism-employment-loss/
5. https://tinyurl.com/y7vnjlqy


***Sofiko Tevdoradze***

## COVID 19 CHALLENGES IN THE DEVELOPMENT OF TOURISM BUSINESS – PROBLEMS AND PERSPECTIVES

### Summary


Tourism is an important part of country economics, international relations, or business activities. Tourism can support peace and sustainable development of the country via increase of income, diversification of the economics, protection of the environment and by drawing together different cultures. This branch was established at modern stage as the most rapidly developing branch of economics. It considerably enhances the level of foreign currency flow to the country, creation of workplaces, overcoming the poverty, social and economic welfare of the population and, consequently, accelerated development of economics. Tourism creates workplaces much quicker than other branches of economics. It gives the possibility to balance the growth of economic potential.

Tourism is one of the most significant sectors of the economics of Georgia, which generates almost 11% of GDP. In 2019 the overall number of the visitors reached 9357964, which is in 7.8 % more than that of previous year. However, the fear of traveling caused by world pandemic COVID-19 and closed boarders had the most negative influence on tourism industry. Nevertheless, it is also noteworthy that Georgia is positioned as a safe destination this year. Due to timely prevention measures taken against the virus, the situation in the country is under control.

By government decision, the inner tourism was restored on 15th of June. Georgia will host first international tourist on July 1st. Tourism actors must analyze right now the challenges facing them because of the world pandemic COVID-19 and duly adapt to the existing environment. During pandemic COVID –19, tourism companies should take the following steps:

- Mobilize on online tourism.
- Completely integrate into internet space.
- Adopt the tools of internet marketing, channels of effective presentation and realization of tourism products.

At this stage, the attention should be focused on such companies, which offer ecotourism products based on local natural and cultural heritage and what is most important, which will not cause overload. Besides, tourist companies should make their products more sensitive to future pandemics. Their main task from demand and supply viewpoint should be directed to really sustainable profile that would easily adapt to the changes emerging as a result of new challenges.


*ციცინო თეთრაული*

## პანდემია და მისგან გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები


***ანოტაცია.*** *პანდემიამ მთელი მსოფლიო უდიდესი გამოწვევების წინაშე დააყენა. დაიღუპნენ და დაავადდნენ ადამიანები, გაჩერდა მსოფლიო ეკონომიკა. მსოფლიო დიდი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. კორონავირუსმა ახალი დღის წესრიგი დაგვიდგინა. ნაშრომში განხილულია ვირუსის არსი და ბუნება. გაანალიზებულია `მწვანე~ ეკონომიკის როლი და მნიშვნელობა. განხილულია ის ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც პანდემიის პირობებში კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ჩვენს ქვეყანაში, გაშუქებულია მისი გადაჭრის გზები.*



***საკვანძო სიტყვები:*** *ვირუსი, ნუკლეოპროტეიდი, ”მწვანე ეკონომიკა”, ეკონომიკური რეცესია, ვაქცინა.*


### შესავალი

პანდემია უდიდესი გლობალური პრობლემაა. მასთან გამკლავება უჭირს მსოფლიოს. ეს არსად არ წასულა ”დამოკლეს მახვილივით” ჩვენს თავზე კიდია. ერთმა უჩინარმა ვირუსმა დააპაუზა მსოფლიო. გააჩერა ეკონომიკა. ადამიანებმა დაკარგეს სამუშაო ადგილები. მსოფლიო ცდილობს კრიზისთან

გამკლავებას.

* * *

გლობალიზაციამ მსოფლიოს ქვეყნები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, ”ღია ეკონომიკის” პირობებში ნებისმიერი ქვეყნის განვითარება წარმოუდგენელია გლობალიზაციის გვერდის ავლით. გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია და ”ახალ მსოფლიო წესრიგს” ნიშნავს. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობა 2025 წელს 8 მილიარდს მიაღწევს, ხოლო 2050 წელს 10 მილიარდამდე გაიზრდება. მოსახლეობა იზრდება, ბუნებრივი რესურსები კი მცირდება. გლობალიზაციის პირობებში მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმადაც დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. ახლანდელმა თაობამ არ უნდა იცხოვროს მომავალი თაობების ხარჯზე. მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ სფეროებს.

”მწვანე” ეკონომიკის იდეა შემუშავდა მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველზე და მისი განვითარების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი გზაა, მაგრამ ”მწვანე” ეკონომიკის პირობებში ძირითადი აქცენტი გადატანილია რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, შენარჩუნებასა და განვითარებაზე. ”მწვანე” ეკონომიკა გულისხმობს ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად რაციონალურ გამოყენებას. ინდუსტრიული საზოგადოება მოიხმარს დიდი რაოდენობის განახლებად და არა-განახლებად ბუნებრივ რესურსებს, რაც მნიშვნელოვან ანთროპოგენურ გავლენას ახდენს გარემოზე. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, ბუნებრივი წიაღისეულის მარაგები უკვე ”გამოცარიელებულია”. ეკოლოგიაზე ზეწოლამ კაცობრიობა ისეთი გლობალური ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დააყენა როგორიცაა: გლობალური დათბობა, ოზონის შორის შემცირება, ჰაერის დაბინძურება, წყლის დაბინძურება, ნიადაგის დაბინძურება, გაუდაბნოება, ნიადაგის ეროზია, ბიომრავალფეროვნების შემცირება, სურსათის უსაფრთხოება, ნარჩენების ნაკადი და ა.შ.

”მწვანე” ეკონომიკა განვითარების ის მოდელია, რომლის საშუალებითაც მსოფლიო შეძლებს დარღვეული ბალანსი აღადგინოს ეკოლოგიასა და ეკონომიკას შორის. ”მწვანე” ეკონომიკა 6 მთავარ სექტორს მოიცავს: 1. განახლებადი ენერგია (მზის, ქარის, გეოთერმული, ტალღების მიქცევ-მოქცევის, ბიოგაზის, სითბური უჯრედების ენერგია). 2. მწვანე შენობები (ენერგიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტების და მასალები). 3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტროსატრანსპორტო საშუალებები). 4. წყლის მენეჯმენტი (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება). 5. ნარჩენების მენეჯმენტი (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა). 6. მიწის მენეჯმენტი (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

ადამიანის ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ადამიანი ბუნებას უყურებს როგორც მეწველ ძროხას და ცდილობს რაც შეიძლება მეტი გამოსძალოს მას. თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ნებისმიერი პრობლემის გადაჭრას, მაგრამ ტექნოლოგია უბრალოდ ვერ მოაგვარებს პრობლემას, რომელიც გულისხმობს ბუნებრივი რესურსების წარმოქმნასთან შედარებით, მის უფრო სწრაფ მოხმარებას. ერთ დღესაც ჩვენ ამოვწურავთ მათ, უფრო მეტიც, გლობალიზაციის პირობებში ურთიერთდაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკა ამოწურავს ეკოლოგიურ ლიმიტს. ქვემოთ კიდევ შევეხებით ”მწვანე” ეკონომიკას.

ამჟამად მსოფლიო დგას ისეთი გლობალური გამოწვევის წინაშე, როგორიც არის პანდემია. მისი გამომწვევია ერთი პატარა თვალით უხილავი ვირუსი, რომელიც ”კორონას” სახელით არის ცნობილი, COVID-19. ეპიდემია შარშან წლის ბოლოს დაიწყო ჩინეთში, ქალაქ უხანში, ეპიდემია ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ მსოფლიოში და გადაიზარდა პანდემიაში. ვირუსმა არ იცის საზღვრები, არ სცნობს პერსონებს, არ ანსხვავებს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს. დაიღუპა ასი ათასობით ადამიანი, მილიონობით ადამიანი დაინფიცირდა. გაჩერდა ყველა და ყველაფერი, ეკონომიკა, სასწავლო პროცესი, ყველანაირი საზოგადოებრივი აქტივობა. მსოფლიომ დაიწყო კარანტინის რეჟიმით ცხოვრება, რათა ვირუსის გავრცელება შეეკავებინა. ადამიანები მოექცნენ იზოლაციაში. სავალდებულო გახდა სოციალური დისტანციის დაცვა, სამედიცინო პირბადისა და ხელთათმანის ტარება, ანტიბაქტერიული საშუალებების ინტენსიური გამოყენება. დარჩა მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები-მარკეტები, აფთიაქები. საავადმყოფოები, მსოფლიო გაჩერდა. მსოფლიო დაპაუზდა. ადამიანის ამბიციას,

რომ ის ყოვლისშემძლეა, ცივი წყალი გადაასხა "კორონამ". ამ უხილავმა ბუნების პატარა ქმნილებამ მსოფლიო თავდაყირა დააყენა. ადამიანის უძლეველობის მითი დაიმსხვრა. ამჟამად მსოფლიო ცხოვრობს "კორონას" დღის წესრიგით. პანდემია აღმოჩნდა ის გამოწვევა რომლისთვისაც მსოფლიო არ იყო მზად. რომელთან გამკლავებაც ძალიან უჭირს ცივილიზებულ მსოფლიოს, ტექნოკრატიულ საზოგადოებას. ჯერჯერობით არ არსებობს ვაქცინა, არც წამალი, რომელიც პირდაპირ იმოქმედებს ვირუსზე. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ეპიდემიოლოგები აანონსებენ პანდემიის მეორე ტალღას, მესამე და მეოთხესაც. უნდა მივეჩვიოთ ვირუსთან ერთად ცხოვრებას, მასთან კოჰაბიტაციას. რა იქნება და როგორ განვითარება მოვლენები ძნელი სათქმელია. ვირუსმა გადაფარა ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ყველა გლობალური გამოწვევა. როგორც ჩვენმა პრემიერმა აღნიშნა, ორ ფრონტზე გვიწევს ბრძოლა: პანდემია და ეკონომიკა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენმა მთავრობამ ბატონ გ. გახარიას ხელმძღვანელობით, მთელმა სახელმწიფო ვერტიკალმა ჩვენს შესანიშნავ ექიმებთან ერთად (თ. ცერცვაძე, თ. გამყრელიძე, პ. იმნაძე, მ. ეზუგბაია, ლ. რატიანი), ბრწყინვალედ გაართვა თავი პანდემიასთან ბრძოლას, მის შეჩერებას. მთავრობამ დიდი პროფესიონალიზმი და გამჭრიახობა გამოიჩინა ამ გლობალურ კრიზისთან ბრძოლაში, რამაც მსოფლიოს ყურადღება მიიქცია და დადებითი გამოხმაურებაც მოჰყვა.

პანდემიასთან ბრძოლა გრძელდება, ექიმების პროგნოზებიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით, 2021 წელს ისევ პირბადეებით შევხვდებით. "კორონა" ვირუსი ზოონუზური წარმოშობისაა. ოფიციალური ინფორმაციით, იგი ღამურადან "გადახტა" ადამიანში, განიცადა მუტაცია და შემდეგ დაიწყო უკვე ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა. ვინაიდან ვირუსმა მთლიანად შეცვალა ჩვენი ყოფა-ცხოვრება, ჩვენი ყოველდღიურობა ("ჩაგვისახლდა") და დაგვიდგინა ახალი დღის წესრიგი, შევეცდებით გავცეთ პასუხი კითხვას – რა არის ვირუსი?

ვირუსი ბიოლოგიის ერთ-ერთი უდიდესი გამოცანაა. "ცოცხალია" თუ არა იგი ჯერ კიდევ საკამათოა. ვირუსი შეიძლება მოვათავსოთ ალბათ სადღაც მოლეკულასა და ცოცხალ ორგანიზმს შორის. მაინც რა არის ვირუსი? ვირუსს შესაძლებელია მივცეთ მხოლოდ ერთადერთი განსაზღვრება, რომელიც მისაღები იქნება ყველა მეცნიერისათვის, ვირუსი არის უსასრულოდ მცირე ზომის სხეული, რომელსაც შეუძლია შეიჭრას ორგანიზმში, გამოიწვიოს თითქმის ყველა ცოცხალი არსების დაავადება და გამრავლდეს მხოლოდ ცოცხალ უჯრედში. ვირუსს უნარი აქვს, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ ამჟღავნებდეს სიცოცხლის რაიმე ნიშნებს. ასეთ მდგომარეობაში მას შეუძლია დარჩეს წლების მანძილზე, ამასთან, ყოველ წამს მზადაა "გაცოცხლდეს". საკმარისია მხოლოდ ამთვისებელი უჯრედი გამოჩნდეს, რომელსაც ვირუსი დააავადებდა. ასეთი ინფექციის განვითარების პროცესში მას შეუძლია წარმოშვას ვირუსის ახალი ფორმა, რომელიც დაღუპვამდე მიიყვანს მილიონობით ადამიანს. პირველად ვირუსი 1892 წელს აღმოაჩინა რუსმა მეცნიერმა დიმიტრი ივანოვსკიმ, თამბაქოს მოზაიკური დაავადების შესწავლისას. დ. ივანოვსკიმ მიიღო მოზაიკის ავადმყოფობით დაავადებული თამბაქოს მცენარის ექსტრაქტი და გაატარა იგი ულტრაფილტრში, რომელიც ძალიან მცირე ზომის ბაქტერიებსაც კი არ ატარებს. მან აღმოაჩინა, რომ ეს ექსტრაქტი შეიცავდა რაღაც იმდენად მცირეს, რომ იგი ფილტრში გადიოდა. თანაც თუ ამ "რაღაცას" ჯანმრთელი თამბაქოს მცენარეზე წავუსვამდით, მოზაიკურ დაავადებას იწვევდა. აი, ეს მცირე "რაღაც" აღმოჩნდა ვირუსი. ამ აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა ვირუსოლოგიას.

შემდგომში დიდმა ამერიკელმა მეცნიერმა უენდელ სტენლიმ, რომელიც თამამად შეიძლება ვაღიაროთ თანამედროვე ვირუსოლოგიის მამამთავრად, 1935 წელს მეცნიერების ისტორიაში პირველმა მიიღო ვირუსი სუფთა კრისტალური სახით. ეს იყო თამბაქოს მოზაიკის ვირუსი. "ყველა ვირუსის პაპა", როგორც მას თვით უ. სტენლი უწოდებდა. ამ მიღწევის მნიშვნელობა უდიდესია, მან გახსნა ვირუსების სუფთა სახით მიღების, მათი აღნაგობისა და თვისებების ღრმად შესწავლის გზა. ამ აღმოჩენამ უ. სტენლის მოუტანა დამსახურებული ჯილდო, ნობელის პრემია. ვირუსის პოტენციური შესაძლებლობები ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ პოლიომიელიტის ვირუსის მაგალითზე. ცოცხალ უჯრედში მოხვედრილ ერთ უმცირეს ნაწილაკს რამდენიმე საათში შეუძლია წარმოშვას პოლიომიელიტის 10 000-მდე ნაწილაკი. ყოველი მთაგანი კი ისეთივე ინფექციურია, როგორც მათი წარმომშობი, სინჯარაში მოთავსებული პოლიომიელიტის ვირუსის რთული კრისტალი იმდენ ვირუსულ ნაწილაკს შეიცავს, რომ ისინი იკმარებდა დედამიწის ზურგზე მთელი მოსახლეობის პოლიომელიტით დასაავადებლად, თუკი ყველა ადამიანი ამ დაავადების მიმართ ამთვისებელი აღმოჩნდებოდა.

არსებითად, ვირუსი პარაზიტია, რომელსაც უნარი აქვს გამრავლდეს მხოლოდ მაშინ, როცა ცოცხალ უჯრედში იმყოფება. მაგრამ უჯრედში რომ მოხვდეს, ვირუსი ისე იქცევა თითქოს მისი ქრომოსომული აპარატის ნაწილია და, როგორც ვხედავთ, ახერხებს კიდეც, მოტყუებით აიძულოს უჯრედი წარმოქმნას ახალი ვირუსული ნაწილაკები, არსებითად ვირუსი შედგება ორი ნივთიერებისაგან - ცილისა და ნუკლეინის მჟავისაგან. დანიელმა ბოტანიკოსმა ვ. ბაიერინკმა პირველმა მიუთითა, რომ

ვირუსი ინფექციური დაავადების სუბმიკროსკოპული აღმძღვრელია. მან თავის აღმოჩენილ აღმძვრელს დაარქვა ლათინური სახელი ვივუს, რაც ნიშნავს "შხამს". მალე თმვ-ს (თამბაქოს მოზაიკის ვირუსი) შემდეგ ყვითელი ციებ-ცხელება და ზოგიერთი სხვა ვირუსიც აღმოაჩინეს. მაგრამ მხოლოდ 1931 წელს მოახერხეს მტკიცეთ დაედგინათ, რომ ვირუსი მკვრივი ნაწილაკია და არა "შხამიანი სითხე". 4 წლის შემდეგ კი უ. სტენლი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თამბაქოს მოზაიკის ვირუსი ცილოვან მოლეკულას წარმოადგენს, ვირუსის კრისტალი (თმვ) შედგება ათეულ ათასობით ინდივიდუალური ინფექციური ვირუსული ნაწილაკისაგან და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება ათეული წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ მილესილსაცობიან შუშაში, კიდევ აქვთ უნარი, გამოიწვიონ თამბაქოს ფურცლის დაავადება.

ცნობამ იმის შესახებ, რომ თამბაქოს მოზაიკის ვირუსი წარმოადგენს ცილას და შეიძლება მისი გადაყვანა კრისტალურ მდგომარეობაში, ცხარე კამათი გამოიწვია მეცნიერებაში. იმხანად ვირუსებს "ცოცხალ ორგანიზმებად" თვლიდნენ და "ცოცხალი კრისტალის" არსებობა რაღაც დაუჯერებელი ჩანდა. მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის ბიოქიმიკოსებმა შეძლეს გამოეკრისტალებინათ ბევრი სხვა ვირუსი და ვირუსის ორგვარი ბუნებაც დამტკიცდა, 1937 წელს ინგლისელმა ბიოქიმიკოსმა ფ. ბოუდენმა და ნ. პირიმ აღმოაჩინეს, რომ თმვ არ არის წმინდა ცილა, გამოირკვა, რომ მასში 95% ცილაა, ხოლო დანარჩენ 5%-ს შეადგენს ნუკლეინის მჟავა. სახელწოდება "ნუკლეინის მჟავა" წარმოიშვა იქიდან, რომ პირველად ერთ-ერთი ამ მჟავათაგანი აღმოაჩინეს ცოცხალი უჯრედის ბირთვში. ლათინურად nucleus - ნიშნავს ბირთვს. ამრიგად ვირუსი ცილა კი არა ნუკლეოპროტეიდია - ნუკლეინის მჟავასა და ცილას ქიმიურად მყარი ნაერთი. ყოველი ცოცხალი უჯრედის ბირთვი შეიცავს ნუკლეიპროტეიდს. მარტივი ვირუსული ნაწილაკი შეიძლება ჩაითვალოს ნუკლეიპრტეიდულ მოლეკულად, ეს გიგანტური მოლეკულა შედგება ნუკლეინის მჟავას მოლეკულასა და მოზრდილი ცილოვანი მოლეკულისაგან ცილოვანი მოლეკულა ნუკლეინის მჟავას დამცველი გარსის როლს ასრულებს, ზოგიერთ ვირუსს აქვს სპეციალიზებული სტრუქტურა, მათ მიეკუთვნება ბაქტერიალური ვირუსების კუდისებური წანაზარდი და მათგან გამომავალი ძაფები. გარდა ამისა, ვირუსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცილისა და ნუკლეინის მჟავას ურთიერთშეფარდებით, ანდა მათში შემავალი ნუკლეინის მჟავას ხასიათით, ცნობილია ნუკლეინის მჟავას 2 სახესხვაობა: რიბონუკლეინის მჟავა (რნმ), რომელიც შეიცავს შაქრის რიბოზას და დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ), რომელიც დეზოქსირიბოზას შეიცავს, ცნობილია რამდენიმე მცენარე, მაგალითად ტიტა (ტულპანი), რომლებსაც უკეთესი ფორმა და შეფერილობა ეძლევათ, როდესაც გარკვეული შტამის ვირუსით არიან დაავადებული, ასეთ ტულპანების მზრუნველობით აშენებენ წლების განმავლობაში.

სანამ ადამიანმა არ იცოდა ვირუსების არსებობა, მაინცდამაინც არავის აწუხებდა, რას ნიშნავს - "იყო ცოცხალი". ცოცხალ ორგანიზმებად ითვლებოდა ცხოველები, ფრინველები, მცენარეულობა, არაცოცხლად - მინერალები და მათ შორის განსხვავება არავითარ ეჭვს არ იწვევდა, როდესაც გამოირკვა რომ ვირუსს უჭირავს რაღაც საკმაოდ გაურკვეველი, ნეიტრალური ადგილი ცოცხალ და მინერალურ სამყაროს შორის, ძველ ფილოსოფიურ კითხვას "რა არის სიცოცხლე", ახლებური გაგება მიენიჭა და ამ ახალ პირობებში აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ გაძნელდა, აღმოჩნდა, რომ საბოლოოდ ის ნიშნები, რომელთა საფუძველზეც განასხვავებენ ცოცხალს არაცოცხალისაგან, არცთუ ისე გარკვეულია. ცოცხალ არსებათა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დამახასიათებელ თვისებად შეგვიძლია საკმაო რაოდენობის ნიშნების დასახელება, რომელთაგან თითოეულს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ მათი უმრავლესობა შეიძლება გავაერთიანოთ შემდეგნაირად: მოძრაობა, ორგანიზაცია, აგზნებადობა, ზრდა და კვლავწარმოება. უსულო სამყარო, რასაკვირველია, მთლიანად არ არის მოკლებული ყველა იმ თვისებას, რაც ცოცხალ სამყაროს გააჩნია. თოვლის კრისტალს თავისებური უცნაური სტრუქტურა და ნაირფეროვნება ახასიათებს. იზრდება მყინვარები და კრისტალები. მრავალი საგანი, ატომიდან დაწყებული, გათავებული პლანეტებით, მუდამ მოძრაობაშია. მაგრამ არის ისეთი რამ, რასაც უსულო საგნები სრულიად მოკლებულნი არიან, ეს არის თვითწარმოქმნისა და გამრავლების უნარი. გამრავლების გარეშე კი, ბუნებრივია, შეუძლებელია მუტაციური პროცესი (მუტაცია ლათ. mutatio - შეცვლა, ცვლილება). თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ რომ გამრავლება და მუტაცია მხოლოდ ბუნებას ახასიათებს, მაგრამ როგორც კი ვირუსებს მივმართავთ, მაშინვე დაგვაეჭვებს ამ დებულების სისწორე. რადგან ვირუსებს ნამდვილად აქვთ რეპროდუქციისა და მუტაციის უნარი, სხვა მხრივ კი არაცოცხალ ნივთიერებებს ემსგავსებიან. ჩვეულებრივ უსიცოცხლო ქიმიურ შენაერთებთან შედარებით ვირუსები მაღალორგანიზებულად გვეჩვენება, მაგრამ ცოცხალ უჯრედთან შედარებით ისინი არაჩვეულებრივად პრიმიტიულნი არიან, უჯრედიდან განცალკევებულ ვირუსებს არ გააჩნია დამოუკიდებელი მოძრაობისა და ზრდის უნარი და უსიცოცხლო ქიმიურ ნივთიერებებს ემსგავსება. ვირუსი ვეებერთელა მოლეკულაა და გააჩნია დიდი მოლეკულებისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება, ვირუსს შეუძლია იარსებოს

ცალკეული ვირუსული ნაწილაკების სახით ჰაერში, წყალში, ნიადაგში. მტვრის ნაწილაკების მსგავსად, შეიძლება ეს ნაწილაკები გაერთიანდნენ და წარმოქმნან კრისტალები. მაგრამ როგორც კი ვირუსი შეიჭრება უჯრედში იგი იწყებს თვითწარმოქმნას. პირველ რიგში ის იყოფა ნაწილაკებად და კარგავს თავის ინდივიდუალიზმს, როგორც ვირუსი. ფაქტობრივად ვირუსის ნუკლეინის მჟავა ისე იქცევა, თითქოს ის უჯრედის ფუნქციონური ნაწილი იყოს, ვირუსებმა საშუალება მოგვცა უფრო ღრმად ჩავწვდომოდით სიცოცხლის ბუნებას ზოგიერთ ასპექტში.

ორგანიზმებს შორის ვირუსი - ზრდადაუმთავრებელი ჯუჯა და სისხლისმსმელი პარაზიტია, მოლეკულებს შორის კი, საუკეთესო თვისებებით აღჭურვილი გოლიათი. მისი ეს ორბუნებოვანება დღემდე გამოცანად რჩება, ვირუსები მრავალნაირი ფორმისა და ზომისანი არიან. ვირუსული კრისტალი ძვირფასი ქვაა, თუმცა მას მიკროსკოპული ზომები აქვს. იწონის სულ 1/200 კარატას (1 მგ) და უფრო ნაკლებსაც კი. იგი დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ძალიან ძვირია და ხშირად ძალიან ლამაზია. ამაში დავრწმუნდებით, თუ შევხედავთ კოკსეკის ვირუსის კრისტალებს, ასევ კრისტალებს შეუძლიათ იარსებონ ათეული წლების განმავლობაში. ისინი ბრილიანტზე მეტ სიცოცხლის ნიშნებს არ ამჟღავნებენ. გამომშრალ მდგომარეობაში მათ შეუძლიათ დარჩნენ განუსაზღვრელად დიდხანს, ეს ფაქტები თითქოსდა საკმაო საფუძველია იმისთვის, რომ ვირუსები მოლეკულებს მივაკუთვნოთ, მაგრამ ვირუსს აქვს ერთი თვისება რომელიც ამის ნებას არ გვაძლევს, ვირუსი ნიშნავს შხამს, ვირუსული კრისტალი კი ძვირფასი შხამიანი ქვაა, რომელსაც ყოველ წუთს შეუძლია დაუბრუნდეს სიცოცხლეს, გადაიქცეს მკვლელად და წარმოშვას მასავით უსისოცხლო მილიარდი კრისტალი. ცოცხალი არსებების მუტაციის უნარი, რომელიც იწვევს ახალი ნიშან-თვისებების მქონე ცალკეული ინდივიდუუმების წარმოშობას, უზრუნველყოფს ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის უწყვეტობას. ის ფაქტი, რომ ვირუსებსაც აქვთ მუტაციის უნარი, ცხადყოფს რა სიძნელეებიც ახლავს ვირუსულ ავადმყოფობასთან ბრძოლას. ამიტომ მეტად არასერიოზულია, როდესაც გვესმის ფრაზები - "კორონა ჩვეულებრივი გრიპია", "მალე გადაივლის" და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მედიცინა ძალიან განვითარებულია და დიდ წარმატებებსაც მიაღწია ბევრი დაავადების დაძლევის კუთხით, ბევრი რამ მაინც იდუმალებით არის მოცული. თუნდაც ვირუსის ორბუნებოვანება და მისი ქცევის თავისებურებები. ვირუსები რომ არ იცვლებოდეს, მაშინ მათი მსხვერპლის დიდი ნაწილი კარგა ხანია გამოიმუშავებდა ეფექტურ საშუალებას მათგან თავდასაცავად. რადგან ვირუსს თვითონაც აქვს მუტაციის უნარი, მაშინ ბუნებრივია, ორგანიზმი, რომელმაც გამოიმუშავა მდგრადობა მოცემული ვირუსისადმი, ყოველთვის გამარჯვებული ვერ გამოვა. ასე მაგალითად, 1943 წელს შექმნეს ეფექტური ვაქცინა გრიპის საწინააღმდეგოდ, მაგრამ იგი სრულიად უსარგებლო აღმოჩნდა 1957 და 1958 წლებში, აზიური გრიპის ეპიდემიის დროს. როგორც ჩანს, ჩვეულებრივი გრიპის A ტიპის ვირუსის ერთმა ან რამდენიმე შთამომავალმა განიცადა მუტაცია. ამის გამო კი ეს ვაქცინა მათზე უკვე აღარ მოქმედებდა, ასეთნაირად წარმოიშვა ახალი შტამი, რომელიც მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მუტაციის წყალობით, ვირუსის ნიშნები და ქცევა განუწყვეტლივ იცვლება. ჩნდება ახალი შტამები, რომლებსაც შეუძლიათ დააავადონ ცხოველები ან მცენარეები, რომლებიც წინათ მათ მიმართ შეუვალნი იყვნენ. სხვა მუტანტური ვირუსები დაავადებულ ორგანიზმებში იწვევს დაავადების სრულიად უჩვეულო სურათს. ამის შედეგად ორგანიზმი, რომელიც დაავადების წინანდელი ფორმის დროს ცოცხალი დარჩებოდა, იღუპება, შეიძლება პირიქითაც მოხდეს, მუტაციურმა ვირუსმა ორგანიზმი მხოლოდ წყლულებს დააჯეროს, მაშინ როდესაც არამუტანტური ვირუსი მას აუცილებლად დაღუპვამდე მიიყვანდა.

ასეთი დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ვირუსები, ისევე, როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი, განუწყვეტლივ ებმებიან არსებობისათვის ბრძოლაში. ყოველთვის იმყოფებიან შემთხვევის გავლენის ქვეშ, მუდმივად დამოკიდებული არიან როგორც სხვა ორგანიზმებზე, ასევე თავის საკუთარ ბიოლოგიურ "გამომგონებლობაზეც". მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დაავადებული უჯრედი უზარმაზარ მუშაობას ეწევა ვირუსის სასარგებლოდ, რომელიც მას არღვევს, როცა ვირუსი გამრავლებას იწყებს, მას ესაჭიროება რაღაც მეტი ვიდრე უბრალოდ ცოცხალი უჯრედია. მას ესაჭიროება უჯრედი, რომელიც საუკეთესოდ მუშაობს და აგრეთვე სათანადო საკვები ნივთიერებების წყარო, საიდანაც დაავადებული უჯრედი განუწყვეტლივ მიიღებს "ნედლეულს". გამოდის რომ ვირუსი არცთუ ისე ინტენსიურად "ცხოვრობს" მაშინაც კი, როცა ის ყველაზე მეტად ჰგავს ცოცხალ ორგანიზმს, ვირუსი არა მარტო "იშლება ნაწილებად" და კარგავს თავის ინდივიდუალობას როგორც ნუკლეოპროტეიდი, არამედ მთელ თავის სამუშაოს თავს ახვევს უჯრედს. ასეთი საქციელი სულაც არ აიხსნება სიზარმაცით, თუ კარგად დავუკვირდებით, ეს გამომგონებლობად უფრო უნდა შეფასდეს, ვირუსი ბუნებაში არსებულ ყველაზე უფრო ეფექტურ მანქანას ჰგავს. მიუხედავად მარტივი აგებულებისა, ვირუსს აქვს უნარი, მშვენივრად გამოიყენოს ყველაფერი, რაც გარს არტყია, მობილიზაცია უყოს უჯრედის ყველა მექანიზმს და თავის სასარგებლოდ ამუშაოს. ვირუსი წლობით არსებობს "ფარული სიცოცხლის" მდგომარეობაში ისე, რომ არც უჯრედი-

პატრონი და არც სხვა რაიმე ენერგოს წყარო არ სჭირდება, ცოცხალ უჯრედში შეჭრის დროს ვირუსული დნმ მჭიდროდ ურთიერთმოქმედებს უჯრედის მრავალ სპეციალიზებულ კომპონენტთან, უჯრედი კი იმის ნაცვლად რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ვირუსის ამ "ინფექციურ" ფრაგმენტს, სიამოვნებით ღებულობს მას. ამ ყველაფერზე დაკვირვებით ჩანს ვირუსის ვერაგი ხასიათი, მისი უნარი, დააავადოს ცოცხალი ორგანიზმი.

პოლიომიელიტს, ყვავილსა და სხვა ვირუსულ ინფექციებს დიდი ხნით ადრე იცნობდა ადამიანი, ვიდრე შეძლებდა მათი მიზეზის გარკვევას. ლუი პასტერმა და რობერტ კოხმა შეძლეს დაედგინათ, რომ ბევრი ინფექციური დაავადება გამოწვეულია "ჩანასახით", ასე უწოდებდნენ მაშინ ბაქტერიებს. საშუალო ბაქტერიის მოცულობა 10000-ჯერ მეტია საშუალო ვირუსის მოცულობაზე. გარდა მოცულობისა, ბაქტერიასა და ვირუსს შორის არის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება. ბაქტერიებს აქვს შედარებით დამოუკიდებელი არსებობის უნარი. მათ შეუძლიათ ზრდა და გამრავლება თითქმის ნებისმიერ პირობებში, ვირუსი კი მხოლოდ მაშინ მრავლდება და იწვევს დაავადებას, როცა ცოცხალ უჯრედში მოხვდება. ამ განსხვავებებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ვირუსული ინფექციის მექანიზმის გაგებისათვის. ბაქტერია აგრესიული მტაცებელია, რომელიც პირდაპირ თავს ესხმის თავის მსხვერპლს უჯრედს ან ქსოვილს, ბაქტერია და უჯრედი ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ებმებიან, რომელიც მთავრდება ერთ-ერთი მხარის დაღუპვით. უჯრედმა ხშირად შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს ვირუსის მიმაგრებას მის გარსზე, მაგრამ საკმარისია ვირუსის ნუკლეინის მჟავამ უჯრედში შეაღწიოს, რომ ყოველგვარი უკმაყოფილება ქრება. უჯრედი თითქოსდა არაფერს არ იშურებს, რათა შეასრულოს ყოველივე, რასაც ვირუსი მოითხოვს მისგან. თან წარმოდგენაც არა აქვს, რომ ამით იგი ხელს აწერს თავის სასიკვდილო განაჩენს. ამრიგად ვირუსი მშვენივრად ასრულებს "აგენტის" როლს, რომელსაც გზავნიან რათა დაუახლოვდეს რომელიღაც ჯგუფის წევრებს, მოაჩვენოს თავი თავისიანად, გამოიყენოს ისინი თავისი მიზნებისათვის და დაღუპოს.

ზოგჯერ ვირუსი უჯრედში იჭრება ხანგრძლივი "შპიონაჟის" მიზნით და მასში მიმალული, მთელი თაობების განმავლობაში ქმნის მხოლოდ ერთ კოპიოს უჯრედ-პატრონის ყოველი გაყოფის დროს. ასეთი ლატენტური, ანუ ფარული ვირუსი შეიძლება უცბად გააქტიურდეს და დაიწყოს ხოცვა. მაგრამ სანამ იგი ფარული რჩება, ვერაფრით ვერ განასხვავებთ მას უჯრედის მასალისაგან.

ყოველი ვირუსი "უთავსდება" მხოლოდ გარკვეული ტიპის უჯრედებს. ასე მაგალითად, პილიომიელტის ვირუსი ვერ აავადებს ბაყაყს ანდა თამბაქოს მცენარეს. ამიტომ ზოგიერთი ვირუსოლოგი ფიქრობს, რომ ვირუსი წარმოიშვა უჯრედის რომელიღაც კომპონენტისაგან, მისი ერთ-ერთი ფუნქციური ნაწილისაგან, რომელიც რაღაც გაურკვეველი გზით "გათავისუფლდა", მაგრამ შეინარჩუნა პერიოდულად "შინდაბრუნების" და უჯრედში პარაზიტის სახით კომფორტულად არსებობის უნარი. მისი ეს უნარი "უძღები შვილის" დაბრუნებას მოგვაგონებს. ვირუსის ამ თავისებურებით განისაზღვრება განსხვავება ვირუსულ და ბაქტერიალურ ინფექციებს შორის. სწორედ ამიტომაა რომ ვირუსული დაავადებები ასე ძნელად ემორჩილება მკურნალობას. სანამ ვირუსი ფუნქციონირებს, როგორც უჯრედის შემადგენელი ნაწილი, ძნელია და თითქმის შეუძლებელიც, დავშალოთ იგი ისე, რომ არ დაირღვეს თვით უჯრედი. მკვდარი უჯრედი, ან მკვდარი ორგანიზმი ვირუსისთვის სრულიად გამოუსადეგარია. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის აზრით ვირუსებს შეუძლიათ გამოიწვიონ კიბო, მაგრამ, ამასთან ერთად, გარკვეულ ფარგლებში შეუძლიათ დაარღვიონ კიდეც კიბოს უჯრედები. ამ საკითხზე ბევრი მეცნიერული კვლევაა ჩატარებული.

კაცობრიობის ისტორიაში ვირუსთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა ვაქცინა. ვაქცინა ლათინური სიტყვაა და ძროხას ნიშნავს (ლათ. vacca - ძროხა. vaccinum - ძროხისა). ვაქცინა არის მიკროორგანიზმებისაგან (ბაქტერიები, რიკეტსიები, ვირუსები) ან მათი ცხოველმოქმედების პროდუქ-ტებისაგან მიღებული პრეპარატი, რომელსაც იყენებენ ადამიანისა და ცხოველების იმუნიზაციისათვის პროფილაქტიკური და სამკურნალო მიზნით, ვაქცინა პირველად 1796 წელს გამოიყენა ინგლისელმა ექიმმა ედუარდ ჯენერმა ყვავილის დაავადების საწინააღმდეგოდ. ყვავილი ძალიან გავრცელებული და მძიმე დაავადება იყო, მას იცნობდნენ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, განსაკუთრებით აზიაში. XVI საუკუნეში ყვავილი შემოიტანეს ევროპაში, სადაც მან გამოიწვია რიგი სერიოზული დაავადებებისა, ინგლისის სოფლის მცხოვრებთა შორის გავრცელებული იყო რწმენა რომ ის, ვისაც გადატანილი ჰქონდა ძროხის ყვავილი, ადამიანის ყვავილით უკვე აღარ ავადდებოდა, ძროხის ყვავილი დაავადებაა, რომელსაც აქვს ზოგიერთი სახით მსგავსება ადამიანის ყვავილთან მაგრამ გაცილებით იოლად მიმდინარეობს. ეს ავადმყოფობა ძროხებიდან გადადის და იგი ხშირად ემართებოდათ ინგლისელ მწველავებს, მეცნიერები ამ ფაქტს სკეპტიკურად უყურებდნენ, მაგრამ ინგლისელი მეცნიერი ე. ჯენერი სერიოზულად ჩაუფიქრდა ამ საკითხს. მას მიაჩნდა რომ გლეხები მართლები იყვნენ. მან ჩაატარა ზოგიერთი ცდა, ე. ჯენერი იღებდა მასალას ყვავილით დაავადებული ძროხებიდან და უცრიდა ადამიანებს. მათ შორის აუცრა საკუთარ

ვაქსაც. აცრის შემდეგ ადამიანები მსუბუქად ავადდებოდნენ ძროხის ყვავილით, სამაგიეროდ ხდებოდნენ შეუვალნი უფრო სერიოზული დაავადების - ადამიანის ყვავილისადმი. ე. ჯენერის ამ მეთოდს ეწოდა ვაქცინაცია. ვაქცინაცია ინგლისში ფართოდ გავრცელდა თუმცა პირველ ხანებში ხალხი მას ეჭვით უყურებდა. ზოგს ეგონა რომ ძროხის ყვავილით დაავადებულებს ძროხის ბუნებაც გადაეცემოდათ. მსგავს შეხედულებას გამოხატავს იმდროინდელი კარიკატურული სურათიც, ეს უდიდესი წარმატება ვაქცინაციის სფეროში მიღწეული იქნა დაახლოებით 100 წლით ადრე, ვიდრე გამოიკვლევდნენ ვირუსის ნამდვილ ბუნებას, როდესაც ექიმი ხვდება ავადმყოფობას რომლის დადგენა არ ხერხდება, მას ხშირად ებადება ეჭვი, რომ ეს დაავადება გამოწვეულია რაღაც ჯერ კიდევ უცნობი ვირუსით.

როგორც ცნობილია, გველებს აქვთ იმუნიტეტი ყველა ვირუსის მიმართ, აგრეთვე ღამურებს. ჩინეთის ე.წ. სველ ბაზრებში საიდანაც ფაქტობრივად გავრცელდა კორონა ვირუსი, დღესაც ვაჭრობენ ცოცხალი ცხოველებით, მათ შორის ეგზოტიკურითაც, ღამურებისა და სხვა ეგზოტიკური ცხოველების საკვებად მოხმარება, ბიოუსაფრთხოების ზომების იგნორირება რასაც ადგილი აქვს ჩინეთში, დღეს ძალიან ძვირად უჯდება მთელ მსოფლიოს. აშშ-ს პრეზიდენტი დ. ტრამპი სამართლიანად მოითხოვს ჩინეთისგან, კორონა ვირუსთან დაკავშირებით დეტალური გამოძიების ჩატარებას. კორონასთან დაკავშირებით ბევრი ვერსია არსებობს, რომ ის ღამურადან "გადახტა" ადამიანზე, რომ ვირუსი "გაიპარა" უხანის ლაბორატორიიდან სადაც ცდებს ატარებდნენ ღამურებზე, რომ ვირუსით დაინფიცირდა უხანის ლაბორატორიის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც შემდეგ ე.წ. სველ ბაზარში მივიდა და იქიდან გავრცელდა ვირუსი, რომ ვირუსი ხელოვნურად არის შექმნილი. "შეთქმულების თეორიის" მომხრეთა ვერსია, რომ ვირუსი ხელოვნურად არის შექმნილი, ნიშნავს იმას, რომ ეს არის ბაქტერიოლოგიური იარაღი, მოსახლეობის მასობრივი განადგურების მიზნით შექმნილი და გამოყენებული. ამერიკა ჩინეთს ადანაშაულებს ვირუსის გავრცელებაში, ჩინეთი კი ამერიკას, რომ ამერიკელმა სამხედროებმა გაავრცელეს ვირუსი. ამერიკამ აგრეთვე დაადანაშაულა მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია იმაში, რომ მან დროულად არ აცნობა მსოფლიოს აღნიშნული პანდემიის შესახებ და ჩინეთს დააფარა ხელი. პრეზიდენტმა დ. ტრამპმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას შეუწყვიტა დაფინანსება და გაწყვიტა ურთიერთობა. ამ ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის, როგორიც არის ჩინეთი და ამერიკა, ურთიერთობა დაიძაბა, რაც, დიდი ალბათობით, გავლენას მოახდენს გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, ეკონომიკურ და სავაჭრო პარტნიორობაზე. მუსირებს აზრი, რომ ამერიკა და სხვა ქვეყნებიც ჩინეთიდან გაიტანენ თავიანთ კაპიტალს, ბრენდებს და სხვა ქვეყნებს მიანიჭებენ უპირატესობას. მართალია, საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ მიმზიდველი ბიზნესგარემო, პანდემიასთან წარმატებული ბრძოლა შეიძლება უცხოური კაპიტალის მოზიდვის შანსი აღმოჩნდეს.

პანდემიამ მსოფლიო შოკში ჩააგდო. იგი შეფასებულია, როგორც მესამე მსოფლიო ომი. ომი, უხილავთან, რთული და არაპროგნოზირებადი. მსოფლიო ეკონომიკამ უდიდესი ზარალი განიცადა. `შავ ოქროდ~ მიჩნეული ნავთობის ფასი დაეცა. გაჩერდა წარმოება, ჩამოიშალა მსოფლიო ტურიზმი, სარესტორნო ბიზნესი, გაჩერდა კულტურისა და ხელოვნების სფერო, ბიზნესები, უზარმაზარი ფინანსები მოხმარდა პანდემიასთან ბრძოლას. გაიზარდა უმუშევრობა. მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს სამედიცინო პირბადეების საჭირო მარაგებიც კი არ აღმოაჩნდათ. არასაკმარისი აღმოჩნდა სასუნთქი აპარატებიც. ერთ-ერთმა უცხოურმა საავტომობილო ქარხანამ ავტომობილების ნაცვლად სასუნთქის აპარატების გამოშვება დაიწყო. სამოდელო ბიზნესებმა კი პირბადეების შეკერვა. კორონამ უსწრაფესად მოახდინა ეკონომიკური დარგების მოდერნიზაცია. ტრადიციული ეკონომიკის ნაცვლად მივიღეთ ახალი, კორონაეკონომიკა. "ყავისფერი" ეკონომიკა და `მწვანე~ ეკონომიკა განზე გაწეული აღმოჩნდა. გაერომ უკვე დააანონსა მოსალოდნელი მსოფლიო შიმშილობა. ეკონომიკური რეცესია დაწყებულია. ევროპარლამენტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა კ. ლაგარდმა სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა "ეკონომიკური აქტიურობის მოულოდნელ გაჩერებაზე". კ. ლაგარდის განცხადებით ევროკავშირის ქვეყნების წინ აქვთ "მასშტაბური ეკონომიკური კრიზისი", რომელიც თავისი შედეგებით ყველაზე მძიმე იქნება მშვიდობიან პერიოდში, კ. ლაგარდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკონომიკაზე პანდემიის ნეგატიური გავლენის გამო ევროზონის ქვეყნების მშპ 8-12%-ით შემცირდება. ეკონომიკური პროგნოზები ძალიან ნეგატიურია. (არც პანდემიურია დიდად კეთილსაიმედო). ამ გლობალური კრიზისის ფონზე ყველა ქვეყანა ცდილობს თავი გადაირჩინოს.

საქართველო პატარა ქვეყანაა, გარდამავალი ეკონომიკის "პოსტსაბჭოთა" ქვეყანა. ჩვენ არ ვქმნით ტენდენციებს მსოფლიო მასშტაბით. ჩვენ უნდა დავინახოთ და შევაფასოთ ჩვენი თავი იმ საერთო ტენდენციებში, რასაც შექმნის მსოფლიო, პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ნათლად წარმოაჩინა ქვეყნების სუსტი და ძლიერი მხარეები. დააფიქრა იზოლაციაში მოქცეული ქვეყნის მთავრობაც, მოსახლეობაც, ბიზნესწრეებიც. გლობალური მოწოდების ჯაჭვი ისეთი აღარ იქნება, როგორიც იყო, ხორბლის შეზღუდვას აპირებენ ქვეყნები. მშპ-ის სტრუქტურა შეიცვლება. ჩვენი პატარა ქვეყნის ამოცანაა,

როგორმე გავუმკლავდეთ კრიზისს და გადავრჩეთ. პანდეემის ფონზე გადავარჩინოთ ხალხიც და ეკონომიკაც, სწორად შევაფასოთ ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა და შესაძლებლობები, გავატაროთ პროტექციონისტული პოლიტიკა. შევეხებით რამდენიმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემას.

საქართველო არ შეიძლება იყოს დამოკიდებული მხოლოდ იმპორტზე. დღეს მოხმარებული სასურსათო პროდუქციის 70%-ზე მეტი იმპორტულია, რაც დიდ რისკებთანაა დაკავშირებული, მაშინ როდესაც საქართველოს ძალიან ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები აქვს იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს არა მარტო საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნები, არამედ ექსპორტზეც გაიტანოს, რაც ექსპორტ-იმპორტის სალდოს გააუმჯობესებდა. შემოგვაქვს ყველაფერი: კარტოფილი, ხახვი, ვაშლი, პომიდორი და ა.შ. შემოტანილი პროდუქტების უმრავლესობა გენმოდიფიცირებულია და არა ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი, რაც კიდევ ერთ საფრთხეს წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის, ადამიანებს დიდი ხანია დაავიწყდათ ნამდვილი პომიდვრის გემო. საქართველო ოდითგან ხორბლისა და ღვინის ქვეყნად ითვლება. გვაქვს მსოფლიოში უნიკალური ათამდე ხორბლის ჯიში. მიუხედავად ამისა, ქვეყანა თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული ხორბლის იმპორტზე. საქართველო საჭირო ხორბლის თითქმის 90%-ს იღებს რუსეთისაგან. თუ რუსეთმა ხორბალი არ მოგვაწოდა, აღარ გვექნება პური, "პური ჩვენი არსობისა". ამ პანდემიის დროს რუსეთმა ხორბლისა და სხვა მარცვლეული პროდუქტების ექსპორტი სრულად შეაჩერა 1 ივლისამდე. მსოფლიოში დღეს შექმნილმა კრიზისმა განაპირობა ის, რომ ნავთობპროდუქტების ფასები შემცირდა, მაგრამ მოთხოვნა გაიზარდა საკვებ პროდუქტებზე, განსაკუთრებით ხორბალზე, რომლითაც კაცობრიობის მთავარი საკვები – პური მზადდება. პანდემიის დროს ყველა ქვეყანამ გადახედვა თავის მარაგებს და, იმედია, ჩვენს ქვეყანას ალტერნატიული გზები მოძებნილი აქვს, თუ რუსეთმა უარი გვითხრა ხორბალზე. აქვე გასათვალისწინებელია ხორბლის ხარისხი და ტრანსპორტირების ხარჯები. ქვეყანას იმდენი ხორბალი მაინც უნდა მოჰყავდეს, რომ თავისი მოსახლეობა მთლიანად თუ არა 60%-ით მაინც დააკმაყოფილოს. ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარება, აგრარული სექტორის აღორძინება არის ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ჩვენი ეკონომიკის მთავარი და წამყვანი დარგი უნდა იყოს სოფლის მეურნეობა. დღევანდელმა მოცემულობამ ნათლად დაგვანახა, რომ სასურსათო უსაფრთხოება და პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფა არის ქვეყნის უპირველესი ამოცანა. ყველამ გამოვცადეთ პანდემიის დროს როგორი დეფიციტი იყო სამედიცინო პირბადეებზე, ხელთათმანებზე, ანტიბაქტერიულ საშუალებაზე. ქვეყანამ დაიწყო პირბადეების წარმოება, რაც უნდა გაგრძელდეს. ისიც ვნახეთ, პანიკაში ჩავარდნილი მოსახლეობა როგორ იძენდა სტიქიურად პროდუქტებს, იკეთებდა მარაგს. მთავრობა შეეცადა პირველად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქტებზე ფასების შენარჩუნებას, თუმცა ზოგიერთ პროდუქტზე ფასი მაინც გაიზარდა. უნდა განისაზღვროს რა მოცულობის და რომელი პროდუქტების წარმოება უნდა განვავითაროთ, რათა კრიზის დროს შევძლოთ მოსახლეობის სრულად დაკმაყოფილება. უნდა შევძლოთ და ადგილობრივ ბაზარზე ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციით კონკურენცია გავუწიოთ იმპორტირებულს, მნიშვნელოვანია ლოგისტიკა, რაც გულისხმობს ნედლეულის ტრანსპორტირებას, დაფასოებას, შეფუთვასა და შენახვას. აუცილებელია გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, ყოველივე ამის განხორციელება შეუძლებელი იქნება პროტექციონისტული პოლიტიკის გარეშე. პანდემიის პირობებში ქვეყნის ეკონომიკურმა ჯგუფმა აქტიურად იმუშავა და ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის დაახლოებით 3,5 მილიარდის მოზიდვა შეძლო. დაგვეხმარნენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები. მთავრობამ შეიმუშავა ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც სოციალურ დახმარებას, ასევე დახმარებას ბიზნესსექტორისთვის; ტურიზმი, მომსახურების სფერო, სოფლის მეურნეობა.

რეგისტრირებული ნაკვეთების მიხედვით ფერმერთა რაოდენობა 4500-ია. მიუხედავად პანდემიისა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები არ შეჩერებულა. თითოეული ფერმერი, ვისაც აქვს დარეგისტ-რირებული მიწა 1 ჰა-ზე მიიღებს სუბსიდირებას 200 ლარის ოდენობით. დიზელის საწვავი მათთვის იქნება 1 ლარით ნაკლები. ჩამოიწერება მელიორაციის ძველი დავალიანებები. 1 ჰა-ზე მელიო-რაციისათვის გადაიხდის 75 ლარს. ჩამოიწერება დრენაჟის საფასური, ირიგაციის პროექტი მსოფლიო ბანკის დახმარებით ხორციელდება, ფერმერებს დაურიგდებათ აგრობარათები, ლიბერთი ბანკის დახმარებით 1 თვის განმავლობაში მიიღებენ სათესლე მასალას, ქიმიკატებს, მოეწყობა წვეთოვანი სარწყავი სისტემები, სადაც არ არის ყველგან უნდა მოეწყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სარწყავი სისტემა, მოთხოვნადია ერთწლიანი კულტურები: ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული, ფერმერებს შეეძლებათ 5-დან 10 000 ლარამდე უპროცენტო კრედიტის გამოტანა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის. აგროდაზღვევა რთული პროცესია ყველგან. 2014 წლიდან დაიწყო აღნიშნული პროექტი და ფერმერებს აქვთ გამოცდილება აგროდაზღვევასთან დაკავშირებით, დაზღვევა იქნება 3 წლიანი (სეტყვა, ყინვა, წყალდიდობა და ა.შ.). სოფლის მეურნეობაში გრანტები 50 მილიონი ლარის

ოდენობით. ამოქმედდა სექტორალური თანადაფინანსება. 80% გრანტი მერძევეობას, კახეთი მობილიზებულად შეხვდა პანდემიას. 320 000 ადამიანია დასაქმებული ისეთ დარგებში როგორიცაა მეღვინეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა. "მართე შენი ქვეყანა" პროექტი წარმატებით მუშაობს. საგარეჯოში მეფრინველეობის ფაბრიკა შეუფერხებლად მუშაობდა პანდემიის პერიოდში, უმნიშვნელოვანესია სასოფლო-სამეურნეო იარაღებით ფერმერთა ხელშეწყობა. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, მათთვის შესაბამისი იარაღებია საჭირო მიწის დასამუშავებლად მაგ., ხელის ტრაქტორი და სხვა. გასაკეთებელი და მისახედი ძალიან ბევრია. ერთბაშად ყველა პრობლემა ვერ გადაიჭრება, მაგრამ მთავარია სასურსათო უსაფრთხოება იყოს მოგვარებული და გლობალური პრობლემების პირობებში მოსახლეობას შიმშილი არ დაემუქროს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, ყველაზე საჭირბოროტო პრობლემა არის ის, რომ ქვეყანა ხორბლის იმპორტზეა დამოკიდებული, რაც უპირველესი მოსაგვარებელი პრობლემაა.

მთავრობამ საშემოსავლო გადასახადებისაგან გაათავისუფლა კერძო სექტორი, სოციალურად დაუცველებს დაეხმარება 600 ლარით, თვითდასაქმებულებს ერთჯერადად 300 ლარით. მთავრობამ მოსახლეობას დაუფარა 3 თვის  კომუნალური გადასახადები. (დენზე და გაზზე, 200 კვტ-მდე და 200 კუბ.ს-მდე). მთავრობა ეხმარება ტურიზმის სექტორს. ტურიზმის ინდუსტრია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი დარგია. ქვეყანას 10 მილიონამდე ტურისტი სტუმრობდა. შარშან ტურიზმმა პირველი დარტყმა მიიღო, როცა რუსეთიდან შეწყდა საჰაერო ფრენები (პოლიტიკური ვითარების გამო), წელს კი პანდემიის გამო მსოფლიო ტურიზმი ჩამოიშალა და საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიამ მეორე დიდი დარტყმა მიიღო. ქვეყანას, რა თქმა უნდა, არ ეთმობა მიღწეული წარმატება ტურიზმი სექტორში და ცდილობს რესტარტის აღებას. თუმცა რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. პანდემიიდან გამომდინარე, სავარაუდოა, იმუშაოს შიდა ტურიზმმა, ხოლო უცხოელი ვიზიტორების მიღება რისკებთანაა დაკავშირებული. მართალია პანდემიის კუთხით საქართველო სხვა ქვეყნებთან შედარებით კარგად გამოიყურება, უსაფრთხო დერეფანიც გარანტირებულია ტურისტისთვის და ყველა პრევენციულ ზომებს იღებს ქვეყანა, რათა არ გამწვავდეს ეპიდვითარება ტურიზმის გახსნით, მაგრამ რომ იტყვიან "ეშმაკს არ სძინავს" და არ სძინავს "კორონასაც". ჩემი აზრით, ტურიზმზე ჩაზღაუჭება არასაიმედოა. ტურიზმი რეანიმაციაშია, რამდენად სწრაფად აღდგება ძნელი სათქმელია.

ქვეყანამ უნდა იფიქროს მრეწველობის განვითარებაზე, ადგილობრივ წარმოებაზე, მცირე ბიზნესის ხელშეწყობაზე. დიდი სამრეწველო ინდუსტრიის ქვეყანა ვერ გავხდებით, მაგრამ იმდენი მაინც შეიძლება ვაწარმოოთ (მცირე საწარმოები), რომ პირველადი მოხმარების პროდუქციით დავაკმაყოფილოთ ჩვენი მოსახლეობა. გვახსოვს ალბათ სლოგანი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", მაგრამ სლოგანი სლოგანად რჩება. აგრარული სექტორისა და მრეწველობის განვითარება უზრუნველყოფს სასურსათო უსაფრთხოებას, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტზე.

საქართველო ბუნებრივი გატყიანების მხრივ ევროპაში პირველ ადგილზეა. ამ პანდემიის პერიოდში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა ტყის კოდექსში. კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას უფლება მიეცა, რომ მის ირგვლივ მდებარე 20 ჰექტარი ტყის ფართობი საკუთრებაში დაირეგისტრიროს, მოუაროს და გაუფრთხილდეს ამ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს. ტყის მოვლა და პატრონობა ნიშნავს მეტ ჟანგბადს, მეტ სიცოცხლეს, მეტ სიმწვანეს, მეტ ცხოველსა და ფრინველს, მათი ენდემური სახეობების შენარჩუნებასა და გამრავლებას, ნაკლებ ნახშირორჟანგს, ნაკლებ მეწყერებს, ზვავებს, ნაკლებად ეროზირებულ და გამოფიტულ ნიადაგს, ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღებას. იგეგმება თბილისში მთაწმინდის ტყის ფერდის განახლება (700 ჰა), მისი რეკრეაციულ ზონად გადაქცევა. პროექტი 4 წლიანია და ფონდი ქართუსგან 16 მილიონია გამოყოფილი. მიმდინარეობს "მზიურისა" და კიკვიძის პარკის რეაბილიტაცია. სხვადასხვა სკვერების მცენარეებით შევსება. ამ პანდემიის დროს რამაც გაიხარა და შვებით ამოისუნთქა - ეს ბუნებაა. დიახ, ბუნებამ ნამდვილად დაისვენა. ჰაერი გაიწმინდა, წყალი გაიწმინდა, ინდუსტრიული ქვეყნების თავზე გამოჩნდა ცა, რომელიც ქარხნებისა და ფაბრიკების გამონაბოლქვით იყო დაფარული. ვენეციის არხებში თევზები დაბრუნდნენ. ნაკლები ტყე გაიჩეხა. მეტი ფრინველი და ცხოველი გადარჩა. სატელევიზიო სიუჟეტში აჩვენეს ინგლისის ერთ-ერთი ოჯახის ეზოში როგორ მივიდნენ ირმები. ოჯახის წევრები დიდებიც და პატარებიც ეფერებოდნენ ირმებს და საკუთარი ხელიდან აჭმევდნენ სტაფილოს, სანახაობა ნამდვილად გულისამაჩუყებელი იყო. ასეთივე გულისამაჩუყებელი იყო ჩამკვდარი და დაცარიელებული ქალაქები, მეგაპოლისები. სახლებში გამოკეტილი ადამიანები. წმინდა პეტრეს მოედანზე მძიმე ნაბიჯებით მარტოდმარტო მიმავალი რომის პაპი. აღდგომის დღეს იერუსალიმში მაცხოვრის წმინდა საფლავზე ცეცხლის გარდამოსვლა პილიგრიმების გარეშე. ჩვენი ქვეყანა ღირსეულად შეხვდა აღდგომის დღესასწაულს. "კორონამ" მსოფლიოს დიდი გამოცდა მოუწყო, გამოცდა ყველა სფეროში. ერთპოლუსიანი მსოფლიო განსაცდელში აღმოჩნდა. ვირუსი, ბუნებრივია თუ ხელოვნური, მთავარი ის

არის, რომ ამ ყველაფრის დაშვება მოხდა. ”კორონამ” (რაც გვირგვინს ნიშნავს) კაცობრიობას ეკლის გვირგვინი დაადგა თავზე. არა გვაქვს გარანტია რომ სხვა ვირუსებიც არ გვესტუმრებიან, უფრო საშიშები და აგრესიულები. ადამიანი ხელყოფს ბუნებას, არღვევს ეკოლოგიური სისტემის წონასწორობას, კვეთს წითელ ხაზებს. ადამიანს დიდი ხანია დავიწყებული აქვს, რომ ისიც ბუნების ნაწილია და არა მისი ბატონი. ადამიანი კი არ პატრონობს ბუნებას და უფრთხილდება, არამედ უყურებს მას როგორც რესურსს, თავისთვის მოსახმარებელ და გამოსაყენებელ ობიექტს. რაც ზევით ვთქვით ვირუსებთან დაკავშირებით, რომ სხვა ვირუსებით შეიძლება გამოჩნდნენ, ამის თქმის საფუძველი არსებობს, კერძოდ ის რაც ამაზონის ტყეებში ხდება, 2019 წლის ზაფხულში ამაზონიაში კატასტროფული ხანძრები მძვინვარებდა. საძოვრებისთვის ტყეების ჩეხვამ რეგიონის ტოტალური გამოშრობა გამოიწვია. თუმცა ამაზონიის ტყის თვალუწვდენელი ფართობების მასობრივი გადაწვის უმთავრესი მიზეზი ხანძრების ხელოვნური გაჩენაა იმ ტერიტორიის გასაწმენდად, რომელსაც ბიზნესები შემოსავლის წყაროდ იყენებენ, ამაზონის აუზის ტროპიკული და წვიმის ტყეები უმსხვილესია მსოფლიოში, სწორედ ისინი ქმნიან ჟანგბადს არა მარტო ლათინური ამერიკის, არამედ მთელი პლანეტისთვის. მას დედამიწის ფილტვებს უწოდებენ. კატასტროფული განადგურება და ”სამრეწველო ათვისება” ამაზონიის ველური რეგიონებისა, სადაც ჯერ კიდევ ნარჩუნდება ხელთუქმნელი ჯუნგლების პლანეტაზე ყველაზე მსხვილი მასივები, დედამიწაზე ახალ-ახალი საშიში დაავადებების წარმოშობას იწვევს, რომლებიც ადამიანის ცხოველებისაგან გადაეცემა. კოვიდ-19-ის პანდემიის ფონზე ეკოლოგები მოუწოდებენ კაცობრიობას, დაფიქრდეს იმაზე, რომ ამჟამინდელი კორონავირუსი შეიძლება დასაწყისი იყოს. რომელიმე – ჩვენთვის ამ დრომდე უცნობი მომაკვდინებელი ვირუსის შემდეგი პანდემია შესაძლოა დედამიწაზე ამაზონიის ტროპიკული ტყეებიდან გარვცელდეს, აცხადებს ცნობილი ბრაზილიელი ეკოლოგი, პროფესორი და პოლიტიკური აქტივისტი დავიდ ლაპოლა. იგი გვაფრთხილებს რომ ველური ფაუნის ბუნებრივ საარსებო გარემოში ადამიანის შეჭრა, რის გამოც მაღალი ალბათობით დაიწყო კორონავირუსის პანდემია, ასევე ამაზონიაში ტყის მასობრივი ჩეხვის გამო `ცივილიზაციის შეჭრა ამაზონიის ერთ დროს სრულიად ხელთუქმნელ გიგანტურ ტყიან რაიონებში, უამრავი ზოონოზური დაავადების წარმოშობას იწვევს. კორონავირუსი SARS-COV-2, როგორც უკვე თითქმის დარწმუნებულები არიან მსოფლიო მეცნიერები, ადამიანის მესამე სახეობის ”გამოვლით” ღამურებისგან ჩინეთის სწრაფად ურბანიზებად პროვინცია ჰუბეიში გადაეცა. დ. ლაპოლა რომელიც იკვლევს, როგორ ცვლის ადამიანის ზემოქმედება ტროპიკული ტყეების ეკოსისტემებს, დარწმუნებულია, რომ ამაზონიაში იგივე პროცესები ხდება. ამაზონიის აუზი - ეს სხვადასხვა ვირუსების უზარმაზარი რეზერვუარია – განუცხადა მან სააგენტო ”AFP”-ს - და სჯობს ბედი არ გამოვცადოთ. 2020 წლის იანვრიდან, აპრილის ჩათვლით, ჯუნგლების 12000-ზე მეტი კვადრატული კილომეტრი განადგურდა, რაც ახალ ანტირეკორდად იქცა აცხადებს თანამგზავრული ფოტოებიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ბრაზილიის კოსმოსური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი (INPE). ”ეს ცუდი ამბავია არა მარტო პლანეტის, არამედ ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ამბობს დავიდ ლაპოლა, რომელმაც გერმანიაში მაქს პლანკის ინსტიტუტში სადოქტორო ხარისხი დედამიწის სისტემების მოდელირების დარგში დაიცვა, ახლა კი ბრაზილიაში კამპინასის უნივერსიტეტში მოღვაწეობს. როგორც კი ვახდენთ პროვოცირებას და ვარღვევთ ეკოლოგიურ ბალანსს ვირუსი ცხოველიდან ადამიანზე ”ხტება”. მსგავსი კანონზომიერება შეიმჩნევა ებოლასა და დენგას ცხელებების კუთხითაც. ყველა ეს ვირუსი წარმოიშვა და უზარმაზარი მასშტაბებით ვრცელდება სწორედ ეკოლოგიური დისბალანსის გამო.

ბოლო დროს მსგავსი ”ნახტომების” უმრავლესობა სამხრეთ აზიასა და აფრიკაში იყო კონცენტრირებული და ხშირად ღამურების გარკვეულ სახეობებთან ადამიანის კონტაქტებს უკავშირდებოდა. მაგრამ ამაზონის წარმოუდგენელმა ბიოლოგიურმა მრავალფეროვნებამ შესაძლოა, სწორედ ეს რეგიონი აქციოს მსოფლიოში კორონავირუსების ყველაზე დიდ წყაროდ. საუბარია მთლიანობაში კორონავირუსების ოჯახზე და არა კონკრეტულ სახეობებზე, რომლებიც ამჟამინდელი პანდემიის უკან დგას. სადაც ტყეები ნადგურდება მათ ადგილს იკავებს ფერმები და საწარმოები, ამაზონიის ტყეები მსოფლიოში ყველაზე დიდი ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ცოცხალი არსებები აქ ბევრად მეტია, ვიდრე აზიისა და აფრიკის ტყეებში ერთად აღებული. საუბარია მცენარეთა 40 000-ზე მეტ, მათ შორის ხეების 16 000-ზე მეტ სახეობაზე. თევზის 3 000-ზე მეტ სახეობაზე, ფრინველების 2000 სახეობაზე, ძუძუმწოვრებისა და ქვეწარმავლების 1000-ზე მეტ სახეობაზე. უხერხემლოების თითქმის 130000 სახეობაზე. ამის ტყეების 20%-ზე მეტი უკვე სამუდამოდ არის განადგურებული ადამიანის ზემოქმედების შედეგად გასულ წელს ბრაზილიურ ამაზონიაში ტყის ჩეხვა 85%-ით გაიზარდა და წელიწადში 10 000 კვ$^2$ გაუტოლდა. ეს არის ტერიტორია რომელიც ფართობით ლიბანის, კვიპროსის, იამაკის ან ყატარის ტერიტორიებს უტოლდება, რეგიონის გაუტყიურებაზე პასუხისმგებლები უპირველესად ბრაზილიის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი გიგანტური

კორპორაციები არიან, ასევე საშუალო ფერმერული მეურნეობები, მეშახტეები და სახერხი საწარმოები, რომლებიც ამაზონიაში ხშირად არალეგალურად მოქმედებენ. მთავრობა აღნიშნავს, რომ ტროპიკული ტყეების დაცვა ბრაზილიის ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწევს და მის განვითარებას აფერხებს. ისევ "ეკონომიკის" სახელით ხდება ამ უნიკალური ბუნებისა და ტყეების ხელყოფა, დიდი კორპორაციებისა და ბიზნესების მოგების მიზნით. "ბუნება სამაგიეროს გვიხდის, მაგრამ მისი შურისძიება არა მარტო დაუნდობელი იქნება, არამედ არაშერჩევითიც. კორონავირუსსა და ნებისმიერ სხვა დაავადებას ხომ სულაც არ ადარდებს, ვინ ხართ - მილიარდერი მეწარმე, თუ რიგითი მეცნიერი, როგორიც მე, იგი განურჩევლად ყველას მოგვკლავს" წერს ეკოლოგიის პროფესორი დავიდ ლაპოლა.

"მწვანე" ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს არ მიჯნავს ერთმანეთისგან. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორი არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესია, არამედ საზოგადოება. მწვანე ეკონომიკის ამოცანაა გავზარდოთ ეკონომიკის მასშტაბები, მაგრამ არ უნდა გავაღარიბოთ ბუნებრივი კაპიტალი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, "მწვანე" ეკონომიკას ალტერნატივა არ გააჩნია. ბუნება სამაგიეროს გვიხდის, ეკოლოგიური ეკონომიკა, მწვანე ეკონომიკა არის ერთადერთი გზა, რომელიც შეგვარიგებს ბუნებასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ 2019 წელს, უდიდესი და ბრწყინვალე ეკონომისტის პროფესორ რამაზ აბესაძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა "მწვანე" ეკონომიკის პრობლემებს, დღეს არსებული გლობალური კრიზისიდან გამომდინარე კი, ეს თემა კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახდა. მწვანე ეკონომიკის რადიკალურ დამცველებს მიაჩნიათ, რომ მომავალი თაობა არ უნდა დავუკავშიროთ ეკონომიკურ ზრდას. ისინი უფრო შორსაც მიდიან და ფიქრობენ, რომ ეკონომიკური ზრდა უნდა შეწყდეს. მწვანე ეკონომიკა ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა კი განაპირობებს ეკონომიკური ზრდის სტაბილიზაციას და არა შეწყვეტას.

პანდემიები მუდამ გლობალურად მოქმედებდა კაცობრიობის ბედზე, იქნებოდა ეს პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებები. ასე რომ, დიდი ალბათობით, მსოფლიო "კორონა" ვირუსის შემდეგაც შეიცვლება, ესპანურმა გრიპმა "ისპანკამ" 50 მილიონზე მეტი ადამიანი შეიწირა. გავრცელებული იყო შავი ჭირი, ყვავილი, ტიფი, ქოლერა და ა.შ. საქართველოში შავი ჭირის ეპიდემიის შესახებ ცნობები XVI საუკუნის დროინდელია. სავარაუდოდ, ის მღრღნელებისგან გავრცელდა. შავმა ჭირმა ნახევარი ევროპა შეიწირა. სწორედ ამ დროს გამოიგონეს ის უცნაური "ნისკარტა" ნიღაბიც, რომლითაც ევროპელი მედიკოსები სარგებლობდნენ. თვით საქართველოს დედოფალი ბაგრატ V-ის მეუღლე ანა შავმა ჭირმა იმსხვერპლა, ხევსურები შავ ჭირს "ჟამნეს" ეძახდნენ, ეპიდემიის ჟამიანობას.

ბოლოსკენ შევეცდებით ცალკე გამოვყოთ ზოგიერთი საკითხი, რაც პანდემიის პირობებში კიდევ უფრო გამოიკვეთა: 1) ქვეყანა გავხადოთ იმპორტზე ნაკლებად დამოკიდებული; 2) ავაღორძინოთ აგრარული სექტორი და ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი დარგი გახდეს სოფლის მეურნეობა; 3) განვავითაროდ მრეწველობა, დავიწყოთ პირველადი მოხმარების პროდუქციის წარმოება; 4) მოვაგვაროთ ნარჩენების მართვის პრობლემა (70-მდე ღია ნაგავსაყრელია, არა გვაქვს ფერადი ურნები, ვიფიქროთ ნარჩენების რეციკლირებაზე); 5) მთავრობამ თავისი "ანტიკრიზისული პროგრამიდან გამომდინარე, გაუწიოს დახმარება ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლებს (ადამიანი მხოლოდ ფიზიკური არსება არ არის, სულიერი არსებაცაა, პანდემიიდან გამომდინარე დაიხურა თეატრები, ოპერა, ბალეტი, კინო, მუზეუმები, საკონცერტო დარბაზები და ა.შ. ამ სფეროს ადამიანები დიდი ხნით დარჩებიან უმუშევრები); 6) კიდევ ერთხელ თავიდან კორონა-რეალობაში შევაფასოთ ჩვენი ქვეყნის რესურსული პოტენციალი და განვავითაროთ "მწვანე ეკონომიკა" შეძლებისდაგვარად.

**დასკვნა**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსოფლიო იძულებულია ახლებურად გაიაზროს ბევრი ფუნდამენტური საკითხი. ჩამოაყალიბოს ეკოლოგიური ცნობიერება. მხოლოდ ტექნოლოგიების განვითარება ვერ გადაწყვეტს ყველა საჭირბოროტო პრობლემას, ეკოლოგიური ეკონომიკა და ბუნებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება არის ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა და არა მტაცებლური და მომხმარებლური მიდგომა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბესაძე რ. "მწვანე ეკონომიკის არსი და გამოწვევები" ინსტიტუტის 75 და ჟურნალ "ეკონომისტის" 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. "მწვანე ეკონომიკის" ფორმირების თანამედროვე პრობლემები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2019.
2. თეთრაული ც. ნანოტექნოლოგების განვითარება და მისი გამოწვევები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. XI, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2019.
3. უ. სტენლი. ე. ველენსი - ვირუსები და სიცოცხლის ბუნება. თბილისი, 1969.
4. ი. ხარშილაძე - ნიკოლა ტესლა. გამომცემლობა პალიტრა. თბილისი, 2018.

***Tsitsino Tetrauli***

**THE PANDEMIC AND ECONOMIC PROBLEMS CAUSED BY IT**
**Summary**

The article deals with the economic problems caused by the Covid-19 pandemic.

***ხათუნა თოდუა***

## კორონავირუსით გამოწვეული კრიზისი: ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოს ეკონომიკისათვის

***ანოტაცია.*** *დღეს მსოფლიო გლობალური გამოწვევის წინაშე დგას, რომელიც კორონავირუსის პანდემიის გავრცელებას უკავშირდება. რთულ ვითარებაში აღმოჩნდა პანდემიის გამო საქართველო, თუმცა, კრიზისი - არ არის განაჩენი! არსებობს გარკვეული საფუძველი ოპტიმიზმისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერი კრიზისი ბადებს არა მხოლოდ მნიშვნელოვან ახალ გამოწვევებს, არამედ შესაძლებლობებსაც.სრულიად შესაძლებელია, რომ მიუხედავად დღევანდელი კრიზისის შედეგად მოსალოდნელი დიდი დანაკარგებისა, საქართველოს ეკონომიკა გაჯანსაღდეს და განვითარების ახალი იმპულსები შეიძინოს, ამას შევძლებთ ეფექტური ანტიკრიზისული მენეჯმენტის, კრეატიული ხედვის, ახალ რეალობასთან ადაპტირების შემთხვევაში.*
***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია, ახალი შესაძლებლობები, საქართველო.*

ახალი ტიპის კორონავირუსის პანდემია, რომელიც თანდათან დრამატულ მასშტაბებს იძენს, დღეს კაცობრიობის ყურადღების ცენტრშია. მსოფლიოში უკვე რეგისტრირებულია დაინფიცირების 3,7 მლნ-ზე მეტი შემთხვევა, იმატებს ინფიცირებულთა რიცხვი საქართველოშიც.

მსოფლიო უპრეცედენტო გლობალური გამოწვევის წინაშე დგას, რომელიც სულ უფრო და უფრო იკრებს ძალებს;

*,,Covid-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა გაცილებით სწრაფად და მწვავედ დააზიანა მსოფლიო ეკონომიკა, ვიდრე 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა (GFC-მ) ან თუნდაც დიდმა დეპრესიამ. ამ ორ ბოლო ეპიზოდში კაპიტალის ბაზრები შემცირდა 50%-ზე მეტით, საკრედიტო ბაზრები გაიყინა, რასაც მოჰყვა მასობრივი გაბანკროტება, უმუშევრობის დონემ მოიმატა 10%-ით, დაფიქსირდა აშშ-ს 10%-იანი ვარდნა, თუმცა ეს შედეგები დადგა კრიზისის დაწყებიდან დაახლოებით 3 წელიწადში, მაშინ როცა დღევანდელი კრიზისის შემთხვევაში ანალოგიური მაკროეკონომიკური და ფინანსური შედეგების ,,მისაღწევად" საკმარისი აღმოჩნდა სულ რაღაც სამიოდე კვირა"* [Roubini, 2020].

მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის მოცულობის წინასწარ განჭვრეტა დღეს არსებული მონაცემებით ძალიან რთულია. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ პანდემიის გახანგრძლივების შემთხვევაში მსოფლიო ეკონომიკას შეიძლება აუნაზღაურებელი ზიანი მიადგეს.

*,,მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ტემპი ვირუსის შემოტევამდეც დაბალი იყო - დაახლოებით 2%-ის ფარგლებში, ასე რომ, რთული მისახვედრი არაა, რა შეიძლება მოხდეს, თუ პანდემიის დროულად ალაგმვა ვერ მოხერხდა"* [Casselman, 2020].

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის განცხადებით, პანდემიის გახანგრძლივების შემთხვევაში, გლობალური ზრდის ტემპი უკვე 2020 წ. მეორე ნახევრისთვის დაეცემა 1,5%-მდე. ეკონომისტი ლაურენს ბუნი იქვე გვაფრთხილებს, რომ პროცესები შეიძლება უარესი სცენარითაც წარიმართოს.

UNU WIDER–ის (გაეროს უნივერსიტეტის ეკონომიკის განვითარების კვლევის მსოფლიო ინსტიტუტი) ანგარიშში ნათქვამია, რომ *,,სიღარიბის გლობალური ინდექსი ზოგიერთ ქვეყანაში*

*შეიძლება დაუბრუნდეს 30 წლის წინანდელ ნიშნულს. სულ სიღარიბის ზღვარს მიღმა შეიძლება აღმოჩნდეს დამატებით ნახევარი მილიარდი ადამიანი"* [Summer, 2020].

რთულ ვითარებაში აღმოჩნდა პანდემიის გამო საქართველო, სადაც უმკაცრესი შეზღუდვების პირობებში ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი ზარალდება, მათ შორის ის დარგებიც, რომლებიც ბოლო წლებში მზარდი დინამიკით გამოირჩეოდა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივებად ითვლებოდა. შედეგად, 2020 წლის ნაერთი ბიუჯეტის გეგმით, ბიუჯეტის დეფიციტი 1,31 მლრდ ლარს შეადგენს, რაც მშპ-ს 25%-ია.

თუმცა, კრიზისი - არ არის განაჩენი! არსებობს გარკვეული საფუძველი ოპტიმიზმისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კრიზისი ბადებს არა მხოლოდ მნიშვნელოვან ახალ გამოწვევებს, არამედ შესაძლებლობებსაც.

პანდემიის ეკონომიკური შედეგები სხვადასხვა ქვეყნისთვის შესაძლოა დრამატულად განსხვავებული იყოს სწორედ იმის მიხედვით, თუ რამდენად მოახერხებს ესა თუ ის ქვეყანა ამ ახალი შესაძლებლობების გამოყენებას, შეცვლილ რეალობასთან სწრაფ ადაპტირებას, კრეატიული მიდგომების შემოღებას, ეფექტიანი ანტიკრიზისული გეგმის შედგენას და იმპლემენტაციას, გეგმისა, რომლის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება ეკონომიკური ზიანის მინიმიზება.

აღნიშნულს მსოფლიო პრაქტიკაც ადასტურებს. მაგ., ებოლას ეპიდემიის შედეგად სიერა-ლეონეში 2015 წ. მშპ-ს თითქმის 25%-იანი ვარდნა (მუდმივ ფასებში) და ზრდის ტემპების შემცირება დაფიქსირდა, გვინეას ეკონომიკამ კი კარდინალურად განსხვავებულად მოახდინა რეაგირება: ეკონომიკის ზრდის ტემპები იქ მკვეთრად დაჩქარდა და 2010-დან 2014 წ-მდე პერიოდში 3,8%, ხოლო 2015-2018 წწ. – 6,7% (!) შეადგინა.

რამ განაპირობა გვინეას ეკონომიკის წარმატება? სიერა-ლეონეს წარუმატებლობა? ამ ქვეყნების მიერ 2015 წლის აპრილში მსოფლიო ბანკისადმი წარდგენილი ეკონომიკის აღდგენის პროგრამების შედარება იძლევა პასუხს ზემოთ დასმულ კითხვებზე: გვინეას დოკუმენტი გამოირჩევა კრეატიულობით, ეკონომიკური ღონისძიებების კონკრეტულობით, რომელთა მთავარი მიზანი იყო ეკონომიკური ვარდნის შეჩერება და ეკონომიკის სტიმულირება, რასაც ვერ ვიტყვით სიერა-ლეონეს პროგრამაზე.

თუნდაც ზემოთ მოყვანილი მაგალითი ადასტურებს, რომ ღრმა, გახანგრძლივებული რეცესია დღევანდელი პანდემიის შედეგად - სულაც არაა გარდაუვალი, პირიქით, სავსებით შესაძლებელია კრიზისიდან დიდი ეკონომიკური სარგებლით გამოსვლაც კი.

ასევე სრულიად შესაძლებელია, რომ, მიუხედავად დღევანდელი კრიზისის შედეგად მოსალოდ-ნელი დიდი დანაკარგებისა, საქართველოს ეკონომიკა გაჯანსაღდეს და განვითარების ახალი იმპულსები შეიძინოს, ვინაიდან დღეს შექმნილი სიტუაცია ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის ახალ მიმწოდებლებს, ახალ კლიენტებს, წაახალისებს ახალ სავაჭრო მოლაპარაკებებს. ის კომპანიები, რომლებიც შეძლებენ ბიზნესის უკეთ დაგეგმვას, სპონტანურ ცვლილებებზე მოქნილ რეაგირებას, ცვალებად სიტუაციასთან უმტკივნეულოდ და დროულად ადაპტირებას, გადარჩებიან და განვითარდებიან; სუსტი და არაეფექტური კომპანიები კი დატოვებენ ბაზარს, ბაზარი გაჯანსაღდება.

ამას გარდა, ნავთობზე ფასის შემცირება გამოიწვევს ბუნებრივ აირზეც ფასის დაწევას, ეს კი ეკონომიკისთვის შეამცირებს დანახარჯებს. ამასთან, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების შემცირება ხელს შეუწყობს ლარის კურსის დასტაბილურებას.

კორონავირუსით გამოწვეული კრიზისი ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს, მოახდინოს ვალების რესტრუქტურიზაცია მეტად ხელსაყრელი პირობებით.

კრიზისის შედეგად საქართველოში შეიცვლება მუშაობის მოდელი, გაიზრდება ელექტრონული სერვისების როლი, მათ შორის - სახელმწიფოებრივისაც, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს ახალი ტექნოლოგიები, ალგორითმები, წარმოებისა და პროცესების ავტომატიზაცია, პროცესების ვირტუა-ლურად წარმართვა. აქედან გამომდინარე, გაიზრდება ინვესტიციები საინფორმაციო ტექნოლოგიებში, ინტერნეტის პროვაიდერ და სატელეკომუნიკაციო კომპანიებში, საბოლოოდ, როგორც ჩანს, დღევან-დელი პანდემია დასრულდება ციფრული ეკონომიკის სრული ტრიუმფით:

*„თანაფარდობა ჩვენი სამყაროს ციფრულ და ფიზიკურ კომპონენტებს შორის კარდინალურად შეიცვლება. თუ აქამდე „ციფრი" მთელის, ფიზიკურის ნაწილი იყო, მომავალ რეალობაში მსოფლიო სრულად ციფრული გახდება, ახლა უკვე „ფიზიკური" იქცევა მის ნაწილად"* [Кортунов, 2020].

ამასთან, მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა, ლოჯისტიკური დანახარჯების შემცირება გააჯანსაღებს ბიზნესს და აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, რაც გაზრდის ყველა პროცესის და, მაშასადამე, ეკონომიკის ეფექტურობასაც.

კრიზისის შედეგად გაიზრდება დემოკრატიული ქვეყნების მიმზიდველობა ინვესტორებისა და საერთაშორისო დონორებისთვის. განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდება იმაზე, თუ როგორი

საინვესტიციო კლიმატი, სამეწარმეო გარემოა განვითარებად ქვეყნებში. საქართველოს, დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ეძლევა რეალური შანსი, სერიოზული კონკურენცია გაუწიოს სხვა ქვეყნებს როგორც ახალი ინვესტიციების მოზიდვის, ისე უკვე არსებული, აწყობილი საწარმოების ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გადმოტანის კუთხით. მით უფრო, რომ საქართველო საკმაოდ მიმზიდველია ინვესტორებისათვის თავისი გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისითაც.

კრიზისის შედეგად ქვეყანაში დაბრუნდ(-ებ)ა არცთუ მცირე ნაწილი შრომითი მიგრანტებისა, რომელთაც დაგროვილი აქვთ სრულიად განსხვავებული გამოცდილება, ცოდნა; მათი ნაწილი მოწინავე, თამამი იდეების მატარებელი პოტენციური მეწარმეა, ამ ადამიანური კაპიტალის გამოყენება ქვეყნისათვის უდავოდ მომგებიანი იქნება.

ამასთან, ეკონომიკური ტრაექტორიის ერთ-ერთ განმსაზღვრელად შეიძლება საზოგადოების მხრიდან ფსიქოლოგიური რეაქციაც მივიჩნიოთ; ეკონომიკის მკვეთრი ზრდის ცნობილ შემთხვევათა უმეტესობა ასე თუ ისე ემთხვევა ეროვნული ენთუზიაზმის ტალღას, მაგ., დიდი ომების დასრულების შემდეგ (ნათელი მაგალითია ირანი 1988 წლის შემდეგ) ან დემოკრატიაზე გადასვლის (ჩილე 1980-იანი წლების ბოლოს). სავსებით შესაძლებელია, ეპიდემიის დასრულება იქცეს მოვლენად, რომელიც დასაბამს მისცემს ენთუზიაზმის ტალღის აგორებას; მომაბეზრებელი კარანტინის ოფიციალურად მოხსნის მომენტი შესაძლოა იქცეს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად.

შეიძლება დავასკვნათ, რომ, მიუხედავად კრიზისით გამოწვეული სირთულეებისა, საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა, დაიკავოს სასურველი პოზიცია დიდი ეკონომიკური გადაწყობის პროცესში, გახდეს უფრო ძლიერი, ანგარიშგასაწევი ,,მოთამაშე"; ამას შევძლებთ ეფექტური ანტიკრიზისული მენეჯმენტის, კრეატიული ხედვის, ახალ რეალობასთან ადაპტირების შემთხვევაში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Casselman B., 2020, Will the Coronavirus Cause a Recession? Keep Your Eye on the Barbershops. The New York Times.
2. Roubini N., 2020, This is what the economic fallout from coronavirus could look like, World economic forum, New York University.
3. Summer A., Hoy Ch., Ortiz-Juarez Ed., 2020, Estimates of the impact of COVID-19 on global poverty, WIDER Working Paper 2020/43.
4. Кортунов А., 2020, Мировая экономика после коронавируса: перезагрузка, Российский совет по международным делам.



***Khatuna Todua***


## THE CORONAVIRUS CRISIS: THE BIG CHALLENGES AND NEW OPPORTUNITIES FOR GEORGIA'S ECONOMY

**Summary**


The coronavirus is having a profound and serious impact on the global economy. More than 200 countries now have confirmed cases of COVID – 19, including Georgia.

The coronavirus (COVID-19) outbreak has brought considerable human suffering and major economic disruption.

Indeed, the more the SARS-CoV-2 virus spreads around the globe – there are more than 2,7 million confirmed cases of the related COVID -19 disease, the greater concern over not just our health, but our livelihoods.

Just how big an impact can a pandemic like COVID -19 have on the global economy? The latest economic projections suggest it will be dramatic, especially with a potential vaccine still several months away, at best. Indeed, the international Monetary Fund (IMF), recently predicted the pandemic would incite the worst economic slump since the Great Depression.

While experts can estimate what the economic fallout from a pandemic such as the coronavirus will be, the precise impact will vary based on how many people are affected, how severely it hits, and which societal interventions are necessary to contain its spread.

The direct disruption to global supply chains, weaker final demand for imported products and services, and the wider regional declines in international tourism and business travel are the adverse consequences of the coronavirus spread on the world economy.

Thus, the Covid-19 impact on the global economy will cause a sharp slowdown in the global growth. The global Gross Domestic Product growth of 2020 is projected to decrease to 2,4 per cent or even to 1,5 per cent which is half the rate projected prior to the coronavirus outbreak.

The containment measures in advanced economies have already started impacting less developed countries, including Georgia, through lower trade and investment.

The impact of the coronavirus is rippling through Georgian economy, but it might take a few months to fully see the fallout in data that track economic performance in Georgia.

One of the likely consequences of the coronavirus epidemic could be reduced remittances from abroad, which represent a significant share of Georgian fiscal revenue.

Yet, despite the negative trends, there are some positive ones as well, which can limit the negative impact on Georgia's weak economy.

One of them is Georgia's expected economic growth of more than 4 % for 2020. Given the above negative factors and considering the possibility that negative effects will remain for most of 2020, it is likely that the growth will still remain at least near the 3,5 % mark.

Indeed, according to the projections which are set by the ministry of Economy of Georgia, the possible economic losses for the country would, under the current circumstances, likely amount to only $ 11 million per month.

Though there is an expectation in Georgia of immediate economic losses from travel bans and likely diminution of trade with China and the immediate neighbors, unless there are trade and travel limitations with Turkey and Russia, long term positive perspectives will limit the existing negative effect on the economy of Georgia.

The coronavirus crisis has its roots in an economy of Georgia, yet, Georgia, with bold measures can turn it into the good opportunity driving income and wealth of Georgians to a high.

In fact, with favorable circumstances and oil prices, Georgia has a lot better chance of rejuvenating the momentum in the economy.

*ლია თოთლაძე*
*მამუკა ხუსკივაძე*

## Covid-19-ის გავლენა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაზე

***ანოტაცია.*** *უცხოური კაპიტალის მოზიდვა და საგარეო წყაროებზე ხელმისაწვდომობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. საერთაშორისო კვლევებითა და პრაქტიკული გამოცდილებით დასტურდება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველია ქვეყნის კარგი საინვესტიციო კლიმატი და პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური გარემო. მაგრამ შესაძლებელია წარმოიქმნას ისეთი ფაქტორი ან ფაქტორთა ერთობლიობა, რომელთა ზეგავლენაც საინვესტიციო გარემოზე პრაქტიკულად შეუსწავლელია. სწორედ ზემოთ აღნიშნულს განეკუთვნება დღეს მსოფლიოში განვითარებული მოვლენები. პანდემიამ, რომელმაც პრაქტიკულად გააჩერა მსოფლიო, წარმოუდგენლად დიდი გავლენა მოახდინა ყველა ქვეყანაზე. ამ შემთხვევაში, ცხადია, გავლენის ზრდის დამაჩქარებელი აღმოჩნდა გლობალიზაცია;*

*ნაშრომში ასახულია ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების დინამიკის სამი შესაძლო სცენარი: ოპტიმისტური, შუალედური და პესიმისტური. შეფასებულია ცვლილებები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებსა და გეოგრაფიაში, რაც დაკავშირებულია პანდემიის გავრცელებათან როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან პერიოდში. აღნიშნულია აგრეთვე FDI–ს მნიშვნელოვანი როლის შესახებ, რომელიც მან შესაძლოა შეასრულოს ეკონომიკის გაჯანსაღებაში პანდემიის შემდგომ პერიოდში ვინაიდან, როგორც წარსული კრიზისების გამოცდილებამ აჩვენა, უცხოური კომპანიების შვილობილმა კომპანიებმა, მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოებმა, კრიზისის დროს შეიძლება უფრო მაღალი მდგრადობა გამოავლინონ თავიანთი კავშირების და ფინანსურ რესურსებზე წვდომის წყალობით;*

*მიმოხილულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიერ შემუშავებული ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია პანდემიის პირობებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების რეგულირებისაკენ. ყურადღება ეთმობა ევროკომისიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს, რომელიც განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისთვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მესამე ქვეყნებიდან კაპიტალის შემოდინების კონტროლისაკენ. ხაზგასმულია ასევე პანდემიის და პოსტპანდემიურ პერიოდში ინვესტიციების ნაკადების მიმართულებებისა და გეოგრაფიის ცვლილების პირობებში საქართველოს შესაძლებლობის შესახებ.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რეგულირება, უცხოური ინვესტიციების ნაკადების პროგნოზირება.*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) ითვლება გლობალიზაციის, ეკონომიკური ზრდის და ინდუსტრიალიზაციის მთავარ მასტიმულირებელ ძალად. უცხოური კაპიტალის მოზიდვა და საგარეო წყაროებზე ხელმისაწვდომობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ როდესაც ქვეყანა ძირითადად დამოკიდებულია საგარეო ინვესტიციებზე და გრძელვადიან პერიოდში საკმაოდ მაღალი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი აქვს, აღნიშნულ სხვადასხვა დადებით ეფექტებთან ერთად მნიშვნელოვანი რისკის მატარებელია. შესაძლებელია გარკვეული გარემოებების გამო პრობლემები გაჩნდეს დაფინანსების კუთხით და ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკისაგან დამოუკიდებლად შემცირდეს ინვესტიციების (კაპიტალის) შემოდინება. შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ე.წ. „უეცარ შეჩერებას“. ეს კი, შეამცირებს რა ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებს, შეამცირებს გამოშვებას და გაზრდის უმუშევრობას.

FDI-ს როლი კიდევ უფრო გაიზარდა 1990-იანი წლებიდან, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. FDI-ს განსაკუთრებით დადებითი ეფექტი შესაძლოა ჰქონდეს ინდუსტრიულ სექტორში, კერძოდ კი ტექნოლოგიურ განვითარებაში, მუშახელის პროდუქტიულობის გაზრდასა და ახალი ცოდნის თუ უნარების შეძენა-გაუმჯობესებაში. საერთაშორისო კვლევებითა და პრაქტიკული გამოცდილებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველია ქვეყნის კარგი საინვესტიციო კლიმატი და პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური გარემო.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ყოვლისმომცველი ინდიკატორების სია, რომლებიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას განაპირობებს, ისევე, როგორც არ არსებობს მისი ხელის შემშლელი ფაქტორების ზუსტად განსაზღვრული ჩამონათვალი. სხვადასხვა ფაქტორმა სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლებელია სხვადასხვაგვარი ეფექტი მოგვცეს. ან წარმოიქმნას ისეთი ფაქტორის ან ფაქტორთა ერთობლიობა, რომელთა ზეგავლენაც საინვესტიციო გარემოზე პრაქტიკულად შეუსწავლელია.

სწორედ ზემოთ აღნიშნულ მდგომარეობას განეკუთვნება დღეს მსოფლიოში განვითარებული მოვლენები. პანდემიამ რომელმაც პრაქტიკულად გააჩერა მსოფლიო, წარმოუდგენლად დიდი გავლენა მოახდინა ყველა ქვეყანაზე. ამ შემთხვევაში, ცხადია, გავლენის ზრდის დამაჩქარებელი აღმოჩნდა გლობალიზაცია. გლობალურმა ეკონომიკურმა კავშირებმა, ინტენსიურმა მიმოსვლამ განაპირობა პანდემიის ასეთი ფართომასშტაბიანი გავრცელება.

მსოფლიოში დღეს არსებულმა მდგომარეობამ, რომელიც პირველ რიგში დაკავშირებულია COVID-19-ის პანდემიასთან, მის გლობალურ ეკონომიკურ სურათზე უდიდესმა გავლენამ განაპირობა სხვაგვარად შეეხედათ მისთვის. მართალია მსოფლიოში აღიარებული ეკონომისტები, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები აგებენ პოსტპანდემიური განვითარების სცენარებს, საპროგნოზო მოდელებს, მაგრამ პანდემიის რეალური გავლენის შეფასებისათვის, ვფიქრობთ, გარკვეული პერიოდია საჭირო. კრიზისულ პერიოდში ეკონომიკის ფუნქციონირების დროის ინტერვალი უკეთ წარმოაჩენს გავლენის მასშტაბებს. მედიკოსები საუბრობენ პანდემიის შემდგომი ტალღების შესახებაც, რომლებიც არანაკლებ მასშტაბური შეიძლება აღმოჩნდეს. ეს კი კიდევ უფრო ართულებს პროგნოზების გაკეთებას, ვინაიდან რთულდება პანდემია და პოტპანდემიური პერიოდების ზუსტად განსაზღვრაც კი. რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 მსოფლიო ეკონომიკაზე დიდად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე (რამდენად შორს და რა სისწრაფით გავრცელდება ვირუსი), ვაქცინის შექმნის ვადებსა და ცალკეული ქვეყნების უნარსა და სურვილზე, იმოქმედონ ეფექტურად. მოცემული ცვლადების გათვალისწინებით ზუსტი პროგნოზების გაკეთება ფაქტობრივად შეუძლებელია. მაგალითად, 2020 წლის თებერვალში გაკეთებული პროგნოზები მარტში უკვე მნიშვნელოვნად შეიცვალა და უფრო პესიმისტური გახდა.

ცხადია, დღეისათვის ერთი რამ უდავოა, ეს იყო სერიოზული ძვრა მსოფლიო ეკონომიკისათვის.

გაეროს მიერ შემოთავაზებული უკანასკნელი ანალიზით, COVID-19-ის შემდგომ გლობალური ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 2.5%-მდე შემცირდება, მიყენებული ზარალი კი დაახლოებით ტრილიონ დოლარს მიაღწევს. უფრო ცუდ შემთხვევაში ეს რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს. ყველაზე დიდი ზიანი კი ნავთობის და სხვა საქონლის ექსპორტიორ ქვეყნებს მიადგება [7].

ეუთოს ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 2.4%-მდე შემცირდება წინასწარ ნავარაუდევი 2.9%-დან, რაც, ძირითადად, მსოფლიო ვაჭრობის შემცირებით იქნება განპირობებული [6].

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შეფასებით, ვირუსის ფონზე მსოფლიოში უმუშევრობა მნიშვნელოვნად გაიზრდება[8].

განისაზღვრა აგრეთვე დარგები, რომლებზეც კორონოვირუსით გამოწვეულ პანდემიას ექნება განაკუთრებით დიდი გავლენა: ესაა ტურიზმი, გადამამუშავებელი მრეწველობა, საფინანსო სექტორი,

საცალო ვაჭრობა, გართობა და დასვენება. ცხადია, COVID-19 გავლენას იქონიებს პირდაპირი უცხოური ინვეტიციების დინამიკაზეც.

COVID-19 პანდემიის გავრცელების შეზღუდვის მიზნით მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მთავრობამ მიმართა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მკაცრ ზომებს. ამ ზომებმა გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შეფერხებები, რაც, ცხადია, გავლენას ახდენს ფირმების უცხოეთში ინვესტირების გადაწყვეტილებებზე. მთავრობებმა ასევე გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისის ეკონომიკური შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შემცირების მიზნით. და, ცხადია, გატარებულმა საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ასევე ეკონომიკურმა პოლიტიკამ დიდი გავლენა მოახდინა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე შემცირების კუთხით.

OECD (2020) და McKinsey (2020) კვლევის მიხედვით განიხილება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების დინამიკის სამი შესაძლო სცენარი: ოპტიმისტური, შუალუდური და პესიმისტური. გრაფიკი 1 გვიჩვენებს FDI ნაკადის პროგნოზებს სხვადასხვა სცენარის მიხედვით [7].

OECD–ის პროგნოზებმა აჩვენა, რომ ყველაზე ოპტიმისტური სცენარის პირობებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები, სავარაუდოდ, მინიმუმ 30 პროცენტით დაეცემა 2020 წელს 2019 წელთან შედარებით, კრიზისამდელ დონეს დაბრუნდება 2021 წლის ბოლოს. გრაფიკზე ჩანს ტენდენციები 2015 წლიდან 2019 წლამდეც და შესაძლო სცენარები ნახევარწლიანი მონაცემების საფუძველზე 2021 წლის ბოლოსთვის. მოსალოდნელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მკვეთრი ვარდნა 2020 წლის პირველ ნახევარში. ამის შემდეგ, FDI–ის ნაკადებზე გავლენა დამოკიდებული იქნება მთავრობების მიერ საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ზომებზე.

**გრაფიკი 1**

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების საპროგნოზო სცენარები**




*წყარო: OECD FDI statistics database*

ოპტიმისტური სცენარის თანახმად, თუ მიღებულ იქნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზომები, რომელიც გააკონტროლებს ვირუსის გავრცელებას მომდევნო 2-დან 3 თვეში, აღმოჩენილი იქნება მკურნალობის გზა (ვაქცინა/წამალი), რომელიც ამცირებს ვირუსის გავრცელებას და გაფართოვდება ტესტირება, რაც ხელს შეუშლის მის გავრცელებას, მაშინ ამ სცენარის თანახმად, ეკონომიკური ზრდა განახლდება წლის მეორე ნახევარში და 2021 წლის ბოლოს დაუბრუნდება კრიზისამდელ დონეს. მიუხედავად იმისა, რომ საშუალოვადიან პერიოდში შეიძლება შემცირდეს ახალი ინვესტიციები, 2021 წლის ბოლოს ახალი ინვესტიციები ნორმალურ რეჟიმში დაბრუნდება. შედეგად, მოსალოდნელია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები 2020 წელს 30%-დან 40%-მდე დაეცემა, სანამ 2021 წელს ანალოგიური თანხით გაიზრდება, სანამ კრიზისულ დონეზე დაბრუნდება. როგორც ადრე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები 2015 წლიდან დაღმავალი ტენდენციით მიმდინარეობდა, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები 2018 და 2019 წლებში უფრო დაბალია, ვიდრე 2010 წლის შემდეგ ნებისმიერი წლის განმავლობაში.

შუალედური სცენარის თანახმად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზომები თავდაპირველად წარმატებულია, რაც გავლენას ახდენს დაავადების გავრცელების მიმდინარეობაზე მომდევნო 2-დან 3 თვეში, მაგრამ, შესაძლებელია, საჭირო გახდეს მკაცრი ზომების დაწესება კონკრეტულ ქვეყნებში/რეგიონებში, სანამ ვაქცინა შეიქმნება, სავარაუდოდ, 2021 წლის შუა ხანებში. ეკონომიკური პოლიტიკის ინტერვენციები ნაწილობრივ ეფექტური იქნება, მაგრამ არა მთლიანად, და, ამრიგად, ეკონომიკის აღდგენა არათანაბარი და სუსტია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სექტორში შემოსავალები გაუმჯობესდება, სხვები დარჩებიან კრიზისის დონეზე ქვემოთ; საერთო ჯამში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები 2020 წელს 35-45% -მდე დაეცემა, სანამ 2021 წელს გარკვეულწილად გაუმჯობესდება, მაგრამ იქნება კრიზისამდელი პერიოდის დაახლოებით ერთ მესამედზე.

პესიმისტური სცენარის თანახმად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ამჟამინდელი ზომებით ვერ მოხერხდება ვირუსის სრულად მართვა, რის გამოც აუცილებელი გახდება მკაცრი ზომების მიღება მრავალ ქვეყანაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ეკონომიკური პოლიტიკის ინტერვენციები ვერ მოახერხებს ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებას და მოსალოდნელია ხანგრძლივი რეცესია; პესიმისტური სცენარის თანახმად, კაპიტალის ნაკადები საგრძნობლად შემცირდება, საერთო ჯამში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები 2020 წელს 40% -ზე მეტით დაეცემა და ასეთი იქნება 2021 წლის ბოლომდე, როდესაც ვაქცინის შექმნამ შესაძლებელია გავლენა მოახდინოს შეზღუდვებზე და ასევე შეუძლია გავლენა მოახდინოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე, შესაბამისად ეკონომიკურ ზრდაზე.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ FDI–ს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეკონომიკის გაჯანსაღებაში პანდემიის შემდგომ პერიოდში. წარსული კრიზისების გამოცდილებამ აჩვენა, რომ უცხოური კომპანიების შვილობილმა კომპანიებმა, მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოებმა, კრიზისის დროს შეიძლება უფრო მაღალი მდგრადობა გამოავლინონ თავიანთი კავშირების და მათი სათავო კომპანიების ფინანსურ რესურსებზე წვდომის წყალობით [3]. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს განვითარებადი ეკონომიკებისთვის.

მოცულობების ცვლილების გარდა, გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელია თვისებრივი ცვლილებებიც. მაგალითად, პანდემიამ კომპანიები შეიძლება აიძულოს, შეცვალონ თავიანთი უცხოური ოპერაციების გეოგრაფია. მულტინაციონალურ კომპანიებს შეუძლიათ მეტად იზრუნონ, რომ თავი დაიცვან მიწოდების ქსელის დარღვევებისგან; კორონავირუსის პანდემიის გამო წარმოშობილმა შეფერხებებმა შეიძლება აიძულოს ზოგიერთ მულტინაციონალური კომპანია, გადახედონ თავიანთი საქმიანობის გეოგრაფიულ და დარგობრივ არეალს და შეამცირონ მათი მიწოდების ქსელები და მიმწოდებლებსა და კლიენტებს შორის მანძილი. ისინი შესაძლოა შეეცადონ გეოგრაფიულ დივერსიფიკაციას, რათა შემცირდეს მდებარეობის სპეციფიკური შოკები, ან შეამცირონ ხარჯები, რათა უკეთესად გაუმკლავდნენ კრიზისებს. ასეთმა ძვრებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ქვეყნების ეკონომიკურ პერსპექტივებზე. სხვა მულტინაციონალურმა კომპანიებმა შეიძლება მოისურვონ თავიანთი მიმწოდებელი ქსელების დივერსიფიკაცია, რათა გაზარდონ ადგილმდებარეობის სპეციფიკური შოკები. კრიზისის წინაშე მდგარი კიდევ ერთი ფაქტორი ციფრული ტექნოლოგიების უფრო ინტენსიური გამოყენებაა, რომელიც დაკავშირებულია პანდემიის დროს მიღებულ გამოცდილებასთან. შოკისგან იზოლირების მიზნით, კომპანიებმა შეიძლება უფრო ინტენსიურად გამოიყენონ ელექტრონული გადაწყვეტილებები, შეამცირონ დამოკიდებულება უძრავ აქტივებსა და გრძელვადიან კონტრაქტებზე. პირდაპირი ზემოქმედების მიღმა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაფინანსებას ასევე შეუძლია პოტენციურად მნიშვნელოვანი არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე.

ამასთან, არსებობს გარკვეული სკეპტიციზმი იმ როლის მიმართ, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. პანდემიის დარტყმა მოხდა იმ პერიოდში, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები 2010 წლის შემდეგ დაფიქსირდა მეორე ყველაზე დაბალ დონეზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე გავლენა შეიძლება იქონიოს აგრეთვე COVID-19-თან დაკავშირებულმა განსაკუთრებულმა ღონისძიებებმა, რომელთაც მთავრობები მიმართავენ კაპიტალის გადინების ან შემოდინების შეზღუდვისა და გაკონტროლების მიზნით.

COVID-19 ეპიდემიის და მისი გავლენის შესახებ ევროკავშირის ეკონომიკის კონტექსტში, ევროკომისიამ 2020 წლის 26 მარტს გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს წევრი სახელმწიფოების ინფორმირებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაცვის აუცილებლობის შესახებ. ევროკომისიის წარმოდგენილი სახელმძღვანელო დოკუმენტი განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისთვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მესამე ქვეყნებიდან კაპიტალის თავისუფალ

გადაადგილებასთან დაკავშირებით და ევროპის სტრატეგიული აქტივების დაცვასთან დაკავშირებით, რეგულაციის (EU) 2019/452 (FDI [1] სკრინინგის რეგულირება) [2].

დოკუმენტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, გამოიყენონ უკვე საკუთარი შიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სკრინინგული მექანიზმები, რათა სრულად გაითვალისწინონ ჯანდაცვის კრიტიკული ინფრასტრუქტურის, კრიტიკული საშუალებების მიწოდების და სხვა კრიტიკულ სექტორებში არსებული რისკები. ხოლო იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლებსაც ამჟამად არ აქვთ სკრინინგის მექანიზმი, შექმნან სრულყოფილი სკრინინგის მექანიზმი ან გამოიყენონ ყველა სხვა ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი. წევრი სახელმწიფოებისთვის საერთო სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც გამომდინარეობს 2019 წლის 19 მარტის რეგლამენტიდან (EU) 2019/452, რეგულაციით), წარმოადგენს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან პირდაპირი ინვესტიციების შემოწმებას და ადგენს წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის მექანიზმს. ის ძალაში შედის 2020 წლის 11 ოქტომბერს.

ეს დოკუმენტი მიზნად ისახავს წევრი ქვეყნების დონეზე კოორდინაციას, უცხოელი ინვესტორების მიერ შეძენის კონტროლს. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მიიღონ ზომები, რათა უცხოელი ინვესტორების მიერ ინვესტირებისას განახორციელონ კონტროლი, თუ ამგვარი შეძენა საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ ჯანდაცვას და, ზოგადად, მის უსაფრთხოებას ან საზოგადოებრივ წესრიგს. ევროკავშირმა გამოაქვეყნა პირდაპირი მითითებები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სკრინინგისთვის, რომელიც მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, დაეხმარონ ევროპის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, დაიცვან „კომპანიები და კრიტიკული აქტივები“ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ ინდუსტრიებში - მათ შორის სამედიცინო პროდუქტების, დამცავი მოწყობილობის, სამედიცინო კვლევებისა და ბიოტექნოლოგიებში. სკრინინგი ვრცელდება Horizon 2020 ყველა კვლევით პროექტზე, რომელიც დაიწყო Covid-19-ის პანდემიის საპასუხოდ.

COVID-19 გავრცელებასთან ერთად, შესაძლებელია, ბევრმა ქვეყანამ მიიღოს ანალოგიური პოზიცია საკუთარი ეროვნული ინტერესებისა და ეკონომიკის დასაცავად. G20–ის ვალდებულების მიუხედავად, შეინარჩუნოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) და ვაჭრობა COVID-19–ის დროს, ზოგიერთ ქვეყანაში განიხილება შეზღუდვები შემომავალი ინვესტიციისთვის, ვინაიდან სტრატეგიული ინდუსტ-რიები, როგორიცაა ჯანდაცვა, მთავარი პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციების სკრინინგის ღონისძიებები ახალი არ არის, პანდემიამ დაადასტურა მისი ფუნქციონირების აუცილებლობა. ჯერ კიდევ პანდემიის დაწყებამდე, კვლევამ, რომელიც FDI- ს სკრინინგის ზომებს გააანალიზებდა, დაადასტურა ეროვნულ საზღვრებში გარკვეული მეთვალყურეობის აუცილებლობა.

საფრანგეთს აქვს საკმაოდ განვითარებული იურიდიული ჩარჩო უცხოური ინვესტიციების კონტროლისთვის. ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი ჩაერთო ამ სფეროში რეფორმით, რომლის საბოლოო ნაწილი, რომელიც გამომდინარეობს 2019 წლის 31 დეკემბრის 2019 2019-1590 ბრძანებულებისა და ამავე თარიღის მინისტრის ბრძანებიდან, ძალაში შევიდა 2020 წლის 1 აპრილს,

მსგავს ღონისძიებებს მიმართეს სხვა ქვეყნებმაც. ავსტრალიამ გამოაცხადა დროებითი ზომები ინვესტიციების ნაკადების ბარიერების შემცირებაზე ყველა ეკონომიკური სექტორისთვის 2020 წლის 29 მარტის მდგომარეობით. ინდოეთმა, რომელიც შეშფოთებულია სტრატეგიული კომპანიების ჩინელი ინვესტორების მიერ შეძენის პერსპექტივით, ასევე გაამკაცრა მისი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულაციები. კანადის ფედერალურმა მთავრობამ გაამკაცრა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კორპორაციებისთვის და მათთვის, ვინც მონაწილეობს კრიტიკულად მნიშვნელოვანი საქონლისა და მომსახურების მიწოდების ქსელებში.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ–ში FDI–ის კონტროლი არ შეცვლილა COVID-19–ის გამო, პანდემიის დაწყებამდე ქვეყანამ უკვე გააძლიერა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ტექნოლოგიების დაცვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან, მათ შორის, ჯანდაცვასა და ბიოტექნოლოგიებში. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია უფრო გამკაცრდეს ქვეყნის საგარეო ინვესტიციების კომიტეტის მიერ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ინვესტიციების რეგულაციები. FDI–ს სკრინინგული მექანიზმების გამკაცრების ტენდენცია მზარდია, სტრატეგიულ ინდუსტრიებში ინვესტიციების მიმართ კი შეზ-ღუდვები უფრო მკაცრდება.

მოსალოდნელია ცვლილებები სტრატეგიული ინდუსტრიების მიწოდების ქსელებში, რადგან უფრო მეტი ქვეყანა ცდილობს კორპორაციული საქმიანობა შიდა მიწაზე დააბრუნოს. მთავრობებს ასევე შეუძლიათ შესთავაზონ კომპანიებს წამახალისებელი პაკეტები ჩინეთიდან დაშორებული მიწოდების ქსელების დივერსიფიკაციისთვის, როგორც ეს იაპონიაში ხდება. ეს ნიშნავს, რომ COVID-19 კრიზისმა შეიძლება შეაჩეროს აშშ-სა და ჩინეთს შორის კავშირები, განსაკუთრებით სტრატეგიულ ინდუსტრიებში.

UNCTAD-ის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოს, რომლის საქმიანობაც ეხება ვაჭრობის, ინვესტიციების და განვითარების საკითხებს) მონაცემებით, არსებული კრიზისი,

როგორც ჩანს, დააჩქარებს დეგლობალიზაციის პროცესს და გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები შეიძლება შემცირდეს 40 პროცენტით 2020-21 წლებში.

ბოლო პერიოდის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2017 წლის გარდა, როცა მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა) საქართველოშიც სტაბილური კლებით ხასიათდებოდა. მაგალითად, 2018 და 2019 წლებში დაახლოებით 1/3-ით ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა 2014 წელთან შედარებით. ცხადია, მსოფლიოში შექმნილი ვითარება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე აისახება.

საქსტატის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით (2019 წელი), საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ევროკავშირზე მოდის. ევრო-კავშირიდან შემოსული ინვესტიციები სრული ინვესტიციების 47.2%-ს უტოლდებოდა. ამერიკიდან შემოსული ინვესტიციები სრული ინვესტიციების 7.8%-ია, ხოლო ჩინეთიდან შემოსული ინვესტიციები - 3.2%. 2019 წლის მონაცემებით, 15 ყველაზე მნიშვნელოვან ინვესტორებს შორის არიან აშშ, ჩინეთი და იაპონია. არსებულ ქვეყნებში ვირუსული აფეთქების ეკონომიკური ეფექტი, ცხადია, გავრცელდება საქართველოზეც. ინვესტიციების შემცირების ტენდენცია ბოლო წლების მანძილზე ისედაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისათვის. ახლა ეს რისკები კიდევ უფრო აქტუალურია.

**ნახაზი 2**




*წყარო: Geostat.ge*

თუმცა შეაძლოა გამოიკვეთოს დადებითი ეფექტებიც. ცოტა ხნის წინ წარმოების ჩინეთში გადატანა სარფიანი გადაწყვეტილება იყო, თუმცა ახლა, მიწოდების ჯაჭვის რღვევის გამო, რამაც მრავალი კომპანია დააზარალა, მიდგომები შეიძლება შეიცვალოს. თუ აქამდე ჩინეთი და მისი მსგავსი ქვეყნები ნაკლები პოლიტიკური რისკის შემცველ ქვეყნებად ითვლებოდნენ (პოლიტიკური სტაბილურობის გამო) და ამიტომ ინვესტორთა მიმზიდველობაც მაღალი იყო, ახალი კორონავირუსის კრიზისის შედეგად გამოჩნდა, რომ ასეთი ტიპის ქვეყნები ადვილად მალავენ ინფორმაციას, არ არიან ტრანსპარენტულები და დამატებითი რისკი შეიძლება შეუქმნან ინვესტორებსაც და საერთაშორისო საზოგადოებასაც.

ამასთან, საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები თურქეთთან, ჰონკონგთან, EFTA-ს ქვეყნებთან და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ჩინეთიდან საწარმოების გამოტანა და ახალი ინვესტიციებისთვის ჩინეთი და რუსეთი მიუღებელი იქნება, სავსებით რეალურია ასეთი ინვესტიციების საქართველოში მოზიდვის შანსი. ამ სიტუაციაში საქართველოს ძირითადი კონკურენტები იქნებიან სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები (მაგალითად, უკრაინა, ყაზახეთი), ასევე თურქეთი, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნები. კონკურენცია დიდი იქნება, თუმცა სწორი რეფორმების ეფექტიანად გატარებისა და კარგი პოზიციონირების შედეგად შესაძლოა მოგვეცეს სრულიად ახალი ინდუსტრიების განვითარების შანსი, რასაც ახალი ტექნოლოგიები და ბევრი სამუშაო ადგილის შექმნა მოჰყვება.

მნიშვნელოვანია კრიზისის ვადები და ასევე ის, თუ როგორ შეძლებს მსოფლიო მასთან გამკლავებას - რადგან საქართველოს ტიპის ქვეყნები მნიშვნელოვნად იქნებიან დამოკიდებული იმ საერთაშორისო დახმარების მასშტაბზე, რომლის მობილიზებასაც ისინი შეძლებენ; კიდევ უფრო აქტუალური ხდება ელექტრონული მმართველობის მიმართულებით რეფორმების დაჩქარება, არსებული პლატფორმების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის ზრდა (მათ შორის დისტანციური სერვისების სრულყოფის განათლების სფეროში); საერთაშორისო პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების

გააზრება არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ ეკონომიკური კრიზისის მართვის მიმართულებით; ასევე, არსებითი იქნება კერძო ინიციატივებიც, რომელიც უკავშირდება ქართული ბიზნესის მიერ ახალი ტიპის მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) გაანგარიშების მოკლე მეთოდოლოგია და პრაქტიკა საქართველოში (საქსტატი 2019).
2. Borga, M., P. Ibarlucea Flores and M. Sztajerowska (2020), "Drivers of divestment decisions of multinational enterprises - A cross-country firm-level perspective", OECD Working Papers on International Investment, No. 2019/03, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/5a376df4-en.
3. Cadestin, C., et al. (2018), "Multinational enterprises and global value chains: New Insights on the trade-investment nexus", OECD Science, Technology and Industry Working Papers, No. 2018/05, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/194ddb63-en.
4. Celik, S., G. Dimertas, and M. Isaksson (2020), Corporate Bond Market Trends, Emerging Risks, and Monetary Policy, OECD Capital Market Series, Paris, https://www.oecd.org/corporate/corporate-bond-market-trends-emerging-risks-and-monetary-policy.htm.
5. CNBC (2020), "GM offers manufacturing blueprints for face masks to 600 auto parts suppliers amid virus pandemic", www.cnbc.com/2020/04/05/gm-encouraging-suppliers-to-produce-face-masks-amid-covid-19-pandemic.html
6. "Coronavirus: The world economy at risk" OECD Economic Outlook, 2 მარტი 2020. იხ: https://doi.org/10.1787/7969896b-en
7. Foreign direct investment flows in the time of COVID-19. იხ. http://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/foreign-direct-investment-flows-in-the-time-of-covid-19-a2fa20c4/
8. "The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It." UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2WwcW5O.
9. International Labor Organization, "How will COVID-19 affect the world of work?", March, 2020, https://www.ilo.org/global/topics/coronavirus/impacts-and-responses/WCMS_739047/lang--en/index.htm
10. OECD (2019), FDI Qualities Indicators: Measuring the sustainable development impacts of investment, http://www.oecd.org/investment/fdi-qualities-indicators.htm



***Lia Totladze***
***Mamuka Khuskivadze***


## COVID-19 IMPACT ON FOREIGHN DIRECT INVESTMENT


**Summary**

Attracting foreign capital and access to foreign sources is vital for developing and transition economies. According to international studies and practical experience, the country's good investment climate and politically and economically stable environment are attractive for foreign direct investment. But there are factor or a combination of factors whose impact on the investment environment is virtually unexplored. This is exactly what is happening in the world today. The pandemic that has virtually stopped the world has had an incredible impact on every country. In this case, globalization has clearly accelerated the growth of influence.

The paper discusses the impact of novel coronavirus Covid-19 to foreign direct Investment. We consider FDI flows under three possible scenarios for the effectiveness of the public health and economic policy measures being taken by countries. The changes in foreign direct investment flows and geography are estimated to be related to the spread of the pandemic, both in the long term and in the short term. It is also noted that the FDI has played an important role in improving the economy in the post-pandemic period. As past crisis experiences have shown, subsidiaries of foreign companies, including small and medium-sized enterprises, may be more sustanable of crisis due to their connections and access to financial resources.

The European Commission guidance on foreign direct investment (FDI) for EU member states, and the free movement of capital from third countries, as well as the protection of strategic assets in Europe have been analyzed.

We emphasis also the possibility of Georgia in the context of investment flows and geography changes in the pandemic and post-pandemic period.

*ეთერ კაკულია*
*ნანა ბიბილაშვილი*

# მცირე ბიზნესის განვითარებაში არსებული და COVID-19-ით გამოწვეული პრობლემები საქართველოში

***ანოტაცია.*** *ნაშრომში შესწავლილია მცირე ბიზნესის სამი სახეობა გერმანიის და აშშ-ს მაგალითზე; ასევე მცირე ბიზნესის მუდმივად თანმდევი და **COVID-19-ით** გამოწვეული პრობლემები; პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევის მიზნით, რიგ უცხოურ ქვეყნებსა და საქართველოში, გასატარებელი (უკვე გატარებულიც) ფინანსებით უზრუნველყოფილი ანტიკრიზისული გეგმები. გაკეთებულია შედარება და გამოთქმულია მოსაზრება უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარების აუცილებლობაზე, პანდემიით გამოწვეული პრობლემების დაძლევის მიზნით დანახარჯების მიზნობრივი განაწილების და ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის მახარდაჭერის თაობაზე .*

***საკვანძო სიტყვები:*** *პრობლემა; კორონავირუსი; მცირე ბიზნესი; ანტიკრიზისული გეგმა; პანდემია.*

## შესავალი

მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარებულ ქვეყნებში წარსულში და დღესაც აღიარებულია როგორც ეროვნული ეკონომიკის ხერხემალი. მცირე და საშუალო საწარმოები მხოლოდ დასაქმების კარგი საშუალება კი არა, ინოვაციისა და პროდუქტიულობის წყაროცაა. რადგან ქვეყნისთვის პროდუქტიულობის გაზრდა განვითარების ერთ-ერთი მთავარი საყრდენია, ამდენად მცირე ბიზნესი ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების სპეციალისტთა შეფასებით, კორონავირუსით ყველაზე მეტად დაზარალებულად დასახელებულია მცირე და საშუალო ბიზნესი. ამდენად, არსებული და COVID -19 - ით გამოწვეული პრობლემების გამოკვეთა ხელს შეუწყობს კრიზისის დროს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ გამოყენებას.

* * *

განასხვავებენ მცირე ბიზნესის სამ ჯგუფს (სახეობას), მაგალითად: ევროკავშირის ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში - გერმანიაში ცნობილია შემდეგი სამი ჯგუფი: „შუმპეტერული "SMES", რომელებიც ინოვაციას ახდენს და ქმნიან რაღაც ახალს (აშშ-ში მათ უწოდებენ „სწრაფგანვითარებად საწარმოებს"); მეორეში შედის ,,ჩვეულებრივი მცირე და საშუალო საწარმოები", რომლებსაც შეუძლიათ შუმპეტერული ფირმების გამოწვევებთან ადაპტირება. ამ საწარმოებს, ძირითადად, კონკურენციაზე რეაგირების უნარი აქვთ, მაგრამ არ შეაქვთ ცვლილებები და ინოვაციები საკუთარ საქმიანობაში (აშშ-ში მათ „ნელაგანვითარებად საწარმოებს" უწოდებენ);. მესამე სახეობაში შედის ,,სიღარიბის ფონზე წარმოშობილი მცირე და საშუალო საწარმოები" ( მათ აშშ-ში ეწოდება „სიცოცხლის უზრუნველმყოფი მცირე საწარმოები"), რომლებიც იქმნება დაბალი ეკონომიკური განვითარების, მცირე სამუშაო ადგილებისა და არასაკმარისი სახელმწიფო თანადგომის შედეგად. ასეთი მცირე საწარმოები, როგორც წესი, არ არიან ინოვაციურები ან არ აქვთ ინოვაციისა და პროდუქტიულობის გაზრდის შესაძლებლობა. ამ საწარმოებს თავი გააქვთ იაფი შრომის წყალობით, რაც ზოგიერთ ქვეყანაში მოიცავს ბავშვთა შრომას და სხვა ექსპლუატატორულ სამუშაო პირობებს.

ამგვარად, მათ არ შეაქვთ წვლილი სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ განახლებაში [**ჰანსიორგ ჰერი და ზეინეპ მ. ნეტეკოვენი ...**, 2019; **Речмен Д., Меской М., ..**1995], თუმცა მცირე ბიზნესის ეს ჯგუფი ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმებას. მცირე ბიზნესის ასე სახეობებად დაყოფა ამარტივებს მათზე სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ღონისძიებების გატარებას.

აღიარებულია ის ფაქტი, რომ მცირე საწარმოების ეს ჯგუფი იზრდება ეკონომიკის კრიზისულ სიტუაციაში და ღარიბ განვითარებად ქვეყნებში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მცირე ბიზნესის ამ სახეობის საწარმოების რაოდენობა მცირდება ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან ერთად. ამის ნათელი მაგალითია გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველო. ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ხელი მოჰკიდა "სიცოცხლის უზრუნველმყოფ" მცირე ბიზნესს. სწორედ ამ წლებში საქართველოში ვლინდება მცირე ბიზნესის უნარი, ეკონომიკური კრიზისის დროს ხელი შეუწყოს სოციალური და პოლიტიკური სტაბილიზაციის დამყარებას, მოსახლეობის დასაქმებას. მცირე ბიზნესის მდგრადობის მაღალი დონე ეკონომიკაში მიმდინარე ნეგატიური

მოვლენების მიმართ გამოვლინდა რუსეთ-საქართველოს ერთკვირიანი ომით (2008) გამოწვეული კრიზისის შემდგომ, 2009 წელს ბიზნესფორმებიდან მოგების მაჩვენებლის მიხედვით საშუალო ბიზნესმა თავისი საქმიანობა ზარალით დაამთავრა, მსხვილ ბიზნესს საგრძნობლად შეუმცირდა, ხოლო მცირე ბიზნესმა ეს მაჩვენებელი 1.7-ჯერ გაზარდა [საქ.სტატ ... ; 2010].

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოები ხშირად მიჩნეულია, როგორც სანიმუშო მოდელი, ინოვაციების, კონკურენტუნარიანობის, დაბალანსებული სტრუქტურებისა და გლობალური თუ ადგილობრივი (ეროვნული) კრიზისების მიმართ მათი გამძლეობის გამო.

საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარება იწყება მე-20-ე საუკუნის 90-იანი წლებიდან და თითქმის 30 წელს მოიცავს. გატარდა ღონისძიებები ბიზნეს გარემოს ფორმირების, ბიზნესის რეგისტრირების გამარტივების მიმართულებით. ასევე, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით შემუშავდა 2016-2020 წლების მსს განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი, როგორც რეფორმების გაგრძელების და განვითარების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიაში გაიწერა ინსტიტუციურ და საოპერაციო გარემოში ყველაზე თვალში საცემი გამოწვევების დაძლევის კონკრეტული ნაბიჯები, მათ შორის, მსს განსაზღვრების შემუშავება, გაკოტრების კანონმდებლობის გადასინჯვა, მსს მონაცემთა შეგროვების და სიღრმის გაფართოება, ასევე რეგულაციური ზემოქმედების შეფასების და საჯარო, კერძო სექტორების კონსულტაციების ფორმალური ჩარჩოს და სტრუქტურის შექმნა.

მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ პოლიტიკის შესამუშავებლად მნიშვნელოვანია საწარმოთა განმარტების არსებობა, რომელიც მორგებულია და ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს და ამასთან, შესაბამისობაშია სტატისტიკის წარმოების ევროპულ კრიტერიუმებთან.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ერთ-ერთ პირველ და არსებით პრობლემად ისევ რჩება ბიზნეს ფორმების მიხედვით საწარმოთა განმარტების არსებობა. დღეისათვის საქართველოში ბიზნესის ფორმები (მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი) განმსაზღვრულია სამი სამართლებლივი ინსტიტუტის მიერ [კაკულია ე., მალანია გ. მცირე და საშუალო ბიზნესის...2019]: ახალი საგადასახადო კოდექსით, ფისკალური პოლიტიკის გატარებისათვის; კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ", მცირე და საშუალო ბიზნესში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით და საქსტატის, ბიზნესსტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის მიხედვით, ბიზნესსექტორის სტატისტიკის წარმოების მიზნით. საგადასახადო კოდექსით და სტატისტიკის მეთოდოლოგიით მოცემული ბიზნესის ფორმების სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის, რაც, ვფიქრობთ, არ გვაძლევს შესაძლებლობას, ვნახოთ მცირე და საშუალო ბიზნესის (საერთოდ ბიზნესფორმების) განვითარების რეალური სურათი. მაგალითად, საგადასახადო კოდექსით დაბეგვრის მიზნით კრიტერიუმთა კლასიფიკაციის მიხედვით თუ შევაფასებთ, მივიღებთ განსხვავებულ სურათს, ვიდრე საქსტატის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციით. ასევე სხვა სურათს მივიღებთ, თუ შევაფასებთ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული კრიტერიუმებით. ამ კანონით მიკრობიზნესს (სუბიექტს, რომელიც ქმნის საქონელს ან მომსახურებას) აქვს უფლება, დაიქირაოს 1-დან 9 კაცის ჩათვლით ან იფუნქციონიროს დაქირავებულის გარეშე, მაშინ როდესაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით მას არა აქვს დაქირავების უფლება. ვფიქრობთ, სტატისტიკის, საგადასახადო და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურებისთვის ცალ-ცალკე არ უნდა დგებოდეს საწაროთა კატეგორიები, მათი კრიტერიუმები და სტატისტიკური სიდიდეები, არამედ ის ქვეყნისთვის ერთიანი უნდა იყოს, ამასთან ითვალისწინებდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს და შეესაბამებოდეს სტატისტიკის წარმოების ევროპულ კრიტერიუმებს.

საქართველოში მიმდინარე ეტაპზეც არ იგრძნობა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსებზე წვდომის მექანიზმის გაუმჯობესება. როგორც ქართულ, ისე უცხოურ მრავალ კვლევაშია აღნიშნული თუ როგორი მნიშვნელოვანია ფინანსებზე წვდომა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისთვის. მაგალითად, მსოფლიო ბანკი (2008) აცხადებს, რომ ფინანსებზე წვდომა მცირე და საშუალო საწარმოებს სარგებელს მოუტანს სხვადასხვა გზით და ხელს შეუწყობს ეკონომიკის საერთო ზრდას. ის შექმნის მეტ სტარტაპსა და ინვესტიციის დამატებით შესაძლებლობებს, შედეგად, გაიზრდება პროდუქტიულობა, მოხდება წინსვლა, შეიქმნება აქტივების უფრო ეფექტური პორტფოლიოები და გატარდება ორგანიზაციული რეფორმები. კრედიტის ნაკლებობის გარდა, საპროცენტო განაკვეთები, როგორც წესი, მაღალია. მრავალ განვითარებად (როგორიცაა საქართველო) ქვეყანაში გრძელვადიანი კრედიტის მიღება განსაკუთრებით რთულია მცირე და საშუალო საწარმოსთვის. რაც უფრო ნაკლებადაა ქვეყანა

განვითარებული, მით უფრო მწვავეა ფინანსური პრობლემები [ჰანსიორგ ჰერი და ზეინეპ მ. ნეტეკოვენი ...; 2019] .

მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებასა და მცირე და საშუალო საწარმოების წარმატებაში, რადგან აისახება პროდუქტიულობის დონესა და საწარმოთა ინოვაციურობაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების (იუნესკოსა და სხვათა) შეფასებით, საქართველო, განათლების დონის მაჩვენებლების მიხედვით, არც ისე სახარბიელოდ გამოიყურება. ისინი იძლევიან რეკომენდაციებს განათლების დონის ამაღლების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ქვეყანაში არსებული არასასურველი კვალიფიკაციის, საშუალო და უმაღლესი განათლების შეუსაბამო ხარისხის გამო პრობლემაა ბიზნესის (განსაკუთრებით მცირე და საშუალოში) საქმიანობის წარმართვა, განსაკუთრებით მენეჯმენტში. 2019 წლის საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოში უმუშევრობის დონე 11,6% შეადგენს ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამასთან, თუ ჩავთვლით იმასაც, რომ თვითდასაქმებული თავს უმუშევრად თვლის, ამდენად ქვეყანაში უმუშევრობის არნახულად მაღალი დონე გვაქვს. მიუხედავად უმუშევართა ასეთი სიმრავლისა, მაღალკვალიფიციური კადრებით ვაკანსიების შევსება ჭირს. მცირე და საშუალო საწარმოებს სჭირდება სპეციფიკური განათლების მქონე პირები. მაღალტექნოლოგიურ სტარტაპებს უმაღლესი განათლება ესაჭიროება. საერთაშორისო ინსტიტუტების ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია ამ მიმართულებით, არის, განათლებისა და ტრენინგების დაფინანსების გაზრდა. ე.ი. საჭიროა მთავრობის მხრიდან ამ კუთხით მეტი ხარჯების გაღება. დღეს (2020) საქართველოში განათლებზე ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქციის მხლოდ 3,8%-ს შეადგენს მაშინ, როცა ევროკავშირში საშუალოდ 4.7 % -ია.

2020 წელი 21-ე საუკუნის ისტორიაში შევა, როგორც კორონავირუსის COVID-19 პანდემიის წელი, მან მოიცვა მსოფლიოს 200-ზე მეტი სახელმწიფო. აშკარაა, რომ COVID-19-ით გამოწვეულ ამ უპრეცედენტო, გლობალური ჯანმრთელობის კრიზისზე საპასუხოდ გატარებულმა ღონისძიებებმა, საჯარო და კერძო სექტორის ჩაკეტვამ მსოფლიო და ცალკეული სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური კრიზისი გამოიწვია. 2020 წლის მარტის შუა პერიოდში, როცა პანდემიის გამო აშშ-ში შემოღებულ იქნა მკაცრი შეზღუდვები, ქვეყანაში უმუშევართა რიცხვმა 40 მლიონს გადააჭარბა [Ж. "Международная жизнь" 4379 subscriber ...28.05. 2020].

საქართველოში, წინასწარი შეფასებით, 2020 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) კლებამ 16.6 პროცენტი შეადგინა. 2020 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, კლების ტენდენცია გამოვ- ლინდა თითქმის ყველა სექტორში. ზრდა დაფიქსირდა მხოლოოდ სამთომოპოვებითი მრეწველობის დარგში [საქსტატის .... 29,05,2020 ].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო ყველაზე მეტად ზარალობს მცრე და საშუალო ბიზნესი, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, თვითდასაქმებულები, შრომითი მიგრანტები და ლტოლვილები (დევნილები) [ООН спрогнозировала... 28/04/2020].

დღეს ქართულ მცირე ბიზნესს განვითარების არსებული პრობლემები კორონავირუსმა უფრო დაუმძიმა და ეჭვქვეშ დააყენა სახელმწიფომხარდაჭერის გარეშე მისი გადარჩენა-განვითარება.

საერთაშორისო ორგანიზაციები და მთელი რიგი ქვეყნების მთავრობები მიმდინარე წლის (2020) მარტი-აპრილიდან პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად ახორციელებენ სხვადასხვა სამუშაოებს. განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული მხარდაჭერა ეთმობა მცირე ბიზნესს, სოციალურად დაუცველებს, უმუშევრად დარჩენილებს, ჯანდაცვას.

17 მარტს **ბრიტანეთის** მთავრობამ ეკონომიკის დასახმარებლად გამოყო თავდებობით (გარანტიით) კრედიტი £330 მილიარდის ($400 მლრდ) ოდენობით. კრედიტის გაცემის სიდიდე გაიზარდა 1.2 მილიონიდან 5 მილიონ ევრომდე და საწარმოები პირველი ექვსი თვე გათავისუფლებულია პროცენტის გადასახადისგან. ხოლო მცირე საწარმოები, რომლებიც განეკუთვნება საცალო ვაჭრობას, სასტუმროებს და ტურისტულ ბიზნესს, გათავისუფლებულია გადასახადებისგან პანდემიის მთელ პერიოდში (ე.ი. პანდემიის მოხსნამდე). 23 მარტს პანდემიის შედეგად გამოწვეული კრიზისის დასაძლევად განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, **გერმანიაში** მცირე ფირმებს და კერძო მეწარმეებს შეუძლიათ მიიღონ პირდაპირი სუბსიდიები €15 ათასი, ამ მიზნით გამოყოფილია €50 მილიარდი. **საფრანგეთში** მცირე სამრეწველო და მიკროსავაჭრო საწარმოები დახმარების სახით მიიღებენ €1500. **აშშ-მ** 27 მარტს მიიღო კანონი კორონავირუსით დაზარალებ- ულთათვის ფინანსური დახმარების მიზნით $100 მილიარდის ოდენობით, ეს კანონი ავალდებულებს მცირე (500-მდე დასაქმებული) კომპანიებს, აუნაზღაუროს კორონავირუსით დაავადებულ თანამშრომლებს ორი კვირის ხელფასი, გარდა ამისა, თანამშრომლებს აძლევენ უფლებას, აიღონ 10 კვირიანი შვებულება ხელფასის ორი მესამედის

ანაზღაურებით. 25 მარტს სენატმა მხარი დაუჭირა ეკონომიკური ღონისძიებების მასტიმულირებელ პაკეტს $2 ტრლნ-ის ოდენობით. აქედან მცირე საწარმოების სტიმულირება ხდება შემდეგი მიმართულებით: საგადასახადო არდადეგების დასაფინანსებლად გამოიყოფა $350 მლრდ, უმუშევრობის დაზღვევისათვის $250 მლრდ და ა.შ. **ბრაზილიის** მთავრობამ 16 მარტს დააანონსა ღონისძიებათა კომპლექსი ეკონომიკის მხარდასაჭერად. აქიდან უახლოეს სამ თვეში მცირე და საშუალო ბიზნესისათვის გამოყო $12 მლრდ. **ავსტრალიაში** ეკონომიკური ღონისძიებების გასატარებლად პირველი პაკეტი განხორციელდა 12 მარტს $10,5 მლრდ ოდენობით, ხოლო მეორე პაკეტი კი-22 მარტს $40 მლრდ-ის ოდენობით. აქედან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად გამოყოფილია $19 მლრდ. ასევე კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად ევროკავშირის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის, არაბთა გაერთიანებული საემირო, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სხვა ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები არსებით მხრდაჭერას უწევენ მცირე ბიზნესს [Какие меры... 26 марта 2020].

2020 წლის 24 აპრილს **საქართველოს** მთავრობის მიერ ანტიკრიზისული სამუშაოების დაფინანსებისათვის სახსრები ჯამურად დაახლოებით 3.1 მლრდ დოლარია გათვალისწინებული, საიდანაც სახელმწიფოს მხრიდან **1.6**, ხოლო კერძო სექტორის მხრიდან 1.5 მლრდ დოლარის მოზიდვა განხორციელდება. ხარჯების მიზნობრიობა მოიცავს: „: • სოციალური მხარდაჭერის პროგრამებს 1,035 მლნ ლარის ოდენობით; • ეკონომიკის და მეწარმეობის პროგრამებს 2,110 მლნ ლარის ოდენობით; • ჯანდაცვის სისტემაზე ხარჯვას 350 მლნ ლარის ოდენობით; • მოზიდული თანხის 1 მლრდ სახელმწიფო და კერძო ვალის რეფინანსირებას მოხმარდება; • მოსალოდნელია, თანხა ნაწილობრივ 2021 წელს იყოს ხელმისაწვდომი/გახარჯული; • დროულად დახარჯვის და ეფექტურად განკარგვის პირობებში, მოზიდული თანხა დანაკლისს აბალანსებს" [ოთარ ნადარაია, ... 14 მაისი 2020]. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის მიერ გამოქვეყნებულ (2020-04-24-ში) მასალებში შედარებით დეტალურადაა გაწერილი მიზნობრივი ხარჯვის მონაცემები. აქ შევჩერდებით იმ მონაცემებზე რაც ეხება ბიზნესის დახმარების თვალსაზრისით კრიზისულ პერიოდში გასაწევ ღონისძიებებს და ხარჯებს: ამოქმედდება დღგ-ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმი, რაც იმას ნიშნავს, რომ მეწარმეს როგორც კი პირად ანგარიშზე დაუფიქსირდება ზედმეტობა, მას ავტომატურად დაუბრუნდება დღგ, ყოველგვარი მოთხოვნის გარეშე. აგრეთვე, წელს, 1 წლის განმავლობაში დამატებით 600 მლნ ლარი ბიუჯეტიდან იქნება დაბრუნებული დღგ-ს სახით. კომერციულ ბანკებს მიეწოდება 600 მლნ ლარის გრძელვადიანი რესურსი. ბიზნესის მხარდაჭერისთვის კი დამატებით გამოიყოფა 500 მლნ ლარი, რასაც ექნება თავისი მიზნობრივი მიმართულებები: საკრედიტო - საგარანტიო სქემა - ბიუჯეტი 300 მლნ ლარი. მიზნობრივი ჯგუფები იქნებიან მცირე და საშუალო მეწარმეები. მთავრობას მიაჩნია, რომ „ამ ინსტრუმენტით შეძლებს 2 მლრდ ლარის საკრედიტო პორტფელის გამყარებას, გაცემას, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მისცემს გარანტიის საშუალებას სესხის 90%-ზე. ეს მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ მეწარმეებისთვის, რომლთაც დაწყებული აქვთ გარკვეული პროექტები და ამ კრიზისულ ვითარებაში გადადგამენ ნაბიჯს ახალი მიმართულებების შესაქმნელად. ეს ეხება ახალ წამოწყებებს, თუმცა, იმ კომპანიებს, რომელთაც აქვთ ძველი სესხები, რესტრუქტურიზაციის სახით სახელმწიფო შეეხიდება 30% გარანტირების ნაწილში" [მთავრობის ადმინისტრა... 2020-04-24}. ფართოვდება პროგრამა „აწარმოე საქართველოში" და სახელმწიფოს მონაწილეობის წილი (თანადაფინანსება) გაიზრდება როგორც მიმდინარე პროექტებთან, ისე ახალ წამოწყებებთან მიმართებაში. სესხის და ლიზინგის 24 თვიანი თანადაფინანსების პერიოდი გაიზრდება 36 თვემდე. გაიზრდება სოფლის მეურნეობის პროექტების დაფინანსება. კერძოდ, მიკროსაგრანტო სისტემა სახელმწიფომ დაიწყო რამდენიმე წლის წინ, ეს არის რეალური დახმარება სოფლად მცხოვრები იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გადაწყვეტენ, ელემენტარული მცირე ბიზნესის წამოწყებას. გრანტის ოდენობა დაიწყო 5000 ლარიდან, შემდგომ გახდა 15 000 და 20 000 ლარი. ნავარაუდევია, ეს ზღვარი დღეისთვის გაიზარდოს 30 000 ლარამდე. ამ მიზნით პორტფელის ოდენობის გაზრდას ფიქრობენ 40 000 000 ლარამდე. მიმდინარე წელს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები სამელიორაციო საფასურისგან სრულად გათავისუფლდებიან, ამასთან, წინა წლებში დაგროვილი დავალიანება სრულად ჩამოიწერება. დღეს სოფლის მეურნეობის მიმართულებით მნიშვნელოვანი ხდება პირველადი სასურსათო პროდუქტების წარმოება, უბრალოდ, სასურსათო ბაზის შექმნა, ამიტომ, ამისთვის სახელმწიფომ გამოყო 50 000 000 ლარი. ნავარაუდევია, რომ ამით სარგებლობას შეძლებს 5000 ფერმერი. ფერმერი ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე მიიღებს შემდეგ დახმარებას: აგრობარათებზე დარიცხული – 200 ლარი; აგროდიზელი - არსებული ღირებულების ერთ ლარამდე ფასდაკლებას; მელიორაცია – 75 ლარი; აგროკრედიტი, საბრუნავი კომპონენტი – 850 ლარი. ჯამში, სახელმწიფოს მხრიდან ერთ ჰექტარ მიწაზე ფერმერებისთვის მხარდაჭერა შეადგენს 1700 ლარამდე, ამ მხარდაჭერით 200 000-მდე ფერმერი ისარგებლებს. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ფასთა შორის

სხვაობის დასაზღვევად გამოიყო 200 მილიონი ლარი. მოხდა 7000 იურიდიული პირის სესხების რესტრუქტურიზაცია, ასევე მცირე სასტუმროების საბანკო ვალდებულებების 80%-ით სუბსიდირება. 4500 ბიზნესსუბიექტს გადაუვადდა 90 მილიონი ლარის მოცულობის ოთხი თვის ქონების და საშემოსავლო გადასახადი. ანტიკრიზისული გეგმის პირველი ეტაპით შეღავათები დაუწესდათ ავტოიმპორტიორებს.

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად გასატარებელი სხვადასხვა ღონისძიებების და მიზნობრივი დანახარჯების აქ მოყვანილი მასალების ბენეფიციარებად ვფიქრობთ მეტწილად მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში დასაქმებულები მოიაზრება.

## დასკვნა

დღეს ქართულ მცირე ბიზნესს განვითარების არსებული პრობლემები კორონავირუსმა უფრო დაუმძიმა და ეჭვისქვეშ დააყენა სახელმწიფომხარდაჭერის გარეშე მისი გადარჩენა-განვითარება.

საქართველოს ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმით რთულია იმის დადგენა, თუ რა ღონისძიებები და დანახარჯებია გათვალიწინებული უშუალოდ მცირე ბიზნესზე მხარდაჭერის მიზნით.

სასურველი იყო, ანტიკრიზისულ გეგმაში ფინანსების მიზნობრივი განაწილებისას სამიზნე სუბიექტად გამოეყოთ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი ისე როგორც ეს რიგ განვითარებულ ქვეყნებში განხორციელდა. კარგია მცირე სასტუმროების საბანკო ვალდებულებების 80%-ით სუბსიდირება, რომ მოხდა, მაგრამ ტურიზმს მხოლოდ დაბინავების ხელშეწყობა ვერ დააყენებს ფეხზე. საჭიროა კვების, ტრანსპორტის და ტურიზმის სხვა მომსახურების სფეროს მცირე საწარმოების ხელშეწყობა.

კარგია სოფლის მეურნეობაში მიკროსაგრანტო სისტემის არსებობა, რომლის მიხედვით გრანტები განკუთვნილია სოფლად მცხოვრები იმ ადამიანებისთვის რომლებიც გადაწყვეტენ, ელემენტარული მცირე ბიზნესის წამოწყებას. მიმდინარე წლისათვის ამ მიმართულებით განსაზღვრული სახსრების მიხედვით თუ ვიმჯელებთ უკეთეს შემთხვევაში ეს მოიცავს 1333 ბენეფიციარს (40 000 000 : 30 000 = 1333). ეს არც ისე დიდი ციფრია.

დღეს, მცირე ბიზნესის არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით, დაჩქარებული წესით უნდა იქნეს მიღებული კანონი მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს, სქართველოში მოქმედი ინსტიტუტებისთვის ქვეყნის ეკონომიკის დონის და ევროკავშირის მოთხოვნის შესაბამისი ბიზნესის ფორმების (მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი) განსაზღვრას, ამასთან, სამართლებრივად უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. ამის განხორციელების ხელის შემშლელი ვერ იქნება ვირუსი COVID-19 .

დღესაც მცირე და საშუალო ბიზნესსითვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს, რომ არ აქვთ წვდომა საკმარის, გრძელვადიან ფინანსებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ეს პრობლემა კორონავირუსმა უფრო დაამძიმა.

მართალია, დღეს COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვების ნაწილობრივ შემსუბუქება ხდება (თუნდაც მოხდეს მთლიანად მისი მოხსნა), მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კომპანიებს (საწარმოებს) შეეძლებათ საქმიანობის აღდგენა და გრძელვადიან პერიოდში გაგრძელება იმ ღონისძიებების გატარების გარეშე და იმ მოთხოვნების დაცვის გარეშე, რომელსაც ჩვენი ეპიდემიოლოგები და ექიმები გვთავაზობენ. უნდა იყოს დაცული საბაზისო წესი: ჰიგიენა (სადეზინფექციო ხსნარები, პირბადე, ხელთათმანები), დისტანციური სამუშაო პირობები, თერმოსკრინინგის ჩატარება. ეს დამატებითი ხარჯებია და ამძიმებს ფინანსურ პრობლემას განსაკუთრებით მცირე ბიზნესისათვის.

გამოდის რომ, დღეს შეზღუდვების შემსუბუქების მიმართულება პირდაპირ კავშირშია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს (როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო) სპეციალისტების მიერ დადგენილი რეკომენდაციების შესრულების ხარისხთან.

შეზღუდვების გარდუვალობა იმთავითვე ზღუდავს მომხმარებელთა წვდომას მომსახურებასთან, მეტწილად ამით არის განპირობებული პანდემიით გამოწვეული კატასტროფული მდგომარეობა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. იმ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, რომელიც განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქციის (მშპ) 50% -ზე მეტს ქმნის. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წილმა ბიზნეს სექტორში, 2018 წელს, გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებლის მიხედვით, თითქმის 60% (59.6%) შეადგინა. ამასთან პანდემიით გამოწვეულ მთავარ პრობლემად რჩება ის, რომ დღემდე არ არის შედგენილი რაიმე ეპიდემოლოგიური მოდელი, რის საფუძველზეც შეძლებდა მთავრობები, პანდემიის განვითარების და მით გამოწვეული ეკონომიკური შედეგების მაღალი ალბათობით პროგნოზირებას. ამდენად, დღეს ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს „კორონომიკური“-ს განვითარების პროგნოზირება. ანუ, კორონავირუსის - COVID-19-ის სამომავლო ქცევების განუჭვ-

რეტელობის გამო, შეუძლებელია ამ უკანასკნელით გამოწვეული მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის მაღალი ალბათობით პროგნოზირება. აღნიშნული უნდა გათვალისწინოს მთავრობამ კრიზისის დასაძლევად გამოყოფილი სახსრების განაწილებისას, იგი უნდა იყოს გამჭვირვალე და ცალსახად მიზნობრივი, ეკონომიკაში დაბანდებული ყოველი ლარის ეფექტის გათვალისწინებით. ყოველი ფუჭად გაღებული სახსრები მომავალში შეიძლება უფრო ძვირი დაგვიჯდეს რადგან არავინ იცის პანდემიის ქცევის სამომავლო სურათი.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ООН спрогнозировала исторический уровень безработицы из-за пандемии Подробнее на РБК: https://www.rbc.ru/society/28/04/2020/5ea751209a7947cdee282df2
2. კაკულია ე., მალანია გ. მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და განვითარების მაჩვენებლები თანამედროვე პოსტსაბჭოთა საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი "ეკონომიკა – XXI საუკუნე". ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის მასალების კრებული "საქართველოსა და სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები" (1 ნოემბერი – 28 დეკემბერი) 2019.
3. საქსტატი „მეწარმეობა საქართველოში" 2010.
4. რამაზ აბესაძის ექსპერტული ხედვა და რჩევები გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური პრობლემები. http://newspaper.tsu.ge/ge/news/view/RdKYBovj?fbclid=IwAR1owJlWNlqIXE3CuhpEy_x4kNGE804f8G9BBi7SRxW8Mt6rYFauDnhx0QU 08.05. 2020
5. თსუ-ის პროფესორის, აკადემიკოს ლადო პაპავას რეკომენდაციები „კორონომიკური" კრიზისის ფონზე და პოსტკრიზისული მოლოდინები. http://newspaper.tsu.ge/ge/news/view/yVCmoava?fbclid=IwAR1WOxKGwTyqDaV9hIbgTRMzY_trjNlYFlJOhQE3jpUnv5uExZRPvpeo3vU 03.04.2020
6. Журнал "Международная жизнь" 4379 subscribers Общее число безработных в США превысило 40 миллионов человек https://zen.yandex.ru/media/id/5c62e2c6ae6f0200adeabbc4/obscee-chislo-bezrabotnyh-v-ssha-prevysilo-40-millionov-chelovek-5ecfe0bb6d79af2385765a7d
7. საქსტატის ეროვნული სამსახური, ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება აპრილი 2020 საინფორმაციო ფურცელი, 29,05,2020.
8. ოთარ ნადარაია, ალექსანდრე ბლუაშვილი, მერი ჩაჩანიძე, თორნიკე კორძაია, COVID-19 ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, თიბისი კაპიტალი, 14 მაისი 2020.
9. მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა – ვის შეეხება ფინანსური დახმარება?! NEWSPLUS.GE აპრილი 24, 2020 https://newsplus.ge/2020/04/24/
10. Посткоронавирусная эпоха https://opticmagazine.ru/novosti/postkoronavirusnaya-epoxa
11. Какие меры для поддержки экономики вводили в разных странах в связи с коронавирусом https://tass.ru/info/8088363 ТАСС 26 марта 2020]
12. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური 2020-04-24 http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=75972 გიორგი გახარიამ ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა წარადგინა.
13. Экономисты предложили рецепт поддержки для безработных в США 14.04.2020 https://interaffairs.ru/news/show/26002
14. საქსტატი, ბიზნესსექტორი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2019.



***Eter Kakulia***

***Nana Bibilashvili***


## PROBLEMS EXISTED IN SMALL BUSINESS DEVELOPMENT AND CAUSED BY COVID-19 IN GEORGIA

**Summary**


The paper examines three types of small business on the example of Germany and the United States; As well as the permanent problems of small business and COVID-19 problems; In order to overcome the crisis caused by the pandemic, in some foreign countries and in Georgia, anti-crisis plans financed (already implemented) will be implemented. Comparisons have been made and the need to share the experience of foreign countries, the targeted

distribution of expenditures to overcome the problems caused by the pandemic, as well as the support of small and medium-sized businesses has been expressed.

*ნათია კახნიაშვილი*

## გლობალური პანდემიის გავლენა კორპორაციათა შერწყმისა და შესყიდვის ოპერაციებზე

***ანოტაცია.*** *სტატიაში განხილულია კორპორაციათა შერწყმისა და შესყიდვის ბაზრის დამახასიათებელი ტენდენციები და თუ რა გავლენას ახდენს ამ პროცესებზე კორონავირუსით (COVID19) გამოწვეული გლობალური პანდემია.*

*მცირე ან ნაკლებად მომგებიანი კომპანიებისთვის, ზოგადად, შერწყმა და შეძენა (M&A) ხშირად ერთადერთი გზაა გადარჩენისთვის. ეს არის გლობალური ბიზნესსტრატეგია, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევს, შევიდნენ პოტენციურ ბაზრებზე ან ახალ ბიზნესგარემოში. აღნიშნული საკითხი უფრო მეტად აქტუალურია დღევანდელ დღეს, როდესაც მსოფლიო მასშტაბით მძვინვარებს ვირუსი (COVID 19). ქვეყნები იმყოფება ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში, შეზღუდულია ქვეყნებს შორის მიმოსვლა, ვაჭრობა, რაც ხელს უშლის შერწყმისა და შესყიდვის ბაზრის გარიგებებს.*

*როდესაც სახეზეა მსოფლიო მასშტაბის, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ან სხვა გლობალური რყევები, ამ დროს შერწყმის და შესყიდვის გარიგებებში გამყიდველიდან უპირატესობა გადადის მყიდველზე. (მაგ., 2000-2002 წწ. ან ე.წ. დიდი რეცესია – 2008-2009 წწ. კრიზისები), შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ იგივე მოხდება (COVID19) – პანდემიის დროსაც. დღევანდელი კრიზისის პირობებში წარუმატებელი გარიგებების ალბათობა საგრძნობლად იზრდება. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გარიგების უმეტესობა ვერ განხორციელდა. საშუალოდ 5 შერწყმის ოპერაციიდან მხოლოდ ერთი მათგანია წარმატებული.*

*კვლევის მიზანი და ამოცანა სწორედ შერწყმისა და გაერთიანების გარიგებების სტრუქტურისა და დინამიკის, და ამ პროცესებზე კრიზისით გამოწვეული გავლენის გაანალიზებაა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *შერწყმა და შესყიდვები, გარიგებები, კონკურენცია, მონოპოლია.*

### შესავალი

შერწყმისა და შესყიდვის გარიგებები XX საუკუნიდან მოყოლებული, დღემდე აქტუალობას არ კარგავს და ხშირ შემთხვევაში, წლიდან წლამდე როგორც რაოდენობრივად, ისე ფინანსურად იზრდება ოპერაციების რიცხვი (გამონაკლისს წარმოადგენს ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული შეფერხებები). იგი უდიდეს გავლენას ახდენს როგორც მონაწილე მხარეებზე, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აღნიშნული ტიპის ოპერაციების შედეგად ჩამოყალიბდა არაერთი გიგანტი კორპორაცია, რომელიც მსოფლიო ბაზარზე დომინირებს და აღნიშნული ოპერაციის გარეშე რთულად წარმოსადგენი იქნებოდა მათი დღევანდელი მდგომარეობა ბაზარზე (კასრაძე 2017, 239).

საკითხის აქტუალობა კიდევ უფრო მეტად იკვეთება დღევანდელ დღეს, როდესაც მსოფლიო მასშტაბით მძვინვარებს ვირუსი (COVID 19). ქვეყნები იმყოფება ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში, რაც, საბოლოო ჯამში, მოთხოვნის კლებას იწვევს. ხოლო კომპანიების გადაწყვეტილებები, შეაჩერონ საწარმოო პროცესი, აფერხებს მიწოდებას. შესაბამისად ბაზარზე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ბევრი კომპანიისთვის გამოსავალი და მაშველი რგოლია შერწყმისა და შესყიდვის ოპერაციები.

სტატიის მიზანი და ამოცანაა შერწყმისა და გაერთიანების გარიგებების სტრუქტურისა და დინამიკის გაანალიზება გლობალური პანდემიის პირობებში.

### შერწყმის და შესყიდვის გარიგებების აქტივობა პანდემიის ფონზე

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება უდიდეს გავლენას ახდენს ბიზნესის თითქმის ყველა სფეროზე, მან უმოკლეს დროში ასობით ათასი ბიზნესი შეაჩერა ან მნიშვნელოვნად შეამცირა მისი წარმოება, მილიონობით ადამიანი დარჩა უმუშევარი, შემცირდა მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, შესაბამისად გამონაკლისი არც შერწყმის და შესყიდვის ოპერაციებია, შესაბამისად, ამ მიზეზით არაერთი ოპერაცია შეფერხდა ან სულაც შეწყდა, თუმცა კორპორაციები დაბალი ტემპებით კვლავ აგრძელებენ M&A გარიგებებში შესვლას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში როდესაც არსებობს მკვეთრად გამოხატული სტრატეგიული საფუძვლები.

შერწყმისა და შესყიდვის გარიგებებმა გაუძლო და გადაიტანა არაერთი ეკონომიკური კრიზისი, მათ შორის 2000-2002 წლის საბირჟო კრიზისი, 2008-2009 წლის რეცესია და სხვა, რომლის ძირითადი მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა, ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამო ბაზარზე წარმოქმნილი ქაოსის შედეგად მომხმარებლები გაურკვეველი ვადით გადაავადებდნენ შესყიდვებს. მაგრამ ამჯერად ყველაფერი განსხვავებულად არის, პანდემია ეხება არა მხოლოდ ფინანსურ სექტორს, გამყიდველების შეფასებას და მყიდველების მოთხოვნას, არამედ სხვა უამრავ ფაქტორს, რომლებიც, რა თქმა უნდა, უდიდეს გავლენას ახდენს M&A გარიგებებზე

აღნიშნულ ფაქტორებს მიეკუთვნება: გარიგების განსაკუთრებული პირობები, საქონლისა თუ მომსახურების მიწოდებისას გასავლელი აუცილებელი პროცედურები, აღნიშნული პროცედურების გავლისათვის საჭირო დამატებითი დრო, რომელიც ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს და მყიდველი უარს ამბობს იყიდოს ესა თუ ის პროდუქტი თუ მომსახურება და სხვა პროცედურები.

გასული კრიზისებისგან განსხვავებით, რომლებმაც შესყიდვის და შერწყმის ოპერაციებზე დიდი გავლენა მოახდინა, მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა საქმიანი ოპერაციების შემუშავების ასპექტშიც. რადგანაც, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო გადავიდა ონლაინ (სახლიდან) მუშაობაზე, თანამედროვე ტექნოლოგიები სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდა, შესაბამისად შერწყმისა და შესყიდვის მსურველმა მხარეებმა და ოპერაციების განმახორციელებელმა დამხმარე ფინანსურმა თუ იურიდიულმა კონსულტანტებმა ადაპტირება მოახდინეს შეცვლილ გარემოსთან.

კრიზისის პირობებში მნიშვნელოვნად არის შემცირებული გარიგებების ოდენობა და 2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, გარიგებების რაოდენობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2019 წლის იმავე მონაცემებთან შედარებით 50%-ზე მეტით არის შემცირებული და 253 მილიონს შეადგენს, დასრულებული გარიგებების უმრავლესობა კი შედგა ან საბოლოო სახე მიიღო წლის დასაწყისში, მანამ, სანამ ვირუსი მთელ მსოფლიოში გავრცელდებოდა.

კომპანიების ხელმძღვანელები, რომლებიც ჩვეულებრივ იქნებოდნენ პოტენციური შემსყიდველები, იძულებულნი გახდნენ თვიანთი რესურსები მიემართათ საკუთარი კომპანიის გადარჩენაზე და უარი ეთქვათ გრძელვადიან მიზნებზე, რომლებიც ითვალისწინებს შერწყმისა და შესყიდვის ოპერაციებს.

მსგავსი შემთხვევების არაერთი მაგალითი არსებობს, განვიხილოთ რამდენიმე, მათგანი: ნახევარწლიანი მოლაპარაკების შედეგად, ფაქტობრივად დასრულებულ გარიგებაზე XEROX-ის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს HP-ს აქციონერებთან შეხვედრაზე და უკან გაიწვიეს შეთავაზებული 35 მილიარდიანი წინადადება, რომელიც მიზნად ისახავდა HP-ს შესყიდვას, მიზეზად მსოფლიოში განვითარებული მოვლენები სახელდება, რამაც კომპანიას სრული ყურადღება გადაატანინა პანდემიასთან ბრძოლაზე.

პანდემიის კიდევ ერთი მსხვერპლი აღმოჩნდა Hexcel და Woodward შერწყმის მცდელობა, საუბარია 6.4 მილიარდიან გარიგებაზე, რომლის ჩაშლის მიზეზად სწორედ კორონავირუსით გამოწვეული უპრეცედენტო პრობლემები დასახელდა. ინვესტორების განცხადებით ოპერაციები გადაიდება მანამ, სანამ სიტუაცია არ დასტაბილურდება.

რაღა თქმა უნდა, ზოგიერთი ინდუსტრია უფრო მეტად არის დაზარალებული, მაგალითად, ტურიზმის და დასვენების სფერო, ტრანსპორტი, ნავთობი და სხვა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შერწყმის და შესყიდვის ოპერაციების ზრდა ამ სფეროებში. ერთი მხრივ ამის მიზეზი არის შემსყიდველი კომპანიების წინდახედულობა და მათი ზრდის შესაძლებლობების დანახვა, ხოლო მეორე მხრივ გამყიდველი კომპანიების ალტერნატივის არარსებობა და გადარჩენისთვის დაბალ ფასად შერწყმის და შესყიდვის გარიგებებში შესვლა. შესაბამისად ამ სფეროებში მოსალოდნელია M&A ოპერაციების გაზრდა როგორც რაოდენობრივად, აგრეთვე ფინანსურად.

მოსალოდნელია, რომ გარიგებები, რომლებიც კრიზისს გადაურჩება და კვლავ დღის წესრიგში იდგება, დროში მნიშვნელოვნად გაიწელება და საბოლოო შედეგს ბევრად უფრო გვიან მივიღებთ ვიდრე ეს ნორმალურ პირობებში იქნებოდა. როდესაც საუბარია M&A გარიგებებზე, გასავლელია მოლაპარაკებების არაერთი ეტაპი, მათ შორის მოსამზადებელი ფაზა, მიზნების და ამოცანების განხილვა და ა.შ., შესაბამისად, დიდი ალბათობით, აღნიშნული ეტაპები საგრძნობლად უფრო დაბალი ტემპით წარიმართება და დიდ დროს მოიცავს, ამის ძირითად მიზეზებს წარმოადგენს:

- შემსყიდველ კორპორაციას დასჭირდება ბევრად უფრო მეტი დრო რათა გაეცნოს და შეაფასოს რეციპიენტის რისკები, მათი რეალური შესაძლებლობები, მდგომარეობა ბაზარზე და სხვა.
- მესამე მხარის (მაგ., ლიცენზიის და პატენტის გამცემი ორგანოები, კლიენტები მიმწოდებლები და სხვა) თანხმობის მისაღებად და მათ დასარწმუნებლად საჭირო იქნება გაცილებით მეტი დრო.
- შერწყმის და შესყიდვის ოპერაციების შესასრულებლად ხშირად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მოსალოდნელი შედეგების შეფასება და იმის დადგენა, ხომ არ გამოიწვევს აღნიშნული გარიგება

ბაზარზე მონოპოლიას, შესაბამისად ნებისმიერი ტიპის თანხმობის გაცემას დასჭირდება მეტი დრო, (ვან ჰორნი, 2008, 215).

- შემსყიდველი კორპორაციები და მათი წარმომადგენლები იქნებიან ბევრად უფრო ფრთხილები და მათ დასარწმუნებლად ბევრად უფრო დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო.

**სახსრების მოზიდვის გართულება და ხელმიუწვდომლობა.** ჩვეულებრივ, შერწყმის და შესყიდვის გარიგებების უმრავლესობა ნაწილობრივ ან სრულად ფინანსდება მოზიდული სახსრებით. კორონავირუსით გამოწვეულმა რყევებმა საფონდო ბირჟებზე (და არა მარტო) შექმნა მნიშვნელოვანი პრობლემები. საგრძნობლად შემცირებულმა აქციების ფასმა ბევრ კომპანიას გადაავადებინა დამატებით აქციებით უზრუნველყოფილი სესხების აღება ან/და ოპერაციები სავაჭო ბირჟაზე, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირა M&A გარიგებების წარმოება.

## M&A გარიგებები პოსტკრიზისულ პერიოდში

მყიდველი კორპორაციები აწყდებიან არაერთ პრობლემას, როგორიცაა ბიზნესგეგმის სწორად გადაწყობა, საოპერაციო პრობლემები და სხვა, თუმცა, ამის მიუხედავად, მათ მაინც უდიდესი უპირატესობა გააჩნიათ, რადგან, მათ, როგორც წესი, აქვთ დრო და საშუალება, რომ შეარჩიონ შერწყმის უკეთესი ვარიანტები და მისაღებ ფასად, რაც, თავის მხრივ, აფერხებს გარიგებებ. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა შეამციროს გარიგებების აქტივობა, არის, ზოგიერთი პოტენციური შემსყიდველი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა თავისუფალი საშუალებები აღნიშნულ გარიგებებში მიემართა, ახლა სხვა მიმართულებით მიმართავენ ან სულაც საკუთარი კომპანიის საოპერაციო ხარჯებს მოახმარენ.

ცხადია, კრიზისი ზოგ სფეროს მეტად, ხოლო ზოგს ნაკლებად შეეხება, შესაბამისად, გარიგების ღირებულებებიც სხვადასხვა სფეროებში სხვადასხვაგვარად შეიცვლება. ნათელია, რომ ტურიზმის, სასტუმროს ან სამოგზაურო ბიზნესში ჩართული კომპანიების შერწყმის და შესყიდვის გარიგებების ფასში ცვლილება იქნება ბევრად უფრო დიდი, ვიდრე პროგრამული უზრუნველყოფის, ონლაინ ტექნოლოგიების, საკვების ადგილზე მიტანის სერვისი და სხვა კომპანიებზე (შესაძლოა აღნიშნული კომპანიები მინიმალურად ან სულაც არ დაზარალდნენ, რადგან რიგ შემთხვევებში მათზე მოთხოვნა პანდემიის პირობებში გაზრდილია).

როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკის დახურვამ და ბიზნეს საქმიანობის ჩაკეტვამ გამოიწვია არაერთი პრობლემა, მათ შორის საფონდო ბირჟების რყევა და ყველა ტიპის გარიგებების შემცირება, შესაბამისად საინტერესოა განვიხილოთ რიცხვებში, თუ რა გავლენა მოახდინა პანდემიამ შერწყმის და შესყიდვის გარიგებებში.

Dealogic-ის (3) მონაცემების მიხედვით, 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებთან შედარებით შერწყმის და შესყიდვის გარიგებები მსოფლიოს მასშტაბით 35%-ით არის შემცირებული. აღნიშნული მონაცემებით 2020 წელს განხორციელებული გარიგებების ფინანსური გამოსახულება არის 618 მლრდ აშშ დოლარი, მაშინ, როდესაც 2019 წ. იმავე პერიოდში ეს რიცხვი 956 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა, აგრეთვე მსოფლიო მასშტაბით 25%-ით შემცირებულია ოპერაციების ღირებულებაც, ამერიკაში კი ეს მაჩვენებელი ბევრად მაღალ ნიშნულზეა და 50% შეადგენს. აშშ-ში წინასწარ დაგეგმილი 10 უმსხვილესი შერწყმის ოპერაციიდან მხოლოდ 4 დასრულდა წარმატებით, საერთო ჯამში, მსოფლიო გარიგებების მხოლოდ 35% განხორციელდა ამერიკაში (2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემები), გასულ წელს ეს მაჩვენებელი 52% შეადგენდა და 2012 წლის მერე ყველაზე ცუდ შედეგს წარმოადგენს.

მოსალოდნელია რომ, თუ ვირუსი კვლავ გააგრძელებს ეკონომიკაზე ზემოქმედებას, ბოლო წლებში შენარჩუნებული კორპორაციული გარიგებების მაღალ აქტივობას აუცილებლად შეანელებს, თუმცა პანდემიის გადავლის შემდეგ ოპერაციები აღდგება და ამაზე მზად უნდა იყვნენ შერწყმის და შესყიდვის მხარეები.

დღევანდელ პირობებში (იგულისხმება კორონავირუსით გამოწვეული პანდემია) კი წარუმატებელი გარიგების ალბათობა საგრძნობლად იზრდება, საშუალოდ 5 შერწყმის ოპერაციიდან მხოლოდ 1 მათგანია წარმატებული, ხოლო დღევანდელი ჩაკეტილი საზღვრების, გაჩერებული ეკონომიკების, უამრავი შეზღუდვების და გაურკვევლობის ფონზე წარუმატებელი შერწყმის და შესყიდვის ოპერაციის განხორციელების რისკები მნიშვნელოვნად იზრდება. აუცილებელია წინასწარ სწორად შეფასდეს ვირუსით გამოწვეული შეზღუდვები (მაგალითად, ევროკომისიამ მხარეებს მოუწოდა, თავი შეიკავოს შერწყმის და შესყიდვის ოპერაციებისგან თუ პროცესები აქამდე არ იყო დაწყებული). განსაკუთრებით ფერხდება ისეთი ოპერაციები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდვა კონკრეტულ სფეროში, ხოლო რამდენიმე თვით ოპერაციის გადადება შესაძლოა სულაც აღარ იყოს მომგებიანი, განსაკუთრებით ასეთი მძიმე ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ, ყველაფრის

მიუხედავად მაინც განხორციელდა ორი კომპანიის შერწყმა, აუცილებელია უდიდესი დაკვირვების ქვეშ მიმდინარეობდეს მათი ინტეგრაცია განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, რადგან სწორედ ამ პერიოდში უშვებენ კომპანიები ისეთ შეცდომებს, რომლის გამოსწორება შემდეგ შეუძლებელია .

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ კომპანიამ, რომელიც გეგმავს გაფართოებას და სხვა კომპანიის შეერთებას, კარგად გაიაზროს ყველა სახის რისკი და ხარჯი, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს გარიგებას, შეადაროს ისინი შესაძლო სარგებელს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. ყურადსაღებია ისეთი გარიგებები, რომელიც ხორციელდება ქვეყნის გარეთ, რადგან ასეთ დროს სტანდარტულ რისკებს ემატება სამუშაო ბაზრის არასათანადოდ შეფასების რისკი, რაც, დიდი ალბათობით, კრახს გამოიწვევს.

## დასკვნა

კორპორაციის შერწყმისა და შესყიდვის ოპერაცია _ ეს არის ორი კომპანიის ერთ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბება და საერთო მენეჯმენტის მიერ მისი მართვა. როგორც წესი, აღნიშნული ოპერაციები ხორციელდება ბიზნესის გაძლიერებისათვის, საბაზრო წილის ზრდისთვის, სინერგიის ეფექტის მისაღწევად, საგადასახადო უპირატესობების მოსაპოვებლად, პროდუქციის დივერსიფი-კაციისათვის თუ სხვა უპირატესობების მოსაპოვებლად, თუმცა, როგორც კვლევიდან გამოჩნდა, საკმაოდ დაბალია წარმატებული შერწყმის პროცენტული წილი აღნიშნულ ოპერაციებში.

მნიშვნელოვან ფაქტორს კი წარმოადგენს კორონავირუსის გავლენა ეკონომიკურ საქმიანობაზე, განსაკუთრებით შერწყმისა და შესყიდვის ოპერაციებზე. ეკონომიკური ზარალი არა თავად ვირუსის, არამედ უფრო მისი გავრცელების პრევენციული ღონისძიებებიდან მომდინარეობს. თუმცა იგი გავლენას ახდენს როგორც მომხმარებლების და სახელმწიფოების, ასევე ბიზნესოპერატორების გადაწყვე-ტილებებზე. აღსანიშნავია ძირითადი პრობლემები და დაბრკოლებები, რომელსაც კორპორაციები უკვე გადააწყდნენ, და ამას ნათლად მოწმობს სტატისტიკური მონაცემები როგორც აშშ-სა და ევროპაში, ისე გლობალურად, _ ან უახლოეს მომავალში მოუწევთ მათთან შეჭიდება და თუ რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს რათა მოხდეს ზარალის მინიმიზაცია და შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება. პანდემიის საბოლოო ეკონომიკურ შედეგებთან დაკავშირებით დასკვნების გაკეთება ნაადრევია, თუმცა პოსტკრიზისული პერიოდი აჩვენებს, გაუმჯობესდება თუ შესუსტდება კონკუ-რენტული გარემო, ფასები მოიმატებს თუ შემცირდება, მომხმარებელთა ინტერესები უგულებელყოფილი იქნება თუ დაცული. ასევე ნათელი გახდება, მიაღწია თუ არა კორპორაციებმა გარიგებების მთავარ მიზანს, თუ ისინი იმ გლობალურ გარიგებებს შორის მოხვდებიან, რომლებიც ვერ განხორციელდა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. კასრაძე, თ. კომპანიების შერწყმა-შესყიდვის (შთანთქმის) გლობალური ტენდენციები. Conference: II International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economics and Business" თბილისი , 2017 , გვ .,239-245
2. ჯეიმს ვან ჰორნი, ჯონ მ.ვახოვიჩი, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, გამომც. „საქართველოს მაცნე", თბილისი, 2008, გვ 215;
3. S.Bergamin, M.Braun, Margers and Acquistitions, spring international publishing, management for professionals, 2018; , p 87-95
4. S.Bergamin Integration Management in Mergers and Acquisitions: Success Factors and Pitfalls, spring international publishing, 2018, P 1-31;
5. Thornton,M. The Synergy Trap: How Companies Lose the Acquisition Game, by Mark L. Sirower 2007,P. 85-86;
6. Alan Lewis and Dan McKone, So Many M&A Deals Fail Because Companies Overlook This Simple Strategy; https://hbr.org/2016/05/so-many-ma-deals-fail-because-companies-overlook-this-simple-strategy;
7. Волков В, Основы слияний и поглощений, 2003, https://www.cfin.ru/investor/ma_basic.shtml
8. Vogan,E. Создание стоимости с помощью слияний, поглощений и союзов https://econ.reading.ru/67744
9. https://www.forbes.com/sites/allbusiness/2020/04/17/impact-of-coronavirus-crisis-on-mergers-and-acquisitions/#4d664307200a
10. M&A Highlights: First Quarter 2020 https://www.dealogic.com/insight/ma-highlights-first-quarter-2020/
11. Coronavirus and M&A deals https://www.pinsentmasons.com/out-law/guides/coronavirus-ma-deals last seen 05.05.20

*Natia Kakhniashvili*

**THE IMPACT OF THE GLOBAL PANDEMIC ON CORPORATE MERGER AND ACQUISITION OPERATIONS**

**Summary**

A corporation merger and acquisition operation is the formation of two companies into one structural unit and is managed by a common management. As a rule, these operations are carried out to strengthen the business, increase market share, achieve synergistic effect, to obtain tax benefits, to diversify products or to gain other advantages, however, as the study showed, the percentage of successful mergers in these operations is quite low. An important factor is the impact of the corona virus on economic activities, especially mergers and acquisitions. The economic damage comes not from the virus itself, but more from its preventive measures. However, it affects the decisions of both consumers and states, as well as business operators. The main problems and obstacles that corporations have already solved are noteworthy, and this is clearly evidenced by the statistical data, both in the United States and Europe, and globally. It is too early to draw conclusions about the final economic consequences of the pandemic. However, as a recommendation, it can be said that a company that plans to expand and merge with another company is well aware of all the risks and costs that may come with the transaction,

Compare them to the possible benefits and only then make a decision. The main problems and obstacles that corporations have already solved are noteworthy, and this is clearly evidenced by statistical data both in the US and Europe, globally, or in the near future they will have to deal with them and what solutions can be found to minimize losses and use opportunities as efficiently as possible.

*ნინო ლობჟანიძე*

## კორონავირუსის (Covid-19) გავლენა წყლის ინდუსტრიაზე: ძირითადი გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოში

***ანოტაცია.*** *სტატიაში გაანალიზებულია კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური შედეგები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია წყლის სექტორის ძირითად პრობლემებზე როგორც მსოფლიო მასშტაბით, ისე საქართველოში. არსებული პრობლემების შესწავლით გამოკვეთილია სამი მთავარი გამოწვევა: წყლის მოხმარებისა და წყლით მომარაგების სფეროს გამოწვევები; წყლის სექტორში ნედლეულით, ტექნიკით და ტექნოლოგიებით უზრუნველმყოფი კომპანიების შეფერხებული სამუშაოები; წყლის ინდუსტრიაში კერძო სექტორის კომპანიების მიწოდების კონსერვატიზმი.*

*ნაშრომში წყლის ინდუსტრიაში არსებული გამოწვევები გამოკვლეულია საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშების, სტატისტიკური მონაცემების და დარგის ექსპერტების ნაშრომთა გაანალიზების საფუძველზე, რაც მოყვანილია წყაროების სახით.*

*განხილული პრობლემების შესაბამისად, სტატიაში წარმოდგენილია დასკვნები და შემოთავაზებულია წყლის ინდუსტრიაში პრობლემების გადაჭრის რეკომენდაციები მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდებისათვის.*

***საკვანძო სიტყვები:*** *წყლის ინდუსტრია, კორონეკონომიკური კრიზისი, წყლის მოხმარება და მიწოდება, წყლის ინდუსტრიის რისკის ატლასი.*

COVID-19-ის სწრაფი და ფართომასშტაბიანი გავრცელებით განპირობებული გლობალური პანდემია ჯანდაცვის სფეროს უდიდესი გამოწვევაა, რომელიც მსოფლიოს 190-ზე მეტ ქვეყანაში გლობალური ეკონომიკური კირზისის მიზეზი გახდა. ჩვენ ვდგავართ არა კლასიკური ტიპის, არამედ თვისებრივად ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე, როცა მისი გამომწვევი მიზეზები არა ენდოგენური, არამედ ეგზოგენური ხასიათისაა, ანუ, როცა ეს მიზეზები გენერირებულია არა ეკონომიკაში, არამედ პროვოცირებულია ეკონომიკის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროს - კორონავირუსის სწრაფი გავრცელების შედეგად. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, როგორც ცალკეული ქვეყნა, ისე მთელი მსოფლიო დგას კლასიკური ეკონომიკური კრიზისისგან განსხვავებული, ახალი ტერმინით - „კორონომიკური კრიზისის" საფრთხის წინაშე (პაპავა ვ. 2020, მარტი). კორონავირუსის მასშტაბების და მოსალოდნელი საფრთხეების გავლენის შემცირების მიზნით ადამიანები თავისი ნებით ან/და სამთავრობო და საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით გარკვეული პერიოდით სახლში დარჩა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით რეალურ სამყაროში მიმდინარე პროცესებმა გარკვეულწილად გადაინაცვლა ელექტრონულ რეჟიმში, თუმცა, რიგ ეკონომიკურ სექტორში აღნიშნული ცვლილება დიდ რესურსს და გრძელვადიან პერიოდს მოითხოვს ადაპტაციისთვის ან საერთოდ

შეუძლებელია განხორციელდეს. მაგალითად, ყველაზე დიდი დარტყმა ამ კუთხით ტურიზმისა და მომსახურების სექტორმა მიიღო. ასევე, უნდა აღინიშნოს სასოფლო-სამეურნეო და სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები. განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოებს შორის დიდი წილი უკავია, ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენს (მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020). აღნიშნული სექტორი საქართველოსთვის პრიო-რიტეტულია. კერძო სექტორის განვითარების და ეფექტიანი მუშაობის ხელშეწყობის საკითხებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020, კორო-ნავირუსით შექმნილი რეალობის დამყარებამდეც საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნულ სექტორებში პანდემიით გამოწვეული დანაკარგების კვლევა, გაზომვა, შეფასება და პრობლემათა გადაჭრის გზების ძიება სხვადასხვა ინსტიტუციის ჩართულობით და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშორმლობის შესაძლებლობების გამოყენებით. ამას მოწმობს მაღალკვალიფიციური აგრონომების, ექსპერტებისა და სხვა სპეციალისტების მიერ გაცემული რჩევებიც. ისინი ხაზს უსვამენ სპეციალიზებული ცოდნის გამოყენების მნიშვნელოვნებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და მომარაგების პროცესში პროდუქტიულობის ზრდის ხელშესაწყობად. სურსათის უვნებლობის და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა ინოვაციის მდგრადი სისტემების (SAIS) განვითარება სოფლის მეურნეობაში (Kharaishvili E. 2020).

ზემოთ აღწერილი ზოგადი ფონი შეეხო წყლის ინდუსტრიასაც მსოფლიოს მასშტაბით. იმისათვის, რომ ანალიზი ჩავატაროთ, თუ რა უარყოფითი ეფექტები გამოიწვია კორონავირუსმა აღნიშნული კუთხით, გამოვყოთ სამი მნიშვნელოვანი მიმართულება, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა ეს გავლენა და ერთგვარად ფარავს საწარმოო პროცესის მთლიან ჯაჭვს:

1. ***წყლის მოხმარების და წყლით მომარაგების მომსახურების სფეროს გამოწვევები*** - სუფთა წყლით მომარაგების პროცესი არის ძალიან შრომატევადი და მნიშვნელოვანი, რომელიც მეტწილად ყურადღების მიღმა რჩება და ეს აისახება წყლის არარაციონალურ მოხმარებაში. დღეს ამ სფეროში დასაქმებული სპეციალისტების სამუშაო ადგილების შენარჩუნების პრობლემა გაჩნდა დღის წესრიგში, მით უფრო, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, წყლის დროული მიწოდება, რაციონალური განაწილება, სამედიცინო პერსონალის მომარაგება და სუფთა წყლით მკურნალობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მილიარდობით ადამიანისთვის მსოფლიო მასშტაბით. მეორე საკითხი ამ კუთხით არის გაზრდილი მოთხოვნა წყალზე, რაც გამოწვეულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციით ხელის ხშირ დაბანასა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გაძლიერებულ დაცვასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, რიგ სახელმწიფოებში დაწესდა საშეღავათო პერიოდი წყლის მომსახურების კომუნალურ გადასახადზე. მაგალითად, აშშ-ის 90-ზე მეტმა ქალაქმა სხვადასხვა შტატში არ შეაჩერა წყლის მიწოდება გადაუხდელი გადასახადების გამო.

2. ***წყლის ინდუსტრიაში ნედლეულით, ტექნიკით და ტექნოლოგიებით უზრუნველმყოფი კომპანიების შეფერხებული სამუშაოები*** - წყლის ინდუსტრიაში მიწოდების ჯაჭვი ძალზე ფართოა და მოიცავს ნედლეულის მომპოვებლებს, ტექნოლოგიით უზრუნველყოფისა და გადამამუშავებელ საწარმოებს, მიმწოდებელ კომპანიებს, სადაც დასაქმებულნი არიან როგორც დარგის სპეციალისტები, ისე მმართველი რგოლის მენეჯერები. ყველა ამ კომპანიისთვის იკვეთება ორი მთავარი გამოწვევა - ერთი მხრივ, საკუთარი დასაქმებულების უფლებების და უსაფრთხოების დაცვა, მეორე მხრივ, წარმოების და მიწოდების ჯაჭვის შეძლებისდაგვარად შეუფერხებლად მუშაობა. აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობა ჯერ კიდევ ვირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე დაიწყო მხოლოდ ჩინეთის მაგალითზე, თუმცა, ძალიან სწრაფადვე გლობალურ გამოწვევად იქცა.

3. ***წყლის ინდუსტრიაში კერძო სექტორის კომპანიების მიწოდების კონსერვატიზმი*** - ჩვენ უნდა გავაანალიზოთ წყლის, როგორც საწარმოო ფაქტორის, ასევე პროდუქტის და მომსახურების ბაზარი, რომელშიც ფუნქციონირებენ ბოთლირებული წყლის მიმწოდებელი კომპანიები. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ კომერციული კომპანიები ეცდებიან ფულის დაზოგვას და კაპიტალური ხარჯების გაწევის სამომავლოდ გადადებას. აღნიშნული გამოიწვევს კაპიტალური პროექტების განხორციელების დროებით შეჩერებას. გარდა ამისა, საკუთარი სამუშაო ძალის უსაფრთხოების საკითხი კერძო კომპანიებშიც აქტუალურია. კომპანიის მმართველები ცდილობენ მაქსიმალურად შეზღუდონ ადგილზე სამუშაო პროცესში ჩართული სპეციალისტების რაოდენობა და

სამუშაო დრო, თუმცა, აქვე იკვეთება მეორე ეკონომიკური ხასიათის პრობლემა - უმუშევრობა. აღნიშნულ ორ საკითხს შორის ბალანსის დაცვა უდიდეს გამოწვევად რჩება (Amane Advisors - Navigate the Water Business, March 2020).

როგორ პასუხობენ წყლის ინდუსტრიაში კორონავირუსით გამოწვეულ პრობლემებს რეგიონული ორგანიზაციები, ადგილობრივი მთავრობები, კერძო კომპანიები და საზოგადოება? მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის მხოლოდ 60%-ს აქვს სუფთა წყალი და საპონი კორონავირუსთან ბრძოლაში ყველაზე პირველი და ელემენტარული ჰიგიენურის წესის დაცვისთვის - ხელის ხშირი დაბანისთვის. დანარჩენ 40%-ს შეზღუდულად აქვს ეს საშუალება ან თითქმის არ აქვს. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, აღნიშნულ პრობლემას უნდა მიექცეს ყურადღება, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების აზრით, ამ საკითხის მოგვარება შესაძლებელია უფრო გონივრული დაგეგმვისა და თანამშრომლობის გზით (World Economic Forum, 2020). უნდა აღინიშნოს, რომ რიგ ქვეყნებში ნაწილობრივ უკვე მოხდა ამ პრობლემაზე რეაგირება. გაეროს წარმომადგენლობამ, ადგილობრივმა მთავრობებმა და კერძო კომპანიებმაც დაიწყეს სასმელი წყლის და სარეცხი საშუალებების კაბინების აშენება ისეთ დასახლებებში და საზოგადოებრივ ადგილებში, სადაც წყალზე ხელმისაწვდომობა ძალიან დაბალია. მაგალითად, ეს გაკეთდა აფრიკის ქვეყანა რუანდაში (Rwanda), სადაც მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს აქვს საპნით და წყლით ხელის დაბანის ობიექტებზე წვდომა. ამავე ქვეყნის ქალაქ კიგალში დაამონტაჟეს პორტატული სარეცხი სადგურები ავტობუსის გაჩერებებზე. ასევე, ეთიოპიაში, სხვადასხვა კერძო კომპანიამ, რესტორნებმა და ბანკებმა შენობის შესასვლელში წყალი და საპონი განათავსეს (World Resources Institute, April 2020). სუფთა და დასალევი წყლის პრობლემას ასახავს „წყლის რისკის ატლასი“, რომელიც შემოთავაზებული აქვს მსოფლიო რესურსების ინსტიტუტს (WRI). მკაფიოდ ჩანს განსაკუთრებით პრობლემური რეგიონები, როგორიცაა აფრიკის თითქმის ¾, მათ შორის მთელი სამხრეთი ნაწილი, აზიის რამდენიმე ქვეყანა და სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ქვეყნები (იხ. სურათი 1) (World Resources Institute, 2020).

*სურათი 1.* **„წყლის რისკის ატლასი“, სასმელი და სუფთა წყლის პრობლემის სიმწვავე მსოფლიოს მასშტაბით, 2020**




**წყარო:** მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი, World Resources Institute (WRI), 2020, https://www.wri.org/applications/aqueduct/water-risk-atlas

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წყლით მომსახურების გადასახადი მოიხსნა ნაწილობრივ ან საშეღავათო პერიოდი დაწესდა რიგ ქვეყნებში. ძირითადად ეს ეხება ევროპულ ქვეყნებს და ამერიკის სხვადასხვა შტატის 90-ზე მეტ ქალაქს, ამ კუთხით გამორჩეული პოლიტიკა აქვს დიდ ბრიტანეთს, სადაც ცალკე მუშაობს სამომხმარებლო ადმინისტრაციული ორგანო - სამომხმარებლო საბჭო წყლის სექტორში (CCW). აღნიშნული ორგანო საკმაოდ ეფექტიანად წარმართავს კორონავირუსით გამოწვეულ პრობლემებს მომხმარებლების საჭიროებების გათვალისწინებით. CCW-ის ფარგლებში 2020 წლის მარტში შეიქმნა სპეციალური მაკოორდინებელი სააგენტო, რომელიც შუამავლის როლს ასრულებს საცალოდ მოვაჭრე

კომპანიებსა და მათ მომხმარებლებს შორის, კონსულტაციას უწევს მათ და ახდენს პრობლემების შეფასებას. გადამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე 2020 წლის 16 აპრილს მათ უკვე გამოაქვეყნეს პირველი ანგარიში და შეიმუშავეს სპეციალური საშეღავათო შეთავაზებები. საცალოდ მოვაჭრეებისთვის 2020 წლის მაისის, ივნისისა და ივლისის თვეები გამოცხადდა საშეღავათო პერიოდად, ხოლო დანარჩენი გადავადებული გადასახადის სრულად გადახდის ბოლო ვადად დამტკიცდა 2021 წლის მარტის ბოლო. მათი მთავარი მიზანია, ერთი მხრივ, არ დაზარალდეს მომხმარებელი და მეორე მხრივ, მაქსიმალურად შენარჩუნდეს წარმოების პროცესი. მომდევნო პერიოდის განმავლობაში შეცვლილი სიტუაციიდან გამომდინარე, მათი გადაწყვეტილებებიც შეიცვლება მიზანმიმართულად და გონივრულად (Consumer Council for Water, April 2020).

საქართველოში, ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში, COVID-19-ით შექმნილი გარემოებების გამო, კომპანიებს ექმნებათ ფინანსური პრობლემები, დაფარონ ბიზნესსესხები თუ გადაიხადონ გადასახადები, სწორედ ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ეკონომიკის სტიმულირების ღონისძიებების გეგმა, რომლის ძირითადი საკითხებია:

- ბიზნესსესხების რესტრუქტურიზაცია;
- ტურიზმის სფეროში მომუშავე კომპანიებისთვის ქონებისა და საშემოსავლო გადასახადის გადახდის გადავადება;
- დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) დაბრუნება საშეღავათო პერიოდში;
- სახელმწიფო თანადაფინანსების პროგრამის შემუშავება სასტუმროებისთვის სესხის პროცენტის დაფარვის მიზნით;სამომხმარებლო სესხების გადახდის ვალდებულების გადავადება;
- მათთვის, ვინც სამუშაო ადგილი დაკარგა, ფულადი დახმარების გაწევა.

გეგმის გარკვეული ნაწილი კვლავ სამუშაო ეტაპზეა (PricewaterhouseCoopers საქართველო 2020, მარტი).

რაც შეეხება წყლის ინდუსტრიას საქართველოში, მოხმარების მიმართულებით საშეღავათო რეგულაცია გავრცელდა წყლის მომხმარებაზე 2020 წლის 3 აპრილის N220 დადგენილების „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" მიხედვით: საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის დახმარების მიზნით, 2020 წლის მარტის, აპრილის და მაისის თვეებში (თითოეული თვისათვის) მოხმარებული ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის ან/და სასმელი წლის/წყალარინების გადასახადების სუბსიდირება (საქართველოს მთავრობის დადგენილება 2020, 3 აპრილი). რაც შეეხება წყლის ინდუსტრიის კერძო კომპანიებს, მათი ადმინისტრაციული და ოპერაციული მენეჯერები ცდილობენ მსოფლიო ტენდენციის მსგავსად, ჯანრმთელობის დაცვის მიზნით, შეზღუდულ პირობებში არ გააჩერონ საწარმოო პროცესი და არ გამოიწვიონ როგორც ბოთლირებული წყლის მიწოდება ბაზარზე, ასევე უმუშევრობა, რაც საბოლოოდ წყლის ფასის ზრდას გამოიწვევს. 2020 წლის მაისიდან IDS ბორჯომი საქართველოს კომპანიამ ონლაინ გაყიდვები დაიწყო მთელი საქართველოს მასშტაბით. პროდუქცია განთავსებულია ონლაინ პლატფორმა „Vendoo- ვენდუზე" შემდეგი შეფუთვით (Vendoo-ვენდუ 2020):

- „ბორჯომი" – 0.5ლ მინა (12ცალი) და 1.0ლ პეტი (6ცალი);
- „ლიკანი" – 1.0ლ პეტი (6 ცალი) და 1.5ლ პეტი (6ცალი);
- „ბაკურიანი" – 1.5ლ (6 ცალი), 1.0ლ (6 ცალი), 1.0ლ სპორტი (6 ცალი), 6ლ პეტი (3 ცალი) (IDS Borjomi Georgia 2020, 8 მაისი).

ზოგადი ეკონომიკური პროგნოზის გაკეთება საკმაოდ კომპლექსური საკითხია გამომდინარე იქიდან, რომ კორონეკონომიკური კრიზისი, ერთი მხრივ, დამოკიდებულია ეკონომიკური ბერკეტების ეფექტიან ამოქმედებაზე, მეორე მხრივ, სამედიცინო სფეროში წამოჭრილი უმწვავესი პრობლემის რაც შეიძლება დროულ და ეფექტიან გადაჭრაზე, თუმცა, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ნაწილობრივ უკვე შეგვიძლია გავაანალიზოთ ზოგადი ეკონომიკური მონაცემები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) გათვლებით, რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) დონე მოცემულია გრაფიკზე 1.

*გრაფიკი 1.* რეალური მშპ-ის დონე 2019 წელთან შედარებით IMF-ის პროგნოზით




**წყარო:** თიბისი კაპიტალი, ანგარიში „Covid 19-ის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე", 2020, 14 მაისი

ამავე ანგარიშში ცალკე მოყვანილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პროგნოზი საქართველოსთვის რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის წლიურ ზრდასთან მიმართებით, სადაც ჩანს, რომ დადებითი მაჩვენებელი ფიქსირდება უკვე 2021 წელს (4.0 %) და შემდგომ საპროგნოზო წლებში შედარებით სტაბილურად იცვლება მცირე ზღვრული კლებადობით (იხ. გრაფიკი 2).

**გრაფიკი 2. რეალური მშპ-ის წლიური ზრდა საქართველოსთვის IMF-ის პროგნოზი, 2018-2025**




**წყარო:** თიბისი კაპიტალი, ანგარიში „Covid 19-ის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე", 2020, 14 მაისი

McKinsey & Company-ის მიერ შემოთავაზებულია გლობალური მშპ-ის ზრდის ორი სცენარი:

- *სცენარი 1:* ვირუსის გავრცელების სწრაფი და ეფექტიანი კონტროლი (გლობალურად აღმასრულებელი მენეჯერების 16% ამ სცენარს ყველაზე სავარაუდოდ მიიჩნევს);
- *სცენარი 2:* ვირუსის გავრცელებაზე ეფექტიანი კონტროლი, თუმცა, განმეორებითი გავრცელება რეგიონულ დონეზე გლობალურად აღმასრულებელი მენეჯერების 31% ამ სცენარს ყველაზე სავარაუდოდ მიიჩნევს. აღნიშნული სცენარები მოცემულია გრაფიკზე 3.

გრაფიკი 3. McKinsey-ის სცენარები* გლობალური მშპ-ის ზრდისთვის (2019Q4-2022Q3)




*2020 წლის 6 მაისის მონაცემებით
**წყარო:** თიბისი კაპიტალი, ანგარიში „Covid 19-ის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე", 2020, 14 მაისი

## დასკვნები და რეკომენდაციები

მიმდინარე ეტაპისთვის წყლის ინდუსტრიაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად პრიორიტეტულ ამოცანებად შესაძლოა გამოიყოს შემდეგი:

- წყლის ინდუსტრიაში დამსაქმებლები მაქსიმალურად უნდა შეეცადონ შეინარჩუნონ დასაქმებულები. გამოუვალ სიტუაციაში ძალიან მნიშვნელოვანია დროებითი გათავისუფლების საკითხი და შესაბამისი დახმარების გაწევა გათავისუფლების პერიოდის განმავლობაში. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს ის, რომ მათ შეეძლოთ ძირითადი გადასახადების გადახდა (ქირა, კომუნალური მომსახურება, იპოთეკური სესხი, დაზღვევა).
- კერძო სექტორის გადმოსახედიდან, მნიშვნელოვანია სესხის აღების უფრო მარტივი პირობების შეთავაზება, ასევე, უკვე აღებული ბიზნესსესხების და სახელმწიფო გადასახადების გადახდის ვალდებულების დროებით გადავადება და საჭიროების შემთხვევაში პირდაპირი ფინანსური დახმარება.

ზემო აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგი რეკომენ-დაციები როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პერიოდებისათვის:

- *კორონავირუსთან გამკლავების პროცესში დაწესებულებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წყლის კაბინების მოწყობა, არსებულის გაუმჯობესება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა*;
- *საჭიროების შემთხვევაში გადასახადის გადახდის გარეშე წყალზე ხელმისაწვდომობის საშეღავათო პერიოდის გაზრდა* - განსაკუთრებით ეს ეხება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას;
- *სასმელი წყლის რაციონული მოხმარება* - აღნიშნული საკითხი მუდმივად დგას დღის წესრიგში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა. ეს არ გულისხმობს მოხმარების შემცირებას. ხშირ შემთხვევაში წყლის არარაციონალური ხარჯვა გაუაზრებლად ხდება. არადა წყლის ინდუსტრიის სამომხმარებლო საბჭოს (CCW) მიერ შემოთავაზებული „წყლის დაზოგვის კალკულატორის" (Water Meter Calculator) მიხედვით თითოეული ადამიანის მიერ წყლის არარაციონალურად გამოყენების 1 წუთით შემცირებაც კი დადებით გავლენას ახდენს მთლიან სიტუაციაზე;
- *ბაზარზე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა/დანერგვა* - გულისხმობს კომერციალიზაციას და ციფრულ ტრანსფორმაციას წარმოებისა და მიწოდების პროცესში. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყალმოხმარებაში მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა. აღნიშნულ საკითხზე აქტიურად მუშაობს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და გლობალური გარემოსადაცვითი ფონდი (GEF).

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Amane Advisors - Navigate the Water Business, March 2020, "The Impact of Covid-19 on the Water Sector", France, https://www.amaneadvisors.com/insight/impact-of-covid-19-on-water/

2. Consumer Council for Water, April 2020, "*Information on the water industry and Coronavirus (Covid-19)"*, United Kingdom, https://www.ofwat.gov.uk/regulated-companies/markets/business-retail-market/information-on-the-water-industry-and-coronavirus-covid-19/

3. IDS Borjomi Georgia, 2020, 8 მაისი, *„კომპანია IDS ბორჯომი საქართველო ონლაინ გაყიდვებს იწყებს"*. https://www.ids-borjomi.ge/press-center/news/kompania-ids-borjomi-saqarthvelo-onlain-gaqhidvebs-itsqhebs/

4. Kharaishvili E., 2020, "Innovations for increasing productivity in agriculture and ensuring food security (the case of Georgia)", *ДВНЗ Київський національний економічний університет імені Вадима Гетьмана* pp. 212-215 https://ir.kneu.edu.ua/bitstream/handle/123456789/32924/sism_20_212-215.pdf?sequence=1

5. PricewaterhouseCoopers საქართველო, 2020, მარტი, *„ძირითადი სამართლებრივი საკითხები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ კომპანიებმა COVID-19-ის დროს"*, https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/April_2020/PwC_COVID-19_Legal_Issues(ENG)_Updated_22_March.pdf

6. Vendoo-ვენდუ, 2020, მაისი, https://vendoo.ge/merchant/ltd_ids_borjomi_tbilisi?fbclid=IwAR0pUYd-CSMnazEBL-JIbnjb7DoT_rGllcAg1uq0esEQ7yGUDyG7ciWYTq4.

7. World Economic Forum, 2020, *Strategic Intelligence,* https://intelligence.weforum.org/topics/a1Gb00000015MLgEAM?tab=publications

8. World Resources Institute, April 2020, "*Combating the Coronavirus Without Clean Water",* https://www.wri.org/blog/2020/04/coronavirus-water-scarcity-hand-washing

9. World Resources Institute, 2020, *Water Risk Atlas,* https://www.wri.org/applications/aqueduct/water-risk-atlas/#/?advanced=false&basemap=hydro&indicator=w_awr_def_tot_cat&lat=30&lng=-80&mapMode=view&month=1&opacity=0.5&ponderation=DEF&predefined=false&projection=absolute&scenario=optimistic&scope=baseline&

10. თიბისი კაპიტალი, 2020, 14 მაისი „Covid 19-ის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე"

11. პაპავა ვ., 2020, მარტი, „კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე". *For.ge https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html*

12. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, *„მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია* 2016-2020", საქართველოს მთავრობა http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D_%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%

13. საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2020, 3 აპრილი, „N220, კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ".

***Nino Lobzhanidze***

**THE IMPACT OF CORONAVIRUS (COVID-19) ON THE WATER INDUSTRY: MAIN CHALLENGES FACING THE WORLD AND GEORGIA**

**Summary**

The article analyzes the economic consequences caused by the coronavirus. Particular attention is paid to the main problems of the water sector, both worldwide and in Georgia. The study highlights three main challenges: the problems in the field of water consumption and supply; Delayed working processes of companies providing raw materials, equipment and technologies in the water sector; Conservatism of private sector companies in the water industry.

The study of the main challenges in the water industry is based on the analysis of reports of international and local organizations, statistical data, and the scientific works of the field experts, cited as the sources.

According to the discussed challenges the article presents conclusions and offers recommendations for solving problems in the water industry for short-term and long-term periods.

***Keywords:*** *Water Industry, Coronomic Crisis, Water Consumption and Supply, Water Risk Atlas.*

***რევაზ ლორთქიფანიძე***

**COVID-19-ის გაკვეთილებისა და საქართველოს ეკონომიკური პრიორიტეტების შესახებ**

***ანოტაცია.*** *კორონაპანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებითა და კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი მოქმედების საჭიროებიდან გამომდინარე, წარმოდგენილ ნაშრომში წარმოჩენილია სახელმწიფო და კერძო ინტერესების შეთანხმებული გათვალისწინების აუცილებლობა, რაც, ამასთანავე, ადასტურებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტები და კრიზისული მენეჯმენტი სულ უფრო მეტად უნდა*

*ითვალისწინებდეს არა უშუალოდ სახელმწიფოსა და ბიზნესობიექტების მიზნებიდან გამომდინარე ამოცანების მოთხოვნებს, არამედ გლობალური ეკონომიკის გამოწვევებსა და ბუნებაში მიმდინარე არსებით ცვლილებებსაც.*

*ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დასავლეთ ევროპაში (ესპანეთი, იტალია და სხვ.) კორონავირუსის გავრცელების კრიტიკულად მაღალი დონის მთავარ მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ფაქტორები - ნოტიო და თბილი კლიმატი, რაც ხელსაყრელი აღმოჩნდა ვირუსებისთვის; ტურისტული ნაკადების ინტენსივობა; სტუმართმოყვარე მოსახლეობის ცნობილი მაღალტემპერამენტული ფსიქოლოგია; უნიკალური შენობების უძველესი ხუროთმოძღვრება, რომლის შენარჩუნება დიდ ძალისხმევას მოითხოვს (აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა); მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ავტომაგისტრალების გზაჯვარედინი; ხარისხიანი საქონლისა და მომსახურების შედარებით დაბალი ფასები, რაც მიგრანტების მასობრივ შესვლას იწვევს.*

*პანდემიის გაკვეთილებმა, მათ შორის საბაზრო კონკურენციის დონის ჩვენი თეორიული განზოგადებით გამოვლენილი „მოკლე ჩართვის“ უკუეფექტის პრაქტიკაში ამოქმედებამ დაადასტურა ჩვენი წარსული კვლევები, რომ ბაზარი არ უნდა დაექვემდებაროს ე.წ. „ზედმეტად მრავალრიცხოვანი ჭიანჭველების აგრესიულ მოძრაობას“, რასაც უდავოდ სჭირდება შეზღუდვა სათანადო პრიორიტეტებით - მ.შ. გონივრული კოორდინაციით სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასთან, ინფლაციის საწინააღმდეგო მრავალსცენარული დაგეგმვის მექანიზმების გამოყენებით, კონკურენტულობისა და „მტაცებლური“ ფასების მუდმივი მონიტორინგითა და სათანადო კონცენტრაციით.*

***საკვანძო სიტყვები.*** *ეკონომიკური პოლიტიკა, დაგეგმვის მექანიზმები, მსოფლიო სატრანსპორტო მაგისტრალები, „მტაცებლური“ ფასები.*

## შესავალი

„კორონაეკონომიკის“ ექსტრემალურმა პირობებმა თვალსაჩინო გახადა, რომ უახლოეს მომავალში პრიორიტეტული მეცნიერებატევადი დარგებიდან განსაკუთრებულად შედეგიანი იქნება პირდაპირი ინვესტიციები სამედიცინო ტექნოლოგიებში, დივერსიფიცირებულ ენერგეტიკაში, სამშენებლო ინდუსტრიაში, კომპიუტერულ რობოტომანქანებსა და ქიმიურ კომპლექსში.

საქართველოს ეკონომიკის ცალკეული დარგისა და, ზოგადად, ქართული ბიზნესისათვის სასიცოცხლოდ აქტუალურია, რომ უახლოეს პერიოდში მთავარი აქცენტები ქვეყნისთვის არგუმენტირებულად განსაზღვრულ პრიორიტეტებზე გაკეთდეს და, უპირველესად, საუკეთესო კლასის განათლების სისტემა და სოფლის მეურნეობა გვჭირდება, მხოლოდ შემდეგ შეიძლება ამოქმედდეს სათანადო მრეწველობა.

ჩვენს სოფელსაც სჭირდება სათანადო მეცნიერება, რომ სამედიცინო და ტურისტულ ობიექტებზე კვება საიმედო და კონკურენტუნარიანი იყოს. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, მეცნიერება დოტაციურია და მოგებას არ იძლევა, მაგრამ სახელმწიფო სწორედ აქ უნდა იყოს ყველაზე მეტად მიზანმიმართული და მზრუნველი ბაზართან ადეკვატური ეკონომიკური მექანიზმებით. შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკაც პრიორიტეტების განჭვრეტასა და მათში ოპერატიულად ჩართვაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

* * *

ინოვაციური ინფორმაციული, ფიზიკური და ბიოფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებამ, მათ შორის „მოკლე ჩართვის“ ფაქტორმა ეკონომიკური კონკურენციის შეფასებაში დაადასტურა ჩვენი ადრინდელი კვლევების შედეგები, რომ ბაზარი არ უნდა იყოს მიდრეკილი ეგრეთ წოდებული „ჭიანჭველების გადაჭარბებული რაოდენობის აგრესიული გადაადგილებისკენ“, რაც, სხვადასხვა ეკონომიკური მექანიზმის კომბინირებული ძალისხმევით, საჭიროებს ზომიერ შეზღუდვას, ინფლაციის შეკავებასა და მტაცებლური დემპინგური ფასებით ოპერირებადი კრიმინალური მონოპოლიების მუდმივ მონიტორინგს.

მოთხოვნადი მეცნიერული ინფორმაციის მწვავე დეფიციტის ეპოქაში, მნიშვნელოვანწილად გარკვეულ, მაგრამ მწირ ინფორმაციაზე უარესი ჭარბი ინფორმაცია აღმოჩნდა, ვინაიდან ის დროის ძალიან დიდ ფუჭ დანაკარგებს იწვევს, რაც ყოვლად დაუშვებელია ინოვაციური ტექნოლოგიების დარგებში. ინფორმაციის გაზომვის ენტროპიულ-მათემატიკური მეთოდი ადასტურებს, რომ ჩვენ შესაძლოდ თანაბარძალოვნად ყოვლისმომცველი ინფორმაცია გვჭირდება. ენტროპიული მეთოდით ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფილებაც შეიძლება გავზომოთ და ამ მეთოდზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ერთი შეხედვით „რთული“ - ხარჯტევადი და დროში გაწელილი

მეცნიერებატევადი დარგების (მ.შ. სამშენებლო ინდუსტრია და მანქანათმშენებლობა) იგნორირება არათუ სახიფათოა, დამღუპველიც არის. მარტივი დარგები ხშირად სწრაფ შემოსავალს გვაძლევს, მაგრამ ისინი სადესერტე ნუგბარს შეიძლება შევადაროთ და მხოლოდ შაქრიანი საკვების მიღება, მოგეხსენებათ, ყოვლად დაუშვებელია.

პანდემიის გაკვეთილებმა და მრავალფაქტორულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ დასავლეთევროპულ ქვეყნებში კორონავირუსის გამწვავებების კრიტიკული დონის მთავარ მიზეზებად გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

1) ვირუსისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი ტენიანი და ზომიერად თბილი კლიმატი სამხრეთ დასავლეთევროპულ ქვეყნებსა და მათ მიმდებარე რეგიონებში;

2) ტურისტული ნაკადების მაღალი ინტენსივობა;

3) მაღალტემპერამენტიანი სტუმართმოყვარე ბუნება და ზოგჯერ გადაჭარბებულად ემოციური ფსიქოტიპი;

4) უნიკალური სიძველის არქიტექტურული შედევრების სიმრავლე, რომლის მოვლა დიდ ძალისხმევას საჭიროებს (მ.შ. აუცილებელი ხდება საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა);

5) მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო მაგისტრალების გადაკვეთა;

6) ხარისხიანი საქონლისა და მომსახურების შედარებით დაბალი ფასები, რამაც მიგრანტების განსაკუთრებული მოზღვავება გამოიწვია.

კრიზისისშემდგომ საქართველოში, მიმდებარე რეგიონების ჩართულობით, მიზანშეწონილია, ინდუსტრიული მომსახურების იმპორტშემცვლელი „სასათბურე" ზონები მოვიაზროთ და მოვაწყოთ როგორც დედაქალაქში, ასევე ქუთაისში, ბათუმში, გორში, რუსთავში, ზესტაფონში, ჭიათურაში, სამტრედიაში, გურჯაანში, ზუგდიდსა და ოზურგეთში.

საპარლამენტო ცენტრად ქუთაისის ფორმალურმა გამოცხადებამ, ბუნებრივია, შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ, სწორედ ამ ინდუსტრიულ ცენტრში ჭკვიანი მანქანების წარმოების ორგანიზება კონვეირულად გამოიწვევს რუსთავის მძლავრ ისტორიულ ინდუსტრიებზე მზარდი მოთხოვნის გაჩენასაც. გურჯაანი ფლაგმანი იქნება მევენახეობა-მეღვინეობაში, ბათუმი - თევზის პროდუქტებისა და ციტრუსოვანთა ხილფაფების წარმოებში, ზუგდიდი - თხილში, ოზურგეთი - მეჩაიეობაში, გორი - ვაშლისა და მისი გადამუშავების მრავალფეროვანი პროდუქტების წარმოებაში, თბილის-რუსთავისა და ზესტაფონ-ჭიათურა-სამტრედიის აგლომერაციები კი - მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში.

## დასკვნები

საქართველოს ეკონომიკა და მათ შორის ჯანდაცვა შესაძლოდ საუკეთესოდ გაუმკლავდა კორონაპანდემიის აგრესიას, მაგრამ, მიუხედავად შედარებით წარმატებული შედეგებისა, ეკონომიკურმა სტაგნაციამ უმწვავესად შეგვახსენა, რომ საქართველოს ეკონომიკის ცალკეული დარგისა და, ზოგადად, ქართული ბიზნესისათვის სასიცოცხლოდ აქტუალურია, უახლოეს პერიოდში მთავარი აქცენტები ქვეყნისთვის არგუმენტირებულად განსაზღვრულ პრიორიტეტებზე გაკეთდეს.

გამომდინარე, კარგა ხანია ვასაბუთებთ რომ, უპირველესად საუკეთესო კლასის სახელმწიფო დაფინანსების განათლების სისტემა და სოფლის მეურნეობა გვჭირდება - მხოლოდ შემდეგ ამოქმედდება სათანადო მრეწველობა. თავის მხრივ, მხოლოდ ბიზნესს და მოსახლეობასთან მოთათბირებული და ეტაპობრივად და საყოველთაო ინსტიტუციური ჩართულობით გათვლილი ეკონომიკური სტრატეგია შეიძლება იყოს გლობალური ეკონომიკის სტაბილური განვითარების გარანტიც. გარე და შიგა ფაქტორების ინერციის მიუხედავად, ეკონომიკური პოლიტიკის მომავალი ნაბიჯები მაქსიმალურად დამაჯერებელი და შედეგიანი უნდა იყოს.

გლობალური პანდემიის პირობებში განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა საჭიროება ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელიც გულისხმობს ბიზნესის გონივრულ კოორდინაციას სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასთან, ინფლაციის საწინააღმდეგო მრავალსცენარული დაგეგმვის მექანიზმების გამოყენებას, კონკურენტულობისა და „მტაცებლური" ფასების მუდმივ მონიტორინგსა და სათანადო კონცენტრაციას.

თვალსაჩინო ფაქტია, „კორონაეკონომიკის" ექსტრემალურმა გარემოებებმა გამოავლინა, რომ უახლოეს მომავალში პრიორიტეტული მეცნიერებატევადი დარგებიდან განსაკუთრებულად შედეგიანი იქნება პირდაპირი ინვესტიციები სამედიცინო ტექნოლოგიებში, დივერსიფიცირებულ ენერგეტიკაში, სამშენებლო ინდუსტრიაში, კომპიუტერულ რობოტომანქანებსა და ქიმიურ კომპლექსში.

გასათვალისწინებელია გარემოებაც, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ უწყებებს არ ძალუძთ და არც მოეთხოვებათ მძლავრი ფინანსური ბერკეტები აამოქმედონ, მაგრამ მათ

მიერ შემოთავაზებული მოქმედების პრინციპები, საგადასახადო ატრიბუტიკა თუ კონკურენტული გარემოს ფორმირების რეკომენდაციები რეალური და მაქსიმალურად ქმედითი უნდა იყოს.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1.https://www.tsu.ge/
2.https://gtu.ge/
3.https://www.moh.gov.ge/
4.https://www.geostat.ge/ka
5.https://www.researchgate.net/profile/Revaz_Lordkipanidze


***Revaz Lordkipanidze***

**ABOUT THE LESSONS OF COVID-19**
**AND THE ECONOMIC PRIORITIES OF GEORGIA**
**Summary**


The Georgian economy fought very well against COVID-19, but the economic stagnation clearly demonstrated, that the economics of individual sectors and, in general - the Georgian business are vitally considerable and in the near future, the focus of the arguments will set out priorities of the best-class education system and agriculture - only after we will receive a proper real industry. Accordingly, an economic strategy should be work out by coordination with business and mass, which can guarantee the stable development of future global economy as well.

In the context of the global pandemic, the need for business technologies such as reasonable coordination with the state's economic policy, the use of anti-inflation planning mechanisms, constant monitoring of competitiveness and "predatory" prices and proper concentration has become particularly acute.

This is obvious that the extreme circumstances of "Coronaeconomics" have revealed, that, in the near future, direct investment in medical technologies, diversified energy, construction industry, computer robotics and chemical complex will be especially effective.


***Keywords:*** *Economic Policy, Planning Mechanisms, World Transport Roads, „Predatory" Prices.*

***სოსო მასურაშვილი***

**პანდემიით გამოწვეული რეცესია - „შოკი" მსოფლიო ბიზნესისთვის**


***ანოტაცია.*** *Covid-19 და მისგან გამოწვეული 2020 წლის გლობალური რეცესია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი გახდა. კორონავირუსმა დააზარალა ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი, აშშ, იტალია, ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ირანი, შვეიცარია, ჩრდილოეთ კორეა, ბრაზილია და სხვ. კომენდანტის საათი გამოცხადდა ქვეყნების უმრავალესობაში. ჩაიკეტა ქალაქები და ქვეყნები. კორონავირუსის პანდემიის გავრცელება თითქმის ყველა ადამიანის ცხოვრებას შეეხო და ყველა სექტორზე მოახდინა გავლენა. კორონავირუსს უამრავი ადამიანი ემსხვერპლა. ყოველდღიური რუტინული ცხოვრება ჩიხში შევიდა, ბევრი დარგი მათ შორის ბიზნესი, ფინანსები, ტრანსპორტი და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი დარგი გაჩერდა.*


***საკვანძო სიტყვები:*** *Covid-19, პანდემია, რეცესია, გლობალური ბიზნესი, ეკონომიკის განვითარება.*

**შესავალი**

2019 წლის დეკემბერში ჩინეთში დაწყებულმა და შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელებულმა ახალი ტიპის კორონავირუსმა (SARS-CoV, Covid-19) სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენა ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემა მთელ მსოფლიოში. ამ ვირუსის წარმოშობას უკავშირებენ მსხვილ ზღვის პროდუქტებს და ცხოველების ბაზრობას ქ.უხანში (ჩინეთი), საიდანაც შემდეგ უკვე ადამიანიდან ადამიანზე გადავიდა კორონა ვირუსი. ამ სიტუაციამ ვირუსის გავრცელების პროვოცირება მოახდინა ჩინეთის ფარგლებს გარეთ და სერიოზულად დააზარალა ისეთი ქვეყნები როგორიცაა აშშ, იტალია, ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ირანი, შვეიცარია, ჩრდილოეთ კორეა, ბრაზილია. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამოაცხადა გლობალური პანდემია მსოფლიოში[68]. მისი გავრცელების სისწრაფე იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მთელ მსოფლიოში ადამიანების მაღალი მობილურობიდან გამომდინარე, რომ 2020 წლის 2 ივნისის მდგომარეობით ვირუსი უკვე გავრცელებული იყო მსოფლიოს 215 ქვეყანაში და ეს მოხდა ბოლო სამი თვის განმავლობაში. განსაკუთრებით

[68] www.who.int

ყურადსაღებია ისეთ სიტყვები, როგორიცაა „დარჩი სახლში“, „სოციალური (ფიზიკური) დისტანცირება“, „თვითიზოლაცია“, „კარანტინი 14 დღის განმავლობაში“, „ჯაჭვის გაწყვეტა“ და ა.შ.

კორონავირუსის პანდემიის გავრცელება თითქმის ყველა ადამიანის ცხოვრებას შეეხო და ყველა სექტორზე მოახდინა გავლენა. ყოველდღიური რუტინული ცხოვრება ჩიხში შევიდა, ბევრი დარგი მათ შორის ბიზნესი, ფინანსები, ტრანსპორტი და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი დარგი გაჩერდა. მხოლოდ არსებით სექტორს - ჯანდაცვას ჰქონდა მუშაობის ნებართვა. G20 ქვეყნების უმრავალესობაში კომენდანტის საათი გამოცხადდა. ჩაიკეტა ქალაქები და ქვეყნები. კომუნალური ორგანიზაციები და ენერგოგამანაწილებელი სექტორი მუშაობდა 24 საათის განმავლობაში ელექტროენერგიის შეუფერხებლად მიწოდებისათვის, რათა შეექმნათ კომფორტი მოსახლეობისთვს. Covid-19 და მისგან გამოწვეული 2020 წლის გლობალური რეცესია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი გახდა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გლობალური ბიზნესის საყრდენის - იმპორტ-ექსპორტის შემცირება როგორც მდიდარი, ისე ღარიბი ქვეყნებისთვის არა მარტო კომპანიებს შორის გამოიწვევს დაძაბული ურთიერთობების წარმოშობას, არამედ აგრეთვე კომპანიების შიგნითაც, რაც თავისთავად კომპანიების მართვისადმი ახლებურ მიდგომას მოითხოვს. ხოლო ადამიანებისადმი ასეთი პირდაპირი საფრთხე მენეჯერების ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ ინდივიდზე.

## 1. მსოფლიო და კორონაკრიზისი

2020 წელი ერთგვარი გამოსაცდელი წელია თანამედროვე სამყაროსთვის. „ბრძოლის ველზე“ ერთ მხარესაა კორონავირუსი, ხოლო მეორე მხარეს კი მთელი ცივილიზებული მსოფლიო ტექნოლოგიური ინოვაციებით. მაგრამ დღეისთვის, სამწუხაროდ, უპირატესობა კვლავ Covid-19-ის მხარესაა და, სავარაუდოდ, ასე გაგრძელდება ვიდრე კორონავირუსის საწინააღმდეგო ინოვაციურ ვაქცინას არ მიაგნებენ მეცნიერები. ისევე, როგორც სხვა კრიზისების დროს, ახლაც მთელი იმედი ინოვაციებზე - ანუ ინოვაციურ ვაქცინაზეა.

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, პანდემიით გამოწვეული მოთხოვნის შემცირების და მიწოდების შეფერხების გამო, მიმდინარე წელს პროდუქციის უმეტესობაზე ფასი დაეცემა. *სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჭარბი მარაგების მიუხედავად, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, როგორც სავაჭრო, ისე მიწოდების ჯაჭვში არსებული შეფერხებები შეშფოთებას იწვევს*[69]. „სასაქონლო ბაზრების მიმოხილვის“ მ/წ აპრილის გამოცემის თანახმად, *პანდემიით გამოწვეულმა გლობალურმა ეკონომიკურმა შოკმა სასაქონლო პოზიციების უმეტესობაზე ფასების ვარდნა განაპირობა* (სქემა 1) და მიმდინარე წლის განმავლობაში კიდევ მოსალოდნელია მნიშვნელოვნად დაბალი ფასების დაფიქსირება.

**სქემა 1. სასაქონლო ფასების ვარდნა კორონავირუსის პანდემიის ფონზე**




**წყარო:** www.worldbank.org (ნანახია 4 ივნისი, 2020).

[69] www.worldbank.org

ამ ანგარიშის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის მოულოდნელმა გაჩერებამ ყველაზე დიდი გავლენა ენერგომატარებლების და ლითონების (სქემა 2) ფასებზე იქონია, რაც მოსალოდნელ სერიოზულ გლობალურ რეცესიაზე მიანიშნებს.

**სქემა 2. ფასები 1 ტონა ლითონზე (2016-2020 წწ.)**




**წყარო:** www.worldbank.org (ნანახია 4 ივნისი, 2020).

ტრანსპორტთან დაკავშირებული საქონლის, მათ შორის ნავთობის ფასი მკვეთრად შემცირდა. Covid-19-მა ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ნედლი ნავთობის ბაზარზე (სქემა 3 და 4), რამდენადაც ნავთობის 2/3 გამოიყენება ტრანსპორტირებისთვის. პროგნოზის მიხედვით, ნედლი ნავთობის ფასი 2020 წლის განმავლობაში 1 ბარელზე იქნება 35 დოლარი, რაც მიანიშნებს მოთხოვნის უპრეცედენტო ვარდნას ნავთობის მოთხოვნაზე. Brent-ის მარკის ნავთობზე ფასი 70 %-ით შემცირდა იანვრის პიკთან შედარებით. ნედლი ნავთობის ყველა ორიენტირში შეინიშნებოდა მკვეთრი ვარდნა, ხოლო ზოგიერთი მცირე ხნით დაეცა უარყოფით ნიშნულზე (სქემა 3).

**სქემა 3. ნედლი ნავთობის ფასი (2020 წ-ის თებერვალი-მაისი)**




**წყარო:** https://blumberg.com/ (ნანახია 21 მაისი, 2020).

მოსალოდნელია, რომ 2020 წელს მოთხოვნა ნედლ ნავთობზე დაახლოებით 10 %-ით შემცირდება, რაც ორჯერ მეტია სხვა წინა ვარდნებთან შედარებით[70].

ნავთობის მოთხოვნის ამჟამინდელი ვარდნა წინ უსწრებს წინა წლების გლობალურ რეცესიებს.

**სქემა 4. ცვალებადობა ნავთობის ფასზე (წლების მიხედვით).**




**წყარო:** BP-ს სტატისტიკური მონაცემები, ენერგიის საერთაშორისო სააგენტო და მსოფლიო ბანკი (ნანახია 4.06.2020).

სოფლის მეურნეობის პროდუქციის უმეტესობის პერსპექტივაზე მოკრძალებული ზემოქმედების მიუხედავად, მიწოდების ჯაჭვში არსებული შეფერხებები და სახელმწიფოების მიერ ექსპორტის შეზღუდვის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ან საქონლის მარაგების დაგროვება შეშფოთებას იწვევს იმ თვალსაზრისით, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფა შესაძლოა რისკის ქვეშ აღმოჩნდეს.

*"ადამიანების სიკვდილიანობასთან ერთად, პანდემიის ეკონომიკური გავლენა შეამცირებს მოთხოვნას და შეაფერხებს მიწოდებას, რაც უარყოფითად იმოქმედებს ამ საქონელზე დამოკიდებულ განვითარებად ქვეყნებზე. პოლიტიკის შემმუშავებლებმა არ უნდა დაუშვან სავაჭრო შეზღუდვების დაწესება და ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფას, რაც ღარიბი ფენისთვის ყველაზე მძიმე აღმოჩნდება"* [www.worldbank.org].

მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, გლობალური ეკონომიკა მიმდინარე წელს შემცირდება 5,2%-ით, რაც ყველაზე ღრმა რეცესიაა მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. ამავდროულად, გადახედა რა გლობალური ზრდის თავის მ/წ-ის იანვრის შეფასებას, მსოფლიო ბანკმა 2020 წ. ივნისის დასაწყისში გამოაქვეყნა გლობალური ზრდის ახალი მაჩვე-ნებელი, რომელიც 7.7 %-ია (სქემა 5). როგორც მე-5 სქემიდან ჩანს ყველაზე მტად დაზარალდნენ ბრაზილია და ევროზონა.

**სქემა 5. კორონავირუსის გავლენა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის პერსპქტივაზე.**
**(2020 წლის მშპ-ის ზრდის პროგნოზებში პროცენტული ცვლილება პანდემიის გამო)**




**წყარო:** statista.com (ნანახია 10 ივნისი, 2020)

---

[70] https://www.bp.com/

## 2. პანდემიით გამოწვეული ცვლილებები ევროზონაში

პანდემიით გამოწვეული ცვლილებების თვალსაჩინოებისთვის ამ საკითხში განვიხილავთ ინფლაციას და მშპ-ს ევროზონაში.

*ინფლაცია.* ინფლაცია ევროზონაში (სქემა 6 და ცხრილი 1), როგორც მთელ ევროკავშირში, გამოითვლება საქონლისა და მომსახურების ჰარმონიზებული სამომხმარებლო ფასების ინდექსით (HICP), უფრო კონკრეტულად კი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი სავალუტო კავშირის საქონელსა და მომსახურებაზე (MUICP). ეს ინდექსი გამოითვლება ერთი და იმავე მეთოდით ევროზონის ყველა ქვეყანაში, იყენებს რა განმარტებების ერთობლიობას, აგრეთვე საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალს. სამომხმარებლო ფასებში იგულისხმება (გასაშუალებული) საბოლოო ფასი, რომელსაც იხდის საქოლის ან მომსახურების მყიდველი და რომელიც თავის თავში მოიცავს ყველა გადასახადს და მოსაკრებელს. ინდექსების გამოთვლა დაიწყო 1996 წ-დან, ევროზონის შექმნის წლიდან[71].

**სქემა 6. ევროზონის წლიური ინფლაცია და მისი ძირითადი კომპონენტები (%), 2010 წლის მაისი - 2020 წლის მაისი**




**წყარო:** https://ec.europa.eu/eurostat (ნანახია 1 ივნისს, 2020).

**ცხრილი 1. ევროზონის წლიური ინფლაცია და მისი ძირითადი კომპონენტები (%), 2010 წლის მაისი - 2020 წლის მაისი**

| | შეწონილი (%) 2020 | მაისი 2019 | დეკემბერი 2019 | იანვარი 2020 | თებერვალი 2020 | მარტი 2020 | აპრილი 2020 | მაისი 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყველა | 1000.0 | 1.2 | 1.3 | 1.4 | 1.2 | 0.7 | 0.3 | 0.1 |
| ყველა, გარდა: | | | | | | | | |
| ენერგეტიკა | 901.5 | 0.9 | 1.4 | 1.3 | 1.4 | 1.3 | 1.4 | 1.4 |
| ენერგეტიკა, გადაუმუშავებელი საკვები | 857.1 | 1.0 | 1.4 | 1.3 | 1.4 | 1.3 | 1.4 | 1.4 |
| ენერგეტიკა, საკვები, ალკოჰოლი და თამბაქო | 710.8 | 0.8 | 1.3 | 1.1 | 1.2 | 1.0 | 0.9 | 0.9 |
| საკვები, ალკოჰოლი და თამბაქო | 190.7 | 1.5 | 2.0 | 2.1 | 2.1 | 2.4 | 3.6 | 3.3 |
| გადამუშავებელი საკვები, ალკოჰოლი და თამბაქო | 146.3 | 1.9 | 2.0 | 2.0 | 2.0 | 2.1 | 2.3 | 2.4 |
| გადაუმუშავებელი საკვები | 44.5 | 0.4 | 2.1 | 2.3 | 2.6 | 3.6 | 7.6 | 6.5 |
| ენერგეტიკა | 98.5 | 3.8 | 0.2 | 1.9 | -0.3 | -4.5 | -9.7 | -12.0 |
| არანერეგეტიკული სამრეწველო საქონელი | 262.1 | 0.3 | 0.5 | 0.3 | 0.5 | 0.5 | 0.3 | 0.2 |
| მომსახურებები | 448.7 | 1.0 | 1.8 | 1.5 | 1.6 | 1.3 | 1.2 | 1.3 |

**წყარო:** https://ec.europa.eu/eurostat (ნანახია 1 ივნისს, 2020).

[71] https://ec.europa.eu/eurostat

*მთლიანი შიდა პროდუქტი.* 2020 წლის პირველ კვარტალში (წინა კვარტალთან შედარებით - 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით) კორექტირებული მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ევროზონაში შემცირდა 3,8%-ით, ხოლო ევროკავშირში 3,5%-ით (ევროკავშირის სტატისტიკის ოფისის ინფომაციით). ეს იყო ყველაზე მკვეთრი ვარდნა 1995 წლის შემდეგ. 2020 წლის მარტში COVID-19-ის შეკავების ზომების მიღება ფართოდ დაიწყეს ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა. 2019 წლის მეოთხე კვარტალში მშპ გაიზარდა 0,1%-ით ევროზონაში, ხოლო ევროკავშირში 0.2% -ით.

წინა წლის ანალოგიურ კვარტალთან შედარებით 2020 წლის პირველ კვარტალში სეზონური რეგულირებული მთლიანი შიდა პროდუქტი ევროზონაში შემცირდა 3.3%-ით და 2.7%-ით ევროკავშირში (ცხრილი 2 და სქემა 7).

**ცხრილი 2. მშპ-ს ზრდის ტემპები (სეზონური კორექტირებული მონაცემების საფუძველზე)**

| | პროცენტული ცვლილება წინა კვარტალთან შედარებით | | | | პროცენტული ცვლილება წინა წლის ანალოგიურ კვარტალთან შედარებით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **2019 Q2** | **2019 Q3** | **2019 Q4** | **2019 Q1** | **2019Q2** | **2019Q3** | **2019Q4** | **2019Q1** |
| **EA** | **0.1** | **0.3** | **0.1** | **-3.8** | **1.2** | **1.3** | **1.0** | **-3.3** |
| **EU** | **0.2** | **0.4** | **0.2** | **-3.5** | **1.5** | **1.6** | **1.3** | **-2.7** |

**წყარო:** https://ec.europa.eu/eurostat (ნანახია 1 ივნისს, 2020).

**სქემა 7. ევროზონის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) - კვარტალური ზრდის ტემპი (2008-2020 წწ.) (ევროკავშირის 27 ქვეყანა).**




**წყარო:** https://ec.europa.eu/eurostat (ნანახია 1 ივნისს, 2020).

## 3. Covid -19 და აშშ

მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ქვეყანაში - ამერიკაში გამდიდრების პროცესი შეჩერდა 2020 წლის მარტის თვიდან გლობალური პანდემიის გამო. 2020 წლის პირველ კვარტალში აშშ-ს მშპ 4,8 პროცენტით შემცირდა, მაშინ როდესაც 2019 წლის მეოთხე კვარტალში მშპ გაიზარდა 2,1 პროცენტით (აშშ ეკონომიკის ანალიზის ბიუროს მონაცემებით - იხ.სქემა 8), რაც უდიდესი კრიზისია 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ.

**სქემა 8. რეალური მშპ აშშ-ში (2020 წ. პირველ კვარტალში)**




**წყარო:** https://www.bea.gov/ (ნანახია 4 ივნისი, 2020)

მაგრამ ქვეყანა კიდევ უფრო მეტი ზარალის მოლოდინშია ამჟამად, ანუ 2020 წლის მეორე კვარტალში, თუკი ეკონომიკა ასე მკვეთრად დაზარალდა მ/წ პირველ კვარტალში, და ეს მაშინ როდესაც

ამერიკის შტატების უმეტესობა კარანტინშია მხოლოდ 2020 წლის მარტის შუა რიცხვებიდან (ჯერ სულ რაღაც 2,5 თვეა), უკვე ნთელია თუ რამდენად ღრმა გავლენას მოახდენს მასზე მეორე კვარტალში Covid-19 (რომელმაც 2020 წლის დასაწყისში მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკა „დააპაუზა"). მკვეთრი ეკონომიკური ვარდნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო სამედიცინო მომსახურების შემოსავლების შემცირება, რადგან კოროვირუსული პანდემიის გამო, ყველა გადაუდებელი ოპერაცია და ექიმებთან ვიზიტი გაუქმდა, ხოლო სტომატოლოგების ოფისები დაიხურა. გარდა ამისა, ეკონომიკაზე იმოქმედა საწარმოთა და სკოლების მხრიდან მოთხოვნილების ვარდნამ, რადგან მათი საქმიანობა შეჩერებული ან გადატანილი იქნა ონლაინში.

ეკონომისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს არ არის ერთჯერადი მარცხი, ხოლო აშშ-ს ეკონომიკა უზრუნველყოფილია ნახევარი წლის განმავლობაში დაცემით.

ამერიკის ეკონომიკას ელოდება რეკორდული ვარდნა. 2020 წლის ზაფხულისთვის აშშ ეკონომიკა (ისევე, როგორც ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკა) დადგება კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გარდაუვალი რეცესიის წინაშე და ამერიკელი ექსპერტების (JPMorgan) მოსაზრებით, აშშ-ის მშპ 2020 წლის მეორე კვარტალში შემცირდება 3 %-მდე[72]. კორონავირუსთან დაკავშირებული მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, ეკონომიკის აღდგენა მოსალოდნელია 2020 წლის შუა პერიოდში, ხოლო წლის მეორე ნახევარში კი დაიწყება დაჩქარებული ზრდა. ძირითადი ფაქტორი, რომელიც ხელს შეუშლის უფრო სერიოზულ დარტყმას მსოფლიო ეკონომიკაზე, ეს არის კორონავირუსის გავრცელების შეჩერება. უპ.ყოვლისა, აუცილებელი იქნება ხელისუფლების მხრიდან ყველაზე უფრო მეტად დაზარალებული სექტორების მხარდაჭერა, ფინანსურ ბაზრებზე დაძაბულობის შემცირება და მომხმარებელთა მოთხოვნილების მხარდაჭერა მონეტარული პოლიტიკის საშუალებით.

კორონავირუსის სიტუაციის განვითარების შესაძლო ოთხი სცენარიდან სამში „ბლუმბერგის" ექსპერტები პროგნოზირებენ მსოფლიო ეკონომიკის ზრდის შენელებას. უარეს შემთხვევაში, ის მთლიანად შემცირდება ნულამდე, ხოლო ზარალი იქნება 2.7 ტრილიონი დოლარი[73].

Covid -19 -თან დაკავშირებული კარანტინის ძირითადი ზიანი მოდის 2020 წლის მეორე კვარტალზე - აპრილი, მაისი და ივნისი. მისი შედეგები კი გამოცხადდება ნოემბრის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო კამპანიის „ცხელ" პერიოდში. თუმცა ამერიკა მარტო არ არის ასეთ მდგომარეობაში. მსოფლიოს მესამე ეკონომიკა - ჩინეთის ეკონომიკა თითქმის 50 წლიანი ზრდის ტემპით პირველ კვარტალში შემცირდა 6,8 %-ით, ხოლო მსოფლიოში მეორე ეკონომიკა - ევროკავშირის ეკონომიკა ელოდება უფრო მნიშვნელოვან ვარდნას. ეკონომიკური მდგომარეობა ღარიბ ქვეყნებში უფრო უარესია - მდიდარ ქვეყნებს გამოაქვთ კაპიტალი და ამით განვითარების საშუალებას უსპობენ, ხოლო მათი ძირითადი პროდუქცია - ნედლეული და მაკომპლექტირებელი მოწყობილობები - იაფდება განვითარებულ ბაზრებზე მოთხოვნის შემცირების გამო. ნავთობის ბაზრის დანგრევამ დააზარალა ნედლეულის მწარმოებელი ქვეყნები.

ჩინეთის პირველი კვარტლის შედეგები წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რას უნდა ელოდნენ ამერიკელები - ამერიკა ეპიდემიამ მოიცვა ჩინეთში დაწყებული ეპიდემიიდან რამდენიმე კვირის შემდეგ. დღეს ამერიკას ყველაზე მეტი Covid-19-ით დაავადებული და გარდაცვლილი ჰყავს.

ეკონომისტები წლის მეორე ნახევარში ზრდას მოელიან, მაგრამ დარწმუნებულები არიან, რომ ეს სრულად არ აანაზღაურებს ეკონომიკის ვარდნას. გარდა ამისა, აღდგენა პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება კარანტინი და რამდენად სწრაფად დაუბრუნდება შეერთებული შტატები ნორმალურ ცხოვრებას. და აქ უკვე პროგნოზისტებს ხელს უშლის ორი ფაქტორი - ვირუსი და პოლიტიკა.

აშშ-ში პირადი შემოსავლები 2020 წლის მარტის თვეში შემცირდა 2,0 პროცენტით, მას შემდეგ რაც თებერვალში გაიზარდა 0,6 პროცენტით. ხელფასი, რომელიც პირადი შემოსავლების ყველაზე დიდი შემადგენელია მარტში შემცირდა 3,1 პროცენტით, მაშინ როდესაც თებრვალში გაიზარდა 0,5 პროცენტით. აშშ-ში 2020 წლის იანვარ-მარტში და 2019 წლის დეკემბერში პირადი შემოსავლები და ხარჯები მოცემულია სქემა 9-ზე:

---

[72] www.jpmorgan.com/global/jpmorgan
[73] www.blumberg.com

### სქემა 9. პირადი შემოსავლები და ხარჯები აშშ-ში




**წყარო:** https://www.bea.gov/ (ნანახია 4 ივნისს, 2020).

საცალო ვაჭრობა, ფინანსები და დაზღვევა და აგრეთვე კომუნალური მომსახურება იყო აშშ ეკონომიკის ზრდის ძირითადი სფეროები 2019 წლის მეოთხე კვარტალში. მთლიანობაში, 22-დან 17 ინდუსტრიულმა ჯგუფმა წვლილი შეიტანა მეოთხე კვარტალში რეალური მშპ-ს 2,1 პროცენტიან ზრდაში (სქემა 10).

რამდენადაც ექსპორტი უფრო მეტად შემცირდა ვიდრე იმპორტი, ამდენად, 2020 წლის მარტში აშშ-ს ყოველთვიური საერთაშორისო სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა 44.4 მლრდ აშშ დოლარამდე, მაშინ როცა თებერვალში 39,8 მლრდ აშშ დოლარი იყო. მარტის თვეში საქონლის დეფიციტი 4.6 მლრდ დოლარით გაიზარდა და 65.6 მლრდ დოლარამდე მიაღწია. მომსახურების მაჩვენებელი მარტში შემცირდა 0,1 მლრდ აშშ დოლარით - 21.2 მლრდ აშშ დოლარამდე.

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი მარტში შემცირდა 20.0 მილიარდი დოლარით, ანუ 9.6 პროცენტით და გახდა 187,7 მილიარდი აშშ დოლარი. საქონლის ექსპორტი შემცირდა 9.2 მილიარდი აშშ დოლარით, ხოლო მომსახურების ექსპორტი შემცირდა 10.8 მილიარდი აშშ დოლარით.

საქონლისა და მომსახურების იმპორტი მარტში შემცირდა 15.4 მილიარდი დოლარით, ანუ 6.2 პროცენტით და გახდა 232.2 მილიარდი აშშ დოლარი. საქონლის იმპორტი შემცირდა 4.7 მილიარდი დოლარით, ხოლო მომსახურების იმპორტი _ 10.7 მილიარდი დოლარით.

### სქემა 10. მთლიანი შიდა პროდუქტი ინდუსტრიის დარგების მიხედვით აშშ-ში, 2019 წლის მეოთხე კვარტალში




**წყარო:** https://www.bea.gov/(ნანახია 4 ივნისს, 2020).

პანდემიამ მასშტაბური ცვლილებების პროვოცირება მოახდინა. ჯერ ერთი: ნაწილობრივ შეჩერდა ცხოვრება აშშ-ში, ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანაში. მეორეც, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მთავრობებისა და პოლიტიკური ელიტების რეპუტაციას, რომლებმაც ან უარყვეს კრიზისის სერიოზულობა, ან საწყის ეტაპზე უძლურები აღმოჩნდნენ, რათა საკუთარი ჯანდაცვის სისტემების მობილიზება მოეხდინათ მის შესაჩერებლად. მესამეც, სამომხმარებლო ხარჯების დაუყოვნებლივი ვარდნა მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის ეკონომიკაში: აქციების ფასები უკვე ჩამოიშალა და ამან, თავის მხრივ, უკვე დააზარალა საშუალო კლასის ოჯახები, რომელთაც საპენსიო ფონდები დაბანდებული ჰქონდათ აქციებში. იმავდროულად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ავიაკომპანიების, აეროპორტების და

სასტუმროების ქსელების გადახდისუნარიანობა. ამის საპასუხოდ აშშ-მა და სხვა სახელმწიფოებმა აამოქმედეს იმდენად მსხვილი ეკონომიკური პაკეტები, რომ ადამიანების უმეტესობამ ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერა რეალური ვითარება.

აშშ მთავრობამ ეკონომიკაში ორი ტრილიონი დოლარის ინექციის განხორციელება დააანონსა - მოსახლეობისადმი გადასახადების დაფინანსებით და ბიზნესისადმი კრედიტის სახით - ეს არის იმის ნახევარზე მეტი, რასაც გადასახადების სახით ახდევინებს მათ.

ამის პარალელურად, აშშ პრეზიდენტმა დ.ტრამპმა ჯერ კიდევ 2020 წლის აპრილში გამართულ პრესკონფერენციაზე აშშ-ში ეკონომიკის უკვე მაისის თვეში გახსნის შესახებ წინასწარი განცხადება გააკეთა და ეს ყოველივე იმის ფონზე, როდესაც კორონავირუსით დაინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ აშშ-ში ორ მილიონს მიაღწია[74].

## დასკვნა

კორონავირუსმა უამრავი ამოცანა დააყენა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის წინაშე, კერძოდ კი: დასაქმებულების შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა, საზოგადოების დაავადების რისკის თავიდან აცილება, სამუშაო ადგილების დაცვა და მხარდაჭერა იმათი, ვინც ვერ მუშაობდა საგანგებო მდგომარეობის პერიოდში. Covid-19-ის გავლენა ერთნაირი არ არის სხვადასხვა სექტორებისა და ცალკეული პირებისთვის. კონკრეტული სოციალური თუ დემოგრაფიული ფაქტორები გავლენას ახდენს ადამიანის უნარზე, იზრუნოს ჯანმრთელობაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სოციალურ შედეგებზე, რაც პანდემიას ახლავს თან.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. www.who.int
2. www.worldbank.org
3. www.jpmorgan.com/global/jpmorgan
4. www.bea.gov/
5. www.blumberg.com
6. https://www.bp.com/
7. www.ec.europa.eu/eurostat


***Soso Masurashvili***

**PANDEMIC-INDUCED RECESSION - A "SHOCK" TO WORLD BUSINESS**

**Summary**


2020 is a kind of testing year for the modern world. On the battlefield, on one side, is the Corona virus, and on the other, the entire civilized world with technological innovations. But today, unfortunately, the advantage is still on the side of Covid19, and it is likely that this will continue until scientists find an innovative vaccine against the corona-virus. As with other crises, there is still hope for innovation - an innovative vaccine.

The global recession of Covid19 and its aftermath in 2020 has become an important impediment to the development of the world economy. The Corona virus has affected countries such as China, the United States, Italy, Spain, Germany, France, Iran, Switzerland, North Korea, Brazil, and others. The curfew was announced in most countries. Cities and countries were closed. The spread of the Corona virus pandemic has affected the lives of almost all people and affected all sectors. Corona virus has killed many people. Everyday routine life has come to a standstill, with many industries including business, finance, transport, and many other important industries shutting down.

Communal organizations and the energy distribution sector have been working 24 hours a day to provide uninterrupted electricity to create comfort for the population. The global recession of Covid19 and its aftermath in 2020 has become an important impediment to the development of the world economy. At the same time, the reduction of global business support - import-export for both rich and poor countries will lead not only to strained relations between companies, but also within companies, which in itself requires a new approach to corporate governance. And such a direct threat to people draws the attention of managers directly to the individual.

Despite the modest impact on the outlook for most agricultural products, delays in the supply chain and steps taken by states to restrict exports or the accumulation of stockpiles of concern are alarming in the sense that in some countries food security may be at risk.

The Corona Virus has set a number of tasks for both the public and private sectors, namely: ensuring safe working conditions for employees, avoiding the risk of public illness, protecting and supporting jobs for those who were unable to work during the state of emergency. The impact of Covid19 is not the same for different sectors and individuals. Specific social or demographic factors influence a person's ability to take care of health, economic status, and social outcomes that accompany a pandemic.


[74] 2020 წლის 10 ივნისის მონაცემები https://news.google.com/covid19/map?hl=en-US&mid=/m/09c7w0&gl=US&ceid=US:en

*მედეა მელაშვილი*
*ქეთევან ქველაძე*
*ნუნუ ქისტაური*

**პანდემიის გავლენა ეკოლოგიურ პრობლემებზე მსოფლიოში**

***ანოტაცია.*** *ნაშრომი ეძღვნება დღევანდელობის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო საკითხს - ეკოლოგიას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს პანდემიის პირობებში. აქ გაანალიზებულია ზოგადად ეპიდემიების და კერძოდ კორონავირუსის ფონზე ეკოლოგიაში წარმოქმნილი ცვლილებები, რომლებიც დღეს შეიძლება დადებითადაც კი აღიქმებოდეს: ჰაერის დაწმენდა, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, წყლის რეზერვუარების გასუფთავება, გამონაბოლქვის მინიმუმამდე შემცირება, ატმოსფეროს გაწმენდა და ა.შ. მოყანილია საინტერესო ციფრობრივი მასალა.თუმცა, საყოველთაო კარანტინი როცა დასრულდება და ყოველივე ეს ძველ ნიშნულებს დაუბრუნდება, რისი მაგალითებიც მსოფლიოში მოიძებნება.*

*ძნელია იმის თქმა, რომ პანდემიას, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე მიაქვს, რაიმე დადებითი შედეგი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ სრულიად ნათელია, ეს მართლაც ასე ხდება და, რა თქმა უნდა, ამას ხანმოკლე პერიოდი აქვს.*

*მსოფლიომ ნათლად დაინახა, რომ ბუნებას ნამდვილად გააჩნია თვითაღდგენის უნარი, თუკი ადამიანი მას თავისდა საზიანოდ არ შეუშლის ხელს.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ეკოლოგია, პანდემია, Covid-19, ატმოსფეროს დაბინძურება, ნარჩენების გადამუშავება, პლასტიკური ნარჩენები.*

* * *

მსოფლიოს წამყვანმა ეკონომისტებმა, ეკოლოგებმა, პოლიტოლოგებმა და სხვა სპეციალისტებმა დაადგინეს ძირითადი ფაქტორები, რაც გლობალურ გავლენას მოახდენს კაცობრიობაზე უახლოეს პერიოდში. ისინი ერთხმად შეთანხმდნენ - ძირითადი ტრენდი გახდება ეკოლოგიური პრობლემები.

ეკოლოგებისათვის „ეპიდემიების ეფექტი" უძველესი დროიდანაა ცნობილი. მაგალითად, VI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიაში, ეთიოპიაში, ეგვიპტეში „იუსტინიური ჭირი" გავრცელებულა, რასაც 125 მლნ ადამიანის სიცოცხლე წაუღია, მაგრამ დადებითი შედეგიც მოუტანია ფლორასა და ფაუნისთვის: რომაელების მიერ ტყეების მასიური გაჩეხვა შეჩერებულა, თანაც ეპიდემიის პერიოდში გაჩეხილი მასივების აღდგენაც დაწყებულა და ამას არა მარტო ფლორა, არამედ უამრავი ჯიშის ცხოველიც გადაურჩენია. მსგავსი ეფექტი დღესაც შეიმჩნევა: დიდ ქალაქებში ისეთი ჯიშის ფრინველები დაბრუნდნენ, რაც დიდი ხანია არავის შეუმჩნევია, ათწლეულების მანძილზე პირველად 2020 წლის მარტში ვენეციის არხებში წყალი გახდა იმდენად გამჭვირვალე, რომ გამოჩნდა სიღრმეზე მოცურავე თევზები - ეს მოხდა იმის შემდეგ, რაც იტალიაში შემოღებულ იქნა საყოველთაო კარანტინი, შეწყდა ტურისტების ჩამოსვლა და, შესაბამისად, აიკრძალა გონდოლების მოძრაობა ვენეციის არხებში.

უფრო მეტიც, ევროპული კოსმოსური სააგენტოს სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ არქტიკის თავზე ოზონის შრეში რეკორდული ზომის ხვრელი გაქრა. თანამგზავრული ფოტოები, რომლებიც აფიქსირებს ადამიანის საქმიანობის შედეგებს - გაზების გამონაბოლქვს ავტომობილებიდან, თვითმფრინავებიდან, ელექტროსადგურების და ქარხნების მიერ მოხმარებული საწვავის კვალს და ა.შ. - ამჯერად აჩვენებს ჰაერის დაბინძურების საოცარ კლებას (სასათბურო გაზების გამოყოფა მსოფლიოში წელიწადში 54 მლრდ ტონას უტოლდება); როგორც კი Covid-19 ჩინეთის საზღვრებს გასცდა და მთელ მსოფლიოს მოედო, ავიამიმოსვლები ქვეყნებს შორის შემცირდა და შემდეგ აიკრძალა, რის გამოც 2020 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში ავიამგზავრების რაოდენობა 67 მილიონით შემცირდა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ასოციაცია IATA-ს პროგნოზით მსოფლიო საჰაერო ინდუსტრია ამ წელს 113 მლრდ აშშ დოლარს დაკარგავს.

ავიაგადაზიდვების სტრუქტურაში დღევანდელი ცვლილებები, იმედია, გარკვეულ დადებით გავლენას მოახდენს ატმოსფეროს დაბინძურების დონეზე.

ენერგეტიკის და სუფთა ჰაერის კვლევის ცენტრის ფინეთის CREA-ას მონაცემებით, 3 თებერვლიდან 1 მარტამდე $CO_2$-ის გამოყოფა ჩინეთში შემცირდა 25%-ით, რაც დაკავშირებულია კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ მიღებულ ზომებთან. ასევე დაფიქსირდა აზოტის დიოქსიდის ($NO_2$) ძალიან მავნე გამოყოფის მაჩვენებლის შემცირებაც 20-30%-ით. ეს მაშინ, როდესაც სწორედ ჩინეთი არის დედამიწაზე ატმოსფეროს მთავარი დამაბინძურებელი (მასზე მოდის ჰაერში გაშვებული $CO_2$-ის 30%).

ორგანიზაცია Cardon Brief-ის მონაცემებით, ჩინეთში მავნე აირების გამოყოფის შემცირების მსგავსი მაჩვენებელი ბოლოს 2008 წელს დაფიქსირდა. ამ დროს ჩინეთი ემზადებოდა პეკინის ოლიმპიადის ჩასატარებლად და დიდი ძალისხმევა გაიღო მსგავსი სიტუაციის შესაქმნელად (თუმცა, ეკოლოგები ხედავენ ამაში არა მხოლოდ დადებით, არამედ უარყოფით მხარესაც).

ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ეკონომიკური ვარდნის შეჩერება პროვოცირებას გაუკეთებს ე.წ. „ბინძური" დარგების დაჩქარებულ ზრდას, რომლებსაც ყველაზე სწრაფად შეუძლია ეკონომიკური ეფექტის გამოწვევა. მათი დასკვნებით, ატმოსფეროსათვის კორონავირუსის გამო ცოტაოდენი გაუმჯობესება მხოლოდ დროებითი მოვლენა იქნება. საკარანტინე ღონისძიებების შემცირებისთანავე ეკონომიკა მალე დაუბრუნდება ძველ ნიშნულებს და მავნე აირების გამოყოფაც ისევ გაიზრდება. 2009 წლის კრიზისის დროს მსოფლიო მშპ 2.2%-ით დაეცა, მავნე აირების გამოყოფა 1.3%-ით შემცირდა, მაგრამ 2010 წელს ძველი მაჩვენებლები აღდგა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ეკოლოგიური პრობლემა, რომელიც პანდემიის პერიოდში მეტად მწვავდება. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, პლანეტა ყოველწლიურად 2 მლრდ ტონა ნაგავს გამოყოფს, აქედან გადამუშავდება მხოლოდ 13.5%. უზარმაზარი მასა, მთელი მსოფლიო ნაგვის 40%, არანაირ უტილიზაციას არ ექვემდებარება და პირდაპირ ეკოლოგიაზე ზემოქმედებს, რა თქმა უნდა, უარყოფითად. განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ზოგჯერ 95%-მდეც ფიქსირდება. ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა პლასტიკურ მასებს უკავშირდება. იგი მთელი მსოფლიო ნაგვის 12%-ს შეადგენს, მაგრამ მსოფლიო ოკეანის დამანაგვიანებლებს შორის 90%-ს იკავებს.

სწორედ წელს, რიგ ქვეყნებში ძალაში უნდა შესულიყო პლასტიკის გამოყენების ახალი რეგულაციები, რომლებიც ბოლო წლებში ჩატარებულ სხვადასხვა კვლევებს ეყრდნობოდა.მაგალითად, არიზონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ მრავალჯერადი პაკეტების 99% შეიცავს ჯანმრთელობისათვის მავნე ბაქტერიებს და ასევე წარმოადგენს მათი შესაძლო დაგროვების რისკის ჯგუფებს. ევროკავშირში იგეგმებოდა პოლიმერული კონტეინერების გამოყენების შემცირება. საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი აპირებდნენ, უარი ეთქვათ ერთჯერად პლასტიკურ ჭურჭელზე. ამერიკის 20 შტატი გეგმავდა კანონით აეკრძალათ პოლიეთილენის პარკების გამოყენება. თუმცა დღევანდელი პანდემიის პირობებში ეს ქვეყნები გადახედავენ ამ რეგულაციების მიღების აუცილებლობას, პანდემიის დროს ერთჯერად ჭურჭელს ალტერნატივა არ გააჩნია. თანაც, როგორც კი ამუშავდება კაფეები და ბარები, ოფისები და სხვადასხვა დაწესებულებები ძირითადად ერთჯერადი ჭურჭლით ისარგებლებენ. ეს ჭურჭელი კი პლასტიკური შემადგენლობისაა, როგორც ორგანიზაცია Conserving Now აქვეყნებს, პლასტიკური პაკეტების დაშლის ფაზა ასეულობით წლები გრძელდება და მეორად გადამუშავებას 200 პაკეტიდან მხოლოდ 1 ცალი ექვემდებარება. წარმოიქმნება პარადოქსული სიტუაცია: ერთჯერადი ჭურჭლის გამოყენების შემცირება ზრდის კორონავირუსის გავრცელების რისკს, ხოლო მათი უპირატესი გამოყენება ზრდის ეკოლოგიურ რისკებს, ამიტომ აუცილებელია ჩატარდეს ზუსტი გათვლები და შემდეგ ისინი აუცილებლად იქნეს დაცული.

პანდემიას უკავშირდება კიდევ ერთი პრობლემა: მხოლოდ ერთჯერადი პირბადეების, ხელთათმანების, ხელსაწმენდების გამოყენება. მათი მრავალჯერადი გამოყენება ზრდის დაავადების გავრცელების რისკს. ამის გამო გროვდება მათი უზარმაზარი მასა. თანაც ცნობილია, რომ სამედიცინო ნარჩენების გადამუშავება აკრძალულია. ისინი სპეციალური წესით ნადგურდება. ამ პერიოდში მთელ მსოფლიოში სწორედ სამედიცინო ნარჩენები გაიზარდა უამრავჯერ. მაგალითად, „პოპულარულ" იუჰანში ზოგჯერ დღეში 200 ტონას აღწევდა.

შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ვირუსი, რომელმაც მოკლა ათასობით ადამიანი და კარანტინში ჩასვა მილიონები, რომელმაც დროებით, მაგრამ მაინც, გაასუფთავა გარემო, მნიშვნელოვნად შეცვლის კლიმატს. ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ პანდემია, აუმჯობესებს რა ეკოლოგიურ სიტუაციას დღეს, პროვოცირებას გაუკეთებს მის სერიოზულ გაუარესებას პერსპექტივაში. საქმე ისაა, რომ მკაცრი ეკოლოგიური ნორმატივები ყოველთვის ძვირი „სიამოვნებაა", ამიტომ რეცესიის, უმუშევრობის ზრდის და სხვა კრიზისულ სიტუაციებში პრიორიტეტები თავისთავად იცვლება. ეკოლოგია ისევ გადადის იმ პრობლემათა რანგში, რომელზეც ეკონომიას ეწევა ყველა. ამით, რა თქმა უნდა, დიდი დარტყმა მიადგება „მწვანე" ინიციატივებს, ასევე იმ საკონტროლო მექანიზმებს და ვალდებულებების შესრულებას მთელ მსოფლიოში, რომელიც გათვალისწინებულია „კლიმატის შესახებ პარიზის შეთანხმების" დოკუმენტებში, რაც მსოფლიოში ნახშირორჟანგის ატმოსფეროში გაშვების უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებათა ერთობლიობას წარმოადგენს. მსუბუქად რომ ვთქვათ, მათთვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვეღარ მოიცლიან, როგორც ხდება ყოველი ეკონომიკური კრიზისის დროს.

აღნიშნული სიტუაცია თვითონ „მწვანე" ტექნოლოგიების და ენერგიის აღდგენითი წყაროების სექტორს დაარტყამს. ინვესტიციები და მნიშვნელოვანი ინიციატივები ამ მიმართულებით უბრალოდ

გაიყინება. მაგალითად, მოწინავე ანალიტიკურმა კომპანიამ სუფთა ენერგეტიკის დარგში BloombergNEF-მა უკვე შეამცირა 2020 წელს მზის ენერგიაზე მოთხოვნის ზრდის თავისივე პროგნოზი, რადგანაც პოლიტიკოსები და კორპორაციები სადღეისოდ მოკლევადიან ეკონომიკურ სტიმულებზე გადაერთნენ გრძელვადიანების ნაცვლად.

ძირითადი, ყველაზე დადებითი დასკვნა, რაც შეიძლება გაკეთდეს, ის არის, რომ კიდევ ერთხელ პრაქტიკულად დამტკიცდა ერთი რამ - ეკოსისტემებს შეუძლია თვითაღდგენა, ოღონდ ამაში ადამიანი თუ ვერ დაეხმარება, ხელი მაინც არ უნდა შეუშალოს. პანდემიამ, უბრალოდ, იძულებითი ფორმით, მაგრამ სრულიად თვალნათლივ აჩვენა ეკოლოგიურ პრობლემათა აღმოფხვრის რეალური შესაძლებლობები და გზები. მან აჩვენა, რომ ადამიანებს რეალური საშიშროების პირობებში შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი საქციელი, ბევრ კომპანიას - თავისი სტრატეგია და წესები, მთავრობებს - კანონები. როგორც პანდემიის, ასევე პოსტპანდემიის პერიოდში განსაკუთრებით აქტიურდება სახელმწიფოს როლი და ამიტომ ისეთი გლობალური ხასიათის პრობლემების გადაჭრა, როგორიც ეკოლოგიურია, სწორედ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრეროგატივა ხდება. თუკი მათ მოახერხეს ასე სწრაფად მოეხდინათ რეაგირება ვირუსზე, მაშინ შესაძლებელი ყოფილა პრიორიტეტების შეცვლა და წინა პლანზე ბუნების მოფრთხილების წესების წამოწევა, კლიმატის ცვლილებებზეც მსგავსი ოპერატიული რეაგირება.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. რ. აბესაძე. გლობალიზაცია და პანდემიის ეკოლოგიური პრობლემები. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 2020.
2. ЭКОЛОГИЧЕСКИЕ РИСКИ https://kpfu.ru/portal/docs/F_314336800/Otchet.o.globalnykh.riskakh.2019.pdf
3. на фоне изменения климата «сырьевые» страны должны диверсифицировать экономику http://eaiet.org/news/eaiet/2019-09-19-568 2019 ЮНКТАД:
4. Доклад о торговле и развитии за 2019 год: финансирование «Глобального зелёного нового курса»https://roscongress.org/materials/doklad-o-torgovle-i-razvitii-za-2019-god- 02.12.2019
5. Глобальные экологические проблемы современного мира и пути их решения https://yandex.ru/turbo?text=https%3A%2F%2Fvyvoz.org
6. Экологическая картина на 2019 год Кузнецова Злата https://www.ecosever.ru/article/21083.html
7. Экологические тренды 2019 https://vlv-mag.com/rubriki/ekologiya/ekologicheskie-trendyi-2019
8. «ГЛОБАЛЬНАЯ ЭКОЛОГИЧЕСКАЯ ПЕРСПЕКТИВА» ООН 2019 https://np-mag.ru/news1/globalnaya-ehkologicheskaya-perspektiva-oon.
9. Как пандемия коронавируса повлияла (и повлияет в будущем) на экологию: https://esquire.ru/articles/165113-kak-pandemiya-koronavirusa-povliyala-i-povliyaet-v-budushchem-na-ekologiyu-5-veshchey-kotorye-nuzhno-znat/
10. Правда ли, что пандемия улучшила экологическую обстановку во всем мире? https://meduza.io/
11. Как пандемия коронавируса может повлиять на климат нашей планеты https://www.rbc.ru/trends/green/5e73d27b9a7947f940241261
12. Пандемия и окружающая среда: экология пластика http://rapsinews.ru/incident_publication/20200425/305756871.html
13. Пандемия коронавируса: экономика VS экология https://www.kp.ru/daily/27120/4202969/



***Medea Melashvili***
***Ketevan Kveladze***
***Nunu Kistauri***


### THE IMPACT OF THE PANDEMIC ON ENVIRONMENTAL PROBLEMS IN THE WORLD

**Summary**


One of the most interesting issues today is ecology and the problems associated with it in a pandemic. Changes in the environment, especially against the backdrop of epidemics in general and coronavirus in particular, can even be perceived positively today: air purification, especially in large cities, cleaning, water reservoirs, minimizing emissions, cleaning the atmosphere, and so on. However, the universal quarantine will end when it is, and all this will return to the old standards, examples of which can be found in the world.

It’s hard to say that a pandemic that takes the lives of many people can have any positive consequences, but it’s quite clear that this is indeed happening and, of course, it has a short period of time.

The basic conclusion that the world has clearly seen is that nature really has the ability to restore itself if man does not prevent it to his harm.

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# კორონავირუსის პანდემიის გავლენა საქართველოს ტურისტულ სექტორზე

***ანოტაცია.*** *2020 წელს მსოფლიო უდიდესი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დადგა. მხედველობაში გვაქვს რა კორონავირუსის პანდემია. ამ პანდემიის მსოფლიო ეკონომიკაზე ზეგავლენის პოტენციური მასშტაბების შესახებ არსებობს სხვადასხვა ვარაუდები, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ თავად პანდემია ჯერ არ დასრულებულა, რთულია ზუსტად განისაზღვროს ეკონომიკური დანაკარგები (განსაკუთრებით რთულია მომავალი დანაკარგების პროგნოზირება). მოცემულ ნაშრომში განხილულია კორონავირუსის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, კერძოდ ტურისტულ სექტორზე.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია, ეკონომიკური კრიზისი, ტურისტული სექტორი*

* * *

2019 წლის მიწურულს ჩინეთის ქალაქ უხანში გავრცელდა კორონავირუსის ახალი სახეობა SARS-CoV-2, იგივე COVID-19. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 30 იანვარს, კორონავირუსის 2019-2020 წლების ეპიდემია საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო საფრთხედ, ხოლო 11 მარტს - პანდემიად გამოაცხადა.

აღნიშნულ პანდემიას საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტობრივად ყველა სფეროზე აქვს გავლენა. ყველაზე დიდ ზიანს, რაღა თქმა უნდა, ადამიანებისთვის ყველაზე ძვირფასი - სიცოცხლე და ჯანმრთელობა იღებს. დიდად ზარალდება ეკონომიკაც, რაც აუცილებლად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, პანდემიით გამოწვეული კრიზისი მსოფლიო ეკონომიკას 3%-ით შეამცირებს 2020 წელს, უფრო მეტად, ვიდრე ეს გამოიწვია 2008-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა[75].

კორონავირუსის პანდემია ეკონომიკის ყველა სექტორზე მეტ-ნაკლებად ახდენს გავლენას, მათ შორის ტურიზმი ყველაზე მეტად ზარალდება[76]. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (World Travel & Tourism Council) მონაცემებით, პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, საერთაშორისო ტურიზმის წილი მსოფლიო ეკონომიკაში 2019 წლისთვის შემდეგია[77]:

- მსოფლიოს GDP-ის 10.3%;
- 330 მილიონი სამუშაო ადგილი მსოფლიოს მასშტაბით - ერთი ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან;
- 948 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირება - მთლიანი განხორციელებული ინვესტიციების 4.3%;
- მსოფლიოს მთლიანი ექსპორტის 6.8%.

შედეგად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ძალიან დაზარალდებიან ის ქვეყნები, რომელთა მთლიან სამამულო პროდუქტში ტურიზმი დიდი წილითაა წარმოდგენილი, ასეა საქართველოც (ცხრილი 1).

***ცხრილი 1. ტურიზმის წილი (%) საქართველოს მთლიან სამამულო პროდუქტში[78]***

| *ტურიზმის წილი საქართველოს მთლიან სამამულო პროდუქტში (მლნ ლარი)* | ***2010*** | ***2011*** | ***2012*** | ***2013*** | ***2014*** | ***2015*** | ***2016*** | ***2017*** | ***2018*** | ***2019**** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტურიზმის სფეროს დამატებული ღირებულება | 1,370 | 1,579 | 1,683 | 1,660 | 1,737 | 1,956 | 1,968 | 2,597 | 3,016 | 3,527 |

[75] International Monetary Fund *"The Great Lockdown"*, World Economic Outlook, April 2020: https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020

[76] *"Projected coronavirus (COVID-19) impact index by industry and dimension"*, https://www.statista.com/statistics/1106302/coronavirus-impact-index-by-industry-2020/

[77] World Travel & Tourism Council *"Economic Impact Report"* https://wttc.org/Research/Economic-Impact

[78] *„ეკონომიკური მაჩვენებლები"*, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი საბაზისო ფასებში | 19,286 | 22,622 | 24,252 | 25,538 | 27,661 | 30,197 | 31,556 | 35,348 | 38,779 | 43,320 |
| *ტურიზმის წილი* | *7.1%* | *7.0%* | *6.9%* | *6.5%* | *6.3%* | *6.5%* | *6.2%* | *7.3%* | *7.8%* | *8.1%* |
| * წინასწარი მონაცემები | | | | | | | | | | |

როგორც ვხედავთ, საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმს საკმაოდ დიდი წილი უკავია და ეს არის ტურიზმის პირდაპირი წილი. ანალოგიური მაჩვენებელი მსოფლიოს მასშტაბით (ანუ მხოლოდ ტურიზმის პირდაპირი წილი გვერდითი ეფექტების გათვალისწინების გარეშე) 2019 წელს შეადგენს გლობალური ეკონომიკის 2.5%-ს[79]. საკმაოდ სოლიდურ შემოსავალს იღებს საქართველო საერთაშორისო მოგზაურობიდან (ცხრილი 2).

*ცხრილი 2. საქართველოს შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან[80]*

| შემოსავლები (ათასი აშშ დოლარი) | **2010** | **2011** | **2012** | **2013** | **2014** | **2015** | **2016** | **2017** | **2018** | **2019** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ** | **659,245** | **954,908** | **1,410,902** | **1,719,700** | **1,787,140** | **1,868,479** | **2,110,709** | **2,704,340** | **3,222,074** | **3,268,654** |
| **მათ შორის:** | ↓ | ↓ | ↓ | ↓ | ↓ | ↓ | ↓ | ↓ | ↓ | ↓ |
| I.კვ. | 100,686 | 163,990 | 235,930 | 302,818 | 315,461 | 305,180 | 342,590 | 425,673 | 550,730 | 578,442 |
| II.კვ. | 136,565 | 222,250 | 330,827 | 426,525 | 429,690 | 409,470 | 497,441 | 629,854 | 809,969 | 877,626 |
| III.კვ. | 231,913 | 326,569 | 487,721 | 604,202 | 649,775 | 742,849 | 813,161 | 1,078,274 | 1,210,561 | 1,126,771 |
| IV.კვ. | 190,081 | 242,101 | 356,423 | 386,156 | 392,215 | 410,979 | 457,517 | 570,538 | 650,814 | 685,814 |

ცხადია, პანდემიის გამო შემცირდა საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა, ამასთან, საქართველომ 18 მარტს უცხოელებისთვის სრულად დაკეტა საზღვრები. ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, აისახება შემოსავლებზეც. როგორც ვხედავთ, შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, მაქსიმალური დონე მესამე კვარტალში დაფიქსირდა. 2020 წლის პირველი ორი თვის შემოსავლები შემდეგია: იანვარი - 193.4 და თებერვალი - 160.5 მილიონი აშშ დოლარი[81], მეორე კვარტალშიც საერთაშორისო მოგზაურობიდან მიზერული შემოსავალია მოსალოდნელი.

გამომდინარე იქიდან, რომ ტურისტული შემოსავლები უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა (ცხრილი 2), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არც 2020 წელი იქნებოდა ამ მხრივ გამონაკლისი, რომ არა პანდემია, ანუ საქართველოს შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან 2020 წელს არ იქნებოდა წინა წლის მაჩვენებელზე - 3.26 მილიარდ აშშ დოლარზე ნაკლები. ტურისტული სექტორის დანაკარგი პირველი ორი კვარტლისთვის დაახლოებით 1.1 მილიარდიდან 1.2 მილიარდი აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს. ამავდროულად, იარსებებს სამომავლო, შეიძლება ითქვას „დროში გაწელილი" დანახარჯებიც. საქმე ისაა, რომ პანდემიამ ყველა ქვეყანა და მათი ეკონომიკა მეტ-ნაკლებად დააზარალა, გაჩერდა მრავალი საწარმო/ფირმა, ადამიანები სამსახურებისა და შემოსავლის გარეშე დარჩნენ. ეს მსოფლიოს მასშტაბით ერთობლივ მოთხოვნას შეამცირებს, რაც ტურისტულ სექტორზეც ნეგატიურად აისახება.

[79] World Travel & Tourism Council *"Economic Impact Report"* https://wttc.org/Research/Economic-Impact

[80] *„ეკონომიკური მაჩვენებლები",* საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/

[81] *„მიმდინარე მაკროეკონომიკური მიმოხილვა",* საქართველოს ეროვნული ბანკი - https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/analytical_reports/2020/current_macroeconomic_review_geo.pdf

იმედია, მესამე კვარტლის დასაწყისში აღდგება ეკონომიკური საქმიანობის ყველა თუ არა უდიდესი ნაწილი მაინც, მათ შორის საერთაშორისო მოგზაურობაც. დაახლოებით ეს პერიოდი გამოდის საქართველოს მთავრობის „ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის“[82] მიხედვითაც ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების სრულად მოხსნის სავარაუდო პერიოდად.

ტურიზმის წილი საქართველოს ეკონომიკაში მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს დაახლოებით 3-ჯერ აღემატება. ეს კი გვაძლევს იმის საფუძველს ვიფიქროთ, რომ საქართველოს ეკონომიკა ძალიან დიდი კრიზისის წინაშე დგას. ტურიზმის სფეროში (ასევე ტურიზმთან დაკავშირებულ მომსახურების სხვა სფეროებში, როგორებიცაა სასტუმროები, საოჯახო ჰოსტელები, რესტორნები, კაფე-ბარები, მუზეუმები, სხვადასხვა გასართობი, მათ შორის სათამაშო ბიზნესი და სხვ.) უამრავი ადამიანი იყო დასაქმებული (150000 ადამიანი 2019 წელს[83]). მათი შემოსავალი სწორედ ტურიზმზე იყო დამოკიდებული. ამჟამად ეს ადამიანები სამსახურების გარეშე დარჩნენ ან მენეჯმენტს მათი არაანაზღაურებად შვებულებაში გაშვება მოუწია.

ამრიგად კორონავირუსის პანდემიამ ძალიან დააზიანა მსოფლიო ეკონომიკა, მათ შორის საქართველოც. შემოსავლების გარეშე დარჩა ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში მომუშავე ადამიანები - დასაქმებულთა დაახლოებით 10%;

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილი ადამიანების სოციალური დახმარებისთვის დაახლოებით 1 მილიარდი ლარი დაიხარჯება[84], გათვალისწინებულია ტურიზმის სფეროსთვის საგადასახადო შეღავათებიც და სხვ.

დასასრულ, საქართველოს წარმატებული ბრძოლა კორონავირუსის წინააღმდეგ, რაც ასევე ქართველი ეპიდემიოლოგებისა და ექიმების დამსახურებაცაა, ქვეყანამ საერთაშორისო ასპარეზზე ცნობადობისა და იმიჯის ასამაღლებლად უნდა გამოიყენოს, რაც მომავალში ხელს შეუწყობს ტურისტული ნაკადების შემოდინებას.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. პაპავა ვ., სილაგაძე ა.(2018). „ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – “Gross Domestic Product”-ის ქართული სახელწოდების შესახებ“, თბილისი, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. N 4, გვ. 180-181.
2. ანტიკრიზისული სოციალურ-ეკონომიკური გეგმის II ეტაპი - მიზნობრივი სოციალური დახმარება მოქალაქეებს - https://www.moh.gov.ge/ka/news/5087/
3. *„ეკონომიკური მაჩვენებლები“,* საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/
4. *„მიმდინარე მაკროეკონომიკური მიმოხილვა“,* საქართველოს ეროვნული ბანკი - https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/analytical_reports/2020/current_macroeconomic_review_geo.pdf
5. ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა - https://stopcov.ge/ka/Gegma
6. International Monetary Fund *“The Great Lockdown“,* World Economic Outlook, April 2020: https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020
7. *“Projected coronavirus (COVID-19) impact index by industry and dimension”,* https://www.statista.com/statistics/1106302/coronavirus-impact-index-by-industry-2020/
8. World Travel & Tourism Council *“Economic Impact Report“* https://wttc.org/Research/Economic-Impact



***Zurab Mtchedlishvili***


## IMPACT OF THE CORONAVIRUS PANDEMIC ON THE GEORGIAN TOURISM SECTOR


**Summary**

The 2020 Coronavirus pandemic has a very large negative impact on the global economy. The International Monetary Fund estimates that the crisis caused by the pandemic will hurt the world economy more than the 2008-2009 global financial crisis. The tourism sector is particularly affected, as are Countries with a large share of tourism in GDP, including Georgia.

The paper discusses the impact of the Coronavirus pandemic on the Georgian tourism sector. Due to the pandemic, Georgia has lost a considerable amount of revenue from international travel - losses for I-II quarters of 2020 amount to about 1.1-1.2 billion USD. It is very important that tourism plays a significant role in the Georgian economy


[82] https://stopcov.ge/ka/Gegma
[83] ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა - https://stopcov.ge/ka/Gegma
[84] ანტიკრიზისული სოციალურ-ეკონომიკური გეგმის II ეტაპი - მიზნობრივი სოციალური დახმარება მოქალაქეებს - https://www.moh.gov.ge/ka/news/5087/

- 8% of GDP, which is about 3 times higher than the world average, which gives us reason to think that the Georgian economy is facing a very big crisis.

150000 people were employed in Georgian tourism and related services - about 10% of employees. Their income depended on tourism. Currently these people are left without jobs and income. According to the decision of the Georgian government, about 1 billion GEL will be spent on their social assistance.

Finally, Georgia must use its successful fight against Coronavirus to raise awareness and image in the international arena, that will develop tourism sector in the future.

*გიული ქეშელაშვილი*
*მარიამ ჯიბუტი*

## საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა და ბიზნესის გამოწვევები კორონავირუსის პირობებში

***ანოტაცია.*** *ნაშრომში განხილულია მსოფლიოსა და საქართველოში კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები. შესწავლილი და გაანალიზებულია მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის ძირითადი მიმართულებები. ნაჩვენებია, რომ ხელისუფლების ძალისხმევა უნდა წარიმართოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის, ადგილობრივი წარმოების განვითარების, ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის მაქსიმალური ხელშეწყობის მიმართულებებით.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ანტიკრიზისული მართვა, ეკონომიკური პროგრამა, მცირე და საშუალო ბიზნესი, ინვესტიციები, საექსპორტო პოტენციალი.*

### შესავალი

2020 წელი მთელი მსოფლიოსთვის სერიოზული გამოწვევით დაიწყო. ჩინეთში კორონავირუსის აფეთქებამ უამრავი ავიარეისის გაუქმება გამოიწვია, შემცირდა ტურისტული ნაკადები, რასაც დაემატა პანდემიის გავრცელებით გამოწვეული პრობლემები იტალიაში, ირანში, სამხრეთ კორეაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთსა და მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში.

სამთავრობო დაწესებულებები მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვისა და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის იბრძვიან. ამას ისიც ემატება, რომ ვირუსის პროტოტიპი სრულყოფილად არ არის შესწავლილი და ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ როდის შეძლებს მსოფლიო კარანტინის რეჟიმისაგან თავის დაღწევას. აღნიშნული მდგომარეობა ართულებს ეკონომიკური პროგნოზის გაკეთებას. ვალუტის გაუფასურება, სურსათზე ფასების ზრდა, უმუშევრობა, ბიზნესის შეფერხება, ინვესტიციების შემცირება, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის დაცემა, წარმოების შეფერხება, ნავთობზე ფასების მერყეობა, საფონდო ბირჟებზე აქციების ფასის ცვლილება ის პრობლემებია, რომელსაც შეეჩეხა მთელი მსოფლიო და მათ შორის საქართველოც.

Bloomberg-ის მკვლევართა გუნდმა შეიმუშავა კორონავირუსის ზეგავლენის ინდექსი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპებზე. დაუშვეს, რომ ყველა ქვეყანა განიცდიდა ძლიერ შოკს და წარმოადგინეს ოთხი სცენარი. მათი გათვლებით, ყველაზე უარეს შემთხვევაში აშშ-სა და ჩინეთის ეკონომიკის ზრდა შემცირდება 2,4%-ით, გერმანიის -3,6%-ით, რუსეთის -4,8%[85].

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა განვითარების მზარდი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. საქსტატის წინასწარი შეფასებით 2019 წელს საქართველოს ნომინალურმა მშპ-მა 50 000 მლნ. ლარი შეადგინა და 5,1%-იან ზრდას მიაღწია, გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სატელეკომუნიკაციო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ადმინისტრაციული მომსახურება და გართობის სფერო. ბოლო წლებში ტურიზმი საქართველოში საკმაოდ კარგად განვითარდა. 2018-2019 წლებში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა 8,7 მილიონიდან 9,4 მილიონამდე გაიზარდა. ასევე მზარდი იყო ტენდენცია შიდა ტურიზმის მიმართულებით. ამ მიმართულებით რეზიდენტი ვიზიტორების ხარჯები 2019 წელს 16%-ით გაიზარდა და 153,5 მლნ ლარი შეადგინა. 2019 წელს ტურისტული ნაკადების და აქედან მიღებული შემოსავლების საკმაოდ გაზრდილი მაჩვენებელი გვქონდა. ტურიზმისგან განსხვავებით, სერიოზული პრობლემების წინაშე დგას საქართველოს აგრარული სექტორი, რომლის პროდუქტიულობა ძალზე დაბალია. ფერმერების ძირითადი ნაწილი წარმოების

[85] Orlik T.(2020), et al., Coronavirus Could Cost the Global Economy $2.7 Trillion, Bloomberg (March 6,2020)

პროცესს კვლავ ძველი ტექნიკითა და ტექნოლოგიით მართავს. სოფლად მოსახლეობის სიღარიბის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი სოფლის მეურნეობის კრახია. სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ხარჯებისა და განხორციელებული პროექტების მასშტაბების მიუხედავად, კვლავ სტაბილურად დაბალია სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიგა პროდუქტში (8%). თუმცა სოფლის მეურნეობას კვლავ მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მოსახლეობის გადარჩენაში. სოფლად დასაქმებულთა 95% 'წვრილი ფერმერია, რომლებსაც საშუალოდ 1,2 ჰა მიწის ნაკვეთი აქვთ. დღეისათვის სოფლის მოსახლეობის შემოსავლების გარკვეული ზრდა ძირითადად საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ემიგრანტების ფულადი გზავნილებითაა გამყარებული. ცხადია, კრიზისი, რომელსაც კორონავირუსი გამოიწვევს, დამანგრეველი იქნება ჩვენი ეკონომიკისათვის, რადგან საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 70% იმპორტზე მოდის.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა აღნიშნავს, რომ ,,არსებულ მდგომარეობაში საკმაოდ პერსპექ-ტიულად გამოიყურება ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა და განსაკუთრებით მიმზიდველად კი _ იმპორტის ჩამნაცვლებელი პროდუქციის წარმოება, თუნდაც სამედიცინო ანტისეპტიკური საშუა-ლებების, პირბადეებისა თუ პირველადი საჭიროების სურსათის წარმოების ჭრილში. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არცთუ ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და, უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კრიზისის ხანგრძლივობაზე" (პაპავა ვ., ჭარაია ვ., 2020).

**ძირითადი მიგნებები.** კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანა მხოლოდ ხელისუფლების, ბიზნესისა და საზოგადოების ერთობლივი და კოორდინირებული მოქმედებით არის შესაძლებელი. განსაკუთრებით დიდია ხელისუფლების პასუხისმგებლობა კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანაში. მას ევალება მოსახლეობის შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფა. ბიზნესმა რომ შეძლოს კრიზისის დაძლევა, მნიშვნელოვანია ხელისუფლების მხრიდან მწარმოებლებისა და დამსაქმებლების ხელშეწყობა, რათა შერბილებული საბანკო და საგადასახადო რეგულაციების განხორციელებით მთავრობამ უზრუნველყოს კომპანიათა ვალდებულებების მინიმუმამდე დაყვანა და შედარებით ნაკლები დანაკარგებით მოხდეს ბიზნესის გადარჩენა.

კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისთან გამკლავებისათვის საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის 24 აპრილს წარმოადგინა ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც ფინანსურ დახმარებას იმ პირებისთვის, რომლებმაც შექმნილი ვითარების გამო სამუშაო დაკარგეს, ისე ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებს. ამ მიმართულებით 3.5 მილიარდი ლარის დახარჯვა არის გათვალისწინებული, საიდანაც მოქალაქეების ზრუნვასა და სოციალურ მხარდაჭერაზე განსაზღვრულია 1 მილიარდ 35 მლნ ლარი, ეკონომიკის განვითარებასა და მეწარმეობის მხარდაჭერაზე 2 მილიარდ 110 მლნ ლარი, ხოლო ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებასა და პანდემიასთან ბრძოლაზე 350 მლნ ლარი.

მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმით გათვალისწინებულია დღგ-ს ავტომატური უკანდაბრუნების მექანიზმის ამოქმედება, რითაც ბიზნესმა წლის განმავლობაში დამატებით 600 მილიონი ლარი უნდა მიიღოს. კომერციული ბანკებისათვის გათვალისწინებულია 600 მლნ ლარის ოდენობის გრძელვადიანი რესურსის მიწოდება, ხოლო ბიზნესის მხარდაჭერისთვის დამატებით 500 მლნ ლარის გამოყოფა. აქედან საკრედიტო-საგარანტიო სქემისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 300 მლნ ლარი. გარანტიით გათვალისწინებულია 2 მილიარდი ლარის საკრედიტო პორტფელის გაცემა, საიდანაც გარანტია ახალ სესხზე 90%-ის ფარგლებშია განსაზღვრული, რესტრუქტურიზაციაზე კი – 30%-ის ფარგლებში.

კრიზისის პერიოდში წინა პლანზე წამოიწია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და აგროპროდუქტების წარმოების პრობლემებმა. მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური პროგრამით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის დაფინანსების მიკროსაგრანტო პროგრამის გაგრძელება და ერთ ბენეფიციარზე გაცემული გრანტის ოდენობის გაზრდა 30 ათას ლარამდე. ხოლო აგროკრედიტი ერთწლიანი კულტურების დაფინანსების ნაწილში 50 მილიონ ლარამდე გაიზრდება. აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია 5 ათასი ბენეფიციარის დაფინანსება. ხელისუფლების ძალისხმევა ძირითადად უნდა წარიმართოს მცირე და საშუალო ბიზნესის (ადგილობრივი წარმოების) განვითარების, ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა ჩვენთან ხორციელდება სხვადასხვა სახის მექანიზმებით. სახელმწიფო პროგრამის _ ,,აწარმოე საქართველოში" განხორციელება ჯერ კიდევ 2015 წლიდან დაიწყო. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში ადგილობრივი წარმოების განვითარებას. პროგრამით განსაზღვრულია რამდენიმე მიმართულება როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის

განვითარების, ისე მიკრობიზნესის ხელშეწყობის თვალსაზრისით. პროგრამის ძირითადი ამოცანაა სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით მცირე და საშუალო ბიზნესისათვის დაფინანსების ხელმი-საწვდომობის უზრუნველყოფა, რაც ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, გირაოში თანამონაწილეობას, ლიზინგის კრედიტის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას და ა.შ. ზემოაღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია ადგილობრივი კომპანიებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს წარმოების პროცესის განვითარებას, ბიზნესციკლის გაუმჯობესებასა და ოპერაციათა მენეჯმენტის ეფექტიანობის ზრდას. ზემოაღნიშნული სახელმწიფო პროგრამა მხარს უჭერს ქართული კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო სავაჭრო გამოფენებში, რაც გამოიხატება საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების 75%-დან 80%-მდე თანადაფინანსებაში. ექსპორტის მიმართულებით პროგრამის მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთა-შორისო ბაზრებზე, ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით პროგრამის - ,,აწარმოე საქართველოში” - ფარგლებში დაგეგმილია სახელმწიფო სესხის ან ლიზინგის თანადაფინანსების პერიოდის გაზრდა 24-დან 36 თვემდე. განსაზღვრულია საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მექანიზმის შეცვლა, საქმიანობის სახეების გაზრდა, სესხისა და ლიზინგის მინიმალური ზღვრის შემცირება და საბრუნავი საშუალებების დაფინანსების გაზრდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია ხელისუფლების მხრიდან რეგიონებში მოსახლეობის დახმარება როგორც საგაზაფხულო სამუშაოების ეფექტიანად ჩატარების, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდირებისათვის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ანტიკრიზისული გეგმა - ,,ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“. აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირებას. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და სახნავ-სათესი მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას. სუბსიდიის მისაღებად საჭიროა, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკუთრებაში ჰქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სუბსიდიის მოცულობა 1 ჰექტარ მიწაზე განისაზღვრა 200 ლარით. ფერმერებისთვის გათვალიწინებულია ერთ ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არაუმეტეს 15 000 ლიტრი ოდენობის საწვავის ფასდაკლების ბარათების გაცემა.

სააგენტომ ,,აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობისათვის საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ახალი პროექტების დაფინანსება 30 ათას ლარამდე გაზარდა, რომლებშიც თანამონაწილეობა 10%-ს არ აღემატება.

ცხადია, საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანტიკრიზისული გეგმა _ ,,ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ფერმერთა სტიმულირებაში. თუმცა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები საკმარისი არ იქნება სოფლის განვითარებისათვის. მიუხედავად მთავრობის მიერ დაგეგმილი ანტიკრიზისული ღონისძიებებისა, ,,იაფი“ კრედიტის გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია მცირე და საშუალო ბიზნესის შემდგომი განვითარება.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი საფუძველი ინვესტიციებია. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა მთელი რიგი მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებულია ინვესტორთა მხარდაჭერაზე. არსებობს რეალური შესაძლებლობები საინვესტიციო პროექტების განხორციელებისთვის ისეთ სექტორებში, როგორიცაა: წარმოება, სოფლის მეურნეობა, უძრავი ქონება და ენერგეტიკა.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ - ფარგლებში აქტიურად ხორციელდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. აღნიშნული პროგრამა მედიატორის როლს ასრულებს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის. იგი მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის განხორციელებაში. ამ სისტემის ძირითადი მიზანი მატერიალური და დროის რესურსის დაზოგვაა. ეს პრინციპი საშუალებას იძლევა, რომ კომპანიებმა შეაგროვონ საჭირო დოკუმენტაცია ერთ კონკრეტულ ადგილზე. კერძოდ, საბაჟო დეკლარაციები, აპლიკაციები იმპორტიორებისა და ექსპორტიორებისთვის, სავაჭრო ინვოისები.

საქართველოს დღეისთვის მსოფლიოს 40-მდე ქვეყანასთან აქვს გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში 2019 წელს განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1. 268 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (საქსტატი, 2019).

ცხადია, ინვესტიციების ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაა. საქართველო სარგებლობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებით ევროკავშირთან. გაფორმებულია ასევე თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები EFTA-ს (ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი) წევრ ქვეყნებთან, თურქეთთან და დსთ-ის ქვეყნებთან (რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი და ა.შ.). 2017 წლიდან ამოქმედდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. GSP ტიპის შეთანხმება მოქმედებს აშშ-ს, კანადასა და იაპონიასთან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ერთ-ერთ პრიორიტეტად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება დაასახელა. 2018 წლის ივნისში გაფორმდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოს, ჰონგკონგსა და ჩინეთს შორის. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია, რომელშიც გაერთიანებულია ინდონეზია, მალაიზია, ფილიპინები, ვიეტნამი, ტაილანდი, მიანმარი, ლაოსი, კამბოჯა, ბრუნეი და სინგაპური დაახლოებით 640-მილიონიანი სამომხმარებლო ბაზარია. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპარსეთის ყურის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განვითარებას. მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების დაინტერესება საქართველოში საწარმოების შექმნით. კერძოდ, საექსპორტო პროდუქტების წარმოებით.

რადგან საქართველოს მთავრობის კურსი ძირითადად ინვესტიციების მოზიდვისკენ არის აღებული, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული რეგიონებიდან თავისუფალი ფინანსური რესურსების საქართველოში ინვესტირება. ინვესტორებისთვის აუცილებელია საქართველოს მთავრობის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა. კერძოდ, თუ კომპანია წარმოების დასაწყებად ან არსებული ბიზნესის გაფართოება/გადაიარაღებისთვის აიღებს სესხს ადგილობრივ ბანკში, მას ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა უნდა მიეცეს პროგრამის - „აწარმოე საქართველოში" _ მსგავსად, 24 თვის განმავლობაში 10%-ის თანადაფინანსების. სასტუმრო ინდუსტრიების განვითარების მხარდაჭერის მიზნით, საერთაშორისო ბრენდების შემოყვანის სტიმულირებისათვის გათვალისწინებულია ინვესტორებისათვის კომერციულ სესხზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება და ფრანჩაიზით გათვალისწინებული გადასახადების ანაზღაურება. ორივე შემთხვევაში ქართული სახელმწიფო საბანკო გარანტიის 50%-ს ანაზღაურებს. ამასთან, 300 000 ლარის მოცულობის ინვესტიციის განხორციელების შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია საქართველოში მოიპოვოს საინვესტიციო ბინადრობის უფლება.

საქართველოს მთავრობის მხრიდან ინვესტიციების მოზიდვასთან ერთად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ინვესტიციების მართვის პროცესის ეფექტიანი წარმართვა, რაც ახალი საექსპორტო პროდუქტების წარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნისათვის ეკონომიკის რეალურ სექტორში და მაღალტექნოლოგიურ დარგებში ინვესტიციების განხორციელებას გულისხმობს. საქართველოში მოქმედი ლიბერალური სისტემა ძირითადად ორიენტირებულია მოკლევადიანი, სწრაფად ანაზღაურებადი ინვესტიციების მოზიდვაზე. მიზანშეწონილია საქართველო გადავიდეს ინვესტიციების მართვის ისეთ სისტემაზე, სადაც ერთი მხრივ ჩამოყალიბდება პრიორიტეტები, ხოლო მეორე მხრივ განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ ინვესტორთა დაცვის მექანიზმები (ღაღანიძე გ., 2014).

ცხადია, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროკავშირთან, აშშ-სთან, ევროკავშირის წევრ ბალტიის რეგიონისა და ვიშეგრადის ქვეყნებთან, ბალკანეთთან. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან (არაბულ სახელმწიფოებთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, იაპონიასთან, ინდოეთთან) სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარება.

მიგვაჩნია, რომ მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმაში უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთებულიყო ბიზნესისათვის საგადასახადო წნეხის შემსუბუქების, დასაქმებულთა ადგილების შენარჩუნების და ლარიზაციის პროცესის დროებითი შეჩერების ღონისძიებებზე. ეს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ფინანსურ აქტივებზე წვდომის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება გახდებოდა.

## დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის შესწავლა-გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ

- ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა მოიცავს ჯანდაცვის სისტემის შემდგომი გაძლიერებისა და პანდემიასთან ბრძოლის, საკუთარი მოქალაქეების ზრუნვისა და მათი სოციალური მხარდაჭერის,

ეკონომიკის განვითარების, მეწარმეობის მხარდაჭერისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილ მთელ რიგ ღონისძიებებს;

- საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანტიკრიზისული გეგმა_ ,,ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე" მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ფერმერთა სტიმულირებაში, თუმცა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები არ იქნება საკმარისი ქართული სოფლის განვითარებისათვის;
- კრედიტებზე მაღალი საბანკო განაკვეთები, საგადასახადო კანონმდებლობის არსებული ხარვეზები და ინფლაცია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სერიოზულ მუხრუჭს წარმოადგენს;
- მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ინვესტიციების მოზიდვა ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან, სადაც დიდი რაოდენობით ფულადი სახსრებია თავმოყრილი;
- აუცილებელია, საქართველოს მთავრობის მხრიდან ინვესტიციების მოზიდვასთან ერთად, ინვესტიციების მართვის პროცესის ეფექტიანი წარმართვა, რაც უახლოეს მომავალში ახალი საექსპორტო პროდუქტების წარმოებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა გახდეს;
- აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან ინვესტორების მოზიდვისა და წახალისებისათვის ფინანსური მხარდაჭერის ისეთი შეღავათებისა და დაცვის მექანიზმების შეთავაზება, როგორიც პროგრამის - „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში ხორციელდება;
- უნდა განხორციელდეს ქართული სასურსათო ბაზრის შევსება ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით, რისთვისაც მნიშვნელოვანია ხელისუფლების მხრიდან მცირე და საშუალო ზომის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის აქტიური მხარდაჭერა.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Orlik T.(2020), et al., Coronavirus Could Cost the Global Economy $2.7 Trillion, Bloomberg (March 6).
2. პაპავა ვ., ჭარაია ვ., (2020), კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, https://www.gfsis.org/ge/publications/view-opinion-paper/136
3. მთავრობამ სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა - „ზრუნვა სოფელზე და ფერმერზე" წარადგინა (2020), http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=76109
4. ღაღანიძე გ., (2014), საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები,https://cu.edu.ge/files/Docs/Reasearch/გ.%20ღაღანიძე%20–%20საქართველოს%20საექსპორტო%20პოტენციალის%20%20მენეჯმენტის%20აქტუალური%20საკითხები '2'.pdf
5. ერქომაიშვილი გ., კონკურენტუნარიანობის ზრდის სტრატეგია საქართველოში, https://www.tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=7&tid=21
6. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ., (2011), საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პროგრამა, http://www.ifsdeurope.com/getdoc/32/georgia-bolo-bolo.pdf
7. საქსტატი (2019), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi
8. საქართველო - ჰონგ კონგ, ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (2018), https://matsne.gov.ge/ka/document/view/4457740?publication=0
9. ჯიბუტი მ., დაახლოება და ზრდა - ეკონომიკური პოლიტიკის კონფლიქტური მიზნები - საქართველოს მაგალითი (ინგლისურ ენაზე) (Convergence and growth – conflicting goals of economics policy – A case study of Georgia). საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „Environmental & Socio-economic Studies", 8(1):1-8, 2020 წელი. https://content.sciendo.com/view/journals/environ/8/1/article-p1.xml
10. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/
11. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/ორმხრივი-ურთიერთობები.aspx)
12. https://netgazeti.ge/news/250281/
13. გიორგი გახარიამ ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა წარადგინა (2020), http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=75972

***Giuli Keshelashvili***
***Mariam Jibuti***

**ANTI-CRISIS ECONOMIC PLAN OF THE GOVERNMENT OF GEORGIA AND BUSINESS CHALLENGES**

**Summary**

Work provides discussion of economic problems caused by coronavirus in the world and in Georgia. It studies and analyses the key areas of government's anti-crisis economic plan. It demonstrates that the government's efforts should be oriented towards supporting of small and medium businesses, development of local production, attraction of investments and promotion of exports to the maximal possible extent.

***Keywords**: anti-crisis management, economic program, small and medium business, investments, export potential.*

*ირაკლი ქვარაია*

# პანდემიის პერიოდში საქართველოს სამშენებლო სფეროში წამოჭრილი პრობლემები

***ანოტაცია.*** *საქართველოში, საბინაო, ტურისტული და სავაჭრო დანიშნულების უამრავ ობიექტებთან ერთად, ათეული და ასეული მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ჰიდროსაინჟინრო, საგზაო და სხვა უნიკალური მშენებლობები ხორციელდება, მათ შორისაა ბათუმის სტადიონი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისში „თი-ბი-სი ბანკის" ბიზნეს ცენტრი და სხვა. პანდემიის დროს, ხელისუფლების მიერ მიღებული სწორი გადაწყვეტილების წყალობით მათი დიდ უმრავლესობა აგრძელებდა მუშაობას, რადგანაც სხვა სფეროებთან შედარებით ნაკლებად შეიზღუდა სამშენებლო სამუშაოების წარმოება. მიუხედავად ამისა, მაინც წამოიჭრა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც აუცილებლად მოითხოვს მომავალში გათვალისწინებას.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია, მშენებლობა, გადაზიდვა, დასაქმება, მომარაგება.*

* * *

ნებისმიერი მშენებლობის ძირითად მიზანს წარმოადგენს სამუშაოების წარმოების წინასწარ დაგეგმილი, ყოველდღიური გრაფიკის ზუსტად შესრულება, რაც მისი დასახულ ვადაში დასრულების გარანტიაა. მაღალპროფესიულ დონეზე შედგენილი გეგმა-გრაფიკის დარღვევის მიზეზი არ შეიძლება გახდეს ისეთი შეფერხებები, რომლებიც მეტ-ნაკლებად, თითქმის ყოველთვის თან ახლავს მშენებლობის პროცესს. მათ რიცხვს, პირველ რიგში მიეკუთვნება ბუნებრივი მოვლენები (ქარი, წვიმა, თოვლი, ყინვა და სხვა), რომლებიც ხშირად აჩერებს მშენებლობას. არცთუ იშვიათია მოცდენები, ობიექტების სამშენებლო მასალებითა და ნაკეთობებით მომარაგებაში წამოჭრილი პრობლემების გამო. სამუშაოების შესრულებას აჭიანურებს ასევე ტექნოლოგიური პროცესების სირთულე და მრავალი სხვა ხელის შემშლელი პირობები. ტრადიციულად, შემსრულებლები ყოველთვის ახერხებენ მსგავსი შეფერხებებით გამოწვეული ჩამორჩენების დროულად და სრულფასოვნად ლიკვიდაციას, მაგრამ მიმდინარე წელს პანდემიის გამოცხადებამ სრულიად ახალი რეალობის წინაშე დააყენა მთელი სამშენებლო სფერო. აუცილებელი გახდა ახალი, ძალიან შეზღუდული პირობებისადმი შეგუება და სამუშაოების რადიკალურად განსხვავებულ რეჟიმში წარმართვა.

პანდემიის პერიოდში სამშენებლო სფეროში წამოჭრილი პრობლემების გამოსავლენად აუცილებელია თანმიმდევრულად იქნეს განხილული მიმდინარე მშენებლობებზე განვითარებული მოვლენები. ქვეყანაში ვირუსის გავრცელების პირველივე შემთხვევის გამოვლენისთანავე, სამშენებლო ობიექტებზე დაიწყო ყველა საჯაროდ რეკომენდებული ღონისძიებების გატარება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის, ხოლო შემდეგ ქვეყნის მასშტაბით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას მოჰყვა სავალდებულო ღონისძიებების შესრულების აუცილებლობა. მათ გასატარებლად საჭირო სადეზინფექციო საშუალებების, პირბადეების და ხელთათმანების შეძენასთან დაკავშირებული სიძნელეების მიუხედავად სამშენებლო კომპანიებმა წარმატებით გაართვეს თავი დასახული ამოცანის გადაწყვეტას. განხორციელდა დახურული სივრცეების დეზინფექცირება, სამშენებლო ტერიტორიაზე შესვლამდე, უზრუნველყოფილი იყო ყველა დასაქმებულისათვის სიცხის გაზომვა, ხელების დაბანა სპეციალური სადეზინფექციო სითხით, პირბადეების ხმარება და სათანადო დისტანციის დაცვა მუშაობის პროცესში. დიდ სამშენებლო ობიექტზე აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებდნენ,

სამშენებლო კომპანიების სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლები, რომელთა ობიექტებზე ყოფნა სავალდებულო გახდა, ჯერ კიდევ პანდემიამდე, გასულ წელს, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ახალი რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად.

სამშენებლო სფეროში, პირველი, სერიოზული პრობლემები წარმოიშვა 19 მარტის შემდეგ, როდესაც დაიხურა სამშენებლო მასალების ყველა მაღაზია და ბაზრობა. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მცირე ობიექტებისთვის, სადაც ცოტა იყო დასაქმებულთა რაოდენობა და ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა მათი მომარაგება საჭირო მასალებით. მეორე და გაცილებით სერიოზულ პრობლემად იქცა, უკვე ყველა მშენებლობისათვის, 23 მარტს საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მოძრაობის აკრძალვა, რადგანაც ქალაქგარეთ მცხოვრებმა, დასაქმებულთა დიდმა უმრავლესობამ ვერ შეძლო სამუშაოზე გამოცხადება. ამ შეზღუდვამ განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა თბილისის მშენებლობებზე, სადაც ძალიან ბევრი დასაქმებული რუსთავისა და ქვემო ქართლის რაიონის მცხოვრებია. მაგალითად, თბილისში „თი-ბი-სი ბანკის" ახალი ბიზნესცენტრის მშენებლობაზე 120-ზე მეტი დასაქმებული სწორედ ამ რეგიონიდან დადიოდა და მათმა არყოფნამ რამდენიმე დღეში უდიდესი ჩამორჩენები გამოიწვია. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა სხვა ქალაქებშიც (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და სხვა). მესამე ეტაპზე, 30 მარტის შემდეგ, როდესაც შეიზღუდა თბილისსა და სხვა ქალაქებში ყველა სახის საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა და დაწესდა კომენდანტის საათი, სამშენებლო კომპანიები, ერთი ავტომობილით მხოლოდ სამი ადამიანის მგზავრობის შეზღუდვის მიუხედავად, კიდევ ახერხებდნენ ცალკეული სამუშაოების შესრულებას. 17 აპრილიდან, ტრანსპორტის მოძრაობის სრული აკრძალვის შემდეგ ყველა მშენებლობა გაჩერდა და სამუშაოთა წარმოების გაგრძელების არანაირი შესაძლებლობა აღარ არსებობდა. ასეთი მდგომარეობა დიდ საფრთხეს შეიცავდა, რადგან ბევრ მშენებლობაზე არ იყო ბოლომდე დამთავრებული სამონტაჟო სამუშაოები, კონსტრუქციებს არ ჰქონდა მიღებული სათანადო სიმტკიცე (სვეტები, კედლები, ხიდები, ესტაკადები და ა.შ.) და ნებისმიერ სტიქიურ მოვლენას (მიწისძვრა, ქარიშხალი და სხვა) შეეძლო გამოეწვია მათი ნგრევა. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ბევრი ობიექტი შემთხვევით გადაურჩა სერიოზულ დაზიანებას. საბედნიეროდ, ასეთი არასახარბიელო პაუზა, დიდხანს არ გაგრძელდა და კომპანიებმა შეძლეს საჭირო კადრების მობილიზება და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების მკაცრი დაცვით გააგრძელეს საქმიანობა. შედეგად, სამშენებლო სფეროში ფაქტობრივად არ გამოვლენილა დაავადების გავრცელების არც ერთი შემთხვევა.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ, მიუხედავად პანდემიის პერიოდში სამშენებლო სფეროში ყველაზე ნაკლები შეზღუდვების დაწესებისა, მოულოდნელად წამოჭრილი უამრავი პრობლემების გამო, უკლებლივ ყველგან, ძალიან დიდი ჩამორჩენები დაფიქსირდა და მათ აღმოფხვრას საკმაო დრო და მონდომება დასჭირდება. გარდა ამისა, ზოგიერთ ობიექტზე, რომლის მშენებლობა უცხოელი პარტნიორების აქტიური მონაწილეობით ხორციელდებოდა, ჩამორჩენები სამუშაო გრაფიკის შესრულებაში პანდემიასთან დაკავშირებულმა სულ სხვა მიზეზებმა გამოიწვია. კერძოდ, ქვეყნებს შორის ყველა სახის სატრანსპორტო მიმოსვლის გაუქმების გამო, უცხოელმა სპეციალისტებმა ვერ მოახერხეს ჩამოსვლა ბათუმის სტადიონის მშენებლობაზე დარჩენილი სპეცსამონტაჟო სამუშაოების დასამთავრებლად. გაურკვეველი ვადით გადაიდო უცხოელი კონსულტანტებისა და შემსრულებლების ვიზიტი სასტუმრო „შერატონ-პალასის" მშენებლობის დასრულების შემდეგ, იქ გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად. საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, კომუნიკაციების პრობლემები შეიქმნა, ისეთი ბრენდული სასტუმროების მშენებლობაზე, როგორიც არის „ჰაიატი", „ჰილტონი" და სხვა. ანალოგიური სიტუაციაა ქუთაისში, საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპლექსის მშენებლობაზე, სადაც უკვე გამოცხადებულია მიმდინარე წელს სტუდენტების პირველი ნაკადის მიღება და უნივერსიტეტის ფუნქციონირების დაწყება. განსხვავებული ვითარებაა „ტოიოტა კავკასიის" დიდი სასაწყობე ნაგებობის მშენებლობაზე ავჭალაში. იქ პანდემიის დაწყებამდე დასრულდა შენობის ქვაბულის მოწყობა, მაგრამ იაპონელმა ინვესტორებმა მათი უშუალო მონაწილეობის გარეშე არ ისურვეს სამუშაოების გაგრძელება და დღემდე უცნობია, როდის მოახერხებენ ისინი ჩამოსვლას. მათთან გაფორმებული, ჯერ კიდევ მოქმედი ხელშეკრულება, მშენებლობის დასრულებას და ობიექტის ექსპლუატაციაში გადაცემას 2021 წლის თებერვალში ითვალისწინებს, რაც, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, უკვე არარეალურია.

მიღებული გამოცდილების საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. მომავალში, ნებისმიერი მშენებლობის დაწყებამდე, დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ხელშეკრულების გაფორმებისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია პანდემიის მოულოდნელად გამოცხადების შესაძლებლობა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები, რაც აუცილებლად გამოიწვევს ობიექტის დასრულების ვადის გახანგრძლივებას;

2. სამშენებლო სამუშაოთა მოულოდნელად შეჩერების პირობებში, თუ ობიექტის კონსერვაციის საშუალება არ არსებობს, აუცილებელია განხორციელდეს დაუმთავრებელი და არასათანადო სიმტკიცის

მქონე ყველა კონსტრუქციის გამაგრება, რომ სტიქიური ზემოქმედების (მიწისძვრა, ქარიშხალი და სხვა) შემთხვევაში არ მოხდეს მათი დაზიანება;

3. პანდემიის დროს ყველაზე სერიოზული პრობლემები შეიქმნა სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვების გამო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რადგანაც თითქმის შეუძლებელი გახდა ობიექტებზე დასაქმებულთა სრულფასოვანი მობილიზება და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა;

4. მიუხედავად საცალო ვაჭრობის აკრძალვით გამოწვეული ჩამორჩენებისა ცალკეულ მშენებლობებზე, ძალიან პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს ის მომენტი, რომ პანდემიის პერიოდში არ შეიზღუდა სატვირთო გადაზიდვები და არ შეჩერდა ბეტონის, არმატურის და სხვა საჭირო მასალების წარმოება და მათი საბითუმო გაყიდვა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ქვარაია ი. 2017. მშენებლობის პროცესში გამოვლენილი დაზიანებებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. გვ.100.



***Irakli Kvaraia***


## PROBLEMS ENCOUNTERED IN THE CONSTRUCTION SECTOR OF GEORGIA, DURING THE PANDEMIC

### Summary


During the pandemic in Georgia, despite the least restrictions of the construction work, nevertheless, a number of serious problems arose that should be taken into account in the future. This is connected with the mobilization and movement of labor, ensuring the strengthening of incomplete structures at a sudden stoppage of construction and, most importantly, include in all contractual conditions the possibility of extending the construction completion period during a pandemic.



*ქეთევან ქველაძე*
*მედეა მელაშვილი*
*ნუნუ ქისტაური*


## პანდემიის თანამედროვე გამოწვევები ტურიზმის სექტორში და მისი გადაჭრის გზები


***ანოტაცია.*** *ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს - ტურიზმს და მასზე, დღეისათვის მეტად აქტუალური გლობალური პრობლემის, პანდემიის გავლენას. ნაშრომში განხილულია ის ეკონომიკური შოკი, რომელიც კორონავირუსს სდევს თან, არის საკმაოდ უცნაური და, ამასთან, ერთდროულად ნეგატიურ გავლენას ახდენს დარგის როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხარეზე. ყოველივე ამან კი მწვავე გამოწვევების წინაშე დააყენა ტურიზმის სექტორი: მოხდა დარგის პარალიზება, სამუშაო ადგილების შემცირება, კარანტინი, ვალუტის გაუფასურება და სხვა.... გაანალიზებულია ასევე პანდემიის პირობებში სექტორში არსებული მდგომარეობა მსოფლიოსა და საქართველოში, შესწავლილია პანდემიის დამარცხების შემდგომი პერიოდის ზოგადი ეკონომიკური ასპექტები და მათი დაძლევის გზები.*



***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია, რეცესია, Covid-19, ტურიზმი, ტურისტული უსაფრთხოება, პოსტკრიზისი, ეკონომიკური აქტივობა, ეკოლოგიური მიმართულება.*


* * *

ტურიზმი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრია, 2019 წელს მსოფლიო ტურისტულმა ორგანიზაციამ (UNWTO) მსოფლიო მასშტაბით დაარეგისტრირა 1,5 მლრდ საერთაშორისო ტურისტული მგზავრობა, წინა წელთან შედარებით 4%-იანი ზრდა. მიუხედავად ბოლო ათწლეულში ტურიზმის, როგორც ეკონომიკური დარგის წარმატებული განვითარებისა, სექტორი ამავე დროს საკმაოდაა დამოკიდებული კატასტროფებისა და სხვადასხვა დაავადებების რისკების მიმართ, მაგ., როგორიცაა მიწისძვრები, ცუნამი, ტროპიკული ქარიშხლები, ეროზიები, წყალდიდობები, ეპიდემიური და პანდემიური საფრთხეები და ა.შ. პანდემია დაავადების ვრცელ გეოგრაფიულ არეალში გავრცელებას

ნიშნავს. მაგალითად, რამდენიმე სხვადასხვა კონტინენტზე ან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. პანდემია ბერძნული სიტყვა „pandemos"-იდან მომდინარეობს. pan ნიშნავს ყველას, „demos" კი -მოსახლეობას. პანდემიის ცნებით გამოიხატება იმის მოლოდინი, რომ ინფექცია მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეეხება. მსოფლიოში ცნობილია სხვადასხვა საზარელი პანდემიები, რომლებიც ისტორიამ შემოგვინახა, მაგ., შუა საუკუნეებში (1346–1353) მძვინვარებდა შავი ჭირი, რომელმაც 60 მლრ ადამიანის სიცოცხლე წაიღო, ანუ მაშინდელი მსოფლიო მოსახლეობის 25% მოედო. 1870 წელს მსოფლიოს ყვავილი მოედო, რომელმაც 2 მლნ-მდე სიცოცხლე, ანუ დაავადებულთაგან ყოველი მე-8 დაიღუპა, ხოლო ბავშვებს შორის სიკვდილიანობა 30% იყო. 1918-1920 წლებში ე.წ. „ესპანკა" - ესპანური გრიპი გაჩნდა. იგი ესპანეთში დაიწყო და მთელ მსოფლიოს მოედო. ავადმყოფობამ მსოფლიო მოსახლეობის 20-40% მოიცვა და 17-დან 100 მლნ-მდე სიცოცხლე შეიწირა. 1981 წელს მსოფლიო შესძრა ახალი აივ-ინფექციის, ანუ სპიდის (AIDS) გამოჩენამ. როგორც სპეციალისტები ამბობენ, იგი უსწრაფესად ვრცელდება - დღეში 16 ათ. ადამიანი მსოფლიოში და მაღალი სიკვდილიანობითაც ხასიათდება. შემდეგ, 2009 წელს იყო ე.წ. ღორის გრიპი H1N1, რომელმაც გავრცელების პირველივე წელს 100 000-დან 400 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 2020 წელს 11 მარტს მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსის COVID-19-ის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა. 4-5 თვეში მსოფლიოში დაინფიცირდა 5,5 მლნ-ზე მეტი ადამიანი და დაიღუპა 4,5 ათასზე მეტი (ეს მაჩვენებლები ყოველდღიურად იცვლება მძვინვარე პანდემიის პირობებში). ვირუსი გავრცელდა დაახლოებით 210 ქვეყანაში. არსებულმა პანდემიებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. 2020 წლის პანდემიის გამო გლობალური ეკონომიკა ბოლო 12 წლის განმავლობაში შეიძლება რეკორდულად შენელდეს. მსოფლიო მშპ-ს ფინანსური დანაკარგები კორონავირუსისგან უკვე 50 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა და წლის ბოლომდე 1 ტრლნ-მდე შეიძლება გაიზარდოს. 2020 წელს მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპი 2,6%-დან 1%-მდე შენელდება.

მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს მონაცემებით, 2020 წელს მსოფლიოში მოგზაურობის რაოდენობა შესაძლოა შემცირდეს 25 %-ით, რაც სამუშაო ადგილების 12-14%-ით შემცირებას გამოიწვევს.

UNCTAD-ის (გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ) მონაცემებით, მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა ამ პერიოდში წარმოებასა და საექსპორტო მოწოდებებზე განიცადეს დანაკარგები. მაგ., ჩინეთმა - 2%, ამის ფონზე აშშ დაკარგა 5,8 მლრდ, იაპონიამ -5,2 მლრდ, სამხ. კორეამ - 3,8 მლრდ, ევროკავშირმა - 15,6 მლრდ აშშ დოლარი.

პანდემიამ, რა თქმა უნდა, მთელი მსოფლიოს პარალიზება მოახდინა. იგი ეკონომიკის ყველა დარგს შეეხო. მაგრამ ყველაზე დიდი დარტყმა მან ტურიზმს მიაყენა თავისი გამოჩენის პირველივე დღიდან. ეკონომიკური კოლაფსი ნიშნავს, რომ დარგის აღდგენას ჩვეულებრივზე შედარებით მეტი დრო დასჭირდება. დღეს სიტუაცია შოკის მომგვრელია: 3 მლრდ ადამიანი მთელ მსოფლიოში ვირუსის შიშით სახლში ზის, შეჩერებულია თვითმფრინავების მიმოსვლა (სპეცრეისების გარდა), ოტელები დაკეტილია, უმუშევრობა კატასტროფულად იზრდება, ჩაკეტილია საზღვრები (ჩინეთი, ევროპა, აშშ, თურქეთი და ა.შ), მოიშალა ბაზრები, გაუფასურდა ვალუტა. შეიძლება ითქვას, საერთაშორისო ტურიზმი ფაქტობრივად გაჩერდა და ახლო პერსპექტივაში ასეც დარჩება. ერთი რამ ნამდვილად ნათელია, რომ შექმნილი სიტუაციის დანაკარგების შეფასება შეუძლებელია, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ არ ჩანს ბოლო.

მიუხედავად იმისა, რომ მოლოდინები განსხვავებულია, ეკონომიკური ზეგავლენა ქვეყნებზე, ძირითადად, შემდეგი ლოგიკით განვითარდება: მთავარ ეკონომიკურ დარტყმებს მიიღებენ ის ქვეყნები, რომლებშიც COVID-19-ის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები იქნება, შემდეგ ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკებიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ტურიზმზე, ნავთობისა და სხვა საქონლის ექსპორტზე, ამის შემდგომ კი ნეგატიური ზეგავლენა მათი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკებშიც გადაიზრდება.

ტურიზმისა და ექსკურსიების მსოფლიო საბჭო აქვეყნებს მონაცემებს, რომელთა მიხედვით, ჯერჯერობით მსოფლიო საერთაშორისო ტურიზმის დანაკარგებმა 2 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა. ტურიზმის სფეროში ადრე პროგნოზირებული 1-3%-ის დანაკარგები მოგვიანებით აუცილებლად გადაიხედება გაუარესების კუთხით. Statista.com-ის მიხედვით, მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის ბაზარი 2020 წელს, სავარაუდოდ, 75.2 მილიონ სამუშაო ადგილს დაკარგავს [15]. რეგიონი, რომელსაც COVID-19-დან ყველაზე დიდი ზარალი მიადგება, არის აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონი, სადაც 2020 წელს ნავარაუდევია, რომ იქნება 48.7 მილიონი სამუშაო ადგილით ნაკლები, ხოლო ევროპა იქნება დანაკარგის სიდიდით რიგით მეორე რეგიონი, რომელიც აღნიშნულ ინდუსტრიაში კარგავს 10.1 მილიონ სამუშაო ადგილს. UNWTO-ს მონაცემებით, ყველაზე მეტად დაზარალდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოები. მათი წილი ტურიზმის სექტორში 80% შეადგენს. ამასთან ერთად მთელ მსოფლიოში 2020

წელს ტურების 58%-დან 78%-მდე კლებაა მოსალოდნელი. შესაბამისად, პანდემიამ სერიოზული ნეგატიური ზეგავლენა იქონია როგორც მსოფლიო ტურიზმზე, ისე კერძოდ ტურისტული ქვეყნების ეკონომიკებზე.

იტალიისთვის, რომელსაც უდიდესი დარტყმა მიაყენა კორონავირუსის პანდემიამ და საჭირო გახდა განსაკუთრებით მკაცრი ღონისძიებების გატარება ეპიდსიტუაციის დასასტაბილურებლად, დანაკარგები ათეულობით მლრდ ევროში განისაზღვრება. ეს სექტორი მშპ-ს 12-13%-ს იძლევა და 3 მლრდ ადამიანს ასაქმებს. Confturismo ინდუსტრიის ჯგუფი Confcomercio პროგნოზირებს, რომ მეორე კვარტალში სექტორის ჯამური ზარალი 7,4 მილიარდ ევროს შეადგენს, წლის ბოლოსთვის კი 130 მლიარდიან ზარალს პროგნოზირებენ.

როგორც საფრანგეთის, ისე ესპანეთისთვის ტურიზმის სექტორზე მიღებული დარტყმები რთულად გადასატანი იქნება. საფრანგეთის ტურიზმი ეკონომიკის დაახლოებით 8%-ს აწარმოებს (წელიწადში 56,2 მლრდ ევრო), ფრანგულმა ტურისტულმა კომპანიებმა აპრილის თვეში 10 მილიარდი ევროს ზარალი ნახეს - იტყობინება BFM TV. დღეს ამ სექტორში 400 ათასი ადამიანი უმუშევარია, ხოლო 50 ათასი სეზონური სამუშაო კი გაუქმდა [12]. ესპანეთში ტურიზმი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკისთვის და მასზე წელიწადში დაახლოებით 180 მილიარდი ევრო მოდის - მშპ-ს დაახლოებით 14%. პანდემიის გამო ტურისტული ნაკადის ვარდნამ ესპანეთისთვის მიყენებული ზარალი მინიმუმ 30 მილიარდი ევრო შეადგინა, იტყობინება Deutsche Welle [8], [11]. გერმანიის ეკონომიკაში ტურიზმზე 105 მილიარდ ევროზე მეტი მოდის, რაც ქვეყნის მშპ დაახლოებით 4%-ს შეადგენს. ტურიზმი უზრუნველყოფს დაახლოებით 3 მილიონ სამუშაო ადგილს. გერმანიის ტუროპერატორების ასოციაციის ინფორმაციით, 2020 წლის მარტსა და აპრილში ტურიზმის ინდუსტრიამ 24 მილიარდი ევროს ზარალი ნახა [13], [14]. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა განსაკუთრებული ზიანი იაპონიის ტურიზმის სექტორსაც მიაყენა. იაპონურმა ავიაკომპანიებმა, საზღვრების ჩაკეტვისა და ფრენების გაუქმების შედეგად, თებერვალ–აპრილის პერიოდში 2.8 მლრდ დოლარით იზარალეს. ისტორიაში პირველად, 2020 წლის ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიური თამაშები 2021 წლის ივლის–აგვისტოში გადაიტანეს, რის გამოც იაპონიის ეკონომიკის 1.4%–ით შემცირებას ვარაუდობენ.

კორონავირუსის პანდემია მთლიანად შეცვლის ტურისტულ სექტორს. ხალხი უცებ არ დაიწყებს მასიურად მოგზაურობას უცხოეთში, ექსპერტების აზრით კრიზისიდან გამოსვლას ქვეყნები ეტაპობრივად დაიწყებენ (სრულ აღდგენას კი შეიძლება წლები დასჭირდეს). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ პანდემიის შემდგომ მსოფლიოში ტურისტების გადაადგილების რაოდენობრივი ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება სექტორის ფინანსური მაჩვენებლების ზრდის ტემპს. გამოცოცხლება შიდა ტურიზმით დაიწყება, ე.ი. ტურისტები იმოგზაურებენ ქვეყნის საზღვრებს შიგნით. ექსპერტების აზრით, პირველები ამ სიტუაციიდან ჩინელები გამოვლენ. ზაფხულისთვის სიტუაცია ევროპაშიც დამშვიდდება, ნელ-ნელა ეკონომიკური აქტივობებიც დაიწყება და ივლისისათვის ტურიზმიც (შიდა ტურიზმი) გამოცოცხლდება. ამ ბაზრის წარმომადგენლებმა ახლავე უნდა გადააწყონ თავისი ბიზნესი ამ მიმართულებით - ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადონ ახალი მარშრუტები, ახალი ტურისტული პროდუქტი. საკუთარი ტურისტების იმედი აქვთ სხვადასხვა ქვეყნებს, მაგ., იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ტაილანდის მთავრობებს, რომლებიც იმედოვნებენ, რომ კარანტინის დამთავრებისთანავე კურორტებს, ოტელებს, რესტორნებს საკუთარი მოქალაქეებით დააკომპლექტებენ და ამისათვის სხვადასხვა ღონისძიებების გეგმებს ადგენენ.

პანდემია, გარდა ქვეყნების საზღვრების ჩაკეტვისა, ასევე გახდა ინფლაციური პროცესების ზრდის და ფინანსური დანაზოგების მნიშვნელოვნად შემცირების მიზეზი. ეს ნიშნავს, რომ საზღვრების გახსნის შემთხვევაშიც კი ადამიანებს არ ექნებათ მოგზაურობისათვის საჭირო ფინანსური შესაძლებლობა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, არსებობს იმის საშიშროება, რომ ტურიზმი მხოლოდ მდიდრებისათვის გახდეს ხელმისაწვდომი. საშუალო ფენები კი იაფი ტურების მოძებნას დაიწყებს, რითაც იხსნება ტურიზმის ახალი შესაძლებლობები. ძნელი გამოსათვლელი არ არის ისიც, რომ უფრო წინ წამოიწევა ტურიზმის ეკოლოგიური სახეობები - არა დახურულ სივრცეში (მუზეუმები, გამოფენები, მჭიდროდ დასახლებული ქალაქები), არამედ სუფთა ჰაერზე, ღია ცის ქვეშ. ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო პოპულარული გახდება ადრე აქტიური ისეთი ტურიზმის ფორმები, როგორიცაა - კემპინგები, კარვები, „ველური“ დასვენება პლაჟზე და ზღვის სანაპიროებზე, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და ა.შ.

უდავოდ გაიზრდება ტურისტების მოთხოვნა უსაფრთხოებაზე, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე. პრიორიტეტი იქნება სისუფთავე, მოგზაურისთვის საჭირო იქნება პირბადე, ხელების ხშირი დაბანა, ანტიბაქტერიული ხელსახოცების და ხსნარების შეძენა-მომარაგება მოგზაურობის მთელ მარშრუტზე (მაგ., ტყეში).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) პრეზიდენტი ბულუტ ბაგჩი თვლის, რომ პანდემიის შემდეგ პოპულარობას დაკარგავს ე.წ. „შვედური მაგიდა“ რესტორნებში და სრულიად აუცილებელი გახდება ოტელებისათვის ყოველი სტუმრის შემდეგ ნომრებში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება. ასევე ორმაგად მეტი ყურადღება გამახვილება ტურისტების მხრიდან სისუფთავესა და სანიტარული ნორმების დაცვაზე.

როგორც ჩანს, გიგანტი სასტუმროები დაკარგავს ვიზიტორებს და წინ წამოიწევა პატარა სასტუმროების როლი, სადაც უფრო ადვილია უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმების დაცვა. ალბათ აღარ იქნება „რესეფშენ“-ი, პორტიეები, რადგან ეს პირად კონტაქტებს ითვალისწინებს. აქ პრიორიტეტული გახდება ონლაინ-მომსახურება. კრიზისული პერიოდის დაძლევისას, სანამ დიდი ოტელები ახალ რელსებზე გადასვლას მოახერხებენ, კერძო ტურისტული ბიზნესის მფლობელებს კიდევ უფრო გაუადვილდებათ ბინების გაქირავება და ისინი გარკვეულ მოგებასაც ნახავენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რადგნაც ბინაში უფრო ადვილია სოციალური დისტანციისა და უცხო ადამიანებთან არასასურველი კონტაქტებისაგან თავის დაცვა.

სასტუმროებისათვის პირველ ხანებში აუცილებელი გახდება ფასების დაგდება, მაგ., ამერიკულ ოტელებში 21 მარტიდან ერთი კვირის თავზე ფასები 30%-ით დაეცა. (ასევე შეიძლება დაიწყოს ყიდვა-გაყიდვის ძალიან აქტიური პროცესი). ექსპერტები ფიქრობენ, რომ ბევრი ტურისტული კომპანია საერთოდ გაუქმდება, ასევე გაქრება ჩარტერული რეისების აუცილებლობა, აღარ განხორციელდება აქამდე ძალიან პოპულარული კრუიზები დიდი ლაინერებით. შესაძლებელია ფეხი მოიკიდოს ე. წ. იაფმა კრუიზებმა პატარა ხომალდებით, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კაიუტების ერთმანეთისგან დაშორება, თვით ხომალდის შესაბამისი გადაგეგმარება ტექნიკურად, სხვადასხვა პორტებში მინიმალურად შესვლა.

მიუხედავად მოსალოდნელი ცვლილებებისა, ქვეყნები ცდილობენ საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში გაუმკლავდნენ პანდემიის გამოწვევებს. მაგ., პანდემიის შედეგად ექსპერტები ტურისტული სექტორის 30%–ით შემცირებას ელიან ესპანეთში. ამ ფონზე სახელმწიფომ 400 მილიონი ევრო გამოყო ტურიზმისა და ტრანსპორტირების სექტორში მოქმედი კომპანიების შეღავათიანი კრედიტის მიწოდებისათვის. 31 მარტს სახელმწიფომ გამოსცა შემამსუბუქებელი პოლიტიკის მესამე ნაწილი, რომელიც ტურიზმის სექტორში დასაქმებული მეწარმეებისათვის ითვალისწინებს სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ძირის გადახდების ერთი წლით გადავადებას.

რაც შეეხება იტალიის მთავრობას, ტურიზმის და მომიჯნავე დარგებში დასაქმებულთა დასახმარებლად 130 მლნ ევრო გამოყო. სოციალური დაცვის მექანიზმის ფარგლებში კი სექტორში სეზონურად დასაქმებულებს სახელმწიფო 600 ევროს ოდენობით კომპენსაციას გადაუხდის. ტურიზმის კულტურისა და გართობის სექტორში მოქმედი დამსაქმებლები გათავისუფლდნენ როგორც საშემოსავლო გადასახადების, ასევე სავალდებულო სადაზღვევო დანამატებისაგან, სოციალური უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის შენატანებისაგან. ვირუსის კონტროლის ფონზე იტალია გეგმავს აქტიურად დაიწყოს ქვეყნის იმიჯის აღდგენა და საერთაშორისო ტურისტების მოზიდვა, რისთვისაც ადგილობრივი ავიაკომპანიების დასახმარებლად სახელმწიფომ 200 მლნ ევრო გამოყო.

იაპონიის მთავრობამ მარტის თვეში 15 მლრდ დოლარი გამოყო ტურიზმისა და მომიჯნავე სექტორებში დასაქმებულთა დასახმარებლად. პანდემიის დაძლევის შემდეგ იაპონიის ტურიზმის სააგენტო 34 მლნ დოლარის დახარჯვას აპირებს საინფორმაციო კამპანიის საწარმოებლად, რათა ქვეყანა კიდევ უფრო მიმზიდველი გახადოს საერთაშორისო მოგზაურთათვის.

როგორც აღვნიშნეთ, პანდემია თითქმის მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებს მოედო, მათ შორისაა საქართველოც, სადაც ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა და მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. ტურიზმი საქართველოს მშპ-ს დაახლოებით 11%-ს აწარმოებს. 2019 წელს ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 9 357 964-ს მიაღწია, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 7.8%-ით მეტია. ტურიზმმა 2019 წელს თითქმის 3.5 მილიარდი აშშ დოლარის მოგება მოიტანა და დარგში 170 ათასი ადამიანია დასაქმებული. მაგრამ ეს ყველაფერი აქტუალური იყო 2020 წლის თებერვლამდე, სანამ ტურიზმმა კორონავირუსის გამო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის წამყვან ქვეყნებთან ერთად საქართველოშიც დაკარგა აქტუალობა, დღევანდელი მოცემულობით ყოველთვიური ზარალი 30 მლნ ლარია, თუმცა მისი მასშტაბები გაიზრდება. გაზრდილი მოთხოვნა პროდუქტზე, უმუშევრობის გარდაუვალი ზრდა, სიღარიბის მაჩვენებლის გაზრდა, ეროვნულ ვალუტაზე სხვადასხვა ფაქტორების ზეწოლა, ტურიზმისა და საერთაშორისო გზავნილების შემცირება, მოგზაურობის შიში და ჩაკეტილი საზღვრები ყველაზე ნეგატიურად აისახა ტურიზმზე. სერიოზულად დაზარალდა სასტუმრო სექტორი, რესტორნები და კაფეები, რომლებიც პრაქტიკულად დროებით დაიკეტა (მსოფლიო რესტორნებსა და კაფეებში სტუმრების

რაოდენობის წლიურმა შემცირებამ 2020 წლის 25 მარტს 100%-ს მიაღწია), ასევე შემცირდა მოთხოვნა ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებაზე, გიდების, თარჯიმნების და ტურისტების სხვა მომსახურებაზე. TAV Georgia-ის ინფორმაციით, მარტის პირველ ორ კვირაში თბილისის აეროპორტში მგზავრთა ნაკადი 49%-ით შემცირდა. 21%-ით არის შემცირებული ფრენების რაოდენობაც. ხოლო დღეისთვის მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებში საერთოდაა გაჩერებული (სპეცრეისების გარდა). ტურიზმის მხრიდან მოთხოვნა თითქმის განულდა და ხალხს სახლში დარჩენას ურჩევენ. ამ ყველაფერმა მწარედ დაარტყა ფერმერებს. ფერმერული ნაწარმი, რომელიც იყიდება რესტორნებსა და სასტუმროებში, ჩაწვა და 10 ათასობით მეურნეობას შემოსავალი შეუმცირდება. ეს, შეიძლება ითქვას, კრიტიკული წერტილია, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტურიზმზე საქართველოში 170 ათასამდე ადამიანია მიბმული. ამ ადამიანების დიდი ნაწილი შემოსავალის გარშე დარჩა.

დღესდღეობით არსებული რთული რეალობიდან გამომდინარე, ცხადია, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს. COVID-19 პანდემიის გამო საქართველოს ეკონომიკური განვითარების და, მათ შორის, ტურიზმის პერსპექტივა მნიშვნელოვნად გაუარესდა. საქართველოს მთავრობა გადამწყვეტ ნაბიჯებს დგამს COVID-19-ის პანდემიისა და ეკონომიკაზე მისი უარყოფითი გავლენის შესაკავებლად. მან ეკონომიკურ გუნდთან ერთად 2020 წლის 7 მაისს წარადგინა ტურიზმის ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც პირველი კონკრეტულ სექტორზე მორგებული ეკონომიკური სტრატეგიაა და რომლის თანახმადაც, ქვეყანა 1 ივლისიდან უცხოელი ტურისტების მიღებას ფიქრობს (ქვეყნებს შორის უსაფრთხო დერეფნების შექმნა და სახმელეთო და საჰაერო საზღვრების გახსნა უსაფრთხო დერეფნების შესაბამისად და ფრენების ეტაპობრივი აღდგენა. საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიის წარმართვა სლოგანით „საქართველო - უსაფრთხო დანიშნულების ადგილი“ და სხვა).

ფაქტია, 2020 წლის ზაფხული ტურისტებით დატვირთული ვერ იქნება და ქვეყანამ დღეს აქტიურად უნდა იმუშაოს, რომ მოგზაურთა სასურველმა ტურისტულმა მიმართულებებმა ახალ გამოწვევებს გაუძლოს და არ გაქრეს მომდევნო წლებში, ამისთვის კი სექტორში დასაქმებულებს მოუწევთ მძიმე ფინანსურ გამოწვევებთან გამკლავება საკუთარი თავის და ბიზნესის გადასარჩენად. მთავრობა 2020 წელს ტურიზმის სტიმულირებისთვის 200 მილიონ ლარს გამოყოფს, რომელიც ასე ნაწილდება:

ტურისტული ინდუსტრიისთვის 2020 წლის ქონების გადასახადის გაუქმება - 45 მილიონი ლარი (ეს არის თანხა, რომელიც უნდა გადაეხადათ და არ გადაიხდიან ბიზნესები);

ტურისტული ინდუსტრიის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება (და გადავადება) - 90 მილიონი ლარი (ესეც ბიზნესის გადასახდელი თანხაა, რომლისგანაც გათავისუფლდნენ);

სასტუმროების სესხების სუბსიდირება - 60 მილიონი ლარი (განკუთვნილია 3000 სასტუმროსთვის);

ტურისტული კომპანიებისა და გიდების მხარდაჭერა - 5 მილიონი ლარი (დეტალები თანხის ხარჯვის მექანიზმის შესახებ არ დაკონკრეტებულა);

მთავრობა ყველა სასტუმროს, რომლის წლიური ბრუნვაც 20 მილიონ ლარამდე იყო, სთავაზობს, რომ სახელმწიფო 6 თვის განმავლობაში სესხის პირველ 5 მილიონ ლარზე 80 პროცენტის სუბსიდირებით დაეხმარება. სარესტორნო ბიზნესს კი საკრედიტო საგარანტიო სქემაში ჩართვას სთავაზობს, რაც იმას გულისხმობს, რომ არსებული საბანკო სესხების რესტრუქტურიზაციის პროცესში სახელმწიფო მათ 30-პროცენტიან თანაუზრუნველყოფაში დაუდგება, ახალი სესხების მოზიდვის დროს კი თავის თავზე 90 %-იან თანაუზრუნველყოფას აიღებს.

გარდა ამისა, მოხდება ტურისტულ გამოფენებზე განთავსების ობიექტების თანამონაწილეობის თანხის სუბსიდირება, ასევე UNWTO-ს რეკომენდაციების დანერგვასა და განხორციელებაში ხელშეწყობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პანდემიის დასრულების შემდგომ მსოფლიო ძველებურად ვეღარ იცხოვრებს, ადამიანები დაიწყებენ ისეთი ადგილების მოძიებას, სადაც თავს იგრძნობენ უსაფრთხოდ და გადატვირთული ადგილების ნაცვლად უპირატესობას მიანიჭებენ ისეთი ადგილების მონახულებას და დასვენებას, სადაც სოციალური დისტანცირების დაცვის საშუალება ექნებათ, თავს იგრძნობენ უსაფრთხოდ და დაცულად. საქართველოს ტურიზმის სექტორი პირველ ეტაპზე 2020 წლის 15 ივნისიდან გეგმავს შიდა ტურიზმის ამოქმედებას და უსაფრთხო ტურისტული ზონების შექმნას, აქ კი აუცილებელია უფრო აქტიურად მოხდეს ეკო, აგრო, მთის, სათავგადასავლო, გამაჯანსაღებელი და სოფლის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, რაც სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სინერგიას და ბუნებრივი რესურსების დაცვას გულისხმობს. ამასთან ერთად, შეიძლება გვქონდეს იმის იმედიც, რომ გამსვლელი ტურისტები (რომლებიც ასობით მილიონ აშშ დოლარს ხარჯავენ ყოველწლიურად) ვერსად გავლენ, ანუ ფული არ გავა ქვეყნიდან (არ ითვლება სოფლებში მოსახლეობის უბრალოდ მასიური

გასვლა). აღნიშნული ტიპის ტურიზმის განვითარებით ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება მიეცემა, ტურიზმის მომსახურებებისგან მიღებული შემოსავალი აქციოს დამატებით შემოსავლად, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება გახდეს მათი შემოსავლის ძირითადი წყარო. საჭიროა სოფლის მეურნეობის მეტად დაფასება, რომ ადგილობრივი და არა იმპორტული ნაწარმი გახდეს პრიორიტეტი (ჩვენი სასურსათო კალათის 80% იმპორტულია), რადგან სწორედ საქართველოში წარმოებულ პროდუქციას შეუძლია მოხსნას ელემენტარული მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა; დოვლათი დატოვოს ქვეყანაში (და არ გაუშვას საზღვარს მიღმა), შეინარჩუნოს სამუშაო ადგილები ქვეყნის შიგნით, რაც მიიღწევა ცოდნაზე და ინტელექტზე დამყარებული ინდუსტრიული წარმოების განვითარების ხელშეწყობის ფონზე.

პანდემიის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად გადამწყვეტი როლი გლობალურად სახელმწიფოს ენიჭება, რომელმაც, პირველ რიგში, დახმარება უნდა გაუწიოს მცირე და საშუალო ბიზნესის მეწარმეებს, რომლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გააგრძელებენ არსებობას. ასევე უნდა მოხდეს შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება სავალდებულო უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომ ავიცილოთ კორონავირუსის თავიდან გავრცელება. ამ მიზნების გადასაჭრელად მიზანშეწონილია საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, იქნება ეს გადასახადების შემცირება თუ გადავადება, ზოგიერთ შემთხვევაში მოხსნაც კი, ასევე საბანკო სესხებზე ხელმისაწვდომობა. მეწარმეებისათვის პირდაპირი დახმარების (ფინანსური) გაწევის შემთხვევაში კი აუცილებელია პირდაპირი და არაპირდაპირი ბიზნესსუბიექტების ნუსხის გათვალისწინება, იქნება ეს სასტუმროები, ტურისტული ობიექტები, სატრანსპორტო საშუალებები, გიდები, ტუროპერატორები, ციფრული ტექნოლოგიის მიმწოდებლები, კვების ობიექტები და ა.შ.. ასევე საყურადღებოა, სწორად შეირჩეს ის ტურისტული დესტინაციები, სადაც ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების გზით, მაქსიმალურად იქნება შესაძლებელი ტურისტული ობიექტების გადატვირთვის აღმოფხვრა, რითაც მოხერხდება მისი ავთენტურობისა და გამტარუნარიონობის პრინციპის აღდგენა, მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა, რაც საშუალებას მოგვცემს, ზუსტად შესრულდეს სახელმწიფო სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოების დაცვის ნორმების რეკომენდაციები.

ადრე თუ გვიან, პანდემია დასრულდება და, რა თქმა უნდა, ეკონომიკა ისევ წინ წავა, როგორც სხვა შემთხვევებში, ახლაც ტურიზმი სწრაფად გამოვა იძულებითი „ძილიდან“. ოპტიმისტები ვარაუდობენ, რომ ეს 2020 წლის ბოლოსათვის მოხდება, პესიმისტების აზრით კი ეს მრავალ წელს მოითხოვს. თუმცა სრულიად გასაგებია, რომ ყველა ქვეყანამ კრიზისიდან გამოსვლის თავისი საკუთარი გზა უნდა მოიძიოს. პანდემიის დასრულების შემდეგ ტურისტული ბაზარი იმათ ხელში დარჩება, ვისაც ეყოფა ძალა, თავი შეინარჩუნოს და კრიზისიდან არათუ ნაკლები დანახარჯებით გამოვიდეს, არამედ კიდევაც გაძლიერდეს და ამას ყველაფერს მოახდნს გაძლიერებული უსაფრთხოების დაცვით.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Эксперт рассказал, когда туризм восстановится после...
ria.ru›20200320/1568874625.html
2. 5 эпидемий и пандемий, которые потрясли мировую экономику — Секрет фирмы secretmag.ru
3. Когда туристы снова смогут путешествовать и как будет ... www.interfax.ru › world
4. www.dsnews.ua › society › turizm-posle-pandemii-kakim-on-budet--...
Туризм после пандемии. Каким он будет?. Общественные ...
5.https://yandex.ru/turbo?text=https%3A%2F%2Fvz.ru%2Feconomy%2F2020%2F3%2F30%2F1031651.html …..Пандемия изменит отношение итальянцев к туризму
6. www.radiotavisupleba.ge › ...ტურიზმი და COVID 19 - რადიო თავისუფლება
7. ტურიზმი კორონავირუსისგან მიყენებულ ზარალს უკვე ...
for.ge *› view › turizmi-koronavirusis...*
8. В 2020 году иностранцы не смогут отдохнуть в Испании
dw.com›ru…2020-году-иностранцы-не-смогут…испании…
9. https://ka.wikipedia.org/wiki/
10. COVID-19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და ... - EPRC
eprc.ge › brosh › COVID__fin-geo

11. В Испании подсчитали убытки из-за... | Интерфакс-Туризм tourism.interfax.ru›Новости›articles/68886
12. Сектор туризма Франции потеряет 10 млрд евро за... news.myseldon.com›ru/news/index/226976630
13. Доходы Германии от туризма превысили 105... countryscanner.ru›news…germanii-ot-turizma…105…
14. https://nasha-germania.com/news/v-germanii-ubytki-turisticheskoj-otrasli-uzhe- sostavili-24-mlrd-evro
15. კორონავირუსის შესაძლო გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ... www.parliament.ge › downloadFile
16. ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა www.economy.ge › files › news › fi...

***Ketevan Kveladze***
***Medea Melashvili***
***Nunu Kistauri***

## THE MODERN CHALLENGES OF THE PANDEMIC TOURISM IN THE SECTOR AND WAYS TO SOLVE IT

**Summary**

Despite the successful development of one of the most important sectors of the economy - tourism in recent decades, the sector at the same time is quite dependent on disasters and risks of various diseases, e.g. such as pandemic threats. On March 11, 2020, the World Health Organization announced the release of a new coronavirus COVID-19 as a pandemic. In 4-5 months, more than 5,5 million people around the world became infected and more than 4,5 thousand died (these figures change daily in the face of a raging pandemic). The virus has spread to about 210 countries. The current pandemic has had a negative impact on the economic development of countries and has also paralyzed the entire world. It has affected all sectors of the economy. But the biggest blow it dealt to tourism was from the very first day of its visit. The paper discusses the economic shock that accompanies coronavirus, which is quite strange and at the same time has a negative impact on both the supply and demand side of the sector. All this has posed a serious challenge to the tourism sector: the sector has been paralyzed, jobs have been reduced, quarantine and so on. The article analyzed the state of the sector in the world and in Georgia in the context of pandemic and also some economic aspects of post pandemic period and the ways to solve them.

***Tamar Koblianidze***
***Tamar Tabidze***

## FUTURE TOURISM TRENDS AFTER POST – PANDEMIC PERIOD

***Annotation:*** *This article refers to current tourism challenges that bring together experts and tourism professionals with different provisions and suggestion by UNWTO. They assume it will cause a significant diversification of products and will promote some of the trendy types considering the new status quo. UNWTO anticipates, that several trends will gain a popularity as per their content and possibility to provide social distancing and safe health standards. Article presents Georgian tourism industry outline, how it responds to the existing challenges caused by pandemic. It also gives a brief analyse of foreign experience and local givens.*

***Key words:*** *Covid -19, Tourism, challenges, opportunities, UNTWO.*

### Introduction

International tourist arrivals (overnight visitors) reached 1,5 billion worldwide in recent years [ UNWTO: 2020:2], generating euro 1,7 trillion in receipts in destination, that is 3.1 % of GDP. Tourism today accounts for 10% of global Gross Domestic Product (GDP), 7% of world exports and one in ten jobs worldwide. With a rich cultural heritage and diversity, and comprising some of the largest destinations and main source markets in the world, Europe continues to stand as the most-visited region, welcoming half of the world's international tourist arrivals. Within Europe, the 28 countries of the European Union account for the bulk of the region's international arrivals, some 81% of Europe's total and 40% of the world's figure.

Tourism industry has been playing one of the major roles in Georgian economy in recent years. So the fear of traveling and closed borders has the most drastically consequences on tourism industry and not only now, but in the near future as well. Tourism is priority for Georgian economy and each year, generating 8.1 %. Sector was improving by means of operation performance, with the new airlines presented and couple of new directions from all three international airport of Georgia; Wizzair appearance converted the country to easily accessible destination for budget traveller and the marketing campaigns targeted to massive markets made Georgia come out to the tourism stage in many countries, it was followed by Rayan Air big deal for Georgian tourism, that was forecasting Georgian tourism growth in 2020 at least by 10 %. Another big success was Air France project, that made Georgia a demanded and quality destination in mind of many European travellers. It should be noted, that some international tourism holdings also decided to

invest in the country. One of the successful projects was "Magic Travels" international holding expansion to Georgian territory, when they decided to open their local office in Tbilisi in 2019. This is an international holding with more than 35 years' experience and owning already 6 offices in different countries of the world. It has representative entities as well in 10 different countries apart from the offices, that facilitates a significant stream of travellers towards all its destinations. The holding is a member of different luxury organizations and MICE associations, so this project enabled Georgia to be present among luxury associations. Nowadays company is serving around 60 000 clients all over the world and has many ambitious plans for Georgian tourism.

***Chart 1***




**Source:** Chart is presented by the authors based on the following data: https://gnta.ge/statistics/; https://www.e-unwto.org/doi/pdf/10.18111/9789284421152

Tourism being at the frontline of combatting virus has been facing serious problems. Georgia tourism and hospitality industry has been having serious challenges similar to the rest of the world.

Corona Virus sustained the world movement and all tourism related units are facing serious problems actually. Coronavirus has grown into the world pandemic. Countries are being implementing extreme measures in order to combat the enemy, to adapt to the existing reality, business sector is practically paralyzed, reports and researches conducted by international organizations have different provisions about the future of the economy. Asian Development bank [EPRC: 2020:2] presented different stages stating the loss of the economy from 77$ billion to 347$ billion. While UNICEF provides recent analyses, that forecast world economy growth only by 2.5 %.

With tourism among the hardest-hit of all sectors, UNWTO [COVID 19 RELEASE:2020] has identified several possible scenarios for the months ahead. Depending on when restrictions on travel are lifted, international tourist arrivals could decline by 60-80% in 2020**.** This could translate into a decline in export revenues from tourism of between US$910 billion to US$1.2 trillion and place 100-120 million jobs directly at risk. The social ripple effect is also feared to be at least equally challenging for many societies the world over. Organization for Security and Co-operation in Europe publishes a report that estimate World economy growth only by 2.4% in difference with 2.9 %, that was estimated before.

Now it is a mission of tourism professionals and movement authorities to find the best solutions to reinstate economy and to evaluate what could be the most relevant proposals to benefit as much counterparts as possible including environment, local communities, economic diversifications and decentralization, health travel and private sector involved in the industry.

* * *

Thus, it is crucially important, that the sector adapt the feasible situation: 1) it could be the government intervention to easier business running process and give subsidies for tax payments and obtaining credits with reasonable conditions. 2) But apart from it, it is crucially important to maintain the positive trek with the world, 3) to transmit messages what could be a future for Georgia tourism and 4) what is the most important to step up with the new challenges and increasing trends.

Sector needs to:

- Survive and has a possibility of cash flow till the active tourism is reinstated;
- To have a global vision, obtain global education;
- To work as one unit, to make sure a close cooperation between different service providers as one voice;
- To take successful examples of the experienced tourism countries;
- To follow the suggestions of UNWTO and global experts and try to implement/strengthen the trends, that would become demanding post virus period.

It is estimated that, the traveller need nowadays being close with the nature, calm and relaxing travel, eco and natural products [Piranashvil M. Koblianidze T Meladze M:2018] …. What they could be seeking in Georgia are our precious mountains, pure rivers, local communities with storytelling, culinary, wine, traditions… To get emotions. So

the local story telling art should reach the world audience via international marketing channels, government authorities, ambassadors, tour operators and all involved in tourism industry.

As per TrekkSoft conducted researches about tourism trends, even high-end hotels are hiring in-house specialists to provide guests with out-of-this-world personalized experiences. Guides and operators added 30,000 new experiences to TripAdvisor last year, increasing the number of available experiences, tours, and attractions by 50%. Expedia Group generated of half-a-billion dollars in bookings in full-year 2017 across its things to Do and Local Expert businesses. [Kutschera S.:2019:9:12:18]

Sustained growth in tourism has been instrumental in supporting the economic recovery, UNWTO have adopted the 2030 Agenda for Sustainable Development, along with the Sustainable Development Goals (SDGs). The bold agenda sets out a global framework to end extreme poverty, fight inequality and injustice, and fix climate change until 2030. . [Agenda 2030]

Building on the historic Millennium Development Goals (MDGs), the ambitious set of 17 Sustainable Development Goals and 169 associated targets is people-centred, transformative, universal and integrated: *"a*lliances for action: one product. one chef. one origin". [Connecting farmers to Chef and consumers]

Multiple rural and agro tourism conferences are held through the world to bring together ethically responsible chefs, farmers, local entrepreneurs and influencers as catalysts to bond the gap between local communities and clients. UNWTO overall objective of the above project is to work with farmers and micro-entrepreneurs in developing countries and to connect them with top chefs, buyers, consumers and influencers alike in the food and tourism industries to generate value-added markets using native ingredients. This will be done through an innovative, inclusive and responsible business model that ensures quality, promotes the uniqueness of healthy food products, and generates inclusive impact and better income generation opportunities for farmers. Gastronomy tourism continues to be a top election for both national and international travellers. It is no more a trend but a robust tourism product.

Again by TrekkSoft Travel trends – "Travellers are opting to purchase experiences over things. Skift Research's 2018 U.S. Affluent traveller Survey 'found that 67% of affluent travellers would rather spend their money on activities than on a nicer hotel, up 8% from last year.' Choosing experiences is a travel trend that is shown across all generations and demographics "(Travel Trends, Kutschera S: 9)

According to this research each year what is appreciated and demanded by potential tourists are:

- A request for unique experiences
- Ecological tours
- Local experiences
- More aventure

The same recommendations were given to Georgian tourism industry units by International Institute of Gastronomy, Culture, Arts and Tourism [Dealing with Covid 19] and in case we can follow all that we can involve many vulnerable entities in the process, so that everybody can have reasonable and fast economic benefit from this process.

UNWTO named four main trends, that would be the most popular in 2020 and 2021 by its content and social correlations with the ambience [The Impact of Covid – 19 on Tourism, Wine Tourism post Covid]:

- **Sustainable tourism including wine tourism, agro tourism, eco-tourism and rural tourism**
- **Self – drive tours**
- **VIP luxury private travel**
- **Wellness and relaxation tourism.**

The last three types of business are related to possible social distancing, having least contact with other people and trying to get emotions and organize vacations with great autonomy. While the first field is more related to emotional and psychological conditions of many people, that have been sitting in quarantine for several months and overestimating all values and priorities of life.

Assuming above mentioned data and recommendations we decided to conduct a brief research pre virus situation of Georgian tourism industry, which recommended fields were existing and what could be new opportunities for our economy and well-being of our citizens.

Georgia having rich cultural and historical background in harmonious mixture of the authentic nature and gastronomic experiences, having significantly important number of populations in rural areas has a rich potential to develop all above mentioned trendy directions.

Agritourist is a growing international trend to reconnect with what matters in life and is linked to activities and attractions on a working farm. This includes many activities, for example: milking cows, shearing wool, picking fruit, harvesting crops, using agricultural implements, wine making, tasting cheese and the list goes on, all these experiences and activities offers farmers the opportunity to earn additional revenue with existing resources. Different countries are can share best practices to Georgia like Australia or Sauth Africa.

The major driven field is Sustainable tourism with the main livestream - wine tourism. It could foster the growth of Georgian tourism industry and in general Georgian economy as the sector is well presented and includes complex activities and business directions.

Wine tourism involves close cooperation between of the two sectors - tourism and viticulture. It is a part of agrotourism and a collateral activity to wine industry which lead to regional development. Georgia is a Cradle of Wine with great historical past and rich cultural traditions. GNTA of Georgia since 2012 has started project "Wine Route" which is opportunity for rural development. From that time till 2020 around 211 members have been incorporated, 122 of

them from Kakheti region, that is considered as the core region of wine making and wine tourism in Georgia [Wine Routes].

Wine, agro and rural tourism are considered through the world as a very strong tool to develop agriculture, national wine making and rural traditions. Being cultivating wine for more than 8000 years Georgia is a country, it has all the possibility to become top listed tourism destinations in this assert.

It should be noted, that this is a complex structure unifying different segments like Wine Chateau's, Wine hotels, Wine resorts and wine museums, that are quite well implemented in Georgia. The sector has had a steady growth in recent years bringing together wine producing, exporting and tourist visits in the wineries with diverse activities, like wine tasting, grape harvest, culinary masterclasses, overnight in Chateaus and some of them are even converted to wellness resorts and offer a great deal of therapies and well-being activities.

An organization "winesgeorgia" unifies around 210 wine makers to facilitate their contact with the rest of the world and gives a vast information about their production. As per our research conducted about wineries:

- ✓ 58 % of the economic units are relatively young, being in sector for around 5 years;
- ✓ 89 % of them are having small scale wine cellars;
- ✓ 93 % of them are in rural areas;
- ✓ 78 % of them are incorporated in project "Wine route";
- ✓ 45% of them are generating current or temporary jobs for around 20 employees;
- ✓ 57 % of them are producing "Kvevri" wine.

When it comes to complex infrastructure new chateaus and wine resorts are being opened and expanded each year. Some of the historical venues include "Schuchmann Wines Chateau & Spa", "Hotel Chateau Mosmieri", "Babaneuris Marani" some new venues are "Akhasheni Wine Resort", "Chateau Zegaani", "Resort Vazisubani Estate", all it shows an increasing demand and interest of the segment. This complex is having different activities and can be included in wine tourism listing as well wellness resorts.

Georgia can take very good experience in this field from Germany, where rural, agro and resort complex are having history of several decades and are creating very good and competitive products. "Urlaub am Bauernhof" - www.landtourismus.de, this site offers around 1950 lists in Germany. They have very well developed farmhouses and farm stays. The concept behind agritourist (or farm stays, or guest ranches, or farmhouse B&Bs, or rural tourism, or whatever you want to call it) is simple: you spend the night as a guest on a working farm. From there, though, the concept flies off in many directions. You can breathe a fresh air, you eat eco and natural products, you can participate yourself in farm operations, assist diverse masterclasses, help the farmers in everyday duties, these experiences can be implemented in Georgian small entities as now majority of the agritourist foundations are targeted to short visits, only few of them are offering overnight and they have relatively less interaction. Mostly it is observation what and how is done, instead of participating in farm running operations. The same good practices we can have from France, Israel, USA, Italy, that is one of the leaders in this regard, and even very useful tips from post-Soviet countries like Lithuania and Belarus.

Based on the information of TrekkSoft, Travel Trends wellness travel was doubled on booking.com in recent years and walking tours, hiking sustainable trips had a significant increase.

Wellness and Resort hotels are all over Georgia offering diverse type of accommodation from 5* international brand hotel to local 3* modest hotels and even home stays. They are different by the location and content varied from Black Sea coastal hotels ("Paragraph Resort & Spa Shekvetili, Autograph Collection", "Georgia Palace and Spa"," Castello Mare Hotel and Wellness Resort"), followed by many another resorts like Tskaltubo, Bakhmaro, Borjomi ("Borjomi Likani", "Borjomi Palace", "Crown Plaza"), Bakuriani, different resort hotels in Kakheti region like "Royal Batoni", "Kvareli Eden", "Kvareli Kale Resort", "Lopota Lake Resort" …. The services and treatments offered are varied and mostly meets the demands of the travellers. It should be noted, that this type of tourism is generating quite a high amount of financial resources and average vacation in these resorts varies from 500 to 1500 USD per person.

It is important to consider, that many of the venues were converted to quarantine zones to prevent corona virus expansion in Georgia and isolate thousands of citizens arriving from different worldwide destinations. So these venues have adopted already international sanitary standards and their employees have got all necessary skills how to maintain the social isolation and give a quality service to the guests. These experiences would be vital, for post - corona period, so that sector has fast growing possibility and attract international audience. It is also assumed, that around 2 million GEL that was spent by Georgia citizens for their holidays abroad could be turned to domestic tourism, as majority of our citizens will try to avoid travelling abroad and the main activity will be relaxing vacations and wellness in Georgia resort hotels. Together with wellness possibilities we should highlight also Medical tourism potential of the country with its natural potential, favourable pricing policy and easy procedures to enter country and spend several months here. However, Medical tourism will be facing challenges for its steady development including:

- Only small part of the resorts is well rehabilitated from Soviet period and do not meet international standards;
- Lack of necessary equipment to offers diverse treatment procedures;
- Hospital sector does not have commercial interest in medical tourism to encourage it and invest in the field.

When it comes to VIP and Luxury tours, Georgia has quite limited possibility, but still can meet the demand for short stay travellers (3-5 nights) with its collection hotels ("Radisson Tsinandali Collection"), local modern style brands like "Stamba hotel", "Rooms hotels" …. Private helicopter rides ("Vanilla Sky" and "Aviator Helicopter"), premium restaurants like "Barbarestan", "Ethnography", "Republic". Premium wineries like "Guramishvili Winery" and "Cha-

teau Mukhrani" are more than happy to welcome guests. Our guests can enjoy private visits of museum collections, Opera House, enamel workshop, "Sky Travel Air Balloon" and some other activities.

For self-drive tours, one of the handicap is the language as majority of elder people in the rural areas do not speak English, however the Georgian hospitality enables the local people to understand the demands and preferences of the solo travellers and even make friends with them. Road conditions are quite good, and majority of the roads are traced in Google maps and guests can also move by GPS. This sector also is helping to develop rural and sustainable tourism, as this kind of traveller mostly are looking for the close contact with local communities.

Proving the potential hereby, we present GNTA statistics the activity types for 2019 travellers were the following for incoming tourism:

***Chart 2***




**Source:** https://gnta.ge/statistics/

We also made research of other Georgian tourist companies to see (from their web-sites and social media sources) how they can meet with the existing and increasing demand, whether all those trendy types are presented in their production and if there's a product diversity.

We studied products of 37 Georgian tourism companies. All of them are offering completely or partially sustainable tourism activities, majority of them have only wine and culinary tours, but some even propose agro and rural tourism products.

30 leading Companies are offering at least one product for wine tour, and 15 of them are offering sustainable tours including the whole range as rural, agro, eco-tourism together with wine and culinary experiences; 15 companies are offering self-drive tours proposals; Only 5 companies are offering VIP and luxury travel experiences; As for Wellness and relaxing activities 14 companies are having information about the venues. If we assume, that these are the leading companies with the most diverse offers, we can accept, that the rest 500 companies, that are working on incoming sector would have as maximum as one offer among the four trendy.

Small analyses were conducted based on the data of "Magic Roads Georgia" incoming tour operator about the correlation of demands for the above mentioned trendy directions:

**Chart 3**




**Source:** "Magic Roads Georgia LLC"

To conclude our estimation, being confined in mandatory isolation does different things to different people, but we all surf the same emotions of reflecting, reassessing and anticipating life on the other side. The density of heritage

sites, wine cellars, natural resources, cultural attractions and the geographic location of the region provides significant potential for the development, but fulfilment of our dreams related to travel and to get back Georgia to its' steady growth largely depends on the improvement of the epidemic situation in the country and in the whole world, also how we can cope with sanitary standards and secure safe travelling. Because Georgia has a huge national potential with all attractive stories, traditions, pure nature and untouched rural lifestyle, we can open to the whole all diverse possibilities without building from zero privileged directions and we can be one step forward in comparison with other countries. The judgment is proved by Forbes, that names Georgia among the 7 most potential destinations to become major tourism destination [Ranahan J :2020].

For the entire process of sustainable development and recovery should be involved an extensive consultation process and in-depth dialogue with a wide range of organizations and individuals from national and local governments, tour operators, investors, protected areas and heritage site managers, hotel owners, tourism educators, and citizens representing all walks of life, taken into consideration International experiences and best practices.

Georgian government announced [Tourism revival plan:2020] concession projects already at the beginning of March, but on May 7 they presented tourism stimulus project, providing a three stage plan and plenty of concession decisions among them to exempt tourism industry from property tax; to report withholding tax payment till the end of the year; to guarantee and cautioner loan interest for around 2000 hotels (having between 4 and 50 rooms). According to this plan, hotels will be open on June 15 for domestic tourism and Georgia will open borders for international travellers from July 1. Domestic tourism can benefit a lot this year to the devastated Georgian economy. One of the initiatives was also founding Georgian tourism alliance, ministering to combat crisis with joint force and steady recovery of the field. It will be targeted also to the sector development.

To conclude briefly, if we can implement a Georgia tourism strategy, that was projected several years ago and strives to achieve eight strategic objectives: 1) respect, enhance, and protect Georgia's natural and cultural heritage, 2) create unique and authentic visitor experiences centred on those natural and cultural assets, 3) enhance competitiveness, through delivery of world-class visitor services, 4) attract higher spending markets, through increased and more effective marketing and promotion, 5) expand and enhance Georgia's ability to collect and analyse tourism data and measure industry performance, 6) expand public and private sector investment in the tourism sector, 7) enhance the business environment, to facilitate increased foreign and domestic investment, and 8) build partnerships between government, industry, non-governmental organizations, and communities that will be needed to achieve all of the above we can increase visitor spending, several opportunities can be exploited – including the development of more diversified and high-quality tourism products, enhancing visitor experiences and improving service quality – ultimately creating a world-class tourism destination that stimulates international demand beyond Georgia's neighbouring countries, Georgia could become one of the top listed world tourism destinations by its quality and product diversity very fast.

## Conclusions

Tourism industry has been playing one of the major roles in world economy, as well for Georgia in recent years. Corona virus hit significantly the sector. The world is facing an unprecedented global health, social and economic emergency due to the COVID- 19 pandemic. It is crucially important, that the sector adapt the feasible situation. Current tourism challenges that bring together experts and tourism professionals offer different provisions together with UNWTO. They assume it will cause a significant diversification of products and will promote some of the trendy types considering the new status quo. several trends will gain a popularity as per their content and possibility to provide social distancing and safe health standards.

We saw, that all above mentioned privileged anticipated activities have a rich potential in Georgia.

Georgia can offer diverse experience and emotions including:

- Cultural: visiting historical, architectural and religious sites;
- Wine: visiting wine-related sites including wineries, family-run wine cellars and related cultural attractions; rural farms and boutique Chateaus;
- Adventure: visiting national parks and Great Caucasus mountains
- Holiday, recreation, and leisure: weekends tour.

The government intervention by means of concession offers, taxation subsidies and helping the sector to work out the necessary guidelines is also very important to overcome challenges and accelerate economic development of Georgia.

## References

1. International Tourism highlights, UNWTO, https://www.e-unwto.org/doi/pdf/10.18111/9789284421152 –Last visited on June 5
2. Economic Impact of Covid – 19: The World and Georgia; (EPRC) Economic Policy Research Centre, http://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-eng-02.pdf, Page 2, – Last visited on May 20.
3. UNWTO releases a covid-19 technical assistance package for tourism recovery, May 12- https://www.unwto.org/news/unwto-releases-a-covid-19-technical-assistance-package-for-tourism-recovery – Last visited on May 13

4. Piranashvil M. Koblianidze T Meladze M the Peculiarities of International Tourism Business in Context of Sustainable Development. 8th EURASIAN MULTIDISCIPLINARY FORUM, EMF 2018. 6-7 September, Tbilisi, Georgia
5. TrekkSoft, Travel Trends, 65 Travel statistics to know in 2018-2019, Compiled by Stephanie Kutschera, designed by Barbra Silva, Pages 9,12, 18 – Last visited on May 23
6. Tourism in the 2030 Agenda; World Tourism Organization, https://www.unwto.org/tourism-in-2030-agenda – Last visited on May 24
7. Connecting farmers to Chef and consumers, World Tourism Organization; https://www.unwto.org/alliances-for-action-one-product-one-chef-one-origin – Last visited on May 13
8. Dealing with Covid – 19, (IGCAT), International Institute of Gastronomy, Culture, Arts and Tourism; http://culturalroutes.gov.ge/files/2020_ing.aspx – Last visited on May 14
9. The Impact of Covid – 19 on Tourism; https://www.unwto.org/events/quo-vadis-tourism-unwto-the-impact-of-covid-19-on-tourism, April 27, Attended on April 27
10. Wine Tourism Post Covid – 19; https://www.unwto.org/events/wine-tourism-post-covid-19, May 20, Attended on May 20
11. Wine Routes, Cultural Routes of Georgia; http://culturalroutes.gov.ge/Routes/saqartvelos-kulturuli-marshrutebi/KAKHETI-WINE-TOUR.aspx?lang=en-US
12. Wines Georgia; https://www.winesgeorgia.com/site/winery-directory – Last visited on May 23
13. https://www.forbes.com/sites/jaredranahan/2020/05/30/best-tourist-destinations-after-coronavirus/#d604a3b5bddd - Last visited on June 4
14. Natia Turnava Introduced Tourism Revival Anti-Crisis Plan http://www.economy.ge/uploads/files/2017/news/2020/final_tourism_presentation.pdf – Last visited May 17

*გივი ყუფარაძე*

## Covid 19 და უკეთესი სიკვდილი

***ანოტაცია.*** *ახლა ბევრი ლაპარაკია იმაზე, რომ Covid 19-ის პანდემიის შემდეგ ჩვენი სამყარო ვეღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო. თუმცა რა შეიცვლება, ამაზე ბევრს არაფერს ამბობენ. ჩემი აზრით, რაც შეიცვლება აუცილებლად - ესაა სიკვდილთან ჩვენი დამოკიდებულება.*

*უკვე ჩანს, რომ პანდემია მოახდენს სიკვდილთან დაკავშირებული ყველა ასპექტის რადიკალურ გადაფასებას. ეს ეხება უშუალოდ სიკვდილის პროცესს, გლოვას, დასაფლავებას და ა.შ.*

*დღეს ველნეს ინდუსტრიაში დიდი ფულია. 2017 წლის მონაცემებით, 4,2 ტრილიონ დოლარზე მეტი. უფრო მეტი, ვიდრე ფარმაცევტულ ბიზნესში. აი, სწორედ ამ ფულის მიღებისთვისაა საჭირო ის, რომ თავი დავაღწიოთ სიკვდილის შიშებს...“რადგან, გარკვეულწილად, ამით ადამიანები იმშვიდებენ თავს, რომ სწორი კვების რეჟიმითა და ფიზიკური ვარჯიშებით ისინი შეძლებენ ყოველთვის დარჩნენ ახალგაზრდები ან ... მუდამ ცოცხლები“ (Global Wellness Summit. 2019 Global Wellness Trends Report. P. 93)*

*ამ ფონზე, ჯერ კიდევ Covid 19-ის პანდემიამდე იზრდებოდა ის, რასაც უწოდებენ „სიკვდილთან პოზიტიური დამოკიდებულების“ მოძრაობას, რაც ნიშნავს სიკვდილის პროცესსა და გარდაცვალებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ასპექტის გადაფასებას - მისი განცდის საუკეთესო საშუალებებით დაწყებული, დამთავრებული გლოვისა და დაკრძალვის ახალი რიტუალების გამოგონებით, რათა ადამიანებმა აქტიურად შეისწავლონ სიკვდილი და სიკვდილის სულიერად განსხვავებული კულტურული ტრადიციები - როგორც ნებისმიერი, მენტალურად „ჯანსაღი ცხოვრების“ ნაწილი.“ ეჭვი არაა, რომ Covid 19-ის პანდემია ამ ტენდენციას კიდევ უფრო გააძლიერებს.*

*საქართველო მდიდარია ავთენტური სამგლოვიარო ტრადიციებით, რომელთა შესახებ ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ ყველა იმ პლატფორმას, ბლოგს, პოდკასტსა და YouTube-ის არხს, რომლებიც მართავენ საუბრებს სიკვდილის შესახებ. გავაგებინოთ მათ ჩვენი ამ წეს-ჩვეულებების შესახებ, რითიც დავეხმარებით უცხოელებსაც და ქართველებსაც, რათა სიკვდილი რამენაირად უკეთესი გავხადოთ, რადგან სხვანაირად ვერ გვექნება პრეტენზია ცხოვრების ჯანსაღ წესზე.*

„ყველა ადამიანი მოკვდავია, სოკრატე ადამიანია, მაშასადამე, სოკრატეც მოკვდავია. დღეს სოკრატე არის ნებისმიერი ჩვენგანი, მაგრამ, როდესაც საზოგადოებრივი იდეალი არის წარმატება, კარიერა და ასეთი რაღაცეები, თითოეული ადამიანის ცხოვრებაში სიკვდილი შემოდის ძალიან მოულოდნელად და, გარკვეული აზრით, სიკვდილი ისეც გაიგება, როგორც წარუმატებელი კარიერული სვლა. როდესაც მთელი მოსახლეობა, სამყაროს დიდი ნაწილი დგება მომაკვდინებელი განსაცდელის წინაშე, ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმას, რომ ადამიანის ბოლოც დადგება, რომ ყველა ადამიანი მოკვდავია. ყველა

ტრადიციულმა რელიგიამ და ყველა ტრადიციულმა საზოგადოებამ ეს ჭეშმარიტება იცის, მაგრამ თანამედროვე მატერიალიზმზე ორიენტირებული სამყარო რაც უფრო ძლიერი აღმოჩნდა ტექნოლოგიურად, მით უფრო სუსტი აღმოჩნდა ფსიქოლოგიურად“ (ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი).

ახლა ბევრი ლაპარაკია იმაზე, რომ Covid 19-ის პანდემიის შემდეგ ჩვენი სამყარო ვეღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო. თუმცა რა შეიცვლება, ამაზე ბევრს არაფერს ამბობენ. ჩემი აზრით, რაც შეიცვლება აუცილებლად - ესაა სიკვდილთან ჩვენი დამოკიდებულება.

უკვე ჩანს, რომ პანდემია მოახდენს სიკვდილთან დაკავშირებული ყველა ასპექტის რადიკალურ გადაფასებას. ეს ეხება უშუალოდ სიკვდილის პროცესს, გლოვას, დასაფლავებას და ა. შ.

ადამიანებს ეშინიათ სიკვდილისა და უმეტესობა არჩევს, საერთოდ არ იფიქროს მასზე, სამწუხაროდ, ეს სიკვდილს ვერ აგვაცილებს. ბრძნულია ქართული გამოთქმა: „ყველანი სიკვდილის შვილები ვართ.“

„მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ყოველ ერთ წუთში კვდება 100 ადამიანი, სიკვდილის აქტი არის ზედმეტად სტერილიზებული, დაფარული, მარტოხელა და საშიში“ (Global Wellness Summit. 2019 Global Wellness Trends Report. P. 93).

დღეს ველნეს ინდუსტრიაში დიდი ფულია. 2017 წლის მონაცემებით 4,2 ტრილიონ დოლარზე მეტი (Global Wellness Institute, Global Wellness Tourism Economy, November 2018) უფრო მეტი, ვიდრე ფარმაცევტულ ბიზნესში. აი, სწორედ ამ ფულის მიღებისთვისაა საჭირო ის, რომ თავი დავაღწიოთ სიკვდილის შიშებს...“რადგან, გარკვეულწილად, ამით ადამიანები იმშვიდებენ თავს, რომ სწორი კვების რეჟიმითა და ფიზიკური ვარჯიშებით ისინი შეძლებენ ყოველთვის დარჩნენ ახალგაზრდები ან ... მუდამ ცოცხლები“ (Global Wellness Summit. 2019 Global Wellness Trends Report. P. 93).

2018 წელს გამოქვეყნდა უჯრედული ბიოლოგის ბარბარა ერენრეიხის (Barbara Ehrenreich) პროვოკაციული და სამართლიანი წიგნი „ბუნებრივი მიზეზები: ველნესის ეპიდემია, სიკვდილის გარდაუვალობა და თავის მოკვლა დიდხანს სიცოცხლისათვის.“ ამ წიგნში ის ამტკიცებს, რომ არსებობს თანამედროვე ცხოვრების განმსაზღვრელი ორი ფაქტორი: “მუდმივად მედიკალიზებული არსებობა (გაუთავებელი გამოკვლევები და ა. შ.) და კომერციალიზებული ველნესი, რომელიც ჯანმრთელობას უთანაბრებს სათნოებას, სიკეთეს და განაპირობებს იმას, რომ ჩვენ რადიკალურად მოუმზადებლები ვხვდებით სიბერესა და სიკვდილს...რაც თითქოს განიხილება რაღაც არასაჭირო ბოროტებად ან პირად უიღბლობად“ (Barbara Ehrenreich. Natural Causes: An Epidemic of Wellness, the Certainty of Dying, and Killing Ourselves to Live Longer. 2018)

შედეგი კი, ხედავთ, დადგა აბსოლუტურად სხვა. მედიცინა აკეთებს ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, მაგრამ შემდეგ სიცოცხლე მაინც მთავრდება.

იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, აშშ და ჯერ კიდევ ბოლო სად არის, არავინ იცის. ეს პანდემია აუცილებლად შეცვლის ადამიანების დამოკიდებულებას სიკვდილისადმი და ეს უკვე ნათელია. ამიტომ ჩვენც დავიწყოთ ამ საკითხზე ფიქრი და კვლევა, როგორ გავხადოთ სიკვდილი უკეთესი. „უკეთესი სიკვდილი“ უნდა გახდეს „კარგი ცხოვრების“ იდეის, ანუ ველნესის განუყოფელი ნაწილი.

დღეს „იზრდება ის, რასაც უწოდებენ „სიკვდილთან პოზიტიური დამოკიდებულების“ მოძრაობას, რაც ნიშნავს სიკვდილის პროცესთან და გარდაცვალებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ასპექტის გადაფასებას - მისი განცდის საუკეთესო საშუალებებით დაწყებული, დამთავრებული გლოვისა და დაკრძალვის ახალი რიტუალების გამოგონებით, რათა ადამიანებმა აქტიურად შეისწავლონ სიკვდილი და სიკვდილის სულიერად განსხვავებული კულტურული ტრადიციები - როგორც ნებისმიერი, მენტალურად „ჯანსაღი ცხოვრების“ ნაწილი“ (Global Wellness Summit. 2019 Global Wellness Trends Report. P. 93)

რამდენიმე მომენტზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას.

„თუკი XX საუკუნის დასაწყისამდე ადამიანები კვდებოდნენ სახლში, ადამიანების გარემოცვაში, მას შემდეგ დასავლეთის მედიცინამ ის გადააქცია საავადმყოფოში ან მარტოხელათა თავშესაფარში მომხდარ ცივ, კლინიკურ შემთხვევად. გარდა ამისა, დამკრძალავმა ინდუსტრიამ შთანთქა ჩვენი მიცვალებულების მოვლა და ოფიციალური რელიგიის დაცემის შედეგად დაიკარგა მკურნალობის ხალხური რიტუალები“ (Global Wellness Summit. 2019 Global Wellness Trends Report. P. 93).

Beth McGroarty თავის სტატიაში „კარგად სიკვდილი“ (Dying Well) წერს, რომ ბოლო პერიოდში ადამიანებში ხდება გადაფასება იმასა, თუ როგორ უნდა იზრუნონ მათ ახლობლებზე სიცოცხლის ბოლოს. პრაქტიკაში შემოდის ახალი პროფესია - სიკვდილის დულები, ანუ სიკვდილის მომვლელები ან სიკვდილში დამხმარეები (the death doula), სპეციალურად განსწავლული ადამიანი, რომელიც ავსებს ნაპრალს მედიცინასა და ჰოსპის, ოჯახსა და შიშს შორის. იცვლება დაკრძალვის რიტუალებიც. ისეთ

რადიკალურ ექსპერიმენტებამდეც კი, როგორიცაა მაგალითად, ეკოლოგიურად სუფთა დასაფლავებები, რომელთა მეშვეობით მიცვალებულს თითქოს „გადაგვრგავენ“ (“replant”) ბუნებაში (Global Wellness Summit. 2019 Global Wellness Trends Report).

Beth McGroarty აღნიშნავს, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი აკეთებს ამას თვითონ, სიკვდილის დულების გარეშე, მათ შორის გლობალ ველნეს ინსტიტუტშიც. როგორც ნენსი დევისმა, GWS (Global Wellness Summit) -ის მთავარმა კრეატიულმა ხელმძღვანელმა და აღმასრულებელმა დირექტორმა, გვიამბო დედის გარდაცვალების მხარდასაჭერად საკუთარი ბოლო გამოცდილების შესახებ: ”არ ვიცოდი ამის შესახებ და ამიტომ მე თვითონ ვიყავი დედის სიკვდილის დულა. თუ ვინმე გიყვართ და გინდათ, რომ სიცოცხლის ბოლოს დაეხმაროთ, და თუ ეს ადამიანი გონებაზეა და აკონტროლებს საკუთარ მონათხრობს, მაშინ ეს ღრმად პოზიტიური გამოცდილებაა. ვიგრძენი, რომ დედაჩემის სიცოცხლის დასასრული იყო მისი გამოსამშვიდობებელი საჩუქარი - ბოლო გაკვეთილი სიყვარულისა, პატივისცემისა და სიმამაცისა. მე მოველაპარაკე ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ვიზიტების შესახებ; დავაგზავნე ელექტრონული წერილები, ტექსტები და ორგანიზება გავუკეთე ვიდეო ჩეთებს შორს მყოფ ძვირფას ადამიანებთან; ამ დროს მე ვასრულებდი მწერლის ფუნქციას დედაჩემის სურვილების შესაბამისად; დავეხმარე ძვირფასი ნივთების კლასიფიცირებაში, თავმოყრასა და განაწილებაში, ასევე იმის დაგეგმვაში, თუ ვის რა უნდა მიეღო; და მეძინა მასთან ჰოსპისის ერთ ოთახში. ჰოსპისი კიდევ ერთი შესანიშნავი საჩუქარი იყო - მზრუნველი, მსუბუქი და მოსიყვარულე ატმოსფერო, სადაც დედაჩემი მშვიდად გრძნობდა თავს. დედაჩემს ვკითხე, გირჩევნია თუ არა სახლში სიკვდილი (სახლში ჰოსპისის მოწყობა), რაზეც მან მიპასუხა: „არა! ეს მეზობლებისთვის უსიამოვნო მომენტია.” ის, რომ ვიყავი ასეთი აქტიური და ვესწრებოდი მის სიცოცხლის დასასრულის აქტს, ჩემთვის იყო ძალიან ღრმა და ამაღელვებელი გამოცდილება” (Global Wellness Summit, 2019 Global Wellness Trends Report, pp. 98-99).

ეს ისტორია ახალია, ხოლო ჩვენთან, საქართველოში ასეთი შემთხვევები უკვე დიდიხანია ხდება. მახსოვს ბებიაჩემი გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენთან ოჯახში გარდაიცვალა. ეს საოცარი დღე იყო, როდესაც 84 წლის მომაკვდავი ქალი ჩვენი, ოჯახის წევრების გამხნევებას ცდილობდა. გიტარაც კი მოითხოვა, უნდა ვიმღეროო. ვერ შეძლო, ქოშინი დაეწყო. რატომ წვალობ-მეთქი, რომ ვკითხე, ისე ჩამოგტირით სახეები, ისეთი სევდიანები ხართ, შემეცოდეთო. წარმოგიდგენიათ? საერთოდ არ ეშინოდა სიკვდილის და ბოლო წუთებშიც შვილზე და შვილიშვილებზე დარდობდა. უამრავი რამ დაგვიბარა, ვისთვის უნდა შეგვეტყობინებინა მისი გარდაცვალების შესახებ, ავეჯი როგორ გადაგვეადგილებინა და სხვა ათასი დეტალი, რომლებიც გასვენებას, ქელეხს, რიტუალების ფინანსურ უზრუნველყოფას ეხებოდა. ჩვენც მთელი ღამე სასთუმალთან ვეჯექით და ვეფერებოდით, ვამხნევებდით, სანამ დილით არ გარდაიცვალა.

ეს იყო 1987 წელი. იგივე განმეორდა 2010 წელს მამაჩემთან დაკავშირებით, ხოლო 2016 წელს დედაჩემი საავადმყოფოში, რეანიმაციაში მარტო გარდაიცვალა. სულ მაწუხებს ფიქრი იმის შესახებ, რომ მისთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ეს ყველაფერი სახლში რომ მომხდარიყო. რა შეიცვალა ამ წლებში? ქვეყანაში ამუშავდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და სახელმწიფო აფინანსებს რეანიმაციაში მკურნალობის ხარჯებს. ეს ხელს აძლევს კლინიკებს, ასევე ახლობლებს, მაგრამ ამან სიკვდილი გახადა ცივი და მარტოხელა.

„მსოფლიოს ინტენსიური ურბანიზაცია (ჩვენში ამჟამად 50 პროცენტზე მეტი ცხოვრობს ქალაქებში) აღრმავებს ადამიანების გათიშულობას, გათითოკაცებას და მოხუცთა, ავადმყოფთა და მომაკვდავთა მარტოობას, ამიტომაც გაცილებით მეტი ადამიანი იღუპება სიმარტოვეში. დაბერებისაკენ მიდრეკილ იაპონიაში (სადაც ყოველი მეოთხე ადამიანი 65 წელზე მეტი ხნისაა), ეს სამწუხარო რეალობა იმდენად გავრცელებულია, რომ მას აქვს სახელი - "კოდოკუში", ანუ "მარტოხელა სიკვდილი" (სადაც მიცვალებულთა გვამებს კვირაობით ვერ პოულობენ). 2017 წელს პოპულარულმა იაპონურმა ჟურნალმა ატეხა განგაში იმის შესახებ, რომ ამ ქვეყანაში „კვირაში 4000 მარტოხელა ადამიანი კვდება“. იმის გამო, რომ ძალიან ბევრი ადამიანი უბედური და არაადამიანური სიკვდილით იღუპება, უკეთესი გზის ძიებამ მეტი აქტუალობა შეიძინა“ (Global Wellness Summit, 2019 Global Wellness Trends Report, p. 95).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ბიუროს ინფორმაციით, კონტინენტზე კორონავირუსით გარდაცვლილთა თითქმის ნახევარი მოხუცთა თავშესაფრებში მცხოვრებლები იყო. „ჩვენს ხელთ არსებული გათვლებით, ევროპის რეგიონში, იმ ადამიანების თითქმის ნახევარი, ვინც კორონავირუსით დაიღუპა, თავშესაფრებში ცხოვრობდა. ძალიან შემაშფოთებელი სურათია. ეს წარმოუდგენელი ადამიანური ტრაგედიაა“,-აღნიშნა ჯანმოს ევროპის ოფისის დირექტორმა, ჰანს კლიუგემ. (https://www.interpressnews.ge/ka/article/596450-janmo-evropis-kontinentze-koronavirusit-gardacvlilta-titkmis-naxevari-moxucta-tavshesaprebidan-iqo-es-carmoudgeneli-tragediaa/)

მართალია, საბედნიეროდ, საქართველოში ამდენი მარტოხელა მოხუცი არ არის, მაგრამ სიკვდილის უკეთესი გზების ძიებაში ჩვენც უნდა მივიღოთ აქტიური მონაწილეობა.

„მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაბადებული თაობიდან ყველაზე ძველი (დაბადებული 1946-1964) ამჟამად 70 წლის ფარგლებშია, და თუ ეს იყო ის თაობა, რომელმაც გადახედა დაბერებას და წამოიწყო ველნესის მოძრაობა, ახლა ისინი ასევე მზად არიან გადახედონ გარდაცვალების პროცესს, რადგან თვითონ გრძნობენ საკუთარი სიკვდილის მოახლოებას და მათთვის მნიშვნელოვანია, როგორი იქნება სიცოცხლის ბოლოს მომაკვდავის მოვლა, შემდეგ დაკრძალვა და სასაფლაო" (Global Wellness Summit, 2019, p. 95).

მეორე საკითხი არის გლოვისა და დაკრძალვის რიტუალები.

Covid 19-ის პანდემიამდეც კი მსოფლიოში უკვე აშკარა იყო ამ საკითხებისადმი შეცვლილი დამოკიდებულება და გაზრდილი ინტერესი. ზოგჯერ მიდგომები ზედმეტად რადიკალურიც კი იყო, მაგალითად, ეკოლოგიურად სუფთა დასაფლავებები, რომელთა მეშვეობით მიცვალებულს თითქოს „გადაგვრგავენ" ("replant") ბუნებაში. სამწუხაროდ, ზოგიერთ ქვეყანასა და ქალქში იმდენად დიდი იყო Covid 19-ისგან გამოწვეული მსხვერპლი, რომ ეკოლოგიური კი არა, ჩვეულებრივი, ტრადიციული დაკრძალვა გახდა სანატრელი. მაგალითად, იმის გამო, რომ ნიუ-იორკში კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა სიკვდილიანობამ რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია, ქალაქის მესვეურებმა კონტრაქტით დაიქირავეს მუშები და კუნძულ ჰარტზე (Hart) საერთო სასფლაოზე დაიწყეს იმ ადამიანთა დაკრძალვა, რომელთა ნათესავებსაც არ ჰქონდათ თავიანთი მიცვალებულების ტრადიციული დასაფლავების საშუალება.

ბოლო წლებში "ადგილი აქვს სიკვდილის კაფეების (death cafes) რიცხვის გლობალურ ზრდას, სადაც ადამიანები უბრალოდ საუბრობენ სიკვდილის თემაზე. სულ უფრო მეტი ადამიანი იკვლევს მთელი მსოფლიოს მასშტაბით სიკვდილის ალტერნატიულ სიბრძნესა და პრაქტიკას სხვადასხვა კულტურაში, იქნება ეს სიკვდილის მართვადი მედიტაციები ძენის ბუდისტურ ცენტრში, თუ ძველი სტოიკების (სტოიციზმის მიმდევრების) მიერ სიკვდილის მიღების მეთოდების შესწავლა და სხვა. ზოგიერთი ადამიანი სპეციალურად მოგზაურობს რათა შეხვდნენ ისეთ უზრუნველსა და მშვიდ სიკვდილს, რომლისკენაც ისწრაფვიან" (Global Wellness Summit, 2019, p 94).

საქართველოს შეუძლია მსოფლიოს შეთავაზოს გლოვისა და დაკრძალვის ის ტრადიციები და რიტუალები, რომლებიც ჩვენთან ჯერ კიდევ შემორჩენილია, ხოლო უცხოეთის უმეტეს ქვეყანაში ისინი შთანთქა კომერციალიზირებულმა და უსულგულო დამკრძალავმა ინდუსტრიამ.

„დაკრძალვის ბიზნესს ადამიანები ჰყავდა მძევლის როლში: ის, რასაც ისინი სტრესულ მდგომარეობაში მყოფ, მგლოვიარე ადამიანებს სთავაზობდნენ, იყო საკმაოდ იდუმალი და ღრმად არაკონკურენტუნარიანი. საშუალო ამერიკული დასაფლავების ფასი დაახლოებით 9000 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო იაპონიაში ის რამდენიმე ათეული ათასი ჯდება" (Global Wellness Summit, 2019, p 100).

ასეთი ფასის მიუხედავად, ამგვარი დაკრძლვები უსულგულო და ზედაპირულია. ამიტომ სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი აწყობს პანაშვიდებსა და გასვენებებს სახლში. „ასევე, სულ უფრო მეტი ადამიანი აწყობს "სახლის დაკრძალვას", რითიც იცილებს ძვირიან მეწარმე-შუამავლებს და აღადგენს ძველ ფიზიკურ რიტუალებსა და სიახლოვეს, რომლის გამოხატვასაც, საყვარელი ადამიანების მიმართ, მიჩვეული ვიყავით მე-20 საუკუნემდე. დღეს უკვე ოჯახი და მეგობრები თვითონ უვლიან გვამს (მშრალი ყინულის გამოყენებით, რათა დრო გაახანგრძლივონ კრემაციის გაკეთებამდე / დაკრძალვამდე). ამზადებენ კუბოსაც კი და თვითონ თხრიან საფლავს" (Global Wellness Summit, 2019, p 100).

ამ კონტექსტში უცხოელებისათვის ძალიან უცნაური, საინტერესო და მიმზიდველია დასაფლავების ქართული ტრადიცია, როდესაც იმართება რამდენიმედღიანი პანაშვიდები, მოდის უამრავი ხალხი, გამოხატავს გულისწყვეტას და პატივისცემას მიცვალებულისა და ოჯახის მიმართ. მე თვითონ ვყოფილვარ მოწმე, როგორ კულტურულ შოკსა და აღფრთოვანებას იწვევს ეს უცხოელებში. ისინი ამბობენ, რომ მათთან ასეთი რიტუალები გრძნობისგანაა დაცლილი და პრაქტიკულად ერთ დღეში მთავრდება. მართალია, პირადად მე არ განვეკუთვნები ხალხმრავალი ქელეხების მომხრეთა რიცხვს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს ტრადიციაც, სუფრაზე წარმოთქმული თბილი სიტყვები და დამსწრე ადამიანთა დიდი რაოდენობა უცხოელებში ასევე მოწონებასა და გაკვირვებას იმსახურებს.

თუ ამას დავამატებთ მეცხრე დღის, ორმოცისა და წლისთვის აღნიშვნებს, ვფიქრობ, ინტერესი კიდევ უფრო მეტი იქნება.

„ახლა უკვე ბევრი ადგილი და პლატფორმაა, რათა ბოლოს და ბოლოს შევიკრიბოთ და გავმართოთ ნამდვილი საუბრები ამის შესახებ. საკმაოდ ბევრი ბლოგი, პოდკასტი და YouTube-ის არხი იკვლევს სიკვდილის ყველა ასპექტს. ასეთია, მაგალითად, ლოს-ანჯელესში დაფუძნებული ახალგაზრდა, ცნობილი მესაფლავე (mortician) კეიტლინ დაუთი (Caitlin Doughty). ასეულობით ათას მაყურებელს იზიდავს YouTube-ზე დადებული სერიალი „ჰკითხე მესაფლავეს" (Ask a Mortician), რომელშიც მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ იხრწნება გვამები. არსებობს მრავალი მოვლენა, მაგალითად დაუთის "სიკვდილის

მიმღები კოლექტივი"; კეთილი სიკვდილის ორდენი (რომლის წევრები უმეტესად არიან მილენიუმის წარმომადგენელი აკადემიკოსები, მხატვრები, დაკრძალვის ინდუსტრიის პროფესიონალები და ა.შ.), რომლებიც მთელ მსოფლიოში უამრავ ღონისძიებას უკეთებენ ორგანიზებას, მაგალითად, სიკვდილის სალონები, რომლებიც იკვლევენ გზებს "გარდაუვალი სიკვდილიანობის პირობებში სიკვდილის ფობიური კულტურის მოსამზადებლად"; ან ნიუ-იორკსა და სან ფრანცისკოში ჩატარებული ყოველკვირეული Reimagine End of Life ფესტივალები, ასობით სემინარით, სპექტაკლითა და გამოფენით, რომლებიც სიკვდილს ეძღვნება. სულ უფრო მეტი სასაფლაო ხდება როგორც სახალისო სოციალური შეკრების, ასევე სიკვდილის ძიების ადგილი. მაგალითად, ბრუკლინში Green-Wood სასაფლაო მასპინძლობს კოქტეილის საღამოებს, სპექტაკლებს, მთვარის ტურებსა და იოგას კლასებს, ასევე არის პათანატომიის ცენტრი, რომელიც მასპინძლობს მხატვრულ გამოფენებს, ლექციებსა და საუბრებს იმის შესახებ, თუ როგორ იკვეთებიან სიკვდილი და კულტურა“. (Global Wellness Summit, 2019, p 99).

სავარაუდოა, რომ Covid 19-ის პანდემია კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს აღნიშნული საკითხისადმი. მით უმეტეს, ველნესის გლობალურ სამიტზე (GWS) უკვე გაცხადდა ველნესის გლობალური ინსტიტუტის „ჯანმრთელი დაბერების“ ახალი ინიციატივა, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტიმულირება გაუკეთოს პრაქტიკულ, პოზიტიურ ცვლილებებს იმაში, თუ როგორ ბერდებიან და კვდებიან ადამიანები. როგორც თქვა ამ ინიციატივის ერთ-ერთმა ინიციატორმა ემი მაკდონალდმა (Amy McDonald) „ველნესის სამყარო ჩაციკლულია „კარგად ცხოვრებაზე“, და მთელი აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ ადამიანი დარჩეს ლამაზი და ახალგაზრდა. მაგრამ ახლა ჩვენ კარგად უნდა გავუმკლავდეთ სიკვდილსაც - არა მარტო იმიტომ, რომ დავეხმაროთ ადამიანებს მიიღონ რეალობა, არამედ იმიტომაც, რომ ეს გრანდიოზული ცხოვრებისეული ცვლილება გავხადოთ რამენაირად უკეთესი - აბა სხვანაირად როგორ შეიძლება პრეტენზია გვქონდეს ზოგადად „ველნესზე“?“ (Global Wellness Summit, 2019, p. 94).

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ, ჯერ ერთი, ჩვენ უნდა მოვუფრთხილდეთ და პატივი ვცეთ იმ სამგლოვიარო ტრადიციებს, რომლებიც გვაქვს. რადგან ისინი სათავეს ჩვენი წინაპრებისაგან იღებენ და შედარებით შეურყვნელად მოაღწია ჩვენამდე. ამასთან, უნდა ვეცადოთ, აღვკვეთოთ გლოვის ის დამახინჯებული ფორმები, რომლებიც ზოგჯერ გვხვდება ჩვენს სინამდვილეში.

მაშინ, როცა დღევანდელ მსოფლიოში დადგა საჭიროება ე. წ. სიკვდილის დულების ან სიკვდილში დამხმარეების (the death doula) ახალი პროფესიის შემოღებისა, რომელიც მოწოდებულია შეავსოს ნაპრალი მედიცინასა და ჰოსპის, ოჯახსა და შიშს შორის, ჩვენი ქვეყნის ქრისტიანულ მოსახლეობას შორის უფრო აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დახმარება.

დასასრულ, მიმაჩნია, რომ Covid 19-ის პანდემიის ფონზე მსოფლიოში კიდევ უფრო გაიზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ცდილობს გამოიკვლიოს სიკვდილის სხვადასხვა ასპექტი. ამიტომ მათთვის საინტერესო იქნება ქართული სამგლოვიარო ტრადიციები, რომელთა შესახებ ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ ყველა იმ პლატფორმას, ბლოგს, პოდკასტსა და YouTube-ის არხს, რომლებიც მართავენ საუბრებს სიკვდილის შესახებ. გავაგებინოთ მათ ჩვენი ავთენტური წეს-ჩვეულებების შესახებ, რითიც დავეხმარებით უცხოელებსაც და ქართველებსაც, რათა სიკვდილი რამენაირად უკეთესი გავხადოთ, რადგან სხვანაირად ვერ გვექნება პრეტენზია ცხოვრების ჯანსაღ წესზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Global Wellness Summit. 2019 Global Wellness Trends Report
2. Global Wellness Institute, Global Wellness Tourism Economy, November 2018
3. Barbara Ehrenreich. Natural Causes: An Epidemic of Wellness, the Certainty of Dying, and Killing Ourselves to Live Longer, 2018.
4. https://www.interpressnews.ge/ka/article/596450-janmo-evropis-kontinentze-koronavirusit-gardacvlilta-titkmis-naxevari-moxucta-tavshesaprebidan-iqo-es-carmoudgeneli-tragediaa/ (ბოლო ნახვა 5.05.2020 წ.)



***Givi Kuparadze***


**COVID 19 AND BETTER DEATH**
**Summary**


Lately there is a lot of talk that after the Covid 19 pandemic; our world will no longer be the same as we used to. However no one talks about what will change. In my opinion, what will definitely change is our attitude towards the death.

It is already clear that the pandemic will cause a radical reassessment of all aspects of death. This refers to the process of death, mourning, funeral and so on.

There is a lot of money in the wellness industry today, according to data of 2017 more than $ 4.2 trillion. It is more than in the pharmaceutical business. That's why we need to get rid of fears of death in order to get this money ... "Because, to some extent, people reassure themselves that with the proper nutrition and physical exercises, they will always be able to stay young or ... always alive". (Global Wellness Summit. 2019 Global Wellness Trends Report. P. 93)

Against this background, the so-called "positive attitude towards death" movement was still growing before the Covid 19 pandemic, which means reassessing almost every aspect of the death process and death - starting with the best means of feeling it, ending with inventing new rituals of mourning and burial, in order for people to actively explore death and the culturally different spiritual traditions of death - like any mentally "healthy part of life." There is no doubt that the pandemic of Covid 19 will further strengthen this trend.

Georgia is rich with authentic funeral traditions, about which we need to provide information on all the platforms, blogs, podcasts and YouTube channels that host conversations about death. Let them know about our customs and traditions, which will help both foreign and Georgian people to make death better, because otherwise we will not be able to live a healthy lifestyle.

***ხათუნა შალამბერიძე***

## საბანკო საქმიანობის ტენდენციები, პანდემია და საბანკო პროდუქტების ტრანსფორმაცია

***ანოტაცია.*** *ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია საბანკო სისტემის ფუნქციონირება. სანდო და სტაბილური საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ და აღმავალ ხასიათზე მიუთითებს. მეორე მხრივ, საბანკო სისტემა მეტად მგრძნობიარეა შესაძლო ეკონომიკური დაქვეითების მიმართ. ფაქტობრივად, საბანკო სისტემებზე წარმოქმნილმა შეფერხებებმა შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკის დაღმასვლა და პირიქით, როდესაც ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ გვსურს ვიპოვოთ ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის გამოცოცხლების ნიშნები, პირველ რიგში საბანკო სისტემის მახასიათებლების ცვლილება გვაწვდის შესაბამის ინფორმაციას. გარდა ამისა, საბანკო სისტემის ფუნქციონირებისას მისი სათანადოთ წარმართვით შესაძლებელი ხდება ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირება. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის საბანკო სისტემის ანალიზი, სხვადასხვა ბანკების წარმატებისა და წარუმატებლობის კვლევა და საბოლოოდ საბანკო სისტემის განვითარების პროგნოზირება.*

*თანამედროვე პირობებში, როდესაც საქმიანობის ყველა სფეროში შეინიშნება კონკურენციის სულ უფრო მეტად ზრდა, გამონაკლისს არც საბანკო სექტორი წარმოადგენს. კომერციული ბანკის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვანწილადაა განპირობებული მათ მიერ კლიენტებისათვის შეთავაზებულ საბანკო პროდუქტებსა და მათ შესაბამისობაზე კლიენტების მოთხოვნებთან.*

***საკვანძო სიტყვები:*** *საბანკო პროდუქტების ტრანსფორმაცია; პანდემია და კომერციული ბანკები.*

### შესავალი

საბაზრო ეკონომიკა ითვალისწინებს, რომ კომერციული ბანკის მუშაობის უმნიშვნელოვანეს სტიმულს მომგებიანობა წარმოადგენს. ამასთან, საბაზრო ურთიერთობების განვითარება ყოველთვის სხვადასხვა ეკონომიკური პარტნიორების გარკვეული სახის არასტაბილურობასთან არის დაკავშირებული, რაც შესაბამისად საბანკო რისკების სერიას წარმოქმნის. ხშირად იცვლება მოთხოვნა და მიწოდება, გარიგების დადების ფინანსური პირობები, კლიენტების გადახდისუნარიანობა და ა.შ. ამიტომ კომერციული ბანკი გარკვეული გარიგების განხორციელებისას მის შედეგებში ბოლომდე დარწმუნებული ვერ იქნება, ანუ, სხვა სიტყვებით, გარიგების ფინანსური შედეგების რისკის გაწევა უხდება.

ბანკები, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მუშაობისას, თავის თავზე არამარტო შიდა რისკების ნაირსახეობას, არამედ გარეშე რისკების (რეგიონული, სოციალური, პოლიტიკური და სხვ.) ზემოქმედებასაც განიცდიან.[86] ამავდროულად, პრობლემა უფრო გამწვავდა, როცა სეგმენტს მოულოდნელად თავს დაატყდა მსოფლიო დონის ჯერ კიდევ დაუმარცხებელი პრობლემა - პანდემია COVID-19-ის სახით. აქედან გამომდინარე, მეტად აქტუალურია ისეთი თემის განხილვა, რომელიც ეხება

[86] http://www.bpa.ge/book/book98.pdf

საბანკო საქმიანობის ტენდენციებს პანდემიის პირობებში და საბანკო პროდუქტების ტრანსფორმაციის აუცილებლობას, რათა სექტორმა დიდი ზარალი არ განიცადოს.

* * *

ქართული საბანკო სექტორის განვითარების ვექტორი მიმართულია სტაბილური და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიისკენ, რასაც მოწმობს ყოველწლიურად ახალი, ინტეგრირებული საბანკო პროდუქტების ბაზარზე გამოტანა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. წამყვან ქართულ ბანკებს ყოველწლიურად 10-დან 15-მდე ახალი, ინოვაციური პროდუქტი გამოაქვს ბაზარზე.

წამყვანი ქართული ბანკები, ტრადიციულ საბანკო სერვისთან ერთად, სულ უფრო ხვეწენ ონლაინ მომსახურებას, როგორც ინტერნეტ ბანკინგს ასევე მობაილ ბანკინგის პლატფორმებზე. ასევე აქტიურად იყენებენ თანამედროვე მარკეტინგულ მიდგომებს არსებული კლიენტების კმაყოფილების ხარისხის ასამაღლებლად და ასევე პოტენციური მომხმარებლების მიზიდვის მიზნით. ამის ნათელი მაგალითია აქტიური სარეკლამო კამპანია ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებებში. რა თქმა უნდა აქტიურად გამოიყენება ინტერნეტსივრცეც, განსაკუთრებით კი ბანკის ოფიციალური ვებგვერდი, სადაც პირველად ჩნდება ინფორმაცია დაგეგმილი და მოსალოდნელი ცვლილებებისა და სიახლეების შესახებ.

დისტანციური მომსახურება კიდევ უფრო აქტუალური გახდა არა მარტო საქართველოში არამედ მთელ მსოფლიოში COVID-19 ვირუსის გავრცელების შემდეგ. წამყვანმა ქართულმა ბანკებმა აქტიური მუშაობა დაიწყეს, რათა მორგებოდნენ ახალ რეალობას ისე, რომ არ დაეკარგად კლიენტები და შესაბამისად შემოსავლის ნაწილი. განვიხილოთ რამდენიმე ქართული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები ამ მიმართულებით.

თიბისი ბანკი. პანდემიის გამო შექმნილი ვითარების შედეგად, მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიებს, ტექნოლოგიურ გიგანტებსაც კი მოუწიათ თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა. მაგალითად, Facebook-ს, Google-ს, Twitter-ს, რომელთაც ათასობით თანამშრომელი ჰყავთ. როგორც მათი წარმომადგენლები ამბობენ, ეს არ არის მარტივი, თუმცა ეს გამოწვევა წარმატებით დაძლია საქართველოში ინოვაციების მოყვარულმა ბანკმა თიბისიმ.

თიბისი ბანკმა 2100-ზე მეტი თანამშრომელი გადაიყვანა ონლაინ მუშაობის რეჟიმზე. ეს პროცესი საკმაოდ ეფექტური გამოდგა. დისტანციურ მომსახურებაზე გადასვლაში კომპანიას ისიც დაეხმარა რომ 2019 წლის დასაწყისში ეჯაილ ტრანსფორმაცია დაიწყო, ამიტომაც ბანკის თანამშრომლების დიდი ნაწილი ამ ყველაფრისათვის უკვე მზად იყო. ბანკს უნდა დაეძლია გამოწვევები: თანამშრომლებისა და მომხმარებლების უსაფრთხოება.

თიბისი ბანკი ბოლო ხუთი წელია ციფრულ აპლიკაციებში დიდ ინვესტიციებს დებს. ფაქტობრივად ბანკის ტრანსზაქციების 95% ფილიალში მისვლის გარეშე ხორციელდება. ბანკმა მომხმარებლების უსაფრთხოების რისკების შემცირების და ციფრული პროდუქტების პრომოციის მიზნით, მომდევნო სამი თვის განამვლობაში საკომისიოები გააუქმა პროდუქტებზე.[87] ეს, ბუნებრივია, დადებითად აისახება მომხმარებელთა განწყობაზე და პოტენციურ კლიენტებს უბიძგებს გახდეს თიბისის ელექტრონული პროდუქტების მომხმარებელი.

თიბისი ქართულ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებს მათი საქმიანობის გასამარტივებლად სხვადასხვა ინიციატივას სთავაზობს. შეიქმნა პლატფორმა tbc4u.vendoo.ge. მისი საშუალებით ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს დონაციაში მიიღოს მონაწილეობა და მხარი დაუჭიროს თავის საყვარელ ქართულ კომპანიას. მომხმარებლები გადარიცხული თანხის სანაცვლოდ კომპანიისაგან მიიღებენ ვაუჩერს, რომელსაც ბიზნესების საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელებისთანავე გაანაღდებენ. ასეთი დონაციით შესაძლებელია მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 100 ლარის გადარიცხვა. პროექტში ჩართვა ნებისმიერ ქართულ კომპანიას შეუძლია. „თიბისი შენთვის“ პროგრამის ინიციატივა ბიზნესისთვის ციფრულ პროდუქტებზე შეღავათების შეთავაზებაა. კერძოდ: ბიზნეს ინტერნეტბანკში ახალი მომხმარებლის რეგისტრაცია და კვარტალური მომსახურების მიღება უფასოდ; ბიზნეს ინტერნეტბანკში მიმდინარე ანგარიშის გახსნა უფასოდ; დიჯიპასაპლიკაციის გააქტიურება უფასოდ; ბიზნესისთვის შეღავათები დაწესდა საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებაზეც. სამთვიანი საშეღავათო პერიოდი სესხების შენატანზე; ბიზნესბარათის უფასოდ აღება სატელეფონო ცენტრით შეკვეთისას; საკომისიო გადასახადი გაუქმდა იტერნეტ და მობაილბანკში კომუნალურ გადახდებზე; პოს-ტერმინალზე გაუქმდა შევსებადი საკომისიო გადასახადი 1 ივნისამდე; შეიქმნა სპეციალური სადისტრიბუციო ბარათი სადისტრიბუციო კომპანიებისთვის.[88]

[87] https://forbes.ge/news/8179/Tibisi-saxlidan-rogor-adaptirda-umsxvilesi-qarTuli-biznesi-Seqmnil-viTarebasTan
[88] https://forbes.ge/news/8149/-TibisiSenTvis-iniciativebi-qarTuli-biznesebis-mxardasaWerad

აღნიშნული სიახლეები არსებულ კრიზისულ პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქართული კომპანიების ნაწილს მოუწია საქმიანობის დროებით შეწყვეტა. საქართველოს ბანკი - კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის, იმისათვის რომ თავშეყრის ადგილებში ხალხის ნაკადის შემცირებას შეუწყოს ხელი, ნახევრადდისტანციურ მუშაობის მოდელზე გადავიდა. საქართველოს ბანკი ერთ-ერთი მსხვილი ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც ემსახურება 2,5 მილიონზე მეტ მომხმარებელს და დასაქმებული ჰყავს 8000-მდე ადამიანი. შესაბამისად მაღალია მისი პასუხისმგებლობა როგორც მისი თანამშრომლების, ასევე მომხმარებლების წინაშე. ონლაინ შესაძლებლობები უსაზღვროა - ამ შინაარსის ბანერი მთავარ ადგილს იკავებს საქართველოს ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე. მასში თავმოყრილია ყველა ის ციფრული პროდუქტი და მომსახურება, რომლებიც სერვისცენტრში მისვლასა და ნაღდ ფულთან შეხების საჭიროებას თავიდან აარიდებს მომხმარებლებს. გარდა ამისა, საქართველოს ბანკი თავის მომხმარებლებს სთავაზობს ორი თვის განმავლობაში, დისტანციური არხებით - მობაილბანკით და ინტერნეტბანკით ტრანსზაქციები საკომისიოს გარეშე განახორციელების შესაძლებლობას.

კრიზისულ ვითარებაში საქართველოს ბანკის მიერ შემოთავაზებულ ერთ-ერთ ინოვაციურ პროდუქტს წარმოადგენს „მობაილბანკი მობილური ინტერნეტის გარეშე“. ეს ნიშნავს რომ ამიერიდან უკვე შესაძლებელია ნებისმიერი საბანკო ოპერაციის მობაილბანკით განხორციელება მაშინაც კი, როცა მობილურის ბალანსზე თანხა ან ინტერნეტის მეგაბაიტები ამოიწურება. სიახლეა ისიც რომ ახალი მობაილბანკი გაცილებით ნაკლებ ინტერნეტს მოიხმარს.[89] საქართველოს ბანკი COVID 19-თან ბრძოლის პირობებში ქართულ ბიზნესებს მხარდაჭერას უცხადებს და სთავაზობს პლატფორმას https://argacherde.ge, სადაც ისინი შეძლებენ დარეგისტრირდნენ და საკუთარი პროდუქტი თუ მომსახურება მომხმარებელს სპეციალურ ფასად შესთავაზონ. შეთავაზების გამოყენებას მომხმარბელი მას შემდეგ შეძლებს, როცა ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება და ბიზნესები წარმატებით გააგრძელებენ საქმიანობას. ინიციატივის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ გვერდში დავუდგეთ ბიზნესს დღეს, რომ ხვალ ოპერირება შეძლონ. ეს პლატფორმა დაეხმარება სხვადასხვა სახის ბიზნესს, რომ შექმნილ ვითარებაში შეძლონ რაც შეიძლება ნაკლები ფინანსური ზიანი მიიღონ და ასევე, მოემსახურონ საოპერაციო ხარჯებს.[90]

ტრანსფორმაციის პროცესის თანმდევი სირთულეა ის, რომ ყველა სიახლის დანერგვის პროცესი ეროვნული ბანკის რეკომენდაციებს უნდა ექვემდებარებოდეს. ცოტა ხნის წინ, საქართველოს საბანკო ბაზარზე გამოჩნდა პირველი ციფრული ბანკი Space, რომელმაც შესაძლოა საბანკო მომსახურება სრულიად შეცვალოს. Space-ის გუნდმა შექმნა ისეთი აპლიკაცია, რომელიც თქვენს ყველა საბანკო სერვისს ერთ, კომფორტულ მობილურ აპლიკაციაში აერთიანებს. ეს არის ე.წ. ნეო ბანკი, რომელიც ფილიალებისა და ქაღალდების, რთული და დამაბნეველი პროდუქტების, დაფარული გადასახადების და ბიუროკრატიის ნაცვლად, კომფორტულ ციფრულ მომსახურებასთან ასოცირდება. Space-ს არ აქვს ფილიალები, შესაბამისად მომხმარებლების რეგისტრაცია, ანგარიშის გახსნა ან ნებისმიერი სხვა სერვისის მიღება შესაძლებელია მობილური ტელეფონის საშუალებით. ამისათვის საჭიროა გადმოწეროთ Space-ის აპლიკაცია, გაიაროთ ვერიფიკაცია და გახდეთ სფეისის მომხმარებელი. ეს შესაძლებლობას მოგცემთ მიიღოთ სრულფასოვანი საბანკო ანგარიში და ვიზაკლასიკის ტიპის უფასო ბარათი. მნიშვნელობა არ აქვს რომელი ბანკის მომხმარებელი ხართ ან სად გერიცხებათ ხელფასი. სფეისში შესაძლებელია გააერთიანოთ ყველა თქვენი საბანკო ბარათი ერთ აპლიკაციაში და გამოიყენოთ ისინი სასურველი ოპერაციის განსახორცილებლად. [91]

კლიენტებთან ურთიერთობის მართვასთან ერთად დღევანდელ მუდმივად ცვალებად გარემოში აქტუალურია სხვადასხვა გამოწვევებთან ბრძოლა, რომლებიც მოულოდნელად იჩენს თავს და საკმაოდ დიდი რისკის ქვეშ აყენებს ნებისმიერ ბიზნესს, მათ შორის კომერციულ ბანკებსაც და მათ მომგებიანობას. ამის ნათელი მაგალითია დღევანდელი ვითარება. კერძოდ ახალი კორონავირუსი, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიო. პანდემიის გამო დროებით შეწყვიტა მუშაობა დიდმა კომპანიებმა, ადამიანები იძულებული არიან დარჩნენ სახლში და მაქსიმალურად შეიკავონ თავი თუნდაც ქუჩაში გამოსვლისაგან. ამ ვითარებამ დიდი პრობლემები შეუქმნა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკასაც კი. შესაბამისად გასაკვირი არაა, რომ მან გავლენა იქონია საფინანსო სექტორზეც. მაგალითად ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ანაბრებისა და სესხების მოცულობა, რაც კომერციული ბანკების შემოსავლის ძირითადი წყაროა. გარდა ამისა, საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა გამოიჩინეს სოციალური პასუხისმგებლობა და 3 თვიანი საშეღავათო პერიოდი გამოაცხადეს სესხებზე. თუმცა ამ რთულ ვითარებაშიც კი კომერციული ბანკები აქტიურად ნერგავენ სიახლეებს რათა პოტენციური მომხმარებლების დაინტერესება გამოიწვიონ. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები აქტიურად

[89] https://forbes.ge/news/8132/saqarTvelos-banki-momxmarebels-mobilbankis--mobilur-internetis-gareSe-gamoyenebas-sTavazobs
[90] https://forbes.ge/news/8148/saqarTvelo-banki-bizness-mxardasaWerad--specialur--platformas-sTavazobs
[91] https://on.ge/story/23240-space-

მუშაობენ არა მხოლოდ სიახლეების დანერგვაზე, არამედ აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში. ამის ნათელი მაგალითები მრავლად გამოჩნდა ახალი კორონავირუსის გავრცელების ფონზე. მასთან ბრძოლისათვის ქვეყნის წამყვანმა ბანკებმა საკმაოდ დიდი თანხები გაიღეს და აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

ვითიბი ბანკმა COVID 19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად, საწყის ეტაპზე 200 000 ლარი გამოყო, რომელიც მიმართული იყო იმ გამოწვევების გადასალახად, რის წინაშეც დადგა ქვეყანა. აღნიშნული  თანხა ჩაირიცხა სპეციალურად COVID 19-ის შესაჩერებლად #StopCov გახსნილ ფონდში საქართველოს ბიზნესასოციაციის მეშვეობით.[92] ამავე მიზნით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს KIA-ს მარკის ავტომობილები გადასცა.

თიბისი ბანკმა საქართველოს მოსახლეობის მხარდასაჭერად შექმნა პროგრამა „თიბისი შენთვის“, რომელიც COVID 19-ის მიერ მიყენებული ზიანის შესამცირებლად თიბისის მიერ ინიცირებულ ყველა პროექტს აერთიანებს. მხარდაჭერის პროგრამა 2 კომპონენტისგან შედგება:  2 მილიონი ლარი სოციალური დახმარების ინიციატივებისთვის, სადაც აქცენტი გაკეთდა დისტანციური განათლების ხელშეწყობაზე, მოხუცების დახმარებასა და ციფრული ტექნოლოგიების გავრცელებაზე; 3 მილიონ ლარზე მეტი კი მოხმარდა მომხმარებლების საკომისიო ხარჯის შემსუბუქებას როგორც ფიზიკური პირების, ისე ბიზნესებისათვის.[93]  ასევე, თიბისი ბანმა, მთავრობასთან კონსულტაციების საფუძველზე COVID 19-ის 10 000 სწრაფი ტესტი შეიძინა.

COVID 19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს ბანკმაც. მან საქართველოში მოქმედი ბიზნესებისთვის შექმნა ონლაინპლატფორმა argacherde.ge, სადაც მათ შეუძლიათ დარეგისტრირდნენ და მომხმარებელს შესთავაზონ საკუთარი პროდუქტი თუ მომსახურება სპეციალურ ფასად. შეთავაზების გამოყენებას მომხმარებელი მას შემდეგ შეძლებს, რაც ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება და ბიზნესები კვლავ წარმატებით გააგრძელებენ საქმიანობას. საქართველოს ბანკმა ჩვენი ქვეყნისთვის დეფიციტური სამედიცინო აღჭურვილობა შეიძინა. მათ შორის იყო: 20 000 ლაბორატორიული ტესტი, 10 სასუნთქი აპარატი, 50 000 პირბადე და 60 000 ხელთათმანი. აღნიშნული აღჭურვილობა მთლიანად გადაეცა ჯანდაცვის სამინისტროს ვირუსთან ბრძოლის ეფექტურად გასაგრძელებლად.

## დასკვნა

რისკებსა და საფრთხეებთან ერთად თანამედროვე მუდმივად განვითარებადი სამყარო იძლევა შესაძლებლობებსაც სიახლის დანერგვის და ჯერ კიდევ აუთვისებელი მომსახურებებისა და პროდუქტების შესაქმნელად. სიახლეების და ინოვაციების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია საბანკო სფეროში, რადგან გამძაფრებული კონკურენციის პირობებში ის წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის მოპოვების იარაღს. COVID-19-ის პანდემიის ქვეყნის საფინანსო სექტორზე უარყოფითი ზეგავლენის შერბილებისა და ქვეყნის ეკონომიკის წახალისების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. საგანგებო ნაბიჯები სხვადასხვა მიმართულებით გადაიდგა: ეკონომიკის სხვადასხვა სფეროსთვის ლიკვიდური ფულადი რესურსების შეუფერხებელი მიწოდება, დროებითი საზედამხედველო გეგმის შემუშავება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ის) პროგრამის გაფართოება და სავალუტო ინტერვენციების ახალი მექანიზმის ამოქმედება.[94] საქართველოს საბანკო სექტორი ქვეყნის ხელისუფლებასთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად აქტიურად არის ჩართული საპასუხო ნაბიჯების დაგეგმვაში იმ ეკონომიკური გამოწვევების მიმართ, რაც წარმოიშვა COVID-19-ის პანდემიის შედეგად.

COVID-19-ის პანდემიის დაწყების მომენტიდან საბანკო სექტორის მიერ მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული მომხმარებელთა ინტერესები და კომერციული ბანკების კლიენტებს შეეძლოთ ესარგებლათ საკრედიტო ვალდებულებების შესრულების გადავადების პირობით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევაში. მხარეთა აქტიური თანამშრომლობის პირობებში, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეფექტურად იქნება გადალახული ყველა ის გამოწვევა, რომელიც

[92]https://vtb.ge/ge/about-the-bank/news/121/vitibi-banki_-covid-19-is-tsinaagmdeg-brdzolis-mkhardasacherad-200-000-lars-gamokops
[93] https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/covid-19-challenges
[94] წყარო: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=754

შესაძლებელია დადგეს მომხმარებლების წინაშე COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნის და საქმიანობის განახლების პირობებში.

***Khatuna Shalamberidze***

**TRENDS IN BANKING, PANDEMIC AND TRANSFORMATION OF BANKING PRODUCTS**

**Summary**

A market economy suggests that profitability is the most important incentive for a commercial bank to operate. However, the development of market relations is always associated with some instability of various economic partners, which in turn creates a number of banking risks. Demand and supply often change, financial terms of the transaction, solvency of customers and so on. Therefore, a commercial bank cannot be completely sure of the results of a particular transaction, in other words, it will have to risk the financial results of the transaction.

Banks, working in different regions of the country, experience not only a variety of internal risks, but also the influence of external risks (regional, social, political, etc.), the impact of which is not the same everywhere.

Along with risks and dangers, the modern constantly evolving world also provides opportunities for innovation and the creation of unused services and products. The importance of innovation and innovation is especially important in the banking sector, as it is a weapon of competitive advantage in the face of increased competition. Think about how specific banks transform banking services from various risk factors (market competition, currency fluctuations, new rules, internal factors), what is the best solution for them in the data. And also in what direction they are trying to present the news and what they are focused on in the future.

***Keywords:*** *Bank risk Financial Results; Transformation of Banking Products; COVID 19 and Commercial Banks.*

***მალხაზ ჩიქობავა***

**კორონავირუსი - ბუნებრივი პანდემია თუ გლობალური სპეცოპერაცია**

***ანოტაცია.*** *სტატიაში გაანალიზებულია კორონავირუსის პანდემიის წარმოშობის შესაძლო მიზეზები და მისი გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე. ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია ცნობილი ანტიგლობალისტის, ამერიკელი ეკონომისტისა და პოლიტოლოგის, პრინსტონის უნივერ-სიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის უილიამ ენგდალის სტატიაზე, რომელიც გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 10 მარტს სათაურით: Lock Step, This Is No Futuristic Scenario: Panic and the Post-Pandemic Future? (ნაბიჯის ბლოკირება - ეს არ არის ფუტურისტული სცენარი: პანიკა და პოსტპანდემიური მომავალი?).*

*ამ სტატიით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ ათი წლის წინათ, 2010 წელს, მომზადდა სცენარი „პანდემიური პანიკა", რომელიც დღეს ჩვენს თვალწინ თამაშდება. დოკუმენტი გამოვიდა ორი ორგანიზაციის - როკფელერების ფონდისა და ბიზნესის გლობალური ქსელის წიაღიდან. ამ უკანასკნელი ორგანიზაციის დაარსება უკავშირდება პიტერ შვარცს (Peter Schwartz), რომელიც ითვლება ერთ-ერთ ავტორიტეტულ ამერიკელ ფუტუროლოგად. სწორედ შვარცმა ჩამოაყალიბა 2010 წლის მოხსენებაში მსოფლიოს განვითარების ოთხი სცენარი 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდეგ. ერთ-ერთი სცენარით, რომელმაც მოხსენებაში მიიღო სახელწოდება Lock Step, მთლიანობაში ემთხვევა იმ მოვლენებს, რასაც ამჟამად ადგილი აქვს მსოფლიოში.*

*აღსანიშნავია, რომ Lock Step გამოჩნდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი 2007-2009 წლების ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ხანძარი. როგორც ჩანს, გლობალური ფინანსური ელიტის გათვლებით მსოფლიო კაპიტალიზმი 2007-2009 წლების ანალოგიურ კრიზისებს ვერ გადაიტანს და, შესაბამისად, საჭიროა მსოფლიოს ფორსირებული გარდაქმნის დაწყება პოსტკაპიტალისტური მოდელის საფუძველზე. სწორედ ეს გახდა ამგვარი ტრანსფორმაციისათვის მზადების საფუძველი.*

*მართლაც, გასული წლის ბოლოსათვის გამოჩნდა 2007-2009 წლების გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისზე ბევრად უფრო დრამატული კრიზისის დაწყების აშკარა ნიშნები. ამიტომ, ამ გარდაუვალი კრიზისისათვის სასურველი მიმართულების მისაცემად გლობალურმა ფინანსურმა ელიტამ 2020 წლის პირველი დღეებიდან დაიწყო სპეცოპერაცია სახელწოდებით Lock Step, იგივე COVID-19, რომელიც ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია.*

***საკვანძო სიტყვები:*** *კორონავირუსი, პანდემია, COVID-19, Lock Step, გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, ახალი მსოფლიო წესრიგი.*

* * *

ეკონომიკური ციკლების კლასიკური თეორიის თანახმად, კაპიტალიზმის ეკონომიკური განვითარება შედგება ციკლებისგან, ხოლო ციკლები - ოთხი ფაზისგან: 1) ვარდნა (რეცესია, კრიზისი); 2) სტაგნაცია (უძრაობა, დეპრესია); 3) გამოცოცხლება; 4) აღმავლობა (გამოცოცხლების ფაზის გაგრძელება იმ მომენტიდან, როცა მიღწეულია ეკონომიკური განვითარების წინაკრიზისული დონე).

ბოლო ასწლეულში ყველაზე ღრმა და ხანგრძლივი მსოფლიო რეცესია იყო ე.წ. „დიდი დეპრესია", რომელიც დაიწყო აშშ-ში 1929 წლის 29 ოქტომბერს, რამდენიმე თვეში მოიცვა მთელი მსოფლიო და გაგრძელდა II მსოფლიო ომამდე.

ბოლო ათწლეულებში ეკონომიკურმა ციკლმა სერიოზული მეტამორფოზა განიცადა. 2007-2009 წლების მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი ხანგრძლივ სტაგნაციაში გადაიზარდა. სტაგნაციის ხანგრძლივობა ადრე ჩვეულებისამებრ რეცესიის ხანგრძლივობას უტოლდებოდა. ბოლო გლობალური კრიზისიდან თითქმის 12-მა წელმა განვლო, მაგრამ, ე.წ. პანდემიის გარეშეც, სტაგნაციის ფაზიდან გამოცოცხლების ფაზაში გადასვლის არავითარი ნიშანწყალი არ არსებობდა. ცხადია, მხედველობაში გვაქვს მსოფლიო ეკონომიკა. ცალკეულ ქვეყნებში ეკონომიკური ციკლი შეიძლება სხვანაირად გამოიყურებოდეს.

ჯერ კიდევ გასულ წელს ანალიტიკოსები და ბაზრის ჩვეულებრივი მონაწილეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გამოცოცხლების ფაზას, რომელსაც ყველა ელოდა მთელი ათი წლის განმავლობაში, ვეღარ ვნახავდით. უფრო მეტიც, გაჩნდა მრავალი პროგნოზი, რომლებიც წინასწარმეტყველებდნენ 2020 წლისათვის მსოფლიო ეკონომიკურ რეცესიას. მსოფლიო ეკონომიკაში ამჟამად დაგროვდა უფრო მეტი დისპროპორცია, ვიდრე 2007-09 წლების კრიზისის წინ იყო. კერძოდ, აშშ-ში ეკონომიკის ყველა სექტორის ერთობლივმა ვალმა გადააჭარბა ამ ქვეყნის მშპ-ის 300%-ს. დღეის მდგომარეობით აშშ-ის სუვერენული ვალი შეადგენს 25,5 ტრლნ დოლარს, რაც ამ ქვეყნის მშპ-ის 120%-ია, ხოლო მთლიანი ვალი 77,4 ტრლნ დოლარს აჭარბებს!!!. დამაფიქრებელია აგრეთვე ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც სარეკორდოა. მისმა გარღვევამ 2020 წლის მაისის ბოლოსთვის თითქმის 3 ტრლნ დოლარს გადააჭარბა [1]. დაახლოებით მსგავსი სავალო სიტუაციაა მსოფლიო ეკონომიკის სხვა ცენტრებში - ევროპის კავშირსა და ჩინეთში.

მიუხედავად ასეთი დრამატული სურათისა, საერთაშორისო ორგანიზაციები 2020 წლის დასაწყისში ვერ ბედავდნენ ეღიარებინათ მიმდინარე წლის რეცესიის მაღალი ალბათობა. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოთქვა ვარაუდი, რომ მსოფლიო მშპ 2020 წელს 3,4%-ით გაიზრდებოდა. მართალია, 20 იანვარს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გადახედა თავის პროგნოზს, მაგრამ ის სულ რაღაც 0,1 პროცენტული პუნქტით შეამცირა. მსოფლიო ბანკმა 2020 წლისათვის უფრო ფრთხილი პროგნოზი გააკეთა - მშპ-ის ზრდა 2,4%-ით, თუმცა იანვარში პროგნოზის 0,1 პროცენტული პუნქტით კორექტირება მოახდინა ზრდის მიმართულებით [2].

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მსგავსი პროგნოზების მეთოდიკა პრიმიტიულია. კეთდება მარტივი ექსტრაპოლაცია, ბაზად აიღება მშპ-ის მაჩვენებლები რამდენიმე წლისათვის. გასული წლის შედეგებით, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა დათვალა, თითქოსდა სურათი მეტ-ნაკლებად მისაღები იყო - მშპ-ის ზრდამ 3,3% შეადგინა (2018 წელს - 3,4%). მაგრამ ეს მაცდური მაჩვენებელია: 3,3% გასული წლის მთელი 12 თვის შედეგების მიხედვითაა ნაგულისხმევი, თუმცა 2019 წლის ბოლო კვარტალში, განსაკუთრებით კი ბოლო თვეს ზოგიერთ დიდ ქვეყანაში უარყოფითი დინამიკაც (ანუ რეცესია)კი დაფიქსირდა [3].

თითქმის არავის დაუფიქსირებია ეკონომიკური ვარდნა იაპონიაში გასული წლის მეოთხე კვარტალში. ვარდნა კი ძალზე სერიოზული იყო. თავდაპირველად ხელისუფლებამ ვარდნის მაჩვენებლად დაასახელა 6,3%. შემდეგ აღმოჩნდა, რომ იაპონიის მშპ 2019 წლის ბოლო კვარტალში 2018 წლის ბოლო კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით 7,1%-ით ნაკლები იყო.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა იტალიაში. ევროკავშირის სიდიდით მესამე ქვეყანა უკვე რამდენიმე წელია განიცდის სტაგნაციას. გასულ წელს იტალიის ეკონომიკური განვითარება მიმდინარეობდა დაღმავალი მიმართულებით. წლის შედეგებით მშპ-ის ზრდამ იტალიაში მხოლოდ 0,2% შეადგინა, ე.ი., სწორედ იმდენი, რამდენიც სტატისტიკური ცდომილების ფარგლებშია მოქცეული.

გასულ წელს დაღმავალი ტრენდი შეიმჩნეოდა აშშ-ის ეკონომიკაში. თუ 2019 წლის პირველ კვარტალში მშპ-ის ზრდა იყო 3,2%, ყველა დანარჩენ კვარტალში მაჩვენებელი ერთნაირი დარჩა და 2,1% შეადგინა. შენელება ჯერ კიდევ ცხადია 2018 წლის ფონზე, როცა ოთხივე კვარტალის შედეგების მიხედვით მშპ-ის ზრდამ 3,1% შეადგინა.

განსაკუთრებით საინტერესო სიტუაციაა ჩინეთში, რომელსაც „მსოფლიოს მეორე ეკონომიკას" უწოდებენ. იქ უკვე დიდი ხანია, რაც არ ყოფილა რაიმე სახის რეცესია, ისევე, როგორც სტაგნაცია.

ჩინეთის ეკონომიკა ოცდაათ წელზე მეტი იმყოფებოდა აღმავლობის ფაზაში. რა თქმა უნდა, ბოლო წლებში ჩინეთი ეკონომიკური ზრდის ზემაღალ ტემპებს (რომელიც აჭარბებდა 10%-ს) არ აჩვენებდა, მაგრამ გასული წლის შედეგების მიხედვით მშპ-ის ზრდამ ოფიციალური მონაცემების მიხედვით 6%-ს გადააჭარბა. თუმცა, კვარტლების მიხედვით ადგილი ჰქონდა ტემპების შემცირებას (მშპ-ის წლიური ზრდა, პროცენტებში): I კვარტალი - 6,4; II კვარტალი - 6,2; III კვარტალი - 6,0; IV კვარტალი -6,0. ჯერ კიდევ გასულ წელს ჩინელი და უცხოელი ექსპერტების პროგნოზით, 2020 წლისათვის ქვეყნის მშპ-ის 6%-იანი ზრდის ნიშნულზე შენარჩუნება შეუძლებელი იქნება. ის აუცილებლად შემცირდება. პარტიამ კი დაადგინა მიზნობრივი მაჩვენებელი „არანაკლებ 6 პროცენტისა". თუმცა მრავალი ექსპერტი წინასწარმეტყველებს, რომ 2020 წელს ქვეყანა აღმავლობის ფაზიდან რეცესიაში გადავა. ასეა თუ ისე, ჩინეთის ეკონომიკა კაპიტალისტურია (სახელმწიფო კაპიტალიზმის ფორმით) და შეუძლებელია, რომ ის არ დაექვემდებაროს კაპიტალისტური ეკონომიკის კანონებს თავისი ციკლური განვითარებით.

და აი, ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ჩინეთი მოულოდნელად მოიცვა კორონავირუსის პანიკამ. ვირუსი მსოფლიო არენაზე გამოჩნდა ზუსტად იმ დროს, როცა მრავალი ქვეყნის ეკონომიკა უკვე იმყოფებოდა რეცესიის ზღვარზე (ზოგან კი, მაგალითად, იაპონიასა და იტალიაში უკვე რეცესია იყო) [4]. ქვეყნების ხელისუფლებებს გაუჩნდათ შესაძლებლობა, დაწყებული რეცესია მიეწერათ ამ ვირუსისათვის, ხოლო შემდეგ ერთსულოვნად მიემართათ ეკონომიკის მართვის ისეთი მეთოდისათვის, რომლის გამოყენებასაც ისინი სხვა სიტუაციაში ვერ შეძლებდნენ. გავიხსენოთ, რომ 2007-09 წლების მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდეგ მრავალი სხვადასხვა სამიტი (G7, G20 და სხვ.) შედგა, სადაც საზეიმოდ დებდნენ ფიცს იმის შესახებ, რომ მეტად არ გამოიყენებდნენ კრიზისთან ბრძოლის ზოგიერთ მეთოდებს. მაგალითად, რომ არ გამოყოფდნენ გიგანტურ საბიუჯეტო ფულად რესურსს გაკოტრების პირას არსებული ბანკების გადასარჩენად (როცა აშშ-ის ბიუჯეტიდან ასეთ ღონისძიებებზე დაახლოებით 1,5 ტრლნ დოლარი დაიხარჯა). ახლა კი აცხადებენ, რომ უნიკალურ კრიზისთან გვაქვს საქმე - ფინანსურ-ეკონომიკურისა და ვირუსულ-ჰუმანიტარულის ჰიბრიდთან და ამის გამო, თითქოს დასაშვები იყოს ბრძოლის ნებისმიერი მეთოდის გამოყენება.

თვით 1930-იან წლებშიც კი დასავლეთის ქვეყნების ხელისუფლებებს არ გამოუცხადებიათ საგანგებო მდგომარეობა. ამჟამად კი მათთვის საგანგებო მდგომარეობა აუცილებელი გახდა და პრეზიდენტმა ტრამპმაც ის გამოაცხადა. ყველაზე ადრე კი ასეთი მდგომარეობა გამოაცხადა ჩინეთმა. ჩვენ კიდევ მოგვიწევს იმის გააზრება, თუ რას წარმოადგენს ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საგანგებო მდგომარეობის პირობებში, მაგრამ ასეთი პოლიტიკა უკვე ტარდება. აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მარტში ორჯერ შეამცირა საკვანძო საპროცენტო განაკვეთი ვადაზე ადრე ისე, რომ არც კი დალოდებია ღია ბაზარზე ოპერაციების კომიტეტის მორიგი სხდომის თარიღის დადგომას. ცნობისთვის აღვნიშნავთ, რომ ღია ბაზრის ოპერაციების კომიტეტის სხდომა უნდა შემდგარიყო მიმდინარე წლის 18 მარტს, მაგრამ, ჯერ 13, ხოლო 16 მარტს საგანგებო შეხვედრაზე ორჯერ, უპრეცედენტო მასშტაბით მოხდა ფედერალური ფონდების განაკვეთის (რომელიც აშშ-ის საბაზისო საპროცენტო განაკვეთია) შემცირება: ჯერ 0,5, ხოლო შემდეგ 1 პროცენტული პუნქტით და დაყვანილ იქნა 0,25%-მდე [5]. გავიხსენოთ, რომ ფედერალური ფონდების განაკვეთის ზედა ზღვარი 0,25%-ის ტოლი იყო 2008 წლის სექტემბრიდან 2015 წლის დეკემბრამდე, როცა ე.წ. რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკა სამ ეტაპად განხორციელდა. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უზარმაზარი ფულადი ინექციების აბსორბცია ძირითადად საფონდო ბაზრებმა მოახდინა.

საბაზისო განაკვეთები მცირდება, ხოლო მილიარდობით ახალი დოლარები იბეჭდება შემდეგი მოტივით: ეს აუცილებელია კორონავირუსის პანდემიის შედეგებთან საბრძოლველად. სინამდვილეში, ესაა მონეტარული ხელისუფლების სასოწარკვეთილი მცდელობა, აღკვეთოს მსოფლიო ეკონომიკის ღრმა რეცესიაში ჩავარდნა. აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის კვალდაკვალ იმავე სქემით მოქმედებს ევროპის ცენტრალური ბანკი, ასევე ინგლისის, იაპონიის, კანადის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკები.

მიუხედავად საგანგებო ღონისძიებებისა, რეცესიაში გადასვლას მაინც აქვს ადგილი. 2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით ვარდნა წლიური გაანგარიშებით ფიქსირდება მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით ჩინეთში. იანვარ-თებერვალში ჩინეთში სამრეწველო წარმოება შემცირდა 13,5%-ით, საცალო გაყიდვები - 20,5%-ით, ინვესტიციები ძირითად კაპიტალში - 24%-ით, უმუშევრობის დონე გაიზარდა რეკორდულ 6,2%-მდე [6]. გავიხსენოთ, რომ ბოლო რეცესია ჩინეთში დაფიქსირდა 1976 წელს (წლიური შედეგებით). ანალიტიკოსების აზრით ყველაზე მძიმე რეცესია ჩინეთში მხოლოდ პირველი კვარტლის შედეგებით იქნება, მეორე კვარტალში ის შეიძლება შენარჩუნდეს, თუმცა უფრო რბილი ფორმით. წლის მეორე ნახევარში მოხდება ეკონომიკის გამოცოცხლება. მიუხედავად იმისა, რომ მთელი 2020 წლისათვის პროგნოზის გაკეთება ყველას უჭირს, მაინც თანხმდებიან იმაზე, რომ მშპ-ის წლიური

ზრდა არავითარ შემთხვევაში არ გადააჭარბებს 4 პროცენტს. თუმცა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ გლობალური ეკონომიკის რეცესიის ნამდვილ მიზეზებზე საუბარს ანალიტიკოსების უმრავლესობა თავს არიდებს და ყველაფერს კორონავირუსის პანდემიით ხსნის.

მსოფლიო ბანკს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს ჯერჯერობით არ გადაუხედავთ თავიანთი ოპტიმისტური პროგნოზებისთვის მსოფლიო ეკონომიკის 2020 წლის განვითარებაზე. როგორც ჩანს, ელოდებიან, როდის ჩაივლის ვირუსული პანდემიის მწვავე ფაზა. თუმცა, კერძო კომპანიები აკეთებენ პროგნოზს. თითქმის ყველა საუბრობს იმაზე, რომ მიმდინარე წელი იქნება გლობალური ეკონომიკური რეცესიის წელი. აქვე შევნიშნოთ, რომ ექსპერტთა საზოგადოებაში უკვე მიღწეულია ფარული კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ რეცესიად ჩაითვალოს ეკონომიკის არა აბსოლუტური ვარდნა, არამედ მისი ისეთი მდგომარეობა, როცა მშპ-ის წლიური ზრდის ტემპები 1,5 პროცენტზე დაბალია არანაკლებ ორი კვარტლის განმავლობაში.

Morgan Stanley-ის ანალიტიკოსთა ჯგუფმა ჩეტან აჰეის მეთაურობით აღნიშნა, რომ მსოფლიო რეცესია ახლა უკვე წარმოადგენს მათ „საბაზისო სცენარს“, წლის შედეგებით მოსალოდნელია ზრდის შენელება 0,9%-მდე. Goldman Sachs-ის ანალიტიკოსთა გუნდი იან ჰაციუსის მეთაურობით პროგნოზირებს ზრდის შემცირებას 1,25%-მდე. თავისი პროგნოზი გააკეთა სააგენტომ S&P Global-მა, რომლის მიხედვითაც მსოფლიო მშპ-ის ზრდა იქნება 1,0-1,5%-ის დიაპაზონში. იმავე სააგენტო S&P Global-ის განცხადებით აშშ-ში რეცესია უკვე ხდება [7].

კორონავირუსის ფაქტორის გარდა ამერიკის ეკონომიკაზე ძლიერ ნეგატიურ გავლენას ახდენს ნავთობზე ფასების ვარდნა. სააგენტო S&P-ის მთავარი ეკონომისტის აშშ-ის საკითხებზე ენ ბოვინოს პროგნოზით, აშშ-ში მშპ-ის შემცირება პირველ კვარტალში იქნებოდა 1%, თუმცა ვარდნამ ამ პროგნოზს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ნავარაუდევია, რომ მეორე კვარტალი იქნება კიდევ უფრო მძიმე, ვარდნამ შეიძლება 6%-ს მიაღწიოს. ნებისმიერ შემთხვევაში, რეცესიის ამჟამად მიღებული განმარტების თვალსაზრისით (მშპ-ის წლიური ზრდა 1,5%-ზე ნაკლები უნდა იყოს) 2020 წელს აშშ ღრმა რეცესიისათვისაა განწირული [8].

თუმცა ზემოთქმული სულაც არ გამორიცხავს გლობალური ეკონომიკის გაცილებით მკვეთრ ვარდნას. ასეთ შემთხვევაში, მთელ მსოფლიოში წლიური შედეგების მიხედვით დაფიქსირდება კლასიკური რეცესია - მსოფლიო მშპ დაეცემა. ბოლოს კაცობრიობამ კლასიკური რეცესია განიცადა 2009 წელს, როცა მსოფლიო მშპ 0.8%-ით შემცირდა.

რადგანაც მიმდინარე გლობალურ რეცესიას ოფიციალურად უკავშირებენ კორონავირუსის პანდემიას, ჩნდება ლოგიკური კითხვა: ის ბუნებრივად წარმოიშვა თუ მისი წარმოშობა უკავშირდება გავლენიანი ფინანსური ჯგუფების ინტერესებს? თუ ვინ შექმნა და გაავრცელა ის, ერთი შეხედვით, შეუძლებელია მასზე პასუხის გაცემა. სამწუხაროდ, ზოგჯერ ვერ ხედავენ იმას, რაც ხელისგულზე ძევს. მხედველობაში გვაქვს ყველასთვის ხელმისაწვდომი საშუალება - ინტერნეტი. ეს არის ათი წლის წინანდელი დოკუმენტი: Scenarios for the Future of Technology and International Development. The Rockefeller Foundation, Global Business Network. May 2010 („სცენარები მომავალი ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო განვითარებისათვის“) [9].

პირველმა ეს მასალა მოიძია ცნობილმა ანტიგლობალისტმა, ამერიკელმა ეკონომისტმა და პოლიტოლოგმა, პრინსტონის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა უილიამ ენგდალმა. მიმდინარე წლის 10 მარტს მან გამოაქვეყნა სტატია Lock Step, This Is No Futuristic Scenario: Panic and the Post-Pandemic Future? (ნაბიჯის ბლოკირება - ეს არ არის ფუტურისტული სცენარი: პანიკა და პოსტპანდემიური მომავალი?) [10].

ენგდალი აკეთებს სენსაციურ განცხადებას: ჯერ კიდევ ათი წლის წინათ - 2010 წელს მომზადდა სცენარი „პანდემიური პანიკა“, რომელიც დღეს ჩვენს თვალწინ თამაშდება. დოკუმენტი გამოვიდა ორი ორგანიზაციის - როკფელერების ფონდისა და ბიზნესის გლობალური ქსელის წიაღიდან. პირველი ორგანიზაციის პროექტების უმრავლესობა, ასე თუ ისე, მიმართულია ისეთი ამოცანების გადასაწყვეტად, როგორიცაა როკფელერების კლანის გადასახადების ოპტიმაზია (საქველმოქმედო ფონდები თავი-სუფლდება გადასახადებისგან), შობადობაზე კონტროლი, პლანეტის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, დეინდუსტრიალიზაცია („პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე“ გადასვლა) და სხვ.. ამ ამოცანების ნაკრები განსაზღვრა რომის კლუბმა, რომელიც შეიქმნა დევიდ როკფელერის მიერ 1968 წელს და რომელიც მოწოდებულია მიღწეულ იქნეს მსოფლიო ფინანსური ელიტის სანუკვარი მიზანი - სამყაროზე ტოტალური კონტროლი (მსოფლიო მთავრობის შექმნა) [16].

რაც შეეხება ბიზნესის გლობალურ ქსელს, ის დააარსა პიტერ შვარცმა (Peter Schwartz), რომელსაც თვლიან ერთ-ერთ ავტორიტეტულ ამერიკელ ფუტუროლოგად. შვარცი თანამშრომლობდა პენტაგონთან.

მან ამერიკელი სამხედროებისათვის მოამზადა მოხსენება გლობალური კლიმატური ცვლილებების შესახებ (Pentagon Climate Change Report – 2004) [11].

მოკლედ ჩამოვაყალიბოთ დოკუმენტის ძირითადი იდეები, რომელსაც ყურადღება მიაქცია უილიამ ენგდალმა. აქ წარმოდგენილია მსოფლიოს განვითარების ოთხი სცენარი 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდეგ. პირველი მათგანი მთლიანობაში ემთხვევა იმას, რასაც დღეს ვაკვირდებით, ამ სცენარმა მოხსენებაში მიიღო სახელწოდება Lock Step. დანარჩენი სამი სცენარი მოცემულ შემთხვევაში ყურადღებას არ იმსახურებს.

აი ფრაგმენტი მოხსენებიდან: „2012 წელს მოხდა მსხვილი პანდემიის აფეთქება, რომელსაც მსოფლიო ელოდებოდა მრავალი წლის განმავლობაში. H1N1 2009-სგან განსხვავებით (ღორის გრიპის პანდემიის ვირუსი, რომელიც წარმოიშვა 2009 წელს), ეს არის გრიპის ახალი შტამი, რომელიც გავრცელდა გარეული ბატების მიერ და უკიდურესად საშიში გახდა. თვით გარკვეული ქვეყნებიც კი, რომლებიც მოემზადნენ ასეთი პანდემიის გამოსაჩენად, დაავადებით დაზარალდნენ, ხოლო პლანეტის მასშტაბით ვირუსმა დააინფიცირა მოსახლეობის დაახლოებით 20%. 8 მილიონი დაიღუპა ახალი შტამის გამოჩენიდან პირველ 7 თვეში. დაღუპულთა უმრავლესობა - ჯანმრთელი ახალგაზრდა ადამიანებია...“ [12, გვ. 20].

თავდაპირველად ვისაუბროთ იმაზე, რაც არ ემთხვევა სინამდვილეს. პირველი, პანდემია დაიწყო 8 წლით გვიან. მეორე, გადაწყვიტეს ის მიეწერათ არა გარეული ბატებისთვის, არამედ ღამურებისთვის. მესამე, COVID-19 კლავს პირველ რიგში არა ახალგაზრდებსა და ჯანმრთელებს, არამედ ხანდაზმულ და შერყეული ჯანმრთელობის მქონე ადამიანებს.

2010 წელს მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ ის, როგორც ჩანს, დაიხვეწა. კერძოდ, გადაწყდა, რომ ახალგაზრდები და ჯანმრთელები ჯერ კიდევ გამოსადეგია, როგორც იაფი და მაღალკვალიფიური სამუშაო ძალა, ხოლო თავიდან კი მოშორებულ უნდა იქნეს, პირველ რიგში, „ბალასტი“ - ანუ, სუსტები, ავადმყოფები, მოხუცები და ხანდაზმულები. ეს კულისებსმიღმა ძალების მალთუსიანური პოლიტიკის დღევანდელი ვერსიაა, რომელიც ნებისმიერ ფასად ისწრაფვის მოახდინოს დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობის „ოპტიმიზაცია“ 1 მილიარდამდე.

რაც შეეხება რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რომლებიც ნახსენებია მოხსენებაში (კერძოდ, დასნებოვნებულთა და გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობა), ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს (თუ პანდემიის ათვლას დავიწყებთ 2020 წლიდან). სხვათა შორის, დონალდ ტრამპიც ასე ამბობს (თანაც ძალიან დარწმუნებით): პანდემია დასრულდება ივლის-აგვისტოში. შვიდი თვის გასვლის შემდეგ დაიწყებენ „წიწილების დათვლას“. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ზოგიერთმა ექსპერტმა ივარაუდა, რომ Covid-19-მა შეიძლება პლანეტის მოსახლეობის ორიმესამედი მოიცვას. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ კორონავირუსით დაინფიცირდება გერმანიის მოსახლეობის 70%. ვფიქრობთ, ის ამ განცხადების დროს ეყრდნობოდა ოპერაციის ჩატარების იმავე საიდუმლო გრაფიკს, რომელსაც ეყრდნობოდა დონალდ ტრამპი.

მოხსენებაში საუბარია ვირუსის გავლენაზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე. კერძოდ, ეკონომიკაზე: „პანდემიამ ასევე დამანგრეველი ზემოქმედება მოახდინა ეკონომიკაზე: ადამიანებისა და საქონლის საერთაშორისო გადაადგილება შეჩერდა, რამაც გამოიწვია ისეთი დარგის დასუსტება, როგორიცაა ტურიზმი და გაწყვიტა მომარაგების გლობალური ჯაჭვი. თვით ადგილებზეც კი ჩვეულებისამებრ ხმაურიანი მაღაზიები და საოფისე შენობები თვეობით გაჩერებული იყო თანამშრომლებისა და კლიენტების გარეშე“ [12, გვ. 21].

შემდგომ საუბარია იმაზე, რომ ჩვეულებრივ მთვლემარე სახელმწიფო გამოიღვიძებს და დაიწყებს პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლას. და ამის გაკეთებას დაიწყებს უხეშად, დაარღვევს რა ჩვეულებრივ წარმოდგენებს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე: „პანდემიის დროს ეროვნულმა ლიდერებმა მთელს მსოფლიოში გააძლიერეს თავიანთი უფლებამოსილება და დაამყარეს უმკაცრესი წესები და შეზღუდვები - სახეზე ნიღბების სავალდებულო ტარებით დაწყებული და დამთავრებული სხეულის ტემპერატურის შემოწმებით საზოგადოებრივ ადგილებში შესასვლელებთან, როგორიცაა ვაგზლები და სუპერმარკეტები. პანდემიის გასვლის შემდეგაც კი, მოქალაქეებსა და მათ საქმიანობებზე ეს უფრო ავტორიტარული კონტროლი და ზედამხედველობა ძალაში დარჩა და გაძლიერდა კიდეც. იმისათვის, რომ თავი დაიცვას სულ უფრო გლობალური პრობლემის გავრცელებისგან - პანდემიით და ტრანსნაციონალური ტერორიზმით დაწყებული და ეკონოლოგიური კრიზისებითა და მზარდი სიღატაკით დამთავრებული, - ლიდერებმა მთელ მსოფლიოში დაიწყეს უფრო მკაცრი მართვა“ [12. გვ. 22].

ამ 10 წლის წინათ გაკეთებულ აღწერაში, პირველ რიგში, ვხედავთ იმას, თუ რა ხდება დღეს თითქმის ყველა ქვეყანაში გამონაკლისის გარეშე: დამყარებულია ტოტალიტარული კონტროლი, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში თანდაყოლილია საგანგებო მდგომარეობის ფორმალური შემოღებით

(როგორც აშშ-ში), ზოგან კი აღინიშნება ასეთი ფორმალობის გარეშე. მეორე, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ რამდენიმე თვის შემდეგ პანდემია დასრულდება და ყველაფერი უწინდებურად იქნება. მაგრამ, დოკუმენტიდან გამომდინარე, უწინდელ ცხოვრებას ვერ დავუბრუნდებით. გამოცხადებული იქნება, რომ მსოფლიო შედის საშინელი საფრთხის ფაზაში (კლიმატური ცვლილებები, საერთაშორისო ტერორიზმი, ვირუსული პანდემიები, გარემოს დაბინძურება...), ამიტომ, უნდა დავივიწყოთ დემოკრატია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები, რასაც გვასწავლიდნენ ათწლეულების მანძილზე, უნდა დავივიწყოთ ცხოვრების წინანდელი დონე. უსაფრთხოება მსხვერპლს მოითხოვს.

როკფელერების ფონდისა და ბიზნესის გლობალური ქსელის მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ყველაზე წინ პანდემიასთან ბრძოლის საქმეში იქნება ჩინეთი: „ჩინეთის მთავრობის ოპერატიულმა ბრძანებამ და სავალდებულო კარანტინის უზრუნველყოფამ ყველა მოქალაქისათვის, აგრეთვე საზღვრის სრულად მყისიერმა და თითქმის ჰერმეტულმა დახურვამ გადაარჩინა მილიონობით სიცოცხლე, შეაჩერა ვირუსის გავრცელება ბევრად ადრე, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რამაც შესაძლებელი გახადა ბევრად უფრო სწრაფი აღდგენა პანდემიის შემდეგ" [12, გვ. 25].

ერთი სიტყვით, ეს სცენარი სრულ თანხვედრაშია იმასთან, რაც რეალურად ხდება! მართლაც, ჩინეთმა უკვე განაცხადა, რომ მოახდინა პანდემიის გავრცელების კუპირება, რომ კარანტინი ნელნელა იხსნება და წლის შუა პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება სრულად აღდგება. გაერო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები სხვა ქვეყნების მთავრობებს დაჟინებით თხოვენ და რეკომენდაციას აძლევენ, შეისწავლონ ჩინეთის გამოცდილება იმაზე მინიშნებით, რომ ყველაზე მთავარი ამ გამოცდილებაში მკაცრი დისციპლინა, მყარი ხელისუფლება და თითოეულის მაღალი პასუხისმგებლობაა. შენიღბულად კეთდება მინიშნება იმაზე, რომ „ჩინური ჭიანჭველების ბუდე" ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით - ყველაზე სიცოცხლისუნარიანი მოდელია გლობალური გამოწვევების პირობებში. უკვე დღეს, სახელმწიფოს „იდეალურ მოდელზე" წარმოდგენა, რომელსაც ვხედავთ ჯორჯ ორუელის რომანში „1984", უმაღლესი ეშელონიდან ფართოდ ინერგება. ოლდოს ჰაკსლის სიტყვებით, ამგვარ საზოგადოებას შეიძლება ეწოდოს „ახალი საოცარი სამყარო".

„ახალ საოცარ სამყაროში" მოგვიწევს დავივიწყოთ არა მხოლოდ დემოკრატია და ადამიანის უფლებები, არამედ „საბაზრო ეკონომიკაზე" ჩვეულებრივი წარმოდგენებიც კი. დამყარდება უმკაცრესი ზედამხედველობა არა მხოლოდ ადამიანებზე, არამედ საწარმოებზეც: „განვითარებულ ქვეყნებში ამ გაძლიერებულმა ზედამხედველობამ მიიღო სხვადასხვა ფორმა: მაგალითად, ბიომეტრიული იდენტიფიკატორი ყველა მოქალაქისათვის და საკვანძო დარგების უფრო მკაცრი რეგულირება, რომელთა სტაბილურობა ითვლებოდა, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესებისათვის. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში იძულებითმა თანამშრომლობამ ახალი წესებისა და შეთანხმების ნაკრებთან ერთად, ნელა, მაგრამ ურყევად აღადგინა როგორც წესრიგი, ისე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეკონომიკური ზრდა" [12, გვ. 25].

მოხსენების ავტორები, რომელზეც ვსაუბრობთ, ვარაუდობენ, რომ ხელისუფლებებს განსაკუთრებული პრობლემები არ ექნებათ: „თავდაპირველად უფრო მართვადი სამყაროს ცნებამ მიიღო ფართო აღიარება და მოწონება. მოქალაქეებმა ნებით გადასცეს თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილი - და თავიანთი კერძო ცხოვრება - უფრო მეტად პატერნალისტურ სახელმწიფოებს მეტი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის სანაცვლოდ" [12, გვ. 26]. არ გამოვრიცხავთ, რომ ავტორების ასეთი რწმენა აშშ-ის მიერ „საერთაშორისო ტერორიზმის" წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების გათვალისწინებიდან გამომდინარეობდეს. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ამერიკაში მიღებულ იქნა Patriot Act-ი, რამაც მრავალ ამერიკელს ჩამოართვა გარკვეული უფლებები და თავისუფლება და მოქალაქეებიც „გაგებით" მოეკიდნენ ამ ღონისძიებებს.

თუმცა, გაივლის გარკვეული დრო და მოქალაქეებს მობეზრდებათ „დიდი ძმის" მხრიდან მკაცრი კონტროლი. ადამიანები კვლავ მოინდომებენ უფლებებს, თავისუფლებას, კეთილდღეობას. მოხსენების ავტორები გვაფრთხილებენ, რომ საზოგადოების ახალ მოდელზე გადასვლა გამოიწვევს დიდ გადატვირთვებს საზოგადოების ქვედა და ზედა ეშელონებში. ამაზე მინიშნება მოცემულია თვით სცენარის სახელწოდებაში lock Step („ნაბიჯის ბლოკირება"). ახალი მოდელისკენ სვლა, როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, ნიშნავს „უფრო მკაცრ სახელმწიფო კონტროლს ზემოდან ქვემოთ და უფრო ავტორიტარულ ხელმძღვანელობას მოქალაქეების შეზღუდული ინოვაციებითა და მათი მზარდი მოგერიებით".

როგორც ამ მასალიდან ჩანს, კორონავირუსის პანდემიით პროვოცირებული მსოფლიო მასშტაბის ფსიქოზი და რეცესია გლობალური ელიტის მიერ ტოტალური კონტროლის დამყარებისკენ მიმართული გეგმის ნაწილია, რომელიც თავის დროზე ჩამოყალიბდა რომის კლუბის მოხსენებებში. ამ მიზნის მიღწევასთან დაკავშირებული ამოცანების რეალიზაცია ოთხ ეტაპად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

• დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, მისი დაყვანა „ოპტიმალურ“ დონემდე - 1 მილიარდამდე;

• ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია, ანუ ე. წ. „პოსტინდუსტრიული საზოგადოების აშენება“;

• სახელმწიფოთა სუვერენიტეტის სრული ლიკვიდაცია;

• ეროვნული სახელმწიფოების ნანგრევებზე გლობალური მთავრობის შექმნა და მის მიერ პლანეტის მოსახლეობისა და ბუნებრივი რესურსების პირდაპირი და ტოტალური მართვა.

როგორია გლობალური ელიტის ახალი მიზნები, რომელთა შესრულება ინიღბება ე. წ. კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლით? ერთ-ერთი მიზანი ლიბერალიზმის ეპოქის დასასრულია, რომელიც მსოფლიოში ბოლო ათწლეულების მანძილზე ინერგებოდა. ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე საუბრები თანდათანობით მინელდა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ. დრამატული სპექტაკლი სახელწოდებით „ტერორისტების შეტევა საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენებზე ნიუ-იორკში“ ამოსავალ წერტილად იქცა „საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ორგანიზებისათვის აშშ-სა და მთელ მსოფლიოში. პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლით დაწყებული ისტერია მოწოდებულია გაგრძელდეს მანამ, ვიდრე სრულად არ განადგურდება დემოკრატიისა და თავისუფლების ნარჩენები. შექმნილი ფსიქოზი ემსახურება ნებისმიერი მოქალაქის დარწმუნებას იმაში, რომ ის შეიძლება გახდეს კორონავირუსის მატარებელი და მსხვერპლიც კი. საზოგადოების „ინტერესებიდან გამომდინარე“ და მათი „უსაფრთხოების“ უზრუნველყოფის მიზნით ხელისუფლებები უნდა მიმართავდნენ პრეზუმფციულ ღონისძიებებს, რადგანაც ყოველი მოქალაქე თავის თავში ატარებს „მკვლელ“ ვირუსს. მოსახლეობა საბოლოოდ ტოტალური კონტროლის ობიექტი ხდება [13].

გლობალური ფინანსური ელიტის პირველი ნაბიჯი ჯანმრთელობაზე სრული კონტროლის დამყარებაა. ეს შეიძლება განხორციელდეს სავალდებულო რეგულარული ანალიზებისა და ტესტების შემოღებით, ასევე ადამიანებზე ყველა სამედიცინო ინფორმაციის კონსოლიდაციით მონაცემთა ცენტრალიზებულ ბაზაში. ამ ინფორმაციის საფუძველზე მოხდება ადამიანის მიკუთვნება ამა თუ იმ ჯგუფისადმი, ანუ, იმოქმედებს თავისებური ე.წ. სოციალური რეიტინგების სისტემა, რომლის მსგავსიც უკვე დანერგილია და მასობრივად ვრცელდება ჩინეთში.

მეორე, განხორციელდება გადაადგილებაზე კონტროლი. შესაძლებელია შეზღუდვებისა და აკრძალვების შემოღება გადაადგილებაზე არა მხოლოდ საზღვრებზე, არამედ ქვეყნების შიგნითაც კი.

მესამე, მოხდება ადამიანების სხვა ადამიანებთან კონტაქტებზე კონტროლი.

მეოთხე, განხორციელდება ადამიანის ქცევების კონტროლი როგორც სამუშაო, ისე თავისუფალ დროს, დამატებითი ინფორმაციის ჩათვლით იმის შესახებ, თუ რითი იკვებება ადამიანი, რითია გატაცებული, რასთან აქვს შეხება და სხვა.

ადამიანებზე კონტროლის განხორციელების მიზნით აქტიურად იქნება გამოყენებული საყოველთაოდ განთავსებული ვიდეოდაკვირვების კამერები და მიკროფონები. ტრადიციული ტექნიკური ატრიბუტების გარდა დამატებით იქნება გამოყენებული სხვადასხვა გაჯეტები, „გონიერი საგნები“ (ავტომობილები, მაცივრები, სხვა საყოფაცხოვრებო მოწყობილობები და ა. შ.), ტელევიზორები, დრონები, თვით ადამიანების სხეულში შეყვანილი მიკროჩიპები. „კორონავირუსის არგუმენტმა“ მიკროჩიპების ჩანერგვა შეიძლება იძულებითი გახადოს, ხელისუფლებები ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ მოსახლეობის 100 პროცენტი მოცულ იქნეს კონტროლის ამ ტექნიკური საშუალებებით.

ვირუსთან ბრძოლის პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენლად უნდა იქცეს „ეფექტიანი იზოლაცია“. უპირველეს ყოვლისა, საუბარია, ადამიანის ნებაყოფლობით თვითიზოლაციაზე, საზოგადოების ყოველი შეგნებული წევრი უნდა დაიმალოს თავის თავშესაფარში. მეორე, გამოიყენება იძულებითი იზოლაცია ანუ იძულებითი კარანტინი. მესამე, კარანტინის დამრღვევთა იძულებითი იზოლაცია. ციხე გახდება საუკეთესო სკოლა მათთვის, რომლებსაც არ სურთ საგანგებო მდგომარეობის კანონებით ცხოვრება. ნორმად იქცევა საერთაშორისო იზოლაცია. ქვეყანაში ჩამოსვლა და ქვეყნიდან გასვლა მკაცრად შეიზღუდება, შესაძლოა, იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე ეს ხდებოდა საბჭოთა კავშირში.

გამოჩნდება ვირუსული პანდემიის პროფილაქტიკაც, რომელიც მოიცავს ორ ძირითად ეტაპს.

პირველი, ახალგაზრდობა აქტიურად დაიწყებს „უსაფრთხო ცხოვრებისეული საქმიანობების საფუძვლების“ სწავლას. მაღალი ალბათობით მიმდინარე პანდემია-ისტერიის შემდეგ „უსაფრთხო ცხოვრებისეული საქმიანობის საფუძვლები“ გახდება მთავარი საგანი, რის გამოც შემცირდება მშობლიური ენის, ლიტერატურის, მათემატიკის და სხვა საგნების სწავლება. მოსწავლეებს მოუყვებიან ვირუსებზე, ასწავლიან პანდემიის მსოფლიო ისტორიას, ჩაუნერგავენ გარემოსგან იზოლაციის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

მეორე, პროფილაქტიკის მიზნით გამოყენებული იქნება ვაქცინები და აცრები. ჩვენი საზოგადოების უფროსი თაობის გაგებით აცრები ნებაყოფლობითია, მაგრამ კორონავირუსის ეპოქის საზოგადოებაში კი ის სავალდებულო გახდება.

როგორც ცნობილია, ვაქცინების შექმნა და წარმოება ამჟამად გლობალური ელიტის კონტროლს ექვემდებარება. ცნობილია აგრეთვე, რომ ვაქცინები და აცრები მუშავდება ლაბორატორიებში, რომლებიც იმყოფება ამერიკელი მილიარდერის, კორპორაცია „მაიკროსოფტის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ბილ გეითსისა და მისი მეუღლის - მელინდა გეითსის პატრონაჟის ქვეშ და მათივე ფონდით ფინანსდება. მილიარდერი ბილ გეითსი დღეისათვის უკვე თითქმის არ ასოცირდება კომპიუტერულ ბიზნესთან. ის უკვე გვევლინება, როგორც „საზოგადოებრივი მოღვაწე“, რომელიც „შეწუხებულია პლანეტის მოსახლეობის ჯანმრთელობით“ და იმით, რომ ადამიანები პლანეტაზე ძალიან ბევრია. ჯერ კიდევ შარშანწინ გამოჩნდა მასალები იმის შესახებ, რომ „ბილ გეითსი აფინანსებს მსოფლიოში ახალი პანდემიის შესაძლებლობას“ [14]. პლანეტის მოსახლეობის „ოქროს“ ერთ მილიარდამდე შესამცირებლად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს არა კორონავირუსი, არამედ მისი „საწინააღმდეგო“ ვაქცინა.

ინტერნეტით ხელმისაწვდომი ცნობებით, გლობალური ელიტა ადრე ფსონს ჩამოდიოდა სელექციური მოქმედების ვირუსებზე, რაღაც ეთნიკური იაღარის მსგავსზე, რომელიც კლავდა „უცხოს“ და გვერდს უვლიდა „თავისიანს“. ვირუსზე, როგორც „არასასურველ“ ადამიანთა განადგურების საშუალებაზე დიდი ხანია ოცნებობს პრინცი ფილიპი (იგივე ედინბურგის ჰერცოგი). ეს გახლავთ დიდი ბრიტანეთის დედოფლის მეუღლე, რომელსაც 2020 წელს უსრულდება 99 წელი, რომელიც ცნობილია, როგორც ე.წ. მწვანე ფაშიზმის თავგამოდებული დამცველი. პრინცს ძალიან უყვარს ველური ბუნება და საყვედურობს კაცობრიობას, რომელიც, მისი აზრით, საფრთხეს უქმნის ამ ბუნებას. 1981-1996 წლებში პრინცი იკავებდა ბუნების დაცვის (ველური ბუნების) მსოფლიო ფონდის (WWF) პრეზიდენტის პოსტს. მან წიგნიც კი დაწერა, სადაც აღიარა, რომ მორიგი „რეინკარნაციის“ მსვლელობისას (ბრიტანელ პრინცს ამისი ძალიან სჯერა) მას სურს გადაიქცეს მკვლელ ვირუსად, რომელიც გაანადგურებს დედამიწის მოსახლეობის დიდ ნაწილს. ბუნებრივია, პრინცმა ზუსტად იცის, თუ ვინაა „არასასურველი“ და ვინ უნდა მოსპოს. თუმცა არსებობს ძალიან მაღალი რისკი იმისა, რომ მკვლელი ვირუსი შეიძლება ბუმერანგივით დაუბრუნდება მათ, რომლებსაც ასე ძალიან უყვართ „ველური ბუნება“ და არ უყვართ „ველური“ კაცობრიობა [15].

რასაკვირველია, პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ კორონავირუსი თითქოს კაცობრიობის რაოდენობის მკვეთრად შემცირებისთვის იყოს გამოგონებული, არ არსებობს. თუმცა არსებობს ეჭვი იმისა, რომ ამ ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა უკვე არსებობს და მალე „პანაცეად“ მოევლინება კაცობრიობას. მან უნდა მოსპოს კიდეც „ზედმეტი“ შვიდი მილიარდი ადამიანი, რომლის მერე პლანეტაზე დარჩება რომის კლუბის ბრძენთა მიერ გამოთვლილი „ოპტიმალური მილიარდი“.

ამის შემდეგ უნდა დადგეს მსოფლიო ისტორიის ბოლოსწინა აქტის დამაგვირგვინებელი სცენა. სახელმწიფო საზღვრები, რომლებიც სუვერენიტეტისა და იზოლაციონიზმის ილუზიას ქმნის, მალევე წაიშლება. კაცობრიობის ისტორიის სცენაზე გამოჩნდება მსოფლიო მთავრობა, რომელსაც დაექვემდებარება კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით შექმნილი მსოფლიო საპყრობილე მრავალრიცხოვანი კორპუსებითა და პალატებით. ამგვარად შექმნილი ახალი მსოფლიო წესრიგი იმაზე უფრო „სრულყოფილი“ იქნება, ვიდრე ის, რომელიც დაგვიხატა ჯორჯ ორუელმა ანტიუტოპიაში „1984“.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ეს იქნება ბოლოსწინა აქტი. ამის მიზეზი ისაა, რომ „მსოფლიო ისტორიის“ სახელით ცნობილი სპექტაკლის ბოლო აქტი იქნება ანტიქრისტეს მოსვლა, რომელიც დაჯდება მსოფლიო მთავრობის მეთაურის სავარძელში და მოითხოვს, რომ მსოფლიომ თაყვანი სცეს მას, როგორც ღმერთს. ბოლო აქტის ტრაგიკული სცენები წარმოდგენილია წმინდა წერილის, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების (აპოკალიპსისის) ბოლო წიგნში.

ანტიუტოპიის სულისკვეთებით დაწერილმა ამ ესსემ შეიძლება დაგვარფთხოს, მაგრამ ანტიუტოპიის დანიშნულება ჩვენი გაფრთხილებაა და არა დაფრთხობა და უიმედობის დანერგვა. ანტიუტოპია ისტორიის განვითარების შესაძლო ვარიანტებიდან ყველაზე უარესია და ამიტომ, ვალდებულნი ვართ ის მხედველობიდან არ გამოგვრჩეს.

დასასრულ, ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ მოხსენება და სცენარი Lock Step გამოჩნდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი 2007-2009 წლების ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ხანძარი. ფულის გამგებლებმა გაიგეს, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი ასეთ ახალ კრიზისებს ვერ გადაიტანდა და შესაბამისად, საჭირო იყო მსოფლიოს ფორსირებული გარდაქმნის დაწყება პოსტკაპიტალისტური მოდელის საფუძველზე. გასული წლის ბოლოსათვის გამოჩნდა ნიშნები იმისა, რომ ახალი მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი შეიძლება დღედღეზე დაწყებულიყო. ამიტომ, ამ გარდაუვალი კრიზის

შესანიღბავად და სასურველი მიმართულებით წარმართვის მიზნით დაიწყო სპეცოპერაცია Lock Step, ანუ, იგივე COVID-19.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. https://usdebtclock.org/
2. https://www.fondsk.ru/news/2020/03/20/mirovaja-ekonomicheskaja-recessia-pod-prikrytiem-pandemii-50400.html
3. https://www.fondsk.ru/news/2020/03/20/mirovaja-ekonomicheskaja-recessia-pod-prikrytiem-pandemii-50400.html
4. https://www.fondsk.ru/news/2020/03/15/koronavirus-pravilno-ocenit-masshtaby-ugrozy-50362.html
5. https://tradingeconomics.com/country-list/interest-rate
6. https://www.bloomberg.com/news/articles/2020-03-17/morgan-stanley-economists-say-global-recession-now-base-case
7. https://economictimes.indiatimes.com/markets/stocks/news/morgan-stanley-goldman-declare-global-recession-is-under-way/articleshow/74679639.cms?from=mdr
8. https://www.finanz.ru/novosti/aktsii/mirovaya-ekonomika-skatilas-v-recessiyu-vpervye-za-11-let-1029007515[1]
9. http://www.nommeraadio.ee/meedia/pdf/RRS/Rockefeller%20Foundation.pdf
10. https://www.globalresearch.ca/lock-step-no-futuristic-scenario/5705972
11. https://en.wikipedia.org/wiki/Peter_Schwartz_(futurist)
12. Scenarios for the Future of Technology and International Development. The Rockefeller foundation. GBN Global Business Network, a member of the Monitor Group.
13. https://www.fondsk.ru/news/2020/03/21/koronavirus-rodilsja-ne-v-kitae-a-v-soznanii-besnovatyh-hozjaev-deneg-50408.html
14. https://www.youtube.com/watch?v=zQDPM9_EZow
15. https://reosh.ru/valentin-katasonov-predposlednij-akt-mirovoj-istorii-ili-pod-flagom-borby-s-koronavirusom-esse-v-duxe-antiutopii.html
16. http://williamengdahl.com/englishNEO10Mar2020.php



***Malkhaz Chikobava***


**CORONAVIRUS - NATURAL PANDEMIC OR GLOBAL SPECIAL OPERATION**

**Summary**


The article analyzes the possible causes of the outbreak of the coronavirus pandemic and its impact on the global economy. For this purpose we consider an article by William Engdahl, the famous anti-globalists American economist and political scientist at Princeton University, which was published on March 10 this year under the title "Lock step, it is not a futuristic scenario": Panic and post-pandemic future?”.

This article shows that ten years ago, in 2010, the scenario “Pandemic Panic” was prepared, which is being played out in front of us today. The document came from two organizations - the Rockefeller Foundation and the Global Business Network. The creation of the latter organization is associated with Peter Schwartz, who is considered one of the most respected American futurologists.

It was Schwartz who developed four scenarios for the development of the world in a report for 2010 after the global financial and economic crisis of 2007-2009. One of the scenarios, which in the report was called Lock Step, completely coincides with the events taking place currently in the world.

It is noteworthy that the “Lock Step” appeared when the fire of the financial and economic crisis of 2007-2009 was not yet extinguished. It seems that, according to the calculations of the world financial elite, world capitalism will not be able to withstand such crises of 2007-2009, and therefore it is necessary to begin the forced transformation of the world on the basis of the post-capitalist model. In our opinion, this was precisely the reason for preparing for such a transformation.

Indeed, by the end of last year, there were clear signs of a much more dramatic crisis than the global financial and economic crisis of 2007-2009. Therefore, in order to give the desired direction to this inevitable crisis, the world financial elite launched a special operation called Lock Step, the same COVID-19, which is one of the most important steps towards the establishment of a new world order.



***Key words:*** Coronavirus, Pandemic, COVID-19, Lock Step, Global financial and economic crisis, New world order.

## ეკონომიკური თეორიისა და
## საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სექცია

*Кристине (Кетеван) Курaташвили*

# ЭКОНОМИЧЕСКОЕ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО И РОЛЬ КУЛЬТУРЫ В ЗАЩИТЕ ПРАВ И ИНТЕРЕСОВ ЧЕЛОВЕКА

***Аннотация.*** *В научном труде рассматривается экономическое законодательство, с учётом необходимости защиты прав, свобод и социально-экономических интересов каждого человека.*

*В экономическом законодательстве, как и в законодательстве, вообще, должна быть предусмотрена также ответственность каждого человека за результаты его деятельности.*

*Следовательно, наряду с правами, ответственность за результаты своей деятельности – с учётом наличия у должностных лиц намного более значительных прав, должны нести, прежде всего, должностные лица в соответствии с правовыми механизмами, разработанными на основе Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц.*

*Что касается непосредственно экономического законодательства, то для подчинения экономической деятельности защите прав, свобод и социально-экономических интересов человека, принципиальная роль должна принадлежать культуре, и, в частности, правовой культуре.*

*В связи с ролью правовой культуры, которая должна быть отражена в экономическом законодательстве, ибо правовая культура является важной составной частью культуры в широком понимании, необходимо отметить особую роль морально-правовой культуры.*

*Считаю важным учесть, что в современном мире, в связи с необходимостью совершенствования государственного управления с целью достижения высокого качества жизни народа, особое значение приобретает именно повышение морально-правовой культуры, которая должна быть отражена в законодательстве, вообще, и, том числе, в экономическом законодательстве, ибо в условиях функционирования аморального законодательства, невозможно защитить права, свободы и социально-экономические интересы человека.*

***Ключевые слова:*** *Экономическое законодательство; Культура; Правовая культура; Морально-правовая культура; Защита прав и социально-экономических интересов человека; Качество жизни.*

## Введение

***Постановка проблемы.*** Исследование проблемы экономического законодательства и роли культуры, с учётом необходимости защиты прав, свобод и социально-экономических интересов каждого человека, имеет большое значение для науки и практики.

Притом, особенно важным представляется исследование роли правовой культуры, и, в частности, морально-правовой культуры, ибо в условиях функционирования аморального законодательства, невозможно защитить права, свободы и социально-экономические интересы человека.

Именно вышеотмеченным определяется актуальность данной темы исследования.

***Анализ последних исследований.*** Научный анализ научных исследований показывает, что почти не встречаются научные исследования, посвященные проблеме экономического законодательства и роли культуры, с учётом необходимости защиты прав, свобод и социально-экономических интересов каждого человека, несмотря на безусловное значение данной проблемы.

***Цель и задачи исследования.*** Целью данного исследования является внедрение предложенного мной фактора культуры, и, в частности, морально-правовой культуры в экономическое законодательство для защиты прав, свобод и социально-экономических интересов каждого человека.

**Задачей же данного исследования** является научное обоснование необходимости внедрения предложенного мной фактора культуры, и, в частности, морально-правовой культуры в экономическое законодательство для защиты прав, свобод и социально-экономических интересов каждого человека.

***Научная новизна.*** Главной новизной научного исследования является рассмотрение предложенного мной фактора культуры, и, в частности, морально-правовой культуры, в качестве необходимой составной части экономического законодательства для защиты прав, свобод и социально-экономических интересов каждого человека.

## Изложение основного материала

**Для эффективного функционирования экономики, общества и государства в интересах человека –** ***в интересах народа,*** **особое значение имеет экономическое законодательство, в котором должна быть предусмотрена необходимость защиты прав, свобод и социально-экономических интересов каждого человека, а также должна быть предусмотрена ответственность каждого человека за результаты его деятельности.**

Притом, *не только в соответствии с экономическим законодательством, а в соответствии с законодательством вообще,* **наряду с правами, ответственность за результаты своей деятельности** – *с учётом наличия у должностных лиц намного более значительных прав,* **должны нести,** *прежде всего,* **должностные лица в соответствии с правовыми механизмами, разработанными на основе** созданной профессором Альфредом Курaташвили **– Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц** [1; и др.].

**Что касается непосредственно экономического законодательства, то** для подчинения экономической деятельности защите прав, свобод и социально-экономических интересов человека, **принципиальная роль должна принадлежать культуре,** *и, в частности,* **правовой культуре.**

**В связи с ролью правовой культуры,** *которвя должна быть отражена в экономическом законодательстве, ибо правовая культура является важной составной частью культуры в широком понимании,* **необходимо отметить особую роль морально-правовой культуры**

Считаю важным учесть, что в современном мире, **в связи с необходимостью совершенствования государственного управления с целью достижения высокого качества жизни народа, особое значение приобретает именно повышение морально-правовой культуры.**

Вместе стем, **особое значение приобретает повышение морально-правовой культуры не только отдельных людей, но и всего населения в обществе и в государстве, а для этого необходимо, чтобы в экономическом аконодательстве были предусмотрены требования морали с тем, чтобы отдельные законы или другие правовые акты не могли быть использованы для ущемления прав, свобод и интересов человека, что, *безусловно,* носило бы аморальный характер.**

Вышеотмеченное исходит из того, что **правовая культура без соответствующей морали, т.е. аморальная правовая «культура», противоречит самой культуре, противоречит интересам человека, интересам функционирования общества и государства, ибо без морально-правовой культуры не может быть достигнуто высокое качество жизни людей.**

В связи с культурой, и, *в том числе,* **в связи с правовой культурой,** я ранее отмечала, что **«образование – как культура, наука – как культура, а также правовая культура и управленческая культура представляются мне как фактор культуры – как преимущественно непосредственно действующий фактор, тогда как художественная культура мне представляется в качестве преимущественно опосредованно действующего фактора модернизации государственного управления»** [2, с. 146].

Притом, **для защиты прав, свобод и интересов человека, для достижения высокого качества жизни народа, необходим комплексный подход к проблеме культуры, включающий правовую культуру, учитывающую и подразумевающую её моральный характер.**

Что касается необходимости комплексного подхода к проблеме культуры, то по данной проблеме мной ранее отмечалось следующее:

**«Эффективное решение социально-экономических проблем общества и государства, *а, следовательно,* и достижение высокого качества жизни народа, требует особого отношения к проблемам культуры.**

**Вышеотмеченное обусловлено и обосновывается мной тем, что без инновационного – творческого – подхода к проблемам культуры, без комплексного развития культуры, невозможно эффективное решение социально-экономических проблем и достижение высокого качества жизни народа»** [3, с. 73].

В связи с необходимостью повышения качества жизни народа и особой значимостью инноваций и морально-правовой культуры в его достижении, принципиально важно обратить внимание также на следующее:

**«Повышение качества жизни людей является** (обязательно должно быть) **концентрированным показателем – критерием – решения социально-экономических проблем в обществе и в государстве, ибо не подлежит** (и не может подлежать) **сомнению, что без инноваций, без инновационного подхода к управлению государством, без принципиально новых идей, без творчества и правового обеспечения внедрения его результатов, невозможно эффективное решение социально-экономических проблем, а значит, невозможна эффективная реализация интересов народа.**

**Вместе с тем, инновационный подход вообще, и, в частности, инновационный подход к решению социально-экономических проблем, немыслим без творчества вообще, без научного творчества, а следовательно, немыслим без культуры»** [4, с. 62].

Следовательно, **творческое развитие культуры, и,** *в частности,* **эффективное использование морально-правовой культуры, является необходимой и принципиально важной основой защиты прав, свобод и интересов человека.**

Именно на основе морально-правовой культуры должна быть обеспечена справедливость в обществе и в государстве, должно быть обеспечено равноправие всех людей перед законом, без чего не могут быть защищены права, свободы и социально-экономические интересы каждого человека, *а значит,* не может быть и морально-правовой культуры в её истинном понимании.

Притом, **морально-правовая культура, *исходя из интересов человека,* должна быть отражена в законодательстве вообще,** *и, в том числе,* **в экономическом законодательстве, ибо,** *в противном случае,* **законодательство по своему содержанию будет носить противозаконный характер, что недопустимо и преступно.**

## Заключение

Исходя из всего вышеизложенного, логически следует, что для эффективного функционирования экономики, общества и государства в интересах человека – *в интересах народа,* **особое значение имеет экономическое законодательство, в котором должна быть предусмотрена необходимость защиты прав, свобод и социально-экономических интересов каждого человека, а также должна быть предусмотрена ответственность каждого человека за результаты его деятельности.**

Притом, **в экономическом законодательстве, так же, как и в законодательстве, вообще, принципиальная роль должна принадлежать культуре,** ***и, в частности,*** **правовой культуре.**

В связи с ролью правовой культуры, необходимо отметить, что **особая роль должна принаждежать морально-правовой культуре для защиты прав, свобод и социально-экономических интересов каждого человека и для повышения качества жизни народа.**

## Использованная литература


**1. Кураташвили Альфред А.** (2003). Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц. *Принципиально новое научное направление – необходимая научная основа защиты интересов человека и социально-экономического прогресса* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс». – 256 с.

**2. Кураташвили Кетеван А.** (2014). Культура – как важнейший фактор модернизации государственного управления. «Модернизационные процессы государственного и муниципального управления». Материалы Международной научно-практической конференции (4 апреля 2014 года). Часть Вторая. Академия муниципального управления (Киев, Украина). Киев: Издательско-полиграфический центр Академии муниципального управления, в 2-х частях. Ч. 2. – с. 146-147.

**3. Кураташвили Кетеван А.** (2017). Инновационный подход к решению социально-экономических проблем: Культура и качество жизни. Международный научный журнал «Прогресс», 2017, №5-6. Международная Академия социально-экономических наук. Тбилиси: Международное издательство «Прогресс». – с. 71-74.

**4. Кураташвили Кетеван А.** (2018). Иновации – как проявление научного творчества в духовной культуре и конкурентоспособность экономики. Теоретические и прикладные вопросы экономики. Сборник научных трудов. Выпуск 2 (37) (Под общ. Ред. проф. Еханурова Ю.И., проф.Филюк Г.М.). Киевский национальный университет имени Тараса Шевченко. (Киев, Украина). – К.: ТОВ «ЦП «КОМПРИНТ». – с. 62-70.



***Qristine (Ketevan) Kuratashvili***


## ECONOMIC LEGISLATION AND THE ROLE OF CULTURE IN PROTECTION OF RIGHTS AND INTERESTS OF PERSON

### Summary


The scientific work examines economic legislation, taking into account the need to protect the rights, freedoms and social-economic interests of each person.

Economic legislation, as well as legislation, in general, should also provide for the responsibility of each person for the results of his activities.

Therefore, along with rights, responsibility for the results of their activities – taking into account the presence of officials with much more significant rights, should be borne, first of all, by officials in accordance with legal mechanisms developed on the basis of the Theory of balance of the rights and responsibility of officials.

As for the economic legislation directly, in order to subordinate economic activity to the protection of human rights, freedoms and social-economic interests of person, the fundamental role should belong to culture, and, in particular, legal culture.

In connection with the role of legal culture, which should be reflected in economic legislation, because legal culture is an important component of culture in a broad sense, it is necessary to note the special role of moral- legal culture.

I consider it important to take into account that in the modern world, in connection with the need to improve state management in order to achieve a high quality of life for the people, it is of particular importance to increase the moral- legal culture, which should be reflected in the legislation, in general, and, in particular, in the economic legislation, because in the conditions of functioning of immoral legislation, it is impossible to protect human rights, freedoms and social-economic interests.

*გელა ლობჯანიძე*

# გლობალური სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების აქტუალური რელიგიური ასპექტები

***ანოტაცია.*** *მსოფლიოს მიმდინარე აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში განსაკუთრებით ნიშანდობლივია გლობალიზაცია როგორც მრავალწახნაგოვანი კატეგორია, რომელიც აჩქარებს ადამიანებს, ასევე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გაფართოებას, ერთიანი (გლობალური) საინფორმაციო სივრცის, კაპიტალის, საქონლის, სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრის ფორმირებას, ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ინტერნაციონალიზაციას, იწვევს მდგრადი განვითარების კონცეფციის (ფილოსოფიის) პრაქტიკულად ამოქმედებას. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია თანამდევი მიმდინარე გლობალური კრიზისების მიზეზების და შედეგების არსებითი და ფუნდამენტური რელიგიური ფაქტორის ასპექტების შესწავლა და კვლევა, რომელსაც არასდროს დაუკარგავს განმსაზღვრელი და მარეგულირებელი ფუნქცია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით.*

***საკვანძო სიტყვები:*** *გლობალიზაცია, გლობალური კრიზისები, რელიგია, მეცნიერება, სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება.*

## შესავალი

გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც ეროვნული საზღვრები იშლება, მსოფლიო მიდის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ენობრივი ერთიანობისაკენ და, ბუნებრივია, ასეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი განსაკუთრებულად საყურადღებოა მრავალი თვალსაზრისით.

თანამედროვე მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ერთმანეთისაგან იზოლირებულად არსებობა. გლობალიზაცია ქმნის ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების, ერების ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობისათვის. ამასთანავე, დასავლეთის გლობალისტთა მცდელობა, გაავრცელონ თავიანთი ფასეულობანი მთელი მსოფლიო მასშტაბით, საყოველთაოდ დაამკვიდრონ აზრი, რომ თითქოსდა დასავლური ცივილიზაცია და კულტურა უნივერსალურია და ყველასათვის მისაღები, შეინარჩუნონ სამხედრო უპირატესობა და დაამკვიდრონ საკუთარი ეკონომიკური ინტერესები, აწყდება სავსებით სამართლიან წინააღმდეგობებს სხვა ქვეყნებისა თუ ცივილიზაციების მხრიდან სხვადსხვა გლობალური კრიზისების სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გლობალიზაცია არის არა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიები, მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვართა დანერგვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არამედ ახალი მწვავე პრობლემები სულიერი კულტურის სფეროში, რაც ახლებურად აყენებს დღის წესრიგში კაცობრიობის მომავალი ბედის საკითხს – ადამიანის, ინდივიდის, პიროვნების და, საბოლოო ჯამში, ეროვნული ცნობიერების, კულტურებისა და, საერთოდ, ერების თვითმყოფადობის პრობლემას.

* * *

მსოფლიო ყოვლისმომცველი გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების შეფასებისას მნიშვნელოვანია მოვლენათა განვითარების გათვალისწინება ორი საპირისპირო მიმართულებით. მართალია, გლობალიზაცია, ერთი მხრივ, აჩქარებს ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უწყობს მშვიდობის, დემოკრატიის განვითარებას და მთელი კაცობრიობის გაერთიანების გამყარებას, სადაც ვაჭრობა და ახალი ტექნოლოგიები, ფინანსური კაპიტალი, ინფორმაცია და ა.შ., ხელს უწყობს მრავალი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის დაახლოებას; ანუ გლობალიზაციას, მისი მართებული, რეგულირებადი წარმართვის შემთხვევაში, შეუძლია მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები მოუტანოს მსოფლიოს ხალხებს. თუმცა, მეორე მხრივ, გლობალიზაციას, ტრანსნაციონალურ ეკონომიკას თან სდევს უმუშევრობის ზრდა, ინფლაცია, საზოგადოების სოციალური პოლარიზაციის პროცესის გაძლიერება, სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვრების რღვევა და მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა კრიზისებს; ანუ, გლობალიზაციას, მისი არამართებული და ქაოსური მიმდინარეობისა და განვითარების შემთხვევაში, შეუძლია ძალზე სერიოზული პრობლემები შეუქმნას კაცობრიობას. გლობალიზებულ სამყაროში დემოკრატიის უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმთავრესი სიძნელეა XXI საუკუნის უსაფრთხოების მშენებლობაში და გარანტი გლობალიზაციისაგან დადებითი შედეგების მიღებისა.

მართალია, დღეს მთელი მსოფლიო გახდა გლობალური, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დიდმა ქვეყნებმა უნდა შთანთქას მცირე ქვეყნების კულტურული, სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი, რათა შეიქმნას ერთიანი და უსახო კულტურა. როგორც ცნობილია, მცირე ერების სულიერი და ეროვნული ფასეულობანი, მათი მრავალფეროვნება ამდიდრებს მსოფლიოს და გამორიცხავს კონფლიქტს და დაპირისპირებას, თუმცა, ამავე დროს, საჭიროა ჩამოყალიბდეს საკაცობრიო ღირებულებათა ზნეობრივი ღერძი, რომელიც ხელს შეუწყობს ცივილიზაციათა შორის დიალოგს.

აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლობისათვის დემოკრატიული საზოგადოების პრინციპები სრულიად მისაღებია და ადამიანთა თანასწორობის იდეა ქრისტიანობის კუთვნილებაა. ის ფასეულობანი, რომლებიც პატივს მიაგებს ადამიანის თავისუფლებას, ხელს უწყობს სამართლებრივი სახელმწიფოს შენებას და აღიარებს სახელმწიფოსა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას. ნამდვილი კოსმოპოლიტიზმი და ინტერნაციონალიზმი სრულებითაც არ გამორიცხავს პატრიოტიზმს – საკუთარი ერის, როგორც ისტორიულ-კულტურული ერთობის სიყვარულსა და მისთვის თავდადებას.

ეკონომიკური გლობალიზაციის ჩარჩოებში ყურადსაღებია პროფესორ იაკობ მესხიას დამაკვალიანებელი მსჯელობა რელიგიურ უსაფრთხოებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ,,კაცობრიობის ხსნის ძირითად მიმართულებად მიჩნეულია მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის გაღრმავება და ერთიანი მსოფლიო მმართველობის შექმნა“, – როდესაც შესაბამისი მოდელის ძირითადი მიზანია ერთპოლუსიანი სამყაროს შექმნა, რომლისაგან რელიგია, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სოციალური ფენომენი, განზე ვერ დადგება იმ პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებისაგან, რომელიც აშფოთებს საზოგადოებას და არ შეუძლია ბრმად მიჰყვეს პროცესებს, რომლის დროს ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებით ხდება სულიერი სივრცის ნეგატიური ტრანსფორმაცია და ინტეგრირება [მესხია ი., 2004: 110].

აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის სტატიაში [ფრანგიშვილი ი., 2005: 133] რელიგიის ყოველ საკვანძო კითხვებზე დამამშვიდებელი პასუხი გაცემულია იმ დონეზე, რომ მათი ფილოსოფიური ახსნა სარწმუნოა. თუმცა, აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი აღნიშნულ სტატიაში ერთპოლუსიან გლობალიზაციაზე მსჯელობას არ ითვალისწინებდა. ეს სხვა თემაა, მაგრამ განხილვას მაინც მოითხოვს ის, რომ რელიგიური თვალსაზრისით ეკონომიკური გლობალიზაცია შეიძლება წინააღმდეგობრივი იყოს, მაშინ როდესაც გლობალიზაცია ისედაც დამახასიათებელია რელიგიის გავრცელებასთან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნავს, რომ „გლობალიზაცია არის გარდაუვალი მოვლენა და იგი უკავშირდება მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო გახდა გლობალური. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდმა ქვეყნებმა უნდა შთანთქან მცირე ქვეყნების კულტურული, სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი, რათა შეიქმნას ერთიანი და უსახო კულტურა“; ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ ამ პროცესის ცალსახა შეფასება შეუძლებელია, აუცილებელია გარკვეული საკითხების სპეციფიკის გათვალისწინებაც: „როცა ცივილიზაციათა შორის დიალოგის შესახებ ვსაუბრობთ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ არა მარტო კულტურათა შორის დიალოგს, არამედ რელიგიებს შორის დიალოგსაც. ოღონდ ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ამ დიალოგის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევეხოთ დოგმატიკას, ჩვენს მრწამსს, რელიგიის არსს. რადგან თუკი დავიწყებთ კამათს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის რელიგია, მაშინვე აღიმართება კედელი უშუალოდ ჩვენს შორის, რამაც შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს. ამიტომ ამგვარი საუბრე-ბის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო“ [უწმინდესისა და უნეტარესი, სრულიად საქა-რთველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, წიგნი II, 1997: 468 და წიგნი III, 2008: გვ. 576].

თანამედროვე ეკონომიკურ და საქმიან ურთიერთობებში მნიშვნელოვანია კორპორაციები ყველა დონეზე მორალური ნორმებიდან გამომდინარე იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რადგან ზნეობრივ ნორმებს დაქვემდებარებული პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა არის ორგანიზაციის წარმატების საწინდარი. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში პიროვნების სწორი არჩევანის მოთხოვნები და მოქმედების შედეგები საზოგადოებაში დადგენილი წესების შესაბამისობასთან მოყვანით, ჭეშმარიტად ასახულია ბიბლიაში, რელიგიურ-ეთიკურ კულტურასა და ქრისტიანულ-ფილოსოფიურ ნორმებში.

ამიტომაც, ბიზნესის წარმოებისა და მისი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის უმთავრესი და მნიშვნელოვანია ქრისტიანული ეთიკისა და მორალის ნორმების დაცვა. ადამიანის პიროვნულობიდან გამომდინარე, ეს მორალი უნდა ჩამოყალიბდეს როგორც შინაგანი მოთხოვნილება მისი განვითარების ყველა საფეხურზე.

მართლმადიდებელი ეკლესიის როლი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან სახელმწიფოებრიობის შემაკავშირებელი სწორედ დედაეკლესია იყო, არის და იქნება; იგი გვასწავლის, რომ ნებისმიერი

პრობლემის წარმოშობის მიზეზი ცალკეული ადამიანის და მთელი კაცობრიობის სულიერ დეგრადაციასა და ცოდვების გამრავლებაში უნდა ვეძებოთ. ხოლო პრობლემის გადაჭრის საწყისიც და საფუძველიც მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზეზის აღმოფხვრის, ანუ სულიერების აღორძინების საფუძველზე არის შესაძლებელი. ეკლესია იღწვის იმისათვის, რომ ყოველ ინდივიდს, ერს, სახელმწიფოს და კაცობრიობას დაანახოს პრობლემის რეალური მიზეზები და დაუსახოს უკრიზისო, მშვიდობიანი, მდგრადი და ჭეშმარიტი, ღვთივსულიერი ჰარმონიული განვითარების გზები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია საუკუნეების მანძილზე არის ერთი და განუმეორებელი ჭეშმარიტი ეკლესია, რომლის დამფუძნებელიც არის ქრისტე. იგი უცვლელად ინახავს მის მოძღვრებას და ფლობს ცოდნასა და მადლს. ეკლესია არის შეუმცდარი და წმიდა, ვინაიდან იგი არის სხეული ქრისტესი და თავი მისი თავად უფალია. დედაეკლესიის მოძღვრება, რომელიც მსოფლიო კრებებზე ჩამოყალიბდა, ვერ მიიღებს ვერანაირ შესწორებას. ყოველი შემდგომი განმარტება, სახარებისეული ჭეშმარიტების ორლესული მახვილით უნდა იქნეს შემოწმებული და ამასთანავე, მსოფლიო კრებათა დადგენილებებზე დაფუძნებული“... [ზურკაძე ვ..., 2004: 96].

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ტრანს-ნაციონალურ კომპანიებსა და მსოფლიო ფინანსურ ცენტრებს, რომლებიც შეთანხმებული მოქმედებით, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიური მონაწილეობითა და მისი განვითარების ხელშეწყობით, ქმნიან რა საკუთარ საერთშორისო საწარმოო კომპლექსებს, იძენენ სხვა ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურებში დამკვიდრების დამატებით შესაძლებლობებს. მათ შეუძლიათ თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ ამ ქვეყნების ბუნებრივი, საწარმოო, ტექნოლოგიური, შრომითი რესურსები და საზღვარგარეთ უკვე არსებულ ვიწროსპეციალიზებულ საწარმოთა ბაზაზე გააღრმაონ შრომის შიდასაფირმო დანაწილება. მაღალგანვითარებული ქვეყნები, ტრანსნაციონალური კაპიტალის მეშვეობით ეფექტიანად იყენებენ რა გლობალიზაციის პროცესზე გავლენისა და საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დაცვის მექანიზმს, ხელს უწყობენ თავიანთი ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარებას და ისწრაფვიან თავს მოახვიონ თავიანთი მკაცრი პირობები და თამაშის წესები მიმღებ, ნაკლებადგანვითარებულ ქვეყნებს, რის გამოც ხშირად შედიან წინააღმდეგობაში ეროვნულ კაპიტალთან და მისი გავლით სახელმწიფოსთან, რაც გარკვეულ შემთხვევებში გლობალურ კრიზისებს იწვევს.

გლობალიზაციის ძალზე რთული და სწრაფი პროცესების ზემოქმედებით მთელი რიგი სახელმწიფოები იძულებულნი ხდებიან ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა წარმართონ საერთაშორისო კონკურენტულ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, შესაბამისად ამისა, პატარა და სუსტად განვითარებული ქვეყნები კარგავენ ეკონომიკურ სუვერენიტეტს და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხს. ამიტომ, ჩვენს ქვეყანაში გატარებულმა გონივრულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა გაანეიტრალოს გლობალიზაციის და გლობალური კრიზისების შესაძლო, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები, შეინარჩუნოს, განავითაროს და განამტკიცოს ეროვნული ეკონომიკური თავისთავადობა (თვითმყოფადობა) და უსაფრთხოება.

გლობალიზაცია ერთპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირებისათვის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს წინა პლანზე წამოწევს. ეკონომიკური გლობალიზაცია მიზანმიმართულია საერთაშორისო პროცესების ერთობლივი მოქმედებების რაციონალური დამკვიდრებისათვის. შრომის მწარმოებ-ლურობის ამაღლებისათვის უახლოესი ტექნოლოგიების გამოყენებით, პროფესიული შემოქმედების გასაღრმავებლად პოსტსაბჭოთა საქართველოში გლობალიზაციის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას – საგარეო ვაჭრობა წარმოადგენს, ხოლო ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელს – მშპ-ის დამოკიდებულება საქონლის ექსპორტისა და იმპორტის სალდოსთან. ამ მხრივ, საორიენტაციოდ გამოდგება ფუნქციური კავშირებით გლობალიზაციის დამახასიათებელ ნიშნებზე წარმოდგენის შექმნა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, შევნიშნავთ იმასაც, რომ გარდა ცალკეული შემთხვევებისა, საზოგადოებრივი აზროვნება ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ეკონომიკური გლობალი-ზაციის სიკეთის გარკვევის მიმართულებით. ეს ძირითადად ეხება ორგანიზებული შრომის სიკეთეში გარკვევას, რომლის შედეგი მსოფლიო მეურნეობაა, ვაჭრობისა და ინვესტიციების გათვალისწინებით; გააქტიურებულია ცოდნის ეკონომიკა, რომელიც განიხილება, როგორც მეცნიერების, განათლებისა და ტექნიკური პროგრესის გამაერთიანებელი [თსუ..., 2012: 403-407].

უდიდესმა შემოქმედმა მამა ღმერთმა ჯერ მატერიალური საცხოვრისი შექმნა და მერე ადამიანი, რომელმაც აღმოჩენები გამოგონებებით გააგრძელა და განავითარა. სიმდიდრის უკონტროლო დაგროვებით, ადამიანებს შორის უთანასწორობამ ეკონომიკის უარყოფითი გამოვლინებები კატასტ-როფულად გაამწვავა: – ,,სანამ ადამიანები ბუნებასთან წესრიგში იმყოფებიან და ღვთის მორჩილად რჩებიან, მათ გადაშენებას ადგილი არ ექნება. ადამიანი სამყაროს უძღებ შვილად არ უნდა დარჩეს და

მისმა მომავალმა თაობებმა უნდა დაძლიონ უძღები საზოგადოების დეგრადაციის სიმპტომები, რაც აისახება გარემოს გაჭუჭყიანებაში, ადამიანებზე მავნე სასურსათო პროდუქციის გავრცელებაზე და ა.შ. [სარჩიმელია რ..., 2010: 39].

რელიგია ამოძრავებს რა მეცნიერებას, მისი გამოცდილებით კონტაქტი მყარდება მარადიულ გონთან და სამყაროსთან. მეცნიერება რელიგიის გარეშეცაა, რომელსაც არ ახლავს მზის ბრწყინვალება, ხოლო რელიგიის შუქით მადლფენილი მეცნიერება შთაგონებული აზრია, რომელიც კაშკაშა სინათლით განკვეთს ამ ქვეყნის წყვდიადს [მღვდელმთავარი ლუკა (ლუკა-იასენეცკი), 2003: 32].

,,თუკი ყურადღებით დავაკვირდებით კაცობრიობის ისტორიას, მივხვდებით, რომ მეცნიერება, მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების მიხედვით, დაცემის პერიოდის შემდეგ ჩნდება და მას არ შეუძლია შეუვსოს ადამიანს ის სიცარიელე, რასაც გრძნობს. რამდენმა საუკუნემაც არ უნდა ჩაიაროს, მეცნიერება მაინც ვერ გასცემს პასუხს ყოფიერების უმთავრეს საკითხებს, რომლებიც აშფოთებს ადამიანს. აქედან გამომდინარე კი, მეცნი-ერების პროგრესი ვერასოდეს შეცვლის რელიგიასა და ეკლესიას. არ უნდა აგვერიოს მეცნი-ერებისა და რელიგიის საზღვრები, ისევე როგორც მათი მიღწევები...“ [ზურკაძე ვ..., 2004: 96].

სარწმუნოებისა და მეცნიერების დაკავშირების შესახებ წმინდა ილია მართლის ცნობილი მოძღვრება მარად უკვდავია და მისი გახსენება ყოველთვის საჭიროა: ,,ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურგებელნი არიან, მაგრამ ამ ორ სამფლობელოს შორის შემაერთებელი ხიდი არის სიბრძნე. გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება არის წყარო ერის მსახურებისა, ღვაწლისა, მადლისა და საქმისა, რადგანაც კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისა...“ [http://www.orthodoxy.ge/ mamebi/ilia_shegonebani.htm].

მეცნიერებისა და რელიგიის შესახებ ფრიად საინტერესოა გამოჩენილი გერმანელი ფიზიკოსის მაქს პლანკის შეხედულება: „რელიგია და მეცნიერება სრულებით არ გამორიცხავს ურთიერთს, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ და რისიც ეშინია დღეს ბევრ ჩვენს თანამედროვეს; პირიქით, ისინი თანხვდებიან და ავსებენ ერთმანეთს“. „ორივენი – რელიგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერება – თავიანთი დასაბუთებისათვის საჭიროებენ ღვთის რწმენას, მაგრამ პირველისთვის (რელიგიისთვის) ღმერთი დგას საწყისში, მეორისთვის (მეცნიერებისთვის) – მთელი აზროვნების ბოლოში. რელიგიისთვის ის წარმოადგენს ფუნდამენტს, მეცნიერებისთვის – მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების გვირგვინს“ [http://www.orthodoxy.ge/metsniereba/metsnierebi.htm].

რელიგია გვასწავლის, რომ გლობალიზაციას არ უნდა შევუშინდეთ და იგი ყოველმა ქვეყანამ სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს. საერთაშორისო და ეროვნულმა კანონმდებლობებმა კი ყოველ ქვეყანას თავისი საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში უნდა შეუწყოს ხელი. ამასთან, ყურადსაღებია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვები, – რომელიც აღნიშნავს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და კომპიუტერი (ინტერნეტი) ,,ახალ ნოყიერ ნიადაგს ქმნიან მსოფლიო კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგისათვის“; ,,...ჭეშმარიტ თავისუფლებას, რომელიც ზნეობრიობის საფუძველია, უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალურ საზოგადოებას ემყარება. როგორც ძველი სიბრძნე ამბობს, სახელმწიფოსათვის უმჯობესია, მის მოქალაქეებს ჰქონდეთ მაღალი ზნეობა, ... რადგან მაღალზნეობრივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია. დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიც სწორედ ამის გათვალისწინებით ქმნიან თავიანთ კანონმდებლობას და საზოგადოებრივი ცხოვრების წესს. ის, რომ მსოფლიოს ტრადიციული რელიგიებიდან ყველაზე უნიკალური ქრისტიანული სწავლებაა, იმითაც დასტურდება, რომ დღეს მთელ მსოფლიოში აღიარებული ადამიანთა უფლებების დეკლარაცია სწორედ ქრისტიანულ ღირებულებებზეა დაფუძნებული. ქრისტიანული ღირებულებები კი ყველაზე სრულყოფილი სახით მართლმადიდებლურ ეკლესიაშია დაცული, რადგან იგი ინახავს სამოციქულო ეკლესიის სწავლებას. მისი უნივერსალურობა ვლინდება იმაში, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე უცვალებელი მრწამსი და სწავლება აქვს, რომელიც ეფუძნება წმინდა წერილს, საღვთო გადმოცემას, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებებს და წმიდა მამათა მოძღვრებას. ეს მის საყოველთაობას და უცდომელობას განაპირობებს. საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ სხვათა მიზნების განხორციელებისათვის ბრმა იარაღად. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტიაა“ [უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1997: 468 და 2008: 576].

ყოველი ადამიანისათვის ღმერთმა დაადგინა ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების ეტაპები, ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის.

აქედან გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულება და მისი ცხოვრების უმაღლესი ღვთივ-დადგენილი მიზანი, რომელიც გულისხმობს ამქვეყნიური ცხოველქმედების, საზოგადოებრივი წარმოებისა და ეკონომიკური განვითარების პროცესში ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი შექმნას ზნეობრივი კანონებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ, ცათა სასუფეველში ადამიანის სულის შესვლას და საუკუნო ნეტარებას უზრუნველყოფს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი უგულებელყოფა ადამიანის სულის წარწყმედას გამოიწვევს. ამიტომ, ადამიანმა, მისთვის ღვთივბოძებული თავისუფალი ნების, გონიერებისა და მაღალზნეობრიობის მეშვეობით უნდა წარმართოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს მისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების ღმერთისათვის მისაღებ ურთიერთშეხამებას. აქ მნიშვნელოვანია მოხდეს ადამიანისა და ღვთის ნების შეერთება–სინერგია, რაც არის საფუძველი პიროვნების, ერისა და სახელმწიფოს გადარჩენისა და ადამიანის ცხონებისა. საქართველოში ყოფილა ისეთი ბედნიერი ხანა, როგორიცაა წმინდა დავით აღმაშენებლის, წმინდა თამარ მეფის მეფობის წლები. ჩვენ ამ პერიოდს ოქროს ხანას ვუწოდებთ, რადგან სწორედ მაშინ მოხდა სინერგია – ღვთისა და ადამიანის ენერგიის შერწყმა და გამთლიანება.

მეცნიერება აღრმავებს ჩვენს წარმოდგენას სამყაროზე, ადამიანის სულიერი არსება კულტურას ქმნის ღვთის მიერ ნაბოძები ნიჭით, ხოლო ,,სიყვარულის ენერგია, რომელიც ღმერთის სულისაგან მოედინება, მთელ ბუნებას ამოძრავებს. იგი სიცოცხლის წყაროა [მღვდელმთავარი ლუკა (ლუკა-იასენეცკი), 2003: 92].

ადამიანის ადგილს ფიზიკური და გონებრივი შრომის ავტომატიზაცია იპყრობს, რაც კოლოსალურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის საზოგადოებაზე. ამასთან დაკავშირებით, ნ. ბერდიაევის ნააზრევი საკმაოდ დახვეწილად მოყვანილია ედუარდ კოდუას წიგნში [კოდუა ე., 1966: 181], საიდანაც გამოვყოფთ მსჯელობას, რომ მანქანა არა მარტო იპყრობს ბუნებას ადამიანებისათვის, არამედ ადამიანს იმონებს. მას კომპიუტერიზაცია უფრო მეტად ამწვავებს, რაც სახიფათოა უნებისყოფო ადამიანების შემთხვევაში, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის.

სიბრძნეს ადამიანი მნიშვნელოვანწილად წიგნის საშუალებით ითვისებს, თუმცა ეს წილი ტექნიკის განვითარების შედეგად საგრძნობლად შემცირდა. კომპიუტერმა არ უნდა დააკნინოს წიგნის მნიშვნელობა, პირიქით, ორივემ ერთად კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ადამიანის სულიერი მრწამსი, აზროვნების უნარი, მეტყველების კულტურა... თუმცა ბევრი წიგნის წაკითხვა არ ნიშნავს, რომ ადამიანმა ჭეშმარიტი ცოდნა მიიღო. ადამიანები ხშირად ხედავენ მრავალ სასწაულს, მაგრამ ვერ აცნობიერებენ მათ. ჭეშმარიტი ცოდნა მხოლოდ უფლის უდიდეს რწმენასა და მორჩილებას ახლავს და მხოლოდ ჭეშმარიტ ქრისტიანობაშია შესაძლებელი ადამიანის მიერ წაკითხულმა წიგნებმა ჭეშმარიტად გაანათლოს მისი გონება.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ,,ტექნიკური პესიმიზმის“ თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, მე-19 საუკუნეში უგუნურები იმეორებდნენ ფსიქოლოგიურ არასასურველ დასკვნას ღმერთი მოკვდაო, ხოლო მე-20 საუკუნეში პრობლემად ადამიანის სიკვდილი მიიჩნიეს... აქედან გამომდინარე, მე-19 საუკუნეში არაადამიანურობა სისასტიკეს ნიშნავდა, ხოლო მე-20 საუკუნეში პათოლოგიურ თვითგაუცხოებას. ამრიგად, წარსულის საფრთხე ადამიანების დამონება იყო, მომავლის საშიშროებად კი, ადამიანების რობოტად გადაქცევას მიიჩნევენ. 21-ე საუკუნეში მდიდრებისა და ღარიბების პრობლემა კიდევ უფრო მწვავდება, რომელიც თვითდინებაზე მიშვებულ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მოჰყვა. თითქოს ბუნებრივია, რომ ადამიანები ტექნიკურ გამოგონებებს სიხარულით ხვდებიან, მაგრამ ვერ უკვირდებიან გარდაუვალი ბოროტების სახით მიმდინარე კულტურის სიღარიბეს და სხვადასხვა გლობალურ კრიზისებს.

ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ უფალი ღმერთია ადამიანის მხსნელი და იგი აძლევს ადამიანთა საზოგადოებას იმის შესაძლებლობას, რომ გადაურჩეს ტექნიკური პროგრესით გამოწვეულ კატასტროფის მძიმე შედეგებს. აქედან გამოსავალია ის, რომ უსულო საგნები, მათ შორის კომპიუტერი ადამიანის მორჩილია და ღმერთის რწმენა ადამიანს იმის ძალას მატებს, რომ ადამიანი კომპიუტერის მაცდუნებელი აზროვნებით გაძლიერებულ ენერგიას მოერიოს, ხოლო საერთოდ, ცივილიზაციაზეც კონტროლი განახორციელოს და სინერგიული ეფექტიც გამოიყენოს ღმერთთან მისი შეერთებით.

უფალი ბრძანებს: ,,ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესსა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათე 6. 22-33). ყოველი ჭეშმარიტი მორწმუნე სიცოცხლის ბოლო წუთამდე ეძიებს ღმრთის სასუფეველს, რისთვისაც ის მიწიერ ცხოვრებაში ღვთივსათნო ცხოვრებით აღასრულებს საღმრთო მცნებებს; მცნებათა ცოდნა მას ეხმარება საღმრთო კანონებთან შესაბამისობით, ყოველ ეპოქაში, დროის შესატყვისად შეაფასოს მიმდინარე მოვლენები, სამეცნიერო მიღწევები და ცივილიზაციის მონაპოვრები.

შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე, საჭიროა შემუშავდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქრისტიანული მოდელი, რომელიც დაფუძნებული იქნება ადამიანების სულიერ საგანძურში ფესვგადგმულ ზნეობრივ საწყისებზე.

ეკონომიკა უნდა იყოს პასუხისმგებლური, პერსპექტიული და სამართლიანი და თუ ეს ბალანსი იქნება დაცული, მაშინ ეკონომიკური განვითარება დაზღვეული იქნება იმ კრიზისებისგან, რომელსაც, არცთუ იშვიათად, ადგილი აქვს მსოფლიოში.

მართლმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლებს მსოფლიო საფინანსო–ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნიათ ის, რომ ფული, რომელიც არის სიმბოლო ადამიანის შრომის და მატერიალური დოვლათისა, დღევანდელ ეტაპზე სულ უფრო შორდება შრომას და მის შედეგად შექმნილ მატერიალურ ფასეულობებს. მოკლედ რომ ვთქვათ, რეალური (მწარმოებლური) ეკონომიკა სულ უფრო შორდება ფინანსურ ეკონომიკას და ამას მივყავართ იქითკენ, რომ ფული იწყებს რეალური ცხოვრებისგან დამოუკიდებლად არსებობას. იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო ეკონომიკა ამ მიმართულებით გააგრძელებს განვითარებას, მაშინ იგი რაღაც გარკვეულ მომენტში კვლავაც გარდაიქმნება უზარმაზარ პირამიდად, რომელიც ადრე თუ გვიან დაინგრევა, ანუ ახალ მსოფლიო კრიზისს გამოიწვევს.

გამომდინარე ზემოაღნიშნული საფრთხიდან, დღეს მრავალი სახელმწიფოს ლიდერი და მეცნიერ-ეკონომისტი თვლის, რომ საჭიროა ფინანსური ეკონომიკის დაახლოება საქონლისა და მომსახურების ბაზართან. იმის გამო, რომ ამ ორივე სექტორში თანდათანობით მატულობს აფიორა და თაღლითობა, საჭიროა მათზე სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და საერთაშორისო კონტროლის გაძლიერება. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საშუალება, სათანადო ზეგავლენა მოახდინოს იმ პროცესებზე, რომელიც მიმდინარეობს საფინანსო-ეკონომიკურ სექტორში. დღეისათვის ეკონომიკის გლობალიზაციამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მასში მეტ-ნაკლებად მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, რის შედეგადაც მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ვერც ერთი მათგანი გვერდს ვერ აუვლის. კრიზისის წარმოშობის ძირითადი მიზეზია ის სისტემა, რომელზედაც დაფუძნებულია თანამედროვე ფინანსური ეკონომიკა, ხოლო ეს უკანასკნელი კრიზისის მაპროვოცირებელია. შემთხვევითი როდია, რომ სხვადასხვა რელიგიები, მათ შორის, ქრისტიანული და ისლამური რელიგიები ფინანსური ეკონომიკის ძირითად მექანიზმს – საბაზრო ეკონომიკას, ანუ იგივე მევახშეობას, როდესაც ხდება ფულის მიერ ფულის კეთება, აღიქვამენ როგორც საეჭვო ზნეობრივ ქმედებას [მესხია ი., 2009: 13-19].

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მიუკერძოებლად და ობიექტურად აფასებს თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისულ მდგომარეობას. უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღნიშნავს, რომ – ახლა ჩვენს ხალხს მოუწია პოსტსაბჭოთა გარდამავალი პერიოდის სიმძიმის გადატანა, ცხოვრების ერთი წესიდან მეორეში გადასვლა, უმუშევრობა, შიმშილი, ომი, მორალური კრიტერიუმების შეცვლა, ძალადობისა და სიცრუის მორევში მოხვედრა ჯერ-ჯერობით არც ხვალინდელი დღე იძლევა უკეთესი მომავლის იმედს, რადგან მთელი მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში შედის, რომელიც შეიძლება სისტემურ კრიზისად იქცეს... კრიზისის თავიდან აცილების მიზნით დასავლეთმა კურსი ეკონომიკის სექტორში სახელმწიფო სექტორის შედარებით გაძლიერებაზე აიღო. უწმინდესი და უნეტარესი ილია II ემხრობა ეკონომისტთა და დარგის სპეციალისტთა მოსაზრებებს, რომ აუცილებელია საშუალო და მცირე საწარმოების დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგის სწრაფი განვითარება. მისი უწმინდესობა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებს სოფლის მეურნეობას. „საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ჩვენი წინაპრებისათვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცსა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდებოდა, ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულად უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს“ [უწმინდესისა და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1997: 468 და 2008: 576].

ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას მიაჩნია, რომ ეკონომიკური კრიზისის დაძლევას, ეკონომიკის აღორძინება-განვითარებას უნდა მივუდგეთ სისტემურად და მასშტაბურად. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება, ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, მეზობელ სახელმწიფოებთან კავშირის გაღრმავება და კულტურათა შორის დიალოგი, ქართული ბიზნესსექტორის გაფართოება და შეძლებული საშუალო ფენის შექმნა, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის რელიგიურ შეხედულებათა სისტემური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები, რომლებიც ცალკეული რელიგიების მიერ მსგავსი ან განსხვავებული კონცეფციებითაა წარმოდგენილი, მთლიანობაში ერთიანდება თანამედროვეობის ისეთ მოვლენასთან როგორიცაა მსოფლიო გლობალიზაცია, რომელიც ზოგადად ნიშნავს სამყაროს გამთლიანებას. უფალმა ერთიანი ქვეყანა სამყარო შექმნა, ეს იყო გლობალური სამყარო, მაგრამ გლობალიზაცია და ერთიანობა იყო უფლის გარშემო. თუმცა შემდგომში გლობალიზაცია ორი მიმართულებით წარიმართა: ერთი იყო უფალთან ერთად გაერთიანება, ღვთისადმი თაყვანისცემა და ერთგულება; მეორე კი – გლობალიზაცია ან სამყაროს გაერთიანების მცდელობა – უფლის გარეშე.

სამყაროს უფლის გარეშე ძალისმიერი მეთოდებით გაერთიანების მრავალი მაგალითი არსებობს კაცობრიობის ისტორიაში. ალექსანდრე მაკედონელი, რომელიც შეპყრობილი იყო ძველბერძნული ფილოსოფიის უნივერსალიზმის იდეოლოგიით, ომებით ცდილობდა სამყაროს გაერთიანებას. რომის იმპერიამ ასევე ომებით შეძლო ბრიტანეთის კუნძულებიდან ახლო აღმოსავლეთამდე და ცენტრალური გერმანიიდან აფრიკამდე უზარმაზარი ტერიტორიების თავის გამგებლობაში მოქცევა. ცივილიზაციის გარიჟრაჟზე სამყაროს გლობალიზებას ცდილობდა სპარსეთის სამეფო, ცნობილია აგრეთვე ისლამური ხალიფატის ექსპანსია, რომელმაც მოიცვა ტერიტორიები ატლანტის ოკეანიდან ჩინეთამდე, მონღოლეთი და ოსმალეთის იმპერია.

XX საუკუნეში დაძალებითი გლობალიზაციის მაგალითია კომუნისტური რეჟიმი (სსრკ) და გერმანიის ნაციზმის იდეოლოგიით სამყაროს უნიფიცირების მცდელობა. თანამედროვე ეტაპზე უფლის გარეშე სამყაროს გლობალიზაციის ახალი ფორმები და მეთოდები გამოიყენება. ესაა ლიბერალური კაპიტალიზმის ეკონომიკური ინდიკატორი მსოფლიო ფულის სახით, რომლის ექსპანსია, სხვადასხვა ქვეყნებში მათი გლობალიზაციის მიზნით, წარმოშობს ინტეგრირებულ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემას და სწორედ ესაა გლობალური კრიზისების ყველაზე მთავარი მიზეზი. ის, რისი გაკეთება მიმართულია უფლის ნების წინააღმდეგ, ყოველთვის კრიზისებით დამთავრდება.

„ჩვენ ვცხოვრობთ საშიშ დროში, მსოფლიო გლობალიზაციის დროში. მე აგიხსნით იმას, თუ რა არის გლობალიზაცია. გლობალიზაციის დროს არსებობს სუბიექტი და ობიექტი... მაგრამ ჩვენ, ქართველმა ერმა უნდა ვიცოდეთ, რისი დათმობის უფლებაც არა გვაქვს – ყოველივე ის წმიდა, რაც ჩვენს მამა-პაპას ჩვენთვის დაუტოვებია," – ბრძანებს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე [უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1997: 468 და 2008: 576]. მართლაც, ეროვნული თვითმყოფადობა არის ის, რისი დაკარგვის უფლებაც არც ერთ ქართველს არ აქვს. „მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები უწინდელ მნიშვნელობას კარგავს, რასაც თან სდევს ხალხებისა და კულტურების ასიმილირების რთული პროცესი, ამიტომ ეროვნული იდენტიფიკაციის უმთავრეს ფაქტორად კულტურული არეალიღა რჩება, მით უმეტეს, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა; ,,საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს.

ამ ორივე პირობის შესრულება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი არსებობისა და შემდგომი განვითარებისათვის. თუნდაც ერთ-ერთი მათგანის მოკლება უმძიმესი შედეგის მომტანი იქნება ქვეყნისათვის.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ერთა თვითმყოფადობის უმთავრეს ფაქტორად დღეს კულტურული არეალიღა რჩება, რადგან მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში თანამედროვე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები თანდათან კარგავს თავის უწინდელ დანიშნულებას. კულტურა მხოლოდ მწერლობაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში არ ვლინდება, არამედ მთელი საზოგადოების ცნობიერებასა და ყოფა-ცხოვრებაშიც. გლობალიზაციის პროცესი ბუნებრივად იწვევს იმ ხალხებისა და კულტურების ასიმილაციასა და ზოგჯერ სრულ გაქრობასაც, რომელნიც ვერ გამოიმუშავებენ სათანადო იმუნიტეტს, მაგრამ ეს არ არის ახალი მოვლენა.

ისტორიულად ცნობილი ყველა დიდი იმპერია ცდილობდა განეხორციელებინა გლობალიზაციის ერთგვარი პროცესი. დღეს კი ამან საყოველთაო ხასიათი მიიღო. ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს ინტეგრაციისა, რადგან წარსულის დიდი გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენი წინაპართა ძალისხმევით არასდროს დაგვიკარგავს თვითმყოფადობა. ეს დღესაც უნდა შევძლოთ" [უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1997: 468 და 2008: 576].

ტექნიკა-ტექნოლოგიების განვითარებამ დამანგრეველი ძალა შეიძლება შეიძინოს, თუ ის ჭეშმარიტ რწმენასთან ერთად არ მიმდინარეობს. თავის მხრივ, უფლის თხოვნითა და შეწევნით, სულ უფრო მნიშვნელოვანი და სასიკეთო აღმოჩენები მიიღწევა ხალხის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

ადამიანი თვითდამკვიდრებისაკენ ბრძოლას განაგრძობს და ამისკენ მისწრაფება მას ღმერთმა მისცა. ადამიანი აწმყოდან თავის მოქმედებას ძირითადად მომავლისაკენ წარმართავს (ამაში წარსულის გამოცდილება ,,ინერციული ექსტრაპოლაციით“ მონაწი-ლეობს). ადამიანი თავისი მეობის უკეთ განხორციელების გზების გამონახვას ცდილობს, რაც მეტწილად მომავლის იმედით იქმნება. ამას კი, ხელს უშლის მომავლის განუსაზღვრელობა. თუმცა, ერთგვარი გამოსავალი რისკით გადაწყვეტილების მიღება არის და იგი ალბათური შინაარსისაა. მთლიანობაში საკითხი ასე შეიძლება იქნეს წარმოდგენილი, - წარსულის მხრებზე აწმყო, ხოლო მომავალი წარსულიდან და აწმყოდან გაიაზრება [კოდუა ე., 1966: 404]. აქ თავს იჩენს თავისუფლებისათვის ადამიანის სწრაფვა, რაშიც იგი სხვა ადამიანებს უკავშირდება, ისიც არა მარტო ინსტინქტურად, არამედ გონებრივი საშუალებებით და მასში ანალოგიების მოშველიებით.

უკვდავისათვის დრო სიმბოლურად მარადიულია და მოსალოდნელია იგი აღრიცხვასაც არ ექვემდებარებოდეს. დედამიწაზე ადამიანის წლოვანება ასტრონომიული კალენდრის მიხედვით იანგარიშება. როცა დედამიწა სწრაფად მოძრაობს თავისი ღერძისა და მზის გარშემო, მაშინ ადამიანის წლოვანება მოჩვენებითი ფორმით იზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიული დრო ადამიანური მყოფისეული დროა. თუკი ბუნებრივი დრო თანაბარი განზომილებისაა, ერთი და იგივე ობიექტური ხანგრძლივობის შემთხვევაშიც წარსული დრო აწმყოში არის შეყურსული, გასულია, მაგრამ მაგრამ მაინც იგი აწმყოშიც მოქმედებს. თუკი ბუნებრივი (ასტრონომიული) დრო ნეიტრალურია, ისტორიული დრო აღსავსეა მოვლენათა გაძლიერებული წარმოდგენებით (ადამიანური დროის ერთი მომენტი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ხანგრძლივი დრო შინაარსის გარეშე).

თავის მხრივ, ,,ისტორია არის მუდამ განახლებადი ბრძოლა თავის მაძიებელ და თავის თავს მოკლებულ სიყვარულს შორის“. ადამიანის ყველა ქმნილების დანიშნულებაა სამყაროს ისეთი გადასახვა, რომ იგი შეესაბამებოდეს თვითყოფიერებას და თვითგანხორციელებას ძალას აძლევდეს. ამით კი ინდივიდი ღმერთს უკავშირდება [მღვდელმთავარი ლუკა (ლუკა-იასენეცკი), 2003:  409].

ადამიანი არ შეიძლება მხოლოდ თავის თავში ხედავდეს სრულყოფილების საფუძველს. მხოლოდ ღმერთთან ერთიანობის გზით არის შესაძლებელი სრულყოფილი თვითყოფიერება. ღმერთის გარეშე ადამიანი როგორც დამოუკიდებელი არსება გაუგებარია.

ყურადსაღებია პროფ. გიორგი პაპავას მოსაზრება უნებლიედ დაშვებული შეცდომების (პარადიგიზმის) გამოყენების საშიშროებაზე, რათა ეკონომიკის ყველა დონეზე გამოირიცხოს მცდარი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება [პაპავა გ., 2012: 26].

ვასილ ხიზანიშვილს სტატიაში [თსუ...,2012: 136-140] დახასიათებული აქვს რელიგიის ფაქტორი ეკონომიკაში. მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა ნაშრომებს საფუძველზე მოჰყავს მსჯელობები, პირველ რიგში, მეცნიერ-კლასიკოსის ადამ სმიტის შედეგებიდან, რომ რელიგიური მრწამსი კარგი სტიმულია, რათა ინდივიდი ზნეობრივ სტრუქტურაში მოექცეს. ამით ხელი ეკონომიკურ ზრდას ეწყობა. ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომისტების 2003 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, – ,,რელიგიური რწმენა უშუალოდ მოქმედებს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით სიცრუის აკრძალვის დადებითი ეფექტით. რელიგიას შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური განვითარების დონე ზნეობრივი ფაქტორებით, როგორიცაა მომჭირნეობა, რომელიც სტიმულის მომცემია დანაზოგებისათვის, ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდა-განვითარებისათვის...“ აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალიზაციის პროცესში რელიგია არ კარგავს თავის მნიშვნელობას და გავლენას ახდენს ეკონომიკის მზარდ დინამიკურ ძალებზე.

მნიშვნელოვანია ის, რომ ადამიანთა საზოგადოებამ ეკლესიას სახელმწიფოს გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია დააკისრა, რომელიც რწმენასთან ერთად მამულის, ენისა და სარწმუნოების მოვლა-პატრონობაში ფუნქციონირებს. მისი აღქმა გენიოსურად მოაზროვნეთა საშუალებით მიმდინარეობს ადამიანთა აზროვნების დასაკვალიანებლად და გასაღრმავებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია იმანუელ კანტის დასკვნა, რომ ორი რამ ავსებს სულს მუდამ ახალი და მით უფრო ძლიერი გაკვირვებით და მოკრძალებით, რაც უფრო ხშირად და დაბეჯითებით ვაზროვნებ მათზე, ესენია ვარსკვლავიანი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში. მამა ღმერთმა დედამიწაზე სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობების შესაბამისი გარემოს (როგორიცაა მზის სითბური ენერგია, ჰაერი და ა.შ.) გათვალისწინებით ადამიანი, როგორც მოაზროვნე არსება შექმნა და იგი გონივრული შრომის უნარით დააჯილდოვა. მასთან ერთად, ადამიანის სასარგებლოდ მრავალმხრივი სიკეთის დამკვიდრებაზეც იზრუნა, რასაც ალგორითმებით (ალგორითმი და თან მისი დახვეწილი პროგრამა ელემენტარული მოქმედებებით წარმოდგენილი ოპერაციის მკაცრად დახვეწილი თანმიმდევრობაა) დახვეწილი პროგრამა დაედო საფუძვლად [წერეთელი ი., 2006: 19].

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ღმერთის როგორც უდიდესი მეცნიერის შემოქმედების შემდგომი გაგრძელებაა. ამ მხრივ აღსანიშნავია სინერგია – ღვთისა და ადამიანის ენერგიის გაერთიანება, რომელიც ჩვენი აზროვნების შემეცნებისათვის უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II შემოგვთავაზა [უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, 2009: 4-5].

სახელმწიფოს მოწყობა დედამიწაზე რეაქციული ბუნებისაა, ხოლო ამით იგი თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედებით თავს აბეზრებს დანარჩენ მსოფლიოს, მაშინ ასეთი აგრესიული სახელმწიფო უფლის მფარველობისაგან აუცილებლად გაქრება. მსგავსი საფრთხე მცირე ქვეყნებსაც ემუქრება თუკი ისინი თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ნიშნით დემოკრატიულ საწყისებზე გაძლიერებას ვერ შეძლებენ [http:// www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2006.htm].

თუკი ადამიანი ღმერთის მორწმუნე არ არის და ამ მხრივ, იგი თითქოს თავისუფალია, სინამდვილეში იგი უპატრონოა და საცოდავად არის დარჩენილი. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ი. კანტის გამონათქვამი რელიგიაზე – მხოლოდ გონების საზღვრებში რომ ადამიანს არ შეუძლია თავის თავს და საზოგადოებას უფრო მეტი სარგებელი მოუტანოს, ვიდრე ბოროტის ბატონობიდან გათავისუფლებაა: ის თავისუფალია, რომ მან ,,უარი თქვა ცოდვის კანონის მონობაზე, რათა სიმართლისათვის იცოცხლოს“ (იგულისხმება, რომ ეს მსჯელობა ეხება ყოველ მორალურად კეთილმოაზროვნე ადამიანს), ხოლო თვით გლობალიზაციის მიმართ თანაგრძნობა მორწმუნე ადამიანისათვის დამახასიათებელია. დღეს მსოფლიოს ყველა ეთნოკულტურა დგას უდიდესი გამოცდის წინაშე, რათა როგორმე შეძლონ და არ დაკარგონ თავისი ეროვნული თვითმყოფადობა [წერეთელი ი., 2006: 23].

ზემოაღნიშნულთან და დღესდღეობით ახალი კორონავირუსის პანდემიის მდგომარეობასთან დაკავშირებით საინტერესოა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაზრება, რომლის თანახმად: ,,...უცნაური ვითარება შეიქმნა, ადამიანები, ერთი მხრივ, გაერთიანდნენ სიცოცხლისთვის საშიში საერთო საფრთხის წინააღმდეგ და ამავე დროს, ჩაიკეტნენ თავის ქვეყანაში, თავის ქალაქსა თუ სოფელში, თავის სახლში. მათ დაფიქრების საშუალება მიეცათ და აღმოაჩინეს ის რეალობა, რომ აზრი დაკარგა ბევრმა რამემ, რაც გუშინ დიდად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. სამაგიეროდ წინა პლანზე წამოიწია ისეთმა მიმართულებებმა, რასაც ადრე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამასთან, სახელმწიფოებმა თვითუზრუნველყოფის საჭიროება დაინახეს და სხვაზე დამოკიდებულის მდგომარეობა წამგებიანი გახდა.

ყველა ქვეყნისთვის, და მათ შორის საქართველოსთვის, პირველი რიგის ამოცანად იქცა ადგილობრივი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება.

უნდა ითქვას ისიც, რომ ახალი ვირუსის პრობლემამ პლანეტის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში დიდი შიში დანერგა და მათი მზერა ღვთისკენ მიმართა.

ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს განსაცდელის, ქრისტიანი პრობლემებს მადლიერებით იღებს და ყველაფერში ღვთის ხელს ხედავს, მასზე სასოებს, მისით ხარობს და, ამასთან, ცდილობს გამოძებნოს სწორი გამოსავალი არსებულ ვითარებაში“ [https:/ /www.interpressnews.ge/ ka/ article/ 595830-patriarkis-saagdgomo-epistole/].

ერთი რამ ცხადია: მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა და ჩვენ, ქართველმა ერმა, უნდა გადავლახოთ ჩვენ წინაშე მდგარი მსოფლიო ერთიან სივრცეში უნიფიცირების უდიდესი საფრთხე, უნდა მოვარგოთ გასაღები შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას და უნდა შევძლოთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. უნდა ვისწავლოთ გამორჩევა ძირითადისა მეორე ხარისხოვანისაგან. ჩვენი ერის წინაშე მდგარი უმთავრესი საფრთხე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ჩვენი ეროვნული თვითშეგნების დაკარგვაში მდგომარეობს. ამასთან, ქართველმა ერმა კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ თავად გლობალიზაცია არ შეიძლება იყოს ქართველი ერის არც მტერი და არც მოყვარე, რამეთუ იგი წარმოადგენს მსოფლიოში არსებული ნებისმიერი ერის მსოფლიოს ერთიან სივრცეში ინფორმაციული, სავაჭრო, ფინანსური, ეკონომიკური ინტეგრირების ობიექტურად აღძრულ პროცესს. გლობალიზაცია არის ცივილიზაციის განვითარების შედეგი და მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აქტიურად გამოხატული მოვლენა, თავისი არსებობის სულ რაღაც ორ ათეულ წელიწადს ითვლის, დღეს უკვე წარმოადგენს იმ საერთაშორისო გარემოს, რომლის წინაშეც (მიუხედავად იმისა, აქვს ამის სურვილი ვინმეს თუ არა) მაინც მოუწევს მსოფლიოს ყველა ერსა და ეთნოსს გამოცდის ჩაბარება თავისი ეთნოკულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე. ის ერი, რომელიც ვერ ჩააბარებს აღნიშნულ გამოცდას, დაკარგავს თავის თავს. ხოლო ვინც შეძლებს ისე მოახდინოს თავისი ეროვნული სხეულის

ინტეგრირება მსოფლიოს ერთიან ინფორმაციულ, სავაჭრო, ეკონომიკურ თუ ფინანსურ სივრცეში, რომ თავისი ეროვნული თვითმყოფადობა არ დაკარგოს, გამოვა გამარჯვებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშნელოვანია, სახელმწიფოთა ურთიერთობებში გლობალიზაციის პროცესების მართვა და რეგულირება, რათა მან არ წაშალოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვილი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ტრადიციები, ღირებულებები, ეროვნული კულტურა და ა. შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი მიიღებს ერთგვაროვან სახეს, სადაც გაბატონდება ცალკეული ეკონომიკურად მდიდარი ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ცხოვრების წესი და საზოგადოება დაკარგავს მის ყველაზე მთავარ ნიშანს – ეროვნულ თვითმყოფობათა მრავალფეროვნებებს.

**დასკვნა**

თანამედროვეობის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მატერიალური ყოფიერების სრულყოფას საფუძვლად დაუდოს სულიერი ფუნდამენტი, დაუბრუნოს პრაქტიკას მორალურ-ზნეობრივი საფუძვლები. როგორც საღმთო წერილიდან და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან არის ცნობილი, ქვეყნიური სიკეთენი ამაო და წარმავალია; ამიტომ, აუცილებელი და მნიშვნელოვანია, გლობალიზაციის და გლობალური კრიზისების ურთულეს და უსწრაფეს პირობებში გაფართოვდეს კვლევა-ძიება ზემო-აღნიშნულ საკითხებზე რელიგიური, ბიბლიური გააზრებით, რადგან ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა შორის ზეაღმატებული ადგილი ბიბლიას, თეოლოგიურ, ქრისტიანულ ზნეობას და მასზე დაფუძნებულ სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობას უკავია, რომელთაც, მთლიანობაში, მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ გლობალიზაციის ნეგატიურ ტენდენციებსა და გამოვლინებებთან.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. მესხია ი., 2004, რელიგიური უსაფრთხოება მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის ჩარჩოებში. საერთაშორისო კონფერენციის კრებულში: ,,რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში“ (მოხსენებათა მოკლე შინაარსები). თბილისი, საქართველოს საპატრიარქო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი მეცნიერების ფონდი თბილისის ,,უდაბნო“. გვ. 110.

2. ფრანგიშვილი ი., 2005, მეცნიერებისა და რელიგიის, ცოდნისა და რწმენის სისტემური ურთიერთობანი, მეცნიერება და რელიგია. პირველი საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, ,,მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება“, 133 გვ..

3. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, წიგნი II, 1997 და წიგნი III, 2008, სიტყვანი, ქადაგებანი. თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, გვ. 468 და გვ. 576.

4. ზურკაძე ვ..., 2004, მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა. კრებული პირველი, თბილისი, უნივერსიტეტი ,,იბერია“, გვ. 96.

5. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, (პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერ-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, – ,,ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“). თბილისი, ,,ეკონომიკა“, 2012, ტომი 1 და 2, გვ. 22-30, 136-140, 403-407.

6. სარჩიმელია რ…, 2010, ცოდნის ეკონომიკა როგორც მეცნიერების, განათლებისა და ტექნიკური პროგრესის გამაერთიანებელი. ჟ.: ,,ეკონომისტი“, # 6, 2010, გვ. 39.

7. მღვდელმთავარი ლუკა (ლუკა-იასენეცკი), 2003, ,,მეცნიერება და რელიგია“ და ,,სული, სამშვინველი და სხეული“. თბილისი, აპოლოგეტიკური ტრაქტატი, გვ. 32, 92, 409.

8. ზურკაძე ვ..., 2004, მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა. კრებული პირველი, თბილისი, უნივერსიტეტი ,,იბერია“, გვ. 96.

9. http://www.orthodoxy.ge/mamebi/ilia_shegonebani.htm;

10. http://www.orthodoxy.ge/metsniereba/metsnierebi.htm;

11. კოდუა ე., 1966, ისტორიის ფილოსოფია, ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 181, 404.

12. მესხია ი., 2009, რელიგია და ეკონომიკური კრიზისი. ჟ.: ,,ბიზნესი და კანონმდებლობა“, №11, გვ. 13-19.

13. პაპავა გ., 2012, მორფოლოგიური მიდგომა ეკონომიკური რეალობის მიმართ. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. გვ. 26.

14. წერეთელი ი., 2006, კანტი მოაზროვნე. თბილისი, ,,დიოგენე“, პირველი გამოცემა, გვ. 19.
15. უწმინდესისა და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, 2009, სიტყვა, – სინერგია – ღვთისა და ადამიანის ენერგიის შერწყმა და გამთლიანება. ჟ.: ,,კრიალოსანი“, 2009, #3(49), გვ. 4-5.
16. http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2006.htm
17. წერეთელი ი., 2006, კანტი მოაზროვნე, თბილისი, გამომცემლობა ,,დიოგენე“, პირველი გამოცემა, გვ. 23.
18. https:/ /www.interpressnews.ge/ ka/ article/ 595830-patriarkis-saagdgomo-epistole/

***Gela Lobjanidze***

## CURRENT RELIGIOUS ASPECTS OF GLOBAL SOCIO-ECONOMIC CRISES

**Summary**

The paper reviews and analyzes the current socio-economic aspects of religion and science in the modern period and the conditions. Particular note is the urgent issues of modern times, such as in the Christian care, business ethics biblical basis of Christian values and the economy; Success and Christian values; Transformations in the culture of post-soviet Georgia; Biblical business Ethics; The knowledge and belief of the modern discourse; Church's role in the transformation of the culture; The church, civil society and the Christian Social. Assessment comprehensive of the world of globalization and integration processes and the importance of the two opposite events – both positive and negative direction of the developments.

Based on an examination of the various qualified materials and the relationship between religion and science, the role of the Orthodox Church and the necessity of a peaceful, stable, genuine and harmonious development of the state. In this sense, it is concluded that the influence of globalization is very complex and fast processes in a number of states are forced to bend to national economic policy, taking into account the demands of international competition, according to this, the smallest and least developed countries to lose their economic sovereignty and political independence. Therefore, in our country's socio-economic policies to counteract globalization reasonable possible, the expected negative consequences, maintain, develop and strengthen the national economic identity and safety.

***ნინო მელითაური***

## საქართველო-ევროკავშირს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგები

***ანოტაცია.*** *მოცემულ ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციის კეთილდღეობის ეფექტების რაოდენობრივი შეფასების საკითხი. ასევე გააანალიზებულია ვაჭრობის შემაფერხებელი ფაქტორები და შეფასებულია მათი გავლენის მნიშვნელობა რათა გამოვარკვიოთ რა დამატებითი ღონისძიებებია საჭირო DCFTA-ის სავაჭრო რეფორმის პოტენციური სარგებლის სრულად ასათვისებლად.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ზოგადი წონასწორობის გამოთვლითი მოდელები, ვაჭრობის შეფერხების ინდექსი.*

### შესავალი

თანამედროვე გლობალურ ბაზარზე განვითარებადი ქვეყნებისთვის ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესაძლო შედეგების ვარიაციები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. თუ რა მიმართულებით განვითარდება ეკონომიკა დამოკიდებულია ქცევით, სტრუქტურულ და ტექნოლოგიურ მახასიათებლებზე. შედეგების განმაპირობებელ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით გამოვყოფთ მასშტაბის აუთვისებელ ეკონომიკას და არასრულყოფილ კონკურენციას.

ცნობილია, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციას, ერთი მხრივ, მოჰყვება კეთილდღეობის ზრდა, თუ პროცესები იმგვარად განვითარდება, რომ მონოპოლიური ძალაუფლება შემცირდება და მოხდება ინდუსტრიის ე.წ. „რაციონალიზაცია“[95], ხოლო, მეორე მხრივ, როდესაც მასშტაბის ეკონომიკა კარგად ათვისებულია და სექტორებში ფასები ზღვრულ დანახარჯებს აჭარბებს, ბაზრებზე შესვლისა და გასვლის შეზღუდვა კეთილდღეობას შეამცირებს.

ზოგადად, ნებისმიერი პროცესი, რომელიც საბაზრო ინტეგრაციის მიმართულებით ვითარდება, ტრადიციულად თავს იყრის მიწოდების მხარისა და ფირმების მიერ ბაზარზე წვდომის, ისევე, როგორც

[95] რაც გულისხმობს წარმოების ერთეულზე ხარჯების შემცირებას. „რაციონალიზაციის“ საფუძველია ის ფაქტი, რომ ლიბერალიზაცია ფირმებისთვის გამოიწვევს საშუალო ხარჯების შემცირების წნეხს.

მათ შორის კონკურენციის გარშემო. ფირმების მახასიათებლები მათ მიერ *ბაზარზე დაუბრკოლებელი წვდომის* საჭიროებას ასახავს და, განსაკუთრებით, გაორმაგებული რეგულაციური დამაბრკოლებლების აღმოფხვრის საჭიროებას.

აღნიშნული პრობლემატიკის სპექტრი დამახასიათებელია რეფორმატორი განვითარებადი ქვეყნებისთვის და, სხვათა შორის, საქართველოშიც იჩენს თავს. ზოგადად, ამ ტიპის ეკონომიკებში ჭარბობს არასრულყოფილი კონკურენცია და მასშტაბის აუთვისებელი ეკონომიკა (Rodrik, 1988), იმპორტში შუალედური პროდუქტების დიდი წილი, ბაზარზე სტრუქტურული სიხისტის მაღალი დონე, LCD[96] ვაჭრობაში შიდაინდუსტრიული ვაჭრობის სიჭარბე და ინდუსტრიათაშორისი ვაჭრობის ნაკლებობა (Richard Harris, 1984, Trien Nhuyen, Randall Wigle,1987).

მსგავსი ფაქტორები საქართველოს ეკონომიკაშიც შეინიშნება, ამასთან, საქართველოსა და ევროკავშირის ბაზრების ინტეგრაციული პროცესების ფონზე არსებული საბაზრო რეალობა ასახავს შეუთავსებლობას ვაჭრობის ლიბერალიზაციის სავაჭრო რეფორმასა და პრაქტიკას შორის, რადგან წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკურ მოდელში გვაქვს რეალობა, სადაც ევროკავშირთან ვაჭრობის აქტიური კულტურა ვერ ჩამოყალიბდა. რაც წარმოქმნის ვაჭრობის დამაბრკოლებელი ფაქტორების სიღრმისეული გამოკვლევის საჭიროებას.

## საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობაზე ზემოქმედი ფაქტორები

ჩვენი კვლევიდან გამომდინარე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის შეფერხების ინდექსზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ:

- ✓ ევროკავშირის საბაზრო რეგულირების სპეციფიკა როგორც ექსკლუზიურ, ისე გაზიარებულ კომპეტენციებში.
- ✓ ქართული კონკურენციული ბაზრის ჩამოყალიბება.
- ✓ EU-ს საბაზრო რეგულაციების პრაქტიკაში იმპლემენტაციის დონე.
- ✓ საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელების მარეგულირებელი სისტემის წინასწარი დანერგვა და აუცილებელი სავაჭრო გარემოს მომზადება.
- ✓ ადგილობრივ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები.
- ✓ იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების აღებული კურსის განვითარება.
- ✓ სასოფლო-სამეურნეო მეურნეობების ხელშეწყობის ეკონომიკური პოლიტიკა, შედარებითი უპირატესობის კვლევები, ეკონომიკური ანალიზები და ვაჭრობის მოდელირება.
- ✓ საექსპორტო პროდუქტების მიზნობრივად და სტანდარტებთან შესაბამისად ეტიკეტირება.
- ✓ მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების ცოდნა, თუ როგორ უნდა მოხდეს ოპტიმალურად მიზნობრივი ბაზრის განსაზღვრა და შერჩევა.
- ✓ ქაოსური ფასდადება ექსპორტიორების მიერ საექსპორტო პროდუქტებზე.

ბაზრების კვლევების შედეგად დაგროვილი პრაქტიკული ექსპერტული გამოცდილებით და შეფასებით, თითოეულ მათგანს მიენიჭა შესაბამისი კოეფიციენტი [0,1] ინტერვალიდან.

## ვაჭრობის დამაბრკოლებელი ფაქტორების შეფასება

დღეისათვის ევროკავშირი საქართველოს უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორია. 2014 წლის 27 ივნისს განხორციელებული სავაჭრო რეფორმით საქართველოს ეკონომიკა ახალ რეალობაში შევიდა. მიუხედავად ამისა, ევროკავშირთან ვაჭრობის მიმდინარე მდგომარეობა სასურველ ნიშნულს ვერ აღწევს. ***კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სავაჭრო ურთიერთობების სასურველი ინტენსივობის მისაღწევად აუცილებელი კრიტერიუმები მოითხოვს ადგილობრივ თავისებურებათა შეფასებასა და მათ ჩართვას საბოლოო შედეგებში.***

ევროკავშირის კონკურენციის მოდელის თავისებურებები არ ტოვებს რეგულაციურ „გაპებს“. შესაბამისად, საგარეო პერსპექტივით ამ დონეზე არ განვიხილავთ ვაჭრობის დამაბრკოლებელი ფაქტორების ზემოქმედებას. შესაბამისად მათ ინდექსში 0 ქულა ენიჭებათ.

ვაჭრობის დინამიკა და ანალიზურ პარამეტრებში ამ დინამიკის ტრანსკრიფცია ვაჭრობის ბარიერების ორ ძირითად კატეგორიაზე მიუთითებს, ესენია: სატარიფო და არასატარიფო ბარიერები. განსაკუთრებით ტექნიკურ ბარიერებსა და არასატარიფო დაბრკოლებებს  დიდი გავლენა აქვს ვაჭრობის მოცულობაზე. ხშირ შემთხვევაში სავაჭრო საქონელი ექვემდებარება ისეთ არასატარიფო რეგულაციებს,

[96] Least Developed Countries,

როგორებიცაა, მაგალითად, იმპორტის ლიცენზია და ნებართვა, მოთხოვნები ხარისხის სფეროში, ზედამხედველობა და ფასების კონტროლი და ა.შ. ისინი ჰეტეროგენული და კომპლექსურია.

**ამ მოსაზრებას ამყარებს კვლევიდან მიღებული რეზულტატები, სადაც აღნიშნულ ფაქტორს 0.9 კოეფიციენტი მიენიჭა.**

რა სახით იდება გარიგებები ევროკავშირისა და საქართველოს სამომხმარებლო ბაზრებზე? ამ კითხვის დასმა აქტუალური გახდა პრაქტიკული საექსპორტო შემთხვევების შემდგომ, როცა აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულებების დადების ჩამოყალიბებული პრაქტიკა ამ ორ ეკონომიკაში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ეს განსხვავება ექსპორტის განხორციელების მნიშვნელოვან ბარიერად მოგვევლინოს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა თუ რამდენად ოპტიმალურად ოპერირებენ საქართველოს ბაზარზე მოქმედი ექსპორტიორი კომპანიები და იყენებენ თუ არა ვაჭრობის ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ მოდელირებებს, რათა ექსპორტის ეფექტიანი დაგეგმვით მიიღონ მაქსიმალური სარგებელი.

აღმოჩნდა, რომ ექსპორტის მენეჯმენტი საჭიროა შემდეგი მიმართულებებით განვითარდეს: მოხდეს საექსპორტო პოლიტიკის დაგეგმვა ეკონომიკური ანალიზისა და ვაჭრობის მოდელირების საფუძველზე. მათ შორის, ევროკავშირის ბაზრის სტანდარტებთან შესაბამისობით, ევროკავშირში სამომხმარებლო ბაზრისა და პროდუქტზე ოპტიმალური ფასის განსაზღვრით, პროდუქტზე გასავლელი საბაჟო პროცედურებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენით; საექსპორტო პროდუქტების მიზნობრივად და სტანდარტების შესაბამისი ეტიკეტირებით; მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების ცოდნით - თუ როგორ უნდა განხორციელდეს ოპტიმალურად მიზნობრივი ბაზრის განსაზღვრა და შერჩევა; დასაბუთებელი ფასდადებით ექსპორტიორების მიერ საექსპორტო პროდუქტებზე.

კვლევის ინდიკატორები და შედეგები შეჯამებულია 1-ლ ცხრილში და გამოსახულია ინდექსში, რომელიც გამოისახა 0.39 მნიშვნელობით.

**ცხრილი 1. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის შეფერხების ინდექსი**

| 1 | ფაქტორები | არსებული მდგომარეობა | შედეგი | ვაჭრობის დაბრკოლების კოეფიციენტი [0,1] |
|---|---|---|---|---|
| 2 | ქართული კონკურენციული ბაზრის ჩამოყალიბება | რეგულირდება ვერტიკალურად "ზევიდან ქვევით" პრინციპით, ნაცვლად ავტო ფორმაციისა. | შეფასებისას ვსჯელობთ მარეგულირებელი ჩარჩო მასალის გამოყენებით | 0.3 |
| 3 | EU-ს საბაზრო რეგულაციების პრაქტიკაში იმპლემენტაციის დონე | დანერგილ საბაზრო რეგულაციებსა და პრაქტიკას შორის შეუთავსებლობა | სავაჭრო ურთიერთობების სასურველი ინტენსივობის მისაღწევად აუცილებელი კრიტერიუმები მოითხოვს ადგილობრივ თავისებურებათა შეფასებასა და მათ ჩართვას საბოლოო შედეგებში | 0.4 |
| 4 | EU-ს ექსკლუზიური კომეტენცია-კონკურენცია | მინიმუმამდე დაყვანილი ტარიფები | ხელს უწყობს EU ბაზარზე წვდომას | 0 |
| 5 | EU-ს გაზიარებული კომპეტენცია-არასატარიფო ბარიერები | იმპორტის ლიცენზია და ნებართვა, მოთხოვნები ხარისხის სფეროში, ზედამხედველობა ა.შ. ჰეტეროგენული და კომპლექსურია. | ქართულ წარმოებას ხშირ შემთხვევაში უჭირს აღნიშნული სტანდარტების დაცვა | 0.9 |
| 6 | საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელების მარეგულირებელი სისტემის წინასწარი დანერგვა და აუცილებელი სავაჭრო გარემოს მომზადება | ვხვდებით ჰარმონიზაციის დეფექტებს | იწვევს საექსპორტო პროცესის შეფერხებებს | 0.6 |
| 7 | ადგილობრივ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები | ძირითადად არ ხდება ბაზრების ანალიზი, კონკურენტული ანალიზი,შედარებითი ანალიზი, ფინანსური ანალიზი, ოპტიმიზაცია | ქაოტური ადგილობრივი წარმოება, მიწოდება და მოთხოვნა შესაბამისობაში არ არის. | 0.6 |
| 8 | იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების აღებული კურსის განვითარება | ადგილობრივი აგრო-წარმოების განვითარების დაბალი დონე | მომხმარებლის მიმდინარე აუცილებელი სასურსათო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დაბალი პოტენციალი | 0.5 |
| 9 | სასოფლო-სამეურნეო მეურნეობების ხელშეწყობის ეკონომიკური პოლიტიკა, Covid-19-ის ფონზე | ადგილობრივი წარმოების პოტენციალის დათვლა და მიზნობრივი ხელშეწყობა ძირითად სასურსათო კატეგორიებზე | ქართული ეკონომიკის სტაბილიზაცია კრიზისულ პერიოდში | 0 |
| 10 | შედარებითი უპირატესობის კვლევები,ეკონომიკური ანალიზები და ვაჭრობის მოდელირება | არ გამოიყენება პროდუქტებზე მოთხოვნისა და კონკურენციული ანალიზებისთვის | შეუფასებლობა თუ რომელი პროდუქტების ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვა სჯობს და რომლის ექსპორტი | 0.3 |
| 11 | საექსპორტო პროდუქტების მიზნობრივად და სტანდარტებთან შესაბამისად ეტიკეტირება | ადგილობრივ ბაზარზე რეალიზებული პროდუქტები არ არის EU სტანდარტებთან შესაბამისად ეტიკეტირებული | იწვევს დამატებით დანახარჯებს ექსპორტის განხორციელებისას | 0.2 |
| 12 | მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების ცოდნა თუ როგორ უნდა მოხდეს ოპტიმალურად მიზნობრივი ბაზრის განსაზღვრა და შერჩევა. | შეინიშნება მსგავსი მეთოდოლოგიების გამოუყენებლობა | ბაზრების შერჩევა შემთხვევითი და ქაოტურია | 0.4 |
| 13 | ქაოტური ფასდადება ექსპორტიორების მიერ საექსპორტო პროდუქტებზე. | არ ხდება მსოფლიო და ადგილობრივი ფასების შედარებითი ანალიზი | ექსპორტის დროს ისეთი სერიოზული რისკების წინასწარ გაუთვალისწინებლობას, როგორიცაა მაგალითად დემპინგი | 0.5 |
| 14 | | | | **0.391666667** |

**ექსპერიმენტი: სიმულირებული სცენარი - აგროსექტორში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების გავლენა ეკონომიკის დანარჩენ სექტორებზე**

DCFTA-ის სავაჭრო რეფორმის ფარგლებში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაცია უპირატესად შეეხო სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციას. ეკონომიკურ ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი ე.წ. „ჰოლანდიური დაავადების" მაგალითები ნავთობიდან მიღებული მოგების არასწორად განკარგვის შედეგად, რამაც ქვეყნების ეკონომიკების განვითარება შეაფერხა. ამ ფონზე, ვფიქრობთ, საჭიროა საქართველოს შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო სექტორში ვაჭრობის ლიბერალიზაციის თანამდევი შედეგების რაოდენობრივი ანალიზი. *ხომ არ შეიძლება, რომ აგროსექტორში საექსპორტო ნაკადებიდან მიღებულმა მოგებამ ეკონომიკის დანარჩენი სექტორები დააზარალოს მათში შემოსავლების შემცირების გამო?* გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩა კამერუნის ზოგადი წონასწორობის გამოთვლითი მოდელი, ვერსია: Timothy Condon et al. (1986), რომლითაც სრულყოფილი კონკურენციისა და მასშტაბიდან მუდმივი უკუგების დაშვებების პირობებში გავაანალიზეთ ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგები შედარებითი სტატიკური ექსპერიმენტის საფუძველზე.

მოდელში ჩასართავად ეკონომიკის სექტორები აგრეგირებულია გამსხვილებულ კატეგორიებად.

**ცხრილი 2. ეკონომიკის სექტორები**

| | |
|---|---|
| 1 | სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეთევზეობა/თევზჭერა. |
| 2 | ვაჭრობა |
| 3 | სატყეო მეურნეობა |
| 4 | დამამუშავებელი მრეწველობა |
| 5 | ტრანსპორტი/კავშირგაბმულობა |
| 6 | სამთომომპოვებელი მრეწველობა |
| 7 | ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება |
| 8 | საფინანსო საქმიანობა; ოპერაციებიუძრავიქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა |
| 9 | მშენებლობა |
| 10 | სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება; შინამომსახურება |
| 11 | სახელმწიფო მმართველობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება. |

**შედეგები**

ცხრილი 3. შედეგებიდან ჩანს, რომ აგროსექტორში ექსპორტის გაზრდის შედეგად მიღებული მოგება არ წარმოქმნის „ჰოლანდიური დაავადების" ანალოგ პრობლემებს. პირიქით, ფასები უმეტეს სექტორებში კონკურენტუნარიანი ხდება.

ცხრილი 4. შედეგები მიუთითებს აგროსექტორში წარმოების გაზრდის საჭიროებაზე.

***ცხრილი 3. ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ექსპერიმენტის გავლენა შიდა და კომპოზიტურ ფასებზე***

| სექტორი | შიდა ფასები | კომპოზიტური ფასები |
|---|---|---|
| 1 | 0.549 | 0.598 |
| 2 | 0.03 | 0.996 |
| 3 | 0.01 | 0.019 |
| 4 | 0.508 | 0.966 |
| 5 | 1.637 | 1.043 |
| 6 | 0.419 | 0.482 |
| 7 | 0.759 | 0.928 |
| 8 | 2.421 | 1.088 |
| 9 | 1.057 | 1.057 |
| 10 | 0.265 | 0.335 |
| 11 | 0.388 | 0.388 |

*ცხრილი 4. ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ექსპერიმენტის გავლენა იმპორტ-ექსპორტზე*

| სექტორი | ცვლილება იმპორტში | ცვლილება ექსპორტში |
|---|---|---|
| 1 | 27% | -6% |
| 2 | -4% | -12% |
| 3 | -17% | -13% |
| 4 | -2% | -8% |
| 5 | 2% | -36% |
| 6 | -6% | 1% |
| 7 | 7% | -89% |
| 8 | 4% | -3% |
| 10 | 4% | -1% |

## დასკვნა

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ჩატარებულმა სავაჭრო რეფორმებმა და ღონიძიებებმა დადებითი გავლენა იქონია ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე და შეფერხების ინდექსის მნიშვნელობა - 0.39, შეესაბამება ისეთ შესაძლებლობათა ზღვარს, სადაც ექსპორტის ეფექტიანი მენეჯმენტის პირობებში შესაძლებელი ხდება ექსპორტის ეფექტიანი განხორციელება.

თუმცა, საჭიროა დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც ინდექსის მნიშვნელობას კიდევ უფრო შეამცირებს. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ექსპერიმენტის შედეგები ვაჭრობის ლიბერალიზაციის ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილ თანამდევ პრობლემებზე არ მიუთითებს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Condon, T., Dahl, H. & Shantayanan, D., 1987. *IMPLEMENTING A COMPUTABLE GENERAL EQUILIBRIUM MODEL ON GAMS THE CAUEROON MODEL*, s.l.: Development Research Department Economics and Research Staff World Bank .
2. Dervis, K., Jaime, d. M. & Robinson, S., 1982. *General Equilibrium Models for Development Policy*. The World Bank ed. Washington D.C: A World Bank Research Publication.
3. Devarajan, S. & Rodrik, D., 1989. Trade Liberalization in Developing Countries: Do Imperfect Competition and Scale Economies Matter?. *The American Economic Review*, Vol. 79( No. 2), pp. 283-287.
4. Harris, R. G., 1984. "Applied General Equilibrium Analysis of Small Open Economies with Scale Economies and Imperfect Competition,". *American Economic Review*, Volume 74, pp. 1016-32..
5. Mage-Bertomeu, S., 2006. LES MODÈLES D'ÉQUILIBRE GÉNÉRAL APPLIQUÉS À LA POLITIQUE COMMERCIALE : DÉVELOPPEMENTS RÉCENTS. *Revue d'économie politique*, 3 Vol. (116), p. pages 357 à 381.
6. Martincus, C. V. & Carballo, J., 2010. Entering new country and product markets: does export promotion help?. *Review of World Economics*, Vol. 146(No. 3), pp. pp. 437-467.
7. Niamh Moloney, 2005 . Building a Retail Investment Culture through Law: The 2004 Markets in Financial Instruments Directive. *European Business Organization Law Review, Vol. 6, No. 3*, pp. pp. 341-422.
8. Rodrik, D., 1988. "Imperfect Competition, Scale Economies, and Trade Policy in Developing Countries,". *Trade Policy Issues and Empirical Analysis*, Issue Chicago: University of Chicago Press.
9. Rutherford, T. F. & Tarr, D. G., n.d. *Trade Liberalization, Product Variety and Growth in a Small Open Economy: A Quantitative Assessment*, Washington D.C: s.n.
10. Trien T. Nguyen, R. M. W., 1987. "Imperfect Competition and World Trade: An Applied General Equilibrium Analysis,". *mimeo.*



***Nino Melitauri***


**EU - GEORGIA TRADE LIBERALIZATION EFFECTS**

**Summary**


This paper examines the issue of quantitative assessment of the effects of trade liberalization between Georgia and the European Union. Besides, trade barriers are analyzed and the importance of their impact is assessed in order to identify what additional activities are necessary to fully exploit the potential benefits of trade reform under DCFTA.



*Keywords: trade liberalization, computable general equilibrium, index of trade barriers*

*ზურაბ ნოზაძე*

# გლობალური ეკონომიკის საკითხები

*ანოტაცია. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების კვლევის ძირითად მიმართულებებად შეგვიძლია მივიჩნიოთ:*

- *საერთაშორისო სასაქონლო ვაჭრობა (საქონლის, მომსახურების, ტექნოლოგიების, ინტელექ-ტუალური საკუთრების);*
- *წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობა (კაპიტალი უცხოური პირდაპირი ინვესტიციის სახით, მცირეკვალიფიკაციის და არაკვალიფიციური მუშაკების შრომა სტიქიური მიგრაციის სახით და „გონებრივი გადინების" ფორმით);*
- *საერთაშორისო ფინანსური ოპერაციები: სესხები (კერძო, სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები), ძირითადი ფასიანი ქაღალდები (აქციები, ობლიგაციები და სხვა დავალიანების ინსტრუმენტები), წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (ფიუჩერსები (საწარმოო ფინანსური ინსტრუმენტი, ხელშეკრულება), ოფციონები (ხელშეკრულება, რომელიც მყიდველს აძლევს უფლებას, მაგრამ არა ვალდებულებას, შეიძინოს ან გაყიდოს მითითებული აქტივი გარკვეულ ფასად ან გარკვეული თარიღამდე) და სხვა სავალუტო ოპერაციები.*

*ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია აუცილებლად მოითხოვს მის ლიბერალიზაციას, ანუ საერთაშორისო ფინანსურ ოპერაციებზე შეზღუდვების შემცირებას ან აღმოფხვრას. ამასთან, დინამიურად, გარემოებათა შესაბამისად, როგორც შემადგენლობა, ასევე სტრუქტურული თანაფარდობანი თითოეულ მათგანში შეიძლება შეიცვალოს. თანამედროვე ეკონომიკის გლობა-ლიზაციის პროცესები თანდათანობით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს: წარმოებას (ტრანსნაციონალური კომპანიების ფორმით), ვაჭრობას, მათ შორის საფონდო და საინვესტიციო ბაზრებს, რაც განისაზღვრება სამი ძირითადი ფაქტორით:*

- *სახელმწიფო რეგულირების ფორმიდან საბაზრო მექანიზმებზე გადასვლა;*
- *ინდივიდუალური ეკონომიკური ურთიერთობების ინტეგრაციის გზით ეროვნული საზღვრების გადალახვა;*
- *ინფორმაციული ტექნოლოგიის შემუშავება.*

*ამ თვალსაზრისით, ჩვენი დროის მთავარი გლობალური ეკონომიკური პრობლემა ასოცირდება წამყვანი დასავლეთის ქვეყნების ფარგლებში დახურული ეკონომიკური სისტემის ფორმირებასთან. საზოგადოების ინტელექტუალური და ტექნოლოგიური პოტენციალის გათვალისწინებით ეს თემა შეიძლება განვითარდეს შემდეგი მიმართულებებით: ძირითადი სავაჭრო ბრუნვის კონცენტრაცია განვითარებულ ქვეყნებში, ინვესტიციების ნაკადების დახურვა და მიგრაციული პროცესების მკვეთრი შეზღუდვა "მესამე სამყაროდან" განვითარებულ ქვეყნებში.*

*საკვანძო სიტყვები: მსოფლიო ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ფინანსების გლობალიზაცია, „ლიბერალიზაციის" კონცეფცია.*

გლობალიზაცია, როგორც თანამედროვე მსოფლიო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება და ყველაზე გავლენიანი ძალა, პლანეტის განვითარების მომავალ კურსს განსაზღვრავს. ის აისახება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და, მათ შორის, ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სოციალურ სფეროზე, კულტურაზე, ეკოლოგიაზე, უსაფრთხოებაზე და ა.შ., გლობალიზაციის კონცეფციის გლობალურ ეკონომიკასთან მიმართებაში განხილვის სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ზოგი სპეციალისტის აზრით ის სერიოზული საფრთხის შემცველია გლობალური ეკონომიკური სისტემისთვის, ზოგი კი მასში გლობალური ეკონომიკის შემდგომი წინსვლის საშუალებას ხედავს.

გლობალიზაციის უნივერსალური ბუნება იმით გამოიხატება, რომ მან გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ეკონომიკურ სფეროზე, არამედ მთელ სოციალურ ინფრასტრუქტურაზე და ინდუსტრიულ სახელმწიფოებთან ერთად ამ პროცესის მონაწილენი თანდათან განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიც გახდნენ.

თანამედროვე სამყარო მრავალპოლარულია და სახელმწიფოები იძულებულნი არიან ახალ მსოფლიო წესრიგთან ადაპტირდნენ. ამჟამად მსოფლიო სცენაზე ბევრი მოთამაშეა ისეთი განვითარებადი ქვეყნებიდან, როგორებიცაა ინდოეთი, ჩინეთი, ბრაზილია, სამხრეთ აფრიკა და სხვა.

ამავე დროს, მრავალი სახელმწიფო, რომელიც პოსტკრიზისულ პოლიტიკას ახორციელებს, გლობალიზაციის პროცესებს აფერხებს ადმინისტრაციული ბარიერებისა და კანონმდებლობის გამკაცრებით, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ პოსტკრიზისული ფენომენების გათვალისწინებით არის საჭირო ეროვნული მთავრობების სერიოზული მხარდაჭერა.

გლობალიზაცია არის მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკის ურთიერთკავშირი, ურთიერთშერწყმა და ინტერპრეტირება, როდესაც ერთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით აისახება სხვა ქვეყნებში და ერთ მთლიანობად წარმოდგინდება.

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალიზაცია პირდაპირ კავშირშია საკუთრებითი ურთიერთობების განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლასთან. წარმოების საერთაშორისო კოოპერაციის, შრომის საერთაშორისო დანაწილების განვითარების, საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობის შედეგად ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთდამოკიდებულება უნდა გაძლიერდეს, რაც შეუძლებელი იქნება გარე ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. მიზანშეწონილია, ამ ფენომენს ეკონომიკური საქმიანობის ინტერნაციო-ნალიზაცია ვუწოდოთ.

ხშირად აღინიშნება, რომ ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთკავშირების გაძლიერების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს გლობალური ფინანსური ბაზრის ფორმირება წარმოადგენს, რომლის საარსებო გარემო გლობალური ინფორმაციული სივრცე და გლობალური საინფორმაციო ქსელები გახდა, რაც შესაძლებელს ხდის თითქმის წამიერად გადაერიცხოს ნებისმიერი თანხა ფინანსურ ინსტიტუტებს დედამიწის ნებისმიერ წერტილში. გლობალური ფინანსური ბაზრის პირობებში იზრდება ზენაციონალური ბაზრების (ევროპული ბაზრები), ასევე ოფშორული ფინანსური ბაზრების როლი და მნიშვნელობა; ისევე, როგორც ქვეყნებს შორის ფინანსური კაპიტალის გადაადგილების სიჩქარე და მოცულობა, რაც, ხშირ შემთხვევაში, მცირედ ან სრულიად არ არის დაკავშირებული რეალურ წარმოებასთან, ფინანსების გლობალიზაციაში ყველაზე მკაფიოდ გამოიხატება მსოფლიო ეკონომიკაში კარდინალური ცვლილებები, კერძოდ, „ფინანსური კაპიტალი არის მთავარი ფაქტორი, რომელიც შლის ეროვნული ეკონომიკის საზღვრებს."

გლობალიზაციის პროცესი კომპლექსურია და მოქმედებს როგორც ეკონომიკაზე, ასევე საზოგადოების სხვა სფეროებზეც, გლობალიზაცია კვლევის საგნად იქცევა არა მხოლოდ ეკონომიკურ მეცნიერებაში, არამედ სხვა სოციალურ მეცნიერებებში (ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, კულტურული კვლევები, ისტორია, სამართალი და ა.შ.), ხოლო მისი ფაქტორები და მამოძრავებელი ძალები ტექნიკური მეცნიერებების განხილვის არეშიც კი გადადის. მაგალითად, ტექნიკური მეცნიერების წარმომადგენლები სწავლობენ ისეთ ცნებებს, როგორებიცაა „ტექნოგლობალიზმი" და „ენერგიის გლობალიზაცია", „ინფორმატიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროცესები მსოფლიოში" და, შესაბამისად, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება გლობალიზაციის ფაქტორად იქცევა. თანამედროვე ეკონომიკის გლობალიზაციის წინაპირობებისა და მამოძრავებელი ძალების საფუძველს შემდეგი ფაქტორები წარმოადგენს:

- ეკონომიკური ფაქტორი - კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია,

დიდი კორპორაციების ზრდა, მათ შორის კომპანიებისა და ფინანსური ჯგუფების ჩათვლით, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში სულ უფრო და უფრო სცილდებიან ეროვნულ საზღვრებს და გლობალურ ეკონომიკურ სივრცეს ეუფლებიან.

- პოლიტიკური ფაქტორი - სახელმწიფო საზღვრები თანდათან კარგავს

მნიშვნელობას, ხდება უფრო და უფრო გამჭვირვალე, რაც უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს ყველა სახის რესურსის გადაადგილების თავისუფლებას.

- საერთაშორისო ფაქტორი - გლობალიზაციის დინამიკა უკავშირდება

ძირითადი საერთაშორისო მოვლენების თარიღებს. ისინი სტიმულს აძლევენ გლობალიზაციის პროცესებს. ლუქსემბურგის ევროპული საზოგადოების კონფერენციამ 1985 წელს მიიღო ევროპული აქტი (ძალაში შევიდა 1987 წელს), რომელმაც გამოაცხადა თავისუფლება ხალხის, საქონლის/ მომსახურებისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში.

- ტექნიკური ფაქტორი - ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებები

ქმნის არნახულ შესაძლებლობებს იდეების, საქონლის, ფინანსური რესურსების სწრაფად გავრცელებისთვის.

ლიბერალიზაციამ, სასაქონლო და კაპიტალის ბაზრების დარეგულირებამ გააქტიურა ეკონომიკური საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია. თანამედროვე ეკონომიკის თვისებრივად ახალი თვისებები ისაა, რომ მანამდე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ვითარდებოდა ძირითადად იმ დროისთვის ჩამოყალიბებული ურთიერთობების ფარგლებში (ბრიტანული, ფრანგული, გერმანული, ჰოლანდიური და, ფაქტობრივად, ამერიკული) და მხოლოდ ამის შემდეგ ვრცელდებოდა თავად მეტროპოლიებს შორის. გლობალიზაციის თანამედროვე პროცესები კი პირველ რიგში ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ვითარდება და მხოლოდ შემდეგ იპყრობს ახლანდელ განვითარებად ქვეყნებს (წარსულში, ძირითადად, კოლონიური ქვეყნები).

საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი მიმართულებები და შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა: უპირატესი ადგილი დაიკავა თავად განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობამ, ხოლო მისი სასაქონლო შინაარსი შედგება (ანუ საქონლით შევსება ხდება) მანქანების, აღჭურვილობის, საკვლევი მოწყობილობების, მაღალტექნოლოგიური ნივთებისა და სხვა მზა პროდუქტებისგან. შინაარსის თვალსაზრისით, ეს ძირითადად არის დარგთაშორისი კი არა, შიდა დარგობრივი ვაჭრობა, გამომდინარე ცალკული ქვეყნის ინდივიდუალური ინდუსტრიული სპეციალიზაციიდან. ეს ვაჭრობა უფრო და უფრო ემყარება არა ერთჯერად/საცალო კომერციულ გარიგებებს, არამედ გრძელვადიან საწარმოო ურთიერთობებს, რომლებიც ემყარება შესაბამის ალიანსებს, თანამშრომლობის ხელშეკრულებებს და ა.შ. ეს ზოგადი ტენდენცია, თუმცა უფრო მცირე ზომით, აშკარაა ეკონომიკურ კავშირებში, რომელშიც მონაწილეობენ განვითარებადი ქვეყნები და ასევე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები.

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესების დამახასიათებელი სრულიად ახალი მოვლენა არის ფინანსური ბაზრების ფორმირება და პროგრესირებადი ზრდა (უცხოური ვალუტა, საფონდო, საკრედიტო), რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაში წარმოებისა და ვაჭრობის მთელ სფეროზე. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, კვლავ მდგომარეობს არა რაოდენობრივ ინდიკატორებში, არამედ მთლიანად ფინანსური სფეროს თვისებრივ ცვლილებაში და მის როლზე საერთაშორისო ეკონომიკურ ცხოვრებაში. ფინანსური კრიზისები ამ ახალი ვითარების გავლენას ეკონომიკაზე აშკარად აჩვენებს მთლიანად ყველა ქვეყანაში.

ეკონომიკის გლობალიზაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, გარკვეულწილად პროცესისადმი წინააღმდეგობრივი, არის რეგიონალიზაცია - გლობალიზაცია შეზღუდული მასშტაბით, მოიცავს ქვეყანათა ჯგუფს, რომლებიც ქმნიან ასოციაციებს, რომელშიც ლიბერალიზაცია მეტ-ნაკლებად ხორციელდება ვაჭრობის, კაპიტალის და მოსახლეობის მოძრაობისა შესაბამისი ინტეგრაციული დაჯგუფების ფარგლებში (თავისუფალი ვაჭრობის ზონები, საბაჟო კავშირები, „საერთო ბაზრები“, ეკონომიკური გაერთიანებები).

გლობალიზაციის მთავარი წყარო და გენერაცია არის მსოფლიოზე ორიენტირებული სტრატეგია ცალკეული ფირმების და კომპანიების დონეზე. ამ პროცესის მაკროეკონომიკური შედეგები აისახება ეროვნულ დონეზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს გარკვეულ პოლიტიკურ რეაქციებს, რომელიც შეიძლება მხარდამჭერი ან ხელის შემშლელიც კი აღმოჩნდეს. ამიტომ სასურველია ამ მხარდაჭერის ძირითადი შინაარსი სახელმწიფოს „ლიბერალიზაციის" კონცეფციაში აისახოს.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. Антипов Н.П. Экономическая интеграция в мировой экономике и транснациональные корпорации / Антипов Н.П., Королев А.Е. // Междунар. публичное и частное право. - 2013. - N 2. - С.32-34.
2. Богомолов О.Т. Анатомия глобальной экономики: Учебное пособие. – М.: Академкнига – 2014.
3. Гохан Патрик А., Слияния, поглощения и реструктуризация компаний: пер. С англ. М.: Альпина Бизнес Букс, 2014.
4. http://www.hse.ru/data/2014/01/07/1300656205/proekt_koncepcia.pdf
5. http://www.investmentrussia.ru/rinok-investitzii/tovarnie-rinki Размещено на Allbest.ru



***Zurab Nozadze***


## GLOBAL ECONOMY ISSUES

### Summary


The main directions of researches in modern economic science can be considered:

- International trade of goods (goods, services, technologies, intellectual property);
- International Movement of Factors of Production (capital with the form of foreign direct investment, labor of small-skilled and unskilled workers in the form of natural migration and in the form of "mental outflow");
- International financial operations: loans (private, state, international organizations), fixed securities (shares, bonds and other debt instruments), financial produced instruments (futures (industrial financial instrument, contract),
- options (an agreement that entitles the buyer, but not an obligation, to buy or sell the specified asset at a certain price or before a certain date.) and other foreign exchange transactions. The globalization of economic activity necessarily requires its liberalization, that is, reduction or elimination of restrictions on international financial transactions. (operations.)

However, dynamically, depending on the circumstances, both the composition and the structural ratios in each of them may change. The processes of globalization of the modern economy are gradually involving into all spheres of public life: production (in the form of transnational companies), trade, including stock and investment markets, which are determined by three main factors:

- Transition from state regulation to market mechanisms;

- Overcoming national borders through the integration of individual economic relations;
- Development of information technology.

In this sense, the main global economic problem of our time is associated with the formation of a closed economic system within the leading Western countries. With the intellectual and technological potential of the community, this topic can be developed in the following areas: the concentration of key trade turnover in developed countries, closing investment flows and drastically limiting migration processes from "Third World" to developed countries.

*ნუნუ ქისტაური*
*მედეა მელაშვილი*
*ქეთევან ქველაძე*

## კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ზოგიერთი ასპექტი

***ანოტაცია.*** *ნაშრომში გაანალიზებულია კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, როგორც თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება, რომელსაც გლობალური ხასიათი გააჩნია. ეს პროცესი XX საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით გააქტიურდა. განხილულია ამ პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები როგორც დონორი, ისე მიმღები ქვეყნებისათვის. განხილულია კაპდაბანდებების მიზნების მიხედვით არსებული ორი ფორმა: პირდაპირი და პორტფელური. აღნიშნულია რა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უპირატესი როლი, ისინი საკმაოდ დაწვრილებით არის განხილული და მითითებულია, რომ მსოფლიო ბაზარზე ეს ინვესტიციები ტრანსნაციონალური კომპანიების ბატონობის საფუძველია;*

*ასევე გაანალიზებულია ინვესტიციური ნაკადების მოძრაობა განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში და აქ არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები. ნაშრომში მოყვანილი და გაანალიზებულია საინტერესო ციფრობრივი მასალა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, საინვესტიციო ნაკადები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეროვნული საინვესტიციო პოლიტიკა.*

* * *

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესის აქტიური და გლობალური ხასიათი, რაც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი თავისებურებაა. საქონელთან შედარებით, საზღვარგარეთ კაპიტალის უპირატესად გატანამ ქვეყნებს შორის თვისებრივად ახალი ეკონომიკურ-სამართლებრივი ურთიერთობები ჩამოაყალიბა და მსოფლიო მეურნეობა უფრო მრავალფეროვანი და რთული გახადა.

XX საუკუნის II ნახევრიდან კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა განსაკუთრებით გააქტიურდა. თავდაპირველად, კაპიტალის უცხოეთში გატანას რამდენიმე განვითარებული სახელმწიფო ახორციელებდა. მსოფლიო მეურნეობის განვითარების კვალობაზე, ეს პროცესი უფრო დაჩქარდა და გაფართოვდა და იგი დამახასიათებელი გახდა დინამიურად განვითარებული ეკონომიკის მქონე ბევრი ქვეყნისათვის, თუმცა, უპირატესობას კვლავ მაღალგანვითარებული ქვეყნები ინარჩუნებენ.

ინვესტიციების ზრდის ასეთი მაღალი ტემპები მსოფლიო მეურნეობაში მომხდარმა გარდაქმნებმა გამოიწვია. კერძოდ, ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა საზღვარგარეთ, მზა პროდუქციის ნაცვლად, მასობრივად გაიტანეს წარმოება, რითაც უცხოეთის ბაზრებზე მყარად დაფუძნდნენ და მოგების მიღების გრძელვადიანი პერსპექტივები უფრო განიმტკიცეს. პრაქტიკულად, მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) როგორც იმპორტიორი, ისე ექსპორტიორია, რადგან ამგვარ ინვესტიციებს, უპირატესად, ტრანსნაციონალური კომპანიები ახორციელებენ, ანუ ამ პროცესში როგორც დონორი (კომპანიის სათავო სტრუქტურა), ისე მიმღები ქვეყნები (კომპანიების ინვესტიციების ბაზაზე მოქმედი შვილობილი კომპანიები, ფილიალები) აქტიურად მონაწილეობენ.

კაპიტალის საზღვარგარეთ გატანას ორივე მხარისათვის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები აქვს, კერძოდ, თავდაპირველად კაპიტალის ექსპორტიორ ქვეყანაში სამუშაო ძალა იკლებს და საგადამხდელო ბალანსი უარესდება, შემდეგ, ინვესტიციებიდან მიღებული მოგების შემოსვლა იწყება და ეკონომიკური ვითარებაც თანდათან უმჯობესდება; კაპიტალის იმპორტიორ ქვეყანაში დასაქმება

მატულობს, დამატებითი ვალუტა შედის, ახალი ტექნოლოგიები ინერგება, მაგრამ, იმავდროულად, ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ სექტორზე ქვეყნის კონტროლი სუსტდება ან საერთოდ იკარგება.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ძირითადი მიზეზია ეროვნულ ქვეყანაში მისი სიჭარბე და ნაკლებმომგებიანობა, თუმცა ნიშანდობლივია ისიც, რომ კაპიტალის ექსპორტი შეიძლება შიდა ინვესტიციების უკმარისობის პირობებშიც განხორციელდეს. დაბანდების მიზნის მიხედვით კაპდაბანდებები შეიძლება იყოს პირდაპირი და პორტფელური.

პირდაპირი ინვესტიციები (direct investments)) კაპიტალის მიმღებ ქვეყანაში გრძელვადიანი ეკონომიკური ინტერესების მიზნით ხორციელდება და კაპიტალის განთავსების ობიექტზე ინვესტორის კონტროლით ხორციელდება. ასეთი ინვესტიციები, უპირატესად, კერძო წყაროებიდან ფინანსდება.

პორტფელური ინვესტიციები (portfolio invesments) უცხოური ფასიანი ქაღალდების შეძენით სრულდება და ინვესტორს ინვესტიციების მიმღებ ობიექტზე რეალური კონტროლის უფლებას არ აძლევს. ასეთი ინვესტიციებიც, უპირატესად, კერძო წყაროდან ფინანსდება, თუმცა, ზოგჯერ სახელმწიფოც უშვებს საკუთარს ან იძენს უცხოურ ფასიან ქაღალდებს.

ინვესტიციებს შორის უპირატესობით სარგებლობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ისინი მსოფლიო ბაზარზე ტრანსნაციონალური კომპანიების ბატონობის საფუძველია. ეს კომპანიები ისეთი ოდენობის სააქციო კაპიტალს ფლობენ, რაც კონტროლის უფლებას იძლევა. როგორც წესი, ამგვარი ინვესტიციის დროს კომპანიის აქციების არაუმეტეს 25% უცხოელი ინვესტორის ხელშია. მაგალითად, ტრანსნაციონალური კომპანიების საზღვარგარეთულ ფილიალებში ბოლო წლებში 70,7 მილიონი ადამიანი იყო დასაქმებული, გაყიდვების მოცულობამ 34,5 ტრილიონი, ზედმეტმა ღირებულებამ 7,5 ტრილიონი, ხოლო საქონლისა და მომსახურების ექსპორტმა 23,2 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1 (იხ. ცხრ.1). ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის გააქტიურებამ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს სრულიად ახალი იმპულსი შესძინა. მათი საზღვარგარეთული სტრუქტურები მიმღები ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების ორგანული ნაწილი გახდა და ამ ქვეყნის ბაზარი აქტიურად დაიპყრო. მაგ., აშშ-ში ავტომობილების წარმოების 15% წმინდა იაპონური ან ამერიკულ-იაპონურია; იაპონური მაგნიტოფონების 62% და ტელევიზორების 70% მსოფლიოში ცნობილი იაპონური კომპანიების საფირმო ნიშნებით იაპონიიდან მოშორებით (სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, ლათინური ამერიკა) იწარმოება; იაპონიის საწარმოო სიმძლავრეების 5%, აშშ-ის 20% და დასავლეთ ევროპის 30-დან 40%-მდე უცხოეთშია განთავსებული.

*ცხრილი 1*

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები მსოფლიო რეგიონების მიხედვით 2016-2018 წლებში (მლრდ აშშ დოლარი)**

| რეგიონი | მიღება | | |
|---|---|---|---|
| | **2016** | **2017** | **2018** |
| მსოფლიო | 1746 | 1430 | 1300 |
| განვითარებული ქვეყნები | 1032 | 712 | 557 |
| განვითარებადი ქვეყნები | 646 | 671 | 706 |
| გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები | 68 | 47 | 34 |
| %-ული წილი წინა წელთან შედარებით | | | |
| მსოფლიო | -2 | -23 | -1.3 |
| განვითარებული ქვეყნები | 5 | -37 | -27 |
| განვითარებადი ქვეყნები | -14 | 0 | 2 |
| გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები | 81 | -27 | -28 |

დღეისათვის მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარი ცენტრებია აშშ, ჩინეთი, ევროკავშირი, იაპონია. მათზე მსოფლიო ინვესტიციების თითქმის 50% მოდის. 10 უმსხვილეს მიმღებ ქვეყანაზე ინვესტიციების ნაკადის 2/3, ხოლო 100 მცირე ქვეყნებზე მხოლოდ 1% მოდის.

განვითარებადი ქვეყნების მიხედვით ინვესტიციების სტრუქტურაც არათანაბარია. სახელდობრ, 65% აზიაზე, 27% ლათინურ ამერიკაზე, ხოლო დანარჩენი აფრიკაზე მოდის.

2018 წელს მსოფლიო პირდაპირი ინვესტიციების რაოდენობა 2017 წელთან შედარებით 13%-ით შემცირდა და 1.3 ტრლნ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განვითარებულ ქვეყნებში 2004 წლიდან ყველაზე დაბალია, იგი 27%-ით დაეცა და 2018 წელს 557 მლრდ დოლარი შეადგინა. ეს ტენდენცია ბოლო 3 წელია არ იცვლება. თუ 2017 წელს დაცემა გამოწვეული იყო შეერთებისა

და შთანთქმის ნელი ტემპით, კაპიტალის გატანა განვითარებული ქვეყნებიდან 40%-ით შემცირდა და 558 მლრდ დოლარს გაუტოლდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადი განვითარებად ქვეყნებში მსოფლიო საერთო სიდიდის 3%-ს უდრის და 2017 წელს 24 მლრდ დოლარის ტოლი იყო. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეს მაჩვენებელი 2018 წლისთვის 28%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით და 34 მლრდ დოლარი შეადგინა. მსოფლიო მაჩვენებელი 2019 წლისათვის მხოლოდ 10%-ით გაიზარდა და 1.5 ტრლნ დოლარი შეადგინა, რაც ბოლო 10 წლის საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია.

ევროპაში ინვესტიციების ნაკადი ორჯერ შემცირდა და 172 მლრდ დოლარს გაუტოლდა, რაც, 1997 წლიდან მოყოლებული, ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. 2018 წელს ამის ძირითადი მიზეზია ამერიკულ მრავალნაციონალურ საწარმოთა (მნს) მიერ უცხოეთში დაგროვილი მოგების მსხვილმასშტაბიანი რეპატრიაცია. ხოლო, ამ ქვეყნებში უმუშევრობის მაღალი დონის გამო, გაიზარდა ინვესტიციების უცხოეთში გატანის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა. მათი აზრით, ინვესტიციების საზღვარგარეთ გატანა ხელს უწყობს სამუშაო ადგილების ექსპორტს (განსაკუთრებით კვალიფიციური საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის), რითაც სუსტდება ეროვნული სამრეწველო ბაზა. მიღებული ღონისძიებები უნდა იყოს მიზანმიმართული, ნაწილობრივ კი, ინვესტიციების გატანის შეზღუდვისაკენ ორიენტირებული და უცხოეთში არსებული ეროვნული ინვესტიციების რეპატრიაციისთვის სტიმულის შემქმნელი.

ეროვნული საინვესტიციო პოლიტიკის ახალი ღონისძიებები სხვადასხვა ქვეყანაში, მიუთითებს უცხოური ინვესტიციებისადმი მზარდ კრიტიკულ დამოკიდებულებაზე. 2018 წელს დაახლოებით 55 ქვეყანამ განახორციელა 112-ზე მეტი სხვადასხვა ღონისძიება ინვესტიციების დარგში. აქედან 1/3 უკავშირდებოდა ახალ შეზღუდვებს და წესებს, რომლებიც ძირითადად ასახავს მათ შეშფოთებას ეროვნული უსაფრთხოების, უცხოელებისადმი ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ობიექტების, ტექნოლოგიების და სხვა ბიზნესაქტივების მიყიდვის გამო. ამასთან, სხვადასხვა, მათ შორის, პოლიტიკური მიზეზების გამო ანულირდა შეერთების და შთანთქმის 22-ზე მეტი მსხვილი ხელშეკრულება, რაც 2017 წლის მონაცემებზე ორჯერ მეტია. საერთოდ, 2011 წლიდან მოყოლებული, უცხოური ინვესტიციების შერჩევის მექანიზმების გაფართოების მიზნით, 11 ქვეყანამ დაახლოებით 41 ცვლილება შეიტანა არსებულ რეჟიმებში (თუმცა, რა თქმა უნდა, ინვესტიციების მოზიდვა პრიორიტეტულად რჩება). ისინი მიმართულია პროცედურების ლიბერალიზაციასა და გამარტივებაზე, ახალი საგადასახადო შეღავათების შემოღებაზე კონკრეტულ დარგებში. 2018 წელს მსოფლიოში ხელი მოეწერა 40 საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებას. ყველა ახალი ხელშეკრულება ეყრდნობა გაეროს გენერალური ასამბლეის საკოორდინატორო ცენტრის ვაჭრობის, ფინანსების, ტექნოლოგიების, ინვესტიციების და მდგრადი განვითარების საკითხებში UNCTAD-ის მიერ გამოქვეყნებულ საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმის რეფორმირების ღონისძიებათა პაკეტს. უფრო ხშირად ცვლილებები ეხება მოძველებული ხელშეკრულებების მოდერნიზაციას, თუმცა მათი რიცხვი დღესაც ათჯერ ჭარბობს ახალი ხელშეკრულებების რიცხვს.

ამ პროცესის გამო აშშ გამოვარდა უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების პირველი ოცეულიდან და გადაიქცა უმსხვილეს მიმღებ ქვეყნად, რომელსაც მოსდევს ჩინეთი, ჰონკონგი და სინგაპური. მთლიანად პუი-ს გატანა განვითარებული ქვეყნებიდან 2018 წელს 40%-ით შემცირდა და 558 მლრდ დოლარი შეადგინა. შედეგად, გატანათა საერთო მსოფლიო რაოდენობაში მათი წილი 55%-მდე დაეცა, რაც ყველაზე დაბალია მათზე დაკვირვებების მთელი პერიოდის განმავლობაში.

ევროპული მნს-ების მიერ საგარეო ინვესტიციების მოცულობა 2018 წელს 11%-ით გაიზარდა და 418 მლრდ დოლარი შეადგინა.

განვითარებად ქვეყნებში აღნიშნული პროცესი 2018 წელს სტაბილური იყო, ოდნავ კიდევაც გაიზარდა (2%-ით) და 706 მლრდ დოლარს გაუტოლდა, რამაც პუი-ს საერთო მაჩვენებლის 54% შეადგინა. რაც შეეხება გატანას, განვითარებადი ქვეყნებიდან პუი-ს ექსპორტი 2018 წელს 3%-ით შემცირდა და 401 მლრდ დოლარი შეადგინა.

2018 წელს მსოფლიო უმსხვილესი ასეულის წევრმა მნს-ებმა სკსსს-ზე 350 მლრდ დოლარი დახარჯეს, რაც მთლიანად ბიზნესის მიერ ამ დარგის დაფინანსების 1/3-ზე მეტია. ბოლო 5 წლის განმავლობაში მათ გაიტანეს 5300 სამეცნიერო-კვლევითი პროექტი თავიანთი ნაციონალური ბაზრების გარეთ, რაც მთლიანად განხორციელებული ინოვაციური პროექტების 6%-ს შეადგენს. მაგალითად, წინა ხუთწლეულში ეს მაჩვენებელი ნაკლები იყო - 4000. განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე მოდის ამგვარი პროექტების 45%.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პუი-ს ნაკადი ნელ-ნელა მცირდება. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და დსთ-ს ქვეყნებში მათი წილი 2018 წელს 28%-ით შემცირდა და 34 მლრდ დოლარი შეადგინა.

კაპიტალის გადინება თითქმის უცვლელი დარჩა - 38 მლრდ დოლარი, რის შედეგადაც ეს რეგიონი პუი-ს მნიშვნელოვან ექსპორტიორად გადაიქცა.

UNCTAD-ის მონაცემებით, რომელიც მოყვანილია დოკუმენტში „მოხსენება მსოფლიო ინვესტიციების შესახებ 2018 წელს“, პუი-ს საერთო მოცულობა მსოფლიოში 2018 წელს შემცირდა 19%-ით და შეადგინა 1.2 ტრლნ დოლარი, 2017 წელს - 1.47 ტრლნ დოლარით. აქედან 40%, ანუ 451 მლრდ დოლარი, განვითარებულ ქვეყნებზე მოდიოდა. ევროკავშირში პუი-ს საერთო მოცულობა 1990 წლის დონეს გაუთანაბრდა და 100 მლრდ დოლარი შეადგინა.

უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობის მიხედვით მსოფლიოში პირველი სამეული 2018 წელს ასე გამოიყურება: აშშ - 226 მლრდ დოლარი; ჩინეთი - 142 მლრდ დოლარი; დიდი ბრიტანეთი - 122 მლრდ დოლარი.

გლობალური ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური გამოწვევების ფონზე საერთაშორისო თანამეგობრობამ განსაზღვრა მდგრადი ეკონომიკური განვითარების მთავარი მიზნები, რომელსაც უნდა მიაღწიოს კაცობრიობამ 2030 წლისათვის სიღარიბის მასშტაბების შემცირების, სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესების, ჯანდაცვის, განათლებისა და კლიმატის ცვლილებების შერბილების შედეგად. მდგრადი განვითარების დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო იქნება დიდი ოდენობის რესურსები ყველა განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში. UNCTAD-ის შეფასებებით, მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში ერთობლივი საინვესტიციო მოთხოვნილება საბაზო ინფრასტრუქტურის (საავტომობილო გზები და რკინიგზა, პორტები; ელექტროსადგურები; წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები) განვითარებისათვის, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (სოფლის მეურნეობა და სასოფლო დასახლებების განვითარება), კლიმატის ცვლილებების შერბილებისა და მასთან ადაპტაციისათვის, ასევე ჯანდაცვისა და განათლების განვითარებისათვის წლიურად საჭირო იქნება 3,3-4,5 ტრილიონი დოლარი. თუმცა სავსებით ნათელია, რომ დღემდე არსებულ ყველა გათვლაში საკმაოდ მნიშვნელოვან კორექტივებს შეიტანს მსოფლიოში მძვინვარე პანდემია კორონავირუსის სახელწოდებით. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მთელი მსოფლიო მკაცრი კარანტინის პირობებში იმყოფება. თითქმის სრულიად გაჩერებულია ეკონომიკა. ჯერ კიდევ გაურკვეველია როდიდან მოხდება საერთაშორისო ურთიერთობების აღდგენა და როგორი ფორმით, რა დოზით. ბევრი მსოფლიო ლიდერი სხვადასხვა ქვეყანა, აღმოჩნდა მსგავსი პრობლემის წინაშე: ტრანსნაციონალური კომპანიების წარმოებები გატანილია ქვეყნის გარეთ და პანდემიის პირობებში ისინი უბრალოდ გააჩერეს ადგილობრივმა მთავრობებმა. ამ პროცესში ჩარევა ყოვლად შეუძლებელია. ბევრი ქვეყნისათვის ფორსმაჟორულ პირობებში აუცილებელი გახდა, ამ წარმოებების სხვაგან გადატანა ან სულაც დაბრუნება. თითქოს უკვე საბოლოოდ დალაგებული მსოფლიო ფორმატი აირია. მთელი მსოფლიო ახალი პირობებისადმი შესატყვისი არსებობის ფორმების ძიებას შეუდგა. ეს, რა თქმა უნდა, უცხოური ინვესტიციების ნაკადების მიმართულებებს და სიდიდესაც შეეხება და დღემდე არსებული პროგნოზები ძირეულად გადაიხედება.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. რატომ შემცირდა ინვესტიციები დრამატულად და რას უნდა ველოდოთ 2020 წელს http://www.tabula.ge/ge/story/155559-ratom-shemcirda-investiciebi-dramatulad-da-ras-unda-velodot-2020-tsels
2. РЕЙТИНГ СТРАН И ТЕРРИТОРИЙ ПО УРОВНЮ ПРЯМЫХ ИНОСТРАННЫХ ИНВЕСТИЦИЙ The World Bank: Foreign Direct Investment 2019. https://gtmarket.ru/research/foreign-direct-investment-index/info
3. В прошлом году объем прямых иностранных инвестиций в мире незначительно снизился – ЮНКТАД https://ru.investing.com/news/economy/article-1943163
4. Доклад о мировых инвестициях – 2019: особые экономические зоны https://roscongress.org/materials/doklad-o-mirovykh-investitsiyakh-2019 30.08.2019
5. ЮНКТАД: объем прямых иностранных инвестиций в Европу снизился на «беспрецедентные» 70 процентов 2019 https://news.un.org/ru/story/2019/01/1347162
6. Доклад о мировых инвестициях 2019 https://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2019_overview_ru.pdf
7. Доклад о мировых инвестициях 2018 https://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2018_overview_ru.pdf
8. Доклад о мировых инвестициях 2017 https://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2017_overview_ru.pdf

***Nunu Kistauri***
***Medea Melashvili***
***Ketevan Kveladze***

**SOME ASPECTS OF THE INTERNATIONAL CAPITAL MOVEMENT**
**Summary**

The international capital movement, as an important feature of the development of the modern world economy, has a global character. This process has been particularly active since the second half of the twentieth century, which has its pros and cons for both donor and recipient countries. Out of the two forms of investment (direct and portfolio) according to its aims, foreign direct investment has the predominant role. In the world market, these investments are the basis for the dominance of transnational companies.

The movement of investment flows is different in developed, developing and transitional economies, as can be well seen in the digital material presented in the paper.

***Lali Khikhadze***

**CURRENT PROBLEMS OF BUSINESS SAFETY AND FOREIGN TRADE POLICY REGULATION IN GEORGIA AND PRINCIPAL ASPECTS OF ITS IMPROVEMENT**

***Annotation.*** *Complete integration of the Georgian economy into the global community is particularly important in the first twenties of XXI century that requires active involvement of the state authority and rational regulation of foreign trade relationships as spontaneousand uncontrolled international business relations pose a danger to maintenance of country's independence and increase of problems in view of business safety. In any country globally, the sustainable foreign economic policy and business safety is essentially determined by the status of balance of payment, development level of the national industry, steady currency, rate of inflation, foreign trade volume (commercial turnover of export and import), size of investment inflows and priority areas of capital investment that collectively affect current status of the country's economic growth as well as further development of the country.*

***Keywords:*** *foreign trade, importance of state regulation, business safety, global business, technologies, competitiveness, export potential and nomenclature, free trade regime, dumping and compensatory duty.*

**Introduction.** In a modern world, trade contacts and relations of countries are largely integrated and interdependent because post-industrial and high-technology manufacturing countries produce products not only for national but for the world markets as well. Therefore, the more developed is the country, higher is its necessity with regard to development of international trade. Developing countries and countries in transition have limited number of high technologies and material resources and narrow domestic market. Such countries lack possibility to produce all goods required for industrial and consumption use of the national market, as a result, international trade is an instrument for the developing world to consume desired commodity and to achieve more welfare thoughliberal trade policy and free trade regimes actively pursued by the state may have a negative impact on the development of priority fields and protective mechanisms for business safety as dumping and subsided import, excessive import and intentional expansion of foreign companies on the national market are reasons for derivation of damage and bankruptcy of national production.

Without state regulation and activities in Georgia, the country may appear in a harder situation and it will be deprived of possibility to use privileges granted by WTO membership and free trade agreements.

**General analysis and research.** Importance and relevance of foreign trade in global business is due to deepening of international labor distribution and objective processes of current globalization. Agreements of the World Trade Organization and introduction of liberal trade policy have become special stimuli for development of international trade. Since June 14th, 2000 Georgia has become the 137th member state of WTO and in response to assumed obligations, the country took significant measures towards foreign trade liberalization such as cancellation of export-import quotas, abolishment of export-import licensing and requirement to register foreign trade contracts. Differential customs duties tax at a rate of 5% and 12% has been imposed on import. Customs duty on export has been abolished and preferential customs duties have been set on import of goods designated for production (raw materials, machinery and equipment, technologies, etc.). Foreign trade liberalization has become a crucial basis for implementation of economic reforms in the country. But import still significantly exceeds export that is a severe problem. Table N1 below provides a clear picture for illustration of current status and dynamics of the foreign trade.

**Georgian Foreign Trade Dynamics during 2013-2019 years**
**(Current prices: millions of USD)**[97]

| YEAR | TUMOVER | EXPORTS | IMPORTS | BALANCE |
|---|---|---|---|---|
| 2013 | 10933 | 2910 | 8023 | -5113,3 |
| 2014 | 11463 | 2861 | 8602 | -5741,7 |

[97] www.geostat.ge, Data are based on materials provided by the National Statistics Office of Georgia.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2015 | 9504,4 | 2204,2 | 7300,2 | -5096,0 |
| 2016 | 9407,0 | 2133,0 | 7294,0 | -5180,9 |
| 2017 | 10679,1 | 2735,8 | 7943,3 | -5807,0 |
| 2018 | 12492,1 | 3355,7 | 9136,7 | -5781,0 |
| 2019 | 12831,0 | 3765,4 | 9065,4 | -5300,1 |

The table demonstrates that a basic criterion for evaluation of efficacy of Georgia's foreign trade is a trade balance which essentially reflects a level of country's economic development and degree of its relationship with foreign markets. Problems of Georgia's balance of payment is significantly related to unfavorable trends in foreign trade as confirmed by foreign trade dynamics of Georgia during 2013-2019 (see Table 1) that indicates a permanent and steady deficit of foreign balance regarded as a negative trend for any country in the world. Complexity of this issue is specifically expressed in Georgia when over several decades import 3 and more times exceeds export and respectively, negative trade balance represents a heavy burden for country's economic development and financial stability. Consequently, due to crisis in economy and business sector, Georgia is essentially dependent on international market and consumption of imported products. Besides, negative trade balance for several decades puts a heavy burden on capital account of balance of payments that induces the state government and a private sector to grow foreign liabilities and thus to meet increased demands for foreign currency. Problems related to balance of payments of Georgia is associated with unfavorable condition of foreign trade policy, in particular, deficit steady nature of trade balance (annual negative trade balance exceeds -5 billions of USD) that dramatically worsens the country's balance of payments and financial state, increases foreign debt and dependence that correspondingly reduces investment capital, delays foreign debt service and in general, makes a negative impact on economic growth and business safety.

Local national production in the country fails to meet domestic market demands; therefore, population is much dependent on import. Besides, commodity structure of export is unfavorable with too much national resources and raw material while the traditional goods for production of which the country has absolute and relative advantages are imported to the country. As a result, majority of demands are satisfied with imported products. Products produced in the European Union and other developed countries create solidcompetitiveness because of quality while products imported from CIS countries, Turkey, Iran and other developing countries are marked by dumping prices.

**Top trading by turnover in 2018**[98]

| COUNTRIES | EXSPORTS | SHARE% | IMPORTS | SHARE% | TURNOVER | SHARE% |
|---|---|---|---|---|---|---|
| **TOTAL** | 3355,7 | 100 | 9136,7 | 100 | 12492 | 100 |
| **OUT WHICH** | | | | | | |
| **TURKEY** | 233,5 | 17,0 | 1473, 0 | 16,1 | 1706,5 | 13,7 |
| **RUSSIA** | 436,6 | 13,0 | 934,9 | 10,2 | 1371,5 | 11,0 |
| **AZERBAIJAN** | 502,2 | 15,0 | 593,0 | 6,5 | 1095,1 | 8,8 |
| **CHINA** | 198,0 | 5,9 | 833,9 | 9,1 | 1031,9 | 8,3 |
| **UKRANE** | 175,0 | 5,2 | 514,8 | 5,6 | 689,8 | 5,5 |
| **ARMENIA** | 278,7 | 8,3 | 395,3 | 5,7 | 614,0 | 4,9 |
| **USA** | 160,0 | 4,8 | 359,5 | 3,9 | 519,5 | 4,2 |
| **GERMANI** | 51,5 | 1,5 | 431,5 | 4,7 | 483 2 | 3,9 |
| **BULGARIA** | 258,9 | 7,7 | 181,6 | 2,0 | 440,5 | 3,5 |
| **FRANCE** | 114,7 | 1,3 | 262,6 | 2,9 | 307,3 | 2,5 |
| **OTHER COUNTRIES** | 1016,6 | 30,3 | 3216,7 | 35,2 | 4233,3 | 33,9 |

Ongoing expansion of global processeshasbroadened geographic scope and structure of Georgia's foreign trade though has not resulted in cardinal change in view of overcoming the trade balance deficit.

Substantial share of trade relationships with post-Soviet countries (Ukraine, Armenia, Azerbaijan and especially Russia) is not only due to geographic proximity and restoration of conventional trade relations, but also due to use of outdated technologies and machinery which makes it impossible to produce high-quality and competitive products. The market of CIS countries is more accessible and homogenous for local production than the market of developed countries. Introduction of innovative technologies and rational use is basis for production of national products and increase of competitiveness and a special attention should be drawn to quality of products as a guarantee for export expansion, quality of Georgian products and clean environment should be promoted that is a significant prerequisite for sale of export products and is also required by international standards. In order to stabilize the negative balance of foreign trade, we should also actively employ import replacement strategy because the largest portion of goods imported to Georgia is comprised of agricultural and food products which can be produced locally and be of better quality and healthier. Import replacing trade policy should become a priority of national production to reduce high share of import-dependence and expenditures. If rational and regulated foreign trade policy is achieved, Georgia will have vast possibilities to get actively involved in global business and world community in compliance with the rules of competitiveness.

[98] www.geostat.ge, Data are based on materials provided by the National Statistics Office of Georgia.

In 2014-2019 years Georgia made certain progress in view of adoption of sale markets and diversification that is an instrument for increase of export potential and local production. This creates broad prospects for a country to sell goods and services while it is recommended to import such products production of which costs much less in other countries as compared to Georgia.

CIS countries are traditional countries of foreign trade for Georgia and countries have free trade relations since 1994. According to results of trade turnover for the past 10 years, since 2009 Georgia has imported from CIS countries goods worth 1288 billions of USD and in 2018 this indicator was considerably increased comprising 2 690 billions of USD, while within the same period Georgia exported to CIS products worth 1 670 billions of USD.

Trade relations between Georgia and Turkey hasalso a long history and a free trade agreement was signed in 2008. In 2008 Georgia imported from Turkey 940 million USD products and in 2018 this indicator was 1475 billion USD that clearly demonstrates asymmetric advantage and evidently winning position of a prominent trade player in a region with respect to Georgia.

Since 2014 a Deep and Comprehensive Free Trade Agreement between Georgia and EU (28 countries) was enacted (DCFTA). In 2018, according to statistical data, import accounted for 3 363 billion USD and export was increased by 15% as compared to previous period and accounted for 730, 7 million USD.

Georgia has a free trade agreement with the Peoples Republic of China (since May 13, 2017 and was enacted since January 1, 2018). Georgia also has free trade agreements with EFTA countries (Norway, Lichtenstein, Iceland, Switzerland) since May, 2018 and Hong-Kong (since February 2019). Large number of free trade agreements with high-developed countries is an indisputably progressive process for Georgia but it is well-founded that a trade partner country (party) with strong export potential and vast possibilities to produce competitive products will better enjoy the benefits of civilized conditions of free trade agreements.

In order to overcome asymmetric position with trade partners, Georgia needs to give priority to production of high-quality export products and rising of competitiveness, compliance with international standards of packaging and labeling and environmental regulations. Besides, exporting countries should intensify actions towards promotion of reliability of Georgian export products (through commercials, advertising and PR technologies) and achievement of consistency of logistics chain supply.

**Conclusion.** Increase of business ssafety and coordination of state regulation mechanisms of foreign trade policy in Georgia is a requirement of modern times. With consideration of problems outlined above, it is evident that Georgia has no effective system of state regulation of foreign trade that has negative impact on the total system of business safety because under WTO agreements and liberal trade policy non-tariff measures and barriers are removed that is an imperative regulation of WTO towards member states but the sole instrument for regulation of import to protect the national market in Georgia is not basically applied, specifically, **g**lobally wide-spread antidumping policy and compensatory duties, as well as import non-tariff restrictions (phyto-sanitary, veterinary regulations, technical standards, etc). Without application of such instruments, the system of foreign trade relations will lose not only a role of business catalyst, but also endangers chances of its effective development.

Fascination with liberal trade policy and free trade regimes by the state may negatively affect development of competitive and priority areas because dumping and subsided import, excessive import and expansion of national market may result in derivation of damage and bankruptcy of national production. Without protective mechanisms for business safety and state activities in Georgia, the country may appear in a harder situation and it will be deprived of possibility to use privileges granted by WTO membership and free trade agreements and to achieve positive results.

## References

1. L.KHIKHADZE, Modern Trends of International Trade Regulation Globally and in Georgia, RS GLOBAL, "International Trends in Science and Technology". RS GLOBAL, 2018
2. L.KHIKHADZE, The world trading organization’s mission in the conditions of globalization and its influence on the transitional economical countries, World Economy and International Economic Relations International Scientific Collection, kiev, Tbilisi, chainau, 2018
3. L.KHIKHADZE, Modern Aspects of Governmental Regulation of International Trade. International Scientific Conference (Tendencies of Development of Economy and Business in Georgia) Tbilisi, 2012, p. 220;
4. www.wto.org
5. www.unsitral.org
6. www.unctad.org
7. www.economy.ge
8. www. geostat.ge
9. www. mfa.gov.ge
10. www.ictplgeorgia.ge

*ლალი ხიხაძე*

# საქართველოში ბიზნესის უსაფრთხოებისა და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების აქტუალური პრობლემები და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

***ანოტაცია.*** *XXI საუკუნის პირველ ოცწლეულში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს ეკონომიკის სრულფასოვანი ინტეგრაცია, რაც უპირატესად მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ ჩართვასა და საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების რაციონალურ რეგულირებას, რადგანაც საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების სტიქიურობა და უკონტროლობა საფრთხეს უქმნის ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და ბიზნესის უსაფრთხოების პრობლემების ზრდას. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას და ბიზნესის უსაფრთხოების მდგრადობას არსებითად განსაზღვრავს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, ეროვნული ინდუსტრიის განვითარების დონე, ვალუტის სიმტკიცე, ინფლაციის დონე, საგარეო ვაჭრობის მოცულობა (ექსპორტ-იმპორტის სავაჭრო ბრუნვა), საინვესტიციო ნაკადების მოცულობა და კაპიტალდაბანდების პრიორიტეტული სფეროები, რაც ერთობლივად გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის თანამედროვე მდგომარეობასა და ქვეყნის სამომავლო განვითარებაზეც.*

***საკვანძო სიტყვები:*** *საგარეო ვაჭრობა, სახელმწიფოებრივი რეგულირების აქტუალობა, ბიზნესის უსაფრთხოება, გლობალური ბიზნესი, მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიები, კონკურენტუნარიანობა, საექსპორტო პოტენციალი და ნომენკლატურა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, დემპინგი და საკომპენსაციო ბაჟი.*

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყანათა სავაჭრო კავშირურთიერთობები მნიშვნელოვნადაა ინტეგრირებული და ურთიერთდამოკიდებული, რადგანაც პოსტინდუსტრიული და მაღალტექნოლოგიური მწარმოებელი ქვეყნები პროდუქციას აწარმოებს არა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო ბაზრებისათვის, ამდენად, რაც უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყანა, მით უფრო აქტუალურია მისთვის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების აუცილებლობა. განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნები კი ხასიათდება მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების, მატერიალური რესურსების შეზღუდული რაოდენობითა და ვიწრო შიდა ბაზრით. ასეთ ქვეყნებში შეუძლებელია ეროვნული ბაზრის სამრეწველო და სამომხმარებლო მოხმარებისათვის აუცილებელი ყველა საქონლის წარმოება, შესაბამისად საერთაშორისო ვაჭრობა განვითარებადი სამყაროსათვის სასურველი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოხმარებისა და მეტი კეთილდღეობის მიღწევის საშუალებას იძლევა, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკითა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმებით გატაცებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პრიორიტეტული დარგების განვითარებაზე და ბიზნესის უსაფრთხოების დამცავ მექანიზმებზე, რადგანაც დემპინგური და სუბსიდირებული იმპორტი, ეროვნულ ბაზარზე იმპორტის მოზღვავება და უცხოური კომპანიების მიზანდასახული ექსპანსია ზარალის წარმოშობისა და ეროვნული წარმოების გაკოტრების საფუძველი შეიძლება გახდეს. სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და ხელისუფლების ქმედუნარიანობის გარეშე ქვეყანა უფრო მძიმე მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს და ვერ მოხერხდეს ვმო-ში გაწევრიანებითა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებით მინიჭებული პრიორიტეტების რეალიზაცია.

**ძირითადი კვლევა და ანალიზი.** გლობალურ ბიზნესში საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა და აქტუალობა განპირობებულია შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებითა და მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ობიექტური პროცესებით. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას განსაკუთრებული სტიმულები შესძინა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებებმა და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის დამკვიდრებამ. საქართველო 2000 წლის 14 ივნისიდან ვმო-ს 137-ე წევრი სახელმწიფოა და აღებული ვალდებულების სანაცვლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, რაც გამოიხატა ექსპორტ-იმპორტის კვოტირების გაუქმებით, ასევე გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირება და საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა. იმპორტზე დაწესდა დიფერენცირებული საბაჟო-სატარიფო გადასახადი 5%-ისა და 12%-ის დონეზე. გაუქმდა საბაჟო ტარიფი ექსპორტზე და ასევე დაწესდა შეღავათიანი საბაჟო ტარიფი საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე (ნედლეულზე, მანქანა-მოწყობილობებზე,

ტექნოლოგიებზე და სხვა). საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია გახდა ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების მნიშვნელოვანი საფუძველი, მიუხედავად ამისა, საქართველოში მწვავე პრობლემად რჩება იმპორტის მკვეთრად გამოხატული წინგამსწრები ტემპი ექსპორტთან შედარებით, საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობისა და დინამიკის საილუსტრაციოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ცხრილი 1.

*ცხრილი 1*

**საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2013-2019 წლებში**
**(მოქმედ ფასებში: მლნ აშშ დოლარი)[99]**

| წელი | სავაჭრო ბრუნვა | ექსპორტი | იმპორტი | სავაჭრო სალდო |
|---|---|---|---|---|
| 2013 | 10933 | 2910 | 8023 | -5113,3 |
| 2014 | 11463 | 2861 | 8602 | -5741,7 |
| 2015 | 9504,4 | 2204,2 | 7300,2 | -5096,0 |
| 2016 | 9407,0 | 2133,0 | 7294,0 | -5180,9 |
| 2017 | 10679,1 | 2735,8 | 7943,3 | -5807,0 |
| 2018 | 12492,1 | 3355,7 | 9136,7 | -5781,0 |
| 2019 | 12831,0 | 3765,4 | 9065,4 | -5300,1 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის შეფასების მთავარი მახასიათებელი სავაჭრო ბალანსია, იგი მნიშვნელოვნად ასახავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და მისი დამოკიდებულების ხარისხს საგარეო ბაზრებთან. საქართველოს საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებული პრობლემები მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული საგარეო ვაჭრობაში არსებულ არასახარბიელო ტენდენციებზე, ამას ადასტურებს საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2013-2019 წლებში(იხ.ცხრილი 1), რაც სავაჭრო ბალანსის პერმანენტულ და მდგრად დეფიციტზე მიუთითებს, და რაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის ნეგატიურ ტენდენციად არის მიჩნეული. განსაკუთრებით გამოკვეთილია სირთულე საქართველოში, როდესაც ათწლეულების განმავლობაში იმპორტის მოცულობა 3-ჯერ და მეტად აღემატება ექსპორტის მოცულობას და შესაბამისად უარყოფითი სავაჭრო სალდო მძიმე ტვირთად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ფინანსურ სტაბილიზაციაზე, აქედან გამომდინარე, ეკონომიკასა და ბიზნესსექტორში არსებული კრიზისული მდგომარეობის გამო საქართველო მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საერთაშორისო ბაზარზე და საიმპორტო პროდუქციის მოხმარებაზე. ამასთან ერთად ათწლეულების განმავლობაში უარყოფითი სავაჭრო სალდო მძიმე ტვირთად აწვება საგადასახდელო ბალანსის კაპიტალურ ანგარიშს, რაც აიძულებს სახელმწიფო და კერძო სექტორს გაზარდოს საგარეო ვალდებულებები და ამ გზით დაიკმაყოფილონ უცხოურ ვალუტაზე გაზრდილი მოთხოვნები. საქართველოს საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებული პრობლემები თავის მხრივ დიდად არის დაკავშირებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის არასახარბიელო მდგომარეობაზე, კერძოდ სავაჭრო ბალანსის დეფიციტური მდგრადი ხასიათი ( ყოველწლიურად უარყოფითი სავაჭრო სალდო -5 მლრდ. აშშ. დოლარს აღემატება), რაც მკვეთრად აუარესებს ქვეყნის საგადასახდელო ბალანსს და ფინანსურ მდგომარეობას, ზრდის საგარეო ვალის მოცულობასა და დამოკიდებულებას, რაც შესაბამისად ამცირებს საინვესტიციო კაპიტალს, აფერხებს საგარეო ვალის მომსახურებასა და მთლიანობაში უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და ბიზნესის უსაფრთხოებაზე.

ქვეყანაში ადგილობრივი ეროვნული წარმოება ვერ აკმაყოფილებს ასევე საშინაო ბაზრის მოთხოვნებს, ამიტომ მოსახლეობა მაქსიმალურად დამოკიდებულია იმპორტზე. ამასთან არასახარბიელოა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც, რომელშიც ჭარბობს ბუნებრივი რესურსები და ნედლეული, ხოლო ტრადიციული საქონელი, რომლის საწარმოებლად ქვეყანას გააჩნია აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობები, შემოდის უცხოეთიდან და ერთობლივი მოთხოვნის უდიდესი ნაწილი იმპორტული პროდუქციით კმაყოფილდება. ხარისხის მხრივ სერიოზულ კონკურენციას ქმნის ევროკავშირისა და სხვა განვითარებული ქვეყნების პროდუქცია, ხოლო დემპინგური ფასებით ხასიათდება დსთ-ს ქვეყნებიდან, თურქეთიდან, ირანიდან და სხვა განვითარებადი ქვეყნებიდან შემოტანილი საქონელი.

[1]www.geostat.ge. ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე

*ცხრილი 2*

**საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების დინამიკა 2018**[100]

| ქვეყნები | ექსპორტრი | წილი % | იმპორტი | წილი % | სავაჭრო ბრუნვა | წილი % |
|---|---|---|---|---|---|---|
| მთლიანად | 3355,7 | 100 | 9136,7 | 100 | 12492 | 100 |
| მათ შორის | | | | | | |
| თურქეთი | 233,5 | 17,0 | 1473, 0 | 16,1 | 1706,5 | 13,7 |
| რუსეთი | 436,6 | 13,0 | 934,9 | 10,2 | 1371,5 | 11,0 |
| აზერბაიჯანი | 502,2 | 15,0 | 593,0 | 6,5 | 1095,1 | 8,8 |
| ჩინეთი | 198,0 | 5,9 | 833,9 | 9,1 | 1031,9 | 8,3 |
| უკრაინა | 175,0 | 5,2 | 514,8 | 5,6 | 689,8 | 5,5 |
| სომხეთი | 278,7 | 8,3 | 395,3 | 5,7 | 614,0 | 4,9 |
| აშშ | 160,0 | 4,8 | 359,5 | 3,9 | 519,5 | 4,2 |
| გერმანია | 51,5 | 1,5 | 431,5 | 4,7 | 483 2 | 3,9 |
| ბულგარეთი | 258,9 | 7,7 | 181,6 | 2,0 | 440,5 | 3,5 |
| საფრანგეთი | 114,7 | 1,3 | 262,6 | 2,9 | 307,3 | 2,5 |
| სხვა ქვეყნები | 1016,6 | 30,3 | 3216,7 | 35,2 | 4233,3 | 33,9 |

თანამედროვე ეტაპზე გლობალური პროცესების გაღრმავებით მკვეთრად გაფართოვდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი და სტრუქტურა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რადიკალური გარდატეხა არ გამოუწვევია სავაჭრო ბალანსის დეფიციტის დაძლევაში( იხ. ცხრილი 2).

2014 წლიდან პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან (უკრაინასთან, ბელორუსთან, აზერბაიჯანთან და განსაკუთრებით რუსეთთან) სავაჭრო ურთიერთობების მაღალი ხვედრითი წონა განპირობებულია არა მხოლოდ გეოგრაფიული სიახლოვითა და ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობების აღდგენით, არამედ ეროვნულ წარმოებაში მოძველებული ტექნოლოგიებისა და მანქანა-მოწყობილობების გამოყენებით, რომლის შედეგად შეუძლებელია მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, რაც არ იძლევა მაღალგანვითარებული ქვეყნების კონკურენციულ ბაზრებზე შეღწევის ფართო შესაძლებლობას. ადგილობრივი პროდუქციისათვის უფრო ხელმისაწვდომი და ჰომოგენურია დსთ-ს ქვეყნების ბაზარი, ვიდრე განვითარებული ქვეყნებისა. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და რაციონალური გამოყენება კი მაღალხარისხიანი ეროვნული პროდუქციის წარმოებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის საფუძველია, რადგანაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს პროდუქციის ხარისხს, როგორც ექსპორტის გაფართოების გარანტს, პროპაგანდა უნდა გაეწიოს ქართული პროდუქციის ხარისხს და ეკოლოგიურ სისუფთავეს, რაც საექსპორტო პროდუქტის გასაღების მნიშვნელოვან პირობაა და ამასთან საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნას წარმოადგენს. საგარეო სავაჭრო ბრუნვის უარყოფითი სალდოს დაბალანსებისათვის ასევე აქტიურად უნდა გამოვიყენოთ იმპორტ-ჩამნაცვლებელი სტრატეგია, რადგანაც საქართველოში საიმპორტო პროდუქციის ნომენკლატურის უდიდესი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და კვების ნაწარმზე მოდის, რომლის წარმოება ადგილობრივადაც შესაძლებელია უფრო უკეთესი ხარისხითა და მეტად სასარგებლო ჯანმრთე-ლობისათვის. იმპორტჩამნაცვლებელი სავაჭრო პოლიტიკა ეროვნული წარმოების პრიორიტეტად უნდა იქცეს, რათა შემცირდეს იმპორტზე დამოკიდებულების მაღალი ხვედრითი წილი და დანახარჯები. რაციონალური და დარეგულირებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მიღწევის შემთხვევაში საქართველოს გააჩნია ფართო შესაძლებლობები კონკურენციული პირობების დაცვით აქტიურად ჩაერთოს გლობალურ ბიზნესში და მსოფლიო თანამეგობრობაში.

2014-2019 წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია გასაღების ბაზრების ათვისებისა და დივერსიფიკაციის გაფართოების მიზნით, რაც ექსპორტის პოტენციალისა და ადგილობრივი წარმოების მასშტაბების გაზრდის საშუალებაა, რაც ქვეყანას აძლევს საქონლისა და მომსახურების გასაღების ფართო პერსპექტივას, ხოლო იმპორტით რეკომენდებულია შემოვიტანოთ ის პროდუქცია, რომლის წარმოება სხვა ქვეყნებს გაცილებით იაფი უჯდებათ ჩვენთან შეფარდებით.

დსთ-ს ქვეყნები საქართველოსათვის საგარეო ვაჭრობის ტრადიციული ქვეყნებია და მხარეებს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები 1994 წლიდან მომდინარეობს, თუ ბოლო 10 წლის პერიოდის სავაჭრო ბრუნვის შედეგებით ვიმსჯელებთ, 2009 წელს დსთ-დან საქართველოში 1288 მლრდ აშშ დოლარის პროდუქცია იქნა იმპორტირებული, 2018 წელს ეს მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა და 2

---

[100] www.geostat. ge.ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე

690 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ამავე პერიოდში საქართველოდან დსთ-ში ექსპორტირებულია 1 670 მლრდ აშშ დოლარის პროდუქცია.

ასევე დიდი ხნის ისტორია გააჩნია საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებს და გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება 2008 წლიდან მოქმედებს. 2008 წელს თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა 940 მლნ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2018 წლის მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი 1475 მლრდ დოლარს შეადგენს, რაც აშკარად მიუთითებს, რომ რეგიონში გამორჩეული სავაჭრო მოთამაშე საქართველოსთან მიმართებაში ასიმეტრიულ უპირატესობას ფლობს და მკვეთრად მომგებიან პოზიციაში იმყოფება.

2014 წლის პირველი სექტემბრიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის (28 ქვეყანა) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა (DCFTA), 2018 წელს, საქსტატის მონაცემებით იმპორტმა 3 363 მლრდ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან ექსპორტის მოცულობა წინა პერიოდთან შედარებით 15 %-ით გაიზარდა და 730, 7 მლნ დოლარი შეადგინა.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან (2017 წლის 13 მაისიდან და ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან). ასევე საქართველოს თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები აკავშირებს EFTA-ის ქვეყნებთან (ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია) 2018 წლის მაისიდან და ჰონკონგთან (2019 წლის თებერვლიდან). თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების სიმრავლე მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან უდავოდ პროგრესული პროცესია საქართველოსათვის, მაგრამ დასაბუთებულია, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების ცივილიზებული პირობებით აღმატებით უპირატესობას მიიღებს ის სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა (მხარე), რომელთაც მძლავრი საექსპორტო პოტენციალი და მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ფართო შესაძლებლობები გააჩნია. საქართველომ სავაჭრო პარტნიორებთან ასიმეტრიული პოზიცია რომ დაძლიოს, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მაღალხარისხიანი საექსპორტო პროდუქციის წარმოებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, შეფუთვისა და მარკირების საერთაშორისო სტანდარტების ათვისებასა და ეკოლოგიური ნორმების დაცვას, ამასთან ერთად, ექსპორტიორმა კომპანიებმა უნდა გააძლიერონ (რეკლამით, პროპაგანდით, PR ტექნოლოგიებით) ქართული საექსპორტო პროდუქციის სანდოობის პოპულარიზაცია და ლოგისტიკურ მიწოდებათა ჯაჭვის უწყვეტობის მიღწევა.

## დასკვნა

საქართველოში ბიზნესის უსაფრთხოების ამაღლება და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების კოორდინაცია თანამედროვე ეპოქის მოთხოვნაა. ზემოთ აღნიშნული პრობლემების ფონზე უდავოა, რომ საქართველოში მოქმედებს საგარეო ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების არაეფექტიანი სისტემა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში ბიზნესის უსაფრთხოების მთელ სისტემაზე, რადგანაც ვმო-ს შეთანხმებებისა და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის საფუძველზე ლიკვიდირებულია არასატარიფო ზომები და ბარიერები, რაც ვმო-ს იმპერატიულ ნორმას წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების მიმართ. მაგრამ საქართველოში იმპორტის რეგულირების ერთადერთი მექანიზმი ეროვნული ბაზრის დაცვის მიზნით პრაქტიკულად არ გამოიყენება, კერძოდ, მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული ანტიდემპინგური პოლიტიკა და საკომპენსაციო ბაჟები, ასევე იმპორტის არასატარიფო შეზღუდვები (ფიტოსანიტარული, ვეტერინარული ნორმები, ტექნიკური სტანდარტები და სხვა), რომლის გამოყენების გარეშე საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სისტემა კარგავს არა მარტო ბიზნესის კატალიზატორის როლს, არამედ მისი ეფექტიანი განვითარების შესაძლებლობები დგება საფრთხის წინაშე. სახელმწიფოს მხრიდან ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკითა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმებით გატაცებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კონკურირებადი და პრიორიტეტული დარგების განვითარებაზე, რადგანაც დემპინგური და სუბსიდირებული იმპორტი, იმპორტის მოზღვავება და ეროვნული ბაზრის ექსპანსია ზარალის წარმოშობისა და ეროვნული წარმოების გაკოტრების საფუძველი შეიძლება გახდეს. ბიზნესის უსაფრთხოების დამცავი მექანიზმებისა და ხელისუფლების ქმედით უნარიანობის გარეშე ქვეყანა უფრო მძიმე მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს და ვერ მოხერხდეს ვმო-ში გაწევრიანებითა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებით მინიჭებული პრიორიტეტების რეალიზაცია და პოზიტიური შედეგების მიღწევის პერსპექტივა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. L.KHIKHADZE, Modern Trends of International Trade Regulation Globally and in Georgia, RS GLOBAL, "International Trends in Science and Technology". RS GLOBAL, 2018
2. L.KHIKHADZE, The world trading organization's mission in the conditions of globalization and its influence on the transitional economical countries, World Economy and International Economic Relations International Scientific Collection, kiev, Tbilisi, chainau, 2018
3. L.KHIKHADZE, Modern Aspects of Governmental Regulation of International Trade. International Scientific Conference (Tendencies of Development of Economy and Business in Georgia) Tbilisi, 2012, p. 220;
4. www.wto.org
5. www.unsitral.org
6. www.unctad.org
7. www.economy.ge
8. www. geostat.ge
9. www. mfa.gov.ge
10. www.ictplgeorgia.ge

# სექტორული და რეგიონული ეკონომიკის სექცია

*ქეთევან არჩაია*

**ძირითადი მიდგომები ჯანდაცვის სფეროში „ეფექტიანობა“, „შედეგიანობა“, „რესურსებთან“ მიმართებაში**

***ანოტაცია.*** *სოციალური უზრუნველყოფის თანამედროვე სტანდარტების განვითარების კვალდაკვალ, ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობისა და შედეგიანობის შეფასების პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. აღნიშნული თემისადმი განსაკუთრებული ინტერესის მიზეზებს მიაკუთვნებენ სამედიცინო მომსახურების ღირებულების ზრდის ტენდენციას.*

*აღნიშნული პრობლემების ზოგად წყაროს წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემის დაბალეფექტიანობა, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას სხვადასხვა დონეებზე, სამედიცინო ტექნოლოგიების; სამედიცინო ორგანიზაციებისა და ცალკეული სპეციალისტების, ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული ჯანდაცვის სისტემების საქმიანობის ჩათვლით.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობა, შედეგიანობა, ჯანდაცვის სფეროს რესურსები.*

## შესავალი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარებულ ქვეყნებში ჯანდაცვის სფეროში სიტუაციების კონტროლისა და გაუმჯობესებისათვის შეიქმნა სამედიცინო დახმარების ხარისხისა და მისი მიწოდების ეფექტიანობის შეფასების სისტემათა შტოები.

საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე მოქმედებს ინიციატივები ჯანდაცვის სისტემების შეფასებისა და სრულყოფის მეთოდიკათა განვთარების მიმართულებით.

* * *

ჯანდაცვის სფეროს ეფექტიანობის შეფასების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება მოითხოვს შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

- შედეგის ცნების განსაზღვრას ჯანდაცვის სისტემასა და შეფასების მონაწილე მის სუბიექტებთან მიმართებით; გაზომვადი და შეფასებადი შედეგის ძირითადი ასპექტების განსაზღვრას;
- ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის საკვანძო მიზნებისა და მათი მიღწევის მაქსიმალურად ზუსტად ამსახველი მაჩვენებლების განსაზღვრას;
- ინფორმაციის ხარისხისა და სარწმუნოობის უზრუნველყოფის ნაწილში საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციებთან ინფრასტრუქტურისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდების შესაბამისობაში მოყვანას;
- ეფექტიანობის შეფასების მექანიზმების შექმნას ჯანდაცვის სისტემის ყველა ძირითად დონეზე (სამედიცინო ტექნოლოგიები, სამედიცინო მომსახურებების მომწოდებლები, ჯანდაცვის ტერიტორიული სისტემები, ჯანდაცვის ეროვნული სისტემა);
- შეფასების შედეგების რეალიზაციის მექანიზმების შექმნას (მიზნობრივი ნიშნულების მიღწევის ორგანიზაციული ან ფინანსური წახალისება, შედეგების გამოქვეყნება, კონსულტაციების გაწევა მონაწილეებისთვის, შედეგების გამოყენება ჯანდაცვის სფეროში პოლიტიკური და მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად).

ეფექტიანობისა და შედეგიანობის განმარტებისადმი ყველაზე ზოგადი მიდგომა წარმოდგენილია ხარისხის მართვის სახელმწიფოთაშორის სტანდარტში ISO 9000, რომლის შესაბამისადაც ეფექტიანობა და შედეგიანობა წარმოადგენს ძირითად მოთხოვნებს საქმიანობის შედეგების მიმართ და იგი განიმარტება შემდეგნაირად:

- შედეგიანობა (effectiveness) - დაგეგმილი საქმიანობის რეალიზაციისა და გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის ხარისხი;
- ეფექტიანობა (efficiency) - კავშირი მიღწეულ შედეგსა და გამოყენებულ რესურსებს შორის.

აღნიშნული განმარტებები უნივერსალურია და მისი გამოყენება შეიძლება საქმიანობის შეფასებისას, მ.შ. ჯანდაცვის სფეროში. იმავდროულად, დარგის სპეციფიკამ მოითხოვა განსაკუთრებული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც ითვალისწინებს ჯანდაცვაში შედეგის გაგების თავისებურებებს. ჯანდაცვის სფეროში ეფექტიანობის განსაზღვრის ნიმუშები წარმოდგენილია ცხრ. 1-ში.

ცხრილი 1. ეფექტიანობის განსაზღვრა ჯანდაცვის სფეროში

| წყარო | განმარტება |
|---|---|
| **IOM** - მედიცინის ინსტიტუტი, აშშ (Institute of Medicine) | გაუმართლებელი დანაკარგების გამორიცხვა, მოწყობილობების, რესურსებისა და ძალისხმევის გაუმართლებელი გამოყენების ჩათვლით. |
| **AQA** - ამბულატორული დახმარების ხარისხის ალიანსი, აშშ (Ambulatory Care Quality Alliance) | სამედიცინო დახმარების ღირებულებისა და ხარისხის ურთიერთკავშირის რაოდენობრივი შეფასება. |
| **GAO** - აშშ-ის სანგარიშო პალატა (Government Accountability Office) | საკმარისი, მაგრამ არა ჭარბი სამედიცინო დახმარების გაწევა პაციენტების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. |
| **MedPAC** - პროგრამის Medicare (Medicare Payment Advisory Commission) საკონსულტაციო კომისია | დაგეგმილი ან უკეთესი შედეგის მიღწევა მინიმალური რესურსებით. ეფექტიანობა აერთიანებს რესურსებისა და ხარისხის მართვის კონცეფციებს. |

*წყარო:* McGlynn EA. Identifying, Categorizing, and Evaluating Health Care Efficiency Measures. Final Report. AHRQ Publication No. 08-0030. Rockville, MD: Agency for Healthcare Research and Quality. Apr. 2008

უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტიანობა წარმოადგენს საქმიანობის ფარდობით შეფასებას და შეიძლება გაიზომოს მხოლოდ საქმიანობის ორგანიზაციის სხვა ალტერნატიულ ვარიანტებთან შედარებით. ეფექტიანობის შედარება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა დონეებზე:

- ჯანდაცვის ეროვნული სისტემის დონეზე (სხვა ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებთან შედარება, შესაფასებელი სისტემის საქმიანობის შედარება წინა პერიოდებთან, წარმოებრივი შესაძლებლობების ზღვართან შედარება);
- ჯანდაცვის რეგიონული სისტემების დონეზე;
- ჯანდაცვის სფეროს მონაწილე ორგანიზაციების დონეზე;
- ცალკეული სპეციალისტების დონეზე;
- ცალკეული ტექნოლოგიების დონეზე (სამედიცინო, ორგანიზაციული და სხვა).

ჯანდაცვის სისტემის საერთო ეფექტიანობა აღინიშნება როგორც წარმოების ეფექტიანობა (productive efficiency) ან საერთო ეკონომიკური ეფექტიანობა (total economic efficiency). საერთო ეფექტიანობის გასაანგარიშებლად ჯამდება ორი მდგენელი :

- ტექნოლოგიური ეფექტიანობა (technical efficiency) - მაქსიმალური შედეგის უზრუნველყოფა არსებული რესურსებით. ტექნოლოგიური ეფექტიანობა ფასდება სამედიცინო ტექნოლოგიებისა (დანახარჯების ეფექტიანობა) და ჯანდაცვის სფეროს მონაწილე ორგანიზაციათა (ოპერატიული ეფექტიანობა) საქმიანობის ანალიზისას.
- რესურსების განაწილების ეფექტიანობა (allocative efficiency) - საზოგადოების მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა არსებული რესურსებით.

*რესურსების განსაზღვრა ჯანდაცვის სფეროში*

ჯანდაცვის სისტემის საქმიანობის უზრუნველყოფა გულისხმობს სხვადასხვა ტიპის რესურსების გაერთიანებას, რომელთა შორის უმთავრესია შრომითი რესურსები, ფიზიკური კაპიტალი და სახარჯი მასალები .

***შრომითი რესურსები***

ამოქმედებული შრომითი რესურსების მოცულობის განსასაზღვრად ყველაზე ხშირად გამოიყენება პერსონალის საერთო რიცხოვნობის მაჩვენებელი. აღნიშნული მაჩვენებელი შრომითი რესურსების დანახარჯების ყველაზე უხეში შეფასებაა, ვინაიდან პერსონალის საერთო რაოდენობაში გათვალისწინებულია როგორც სრული სამუშაო დღის განმავლობაში დასაქმებული, ასევე ნაწილობრივ დასაქმებული და გადამუშავებით დაკავებული მუშახელი.

შრომითი რესურსების დანახარჯების უფრო ზუსტი საზომია ნამუშევარი საათების რაოდენობა, ფაქტობრივად ნამუშევარი დროის შესახებ მონაცემების არარსებობისას - სრული სამუშაო დღის განმავლობაში დაკავებულთა საერთო რაოდენობა. შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დეტალური ანალიზისას ისინი შეიძლება დაიყოს ცალკეულ კატეგორიებად (ექიმები და საშუალო სამედიცინო პერსონალი, ადმინისტრაციული მუშაკები, დამხმარე პერსონალი და ა.შ.).

*სახარჯი მასალები და გარე მომსახურებები*

კვლევების აბსოლუტურ უმრავლესობაში დანახარჯები სახარჯ მასალებსა და გარეშე მომსახურებებზე განიხილება მხოლოდ ხარჯვის მოცემული მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების საერთო თანხის მაჩვენებლით. აღნიშნული რესურსების ცალკეული კატეგორიების გამოყოფა მიზანშეწონილია მხოლოდ ეფექტიანობის ვიწროსპეციალიზებული შეფასებისას (კერძოდ, ენერგო-

მოხმარების, სამკურნალო პრეპარატების გამოყენების ეფექტიანობის შეფასებისას).

*ძირითადი ფონდები*

ეკონომიკური თვალსაზრისით, ძირითადი ფონდების ხარჯვა მიზანშეწონილია განიხილოს როგორც ამორტიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების ნაკადი. ჯანდაცვის სფეროში ეფექტიანობის კვლევათა უმეტესობა უშვებს, რომ ძირითადი კაპიტალის მიმდინარე ხარჯები მისი მოცულობის პირდაპირპროპორციულია და მათ შესაფასებლად იყენებენ მოცულობის მაჩვენებლებს, მ.შ. ისეთ გავრცელებულ მაჩვენებლებს, როგორიცაა საწოლების რაოდენობა (საერთო და სამედიცინო დახმარების პროფილის შესაბამისად, ქვედანაყოფების მიხედვით), აქტივების ღირებულების შეფასება და სხვ.

ეფექტიანობის შეფასებისას რესურსები შეიძლება აღირიცხოს ნატურალური ფორმით, ტიპის შესაბამისად (სამუშაო საათები, საწოლ-დღეები) ან ფინანსურად (ღირებულებაზე გადაანგარიშებით). რესურსების აღრიცხვის ფორმის არჩევანი დამოკიდებულია ეფექტიანობის შეფასების ამოცანებზე: კონკრეტული რესურსების მოხმარების შემცირება ან მისგან მეტი უკუგების მიღება; სამედიცინო დახმარების ღირებულების შემცირება.

## დასკვნა

ჯანდაცვის სისტემების შეფასების არსებული მეთოდიკების კონცეპტუალურ საფუძველს ქმნის თავად ეფექტიანობისა და სისტემის მწარმოებლურობის გაგება. უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სისტემების შეფასების საკითხების რეგულირების გლობალურ და ეროვნულ დონეებზე შეინიშნება განსხვავებები გაბატონებული კონცეპტის განმარტებაში.

ნებისმიერი მიდგომისას ფუძემდებლურ მომენტს წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემის იმ მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, რომელთა მიღწევის გზით ან მასთან მიახლოებულად იქნება იგი განხილული.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Determinants of Health. Healthy People 2020. [Электронный ресурс]. P. 1. URL: http://www.healthypeople.gov/2020/about/foundation-health-measures/Determinants-of-Health#social (subscription required 28.09.2014).
2. Health at a Glance 2013: OECD Indicators. — Paris: OECD Publishing, 2013. — 213 p.
3. McGlynn EA. Identifying, Categorizing, and Evaluating Health Care Efficiency Measures. Final Report. AHRQ Publication No. 08-0030. Rockville, MD: Agency for Healthcare Research and Quality. Apr. 2008
4. *Rovere M., Skinner B. J.* Value for Money from Health Insurance Systems in Canada and the OECD, 2012 edition // Fraser Alert. — 2012. — № 4. — P. 1–18.
5. *Tchouaket E. N., Lamarche P. A., Goulet L., Contandriopoulos A. P.* Healthcare System Performance of 27 OECD countries // International Journal of Health Planning and Management. — 2012. — Vol. 27. № 2. — Pp. 104–129.



***Ketevan Archaia***


## THE MAIN APPROACHES OF THE HEALTHCARE SPHERE TO “EFFICIENCY”, “EFFECTIVENESS” AND “RESOURCES”

**Summary**


The article deals with the main approaches in the healthcare sphere related to “efficiency”, “effectiveness” and “resources”.



***ვანო ბენიძე***


## დამამუშავებელი მრეწველობის როლი ეკონომიკურ განვითარებაში


***ანოტაცია.*** *მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ძირითად ამოცანას ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა და, შესაბამისად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევაში ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, როდესაც ინდუსტრიალიზაციის შედეგად ხდებოდა აგრარული ეკონომიკების ტრანსფორმაცია და მუშახელის სოფლის მეურნეობიდან მაღალპროდუქტიული დამამუშავებელი მრეწველობის დარგში გადანაცვლება. თუმცა, გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა ამ ტიპის ტრანსფორმაცია ადრეულთან შედარებით რთული და კომპლექსური გახადა. მეტიც,*

*თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ინდუსტრიალიზაცია - დამამუშავებელი მრეწველობის წილის ზრდა მშპ-ში - აღარ არის განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორი და რომ არ არის აუცილებელი, განვითარებადმა ქვეყანამ განვითარების იგივე ტრაექტორია გაიაროს რაც მსოფლიოს უკვე მაღალი შემოსავლის მქონე სახელმწიფოებმა. ნაშრომში გაანალიზებულია დამამუშავებელი მრეწველობის წარსული და თანამდეროვე როლი ეკონომიკურ განვითარებასა და ქვეყნის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაში როგორც თეორიულ, ასევე ემპირიულ დონეზე.*

***საკვანძო სიტყვები:*** *დამამუშავებელი მრეწველობა, ეკონომიკური განვითარება, სტრუქტურული ტრანსფორმაცია, ინდუსტრიალიზაცია.*

* * *

თანამედროვე ცივილიზაციის ფორმირებაში ეკონომიკას მნიშვნელოვანი როლი უკავია. ეკონომიკური ზრდა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, პროგრესთან, ცხოვრების მაღალ დონესა და განვითარებასთან ასოცირდება. შესაბამისად, დღესდღეობით ყველა სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნულს ქვეყანათა არცთუ ისე დიდი ჩამონათვალი ახერხებს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სწრაფი ეკონომიკური განვითარების პროცესი მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, რადგან ამ პერიოდამდე მათი ეკონომიკური ზრდა ნელი ტემპით ხასიათდებოდა (Kuznets, 1966). 1760-იანი წლების დასაწყისიდან ცვლილებებმა მიწათმოქმედებაში, მრეწველობასა და ტექნოლოგიებში ღრმა ეფექტი მოახდინა საზოგადოებებზე, ეკონომიკებსა და კულტურულ გარემოებებზე. ამ პროცესმა, რომელიც „ინდუსტრიული რევოლუციის" სახელითაა ცნობილი, ჯერ მოიცვა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები. შემდეგ ის გავრცელდა ესპანეთში, პორტუგალიაში, ავსტრიასა და ოსმალეთის იმპერიაში, ხოლო ბოლოს, მე-19 საუკუნის დასაწყისში, აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში (Allen, 2017). გამოყოფენ ოთხი ტიპის ინდუსტრიულ რევოლუციას მისი მახასიათებლებისა და დროის პერიოდის მიხედვით:

- პირველი ინდუსტრიული რევოლუცია (1780) - ორთქლზე მომუშავე ძრავის შექმნა, რის შედეგადაც ადამიანის ხელი ჩაანაცვლა მანქანა-დანადგარებმა და გაზარდა მისი შრომის პროდუქტიულობა. ამ რევოლუციას სათავეში ინგლისი ედგა და მსოფლიო მასშტაბითაც უძლიერესი სახელმწიფოს სტატუსით სარგებლობდა.
- მეორე ინდუსტრიული რევოლუცია (1870) - ელექტროენერგიის გამოყენებით მასობრივ წარმოებას ჩაეყარა საფუძველი. შეიქმნა გამოგონებათა კასკადი, მათ შორის შიგაწვის ძრავა და თვითმფრინავი. დაიწყო ურბანიზაციის პროცესი. შეერთებულმა შტატებმა დიდ ბრიტანეთს პირველობა ჩამოართვა, ხოლო ჩამორჩენილმა აგრარულმა რუსეთმა ზესახელმწიფოს სტატუსი მოიპოვა.
- მესამე ინდუსტრიული რევოლუცია (1970) - ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების, პერსონალური კომპიუტერებისა და ინტერნეტის განვითარება, რის შედეგადაც მოხდა საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია. თანდათან მცირდება ადამიანის როლი წარმოების პროცესში. პირველად ისტორიაში, ეკონომიკურად ვითარდება ის ქვეყნები, რომელთა არსებობა დასავლურ სამყაროში ბევრს არც სმენოდა.
- მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია (2015) - ცნობილი როგორც „ინდუსტრია 4.0", ამ რევოლუციის მიზანია კომპიუტერული ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის და ავტომატიზაციის ერთგვარი სიმბიოზი, სადაც ადამიანის მთავარი ფუნქცია რობოტების და ხელოვნური ინტელექტის მართვაა. კლაუს შვაბის განმარტებით, ეს პერიოდი „წაშლის საზღვრებს ფიზიკურ, ციფრულ და ბიოლოგიურ სფეროებს შორის" (Schwab, 2017).

ზემოთ აღწერილი პირველი სამი რევოლუცია ასევე ასახავს ეკონომიკის სამ სექტორს შორის ცვალებად ბალანსს. თანამედროვე ეკონომიკა სამი მთავარი სექტორისა და ერთი, შედარებით ახალი, ქვესექტორისაგან შედგება:

- ეკონომიკის პირველადი სექტორი (primary sector) - მრეწველობის მოპოვებითი დარგები, წიაღისეული, სოფლის მეურნეობა.
- ეკონომიკის მეორეული სექტორი (secondary sector) - დამამუშავებელი მრეწველობა, ელექტროენერგიის მიწოდება, ასევე მშენებლობა.
- ეკონომიკის მესამეული სექტორი (tertiary sector) - მომსახურების სექტორი.

• ეკონომიკის მეოთხეული სექტორი (quaternary sector) - ეკონომიკის მესამეული სექტორის ნაწილი, მაგრამ მისი გაუმჯობესებული ფორმა, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია ცოდნაზე. ის შეიცავს ინტელექტუალურ მომსახურებას და კვლევას და განვითარებას (R&D).

ეკონომიკაში "სექტორების" ცნება პირველად, 1935 წელს, ალან ფიშერის ნაშრომში *„The Clash of Progress and Security"* გაჩნდა. ფიშერის სამსექტორიანი მოდელის (three-sector model) თანახმად, ეკონომიკური პროგრესი, რომელიც ეკონომიკის პირველადი და მეორეული სექტორების განვითარების ხარჯზე მოხდებოდა, გამოიწვევდა ეკონომიკის მესამეული სექტორის აღმოცენებას და მის კიდევ უფრო გაძლიერებას (Fisher, 1935). მოგვიანებით (Clark, 1940) განავითარა ფიშერის მოდელი, რამაც საფუძველი ჩაუყარა კლარკ-ფიშერის განვითარების თეორიას (Clark-Fisher model), რომლის თანახმადაც ქვეყანა განვითარების სამ ეტაპს გადის (იხ. გრაფიკი 1). ესენია:

1. პირველი ეტაპი (პრეინდუსტრიული ფაზა) - განვითარების ეტაპი, როდესაც მუშახელის ძირითადი ნაწილი დასაქმებულია ეკონომიკის პირველად სექტორში, უმეტესწილად სოფლის მეურნეობაში, მცირე ნაწილი დასაქმებულია ეკონომიკის მეორეულ სექტორში, ხოლო კიდევ უფრო მცირე ნაწილი - ეკონომიკის მესამეულ სექტორში. ამ ეტაპზე ქვეყნის განვითარების დონე დაბალია და ტექნოლოგიების მხოლოდ მცირედი გამოყენება შეინიშნება.

2. მეორე ეტაპი (ინდუსტრიული ფაზა) - განვითარების ეტაპი, როდესაც ეკონომიკის პირველად სექტორში ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხარჯზე აღარ არის საჭირო დიდი რაოდენობით მუშახელი და ჭარბი მუშახელი გადადის ეკონომიკის მეორეულ სექტორში. განვითარების ამ ეტაპის ძირითადი მახასიათებელი ინდუსტრიალიზაციაა. თანდათან იწყება ეკონომიკის მესამეული სექტორის, მომსახურების სექტორის განვითარება.

3. მესამე ეტაპი (პოსტინდუსტრიული ფაზა) - განვითარების ეტაპი, როდესაც ეკონომიკის პირველად და მეორეულ სექტორში დომინირებს ავტომატიზაცია, შესაბამისად, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა ამ სექტორებში მცირდება. მუშახელი მეორეული სექტორიდან გადადის ეკონომიკის მესამეულ სექტორში და სწორედ ამ დარგშია დასაქმებული მათი უმეტესობა. იწყება ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია.

**გრაფიკი 1. კლარკ-ფიშერის განვითარების მოდელი (Clark Fisher Development Model)**




**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ, კლარკ-ფიშერის მოდელზე დაყრდნობით.

(Lewis, 1954) ეკონომიკური განვითარების ორსექტორიანი მოდელი (two sector model) კლარკ-ფიშერის მოდელის ერთგვარი ემპირიული განმტკიცებაა. თეორიის თანახმად, იმისათვის, რომ ქვეყანა ეკონომიკურად განვითარდეს, საჭიროა მისი სტრუქტურული ტრანსფორმაცია და მუშახელის დაბალპროდუქტიული სოფლის მეურნეობიდან მაღალპროდუქტიულ ინდუსტრიებში გადანაცვლება (Kuznets 1966). ემპირიული კვლევაც იმავეს ამტკიცებს და ინდუსტრიალიზაციას თანამედროვე ეკონომიკური ზრდის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევს.

(Rodrik 2013) ეკონომიკური ზრდის მიღწევის ორ მთავარ გზას გამოყოფს. პირველი გულისხმობს ფუნდამენტური შესაძლებლობების - ადამიანური კაპიტალის, ფიზიკური კაპიტალის, ინსტიტუტების და ინფრასტრუქტურის - განვითარებას. ეს პროცესი მოიცავს ყველაფერს, დაწყებული ხარისხიანი განათლებიდან და ჯანდაცვიდან, დასრულებული გამართული მარეგულირებელი და საჯარო მმართველობის სისტემებით. თუმცა, როდრიკი აღნიშნავს, რომ ყოველივე ეს განვითარებადი ქვეყნებისთვის საკმაოდ ნელი და ხარჯიანი პროცესია. მეორე, შედარებით სწრაფ გზას წარმოადგენს ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, რომლის დროსაც იბადება ახალი მაღალპროდუქტიული ინდუსტრიები და მუშახელის დაბალპროდუქტიული ინდუსტრიებიდან მათი მაღალპროდუქტიულ, თანამედროვე აქტივობებში გადანაცვლება ხდება. ბუნებრივი რესურსებით გამდიდრებული ქვეყნების გამონაკლისით, სწრაფი ეკონომიკური ზრდა თითქმის ყოველთვის სტრუქტურული ტრანსფორმაციის შედეგია. როდრიკი მიიჩნევს, რომ „ეკონომიკური სასწაული“ სწორედ ინდუსტრიალიზაციის შედეგია, როდესაც ზრდა ხდება დაბალი ფუნდამენტური შესაძლებლობის პირობებშიც კი - აუცილებელი არ არის ქვეყანას ჰქონდეს შვეიცარიის მსგავსი დემოკრატია და ინსტიტუციური ხარისხი იმისათვის, რომ ამ ქვეყანაში წარმოებულმა პროდუქციამ კონკურენცია გაუწიოს შვეიცარულ პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე. სწორედ ამით აიხსნება აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური ზრდა 1965-1990 წლებში (იხ. გრაფიკი 2).

**გრაფიკი 2. სამხრეთ აზიის ქვეყნების რეალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP), მუდმივ 2011 წლის ფასებში, 1965-1990 წწ.**




**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ, www.ourworldindata.org მონაცემებზე დაყრდნობით.

როდრიკი ასევე აღნიშნავს, რომ როდესაც ეკონომიკა ინდუსტრიალიზაციის შედეგად ვითარდება, დროთა განმავლობაში ქრება დუალიზმი სტრუქტურულ ტრანსფორმაციასა და ფუნდამენტურ შესაძლებლობებს შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭირო ხდება ფუნდამენტური ფაქტორების აკუმულირება, რის გარეშეც მხოლოდ სტრუქტურული ტრანსფორმაციით დამატებითი ეკონომიკური ზრდა ვეღარ მიიღწევა (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1. ეკონომიკური ზრდის მოდელები და შედეგები**

| | | სტრუქტურული ტრანსფორმაცია-ინდუსტრიალიზაცია | |
|---|---|---|---|
| | | ნელი | სწრაფი |
| ინვესტიციები ფუნდამენტურ შესაძლებლობებში (ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები) | დაბალი | ზრდას ადგილი არ აქვს | ეპიზოდური ზრდა |
| | მაღალი | ნელი ზრდა | სწრაფი ზრდა (სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონკონგი) |

**წყარო:** (McMillan et al. 2017: 7)

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ინდუსტ-რიალიზაცია - დამამუშავებელი მრეწველობის (manufacturing) წილის ზრდა მშპ-ში - აღარ არის განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორი და რომ არ არის აუცილებელი განვითარებადმა ქვეყანამ განვითარების იგივე ტრაექტორია გაიაროს, რაც მსოფლიოს უკვე მაღალი შემოსავლის მქონე სახელმწიფოებმა (Bhagwati, 2010). ამის საფუძველს იძლევა მომსახურების ეკონომიკაზე გადასვლის მზარდი ტენდენცია განვითარებად ქვეყნებში (მაგ., ინდოეთი), მაშინ როდესაც მათი შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით დაბალია განვითარებული ქვეყნების შემოსავალზე მომსახურების ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში (Dasgupta and Sign, 2006; Ghani and O'Connel, 2014). ამგვარი ადრეული დეინდუსტრიალიზაციის (premature deindustrialization) ან, ხშირ შემთხვევებში, არ-ინდუსტრიალიზაციის ტენდენცია (non-industrialization) ეკონომიკური ზრდის პირობებში იმის გარკვეულ საფუძველს იძლევა, რომ მომსახურების სექტორი დამამუშავებელ მრეწველობას გავუტოლოთ მისი მნიშვნელობითა და გრძელვადიან სტაბილურ ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების მქონე მასშტაბით.

მართალია მომსახურების სექტორს უკვე განვითარებულ ქვეყნებში, პოსტინდუსტრიულ ფაზაში, ძალზე მნიშვნელოვანი როლი უკავია მათ სამომავლო ეკონომიკურ განვითარებაში, თუმცა საეჭვოა ის, რომ ამ სექტორს იგივე ზეგავლენა ექნება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე ინდუსტრიალიზაციის ფაზის სრული გამოტოვების ან ნაადრევი დეინდუსტრიალიზაციის შემთხვევაში. (Rodrik, 2017) აღნიშნავს, რომ განვითარების კლარკ-ფიშერის ვექტორზე სვლა აუცილებელია მოხდეს თანმიმდევრობის დაცვით და თითქმის შეუძლებელია განვითარებული ქვეყნის სტატუსის მიღწევა ან მათთან კონვერგენცია (convergence) პირველი ეტაპიდან განვითარების პირდაპირ მესამე ეტაპზე გადასვლით, ინდუსტრიალიზაციის გარეშე. (Chang, 1994) თანახმად, მსოფლიოს ყველა განვითარებულმა ქვეყანამ განვითარების ეს ტრაექტორია გაიარა და დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების შედეგად მოახერხა მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნის სტატუსის მოპოვება. ის ტენდენცია, რომ ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ არ-ინდუსტრიალიზაციის ან ნაადრევი დეინდუსტრიალიზაციის გზა აირჩია, მიუთითებს არა დამამუშავებელი მრეწველობის კლებად მნიშვნელობაზე ეკონომიკური განვითარების გზაზე, არამედ ამ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაციის მარცხზე, რადგან დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების კონცენტრაცია მხოლოდ რამდენიმე დიდი ზომის განვითარებად ქვეყანაში მოხდა (მაგ. ჩინეთი, სამხრეთ კორეა) (Haraguchi et al. 2017).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების სფეროს ვაჭრობადი სექტორები, როგორებიცაა მაგალითად, საბანკო, სადაზღვევო და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორები, დღითი დღე უფრო მოთხოვნადი ხდება მსოფლიო ბაზარზე და შესაძლოა ამ სექტორებში სპეციალიზაცია ერთგვარი „ესკალატორი" გახდეს განვითარებადი ქვეყნებისთვის აგრარული ეკონომიკიდან პირდაპირ წარმატებული მომსახურების ეკონომიკაზე გადასვლის გზაზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის სექტორები მოითხოვს ძალზე მაღალკვალიფიციურ და განათლებულ მუშახელს, რაც განვითარებად ქვეყნებში საკმაოდ მწირია. შესაბამისად, უმეტეს შემთხვევებში, ამ ქვეყნებში მუშახელი სოფლის მეურნეობიდან სერვისის დაბალპროდუქტიულ სექტორებში გადადის, მაგალითად საცალო ვაჭრობაში ან სარესტორნო/განთავსების სექტორებში, რაც სწრაფი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის გარანტი ვერ გახდება. დამამუშავებელი მრეწველობის სექტორს კი დიდი რაოდენობით დაბალკვალიფიციური მუშახელის აბსორბცია შეუძლია სოფლის მეურნეობიდან მათი შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდის პარალელურად, რაც ეკონომიკური ზრდის საწინდარია. ინდოეთისა და ჩინეთის ეკონომიკური განვითარების გამოცდილებაც ამაზე მოწმობს - ინდოეთმა აირჩია სერვისზე ორიენტირებული ზრდა (service-led growth), ხოლო ჩინეთმა კი დამამუშავებელ მრეწველობაზე ორიენტირებული საექსპორტო ზრდა (manufacturing-led export growth) და შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით ჩინური განვითარების მოდელის უპირატესობაში. 1993 წლისთვის ჩინეთისა და ინდოეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP) ერთმანეთს უტოლდებოდა, ხოლო 2018 წლის იგივე მაჩვენებელი ჩინეთში დაახლოებით სამჯერ მეტია ვიდრე ინდოეთში (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 4, რომელიც ასახავს დამამუშავებელი მრეწევლობის დამატებული ღირებულების ზრდის ტემპსა და მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე ზრდის ტემპს შორის დამოკიდებულებას 1990-2018 წლების პერიოდისათვის, იმავე დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს - იკვეთება მჭიდრო კორელაცია ინდუსტრიალიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის და დამამუშავებელი მრეწველობა შესაძლებელია მივიჩნიოთ ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალად (engine of growth). მეტიც, სტატისტიკის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები დღეს განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაში იმყოფებიან დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმების წილის (%)

გადმოსახედიდან, ამ დარგის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება (%მშპ) დღესდღეობითაც საკმაოდ მაღალია ზევრ მათგანში, რაც ამ დარგის თანამედროვე მნიშვნელობაზეც მიუთითებს (იხ. გრაფიკი 5).

**გრაფიკი 3: დამამუშავებელი მრეწველობის დამატებული ღირებულება (% მშპ) და მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP), ინდოეთი და ჩინეთი, 1990-2018 წწ.**




**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.

**გრაფიკი 4. ინდუსტრიალიზაცია და მშპ ერთ სულ მოსახლეზე ზრდა, მსოფლიოს 177 ქვეყანა, 1990-2018 წწ.**




**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.

**გრაფიკი 5: შერჩეული მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების* საშუალო, 2000-2017 წწ.**




* ქვეყნები: ირლანდია, გერმანია, სინგაპური, იაპონია, შვეიცარია, სამხრეთ კორეა

**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკისა და ILOSTAT-ის მონაცემებზე დაყრდნობით

სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე გამოყოფენ დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განსაკუთრებულ მახასიათებლებს, რომლებიც მას ეკონომიკის სხვა დარგებისგან გამოარჩევს:

- *დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სხვა სექტორებში პროდუქტიულობის გაზრდისა და მათი შემდგომი განვითარებისათვის.* სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის ამაღლება სწორედ მანქანა-დანადგარების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, პესტიციდების, სასუქების და სხვა მრავალი სახის პროდუქციის შექმნის შედეგად გახდა შესაძლებელი. სერვისის სექტორის განვითარებაც სხვადასხვა ქვეყნებში მეტწილად დამამუშავებელი წარმოების განვითარების შედეგია (Park and Chan, 1989) რადგან, მაგალითად ტრანსპორტის, ლოგისტიკის და კავშირგაბმულობის დარგს სჭირდება ტელეფონები, მანქანები, თვითმფრინავები და ა.შ. ხოლო საბითუმო და საცალო ვაჭრობის დარგი კი ნაწარმოები პროდუქციის გარეშე ვერ იარსებებს.
- *დამამუშავებელი მრეწველობის დარგი ქმნის მეტ სამუშაო ადგილს ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგები.* იქიდან გამომდინარე, რომ დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის სხვა დარგების აღმოცენებას და განვითარებას, ამ დარგს დასაქმების ყველაზე მაღალი მულტიპლიკატორი (employment multiplier) გააჩნია. ევროკომისიის 2012 წლის ანგარიშის თანახმად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დამამუშავებელი მრეწველობის დარგის დასაქმების მულტიპლიკატორი აღემატება სხვა დარგების იმავე მაჩვენებლებს, სხვა სიტყვებით, თითო დამატებითი სამუშაო ადგილი დამამუშავებელ მრეწველობაში ირიბად ქმნის მეტ სამუშაო ადგილს, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგები (Robert and Ward, 2012).
- *დამამუშავებელი მრეწველობა ხელს უწყობს ტექნოლოგიურ პროგრესს.* ტექნოლოგიურ პროგრესს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგან სწორედ ამ ტიპის პროგრესის საშუალებითაა შესაძლებელი მუშახელის პროდუქტიულობის გაზრდა (Greenwood at el. 1997). ტექნოლოგიური სიახლის უმეტესი ნაწილი კი დამამუშავებელი მრეწველობის დარგში იქმნება და შემდეგ ვრცელდება ეკონომიკის სხვა სექტორებში, შესაბამისად, გადაღვრის ეფექტი (spillover effect) ამ დარგში განსაკუთრებულად დიდია სხვა დარგებისგან განსხვავებით (Tregenna, 2008). მიიჩნევა, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის ახალი ტექნოლოგიებისა და საუკეთესო პრაქტიკების გადმოღება განვითარებული ქვეყნებიდან სწორედ დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებითაა შესაძლებელი (Jones and Olken, 2005). მეტიც, ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიცაა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, კერძო R&D ხარჯების ორ მესამედზე მეტი დამამუშავებელი მრეწველობის დარგში ხორციელდება.
- *დამამუშავებელი მწეველობის განვითარება ქმნის დაზოგვის სტიმულს.* ეროვნული დანაზოგის დონის გაზრდა მჭიდრო კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და, ნეოკლასიკური ზრდის თეორიის თანახმად, დანაზოგები გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. რადგან დამამუშავებელი მრეწველობის დარგს დიდი რაოდენობით კაპიტალი და ინვესტიციები სჭირდება, სავარაუდოა, რომ ამ დარგის განვითარება კერძო დანაზოგების ზრდას

გამოიწვევს. მაგალითად, აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკების ინდუსტრიალიზაციის პერიოდი დანაზოგების მაღალი ტემპით ხასიათდებოდა (Park, 2002).

• *დამამუშავებელი მრეწველობის დარგს გააჩნია მეტი საექსპორტო პოტენციალი ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებს.* ექსპორტის ზრდის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში სამეცნიერო ლიტერატურაში დავის საგანს აღარ წარმოადგენს - ექსპორტის ზრდასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შორის მჭიდრო სტატისტიკური კორელაცია არსებობს (Tyler, 1981; Ram, 1987; Sengupta and Espana, 1994; Balassa, 1978). საქონელი, სერვისებთან შედარებით, მეტად ვაჭრობადია, რადგან უმეტეს სერვისებს სჭირდება კლიენტის და მომსახურების გამწევის ერთი და იმავე ადგილზე ყოფნა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სტატისტიკის მიხედვითაც, მსოფლიო ვაჭრობის 80%-ზე მეტი მოდის საქონლით ვაჭრობაზე, ხოლო დაახლოებით 20% კი სერვისებით ვაჭრობაზე, შესაბამისად, დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარებას მეტი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია.

## დასკვნა

სამეცნიერო ლიტერატურა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში. იკვეთება ისიც, რომ ინდუსტრიალიზაციის გარეშე თითქმის შეუძლებელია მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებთან განვითარებადი ქვეყნების კონვერგენცია, რადგან დღემდე ასეთი ქვეყნის არც ერთი მაგალითი არ არსებობს. აღნიშნული დასკვნა მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის სამომავლო ფორმირებისთვის, განსაკუთრებით საქართველოსთვის, სადაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ჯერ კიდევ რჩება მთავარ გამოწვევად, რაც უდავოდ ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაციის ნელ ტემპს უნდა უკავშირდებოდეს (Benidze, 2019). ის, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლის მეურნეობის დარგშია დასაქმებული და დამამუშავებელი მრეწველობის კონტრიბუციის წილი ეკონომიკაში 1996 წლის შემდეგ მცირდება, ქვეყნის ნაადრევ დეინდუსტრიალიზაციაზე ან ჩამორჩენილ ინდუსტრიალიზაციაზე მიუთითებს, რაც სამომავლო ეკონომიკურ განვითარებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Allen, Robert C. *The Industrial Revolution: A Very Short Introduction*. Oxford: Oxford University Press, 2017.
2. Balassa, Bela. “Exports and Economic Growth.” *Journal of Development Economics* 5, no. 2 (1978): 181–89. https://doi.org/10.1016/0304-3878(78)90006-8.
3. Benidze, Vano. “An Overview of Georgia’s Economic Growth Since 2012: Current Status, Challenges, and Opportunities for Future Development.” *International Journal of Economics and Management Engineering* 13, no. 4 (2019): 445–50. https://doi.org/doi.org/10.5281/zenodo.2643910.
4. Bhagwati, Jagdish. “The Manufacturing Fallacy.” Project Syndicate, August 27, 2010. https://www.project-syndicate.org/commentary/the-manufacturing-fallacy.
5. Chang, Ha-Joon. *The Political Economy of Industrial Policy*. Basingstoke: Macmillan, 1994.
6. Cimoli, Mario, Giovanni Dosi, and Joseph E. Stiglitz. “The Political Economy of Capabilities Accumulation: The Past and Future of Policies for Industrial Development.” *Industrial Policy and Development*, 2009, 1–16. https://doi.org/10.1093/acprof:oso/9780199235261.003.0001.
7. Clark, Colin. *The Conditions of Economic Progress*. London: Macmillan , 1940.
8. Dasgupta, Sukti, and Ajit Singh. “Manufacturing, Services and Premature Deindustrialization in Developing Countries: A Kaldorian Analysis.” *Advancing Development*, 2007, 435–54. https://doi.org/10.1057/9780230801462_23.
9. Fisher, Alan GB. *The Clash of Progress and Security*. London: Macmillan and Co., Limited, 1935.
10. Ghani, Ejaz, and Stephen D. O'connell. “Can Service Be a Growth Escalator in Low-Income Countries?” *Policy Research Working Papers*, 2014. https://doi.org/10.1596/1813-9450-6971.
11. Greenwood, Jeremy, Zvi Hercowitz, and Per Krusell. “Long-Run Implications of Investment-Specific Technological Change.” *American Economic Review* 87, no. 3 (1997): 342–62. https://doi.org/http://www.jstor.org/stable/2951349.
12. Haraguchi, Nobuya, Charles Fang Chin Cheng, and Eveline Smeets. “The Importance of Manufacturing in Economic Development: Has This Changed?” *World Development* 93 (2017): 293–315. https://doi.org/10.1016/j.worlddev.2016.12.013.
13. Jones, B. F., and B. A. Olken. “Do Leaders Matter? National Leadership and Growth Since World War II.” *The Quarterly Journal of Economics* 120, no. 3 (2005): 835–64. https://doi.org/10.1093/qje/120.3.835.
14. Kuznets, Simon. *Modern Economic Growth: Rate, Structure, and Spread*. Yale University, 1966.

15. Lewis, W. Arthur. *Economic Development With Unlimited Supplies of Labour*. University of Manchester, 1954.

16. Park, Jong H. "The East Asian Model of Economic Development and Developing Countries." *Journal of Developing Societies* 18, no. 4 (2002): 330–53. https://doi.org/10.1177/0169796x0201800403.

17. Park, Se-Hark, and Kenneth S. Chan. "A Cross-Country Input-Output Analysis of Intersectoral Relationships between Manufacturing and Services and Their Employment Implications." *World Development* 17, no. 2 (1989): 199–212. https://doi.org/10.1016/0305-750x(89)90245-3.

18. Ram, Rati. "Exports and Economic Growth in Developing Countries: Evidence from Time-Series and Cross-Section Data." *Economic Development and Cultural Change* 36, no. 1 (1987): 51–72. https://doi.org/10.1086/451636.

19. Rodrik, Dani. "Growth Without Industrialization?" Global Policy Journal, December 21, 2017. Growth Without Industrialization?

20. Rodrik, Dani. "The Past, Present, and Future of Economic Growth." Harvard University, 2013. https://drodrik.scholar.harvard.edu/publications/past-present-and-future-economic-growth.

21. Schwab, Klaus. *The Fourth Industrial Revolution*. London: Portfolio Penguin, 2017.

22. Sengupta, Jati K., and Juan R. España. "Exports and Economic Growth in Asian NICs: An Econometric Analysis for Korea." *Applied Economics* 26, no. 1 (1994): 41–51. https://doi.org/10.1080/00036849400000060.

23. Stehrer, Robert, and Terry Ward. "Study On 'Monitoring Of Sectoral Employment.'" Rep. *Study On 'Monitoring Of Sectoral Employment.'* European Commission, 2012.

24. Tregenna, Fiona. "The Contributions Of Manufacturing And Services To Employment Creation And Growth In South Africa." *South African Journal of Economics* 76 (2008). https://doi.org/10.1111/j.1813-6982.2008.00187.x.

25. Tyler, William G. "Growth and Export Expansion in Developing Countries." *Journal of Development Economics*, no. 1 (1981): 121–30. https://doi.org/10.1016/0304-3878(81)90007-9.

***Vano Benidze***

## THE ROLE OF MANUFACTURING IN ECONOMIC DEVELOPMENT

### Summary

Throughout the history of mankind, economic growth has always been associated with progress and prosperity. However, the fast rates of economic growth around the world is a recent phenomenon, as by all estimates, economic growth rates must have been very low through most history before the 18th century (Kuznets, 1996). Starting from the 1760s, changes in agriculture, manufacturing and technology had a pronounced positive effect on the lives of many. This process, also known as the "Industrial Revolution", first spread in Great Britain, France, Germany, United States, Spain and other European countries, later followed by Asian, African and Latin American countries in the beginning of the 19th century (Allen, 2017).

The world, so far, has been through three industrial revolutions, each having different characteristics and consequences. The 1st Industrial Revolution used steam-powered engines that significantly increased labor productivity in agriculture. The 2nd Industrial Revolution used electric power that led to the creation of mass production. The 3rd Industrial Revolution used internet, computers and information technologies to automate production, reducing the role of humans in the production process.

These three industrial revolutions also reflect the everchanging balance between three main sectors of the economy: primary (mining, fishing and agriculture), secondary (manufacturing, construction and electricity) and tertiary (services). The term "sectors" was first used in 1935 by Alan Fisher in his book "The Clash of Progress and Security". According to (Fisher, 1935) three-sector-model, economic progress that would be the result of the development of primary and secondary sectors, would lead to the emergence and strengthening of the tertiary sector of the economy.

Later, (Clark 1940) developed Fisher's model to create Clark-Fisher model of development. According to the model a country goes through three stages of development (see Fig. №1). In the pre-industrial stage, most people are employed in agriculture, followed by industry and services, living standards are low and there is a minimal use of technology. In the in industrial stage, advancements in technology makes agriculture less labor-intensive, people move mainly to manufacturing sector and living standards start to rise. In the post-industrial phase, further technological advancements make automation possible in manufacturing or manufacturing activities move to other developing countries, therefore, the workforce moves to services sector and the country starts to de-industrialize. This process of structural transformation, especially the process of industrialization (an increase of the share of manufacturing in GDP), is regarded by many economists as the main engine of growth in economic development (Kuznets, 1996).

(Rodrik, 2013) suggest that there are two ways a country can achieve economic growth. The first is by investing in and improving fundamental factors such as education, healthcare, infrastructure and institutions. The second is by promoting a structural transformation of the economy – a process when new industries emerge, and the labor moves from low-productivity industries (e.g. agriculture) to the high-productivity ones (e.g. manufacturing). Rodrik states that the fast and high economic growth rates in both developed and developing countries (excluding resource-rich countries) have always been a result of structural transformation, especially industrialization. The rapid development of East Asian

countries in the late 19th century is a good testament to that (see Fig. №2). Rodrik also notes that structural transformation should eventually be backed up by fundamental factors, otherwise the growth could fizzle out (see Table №1).

Recent scientific literature also argues that industrialization has lost its role in economic development and that it is no longer important for the developing countries to follow the same path of development as high-income countries did long time ago (Bhagwati, 2010). As many developing countries (e.g. India) are increasingly moving to service-led growth model by fully or partially skipping the industrial phase of development, it is tempting to believe that manufacturing has lost its significance. It is worth noting, however, that this process of premature de-industrialization does not diminish the role of manufacturing in economic growth, but rather indicates the failure of industrialization in those countries, as manufacturing activities only concentrated in few other developing countries (e.g. China, South Korea). It is true that some service activities (e.g. insurance, IT, financial services) could potentially be engines of growth in developing countries, but as in most developing countries the majority of labor is employed in agriculture and lack the necessary skills, it is doubtful whether they are fit for those activities. For the most part, low skilled workers in these countries (if manufacturing jobs are not available) either remain in agriculture or move to low-productivity service activities (e.g. retail trade, hospitality), which will not guarantee long and sustained growth. Chinese and Indian experience is a good testament to that – China chose manufacturing led-growth model, while India opted for service-led growth. If we judge their economic performance by GDP per capita (PPP), it is clear that the Chinese development model is superior to that of India (see Fig. №3).

Fig. №4, that shows the relationship between manufacturing value added growth and GDP per capita growth for the period of 1990-2018, leads us to the same conclusion - there is a statistically significant relationship between industrialization and economic growth, and manufacturing can still be considered as the main engine of fast growth. Moreover, even though some high-income countries are currently in the post-industrial phase of development from the employment perspective, their manufacturing value-added (% GDP) still remains quite large (see Fig. №5).

There are some other reasons why manufacturing sector development is important for the economic growth of developing countries. Firstly, almost every industry needs manufactured products – the travel industry needs planes, the hospitality industry needs furniture, and agriculture needs fertilizers and machinery. Therefore, the development of other sectors of the economy highly depends on manufacturing.

Secondly, because so many other industries depend heavily on manufactured goods, manufacturing has a very high employment multiplier, meaning each new job in manufacturing creates a large number of indirect jobs in other industries (Robert and Ward, 2012). Therefore, the development of manufacturing can lead to a rapid decline in unemployment in developing countries.

Thirdly, manufacturing spurs technological progress. Most technological breakthroughs have been associated with the manufacturing sector, such as airplanes, ships and semiconductors. Therefore, technology spillover effect from manufacturing is quite large (Tregenna, 2018). (Jones and Olken, 2015) argue that the best way for developing countries to adopt technology from the developed ones is though manufacturing.

Lastly, it is without a doubt that an increase in exports is directly linked to economic growth (Tyler, 1981; Ram, 1987; Sengupta and Espana, 1994; Balassa, 1978). As 80% of the world trade is in goods, manufacturing has more export potential than other sectors of the economy, and therefore, its development can lead to economic growth.

All things considered, the development of the manufacturing sector is of critical importance for developing countries. It is also clear that without industrialization convergence of developing countries with developed ones in terms of per capita income is unlikely – so far, the world has never seen such a case. Therefore, today's developing countries should reshape their economic policies in ways that favor manufacturing development. This is especially relevant for Georgia, where poverty and unemployment could be directly linked to country's inability to ignite structural transformation (Benidze, 2019).

***Keywords:*** *Manufacturing, Economic Growth, Structural Transformation, Industrialization.*

*ბადრი გეჩბაია*
*მირზა სუქნიშვილი*
*ჰამლეტ სანიკიძე*

## სასურსათო უსაფრთხოება და აგრობიზნესის განვითარების თანამედროვე გამოწვევები საქართველოში

***ანოტაცია.*** *სტატიაში შეფასებულია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი გამოწვევა. სასურსათო უსაფრთხოება განხილულია რაოდენობრივი, ხარისხობრივი და სოციალურ-ეკონომიკური კომპონენტების მიხედვით. დინამიკაში შესწავლილია კომპონენტში ფიქსირებული ცვლილებები, გაკეთებულია დასკვნა, რომ აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები მცირედით არის გაუმჯობესებული.*

*ნაშრომში გამოვლენილია საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული მნიშვნელოვანი პრობლემები და დასაბუთებულად არის წარმოდგენილი აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები (დაბალმწარმოებლურობა ნედლეულის წარმოების სფეროში, წარმოების*

*მცირე მასშტაბები და მასშტაბიდან არაეკონომიურობა, რესურსული პოტენციალის არაეფექტიანი გამოყენება, განუვითარებელი საცალო და საბითუმო სასურსათო ბაზრები, კოოპერირების დაბალი დონე, ფერმერთა ცოდნის დაბალი დონე, არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და სხვ.). ფაქტორების შეფასების საფუძველზე შემოთავაზებულია აგრობიზნესის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორების დაძლევის გზები; მოცემულია საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მიღწევისა და აგრობიზნესის განვითარების შესახებ დასკვნები და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *აგრობიზნესი, სასურსათო უსაფრთხოება, შემაფერხებელი ფაქტორები, მდგრადი განვითარება.*

**პრობლემის აქტუალურობა**

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საკითხია. ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოება განიხილება როგორც თანმიმდევრული პროგრამების ერთობლიობა, რომლის მთავარი მიზანია ქვეყნის მოსახლეობის ჯანსაღი და უვნებელი სურსათით სტაბილური მომარაგება. სასურსათო უსაფრთხოება სამ ასპექტს მოიცავს: რაოდენობრივს, ხარისხობრივს და სოციალურ-ეკონომიკურს, შესაბამისად, მისი შეფასება ამ ასპექტების ჩარჩოებში უნდა განხორციელდეს[101].

რაოდენობრივი ასპექტი ორიენტირებულია სურსათის საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფაზე, ხარისხობრივი ნიშნავს მოსახლეობის უსაფრთხო და ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფას, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური გულისხმობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას იმ დონემდე, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს სურსათზე ხელმისაწვდომობას.

FAO-ს მიერ შემუშავებული მაჩვენებელთა სისტემის მიხედვით ქვეყნებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა რამდენიმე პროდუქტი, მათგან ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული, ყურძენი, ხორცი (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ფრინველის), რძე და რძის პროდუქტები და კვერცხი. აღნიშნული პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებით განისაზღვრება ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობის დონე და მოსახლეობის სურსათით უსაფრთხო უზრუნველყოფა.

საქართველოში ბოლო ათწლეულში შემცირებულია კვების პროდუქტების წარმოება, შესაბამისად მოსახლეობის ადგილობრივი საკვები პროდუქტებით დაკმაყოფილების დონე კვლავ დაბალი რჩება[102]. 2018 წელს თვითუზრუნველყოფის დაბალი კოეფიციენტები დაფიქსირებულია ხორბლის (15%), ფრინველის ხორცის (34%), ღორის ხორცის (45%), საქონლის ხორცის (52%) და სხვათა მოხმარებაში; შედარებით უკეთესი მაჩვენებლებია სიმინდის (71%), ბოსტნეულის (59%), რძისა და რძის პროდუქტების (82%), კარტოფილის (102%), კვერცხის (99%), ყურძნის (152%) და სხვათა მოხმარებაში[103]. სურსათის დეფიციტის შევსება იმპორტული პროდუქციის ხარჯზე ხდება. აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტის მოცულობა 3,5-ჯერ აღემატება ექსპორტის რაოდენობას და წლების განმავლობაში უარყოფითი სასურსათო სავაჭრო ბალანსია ფორმირებული[104]. ცხადია, ასეთი ტენდენცია უდავოდ უარყოფითად აისახება საქართველოს არა მარტო სასურსათო უსაფრთხოებაზე, არამედ ზოგადად მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე. მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობის მაჩვენებელი 3-4-ჯერ ჩამორჩება სხვა დარგების შესაბამის მაჩვენებელს[105]. აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ბუნებრივი და სხვა სახეობის რესურსული პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ქვეყანას შეუძლია თვითმყოფადი ქვეყანა გახდეს აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების მხრივ, მოხდეს იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი პროდუქტებით და აგრობიზნესის განვითარება ეკონომიკური ზრდის ერთ-

---

[101] ახალაძე ზ., შალამბერიძე მ., სასურსათო უსაფრთხოების შეფასების საკითხები https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/AkhaladzeZeinab.pdf

[102] Eter Kharaishvili, Badri Gechbaia, Gela Mamuladze, Vegetable market: competitive advantages of Georgian product and competition challenges, Journal Innovative Marketing, Issue #3. https://businessperspectives.org/journals/innovative-marketing/issue-296/vegetable-market-competitive-advantages-of-georgian-product-and-competition-challenges

[103] საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიკაცია 2018.

[104] ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი., ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა, ჟურნალი ,,გლობალიზაცია და ბიზნესი“, #8, 2019.

[105] ბიზნესსექტორი საქართველოში 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტატისტიკური პუბლიკაცია, გვ. 127.

ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდეს[106]. თუმცა, მიმდინარე პერიოდში ადგილობრივმა წარმოებამ ვერ ჩაანაცვლა იმპორტი, დაბალია მწარმოებლურობა და სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის დონე, აგრობიზნესში მიღწეული ზრდის ტემპები საკმარისი არ არის მდგრადი განვითარებისათვის. მაშასადამე, დასახელებული პრობლემები კვლევასა და ანალიზს საჭიროებს.

## კვლევის მიზანი და მეთოდები

კვლევის მიზანია სასურსათო უსაფრთხოების კრიტერიუმების ანალიზისა და აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენის საფუძველზე თანამედროვე გამოწვევების დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ბიბლიოგრაფიული კვლევით შესწავლილია პრობლემის დამუშავების დონე და შეჯამებულია ძირითადი პარადიგმები; ემპირიული კვლევით შეფასებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მონაცემები, ასევე, საქართველოს პარლამენტის პოლიტიკის დოკუმენტები. მონაცემების შერჩევის, დაჯგუფების, მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიცირებისათვის, ასევე, ტენდენციების გამოსავლენად გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და სხვა მეთოდები.

## ანალიზი

FAO-ს მიხედვით, სასურსათო უსაფრთხოება რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1. მოსახლეობის უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობის სურსათით; 2. მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი, ბალანსირებული სურსათით; 3. მოსახლეობის უზრუნველყოფა უვნებელი სურსათით; 4. მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სურსათით.

სურსათის მოხმარების სტაბილურობა და გარანტირებული სასურსათო უსაფრთხოება აღნიშნულ ოთხ ინდიკატორზეა დამყარებული[107]. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ან ქვეყანა სასურსათო უსაფრთხოების რისკის წინაშე დადგება და ვერ მიიღწევა მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფა[108].

მოსახლეობის საკმარისი რაოდენობის სურსათით უზრუნველყოფა შესაძლებელია, ერთი მხრივ, ადგილობრივი სასურსათო პროდუქციის წარმოებით, მეორე მხრივ, დეფიციტური აგროსასურსათო პროდუქტების პროდუქციის იმპორტით[109]. ამ პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით საქართველოსთვის მთავარი გამოწვევაა ადგილობრივი წარმოების ზრდა და იმპორტის ჩანაცვლების განხორციელების პროცესში სახელმწიფო სტრუქტურების თანამონაწილეობის პროცესის განვითარება.

გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებული სიმწვავით დგას საკითხი მოსახლეობისათვის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მწვავეა საქართველოსთვის, სადაც ამ პრობლემის მონიტორინგი და სურსათის უვნებლობის დაცვა მოუწესრიგებელია, სათანადოდ არ არის განვითარებული მონიტორინგის სამსახურები, ასევე მოსაწესრიგებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. ხელმისაწვდომი სურსათით უზრუნველყოფა გულისხმობს მოსახლეობისათვის აგროსასურსათო პროდუქტებზე ფიზიკური და მატერიალური წვდომის შესაძლებლობების შექმნას.

ზემოთ დასახელებული ფაქტორების ანალიზით დადასტურებულია, რომ საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემებია და ოთხივე კომპონენტი დარღვეულია[110].

ბოლო წლების მონაცემების შესწავლით მხოლოდ ზოგიერთ კომპონენტში აღინიშნება უმნიშვნელო ცვლილებები, კერძოდ: აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები მცირედით არის გაუმჯობესებული; მოსახლეობა კვლავ არ არის უზრუნველყოფილი ბალანსირებული სურსათით; მხოლოდ ნაწილობრივ მოწესრიგდა სურსათის უვნებლობის პრობლემები; მცირედ გაუმჯობესდა მოსახლეობის სურსათზე ფიზიკური და მატერიალური წვდომა.

---

106 Kharaishvili E., ErkomaiSvili G., Chavleishvili. Agribusiness Development Strategy in Georgia, - ICEMBIT 2015: 17th International Conference on Economics and Marketing Management, Madrid, Spain, November 12-13, 2015.

107 სასურსათო უსაფრთხოების შესახებ http://www.bridge.org.ge/ka

108 Kharaishvili E. Challenges for sustainable food security in Georgia, XV EAAE Congress in Parma: Towards Sustainable Agri-Food Systems: Balancing between Markets and Society, Parma, Italy, 29 August – 1 September 2017.

109 ჩხეიძე შ., მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა საქართველოში, 2017 http://agronews.ge/mosakhleobis-sasursatho-usaphrthkhoebis-datsvis-mdgomareoba-saqarthveloshi/

110 ჩხეიძე შ., მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა საქართველოში, 2017 http://agronews.ge/mosakhleobis-sasursatho-usaphrthkhoebis-datsvis-mdgomareoba-saqarthveloshi/

საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მოცულობა იმდენად მცირეა, რომ მათზე მოთხოვნა ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით პროდუქტების უმრავლესობაზე მესამედით არის დაკმაყოფილებული. ბოლო პერიოდში გამოიკვეთა აგრობიზნესის სფეროს ზრდის ტენდენცია, ასევე, - სასურსათო პროდუქციის თითქმის ყველა სახეობის წარმოების ზრდა, მაგრამ ზრდის ტემპები ძალიან მცირეა და საკმარისი არ არის ამ კომპონენტის არსებითად გასაუმჯობესებლად.

სასურსათო უსაფრთხოების მეორე კომპონენტი - მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი, დაბალანსებული სურსათით - როგორც ზემოთ აღინიშნა, უხეშად არის დარღვეული. სტატისტიკის ეროვნული სამსახაურის მონაცემებით მოსახლეობის უმეტესობა კვლავ სიღარიბეში ცხოვრობს და პირობების გამო ვერ ახერხებს ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად საკვების შეძენას და მოხმარებას. ცხოვრების დონის ანალიზით ირკვევა, რომ მოსახლეობის 80% ღარიბ-ღატაკია, მათი 35% შიმშილობს[111].

მესამე კომპონენტის მიხედვით (მოსახლეობის უზრუნველყოფა უვნებელი სურსათით) პრობ-ლემები ძირითადად ორი მიმართულებით არის გამოვლენილი: ჯერ ერთი, საქართველოში განუვითარებელი სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მონიტორინგის გამო შემოდის ფალსიფი-ცირებული და დაბინძურებული სურსათი, მეორე მხრივ, დაბალი ღირებულების იმპორტულ პროდუქტებს კონკურენციას ვერ უწევს შედარებით მაღალხარისხიანი ადგილობრივი წარმოების პროდუქტები.

მეოთხე კომპონენტის თვალსაზრისითაც (მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სურ-სათით) საქართველოში მძიმე მდგომარეობაა. მძიმე სოციალური პირობების გამო მოსახლეობა ჯერ კიდევ ვერ ახერხებს მისთვის საჭირო რაოდენობის სურსათის შეძენას.

ამრიგად, სასურსათო უსაფრთხოების ოთხივე კომპონენტის ანალიზით ირკვევა, რომ აგრო-სასურსათო სექტორის განვითარება სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნისათვის არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების თვალსაზრისითაც. მით უმეტეს, რომ ექსპერტთა შეფასებით, ქვეყანას რესურსების ეფექტიანად გამოყენებით შეუძლია ისეთი რაოდენობის სურსათის წარმოება, რომელიც ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 2018 წლის მე-3 კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აგრობიზნესის მთლიანი გამოშვება 185.9 მლნ ლარით (7.5%) გაიზარდა. ამასთან, აგრობიზნესის მთლიანი გამოშვებიდან პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება 99.6 მლნ ლარით (9.5%) არის გაზრდილი, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოშვება კი 86.2 მლნ ლარით (6.1%). ამავე პერიოდში აღინიშნებოდა აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდაც, საშუალოდ 8.2%-ით. სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა 9.1%-ით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ სექტორებში შექმნილი დამატებული ღირებულება 7.1%-ით[112]. მონაცემების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ზოგადად სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება უფრო ნაკლები ტემპებით იზრდება, ვიდრე გადამამუშავებელ სექტორებში შექმნილი დამატებული ღირებულება. შესაბამისად, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს გამოწვევად კვლავ აგრობიზნესის განვითარება რჩება.

დღეს საქართველოში აგრობიზნესის განვითარებას მთელი რიგი ფაქტორები აბრკოლებს, მათგან აღსანიშნავია:

- დაბალმწარმოებლურობა ნედლეულის წარმოების სფეროში;
- წარმოების მცირე მასშტაბები, შესაბამისად მასშტაბიდან არაეკონომიურობა;
- რესურსული პოტენციალის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არაეფექ-ტიანი გამოყენება;
- განუვითარებელი საცალო და საბითუმო სასურსათო ბაზრები;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი წარმოების სფეროში კოოპერირების დაბალი დონე;
- ინფორმაციებზე შეზღუდული წვდომა და ფერმერთა ცოდნის დაბალი დონე;
- არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და სხვ.

აგრობიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს ნედლეულის წარმოების სფეროში მწარმოებლურობის დაბალი დონე, რაც ძირითადად მცირემიწიანობით არის გამოწვეული. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ მცირემიწიანი ქვეყანაა ისრაელიც, მაგრამ მისი სოფლის მეურნეობა

[111] www.geostat.ge
[112] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო https://mepa.gov.ge/en/News/Details/5336

შეფასებულია როგორც მაღალმწარმოებლურობის ფენომენი, ამის დასადასტურებლად ისიც საკმარისია, რომ მიწის ფონდის შეზღუდული რესურსის პირობებში ისრაელში ფერმერთა 3,7% თითქმის 95%-ით აკმაყოფილებს საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს[113]. შესაბამისად, აუცილებელია ისრაელის სოფლის მეურნეობის გამოცდილებისა და აგრობიზნესის სფეროს კონკურენტული მოდელების გამოყენება.

მწარმოებლურობის გაზრდა დაუმუშავებელი მიწების ათვისებითაც არის შესაძლებელი[114]. დღეს საქართველოში გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო სახნავი მიწის მესამედი. მწარმოებლურობის ამაღლება მასშტაბიდან ეკონომიასაც გამოიწვევს და ქართული აგროსასურსათო პროდუქტებისათვის კონკურენტულ გარემოში ადაპტირებას გააუმჯობესებს.

ბუნებრივი და სხვა სახის რესურსების შენარჩუნება და ეფექტიანად გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აგრობიზნესის განვითარებისათვის, რათა მათ შეძლონ გლობალურ დონეზე სურსათის მიწოდების გაზრდა მდგრადი განვითარების საფუძველზე. ამ მიმართულებით განვითარებადი ქვეყნების წარმატებას სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდაში მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება სასურსათო ბაზრების მდგრადობასა და მოქნილობის გაძლიერებაზე, სასურსათო უსაფრთხოების გაზრდაზე, კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, მდგრადი განვითარების პოპულარიზაციაზე[115].

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და აგრობიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სურსათის როგორც საბითუმო, ასევე საცალო ბაზრები, რომლებიც განთავსებულია ეკონომიკურად და სოციალურად ხელსაყრელ ტერიტორიებზე, გააჩნიათ განვითარებისა და მოდერნიზაციის პერსპექტიული შესაძლებლობები[116].

აგრობიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია ფერმერათა კოოპერირება. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა ნაწილის აზრით სოფლის მეურნეობაში მასშტაბის ეკონომიის არსებობა საკამათოა[117], კოოპერაცია სავარაუდოდ გამოიწვევს მასშტაბის ეკონომიას, ასევე გაზრდის ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობებს, წარმოების მასშტაბების ზრდით შესაძლებელი გახდება პროდუქტის ექსპორტზე გატანა, გაუმჯობესდება სასურსათო ბაზრებზე გასვლის პირობები და სხვ.

აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ცოდნის დაბალი დონე აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და მიწოდების მთელ ჯაჭვში. ასევე, სურსათის უვნებლობისა და გარემოს დაცვის მიზნით სოფლის მეურნეობაში შესაქმნელია ინოვაციების მდგრადი სისტემები (SAIS). ასეთი სისტემების გამოყენება მოითხოვს ინოვაციურ ცოდნას, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ახალგაზრდების ჩართულობის მაღალ დონეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში ახალგაზრდების დარგში დასაქმების სურვილი არ არის მაღალი[118]. ეს ძირითადად იმით არის განპირობებული, რომ დაბალია დარგში მომგებიანობის დონე. მაშასადამე, აგრობიზნესის განვითარება ერთგვარი სტიმულია ახალგაზრდების აგროსასურსათო სექტორში ჩასართველად და აგრობიზნესის განსავითარებლად.

## დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოებისა და აგრობიზნესის განვითარების თანამედროვე გამოწვევების შესწავლის საფუძველზე შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები გამოვლინდა:

- საქართველოში დაბალია აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები, შესაბამისად, სასურსათო უსაფრთხოების მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემებია. აუცილებელია

[113] ხარაიშვილი ე., სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები: საქართველო-ისრაელის შედარებითი ანალიზი , ჟურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები" #1, 2017.

[114] http://eugeorgia.info/ka/article/534/soflis-meurneobashi-mwarmoeblurobis-zrda-daumushavebeli-miwebis-atvisebitaa-shesadzlebeli/

[115] Kharaishvili, E., Lazariashvili, T., Natsvlishvili I. (2019). *Agro Tourism for Economic Development of Related Sectors and Sustainable Well-being (Case of Georgia). Borders without Borders:* Systemic frameworks and their applications for sustainable well-being in the global era. *Book of Abstracts. 6th Business Systems Laboratory International Symposium. Pavia, Italy- January 21-23, 2019. Pp. 200-202*
http://bslab-symposium.net/Pavia-2019/BSLAB-%20Book%20of%20Abstract-Pavia-2019.pdf

[116] Kharaishvili, E., Natsvlishvili, I. (2019). Markets of Georgian Agro-Food Products and Export Stimulating Economic Policy. Globalization And Business, #8, pp. 44-53
https://www.eugb.ge/view_content.php?content=content&id=230&MARKETS%20OF%20GEORGIAN%20AGRO-FOOD%20PRODUCTS%20AND%20EXPORT%20STIMULATING%20ECONOMIC%20POLICY#

[117] Livny E ., Is small scale agriculture necessarily inefficient? https://iset-pi.ge/index.php/en/iset-economist-blog-2/entry/is-small-scale-agriculture-necessarily-inefficient

[118] სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსოლიდაციის სახელმწიფო სტრატეგიის აუცილებლობის შესახებ, 2017
http://eugeorgia.info/ka/article/632/sasoflo-sameurneo-miwebis-konsolidaciis--saxelmwifo-strategiis-aucileblobis-shesaxeb/

სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება და ადგილობროვი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა აგრობიზნესის განვითარების მხარდაჭერის გზით;

• აგრობიზნესის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია წარმოების წვრილმასშტაბურობა. წარმოების მასშტაბების ზრდა შესაძლებელია მიწის ბაზრის განვითარებისა და კოოპერირების გზით. მცირე და საშუალო ფერმერების კოოპერირება გამოიწვევს წარმოების მასშტაბების გაფართოებას, მიზნობრივი საგრანტო პროგრამების დაფინანსების გაზრდას და სხვ.;

• აგრობიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის დაბალი დონე და ახალგაზრდების მცირე წილი დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში, ასევე მცირე ფინანსური რესურსები კვლევებზე. საჭიროა აგროსასურსათო სფეროში თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდება, ტრენინგების უზრუნველყოფა, მოწინავე გამოცდილების შესწავლა, მიზნობრივი კვლევების დაფინანსება;

• აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. მიზანშეწონილია მარეგულირებელი კანონების შემუშავება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასურსათო უსაფრთხოების შესახებ კანონის მიღება.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ახალაძე ზ., შალამბერიძე მ., სასურსათო უსაფრთხოების შეფასების საკითხები https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/AkhaladzeZeinab.pdf
2. ბიზნესსექტორი საქართველოში 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტატისტიკური პუბლიკაცია, გვ. 127.
3. სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსოლიდაციის სახელმწიფო სტრატეგიის აუცილებლობის შესახებ, 2017.
4. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიკაცია 2018.
5. სასურსათო უსაფრთხოების შესახებ http://www.bridge.org.ge/ka
6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო https://mepa.gov.ge/en/News/Details/5336
7. ჩხეიძე შ., მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა საქართველოში, 2017 http://agronews.ge/mosakhleobis-sasursatho-usaphrthkhoebis-datsvis-mdgomareoba-saqarthveloshi/
8. ხარაიშვილი ე., სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები: საქართველო-ისრაელის შედარებითი ანალიზი , ჟურნალი ,,სტუდენტური კვლევები და პროექტები“ #1, 2017.
9. ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი., ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა, ჟურნალი ,,გლობალიზაცია და ბიზნესი“, #8, 2019.
10. Eter Kharaishvili, Badri Gechbaia, Gela Mamuladze, Vegetable market: competitive advantages of Georgian product and competition challenges, Journal Innovative Marketing, Issue #3. https://businessperspectives.org/journals/innovative-marketing/issue-296/vegetable-market-competitive-advantages-of-georgian-product-and-competition-challenges
11. Livny E ., Is small scale agriculture necessarily inefficient? https://iset-pi.ge/index.php/en/iset-economist-blog-2/entry/is-small-scale-agriculture-necessarily-inefficient
12. Kharaishvili E., ErkomaiSvili G., Chavleishvili. Agribusiness Development Strategy in Georgia, - ICEMBIT 2015: 17th International Conference on Economics and Marketing Management, Madrid, Spain, November 12-13, 2015.
13. Kharaishvili E. Challenges for sustainable food security in Georgia, XV EAAE Congress in Parma: Towards Sustainable Agri-Food Systems: Balancing between Markets and Society, Parma, Italy, 29 August – 1 September 2017.
14. Kharaishvili, E., Lazariashvili, T., Natsvlishvili I. (2019). *Agro Tourism for Economic Development of Related Sectors and Sustainable Well-being (Case of Georgia). Borders without Borders:* Systemic frameworks and their applications for sustainable well-being in the global era. *Book of Abstracts. 6th Business Systems Laboratory International Symposium. Pavia, Italy- January 21-23, 2019. Pp. 200-202* http://bslab-symposium.net/Pavia-2019/BSLAB-%20Book%20of%20Abstract-Pavia-2019.pdf
15. Kharaishvili, E., Natsvlishvili, I. (2019). Markets of Georgian Agro-Food Products and Export Stimulating Economic Policy. Globalization And Business, #8, pp. 44-53 https://www.eugb.ge/view_content.php?content=content&id=230&MARKETS%20OF%20GEORGIAN%20AGROFOOD%20PRODUCTS%20AND%20EXPORT%20STIMULATING%20ECONOMIC%20POLICY#
16. www.geostat.ge

17. http://eugeorgia.info/ka/article/534/soflis-meurneobashi-mwarmoeblurobis-zrda-daumushavebeli-miwebis-atvisebitaa-shesadzlebeli/
18. http://eugeorgia.info/ka/article/632/sasoflo-sameurneo-miwebis-konsolidaciis--saxelmwifo-strategiis-aucileblobis-shesaxeb/

***Badri Gechbaia***
***Mirza Suknishvili***
***Hamlet Sanikidze***

**FOOD SECURITY AND MODERN CHALLENGES OF AGRIBUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA**

**Summary**

The article assesses the problem of food safety as a major challenge for the country's economic development. Food safety is discussed in terms of quantitative, qualitative and socio-economic components. Fixed changes in component are studied in dynamics, we made conclusion that self-sufficiency rates for agro-food products have improved slightly.

The article identifies important problems in terms of food safety in Georgia and we justified to hindering factors in agribusiness development (Low productivity in the field of raw materials production, small scale production and large scale inequality, ineffective use of resource potential, underdeveloped retail and wholesale food fairs, low level of co-operation, low level of knowledge of farmers, incomplete legislative basis, and etc.) Based on factor evaluation is proposed ways to overcome obstacles to agribusiness development.

The article provides conclusions and appropriate recommendations on achieving food security and developing agribusiness in Georgia.

***Keywords:*** *Agribusiness, food safety, hindering factors, sustainable development.*

***Наталья Солидор***

**ПУТИ ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ АВИАЦИОННОЙ ОТРАСЛИ УКРАИНЫ**

***Аннотация.*** *В статье представлены результаты анализа современного состояния, проблем и перспектив развития авиационной отрасли Украины. Определено, что национальная авиационная отрасль требует немедленного системного и масштабного реформирования. Одним из инструментов реализации процесса системного реформирования должно стать применение механизма государственно-частного партнерства, что даст толчок для привлечения необходимых объемов финансирования инновационно-инвестиционных проектов по развитию авиационной инфраструктуры и будет способствовать повышению конкурентоспособности отрасли не только на национальном, но и на мировом уровне.*

***Ключевые слова***: *авиакомпания, авиационная отрасль, государственно-частное партнерство, инновационное развитие, конкурентоспособность.*

**Введение**

В современных условиях глобализации мировой экономики и активизации интеграционных процессов возможность быстрой и качественной доставки пассажиров и грузов на дальние расстояния в разные места мира делает рынок авиационных перевозок одним из самых перспективных и динамичных транспортных рынков [Собкевич О.В., Михайличенко К.М. Щодо удосконалення механізмів державного регулювання ринку авіаційних перевезень в умовах інтеграції України до ЄС, 2014]. Авиационная отрасль Украины имеет значительный инновационный потенциал развития, однако из-за неудовлетворительного состояния авиационной инфраструктуры, системные проблемы с финансированием, планированием и управлением, прозрачности проведения административных процедур, своевременным техническим обслуживанием, качеством предоставляемых услуг, используется недостаточно, а сама отрасль требует масштабного реформирования. Развитие авиационной отрасли способствует улучшению показателей социально-экономического развития городов нашей страны, ее инвестиционной и туристической привлекательности и является сегодня необходимым условием реализации инновационной модели экономического роста Украины. В связи с этим, анализ состояния, проблем, перспектив развития национальной авиационной отрасли и исследование возможностей применения механизма государственно-частного партнерства (ГЧП) для создания благоприятных условий для привлечения инвестиций и повышения ее конкурентоспособности представляются весьма актуальными.

**Результаты исследования**

В работе проанализирована деятельность украинских авиакомпаний на примере пассажирских перевозок [Официальный сайт Государственной авиационной службы Украины, 2020]. Статистические данные о деятельности авиационной отрасли в течение последних трех лет свидетельствуют о ее стабильном развитии. Так, в

течение 2019 г. пассажирские и грузовые перевозки осуществляли 29 отечественных авиакомпаний, которыми выполнено 103,3 тыс. коммерческих рейсов (в 2018 г. – 100,2 тыс. рейсов, в 2017 г. – 93 тыс. рейсов). В 2019 г. количество перевезенных пассажиров увеличилось по сравнению с 2018 г. на 9,4 %, с 2017 г. – на 29,8 % и составило 13705,8 тыс. человек (рис. 1).

Перевозки пассажиров в течение 2019 г. осуществляли 18 украинских авиакомпаний, среди которых наибольшие объемы выполнены такими авиакомпаниями: «Международные Авиалинии Украины», «Азур Эйр Украина», «Скайап», «Роза ветров» и «Буковина». В 2019 г. авиакомпании «Скайап» и «Буковина» вытеснили из пятерки лидеров «ЯнЕйр» и «Браво». По итогам 2019 г. пятью ведущими пассажирскими авиакомпаниями перевезено 13306,7 тыс. чел., что на 22,4 % больше, чем за 2018 г. и составляет 97 % от общих объемов пассажирских перевозок авиакомпаний Украины.




**Рис. 1. Динамика объемов перевозок пассажиров авиационным транспортом Украины, тыс. чел. [2]**

Наряду с этим в 2019 г. имело место расширение деятельности на украинском рынке иностранных авиакомпаний, услугами которых воспользовались 9422,5 тыс. пассажиров, что на 37,4 % превышает показатель 2018 г. и на 75,2 % показатель 2017 г. и составляет 57 % от общих объемов регулярных пассажирских перевозок между Украиной и странами мира. В целом регулярные пассажирские перевозки в Украине выполняли 40 иностранных авиакомпаний (в том числе четыре новые – австрийская авиакомпания «Laudamotion», французская «Aigle Azur» (осуществляла полеты в сентябре 2019 г.), израильская «Israir Airlines» и норвежская «Scandinavian Airlines System») из 37 стран мира. В течение года иностранными авиаперевозчиками было открыто 29 новых маршрутов, из них 21 новый маршрут – авиакомпаниями «Ryanair» и «Wizz Air Hungary».

Что касается международных полетов на нерегулярной основе, то в 2019 г. произошел их значительный рост – на 16,9 % по сравнению с 2018 г. и на 40 % по сравнению с 2017 г. Так, в течение 2019 г. 16-ю украинскими авиакомпаниями перевезено 5440 тыс. пассажиров. При этом, почти 97 % таких перевозок осуществлено авиакомпаниями «МАУ», «Азур Эйр Украина», «Скайап», «Роза ветров» и «Буковина».

В течение 2019 г. продолжалась активизация регулярных перевозок в пределах Украины. Внутренние пассажирские перевозки на регулярной основе выполняли четыре отечественные авиакомпании («МАУ», «Мотор Сич», «Роза ветров» и «Скайап»), которые обеспечили воздушным сообщением одиннадцать городов Украины. В течение 2019 г. регулярными рейсами в пределах нашей страны перевезено 1145,2 тыс. чел., что на 6,9 % больше, чем за 2018 г. и на 22 % больше, чем в 2017 г. При этом средний процент пассажирской загрузки внутренних регулярных рейсов украинских авиакомпаний составил 75,9 % (против 79,3 % в 2018 г. и 73,5 % в 2017 г.).

Анализ деятельности отечественных авиакомпаний по перевозке грузов и почты позволил определить, что объемы грузовых перевозок и почты авиационным транспортом Украины сократились в 2019 г. на 6,6 % по сравнению с 2018 г. и составили 92,6 тыс. тонн. За отчетный год перевозки грузов и почты выполняли 20 отечественных авиакомпаний (в 2018 г. – 22 авиакомпании). В пятерку лидеров по перевозке грузов вошли АТП ГП «Антонов», авиакомпании «МАУ», «ЗетАвиа», «Максимус Ейрлайнс» и «Южмашавиа», которыми в 2019 г. было выполнено почти 85 % общих объемов перевозок грузов и почты. При этом большую часть грузоперевозок традиционно составляли чартерные рейсы в других государствах в рамках гуманитарных и миротворческих программ ООН, а также в соответствии с контрактами и соглашениями с другими заказчиками.

Снижение объемов перевозки грузов обусловлено последствиями экономического кризиса, геополитических факторов и проведением операции объединенных сил (ООС) на Востоке страны. Нормализация военно-политической ситуации в Украине, открытие воздушного пространства, преодоление технической и технологической отсталости украинских аэропортов и, соответственно, увеличение производительности и эффективности аэропортовой техники будет способствовать увеличению всех видов авиаперевозок.

По данным источника [Официальный сайт Государственной авиационной службы Украины, 2020] в 2019 г. коммерческие рейсы отечественных и иностранных авиакомпаний обслуживали 19 украинских аэропортов и аэродромов. Количество отправленных и прибывших в течение года воздушных судов составило 201,2 тыс. (по сравнению с 182,8 тыс. за 2018 г. и 159,9 тыс. за 2017 г.). При этом, пассажиропотоки через аэропорты Украины возросли по сравнению с предыдущим годом на 18,4 % и достигли отметки 24334,5 тыс. человек (рис. 2). Почтогрузопотоки в 2019 г. увеличились на 6,7 % и составили 60,2 тыс. тонн по сравнению с 56,4 тыс. тонн в 2018 г.




**Рис. 2. Пассажиропотоки через аэропорты Украины, тыс. чел. [2]**

Следует отметить, что в настоящее время около 98 % общих пассажиропотоков и практически все почтогрузопотоки сконцентрированы в 7 основных аэропортах Украины: Борисполь, Киев (Жуляны), Львов, Одесса, Харьков, Запорожье и Днепр (рис. 3).

По данным статистики по итогам 2019 г. имел место существенный рост количества обслуженных пассажиров в аэропортах по сравнению с 2018 г.: Харьков – на 39,4 %, Львов – на 38,8 %, Борисполь – на 21,1 %, Днепр – на 13,2 %, Одесса – на 17,1 % и Запорожье – на 8,4 %.

Несмотря на рост потоков рынка авиаперевозок, текущее состояние украинской авиационной отрасли не соответствует современным требованиям развития индустриально развитой страны, стремящейся к евроинтеграции. За годы независимости нашей страны, сложной военно-политической ситуации за последние 5-6 лет, в авиационной отрасли произошло накопление и обострение ряда проблем, сдерживающих ее стремительное развитие – отсутствие эффективного управления, опыта, хроническая недостаточность финансирования инвестиционных потребностей и неудачное регулирование. В случае подписания Украиной двух- и многосторонних соглашений о воздушном сообщении и ОАП (общем авиационном пространстве), особую актуальность приобретает разработка документов, которые внедряют реальные (а не декларативные) механизмы государственного регулирования и развития здоровой конкуренции отечественных авиаперевозчиков.




**Рис. 3 Удельный вес ведущих аэропортов в общих объемах перевозок через аэропорты Украины [2]**

Национальному рынку авиационных перевозок присущ монополизм и закрытость (в том числе и рынку хендлинговых услуг) [Собкевич О.В., Михайличенко К.М. Щодо удосконалення механізмів державного регулювання ринку авіаційних перевезень в умовах інтеграції України до ЄС, 2014], нестабильность, низкая конкурентоспособность отечественных авиакомпаний и отсутствие внутреннего потенциала для их развития.

Основной проблемой украинского рынка авиаперевозок является, прежде всего, низкое качество авиасообщения (авиационной инфраструктуры). Несовершенная транспортная инфраструктура не позволяет обрабатывать и доставлять грузы потребителям «точно в срок», а технические возможности большинства региональных аэропортов не соответствуют современным международным требованиям, они не готовы к работе в условиях «открытого неба» и требуют немедленной модернизации и реконструкции (прежде всего, это аэропорты Мариуполя, Краматорска, Николаева, Бердянска и др.). Отсутствие надлежащей государственной поддержки для модернизации, реконструкции, создания и внедрения современных технологий, отсутствие действенных государственных программ поддержки развития воздушного транспорта и авиационных систем не позволяют аэропортам приобрести большую значимость для экономики Украины и стать конкурентоспособными участниками рынка аэропортовых услуг.

Кроме этого, высокие ставки аэропортовых сборов (составляющие 20-30 % себестоимости рейса низкобюджетных перевозчиков), закрытый рынок авиационного горючего, акцизный сбор на горючее для гражданской авиации делают украинский рынок непривлекательным для иностранных лоукостеров (дискаунтеров).

Еще одной проблемой авиационной отрасли является изношенность парка воздушных судов (ВС) [Саркісова О.М., Токарь А.Ф., 2018: 239], а их техническое обслуживание не соответствует стандартам современной авиации.

Что касается перспектив развития украинской авиационной отрасли, то в соответствии с принятой в 2018 г. Национальной транспортной стратегией «Drive Ukraine 2030», которая одобрена распоряжением Кабинета Министров Украины от 30.05.2018 г. № 430-р, предусмотрены следующие изменения: 50 работающих аэропортов; среднее время дороги в аэропорт из любой точки Украины – 1 час; 350 направлений из всех аэропортов страны; 50 % населения пользуется авиатранспортом; генерация пассажиропотока региональными аэропортами (сейчас 98 % пассажиропотока приходится на 7 аэропортов); от 50 % – доля low-cost сегмента в авиаперевозках; расширение географии полетов (350 направлений для полетов из всех аэропортов Украины) [Национальная стратегия «Drive Ukraine 2030»].

К сожалению, реалии свидетельствуют о том, что собственными силами государство не способно решить ряд накопленных и заостренных за последние годы проблем и самостоятельно справиться с задачей инновационного развития авиационного транспорта в целом и аэропортов в частности. Сегодня в Украине необходимо эффективно использовать инновационные технологии развития транспортно-логистической инфраструктуры, прежде всего, уберизации и интеллектуальной мобильности, обеспечить соответствие международным стандартам качества обслуживания пассажиров и грузовой клиентуры, способствовать повышению конкуренции на рынке авиационных перевозок и наземного обслуживания. Таким образом, в настоящее время основными направлениями инвестиционной деятельности является восстановление аэропортовой инфраструктуры, повышение производительности за счет применения информационных технологий и инноваций.

Недостаточное внимание правительства к проблемам авиационной отрасли, отсутствие квалифицированного управления, механизмов регулирования государственных финансов, их недостаточность, бюрократизм процедур привлечения средств не позволяют аэропортам выйти на более высокий уровень конкурентоспособности.

Масштабное реформирование в управлении отраслью связано с дерегуляцией и изменением отношений собственности. В связи с этим, одним из вариантов дальнейшего развития авиационной отрасли является привлечение частных инвесторов, поскольку частный капитал имеет большие возможности для привлечения финансовых, материальных и других ресурсов, а частные инвесторы являются эффективным участником любых бизнес-процессов благодаря профессиональному отношению к предпринимательству, заинтересованности в экономическом результате, имеют в своем арсенале лучшие мировые практики управления, способность быстро ориентироваться в современных тенденциях рынка и прогнозировать последние. При этом, участие частного капитала позволит разнообразить источники финансирования и перераспределить коммерческие риски между участниками бизнес-процессов, а государство сохранит за собой функции регулятора и контролера.

К реализации транспортных инфраструктурных проектов путем ГЧП в национальной авиационной отрасли следует подходить дифференцированно, учитывая уровень привлекательности предприятия для инвесторов, а именно: наличие проблем финансирования инвестиционных потребностей аэропорта, его финансово-экономическое положение, качество управления деятельностью предприятия, состояние аэропортовой инфраструктуры, объемы перевозки пассажиров, грузов и т.д.

Международный опыт свидетельствует о том, что механизмы ГЧП в сфере авиационного транспорта успешно внедрены в Великобритании, Австрии, Чехии, Грузии, Турции, Японии, Чили, Бразилии, Греции и др. странах. Среди всех форм партнерства государственных и частных компаний в сфере транспортной инфраструктуры доминируют концессии [Попович О.В., Геєць І.О., 2011], при этом более 40 % всех концессионных аэропортов мира находятся на территории Европы.

Исследование практики хозяйствования стран ЕС в сфере авиационных перевозок свидетельствует, что сначала аэропорты управлялись государственными органами на всех уровнях. В настоящее время большинство

стран перешло на модель управления ГЧП, сохраняя контрольный пакет акций за государством, и только некоторые страны, например, Великобритания, Чехия решились передать часть аэропортов частным инвесторам.

Исходя из указанных выше проблем, сегодня крайне необходимо определить направления развития инвестиционного механизма роста эффективности авиационной отрасли Украины за счет реализации проектов государственно-частного партнерства, совершенствования процедуры конкурсного отбора инновационных проектов в авиационной отрасли, формирования соответствующих структур управления проектами, реализуемых путем ГЧП.

Учитывая успешный зарубежный опыт внедрения системы концессионных отношений при ГЧП, по нашему мнению, рационально использовать средства частных инвесторов при финансировании масштабных проектов развития авиационной инфраструктуры Украины с долей 40-45 %. Это будет способствовать обеспечению инновационного развития национальной авиационной отрасли в долгосрочной перспективе и позволит аэропортам выйти на качественно новый мировой уровень развития и конкурентоспособности.

## Выводы

Динамика объемов авиационных перевозок в Украине демонстрирует устойчивый рост (за исключением кризисных 2014-2016 гг.). Так, за последние три года произошло увеличение количества пассажиров, воспользовавшихся услугами украинских авиакомпаний, на 29,8 % и составило 13705,8 тыс. человек.

Между тем, нерешенным остается ряд проблем украинской авиационной отрасли: изношенность основных фондов, отсутствие эффективного управления, опыта, государственных программ поддержки развития авиационного транспорта и систем, хроническая недостаточность финансирования, нехватка квалифицированных кадров, уменьшение количества действующих аэропортов, устаревший парк воздушных судов, низкое качество авиасообщения (авиационной инфраструктуры), несоответствие уровня качества услуг международным стандартам и др.

Необходимо отметить, что в настоящее время перманентного кризиса и неопределенности государство не в состоянии самостоятельно финансировать развитие такой финансово затратной отрасли, как авиационная. Учитывая указанные проблемы, сегодня крайне необходимо создать национальную концепцию развития авиационной отрасли Украины на основе государственно-частного партнерства с сохранением основных управленческих функций за государственными органами на национальном, региональном и местном уровне, что будет способствовать обеспечению ее быстрого и устойчивого развития в долгосрочной перспективе и позволит аэропортам выйти на качественно новый мировой уровень развития и конкурентоспособности.

## Использованная литература


1. Собкевич О.В., Михайличенко К.М. Щодо удосконалення механізмів державного регулювання ринку авіаційних перевезень в умовах інтеграції України до ЄС. Аналітична записка. Офіційний сайт Національного інституту стратегічних досліджень. URL: https://niss.gov.ua/doslidzhennya/ekonomika/schodo-udoskonalennya-mekhanizmiv-derzhavnogo-regulyuvannya-rinku.

2. Официальный сайт Государственной авиационной службы Украины. URL: https://avia.gov.ua.

3. Саркісова О.М., Токарь А.Ф. Аналіз діяльності по здійсненню авіаційних перевезень в Україні. Наукові праці Кіровоградського національного технічного університету. Економічні науки. 2018. Вип. 33. С. 236-242.

4. Национальная стратегия «Drive Ukraine 2030» / Министерство инфраструктуры Украины. URL: https://mtu.gov.ua/files/projects/str.html.

5. Попович О.В., Геєць І.О. Оцінка світового досвіду застосування державно-приватного партнерства в авіаційній галузі. Проблеми підвищення ефективності інфраструктури. 2011. Вип. 32.
URL: http://jrnl.nau.edu.ua/index.php/PPEI/article/view/393.



***Natalia Solidor***


**WAYS OF INNOVATIVE DEVELOPMENT OF THE AVIATION INDUSTRY OF UKRAINE**

**Summary**


The paper presents the results of the analysis of the current state, problems and prospects of the national aviation industry development in the conditions of a difficult military-political and economic situation.

At present, the development of domestic civil aviation is one of the strategic directions, since Ukraine is the largest country in Europe with a favorable geographical position, being a connecting link on the Eurasian routes, and claims to be an international transit hub, which is of particular relevance on the eve of the signing and implementation of bilateral and multilateral agreements on air traffic and joint aviation space («open sky»).

The article presents statistics for the last three years, which demonstrate the main trends in this industry. The systemic problems of the aviation industry, that do not allow airports to acquire great significance for the state economy and become competitive participants in the regional aviation services market, were identified. It was determined that the aviation industry of Ukraine had significant development potential. Meanwhile, it requires immediate systemic and

large-scale reform, which, in turn, will contribute to increasing its competitiveness not only at the national but also at the global level due to the modernization, reconstruction, restoration and construction of a modern high-tech aviation infrastructure in accordance with international quality standards.

One of the methods for implementing the systemic reform process should be the use of a public-private partnership, which will give an impetus to attract the necessary funding for innovation and investment projects for the development of aviation infrastructure and will increase its efficiency. The paper substantiates the need for a differentiated approach to choosing the most optimal form of public-private partnership depending on the investment performance of airports, taking into account the interests of both the state and private companies, which will improve the aviation industry of Ukraine and achieve sustainable growth and development of its potential.

***Keywords:*** *airline, aviation industry, public-private partnership, innovative development, competitiveness.*

*იამზე სურმანიძე*

## აჭარის ა. რ. მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი

***ანოტაცია.*** *სტატიაში განხილულია აჭარის ა.რ. მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მახასიათებელი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები. კვლევის პროცესში გამოვლენილია მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ტენდენციები გრძელვადიანი პერიოდისათვის და გაანალიზებულია მათი განვითარების თავისებურებები როგორც მთლიანად აჭარის, ისე მისი თვითმმართველი ერთეულების მიხედვით.*

*გაანგარიშებული მაჩვენებლები შედარებულია საქართველოს სხვა ადმინისტრაციული რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებთან და გამოვლენილია საინტერესო უთანაბრო სიტუაციები. დადგენილია ასევე ურბანიზაციის ტენდენციები და მოყვანილია მათი მიზეზები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *მოსახლეობა, დემოგრაფია, ურბანიზაცია, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა.*

### შესავალი

დემოგრაფიული პროცესების შესწავლა ყოველთვის აქტუალურია და მნიშვნელობას დღესაც არ კარგავს, ვინაიდან დემოგრაფიული პროცესების განვითარებაზე ბევრად არის დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური დონე.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი კვლევაა ჩატარებული საქართველოში არსებული დემოგრაფიული გარემოს შესასწავლად, დროის ცვალებადობასთან ერთად აუცილებელია ცალკეულ რეგიონებში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების თავისებურებების შესწავლა და გათვალისწინება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების თუ მიზნობრივი სოციალური პროგრამების განხორციელების პროცესში.

რეგიონში არსებული დემოგრაფიული სიტუაციის და პროცესების უკეთ შესაფასებლად გამოიყენება ისეთი არსებითი მახასიათებლები, როგორიცაა მოსახლეობის კვლავწარმოების და მისი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მაჩვენებლები. ეს უკანასკნელი მოსახლეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური მახასიათებელია. მისი ანალიზის საფუძველზე შეიძლება მოსახლეობის კვლავწარმოების თავისებურებების გამოვლენა, საპენსიო უზრუნველყოფის, ჯანდაცვის და განათლების სისტემების შემუშავება-განვითარება. დემოგრაფიული ვითარება აისახება შრომითი რესურსების ფორმირებაზე, რომლის ნაწილს შეადგენს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, ანუ სამუშაო ძალა. სამუშაო ძალის განაწილებაზე პირდაპირ ახდენს ზეგავლენას დემოგრაფიული დაბერება. მის ფონზე უნდა შეფასდეს არსებული ადამიანური კაპიტალი და მისი პროდუქტიულობა. ის, თუ რამდენად შეუძლია მას შექმნას მატერიალური თუ არამატერიალური დოვლათი, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მაგ., ასაკი, სქესი, ფიზიკური შესაძლებლობა, სამუშაო გარემო, ცოდნა-განათლება და სხვ. სწორედ სამუშაო ძალის ოდენობა განსაზღვრავს რეგიონში დასაქმების დონეს, რომლითაც ხასიათდება რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

ამრიგად, მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლა არის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვლევის ამოსავალი წერტილი.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის ძირითადი მაჩვენებლები და წარმოდგენილია მათი სტატისტიკური ანალიზი.

სტატიაში გამოყენებული დემოგრაფიული სტატისტიკის ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგად მიღებული მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობის და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ.

* * *

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედის 5 მუნიციპალიტეტი, 2 ქალაქი, 2 დაბა, 52 თემი და 322 სოფელი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აჭარის ა. რ. მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 349 ათასი კაცი, ხოლო სიმჭიდროვემ 1 კვ. კმ-ზე - 120,4. აქედან 197,7 ათასი, ანუ 56.6 % ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში, ხოლო 151,4 ათასი, ანუ 43.4 % - სასოფლო დასახლებებში. მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, აჭარის მოსახლეობამ შეადგინა 376 ათასი, ხოლო 2014 წლის საყოველთაო აღწერით კი -334 ათასი, რაც 2002 წლის მონაცემთან შედარებით 10,6 %-ითაა(დაახლოებით 40 000 ადამიანით) შემცირებული (იხ. ცხრილი 1). მაგრამ ეს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ყველაზე დაბალი მაჩვენებელია საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, თუმცა ეს არ არის დამშვიდების საფუძველი. მოსახლეობის შემცირება ძირითადად გამოწვეულია შობადობის შემცირებით, შიდა და გარე მიგრაციით.

**ცხრილი 1. აჭარის მოსახლეობა საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით**

| აღწერის შედეგები | მოსახლეობა სულ | მამაკაცი | ქალი | საქალაქო დასახლებები | სასოფლო დასახლებები |
|---|---|---|---|---|---|
| 2002 | 376 016 | 165 604 | 176 484 | 166 880 | 175 208 |
| 2014 | 333 953 | 162 928 | 171 025 | 184 774 | 149 179 |
| პროცენტული ცვლილება | -10,6% | -1,62% | -3,09% | 10,72% | -14,86% |

*წყარო:* საქსტატის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, საქალაქო დასახლებების მოსახლეობის წილი შეადგენდა აჭარის ა. რ. მთელი მოსახლეობის 44,3 %-ს, ხოლო სასოფლო დასახლებების მოსახლეობის წილი კი 55,7 %-ს. 2014 წლის აღწერით კი დადგინდა საპირისპირო სიტუაცია. საერთო ჯამში საქალაქო დასახლებების მოსახლეობა 10,7%-ით გაიზარდა, სასოფლო დასახლებების კი თითქმის 15%-ით შემცირდა. აღმოჩნდა, რომ საქართველოში მხოლოდ აჭარაში გადააჭარბა ქალაქის მოსახლეობის წილმა სოფლის მოსახლეობისას. ქვეყანაში ურბანიზაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (55,3 %) დაფიქსირდა აჭარაში (თბილისის გარდა). მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში შეინიშნება. ამ ფონზე გაზრდილია ბათუმში მცხოვრებთა რიცხვი (იხ. ცხრილი 2).

**ცხრილი 2. აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობა მუნიციპალიტეტების მიხედვით**
**(2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით)**

| თვითმმართველი ერთეული | სულ მოსახლეობა | ქალაქი | სოფელი | წილი მთლიან მოსახლეობაში % |
|---|---|---|---|---|
| აჭარის ა.რ. | 333 953 | 184 774 | 149 179 | 100 |
| ქ. ბათუმი | 152 839 | 152 839 | - | 46 |
| ქედის მუნიციპალიტეტი | 16 760 | 1 510 | 15 250 | 5 |
| ქობულეთის მუნიციპალიტეტი | 74 794 | 28 621 | 46 173 | 22 |
| შუახევის მუნიციპალიტეტი | 15 044 | 797 | 14 247 | 5 |
| ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | 51 189 | - | 51 189 | 15 |
| ხულოს მუნიციპალიტეტი | 23 327 | 1 007 | 22 320 | 7 |

*წყარო:* საქსტატის მონაცემები

როგორც დიაგრამიდან ჩანს, აჭარის მოსახლეობის ყველაზე მეტი წილი მოდის ქალაქ ბათუმზე, ხოლო ყველაზე ნაკლები - ქედის და შუახევის მუნიციპალიტეტებზე. ბათუმი ყველაზე დიდი თვითმმართველი ქალაქია აჭარაში. აქ ცხოვრობს აჭარის მოსახლეობის დაახლოებით 46 % და ურბანული მოსახლეობის 82,7 %.

იმის გამო, რომ შეიცვალა ბათუმისა და ხელვაჩაურის ადმინისტრაციული საზღვრები (ხელვაჩაურისა და მახინჯაურის დაბები მიუერთდა ბათუმის მუნიციპალიტეტს), მოხდა ბათუმის მოსახლეობის მკვეთრი ზრდა ბოლო აღწერებს შორის (25%-ით). საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 166,0 ათას კაცს შეადგენს, რაც რეგიონის მოსახლეობის 48 %-ია და საქართველოს მოსახლეობის 4,5% (იხ. დიაგრამა 1).

**დიაგრამა 1. აჭარის მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით 2019 წლის მონაცემებით (ათასი კაცი)**




*წყარო:* აგებულია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების მიხედვით.

რაც შეეხება აჭარის მთლიანი მოსახლეობის დინამიკას 2000 წლიდან დღემდე, კლებადი ტენდენცია შეიცვალა მზარდი ტენდენციით 2012 წლიდან (იხ. დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2. აჭარის ა.რ. მოსახლეობის დინამიკა 2000-2019 (ათასი კაცი)**




*წყარო:* აგებულია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების მიხედვით.

ხოლო აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობის განაწილების დინამიკა და მოსახლეობის პროცენტული ცვლილება 2000-2019 წლებში ქალაქი/სოფლის ჭრილში (იხ. ცხრილი 3 და დიაგრამა 3).

**ცხრილი 3. მოსახლეობის რიცხოვნობის განაწილება ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| წელი | მოსახლეობა სულ | პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარ. | საქალაქო დასახლება | სასოფლო დასახლება |
|---|---|---|---|---|
| 2000 | 353,0 | | 167,4 | 185,5 |
| 2001 | 347,4 | -1,57% | 167,4 | 180,0 |
| 2002 | 342,1 | -1,54% | 166,9 | 175,2 |
| 2003 | 341,0 | -0,31% | 166,7 | 174,4 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2004 | 340,0 | -0,30% | 166,4 | 173,6 |
| 2005 | 338,6 | -0,42% | 165,9 | 172,7 |
| 2006 | 336,4 | -0,63% | 164,9 | 171,5 |
| 2007 | 335,1 | -0,39% | 164,5 | 170,7 |
| 2008 | 333,2 | -0,58% | 163,6 | 169,5 |
| 2009 | 332,4 | -0,23% | 163,4 | 169,0 |
| 2010 | 332,5 | 0,03% | 163,5 | 169,0 |
| 2011 | 332,2 | -0,09% | 163,6 | 168,6 |
| 2012 | 331,9 | -0,10% | 183,1 | 148,8 |
| 2013 | 332,5 | 0,19% | 183,6 | 148,9 |
| 2014 | 333,2 | 0,23% | 184,2 | 149,0 |
| 2015 | 336,6 | 1,02% | 187,1 | 149,5 |
| 2016 | 340,2 | 1,06% | 190,1 | 150,0 |
| 2017 | 343,0 | 0,83% | 192,6 | 150,4 |
| 2018 | 346,3 | 0,97% | 195,2 | 151,1 |
| 2019 | 349,0 | 0,77% | 197,7 | 151,4 |

*წყარო:* საქსტატის მონაცემები

**დიაგრამა 3. აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა ქალაქი/სოფლის ჭრილში (ათასი კაცი)**




*წყარო:* აგებულია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების მიხედვით.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2000 წლიდან 2019 წლამდე სასოფლო დასახლებების მოსახლეობა მუდმივად მცირდება. ასევე მცირდება საქალაქო დასახლებების მოსახლეობაც, მაგრამ 2012 წლამდე, შემდეგ კი იწყებს ზრდას. 2012 წლამდე სოფლის მოსახლეობის წილი აღემატებოდა ქალაქისას, 2012 წლიდან კი პირიქით, ქალაქის მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა. ამ ნეგატიური ტენდენციის შესახებ ცნობილი დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე აღნიშნავს: ,,განსაკუთრებით მძიმე დემოგრაფიული ვითარებაა სოფლად. მოსახლეობის ორ უკანასკნელ აღწერებს შორის პერიოდში (2002-2014) მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში" [თოთაძე, 2018: 9].

როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, აჭარაში ურბანული დასახლებების მოსახლეობა საკმაოდ არათანაბარი განაწილებით გამოირჩევა (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4. აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობა თვითმმართველი ერთეულების და საქალაქო/სასოფლო დასახლებების მიხედვით, 1 იანვრის მდგომარეობით (ათასი კაცი)

| თვითმმართველი ერთეული | 1995 | 2000 | 2005 | 2010 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა** | **411.0** | **353.0** | **338.6** | **332.5** | **336.6** | **340.2** | **343.0** | **346.3** | **349.0** |
| საქალაქო დასახლება | 185.8 | 167.4 | 165.9 | 163.5 | 187.1 | 190.1 | 192.6 | 195.2 | 197.7 |
| სასოფლო დასახლება | 225.2 | 185.5 | 172.7 | 169.0 | 149.5 | 150.0 | 150.4 | 151.1 | 151.4 |
| ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი | 144.8 | 125.5 | 122.2 | 121.7 | 155.2 | 158.2 | 160.8 | 163.4 | 166.0 |
| ქედის მუნიციპალიტეტი | 23.9 | 18.1 | 16.9 | 16.7 | 16.7 | 16.8 | 16.8 | 16.8 | 16.8 |
| საქალაქო დასახლება | 0.9 | 1.2 | 1.3 | 1.4 | 1.5 | 1.4 | 1.4 | 1.4 | 1.4 |
| სასოფლო დასახლება | 23.0 | 16.9 | 15.6 | 15.3 | 15.3 | 15.3 | 15.4 | 15.4 | 15.5 |
| ქობულეთის მუნიციპალიტეტი | 96.7 | 83.2 | 77.5 | 75.2 | 74.5 | 74.1 | 73.6 | 73.4 | 72.8 |
| საქალაქო დასახლება | 31.2 | 30.8 | 30.9 | 29.4 | 28.7 | 28.8 | 28.7 | 28.7 | 28.6 |
| სასოფლო დასახლება | 65.5 | 52.4 | 46.6 | 45.8 | 45.7 | 45.3 | 44.9 | 44.7 | 44.2 |
| შუახევის მუნიციპალიტეტი | 20.0 | 18.8 | 17.6 | 16.1 | 15.2 | 15.1 | 15.1 | 15.1 | 15.1 |
| საქალაქო დასახლება | 0.8 | 0.9 | 0.9 | 0.9 | 0.8 | 0.8 | 0.7 | 0.7 | 0.7 |
| სასოფლო დასახლება | 19.2 | 17.9 | 16.6 | 15.3 | 14.4 | 14.4 | 14.4 | 14.4 | 14.4 |
| ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | 90.1 | 78.5 | 77.6 | 78.0 | 51.1 | 51.5 | 51.8 | 52.1 | 52.4 |
| საქალაქო დასახლება | 7.3 | 8.0 | 9.4 | 9.2 | | | | | |
| სასოფლო დასახლება | 82.8 | 70.5 | 68.2 | 68.8 | 51.1 | 51.5 | 51.8 | 52.1 | 52.4 |
| ხულოს მუნიციპალიტეტი | 35.4 | 28.8 | 26.8 | 24.8 | 24.0 | 24.5 | 25.0 | 25.5 | 25.9 |
| საქალაქო დასახლება | 0.8 | 1.0 | 1.1 | 1.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 |
| სასოფლო დასახლება | 34.6 | 27.8 | 25.7 | 23.8 | 23.0 | 23.5 | 24.0 | 24.5 | 24.9 |

*წყარო:* სტატისტიკური პუბლიკაცია

ბათუმის მოსახლეობის რიცხოვნობა დაახლოებით 5-ჯერ აღემატება დანარჩენი ურბანული დასახლების მოსახლეობის საერთო რიცხოვნობას. მოსახლეობის არათანაბარი განაწილება ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა რეგიონულ განვითარებაში. ურბანიზაციის ტენდენცია შეინიშნება არა მარტო აჭარის რეგიონში, არამედ მთელ საქართველოში და მნიშვნელოვნად გაზრდილია ურბანიზაციის მაჩვენებელი. საქსტატის მონაცემების მიხედვით, დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობის 58% ცხოვრობს ქალაქად. ურბანიზაციის პროცესი პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან. მთლიან ეკონომიკაში მატულობს მომსახურებისა და მრეწველობის დარგების წილი სოფლის მეურნეობასთან შედარებით. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მეტი წილი მოდის დიდ ქალაქებზე, რამაც განაპირობა ურბანიზაციის სწრაფი ზრდის ტენდენცია. ურბანიზაციის შედეგად ხდება მოსახლეობის წილის ზრდა ქალაქში, ადამიანური კაპიტალის თავმოყრა, საწარმოების კონცენტრირება, პროდუქტიულობის ზრდა და ინფრასტრუქტურის განვითარება. დიდია ურბანიზაციის გავლენა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ მხრივ, როგორც ბათუმს, ასევე მუნიციპალურ ცენტრებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება რეგიონის განვითარებაში. ბოლო წლებში ბათუმი, როგორც ქვეყანაში სიდიდით მეორე ქალაქი, გამოირჩევა მაღალი ეკონომიკური ზრდით, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი სამშენებლო სექტორის გაფართოებამ და ინვესტიციების მოცულობის ზრდამ.

აჭარა მცირემიწიანი რეგიონია, ამიტომ ამ პრობლემის გამო მოსახლეობა ამჯობინებს ურბანულ ტერიტორიაზე ცხოვრებას და საქმიანობას. ამას თან ერთვის სამუშაო ადგილებისა და განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. ამიტომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი პროექტებია განსახორციელებელი. ამ მიზნისთვის ამოქმედდა ე. წ. „მთის კანონი“, რომლის მიზანია საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც

უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას [საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ].

დემოგრაფიული სიტუაციის შესწავლის პროცესში ასევე დიდმნიშვნელოვანია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებების შესწავლა. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, აჭარის მოსახლეობის საშუალო ასაკმა შეადგინა 35,7 წელი, მამაკაცთა საშუალო ასაკმა - 34.0, ხოლო ქალების-37,4 წელი.

აჭარის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის დასახლებების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილში:

**ცხრილი 5. აჭარის მოსახლეობის სქესობრივ-ასკობრივი სტრუქტურა საქალაქო/სასოფლო დასახლებების მიხედვით**

| | სულ | | | საქალაქო დასახლება | | | სასოფლო დასახლება | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი | ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი | ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი |
| **აჭარის ა.რ.** | **333 953** | **162 928** | **171 025** | **184 774** | **88 197** | **96 577** | **149 179** | **74 731** | **74 448** |
| 0-4 | 24 751 | 12 864 | 11 887 | 14 184 | 7 384 | 6 800 | 10 567 | 5 480 | 5 087 |
| 5-9 | 21 221 | 11 353 | 9 868 | 12 242 | 6 546 | 5 696 | 8 979 | 4 807 | 4 172 |
| 10-14 | 19 711 | 10 563 | 9 148 | 10 697 | 5 730 | 4 967 | 9 014 | 4 833 | 4 181 |
| 15-19 | 21 866 | 11 288 | 10 578 | 11 297 | 5 799 | 5 498 | 10 569 | 5 489 | 5 080 |
| 20-24 | 26 412 | 13 608 | 12 804 | 14 286 | 7 153 | 7 133 | 12 126 | 6 455 | 5 671 |
| 25-29 | 28 463 | 14 572 | 13 891 | 16 345 | 8 050 | 8 295 | 12 118 | 6 522 | 5 596 |
| 30-34 | 25 694 | 12 795 | 12 899 | 15 095 | 7 345 | 7 750 | 10 599 | 5 450 | 5 149 |
| 35-39 | 24 139 | 11 900 | 12 239 | 13 909 | 6 718 | 7 191 | 10 230 | 5 182 | 5 048 |
| 40-44 | 24 088 | 11 788 | 12 300 | 13 520 | 6 388 | 7 132 | 10 568 | 5 400 | 5 168 |
| 45-49 | 22 732 | 10 935 | 11 797 | 12 331 | 5 723 | 6 608 | 10 401 | 5 212 | 5 189 |
| 50-54 | 23 505 | 11 074 | 12 431 | 13 242 | 6 004 | 7 238 | 10 263 | 5 070 | 5 193 |
| 55-59 | 19 088 | 8 789 | 10 299 | 10 788 | 4 856 | 5 932 | 8 300 | 3 933 | 4 367 |
| 60-64 | 15 687 | 6 911 | 8 776 | 8 934 | 3 785 | 5 149 | 6 753 | 3 126 | 3 627 |
| 65-69 | 11 862 | 5 006 | 6 856 | 6 324 | 2 608 | 3 716 | 5 538 | 2 398 | 3 140 |
| 70-74 | 9 217 | 3 822 | 5 395 | 4 442 | 1 752 | 2 690 | 4 775 | 2 070 | 2 705 |
| 75-79 | 8 729 | 3 363 | 5 366 | 4 129 | 1 460 | 2 669 | 4 600 | 1 903 | 2 697 |
| 80-84 | 4 322 | 1 608 | 2 714 | 1 870 | 619 | 1 251 | 2 452 | 989 | 1 463 |
| 85+ | 2 466 | 689 | 1 777 | 1 139 | 277 | 862 | 1 327 | 412 | 915 |

*წყარო:* საქსტატის მონაცემები

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, მოსახლეობის ყველაზე მეტი წილი 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის (8,5 % ანუ 28 463), შემდეგ მოდის 20-24 წლის კატეგორია - დაახლოებით 8 %. საერთო ჯამში 20-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა შეადგენს მთელი აჭარის მოსახლეობის დაახლოებით 16,4 %-ს. 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენს 19,7 %-ს, ხოლო 65 და უფრო მეტი ასაკის მოსახლეობის წილი-დაახლოებით 11 %-ს. 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის წილი მოსახლეობაში შედარებით დაბალია (6,5 %). მოსახლეობაში 15-29 წლის ახალგაზრდების წილი

დაახლოებით მეოთხედს, ანუ 25 %-ს შეადგენს. ამ მხრივ აჭარა საქართველოს სხვა რეგიონებს შორის გამოირჩევა მოსახლეობის ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობით და დაბერებული მოსახლეობის ყველაზე დაბალი წილით [წულაძე... 2016: 35]. 15-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს აჭარის მოსახლეობის დაახლოებით 64,7 %-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიან მოსახლეობაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის წილი ყველაზე მაღალია.

აჭარაში მოსახლეობის უმრავლესობა მდედრობითი სქესის წარმომადგენელია (51,2 %), თუმცა 15-29 ახალგაზრდებში კაცების რიცხოვნობა უმნიშვნელოდ აღემატება ქალების რიცხოვნობას (0,7%-ით). ამ ასაკობრივი ჯგუფის კაცების წილი მთლიანად კაცების რიცხოვნობაში შეადგენს დაახლოებით 24,2 %-ს, ხოლო იმავე ასაკის ქალების წილი ქალების მთლიან რიცხოვნობაში - 21,8 %. ბუნებრივ-ბიოლოგიური ფაქტორები ზემოქმედებას ახდენს ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობაზე მათი დაბადებისა და ცხოვრების პირველ წლებში. შემდეგ წლებში მათი სიცოცხლისუნარიანობა განპირობებულია ორგანიზმის ბიოლოგიური ბუნებით, თუმცა არანაკლებ როლს თამაშობს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები [გელაშვილი...2013: 77].

აჭარის მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგ დიაგრამაზე:

**დიაგრამა 4. მოსახლეობის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით (2014 წლის აღწერის შედეგები)**




*წყარო:* საქსტატის მონაცემები

**დასკვნა**

ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოვლინდა აჭარის ა.რ. და მისი თვითმმართველი ერთეულების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების განსხვავებული ტენდენციები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობის კლების ფონზე ადგილი აქვს აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას, რაც მისასალმებელი ფაქტია. თუმცა, შეინიშნება სოფლის მოსახლეობის კლების ტენდენცია. მოსახლეობის ყველაზე მეტი შემცირება გამოვლინდა მაღალმთიან რაიონებში, რაც გამოწვეულია როგორც შობადობის შემცირებით, ასევე შიდა და გარე მიგრაციით. აჭარა მცირემიწიანი რეგიონია, ამიტომ ამ პრობლემის გამო, მოსახლეობა ამჯობინებს ურბანულ ტერიტორიაზე ცხოვრებას და საქმიანობას, ამას თან ერთვის სამუშაო ადგილებისა და განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აჭარის მოსახლეობის თითქმის ნახევარი (46 %) ბათუმზე მოდის.ბოლო წლებში ბათუმი, როგორც ქვეყანაში სიდიდით მეორე ქალაქი, გამოირჩევა მაღალი ეკონომიკური ზრდით, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი ინვესტიციების მოცულობის ზრდამ და სამშენებლო სექტორის მნიშვნელოვნად გაფართოებამ.

აჭარის მოსახლეობის ნახევარზე მეტს, ანუ 51,2 %-ს ქალები წარმოადგენენ, თუმცა ზოგიერთ ასაკობრივ ჯგუფში ჭარბობენ კაცები: მაგალითად, 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში კაცების რიცხოვნობა უმნიშვნელოდ აღემატება ქალებისას.

საქართველოს სხვა რეგიონებს შორის, ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით, აჭარა გამოირჩევა მოსახლეობის ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობით და დაბერებული მოსახლეობის ყველაზე დაბალი წილით, კერძოდ: 15 წლიდან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენს აჭარის მოსახლეობის 64,7 %-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიან მოსახლეობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობის წილი ყველაზე მაღალია. ეს კი ოპტიმისტური პროგნოზის საფუძველია შრომითი რესურსების გაზრდისა და პროდუქტიულობის თვალსაზრისით.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. სოციალური სტატისტიკა. ლექციების კურსი. თბ., 2013 (ელ. ვერსია), 213 გვ. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/socialuri%20statistika.pdf
2. თოთაძე ა. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა. გამომც. „პრინტ ავენიუ“, თბ., 2018, 32 გვ.
3. წულაძე გ., სულაბერიძე ა. საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები. ილიაუნი, თბ., 2016, 90 გვ. https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39663.pdf
4. საქსტატი. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2018. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2019, 144 გვ. https://www.geostat.ge/media/27214/demograpia-2018.pdf
5. საქსტატი. საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. თბ., 2018, 380 გვ. https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf
6. საქსტატი. რეგიონული სტატისტიკა. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika



***Iamze Surmanidze***


## STATISTICAL ANALYSIS OF NUMBER AND SEX-AGE STRUCTURE OF POPULATION OF ADJARA AUTONOMOUS REPUBLIC

### Summary


The article with the main statistical indicators characteristic of number and age-sex structure of the population of the Autonomous Republic of Adjara. The research process reveals the trends of population change and age-sex structure changes within a long-term period and analyzes the peculiarities of its dynamic development according to the total area of Adjara as well as its self-governing units.

The calculated indicators are compared with similar indicators of other administrative regions of Georgia and interesting unequal situations are revealed. Urbanization trends have also been identified and their causes cited.

The study of demographic processes is always relevant and does not lose its importance even today, as the socio-economic level of life of the population depends a lot on the development of demographic processes.

Although a lot of research has been done to study the demographic environment in Georgia, the demographic situation in certain regions is relatively low. Along with the variability of time, it is necessary to study the peculiarities of the current demographic processes in certain regions and to consider them in order to make political decisions or implement targeted social programs.

In order to better assess the demographic situation and processes in the region, such important characteristics as indicators of population reproduction and its age-sex structure are used. The latter is one of the important social characteristics of the population. Based on its analysis, it is possible to identify the peculiarities of population reproduction, elaboration, and develop systems of pension provisions, healthcare, and education. The demographic situation is reflected in the formation of labor resources, part of which is the economically active population that is the labor force. Demographic aging directly affects the distribution of the labor force. Against its background, the existing human capital and its productivity should be assessed. It depends on many factors, such as age, gender, physical ability, work environment, knowledge-education, and so on whether it can create material or intangible wealth. It is the amount of labor that determines the level of employment that characterizes the well-being and socio-economic development of the region's population.

Thus, the study of population number and age-sex structure is the starting point for the study of the socio-economic development of the region.

The present paper discusses the main indicators of the population and age-sex composition of the population of the Autonomous Republic of Adjara and presents their statistical analysis.

The main source of information on the demographic statistics used in the article is the data obtained from the general census of the population on the population and the age-sex structure.

As a result of the analysis, A. R. of Adjara different tendencies of population change and age-sex structure change were identified according to its self-governing units. It should be noted that against the background of the decrease in the total population of Georgia, there is an increase in the population of Adjara, which is a welcome fact. However, at the same time, there is a tendency for the rural population to decline. The largest population decline was in

the highlands, mainly due to declining birth rates and internal and external migration. Adjara is a small land region, so due to this problem, the population prefers to live and work in the urban area. This is accompanied by a lack of access to jobs and education.

It is noteworthy that almost half of the population of Adjara, that is 46%, live in Batumi. In recent years, Batumi, as the second-largest city in the country, is characterized by high economic growth, which was especially facilitated by the growth of investment and the significant expansion of the construction sector.

Among other regions of Georgia, according to the age structure, Adjara is distinguished by the youngest population and the lowest share of the aging population, namely: the share of the population aged 15 to 60 is 64.7% of the population of Adjara, which means that the share of the working force in the total population is the highest. This is the basis of optimistic forecasts in terms of increasing labor resources and productivity.

***Keywords:*** *Population, Demography, Urbanization, Age-sex Structure*

*თენგიზ ქავთარაძე*

## საქართველოს მეცხოველეობაში ინოვაციების გავრცელების სექტორული და რეგიონული პრობლემები

***ანოტაცია.*** *ნაშრომში, ინოვაციური თვალსაზრისით შესწავლილია, მეცხოველეობის დარგობრივი განვითარების მდგომარეობა მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით. საუბარია მეცხოველეობის განვითარებასა და ინოვაციური ეფექტიანობის ამაღლებაზე; საკვებწარმოების გაფართოებასა და გაიაფების რეზერვებზე; დასახულია მათი პრაქტიკული გამოყენების კონკრეტული ღონისძიებანი; მოცემულია ჩვენი ქვეყნის მეცხოველეობის ჩამორჩენის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, მათი დაძლევის ეკონომიკური და მეურნეობრივი ორგანიზაციული ღონისძიებები და განხორციელების კონკრეტული გზები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *მეცხოველეობა, საკვები ბაზა, მეცნიერება, ტექნოლოგია, ცოდნის გავრცელება, ინოვაცია.*

* * *

მეცხოველეობას მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საქართველოს მეურნეობაში. მის ხვედრით წილს საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში 24,3% და სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურაში 24,7% უჭირავს.

საერთოდ, მეცხოველეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ყველა ზონასა და რაიონშია მაგრამ მთელი რიგი ზონების (III, IV, VI, VII და IX) მაღალმთიან რაიონებში (თეთრი წყაროს, ახალგორის, ჯავის, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, წალკის, დმანისის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის, ონის, ლენტეხის, მესტიის) ის ძირითადად სასაქონლო სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგია და ფულადი შემოსავლის ძირითად წყაროდ ითვლება.

ამჟამად საქართველოში წარმოდგენილია მეცხოველეობის შემდეგი დარგები: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მეღორეობა, მეცხვარეობა-მეთხეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეცხენეობა, მეთევზეობა და ნადირთმოშენება. ამ დარგებს შორის ყველაზე დიდი ხვედრითი წონით წარმოგვიდგება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, შემდეგ მეცხვარეობა-მეთხეობა, მეღორეობა და მეაბრეშუმეობა და მცირე ხვედრითი წონით მეცხოველეობის სხვა დარგები.

მეცხოველეობის ძირითად დარგებს შორის გავრცელების არეალით პირველი ადგილი მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს უჭირავს. 2019 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობათა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის 54,8% და ფურისა და ფურკამეჩის სულადობის 55,2% დასავლეთ საქართველოს რაიონებზე მოდის, ხოლო 62,5-66,1% - აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებზე.

მეცხოველეობის წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას განაპირობებს ფერმის სიდიდე, პირუტყვის სულადობის კონცენტრაციის დონე, პროდუქტიულობის ხარისხის რიგი მაჩვენებლები, პირუტყვის შენახვის ხერხები, მათი სადგომი ბინების ტერიტორიული განლაგება-გადაადგილება და სხვა ფაქტორები. აქედან გამომდინარე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეტად აქტუალური ამოცანაა, მკვეთრი გარდატეხა მოახდინოს ამ მიმართულებით.

ბოლო წლებში, მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელების შედეგად, მკვეთრად ამაღლდა ფერმებში პირუტყვის სულადობის კონცენტრაციის დონე, მაგრამ იგი საერთოდ ჯერ კიდევ დაბალია; მაგალითად, 1990 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს კოლმეურნეობათა 8,3% და საბჭოთა მეურნეობათა

32,3% ფერმებში 100 სულზე ნაკლები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავდათ, კოლმეურნეობათა 22,1%-სა და საბჭოთა მეურნეობათა 7,4%-ს 101-დან 200-მდე.

გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ პატარ-პატარა ფერმები და მათში ფურებისა და ფურკამეჩების კონცენტრაციის დაბალი დონე, გარდა იმისა, რომ ზღუდავს შრომატევადი სამუშაო პროცესების ფართო მექანიზაციისა და მათი გამოყენების შესაძლებლობას, იწვევს საწარმოო დანახარჯების გადიდებას. ეს გარემოებანი, სამწუხაროდ, არ იქნა მხედველობაში მიღებული საზოგადოებრივი მეურნეობების დაჩქარებული ტემპით დაშლის პირობებში.

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა, მისი პროდუქტიულობის წარმოების გადიდება და ეფექტურობის ამაღლება მოითხოვს კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებას, მათ შორის გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს ნახირის, კოლტისა და ფარის სტრუქტურის და ბრუნვის რაციონალურ ორგანიზაციას, რისი განხორციელებაც წარმოუდგენელია წვრილ საოჯახო ფერმებში. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობაში _ ფურის და ფურკამეჩის, ფარისა _ ნერბის და კოლტის სულადობაში - ნეზვის სულადობის ხვედრითი წონის გადიდება შესაბამისი სახეობის პირუტყვის სულადობის აბსოლუტური რაოდენობის შეუმცირებლად.

საგარეუბნო და საკურორტო ზონების მეურნეობათა ფერმების ნახირის სტრუქტურაში ძროხებისა და ფურკამეჩის ხვედრითი წონის (60-65%) გადიდებასთან დაკავშირებით ტარდებოდა ინოვაციების ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებათა სისტემა. კერძოდ, ნახირიდან რემონტზე მოზარდის გაყვანის მიზნით იქმნებოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდეულის (ნამატის) ინტენსიური ინოვაციური გამოსაზრდელი სასუქი მეურნეობები, რომელთა ოპტიმალური სიდიდე განისაზღვრებოდა 3000_4000 სული მოზარდის მიღებითა და გამოზრდა_გასუქებით. ახლად შექმნილ სეციალიზებულ მეურნეობებს მოზარდი გადაცემოდა 3-4 თვის ასაკში, ხოლო გარკვეული პრაქტიკული სამეურნეო-საწარმოო გამოცდილების დაგროვების შემდეგ, გამოკვების პერიოდიდანვე. გამოზრდის მთელ პერიოდში მოზარდის ცოცხალი წონით თანაბარი, გეგმაზომიერი ნამატის მიღება ინოვაციური თვალსაზრისით მიიღწეოდა მათი რაციონალური კვებით და სათანადო მოვლა-პატრონობით. ამასთან, ხორცისა და ტყავნედლეულის მაქსიმალური გადიდების, მათი ხარისხობრივად გაუმჯობესების და ეფექტიანობის კიდევ უფრო ამაღლებისათვის მერძეულ ფერმებში ფურების საერთო სულადობის ის ნაწილი, რომელიც ლიმიტზემო ნამატის მისაღებად იყო გათვალისწინებული, გრილდებოდა სახორცე მიმართულების ბუღა-მწარმოებლებით.

ამჟამად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდის გამოზრდა_სუქების ინოვაციების გავრცელების მიზნით, ქვეყნის ხელმძღვანელობა ფიქრობს აგარის შაქრის ქარხნის აღდგენას, სადაც დასაქმდება 500 კაცი. შაქრის ჭარხლის გადამუშავების შედეგად მიღებულ ჟენჟოსა და ბუყში კონცენტრირებული საკვების შერევის შედეგად აღდგება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდის - სუქების მეურნეობა. იგი სასუქი კონტინგენტით დაიტვირთებოდა მეცხოველეობის კოოპერაციული მეურნეობებიდან და მოსახლეობიდან შესყიდული პირუტყვის ხარჯზე.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდის გამოზრდა-სუქება უნდა მოეწყოს ბაგურ-საძოვრულ პირობებში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება საიალაღო საძოვრულ სუქებას, როგორც ხორცისა და ტყავ-ნედლეულის მიღების ყველაზე იაფ წყაროს. ეს საქმე თავის დროზე კარგად იყო მოწყობილი ანანურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ დახბოიანება ხდებოდა ზამთრის ბაგური კვების პირობებში. 3 - 4 თვის მოზარდი და მერძეული პირუტყვიდან გამოწუნებული კონტინგენტი გაზაფხულზე და ზაფხულში იალაღობდა ქაისხევი-ფიტავი, უფურეთის არაგვის ერისთავთა ყოფილ უკიდეგანო სათიბ-საძოვრებზე. გვიან შემოდგომით პირუტყვი სუქებაზე დგებოდა აგარის შაქრის კომბინატის სასუქ მეურნეობაში. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქციის წარმოება ძვირი არ ჯდებოდა.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ქვემო ქართლის ბარის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონის მეურნეობების რემონტზემო მოზარდეულის მთლიანი სულადობის გამოსაზრდელად და სუქებისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა ერთი სამეურნეობათაშორისო კომპლექსის შექმნა დმანისის რაიონში და ხუთი სახელმწიფო კომპლექსისა გარდაბნის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, წალკის და ნინოწმინდის ადმინისტრაციულ რაიონებში. საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებისა და არსებული ჯიშების სრულყოფის საქმეს ემსახურებოდა სანაშენო მუშაობის ფართო ქსელი. ბაშკიჩეთისა და ციხის ჯვრის სანაშენო საბჭოთა მეურნეობებში ორგანიზებული იყო წაბლა კავკასიური ჯიშის საქონლის მოშენება. სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით, 1960 წლიდან ჯიშად დამტკიცებული იქნა კავკასიური წამლა. ეს ჯიში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით მკვეთრად მაღალი მერძეული პროდუქტიულობით და დიდი ცოცხალი წონით ხასიათდება. ამასთან, სხვა ჯიშებთან შედარებით, კავკასიურ წაბლა ჯიშს ის უპირატესობა აქვს, რომ

მასში მოცემულია ადგილობრივი სამეურნეო პირობებისადმი გამძლეობისა და შეგუებულობის დადებითი თვისება. სათანადო ცდებით დადგენილი, რომ კავკასიური წაბლა ჯიშის ცხოველთა ინტენსიური სუქება ბევრად უფრო მაღალ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა ვიდრე საქართველოში გავრცელებული ველის წითელი ჯიში, ხევსურული და წითელი მეგრული საქონელი. ყოველივე ზემოთ თქმული კავკასიური წაბლა ჯიშის პირუტყვის მოშენების პერსპექტიულობაზე მიუთითებს. სამწუხაროდ 1991 წელს პრივატიზაციას დაექვემდებარა და გაუქმდა ბაშკიჩეთისა და ციხისჯვრის კავკასიური წაბლა ჯიშის პირუტყვის სანაშენე მეურნეობები. დღეს უკვე გამნელებულია ნახირიდან ხალასი კავკასიური წაბლა ჯიშის სანაშენო დეკეულებისა და მოზვრების პოვნა და მათზე სანაშენო მუშაობის განხორციელება.

დმანისის კარაქ-მრეწვის ქარხნის, წალკისა და დმანისის საბჭოთა მეურნეობების პრივატიზაციის შედეგად მოიშალა ცნობილი შვეიცარული ყველის წარმოებაც. 1862 წელს ფონ კუჩენბახმა მოიწვია შვეიცარიდან საქმის ოსტატები და გამართა შვეიცარული ყველის ქარხანა. აქ გაკეთებული შვეიცარული ყველი წარმოდგენილი იყო 1863 წელს ქ. თბილისში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. 1882 წელს ქ. მოსკოვის გამოფენაზე, ექსპერტებმა არ კი დაიჯერეს - ˜კავკასიაში, ასეთ ველურ ქვეყანაში, შესაძლებელი იქნებოდა ესოდენ მაღალხარისხოვანი ყველის გაკეთება”. საქართველოში შვეიცარული ყველი არსებობს ორი სახის:

1. შვეიცარული ყველი 50%-იანი და
2. შვეიცარული “ბლოჩნი” ემენკალი 45%-იანი.

შვეიცარული 50%-იანი ყველის საერთო მომწიფებას ჭირდება 6 თვე (180 დღე-ღამე), რათა მან განიცადოს ყველა ის მიკრობიოლოგიური პროცესი, რაც ზრდის ყველის ხარისხს და აძლევს საბოლოო სახეს.

კუჩენბახის ფერმაში 1890-იან წლებში ყოველწლიურად, ინოვაციური მეთოდებით მზადდებოდა 2000 ფუთამდე ყველი, ამათგან 1800 ფუთი შვეიცარული ყველი, დანარჩენი კი ჰოლანდიური და ლიმბერგული, მზადდებოდა აგრეთვე 300 ფუთი კარაქი და ერბო. პროდუქტები საღდებოდა ქ. თბილისში, სადაც ერთი ფუთი შვეიცარული ყველი 12-16 მანეთად იყიდებოდა, მაშინ როდესაც ადგილობრივი ყველის ფასი 3-5 მანეთს არ აღემატებოდა.

ინოვაციური თვალსაზრისით, შვეიცარული ყველის წარმოება ქართველმა ოსტატებმა კარგად შეისწავლეს, აქ დამზადებული ყველი იყო მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი. 1991 წლიდან, დმანისის რძის ქარხნის პრივატიზაციის შედეგად, შეწყდა შვეიცარული ყველის წარმოება. მისი ადილი დაიკავა იმერულმა ყველმა, რომლის წარმოებას 6 თვის ნაცვლად სჭირდება ერთი დღე-ღამე. დაიკარგა სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო.

1990-1991 წლებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავდათ 1234-დან 1226 კოლმეურნეობას, ანუ 99,3%-ს და 251-დან 242 საბჭოთა მეურნეობას, ანუ 96,4%-ს, ხოლო ფური და ფურკამეჩი 1199 (96,2%) კოლმეურნეობას და 241 (96,0%) საბჭოთა მეურნეობას. აღნიშნულ პერიოდში საზოგადოებრივი მეურნეობებიდან პრივატიზებული იქნა 672 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. მოსახლეობას ჰყავდა 862,5 ათასი სული. ყველა კატეგორიის მეურნეობებში იყო 1535,7 ათასი სული. პრივატიზაციის შედეგად საქართველოში იკლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 2000 წლისათვის 673 სულით, 2014 წლისათვის შესაბამისად 565 სულით, 2018 წელს კი 657 სულით (42,8%). პირუტყვის სულადობის მეტ-ნაკლები ზრდა შეინიშნება ქვემო ქართლისა და გურიის რაიონებში, აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში არ შეიძლებოდა თითოეულ ოჯახს პირუტყვის განსაზღვრულზე მეტი ჰყოლოდა. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეს შეზღუდვა მოხსნილია, სოფლად ფერმერს შეუძლია იყოლიოს იმდენი სული პირუტყვი, რამდენის მოვლასაც შეძლებს. თუ ადრე სოფლად ნახირს ჰყავდა მეთვალყურე, რომ პირუტყვი არ გადასულიყო საზოგადოებრივ მეურნეობასა და გლეხის პირად დამხმარე მეურნეობაში, რისთვისაც პირუტყვის პატრონს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, ამჟამად ეს შეზღუდვაც მოხსნილია. აამ ღონისძიებებმა ჯეროვნად ვერ იმოქმედა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზრდაზე, ძირითადი მიზეზი უნდა ვეძიოთ მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვის საკვები ბაზის მოუწესრიგებლობითა და უკმარისობით. ჩვენი დაკვირვებით, ყოფილ საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის საკვები რაციონი უფრო მრავალფეროვანი (უხეში საკვები - თივა, ნამჯა, ჩალა, წვნიანი საკვები - სილოსი, შეფუთული სენაჟი) და უხვი იყო ვიდრე პირად მეურნეობაში მყოფი პირუტყვისა (მათი რაციონი იყო ძირითადში უხეში საკვები). მოსახლეობას წვნიანი საკვების წარმოების მიზნით არასოდეს დაუთესია და კომბაინით არ აუღია სიმინდის სასილოსე მასა, არ მოუწევია სასილოსე ტრანშე და ტრაქტორით არ დაუტკეპნია სასილოსე მასა და ა.შ.

ერთი და ორი ძროხისათვის მოსახლეობა არ ამზადებს სილოსსა და შეფუთულ სენაჟს. ეს ღონისძიება მათ შესაძლებლობას აღემატება.

მიწების პრივატიზაციის შედეგად სოფლად ძლიერ ჭირს სილოსისა და შეფუთული სენაჟის საწარმოებლად მოსახლეობიდან მიწების იჯარით აღება. საკვები ბაზის გარეშე კი შეუძლებელია საქართველოს მეცხოველეობაში ინოვაციების გავრცელების სექტორული და რეგიონული პრობლემების მოგვარება.

საზოგადოებრივი მეურნეობების პრივატიზებულმა მსხვილფეხა რქოსანმა პირუტყვმა არ ვიცით რამდენად უზრუნველყო მეცხოველეობაში ინოვაციების გავრცელების დარგობრივი პრობლემები. ამ კუთხით კვლევა არ წარმოებულა. აარ ვიცით მეცხოველეობის პრივატიზაციამ რა ეკონომიკური ეფექტი მოიტანა. ეს ღონისძიება პრაქტიკულად თუ იყო გამართლებული? პრივატიზაციამ ვერც რეგიონალური პრობლემები მოაგვარა. კკოლექტიური მეურნეობების გაუქმების შედეგად ყოფილი კოლექტიური მეურნეობების დასახლებულ პუნქტებში შემცირდა და ზოგან შეწყდა (ანანურის ს/მეურნეობის ხორხის ხეობაში) ტრანსპორტის მოძრაობა

პრივატიზაციის განხორციელება იმდროინდელი რესუბლიკის ხელმძღვანელობას მიაჩნდა ქვეყანაში მსხვილი, თანამედროვე მეცნიერულ დონეზე აღჭურვილი კოლექტიური მეურნეობების დაშლა. დაშალეს და მიწასთან გაასწორეს ისეთი მსხვილი ინოვაციურ მეცნიერულ დონეზე აღჭურვილი მეურნეობები როგორიც იყო: ზემო მაჩხაანის,ზემო ქედის, ჯაფარიძის, გამარჯვების, სართიჭალის, შრომისა და ნატანების კოლექტიური მეურნეობები. დიღმის საცდელი სამეცნიერო კვლევითი მეურნეობა, კრწანისის ექსპერიმენტული მეურნეობა და სხვა. მათმა შეხედულებამ, რომ მოსახლეობის სარგებლობაში გადაცემული ირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა ამაღლდებოდა იმ ზომამდე და მეტად, რაც ეს იმდროინდელ ყველა კატეგორიის მეურნეობებში იყო - არ გამართლდა.

**მეცხვარეობა და მეთხეობა** საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. გარდა სხვა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობისა, მათი მეშვეობით ხდება მთაგორიანი, მიუვალი საძოვარ-საბალახოების ეფექტურად გამოყენება და ათვისება, რომელიც დიდი დაქანებული კლდოვანი რელიეფისა და უგზოობის გამო სხვა სახეობის შინაური სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის მიუწვდომელია.

საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობათა მიხედვით, 1979 წლის 1 იანვრისათვის ცხვრის და თხის სულადობა შეადგენდა 2029,9 ათასს, მათ შორის ცხვრისა 1867 ათასს და თხისა 136 ათასს შეადგენდა.

საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლამ, მიწების მასობრივმა პრივატიზაციამ, სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლამ, კასპიისპირეთში 200 ათასი ჰექტარი საზამთრო საძოვრების დაკარგვამ - გამოიწვია მეცხვარეობის დარგის დაქვეითება, ცხვრის სულადობა ქვეყანაში შემცირდა 2 მილიონი სულიდან მილიონ სულამდე. მატყლის წარმოება შემცირდა 5000 ტონიდან 2000 ათას ტონამდე, ცხვრის ხორცის წარმოება (საკლავი წონის) – 10 ათასი ტონიდან 5 ათას ტონამდე. შედარებით მეცხვარეობის დიდი მასშტაბის ფერმები ჰქონდათ ნინოწმინდაში, წითელწყაროს, სიღნაღის, დუშეთის, ახალგორის, ყაზბეგის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ცალკეული მეურნეობების ცხვრის ფერმებში კი 10000-დან 20000-მდე და მეტი სული ჰყავდათ. მაგალითად, 1992 წლის 1 იანვრისათვის წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობას 30803, არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას 20386 და ჯანდარის სასუქ მეურნეობას 42350 სული ცხვარი და თხა ჰყავდათ.

საქართველოში შირაქისა და ელდარის ზამთრის საძოვრებზე ირიცხება მილიონამდე სული ცხვარი მათ შორის ნახევარმილიონამდე ცხვრის სადედე სულადობა. შესაბამისად დიდია მოსაწველი ცხვრის რძის რაოდენობა - ცხვარზე 15-20 კილოგრამი სულ კი 7_10 ათასი ტონა რძე. მოყვანილი მნიშვნელოვანი ციფრები მიგვანიშნებს, რომ მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ცხვრის წველის ტექნოლოგიას ჩვენში, რომელიც დღეს ვარგისად არ ჩაითვლება.

ცხვრის არსებული ხელით წველის მთავარი ნაკლი ისაა, რომ იგი მეტისმეტად მძიმეა, მცირე წარმადობისაა, ცხვრის წველა 4-5 საათს გრძელდება, ამით ცხვარი საძოვარს სცდება და მუშახელის მწვავე დეფიციტს იწვევს. ამიტომ ცხვრის წველის მეტისმეტი სიძნელისა და შრომატევადობის გამო, მწყემსების უმრავლესობა ცხვარს ნაკლებად წველის. ამასთან დაკავშირებით მცირეა ყველის წარმოება. ქვეყანას აკლდება ძვირფასი სასურსათო პროდუქტი, რომელიც დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს არათუ ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ შორს, მის საზღვრებს გარეთაც. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უვარგისი წველის წესი მალზე ტანჯავს ცხვარს. დიდი შრომატევადობისა და მცირე წარმადობის გამო, მაღალია თვითღირებულება. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია ცხვრის წველის პროცესის მაქანიზაცია. შვეციაში, მაგალითად, ფირმა `ალფადავალი” გადასატან საწველ აპარატებს უშვებს. 1988 წელს დასახელებული ფირმისგან შესყიდული იქნა ათი საწველი აპარატი. ამ აპარატების მუშაობა დუშეთის პრაქტიკულ სემინარზე უჩვენეს. ყველა დამსწრემ ერთხმად აღიარა შვედური წარმოების

მანქანების ეფექტიანობა. რაც მთავარია, ეს მეთოდი ძალიან უადვილებს შრომას მწველავს, ერთ საათში მანქანით ორასამდე ცხვრის მოწველა შეიძლება, ხელით კი მხოლოდ ოცისა. ცხვრის წველა მიმდინარეობს 45 დღე. საწველი აპარატი კარგ დახმარებას გაუწევს ყველას - მოიჯარეებს, გლეხურ მეურნეობებს და ა.შ., რომლებიც ამ მანქანის გამოყენებით თავიდან აიცილებენ ცხვრის რძის დანაკარგებს და ცხვრის ყველის დეფიციტის პრობლემაც ნაწილობრივ გადაწყდებოდა.

მეცხვარეობის წარმოების ტექნოლოგიაში სასწრაფო ყურადღება უნდა დაეთმოს ცხვრის მოშენების საქმიანობის სრულყოფას. მით უმეტეს, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად შეიცვალა ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობა. ზუსტად არავინ იცის რამდენი სული წმინდა მატყლიანი, ნახევრად წმინდა მატყლიანი, უხეშ მატყლიანი, ნახევრად უხეშ მატყლიანი ცხვარია. საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ ქართველი მეცნიერების მიერ გამოყვანილი ქართული წმინდა მატყლიანი ცხიმკუდიანი და ნახევრად წმინდა მატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვრის სულადობა მხოლოდ უდაბნოს მეცხვარეობის სანაშენე მეურნეობაში 100 სულამდე დარჩა. სინანულით უნდა აღინიშნოს შეცდომა, რომელიც დაშვებულია თუშური ცხვრის მოშენების საქმეში. დაუდევრობის გამო ნაკლებად შემოგვრჩა ხალასად თუშური ცხვარი და, რაც უფრო სამწუხაროა, ეს გადაშენება, პირველ რიგში თუშური ცხვრის ალვანის მეცხვარეობის სანაშენე მეურნეობას შეეხო.

მეცხოველეობის დარგიდან მეცხვარეობა ყველაზე შრომატევადი დარგია, მას სჭირდება დიდძალი მუშახელი დოლში მცნობარების ჩათვლით, ცხვრის წველაში, ცხვრის ყველის კეთებაში. მაგალითად, დუშეთის რაიონის სოფ. მლეთის კოლმეურნეობას, რომელსაც ჰყავდა 20000 ათასამდე ცხვარი მათ ყაბარდოდან დაქირავებული მპარსავები ჰყავდათ, რომლებიც პარსავდნენ როგორც კოლმეურნეობის, ისე მოსახლეობის კერძო ცხვარს; ზამთრისთვის დიდძალი მუშახელია საჭირო ცხვრისათვის საკვებით უზრუნველყოფის, დამზადების, დაწნეხვისა და ზვინებად დადგმისათვის, ასევე ბევრი მუშახელია საჭირო ზამთრისათვის პირუტყვის სადგომი ბინების (ფარეხების) შეკეთებისა და წესრიგში მოყვანისათვის. დიდძალი მწყემსია საჭირო იალაღებზე ცხვარ-ბატკნის გადიდებული ოდენობით მოვლა-პატრონობისათვის. კოლექტიური მეურნეობების დაშლის შედეგად სოფლად აღნიშნული დიდძალი ხალხი დარჩა უმუშევარი.

**მეღორეობა.** ხორცის წარმოების გადიდების დაჩქარების პრობლემის გადაჭრის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეღორეობის ყოველმხრივ განვითარებას; რაციონალური მოშენების, ნორმალური კვებისა და მოვლა პატრონობის სწორი ორგანიზაციის პირობებში ყოველ ერთ ძირითად ნეზვზე წლის განმავლობაში შეიძლება ორჯერ დაგოჭიანებისას მიღებულ იქნას 16-20, ცალკეულ შემთხვევაში 24 გოჭი და მათი ეკონომიკურად ხელსაყრელ სარეალიზაციო წონის (75-85 კგ) მიღებამდე გამოზრდა ცოცხალი წონით 1,2-1,7 ტონამდე და უფრო მეტი ხორცის წარმოების რეალურ საშუალებას იძლევა.

მეღორეობა ეკონომიურია საკვების გამოყენებასა და ანაზღაურების მხრივაც. სწრაფი ზრდისა და საკვების საუკეთესო გამოყენების შედეგად ღორის ერთ კილოგრამ წონამატზე საშუალოდ 4-5 კილოგრამი საკვები ერთეული იხარჯება ე.ი. 2-ჯერ და მეტად ნაკლები, ვიდრე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის წონამატზე.

1989 წლის 1 იანვრისათვის წითელწყაროს (დედოფლისწყაროს) რაიონის სოფ. ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ჰყავდა 3512 ყველა სახის ღორი, ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსან კოლმეურნეობას შესაბამისად 3240 სული, დაბა წითელწყაროს (დედოფლისწყაროს) ლენინის სახელობის კოლმეურნეობას 2714, სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევის კოლმეურნეობას 2000 სული. რუსთავის მეღორეობის საჯიშე მეურნეობას ჰყავდა 3703 ყველა ასაკის ღორი, ძველი სენაკის მეღორეობის სანაშენე საბჭოთა მეურნეობას შესაბამისად 3028 სულ, ქვალონის 2438, ახალსოფლის 2337 სული და ა.შ.

მსხვილი კოლექტიური მეურნეობების მეღორეობის ფერმების დაშლამ და გაუქმებამ ვერ გამოიწვია მეღორეობის განვითარება მოსახლეობის ერთ-ორსულიან ფერმებში.

ღორის ხორცის წარმოების გადიდების თვალსაზრისით ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მნიშვნელოვანი რობლემაა მეღორეობაში ნეზვის გამოყენების ეფექტურობის ამაღლება. მეღორეობის სპეციალიზებული მეურნეობების მუშაობის შეფასებისას დამაკმაყოფილებლად ითვლება შემდეგი მაჩვენებლები; ერთ მოგებაზე მრავალნაყოფიერება 9,12 გოჭი; ასხლეტისას 60 დღის ასაკში ნეზვიდან 8-10 გოჭის მიღება, 1 გოჭის ცოცხალი მასა 16 კგ და მეტი. ნეზვის სქესობრივი ციკლი მისი ასეთი გამოყენების შემთხვევაში მოიცავს მაკეობის 114-115 დღეს, წოვების 60 დღეს და დაგრილების 10-12 დღეს. ამდენად, ხელსაყრელ პირობებში მოგების ერთი ციკლისათვის საჭიროა 184-187 დღე. მაშასადამე, ყველა ნეზვიდან მეურნეობაში საშუალოდ ორი მოგების მიღება მეტად ძნელია.

მეღორეობაში მოგების ინტერვალის შემცირების ერთ-ერთ რეზერვს წარმოადგენს წოვების პერიოდის შემცირება. მიუხედავად არაერთგზის ცდისა, შეემცირებინათ აღნიშნული ინტერვალი ნეზვის

წოვების პერიოდის შეხამებით მაკეობის პერიოდთან, საიმედო შედეგები ვერ მიიღეს. უფრო წარმატებითი აღმოჩნდა მოგებებს შორის ინტერვალის შემცირების მეთოდი გოჭების ადრე ასხლეტის გზით (ლაქტაციის პერიოდის შემცირება). დღეისათვის ძუძუთა გოჭის ხელოვნური გამოზრდა კვლევითი თვალსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს დამუშავებულად და პრაქტიკული გამოყენებისათვის დაყვანილად.

მაგალითად, ინგლისსა და აშშ-ში დამუშავებულია ორი-სამი დღის ასაკის გოჭის გამოზრდის მეთოდი ხელოვნური ნეზვის საშუალებით, გერმანიაში ფუნქციონირებს ოთხი დღის ასაკიდან გოჭის გამოსაზრდელი მსხვილი ფაბრიკა. ამასთან ერთად, კალენდარული წლის განმავლობაში ნეზვიდან საშუალოდ 25 გოჭს ღებულობენ. ადრეულად ნეზვის გარეშე გამოზრდით გოჭის სიკვდილიანობა არ აღემატება 5%. შვეციაში არის მეღორეობის მეურნეობები, სადაც ნეზვიდან გოჭის ასხლეტას აწარმოებენ 10 დღის ასაკში. მათი მუშაობის შედეგები სრულიად დამაკმაყოფილებელია.

გოჭის ადრე ასხლეტის ერთეული შემთხვევები დაკავშირებულია იმასთან, რომ დაბადებისთანავე გოჭის ხელოვნური გამოზრდა ძალიან გაძნელებულია. ხსენის მოქმედება გოჭის ორგანიზმზე მთლიანად ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი. რძის შემცვლელში გამაგლობილინის, ვიტამინის და მიკროელემენტების დამატება ძვირი და ნაკლებ ეფექტური საშუალებაა. ამიტომ ცდები, გამოზრდილ იქნეს გოჭი ნეზვის გარეშე, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს არ გასცდება ექსპერიმენტის ფარგლებს.

ამჟამად აშშ-ში, ევროპის ქვეყნებსა და რუსეთის ქალაქებში მოგებიდან 2-3 დღის ასაკში აქტიურად მიმდინარეობს ასხლეტილი გოჭის გამოზრდის მეთოდის დამუშავება, ე.ი. იმის შემდეგ, რაც მათ მიიღეს ხსენის მინიმალური აუცილებელი დოზა, უფრო წარმატებული აღმოჩნდა. ნნეზვიდან 7-10 დღის ასაკში ასხლეტილი გოჭის გამოზრდამ მთელ რიგ ქვეყნებში პრაქტიკული გამოყენება პოვა.

ერთდროულად ნეზვისაგან ადრე ასხლეტილი გოჭების გამოზრდის მეთოდების დამუშავებასთან ერთად მიმდინარეობდა გამოკვლევა მათ შემდგომ გამოყენებაზე გოჭების ადრე ასხლეტის შესაძლებელი არასასურველი შედეგების დასადგენად. ამასთან ერთად დადგენილია, რომ ადრე ასხლეტილი გოჭი გამოზრდისა და გასუქების დამთავრების შემდეგ ცოცხალი მასის მატების, საკვების ანაზღაურების და დაკვლის შედეგებით არ განსხვავდება იმ გოჭებისაგან, რომლებიც ნეზვიდან 2 თვის ასაკში იყვნენ ასხლეტილნი. არსებითი განსხვავება არ დადგენილა აგრეთვე ღორის აღწარმოების უნარიანობაში, მრავალ ნაყოფიერებასა და სხვა მაჩვენებლებში გოჭის 21-45 დღის ასაკში ასხლეტისას.

საქართველოში ყოველწლიურად 9 მილიონამდე ტურისტი შემოდის. ხორცის წარმოების გადიდების მიზნით აუცილებლად უნდა დაინერგოს რესპუბლიკის მეღორეობის ფერმებში გოჭის ადრეულ ასაკში ასხლეტა. ამჟამად, როგორც აშშ-ში, ევროპის ქვეყნებსა და რუსეთის ქალაქებში, აქტიურად მიმდინარეობს საჭმლის ნარჩენების გადამუშავება. მაგალითად, პეტერბურგის არაგეგმური საკვების დამზადების კანტორის მონაცემებით, პეტერბურგის საგარეუბნო მეურნეობების მიერ წელიწადში საშუალოდ იყენებენ 1800000 ტონა საჭმლის ნარჩენს, რაც დაახლოებით 360000 ტონა მარცვლის ან 60000 ტონა ღორის ხორცის ცოცხალი მასის ეკვივალენტურია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ახლახან მოაწერა ხელი ავსტრიულ კომანიასთან თბილისის ახალ ნაგავსაყრელზე ნარჩენების გადამუშავებისა და ენერგოგენერაციის საწარმოს მშენებლობის მიზნით. დადგენილია, რომ ახალი გადამამუშავებელი ქარხანა გადაამუშავებს ქალაქის მუნიციპალურ ნარჩენებს (რომელიც შეადგენს 1000 ტონას დღეში); მათგან 80% ორგანული ნარჩენია. საწარმო გამოიყენებს მექანიკურ-ბიოლოგიურ დამუშავებას და დღიურად 200 ტონა ნარჩენს გარდაქმნის მაღალხარისხიან დიზელის საწვავად (ევრო 5) და ასფალტად. წარმოებული საწვავის დაახლოებით 10% საწარმოს მიზნებისათვის გამოიყენება. ადგილზე მოხდება ლითონის, მინისა და პლასტიკური ბოთლების განცალკავება და მათი საერთაშორისო ბაზარზე გატანა.

ამჟამად აშშ-ში მარცვლეულის წარმოება 400 მლნ ტონამდე გაიზარდა, საიდანაც 126 მლნ ტონა სათბობის მწარმოებელ ქარხნებში იგზავნება. ეს მხოლოდ ამერიკული ფენომენი არ არის. ბრაზილია აქტიურად ახდენს შაქრის ლერწმის გადამუშავებას ეთანოლად, ევროკავშირი კი 2020 წლისათვის სატრანსპორტო ენერგიის 10%-ის მიღებას განახლებადი წყაროებიდან, ძირითადად ბიოსათბობიდან გეგმავს. აშშ-სა და სხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილების მსგავსად, მეღორეობაში საკვებწარმოების გაფართოების მიზნით უნდა მოეწყოს მსხვილი ქალაქების ნაგავსაყრელებთან საჭმლის ნარჩენების ნაწილის გადამამუშავებელი საამქროები. მათი მეშვეობით მოხდებოდა რესპუბლიკის მეღორეობის ფერმებისათვის დიდი რაოდენობით იაფი და ყუათიანი საკვების მიწოდება.

## დასკვნა

საქართველოს მეცხოველეობაში ინოვაციების გავრცელების სექტორული და რეგიონული პრობლემების განვითარების თანამედროვე ტენდენციებიდან უნდა გამოიყოს:

საქართველოს მდებარეობა, მისი რთული რელიეფი, კლიმატური და ნიადაგური მრავალ-ფეროვნება, მიწის ფონდების სტრუქტურა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არასრულყოფილი ტრანსფორმაცია, მოუფიქრებელი აგრარული რეფორმის გატარების პირობები, უფრო აქტუალური საკითხის დაუყოვნებლად გადაჭრის აუცილებლობის წინაშე გვაყენებს.

სასოფლო-სამეურნეო მსხვილი მეურნეობების პრივატიზაცია იმ მიზნით განხორციელდა, რომ ქვეყანაში (მოსახლეობაში) გაზრდილიყო პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა, მაგრამ მოხდა პირიქით, ქვეყანას ისეთი ზარალი მიადგა, რომელიც ძნელად თუ გამოსწორდება, მოიშალა სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურა ამან კი მოსახლეობის მიგრაცია გააძლიერა. ხევსურეთში მეურნეობრივი ტრადიციული ფორმების მოშლის შედეგად იძულებითმა მიგრაციამ კუთხე დაცარიელების ზღვარზე მიიყვანა. 1991 წლის პ ივლისის მდგომარეობით ხევსურეთის სათემო საბჭოში ცხოვრობდა 921 მოსახლე, აქედან ბარისახოს თემში - 448, გუდანში - 256 და შატილში – 222.

მთიან რეგიონებში ამ უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მიწების სოფლების მიხედვით ისტორიულ საზღვრებში განაწილება და ადგილობრივ მმართველობაზე გადაცემა.

სოფლად უნდა აღდგეს და განვითარდეს მსხვილი საკომლო ოჯახის-ჯალაბის ტრადიციული ინსტიტუტი. მის გარეშე შეუძლებელია სოფლად მსხვილი მეურნეობის არსებობა. მსხვილი ოჯახური საკომლო ჯალაბის ინსტიტუტი, ზოგადად, კავკასიური მოვლენაა. მაგალითად, ჩრდილო ოსეთში მზოკოვებს ძველიდანვე დიდი საოჯახო თემი ჰქონდათ რომელიც რევოლუციის წინ დაიშალა, ეს თემი შედგებოდა 48 კაცისაგან, მათ შორის იყო 17 მოზრდილი მამაკაცი, ოჯახი აწარმოებდა მსხვილ მეურნეობას. ჰყავდათ 1000 სული ცხვარი, 140 მეწველი თხა, 12 ხარი, 6 ცხენი და ა.შ. [4].

მთის რესურსების ათვისების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტრადიციული საკომლო ოჯახების აღდგენა და განვითარება. მაგალითად, მთიულეთში საკომლო მეურნეობის ის ფორმა, რომელსაც ოჯახი აწარმოებდა ერთდროულად სოფელშიც და სამეურნეო ბაზებზეც, ორხელაობის სახელითაა ცნობილი. იმისთვის, რომ ზუსტად გავერკვეთ მეურნეობრიობის ამ ფორმაში, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. მთიულეთის სოფელ წინამხარში მცხოვრებ იოსებ მელიქიშვილის ოჯახს 20-მდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 100 სული ცხვარი ჰყავდა. მამულები ჰქონდათ სოფელში და სოფლიდან დაახლოებით 3 კმ-ზე – ჯავიათში. ოჯახი ძირითადად ცხოვრობდა წინამხარში და ჯავიათშიც ჰქონდათ მეორე სახლი. თუ სოფელში მდებარე მამულებს ხნავდნენ, ჯავიათს ასვენებდნენ, ამიტომ ოჯახის წევრთა გარკვეული ნაწილი ჯავიათში საძოვარზე გადადიოდა და საქონელიც თან მიჰყავდა. სოფელში რჩებოდნენ ისინი, ვინც სამიწათმოქმედო სამუშაოებს ასრულებდნენ. ამით სოფელში მამულებს იცავდნენ, ხოლო ჯავიათი საძოვრების ფუქნციას ასრულებდა. მეორე წელს პირიქით ხდებოდა. ჯავიათს ხნავდნენ ხოლო სოფლეში მდებარე ნაკვეთს ასვენებდნენ. მის შესაბამისად პირუტყვი მისი მომსახურე პერსონალით სოფელში გადმოდიოდა, ხოლო ხვნა_თესვაზე გაპიროვნებული წევრები ჯავიათში ინაცვლებდნენ.

ხევსურებს იმდენად ახლოს ჰქონდათ მთები, რომ შესაძლებელი ხდებოდა აქედან სოფელში ყოველდღიურად ჩამოსულიყვნენ. :-ქალი, რომელიც მორიგედ იყო გამოყოფილი, დილით ავიდოდა ძროხებთან, გამოწველიდა, რძეს გადაამუშავებდა, დამზადებულ პროდუქტებს წამოიღებდა და სოფელში ბრუნდებოდა. აქ საოჯახო საქმეს მიხედავდა, საღამოთი კვლავ მთაზე ავიდოდა საქონლის მოსაწველად და დასაბინავებლად. ქალებს მთაზე წასვლის რიგი ჰქონდათ დაწესებული. ერთ დღეს რომ ერთი წავიდოდა, მეორე დღეს მეორე შეენაცვლებოდა ცხადია,ჭეს ოჯახის შემადგენლობაზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, მთიულეთის სოფელ გვიდაქის მკვიდრის მიხა ბუჩუკურის გადმოცემით, თიბვის დროს მთაში კომლიდან 19 მთიბავი გადიოდა.

ორხელაობა მნიშვნელოვნად აფართოვებდა ოჯახის მეურნეობას, ოჯახურ ურთიერთკავშირში ანვითარებდა მთის მიწათმოქმედებასა და ალპური მეცხოველეობის ინტენსიური ფორმების შეთანაწყობას. მან განაპირობა დიდი ოჯახის, კომლის ხანგრძლივი შემონახულობა და ფუნქციონირება სასოფლო თემის ტრადიციების არსებობის პირობებში. ორხელაობის წარმოება შეეძლო მხოლოდ მრავალრიცხოვან ოჯახებს. ის ხელს უწყობდა დიდი ოჯახების სიმტკიცეს, მის ერთიანობას, ხოლო როდესაც გაყრის საკითხი დადგებოდა, ამასაც სავსებით მომზადებული ხვდებოდა. პატარა ოჯახები ზრდასა და ეკონომიკურ მომძლავრებასთან ერთად სწრაფად გადადიოდნენ მეურნეობის ამ ფორმაზე.

სპეციალისტები ორხელაობას ალპური მეურნეობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ, მეორე მხრივ იგი მჭირდოდ არის დაკავშირებული სამომთაბარო მეცხოველეობასთან.

ყველაზე დიდი პრობლემა მთაში არის პირუტყვისათვის საკვების დამზადება, ვინაიდან არ არის სათიბებში მისასვლელი გზები. ამის გამო ზაფხულის საძოვრების მთელი რიგი მნიშვნელოვანი მასივები აუთვისებელია. ასეთი სათიბ-საძოვრები ბევრია მთიულეთ-გუდამაყარში, ფშავ-ხევსურეთსა და სვანეთში. როგორც ჩვენი გამოცდილებიდან ვიცით, 1 ძროხას 5700 კგ თივა სჭირდება საკვებად ერთ წელიწადში (ე.ი. 285 ცალი დაწნეხილი თივა). მთაში როცა თიბავენ, საზაგირო გზების უქონლობის გამო თივას ადგილზე, იქვე ზვინავენ. ზამთრის პერიოდში თივა გაყინულ თოვლზე მთიდან ჩამოაქვთ დაცურებით, რაც მეტად შრომატევადი სამუშაოა.

მთის მცხოვრებლები აღჭურვილნი არ არიან მცირე მექანიზაციის საშუალებით. ტექნიკის გარეშე დარჩენილია მოსახლეობის დიდი ნაწილი. ისინი მათზე გაპიროვნებულ მცირე ნაკვეთებსაც ველარ ამუშავებენ.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია მექანიზაციის საწარმოო გაერთიანებების შექმნა. მცირე საწარმოების, კოოპერატივების ან ადრე არსებული მანქანა-ტრატორთა სადგურების აღდგენა გლეხურ მეურნეობებს უზრუნველყოფდა (ფასით) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებას. ასევე აუცილებელია სოფლად ცოცხალი გამწევი ძალის, ხარების სულადობის მკვეთრი ზრდა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. აბესაზე რ. ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თსუ ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2016.
2. ამერიკის ეკონომიკა ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა. ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, 2010.
3. დათუნაშვილი ლ. სასოფლო-სამეურნეო ინოვაციური პოლიტიკა ევროინტეგრაციის პირობებში, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბ., 2016.
4. ლოლაშვილი ი. დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, გამომცემლობა "მეცნიერება" თბ., 1971. გვ. 61.
5. რუხაძე ს. აშშ-ის სახელმწიფო რეგულირების საკითხები. თბ., 1994.
6. ქავთარაძე თ. ინოვაციები აშშ-ის დახურული გრუნტის მებოსტნეობაში და მათი გამოცდილების გამოყენების მიზანშეწონილობა საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბ., 2016.
7. ლაზარაშვილი თ. გერმანიის ინოვაციური პოლიტიკა. თსუ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. ჯხ, თბ., 2016.
8. OECD Economic Outlook. June #81.
9. First Action plan for Innovation in Europe. EC, 1996. (http://cordis.europa.eu/documents).
10. Presidance Conclusions. European Council, Lisnob 23-24 March, 2000. http://europarl.europa.eu/summit/lis1 en.htm.
11. Lisbon Strategy for Growth & Jobs: Commision`s Annual progress Report – frequently asked questions; www.europa.eu.


***Tengiz Kavtaradze***

**SPREADING OF INNOVATIONS IN GEROGIAN LIVESTOCK SECTORAL AND REGIONAL PROBLEMS**

**Summary**


The article is dedicated to most importment Agricultural field – raising of livestock actual economic problems in Georgia. Education-analysing on scientificly bases actually are assessed livestock and its food base in modern conditions, are revealed all around raising of livestock processing effciciency, futher enlargement food base procecing and cheapen reserves.

In this arcile are given Georgian republic livestock lag objective and subjective reasons, their overcome economic and management events and carring concrete ways.

*გიორგი ხარშილაძე*

## საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის ზოგიერთი ასპექტები და მოდელები გარდამავალ პერიოდში

***ანოტაცია.*** *წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია დარგობრივ ჭრილში. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის განხორციელება მცირე ბიზნესის პაქტის გათვალისწინებით.*

***საკვანძო სიტყვები:*** *საქართველოს ეკონომიკა, სტრუქტურული ცვლილებები, გარდამავალი პერიოდი, სექტორული ეკონომიკა, ტრანსფორმაციის მოდელები*

### შესავალი

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით [World Bank 2013 pp.2], დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საქართველოს ეკონომიკა 4 ფაზით უნდა დავახასიათოთ: კოლაფსი, სტაბილიზაცია, დაჩქარება, კრიზისი და გაჯანსაღება. თითოეული ფაზა თავისი მახასიათებლებით გამოირჩევა. თითოეული მათგანი განსაზღვრავს ქვეყნის სპეციფიკას, რადგან მოცემულ პერიოდში ქვეყნის სათავეში მყოფი ხელისუფლება განსაზღვრავდა და ახორციელებდა იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისაკენ. .

საკმარისი დრო გავიდა საიმისოდ, რომ შეფასდეს ტრანსფორმაციის პროცესი, მისი დინამიკა და მახასიათებლები იმის გათვალისწინებით, რა ამოცანები იყო დასახული და რა შედეგები მივიღეთ. საწყის ეტაპზე პოსტსოციალისტური ქვეყნების მოდერნიზაცია, ანუ ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლა, გაიგივებული იყო დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობასთან. თავის მხრივ, ეს, ძირითადად, დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას გულისხმობდა. ამ ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური კომპონენტების გარდა, ტრანზიციას სხვადასხვა, მათ შორის, სოციალური, კულტურული, მენტალური, ღირებულებითი და ა.შ. განზომილებებიც გააჩნდა, რომელთა ერთობლიობამ დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში მოდერნიზაციის განსხვავებული კურსი ჩამოაყალიბა.

ამ თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოიყოს ქვეყანათა ჯგუფებიც, რომლებიც პროგრესის მსგავსი დინამიკით და ტრანსფორმაციის მსგავსი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ნიშნებით ხასიათდება. პირობითად სამი ამგვარი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება. პირველ ჯგუფს წარმოადგენს "ახალი ევროპის" ის ქვეყნები, რომელთა ტრანზიციის მიმართულება დიდწილად განსაზღვრა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებამ. მეორე ჯგუფში ის ქვეყნები შედიან, სადაც ეკონომიკის ზრდის ფონზე მოდერნიზაციის პროცესი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანას დაშორდა და პოლიტიკურმა სისტემამ ავტორიტარული ხასიათი შეიძინა. ხოლო მესამე ჯგუფში ის ქვეყნები შეიძლება მოვიაზროთ, სადაც დასავლური ვექტორი გამოკვეთილია, როგორც განვითარების ორიენტირი, თუმცა ეკონომიკურ განვითარების კურსის მდგრადობა და სტაბილური დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება ტრანზიციის მიმდინარე ეტაპის ამოცანად რჩება.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია ეკონომიკის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან. ეს უკანასკნელი წარმოადგენს პროცესს, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობის გადანაწილებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის, რომელსაც უნდა მოჰყვეს ეკონომიკის მოდერნიზაცია, დასაქმების და შრომის ნაყოფიერების ზრდა.

ეკონომიკური ცვლილელების ძირითად მამოძრავებელ ძალად ძლიერი კერძო სექტორი უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, მიიჩნევა, რომ ეკონომიკური პროცესების დაჩქარება მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკითაც შეიძლება, რომელიც ცდილობს მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს მოარგოს ისეთი ტიპის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც დაეხმარება დარგებს კონკურენტ-უნარიანობის ამაღლებაში.

### ეკონომიკური ტრანსფორმაციის თეორული საფუძვლები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს, ისევე როგორც ყოფილი სოციალისტური რეჟიმის ქვეყნებს, მიეცა შესაძლებლობა, არაეფექტიანი, გეგმიური ეკონომიკიდან გადასულიყო საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე. დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, ეკონომიკურ განვითარებაში

საკმაოდ რთული პროცესები განვითარდა. გარდაქმნის პროცესი ვერანაირ კრიტიკას უძლებდა, ვერ უზრუნველყოფდა მნიშვნელოვან პროგრესს ეროვნული მეურნეობის სტაბილური განვითარების თვალსაზრისით.

თითქმის ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური გარდაქმნების სტრატეგიული გზა ეფუძნებოდა ევოლუციური გარდაქმნების მოლოდინს, საბაზრო პრინციპების კანონებთან თანდათანობით ადაპტირებას, რასაც ნაკლები რყევები უნდა მოჰყოლოდა [**"ლიბერალური აკადემია, თბილისი". 2011, გვ. 9**]. თუმცა, სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, ეკონომიკა საბაზრო შოკში აღმოჩნდა და რადიკალური ცვლილებების გატარება მოითხოვა.

სტრატეგიული პროგრამების განხორციელებას უმეტესწილად თანმდევი ეფექტი გააჩნია, რომელიც თავს იჩენს განვითარების თითქმის ყველა სტადიაზე. შესაბამისად, აღნიშნული პროცესი გარკვეულ ტრანსაქციულ ხარჯებს მოითხოვს. დამოუკიდევლობის მოპოვების საწყის ეტაპზე, ყველა სამეცნიერო ცოდნა ვეღარ განსაზღვრავდა მოსალოდნელ ცვლილებებს. შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების მოულოდნელობით აღსავსე სცენარები გარკვეული ტიპის გამოცდას უწყობდა ხელისუფლებას.

ტრანსფორმაციული ეკონომიკის მკვლევარები განსხვავებულად აფასებენ ამგვარ მოვლენებს. ძირითადი აქცენტი, მათი აზრით, გადატანილი ისეთ მახასიათებლებზე, როგორიც არის ქვეყნების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული თავისებურებები. აქცენტირებული ყურადღება არის განსხვავებული სტრატეგიების დანერგვაზე. ამავდროულად, მთავარი აქცენტი არის საერთო პოსტულატებზეა გამახვილებული, რომელიც გაერთიანებულია ე.წ. "ვაშინგტონის კონსენსუსში", რომელიც თავდაპირველად ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის შეიქმნა XX საუკუნის 80-იან წლების ბოლოს.

ეკონომიკური გარდაქმნების საწყის პერიოდში არსებობდა ეკონომიკური ტრანსფორმაციის ორი გზა: ევოლუციური და ე.წ. "შოკური." ეს ორი გზა ძირითადად ემყარებოდა ევოლუციური და რევოლუციური გარდაქმნების შესაძლებლობებს. ორივე მიმართულებას ჰქონდა არგუმენტები. "შოკურ თერაპიას" ძირითადად მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ფასების ლიბერალიზაციისათვის მიიჩნევდნენ მიზანშეწონილად, ხოლო სხვა სფეროებში, მაგალითად, ვაჭრობის, მეწარმეობის და სოციალურ სფეროებში რეფორმებს უფრო ხანგრძლივი პერიოდით განსაზღვრავდნენ [**Fischer, Stanley, Sahay, Ratna and Vegh, Carlos (1996), pp 1-2)** საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად ემხრობოდა საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით, "გრადუალურ" გადასვლას. თუმცა, გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკა 90-იანი წლების დასაწყისში, პრაქტიკულად, შოკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ამან მოითხოვა რადიკალური ცვლილებების გატარება.

ნეოკლასიკურ პრინცპებზე დაფუძნებული "შოკური" მიდგომა მოითხოვდა ტრანსფორმაციის განხორციელებას ეკონომიკის ლიბერალიზაციის, სტაბილიზაციის და სტრუქტურული ტრანსფორმაციის გზით. ევოლუციური მიდგომა კი ძირითადად ეყრდნობოდა ინსტიტუციონალიზაციის და პოსტკეინსურ მიდგომებს და ძირითადად ექვემდებარებოდა საბაზრო პრინციპების დანერგვას ქვეყნისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით, რაც ფაქტობრივად ნიშნავს ეკონომიკის თანდათანობით ტრანსფორმაციას.

რა თქმა უნდა, არც ერთი ეს მიდგომა დაზღვეული არ იყო რისკებისგან. საქართველოს ეკონომიკა ძირითადად ემყარებოდა ამ ორივე მიმართულების ერთობლიობას. ძირითადი ეკონომიკური რეფორმები მიმართული იყო ლიბერალიზაციის, სტაბილიზაციის და სტრუქტურული ტრანსფორმაციის მიმართულებით. ეკონომიკური ლიბერალიზაცია თავის თავში მოიაზრებს ფასების ლიბერალიზაციას, პრივატიზაციას და თავისუფალ საგარეო ვაჭრობას.

## საქართველოს სტრუქტურული ტრანსფორმაციის მოდელები

საქართველომ, პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რამდენიმე განსხვავებული პროგრამა შეიმუშავა. ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ აუცილებელი იყო სხვადასხვა დარგების გამოვლენა, რომლის დროსაც მოხდებოდა მათი სტრუქტურული მოდერნიზაცია. კერძოდ, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია მსხვილმასშტაბიანი მიწის რეფორმით; მომსახურების სექტორის სტიმულირება, განსაკუთრებით ტურიზმის მხარდაჭერით და მრეწველობის განვითარებით. ამგვარად ამ ნაწილში შევისწავლით სტრუქტურული ცვლილებების სხვადასხვა ასპექტებს საქართველოში და გავაანალიზებთ სხვადასხვა პერიოდში მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას და მის შედეგებს.

სტრუქტურულ ტრანსფორმაციას სხვადასხვა ქვეტექსტი გააჩნია, რომელიც დაფუძნებულია განვითარების დაკვირვებად მოდელზე. ერთ-ერთი ასეთი განსაზღვრების თანახმად სტრუქტურული ტრანსფორმაცია გულისხმობს სამუშაო ძალის გადაადგილებას პირველადი სექტორიდან, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების მოპოვება სამრეწველო სექტორში [**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი CSRDG: 2018 წ. გვ. 18**].

ქვეყნები, რომელთა მიზანია მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ისეთი გამოწვევის წინაშე დგანან, როგორიცაა ფუნდამენტური ცვლილებები, რაც გულისხმობს უნარების, კვალიფიკაციისა და ფართო ინსტიტუციური კომპეტენციების აკუმულირებას, ასევე სტრუქტურული ცვლილებები. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ განვითარებად ქვეყნებში სწრაფი ეკონომიკური ზრდა მხოლოდ ფუნდამენტური ფაქტორების ჯამური აკუმულირებით არ მიიღწევა, არამედ მას ზურგს უნდა უმაგრებდეს სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესი.

მოყოლებული 1990 წლიდან, ეკონომიკურმა ცვლილებებმა და შესაბამისად ახალ მოცემულობაში გადასვლამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში. შესაბამისად, საწყის პერიოდში ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას დეინდუსტრიალიზაცია წარმოადგენდა. ეკონომიკური ლიბერალიზაციის პროცესში, რომელიც მოთხოვნის სტრუქტურისა და ფასების ცვლილებასთან იყო დაკავშირებული, გამოიწვია ერთობლივი მიწოდების მდგომარეობის გაუარესება. წარმოების ხარჯების ზრდამ და ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირებამ როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა მკვეთრად შეამცირა. არა მხოლოდ მრეწველობის დამატებული ღირებულების წილი შემცირდა მშპ-ში, არამედ სამრეწველო წარმოების სტრუქტურა გაუარესდა, რადგანაც თითქმის შეწყდა მანქანების, მოწყო-ბილობების, ხელსაწყოების, ელექტრომანქანების, სატრანსპორტო საშუალებების, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, შედეგად, საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურამ სერიოზული ცვლილებები განიცადა აგრარული სექტორის წილის მნიშვნელოვანი ზრდით. სამრეწველო წარმოების დონის დაცემამ და ამის შედეგად მთლიან შიდა პროდუქტში მრეწველობის ხვედრითი წილის შემცირებამ გამოიწვია ქვეყნის დეინდუსტრიალიზაცია.

ყოველივე ამას დაემატა პოლიტიკური დაპირისპირებები და ეთნოპოლიტიკური ომები. შედეგად მივიღეთ ის, რომ 1995 წლისთვის წარმოების დონე 1990 წელთან შედარებით 78%-ით შემცირდა [**"ლიბერალური აკადემია," თბილისი. 2011, გვ. 9**]. ეკონომიკური დაცემის ასეთი მკვეთრი ტემპი დაახლოებით 5 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში წარმოების დაცემის პერიოდი საშუალოდ 4 წელი იყო, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მან 7 წელი შეადგინა. როგორც ჩანს, საქართველოში დაცემის პერიოდი იყო შედარებით ხანმოკლე, მაგრამ ყველაზე ღრმა. ამასთან, ეკონომიკამ დიდწილად ჩრდილოვან სექტორში გადაინაცვლა.

1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკა გარკვეულწილად "გამოცოცხლების" რეჟიმში გადადის, რაც განპირობებული იყო ინსტიტუციური ცვლილებების (პრივატიზაცია, ვაჭრობის ლიბერალიზაცია). შედეგად, ეკონომიკურმა ზრდამ პიკს 1997 წლისთვის მიაღწია (10.7%).

**პრივატიზაცია.** საქართველოში 1992 წელს დაწყებული პრივატიზების პროცესი, სხვა მიზნებთან ერთად, მიმართული იყო იმისკენ, რომ სახელმწიფოსაგან გათავისუფლებულიყო ის საწარმოები, რომელთა ეფექტურად მართვაც მას არ შეეძლო. შესაბამისად, მათი შემდგომი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი იყო დამატებითი კაპიტალდაბანდებები, რომელიც სახელმწიფოს არ გააჩნდა და არც სესხის სახით შეიძლება ყოფილიყო აღებული.

საწყის ეტაპზე პრივატიზებას დაექვემდებარა მცირე და საშუალო საწარმოები. კანონმდებლობით განისაზღვრა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები, ხოლო ე.წ. არასტრატეგიული დანიშნულების ობიექტები დაექვემდებარა განსახელმწიფოებრიობას, რაც მიზნად ისახავდა კონკურენტული ბაზრის შექმნას. მრავალი საწარმო იძულებული იყო, შეეჩერებინა საქმიანობა ხოლო ვადაგადაცილებული დავალიანების მქონე საწარმოების რიცხვი მკვეთრად მატულობდა რამდენიმე მიზეზის გამო: მათ პროდუქციას არ ჰქონდა ბაზარი, საწარმოს ასამუშავებლად არ არსებობდა საკმარისი კაპიტალდაბანდება, ხელმძღვანელობას არ გააჩნდა საბაზრო ეკონომიკის საკმარისი გამოცდილება, საბანკო სისტემა ვერ პასუხობდა ბიზნესის მოთხოვნებს, მათი საპროცენტო განაკვეთები ხელმიუწვდომელი იყო ბიზნესისათვის და სხვ. 1999 წელს 16 ათასზე მეტი საწარმოს დავალიანებამ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე 338.4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც იმ პერიოდში სახელმწიფო შემოსავლების ნახევარზე მეტს შეადგენდა [**პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევები. 1998: გვ. 24.**]. 1998 წელს მიღებული იქნა კანონი "საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ", რომელმაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი დავალიანებების გადავადებას და ამით, ფაქტობრივად, მოახდინა ზომბი (მკვდარი) ეკონომიკის ფორმირება.

შემდგომ ეტაპზე, 1997 წლიდან, მასობრივ პრივატიზებაში ჩაერთო მთელი მოსახლეობა და დაიწყო მსხვილი საწარმოების პრივატიზება სააქციო საზოგადოებებად მათი გარდაქმნით, თუმცა ეს საწყის ეტაპზე ძირითადად განხორციელდა პოლიტიკური მიზნებით (უმეტესად, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების, USAID და სხვა დონორი ორგანიზაციების კონსულტაციებით) და მისი მიზანი, მოზიდული ყოფილიყო უცხოური ინვესტიციები, ნაკლებად შედეგიანი იყო. ამასთან, როდესაც საკონტროლო პაკეტები იყიდებოდა, ბიუჯეტში შესული თანხები კი არ ხმარდებოდა კომპანიების რეინვესტირებას, შესაბამისად, ეს საწარმოები რთული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ამასთან, ასეთი სახის კომპანიების მართვის გაუმჭვირვალობის და კადრების ნაკლებობის გამო ვერ ხერხდებოდა შიდა ინვესტორების დაინტერესება, შესაბამისად, გაძნელდა საფონდო ბირჟის ფორმირებაც. აუცილებელი ხდებოდა ასეთი კომპანიების მართვის სტრუქტურის შეცვლა, რასაც, წესით, მნიშვნელოვნად უნდა აემაღლებინა საწარმოების კაპიტალიზაციის დონე, აქციების ლიკვიდურობა და აქციონერთა უფლებების დაცვა.

**ვაჭრობის ლიბერალიზაცია.** საქართველოში ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ინსტიტუციური პირობის შექმნა მოხდა 2000 წელს საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (WTO) გაწევრიანებით. WTO-ში გაწევრიანების პროცესში გატარდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, რათა მომხდარიყო საქართველოს კანონმდებლობის მაქსიმალური ჰარმონიზაცია WTO-ს მოთხოვნებთან. გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება (შენარჩუნდა მხოლოდ მეტად შეზღუდული ნომენკლატურის სპეციფიკურ საქონელზე ექსპორტის ან იმპორტის აკრძალვა). იგივე შეეხო ლიცენზირებას, გაუქმდა საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა, შემცირდა აქციზური საქონლის ჩამონათვალი და სააქციზო განაკვეთები, იმპორტზე ტარიფის განაკვეთები დაწესდა საბაჟო ღირებულების 12ან 5%-ის ოდენობით. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით საქართველოში გაუქმდა საბაჟო გადასახადი ექსპორტზე, დაწესდა შეღავათები საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე.

**ინვესტიციები**. ძირითადი ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოს ეკონომიკის ზრდას, იყო ინვესტიციების დაბალი დონე და არასახარბიელო საინვესტიციო გარემო, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო კორუფციის მაღალი დონით, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებით გამოწვეული არასტაბილური გარემოთი, ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობით და სხვ.

1990-იან წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმნიშვნელო იყო იქამდე, ვიდრე დიდი საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების განხორციელება არ დაიწყო 1997 წლიდან. 1997-98 წლებში ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა შეადგინა მშპ-ს 6.9-7.3%, მაგრამ შემდგომ ინვესტიციების წილი მკვეთრად დაეცა - 2 პროცენტამდე. ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2003 წელს გაიზარდა და მან 8.4% შეადგინა [**http://databank.worldbank.org**], რაც განპირობებული იყო ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობით.

თუ კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის მილსადენების მშენებლობას არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა სერიოზული უცხოური ინვესტიციები საქართველოში არ დაბანდებულა. მათი დაბანდება გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან ყველა მნიშვნელოვან შემოსავალს კლანური ჯგუფები აკონტროლებდნენ, ხოლო, თუ ვინმე მოიწადინებდა თავისუფალი საბაზრო კანონებით საქმიანობას, ისინი აღმოჩნდებოდნენ კრიმინალების ზეწოლის ქვეშ. ამდენად, საინვესტიციო გარემო საქართველოში მეტად მძიმე იყო. ამ ვითარების დაძლევა მხოლოდ ჩრდილოვან ეკონომიკასა და კორუფციასთან ბრძოლით იყო შესაძლებელი. ადამიანების მოტაცება, ბიზნესმენების დატერორება, საგადასახადო და მაკონტროლებელი ინსტიტუტების ზეწოლა და ბიზნესის დაკნინებულ მდგომარეობაში ყოფნა იყო საინვესტიციო განვითარების ხელის შემშლელი პირობა.

მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, ეკონომიკა ნელი ტემპებით ვითარდებოდა, საწარმოები განიცდიდნენ ფუქნციონირებისათვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობას. კერძოდ, მესაკუთრეებს არ ჰქონდათ საკმარისი გამოცდილება დამოუკიდებელი საწარმოს ფუნქციონირებისათვის. საწარმოთა უმრავლესობა დაბალი ხარისხის პროდუქციისა და მაღალი ხარჯების გამო იყო არკონკურენტუნარიანი როგორც შიდა, ასევე საგარეო ბაზრებზე, რაც აბრკოლებდა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას და აუარესებდა სავაჭრო დეფიციტს.

2003 წელს მოსული ხელისუფლება რამდენიმე გამოწვევის წინაშე დადგა. ქვეყნის წინაშე დაგროვდა მრავალი მწვავე სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემა. ამ პრობლემებს შორის უნდა გამოიყოს შემდეგი: **ენერგეტიკული კრიზისი** – გასაკუთრებით ზამთარში, გათბობისა და ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, ხალხი ფიზიკური გადარჩენის საფრთხის წინაშე იდგა; **საბიუჯეტო კრიზისი** – ხელისუფლებას დაგროვილი ჰქონდა უზარმაზარი დავალიანება პენსიებისა და საჯარო სექტორში გაუცემელი ხელფასების სახით, რაც განპირობებული იყო კორუფციით და ხელისუფლების უუნარობით, დაემყარებინა ფისკალური დისციპლინა; **უმუშევრობის მაღალი დონე და სიღარიბე.**

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად ახალი მთავრობა ატარებს ბაზარზე ორიენტირებულ რეფორმებს ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციის, ინსტიტუციური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების მიზნით. მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში აქცენტი კეთდებოდა ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და ნაკლები ყურადღება ექცეოდა ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას, კერძოდ ტექნოლოგიების განახლებას, შრომის მწარმოებლურობის ზრდას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. თუმცა ამავე პერიოდში მთავრობის პროგრამებში ფრაგმენტულად დეკლარირებულია სოფლის მეურნეობის რეფორმირება მათი მწარმოებლურობის ზრდის მიზნით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა თავისუფალი ეკონომიკური ზონების, კერძოდ, ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნით, ბიზნესის წარმოებისათვის გარემოს გაუმჯობესება და შესაფერისი პირობების უზრუნველყოფა ექსპორტის სტიმულირება ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის გატარებით.

ახლა კი განვიხილოთ, თუ როგორ აისახა მოცემულ პერიოდში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა სტრუქტურულ ცვლილებებზე. 2004 წლიდან მშპ-ის საშუალო წლიურმა ზრდამ საქართველოში 8,3 პროცენტი შეადგინა, რაც საერთაშორისო სტანდარტებით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამ ერთობლივი მაჩვენებლის ფონზე საინტერესოა როგორ არის ასახული სტრუქტურული ცვლილებები. 2003-2012 წლებში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წილები შემცირდა. თუმცა, როგორ ცხრილი 1-დან ჩანს, მრეწველობის წილი გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ იზრდება. რაც შეეხება მშენებლობასა და ვაჭრობას, მათი წილი მშპ-ში ოდნავ იზრდება. მშპ-ის სტრუქტურაში მომსახურება წარმოადგენს ეკონომიკის მსხვილ სექტორს. 2012 წელს მისი წილი მშპ-ში იყო 47%. მისი ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო მომსახურების სექტორში მსხვილი კაპიტალის შემოდინებით. (იხ. ცხრილი 1)

თუ სტრუქტურულ ცვლილებებს 2003-2012 წლებში უფრო დეტალურად განვიხილავთ, დავინახავთ ძალზე დინამიკურ სექტორებს როგორც მომსახურების სფეროში (საფინანსო საქმიანობის საშუალო წლიურმა ზრდამ შეადგინა 14,7%, ვაჭრობის – 10%, კავშირგაბმულობის – 8,7%, სასტუმროებისა და რესტორნების – 8%, ტრანსპორტი – 6,4%), ისე მრეწველობაში (სამთომომპოვებელი მრეწველობა – 16,3%, დამამუშავებელი მრეწველობა – 10,5%, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება – 6%), მშნებლობაში – 14% (იხ. ცხრილი 1)

თუ სტრუქტურულ ცვლილებებს მშპ-ის დინამიკაში სექტორების წვლილით შევაფასებთ, მშპ-ის ზრდაზე ყველაზე მეტად ზეგავლენას ახდენდნენ შემდეგი სექტორები: მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2004-2007 წლებში მომსახურების წვლილი მშპ-ს 9,27%-იან ზრდაში იყო 6,13% საიდანაც ვაჭრობა, სასტუმროებსა და რესტორნებზე მოდიოდა 2,1%, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე 1,7%. ფინანსური კრიზისის შემდგომ წლებში ეკონომიკის გაჯანსაღებაში მნიშვნელოვანია მომსახურებისა და მრეწველობის წვლილი. კერძოდ, 2010-2012 წლებში მშპ-ის 6,5%- იან ზრდაში მომსახურებაზე მოდიოდა 4,5%, ხოლო მრეწველობაზე 1,41%. მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის წვლილი ეკონომიკის გაჯანსაღებაში იყო უმნიშვნელო (იხ. ცხრილი 2).

**ცხრილი 1. ეკონომიკის სექტორების წილი მშპ-ში 2003-2012 წლებში [საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი CSRDG: 2018 წ. გვ. 23]**

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა | 20.6 | 17.9 | 16.7 | 12.8 | 10.5 | 9.4 | 9.4 | 8.4 | 8.8 | 8.6 |
| მრეწველობა | 18.8 | 17.6 | 17.7 | 17 | 16.2 | 15.5 | 15.4 | 16.1 | 17.1 | 16.7 |
| მშენებლობა | 6.8 | 8.8 | 9.1 | 7.9 | 7.7 | 6.4 | 6.5 | 6.1 | 6.7 | 7.8 |
| ვაჭრობა | 14.1 | 13.9 | 13.5 | 15.6 | 14.6 | 16.2 | 15.1 | 16.8 | 16.9 | 16.7 |
| მომსახურება | 37.4 | 39.4 | 40.5 | 43.8 | 47.9 | 49.3 | 51.1 | 49.2 | 46.7 | 46.5 |
| სასტუმროები და რესტორნები | 3.0 | 3.0 | 3.2 | 2.6 | 8.3 | 2.4 | 2.2 | 2.3 | 2.2 | 2.3 |
| ტრანსპორტი | 10.9 | 10.4 | 9.5 | 9.2 | 3.6 | 7 | 7.3 | 7.9 | 7.5 | 7.6 |
| კავშირგაბმულობა | 3.8 | 4.2 | 4.6 | 4.1 | 2.5 | 3.9 | 3.9 | 3.7 | 3 | 3.1 |
| საფინანსო საქმიანობა | 1.6 | 1.4 | 2.3 | 2.4 | 3.9 | 2.7 | 2.9 | 2.6 | 2.6 | 2.8 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევა | 2.6 | 2.9 | 3 | 38 | 2.5 | 4 | 4 | 4.9 | 5.4 | 5.5 |
| საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა | 3.8 | 3.4 | 3.1 | 2.8 | 14.6 | 2.8 | 3.4 | 3.3 | 3.2 | 3.2 |
| სახელმწიფო მმართველობა | 3.8 | 6.4 | 7.3 | 9.7 | 3.7 | 17.3 | 15.8 | 13 | 11.6 | 11.2 |
| განათლება | 3.5 | 3.8 | 3.7 | 4.2 | 4.6 | 4.1 | 4.9 | 4.9 | 5 | 4.9 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება | 4.3 | 3.8 | 3.9 | 5 | 4.2 | 5.1 | 6.6 | 6.7 | 6.1 | 6.1 |
| სხვა მომსახურება | 2.3 | 2.4 | 2.5 | 2.9 | 3.2 | 3.3 | 2.6 | 3.4 | 0 | 0 |
| მშპ საბაზისო ფასებში | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |

**ცხრილი 2 .ეკონომიკის სექტორების ზრდის ტემპი 2004-2012 წლებში [საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი CSRDG: 2018 წ. გვ. 24]**

| | **2004** | **2005** | **2006** | **2007** | **2008** | **2009** | **2020** | **2011** | **2012** | **2004-2012 საშუალო ზრდის ტემპი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა | -2.6 | 6.6 | -10.0 | 1.2 | -0.7 | -6.1 | 3.6 | 22.9 | 4.2 | 6.4 |
| მრეწველობა | 4.4 | 15.2 | 12.3 | 17.7 | 6.0 | -6.1 | 21.1 | 23.3 | 4.8 | 7.7 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 2.3 | 18.6 | 51.9 | 0.3 | -7.4 | -4.4 | 46.9 | 15.4 | 10.5 | 16.3 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 7.8 | 24.2 | 19.6 | 17.2 | 7.8 | -16.3 | 30.9 | 26.0 | 9.7 | 10.5 |
| ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | -6.1 | 7.2 | 15 | 5.7 | 13 | 8.8 | 18.8 | 0.3 | 5.6 | |
| პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ | 7.3 | 2.5 | -16.7 | 35.9 | 4.8 | 8.1 | 2.9 | 22.1 | -8.4 | 10.5 |
| მშენებლობა | 44.9 | 18.2 | 1 | 20.5 | -7.3 | -5.1 | 9.5 | 28 | 24.8 | 13.7 |
| ვაჭრობა: ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 9.6 | 11.4 | 35.3 | 15.4 | 23.7 | -12.6 | 29 | 17.4 | 6.1 | 10.1 |
| სასტუმროები და რესტორნები | 8.7 | 2.1 | -3.9 | 11.2 | 12.1 | -12.5 | 18.9 | 13.3 | 9.5 | 7.7 |
| ტრანსპორტი | 5.8 | 4.6 | 13.2 | 11.6 | -5.6 | -2.1 | 24.3 | 11.2 | 8.3 | 6.4 |
| საფინანსო საქმიანობა | 3.4 | 77.8 | 26.4 | 25.8 | 20.1 | 2.5 | 5.3 | 12.5 | 18.2 | 14.7 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევა | 25.3 | 16.4 | 49.3 | 28 | 13.6 | -5.3 | 41.4 | 28.3 | 8.2 | 13 |

2011 წელს საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა საქართველოს სტრატეგიული განვითარების 10პუნქტიანი გეგმა ეკონომიკის მოდერნიზაციის მიზნით, სადაც შედარებით მკაფიოდ არის გაწერილი ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის ხედვა. ეს დოკუმენტი უნდა განვიხილოთ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტად, სადაც თავს იყრის ყველა ის მიდგომა და ხედვა, რომელიც 2004 წლის შემდგომ მთავრობის საპროგრამო დოკუმენტებში იყო ფრაგმენტირებული. ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, კომპლექსურად იქნეს აღქმული მთავრობის გეგმა და ხედვა უშუალოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაზე და, მეორე მხრივ, რეტროსპექტულად გაანალიზდეს ყველა ის მიდგომა, რომელიც წლების განმავლობაში ფორმირდებოდა და ხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის მიერ. აღსანიშნავია, რომ ეს ოფიციალურად მიღებული პირველი დოკუმენტია, რომლის სახელწოდებაშიც სიტყვა “მოდერნიზაცია” ფიგურირებს, რაც მანამდე არაერთხელ გაჟღერებულა საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენელთა საჯარო გამოსვლებში. შესაბამისად, სულ მცირე, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში საქართველოს მთავრობის “მოდერნიზაციის” პოლიტიკის იდენტიფიცირებისთვის აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელია.

პროგრამის პრეამბულაში მოცემულია მიზანი – “წარმატებული, ერთიანი და მდიდარი” საქართველოსთვის წინაპირობების შექმნა. მიზნის მიღწევის საშუალებად კი ორ თემაზეა მკაფიო

ფოკუსირება: ერთი მხრივ, დასაქმების ზრდა, უმუშევრობის შემცირება და, მეორე მხრივ, შრომისუუნარო მოსახლეობის სოციალური დაცვა. ეს პრეამბულა ასახავს პროგრამის სახელწოდებაში არსებულ დასაქმების თემას, თუმცა არ ეხმიანება "მოდერნიზაციის" თემას. შესაბამისად, მოდერნიზაციის შინაარსი და ხედვა თავად პროგრამის ტექსტში უნდა ვეძებოთ.

აღნიშნული პროგრამა მოიცავს 10 პუნქტს, კერძოდ: მაკროეკონომიკურ სტაბილურობას; მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებას, საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა/შენარჩუნებას, რეგიონულ სავაჭრო და ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, განათლების სისტემის გაუმჯობესებას, სოციალური პოლიტიკის დახვეწას, ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებას და ურბანულ და რეგიონულ განვითარებას.

მაკროეკონომიკური სტაბილურობის კუთხით უმთავრეს ამოცანებად გაცხადებულია: "სწრაფი ზრდა, ფისკალური მდგრადობა, ვალის მცირე წნეხი, მცირე და კონტროლირებადი საბიუჯეტო დეფიციტი, დაბალი ინფლაცია, მთავრობის მცირე ზომა, ფინანსური სისტემის მდგრადობა, ჯანსაღი საბანკო სექტორი, მდგრადობა შოკების მიმართ". თუმცა, ეს მხოლოდ ამოცანების ნაკრებია, არ ჩანს კონკრეტული მექანიზმები ან საფუძვლები, რითაც ეს ამოცანები იქნება მიღწეული. საინტერესოა, რომ შემოტანილია "ფინანსური ბალიშის" ცნება, რაც გულისხმობს შემდეგს: რადგან საქართველოს მშპ-სთან მიმართებაში საგარეო ვალი 32%-ს არ აღემატება და პროგრამით მშპ-ს 60%-მდე საგარეო ვალი არ მიიჩნევა საგანგაშოდ, არსებული საგარეო ვალის აღების რეზერვი მიჩნეულია "ფინანსურ ბალიშად", რაც კრიზისის და ინვესტიციების შემცირების შემთხვევაში იქნება გამოყენებული.

პროგრამის მეორე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს "მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება – საწარმოო პოტენციალის და ღია ეკონომიკის განვითარება – ექსპორტის და ტურიზმის ზრდით". თავად ამ ნაბიჯის აღწერილობაში კი ამოცანებად მოცემულია ექსპორტის ზრდის ხარჯზე ამ დეფიციტის შემცირება, ასევე ტურისტული სექტორის გაზრდა. წინა პროგრამებისაგან განსხვავებით სიახლედ შემოთავაზებულია საპარტნიორო ფონდის შექმნა: "ფონდის აქტივები გამოყენებული იქნება მსხვილი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც უპირატესად საქართველოს საექსპორტო პოტენციალს და დასაქმებას გაზრდის ისეთი პროექტებით, რომელთაც კერძო სექტორი, სახელმწიფოს თანამონაწილეობის გარეშე, ვერ სძლევს სასტარტო გარემოებებიდან და რისკებიდან გამომდინარე."

პროგრამის მიხედვით, მესამე ნაბიჯს წარმოადგენს "საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა/შენარჩუნება – არაკორუფციული გარემო, საუკეთესო პირობები მეწარმეობისათვის, კომფორტული საგადასახადო გარემო დაბალი გადასახადებით." ამ ნაბიჯის განმარტებაში რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე არაა წარმოდგენილი. დასახულია ისევ ინვესტიციების მოცულობის ზრდის ამოცანა კორუფციისაგან თავისუფალი და საგადასახადო თვალსაზრისით ხელსაყრელი გარემოს შექმნის ფონზე. ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს მხოლოდ: "დასაქმების ხელშესაწყობად შრომის ბაზარი და რეგულაციები მაქსიმალურად მოქნილი უნდა იყოს შრომის ბაზარზე მობილურობისა და მაღალი დასაქმებისათვის – მაგალითად, სპეციალური რეგულაციების შემოტანის გზით 45- დან 60 წლამდე მოსახლეობის დასაქმების შემთხვევაში".

პროგრამის მეოთხე პუნქტს წარმოადგენს "რეგიონულ სავაჭრო და ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება – ღია ეკონომიკა, გამართული ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა". ამ პუნქტში განსაზღვრულია: "საქართველოს მთავრობის ამოცანაა, ქვეყანა წარმოადგენდეს დერეფანს ტრანზიტისათვის, ასევე "პლატფორმას" ბიზნესის განვითარებისათვის – საქართველოდან მეზობელ ქვეყნებსა და ფართო რეგიონში". ამ პუნქტში საუბარია ლოგისტიკურ ცენტრებზე, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებსა და რეგიონული საბითუმო და საცალო ვაჭრობის ცენტრების ჩამოყალიბებაზე.

მეხუთე პუნქტში ასახულია მთავრობის პრიორიტეტი, რომელიც ინფრასტრუქტურის, მათ შორის, სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტურქტურის განვითარებაზეა ორიენტირებული.

მეექვსე პუნქტში საუბარია სოფლის მეურნეობაზე, კერძოდ, მეწარმეობაზე ორიენტირებულ სოფლის მეურნეობაზე. მთავრობის ამოცანად კი განსაზღვრულია: "...ტრადიციული, კომლზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის პარალელურად შეიქმნას მოდერნიზებული და სამეწარმეო პრინციპებზე დაფუძნებული პირველადი და გადამამუშავებელი წარმოება სოფლის მეურნეობაში, ლოგისტიკურ ცენტრებში, სადაც მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს სამუშაო ადგილების შექმნის და სოფლად საცხოვრებელი პირობების ხარისხობრივად გაუმჯობესებისათვის." სოფლის მეურნეობაში ძირითად მიმართულებებად დასახულია: სასოფლო-სამეურნეო მიწების ჩართვა წარმოებაში, ლოგისტიკური ცენტრები, საირიგაციო სისტემები. დარგობრივ პრიორიტეტებად ჩამოთვლილია

მემარცვლეობა, მეღვინეობა, მეცხოველეობა და მებაღეობა. აღნიშნულ დარგებში ამოცანებად დასახულია, ძირითადად, მათი საექსპორტო პოტენციალის ზრდა.

მეშვიდე პუნქტი მოიცავს "განათლების სისტემის გაუმჯობესებას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას – საქართველოს მომავალი თაობებისა და მოსახლეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის". ამოცანები ძირითადად უკავშირდება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას საშუალო სკოლებში და პროფესიულ თუ უმაღლეს განათლებას. ამ ნაწილში არსებითად შენარჩუნებულია განათლების სისტემასთან დაკავშირებული პრიორიტეტები, მათ შორის, უცხო ენის და კომპიუტერის შესწავლა, კომპიტერული ტექნოლოგიების გავრცელება სკოლებში, უსაფრთხო სკოლა, ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და ა.შ.

მერვე პუნქტს წარმოადგენს "სოციალური პოლიტიკის დახვეწა – მიზნობრიობისა და თანაზომადობის უზრუნველყოფა, სიღარიბის შემცირება". აქ გამოყოფილია საპენსიო სისტემა, სოციალური დახმარებები, იძულებით გადაადგილებული პირები, პენიტენციური სისტემა, ბავშვთა სახლები. რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე, მათ შორის, საპენსიო სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით, აქ არ გვხვდება. საუბარია მხოლოდ პენსიების ოდენობის ზრდაზე არსებული საპენსიო სისტემის პირობებში, სოციალური დახმარებების სისტემაში კი აქცენტი მიზნობრიობაზე კეთდება.

პროგრამის მეცხრე პუნქტში გათვალისწინებულია "ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბება – განვითარებული სადაზღვევო ბაზრით, ფარმაცევტული პროდუქტების ფართო არჩევანით, მოდერნიზებული და მომხმარებელზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემით". ჯანდაცვის სფეროში მთავრობას განსაზღვრული აქვს მიზნები: "მთავრობის მიზანია, საქართველოში განვითარდეს ჯანდაცვის სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება პაციენტზე, როდესაც სახელმწიფო დააფინანსებს არა ჯანდაცვის ინფრასტრუქტურას, არამედ მომხმარებელს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე. მისაღწევია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ავადობის ტვირთის და სიკვდილიანობის შემცირებით." პროგრამაში სისტემური თვალსაზრისით ძირითადი აქცენტი ახალი სამედიცინო ცენტრების შექმნაზე და სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებზეა.

მეათე პუნქტში საუბარია ურბანულ და რეგიონულ განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ პუნქტის ამოცანა სხვადასხვა რეგიონების თანაბარზომიერი განვითარება და ეკონომიკის დეცენტრალიზაციაა, შემოთავაზებული პროგრამული ღონისძიებები ითვალისწინებს ძირითადად სოფლის ექიმის პროგრამას, შიდა სასოფლო გზებისა თუ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და ამ სამუშაოებში მოსახლეობის დასაქმებას.

10 პუნქტიანი გეგმა არსებითად წარმოადგენს მთავრობის 8 წლიანი პოლიტიკის მხოლოდ კონსოლიდაციას და არ გვთავაზობს კონკრეტულ გზებს ქვეყნის გრძელვადიანი მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის.

2012 წელს პირველად საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, პირველად განხორციელდა ხელისუფლების მშვიდობიანი, დემოკრატიული გზით გადაბარების პროცესი. ახალმა ხელისუფლებამ შეიმუშავა ეკონომიკური განვითარების ახალი ხედვა. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ასახულია სხვადასხვა სამთავრობო დოკუმენტში. თუმცა, ძირითადი ხაზი მოცემულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის დადგენილებაში „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე". პროგრამის ანალიზი იძლევა საშუალებას, გარკვეულწილად შეფასდეს საქართველოში სამეწარმეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორები და ორიენტირები. აქ მოცემულ განვითარების ხედვაში ჩანს მთავრობის პრიორიტეტები, რომელიც სამ ძირითად პრინციპს ემყარება.

პირველი, ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. მეორე პრინციპი – ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. მესამე – ძირითადი პრინციპი – ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება [**საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის დადგენილება, ქ. თბილისი. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე. გვ 3**].

დადგენილების მიხედვით, ეკონომიკის განვითარების ხელის შემშლელ მთავარ ფაქტორად დასახელდა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. ამ პრობლემის შესამსუბუქებლად შემდეგი

ამოცანებია დასახული: ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა და სამართლიანი და დაცული ბიზნესგარემოს შექმნა; ინოვაციებისა და სამეწარმეო უნარების განვითარება და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა; რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვა და განხორციელება რეგიონის შედარებითი უპირატესობის, სპეციფიკისა და პოტენციალის გათვალისწინებით. ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების გადაცემის და დანერგვის კომპლექსური ხელშეწყობა; კვლევისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მათი კომერციალიზაციის ხელშეწყობა; ინოვაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება; ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერება; თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; ექსპორტის გაფართოება და დივერსიფიცირება; აგრარული პროდუქტის ექსპორტის ხელშეწყობა; ექსპორტის განვითარების დამხმარე სისტემების შექმნა; საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება/გაღრმავება; ინვესტიციების ხელშეწყობა ენერგეტიკის, ტრანსპორტის და ლოგისტიკის სფეროში; სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერება; კონკურენტული გარემოს ფორმირება და ინფორმაციული სისტემების განვითარება. ამგვარად დადგენილებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული ის ამოცანები, რომელიც ხელს შეუწყობს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძვლების შექმნას და მწარმოებლურობის ზრდას.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა სამთავრობო პროგრამა 2016-2020 ,,თავისუფლება, სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა“, რომელიც ოთხპუნქტიანი გეგმის სახით არის ცნობილი და მიზნად ისახავს სწრაფი განვითარებისა და კეთილდღეობის მიღწევას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროგრამა მოიცავს ოთხ პუნქტს: დემოკრატიული განვითარება; ეკონომიკური განვითარება; სოციალური განვითარება; საგარეო ურთიერთობები, უსაფრთხოება და თავდაცვა.

მეორე პუნქტი, რომელიც გულისხმობს ეკონომიკურ განვითარებას, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: მაკროეკონომიკური სტაბილურობა (დასაქმება, ბიზნესგარემო), ეკონომიკური რეფორმები (კაპიტალის ბაზრის რეფორმა, საპენსიო რეფორმა, მიწის რეფორმა, საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის განვითარება), სივრცითი მოწყობა, საგარეო სავაჭრო ურთიერთობები, ინფრასტრუქტურული განვითარება, დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკა, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა და გარემოს დაცვა.

დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებაში საუბარია ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი დარგების გარდაქმნა-განვითარებაზე. პრიორიტეტებად გამოყოფილია ოთხი ძირითადი მიმართულება: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და ტურიზმი

## საქართველო ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

სამეწარმეო პოლიტიკის კუთხით მნიშვნელოვანი დოკუმენტია „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბება, მიზნად ისახავს ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას და ახალ პერსპექტივებს ქმნის ქართული კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებსა და სისტემებთან. შესაბამისად, საქართველოს საქონელს და მომსახურებას გზა გაეხსნება ევროკავშირის შიდა ბაზარზე, შეიქმნება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების საფუძველი, მოიმატებს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა და გაიზრდება ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის ახალი შესაძლებლობები.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მნიშნელოვანი მოთხოვნაა მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის განხორციელება ევროპის მცირე ბიზნესის აქტის პრინციპების გათვალისწინებით. მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის იმპლემენტაცია ევროპის მცირე ბიზნესის აქტის პრინციპების შესაბამისად გათვალისწინებულია ასოცირების შეთანხმების მე-6 კარის მე-5 თავში. მცირე ბიზნესის აქტის მთავარი პრინციპი ,,უპირველესად იფიქრე მცირეზე“ ხაზს უსვამს მცირე და საშუალო მეწარმეებთან კონსულტაციებისა და მათი მოთხოვნების გათვალისწინების მნიშვნელობას.

ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში საქართველოს სამოქმედო გეგმის მიხედვით 2014-2017 წლებში ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებში პრიორიტეტებად განისაზღვრა [**საქართველოს სამოქმედო გეგმა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისათვის 2014 – 2017 წწ**]:

- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიღება 2016-2020 წლებისთვის, რომელიც იქნება საქართველოს მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი მცირე და საშუალო მეწარმეობის შესახებ პოლიტიკის ფორმირებისა და მხარდაჭერისათვის;
- მცირე და საშუალო მეწარმეთათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად;
- ინოვაციური მეწარმეობის წასახალისებლად კონკრეტული მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება;
- საქართველოს ექსპორტის სტრუქტურის დივერსიფიკაცია;
- ქართული ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოებული კანონმდებლობის დანერგვისათვის მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა;

2016 წლის დასაწყისში მთავრობის დადგენილებით მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია დამტკიცდა. მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნებად განისაზღვრა (საბაზისო – 2013 წელი) [**საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №100 დადგენილება „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2020 წლებისთვის და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“**]:

1. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით;
2. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით;
3. 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.

ამ მიზნების მისაღწევად, საქართველოს მთავრობამ დაიწყო რეფორმების განხორციელება. რეფორმის განმახორციელებელი ინსტიტუტებია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებული სააგენტოები: ,,აწარმოე საქართველოში“ და ,,ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.“

## დასკვნა

საქართველო დგას ერთმანეთთან დაკავშირებული ორი ისეთი გამოწვევის წინაშე, როგორიცაა ფუნდამეტური ცვლილებები, რაც გულისხმობს უნარების, კვალიფიკაციისა და ფართო ინსტიტუციური კომპეტენციების აკუმულირებას, ასევე სტრუქტურულ ცვლილებებს. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ განვითარებად ქვეყნებში სწრაფი ეკონომიკური ზრდა მხოლოდ ფუნდამენტური ფაქტორების ჯამური აკუმულირებით არ მიიღწევა, არამედ მას ზურგს უნდა უმაგრებდეს სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესი, რაშიც გადამწყვეტი მნიშნელობა ენიჭება ბაზრის ჩავარდნის შერბილებასა და კოორდინაციის პრობლემის აღმოფხვრას. ასევე, ბიზნესზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბაზარზე ორიენტირებული ფაქტორები.

რეფორმების პირველი და მეორე ტალღა ძირითადად მიზნად ისახავდა ფუნდამენტურ ცვლილებებს, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ნელი და ხარჯიანი პროცესია. ეკონომიკის ზრდის სტრუქტურული ტრანსფორმაციის მოდელზე გადასასვლელად კი, საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, სამრეწველო პოლიტიკის არსებობა აუცილებელი პირობაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2012 წლამდე გატარებული რეფორმები ძრითადად ემსახურებოდა ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებას და არ ითვალისწინებდა სექტორულ განაწილებას, ტექნოლოგიურ განახლებას, შრომის მწარმოებლურობის ზრდას, მცირე და საშუალო ბიზნესის გაუმჯობესების და საშუალო შემოსავლების ფენის განვითარებას.

2012 წლიდან წარმოდგენილ სამთავრობო პროგრამებში ჩვენ ვხედავთ სამრეწველო პოლიტიკის ელემენტებს. კერძოდ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში მოცემულია საქართველოში სამეწარმეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორები და ორიენტირები, რომელიც სამ ძირითად პრინციპს ემყარება. პირველი, ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, მეორე

პრინციპია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. მესამე, ძირითად პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

გარდა ამისა, 2016 წელს საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა სამთავრობო პროგრამა 2016-2020 "თავისუფლება, სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა", რომელიც ოთხპუნქტიანი გეგმის სახით არის ცნობილი და მიზნად ისახავს სწრაფი განვითარებისა და კეთილდღეობის მიღწევას. დარგობრივ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებაში საუბარია ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი დარგების გარდაქმნა-განვითარებაზე. პრიორიტეტებად გამოყოფილია: ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ერთიანი სატრანსპორტო სისტემის, ტურიზმის განვითარება.

სამეწარმეო პოლიტიკის კუთხით მნიშვნელოვანი დოკუმენტია „ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება", რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბება, მიზნად ისახავს ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას და ახალ პერსპექტივებს ქმნის ქართული კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის განხორციელება ევროპის მცირე ბიზნესის აქტის პრინციპების გათვალისწინებით.

ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში საქართველოს სამოქმედო გეგმის მიხედვით 2014-2017 წლებში ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებში პრიორიტეტებად განისაზღვრა: მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიღება 2016-2020 წლებისთვის, რომელიც იქნება საქართველოს მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი მცირე და საშუალო მეწარმეობის შესახებ პოლიტიკის ფორმირების და მხარდაჭერისათვის; მცირე და საშუალო მეწარმეთათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად; ინოვაციური მეწარმეობის წასახალისებლად კონკრეტული მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება; საქართველოს ექსპორტის სტრუქტურის დივერსიფიკაცია; ქართული ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოებული კანონმდებლობის დანერგვისათვის მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. "ლიბერალური აცადემია" თბილისი. – "საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი". 2011.
2. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი CSRDG – "სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკა", 2018.
3. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისი დადგენილება, ქ. თბილისი. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე.
4. საქართველოს სამოქმედო გეგმა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (დჩფთა) განხორციელებისათვის 2014 – 2017.
5. Fischer, Stanley, Sahay, Ratna and Vegh, Carlos - Stabilization and growth in transition economies: The early experience International Monetary Fund 1996
6. მსოფლიო ბანკის მონაცემები www.data.worldbnak.org
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები www.geostat.ge
8. მოხსენება ვადაგადაცილებულ დავალიანებათა შესახებ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევები. 1998:.



***George Kharshiladze***


**SOME ASPECTS AND MODELS OF THE STRUCTURAL TRANSFORMATION OF GEORGIAN ECONOMY IN THE TRANSITION PERIOD**

**Summary**


In this article we examined several aspects of structural transformation in Georgian economy. The main accent was made on the evaluation of the entrepreneurship policy and its results within the association agreement. Since its

independence, Georgia faces structural transformation and fundamental challenges. The first one focuses on moving resources into modern industries, while the second one on developing broad capabilities.

The experience of some countries shows that structural transformation can fuel rapid growth on its own, but if it is not backed up by fundamentals, growth peters out and remains episodic. On the other hand, the accumulation of fundamentals, which requires costly, time-consuming, and complementary investments across the entire economy, only produces steady but slow growth if it is not backed up by structural change. The bottom line is that, ultimately, sustained growth and convergence require both processes. Until 2012, The Implemented reforms and economic policy mostly served improvement of institutional environment and sectoral reallocation, technology updating, labor productivity growth, improvement of small and medium sized enterprises has not been considering. Thus, Georgia seems to have reaped the growth benefits of rapid fundamental change, even though its human capital development indicators are comparatively poor and have not improved as much. In other words, Georgia has significant improvements in governance, and yet its comparatively poor record with structural change has kept with lower growth. This paper shows that Georgia's performance was linked to its government's liberalization policies and other efforts to remove obstacles facing private business. These reforms contributed directly to productivity growth within sectors, but also enabled reallocation of factors of production across sectors. As a result, GDP per capita doubled in real terms in 2003-2012, but poverty did not fall. Large productivity gaps still exist both among and within sectors.

Big pools of labor in agriculture that over time move primarily into services, rather than manufacturing. In the late 2017, Georgia had 40 percent of its workforce in agriculture, producing about 9% country's GDP. This discrepancy between agriculture's claim on the economy's resources and its contribution to output reflected the large differential in labor productivity across activities. The typical worker in manufacturing produced two times more output than the typical worker in agriculture.

In 2016 Georgian government introduces program 2016-2020 „Freedom Rapid Development Prosperity". One of goal of this program were the supporting small and medium businesses, promoting entrepreneurship and start-ups, developing agriculture, and furthering the country's integration into the world economic system. In addition to global activities focused on a fundamental transformation of Georgian economy, the Government of Georgia is implementing policy directed at the transformation and development of specific sectors driving economic growth. These sectors are: Energy, Agriculture, Transport, Tourism.

In terms of enterprise policy, the important document is the associate agreement signed between Georgia and EU. One of the parts of this agreement is the introduction of deep and comprehensive free trade area. This regime increases market access between the EU and Georgia based on having better-matched regulations.

According to the associate agreement, one of the important requirements is to implement small and medium sized entrepreneurship policy considering of the principals of European small business act. Within DCFTA, according to the action plan of 2014-2017, The following area was defined as priority: introduction of the strategy of small and medium sized entrepreneurship for 2016-2020, which will be the main strategy document for supporting and formulation of small and medium sized entrepreneurship policy implemented by state agencies: Enterprise Georgia, Innovation and technological agency. The purpose is to assist SME in "upgrading. The program focuses on developing entrepreneurship, increasing the competitiveness of the private sector, enhancing the country's export potential. This policy covers a large number of initiatives, including from programs of technical assistance, provision of guarantees to get access to banking resources, to programs supporting firms' equity and incentives to upgrade equipment. The upgrading program aimed at increasing the technological, marketing and organizational capacities of firms increasingly facing EU competition. There were also measures to facilitate integration into global markets, such as streamlined technical controls, improved customs procedures, and increased access to information on standards and technical regulations to raise transparency and meet EU trade obligations.

# მაკროეკონომიკის, ფინანსებისა და მდგრადი განვითარების სექცია

*გელა ალადაშვილი*

## გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გაუმჯობესების გზები

***ანოტაცია.*** *მდგრადი განვითრების თანამედროვე გამოწვევებში განსაკუთრებული სიმწვავით წარმოჩენილია ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენების საკითხები, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინონ ამ რესურსების დამმუშაველმა კომპანიებმა. გლობალური განაცხადი ისეთი წარმოების განვითარებაზე, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის მომავალ თაობებს, რეალიზდება წარმოების პროცესშიც და გარკვეულ ამოცანებს უსახავს მენეჯმენტს. ამ თვალსაზრისით როგორც საერთაშორისო დონეზე აღიარებულ, ასევე განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ დანერგილ გარემოსდაცვით სტანდარტებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.*

***საკვანძო სიტყვები:*** *გარემოსდაცვითი მენეჯმენტი; ISO სტანდარტები.*

### შესავალი

სამრეწველო წარმოების მოცულობისა და მსოფლიოს მოსახლეობის ზრდასთან ერთად ადამიანები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ გარემოზე განხორციელებულ ზეწოლას. ეს პრობლემები ბიზნესსაც ეხება. ეკოლოგიური კანონები განვითარებულ ქვეყნებში მიღებულია და სათანადო პოლიტიკაც ტარდება, რითაც მთავრობები მრეწველობის ბევრ სექტორზე სერიოზულ ზემოქმედებას ახდენენ [აღნიშნული საკითხი ფართოდ განვიხილეთ ალადაშვილი გ., 2015: 41-65]. გარემოსდაცვითი მიმართულების რეგულაციები ბიზნესზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. საწარმოო საქმიანობის გაფართოებასთან ერთად შესაძლებელია გარემოსდაცვითი ხარჯები გავზარდოთ. მრეწველობის დანახარჯები გარემოს დაბინძურების კონტროლზე საშუალოდ შეადგენს საერთო კომერციული შემოსავლების 3 პროცენტს, ხოლო ზოგიერთი განსაკუთრებით დამაბინძურებელი სექტორებისთვის - ქიმიური, ქაღალდის და სამთო - ეს რიცხვი 20 პროცენტამდე და მეტად გაიზარდა [Paye J. V., 1996:4].

იმ დროს, როდესაც ზოგიერთი ფირმის დანახარჯები გაიზარდა გარემოს უფრო მკაცრი ნორმების დაცვის აუცილებლობის გამო, სხვა ფირმებზე ამან დადებითად იმოქმედა. დაბინძურების ხარისხის შემცირების და მისი მაკონტროლებელი სისტემის მოწყობილობების მიმწოდებლები აღმოჩნდნენ სწრაფად ზრდად ბაზარზე. ბევრმა კომპანიამ აღმოაჩინა, რომ ამ გზითაც შესაძლებელია ბიზნესის ეფექტიანად წარმართვა და გარემოს საკითხებში ლიდერობით მომხმარებლების ყურადღების მიპყრობა. სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებით გამოწვეული ტვირთის სანაცვლოდ ბევრმა ფირმამ ნარჩენების შემცირებასა და რესურსების დაზოგვაზე აქცენტის გადატანა საზოგადოებრივი იმიჯის გაუმჯობესების და მოგების მიღების საშუალებად აქცია. გარდა აღნიშნულისა, გარემოსდაცვითი საკითხების პრიორიტეტი მენეჯმენტში უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა წყლის მარაგი და წყლის ხარისხი, ჰაერის ხარისხი, ნიადაგის დაბინძურება. ერთ დროს არაგანახლებადი რესურსების გამოლევა, კერძოდ წიაღისეული საწვავის, განიხილებოდა ეკონომიკური ზრდის მთავარ ფიზიკურ შეზღუდვად. დღეს კი მთავარი აქცენტი კეთდება წყლისა და ჰაერის ხარისხის გაუარესებაზე, ნარჩენების განთავსებასა და ბუნების დაცვაზე.

მდგრადი განვითრების 17-დან 8 მიზანი პირდაპირ უკავშირდება გარემოსდაცვით სტანდარტს - სუფთა წყალი და სანიტარია; ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია; ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; ინდუსტრია, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; პასუხისმგებლიანი მოხმარება და წარმოება; კლიმატის ცვლილება; სიცოცხლე წყლის ქვეშ და სიცოცხლე მიწაზე [ISO, Environmental Management Systems].

მდგრადი განვითრების ფართომასშტაბიანი მიზნები კონკრეტულად რეალიზდება მაშინ, როდესაც მმართველობითი გადაწყვეტილებებია მისაღები წარმოების პროცესში. მოცემული ნაშრომის **მიზანია** გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გაუმჯობესების გზების შესწავლა იმ შესაძლებლობებზე ყურადღების გამახვილებით, რასაც სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული გარე-მოსდაცვითი სტანდარტის - ISO 14001:2015-ის დანერგვა იძლევა. საკითხის კვლევისას გაანალიზებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალები და შესაბამისი აკადემიური პუბლიკაციები.

**ISO 14001: 2015 და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის დანერგვის არაერთგვაროვანი მოტივები**

დღეისათვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები არსებობს, რომელთა მიზანი ბიზნესის მენეჯმენტის სისტემების დანერგვის სისტემატიზაციაა. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Organization for tandardization – ISO) მიერ შემუშავებული სტანდარტების სერია ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში, საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, აღიარებულია მრავალი ქვეყნის მიერ და ბიზნესში მათ დანერგვას მრავალმხრივი სარგებელი მოაქვს. საყურადღებოა მენეჯმენტთან დაკავშირებული სტანდარტების ორი სერია: ISO 9000 სერია უკავშირდება ხარისხის მართვის სისტემების დანერგვას (Quality Management Systems - QMS) და ISO 14000 სერია გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემების დანერგვას (Environmental Management Systems - EMS).

ISO 14000 არის ნებაყოფლობითი სტანდარტების სერია გარემოსდაცვითი მენეჯმენტისთვის. ის უზრუნველყოფს საუკეთესო პრაქტიკის ინსტრუმენტებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომლებსაც, თუკი დანერგავს ფირმა, სავარაუდოდ დაეხმარება რომ მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე ზემოქმედება და დაზოგოს რესურსები. ამჟამად ფირმებს სერტიფიკატების მოპოვება შეუძლია სტანდარტში: ISO 14001. ეს კონკრეტული სტანდარტი არის 14000 სერიის ბირთვი. იგი ასახავს თუ რა უნდა გააკეთოს ფირმამ, რომ დანერგოს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა.

ISO 14001 არის მსოფლიო დონეზე აღიარებული სტანდარტი, რომელიც ეფუძნება კონცეფციას, რომ ეკოლოგიური ეფექტიანობის მიღწევა უკეთესად არის შესაძლებელი, როდესაც გარემოსდაცვითი ასპექტები სისტემატურად იდენტიფიცირდება და იმართება, რომლითაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანაა შესაძლებელი მდგრადობის შენარჩუნებაში დაბინძურების პრევენციის, გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაუმჯობესების და მოქმედი კანონების დაცვის მეშვეობით. ამ სტანდარტის რევიზია განხორციელდა მენეჯმენტის სისტემის სტანდარტების ახალი სტრუქტურის შესაბამისად და 2015 წლის სექტემბერში გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის ფართოდ აღიარებული სტანდარტი გამოიცა.

ISO 14001:2015 გარემოსდაცვით მენეჯმენტში ინტეგრირებული მიდგომით გამოირჩევა და მისი დანერეგვა გულისხმობს სათანადო საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად გარემოზე ზემოქმედების შემცირებას, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ბიზნესის ზრდის შესაძლებლობას.

ISO 14001-ის დასანერგად ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება შემდეგ პრინციპებს: პოლიტიკის შესაბამისობა საქმიანობასთან, პროდუქტებსა და მომსახურებებთან; უწყვეტი გაუმჯობესების და დაბინძურების თავიდან აცილების ვალდებულებები; გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და სამართლებრივი რეგლამენტების შესაბამისობა; მათი პასუხისმგებლობა გარემოსდაცვითი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრასა და განხილვაში; თანამშრომლის ჩართულობის უზრუნველყოფა; საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა.

ISO 14001: 2015 ორგანიზაციას ეხმარება, მიაღწიოს გარემოსდაცვითი მართვის სისტემის დასახულ შედეგებს, რაც ღირებულია გარემოს, თავად ორგანიზაციის და დაინტერესებული მხარეებისთვის. ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაბამისად, გარემოსდაცვითი მართვის სისტემის მიზანმიმართულ შედეგებში შედის: გარემოსდაცვითი მუშაობის გაუმჯობესება; ვალდებულებების შესრულება; გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევა. ISO 14001: 2015 ვრცელდება ნებისმიერ ორგანიზაციაზე, განურჩევლად ზომისა და სახეობისა. ამასთან, ვრცელდება მისი საქმიანობის, პროდუქტებისა და მომსახურების ეკოლოგიურ ასპექტებზე, რომლებსაც ორგანიზაცია განსაზღვრავს, როგორც გაკონტროლების ან გავლენის სფეროდ სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინებით. ISO 14001: 2015 არ ადგენს (არ მიუთითებს) გარემოსდაცვითი საქმიანობის კონკრეტულ კრიტერიუმებს. ISO 14001: 2015 შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთლიანად ან ნაწილობრივ, გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემატიურად გაუმჯობესების მიზნით. ამასთან, ISO 14001:2015 შესაბამისობის შესახებ განაცხადი არ მიიღება, თუ მისი ყველა მოთხოვნა არ შედის ორგანიზაციის გარემოსდაცვითი მართვის სისტემაში და არ შესრულდება გამონაკლისის გარეშე [ISO 14001:2015].

ISO 14001-ის დანერგვა კარგად ცნობილი დემინგის ბორბლის პრინციპებს ეფუძნება: დაგეგმე - გააკეთე - შეამოწმე - იმოქმედე. თითოეულ ეტაპზე გარემოსდაცვითი პირდაპირი და ირიბი ასპექტების გათვალისწინება ხდება გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით [Martin, 2017]. სტადარტის დანერგვის ხელშემწყობი ორგანიზაციების უმრავლესობა მიუთითებს, რომ მისი დანერგვით ორგანიზაცია შეამცირებს ნარჩენების მართვის ხარჯებს, დაზოგავს ენერგიისა და მასალების მოხმარებას, ექნება განაწილების დაბალი ხარჯები, გაიუმჯობესებს კორპორაციულ იმიჯს მარეგულირებლების, მომხმარებლების და საზოგადოების წინაშე. გარდა აღნიშნულისა, მოსალოდნელი სარგებელია

საკანონმდებლო და ბიზნესის მოთხოვნებთან შესაბამისობა, კონკურენტული უპირატესობის გაზრდა ბაზარზე, პრობლემური სფეროების იდენტიფიცირება და გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა, სისტემის მდგრადობის დამოუკიდებლად შემოწმება და პროცესის სანდოობა, კომპანიის ვალდებულებების შესახებ თანამშრომლების უფრო მეტი ინფორმირებულობა და პასუხისმგებლობის ამაღლება.

ISO კვლევის ბოლო მონაცემების თანახმად ISO მენეჯმენტის სისტემის სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატების რაოდენობა მზარდია. სერტიფიკატებს გასცემენ აკრედიტებული ორგანოები მსოფლიოს მასშტაბით. 2016 წელს დაფიქსირდა 1 643 523 მოქმედი სერთიფიკატი ცხრა სტანდარტის მიხედვით, რაც 2015 წლის 1 520 368-თან შედარებით 8%-იანი ზრდაა. გარკვეული რაოდენობა დაემატა (834 სერტიფიკატი) და 2016 წლსი ჯამურმა მაჩვენებელმა 1 644 357 შეადგინა. მუდმივად პოპულარული ISO 9001, ხარისხის მართვის სისტემების მოთხოვნების და ISO 14001, გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემების მოთხოვნების ინსტრუქციების გამოყენების მოთხოვნა გაიზარდა 7%-ით და 8%-ით, შესაბამისად გაიცა 1 106 356 და 346 189 სერტიფიკატი, ხოლო უფრო ბოლოდროინდელი დამატებების გათვალისწინებით, როგორიცაა ISO 50001 ენერგეტიკის მართვისთვის და ISO / IEC 27001 ინფორმაციის უსაფრთხოებისთვის, გაიზარდა 69%-ით და 21%-ით, შესაბამისად, გაიცა 20 206 და 33 290 სერტიფიკატი მსოფლიოში [Use of ISO, 2017].

გარემოსდაცვითი სტანდარტებისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მაგალითად, მკვლევრები [Riaz et al, 2019: 14; Riaz&Saeed, 2019: 692] მიუთითებენ, რომ ISO 14001 (გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სტანდარტი) კორპორაციებს ეხმარება ლეგიტიმურობისა და კეთილგანწყობის ჩამოყალიბებაში და ასევე შეიძლება ორგანიზაციის მხრიდან ინსტიტუციური ზეწოლის საპასუხო ღონისძიებად მივიჩნიოთ, რათა პროაქტიულად იმოქმედონ გარემოს მიმართ. ავტორებმა გამოიკვლიეს, თუ როგორ აფასებენ ინვესტორები განვითარებად ქვეყნებში გარემოს მართვის სტანდარტის - ISO 14001 ნებაყოფლობით სერტიფიკაციას. აღნიშნავენ, რომ ნებაყოფლობითი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სტანდარტის შედეგი საბაზრო ეფექტიანობაზე არ არის ცხადი. მათ შეისწავლეს სერტიფიცირებული და არასერტიფიცირებული ფირმები აქტივების, ზომისა და დარგობრივი უკუგების მიხედვით. დასკვნებმა აჩვენა, რომ ინვესტორებმა უარყოფითად შეაფასეს ISO 14001-ის როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პერსპექტივები. კვლევაში მოცემულია პოლიტიკის გავლენა მენეჯერებისთვის, პოლიტიკის შემქმნელებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

გარემოს დაცვის ინტერესებისგან განსხვავებით ფირმებს უფრო სხვა მოტივები აქვთ აღნიშნული სტანდარტის განსახორციელებლად. მაგალითად, სტანდარტის მიღებით იზრდება მათი ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობები, ყურადღებას ამახვილებენ დაინტერესებული მხარის მოთხოვნებზე, თავისუფლდებიან სავალდებულო რეგულირებისგან, ამცირებენ იურიდიულ ვალდებულებებს, აუმჯობესებენ საზოგადოებრივ „მწვანე“ იმიჯს, ამცირებენ ხარჯებს და ზრდიან ეფექტიანობას [Morro & Rodinelli, 2002].

იმის გათვალისწინებით, რომ სტანდარტების დანერგვამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი ხარჯები დაუმატოს ფირმებს, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა ამ სტანდარტების დანერგვა რეალურ სარგებელს. მეცნიერებმა ტოლემ და კუპმა [Tole&Koop, 2011] გამოიკვლიეს გლობალური სპილენძის სამთო მრეწველობის ინდუსტრია და მიუთითებენ, რომ სტანდარტების დანერგვის მოტივები და შედეგები არ არის ცალსახა, თუმცა გარემოს დაცვის სტანდარტების დანერგვა არ ამცირებს ფირმების ეფექტიანობას.

ემპირიული დასკვნები, რომლებიც დაკავშირებულია ISO 14001 დანერგვის მათ ეფექტიანობაზე გავლენის შესამოწმებლად, განსხვავდება ფირმებისა და რეგიონების მიხედვით და დასკვნები ჯერ კიდევ ბუნდოვანია. ISO 14001 სერტიფიკატების მიღების დამცველები ამტკიცებენ, რომ ორგანიზაციებს სისტემის ნებაყოფლობითი დანერგვით შეუძლიათ გარემოსდაცვითი პრობლემების დაძლევა და თავიანთი სოციალური იმიჯის დამკვიდრება [Pacana & Ulewicz, 2017].

სტანდარტის დანერგვიდან მიღებული სარგებელი შეიძლება შეიცავდეს ნარჩენების, რესურსების მოხმარების და საოპერაციო ხარჯების შემცირებას. ამასთან, როგორც საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესს შეუძლია გამოიყენოს ISO 14001 შესაბამისობა და ამით თავიდან აიცილოს მრავალგვარი რეგისტრაციისა და სერტიფიკაციის საჭიროება [Hutchens, 2017].

ჩინეთის საწარმოო სექტორის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ISO 14001-ის სტანდარტის მიხედვით სერტიფიცირება ზრდის გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვას და ხელს უწყობს ამ ასპექტით მიღწეული შედეგის შენარჩუნებას [McGuire, 2014].

გარემოსდაცვით მენჯმენტზე ეროვნული კულტურის გავლენაზე ამახვილებენ ყურადღებას რიგი მკვლევარები და მიუთითებენ, რომ ეფექტიანობაზე ორიენტაცია და ინსტიტუციური კოლექტივიზმი გავლენას ახდენს ISO 14001-ის გავრცელებაზე. ამასთან, ეფექტიანობაზე ორიენტაცია ანელებს ISO 14001-ის გავრცელებას, ხოლო ინსტიტუციური კოლექტივიზმი აჩქარებს მას. ამასთან, ეფექტიანობაზე ორიენტაციის შემანელებელი ეფექტი დროთა განმავლობაში მცირდება, ხოლო ინსტიტუციური კოლექტივიზმის დამაჩქარებელი ეფექტი ძლიერდება [Orcos & Palomas, 2019].

როგორც ცნობილია, საქართველოში ნებადართულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტები. საქართველომ 2006 წლის 1 ივლისიდან ამ ორგანიზაციის წევრ-კორესპონდენტის სტატუსი დაიბრუნა. სტანდარტებზე პასუხისმგებელი ორგანო საქართველოში არის სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, რომლის პარტნიორი ორგანიზაციაა ISO. მისი წევრობა შესაძლებლობას იძლევა, ქვეყანაში ხარისხის ინფრასტრუქტურაში ჩაბმულმა ნებისმიერმა პირმა მიიღოს და იმოქმედოს საერთაშორსო სტანდარტების შესაბამისად ჯანდაცვის, ეკოლოგიის, უსაფრთხოების დაცვის, საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციის შესვლისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად [სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო]. საქართველოში მოქმედ სტანდარტებს შორის არის როგორც სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხარისხის მენეჯმენტის ზოგადი სტანდარტები (მაგალითად, 9001:2015), ისე უშუალოდ გარემოს დაცვის მენეჯმენტის ოჯახის ზოგიერთი სტანდარტი [სტანდარტების კატალოგი], თუმცა ორგანიზაციების მიერ დანერგილი გარემოსდაცვითი სტანდარტების სტატისტიკა, მით უფრო ცალკეული სტანდარტის მიხედვით, ვერ მოიძებნა. საგულისხმოა, რომ ამ მიმართულებითაც გადაიდგმება ნაბიჯები. დასახული პოლიტიკური ღონისძიებები და გეგმები ამაზე მიგვითითებს, რაც განხილული სტანდარტების უფრო ფართოდ დანერგვასაც შეუწყობს ხელს. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამაში აღნიშნულია, რომ გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღებ საქმიანობაზე გადასვლა მყისიერად არ ხორციელდება და მოითხოვს სამეცნიერო ცოდნას, ინოვაციას, საზოგადოების ცნობიერების გარკვეულ დონეს, განვითრების შესაბამის დაგეგმვას, ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკისა და კანონმდებლობის სათანადო აღსრულებას და ეროვნულ დონეზე ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას. ამასთან, პირველი რიგის ამოცანად დასახულია მწავნე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების და შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე [გარემოს დაცვის ეროვნული პროგრამა, 2018: 152].

**დასკვნა**

ISO 14001 გარემოსდაცვით მართვის სფეროში სერტიფიცირებას გულისხმობს და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებაყოფლობით ბიზნესის ყველა სფეროში. ამ სერტიფიკატის ფლობა უჩვენებს, თუ კომპანია როგორ ახორციელებს გარემოს დაცვის მართვის სისტემის კონტროლს და მიუთითებს გარემოს დაცვის კუთხით კორპორაციულ პასუხისმგებლობაზე, რაც, ამასთან, ხელს უწყობს ორგანიზაციის იმიჯის ამაღლებას.

ISO 14001:2015 განსაზღვრავს გარემოსდაცვითი მართვის სისტემის მოთხოვნებს, რომლებიც ორგანიზაციამ შეიძლება გამოიყენოს თავისი გარემოსდაცვითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ISO 14001: 2015 გამიზნულია ორგანიზაციისთვის, რომელიც ცდილობს თავისი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების სისტემატიურად მართვას, რითაც ხელს შეუწყობს გარემოს მდგრადობას.

აღნიშნული სტანდარტის დანერგვა ნებაყოფლობითია. მისი დანერგვის მოტივაცია სხვადასხვაგვარია და მიღებული სარგებელი არაერთგვაროვანია. კრიტიკული მოსაზრებები, რომლებსაც ზოგიერთი კვლევის შედეგი გვიჩვენებს, უკავშირდება სერტიფიკაციის ზუნდოვან შედეგებს და კომპანიების მიერ ამ სტანდარტის დანერგვას არა უშულოდ გარემოზე ზემოქმედების შესარბილებლად. მათი მოტივაცია უფრო სხვა შედეგებისკენ იხრება, თუმცა განხილული ნაშრომები ადასტურებს, რომ კომპანიების ეფექტიანობაზე გარემოსდაცვითი სტანდარტის მიხედვით სერტიფიკაცია უარყოფითად არ აისახება.

ISO 14001 სერტიფიცირების დადებითი შედეგებიდან აღსანიშნავია, რომ იგი ხელს უწყობს გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებას, ზოგავს ხარჯებს, საერთაშორისო დონეზე აღიარების გამო ზრდის კომპანიებისადმი სანდოობას როგორც მომხმარებელთა, ისე მარეგულირებელი ორგანოების წინაშე; აფართოებს კომპანიისათვის პასუხისმგებლიანი ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას; მიუთითებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე; ზრდის ბაზარზე შესვლისა და დამკვიდრების შანსს.

გარემოსდაცვით მენეჯმენტზე სათანადო ეროვნულ კულტურას აქვს გავლენა. მკვლევარები აღნიშნავენ „ინსტიტუციური კოლექტივიზმის“ დამაჩქარებელ როლზე. საჭიროა საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამაში აღნიშნული საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებს ფართო მასშტაბი მიეცეს, რაც დადებითად აისახება გარემოსდაცვითი მენეჯმენტის დანერგვასა და გაუმჯობესებაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ალადაშვილი გ., 2015, მენეჯერული ეკონომიკა, გვ. 41-65.
2. გარემოს დაცვის ეროვნული პროგრამა, 2018,
3. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა, 2017-2021, გვ. 152.
4. სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი http://geostm.ge/agency.php?id_pages=74
5. სტანდარტების კატალოგი, საქართველოს ქართულენოვანი სტანდარტების კატალოგი, საქართველოს სტანდარტები და მეტროლოგია, www.geostm.gov.ge
6. Hutchens Jr., S., 2017, Using ISO 9001 or ISO 14001 to Gain a Competitive Advantage, Intertek.
7. ISO, Environmental Management Systems https://committee.iso.org/sites/tc207sc1/home/projects/ongoing/supporting-environmental-and-bus/un-sustainable-development-goals.html
8. ISO 14001:2015, Environmental management systems — Requirements with guidance for use
9. https://www.iso.org/standard/60857.html
10. Martin, R., 2017, ISO 14001 Guidance Manual, National Center for Environmental Decision-Making Research.
11. McGuire W., 2014, The effect of ISO 14001 on environmental regulatory compliance in China
12. Ecological Economics, Volume 105, September 2014, Pages 254-264.
13. Morrow, D. and Rondinelli, D. 2002. Adopting corporate environmental management systems: motivations and results of ISO 14001 and EMAS certi- cation, Eur Manag J. 20: 159-171.
14. Orcos, R. and Palomas, S. (2019), The impact of national culture on the adoption of environmental management standards: The worldwide diffusion of ISO 14001, *Cross Cultural & Strategic Management*, Vol. 26 No. 4, pp. 546-566.
15. Pacana, Andrzej, and Robert Ulewicz. 2017. Research of determinants motiving to implement the environmental management system. Polish Journal of Management Studies 16: 165–74.
16. Paye J. V., 1996, Investing in a clean environment, OECD Observer, 1996, p. 4.
17. Riaz et al., 2019,Hammad Riaz & Abubakr Saeed & Muhammad Saad Baloch & Nasrullah & Zeeshan Ahmad Khan, Valuation of Environmental Management Standard ISO 14001: Evidence from an Emerging Market, Journal of Risk and Financial Management, MDPI, Open Access Journal, vol. 12(1), pages 1-14, January.
18. Riaz&Saeed, 2019, Hammad Riaz, Abubakr Saeed, Impact of environmental policy on firm's market performance: The case of ISO 14001, Corporate Social Responsibility and Environmental Management, V. 27, Issuee 2, 2020, March/April, pp. 681-693.
19. Tole&Koop, 2011, Lise Tole, Gary Koop, Estimating the Impact on Efficiency of the Adoption of a Voluntary Environmental Standard: An Empirical Study of the Global Copper Mining Industry, STRATHCLYDE DISCUSSION PAPERS IN ECONOMICS, DEPARTMENT OF ECONOMICS UNIVERSITY OF STRATHCLYDE GLASGOW, NO. 11-36.
20. Use of ISO, 2017, Use of ISO Management System Standards Continues to Rise https://www.iso.org/news/ref2228.htm



***Gela Aladashvili***


## MANAGEMENT IMPROVING WAYS OF ENVIRONMENTAL PROTECTION

**Summary**


This article deals with discussing aspects of environmental protection management improvement, according to analysis, based on consequences after introducing ISO 14001, that was carried out on the relevant academic literature basis.

In contemporary challenges of sustainable development , issues of effective consumption of natural resources are crucially indicated, that should be envisaged by companies, working on these resources. Global announcement to develop environmentally-friendly production, that will be safe for future generations is realized in the working process, this sets objectives for management. Due to this, environmental protection issues really matter

ISO 14001, implies certification in the field of environmental protection management and its usage is available in any part of business .Holding this certificate , reveals company’s attitude to control environmental protection management and is a high standard of CSR,this triggers to boost company’s image.

ISO 14001:2015 determines demands of environmental protection management systems that can be used to improve its environmentally-friendly activities ISO 14001: 2015 is targeted for an organization, that constantly attempts to manage environmental responsibilities, this is the basis of environmental sustainability.

Introducing this standard is optional. Motivation and benefits for this vary. Critical opinions indicate faded outcomes of certification and introducing this standard. not directly for environmental impact. The motivation is really biased to a different result. However, certification, according to environmental protection standard has a positive reflection as well

ISO 14001 assists to decrease negative impact on the environment, cuts costs,expamds company durability on international scale and within customers and regulatory agency as well, this triggers to expand an opportunity of obtaining the status of a responsible company. It meets legal standard requirements, expands chances to enter the market steadily. National cultural issues affect on the environmental protection management, and the role of ”Institutional Collectivism”. In the third , national program of environmental protection of Georgia, expansion of society cognition, should be widely considered, this will definitely have a positive impact on introducing and improving environmental protection management.

***Keywords:*** *Environmental Protection Management, ISO Standards.*

***ხათუნა ბერიშვილი***

## ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი საზოგადოების მდგრად და ინოვაციურ განვითარებაში

***ანოტაცია.*** *სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს საზოგადოებასა და ორგანიზაციის მდგრად განვითარებას შორის. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება წინაპირობებს ქმნის ინოვაციური კულტურის განვითარებისთვის. ის გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების, მართვის მეთოდების, ცოდნისა და გამოცდილების შექმნის გადაცემის პროცესს. მეცნიერები ინოვაციურ კულტურას ხედავენ ინოვაციების მიზნობრივ დანერგვაში საზოგადოებრივი ინტერესების ბალანსისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მიზნით.*

*სტატიაში ნაჩვენებია „სოციალური პასუხისმგებლობის” კონცეფციის თეორიული ასპექტები საზოგადოების ინოვაციური კულტურის განვითარების კონტექსტში. ინოვაციების დანერგვას თან ახლავს არა მხოლოდ დადებითი შედეგები, არამედ ისინი ზოგჯერ იწვევენ სოციალური, ეკონომიკური, ტექნიკური ფაქტორების საზოგადოებაზე გავლენის არაპროგნოზირებადობას. წინამდებარე გამოკვლევაში განხილულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის როლი ინოვაციური კულტურის სამოტივაციო ფუნქციის ჩამოყალიბებაში.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ინოვაცია, ინოვაციური კულტურა, ინოვაციური კულტურის ფუნქციები, სოციალური პასუხისმგებლობა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.*

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების კონცეფციაზე, რომელიც აისახა დოკუმენტში: „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“, ის აერთიანებს: ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ განვითარებას და გარემო დაცვას. მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები გლობალური და უნივერსალურია, რადგან ისინი ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს [1]. საერთაშორისო დოკუმენტებში მდგრადი განვითარების კონცეფცია განიხილება მომავალი თაობების პერსპექტივიდან. ამ რეალობიდან გამომდინარე, თანამედროვეობამ უნდა უზრუნველყოს რესურსების დაზოგვასა და მომავალი თაობების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტაცია [2].

თეორიულ დონეზე ბიზნესორგანიზაციის მდგრადი განვითარება უნდა იზიარებდეს „საზოგადოების მდგრადი განვითარების“ ფუძემდებლურ დებულებებს. ამასთან, პრაქტიკაში მრავალი წინააღმდეგობაა დეკლარირებულ პრინციპებთან მიმართებით. ეს იმის გამო ხდება, რომ კაცობრიობის გადარჩენის გრძელვადიანი იმპერატივები შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ეკონომიკურ ინტერესებს. ეს ინტერესები, პირველ რიგში ვლინდება საწარმოს ეკონომიკურ ეფექტიანობასა და მოგების მიღებაში.

სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს საზოგადოებასა და ორგანიზაციის მდგრად განვითარებას შორის. სოციალური პასუხისმგებლობის მექანიზმები არის ინოვაციური კულტურის საფუძველი. ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს

გარემოზე ზემოქმედების შედეგების კონტროლს, ასევე საზოგადოების კეთილდღეობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად ნებაყოფლობითი ვალდებულებების შესრულებას.

საწყის ეტაპზე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა გამოვლინდა ქველმოქმედების სახით. XIX საუკუნეში, ინდუსტრიული საზოგადოების განვითარებასთან ერთად, სოციალური პასუხის-მგებლობის სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამ მიმართულებით საზოგადოებრივი კავშირების საქმიანობა გახდა სოციალური პასუხისმგებლობის ახალი ფორმების გაჩენის მნიშვნელოვანი სტიმული [3]. აშშ-ი XX საუკუნის 30-იან წლებში, დიდი დეპრესიის შედეგად, მიიღეს შრომის სფეროში საზოგადოებრივი ინტერესების დამცავი სამთავრობო ზომები. გასულ საუკუნეში დასავლეთის ქვეყნების შრომითი კანონმდებლობა გაუმჯობესდა პროფკავშირების ზეწოლის შედეგად. ბიზნესი, საზოგადოების ზეგავლენის შედეგად, იძულებული გახდა მიეღო მუშაკთა სოციალური უზრუნ-ველყოფის გარანტიები. ამ პერიოდში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციაში დომინირებდა კომპენსაციის იდეა, რომლის შესაბამისად, ნებისმიერი მატერიალური და არამატერიალური ზარალი შეიძლება ანაზღაურდეს ფულადი ეკვივალენტით. კომპანიებმა უნდა აანაზღაურონ ის ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოს [4].

პირველი ნაშრომები სოციალური პასუხისმგებლობის ბიზნესზე ზეგავლენის შესახებ გამოქვეყნდა XX საუკუნის შუა ხანებში. ჰ. ბოუენის წიგნში: „ბიზნესმენის სოციალური პასუხისმგებლობა", ავტორმა გააანალიზა სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ბიზნესზე გავრცელების შესაძლებლობები. მეცნიერის აზრით, საქმიანი გადაწყვეტილების მიღებისას უფრო ფართო სოციალური მიზნების რეალიზაციას საზოგადოებისთვის ეკონომიკური და სოციალური სარგებელი მოაქვს [5].

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობი კონცეფციის განვითარებას იმპულსი მისცა საზო-გადოებაში ბიზნესის როლის შესახებ შეხედულების ცვლილებამ. თანამედროვეობაში დომინირებს სოციალური პასუხისმგებლობის, როგორც სოციალური პრობლემების გადაჭრაში ბიზნესის ნება-ყოფლობითი დახმარების კონცეფცია. ბიზნესის სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევა გულისხმობს მის მონაწილეობას სახელმწიფოს სოციალური პროგრამების რეალიზაციაში. ბიზნესის პასუხისმგებლობა მოიცავს ყველა იმ ინიციატივის აქტიურ მხარდაჭერას, რომლებიც მიზნად ისახავს ბიზნესის განვითარებასა და სოციალური კლიმატის გაუმჯობესებას.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება ქმნის წინაპირობებს ინოვაციური კულტურის განვითარებისთვის. ის გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების, მართვის მეთოდების შექმნას, ცოდნისა და გამოცდილების გადაცემას. თანამედროვე მეცნიერები ინოვაციურ კულტურას ხედავენ ინოვაციების მიზნობრივ დანერგვაში საზოგადოებრივი ინტერესების ბალანსისა და მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად [6]. ინოვაციური კულტურის აკმეოლოგიურ ფუნქციას წინა პლანზე გამოყავს საზოგადოების მდგრადი განვითარების ღირებულებები. ინოვაციური კულტურა არის ინოვაციების პროცესში შექმნილი ფასეულობების ერთობლიობა და წარმოდგენილია ინოვაციური პროდუქტებით, ტექნოლოგიებით, ორგანიზაციული და ეკონომიკური გადაწყვეტილებებით, რომელსაც აქვს იურიდიული, ეკონომიკური ან სოციალური ღირებულება[7]. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ევოლუცია აშკარად მეტყველებს ამ კონცეფციის ინტერპრეტაციის ცვლილებაზე, ინოვაციური კულტურის აკმეოლოგიური საფუძვლის კონტექსტში.

ბიზნესის პასუხისმგებლობის კლასიკური მიდგომა მოიცავს მოგების ზრდის მიზნით ეკონომიკური ვალდებულებების შესრულებას აქციონერების მიმართ. ბიზნესის ეკონომიკური პასუხისმგებლობის კონცეფცია შემუშავდა მ. ფრიდმანის და დ. ჰენდერსონის კორპორაციული ეგოიზმის თეორიის ფარგლებში. თეორიის ძირითადი დებულებები დაიყვანება იმაზე, რომ ბიზნესის მთავარი ამოცანა კომერციული წარმატების მიღწევაა. სოციალური საჭიროებებისადმი ზრუნვა გრძელვადიან პერიოდში მდგრადი ფინანსური მდგომარეობის შედეგია. როგორც კორპორაციული ეგოიზმის თეორიის ალტერნატივა, წარმოიშვა კორპორაციული ალტრუიზმის კონცეფცია. კორპორაციული ალტრუიზმის კონცეფციის დებულებებით, ბიზნესმა წვლილი უნდა შეიტანოს სოციალური პრობლემების მოგვარებაში, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და ასევე ბუნებრივი გარემოს დაცვაში [6].

ინოვაციური კულტურის აქსიოლოგიური საფუძველი მოიცავს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს. ამ სტრუქტურის აღწერისას გამოიყენება მრავალმხრივი პირამიდის მოდელი [8].




**ნახ. 1. ინოვაციური კულტურის აქსიოლოგიური საფუძველი**

პირამიდის ძირში არის ეკონომიკური პასუხისმგებლობა. ეს განისაზღვრება კომპანიის წარმოების ფუნქციით ბაზარზე _ ეკონომიკური პასუხისმგებლობით მომხმარებლებს მიაწოდოს ხარისხიანი საქონელი და მომსახურება ხელმისაწვდომი ფასებით.

ბიზნესის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ხორციელდება კანონების შესაბამისად საქმიანობის განხორციელების გზით. ამ ტიპის პასუხისმგებლობა რეგულირდება კანონით გათვალისწინებული სანქციებით.

ბიზნესის ეთიკური პასუხისმგებლობაა ეთიკური ვალდებულებების შესრულება. ორგანიზაციების ეთიკური სტანდარტების ჩარჩო უფრო ფართოა, ვიდრე იურიდიული პასუხისმგებლობა. ეთიკური პასუხისმგებლობა, განსხვავებით იურიდიულისაგან, არ ეყრდნობა მკაცრად განსაზღვრული სანქციების სისტემას, ამიტომ არ მიიჩნევა სავალდებულოდ.

დისკრეციული (ქველმოქმედებითი) პასუხისმგებლობა გულისხმობს ბიზნესის ნებაყოფლობით მონაწილეობას სოციალური პროგრამების განხორციელებაში სხვადასხვა დონეზე. ამ ტიპის პასუხისმგებლობა ვრცელდება როგორც ორგანიზაციის თანამშრომლებზე, ასევე მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების სოციალური დახმარების საჭიროებაზე.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ხელს უწყობს ინოვაციური კულტურის ინტეგრაციული ფუნქციის განხორციელებას, რომელიც ვლინდება ინდივიდებს, სოციალურ ინსტიტუტებსა და სოციალურ სისტემას შორის სოციალური კავშირების ფორმირებაში [9]. ინოვაციური კულტურა წარმოადგენს ორგანიზაციული, იურიდიული, პოლიტიკური, პროფესიული, პიროვნული კულტურების კვეთას. კულტურის ეს სფერო ასახავს პროგრესული ტენდენციების ინოვაციურ ხასიათს.

კომპანიების საქმიანობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვა უნდა იყოს ინტეგრირებული ყველა ბიზნესპროცესში და განხორციელდეს სისტემატურად. გადაწყვეტილების მიღებისას კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და გარემო ფაქტორები. ბიზნესის პრაქტიკაში საზოგადოების მოლოდინების და ზოგადად მიღებული ეთიკური სტანდარტების გათვალისწინება ასევე წარმოადგენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ერთ–ერთ სფეროს. ბიზნესის წვლილი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში ხორციელდება საპარტნიორო პროგრამების და ადგილობრივი განვითარების პროექტების საშუალებით.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის განხორციელება ხელს უწყობს ინოვაციური კულტურის სამოტივაციო ფუნქციის ჩამოყალიბებას. ეს ფუნქცია კონკურენტულ გარემოში ახლის შექმნისა და განხორციელების მიზნით ქმნის სტიმულირების სისტემას. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ეფექტიანი პოლიტიკა ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალური სუბიექტების: თანამშრომლების, აქციონერების, ინვესტორების, საჯარო ხელისუფლების, მომხმარებლების, ბიზნესპარტნიორების, პროფესიული საზოგადოებების ინტერესებს. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ამისათვის აუცილებელია დაინტერესებულ მხარეებთან მიმდინარე ურთიერთქმედება, მათი მოსაზრებებისა და მოლოდინების გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში.

ინოვაციური კულტურის სტრატიფიკაციული ფუნქცია ქმნის სოციალური სუბიექტების (ინდივიდების, ორგანიზაციების, რეგიონების) დიფერენცირების ახალ გზებს, მაგალითად, განვითარების დონით და ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე. თანამედროვე ავტორები

საზოგადოების ინოვაციურ კულტურას მიიჩნევენ, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ იდეებს, სტერეოტიპებს, ფასეულობებს, ქცევის ნორმებსა და ცოდნის სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს ცხოვრების ყველა სფეროს გაუმჯობესებას.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დადებითი ასპექტები მოიცავს რეპუტაციულ ეფექტს. ეს გამოწვეულია კომპანიის იმიჯისა და ბრენდის, მისი საქმიანობისადმი ნდობის გაზრდით. კომპანიის გარშემო დადებითი გარემოს შექმნა ასევე უნდა მიეკუთვნოს სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის დადებით ფაქტორებს. ეს ღონისძიებები უზრუნველყოფს ბიზნესის მხარდაჭერას დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრისთვის, მათ შორის, მისი ინვესტიციის მიმზიდველობის განვითარების მიზნით. ეს კომპანიის შანსებს ზრდის მსოფლიო ბაზარზე.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების განხორციელება გაზრდილი კონ-კურენციის პირობებში კომპანიებისთვის მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობად იქცევა. კომპანიის იმიჯი და მომხმარებელთა ნდობა დადებით გავლენას ახდენს გაყიდვების ზრდაზე. კომპანიის რეპუტაცია კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბიზნესის მონაწილეობა სოციალური პრობლემების გადაჭრაში განიხილება, როგორც ინვესტიცია ადამიანური კაპიტალის ფორმირებაში. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მოდელი ვრცელდება არა მხოლოდ ორგანიზაციის თანამშრომლებზე, არამედ მოსახლეობის სხვა სეგმენტებზეც. ეს გამოწვეულია ახალგაზრდების, პენსიონერების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ა.შ. მხარდაჭერაში. ამრიგად, ბიზნესი არა მხოლოდ ასრულებს სახელმწიფოს წინაშე გარკვეულ ვალდებულებებს, არამედ ქმნის პირობებს კომპანიების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარების უპირატესობებისა, ყველა კომპანიას არ აქვს დადებითი დამოკიდებულება მის მიმართ, რადგან სოციალური პროგრამების განხორციელება დამატებით ხარჯებს მოითხოვს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დეფინიციების უმეტესობა ხაზს უსვამს ბიზნესის ვალდებულებას სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების გადაჭრაში. ეს ვალდებულებები შეიძლება შესრულდეს ნებაყოფლობით ან სახელმწიფომ დააკისროს კომპანიას იძულებით. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის განხორციელება გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული სოციალური სტრატეგიის შემუშავებას, არამედ კონტროლის სისტემის, უკუკავშირის, ინფრასტრუქტურის შექმნას.

ამრიგად, სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის არა მხოლოდ დეკლარაციული სურვილი, არამედ ვალდებულებაა, დაეხმაროს საზოგადოებას. სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების განხორციელების გზაზე ბიზნესი აწყდება წინააღმდეგობას სოციალური იდეალების უანგარო განხორციელებასა და მოგებისაკენ სწრაფვას შორის. კომპანიის რაციონალური ქცევის ლოგიკა, პირველ რიგში, ორიენტირებულია ბიზნესის ინტერესების უზრუნველყოფაზე, რაც მიიღწევა ბიზნესის სოციალურ პროგრამებში აქტიური მონაწილეობით.

## დასკვნა

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის განვითარებას იმპულსი მისცა საზოგა-დოებაში ბიზნესის როლის შესახებ შეხედულების ცვლილებამ. თანამედროვეობაში დომინირებს სოციალური პასუხისმგებლობის, როგორც სოციალური პრობლემების გადაჭრაში ბიზნესის ნებაყოფ-ლობითი დახმარების კონცეფცია.

ინოვაციური კულტურის სტრუქტურაში სოციალური პასუხისმგებლობა არის მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების მდგრად, დაბალანსებულ განვითარებას. მეცნიერები ინოვაციურ კულტურას განიხილავენ როგორც საზოგადოებრივი ინტერესების ბალანსისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გათვალისწინებით ინოვაციების მიზნობრივ დანერგვას. ინოვაციური კულტურის აკმეოლოგიურ ფუნქციას წინა პლანზე გამოყავს საზოგადოების მდგრადი განვითარების ღირებულებები. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ევოლუცია აშკარად მეტყველებს ამ კონცეფციის ინტერპრეტაციის ცვლილებაზე ინოვაციური კულტურის აკმეოლოგიური საფუძვლის კონტექსტში.

საზოგადოების ინოვაციური კულტურის საფუძველს წარმოადგენს სოციალური პასუხის-მგებლობის მარეგულირებლები. ისინი ხელს უწყობენ ინოვაციური კულტურის შემოქმედებითი, აკმეოლოგიური, სტრატიფიკაციური და ინტეგრაციული ფუნქციების შესრულებას.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ახალი გლობალური დღის წესრიგი მდგრადი მომავლისათვის http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.XqFnmGYzbIU

2. REPORT on the Communication from the Commission concerning Corporate Social Responsibility: A business contribution to Sustainable Development (COM(2002) 347 - 2002/2261(INI)) Committee on Employment and Social Affairs Rapporteur: Philip Bushill-Matthews 23 April 2003 / [Electronic resource]

3. Бордяшов Е. С. Перспективы реализации новой стратегии развития Европейского союза. «Европа-2020» // Вестник МГИМО. – 2012. – №3. – С.108-112.

4. Bowen H.R. Social Responsibilities of the Businessman / H.R. Bowen. New York: Harper&Row, 1953. 346 p.

5. Голденова В.С., Слободчикова И.В., Боджаева В.В. Социальная ответственность бизнеса как неотъемлемый элемент инновационного развития // Экономика и менеджмент инновационных технологий. – 2012. – № 10. [Электронный ресурс]: http://ekonomika.snauka.ru ( Дата обращения 28.02.2017)

6. Berishvili Khatuna (2017) *Problems of evaluation and change of corporative social responsibility.* In: International business in the world economic system. Universal, Tbilisi. ISBN 9789941175986

7. Berishvili Khatuna (2018) *Empirical study of the factors, determining specificity of the concept of business social responsibility in Georgia.* In: International business in the world economic system. Universal, Tbilisi. ISBN 978-9942-16-598-6

8. Долгова В. И. Акмеологическая сущность инновационной культуры кадров государственной службы // Вестник Челябинского университета. – Сер. 5 : Педагогика. Психология. – 1999. – № 1. – С. 65-71.



***Khatuna Berishvili***


## THE ROLE OF BUSINESS SOCIAL RESPONSIBILITY IN THE SUSTAINABLE AND INNOVATIVE DEVELOPMENT OF SOCIETY


**Summary**

The development of a socially responsible business concept gave impetus to a change in public opinion about the role of business. In modernity, the concept of social responsibility dominates as voluntary assistance to business in solving social problems. Socially responsible business behavior implies its participation in the implementation of state social programs. Responsibility of the business includes active support of all initiatives aimed at developing the business and improving the social climate. Social responsibility regulators are the basis of an innovative culture in society. They contribute to the creative, acmeological, adaptive, stratifying, and integrative functions of the innovation culture.



*გიორგი ბრეგვაძე*


## უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში


***ანოტაცია.*** *ნაშრომში განხილულია უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში. სტატისტიკური მასალების საფუძველზე გაანალიზებულია ბოლო პერიოდში საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის არსებული მდგომარეობა. კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, დასახულია სასწრაფოდ მისაღები ზომები უმუშევრობის გასაკონტროლებლად.*


უმუშევრობა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულად მოგვარებადი პრობლემაა. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 67% ყველაზე პრობლემატურ საკითხად სამუშაო ადგილების უკმარისობას მიიჩნევს. სექტემბრის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 66% თავს დაუსაქმებლად თვლის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიხედვით კი, 2019 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე (უმუშევრების პროცენტული რაოდენობა სამუშაო ძალაში) 11.6% იყო.

თუ ადამიანებს ვაიძულებთ, უხელფასოდ ან სასურველზე დაბალი ხელფასისთვის იმუშაონ – ყველას დასაქმება მოხერხდება. უმუშევრობა შრომის კომერციალიზაციამ, ანუ შრომაში სასურველი ანაზღაურების (ხელფასის) მოთხოვნის თავისუფლებამ წარმოშვა. შესაბამისად, თუ ქვეყანაში არასასურველი ეკონომიკური მდგომარეობაა და საკმარისად ანაზღაურებული (ხშირ შემთხვევაში ანაზღაურება საარსებოდ საჭირო თანხასაც კი ვერ ფარავს) სამუშაო ადგილების ნაკლებობაა, ხოლო ადამიანებს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა აქვთ, მოსახლეობის ნაწილს არ უღირს დაბალი ხელფასისთვის დაქირავებულად მუშაობა და ცდილობს, სხვა ქვეყანაში იპოვოს უკეთესი სამსახური ან სოფელში, მიწაზე მუშაობით მოიპოვოს არსებობისთვის საჭირო მინიმალური შემოსავალი (ხშირად –

ნატურალური პროდუქტის სახით). საქართველოსთვის ორივე სიტუაცია დამახასიათებელია – ემიგრაციაც და მიწაზე მუშაობაც. თუ ადამიანს არც მიწა აქვს და ვერც საზღვარგარეთ მიდის, ის სოციალურ ან უმუშევრობის დახმარებას იღებს. ზევრ ქვეყანაში უმუშევრობის დახმარება სოლიდურია და კონკურენციას უწევს დაბალანაზღაურებად სამსახურს.

ადამიანის მიერ საკუთარი უმუშევრობის აღქმა ხშირად არ ემთხვევა ოფიციალური სტატისტიკური მეთოდოლოგიით განსაზღვრულ უმუშევრობას. მაგალითად, ბევრი, ვისაც სასურველი სამსახური არა აქვს, მაგრამ მუშაობს, თვლის, რომ უმუშევარია, ამასვე ფიქრობს, თუკი უმაღლესი განათლება აქვს და შესაფერის ადგილზე არ მუშაობს. ხშირად ადამიანი თავს მხოლოდ მაშინ აღიქვამს დასაქმებულად, თუ ხელფასი აქვს დანიშნული (დაქირავებულია). ასე გაჩნდნენ „უმუშევარი" ტაქსის მძღოლები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები, სოფლის მეურნეობაში საკუთარ მიწაზე დასაქმებულები და ა.შ. ოფიციალური სტატისტიკით კი ისინი უმუშევრებად არ ითვლებიან.

დღეისათვის გაეროს ყველა წევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, უმუშევრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოლოგია გამოიყენება, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO – გაეროს შვილობილი ორგანიზაცია) მიერ არის შემუშავებული. საერთაშორისო მეთოლოგიებს პირველ რიგში ის დანიშნულება აქვს, რომ სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები შესადარისი იყოს. მაგალითად, თუ საქართველოსა და სომხეთში უმუშევრობის დონის დათვლის მეთოდოლოგია განსხვავებული იქნება, მიღებული შედეგების შედარება არ მოგვცემს საშუალებას ვთქვათ, რომელ ქვეყანაში უფრო მაღალია უმუშევრობის დონე. გარდა ამ მიზნისა, უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგიის მთავარი ამოცანაა, სწორად განაწილდეს უმუშევრობის დახმარება, არ მიიღოს დახმარება მან, ვინც რეალურად უმუშევარი არ არის და საკუთარი შრომითი შემოსავალი აქვს. აქედან გამომდინარე, უმუშევარი ადამიანის დასადგენად საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმებია შემუშავებული. საქართველოში უმუშევრობის დახმარება არ არის, მაგრამ, რადგან გაეროს წევრი ვართ, ვალდებულება გვაქვს, რომ ჩვენც მათი მეთოდოლოგია გამოვიყენოთ. ამასთან, უმუშევრობაზე დაკვირვება გვეხმარება, განვსაზღვროთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და თუ რამდენად უმჯობესდება/უარესდება სოციალური ფონი ქვეყანაში.

ახლა კი დაწვრილებით იმის შესახებ, თუ როგორ თვლის საქსტატი დასაქმება/ უმუშევრობის მაჩვენებლებს. დათვლა ხდება შინამეურნეობის (ოჯახების) კვლევის გზით. გამოკვლევა მიმდინარეობს ყოველკვარტალურად, რომლის დროსაც ხორციელდება დაახლოებით 3,400 შინამეურნეობის 15 წლისა და უფროსი ასაკის წევრების გამოკითხვა, გარდა: 1. იმ პირებისა, რომლებიც არ იმყოფებიან შინამეურნეობაში 12 თვისა და მეტი პერიოდის განმავლობაში; 2. სამხედრო პირებისა, რომლებიც ცხოვრობენ ყაზარმებში 3. საპატიმროებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, მოხუცთა თავშესაფრებში, ინტერნატებსა და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები პირებისა.

ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოში ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დაწესებული, რადგან საპენსიო ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა საკმაოდ მაღალია. პენსიონერიც შეიძლება უმუშევრად ჩაითვალოს.

დასაქმებულად ითვლება 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთ საათს მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგებისა და ა.შ.) მიღების მიზნით, უსასყიდლოდ ეხმარებოდა სხვა შინამეურნეობის წევრებს ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

უმუშევრად ითვლება 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთ საათსაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში. შესაბამისად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსის მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთ საათს მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგებისა და ა.შ.) მიღების მიზნით, საქსტატის მეთოდოლოგიის თანახმად, დასაქმებულად ითვლებიან.

2019 წლის IV კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 10.9 პროცენტი შეადგინა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე 2018-2019 წლებში კვარტალების მიხედვით.

**ცხრილი 1[119]**




2019 წლის IV კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 61.7 პროცენტი შეადგინა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია როგორც მოსახლეობის აქტიურობის დონე, ასევე დასაქმების დონე, შესაბამისად 1.9 და 0.8 პროცენტული პუნქტით. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 0.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 0.8 პროცენტული პუნქტით. აქტიურობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირდა 2.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.9 პროცენტული პუნქტით. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აქტიურობის და დასაქმების დონე 2018-2019 წლებში კვარტალების მიხედვით.

**ცხრილი 2[120]**




2019 წლის IV კვარტალში დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 50.0 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.3 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით 2018-2019 წლებში.

[119] ცხრილი 1 შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.
[120] ცხრილი 2 და 3 შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

**ცხრილი 3**

დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით

(%)




უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სასოფლო დასახლებებში საქალაქო დასახლებებთან შედარებით. 2019 წლის IV კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში 2.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში 0.1 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში 2018-2019 წლებში კვარტლების მიხედვით.

**ცხრილი 4**[121]

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში

(%)




უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2019 წლის IV კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 2.4 პროცენტული პუნქტით აღემატება ქალების შესაბამის მაჩვენებელს. ამასთან, უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია როგორც ქალებში, ისე კაცებში, შესაბამისად 1.4 და 1.6 პროცენტული პუნქტით. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში 2018-2019 წლებში კვარტლების მიხედვით.

121 ცხრილი 4 შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

**ცხრილი 5**[122]




აქტიურობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2019 წლის IV კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 53.0 პროცენტს, ხოლო კაცებში 71.5 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აქტიურობის დონე ქალებში შემცირებულია 2.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 1.3 პროცენტული პუნქტით. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აქტიურობის დონე სქესობრივ ჭრილში 2018- 2019 წლებში კვარტლების მიხედვით.

2019 წლის IV კვარტალში დასაქმების დონე ქალებში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.6 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, ხოლო კაცებში უცვლელი დარჩა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმების დონე სქესობრივ ჭრილში 2018- 2019 წლებში კვარტლების მიხედვით.

**ცხრილი 6**[123]




კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით საქართველოში უმუშევრობის პრობლემამ უფრო მწვავედ დადგა. სახელმწიფოს მოუწევს მთელი რიგი ღონისძიებების გატარება ქვეყნის ეკონომიკის აღდგენისა და შესაბამისად უმუშევრობის დაძლევის მიზნით. სწორედ აღნიშნავს პროფესორი რ. აბესაძე, რომ უნდა შეიქმნას დასაქმებისა და მიგრაციის სახელმწიფო სამსახური, რომელიც შეასრულებს შრომის ბირჟის როლს. მის მოვალეობაში უნდა შევიდეს: თავისუფალი სამუშაო ადგილების (ვაკანსიების) და უმუშევართა (პასიურთა და აქტიურთა) აღრიცხვა; კონსულტაციების გაწევა უმუშევართათვის სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებით; უმუშევრებისათვის დახმარებების გაცემა; მოქალაქეთა პროფესიული მომზადება და გადამზადება; შრომის ბაზარზე მდგომარეობის შეფასება (ეკონომიკური და

[122] ცხრილი 5 შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.
[123] ცხრილი 6 შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

არაეკონომიკური, ეკონომიკურად აქტიური და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რაოდენობის დადგენა და ა.შ.) და სათანადო ინფორმაციის მომზადება; საქართველოში შრომით ემიგრანტთა და იმიგრანტთა აღრიცხვა, შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და სხვა.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. რ.აბესაძე, უმუშევრობა და მისი მიზეზები საქართველოში. ჟურნალი ეკონომისტი #5, 2009წ.
2. საქართველოს სტატისტკის ეროვნული სამსახრუსი მონაცემები
3. უმუშევრობის პრობლემა - ზ.მანჩავიძე 15.11.2015 ვებგვერდი http://forbes.ge
4. ქეთევან ჩიტალაძე & რუსუდან ქინქლაძე - უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში tsu.ge



***George Bregvadze***


**UNEMPLOYMENT AND EMPLOYMENT IN GEORGIA**
**Summary**


The paper discusses the problems of unemployment and employment in Georgia. Based on the statistical materials, the current situation of employment and unemployment in Georgia has been analyzed recently. Due to the situation with the coronavirus epidemic, urgent measures have been taken to control unemployment.



*მაია გოგოხია*


## ფინანსური ბაზრის რეგულირების ზოგიერთი საკითხი


***ანოტაცია.*** *ფინანსური ბაზარი ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმია. აქედან გამომდინარე, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ბაზრის განვითარება ჯანსაღი ეკონომიკის აუცილებელი პირობაა.*

*წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია საბანკო სისტემის და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების საკითხები, რომელთა შორისაა ცენტრალური ბანკების საქმიანობის ორგანიზება და უფლებამოსილების საზღვრები, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ახალი მოთხოვნები, საფონდო ბაზრის რეგულირების გაძლიერების ასპექტები.*



***საკვანძო სიტყვები:*** *ფინანსური ბაზარი, საბანკო სისტემა, ფასიანი ქაღალდები, რეგულირება.*


ფინანსურ ბაზარს აქვს რთული სტრუქტურა, ის აერთიანებს ბაზრების სხვადასხვა სახეობას, რომელთაც აქვთ საკუთარი სეგმენტი. ფინანსური ინსტრუმენტის, როგორც ურთიერთობათა ობიექტის მიხედვით, ფინანსური ბაზრის შემადგენლობაში გამოყოფენ: საკრედიტო, ფასიანი ქაღალდების, სავალუტო, ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ბაზარს.

საქართველოში საფინანსო სისტემა ბანკებზეა ორიენტირებული [გოგოხია მ., 2019: 164]. საბანკო სექტორის რეგულირების თანამედროვე მოდელის საკვანძო საკითხია ცენტრალური ბანკების საქმიანობის ორგანიზება და მათი უფლებამოსილების საზღვრები. გამოიყოფა ორგანიზაციული სტრუქტურით განსხვავებული საზედამხედველო სისტემის რამდენიმე ტიპი. ზოგიერთ ქვეყანაში საზედამხედველო საქმიანობა მთლიანად თავმოყრილია ცენტრალურ ბანკში. არის ქვეყნები, სადაც საზედამხედველო ფუნქციები განაწილებულია ცენტრალურ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის. ზედამხედველობის ამ მოდელის არჩევანი დაფუძნებულია მოსაზრებაზე, რომ ფინანსთა სამინისტრო ფლობს მეტ ობიექტურობას ბანკების ფინანსური მდგრადობის შეფასებისას. ზოგიერთ ქვეყანაში, ცენტრალურ ბანკთან ერთად, ზედამხედველობის სისტემაში ჩართულია სპეციალურად შექმნილი ორგანოები. ანალიტიკური სამუშაოს ჩატარებისას სხვადასხვა საზედამხედველო ორგანოს საქმიანობაში ადგილი აქვს გარკვეულ დუბლირებას. ექსპერტების აზრით, ასეთი დუბლირება ზრდის ზედამხედველობის ეფექტიანობას, რადგან რამდენიმე საზედამხედველო ორგანოს არსებობა ქმნის ერთგვარ ,,შეკავებისა და საპირწონეთა სისტემას“. რიგმა ქვეყანამ კი მიიღო კანონმდებლობა მეგარეგულატორის შექმნის თაობაზე ფინანსური მომსახურების ბაზარზე, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას ფინანსური ბაზრის ყველა სექტორზე.

ვაანალიზებთ რა 2008-2010 წწ. მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგებს სხვადასხვა ქვეყნისათვის, რომლებიც იყენებდნენ განსხვავებულ მიდგომას საბანკო სექტორის რეგულირების ორგანიზებისადმი, ყოველი მოდელისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი ქვეყნისა, სადაც კრიზისმა გამოიწვია სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების კრახი ან, პირიქით, კრიზისის შედეგები საბანკო

სისტემისათვის არც ისე მნიშვნელოვანი იყო. ამგვარად, საბანკო ზედამხედველობის ეფექტიანობას განსაზღვრავს არა იმდენად, თუ რომელი და რა რაოდენობის ორგანო ახორციელებს მას, არამედ ზემოქმედების რომელ ინსტრუმენტებს ფლობენ ისინი კანონმდებლობით, მათი თანამშრომლების პროფესიონალიზმი და ასევე - ორგანიზაციული სტრუქტურა.

ამავდროულად, ბოლო პერიოდში საზღვარგარეთ ჩატარებული ფინანსური არასტაბილურობის გამოკვლევებში მითითებულია შესაძლებლობაზე, ავირიდოთ შოკების ფართო სპექტრი ფინანსურ სექტორსა და მთლიანობაში ეკონომიკაზე, მეგარეგულატორის შექმნის გზით [demirguc-kunt A., Detragiache E., 2005]. ამის თვალსაჩინო მაგალითია ევროკავშირის ფარგლებში შექმნილი ახალი საზედამხედველო ორგანო ESRC (European Systemic Risk Council), რომლის მიზანია სისტემური რისკების მონიტორინგი.

აღნიშნულთან ერთად, მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება საბანკო რისკების ისეთ საგარეო ფაქტორებზე, როგორიცაა: საერთაშორისო ფინანსური რისკების თვითღირებულების ფასისმიერი მექანიზმების ეფექტიანობის შემცირება; სისტემური რისკების გაზრდილი დონე, რაც განპირობებულია კაპიტალის თავისუფალი მიგრაციით, ზემოგების მიღებისაკენ სწრაფვა და საერთო ეკონომიკური არასტაბილურობა; სავალო ვალდებულებათა და ფიქტიური კაპიტალის მკვეთრი ზრდა.

XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს გადაუარა უმსხვილესი ბანკების შერწყმა-გაერთიანებისა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან კოოპერაციის უპრეცედენტო ტალღამ [კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., 2014:79]. დღეისათვის საერთაშორისო ფინანსური ბაზრის აქტიური მონაწილეები სწორედ მსხვილი ბანკებია. შერწყმისა და შთანთქმის გარიგებები - M&A (ინგლ. Mergers and Aquisitions) მსხვილი ბანკების ბიზნესის გაფართოების ერთ-ერთი პოპულარული სტრატეგიაა. შთანთქმა შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც საფონდო ბაზრის მიერ განხორციელებული გადარჩევის პროცესის ცენტრალური ელემენტი. ამასთან, განსხვავებული (ყველაზე მდგრადი და ეფექტიანი) კრიტერიუმის სახით მშთანთქმელ და შთანთქმად კომპანიებს შორის ყველაზე ცხადად წარმოჩინდება ფირმის სიდიდე და არა იმდენად - მომგებიანობის ნორმა ან საბაზრო შეფასება. არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ეჭვი კორპორაციული კონტროლის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებაში [HughesA., Singh A., 2008, 409].

საბანკო სექტორში გაერთიანების მთავარი მოტივია შესაძლო სინერგიული ეფექტი, რაც გამოიხატება იმით, რომ შერწყმის (ან შთანთქმის) შედეგად შექმნილი ბანკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები შეიძლება გაცილებით უკეთესი იყოს.

საბანკო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპის საერთო ტენდენციაა თვითრეგულირების როლის ზრდა, რაც გამოიხატება მსოფლიო საბანკო თანამეგობრობის საქმიანობის გაფართოებით საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის სახით.

ქართული კომერციული ბანკები გადავიდნენ საბანკო რეგულირების ბაზელის პინციპებზე (ბაზელ III). ბაზელ III-ის ძირითადი დებულებების დანერგვამდე მათ უნდა გადაეწყვიტათ რიგი კომპლექსური საკითხი, დაკავშირებული საბანკო რისკების შემცირებასთან, საბანკო სესხებისა და ლიკვიდური აქტივების ხარისხის გაუმჯობესებასთან, საბანკო პერსონალისადმი მოთხოვნების გაზრდასთან. სპეციალურად განიხილებოდა გაზრდილი მოთხოვნები IT-რისკებისადმი, საბანკო კომპიუტერული ტექნოლოგიების მუშაობისა და დაცვისადმი.

მიუხედავად საქართველოს თანამედროვე ეკონომიკაში არსებული პრობლემებისა, ბაზელ III-ის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვამ ხელი უნდა შეუწყოს საბანკო სისტემის მდგრადობას. საბანკო რისკის სტრუქტურის რეგულირება დაადასტურეს ცენტრალური ბანკების მმართველებმა და საზედამხედველო ორგანოების მეთაურებმა (GHOS) [bis.org/bcbs/basel.htm3]. გადასინჯული სტანდარტები ბანკებს უფრო მოქნილს გახდის და აღადგენს რწმენას საბანკო სისტემებისადმი.

2014 წელს გამოქვეყნებული ,,ბაზელ IV“-ის გადასინჯული სტანდარტიზებული მიდგომა საბაზრო რისკისადმი, პირველად აკეთებს აქცენტს ისეთ სამ გზავნილზე, როგორიცაა: რისკი, რისკის მართვა, რისკზე ორიენტირებული ზედამხედველობა.

მგრძნობელობაზე დაფუძნებული მეთოდის შესაბამისად, საკრედიტო, საოპერაციო, საპროცენტო და სხვა რისკებისათვის ჩამოყალიბდა საბანკო საქმიანობის ეფექტიანი მართვის ახალი კონცეფცია, რაც ახალ მოთხოვნებში აისახა [BIS, 2017:162].

სახელმწიფოს მხრიდან ფასიანი ქაღალდების რეგულირების გაძლიერება აიხსნება იმ როლით, რომელსაც ეს ბაზარი ასრულებს აწმყოში და მისწრაფებით, გაიზარდოს ბაზრის საიმედოობა და ნდობა მისდამი ყველა მონაწილის მხრიდან.

პირდაპირი ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება, რაც ნებისმიერი ქვეყნის საფუძველთა საფუძველია. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების მიზანი ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალის მოდინების გაზრდაა. ამის მიღწევა კი მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნითა და ეფექტიანი ფუნქციონირებითაა შესაძლებელი.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს მისი ინფრა-სტრუქტურა: ბირჟები და სავაჭრო სისტემები, რეგისტრატორები, დეპოზიტარები და საკლირინგო სისტემები, საინფორმაციო, სარეიტინგო და კონსალტინგური სააგენტოები, ანალიტიკურ-კვლევითი და საექსპერტო ცენტრები.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო რეგულირება მოიცავს: მარეგულირებელი ორგანოს შექმნას, შესაბამისი ნორმატიული ბაზის მუდმივ სრულყოფას, მონაწილეთა მიერ წესების დაცვის კონტროლს, იურიდიული და ფიზიკური პირების ბაზარზე დაშვების ორგანიზებას (ცოდნით, გამოცდილებით, კაპიტალით და სხვ.), ბაზრის მონაწილეთა შორის დავათა გადამწყვეტი ორგანოს შექმნას, დამრღვევთა მიმართ სანქციების შემუშავებას (ადმინისტრაციული, ეკონომიკური, ლიცენზიის შეჩერება ან ანულირება).

ინვესტორისათვის ფასიანი ქაღალდების მთავარი განსხვავება, ბუნებრივია, არის ამფასიანი ქაღალდების მიხედვით შემოსავლის პირობები და სიდიდე. სტაბილური და ურისკო შემოსავლიანობა იზიდავს ბევრ მსხვილ ინვესტორს: საარბიტრაჟო ოპერაციების თავისებურება ის არის, რომ მნიშვნელოვანი მოგების მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ პირველ ინვესტორებს, რომლებმაც ოპერატიული რეაგირება მოახდინეს ფასების ცვლილებაზე, დანარჩენებს შესაძლოა არაფერი დარჩეთ. აქ წინა პლანზე გამოდის ტექნოლოგია: ვინც უფრო სწრაფად მოახდენს რეაგირებას ცვალებად სიტუაციაზე, გამარჯვებულიც ის არის.

ეკონომიკის სტაბილური განვითარების პირობებში საფონდო ბაზრის კაპიტალიზაციამ შეიძლება მნიშვნელოვნად გადააჭარბოს აქციონერული კომპანიების რეალურ ღირებულებას და აღმოცენდეს მნიშვნელოვანი გარღვევა აქტივების (ძირითადი ფონდების) რეალურ ღირებულებასა და ამ აქტივების ფაქტობრივ ღირებულებას შორის, გამოხატული ფასიანი ქაღალდებით. მაგრამ, დროთა განმავლობაში, საფონდო ბაზრის სტაბილურობა შეიძლება დაირღვეს სხვადასხვა ფაქტორის გავლენით (პოლიტიკური სიტუაციის ცვლილება, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვანი ზრდა, ინფლაციური ნახტომი). შედეგად, ინვესტორებს შეიძლება წარმოეშვათ მოთხოვნა ნაღდ ფულზე მათი დაბანდებისათვის სხვა ფასეულობებში. ამ დროს აქციონერები გაყიდიან მათ კუთვნილ ფასიან ქაღალდებს, რაც აისახება საფონდო ბაზარზე აქციების საკურსო ღირებულების დაცემით. ეს კი უბიძგებს სხვა ინვესტორებს, ასევე გაყიდონ თავისი ფასიანი ქაღალდები, რაც კიდევ უფრო დასცემს მათ ფასებს. ადგილი აქვს ერთგვარ ჯაჭვურ რეაქციას, რომელიც რიგ შემთხვევაში იწვევს სერიოზულ ეკონომიკურ რყევებს.

რეგულირების განხორციელებისას მნიშვნელოვანია: ინფორმაციის მაქსიმალური გახსნილობა ემიტენტების, პროფესიონალი მონაწილეების, მსხვილი ინვესტორების შესახებ; ბაზრის პრობლემებისა და მათი დაძლევის გზების ფართო საზოგადოებრივი განხილვა. ამასთან, თვითრეგულირებად ორგანიზაციებს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე უფლება აქვთ შეიმუშაონ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისა და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების წესები და სტანდარტები, განახორციელონ თანამშრომელთა პროფესიული მომზადება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მუშაობისათვის.

საქართველოში ჩამოყალიბდა ორდონიანი სააღრიცხვო სისტემა: რეგისტრატორი და დეპოზიტარი. უნდა შევნიშნოთ, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საქმიანობის ეს სახეობები საერთოდ არ არის გაყოფილი - რეგისტრატორულ საქმიანობას განიხილავენ როგორც დეპოზიტარული საქმიანობის კერძო შემთხვევას და რეგისტრატორის ფუნქციებს ცენტრალური დეპოზიტარი ასრულებს.

ნიშანდობლივია, რომ 2018 წლიდან სებ-ში GSSS (Georgian Securities Settlement System) სისტემა ამოქმედდა, რომელშიც ჩართულია ფინანსური ბაზრის ყველა ძირითადი მონაწილე: ეროვნული ბანკი, ცენტრალური დეპოზიტარი, კომერციული ბანკები და ბროკერები. ამასთან, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის, რის შედეგადაც ბოლო წლებში კორპორაციული სექტორის აქტივობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საგრძნობლად გაიზარდა. ადგილობრივი კომერციული და სახაზინო ობლიგაციების ბაზარი 2014 წლიდან თითქმის 14-ჯერ გაიზარდა [ობლიგაციების ბაზრის მიმოხილვა 2019].

სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვება, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისა არაინფლაციურ საფუძველზე, შესაძლებლობას იძლევა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები:

- მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების დაფინანსება საცხოვრისის მშენებლობაში, ინფრასტრუქტურაში, სოციალურ უზრუნველყოფაში;
- ეკონომიკური აქტივობის რეგულირება: მიმოქცევაში ფულადი მასის, ზემოქმედება ფასებსა და ინფლაციაზე, ხარჯებსა და მიმართულებებზე ინვესტირების, ეკონომიკური ზრდის, საგადამხდელო ბალანსის და ა.შ.

დღეისათვის საერთაშორისო თანამეგობრობა მიისწრაფვის ფინანსური ბაზრების რეგულირების მექანიზმის შექმნისაკენ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული და საერთაშორისო მეთოდების ერთობლიობა ფულადი კაპიტალის მოძრაობისა და საბანკო რეგულირების შეხამებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქციის შესრულების ძლიერი მხარეებია:

- ზედამხედველობის ორგანული კავშირი ეროვნული ბანკის საქმიანობის ისეთ მიმართულებებთან, როგორიცაა, საგადახდო ბრუნვის ორგანიზება და საკრედიტო ინსტიტუტების რეფინანსირება, რომლის პროცესშიც ეროვნული ბანკი სისტემატურად შეისწავლის საკრედიტო ინსტიტუტების ფინანსურ მდგომარეობას;
- ეროვნულ ბანკში გამოცდილი ანალიტიკოსების არსებობა.

ინტეგრაციული პროცესები, რომელსაც ადგილი აქვს ფინანსურ ბაზრებზე, შესაძლებელს ხდის ეროვნული ბანკის მიერ ზედამხედველობის განხორციელებას ყველა ფინანსურ ინსტიტუტზე. სებ-ი ფლობს დიდძალ ინფორმაციას, რადგან შეისწავლის საშინაო და საზღვარგარეთის ფულად და ფინანსურ რისკებს.

* * *

ამგვარად, სახელმწიფოს მიერ ფინანსური ბაზრის რეგულირების გაძლიერება აიხსნება იმ როლით, რომელსაც ეს ბაზარი ასრულებს. მნიშვნელოვანია ბაზრის საიმედოობის და, შესაბამისად, ყველა მონაწილის მხრიდან მისდამი ნდობის გაზრდა.

აშშ-ში შექმნილია ინვესტორთა დაცვის კორპორაცია და ყველა საბროკერო ფირმა მისი წევრია. ის აკომპენსირებს ინვესტორთა დანაკარგებს არასაბაზრო რისკებისაგან ფონდიდან, რომელიც საწევრო შენატანების ხარჯზე იქმნება.

დასახვეწია ინვესტორთათვის კომპენსაციების გაცემის მექანიზმი, ასევე უნდა დასტიმულირდეს ნებაყოფლობითი საკომპენსაციო სისტემების შექმნა. აუცილებელია, გაძლიერდეს პასუხისმგებლობა არაკეთილსინდისიერი რეკლამისათვის, მინორიტარი ინვესტორების დასაცავად და ფინანსური პირამიდების ორგანიზების თავიდან ასაცილებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. გოგოხია მ., საბანკო სექტორის საქმიანობის რეგულირების საკითხისათვის, ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, 2019, ტ. XI, №1, გვ. 164-170.
2. Demirguc-Kunt A., Detragiache E. Cross-Country Empirical Studies of Systematic Bank distress: A Survey. IMFWP, May, 2005.
3. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2014.
4. Алан Хьюз и Эджит Сингх, Поглощения и фондовый рынок (Takeovers and The Stock Market, Alan Nuges and Ajit Singh) в книге Финансы, под ред. Дж. Итуэлла, М. Милгейта, П. Ньюмена, пер. с англ. 2008.
5. https://www.bis.org/bcbs/basel3.htm/.
6. Basel III: Financing Post-crisis Reforms/Basel Committee en Banking Supervision-Basel: BIS, 2017, 162p.
7. ობლიგაციების ბაზრის მიმოხილვა, 2019 წ. დეკემბერი, www.nbg.gov.ge



***Maya Gogokhia***


**THE REGULATION ISSUE OF FINANCIAL MARKET**
**Summary**


Financial market is important mechanism to attract investments into the counrties economic. Therefore, to develop financial market suitable to world standards is necessary factor of healthy economic.

The paper discusses issues of banking system and securities market regulation, including organization of Central Bank activities and their authority, new approach of Basel Committee on Banking Supervision aspects of strengthening securities market regulation.



***Keywords:*** *financial market, banking system, securities, regulation.*

*ლია დვალიშვილი*

**ჰაერის დაცვის სფეროში საკანონმდებლო სისტემის განვითარების საერთაშორისო გამოცდილების შესახებ**

***ანოტაცია.*** *ნაშრომში საუბარია გარემომცველ სამყაროზე გარემოს დაცვის გავლენისა და მასზე ადეკვატური რეაგირების შესახებ. მითითებულია გარემოზე ადამიანთა საქმიანობის გავლენასა და ეკონომიკური ზრდის ეკოლოგიურ ასპექტზე;*

*ვრცლად მიმოხილულია საკანონმდებლო აქტების მიღების განმაპირობებელი ფაქტორები როგორც ჰაერის დაცვის, ისე ზოგადად გარემოსდაცვითი პრობლემების სფეროში;*

*აღნიშნულია ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის შედეგებისა და მასზე შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ;*

*გამოკვეთილია განვითარებული ქვეყნების ეკოლოგიური კანონმდებლობის სფეროში ღონისძიებათა ვრცელი სისტემა;*

*მიმოხილულია პრობლემების მართვის მეთოდები და ღონისძიებები, ცალკეული ქვეყნების მიხედვით, ამასთან, ის საკვანძო საკითხები, რაც ქვეყნის ჰაერის ხარისხის მაღალი დონით შენარჩუნებას უზრუნველყოფს;*

*აღნიშნულია კორონავირუსის გავლენით მსოფლიო მასშტაბით ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლის შემცირების თაობაზე; პრობლემის მართვაში მსოფლიო მასშტაბზე გათვლილი ფართო პროფილის სამეცნიერო გუნდის აქტიური მუშაობის შესახებ.*

***საკვანძო სიტყვები:*** *საკანონმდებლო აქტი, ბუნების დეგრადაცია, ჰაერის ხარისხი, ზღვრული მაჩვენებლები, ეკოინოვაცია, რაციონალური ბუნებათსარგებლობა, გლობალური პანდემია, ჰაერის გაჯანსაღება.*

* * *

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, ეკოლოგიური კატაკლიზმების გაღრმავების კვალობაზე, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები. შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყნის განვითარების უმთავრესი პირობა ხდება გარემომცველ სამყაროზე მისი გავლენის შეფასებისა და მასზე ადეკვატური რეაგირების პოლიტიკის შემუშავება.

გარემოს დაცვა სოციალური მნიშვნელობის პრობლემა და მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვანი სფეროა. რამდენიმე ათეული წელია ეს პრობლემა აქტიური განსჯის თემაა, რაც დრო გადის, მით უფრო მწვავდება გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრობლემები. გარემოს დაცვამ ფართო მასშტაბები შეიძინა და სახელმწიფო რეგულირების ორბიტაში მოექცა. ამიტომ ადამიანისათვის სასიცოცხლო სივრცის, გეოგრაფიული გარემოს ხელსაყრელი პირობების შენარჩუნება არა მარტო ცალკეული ქვეყნების შიდა, არამედ საერთაშორისო პრობლემაა, რადგან ეკოლოგიური პრობლემებისათვის არ არსებობს ცნება „სახელმწიფო საზღვარი“.

გარემოს დაცვის საკითხები XXI საუკუნეში უფრო და უფრო აქტუალური ხდება წამყვანი ქვეყნებისა და, მაშასადამე, მთელი მსოფლიოსთვისაც. ეს განაპირობა იმან, რომ იგრძნობა გლობალური დათბობის შედეგები და გარკვეული რესურსების ნაკლებობა, რის შემცირებამაც შეიძლება წარმოუდგენელი ზიანი მოუტანოს მსოფლიო ეკონომიკას.

გარემოზე ადამიანთა საქმიანობის გავლენითა და ეკონომიკური ზრდის ეკოლოგიური ასპექტით მსოფლიო თანამეგობრობის შეშფოთება 1960-1970-იან წლებში სისტემატურად გამოითქმებოდა არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებაში, არამედ სამთავრობო და საქმიან წრეებში. სტოკჰოლმის კონფერენციის (1972) შემდეგ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოხდა საკანონმდებლო აქტების მიღება გარემოს დაცვის შესახებ. ამ კონფერენციის დეკლარაციით ფორმულირებული იყო ადამიანის უფლება, იცხოვროს „ისეთი ხარისხის ბუნებრივ გარემოში, რომელიც გულისხმობს ღირსებით და კეთილდღეობით სავსე ცხოვრებას“ [4. გვ.189].

მარტივი ჭეშმარიტებაა, ადამიანს არსებობისთვის სჭირდება ისეთი გარემო, სადაც იქნება სუფთა ჰაერი, წყალი, ჯანსაღი კლიმატი.

თავდაპირველად ჰაერის დაცვის სფეროში კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობა განპირობებული იყო სანიტარული ნორმებითა და ჯანდაცვის მოთხოვნებით. ასე მაგ., კანონი დიდ ბრიტანეთში „ტუტე და მისი მსგავსი წარმოების“ (1863) კონტროლზე, რომელიც ითვალისწინებდა ატმოსფერული ჰაერის დაცვას ქიმიური საწარმოებით დაჭუჭყიანებისაგან, ასევე კანონი საფრანგეთში,

რომელიც არეგულირებდა სამრეწველო საწარმოების განლაგებას მათი ეკოლოგიური უსაფრთხოების მიხედვით (1917).

მოცემულმა საკანონმდებლო აქტებმა ჩაუყარა საფუძველი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შიდასახელმწიფოებრივ რეგულირებას, რომელიც თანდათან გადაიზარდა სახელმწიფოთაშორის და რეგიონულ თანამშრომლობაში.

თანამედროვე ეტაპზე ჰაერის დაცვის სფეროში ცენტრალურ ადგილს იჭერს შემდეგი კონვენციები: კონვენცია საომარი მოქმედების აკრძალვაზე, რომელსაც გარემოზე მძლავრი, დამანგრეველი მოქმედება გააჩნია (1977), კონვენცია ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურებაზე, რომელიც დიდ მანძილზე ვრცელდება (1979) და კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენცია (1992).

1985 წელს, მეორე კონვენციის თანახმად, მოხდა ტრანსსასაზღვრო დაბინძურებაში გოგირდის ოქსიდის გამონაბოლქვის შემცირების გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიხედვით იგი 1993 წლამდე 30%-ით უნდა შემცირებულიყო.

მესამე კონვენციის თანახმად მთავარი ამოცანა იყო ანთროპოგენურ დაბინძურებაში მხუთავი აირების რაოდენობრივი ზრდის შემცირებას. ამ კონვენციით, 1997 წლის 10 დეკემბერს იაპონიის ქალაქ კიოტოში მიღებული იქნა დადგენილება, რომლის თანახმად, მრეწველურად განვითარებული და საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნები (მათ შორის რუსეთი) იღებდნენ ვალდებულებას, 2008-2012 წლამდე მონაკვეთში შეემცირებინათ მხუთავი აირების გამონაბოლქვი.

1974 წელს გაეროს ექსპერტთა თათბირზე კოკოიოკში (მექსიკა) მიღებულმა დეკლარაციამ გარემოს დაცვის კუთხით შეშფოთება იმით ასახა, რომ გარემოს, რომელიც მაღალ ანთროპოგენურ დატვირთვას უძლებს, აღარ შეუძლია სტაბილურად დააკმაყოფილოს ადამიანის მოთხოვნილებები. აღნიშნული იყო, რომ დღევანდელი დღის პრობლემა არის არა რესურსების აბსოლუტური, ფიზიკური უკმარისობა, არამედ მათი განაწილების და მოხმარების ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა. კოკოიოკოს დეკლარაციის მრავალი დებულება შემდგომში საფუძველი გახდა 1980 წელს მიღებული „ბუნების დაცვის საერთაშორისო სტრატეგიისა“, რომლის მიზანი იყო ეკოლოგიური პრიორიტეტების განსაზღვრა. ამ სტრატეგიის საფუძველზე 75-ზე მეტმა ქვეყანამ, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, დაიწყო კომპლექსური პროგრამების შექმნა ამ მიმართულებით.

1983 წელს შეიქმნა გარემოს და განვითარების საერთაშორისო კომისია. 1987 წელს ამ კომისიამ გამოაქვეყნა მოხსენება „ჩვენი საერთო მომავალი“, სადაც მდგრადი განვითარების ცნება განისაზღვრა როგორც „დღევანდელი თაობის მოთხოვნაზე მიმართული განვითარება“, რომელიც „მომავალ თაობას არ მოაკლებს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას“.

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ გაეროს გარემოს და მისი განვითარების შესახებ კონფერენციაზე, რომელიც „დედამიწის სამიტის“ სახელითაა ცნობილი, მიღებულ იქნა გარემოს განვითარების დეკლარაცია და XXI საუკუნის დღის წესრიგი, რაც XXI საუკუნის მიჯნაზე გარემოს დაცვის და განვითარების სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ამ სამიტმა გამოავლინა მდგრად განვითარებაზე გადასვლის არათანაბარი შესაძლებლობები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. ამ სამიტის შემდეგ 150-ზე მეტმა ქვეყანამ დაიწყო სპეციალური ორგანიზაციების შექმნა, რათა შეემუშავებინათ მდგრად განვითარებაზე გადასვლის კომპლექსური მიდგომა.

20 წლის შემდეგ, 2012 წელს, ბრაზილიაში რიო+20-ის კონფერენციის ფარგლებში, სახელმწიფოები უკვე თანხმდებიან მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის - მწვანე ეკონომიკის კონცეფციის შექმნაზე, რომელიც, სხვა დანარჩენ ღონისძიებებთან ერთად, გულისხმობს ნახშირბადის გამონაბოლქვის და დაბინძურების დონის შემცირების ხელშემწყობი ტექნოლოგიებისა და საწარმოების შექმნას.

2012 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამის UNEP-ის მმართველი საბჭოს მიერ შემოთავაზებული იქნა მწვანე ეკონომიკის პრინციპები. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მწვანე ეკონომიკური ინიციატივის შესაბამისად, მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ პრობლემებს, მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს პროგრამამ გარემოს საკითხებში 2009 წელს გამოაქვეყნა მოხსენება „მწვანე ეკონომიკის“ შესახებ. ამის შემდეგ მოხდა ამ პრობლემის განხილვა დიდი ოცეულის სამიტზე 2012 წელს.

გაეროს გარემოს დაცვის ორგანიზაცია (UNEP) განმარტავს „მწვანე ეკონომიკას“, როგორც სამეურნეო საქმიანობას, „რომელიც ზრდის ადამიანების კეთილდღეობას, უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას და ამავე დროს მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოსა და ბუნების გაღარიბების რისკებს“.

ბუნებრივი გარემოს დეგრადაციამ სასწორზე დააყენა ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების მდგომარეობა.

არარაციონალური ბუნებათსარგებლობით გამოწვეული დეგრადაცია შეეხო ბუნების ყველა ელემენტს. მისი შედეგია სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართომასშტაბიანი გაუდაბნოება, ტყის საფარველის თითქმის განახევრება, ატმოსფეროსა და წყლის ძლიერი დაბინძურება, ბიომრავალ-ფეროვნების შემცირება.

ბუნების დეგრადაციაზე რეაქცია აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებში გამოიხატა გარემოს დაცვის სფეროში საკანონმდებლო სისტემის შექმნაში. მოცემულ სახელმწიფოებში გარემოს დაცვის სფეროში კანონმდებლობის განვითარების ძირითად იმპულსად მიჩნეული იყო და არის საზოგადოებრივი ეკოლოგიური მოძრაობა. გარემოს დაცვის სფეროში მიღებული კანონები უმეტესწილად არის რეაქცია მძაფრ ეკოლოგიურ პრობლემაზე.

ქვეყნებს შორის გარემოს დაცვის საკითხები განსხვავებულია. ცნობილია, რომ განვითარებული ქვეყანა არეგულირებს გარემოს დაბინძურებას, ქიმიური ნარჩენების გადამუშავებას, სამუშაოზე ქიმიური მასალების გამოყენებას სპეციალური საკანონმდებლო აქტებით. ეს კანონები არ გააჩნია ზოგიერთ განვითარებად ქვეყანას, რაც მულტივირებულ კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას, იმაზე უფრო მაღალი დონით დააბინძურონ გარემო, ვიდრე დასაშვები იქნებოდა მათ ქვეყნებში.

ზოგადად, განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში ღონისძიებათა ვრცელ სისტემას მოიცავს:

1. გარემომცველი სამყაროს ხარისხის სტანდარტის დადგენა;

თუკი 1972 წლისათვის აშშ-ში სუფთა ჰაერის ხარისხის სტანდარტი დგინდებოდა 10 ყველაზე გავრცელებული დამაბინძურებელი ნივთიერების მიხედვით, კანონში შეტანილი შესწორებების საფუძველზე, რომელიც 1990 წელს  განხორციელდა, ეს სტანდარტი უკვე 200 ქიმიურ ნივთიერებას მოიაზრებდა.

2. სხვადასხვა ობიექტებიდან გამონაბოლქვის კონტროლი;

3. მძიმე მეტალების წარმოებისა და მოხმარების შემცირება;

4. ბუნებადამცავი საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი და სხვა.

მთლიანობაში, განვითარებული ქვეყნების ეკოლოგიური კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში, პირველ ყოვლისა, მიმართულია მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილებისკენ, რომელიც ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული. კერძოდ, ჰაერს გააჩნია სპეციფიკური ფიზიკური (ტემპერატურა, წელიწადის დრო, ქარის ხანგრძლივობა) და ანთროპოგენური (გამონაბოლქვის დონე, მხუთავი აირები) მახასიათებლები. აქედან გამომდინარე, ძნელია განისაზღვროს გამონაბოლქვის დრო, მოცულობა, ეკოლოგიური დარღვევის განხორციელების ზუსტი დრო.

ბუნებისდაცვით სფეროში თანამშრომლობის ერთ-ერთ მსოფლიო ლიდერად მიჩნეულია ევროკავშირი. მისი ეკოლოგიური სისტემა მთლიანადაა დაკავშირებული გარემოს დაცვის ღონისძიებათა სისტემასთან. გარემოს დაცვა წარმოადგენს ეკ-ის მოღვაწეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას.

ევროპული ქვეყნების კონსტიტუციის ეკოლოგიური პრობლემების ანალიზი აჩვენებს, რომ გარემოს დაცვის სფეროში კანონმდებლობის სამართლებრივი საფუძვლების ფორმირება ხდება ისეთ საბაზისო ეკოლოგიურ პრინციპებზე, როგორიცაა რაციონალური ბუნებათსარგებლობის სამართლებრივი რეგულირება, ინფორმაციული თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში.

ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ გარემოსდაცვით პრობლემას ჰაერის დაბინძურება წარმოადგენს. ევროპის ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის 95% განიცდის მტვრის შეწონილი ნაწილაკების $PM_{2,5}$ და მიწისპირა ოზონის მავნე ზემოქმედებას. ევროკავშირში ჰაერის დაბინძურება ადრეული სიკვდილიანობის მთავარი გარემოსდაცვითი ფაქტორია. 2010 წელს ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებულმა ადრეულმა სიკვდილიანობამ 400 000-ს, ხოლო ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა დაახლოებით 330-940 მლნ ევროს მიაღწია (ევროკავშირის მშპ-ის 3-9%) [16].

EC-ის 2008 წლის დირექტივა „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ“ განსაზღვრავს სტანდარტებს ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე იმ დამაბინძურებლების კონცენტრაციასთან მიმართებაში, რომლებსაც ყველაზე დიდი გავლენა აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტები თითქმის ოცი წლის წინ განისაზღვრა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ნაწილაკების რეკომენდებული ლიმიტები განისაზღვრა  ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი გავლენის გათვალისწინებით და ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ლიმიტების ნახევარს შეადგენს.

ევროპულ სახელმწიფოებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე გავლენას ახდენს: მრეწველობის განვითარების დონე, მძიმე ინდუსტრია, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, მოსახლეობის კონცენტრაციის დონე, კლიმატური და გეოგრაფიული ფაქტორები.

ევროკავშირის წევრი ნებისმიერი ქვეყნისათვის საერთო პრიორიტეტები და მოთხოვნები, რომელიც უკავშირდება ჰაერის დამაბინძურებელ ნივთიერებებს, განსაზღვრულია სხვადასხვა დირექტივით. ჰაერდაცვითი პოლიტიკის სფეროში არჩეული დირექტივები ემსახურება ჰაერის შეფასებას და მისი ხარისხის მართვას.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ნორმირება ხარისხის სტანდარტის გზით ხორციელდება (ზღვრული და მიზნობრივი მაჩვენებლები). ზღვრული მაჩვენებლები იურიდიული მოთ-ხოვნილებებითაა განპირობებული კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, მიზნობრივი კი ნაკლებად მკაცრია. უნდა აღინიშნოს, რომ ეკ-ის წევრ ქვეყნებს თავად შეუძლიათ შეარჩიონ როგორც ზღვრული, ისე მიზნობრივი მაჩვენებლები. ეკ-ში შემავალი ყველა სახელმწიფო ვალდებულია სასწრაფო ზომები მიიღოს მავნე ნივთიერებათა შემცირების თაობაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პირველად 1987 წელს გამოიცა „რეკომენდაციები ევროპაში ჰაერის ხარისხის შესახებ". რეკომენდაციები ითვალისწინებდა მოსალოდნელ რისკებს და როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალურ და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს მოუწოდებდა მათ გონივრულ მართვას. ამის შემდეგ იყო „რეკომენდაციები 2000". ამ რეკომენდაციით, „ევროპის ჰაერის ხარისხის სტანდარტი" განისაზღვრა 35 ყველაზე გავრცელებული დამაბინძურებელი ნივთიერების მიხედვით და შესაბამისად დადგინდა მათი დასაშვები ნორმებიც.

აშშ-ის კანონების საფუძველზე ეკოლოგიური მოთხოვნები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ბუნებრივი რესურსების ხარისხის ნორმატივები (წყალი და ატმოსფერული ჰაერი) და მათზე ზემოქმედების ნორმატივები. ეკოლოგიური სამართლის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად ითვლება განსაკუთრებული ყურადღების გამოვლენა გამორჩეული ეკოლოგიურ-სამართლებრივი სტატუსის მქონე ტერიტორიების მიმართ.

აშშ-ში, ევროკავშირის მსგავსად, პრიორიტეტი ენიჭება ჰაერის დაცვას. კანონი სუფთა ჰაერის შესახებ აშშ-ში მიღებული იქნა 1955 წელს. ამ კანონმა ცვლილება განიცადა 1971 წელს გოგირდისა და აზოტის გამონაბოლქვის შეზღუდვასთან დაკავშირებით, შემდეგ, 1977 წელს, აშშ-ის კონგრესმა კანონში შესწორებები შეიტანა. ამის მიზეზი იყო ქვეყნის მასშტაბით არსებული ყველა ელექტროსადგურის მდგომარეობა. ისინი დააჯგუფეს ორ კატეგორიად. აშენებულები 1978 წლამდე, რომელთაც არ გააჩნდათ გამწმენდი მოწყობილობები და აშენებულები 1978 წლის შემდეგ, რომელთაც გააჩნდათ გოგირდის გამწმენდები.

1970 წელს მიღებულმა „სუფთა ჰაერის აქტმა" (Clean Air Act) აშშ-ში 70%-ით შეამცირა დამაბინძურებელი ნივთიერებები ჰაერში.

ბოლო წლებში აშშ-ში მიღებული იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მიმართულია ხანგრძლივი ენერგოუზრუნველყოფისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ ქვეყნის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. მათ რიცხვში შედის კანონები: „ალტერნატიულ ძრავის საწვავზე", „სუფთა ჰაერზე", „ენერგეტიკულ პოლიტიკაზე" და სხვა.

თითოეული შტატი ვალდებულია, შეისწავლოს რომელი საწარმოები მოქმედებენ ჰაერის ხარისხზე და ამის შესახებ აცნობოს გარემოსდაცვით ორგანოს. 1990 წელს მიღებული იქნა სრულყოფილი საკანონმდებლო აქტი სუფთა ჰაერზე, რომლის თანახმად, ელექტროსადგურებს ეკისრებოდათ ყოველწლიურად შეემცირებინათ $SO_2$-ის გამონაბოლქვი. 1993 წელს აშშ-ში აიკრძალა როგორც წარმოება, ისე გაყიდვა იმ ძრავებისა, რომლებიც ეთილირებულ ბენზინზე მუშაობდა. 1998 წელს ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანხმად ჰაერის დაცვის მიმართულებით მიდგომების შეცვლა გახდა საჭირო. ამ კანონის მიზანი იყო ავტომწარმოებლების ადაპტირება ახალ მოთხოვნებთან, გამოეშვათ ელექტრომობილები და გაზზე მომუშავე ავტომობილები. ყველა ამ ტიპის ავტომობილების წარმოებამ, რომელიც იყენებდა „სუფთა" საწვავის ტიპს, 2006 წლისათვის წარმოების საერთო მოცულობის 60-70% შეადგინა.

აშშ-ში მუდმივად მუშავდება ფედერალური თუ „საშტატო" პროგრამები, ისეთები, როგორიცაა: „ავტომობილები ბუნებრივ საწვავზე", „ეროვნული უსაფრთხოების ნათელი პერსპექტივა", „სუფთა ქალაქის ავტოპარკი" (21 ქალაქისათვის 25 ათასზე მეტი მოსახლეობით), „ატმოსფეროს ნაკლებად გამაჭუჭყიანებელი საწვავი" და სხვა.

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ამ ქვეყანაში ჰაერის ხარისხის კონტროლში ინვესტირებულ ყოველ 1 დოლარს 30 დოლარის მოგება მოაქვს [9].

ევროპაში ჰაერის დაცვის კუთხით მნიშვნელოვანია შემდეგი კანონები: 1991 წელს მიღებული კანონი - აქროლადი ორგანული ნაერთების შეზღუდვაზე, 1994 წელს მიღებული კანონი - გოგირდის ოქსიდის გაფრქვევის შეზღუდვაზე, 1998 წელს - აზოტმჟავასა და მძიმე მეტალების შეზღუდვაზე, 1999 წელს მიღებული კანონი კი ეხებოდა ოზონის შრის რღვევას.

გარემოს დაცვის კუთხით აღსანიშნავია ვენის კონვენცია (1985), რომელიც ემსახურება ოზონის შრის დაცვას. იგი აერთიანებს 200 ქვეყანას.

კანონმდებლობა და ფორმატი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტის შესახებ იცვლება ქვეყნების მიხედვით.

საფრანგეთში ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით რამდენიმე ნორმატიული აქტი იქნა მიღებული. პირველი მიიღეს 1961 წლის 2 აგვისტოს. ქვეყნის ფარგლებში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ კანონს, რომლის თანახმად ჰაერის დაცვა მაქსიმალურად მოეთხოვება სამრეწველო საწარმოებს. მრავალი ნორმატიული აქტი ეხება ბრძოლას ხმაურთან. აქ მკაცრად კონტროლდება საქალაქო ავტოტრანსპორტით გამოწვეული ხმაურის დასაშვები დონე.

2017 წლის მონაცემების საფუძველზე საფრანგეთში კანონით დაშვებული სიჩქარე - 50 კ/სთ შეამცირეს 30 კმ/სთ-მდე. მოსახლეობას რეკომენდაციას უწევენ, ისარგებლონ ელექტროტრანსპორტით, ველოსიპედით, ბევრი იარონ ფეხით.

ძალზე მნიშვნელოვანია ერთი სახელმწიფო გადაწყვეტილების შესახებ ეკ-ის წევრი ქვეყნებისთვის. ეს არის იმ სატრანსპორტო სახეების შეზღუდვა, რომლებიც ყველაზე მეტად აბინძურებენ გარემოს. ამ წესიდან გადახვევა იწვევს დაჯარიმებას, კერძოდ: გერმანიაში - 40 Э, შვეცია - 113 Э, ინგლისი - 1205 Э [11].

გერმანიაში ჰაერის დაცვის მიმართულებით უპირატესობა ენიჭება მთელ რიგ ეკონომიკურ და ფინანსურ ღონისძიებათა სტიმულირებას, ლგოტებს, სუბსიდიებს, კაპიტალდაბანდებებს. გერმანია საკუთარ კომპანიებს სთავაზობს არჩევანის თავისუფლებას, ჰაერის დაცვის მიმართულებით თავად შეარჩიონ ესა თუ ის მეთოდი. ერთი და იმავე დასახლებაში მდებარე კომპანიებს კი შეუძლიათ ძალისხმევის გაერთიანება დაბინძურებასთან ბრძოლის წინააღმდეგ.

ჩრდილოეთ სარტყელში მდებარე ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა მკაცრად ეკიდება მჟავე წვიმებთან დაკავშირებულ საკითხს, რადგან ბევრი რეგიონისთვის იგი გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. მჟავე წვიმების პრობლემა ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებით არ შემოისაზღვრება, რადგანაც ატმოსფერული დამაბინძურებლები დიდი მანძილით გადაადგილდება. მაგ., მჟავე წვიმების უმეტესობა, რომელიც ნორვეგიაში, შვედეთსა და ნიდერლანდებში მოდის, ევროპის სხვა ქვეყნებში გამოყოფილი გოგირდისა და აზოტის ოქსიდებისაგან წარმოიქმნება.

მჟავე წვიმებთან დაკავშირებით დანიის კანონმდებლობა თავდაპირველად (1984) მხოლოდ $SO_2$-ის გაფრქვევებს განიხილავდა, 1989 წელს ეს კანონი გაფართოვდა და მას დაემატა $NO_2$-იც.

იაპონიაში გარემოს დაცვის მიმართულებით მიღებულ კანონს გააჩნია როგორც იურიდიული, ისე მეთოდოლოგიური ბაზა. გარემოს დაცვის სფეროში ძირითადად არსებობს ორი ტიპის ნორმატივი - მიზნობრივი და მიმდინარე. მიზნობრივი ნორმატივები ზემოხსენებული ზღვრული მაჩვენებლების ანალოგიურია, მიმდინარე ნორმატივები კი მიიღება განსაზღვრული დროით და ითვალისწინებს დაბინძურების თანდათანობით შემცირებას.

2010 წლის მონაცემების საფუძველზე ევროპის ქვეყნების საშუალო თვიური დაბინძურება გოგირდის ოქსიდით მაღალია შემდეგ ქვეყნებში [10; გვ.12]:

1. გერმანია 207,9 (ათ.ტონა)
2. პოლონეთი 133,0 (ათ.ტონა)
3. საფრანგეთი 121,0 (ათ.ტონა)
4. იტალია 113,2 (ათ.ტონა)

თუ შევადარებთ სხვა ქვეყნებს, უპირატესობაც ნათელია.

ნორვეგია 25,5 (ათ.ტონა)

დანია 10,9 (ათ.ტონა)

შვეიცარია 14,1 (ათ.ტონა)

XXI საუკუნის დასაწყისისათვის, ქვეყნების პირველი ათეული ატმოსფეროში $CO_2$-ის გამონაბოლქვის სიდიდით ასე გამოიყურება [10. გვ.12].

*ცხრილი I*

| ქვეყანა | გამონაბოლქვი მლნ ტ | გლობალურ გაფრქვევაში %-ული წილი | გამონაბოლქვი 1 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით |
|---|---|---|---|
| აშშ | 1400 | 22,9 | 5,3 |
| ჩინეთი | 810 | 13,3 | 0,7 |
| რუსეთი | 440 | 7,2 | 2,9 |
| იაპონია | 300 | 5,0 | 2,4 |
| გერმანია | 235 | 3,8 | 2,9 |
| ინდოეთი | 230 | 3,8 | 0,3 |
| დიდი ბრიტანეთი | 160 | 2,7 | 2,7 |
| სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა | 160 | 2,7 | 3,5 |
| კანადა | 160 | 2,7 | 5,3 |
| იტალია | 120 | 2,0 | 2,1 |

ზემოხსენებული ქვეყნები გლობალური სამყაროს მხოლოდ მცირე ნაწილია. ამ სამყაროში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, დამაბინძურებელი, მომწამვლელი ნივთიერებებისაგან თავის დაცვა ერთნაირად სჭირდება ყველას - როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოსახლეობას. ჰაერის დაბინძურება მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი რისკფაქტორია სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით. მას გლობალურად სიკვდილიანობის 9% მიეწერება.

ზოგადად, ეკოლოგიური საფრთხეების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის გამონაბოლქვი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ნივთიერებას მიეკუთვნება იგი: $CO, CO_2, SO_2, NO_2$ და ა.შ. პრობლემის მართვა მოითხოვს გარემოს დაცვის მართვის საუკეთესო უნარებს (უმთავრესად გარემოს დაცვის ეკონომიკა, ეკოინოვაცია, გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები).

აშშ-სა და ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების განვითარებისა და გამოყენების შესაძლებლობებმა დიდი გავლენა მოახდინა გარემოში დამაბინძურებლების გაფრქვევის, გარემოს დეგრადაციისა და რესურსების უარყოფითად გამოყენების შესამცირებლად.

ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიურად მისაღები ტექნოლოგიური წარმოების განვითარებასა და ეკოლოგიურად დასაშვები წარმოებრივი ტექნოლოგიების დანერგვას.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბევრ ევროპულ ქალაქში მიმდინარეობს გაფართოებული ეკოლოგიზაცია, იქმნება კვლევითი ცენტრები, მზადდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები, რომელიც გამიზნულია ეკოლოგიური ინოვაციური ტექნოლოგიების მხარდასაჭერად. მდგრადი განვითარების საკითხი თანდათან მოიცავს მსოფლიო საზოგადოებას. მაგ., ზოგიერთი ევროპული ქვეყანა (ნორვეგია, ბელგია) ცდილობს, 2030 წლისათვის გახდეს $CO_2$-ის ნულოვანი გამონაბოლქვის სამრეწველო ქვეყანა.

ბევრი ქვეყანა უპირატესობას ანიჭებს განვითარების ე.წ. „ეკოინოვაციების" მიმართულებას, რაც ეკონომიკის განვითარების ახალ გზას წარმოადგენს. ეკოინოვაცია შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ ინოვაციას, რომელიც მიმართულია გარემოზე უარყოფითი გარემოს შემცირებისკენ, ეკოინოვაციების კარგად გათვლილი და ჭკვიანური გამოყენების შემთხვევაში ის შეიძლება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის დონის ამაღლების ახალი, მეტად ეფექტური და, რაც მთავარია, უსაფრთხო ინსტრუმენტი გახდეს.

ქვეყნები ცდილობენ, კონსენსუსამდე მივიდნენ გარემოსთან დაკავშირებულ უამრავ საკითხზე, შეამცირონ გამონაბოლქვი და აღმოაჩინონ წარმოების ახალი გზები, რომელიც გარემოსთვის არ იქნება ზიანის მომტანი, რასაც ითვალისწინებს მდგრადი განვითარება და მწვანე ეკონომიკის კონცეფცია.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ჰაერის დაბინძურებას მთელი მსოფლიოსთვის წელიწადში 225 მილიარდი დოლარის ზარალი მოაქვს. თუ სიკვდილიანობით გამოწვეულ ზარალს ცხოვრების ხარისხის გაუარესებით მიყენებულ ზიანსაც დავუმატებთ, საერთო ზარალი 1 ტრილიონ დოლარს აღწევს. ზოგიერთი განვითარებული ქვეყანა გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამო ყოველწლიურად კარგავს მშპ-ის 7,5%-ს [9].

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ცალკე აღებული თითოეული ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, სუფთა ჰაერის ხარისხის უკან მოიაზრებს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: მკაცრი რეგულაციები, მოსახლეობის რაოდენობა და მისი სიმჭიდროვე, გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა

ენიჭება ქვეყნის მასშტაბით ტყის რესურსების მარაგს, რადგან იგი უზრუნველყოფს მაღალი დონით ჰაერის ხარისხის შენარჩუნებას, ის ასრულებს ნატურალური ჰაერის ფილტრის როლს.

ამ მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნების პირველი ათეული სუფთა ჰაერის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება [6]:

1. ისლანდია
2. კანადა
3. ფინეთი
4. ბრუნეი
5. ესტონეთი
6. დანია
7. ახალი ზელანდია
8. შვედეთი
9. ირლანდია
10. ლუქსემბურგი

როგორც ვხედავთ, სუფთა ქვეყნების მიხედვით ლიდერი ევროპაა.

რადგან ეკოლოგიურ დაბინძურებას საზღვრები არ გააჩნია, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და შექმნილი კრიზისული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საკმარისი არ არის ქვეყნებმა დამოუკიდებელ, სტაბილურ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე იზრუნონ, აქ საჭიროა ყველა სახელმწიფოს ჩართულობა, რადგან ბუნებათსარგებლობის გლობალური ხასიათი ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში ითხოვს სახელმწიფოთა მხრიდან ერთობლივ მოქმედებას. სასურველია, დაბალი რეიტინგის მქონე ქვეყნებმა გაიაზრონ იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც თავიანთ შრომას და ძალისხმევას ანდომებენ მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას ქვეყანაში, ასევე გაეცნონ რას ითვალისწინებს ცალკეული ქვეყნის სტრატეგიული გეგმა გარემოს დაცვის მიმართულებით.

XXI საუკუნე - ახალი დრო, ახალი აზროვნებით ითხოვს სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ გარემოს გლობალური დაბინძურების ახლანდელი ტემპი არ დებს სასწორზე თანამედროვე ცივილიზაციას და მთლიანად ბიოსფეროს გადარჩენის პრობლემას. არანაკლებ მნიშვნელოვანია მიმდინარე ეტაპზე მსოფლიო დღის წესრიგში მოქცეული პრობლემა - სამყაროს მიკრობიოლოგიური დაბინძურება - ეკოსისტემაში უცხო ორგანიზმის - კორონავირუსის გამოჩენა. ვირუსის სამყაროში მოვლინებიდან უმოკლეს დროში საფრთხემ გლობალური პანდემიის სახე მიიღო და მსოფლიო გლობალური გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა.

ეს მოვლენაც სასწორზე დებს ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარებას.

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანის - ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრის - სიცოცხლესა და კეთილდღეობასთან დედამიწაზე.

ზემოხსენებული ყველა საკანონმდებლო აქტი, მიღებული დღემდე, ამ მიზანს ემსახურება. ამავე მიზანს ემსახურება გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მუშაობაც, რომელიც სათავეს XXI საუკუნის დასაწყისიდან იღებს, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოებრივ ზომებს.

გარემოს გლობალური დაბინძურების შემთხვევაში მეცნიერული კვლევების უმთავრესი მიზანია, მოახდინოს ბუნებათსარგებლობის შერწყმა ბუნების დაცვასთან, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის გადარჩენის ძირითადი პირობაა.

მეორე კი ის შემთხვევაა, როცა კანონმდებლობა უძლურია პრობლემის მართვაში. როგორც გამოიკვეთა, გამოსავალი აქ მხოლოდ და მხოლოდ სამეცნიერო კვლევებზეა მიმართული, რომელიც მსოფლიო მასშტაბსა და ფართო პროფილის სამეცნიერო გუნდზე გადის.

თუ 2020 წლისთვის მოწინავე, განვითარებული ქვეყნებისათვის პრიორიტეტი იყო ჰაერის დაცვა, დღეს უკვე ვირუსთან გამკლავება ხდება პრიორიტეტი ყველა ქვეყნისათვის.

ადვილია დავასახელოთ იმ ქვეყნების ათეული, სამეული და ა.შ., ვინც კარგად უმკლავდება ჰაერის დაცვას. ვირუსის შემთხვევაშიც გამოიკვეთა იმ ქვეყნების ნუსხა, სადაც სხვა ქვეყნებთან შედარებით, პრობლემის მართვა გაცილებით უკეთესად მიდის. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, უხილავ მტერთან ბრძოლაში იმ ქვეყნებმა მიაღწიეს წარმატებას, სადაც აქცენტი გაკეთდა მეცნიერებაზე სხვა დანარჩენ ღონისძიებებთან ერთად, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ქვეყანა, სადაც ეს ვირუსი მოევლინა კაცობრიობას, არის ჩინეთი, ქვეყანა, რომელიც ინდოეთის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებულია მსოფლიოში. ამ ქვეყანაში დაბინძურებული ჰაერით გამოწვეული დაავადებებით ყველაზე მეტი ადამიანი იღუპება. რამდენად არსებობს კავშირი ამ ორ უკიდურესობას შორის, კვლავ მეცნიერებს მივანდოთ. თუმცა ფაქტია, კორონას ეფექტმა ჰაერის ხარისხზე დადებითად იმოქმედა, დაბინძურებული ჰაერი ქვეყნიდან თითქმის გაქრა.

სპეციალისტები საუბრობენ, რომ კორონავირუსის გამოჩენას, უარყოფით მოვლენებთან ერთად, გარკვეული დადებითი ფაქტორიც ახლავს თან, რაც მსოფლიო მასშტაბით ჰაერის დაბინძურების

მაჩვენებლის შემცირებას ეხება. ქალაქები ადამიანებისგან დაცარიელდა, რამაც ჯანმრთელობის კუთხით მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა, ორმაგად შესამჩნევი გახდა ჰაერის გაჯანსაღება მსოფლიო მასშტაბით.

მიმოსვლის საშუალებების მკაცრმა შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა ემისიების მოცულობაზე, შესაბამისად, გამონაბოლქვზე, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სატრანსპორტო სექტორი არის გარემოს პირველი დამაბინძურებელი წყარო.

დაბინძურებული ჰაერიდან ყველანი საფრთხეში ვართ, რადგან - დედამიწაზე ყოველი 10 ადამიანიდან 9 დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს-აცხადებს გაერო. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გარემოს დაბინძურება წელიწადში 7 მილიონამდე ადამიანის დაღუპვას იწვევს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორია თანაფარდობა გარემოს დაბინძურებით გამოწვეულ სიკვდილიანობასა და კორონავირუსით გამოწვეულ სიკვდილიანობას შორის? კითხვა შემაძრწუნებელია, მაგრამ ფაქტია. ამ მონაცემების საფუძველზე გარემოს დაბინძურებით თვეში საშუალოდ 583,333 ადამიანი, ანუ 8,3% იღუპება. რაც შეეხება პანდემიას, ვირუსის მოვლინებიდან დაახლოებით 4 თვეში დადასტურებულ შემთხვევათა რიცხვია 4313030. შემთხვევათა დაახლოებით 36% ანუ 1568254 ადამიანი გამოჯანმრთელებულია, ხოლო 7% - 291015 ადამიანი გარდაცვლილია [8].

ე.ი. მსოფლიო მოსახლეობის 7% ემსხვერპლა ვირუსს მხოლოდ 4 თვის მანძილზე, მაშინ, როცა წლის განმავლობაში ჰაერის დაბინძურებით მსოფლიო მოსახლეობის 9% იღუპება.

სპეციალისტთა აზრით, არსებობს კვლევები, რომლებიც წინასწარ განჭვრეტენ, რომ კლიმატური ცვლილებები სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა გზით, ხელს უწყობს მათ შორის ეპიდემიების გავრცელებას.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. აბესაძე რ., მწვანე ეკონომიკა: არსი და გამოწვევები - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის 75 და ჟურნალ „ეკონომისტის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი 2019.
2. ბერიშვილი ხ., „მწვანე ეკონომიკა“ - პოსტსაბჭოთა ქვეყნების მდგრადი განვითარების მოდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის 75 და ჟურნალ „ეკონომისტის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი 2019.
3. დვალიშვილი ლ., გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის 75 და ჟურნალ „ეკონომისტის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი 2019.
4. გუროვა ი., მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი. 2014.
5. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013.
6. https:// www.insidermonkey.com/blog/the 10 countries-wit-the-cleanest -air-in-the word -331264/
7. https://ourworldindate.org/air pollution
8. https://www.worlddometers.info/corona virus
9. radiotavisupleba.ge/a haeris dabindzurebit.gamotsveuli-sikvdilianoba/29130956.html
10.http://ekolog.ru/mejdunarodnij.opit-v-sfere-ohrani-atmosfernogo-vozduha-razviti.htm/
11. https://www.epochtimes.com.ua/ru/novosti/novye-mery-po-borbe-s-zagryazneniem-vozduha-v-es-123782
12. http://ec.europa.eu/environment/enlarge/pdf/pabs/air ru pdf
13. http: //www. Unece.org/enu/epr/
14. https://sao.ge
15. amerikiskhma.com
16. https://greenalt.org


***Lia Dvalishvili***

**ON INTERNATIONAL EXPERIENCE OF DEVELOPMENT OF LEGISLATIVE SYSTEM IN THE FIELD OF AIR PROTECTION**

**Summery**

The main condition for the development of all the countries of the modern world is the development of a policy of assessing its impact on the surrounding world and responding adequately to it.

The impact of human activities on the environment and the ecological aspect of economic growth have laid the foundation for the adoption of legislative action in the field of environmental protection in many countries around the world.

The degradation of the natural environment has put at stake the possibility of the development of nature and human society.

The reaction to the degradation of nature in the economically developed states was manifested in the creation of a legislative system in the field of environmental protection.

The environmental legislation of developed countries in the field of atmospheric air protection is aimed at avoiding the expected loss.

Legislation and the format of atmospheric air quality standards vary by country.

One of the main factors in environmental hazards is emissions. Problem management requires the best environmental management skills.

Countries are trying to reach consensus on a number of environmental issues, reduce emissions and discover new ways of production that will not be harmful to the environment, leading to sustainable development and the concept of a green economy.

The global character of nature use requires joint action by states to solve environmental problems.

At this stage, the issue on the world agenda - the appearance of coronavirus - has posed a global challenge.

Along with the negative effects, its appearance is accompanied by some positive factors, which are related to the reduction of air pollution worldwide.

*თამარ დუდაური*

## ინოვაციური სფეროს თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები

***ანოტაცია.*** *სტატიაში განხილულია ინოვაციური პროცესების მართვის ეფექტიანობა. ხაზი აქვს გასმული ინოვაციურ პროცესში მეცნიერებისა და იმ ადამიანების საქმიანობის მნიშვნელობას, რომლებიც ცოდნასა და ინფორმაციას გარდაქმნიან საბოლოო პროდუქტში. გაკეთებულია დასკვნა, რომ სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ინოვაციური პროცესების ეფექტიანი მართვის შეფასებისათვის აუცილებელია განსაკუთრებული ანალიტიკური მიდგომა დიდი რაოდენობით რაოდენობრივი მახასიათებლების გამოყენებით. გაანალიზებულია საქართველოს ინოვაციური სისტემა და გამოვლენილია მისი განვითარების ტენდენციები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ინოვაციები, ინოვაციური ეკონომიკა, ინოვაციური ტექნოლოგიები.*

### შესავალი

ინოვაციური ეკონომიკის განვითარების საფუძველსა და მიზანს წარმოადგენს მიზანმიმართული ცოდნისა და ინფორმაციის დაგროვება, მათი მართვის, დამუშავების მეთოდებისა და გამოყენების ფორმების დახვეწა. ინოვაციური ეკონომიკის და ასევე ინოვაციური საქმიანობის მართვის განხორციელების ინსტიტუტების ფორმირების დასაწყისიდან ეს პროცესი მიმდინარეობს და ხასიათდება პრობლემურობითა და არაერთმნიშვნელოვნებით. ნებისმიერი სახის მართვის ეფექტიანობა, ეკონომიკის განვითარების დონის მიუხედავად, განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ითვალისწინებენ მართვის ასპექტები და ეთანხმებიან მართვის ობიექტის არსობრივ თვისებებს, რომელთაგან მნიშვნელოვანია ინოვაციური საქმიანობის რესურსებით უზრუნველყოფა.

მსოფლიო ცივილიზაციის არსებობის მრავალი ასწლეულის განმავლობაში ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ინოვაციური აზროვნება. კონკურენცია აიძულებს მწარმოებლებს, დააკმაყოფილონ მზარდი მოთხოვნილებები ფასების შემცირების გზით, აკეთებენ რა მას უფრო ეფექტური საშუალებებით, კერძოდ ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლის გზით წარმოებაში ინოვაციების დანერგვის ხარჯზე. თანამედროვე ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში ძნელია ბიზნესისათვის ინოვაციების აუცილებლობისა და მნიშვნელობის გადაჭარბებულად შეფასება, ვინაიდან ინოვაციების დანერგვით ორგანიზაციებს შეუძლიათ უფრო ხარისხიანი პროდუქციის შექმნა, ასევე ახალი ბაზრების დაპყრობა თავისი ინოვაციების გაყიდვის ხარჯზე. როგორც წესი, ეკონომიკის რეალური სექტორის წარმატება და განვითარება უშუალო ზეგავლენას ახდენს ქვეყნის მთელი ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე, ამიტომ ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განახორციელონ ნოვატორობისა და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება. თემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს ეკონომიკისათვის, ვინაიდან იგი განაგრძობს სულ უფრო მეტ ინტეგრაციას ევროპულ და მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში, ამიტომ განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლა თანამედროვე ეტაპზე ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

* * *

მსოფლიო ბაზრების გლობალიზაციის, ადგილობრივ და გლობალურ ბაზრებზე კონკურენციის გამწვავების პირობებში მეცნიერული მიღწევები, რომლებიც ტრანსფორმირდება სხვადასხვა ინოვაციებში, გადაიქცევა როგორც ცალკეული კომპანიების, ასევე მთლიანობაში დარგებისა და ეკონომიკების განვითარების აუცილებელ პირობად. კვლევითი საქმიანობა გახდა სამეურვეო პრაქტიკის განუყოფელი კომპონენტი. ხოლო თვით ინოვაციური პროცესი იძენს უწყვეტობისა და სისტემურობის ხასიათს. ამ პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის განვითარების ხარისხი და მეცნიერებატევადი წარმოების დონე წარმოადგენს საკვანძო მახასიათებლებს, რომლებიც განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას.

ბოლო ათწლეულია სულ უფრო ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ სწორედ ინოვაციური პოტენციალი არის ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასების განმსაზღვრელი ფაქტორი. იგი განსაზღვრავს ქვეყნის მდგომარეობას გლობალურ ბაზარზე. ქვეყნის ინოვაციური განვითარების დონის შესაფასებლად გამოიყენება ინოვაციების გლობალური ინდექსი (The Global Innovation Index). მის გაანგარიშებაში გამოიყენება 82 სხვადასხვა მაჩვენებელი, ისინი ახასიათებენ ქვეყნების ინოვაციურ განვითარებას, მათში შედის ის რესურსებიც, რომლებსაც ფლობენ ქვეყნები ინოვაციების დასანერგად, ასევე ინოვაციურ საქმიანობაში მიღწეული შედეგები. თანამედროვე ეტაპზე ინოვაციის გლობალური ინდექსის მაჩვენებელი ითვლება ყველაზე ავტორიტეტულად და ითვალისწინებს ინოვაციური განვითარების მახასიათებლების სრულ კომპლექსს. აღნიშნული ინდექსი ქვეყნდება 2012 წლიდან. მისი დანიშნულებაა, ასახოს მსოფლიოში ინოვაციების მიმართულებით მიმდინარე პროცესები, გამოავლინოს ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პრობლემები. დიაგრამაზე მოყვანილია ინოვაციის გლობალური ინდექსის ტოპ-10 ქვეყანა (იხ. დიაგრამა 1).

2019 წელს რეიტინგმა მოიცვა მსოფლიოს 129 ქვეყანა. ინდექსის გაანგარიშებაში გამოყენებული ათობით სხვადასხვა მახასიათებელი საშუალებას აძლევს მას ობიექტურად შეაფასოს ამა თუ იმ ქვეყანაში ის ძალისხმევა, რომელიც გაწეულია ინოვაციების განვითარებისათვის. როგორც დიაგრამიდან ჩანს, პირველი ადგილი უკავია შვეიცარიას, მან 100 ქულიან რეიტინგში მოაგროვა 67.2 ქულა, შემდეგ მას მოყვება შვეცია 63.7 ქულით და მხოლოდ მესამე ადგილზეა აშშ 61.7 ქულით. საქართველოს ამ რეიტინგში 37 ქულით უკავია 48-ე ადგილი და იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩამორჩება მხოლოდ რუსეთსა (46-ე ადგილი) და უკრაინას (47-ე ადგილი) [GII, 2019].




**დიაგრამა 1. ინოვაციის გლობალური ინდექსის ტოპ-10-ული და საქართველო 2019 წელს** [GII, 2019]

***წყარო:*** დიაგრამა შედგენილია The Global Innovation Index-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

საქართველო ბოლო სამი წელია აუმჯობესებს თავის რეიტინგს ინოვაციების გლობალურ ინდექსში. ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ ინოვაციების გადინება ამ სამი წლის განმავლობაში ყოველთვის ჭარბობდა შემოდინებას (იხ. დიაგრამა 2).




| | GII | ინოვაციების შემოსვლის მიხეგვით | ინოვაციების გასვლის მიხედვით |
|---|---|---|---|
| 2017 | 68 | 69 | 62 |
| 2018 | 59 | 53 | 62 |
| 2019 | 48 | 44 | 60 |

**დიაგრამა 2. საქართველოს რეიტინგი 2017-2019 წლებში [GII…2019]**

***წყარო:*** დიაგრამა შედგენილია The Global Innovation Index-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველომ ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში 68-ე ადგილიდან (2017 წელს), 2019 წელს გადაინაცვლა 48-ე ადგილზე, ასევე გაუმჯობესებულია საქართველოს მაჩვენებლები ქვეყანაში შემოდინებული ინოვაციების მოცულობის მხრივ, მას უკავია 44-ე ადგილი, როდესაც 2017 წელს ეკავა მხოლოდ 69-ე, ასევე გაუმჯობესებულია მისი რეიტინგი ქვეყნიდან გასული ინოვაციების მოცულობის მხრივაც, 2019 წელს მან დაიკავა მე-60 პოზიცია, როდესაც 2017 წელს ეკავა 62-ე.

მოვლენების შემდგომი სასურველი განვითარებისათვის ინოვაციური საქმიანობის რესურსებით უზრუნველყოფის მართვის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ის, რომ სისტემამ შეინარჩუნოს მოძრავი წონასწორობა. აუცილებელია ინვესტიციებისათვის შეიქმნას ადეკვატური ეკონომიკური ატმოსფერო და ხელსაყრელი სოციალური კლიმატი. ამ მიმართებითაც საქართველოში იდგმება სათანადო ნაბიჯები, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაზრდილია გამოგონებებზე შეტანილი განაცხადები საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში (საქპატენტში), მაგრამ დარეგისტრირებული რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება (იხ. დიაგრამა 3) [საქპატენტი. 2019].




| | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|
| შემოსული განცხადებები რაოდენობა | 96 | 75 | 103 |
| რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა | 58 | 37 | 36 |

**დიაგრამა 3. გამოგონებებზე გაცემული პატენტების რაოდენობა**

**წყარო:** დიაგრამა აგებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტში)წლიური ანგარიშის მიხედვით.

როგორც დიაგრამიდან ნათლად ჩანს ადგილობრივი განცხადებების რაოდენობა, რომელიც შევიდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში 2018 წელს იყო 103, მაგრამ მათგან მხოლოდ 36 განაცხადზე გაიცა პატენტი, მაშინ, როცა 2016 წელს 96 შესულ განცხადებაზე გაიცა 58 პატენტი. ყოველივე ეს მიგვანიშნებს საქართველოში გამომგონებლობის სფეროს არასათანადო განვითარების დონეზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2018 წელს საწარმოთა ინოვაციური აქტიურობის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ქვეყნის მასშტაბით საწარმოებში ძირითადი ინოვაციური აქტივობები იყო შემდეგი [საქსტატი. 2019]:

- ახალი მოწყობილობების, მანქანა-დანადგარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, ეს აქტივობა განახორციელა გამოკითხულ საწარმოთა 20,8%-მა;
- სწავლება, რომელიც დაკავშირებული იყო ინოვაციურ აქტივობასთან - განახორციელა გამოკითხულ საწარმოთა15.1%;
- საკუთარი კვლევითი სამუშაოები და დამუშავების შემუშავება აწარმოა საწარმოთა 13.1%;
- პროდუქციის დიზაინში ცვლილება შეიტანა 13.4%-მა.

ქვეყნის ეკონომიკაში ინოვაციური კომპონენტის წილის გაზრდისათვის აუცილებელია მეცნიერებატევადი დარგების განვითარება და ხელშეწყობა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს. მისი მარეგულირებელი ფუნქცია ძირითადად გამოიხატება მეცნიერების სხვადასხვა დარგებისათვის დაფინასების გამოყოფაში. ყოველწლიურად საქართველოს ბიუჯეტიდან მეცნიერების განვითარებისათვის და სამეცნიერო კვლევებისათვის გამოიყოფა დაფინანსება. მისი მოცულობა 2018 წელს შეადგენდა 63 800.1 ათას ლარს, 2019 წელს იგი გაიზარდა 65 470.0 ათას ლარამდე, ხოლო 2020 წელს დაგეგმილი იყო 65 540.0 ათასი ლარი. მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიოში კორონავირუსის პანდემიასთან, 2020 წლის მეცნიერების ხელშეწყობაზე დაგეგმილი თანხების გამოყოფა შესაძლოა გადაიხედოს [საქ. ბიუჯეტი 2020].

ქვეყანაში ინოვაციების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ცხადყოფს 2019 წლისათვის საქართველოში იყო 56 დაწესებულება, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობით. მათ მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობამ წლის განმავლობაში შეადგინა 128.3 მილიონი ლარი. ამ დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 11 174 ადამიანს, რაც, ჩემი აზრით საკმაოდ ცოტაა [საქსტატი. მეცნიერება 2019].

უეჭველია ის ფაქტი, რომ ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის პრობლემა წარმოადგენს რთულ და მრავალმხრივ საკითხს. აღვნიშნოთ რიგი, შედარებით მნიშვნელოვანი საკითხები. ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში ლაპარაკია მეცნიერულ-კვლევითი ცენტრების შექმნაზე, ხოლო მოკლევადიანში კი იმ საწარმოთა რიცხვის გაზრდაზე, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციების დანერგვას: ამონტაჟებენ ახალი სახის მანქანა-მოწყობილობებს, ნერგავენ თანამედროვე ტექნოლოგიას და უშვებენ თვისებრივად ახალ პროდუქციას.

ინოვაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ რიგი წლების განმავლობაში მიღებულ იქნა რამდენიმე ფუძემდებლური საკანონმდებლო აქტი, რომლებიც მიმართული ინოვაციური სფეროს გააქტიურებისაკენ. კერძოდ, ეს კანონებია: ინოვაციების შესახებ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ. ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეიქმნა და ამჟამადაც ფუნქციონირებს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. ნორმატიული აქტების საფუძველზე შექმნილია ტექნოპარკები და ინოვაციის ცენტრები და ა.შ. ყოველივე ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანი პროგრესი ამ სფეროში არ შეიმჩნევა.

ამიტომ განვიხილოთ უცხოეთის ქვეყნების წარმატებული გამოცდილება ამ მიმართებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციის ორი ძირითადი ვარიანტი. ესენია ინგლისურ-ამერიკული და ფრანგულ-იაპონური მოდელები. მათ შორის პრინციპული განსხვავება მდგომარეობს განვითარების პრიორიტეტების და ინოვაციების მხარდაჭერის მეთოდების შერჩევის პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხში. პირველ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი კეთდება ბიზნესგარემოსათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში კი სამეცნიერო-კვლევითი და განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების სტიმულირებაზე და მათ სახელმწიფო მხარდაჭერაზე. რაც შეეხება საქართველოს, კერძო ბიზნესი ნაკლებადაა დაინტერესებული ინოვაციების ათვისებით, ხოლო სახელმწიფო მხარდაჭერა ამ მიმართულებით მცირეა. შედეგად, მწარმოებლების ინოვაციური აქტიურობა დაბალია.

აღვნიშნოთ ისიც, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებობს კომპანია-ნოვატორების ფინანსირების განშტოებული სტრუქტურა, კერძოდ, ფუნქციონირებს ინოვაციების მხარდაჭერის ვენჩურული ფონდები, ასევე ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა მდგომარეობს ახალი შემუშავებების წინ წაწევასა და მათ კომერციალიზაციაში. საზღვარგარეთის წამყვან ქვეყნებში ინოვაციური შემუშავებების შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საუნივერსიტეტო მეცნიერება. პრაქტიკაში, განსაკუთრებით აშშ-ში, ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც უნივერსიტეტების მეცნიერები ქმნიან მეცნიერებატევად ფირმებს და მათში თავს უყრიან სტუდენტებსა და ასპირანტებს [Dutta S. 2015; 395].

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში, იმის მიუხედავად, რომ აღიარებულია ყველა პროცესის საბაზრო რეგულირების პრიორიტეტები, ინოვაციურის ჩათვლით, არსებობს სფერო, რომლშიც კვლევით სამუშაოებს სახელმწიფო განუწყვეტლივ აფინანსებს, ეს არის თავდაცვის ტექნოლოგიები. იმის მიუხედავად, რომ ინოვაციური პოლიტიკის ანგლო-ამერიკულ მოდელში ყურადღება გამახვილებულია ბიზნესისათვის, მთლიანობაში, ხელსაყრელი პირობების შექმნაზე, ის კომპანიები, რომლებიც ნერგავენ ინოვაციებს, იღებენ მნიშვნელოვან საგადასახადო პრეფერენციებს. რაც შეეხება ინოვაციური პოლიტიკის ფრანგულ-იაპონურ მოდელს, მისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს მიერ ინოვაციური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან მხარდაჭერას იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ახდენენ ინოვაციების შემუშავებასა და დანერგვას. მაგალითად, იაპონიაში აქცენტი მახვილდება კონკრეტულ ტექნოლოგიებზე, განისაზღვრება მათი უპირატესობები და სახელმწიფო ახდენს ამ არჩეული მიმართულებების სტიმულირებას. ინოვაციური საქმიანობის ანალოგიური მხარდაჭერა ხორციელდება საფრანგეთშიც [Rahmanbaeva R.A. 2015; 1422].

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინოვაციის სტრატეგიის რეალიზაციაში საკვანძო როლს თამაშობს სახელმწიფო, ვინაიდან სწორედ იგი აერთიანებს კადრებს, განათლებასა და მეცნიერებას.

მსოფლიოში შეინიშნება მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ტექნოპარკების ზრდის ტენდენცია, ამჟამად, ფუნქციონირებს 2000-ზე მეტი ტექნოპარკი. მათგან უმეტესობა განლაგებულია აშშ-ში, ევროპაში, იაპონიაში, ჩინეთსა და ინდოეთში. ისრაელში ყოველწლიურად იქმნება 1300-დან 2000-მდე ახალი კომპანია, ეს ქვეყანა გახდა აშშ-ის სილიკონის ველის ანალოგი ახლო აღმოსავლეთში. ახლად შექმნილი ისრაელის კომპანიებისათვის სახელმწიფო იყენებს უფრო რბილ ინოვაციურ პოლიტიკას ვიდრე აშშ-ში. მაგრამ, ისრაელიდან საზღვარგარეთ შეიძლება მხოლოდ ლიცენზიების გაყიდვა და არა ტექნოლოგიების. საქართველოში ამ მხრივ არ რის სახარბიელო სიტუაცია სულ არის სამი ტექნოლოგიური პარკი (თბილისის, ზუგდიდისა და თელავის) და ორი ინოვაციების ცენტრი (ახმეტისა და რუხის). ნათელია, რომ ამ მიმართებით სახელწიფოს მართებს გააქტიუროს თავისი ძალისხმევა.

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ პრობლემებს მიეკუთვნება [დუდაური თ. 2017; 167]:

- ინოვაციურ პროდუქციაზე მოთხოვნის დაბალი დონე;
- ფულადი სახსრების არასაკმარისი რაოდენობა;
- კვალიფიციური პერსონალის უკმარისობა;
- კომპანიების პერსონალის სიახლეებისადმი უნდობლობა;
- ტექნოლოგიური ბაზრის განუვითარებლობა;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერების დაფინანსების დაბალი დონე;
- არაფორმალური ინვესტორების ქსელის განუვითარებლობა;
- კრაუდფანდინგის, როგორც ფულადი სახსრების მოზიდვის ინსტრუმენტის, გავრცელების დაბალი დონე.
- გამოგონებების სიმცირე;

თანამედროვე პირობებში, როდესაც საქართველო მიეკუთვნება განვითარებადი ქვეყნების რიცხვს, მისთვის ძნელია აღნიშნული პრობლემების სწრაფად გადაწყვეტა. ასევე სირთულეს წარმოადგენს მცირე და საშუალო კომპანიებისათვის ამ მოთხოვნების შესრულება, რადგან არ გააჩნიათ ახალი პროდუქციის შემუშავებისა და დანერგვისათვის უცილებელი კადრები, ტექნიკური და მატერიალური ბაზა. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, მათი უმრავლესი ნაწილი მუშაობს არა წარმოების სფეროში, არამედ ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებში.

ამრიგად, ქვეყნის საწარმოების ინოვაციური საქმიანობის დონის ამაღლება მოითხოვს ეკონომიკაში მსხვილი საწარმოო კომპლექსების წილის გაზრდას. უცხოეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსხვილ კომპანიებს გააჩნიათ უფრო ხელსაყრელი პირობები ინოვაციის დანერგვისათვის, ვინაიდან მათ აქვთ შესაძლებლობა, თავის სტრუქტურაში შექმნან მცირე ვენჩურული ფირმები ან პატარა კომპანიები ახალი პროდუქციის შესამუშავებლად, შემდგომ კი თვითონ უზრუნველყოფენ მათ მიერ შექმნილი ახალი პროდუქციის მასიურ წარმოებას და ეკონომისა წარმოების მასშტაბზე.

ინოვაციური გამოცოცხლების კიდევ ერთ მიმართულებას წარმოადგენს კლასტერული სტრუქტურების ორგანიზაცია. ვინაიდან, თანამედროვე ეტაპზე, სამეურნეო სუბიექტების დიდი ნაწილი დაშორებულია ერთმანეთისაგან და განიცდიან სერიოზულ პრობლემებს ახალი პროდუქციის ათვისების მხრივ, აუცილებელია მათი ქმედებების კოორდინაცია. მაგალითად, აშშ-ის და სხვა წამყვანი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს ინოვაციების ათვისების პროცესში კლასტერების საფუძველზე საწარმოო სუბიექტების თანამშრომლობის ეფექტიანობას.

ქვეყანაში სამეურნეო სუბიექტებში ინოვაციების მცირე რაოდენობის მიზეზია კაპიტალის მუდმივი უკმარისობა, რადგანაც საწარმოებში შესული თანხები ხმარდება მიმდინარე ხარჯების დაფარვას და აღარ რჩება საწარმოს განვითარებისათვის.

როგორც ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის ჩამოთვლილი ხელის შემშლელი პრობლემებიდან ჩანს, ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას და სპეციალისტების მომზადებას. როგორც წამყვანი ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, აუცილებელია ინოვაციების შემუშავებაში უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობის გაზრდა, მათში შექმნილი ჯგუფები დაეხმარება სამეურნეო სუბიექტებსა და სახელმწიფო ორგანოებს მათ წინაშე წარმოშობილი პრობლემების დაძლევაში ინოვაციების შემუშავების გზით. ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს სისტემურ მიდგომას, ამ მუშაობაში უნდა გაერთიანდნენ სახელმწიფო, აკადემიური და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები. ამ მიმართებით აუცილებელია მათ შორის დამაკავშირებელი რგოლის შექმნა.

## დასკვნა

ამრიგად, ინოვაციური განვითარების პრობლემების გადასაწყვეტად სტიმულირებული უნდა იქნეს მოთხოვნა მეცნიერებადტევად პროდუქციაზე, რომელიც წარმოადგენს უფრო ხარისხოვანს, აქვს მაღალი ფასი და საწარმოსათვის უზრუნველყოფს დიდ მოგებას. სამომხმარებლო მოთხოვნილების გაზრდის უზრუნველყოფა შეუძლია სახელმწიფოს ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზაციის კონტექსტში. თუ ეს მოხდება ქვეყნის მასშტაბით, შეგვიძლია ველოდოთ ეროვნული შემოსავლის ზრდას და ეკონომიკის მდგრად განვითარებას. ზემოთ ნათქვამი პრობლემების გადაწყვეტა საშუალებას იძლევა, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გლობალური გამოწვევების გათვალისწინებით, გააქტიურდეს ინოვაციური პროცესები და ამაღლდეს საქართველოს კონკურენტუნარიანობა, რის საფუძველზეც გაიზრდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, ხოლო საქართველო შეძლებს ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებს შორის დაიკავოს ღირსეული ადგილი.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. დუდაური თ. სამჭკუაშვილი ნ. 2017. ინოვაციური ეკონომიკა: განვითარების პრობლემები და პერსპექტივები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი 3-4 ნოემბერი, კონფერენციის შრომათა კრებული გვ. 164-168. http://eprints.tsu.ge/1441/1/Innovative%20economy%20-%20problems%20and%20perspectives%20of%20development.pdf (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)
2. საქართველოს კანონი. საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. 18.12.2019. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4734727?publication=0 (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). ინფოგრაფიკა. თბ. 2019. https://www.geostat.ge/ka/infographic?page=3- (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). მეცნიერება და კვლევები. თბ. 2019. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/194/metsniereba (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)
5. საქპატენტი - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში. წლიური ანგარიშები 2019 http://www.sakpatenti.gov.ge/ka/publications/ (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)
6. Dutta S., Lanvin B., Wunsch S. 2015. The Global Innovation Index 2015: Effective Innovation Policies for Development. P. 395-396 https://books.google.ge/books?id=-B9zDwAAQBAJ&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)

7. Rahmanbaeva R.A. 2019. Problems of Innovative Economic Development. International Journal of Recent Technology and Engineering (IJRTE). Volume-8, September Pp. 4120-4123. https://www.ijrte.org/wp-content/uploads/papers/v8i2S11/B15240982S1119.pdf (ბოლოს გადამოწმებულია 13.05.2020)

8. The Global Innovation Index 2019: Stonger Innovation Linkages for Global Growth / INSEAD and the World Intellectual Property Organization (WIPO). https://gtmarket.ru/ratings/global-innovation-index/info (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)

9. The Global Innovation Index 2019: 48 Georgia ranks 48th among the 129 economies featured in the GII 2019. https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2019/ge.pdf (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)

***Tamar Dudauri***

**THE CURRENT STATE AND PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF INNOVATION**

**Summary**

At the same time, the effectiveness of the management of innovative processes is determined. The importance of science and technology activities, which translate knowledge and information into a final product, is underpinned in the innovation process. Delaying the introduction of the volume, which for evaluations of the effects of the management of the innovative processes in the social-economic system, does not necessarily use the specific analytical subdivision with the additional quantitative and quantitative quantities? Innovation system Georgia has been analyzed and certain tendencies have developed.

Over the past decade, it has become increasingly apparent that innovation potential is a determining factor in assessing the competitiveness of a country's economy. This determines the state of the country in the global market. The global innovation index is used to assess the level of innovative development of a country. Georgia has improved its ranking in the Global Innovation Index over the past three years. It is also important to note that the outflow of innovation during these three years has always outweighed the influx.

Based on the analysis of the state policy in the field of innovation, we can note that a number of fundamental legislative acts have been adopted over the years, aimed at activating the innovative sphere. Techno parks and innovation centers, etc. have been established on the basis of normative acts. Nevertheless, no significant progress has been made in this area.

World experience shows that the state plays a key role in the implementation of the innovation strategy, as it combines personnel, education and science.

Problems that hinder the development of innovative economy in Georgia include:

• Low level of demand for innovative products;
• Insufficient amount of funds;
• Lack of qualified staff;
• Distrust of company staff;
• Technological market underdevelopment;
• Low level of science funding from the state budget;
• Lack of informal investor network;
• Low levels of crowdfunding as a tool for attracting cash.
• Lack of inventions;

The article discusses ways to overcome these problems and outlines the main directions of development.

Thus, in order to solve the problems of innovative development, it is necessary to stimulate the demand for scientifically based products that are of higher quality, have a higher price and provide greater profit for the enterprise. This can ensure the growth of consumer demand in the context of structural modernization of the state economy. If this happens throughout the country, we can expect growth in national income and sustainable economic development. The solution of the above problems allows Georgia to intensify innovation processes and increase Georgia's competitiveness, taking into account the global challenges of the modern world economy, which will increase the living standards of the population, and Georgia will be able to take its rightful place among European countries.

***ხათუნა თოდუა***

**საქართველოს მდგრადი განვითარების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე**

***ანოტაცია.*** *თანამედროვე პირობებში მსოფლიო დღის წესრიგში დგება მდგრადი განვითარება, რაც გულისხმობს, რომ ერთმანეთში უნდა დაბალანსდეს ეკონომიკური ზრდა, სოციალური სამართლიანობა და გარემოს დაცვა. მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია, ქვეყანამ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას მაქსიმალურად გაითვალისწინოს გარემოს-დაცვითი და სოციალური პრობლემატიკა, ყურადღება გაამახვილოს მდგრადი განვითარების მიზნების*

*შესრულების პროცესში არსებულ გამოწვევებზე, მოახდინოს მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი სფეროების მკაცრი რეგულირება.*

***საკვანძო სიტყვები:*** *მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა.*

ოდითგანვე ადამიანი ბუნების მბრძანებელია, იგი დასაბამიდანვე ბუნებრივ რესურსებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იყენებდა, ამის შედეგად, განსაკუთრებით მე-19 საუკუნიდან - ინდუსტრიალიზაციის ეპოქიდან - თავი იჩინა პლანეტის სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემებთან დაკავშირებულმა არაერთმა პრობლემამ, მსოფლიო თანდათანობით რესურსების ამოწურვის, გლობალური ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რის გამოც დღის წესრიგში დგება მდგრადი განვითარება, რომლის თანახმად, *,,დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით"* [ჯავახიშვილი ზ., 2003].

პირველი მდგრადი განვითარების პოლიტიკა ევროკავშირმა 2001 წელს დაამტკიცა, რის შემდეგ მან არაერთხელ განიცადა ცვლილებები.

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელიც შეუერთდა ევროკავშირის მდგრადი განვითარების პოლიტიკის დღის წესრიგს, რომელიც ბევრ სხვადასხვა ასპექტს მოიცავს. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურ ასპექტს.

ეკოლოგიის თვალსაზრისით დღეს საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაა, ადგილი აქვს ჰაერის, ნიადაგის, წყლის დაბინძურებას, ტყეების გამეჩხერიანებას, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის როგორც გარემოს, ისე ადამიანების ჯანმრთელობას.

2018 წლის ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის (*EPI – Environmental Performance Index*) მიხედვით კვლევის მონაწილე 180 ქვეყანას შორის საქართველო 94-ე ადგილს იკავებს.

ამიტომაც, ეკონომიკური განვითარების პროცესში ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპების მკაცრი დაცვა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკის წახალისება, ნარჩენების გადამამუშა-ვებელი ინფრასტრუქტურის განვითარება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ამ უკანასკნელის მიღწევა შესაძლებელია ადამიანის საქმიანობისაგან დაცული ტერიტორიების შექმნის გზით.

საქართველოში (IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით) 87 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიაა, რასაც ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 8% უჭირავს. ამასთან, არ ხდება ბიომრავალფე-როვნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ტყის უკონტროლო ჭრას.

მდგრადი განვითარების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია - სოციალური.

მდგრადი სოციალური განვითარება, პირველ რიგში, გულისხმობს ყოველგვარი დისკრიმინაციისა და უთანასწორობის აღმოფხვრას და საზოგადოების მოწყვლადი წევრების სოციალური უფლებების, ადამიანის დემოკრატიული თავისუფლებისა და უფლებების დაცვას, მალადობისა და კონფლიქტების თავიდან აცილებას.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ამ კუთხითაც არასახარბიელო ვითარებაა.

საქართველოში მდგრადი განვითარების შემაფერხებელი ძლიერი ფაქტორია სიღარიბე. UNICEF-ის მე-5 ,,მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის" მიხედვით ბოლო წლების განმავლობაში შინამეურნეობების ფინანსური მდგომარეობა წინანდელთან შედარებით კიდევ უფრო გაუარესდა, მეტი შინამეურნეობა გაღარიბდა, 2015 წელთან შედარებით 2017 წელს ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის - ბავშვებისა და პენსიონერების რიცხვი შესაბამისად 3,3, 5,9 და 2,6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და დღეს მოსახლეობის 5, ბავშვების 6,8 და პენსიონერების 3,7% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, პირველად დაფიქსირდა როგორც უკიდურესი, ისე ზოგადი სიღარიბის ზრდა.

სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად სოციალური დახმარება მიიჩნევა, სოციალური დახმარების ძირითადი მექანიზმი კი სახელმწიფო პენსიებია. პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებთა საერთო რიცხოვნობაში, 2019 წლის მონაცემებით, უდიდესი წილი - 81, 6 % - ასაკით პენსიონერებზე მოდის, ასაკობრივი პენსია კი დღესდღეობით 220 ლარია თვეში, რაც საარსებო მინიმუმს - 194.8 ლარს - მართალია, აღემატება, ამასთანავე, დაანონსებულია, რომ 2020 წლის პირველი ივლისიდან 70 წელზე ხანდაზმულებს პენსია კიდევ 30 ლარით გაეზრდებათ. მაგრამ, სავალალოა, რომ რეალური პენსია შემცირებულია, რადგან ზემოთ აღნიშნული ზრდა ვერ აბალანსებს სურსათზე,

მედიკამენტებზე - ანუ იმ პროდუქტებზე, რაც საშუალო სტატისტიკური პენსიონერის მოხმარების ძირითადი კომპონენტია - ფასების ზრდის გავლენას.

შედეგად, პენსიონერების სოციალური მდგომარეობა არ უმჯობესდება. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სახის პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებებთან მიმართებითაც. მართალია, ზოგიერთ ადგილობრივ თვითმმართველობას ბიუჯეტით გათვალისწინებული აქვს ადგილობრივი სოციალური დახმარებების დაფინანსება, მაგრამ ეს პროგრამებიც საკმაოდ სუსტი და ფრაგმენტულია და სოციალურ მდგომარეობაზე არსებით სასიკეთო გავლენას ვერ ახდენს.

საქართველოში კიდევ ერთი უმწვავესი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის მდგრად განვითარებას - უმუშევრობაა, რომლის დაძლევაში სახელმწიფოს ჩართულობის დონე დაბალია.

მართალია, საქსტატის მონაცემებით, ბოლო წლებში ფიქსირდება უმუშევრობის მაჩვენებლის კლება, კერძოდ, 2019 წ. უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელმა 11,6% შეადგინა, მაშინ როცა 2018 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 12,7% -ს უტოლდებოდა, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, 2017 წლის მაჩვენებელზე 1,2%-ით ნაკლებია, მაგრამ, სამწუხაროდ, უმუშევრობის დონის პროცენტული მაჩვენებლის კლება სამუშაო ძალის შემცირებითაა გამოწვეული, რისი უმთავრესი მიზეზი მიგრაციაა, ამასთან, უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებლის შემცირების პარალელურად შემცირდა დასაქმებულთა რიცხოვნობაც, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში იკლო სამუშაო ადგილების რაოდენობამ.

ამ პრობლემების მოგვარება შესაძლებელია ადეკვატური სოციალური პოლიტიკის შემუშავებისა და დასაქმებასა და უთანასწორობის აღმოფხვრაზე ორიენტირებული სისტემის შექმნის გზით.

მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური წინსვლის, სოციალური სამართლიანობისა და გარემოს დაცვის ურთიერთდაბალანსებას, რაც მიიღწევა საბაზრო აქტივობის შედეგების დაგეგმვის პირობებში. ეს, რასაკვირველია, არ გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ტოტალური კონტროლის მექანიზმების ამოქმედებას -*,,იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ბაზრის მექანიზმის რეკონსტრუირებით კეთილდღეობის განმსაზღვრელმა ყოველმა ელემენტმა ჭეშმარიტი, ადეკვატური ფასი მიიღოს"* [ადეიშვილი დ., 1993].

ჩვეულებრივ გამოყოფენ გარემოზე ზემოქმედების რეგულირების ოთხ ძირითად მიმართულებას, რომლებითაც შესაძლებელია სახელმწიფოს ჩარევა საბაზრო მექანიზმში:

1. სოციალურად და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სასარგებლო საქმიანობათა მხარდაჭერა სახელმწიფო შესყიდვებში შესაბამისი წესების დადგენის გზით, რაც ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან სოციალურად და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სასარგებლო საქმიანობათა სტიმულირების მექანიზმების ამოქმედებას, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს მწვანე პროდუქციის შეძენის პრივილეგირებას, ან კიდევ, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს გამოცხადებულ ტენდერებში ერთ-ერთ კრიტერიუმად გარემოზე ზემოქმედების ფაქტორის გათვალისწინებას, აგრეთვე, ე.წ. ,,მწვანე ეკონომიკისა" და ,,მწვანე ზრდის" წახალისებას, რაც ,,ქვეყნის მდგრადი განვითარების აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

2. პრინციპი - ,,დამბინძურებელი იხდის" - გულისხმობს დაბინძურების ხარისხის კონტროლს და რესურსების გამოყენების ბაზრის რეგულირებას. საქართველოს კანონმდებლობით, გარემოსადმი მიყენებულ ზიანს, მართალია, მეწარმე უნაზღაურებს სახელმწიფოს, მაგრამ როგორც წესი, ეს თანხები ხმარდება არა დაზიანებული გარემოს აღდგენის ღონისძიებებს, არამედ ბიუჯეტის შევსებას და შემდეგ სრულებით სხვა მიმართულებით წარიმართება ხოლმე.

3. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის წახალისება - მიიღწევა ეკოლოგიური გადასახადებით, რომელთა დანიშნულებაა, ერთი მხრივ, გარემოზე მავნე ზემოქმედების შეზღუდვა, ხოლო მეორე მხრივ, კომპანიების გარემოსდაცვითი ქმედებების სტიმულირება.

აღნიშნული მიიღწევა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით გამორჩეული კომპანიებისათვის, რომელნიც ნებაყოფლობით ცდილობენ მაქსიმალურად შეამცირონ გარემოზე მათი ქმედებების ნეგატიური ზეგავლენა ნებართვების გაცემისა და ლიცენზირების, აგრეთვე საბაჟო და საგადასახადო პროცედურების გამარტივების გზით.

4. გადაწყვეტილებათა მიღებაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა; საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაზე ზედამხედველობის პროცესში საზოგადოების ჩართულობისა და ამ ფორმით საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების დონე არადამაკმაყოფილებელია, რაც ძირითადად განპირობებულია საზოგადოების დაბალი ცნობიერებით მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებით;

საზოგადოების აქტიური ჩართვა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში უაღრესად მნიშვნელოვანია.

დღეს სრულიად ნათელია, რომ სამომავლოდ საზოგადოების განვითარება და პროგრესი მხოლოდ ბუნებასთან ჰარმონიის პირობებში შეიძლება იქნეს მიღწეული.

*„დღევანდელი რეალობა მოითხოვს ეკონომიკური ზრდის ცნებაში ეკოლოგიური და სოციალური ასპექტების შეტანას. ეკონომიკური ზრდა უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას და არ უნდა სცდებოდეს ბუნების კანონებით განსაზღვრულ ჩარჩოებს"* [ბლიაძე მ., 2018].

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყანამ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემატიკა, ყურადღება გაამახვილოს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების პროცესში არსებულ გამოწვევებზე, მოახდინოს მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი სფეროების მკაცრი რეგულირება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ადეიშვილი დ., 1993, საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციისთვის, ჟურნალი ,,ეკონომისტი", № 1.
2. ბლიაძე მ., 2018, მდგრადი განვითარება და ჩვენი პლანეტის ხუთი აქტუალური პრობლემა.
3. ჯავახიშვილი ზ., 2003, ევროპის კავშირი: პოლიტიკა და მმართველი ორგანოები – ცნობარი.



***Khatuna Todua***


## THE PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA AT THE PRESENT STAGE

**Summary**


The Sustainable Development Goals promote eradication of poverty and hunger, combat inequalities, protection of human rights ensure lasting protection of the planet and its natural resources, address climate change. The goals should also create conditions for sustainable, inclusive and sustained economic growth, prosperity and decent work for all.

Georgia is among the first countries which committed to the sustainable development agenda soon after the adoption of the UN resolution in 2015 and started integrating them in its domestic policy agenda.

Sustainable development means that the balance between economic, social and environmental requirements must be observed. This is not an unachievable goal. This can be accomplished under market economy conditions. The only thing necessary is to put in place strictly defined regulations for the market economy.

One of the most important aspects of sustainable development is protection of biodiversity. This activity consists of many components the most important of which are: sustainable management of wild nature and creation of territories protected from human activity.

In Georgia protected territories occupy 8% of the country's total territory. These are 53 territories of different protection status. Still protected territories are not used for biodiversity protection but for tourism development.

Protection of forests is one of the important components of biodiversity protection. In Georgia illegal and uncontrolled felling of woods has been going on for many years. As a result, a big part of forest resources has been destroyed.

There are still other certain needs to be addressed in order to move forward with the successful implementation of Sustainable Development Goals in Georgia. A challenge is related to public awareness about the SDGs in Georgia. The awareness of stakeholders and the public on Sustainable Development Goals is low, which creates a gap for public ownership and oversight. Furthermore, specific groups such as the youth, private sector and academia are not properly informed about the international and domestic developments that take place around SDGs.

In order to increase the public ownership on the national activities related to SDGs, it is vital to empower specific target groups with sufficient information and skills that will at a later stage translate into tangible input. One of the main obstacles for sustainable development is poverty. This problem cannot be solved only by providing monetary assistance to poor people. It is necessary to do much more, including access to employment, dwelling, healthcare, communication and information services, education and skills development.

The main social assistance mechanisms are the public pension schemes. Although retirement pensions as well as assistances allocated for people with special needs are quite limited and can finance only part of their needs.

Unemployment is a very severe problem while the government's assistance in solving this problem is minimal. There is no public institution responsible for helping people to find jobs.

In Georgia the fields important for sustainable development are either not regulated or weekly regulated.

It is expedient for Georgia to implement economic reforms taking into account environmental and social problems.

*რუსუდან კვარაცხელია*
*ლევან კიკილაშვილი*

# კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა თანამედროვე საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობისთვის

***ანოტაცია.*** *სტატიაში განხილულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემა რამდენიმე რაკურსით, სახელმწიფოს, კომერციული ბანკების, მათი მომხმარებლებისა და თანამშრომლების მიმართულებით. განხილულია დეპოზიტების დაზღვევის პირობებში ბანკებისა და ასევე მისი მომხმარებლების სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა ფინანსური სისტემის სტაბილურობისთვის. სტატიაში წარმოჩენილია ბანკის, კლიენტთა მომსახურებაში ჩართული თანამშრომლის მოტივაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა და, თავის მხრივ, მისი სოციალურად პასუხისმგებლიანი განწყობა. ეროვნული ბანკის ქმედებები განხილულია კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობის მხარდასაჭერად მათ მიმართ საზოგადოების ნდობის ფაქტორის ამაღლების კუთხით.*

***საკვანძო სიტყვები:*** *კორპორაციული სოციალური პაუხისმგებლობა; დეპოზიტების დაზღვევა; მოტივაცია; დერივატივები; ნეთინგი.*

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში თითქმის ყველა კომპანია, მიუხედავად ორგანიზაციული ფორმისა და ზომისა, აქტიურობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. დღეს მძაფრი კონკურენციის პირობებში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მძლავრი მარკეტინგული ინსტრუმენტია გლობალურ ბაზარზე უპირატესი ადგილის დასამკვიდრებლად, ვინაიდან პროდუქტი დამატებით სოციალურ ღირებულებას იძენს. თანამედროვე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს პირდაპირ რეაქციას საზოგადოების მუდმივად ცვალებად მოთხოვნებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი კი არის ის, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ასამაღლებლად აუცილებელია სოციალურად პასუხისმგებლიანი ქმედებებით ხასიათდებოდეს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ბიზნესი და საზოგადოება, რომლებიც აქტიურად ურთიერთთანამშრომლობენ, ვინაიდან თითოეული სოციალურად უპასუხისმგებლო ქმედება შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს როგორც ბუნების, ასევე ბიზნესგარემოსთვის, რაც, თავის მხრივ, ჯაჭვური რეაქციით ახდენს ზეგავლენას ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

* * *

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის იდეა ჯერ კიდევ XV საუკუნეში გაჩნდა ევროპაში. როდესაც იაკობ ფუგერი (Jacob Fugger) საზოგადოებამ გაკიცხა მონოპოლისტური ქმედებების გამო, მან ღარიბ მოსახლეობას სახლები დაურიგა თავისავე ქალაქში. ამ პერიოდის მმართველების შეხედულებით, საზოგადოების სოციალური მხარდაჭერის მოსაპოვებლად საქველმოქმედო საქმიანობა უნდა ყოფილიყო ცალსახად ნებაყოფლობითი; ჰენრი ფორდმა შეიმუშავა პატერნალისტური პროგრამები საკუთარი თანამშრომლებისთვის, სწორედ ასეთი მიდგომა გახდა მოგვიანებით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფორმირების სტიმული (Metaxas T.&Tsavdaridou M., 2010). როკფელერების, მორგანების, კარნეგების, მდიდარი კაპიტალისტების კაპიტალის დინამიურად მზარდი შემოსავლის ნაწილი სხვადასხვა ფონდების დაარსებას და ქველმოქმედებას ხმარდებოდა (Scherer A. G.&Palazzo G.&Matten D., 2009). კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ მსოფლიოს მოსახლეობის დაინტერესება განსაკუთრებულად 2012 წლიდან იკვეთება, მას მერე კი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბაზარზე არსებული კონკურენციის საფუძველზე წარმოიშვა. ნებიმიერი კომპანია ვალდებულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობა დაუკავშიროს საზოგადოების ფასეულობებსა და მოლოდინებს (Bowen, 1953). მრავალი მეცნიერი ცდილობდა წარმოეჩინა საკუთარი ხედვა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის თაობაზე. ქეროლი (Carroll, 1979, p.500) საკუთარ აკადემიურ ნაშრომში გამოყოფდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ოთხ მნიშვნელოვან კომპონენტს და მათ თანმიმდევრულობას: ეკონომიკური ვალდებულებები, რენტაბელურობა; სამართლებრივი, ლეგალური პასუხისმგებლობები; ბიზნესის ეთიკა; ფილანტროპიული პასუხისმგებლობები, ზოგადი კეთილდღეობის ხელშეწყობა, ანუ სასურველია, რომ იყო შეგნებული მოქალაქე (Brent, 2014, p.10).

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და არსი ასოცირდება კონცეფ-ციებთან: კორპორაციული სოციალური აქტივობა, კორპორაციული მოქალაქეობა, კორპორაციული სოციალური რეაგირება, დაინტერესებული ჯგუფების მენეჯმენტი. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კომპლექსური ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთთან აკავშირებს ბიზნესსა და შესაბამის საზოგადოებრივ ჯგუფებს (Löber, 2012, p.5). იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს უამრავი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული საზოგადოებრივი ჯგუფი, არ არსებობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთი უნიკალური განმარტება. სოციალური პასუხისმგებლობა არის საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს არა მარტო კომპანიის ძირითადი ინტერესებიდან, მიიღოს მეტი ეკონომიკური სარგებელი, არამედ მიმართოს ინტერესები საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის შესაქმნელად, რასაც არ ავალდებულებს კანონმდებლობა (McWilliams, Siegel 2001, p.17).

ყველა ქვეყანას, რომელიც მხარს უჭერს თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებს, ახასიათებს პასუხისმგებლიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მთავარი მიზანია მიმზიდველი ბიზნესგარემოს, ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა. საქართველოს მთავრობამ საქართველოს ორგანული კანონით - „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ - მოახდინა სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ღირებულებების დეკლარირება, რომლითაც განისაზღვრა შემდეგი: „სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობისა და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას“ (საქართველოს კანონი 01.07.2011).

ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გლობალური თუ მიმდინარე გამოწვევების პირდაპირპროპორციულად იცვლება. გლობალური ბიზნესგარემო დინამიური ორგანიზმია. იმისათვის რომ განვითარდნენ, დააფიქსირონ მდგრადობა და კონკურენტუნარიანობა აღნიშნულ ცვალებად გარემოში, ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ სწორი სტრატეგიები. დღეს, განსაკუთრებით პანდემიის კრიზისის შემდგომ პერიოდში, სახელმწიფოსაც, კერძო სექტორსაც და საზოგადოებასაც მართებს გარკვეული წილი პასუხისმგებლობის აღება ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობის და მდგრადი განვითარების მისაღწევად. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამ მიმართულებით ეკონომიკური და ფინანსური ინსტიტუტების ურთიერთშეთანხმებული, პასუხისმგებლიანი და გამართული ფუნქციონირება. უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკის რეალური სექტორის ფინანსური მხარდაჭერა, რომელშიც ფინანსურ ინსტიტუტებს ძირითადი როლი აკისრია, სწორედ მათი საშუალებით ხდება თანხების მოძრაობა და გადანაწილება. მათ, ერთი მხრივ, აკისრიათ პასუხისმგებლობა ფინანსურ ოპერაციებზე, მეორე მხრივ კი, აღებული აქვთ ვალდებულება, განახორციელონ პასუხისმგებლიანი დაკრედიტება. დაკრედიტების პოლიტიკა ზოგადად, ზეგავლენას ახდენს ბიზნესსუბიექტების კრიზისის განვითარებაზე. დღეს მოსახლეობის დიდი ნაწილი სხვადასხვა საბანკო პროდუქტის მომხმარებელია, თუმცა პროდუქტების გაცემის წესი ხშირად პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს ეწინააღმდეგება. ყოველივე ამის შედეგად ფიქსირდება მომხმარებელთა გადახდისუუნარობა, ბიზნესკომპანიების კრიზისი და ზოგადი ეკონომიკური ფონის გაუარესება.

საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან უპასუხისმგებლო მომსახურების შედეგად, გაყიდვაზე ორიენტირებული ქცევის გარემოებაში, იზრდება მომხმარებლების „გადატვირთვა“ საბანკო პროდუქტებით. 2017 წელს ბანკებს მნიშვნელოვნად შერბილებული საკრედიტო სტანდარტების წარდგენის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მათ არაერთი რისკიანი საკრედიტო პროდუქტი შეუჩერა ან აუკრძალა.“ (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2017, გვ.14). კომერციულ ბანკებში ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის უზრუნველსაყოფად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით შევიდა ცვლილებები დებულებაში "კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის აუცილებლობის გათვა-ლისწინებით. მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მოთხოვნა განსაზღვრულია ასოცირების შესახებ შეთანხმებაშიც, (EU2008/48/EC), (კოვზანაძე, კონტრიძე, 2014, გვ.41). ბანკებმა, მათი ფუნქციის ფარგლებში, საკუთარი პოლიტიკა უნდა ააგონ პასუხისმგებლიან დაკრედიტებაზე, ეთიკური ნორმების გათვალისწინებით აღნიშნული ასპექტები მაღალ ადამიანურ ფასეულობებსა და სოციალურ პასუხისმგებლობას ემყარება (BAOS, 2015).

თავის მხრივ, სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა იზრუნოს ქვეყნის საფინანსო სისტემის გამართულ მუშაობაზე, განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებში. COVID-19-ის პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა და ფინანსური სექტორი დააზარალა, თუმცა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ სათანადო ღონისძიებები გაატარეს კრიზისის ნეგატიური გავლენის შესარბილებლად. იმისათვის, რომ COVID-19-ის პანდემიის ფონზე წაეხალისებინა ეკონომიკა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყო

ეკონომიკის სექტორებისთვის ლიკვიდური ფულადი რესურსების შეუფერხებელი მიწოდება, შეიმუშავა დროებითი საზედამხედველო გეგმა, გააფართოვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ის) პროგრამა და აამოქმედა სავალუტო ინტერვენციების ახალი მექანიზმები.

დროებითი საზედამხედველო გეგმის შემუშავებით საბანკო სექტორს საშუალება მიეცა კაპიტალი და ლიკვიდობის ბუფერები გამოეყენებინა პოტენციური ზარალების გასანეიტრალებლად, პოტენციალის სრულად ასამოქმედებლად და რეალური ეკონომიკის დასაკრედიტებლად. საბანკო სისტემის ლიკვიდური სახსრებით უზრუნველსაყოფად ეროვნულმა ბანკმა სვოპ ოპერაციები აამოქმედა, ლარის ლიკვიდობისთვის, რათა ლიკვიდობის რისკი არ გამხდარიყო ეკონომიკის დაკრედიტების შემაფერხებელი ფაქტორი.

2020 წლის 1.06. - დან ეროვნულმა ბანკმა  მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების ხელშესაწყობად აამოქმედა ასევე ლიკვიდობის მიწოდების ინსტრუმენტები.

2020 წლის 1.05-დან, 2021 წლის 01.05 - მდე ბანკებს შეუძლიათ ლარის ლიკვიდობის მართვისთვის გამოიყენონ უცხოური ვალუტის ბუფერები და ჯამური ლიკვიდობის მოთხოვნა ასე დაიცვან.

ასევე აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი  ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) სვოპ ოპერაციების საშუალებით მიაწვდის ლარის ლიკვიდობას, რის საფუძველზეც  EBRD-ს საშუალება ექნება გაზარდოს ადგილობრივ ვალუტაში კერძო სექტორის დაფინანსება. ეროვნულ ვალუტაში სესხები უფრო ხელმისაწვდომი გახდა მათთვის. მხარეებმა გარიგება დადეს 2020.24.04 - ში.

სავალუტო ბაზრის უცხოური ვალუტით მიწოდების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა 180 მლნ აშშ დოლარის 6 ინტერვენცია განახორციელა.

კომერციულმა ბანკებმა მომხმარებლებს სესხებზე სამთვიანი საშეღავათო პერიოდი შესთავაზეს, რის საფუძველზეც ეროვნულმა ბანკმა შეარბილა საზედამხედველო მოთხოვნები.

"რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულება", რომელიც 2020 წლის ივნიში უნდა ამოქმედებულიყო, გადავადდა 1 წლით.

გამარტივდა დაკრედიტების პროცედურები, შერბილდა ფინანსური უწყისების განახლებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, სავალუტო ვაჭრობის ახალი მექანიზმი ამოქმედდა - ბლუმბერგის Bmatch პლატფორმა, რაც ბაზარს მეტად დივერსიფიცირებულს, კონკურენტუნარიანსა და ლიკვიდურს გახდის.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობის, გამჭვირვალობის მხარდაჭერა, ამავე დროს, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა, ქვეყნის საფინანსო სექტორში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, სისტემური რისკის კონტროლი და პოტენციური რისკების თავიდან აცილება.

2020 წლის მაისის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტიის გადაწყვეტილებით, კონტრციკლური ბუფერი ისევ 0%-ზე დარჩა, მასზე მოთხოვნა 2021 წლამდე უცვლელად შენარჩუნდება. შესაძლოა, კონტრციკლური ან მარტში გამოთავისუფლებული კაპიტალის ბუფერის გაზრდა არც გახდეს საჭირო. მომავალში საბანკო სექტორს ექნება საშუალება, რომ მოცემული ბუფერები ეტაპობრივად, მარტივად შეივსოს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ფინანსური სისტემა შოკის მიმართ მდგრადობას ინარჩუნებს. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2020 წლის 30 სექტემბერს უნდა ჩატარდეს.

**დერივატივების კანონი.** 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ საკანონმდებლო პაკეტი დაამტკიცა. აღნიშნული კანონით ქართული კაპიტალის ბაზრის განვითარების ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპი  იწყება. დერივატივები არის კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის  გამოყენებითაც შესაძლებელია ფინანსური რესურსების, ასევე  მათთან დაკავშირებული რისკების აცილება და უკეთ მართვა, რაც ასევე სოციალური პასუხისმგებლობის ელემენტად შეიძლება მივიჩნიოთ. დერივატივებს მკვეთრად უკავშირდება ფინანსური გირავნობის საკითხებიც. ფინანსური გირავნობა არის ფინანსური სტაბილურობის განსაკუთრებული ინსტრუმენტი, რომელიც  განაპირობებს ფინანსურ სექტორში რისკების შემცირებას. აღნიშნული კანონის კიდევ ერთი საფუძველია ურთიერთგაქვითვა, ნეტინგი, რაც საგრძნობლად ამცირებს კაპიტალის მოთხოვნას და აიაფებს გარკვეულ ფინანსურ ტრანსაქციებს.

**დეპოზიტების დაზღვევის სისტემა**

საქართველოში 2017 წლის 24 ივლისიდან არსებობს სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, საქართველოს კანონის „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“  შესაბამისად. სისტემის დანერგვა

გათვალისწინებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020, ამავე დროს, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაში. პრუდენციული რეგულირების, ლიკვიდურობის ხელის შეწყობის და ეფექტიანი ზედამხედველობის ფაქტორებთან ერთად, ფინანსურ სტაბილურობას და უსაფრთხოებას მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რაც ერთგვარი სოციალური პასუხისმგებლობის ფორმაცაა სახელმწიფოს მხრიდან საბანკო სისტემისადმი. აღნიშნული სისტემა, საქართველოს კანონის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" თანახმად, დეპოზიტორების კუთვნილ თანხებს განსაზღვრული მოცულობით აზღვევს კომერციული ბანკის ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვისა და ამოქმედების ძირითადი მიზანი ქვეყანაში იყო ზოგადად კომერციული ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის ფაქტორის ამაღლება, დანაზოგების შექმნის წახალისება, ფინანსური კრიზისების შემთხვევაში შოკური ეფექტების შერბილება, სოციალური დაცვის ფაქტორების და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

დეპოზიტების დაზღვევის ლიმიტი 2020 წლის 1 ივლისიდან ნებისმიერ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტისთვის გახდა 15 000 ლარი. ზღვარი ექვემდებარება გადახედვასა და ზრდას ეროვნული ეკონომიკისა და მსოფლიოში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით. დაზღვევას ექვემდებარება ფიზიკური პირების ყველა ხელმისაწვდომი დეპოზიტი მიმდინარე ანგარიშის და ანაბრების ჩათვლით. აღნიშნული სისტემა არ წარმოქმნის დამატებით ხარჯებს დეპოზიტარებისთვის. დეპოზიტების დაზღვევის ფონდში, სადაზღვევო პრემიას, ყოველთვიური რეგულარული შენატანის სახით, იხდის საქართველოში ფუნქციონირებადი ყველა კომერციული ბანკი, ლარში დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 0.03%-ის, უცხოურ ვალუტაში დაზღვეული დეპოზიტების 0.1%-ის მოცულობით.

რაც შეეხება სოციალური პასუხისმგებლობის ფაქტორს, როგორც ბანკების, ასევე საზოგადოების მხრიდან, ასეთია: დეპოზიტების დაზღვევის სიტემას, უსაზღვროდ დადებითი მრავალმხრივი ეფექტის ნაცვლად, სოციალური პასუხისმგებლობის გარეშე შესაძლებელია სერიოზული მატერიალური ზარალი მოჰყვეს. კერძოდ, საკითხი ეხება კომერციული ბანკებისა და მათი მომხმარებლების მხრიდან განხორციელებულ არაპასუხისმგებლიან ქმედებებს დეპოზიტების დაზღვევის არსებობის ხარჯზე. კონკრეტულად, ვინაიდან დეპოზიტების თანხების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია დაზღვევის ფონდი, კომერციული ბანკის მხრიდან ვლინდება მორალური რისკები. ბანკს აქვს მეტი სტიმული, აწარმოოს რისკიანი გარიგებები, ანუ გაცილებით ლოიალურები ხდებიან რისკების მიმართ. ამიტომ, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა კომერციული ბანკების ეფექტიანი კონტროლის მექანიზმის პარალელურ რეჟიმში უნდა ფუნქციონირებდეს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბაზელ 3-ის საბანკო რეგულაციების დანერგვა ამ პრობლემას მეტ-ნაკლებად აგვარებს. აღნიშნული მექანიზმი იძლევა კომერციული ბანკების ლიკვიდობისა და დაკრედიტების, მთელი სისტემის ღრმა ანალიზისა და კონტროლის საშუალებას.

ასევე არსებობს საფრთხე, რომ შეიცვალოს ზოგადად მომხმარებლის ქცევა. მეანაბრე, რომელიც ადრე თანხის შესანახად ირჩევდა შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე, თუმცა მეტი სტაბილურობით და სანდოობით გამორჩეულ ბანკებს, ამ ეტაპზე ის უყურებს გარანტიებს, რომ მას არ ეკარგება ანაბარზე განთავსებული თანხა ბანკის ფინანსური კრიზისის ფონზეც კი, ამიტომ უპირატესობას ანიჭებს მაღალრისკიან კომერციულ ბანკს, გაცილებით მაღალი საპროცენტო განკვეთის შემოთავაზებით დეპოზიტზე. დეპოზიტზე განთავსებული თანხის ანაზღაურების გარანტია მომხმარებელს უკარგავს ინტერესს, გარკვეული დროის მანძილზე დააკვირდეს ბანკის საქმიანობას, სიახლეებს, მისი მომხმარებლების კმაყოფილების ხარისხს, დაადგინოს ბანკის ფინანსური სტაბილურობა კონკრეტული დროისთვის. იგი არ იკვლევს ბანკის საქმიანობას, თუ რამდენად სარისკო საინვესტიციო პროექტებს ახორციელებს მოცემული ბანკი მისივე ანაბარზე განთავსებული თანხების საშუალებით, რა შემოსავლიანობა აქვს და რამდენად არის ორიენტირებული საბოლოოდ განვითარებაზე. ამ პასუხისმგებლობისთვის საჭიროა ასევე სათანადო ფინანსური განათლება, ფინანსური კულტურა, რისი ნაკლებობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს საფონდო ბირჟის ფაქტობრივად არარსებობა მისი დაბალი პოპულარიზაციის გამო. მოქალაქე, რომელიც ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაშია აქტიურად ჩართული, ითავისებს ფინანსური გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარკვეული ფუნდამენტური ანალიზის აუცილებლობას, შესაბამისად, იგი მეტ სოციალურ პასუხისმგებლობას ავლენს.

აღნიშნული "მორალური საფრთხეების" თავიდან აცილება შესაძლებელია სწორი საზედამხედ-ველო პოლიტიკის შემუშავებით, ასევე საზოგადოების თითოეული წევრის - ბანკის დამფუძნებლების, თანამშრომლების თუ მომხმარელების სოციალური პასუხიმგებლობის გრძნობის ამაღლებით. დემირგუჩ-კუნტის და დეტრაგიაჩების (Demirgu.c-Kunt, Detragiacheb 2002) ჩატარებული კვლევის მიხედვით,

განვითარებული ინსტიტუციური გარემოს მქონე ქვეყნებში მინიმუმამდეა დაყვანილი მორალური საფრთხეები.

მსოფლიოში, ქვეყნების უმრავლესობაში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა ძირითადად უკავშირდება კრიზისის შემდგომ პერიოდებს. ამიტომ, საქართველოსთვის უკვე ძალიან წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა მოხდა არა კრიზისის შემდგომი პერიოდისთვის, არამედ დაინერგა შედარებით სტაბილური საფინანსო სისტემის პირობებში, როგორც ვალდებულება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით, და როგორც საბანკო კრიზისის დადგომის პრევენცია. დეპოზიტორებს აქვთ სტიმული, გააკეთონ მეტი დანაზოგი, ბაკმა კი სოციალურად პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებები მიიღოს ეფექტიანი საინვესტიციო პროექტების შერჩევის კუთხით. საბანკო კონკურენცია ქართულ ფინანსურ ბაზარზე მოსახლეობისთვის შეთავაზებული შემოსავლიანობის ნორმაში უნდა აისახოს, რაც თითოეული ბანკის სოციალური პასუხისმგებლობაა. აუცილებელია მოქალაქეებში ზოგადად სადაზღვევო, ასევე ფინანსური ანალიზის ცოდნისა და კულტურის ამაღლება, მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, რაც საზოგადოების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების წინაპირობაა.

**მოტივაცია ბანკებში**

თანამეროვე ბიზნესგარემოში სხვა უამრავ პრობლემას შორის აქტუალურია თანამშრომელთა მაღალი მიგრაცია. ეს ფაქტი დიდწილად გამოწვეულია ორგანიზაციის მხრიდან ვალდებულებებისა და მათ შესასრულებლად თანამშრომლის მოტივაციის ფაქტორების შეუსაბამობით. ორგანიზაციის სტრატეგია მიმართული უნდა იყოს მხოლოდ თანამშრომელთა შენარჩუნებაზე, არამედ ახალი, მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვაზე. თანამშრომლების გადინების გზით კომპანია განიცდის მატერიალურ და არამატერიალურ დანაკარგებს, ასევე ინფორმაციის გაჟონვის პრობლემას. განსაკუთრებით მწვავეა აღნიშნული პრობლემა საბანკო სექტორში. უაღრესად მნიშვნელოვანია აღნიშნულ სფეროში თანამშრომლის მოტივირებულობა. მაშინ, როდესაც მომსახურების სფეროს მთელი ბიზნესის მისიას, მიზნებს, მიდგომებსა და სპეციფიკას, სტრატეგიასა და ტაქტიკას, მომხმარებლისადმი დამოკიდებულებას კონკრეტული მომხმარებლის წინაშე წარადგენს მომსახურების სფეროს ერთი, რიგითი თანამშრომელი. ასეთ მაგალითს წარმოადგენს მაგალითად, საფინანსო ინსტიტუტის თანამშრომელი, რომელსაც პირადად უწევს მომხმარებელთან შეხვედრა, მასთან გასაუბრება, ერთი მხრივ, მისი მოთხოვნილებების და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობების, ასევე დაცულობის დეტალების გარკვევა, მეორე მხრივ კი მათზე ზუსტად მორგებული პროდუქტის შეთავაზება ორმხრივი სარგებლობის გათვალიწინებით. თუ თანამშრომელი არ არის სათანადოდ მოტივირებული, სწრაფად და ზუსტად შეარჩიოს კონკრეტულ მომხმარებელზე გათვლილი ისეთი პროდუქტი, რაც საფინანსო ინსტიტუტის პოლიტიკასაც გაატარებს და მომხმარებლის მოზიდვასაც უზრუნველყოფს, კომპანიის სტრატეგია, მოიზიდოს მომხმარებელი და გაზარდოს შემოსავლები, ვერ შესრულდება. თანამედროვე მომხმარებელს სჭირდება დადებითი შთაბეჭდილება, პიროვნული თანადგომა საფინანსო ინსტიტუტის თანამშრმლისაგან, რომელიც მას სთავაზობს დახმარებას კონკრეტულ მომენტში, კონკრეტული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მისთვის ხელსაყრელი პირობებით. ნდობის ფაქტორი, დახმარებისა და გვერდში დგომის განცდა - ეს ის სენსიტიური ფაქტორებია, რაც მომხმარებლის მოზიდვას უზრუნველყოფს.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ბანკის თანამშრომლის ერთი მხრივ, სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება, მეორე მხრივ კი, მისი სათანადო მოტივირება, რაც კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილია.

ბანკის თანამშრომელთა მოტივაცია, რამაც უნდა გაზარდოს მისი პროდუქტიულობა, მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს: თანამშრომლის ჩართულობა ბანკის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად აუცილებელი ტაქტიკური ნაბიჯების დაგეგვაში, ორგანიზაციული ხედვა, ღირებულებები, აღიარება, მენეჯერის სანდოობა, ჯილდოები და კარიერული ზრდა. თანამშრომლები სამუშაო ადგილზე ხვდებიან შინაგანი მოტივაციით და ისწრაფვიან წარმატებისკენ, კარიერული წინსვლისკენ, თუ ამას დაემატება სხვა ღირებულებაც, რომ შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ორგანიზაციის წარმატებაში, ბანკის კონკურენტუნარიანობაში, ეს ამაღლებს მათ თვითშეფასებას და შესაბამისად პროდუქტიულობას. დამსაქმებელს მოეთხოვება უზრუნველყოს სათანადო რესურსები, შესაძლებლობები, ჯილდოები ფორმები, კომფორტული სამუშაო გარემო (SHRM, 2010). პერიმ (2006) ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ თავიანთ ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და გრძნობენ, რომ კომპანიაში მათ ხმას მნიშნელობა ენიჭება, გრძნობენ უფრო მაღალ

სამუშაო კმაყოფილებას (Daniel & Metcalf, 2005, ციტირებული SHRM, 2010). ლოულერი (2003) ხაზს უსვამს, რომ "ადამიანების სწორი მოპყრობა ფუნდამენტურია ორგანიზაციული ეფექტურობისა და წარმატების უზრუნველსაყოფად. თუმცა ადვილია ნათქვამი, ვიდრე შესრულება". Llopis- მა (2012) ასევე აღნიშნა, რომ ნდობა ძლიერი მოტივაციური იარაღია და ის ლიდერები, რომლებიც უფრო გამჭვირვალე არიან თავიანთ თანამშრომლებთან, აღწევენ საოცარ შედეგებს.

მოტივაციის კლასიკური თეორიები, რომლებიც შეიმუშავეს ტეილორმა, მასლოუმ, ადამსმა, მაკკლელანდიმ, ჰერცბერგმა, მაკგრეგორმა, მეიომ, ოუჩიმ, ვრუმმა, პორტერმა და ლოულელმა, არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ რომელიმე მათგანი იქნეს აღიარებული როგორც უნიკალური მოდელი, ავაგოთ მასზე კონკრეტული, წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული სტრატეგია საფინანსო სექტორის თანამშრომლის მოტივაციის ასამაღლებლად. მათი სინთეზით კი შესაძლებელია ინდივიდუალური მოტივაციის მოდელის აგება, თუმცა იმავე მოდელი სხვა ტერიტორიული ერთეულის ბანკის ფილიალში იგივე ეფექტიანობით ვერ იმუშავებს.

სტატიის ფარგლებში გვინდა შევეხოთ ფრედერიკ ჰერცბერგის ორფაქტორიან თეორიას, რომელსაც ჰიგიენურ თეორიასაც უწოდებენ. იგი იმეორებს მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიულობის იდეას, თუმცა მიიჩნევს, რომ ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნილებები საერთოდ არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მოტივატორი. თუ ადამიანში არ არის დაკმაყოფილებული საბაზო მოთხოვნილებები, ის კარგად არ იმუშავებს, თუმცა აქვე მითითებულია, რომ აღნიშნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სულაც არ იწვევს თანამშრომლის მოტივაციის ამაღლებას. ჰერცბერგის იერარქიაში ორი ტიპის ფაქტორია - „ჰიგიენური" და „მამოტივირებელი". ჰიგიენურ ფაქტორებში იგულისხმება კომპანიის პოლიტიკა და მისი მართვის მეთოდები, სამუშაო პირობები, ხელფასი, დაცულობისა და უსაფრთხოების ხარისხი. არც ერთი მათგანი არ არის უმაღლესი მოტივატორი, თუმცა, ნამდვილად იწვევენ მორალური დაკმაყოფილების განცდას. მეორე ჯგუფში კი ჰერცბერგმა მოაქცია ყველა ის ფაქტორი, რაც უშუალოდ სამუშაოსთანაა კავშირში და თანამშრომლის პიროვნული მიდრეკილებებით არის განპირობებული, ასეთია: წარმატება, კარიერული ზრდა, აღიარება, პასუხისმგებლობა, შემოქმედებითი ზრდის პოტენციალი. მოტივაციის ფაქტორები თავისი ბუნებით ძალიან დინამიურია და ყველა ფაქტორს განსხვავებული გავლენა აქვს თანამშრომლის მოტივაციაზე.

## დასკვნა

საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს, აუცილებელია დაცული იყოს სოციალური პასუხისმგებლობა როგორც სახელმწიფოს, ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების, ასევე მათი თანამშრომლებისა და მომხმარებლების, საზოგადოების თითოეული წევრის მხრიდან. თანამედროვე საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობისთვის, განსაკუთრებით დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მხარდაჭერის პირობებში, აუცილებელია რამდენიმე ფაქტორის გააზრება: გარანტიებმა, რომ ბანკის კრიზისის შემთხვევაში ფონდი აზღვევს დეპოზიტარებს, არ უნდა გამოიწვიოს ბანკის უპასუხისმგებლოდ დიდი ლოიალობა ფინანსური რისკების მიმართ და მომხმარებელმაც პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილება მიიღოს ბანკის შერჩევისას. ასევე, სოციალური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანია როგორც ბანკის მიერ თანამშრომლების მიმართ, მათი მოტივაციისთვის ოპტიმალური ფაქტორების შერჩევისას, ასევე თავად თანამშრომლების მხრიდან ბანკის მიმართ. და, ბოლოს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ზრუნავს კერძო სექტორის სანდოობის ფაქტორის გაძლიერებაზე საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალურად პასუხისმგებლიანი ქმედებებით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. კოვზანაძე ი., გოგი კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ., სეზანი, 2014.
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", 24/09/2009, კონსოლიდირებული.
3. საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო. http://diagency.ge/ka
4. საქართველოს ეროვნული ბანკი. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=109
5. Bowen, Howard R. 1953. Social Responsibilities of the Businessman, 1st edition. New York. Harper
6. Carroll, A. B. (1991). The Pyramid of Corporate Social Responsibility: Toward the Moral Management of Organizational Stakeholders. Business Horizons.
7. Creswell, J. W. (2014). Research Design. London: Sage Publications.

8. Daniel & Metcalf, 2005, ციტირებული SHRM, 2010
9. Glasl, F. /. (2016). Dynamische Unternehmensentwicklung. Bern Stuttgart Wien: Haupt Verlag
10. Harris P. R. and Moran R. Managing Cultural Differences, Houston: Publishers Note: Transferred to Tailor and Fracis as of 2012, 549
11. Koining, Isabell, Sanda Deihl, Barbara Mueller. 2018. Modelling the influence of consumers' attitudes towards corporate social responsibility behavior. Corporate Social Responsibility (CSR). Editor: Charles Richard Baker. 2018. New York. Nova Science Publishers, Inc.
12. Kotler, Philip and Nancy Lee. 2005. Corporate Social Responsibility: Doing the Most Good for Your Company and Your Cause. Hoboken, NJ. Wiley and Sons, Inc.
13. Lantos, G. (2001). The Boundaries of Strategic Corporate Social Responsibility. . Journal of Consumer Marketing.
14. Metaxas, T. &. (2010). Corporate Social Responsibility in Europe: Denmark, Hungary and Greece. Journal of Contemporary European Studies
15. Morgan G., Riding the Waves Change.: "Jossey – Bass ", San Francisco, 1998
16. Nielsen. 2012. The Global, Socially Conscious Consumer. https://bit.ly/2HPHmYR (07.04.2019)
17. Silvia Lorincová, Peter Štarcho, Dagmar Weberová, Miloš Hitka, Martina Lipoldová "Employee Motivation as a Tool to Achieve Sustainability of Business Processes". Sustainability 2019, 11, 3509 file:///C:/Users/ruso/Downloads/sustainability-11-03509.pdf

***Rusudan Kvaratskhelia***
***Levan Kikilashvili***

**THE IMPORTANCE CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY FOR THE FINANCIAL STABILITY OF THE MODERN BANKING SYSTEM**

**Summary**

The article discusses the problem of corporate social responsibility from several perspectives, in terms of the state, commercial banks, their customers, and employees. The importance of social responsibility of banks as well as it's consumers for the stability of the financial system in terms of deposit insurance is discussed. The article presents the special importance of motivation of the bank, the employee involved in customer service, and in turn, it's socially responsible attitude. The actions of the National Bank are discussed in support of the financial stability of commercial banks in terms of raising public confidence.
***Keywords:*** *Corporate Social Responsibility, Deposit Insurance, Motivation, Derivatives, Netting*

*მერაბ ლომინაძე*

## საინვესტიციო პროცესების ხელშემწყობი ეკონომიკური ფაქტორები საქართველოში

***ანოტაცია.*** *სტატიაში დასაბუთებულია საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მნიშვნელობა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციისათვის, გაანალიზებულია სხვადასხვა მეცნიერის შეხედულება საინვესტიციო საქმიანობის პრინციპებისა და პარადიგმების შესახებ. შესწავლილია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა 2017-2019 წლებში. გაკეთებულია დასკვნა, რომ კერძო სექტორის განვითარებას მნიშვნელოვნად ზღუდავს ინვესტიციების სიმცირე, შესაბამისად შემოთავაზებულია საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ხელშემწყობი ღონისძიებები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის.*

*ნაშრომში გამოვლენილია საინვესტიციო პროცესების განხორციელებაზე მოქმედი ფაქტორები, შეფასებულია ინვესტიციების ძირითადი დეტერმინანტები - საპროცენტო განაკვეთი და გაყიდვების მოცულობა. დასაბუთებულია, რომ აღნიშნული დეტერმინანტები ინვესტიციების მოცულობაზე გავლენას ახდენს როგორც ცალ-ცალკე, ასევე კომპლექსურად. დადგენილია, რომ გამოშვების მოცულობის ზრდა ინვესტიციების მოცულობას ასტიმულირებს.*

*ნაშრომში გაკეთებულია დასკვნები საინვესტიციო პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შესახებ, დასახულია ინვესტიციების ეფექტიანად წარმართვის გ ზები.*
***საკვანძო სიტყვები:*** *საინვესტიციო პროცესი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკური ზრდა, საინვესტიციო გარემო.*

გლობალიზაციის პირობებში კიდევ უფრო აქტუალური ხდება ქვეყნებში მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნის მიღწევა გაეროს განვითარების პროგრამის

(UNDP) პრიორიტეტიც არის[124]. ეკონომიკური ზრდის ალტერნატიული საშუალების მოძიება მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასაც.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წელს საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 5.2% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი წლების მანძილზე ცვალებადია, მაგალითად, 2010-2013 წლებში ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 6.1%-ს შეადგენდა. 2013 წელს ამ მაჩვენებელმა 3.3% შეადგინა, 2014 წელს დაგეგმილი 5%-იანი ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესების გამო, 0.4%-ით ნაკლები იყო, 2015-2018 წლებში იგი 2.8%-დან 5.0%-მდე მერყეობდა. 2019 წლის დეკემბერში ეკონომიკა 3.2%-ით გაიზარდა, წლის მეოთხე კვარტლის ეკონომიკური ზრდა კი 5.3% იყო[125]. ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საქართველოში სიღარიბის ზღვარი არ შემცირებულა. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილმა 2018 წლის მონაცემებით 20.1% შედაგინა[126]. ასევე, მაღალია უმუშევრობის დონე, მოსახლეობის უმეტესობა თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს. მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით ჯინის კოეფიციენტი 0.37-ს შეადგენს[127].

მაშასადამე, საქართველოში ეკონომიკური ზრდის უზრუნველმყოფი ფაქტორების გამოვლენა აუცილებელია როგორც კერძო, ასევე, სახელმწიფო სექტორისათვის. დასახელებული სექტორების განვითარებას მნიშვნელოვანად ზღუდავს არასაკმარისი ფინანსური რესურსები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საჭიროა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. თუმცა, ზოგჯერ, დაფინანსებისათვის საჭირო რესურსები არაეფექტიანად გამოიყენება. შესაბამისად, მკაცრ კონკურენტულ გარემოში აქტუალურია საინვესტიციო პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა და საინვესტიციო პროცესების ეფექტიანი წარმართვის უზრუნველყოფა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია საინვესტიციო პროცესების ხელშემწყობი ეკონომიკური ფაქტორების გამოვლენის საფუძველზე ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება. ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელება საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკის ზრდას განაპირობებს.

განხილული პრობლემების შესაბამისად გამოყენებულია კვლევის ზოგადი და კონკრეტული მეთოდები: ანალიზის, სინთეზის, ინდუქციური, შედარებისა და სხვა, ასევე, ემპირიული კვლევით შეფასებულია სხვადასხვა დოკუმენტები, კერძოდ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროების, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი მასალები და მონაცემები.

საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა დიდ გავლენას ახდენს ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ამასთან, იგი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველიცაა. საინვესტიციო რესურსს მეცნიერები სხვადასხვაგვარად აფასებენ. ეკონომიკურ თეორიაში მას განიხილავენ როგორც მნიშვნელოვან „წარმოების ფაქტორს“. ს.ზალცის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ინვესტიციები მესამე სამყაროს ქვეყნებში სტაგნაციას იწვევს, კერძოდ პირდაპირი უხოური ინვესტიციების განხორციელების შედეგად ხდება დარგის/ბაზრის მონოპოლიზაცია[128].

ინვესტირების პროცესის ზოგადი პრინციპები დაფუძნებულია ჯ. კეინზის თეორიაზე. მეცნიერმა საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესის დასახასიათებლად განსაზღვრა კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობა. მისი ზოგადი თეორიის თანახმად ინვესტიციებს გადამწყვეტი როლი ენიჭება დასაქმების მთლიანი მოცულობის განსაზღვრაში. ინვესტიციის ზრდა ნიშნავს დამატებითი მუშახელის მონაწილეობას წარმოებაში. ეს უკანასკნელი იწვევს დასაქმების, ეროვნული შემოსავლის და მოხმარების ზრდას. ახალი ინვესტიციებით გამოწვეული დასაქმების საწყისი ზრდა იწვევს დასაქმების დამატებით ზრდას, რაც გამოწვეულია დამატებითი მუშახელის მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებ-ლობით. კეინზმა დასაქმების დამატებითი ზრდის ამ კოეფიციენტს უწოდა ანიმატორი, რაც გვიჩვენებს,

[124] ეკონომიკური განვითარება https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/ourwork/povertyreduction/overview.html

[125] სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp

[126] ცხოვრების დონე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done

[127] ჯინის კოეფიციენტი მთლიანიო სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done

[128] Saltz, I. S. (1992). Foreign direct investment and the distribution of income. *Atlantic Economic, Journal*, *20*(1). https://doi.org/10.1007/BF02303394

ერთი მხრივ, ინვესტიციების ზრდასა და მეორე მხრივ, დასაქმების და შემოსავლების ზრდას შორის კავშირს[129].

ინვესტიციების არასტაბილური ხასიათის ასახსნელად მეცნიერმა ჯ. კლარკმა შექმნა ემპირიული მოდელი. მან ამ მოდელით გამოიკვლია კაპიტალისა და გამოშვების თანაფარდობის მუდმივობის თავისებურება და დაასაბუთა, რომ ფასების დონე, გამომუშავებული ხელფასი, გადასახადები და საპროცენტო განაკეთი პირდაპირ ზეგავლენას არ ახდენს კაპიტალზე, თუმცა, შესაძლებელია ირიბად ზემოქმედებდეს მასზე. ჯ. კლარკმა და სხვა ამერიკელმა კეინზიელებმა, ინვესტირების პროცესში მულტიპლიკატორის მოქმედება განიხილეს, როგორც უწყვეტი პროცესი, დაასაბუთეს ინვესტირებით გამოწვეული შემოსავლების ზრდა[130].

ინვესტიციების პროცესის ანალიზით დადასტურებულია, რომ ინვესტიციების ნაკადით გამოწვეული ეფექტი განვითარებად ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე სააქციო კაპიტალისა და სესხების ნაკადით მიღებული სახსრებიდან[131].

დღეს საქართველოში კერძო სექტორის განვითარებას მნიშვნელოვნად ზღუდავს ინვესტიციების სიმცირე, ამიტომ საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში მნიშვნელოვანია რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ეს კი, თავის მხრივ, ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკის ზრდას განაპირობებს[132].

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2019 წლის II კვარტალში 187.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2018 წლის II კვარტალის მონაცემებზე 53.7%-ით ნაკლებია. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (სასესხო დავალიანების დაფარვა) და რეინვესტიციის მოცულობის შემცირება. 2018 წელს ეს მაჩვენებელი 1 265.2 მლნ აშშ დოლარი იყო, რაც 2017 წლის მონაცემებზე 35.5%-ით ნაკლებია, თუმცა, 2.7%-ით აღემატება 2018 წლის მონაცემებს[133].

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2017-2019 წლებში გვიჩვენებს დიაგრამა 1.




**დიაგრამა 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2007-2018 წლებში (მლნ აშშ დოლარი)[134].**

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2007-2018 წლებში ინვესტიციების მოცულობის ცვლილების ტენ-დენცია არათანაბარზომიერია და 2018 წელს წინა წლებთან შედარებით შემცირებით ხასიათდება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინვესტიციების დაფინანსების მკვეთრი შემცირება განაპირობა ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა: ანტიინფლაციური პოლიტიკა, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის

[129] ჯ. მ. კეინზის თეორია. კეინზიანიზმის როლი თანამედროვე ეკონომიკაში https://mercuryrf.ru/ka/dengi-i-gosudarstvo/teoriya-dzh-m-keinsa-rol-keinsianstva-v-sovremennoi-ekonomike.html

[130] John Bates Clark's, Conception of Capital file:///C:/Users/Admin/Downloads/JohnBatesClarksConceptionofCapital.pdf

[131] Stephen Bond, Costas Meghir, Dynamic Investment Models and the Firm's Financial Policy https://academic.oup.com/restud/article-abstract/61/2/197/1517536?redirectedFrom=fulltext

[132] სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა http://progressive.ge/article.php?ID=97&lng=ge

[133] პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2018, თბილისი, 2019, გვ. 1. https://www.geostat.ge/media/25519/ucxouri-investiciebi-2018-celi-%28geo%29.pdf

[134] პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2018, თბილისი, 2019, გვ. 1. https://www.geostat.ge/media/25519/ucxouri-investiciebi-2018-celi-%28geo%29.pdf

დეფიციტის შემცირების აუცილებლობა; საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის მაღალი ტემპები; სახელმწიფო ინვესტიციური პროგრამების შეკვეცა და სხვა.

საინვესტიციო პროცესების ანალიზი მოითხოვს ინვესტორი ქვეყნების წილის ანალიზსაც. აღსანიშნავია, რომ ინვესტორი ქვეყნების წილი განსხვავებულია (იხ. დიაგრამა 2). როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველოში 2018 წლის მონაცემებით, მსხვილ ინვესტორთა შორის განიხილება აზერბაიჯანი, ნიდერლანდები და გაერთიანებული სამეფო. სხვა ქვეყნების წილი შედარებით მცირეა.




**დიაგრამა 2. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2018 წელს[135] (%)**

2019 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 267.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0.2 პროცენტით მეტია 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელზე (იხ. დიაგრამა 3).




**დიაგრამა 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2014-2019 წლებში (მლნ აშშ დოლარი)[136]**

[135] პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2018, თბილისი, 2019, გვ. 5. https://www.geostat.ge/media/25519/ucxouri-investiciebi-2018-celi-%28geo%29.pdf

[136] პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2019 წ. (წინასწარი), თბილისი, 2020, გვ. 1. https://www.geostat.ge

ინვესტიციების მოცულობის უმნიშვნელო ზრდის ფონზე გამოსავლენია საინვესტიციო პროცე-სებზე მოქმედი ფაქტორები. აღნიშნული ფაქტორების შესწავლას განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესებაში. ცნობილია, რომ ინვესტორები ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას სწორედ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებით ინტერესდებიან. ამასთან, კონკურენტუნარიანობის შეფასება აუცილებელია სახელმწიფო და კერძო სექტორებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენს საინვესტიციო პროცესებზე.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა ჯგუფი ზოგადი ნიშნებით შესაძლებელია შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტორები, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფაქტორები, ფინანსური ფაქტორები, სოციალური ფაქტორები, რეგიონის საბაზრო გარემოზე მოქმედი ფაქტორები, პოლიტიკური ფაქტორები და სხვ. საინვესტიციო პროცესებზე მოქმედ ფაქტორთა შორის შესაძლებელია განვიხილოთ ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც გავლენას ახდენს საინვესტიციო რესურსების მოზიდვაზე.

საინვესტიციო პოცესების განხორციელებაზე მოქმედი ფაქტორების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ინვესტიციების ძირითადი დეტერმინანტები: საპროცენტო განაკვეთი და გაყიდვების მოცულობა. აღნიშნული დეტერმინანტები ინვესტიციების მოცულობაზე გავლენას ახდენს როგორც ცალ-ცალკე, ასევე, კომპლექსურად. ზოგადად, საპროცენტო განაკვეთის ზრდა ამცირებს ინვესტიციებს, ხოლო საპროცენტო განაკვეთის შემცირება ზრდის მას. რაც შეეხება გამოშვების მოცულობას, ამ მაჩვენებლის ზრდა ინვესტიციების მოცულობას ასტიმულირებს.

საინვესტიციო პროცესებსა და ზოგადად საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს დღეს გააჩნია საგარეო ლიკვიდურობის სუსტი მაჩვენებლები, აგრეთვე, ჩამოუყალიბებელი სამართლებრივი და ეკონომიკური ინსტიტუტები, ასევე არსებობს რეგიონულ კონფლიქტებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ გაურკვევლობები, ნათელი გახდება, რომ დასახელებული ფაქტორები უარყოფითად აისახება საინვესტიციო პროცესებზე. საქართველოს საინვესტიციო გარემოს სუსტ მხარეს წარმოადგენს ე.წ. დამატებითი დანახარჯების მაღალი დონე. არანაკლები პრობლემებია გამოვლენილი საგადასახადო სისტემის მიმართაც. აღსანიშნავია ისიც, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთებია სესხებზე და ბანკები ძირითადად მოკლევადიან კრედიტებს გასცემენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მიმდინარე საინვესტიციო პროცესები არაადეკვატურია ეკონომიკური ზრდის მოთხოვნებთან.

საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების სხვადასხვა შესაძლებლობა უნდა გამოვყოთ. უპირველესად აუცილებელია უცხოური ინვესტიციების, კაპიტალის შემოსვლის სტიმულირებისათვის შესაბამისი მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის რეგიონებისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საინვესტიციო შესაძლებლობის პოტენციალის შეფასება და საინფორმაციო უზრუნველყოფა, ასევე, კონკრეტული და მიზნობრივი პროექტების დაფინანსების, მიწების გამოყოფის და სხვა შესაბამისი საჭირო სქემების შემუშავება, ზოგიერთ შემთხვევაში პროტექციონისტული ტარიფების დაწესება პროდუქტებსა და მომსახურებაზე, საგადასახადო შეღავათების გათვალისწინება, მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და სხვა.

საქართველოსთვის საინვესტიციო პროცესების მასტიმულირებელ შესაძლებლობებად შეიძლება განვიხილოთ ფისკალური, მონეტარული პოლიტიკის მიმართულებების სრულყოფა (საპროცენტო განაკვეთისა და გადასახადების, საჯარო ხარჯების შემცირება, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, კონკურენციის წახალისება და სხვ.)

ამრიგად, საინვესტიციო პროცესებზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების დასახვა უზრუნველყოფს წარმოების მოცულობის ზრდასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებას, ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიების შემუშავებას, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, რესურსული პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ეკონომიკური განვითარება
https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/ourwork/povertyreduction/overview.html
2. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
3. ცხოვრების დონე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done
4. ჯინის კოეფიციენტი მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done
5. Saltz, I. S. (1992). Foreign direct investment and the distribution of income. *Atlantic Economic, Journal, 20*(1). https://doi.org/10.1007/BF02303394
6. ჯ. მ. კეინზის თეორია. კეინზიანიზმის როლი თანამედროვე ეკონომიკაში https://mercuryrf.ru/ka/dengi-i-gosudarstvo/teoriya-dzh-m-keinsa-rol-keinsianstva-v-sovremennoi-ekonomike.html
7. John Bates Clark's, Conception of Capital file:///C:/Users/Admin/Downloads/JohnBatesClarksConceptionofCapital.pdf
8. Stephen Bond, Costas Meghir, Dynamic Investment Models and the Firm's Financial Policy https://academic.oup.com/restud/article-abstract/61/2/197/1517536?redirectedFrom=fulltext
9. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა http://progressive.ge/article.php?ID=97&lng=ge
10. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2018, თბილისი, 2019, გვ. 1. https://www.geostat.ge/media/25519/ucxouri-investiciebi-2018-celi-%28geo%29.pdf
11. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2018, თბილისი, 2019. https://www.geostat.ge/media/25519/ucxouri-investiciebi-2018-celi-%28geo%29.pdf
12. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2019 (წინასწარი), თბილისი, 2020. https://www.geostat.ge
13. გერაძე რ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი შედეგები, https://forbes.ge/blog/214/pirdapiri-ucxouri-investiciebis-dadebiTi-da-uaryofiTi-Sedegebi

***Merab Lominadze***

**ECONOMICS FACTORS PROMOTING INVESTMENT PROCESSES IN GEORGIA**

**Summary**

This article substantiates the importance of effective management of investment activities for the political and economic stabilization of Georgia, analyzes views of various scientists about the principles and paradigms of investment activity. Also, the dynamic of foreign direct investment in Georgia for 2017-2019 is explored. It is concluded that the development of the private sector is significantly limited by the lack of investment, accordingly measures to be taken by the government for the development of small and medium-sized businesses within the framework of the investment policy are proposed. The paper identifies the factors influencing the implementation of investment processes, evaluates the main determinants of investment - interest rate and sales volume. It is proved that the determinants effect on investment volume both separately, as well as complex. It has been established that an increase in the volume of output stimulates the volume of investment.

The paper draws conclusions about the factors influencing investment processes, outlines ways to effectively manage investments.

***Keywords:*** Investment Process, Foreign Direct Investment, Economic Growth, Investment Environment.

*დალი მაგრაქველიძე*

## ფინანსებში ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა

***ანოტაცია.*** *ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები ყოველწლიურად ყველაზე მეტს ტექნოლოგიაზე ხარჯავენ. აქედან გამომდინარე, ნაშრომში მოყვანილი მტკიცებულება გვიჩვენებს არა მხოლოდ იმას, რომ ტექნოლოგებია მნიშვნელოვანი ფინანსური ინდუსტრიისთვის, არამედ იმასაც, რომ ფინანსური ინდუსტრია ასევე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური სექტორისათვის. ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წარმოებული ინსტრუმენტების ბაზარზე ეფექტურობის ამაღლებას.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ტექნოლოგიები; ფინანსები და ტექნოლოგიები; ინფორმაცია; ტექნოლოგიური ინოვაცია, ფინანსების და მონაცემთა ანალიზი, დიდი მონაცემები.*

### შესავალი

მრავალი მეცნიერ-ეკონომისტი, საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტი, ეროვნული სტატისტიკური ოფისები "ტექნოლოგიის" კონცეფციისთვის ხშირად იყენებს ნებისმიერ გამოგონებას, კვლევასა და განვითარებას, ასევე ზოგიერთი სახის მომსახურებას, როგორიცაა ინჟინერია, სავაჭრო ნიშნები, სამრეწველო ნიმუშები და ა.შ. ტექნოლოგიის ასეთი ფართო ინტერპრეტაცია ნიშნავს ყველა სახის

ცოდნას, უნარს, გამოცდილებას, რომელსაც საზოგადოება იყენებს ეკონომიკურ სფეროში დროის მოცემულ ისტორიულ პერიოდში. ეს განმარტება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად არღვევს ამ ეკონომიკური კატეგორიების ცნებებს, მიჰყავს რა ისინი უშუალოდ საწარმოო პროცესებისკენ. მიუხედავად ამისა, დღეს ეს შეხედულება ჭარბობს ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ბიზნესპრაქტიკაში ტექნოლოგიის მატარებლებია: გამოგონებებზე პატენტები და ლიცენზიები, ტექნიკური დოკუმენტაციები, სპეციალიზებული ლიტერატურა.

ტექნოლოგიის გადაცემა, მათ შორის საერთაშორისო სფეროში, ხორციელდება შემდეგი გზით: წერილობით [წერილობითი ფორმით (პატენტის განაცხადის შეტანის დროს, ლიცენზიის შეძენის დროს, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისას, მისი აღწერილობის დაბეჭდვა-გამოქვეყნებით)], ელექტ-რონული ქსელების საშუალებით (ინტერნეტი, ტელევიზია), სიტყვიერად (სიმპოზიუმზე, კონფე-რენციებზე, სპეციალისტების ნებისმიერი ზეპირი კონტაქტით), ვიზუალურად (გამოფენებზე), მანქანები (სამრეწველო ნიმუშები, დოკუმენტაცია).

ინფორმაცია, როგორც ინფორმაციის ან მონაცემთა ერთობლიობა, ლოგიკურად მოწესრიგებული და სიახლისა და თვითმყოფადობის ელემენტი, მსოფლიო ეკონომიკაში ფუნქციონირებს ტექნოლოგიების მსგავსი წესების შესაბამისად. უფრო მეტიც, ცოდნის საგნისგან გაუცხოებული, უშუალო ეკონომიკური გამოყენების მომენტამდე, ტექნოლოგიები არსებობს ინფორმაციის სახით. ამასთან, ეს ორი ეკონომიკური კატეგორია ფუნდამენტურად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუ გავითვალისწინებთ ტექნოლოგიების შემდგომ დანერგვას ბიზნესპროცესებსა და საბოლოო პროდუქტებში. ეს განსხვავებები შემდეგია:

**არსებითად.** ტექნოლოგია არის თავად ოპერაციების ინტეგრალური, დამაკავშირებელი რგოლი და შინაარსი. ინფორმაცია - სიმბოლური (ციფრული, ფიგურული, ხმოვანი) გამოხატულება ან ეკონომიკური საქმიანობის აღწერა;

**მათი როლის მიხედვით.** ტექნოლოგიის პირდაპირი და უშუალო ამოცანაა ეკონომიკური გარემოს ტრანსფორმაცია; ინფორმაცია - მხოლოდ ზრდის ეკონომიკური სუბიექტების ცოდნას ეკონომიკური გარემოს შესახებ;

**თვითკმარობის შესახებ.** ტექნოლოგია მზა პროდუქტია, ის, როგორც ინფორმაცია, არ შეიძლება იყოს არასრული, გამოსაყენებლად არასაკმარისი საქმიანი ოპერაციების შესასრულებლად.

ინფორმაცია შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციულ პროდუქტებს, რომლებიც შეიძლება დაიყოს ინფორმაციულ პროდუქტად და საინფორმაციო სერვისებად. პირველ რიგში შედის პერიოდული ჟურნალები (გაზეთები, ჟურნალები, რეპორტაჟები), წიგნები, სხვა საგამომცემლო პროდუქტები (კალენდარი, ღია ბარათები, რუკა და ა.შ.), მონაცემთა ბაზები, პროგრამული უზრუნველყოფა, სარეკლამო პროდუქტები, რეიტინგები, მუსიკისა და ხელოვნების პროდუქტები, რადიო და სატელევიზიო პროგრამები. ინფორმაციული სერვისები მოიცავს ინფორმაციული პროდუქტების მომზადების, შექმნის, გადასინჯვის, განაწილების მომსახურებას: გამოქვეყნება და სარეკლამო სერვისების შექმნა, მონაცემთა ბაზების შექმნა და შენარჩუნება, რეიტინგი, პროგრამირება, ინტერნეტმომსახურება და ა.შ.

ნებისმიერი ტექნოლოგია ეხება კონკრეტულ რესურსს (მატერია, ენერგია და ინფორმაცია). ინფორმაცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის კონკრეტული რესურსი, რომელიც განსხვავდება მატერიალური რესურსებისგან. ამასთან, ინფორმაცია თავისთავად არ არსებობს, იგი ვლინდება ინფორმაციულ პროცესებში: გარკვეული ფორმით წარმოდგენილ ინფორმაციაზე განხორციელებული ქმედებების ერთობლიობა გარკვეული შედეგის მისაღწევად. ამიტომ, ინფორმაციული ტექნოლოგია არის სისტემურად ორგანიზებული მეთოდები და ხერხები ინსტრუმენტების კონკრეტული კლასის საფუძველზე ინფორმაციული პროცესების განსახორციელებლად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელობა ეკონომიკურ ურთიერთობებში ვლინდება შემდეგი ფორმით: ინფორმაციული ტექნოლოგიები იწვევს შრომის პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდას, შრომითი რესურსების გათავისუფლებას და ამავე დროს თავად ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ე.ი. ბუნებრივად ხდება შრომის დაზოგვა და შრომის ფორმირება; ინფორმაციული ტექნოლოგიის წარმოება მიიჩნევა ეკონომიკური საქმიანობის სახეობად; ინფორმაციული ტექნოლოგიები მოქმედებს როგორც საქონელი, ე.ი. იგი გაყიდვის ობიექტია.

დღეს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება შეუძლებელია საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის ყველა ეტაპზე ინფორმაციული ტექნოლოგიის აქტიური დანერგვისა და გამოყენების გარეშე და, შესაბამისად, გლობალურ ეკონომიკაში ხდება ამ ტიპის პროდუქტის საერთაშორისო გაცვლის გაფართოება. სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებამ შექმნა საფუძველი ტექნოლოგიაში საერთაშორისო ვაჭრობის ფორმების დივერსიფიკაციისთვის.

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგია გახდა თითქმის მთელი ფინანსური ინსტიტუტისთვის მთავარი საქმიანობა მთელ მსოფლიოში, რომელსაც გააჩნია როგორც პოტენციური უპირატესობები, ასევე უარყოფითი მხარეები.

ტექნოლოგია თავისთავად, არ არის ფინანსური ინსტიტუტებისთვის რაიმეთი განსაკუთრებული. თუმცაღა, ბოლო წლებში, ინოვაციისა და რეგულირების გავლენით, ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები, როგორიცაა ჰეჯირების ფონდები, უბრალო ფინანსური შუამავლებიდან უფრო და უფრო მეტად გარდაიქმნებიან ტექნოლოგიურ კომპანიებად.

ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები ერთად ქმნიან ინდუსტრიას, რომელიც ყოველწლიურად ყველაზე მეტს ტექნოლოგიაზე ხარჯავს. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულება გვიჩვენებს არა მხოლოდ იმას, რომ ტექნოლოგები მნიშვნელოვანია ფინანსური ინდუსტრიისთვის, არამედ იმასაც, რომ ფინანსური ინდუსტრია ასევე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური სექტორისათვის:

IDC-ის ანალიტიკოსების მონაცემებით, ბანკებმა 2014 წელს ტექნოლოგიებში 4.2%-ით მეტი დახარჯეს, ვიდრე 2013 წელს, და აღნიშნავენ, რომ ფინანსურ სფეროში IT მომსახურებაზე 2020 წლისთვის მთლიანი ხარჯი 500 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს.

დღესდღეობით, მსხვილ საერთაშორისო ბანკებში, როგორც წესი, მუშაობს ათასობით დეველოპერი, რომლებიც შეინარჩუნებენ არსებულ სისტემებს და შეიმუშავებენ ახალს. მაღალი ტექნოლოგიური მოთხოვნების მქონე მსხვილი საინვესტიციო ბანკები აჩვენებენ, რომ ტექნოლოგიური ბიუჯეტები ხშირად წელიწადში რამდენიმე მილიარდ დოლარს შეადგენს.

ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წარმოებული ინსტრუმენტების ბაზარზე ეფექტურობის ამაღლებას. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ვაჭრობის მოცულობა და კოტირებების რაოდენობა, სავაჭრო ტექნოლოგიებში ინოვაციების წყალობით, Eurex-ში ვაჭრობა დღესდღეობით უფრო ჩქარა სრულდება, ვიდრე წლების წინ. ეს ძლიერი გაუმჯობესება შესაძლებელი გახდა მხოლოდ წარმოებული ინსტრუმენტების ბირჟებზე და კლირინგულ პალატებზე IT-ში მუდმივი და მაღალი ინვესტიციების ხარჯზე[3].

როგორც მზარდი ეფექტურობის გვერდითი ეფექტი, კონკურენტული უპირატესობები ხშირად უფრო რთულ კომპლექსურ პროდუქტში ან გარიგებებში უნდა ვეძებოთ. ეს, თავის მხრივ, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, არსებითად ზრდის რისკებს და ართულებს რისკის მართვას და რეგულირებას. 2007 და 2008 წლების ფინანსურმა კრიზისმა წარმოაჩინა იმგვარი პოტენციური საფრთხე, რასაც შედეგად მომავალში განვითარებული მოვლენები მოჰყვება. ანალოგიურად, „ალგორითმის და კომპიუტერული შეშლილობა" ასევე წარმოადგენს პოტენციურ რისკს საფინანსო ბაზრისთვის; ეს მკვეთრად გამოვლინდა 2010 წლის მაისის მოულოდნელი კრახის დროს, როდესაც ავტომატიზებულმა გაყიდვებმა მიგვიყვანა ზოგიერთი აქციის და საფონდო ინდექსის მნიშვნელოვან შიგადღიურ ვარდნამდე.

ერთი მხრივ, ტექნოლოგიური მიღწევები ხელს უწყობს ხარჯების შემცირებას დროთა განმავლობაში სხვა თანაბარ პირობებში. მეორე მხრივ, ფინანსური ინსტიტუტები კვლავაც განაგრძობენ მნიშვნელოვანი სახსრების ჩადებას ტექნოლოგიებში იმისათვის, რომ მოიპოვონ საბანკო წილი, ასევე შეინარჩუნონ თავიანთი არსებული პოზიციები. ფინანსების გარკვეულ სფეროებში აქტიურობას ხშირად მივყავართ დიდი ინვესტიციების აუცილებლობამდე როგორც ტექნოლოგიებში, ისე კვალიფიციურ კადრებში. მაგალითის სახით განვიხილოთ დერივატივების ანალიტიკური სივრცე.

საერთო პროგრამული უზრუნველყოფის სასიცოცხლო ციკლის აგრეგატი ფირმები, რომლებიც იღებენ საკუთარ სტრატეგიას ბირჟისგარე ფასებზე, საჭიროებენ 25 მილიონდან 36 მილიონ დოლარამდე ინვესტიციას მხოლოდ სრული დერივაციული ბიბლიოთეკის აშენების, შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით[3].

ძვირადღირებული და შრომატევადი სრულფასოვანი დერივაციული ანალიტიკის ბიბლიოთეკის აშენება არა მარტო ძვირი ჯდება და მოითხოვს დიდ დროს, არამედ მის გაკეთებას სჭირდება საკმარისი რაოდენობის ექსპერტები. ამ ექსპერტებს დასახული ამოცანების შესასრულებლად საკუთარ განკარგულებაში უნდა ჰქონდეთ სწორი ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები.

ტექნოლოგიური მიღწევები ზრდის სიჩქარეს და სიხშირეს, რომელითაც ხდება ფინანსური ოპერაციების გადაწყვეტა და შესრულება.

ერთი მხრივ, მზარდი მონაცემების ხელმისაწვდომობა უფრო მცირე მასშტაბებში გვაიძულებს რეაგირებას რეალურ დროში. მეორე მხრივ, ვაჭრობის გაზრდილი სიჩქარე და სიხშირე მონაცემთა გაზრდის საშუალებას იძლევა. ამას მივყავართ პროცესებამდე, რომლებიც ერთმანეთს აძლიერებენ და სისტემურად ამცირებენ ფინანსური ოპერაციებისათვის საჭირო დროის საშუალო სკალას.

ტექნოლოგიური მიღწევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ისეთი მონაცემის მიღება, როგორიცაა დღიურად აქციის ფასის ცვლილება, რომელიც მნიშვნელოვანია ისეთი თეორიებისათვის, როგორიცაა: თანამედროვე პორტფელის თეორია (MPT), კაპიტალის აქტივებზე ფასწარმოქმნის მოდელი (CAPM) და მოდელი ღირებულება რისკის პირობებში (VaR). ყველა მათგანს საფუძვლად უდევს ყოველდღიური საფონდო ფასების მონაცემები.

შედარებისათვის, ტიპური სავაჭრო დღის განმავლობაში Apple Inc.-ის (AAPL) ფასი დაახლოებით 15,000-ჯერ კოტირებს - ეს ორჯერ მეტია 30 წლის წინანდელ დღის ბოლოს კოტირებებთან შედარებით. ამას თან მოაქვს რიგი პრობლემები:

მონაცემთა დამუშავება - ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განვიხილოთ და დავამუშაოთ დღის ბოლო კოტირებები აქციებზე ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე; დღის მანძილზე 24 საათის განმავლობაში კვირაში 7 დღე ზოგიერთი ინსტრუმენტისათვის "ძალიან ბევრი" ხდება.

ანალიტიკოსის სიჩქარე-გადაწყვეტილებები ხშირად უნდა მიიღებოდეს მილიწამებში ან კიდევ უფრო სწრაფად, რაც აუცილებელს ხდის შესაბამისი ანალიტიკური შესაძლებლობების და რეალურ დროში დიდი რაოდენობით მონაცემების ანალიზის შექმნას.

თეორიული საფუძვლები - მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული საფინანსო თეორიები და კონცეფციები შორს არის სრულყოფილებისაგან, ისინი კარგად არის შემოწმებული (და ზოგჯერ კარგად უარყოფილიც) დროთა განმავლობაში; მილიწამების მასშტაბებში, რომელიც დღესდღეობით მნიშვნელოვანია, ჯერ კიდევ არ არსებობს თანმიმდევრული კონცეფციები და თეორიები, რომლებიც დროთა განმავლობაში გარკვეულწილად მდგრადი აღმოჩნდება.

ყველა ეს პრობლემა პრინციპში შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიით გადაწყდეს. თანმიმდევრული თეორიების არარსებობის პრობლემა, რაც, შეიძლება, ცოტა გასაკვირიც იყოს, ხშირად წყდება ტექნოლოგიური მიდგომებით, რამდენადაც მაღალსიჩქარული ალგორითმები იყენებენ საბაზრო მიკროსტრუქტურის ელემენტებს (მაგ., ორდერების ნაკადი, მოთხოვნა და მიწოდების სპრედები) და არ ეყრდნობიან რაიმე ფინანსურ მოსაზრებას [2].

არსებობს დისციპლინა, რომელმაც მნიშვნელოვნი ზრდა განიცადა ფინანსურ ინდუსტრიაში: ფინანსების და მონაცემთა ანალიტიკა. ეს მოვლენა მჭიდრო კავშირშია იმის გააზრებასთან, რომ სიჩქარეები, სიხშირეები და მონაცემთა მოცულობები ინდუსტრიაში სწრაფი ტემპით იზრდება. ფაქტობრივად, სინამდვილეში, რეალური დროის რეჟიმში ანალიტიკა შეიძლება ჩაითვალოს ინდუსტრიის პასუხი ამ ტენდენციაზე.

უხეშად რომ ვთქვათ, "ფინანსების და მონაცემთა ანალიზი" მიეკუთვნება პროგრამული უზრუნველყოფის და ტექნოლოგიების დისციპლინას ალგორითმებსა და მეთოდებთან კომბინაციაში, რათა შეაგროვოს, გადაამუშაოს და გააანალიზოს მონაცემები, ჩაუღრმავდეს საკითხს, მიიღოს გადაწყვეტილებები ან შეასრულოს ნორმატიული მოთხოვნები. მაგალითები შეიძლება შეიცავდეს გაყიდვების ზემოქმედების შეფასებას, რომელიც გამოწვეულია ბანკის საცალო ფილიალში ფინანსური პროდუქტის ფასების სტრუქტურის ცვლილებით. კიდევ ერთი მაგალითი შეიძლება იყოს საკრედიტო ღირებულების კორექტირების მასშტაბური გათვლები (CVA) საინვესტიციო ბანკის გარიგებების კომპლექსური პორტფელებისთვის.

არსებობს ორი ძირითადი გამოწვევა, რომლებსაც ფინანსური ინსტიტუტები აწყდებიან ამ კონტექსტში:

დიდი მონაცემები - ბანკებს და სხვა საფინანსო ინსტიტუტებს მანამდე ჰქონოდათ მონაცემთა მასიური რაოდენობის დამუშავებასთან საქმე, ვიდრე ტერმინი "დიდი მონაცემები" გამოჩნდებოდა; თუმცა, მონაცემთა მოცულობა, რომელიც უნდა დამუშავდეს ცალკეული ანალიტიკური ამოცანების დროს, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და მოითხოვს როგორც გაზრდილი კომპიუტერული სიმძლავრის, ასევე უფრო დიდი მეხსიერებისა და შენახვის შესაძლებლობებს.

რეალურ დროში ეკონომიკა - წარსულში გადაწყვეტილების მიმღებლებს შეეძლოთ დაყრდნობოდნენ სტრუქტურირებული, რეგულარული დაგეგმარების, გადაწყვეტილების მიღების და რისკის მართვის პროცესებს, მაშინ როცა დღეს ისინი ხვდებიან ამ ფუნქციების რეალურ დროში განხორციელების აუცილებლობის წინაშე; ზოგიერთი ამოცანა, რომელიც წინათ ბექ-ოფისების პაკეტური გაშვებით ღამის განმავლობაში წყდებოდა, უკვე გადავიდა ფრონტ-ოფისში და ხორციელდება რეალურ დროში.

## დასკვნა

საბოლოოდ, შეიძლება შევაფასოთ ტექნოლოგიების მიღწევებსა და ფინანსურ / ბიზნესურ პრაქტიკას შორის ურთიერთქმედება. ერთი მხრივ, აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სიჩქარის და შესაძლებლობების თვალსაზრისით ანალიტიკური მიდგომების მუდმივად გაუმჯობესება. მეორე მხრივ, ტექნოლოგიურ სფეროში მიღწეული პროგრესი საშუალებას იძლევა, გამოყენებული იყოს ის ახალი ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც შეუძლებლად (ან ბიუჯეტის შეზღუდვების გამო) ითვლებოდა რამდენიმე წლის ან თუნდაც თვის წინ.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ქ. კიწმარიშვილი, ინოვაციური მენეჯმენტი, ISBN: 9789941090110, 2016.
2. M. Schilling, Strategic Management of Technological Innovation, ISBN-13: 978-1259539060, 2017.
3. https://www.eurexchange.com/exchange-en/


***Dali Magrakvelidze***

## THE IMPORTANCE OF USING TECHNOLOGY IN FINANCE

**Summary**

Today, a market economy cannot function without the active implementation and usage of information technology at all stages of goods production and sale. On the one hand, technological achievements help reduce costs over time under other equal conditions. On the other hand, financial institutions continue to invest significant amounts of money in technology in order to gain bank share and maintain their existing positions. Being active in certain areas of finance often leads to the need for large investments in both technology and qualified personnel.

*ლელა მამალაძე*

## ინტერესთა ჯგუფების ანალიზი ინსტიტუციური ეკონომიკის კონტექსტში

***ანოტაცია.*** *ინტერესთა ჯგუფების არსებობა დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი წინაპირობა და თანმდევი ნაწილია. სამოქალაქო აქტივიზმის მაღალი ხარისხი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოს განვითარებაში, რამდენადაც, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება ანგარიშვალდებულია მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების წევრებისგან მათთვის პრობლემატურ საკითხებზე. ინტერესთა ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის, მოქმედების სწორი ტაქტიკისა და რესურსების მობილიზების ხარჯზე გაცილებით იზრდება იმ საზოგადოებრივი მიზნების ერთობლივი ძალისხმევით მიღწევის ალბათობა, რომლის შანსიც ინდივიდუალური ძალებით მინიმალური იყო.*

*წინამდებარე სტატია ფოკუსირებულია ინტერესთა ჯგუფების კვლევის ასპექტებზე და ინტერესთა ჯგუფების ფორმირებას, კლასიფიკაციას, საქმიანობის არეალსა და სასურველი შედეგის მისაღწევად ზეგავლენის მოხდენის ინსტრუმენტებს განიხილავს ინსტიტუციური ეკონომიკის კონტექსტში.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ინტერესთა ჯგუფები, ლობი, ინსტიტუციონალიზმი, ინსტიტუციური ეკონომიკა, ლობი.*

## შესავალი

ინტერესთა ჯგუფების, ისევე, როგორც ლობიზმის ცნების დეფინიცია, დროთა განმავლობაში იცვლებოდა, იცვლებოდა მისი ინტერპრეტაცია და უფრო ფართო მასშტაბებს იძენდა. შესაბამისად, არსებობს გარკვეული სირთულეები ინტერესთა ჯგუფების შესწავლისას, მათი მრავალფეროვანი ორგანიზაციული სტრუქტურიდან გამომდინარე. თუმცა, ჩვენს დღევანდელობაში ინტერესთა ჯგუფების კვლევა სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს როგორც აკადემიური თვალსაზრისით, აგრეთვე პრაქტიკული მიზეზების გამო. თანამედროვე გლობალიზაცია და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი სახელმწიფოთაშორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდის გარდა გულისხმობს ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური სფეროს ეტაპობრივ ტრანსფორმაციას. შესაბამისად, როგორც ეროვნულ, ასევე სუპრანაციონალურ დონეზე გამუდმებით დგას ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს, მარეგულირებელი ნორმების თუ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და/ან არსებულის გარდაქმნის

აუცილებლობა, რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესთა ჯგუფების მოტივაციას, მოახდინონ ზეგავლენა კანონმდებელზე სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით.

### ინტერესთა ჯგუფების დეფინიცია და ორგანიზაციული ფორმები

ინტერესთა ჯგუფების ცნების ცალსახა, საყოველთაოდ აღიარებული დეფინიციის ნაცვლად გვხვდება მისი მრავალგვარი, სხვადასხვა პერსპექტივასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული განმარტება. აშშ-შიც კი, სადაც ამ ტერმინს დიდი ისტორია და გამოყენების მასშტაბები გააჩნია, ამ მხრივ კონსენსუსი არ არსებობს. საბაზისო განმარტებით, ცნებაში მოიაზრება ინტერესის გარშემო შეკრებილ ადამიანთა ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს გავლენა მოახდინოს პოლიტიკის შემუშავებაზე არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოში, არამედ აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ზოგჯერ სასამართლოებშიც (Mihut; 2008).

ტრადიციული განსაზღვრებით, ინტერესთა ჯგუფი არის მოხალისეობრივი, დემოკრატიულად ანგარიშვალდებული და ინდივიდთა გაერთიანებაზე დაფუძნებული ერთობა. ამ დეფინიციის მიხედვით, ინტერესთა ჯგუფი: (1) ორგანიზებულია სპეციფიკური ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნის გარშემო; (2) დასახული მიზანი მიღწევადია; (3) გააჩნია არასახელისუფლებო სტრუქტურა; (4) დაინტერესებულია არა მთავრობაში მოსვლით, არამედ სახელისუფლებო ორგანოებზე ზემოქმედებით; (5) უმეტესწილად, წევრობა დაფუძნებულია მოხალისეობაზე; (6) ორგანიზებულია გაზიარებული დამოკიდებულებების გამოხატვის ან საერთო ინტერესებისკენ სწრაფვის მიზნით; (7) გააჩნია ჯგუფური მიზნების შესაბამისობა წევრთა ინდივიდუალურ ინტერესებთან, რაც გრძელვადიანი წევრობის საწინდარი ხდება (Jordan, G; Halpin, D; Maloney, W; 2004).

ბაუმგართნერისა და ლიჩის მიხედვით (2008), ინტერესთა ჯგუფების განსაზღვრება გულისხმობს ერთნაირი რწმენის, იდენტობის ან ინტერესთა მქონე ინდივიდთა გაერთიანებებს, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმის მატარებელია და მოიცავს (1) მოსახლეობის სხვადასხვა სოცია-ლურ/დემოგრაფიულ კატეგორიებს (ფერმერები, ქალები, აფრო-ამერიკელები); (2) საწევრო ორგანიზაციებსა და ასოციაციებს; (3) სოციალურ მოძრაობებს; (4) კანონიერად რეგისტრირებულ ლობისტებს; (5) პოლიტიკურ-სამოქმედო კომიტეტებს; (6) საკანონმდებლო მოსმენის მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს; (7) ინსტიტუტებს, მათ კოალიციებს, კორპორაციებს და სხვ. (Baumgartner & Leech; 1998). მიულერი (2003) აყალიბებს ინტერესთა ჯგუფების ფართო რანჟირებას მათი ინსტიტუციური ფორმისა და ზომის მიხედვით. ჯგუფების ფორმირება ხდება საერთო მიზნის გარშემო და ყალიბდება შრომითი გაერთიანებები, პროფესიული ასოციაციები, სავაჭრო და ინდუსტრიული ასოციაციები ან გაერთიანებები საჯარო სიკეთეების მისაღწევად (Mueller; 2003). ამ უკანასკნელის მაგალითია გარემოსდამცველთა ორგანიზაციები, სამშვიდობო ჯგუფები, ჰუმანიტარული და გენდერული თანასწორობისთვის მებრძოლთა ჯგუფები. ინტერესთა ჯგუფების უმრავლესობა კი ეფუძნება ეკონომიკურ მიზნებს (Slezakova, V; 2012), რომლებიც ყალიბდება სხვადასხვა ეკონომიკური ინტერესების საფუძველზე: ბიზნესინტერესთა ჯგუფები (მაგ., The Canadian Federation of Independent Business, the Confederation of British Industry), შრომითი ინტერესების ჯგუფები (მაგ., The Trades Union Congress in the United Kingdom), ფერმერთა ჯგუფები (მაგ., The Irish Farmers' Association in the republic of Ireland, The American Farm Bureau Federation) და პროფესიული ჯგუფები (მაგ., The American Bar Association, The Czech Chamber of Doctors) და სხვ. შესაბამისად, ინტერესთა ჯგუფის მიზანს შესაძლოა წარმოადგენდეს ეკონომიკურ-პოლიტიკური (და არა მხოლოდ) გადაწყვეტილება, რომელიც საზოგადოების მხოლოდ ერთ სეგმენტს ეხება (მაგ., სამთავრობო სუბსიდიები ფერმერებისთვის) ან მოიცავს საზოგადოების ფართო ნაწილს (ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება) (Britannica.com). თუმცა, თითოეული კატეგორია დიდი მნიშვნელობის მატარებელია და მისი შესწავლა შეუძლებელია იზოლირებულად, სხვა აქტორების გათვალისწინების გარეშე (Tsujinaka; 2010).

### ინტერესთა ჯგუფების მიმოხილვა ინსტიტუციური ეკონომიკის პერსპექტივიდან

ინტერესთა ჯგუფების მამოძრავებელი ფაქტორების ასახსნელად არაერთი კვლევითი თეორია განვითარდა როგორც კონკრეტული დისციპლინის (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციოლოგიური) ფარგლებში, აგრეთვე ინტერდისციპლინარულიც. მათ შორისაა ეკონომიკური ინსტიტუციონალიზმი (Williamson, 1998; Alston, Eggertson, 1996; Amable, 2004;), აგენტების თეორია (Jensen, Meckling, 1976; Rees, 1985; Stiglitz, 1987; Eisenhardt, 1989), ბიუროკრატიული თეორია (Weber, 1998; Merton, 1968; Gouldner, 1964;

Niskanen, 1971; Wilson, 1991), დაინტერესებული მხარეებისა და მმართველობის ახალი ფორმების თეორია (Jachtenfuchs, Kohler-Koch; 2004), ინტერესთა წარმომადგენლობის თეორია (Olson, 1971; Grossman, Helpman, 2002; Goehring 2002), საზოგადოებრივი არჩევანის თეორია (Buchanan, Tullock 1965; Michell, Munger 1991, Mueller, 1989) და სხვ. (Laboutkova & Zak; 2016).

ინსტიტუციონალიზმის ამოსავალი წერტილი კი სისტემის შემადგენელ ელემენტებს შორის კავშირია. ეკონომიკურ მოძღვრებაში ინსტიტუტების ცნება ფართოა და მოიცავს კულტურულ ფასეულობებს, ახდენს ჩვევებისა და წესების სოციალურ გადაცემას, რაც აადვილებს ინდივიდების მოქმედებასა და ეკონომიკურ საქმიანობას (მექვაბიშვილი; 2016). „ინსტიტუტი განისაზღვრება, როგორც კოლექტიური მოქმედება ინდივიდუალური მოქმედებების კონტროლის მიმართულებით" (Commons; 1931). ინდივიდუალური მოქმედება კი მოიცავს სავაჭრო გარიგებებს, წარმოების მართვასა და მოგება-დანახარჯების გადანაწილებას. ერთობლივი საქმიანობა ხორციელდება საერთო მიზნის მისაღწევად და ემორჩილება საერთო მენეჯმენტსა და მარეგულირებელ ნორმებს. ხოლო „საზოგადოება არის ორგანიზაციათა ქსელი, რომლის შუაგულში იმყოფება სახელმწიფო, რომელიც ყველაზე მაღლა დგას არსებულ ორგანიზაციათა შორის" (Commons; 1931). ეკონომიკური განმარტება, თუ რატომ არჩევენ კომპანიებისა და ბიზნესორგანიზაციების შექმნას და არა ორმხრივ ვაჭრობას ბაზარზე, წარმოადგინა რონალდ ქოუზმა ნაშრომში "The Nature of the Firm" (1937). კვლევაში განხილულია ტრანსაქციული ხარჯების კონცეფცია და ფირმების შეზღუდული ბუნება. ნეოინსტიტუციონალიზმს ეფუძნება ქოუზის კიდევ ერთი ნაშრომი "The Problem of Social Cost" (1960), რომელშიც ავტორი ხარჯ-სარგებლიანობის მიდგომის გამოყენებით ხაზს უსვამს მხარეების მიერ გარიგების დადების ეფექტიანობას.

ეფექტური ინსტიტუციური სისტემა არის ინსტიტუციური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდას. ნეოინსტიტუციონალიზმი ეფუძნება მიდგომას, რომ ეკონომიკა ღია სისტემაა, რომელზეც ზემოქმედებს ენდოგენური ფაქტორები, ხოლო სისტემა თავის მხრივ რეაგირებას ამ ზემოქმედებაზე და შედეგად მუდმივად განიცდის ცვლილებებს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია „კუმულაციური მიზეზობრიობის" (cumulative causation) მოდელი, რომლის მიხედვითაც ღია სისტემას ახასიათებს დადებითი უკუკავშირი ინდივიდის მიზნების ცვლილებასა და გარემოს შორის (Myrdal; 1957). გელბრაიტის (1973) თანახმად კი, „თანამედროვე ბაზარზე არავინ ფლობს სრულ ინფორმაციას. თითოეულ ცოდნას აქვს ნაწილობრივი და სპეციალიზებული ხასიათი. ინფორმაციის სისრულე მიიღწევა მხოლოდ ნაწილობრივი ცოდნის გაერთიანებით ორგანიზაციის ფარგლებში" (Galbraith; 1973). ხოლო ინსტიტუციური გარდაქმნა განხილულია „ეკონომიკური ოპტიმიზაციის პროცესის პერსპექტივიდან, სადაც გადაწყვეტილების რაციონალურობა ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით ფასდება" (Richter & Forubotn; 1997).

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების განვითარების სხვადასხვა დონეზე ვლინდება ინტერესთა ჯგუფების აქტივობის განსხვავებული დიაპაზონი. სრულყოფილი დემოკრატიის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ინტერესთა შორის კოლიზიები მოწესიგდეს არა ძალადობის გამოყენებით, არამედ უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე (გველესიანი; 2017). შესაბამისად, ინტერესთა ჯგუფების კვლევის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთან მიმართებაში, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მიუხედავად საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლისა, სუბიექტებს ჯერ კიდევ არ აქვთ სრულფასოვანი ავტონომია. საჭიროების შემთხვევაში, რეფორმები არ ინიცირდება იერარქიის დაბალ დონეზე (Lekashvili; 2017).

## დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სტატიაში განხილულია ინტერესთა ჯგუფების ფორმირება, განვითარება და საქმიანობა ინსტიტუციური ეკონომიკის თეორიულ კონტექსტში. ახსნილია ინტერესთა ჯგუფებში გაწევრიანების ინდივიდუალური მოტივები. შეფასებულია, სახელმწიფოს სოციოეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, რომელიც ზეგავლენას ახდენს ინტერესთა ჯგუფების ევოლუციასა და სამოქალაქო აქტივიზმის დონეზე.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. გველესიანი რ., (2017). *ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობათა შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის პრობლემა.* „ეკონომიკა და ბიზნესი". ტომი X, #1. ISSN 1987-5789.
2. მექვაბიშვილი, ე., (2016). *თანამედროვე ეკონომიკური თეორიები* (ლექციების კურსი). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3. Alston, L. J. and Eggertsson, T (1996). *Empirical Studies in Institutional Change (Political Economy of Institutions and Decisions).* Cambridge: Cambridge University Press.

4. Amable, B., (2004). *Diversity of Modern Capitalism*. Oxford: Oxford University Press.

5. Baumgartner, F.R. and Leech B.L. (1998). *Basic Interests: The Importance of Groups in Politics and in Political Science.* New Jersey: Princeton University Press.

6. Buchanan, J. M. and Tullock, G (1965). *The Calculus of Consent: Logical Foundations of Constitutional Democracy*. Ann Arbor: The University of Michigan Press.

7. Coase, R. H., (1937). *The Nature of the Firm.* Economica, 4, 386-405. http://dx.doi.org/10.1111/j.1468-0335.1937.tb00002.x

8. Coase, R. H., (1960). *The Problem of Social Cost*. Journal of Law and Economics, Vol. 3 (Oct., 1960), pp. 1-44.

9. Commons J. R. (1913) *Labor and administration*. New York: Macmillan.

10. Eisenhardt, K., (1989). *Agency Theory: An Assessment and Review.* Academy of Management Review, vol. 14, issue 1, pp. 57–74.

11. Galbraith, J.K., (1973). *Economics and the Public Purpose*. Houghton Mifflin

12. Goehring, R., (2002). *Interest Representation and Legitimacy in the European Union: The New Quest for Civil Society Formation.* In: Influence and Interests in the European Union: The New Politics of Persuasion and Advocacy. London: Routledge, pp. 118–137.

13. Grossman G. M. and Helpman, E (2002). *Special Interest Politics*. Cambridge: MIT Press.

14. Jachtenfuchs, M. and Kohler-Koch, B. (2004). *Governance and Institutional Development.* In: A. Wiener and T. Diez, eds. European Integration Theory. Oxford: Oxford University Press, pp. 97–115.

15. Jensen, M. and Meckling, W. (1976). *Theory of the Firm: Managerial Behavior, Agency Costs and Ownership Structure.* Journal of Financial Economics, vol. 3, issue 1, pp. 305–360.

16. Jordan, G; Halpin, D; Maloney, W; (2004). *Defining Interests: Disambiguation and the Need for New Distinctions?* The British Journal of Politics and International Relations. Vol 6, No. 2; https://doi.org/10.1111/j.1467-856X.2004.00134.x

17. Laboutkova, S; Zak, M (2016). *Transparency of Lobbying: a Theoretical Approach.* 14th International Scientific Conference "Economic Policy in the European Union Member Countries" September 14-16, 2016. Conference Proceedings. Silesian University in Opava, School of Business Administration in Karvina.

18. Lekashvili, E (2017). *International Assessments Analyses of Systemic Transformation of Georgia's Economy.* Global Journal of Management and Business Research: B Economics and Commerce. Volume 17, Issue 5. Global Journals Inc. (USA) Online ISSN: 2249-4588 & Print ISSN: 0975-5853

19. Merton, R. K., (1968). *Social Theory and Social Structure,* Enlarged Ed. New York: The Free Press.

20. Myrdal, G., (1957). *Economic Theory and Underdeveloped Regions,* Harper and Row.

21. Mitchell, W. and Munger, M. (1991). *Economic Models of Interest Groups: An Introductory Survey.* American Journal of Political Science, vol. 35, issue 2, pp. 512–546.

22. Mihut, L (2008). *Lobbying in the United States and the European Union: New Developments in Lobbying Regulation*. Romanian Journal of European Affairs, Vol. 8, No. 4,

23. Mueller, D (2003). *Public choice.* 1st ed. Cambridge: Cambridge University Press. ISBN 0-521-89475-1. 472 – 474, 496 – 497

24. Mueller, D. C. (1989). *Public Choice II: A Revised Edition of Public Choice* (Cambridge Surveys of Economic Literature). Cambridge: Cambridge University Press.

25. Niskanen, W. A., (1971). *Bureaucracy and Representative Government.* Chicago: Aldine-Atherton.

26. Olson, M., (1971). *The logic of Collective Action: Public Goods and the Theory of Groups,* 18th Ed. Cambridge: Harvard University Press.

27. Richter, G. Furubotn, E.,G. (1997). *Institutions and Economic Theory: An Introduction to and assessment of New Institutional Economics*. Ann Arbor.

28. Rees, R., (1985). *The Theory of Principal and Agent* – Part I. Bulletin of Economic Research, vol. 37, issue 1, pp. 3–26.

29. Slezakova, V., (2012). *Lobbying in the EU: Theoretical and Practical Aspects*. Faculty of Economics and Administration. Masaryk University.

30. Stiglitz, J. E., (1987). *Principal and Agent.* In: The New Palgrave: A Dictionary of Economics. Basingstoke: Palgrave Macmillan, pp. 966–971.

31. Tsujinaka; (2010) *Interest Groups. Government and Politics*. Vol. 1. EOLSS Publications.

32. Weber, M., (1998). *Metodology, Sociology, Politics*. Prague: Oikoymenh.

33. Williamson, O., (1998). *The Economic Institutions of Capitalism*. New York: The Free Press.

34. Wilson, J. Q., (1991). *Bureaucracy: What Government Agencies Do and Why They Do It.* New York: Basic Books.

35. https://www.britannica.com/topic/interest-group/Types-of-interests-and-interest-groups

*Lela Mamaladze*

**ANALYSIS OF INTEREST GROUPS IN THE CONTEXT OF INSTITUTIONAL ECONOMICS**

**Summary**

Interest groups are a necessary precondition and an integral part of a democratic state. The high degree of civic activism plays an important role in the development of the state. The government elected by the people is accountable for receiving information from members of the public on issues that are problematic for them. Through the organizational structure of the interest group, the right tactics and resources for action, the likelihood of achieving the common goals of the community through joint efforts, the chances of which were minimized by individual forces, is greatly increased.

This article focuses on the research aspects of interest groups and discusses the formation, classification, scope of activities, and tools to influence the desired outcome in the context of an institutional economy.

***Key words:*** *Interest groups, lobby, Institutionalism, Institutional Economics*

*მარინა მუჩიაშვილი*
*ნინო ხატისაშვილი*

## საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი

***ანოტაცია.*** *ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი, ასევე, მოცემულია ბიუჯეტის ხარჯების ეფექტიანობის შეფასება. განხილულია საბიუჯეტო სფეროში სახელმწიფო ფინანსების გადანაწილება პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით. ნაშრომში გაანალიზებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა და დინამიკა. ასევე, წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში ანტიკრიზისული ბიუჯეტით გათვალისწინებული ცვლილებები.*

*ნაშრომში სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით შესწავლილი, გაანალიზებული და შეფასებულია მიმდინარე ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის გავლენა მთლიან შიგა პროდუქტზე. დეტალურადაა შესწავლილი მიმდინარე ხარჯების და კაპიტალური ხარჯების დინამიკა და სტრუქტურა.*

*შემოთავაზებულია რეკომენდაციები ქვეყნის მზარდი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით ფისკალურ პოლიტიკაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ. ასევე, ნაშრომში განხილულია ბიუჯეტის დეფიციტი, ბიუჯეტის დეფიციტი/მშპ-თან და დეფიციტის დაფინანსების წყაროები საქართვეკოში. შესწავლილია ფისკალური მდგრადობის შეფასების საკითხი.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ფისკალური პოლიტიკა, ხარჯების სტრუქტურა, ფისკალური მდგრადობის შეფასება*

საქართვლოს ეკონომიკა ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბევრეჯერ დადგა სერიოზული გამოწვევების წინაშე. ეკონომიკური ზრდის სასურველი ტემპების მისაღწევად ქვეყნის მთავრობები მეტნაკლები წარმატებით ცდილობდნენ მათ ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტების ეფექტიანად გამოყენებას. 2003 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოში ფინანსური რესურსების მობილიზაციის მიზნით არსებითი ხასიათის ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მთლიანი შიდა პოდუქტი ერთ სულზე გაანგარიშებით. შედეგად, ბოლო ათწლეულში ქვეყანამ დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებიდან საშუალო დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების რიგში გადაინაცვლა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ 2012 წლის შემდგომ პერიოდში ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა განიხილება. ამასთან, საბიუჯეტო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებად მიჩნეულია განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა. იმის გამო, რომ არსებული გამოწვევების გამო ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარების ერთ- ერთ ხელშემწყობ ფაქტორად ეფექტური ფისკალური პოლიტიკა განიხილება, აქტუალურია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი და 2020 წლის პანდემიის ზეგავლენით გამოწვეული ცვლილებების შესწავლა და ხარჯების ეფექტიანობის შეფასება.

ხარჯების სტრუქტურის თავისებურებების შესაფასებლად და შედარებითი ანალის ჩასატარებლად კვლევაში გამოყოფილია 2004-2012 და 2013-2020 წლების პერიოდები.

**ნახაზი 1.სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკის ანალიზი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2004-2012 წწ (მლნ ლარებში)**




ანალიზი გვიჩვენებს, 2004-2012 წლებში ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა ზრდადია.ზრდა 5 მილიარდ ლარს აღემატება. 2004 წელს ხარჯების სტრუქტურასი უმსხვილესი მუხლი იყო სოციალური დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (მთლიანი ხარჯების 33,5 % ), მის შემდგომ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 22%-27% -ის ფარგლებში მერყეობდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნა გაიზარდა მიმდინარე ხარჯები, კერძოდ, ისეთი მუხლები, როგორიცაა შრომის ანაზღაურება(15,8%-დან 17,5%-მდე), ასევე, . საქონელისა და მომსახურების მუხლის წილი მთლიან ხარჯებში, რაც დანახარჯების სტრუქტურის არაეფექტური მიმართულებით ცვლილებაზე მეტყველებს.

2013 წლიდან მთავრობამ შეცვალა პრიორიტეტები და შესაბამისად შეიცვალა ხარჯების სტრუქტურაც.

**ნახაზი 2. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკის ანალიზი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2013-2020 წ.წ.-ში (მლნ ლარი)**



2019 წელს 2013 წელთან შედარებით ხარჯების მოცულობა 3,4 მლრდ ლარით, მათ შორის, სოციალურ უზრუნველყოფის დაფინანსება - 1,9 მლრდ ლარით გაიზარდა. თუ 2013 წელს სოციალურ უზრუნველყოფას ხარჯების 31,8 % ხმარდებოდა. 2019 წელს ეს მაჩვენებელი 39,6 %-მდე გაიზარდა. 2020 წლის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია მისი 42,5 %-მდე ზრდა. ანტიკრიზისულ ბიუჯეტში 2019 წელთან შედარებით სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 1,4 მლრდ ლარითაა გაზრდილი. მიმდინარე ხარჯების მოცულობისა და სტრუქტურის აღნიშნული ცვლილება საჯარო ფინანსების არაეფექტიანობის ზრდის მაჩვენებელია. თუმცა, ხარჯების სტრუქტურასი გარკვეული პოზიტიური ცვლილებებიც მოხდა, კერძოდ, შრომის ანაღაურების წილი.

**ნახაზი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა 2013 წელს**




**ნახაზი 5. სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა 2019 წელს**



**ნახაზი 6. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით**




სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 12 პრიორიტეტული მიმართულებიდან 2019 წელს ბიუჯეტის ხარჯები შემდეგნაირად გადანაწილდა: ხელმისაწვდომ ხარისხიან ჯანდაცვასა და სოციალური უზრუნველყოფაზე ხარჯების 32,4 % წარიმართა, თავდაცვა, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე 18,08 % , რეგიონულ განვითარებასა ინფრასტრუქტურასა და ტურიზმზე ხარჯების 18,55 % , განათლებაზე 14,28 % და დანარჩენი 16,7 % სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

**ნახაზი 7. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი/მშპ;**
**სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი/მშპ;**
**მთავრობის ვალი/მშპ - 2010-2020** წწ-ში (%-ში)




მსოფლიო სავალუტო ფონდის შეფასებით, განვითარებადი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართ-ველოსათვის ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, იმისათვის, რომ ქვეყანას არ შეექმნას ვალის მომსახურებასთან დაკავშორებული პრობლემები საშუალოვადიან პერიოდში. სახელმწიფო ვალი/მშპ კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს. ხოლო დეფიციტი/მშპ -თან 3%-ს.

2020 წლის პანდემიიდან გამომდინარე, საქართველოს 2020 წლის ანტიკრიზისული ბიუჯეტში გაზრდილმა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებმა, ეკონომიკური კრიზისის გამო შემცირებულმა შემოსავლებმა განაპირობა მთავრობის ვალის მნიშვნელოვანი ზომით გაზრდა, მთავრობის ვალი/მშპ-თან კოეფიციენტმა 55 % -ს , ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრულმა მოცულობამ 8,5 %-მიაღწია. სოციალური ხასიათის პრობლემების გამწვავებამ განაპირება ხარჯების სტრუქტურის არსებითად შეიცვალაც. სასუალოვადიან პერიოდსი მთავრობის ვალის ტვირთის თანდათანობითი შემცირებისა და ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ ვალის მართვის ახალი სტრატეგიის შემუშავება და მისი ეტაპობრივი განხორციელება.

**დასკვნა**

სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. საჭიროა მომავალი წლიდან დაწყებულიწ საშუალოვადიან პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი პროფოფიციტების მნიშვნელოვანი ზომით ზრდა, მიმდინარე ხარჯების შემცირება და ფინანსური რესურსების უპრატესი წარმართვა კაპიტალური ხარჯებისკენ, რაც მომავალი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიგვაჩნია. საჭიროა, ხარჯების ლიმიტირების ეფექტური მექანიზმის შემუშავება, ხარჯვითი და ვალის მართვის პოლიტიკების ფისკალური წესების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა („ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ფისკალური წესების შესაბამისად).

ქვეყნის საკრედიტო რეიტინგების ზრდისა და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭიროა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. რაც დადებითად აისახება საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე და საბოლოო ანგარიშში დაჩქარებულ ეკონომიკურ ზრდაზე.

დღეისათვის ბიუჯეტის ხარჯების დაახლოებით 40 % სოციალური დაცვისკენაა მიმართული, ამიტომ ბიუჯეტის მასტიმულირებელი როლი ეკონომიკურ ზრდაზე მოკრძალებულია. საშუალოვადიან პერიოდში საჭიროა ბიუჯეტის სტრუქტურის შეცვლა, მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას კაპიტალური პროექტების დაფინანსების ხვედრითი წილის ზრდისა და მიმდინარე ხარჯების წილის თანდათანობითი შემცირების გზით ( საოპერაციო სალდოს ზრდით). ქვეყნის დაჩვარებული ტემპებით განვითარებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია განათლების დაფინანსების ზრდა. ბიუჯეტის ხარჯების ანალიზმა გვიჩვენა რომ განათლების სფეროს დაფინანსების ზრდის მასშტაბები სათანადოდ ვერ პასუხობს ამ სფეროში არსებულ გამოწვევებს. სახელმწიფოს მიერ ადამიანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიცია მომავალში ქვეყანის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან , 2016 წელი, ფინანსთა სამინისტრო
2. მ. მუჩიაშვილი, ზ, შონია.სახელმწიფო ვალის მდგრადობის სტატისტიკური ანალიზი, უკრაინის მე-4 საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენციის მასალები, კიევი, 2018 (ინგლისურ ენაზე).
3. საქართველოს კანონი ”საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი” https://matsne.gov.ge/document/view/91006?publication=44
4. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება ”საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე” https://matsne.gov.ge/document/view/4530811?publication=0
5. საქართველოს კანონი “საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ”, 2019წ, 2020 წ.
6. ნათია წიქვაძე, „ ფისკალური პოლიტიკის ანალიზი“, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
7. International Monetary Fund Guidelines-for-Public-Expenditure-Management-Section-3-Budget-Preparation-2%20(3).html
   Guidelines for Public Expenditure Management Barry H. Potter and Jack Diamond
8. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მასალები http://pbo.parliament.ge/ge/rs/methodology
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები https://www.geostat.ge/ka
10. ფინანსთა სამინისტროს მასალები https://mof.ge/finansebis_statistika_naerti_biujeti
11. ხაზინის სამსახურის მონაცემები http://treasury.ge/



*Marina Muchiashvili*
*Nino Khatisashvili*


## STATISTICAL ANALYSIS OF THE STRUCTURE OF STATE BUDGET EXPENDITURES IN GEORGIA

### Summary


The paper presents a statistical analysis of the structure of the state budget expenditures of Georgia, as well as an assessment of the efficiency of budget expenditures. The redistribution of state finances in the budget area according to priority directions is discussed. The paper analyzes the structure and dynamics of state budget expenditures. Also, the changes envisaged by the anti-crisis budget in the state budget expenditures are presented.

The paper examines, analyzes, and evaluates the impact of current expenditures and non-financial asset growth on gross domestic product using statistical methods. The dynamics and structure of current expenditures and capital expenditures are studied in detail.

Recommendations for changes in fiscal policy to support the country's economic growth are proposed. The paper also discusses the budget deficit, budget deficit / GDP ratio and sources of deficit financing in Georgia. The issue of fiscal sustainability assessment is explored.



***Keywords:*** *Fiscal policy, Expenditure structure, Fiscal sustainability assessment*

*ნინო ჟორჟიკაშვილი*

## შემოსავლების უთანასწორობა და ფისკალური პოლიტიკის გავლენა ინკლუზიურ ზრდაზე

***ანოტაცია.*** *ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ინკლუზიური ზრდისა და განვითარების მოდელი ძალიან აქტუალური საკითხია ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომელთა განვითარების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ფართო დიალოგს, სადაც ექსპერტების და პოლიტიკოსების გარდა, ღარიბები და დაბალი შემოსავლის მქონე პირებიც მიიღებენ მონაწილეობას. შემოსავლების უთანასწორობა და საგადასახადო პოლიტიკა პირდაპირ კავშირშია ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასა და განვითა-რებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლების უთანასწორობა ბოლო რამდენიმე დეკადის განმავლობაში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც სიღარიბისა და სოციალური დაძაბულობის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს. ეფექტიან საგადასახადო პოლიტიკას შეუძლია შეამსუბუქოს შემოსავლების უთანასწორობა საზოგადოების ფენებს შორის, რაც, საბოლოო ჯამში, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გარანტი იქნება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია სახელმწიფოს კეთილი ნება, ეფექტიანი მარეგულირებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბება და საზოგადოების თითოეული წევრის მაქსიმალური ჩართულობა აღნიშნულ პროცესებში.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, შემოსავლების უთანასწორობა, ფისკალური პოლიტიკა, გლობალიზაცია.*

### შემოსავლების უთანასწორობა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა

შემოსავლების უთანასწორობა ბოლო რამდენიმე დეკადის განმავლობაში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც სიღარიბისა და სოციალური დაძაბულობის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს. 2019 წლის World Inequality Report[137]-ის შეფასებით და კვლევებით, სადაც დასაქმებული იყო სხვადასხვა ქვეყნის 100-მდე მკვლევარი, დადგინდა, რომ მსოფლიო უმდიდრესი მოსახლეობის 1%-ის სიმდიდრე 2-ჯერ აღემატება ღარიბი მოსახლეობის 50%-ის იმავე მაჩვენებელს [Barolini A.,2019:25]. თუ აღნიშნული უთანასწორობა არ აღმოიფხვრება, მკვლევარები ვარაუდობენ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კატასტროფის გარდაუვალობას.

**გრაფ. 1. გლობალური სიმდიდრის გადანაწილება %, World inequality Report, 2019**




***წყარო:*** Lucas Chancel, World inequality report, 2019

გრაფიკზე წარმოდგენილია მსოფლიოს მდიდარ და საშუალო კლასის წარმომადგენელთა სიმდიდრის გადანაწილება %-ში 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, 2050 წლამდე პროგნოზით. უმდიდრესი მოსახლეობის 1%-ის შემოსავლები და სიმდიდრე წლიდან წლამდე იზრდება და 2050 წლის

137 World Inequality Report-აფასებს გლობალური შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილებას მოსახლეობის ფენებს შორის, პირველი მოხსენება გამოვიდა 2017 წელს.

შეფასებით 40%-მდე აღწევს, ხოლო საშუალო კლასის სიმდიდრე კი კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც სიმდიდრეის გადანაწილების აშკარა უთანასწორობაზე მიუთითებს.

**გრაფ. 2. მსოფლიოს უმდიდრესი მოსახლეობის 1%-ის და ღარიბი მოსახლეობის 50%-ის შემოსავლების წილი, პროგნოზი, World Inequality Report, 2019**




***წყარო:*** Lucas Chancel, World inequality report, 2019

გრაფიკიდან იკვეთება, რომ მსოფლიოს უმდიდრესი მოსახლეობის 1%-ის შემოსავლების წილსა და ღარიბი მოსახლეობის 50%-ის შემოსავლების წილს შორის დიდი სხვაობაა. მაგალითად, 2015 წლისათვის ღარიბი მოსახლეობის 50%-ის შემოსავლების წილი 10%-ს აღწევს, მაშინ როცა მდიდარი მოსახლეობის 1%-ის შემოსავლების წილი 20%-ია და 2-ჯერ აღემატება იმავე მაჩვენებელს[Barolini A.,2019:27]. თუ მომდევნო პერიოდში შემოსავლების არათანაბარი გადანაწილების ამერიკული სცენარი განვითარდება (სცენარი 2), მაშინ უმდიდრესი მოსახლეობის შემოსავლების წილი კიდევ უფრო გაიზრდება, ხოლო ღარიბი მოსახლეობის შემოსავლების წილი კიდევ უფრო შემცირდება 2050 წლისათვის. ევროპული სცენარის (სცენარი 3) განვითარება შემოსავლების გადანაწილებას ვარაუდობს უფრო მეტად ღარიბი მოსახლეობის სასარგებლოდ, რაც შეამცირებს გლობალურ უთანასწორობას.

ცხოვრების სტანდარტების და პირობების განხილვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება განკარგვად შემოსავლებს, რადგან სწორედ განკარგვადი შემოსავალი წარმოადგენს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის განმსაზღვრელ ფაქტორს. გრაფიკი (იხ. გრაფ.3) გვიჩვენებს OECD-ის შეფასებით განკარგვადი შემოსავლების უთანასწორობას როგორც OECD-ის, ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის, საკვლევი პერიოდი მოიცავს 1985-2015 წლებს.

**გრაფ. 3. განკარგვადი შემოსავლების უთანასწორობის ზრდის ტენდენცია, OECD-ის ქვეყნები,1985-2015**




***წყარო:*** BIS Working Papers, August 2017, გვ. 5

OECD-ის ქვეყნებისათვის: ავსტრია, ფინეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, ინგლისი, ახალი ზელანდია, კანადა, ავსტრალია, ბოლო პერიოდის განმავლობაში დამახასიათებელია განკარგვადი შემოსავლების უთანასწორობის სტაბილური ხასიათი ჯინის კოეფიციენტის მიხედვით და შემდგომ პერიოდებში უთანასწორობის შემცირების ტენდენცია. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, მაგალითად სამხრეთ ამერიკასა და რუსეთში შემოსავლების უთანასწორობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაშინ როცა ბრაზილიასა და კოლუმბიაში მაჩვენებელს შემცირების ტენდენცია ახასიათებს.

**გრაფ. 4. განკარგვადი შემოსავლების უთანასწორობის ზრდის ტენდენცია, განვითარებადი ქვეყნები, 1985-2015**




*წყარო:* BIS Working Papers, August 2017, გვ. 6

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაზე მდიდარი მოსახლეობის შემოსავლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება 1985 წლიდან მოყოლებული, რაც შემოსავლების არათანაბარი გადანაწილების მიზეზია და სიმდიდრის კონცენტრაციას განაპირობებს სხვადასხვა ქვეყნის ,,ელიტის'' სასარგებლოდ. Morelli-ის კვლევის შედეგები და მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 1%-ის მიერ გამომუშავებული შემოსავლების 1 პროცენტული პუნქტით ცვლილება იწვევს ჯინის კოეფიციენტის 0.6 პროცენტული პუნქტით ცვლილებას [Morelli et al.,l 2015: 83].

უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლებისა და სიმდიდრის უთანასწორობის **ზოგადი ფაქტორის** ქვეშ მოიაზრება გლობალიზაცია და ტექნოლოგიური პროგრესი, აღნიშნული ფაქტორები იწვევს განათლების დაბალ საფეხურზე მყოფი მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას, რაც ჰეკშერ-ოლინის თეორიას ეფუძნება და შესაბამისად განაპირობებს შემოსავლების გადანაწილებას კაპიტალის სასარგებლოდ. გლობალიზაციის პროცესით არის გამოწვეული განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის სექტორების სტრუქტურული ცვლილება, რაც მტკიცდება ჩინეთზე, ინდოეთზე და ბრაზილიაზე დაკვირვების შედეგად[Morelli et al.,l 2015:85].

რაც შეეხება უთანასწორობის გამომწვევ **იდიოსინკრატულ**[138] **ფაქტორებს,** აქ იგულისხმება ინსტიტუციური ფაქტორები და სახელმწიფო მმართველობის პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს ან შეასუსტოს უთანასწორობა საზოგადოების ფენებს შორის, თუმცა იდიოსინკრატული ფაქტორები არ განიხილება გლობალიზაციის პროცესიდან განცალკევებულად და იზოლირებულად.

## ფისკალური პოლიტიკის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე

საზოგადოების ფენებს შორის შემოსავლებისა და სიმდიდრის არათანაბარი გადანაწილება გამოწვევების წინაშე აყენებს პოლიტიკის გამტარებლებს, აღნიშნული გამოწვევები განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება ფისკალური და საგადასახადო საკითხების მიმართულებით. ხშირად ისმის დავა იმის შესახებ, რომ დაბალმა გადასახადებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდასა და კაპიტალის დაგროვებას, თუმცა შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს პოლიტიკის მთავარ მიზანთან, გაზარდოს ერთობლივი საზოგადოებრივი შემოსავალი. თუმცა, მთავრობებს შეუძლიათ ისეთი საგადასახადო პოლიტიკის გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას და ამავდროულად არ დააზარალებს საზოგადოების არც ერთ ფენას, თუმცა აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სწორად შერჩეული და დაბალანსებული პოლიტიკიების მეშვეობით, რომელიც

[138] იდიოსინკრატული-დამახასითებელი, ინდივიდუალური.

გულისხმობს გლობალიზაციასა და ტექნოლოგიური ცვლილებებთან საგადასახადო პოლიტიკის სტრუქტურიზაციას და ადაპტაციას [Slemrod,Gillitzer,2017].

როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორი კრისტიან ლაგარდი ამბობს, ‘‘ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს  მთავრობის ყველაზე მძლავრ იარაღს, რომელიც ემსახურება შემოსავლების გადანაწილებას. გადასახადები და ხარჯები ეფექტიანად და დიდი სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული, რათა მაქსიმალურად შეამციროს უარყოფითი გავლენა დასაქმებაზე, ინვესტიციებსა და დანაზოგებზე, ასევე ხელს შეუწყობს სოციალური სარგებლის მაქსიმიზაციას ღარიბების სასარგებლოდ“ [Mercedes Vera Martin, 2019:5].

გადასახადები გავლენას ახდენს შემოსავლების უთანასწორობაზე მრავალი არხის  მეშვეობით, კერძოდ პირდაპირი გზით ახდენს გავლენას განკარგვად შემოსავალზე და ირიბად ინდივიდების ჩართულობაზე შრომის ბაზრის პროცესებში და თაობათა შორის შემოსავლების გადანაწილებაზე. გადასახადების მეშვეობით მიღებული შემოსავალი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალური დაცვის სისტემის თუ შრომის ბაზარზე უთანასწორო შემოსავლების გადანაწილების გზას წარმოადგენს, თუმცა  მეორე მხრივ მაღალმა გადასახადებმა შესაძლოა გაამწვავოს უთანასწორობა საზოგადოების ფენებს შორის და შრომის ბაზრის მონაწილეებს უბიძგოს, შრომითი საათები ჩაანაცვლონ დასვენების საათებით, ნაკლები ინვესტიციები განახორციელონ, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფით გავლენას ახდენს გრძელვადიან ზრდასა და ინკლუზიურ განვითარებაზე [David Bradbury, Bert Brys, 2018:11].

დიდი ზომის ფისკალური ტრანსფერები  აუცილებლად და უპირობოდ არ არის დაკავშირებული გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდასთან, თუმცა უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს ეფექტიან ინსტრუმენტს უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და სოციო-ეკონომიკური პროგრესის მისაღწევად. მსოფლიოს განვითარებული და მოწინავე  ქვეყნები აქტიურად იყენებენ სოციალური დაცვის სისტემებს და ტრანსფერებს, აღნიშნულ ქვეყნებში არსებული დიდი საგადასახადო ტვირთი სწორედ ამაზე მიუთითებს. განვითარებადი ქვეყნები კი აჩვენებენ მოკრძალებულ ან დაბალ ჯინის კოეფიციენტს იმ მიზეზის გამო, რომ მათ მიერ განხორციელებული ტრანსფერები  მოკრძალებულია [Richard Samans, Jennifer Blanke, 2017:15].

**გრაფ. 5. განვითარებული ქვეყნების შემოსავლების უთანასწორობა გადასახადებამდე და ტრანსფერებამდე და მათ შემდეგ**




*წყარო:* The Inclusive Growth and Development Report 2017, გვ. 15

**გრაფ. 6. განვითარებადი ქვეყნების შემოსავლების უთანასწორობა გადასახადებამდე და ტრანსფერებამდე და მათ შემდეგ**




*წყარო:* The Inclusive Growth and Development Report 2017, გვ. 15

ზემოწარმოდგენილი გრაფიკებიდან (იხ. გრაფ.6,7) ირკვევა, რომ როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში შემოსავლების უთანასწორობა გადასახადებამდე და ტრანსფერებამდე მაღალია, რაზეც მიუთითებს ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობა (50>), ხოლო გადასახადებისა და ტრანსფერების შემდეგ აღნიშნული უთანასწორობა მნიშვნელოვნად მცირდება და შესაბამისად მცირდება ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობაც (30<). აქედან გამომდინარე, სწორად დაგეგმილ საგადასახადო პოლიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების ფენებს შორის უთანაბრობის შესამსუბუქებლად.

**გრაფ. 7. საგადასახადო პოლიტიკასა და ინკლუზიურ ზრდას შორის არსებული გამოწვევები**

| ტრენდი | გამოწვევა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისათვის | გამოწვევა საგადასახადო პოლიტიკისათვის |
|---|---|---|
| **დაბალი პროდუქტიულობა** | დაბალი პროდუქტიულობა დაკავშირებულია რეალური შემოსავლების შემცირებასა და უთანასწორობის გაღრმავებასთან | დაბალი პროდუქტიულობა პრიორიტეტს ანიჭებს ეკონომიკური ზრდისაკენ მიმართულ საგადასახადო პოლიტიკას, რაც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს კაპიტალის მფლობელთა ინტერესებთან, სულ მცირე მოკლევადიან პერიოდში მაინც |
| **გაზრდილი უთანასწორობა** | უთანასწორობის ზრდა იწვევს ღარიბი მოსახლეობის ნაკლებ ხელმისაწვდომობას განათლებაზე, ჯანდაცვაზე, დასაქმებაზე და ა.შ | გაზრდილი უთანასწორობა მოითხოვს ისეთ საგადასახადო პოლიტიკას, რომელიც შეამცირებს შემოსავლებისა და სიმდიდრის არათანაბარ გადანაწილებას, მაგრამ აღნიშნული კონფლიქტშია რესურსების ეფექტიან გადანაწილებასთან |
| **გლობალიზაცია** | სამუშაო ადგილების სტრუქტურული ცვლილება, რერსურსების სწრაფი ალოკაცია სექტორიდან სექტორში | სამუშაო ძალის, კაპიტალის და რესურსების გაზრდილი მობილურობა ზრდის საგადასახადო კონკურენციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნებს შორის |

*წყარო:* Tax policies for inclusive growth in a changing world, OECD Taxation Working Papers, No. 40, OECD Publishing, Paris,pp 1

მრავალ განვითარებულ ქვეყანაში პროდუქტიულობის შემცირებამ წარმოშვა დებატები იმის შესახებ, თუ როგორი საგადასახადო პოლიტიკა იქნებოდა ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი, საკუთრების უფლების დაცვისა და ეფექტიანობის შენარჩუნების ასპექტების გათვალისწინებით. გლობალიზაციამ, დიგიტალიზაციამ და რესურსების მობილურობის ზრდამ მრავალ ქვეყანაში გამოიწვია წნეხი საგადასახადო სისტემაზე, რამაც საშემოსავლო გადასახადიდან აკრეფილი შემოსავლების ეფექტურად გადანაწილება მნიშვნელოვნად შეამცირა [Causa, Hermansen, 2017:12]. გარდა ამისა, უნდა

აღინიშნოს, რომ არასტანდარტული სამუშაო ადგილების წარმოშობა ართულებს საგადასახადო სისტემის მიერ გადასახადების აკრეფას და, შესაბამისად, კიდევ უფრო ამცირებს სისტემის ეფექტიანობას. მრავალი განვითარებული ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა მიმართულია იმისაკენ, რომ არასტანდარტულ სამუშაო ადგილებზე დასაქმებული ადამიანებისათვის საგადასახადო ტვირთი მინიმალურ მაჩვენებლამდე იქნეს შემცირებული, რათა აღიკვეთოს არაფორმალური ეკონომიკის საზღვრების გაფართოება. ამ მხრივ მეტად აქტიური ქმედება განვითარებად ქვეყნებს მართებთ, სადაც არაფორმალური ეკონომიკის წილი საკმაოდ მაღალია. გარდა ამისა, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულ ადამიანებს ნაკლები წვდომა აქვთ საზოგადოებრივ სიკეთეებთან, რაც უარყოფითად აისახება ადამიანური კაპიტალის ფორმირებაზე და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდაზე. საბოლოო ჯამში, სირთულეები შრომის ბაზარზე დაკავშირებულია სოციალური ტრანსფერების ეფექტიანად გადანაწილების გამოწვევებსა და პრობლემებთან. აქედან გამომდინარე, საჭიროა ისეთი საგადასახადო ინსტრუმენტების პაკეტის გამოყენება, რომელიც ნაკლებად ზღუდავს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას.

## დასკვნა

შემოსავლების უთანასწორობა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში აქტიური მსჯელობის საგანია, რადგან წარმოშობს სოციალურ და ეკონომიკურ დაძაბულობას საზოგადოების ფენებს შორის. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებად ქვეყნებში, სადაც მრავალი წინაპირობა არსებობს იმისათვის, რომ უთანასწორობა კიდევ უფრო გაღრმავდეს. ეკონომიკური ზრდა და განვითარება წარმოადგენს კომპლექსურ ფენომენს, რომელიც საჭიროებს მრავალი პირობის ერთობლივად არსებობას: ეფექტიანი განათლების სისტემა, ჯანდაცვა, შრომის კანონმდებლობა, ჯანსაღი კონკურენცია, სოციალური დაცვის სისტემები, საინვესტიციო კლიმატი, ანტიკორუფციული წესები და ა.შ. ეფექტურად ფუნქციონირებადი ბაზრები და ჯანსაღი მაკროეკონომიკური გარემო მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ინკლუზიური ზრდის მისაღწევად. თუმცა ის, თუ რამდენად ისარგებლებს საზოგადოების ყველა ფენა აღნიშნული პროგრესისაგან, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სამოქმედო ჩარჩო-პირობებზე, არსებულ ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებსა და სტიმულებზე, რომლებიც ადამიანური კაპიტალის, ინვესტიციების, სამუშაო ძალის, სოციალური პოლიტიკის, ინოვაციების, ეფექტიანი ბაზრების, მეწარმეობის ფორმირებას უზრუნველყოფს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Akgun, Cournède, Fournier, 2017, "The effects of the tax mix on inequality and growth", pp. 8, 11, 17, 22.
2. Barolini A.," World Inequality Report", 2018, pp. 20-22, 25, 27
3. Causa, Hermansen, 2018, "Tax policies for inclusive growth in a changing world", pp 12, 42.
4. David Bradbury, Bert Brys, 2018,OECD Taxation Working Papers No. 26, "Tax Design for Inclusive Economic Growth", pp. 11, 12.
5. Fournier, Johansson, 2017," Tax policies for inclusive growth in a changing world", pp 15, 17, 26.
6. Mercedes Vera Martin, 2019,"Promoting Inclusive Growth in the Caucasus and Central Asia", pp. 5, 6, 14, 15, 20.
7. Richard Samans, Jennifer Blanke,2017,"The Inclusive Growth and Development Report ", pp. 15, 23.
8. Slemrod,Gillitzer,2017, "A Characteristics Approach to Optimal Taxation: Line Drawing and Tax-Driven Product Innovation", pp. 37, 38.



***Nino Zhorzhikashvili***


## INCOME INEQUALITY AND FISCAL POLICY INFLUENCE ON INCLUSIVE GROWTH


**Summary**

In the last few years, the model of inclusive growth and development is a very important issue for any country. Inclusive development policy should envisage participation of the poor and low income people, who should be benefited mostly. Inequality and taxation of income is directly related to inclusive economic growth and development. Revenue Inequality In the last few decades, almost every country in the world is characterized by a tendency of growth, which is the cause of poverty and social tension. Effective tax policy can mitigate the inequalities between the layers of society, which will eventually guarantee sustainable and inclusive economic growth. In order to achieve this goal, it is necessary to be existed effective regulatory institutions and maximal involvement of each member of the society in the inclusive growth and development.



***Keywords**: inclusive economic growth, inequality in income, fiscal policy, indicators of inclusive economic growth.*

*ნინო სამჭკუაშვილი*

## ციფრული ეკონომიკა: პრობლემები და პერსპექტივები

***ანოტაცია.*** *სტატიაში განხილულია ციფრული ეკონომიკის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე და განსაზღვრულია ციფრული ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები. გაკეთებულია მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმოხილვა, გამოვლენილია რისკები და საფრთხეები, რომელიც შესაძლოა მოიტანოს ციფრულმა ეკონომიკამ და მოცემულია მათი დაძლევის ძირითადი მიმართულებები. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ციფრული ეკონომიკის განვითარებით მიღებული სარგებელი განუსაზღვრელია, წარმოადგენს რა ობიექტურ პროცესს, ბევრ პრობლემასაც წარმოშობს, რომელთა სწრაფად დაძლევაც მნიშვნელოვანია ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ციფრული ეკონომიკა, ეკონომიკური განვითარება, რისკი*

### შესავალი

ციფრული რევოლუცია საზოგადოების ცხოვრებას განუსაზღვრელი სიჩქარით და არნახული გაქანებით ცვლის, ამასთან წარმოშობს როგორც უზარმაზარ შესაძლებლობებს, ისე კოლოსალურ სიძნელეებს. ახალ ტექნოლოგიებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია მდგრადი განვითარების სფეროში მიზნების მიღწევის მიმართულებით. მაგრამ დადებითი შედეგების მიღება არ არის გარანტირებული. იმისათვის, რომ სრულფასოვნად გაიხსნას ციფრული ტექნოლოგიების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი და, ამასთან, თავი ავარიდოთ არასასურველ შედეგებს, აუცილებელია რაც შეიძლება უფრო ჩქარა განვამტკიცოთ საერთაშორისო თანამშრომლობა.

ციფრული ეკონომიკის ქვეშ, როგორც წესი, იგულისხმება ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან, რეალიზაციასა და მოხმარებასთან ციფრული ტექნოლოგიების, ასევე ელექტრონული კომერციის და ინტერნეტეკონომიკის გამოყენებით. სხვადასხვა ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის სფეროში ზოგიერთი სტარტაპის განსაცვიფრებელი წარმატების შემდეგ და განსაკუთრებით, როდესაც ინტერნეტგიგანტების კაპიტალიზაცია გაუთანაბრდა და შემდეგ გაასწრო ეკონომიკის ტრადიციულ სექტორში მოღვაწე უმსხვილესი საწარმოების კაპიტალიზაციას, ციფრული ეკონომიკის მნიშვნელობა განუზომლად გაიზარდა.

ციფრულ ეკონომიკას ადამიანთა დიდი ნაწილი მიიჩნევს პანაცეად, ხოლო მის დაჩქარებულ განვითარებას კი ყველა პრობლემის გადაწყვეტის საშუალებად. ყოველივე ეს თავის ასახვას პოულობს სოციალურ-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ კვლევებში ციფრული პრობლემატიკის მიმართ დაინტერესების სწრაფ ზრდაზე, მათ შორის გავლენიანი პოლიტიკოსების გამონათქვამებსა და სახელმწიფო მმართველობის დოკუმენტაციაში. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც ყველა ავადმყოფობისაგან განსაკურნებელი წამალი არ არსებობს, ასევე თანამედროვე მსოფლიოში ციფრული ეკონომიკაც ვერ გახდება პანაცეა. მისი განვითარება განხილული უნდა იყოს სხვადასხვა ტრანსფორმაციასთან კონტექსტში, რომელსაც განიცდის თანამედროვე საზოგადოება და ეკონომიკა. ამისათვის კი უფრო დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი მისი თვისებები, ასევე სამეურნეო პრაქტიკაში მისი ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები.

ახალი ტექნოლოგიები, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტი, დაკავშირებულია შრომის ბაზარზე მნიშვნელოვან ცვლილებებთან, ეკონომიკის ერთ სექტორში სამუშაო ადგილების შემცირების და მეორე სექტორში კი მასობრივ მასშტაბებში, მისი ზრდის ჩათვლით. ციფრული ეკონომიკა მოითხოვს სხვადასხვა სახის ახალ ცოდნასა და ხერხებს, სოციალური დაცვის პრინციპულად ახალ ღონისძიებებს და ხარისხობრივად ახალ თანაფარდობას სამუშაოსა და დასვენებას შორის. აუცილებელია მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა განათლების სისტემის განვითარებისათვის, რომელიც ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ სწავლის პროცესზე, არამედ აღნიშნული პროცესის ორგანიზაციის მეთოდების შესწავლაზე, ასევე, მთელი ცხოვრების მანძილზე, საგანმანათლებო მომსახურებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე.

* * *

მსოფლიო ბანკის განმარტებით, ზოგადად, ციფრული ეკონომიკა - ეს არის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობების სისტემა, რომელიც ეფუძნება ციფრული საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას [Ефимушкин В.А. и др. 2017: 16].

სწრაფად გავრცელებადი ციფრული ტექნოლოგიები გარდაქმნის ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის მრავალ სახეს. მაგრამ, მზარდი ციფრული გარღვევა ქმნის განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტად ჩამორჩენის საშიშროებას, განსაკუთრებით მათ შორის შედარებით ნაკლებად განვითარებულებისათვის. ციფრული სექტორის განვითარების სტრატეგიის და მომავალი გლობალიზაციის კონტურების გასააზრებლად საჭიროა კომპლექსური მიდგომა.

ციფრული ეკონომიკის პრობლემატიკა და ამოცანები, რომლებიც ამ მიმართებით დგება ბიზნესის, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, გამოწვევები, წარმოშობილი ციფრული ეკონომიკით და მის მიერ მოცემული განვითარების დაჩქარების შანსი სპეციალისტების წრეებში, წარმოადგენს ინტენსიური გააზრებისა და კვლევის ობიექტს. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ციფრული ეკონომიკის ურთიერთკავშირების ანალიზზე, რომელიც ეყრდნობა მე-4 სამრეწველო რევოლუციის რადიკალური ინვესტიციების კომპლექსს და საწარმოო პოლიტიკის მოდერნიზაციის ამოცანას.

ციფრული საზოგადოება, თავისი არსით ეფუძნება რადიკალურ ინოვაციებს - ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ, ინსტიტუციურ, სოციალურ და სხვა სფეროებში. იგი აყენებს ბევრ მნიშვნელოვან თემას. პირველ რიგში მათ რიცხვს მიეკუთვნება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად დაცულია ადამიანების პირადი მონაცემები. ისმება კითხვა, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას ხომ არ მივყავართ ციფრული მონოპოლიების დამკვიდრებამდე, ასევე, ამ ტექნოლოგიების განვითარების პირობებში შესაძლებელია თუ არა სახელმწიფო სტრუქტურების და საერთაშორისო სოციალური ქსელების მხრიდან პიროვნებაზე და მის პირად მონაცემებზე ტოტალური კონტროლის განხორციელება, თუ პირიქით, მის ჩარჩოებში იქმნება ხელსაყრელი პირობები ციფრული დემოკრატიისათვის ადამიანის მიმდინარე რადიკალური გარდაქმნების აქტიურ მონაწილედ ქცევით.

ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი და პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა იქნება საჭირო, მრავალი კუთხით ხასიათდება, მათი გააზრება მოითხოვს ღრმა კომპლექსურ კვლევებს.

ციფრული კომპანიები იყოფა 4 ჯგუფად: ინტერნეტპლატფორმების მწარმოებლები; ციფრული გადაწყვეტილებების მიმწოდებლები; კომპანიები, რომლებიც დაკავებულნი არიან ელექტრონული ვაჭრობით და ციფრული კონტენტის მწარმოებლები. ამ ჯგუფებიდან პირველ ორს შეგვიძლია ვუწოდოთ სრულად ციფრული კომპანია, ვინაიდან მათ ბიზნეს-მოდელში ცენტრალური ადგილი უკავია ინტერნეტს და ისინი სრულად მუშაობენ ციფრულ სფეროში. ინტერნეტპლატფორმები მოიცავს საძიებო სისტემებს, სოციალურ ქსელებს და სხვა პლატფორმებს. კომპანიებს, რომლებიც დაკავებულნი არიან ციფრული გადაწყვეტილებების მიწოდებით, შეგვიძლია მივაკუთვნოთ ისინი, რომელთა საქმიანობა მდგომარეობს ვებსივრცის და ელექტრონული ფოსტის მომსახურებაში, ელექტრონული და ონლაინ გადასახადების ორგანიზებაში, ასევე ბიზნესის მართვისათვის ციფრული გადაწყვეტილებების მიწოდებაში (იხ. ნახ. 1).




ნახ. 1. ციფრული ტრანსნაციონალური კორპორაციების კლასიფიკაცია

ციფრული კორპორაციების შემდეგი ორი ჯგუფი თავის საქმიანობაში იყენებს შერეულ ბიზნესმოდელებს, ძირითადი ციფრული ბიზნესის გარდა ასევე გამოყენებულია ფიზიკური კომპონენტიც, რომელიც ხელს უწყობს, პირველ რიგში, საქონლისა და მომსახურების ფიზიკურ მიწოდებას. ელექტრონული კომერციის კომპანიები წარმოდგენილნი არიან ონლაინპლატფორმით, რომლებიც უზრუნველყოფს კომერციულ ტრანსაქციებს, ინტერნეტმაღაზიებისა და მოგზაურობის ონლაინსააგენტოებს.

ციფრული ეკონომიკის ფორმირება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს როგორც თანამედროვე ბიზნესსამყაროს ლიდერების, ასევე მთლიანად ქვეყნების კონკურენტ-უნარიანობის დონეს. ქვეყნები, რომლებიც წარმოადგენენ ლიდერებს ტექნოლოგიების შემუშავებისა და ციფრული ეკონომიკის ინსტრუმენტების გამოყენების მხრივ, როგორც წესი, გამოირჩევიან მაღალი კონკურენტუნარიანობით და მდგრადი განვითარებით. ამ მოსაზრების მოვიყვანთ იმ ქვეყნების შედარებას, რომლებიც კონკურენტუნარიანობის გლობალური რეიტინგის ლიდერების რიცხვში (2017-2018), და დიგიტალიზაციის და მდგრადი განვითარების მსოფლიო რეიტინგებში არიან. მათგან ბოლო - მდგრადი განვითარება აერთიანებს ეკოლოგიურ სოციალური და ეფექტიანი ხელმძღვანელობის ინდიკატორებს [Schwab K. 2018: 3-7].

ქვეყნების კონკურენტუნარიანობის რეიტინგის გათვლის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს გლობალური ციფრული კონკურენტუნარიანობის რეიტინგი, რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს ბიზნესსკოლა IMD(იხ. დიაგრამა 1) [IMD. 2019: 26].




**დიაგრამა 1. გლობალური ციფრული კონკურენტუნარიანობის რეიტინგი**

***წყარო:*** დიაგრამა შედგენილია IMD-ის მონაცემებზე დაყრდნობით [IMD. 2019: 26].

როგორც დიაგრამიდან ჩანს, გლობალური ციფრული კონკურენტუნარიანობის რეიტინგში პირველ ადგილზეა აშშ, მას მოჰყვება სინგაპური და შვედეთი. ზოგადად, ამ რეიტინგში 2019 წელს შევიდა 63 ქვეყანა და მათ შორის საქართველო ვერ მოხვდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებასა და ბიზნესსტრუქტურებს დიდი სამუშაოს ჩატარება მოუწევთ სიტუაციის გამოსასწორებლად.

მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება ციფრული კომპანიების რაოდენობა, რომლებიც შედიან არაფინანსური ტრანსნაციონალური კორპორაციების ტოპ-100-ში და რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება მსოფლიო ინვესტიციების შესახებ UNCTAD-ის ანგარიშში. ეს რეიტინგი დება კომპანიების უცხოური აქტივების მოცულობების შეფასების საფუძველზე. ამ რეიტინგში შედის 21 მაღალტექნოლოგიური და 11 ტელესაკომუნიკაციო კორპორაცია. ამასთან, 2012 წლიდან მათი რიცხვი ორჯერ და მეტად გაიზარდა (იხ. დიაგრამა 2) [PwC. 2019: 19].




**დიაგრამა 2. მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული კომპანიების ტოპ 10 საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვით (მილიარდ დოლარებში)**

***წყარო:*** დიაგრამა შედგენილია სააუდიტორო კომპანიის PricewaterhouseCoopers-ის მონაცემებზე დაყრდნობით [PwC. 2019: 19].

ყველაზე ძვირ კომპანიების ტოპ-10 სათავეში უდგას Microsoft – ი, იგი არის მსოფლიოში ყველაზე მსხვილი პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი ტრანსნაციონალური კორპორაცია. მეორე ადგილზეა კომპანია Apple, რომელიც არის ამერიკული ტრანსნაციონალური კორპორაცია და აწარმოებს სმარტფონებს, პლანშეტებს, კომპიუტერებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას. მესამე ადგილი მყარად უკავია კომპანია Amazon-ს, იგი წარმოადგენს ამერიკულ ტექნოლოგიურ კომპანიას, რომელიც სპეციალიზებულია ონლაინ გაყიდვებზე. მეოთხე ადგილი უკავია Alphabet-ს და წარმოადგენს ტექნოლოგიური კომპანიის Google-ს დედა კომპანიას. ხოლო მეხუთე ადგილი საინვესტიციო კომპანია Berkshire Hathaway-ს. როგორც ვხედავთ ყველაზე ძვირი კომპანიების 2019 წლის რეიტინგის ტოპ 10-ში მოხვდა 6 ციფრული ტრანსნაციონალური კორპორაცია.

აღნიშნული რეიტინგის მიხედვით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საერთაშორისო წარმოებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ტრანსნაციონალური კორპორაციების წვლილი, რომლებიც მუშაობენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. ეს კომპანიები იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა დარგებში მოღვაწე კორპორაციები. მათი აქტივები გაიზარდა 65%-ით, ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა 30%-ით, იმ დროს, როდესაც სრულ სტაგნაციაშია სხვა სფეროებში მომუშავე კორპორაციები.

შეიმჩნევა ციფრული კომპანიების კონცენტრაცია რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში. კვლევებმა აჩვენა, რომ კომპანიების 75%, რომლებიც მოხვდნენ ახალ რეიტინგში, ძირითადად განთავსებულნი არიან სამ ქვეყანაში. 100 ციფრული ტრანსნაციონალური კორპორაციიდან 63 განთავსებულია აშშ-ში, მას მოჰყვება დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის კორპორაციები. ასეთი კონცენტრაცია უფრო მეტად გამოხატულია ინტერნეტპლატფორმების შემთხვევაში: ყოველი 11-დან 10 განთავსებულია აშშ-ში. მსხვილი ციფრული კომპანიების ყოფნა განვითარებად ქვეყნებში უმნიშვნელოა, 100-დან მხოლოდ ოთხი არის განთავსებული ამ ქვეყნებში. კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ასეთი კომპანიების ფილიალების მნიშვნელოვანი რაოდენობა განლაგებულია მათი შტაბბინების განთავსების ქვეყნებში. ასე მაგალითად, ციფრული ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და მათი შვილობილი კომპანიების ორი მესამედი იმყოფება აშშ-ში. ასევე 100 უმსხვილესი ციფრული ტრანსნაციონალური კომპანიების ფილიალების მხოლოდ 13%-ია განთავსებული განვითარებად ქვეყნებში [World Investment Report 2019].

ციფრული კორპორაციები ხშირად ითვლება ნაკლებად რთულ, ორგანიზაციული სტრუქტურის მხრივ უფრო მოქნილ კომპანიებად, ვიდრე ტრადიციული კორპორაციები. ასეთი კორპორაციების ანალიზით თუ ვიმსჯელებთ (მაგალითად, Alphabet, Apple, Microsoft), ეს შეიძლება ძირითადად დაკავშირებული იყოს იმ ფაქტთან, რომ ისინი არიან ახალგაზრდა კომპანიები და ვერ მოასწრეს თვისი საკუთრების ჯაჭვის იმ დონეზე განვითარება, როგორც ტრადიციულმა კორპორაციებმა. მაგრამ ნათელია ისიც, რომ ციფრული კომპანიები არ იყენებენ უფრო რთულ ელემენტებს, ვიდრე ტრადიციულები,

განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ კერძო კონფრონტაციას მათსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ყველა მასშტაბური მოვლენა, ციფრული ეკონომიკის განვითარება დაკავშირებულია არა მხოლოდ პოზიტიურ შედეგებთან, არამედ სხვადასხვა სახის რისკებსა და პრობლემებთან. მათ წყაროს წარმოადგენს ორი ძირითადი ფაქტორი. პირველი მდგომარეობს ახალი რისკებისა და პრობლემების გაჩენაში, რომელიც ახასიათებს სწორედ ციფრულ ეკონომიკას და ეფუძნება მის ტექნოლოგიურ თავისებურებებს. მეორეც, ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლისას ხდება ინსტიტუციური ტრანსფორმაცია, რომელიც, თავის მხრივ, არ არის დამოკიდებული მის ბუნებაზე და წარმოადგენს ძლიერი დესტაბილიზაციის ფაქტორს მდგრადი და წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

განვიხილოთ ციფრული ეკონომიკის განვითარების რამდენიმე ნეგატიური შედეგი და პრობლემა[Сидоров А.С. 2018. 123}:

- კიბერდანაშაულის ზრდა. მაგალითად კორპორაცია Microsoft-ის მონაცემებით, 2017 წლის პირველ კვარტალში მთელი მსოფლიოს მასშტაბით კომპიუტერების 9%-ზე მოხდა არასანქცირებული შეღწევა.
- შექმნილი ციფრული ინფრასტრუქტურის ტექნოლოგიური მოწყვლადობა. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ არასანქცირებული შეღწევები სამთავრობო და კერძო სტრუქტურების ვებგვერდებზე, ფულის არასანქცირებული გატანა კერძო ანგარიშებიდან ჰაკერების მიერ და ა.შ.
- ტექნიკის სწრაფი მორალური დაძველება და, როგორც ამის შედეგი, მათი უტილიზაციის პრობლემა. თუკი ატომური ნარჩენების უტილიზაცია საზოგადოების ყურადღების ცენტრშია და დარეგულირებულია საერთაშორისო კონვენციებით, რეგულაციის გარეშეა ელექტრონული ნარჩენების პრობლემა. ამასთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველ წელს მსოფლიოში იწარმოება 100 მილიონი ტონა ელექტრონული ნარჩენი. მათგან მხოლოდ 20%-ის გადამუშავება ხდება ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით. ციფრული ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ მისი ეკოლოგიურად საშიში ეფექტები თანდათან გაიზრდება.
- ტექნოლოგიური დამოკიდებულების ზრდა უცხოელ მომწოდებლებზე და, როგორც შედეგი, ტექნოლოგიური და ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ისე კომპანიების დონეზე.

საქართველოში ციფრული ეკონომიკის განვითარებისათვის სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ამ მიმართებით კვალიფიციური კადრების სიმცირე. მაგალითად აშშ-ში IT სპეციალისტების რაოდენობა შეადგენს მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 2,4%-ს, ხოლო გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში 4,3%-ს. ამ მხრივ საქართველოში საკმაოდ დიდი ჩამორჩენა გვაქვს. აუცილებელია ქვეყანაში გაიზარდოს მაღალკვალიფიციური IT სპეციალისტების რაოდენობა, მაგრამ ამის გაკეთება მექანიკურად შეუძლებელია, აუცილებელია განვითარდეს ამ მიმართულებით განათლების სისტემის ინფრასტრუქტურა, მომზადდეს ახალი პედაგოგები და აშ.

ჩვენ მიერ მოყვანილი და კიდევ სხვა მრავალი რისკი, საფრთხე და პრობლემა, რომელიც გამოწვეულია ციფრული ეკონომიკის განვითარებით, მოითხოვს ღონისძიებების გატარებას მათი განეიტრალებისათვის. სამწუხაროდ, ამის ჩქარა და სახელმწიფო რესურსების ხარჯზე გაკეთება შეუძლებელია. საჭიროა კომპლექსური ძალისხმევა როგორც საჯარო, ისე კერძო რესურსების გამოყენებით. პირველხარისხოვან გადასაჭრელ ამოცანებს შორის უნდა გამოყოს შემდეგი:

- ციფრულ ეკონომიკაზე ორიენტირებული ბიზნესის შექმნისა და განვითარების სტიმულირება. საქართველოს ხელისუფლებამ კომპანიებს, რომლებიც მოისურვებენ ამ სფეროში მოღვაწეობას, ხელშეწყობის მიზნით უნდა გაუწიოს რიგი დახმარება. მაგალითად, მისცეს გარანტია საბანკო კრედიტის ასაღებად, აუნაზღაუროს პატენტის აღებაზე გაწეული დანახარჯები, მათ შორის საზღვარგარეთ, ჩამოაყალიბოს საინვესტიციო ფონდები ამ მიმართულების დასაფინანსებლად და ა.შ.
- დამატებითი მხარდაჭერა გაუწიოს მცირე და საშუალო ბიზნესს, რომლებიც მოღვაწეობენ ციფრული ტექნოლოგიების, პლატფორმების და ციფრული მომსახურების შექმნის სფეროში. ამის მიღწევა შესაძლებელია ამ სფეროში დასაქმებული კომპანიებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესებით, ასევე ციფრული ტექნოლოგიებისა და პლატფორმების შემქმნელ კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობით და მათი შეკვეთებით უზრუნველყოფის გზით.
- ეკონომიკის ძირითადი სფეროებისათვის ციფრული პლატფორმების ფორმირება და განვითარება. თანამედროვე ეტაპზე საქართველოსა და მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში არსებობს სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურების პორტალები, პლატფორმები გადასახადების გადასახდელად, საგადასახადო ორგანოები გადასულნი არიან ელექტრონულ ანგარიშგებაზე და მრავალი სხვა. უნდა

აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებობს პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონებში IT ტექნოლოგიების დანერგვასთან. ამ პრობლემის გადაწყვეტა თვითონ მუნიციპალიტეტებს არ ძალუძს მათი უმეტესობის მცირე და დოტაციური ბიუჯეტის გამო, საჭიროა მათი ამ მიმართულებით მხარდაჭერა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან.

- უნდა შეიქმნას დარგების რეგიონული და საზოგადოებრივი კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემები. კერძოდ, უნდა გამკაცრდეს კანონმდებლობა კიბერდანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით, შემუშავდეს დაცვის ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები, უზრუნველყოფილ იქნეს გლობალური ციფრული ეკონომიკის ყველა მონაწილეს შორის უსაფრთხო ურთიერთკავშირი. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ უნდა აფერხებდეს ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ზრდას. საჭიროა გაძლიერდეს ქვეყნებს შორის კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ინფორმაციის გაცვლა.

## დასკვნა

ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე პირობებში საქართველოში შეინიშნება ციფრული ეკონომიკის ზრდა, ქვეყანა ამ მიმართულებით საკმაოდ ჩამორჩება მსოფლიოში განვითარების საშუალო დონეს. ქვეყნის ციფრული კომპანიების ჩამორჩენის მიზეზი მდგომარეობს ინვესტიციების სიმცირეში. ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს კრაუდფანდინგური პლატფორმები. ინოვაციური ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ასევე დადებით გავლენას ახდენს შრომით ბაზარზე. ამას გარდა, ციფრული ტექნოლოგიები ხელს უწყობს მოსახლეობის სოციალურ და ფინანსურ ჩართულობას და ამაღლებენ მათ ხელმისაწვდომობას და ხარისხს მომსახურების მიღებაზე, ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორებიცაა: მედიცინა, განათლება, კულტურა, სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურება. ციფრული ეკონომიკის განვითარება და წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება მოითხოვს მთავრობის, საზოგადოების, აკადემიური და სამეცნიერო წრეების, ასევე ტექნოლოგიური სფეროს ერთობლივ ძალისხმევას. ყოველდღიურად ჩვენ ვხვდებით იმის მოწმენი, რომ ციფრული ტექნოლოგიები ხელს უწყობს ადამიანის უფლებების გაფართოებას და ქვეყნის მდგრად განვითარებას, მთელი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Ефимушкин В.А., Ледовских Т.В., Щербакова Е.Н. 2017. Инфокоммуникационное технологическое пространство цифровой экономики. телекоммуникации и транспорт. 2017. Том 11.№5. С.15-20. https://cyberleninka.ru/article/n/infokommunikatsionnoe-tehnologicheskoe-prostranstvo-tsifrovoy-ekonomiki (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)
2. Schwab K. 2018. The Global Competitiveness Report 2018. World Economic Forum. 380 p. Pp. 3-7. http://www3.weforum.org/docs/GCR2017-2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2017%E2%80%932018.pdf (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)
3. IMD. 2019. The IMD World Digital Competitiveness Ranking 2019 results. https://www.imd.org/wcc/world-competitiveness-center-rankings/world-digital-competitiveness-rankings-2019/ (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)
4. PwC. Global Top 100 companies by market capitalization. 2019. https://www.pwc.com/gx/en/audit-services/publications/assets/global-top-100-companies-2019.pdf (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)
5. World Investment Report 2019 - Investment and New Industrial Policies, United Nations (UNCTAD), New York and Geneva, 2019. https://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2019_en.pdf (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)
6. Сидоров А.С. Влияние цифровой технологий на экономику страны. Российский внешнеэкономический вестник. 2018. №8. С.119-128) http://www.rfej.ru/rvv/id/9004BAF9A/$file/119-128.pdf (ბოლოს გადამოწმებულია 12.05.2020)



***Nino Samchkuashvili***


**DIGITAL ECONOMICS: PROBLEMS AND PERSPECTIVES**

**Summary**


The digital revolution is changing the lives of us and society at an indefinite rate and with unprecedented turmoil, creating both enormous potential and colossal difficulties. New technologies can make a significant contribution

to achieving goals in the field of sustainable development. But getting positive results is not guaranteed. In order to fully unlock the socio-economic potential of digital technologies and avoid undesirable consequences, it is necessary to strengthen international cooperation as soon as possible.

The problems and challenges facing the digital economy facing business, the state and society, the challenges posed by the emerging digital economy, and the chance of accelerating its development in a circle of specialists, are the subject of intense understanding and research. In this case, we are talking about the analysis of the relationship between digital economy, which relies on the complex of radical investment in the 4th Industrial Revolution, and the task of modernizing production policy.

New technologies, especially artificial intelligence, have been linked to significant changes in the labor market, including job losses in one sector of the economy and mass growth in the other sector, including its growth. The digital economy requires a variety of new knowledge and skills, fundamentally new measures of social protection, and a qualitatively new ratio between work and leisure. It is necessary to attract large investments for the development of the education system, which will be focused not only on the learning process, but also on the study of methods of organizing this process, as well as the provision of universal access to educational services throughout life.

It should be noted that as with all large-scale events, the development of the digital economy is associated not only with positive outcomes, but also with a variety of risks and problems. Their source is two main factors. The first lies in the emergence of new risks and problems, which characterize the digital economy and are based on its technological features. Second, the transition to a digital economy is an institutional transformation that, in turn, does not depend on its nature and is a powerful destabilizing factor for sustainable and successful socio-economic development.

The lack of qualified personnel in this regard is a serious impediment to the development of the digital economy in Georgia. For example, the number of IT specialists in the United States is 2.4% of the total working age population and 4.3% in Germany and the United Kingdom. In this regard, we have a big gap in Georgia. It is necessary to increase the number of highly qualified IT specialists in the country, but it is mechanically impossible to do so, it is necessary to develop the infrastructure of the education system in this direction, to train new teachers and so on.

Despite the growth of the digital economy in Georgia in modern conditions, the country lags far behind the average level of development in the world. The reason for the country's lagging behind digital companies is the lack of investment. Crowdfunding platforms are an important tool for attracting investment. The introduction of innovative digital technologies is also having a positive impact on the labor market. In addition, digital technologies contribute to the social and financial involvement of the population and increase their access and quality of service in such important areas as medicine, education, culture, public and municipal services. The development of the digital economy and the search for ways to solve the emerging problems require the joint efforts of the government, the public, academia and academia, as well as the technology sector. Every day we see evidence that digital technologies are contributing to the expansion of human rights and the sustainable development of the country, to the well-being of the entire society.

***ნინო სარდლიშვილი***

## კარიერული განვითარება საჯარო სამსახურში (რაოდენობრივი კვლევის ანალიზი)

***ანოტაცია.*** *2015 წელს ხელი მოეწერა და 2017 წლიდან სრულად ძალაში შევიდა საქართველოს კანონის საჯარო სამსახურის შესახებ დღეს მოქმედი ვერსია. საჯარო სამსახურის მიერ განხორციელებული რეფორმის ბოლო ტალღაში აქცენტი საჯარო მოხელეების კარიერულ და პროფესიულ განვითარებაზე იყო გაკეთებული.*

*საჯარო მოხელეთა კარიერული განვითარების პროცესის კვლევის ფარგლებში 2020 წლის იანვარი-აპრილის პერიოდში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომლის მიზანიც თვითონ საჯარო მოხელეების დამოკიდებულების გარკვევა იყო. ქვეყანაში გამოცხადებული პანდემიის პირობებში კვლევის შედეგებზე არანაკლებ საინტერესო იყო კვლევის პროცესი. რესპონდენტთა და ინტერვიუერის უსაფრთოხების უზრუნველსაყოფად კვლევა ჩატარდა დისტანციურად, ელექტრონული ანკეტების საშუალებით.*

*კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, თუ რა დამოკიდებულება აქვთ თვითონ საჯარო მოხელეებს საჯარო სამსახურში მიმდინარე პროცესებზე. გამოვლინდა მოხელეების პოზიცია საჯარო სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერების როლზე მათ კარიერულ განვითარებაში. ასევე გამოიკვეთა თუ რომელ სფეროშია რესპონდენტთა აზრით უკეთესი კარიერული განვითარებისთვის და რატომ ანიჭებენ რესპონდენტები უპირატესობას სწორედ საჯარო სამსახურს.*

***საკვანძო სიტყვები:*** *საჯარო სამსახური, საჯარო მოხელე, კარიერული განვითარება საჯარო სამსახურში.*

ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. სფეროს არეგულირებს საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, რომლის მოთხოვნათა გათვალისწინებით საჯარო დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვის ერთიან სახელმწიფო

პოლიტიკას ატარებს საჯარო სამსახურის ბიურო[139]. დღეს მოქმედი კანონი საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს პარლამეტმა 2015 წელს მიიღო, კანონი ეტაპობრივად შევიდა ძალაში და საბოლოოდ სრულად ის 2017 წელს ამოქმედდა. დღეს მოქმედი კანონის მიზანია უზრუნველყოს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა[140]. კანონი განსაზღვრავს საჯარო მოხელის სტატუსს, სამუშაო პროცესს, საჯარო სამსახურის მართვის საკითხებს როგორც ცენტრალურ, ისე ავტონომიურ და ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე[141]. საჯარო სამსახური ეფუძნება შემდეგ პრინციპებს. კანონიერება, ერთგულება, კანონის წინაშე თანასწორობა, ეკონომიურობა და ეფექტიანობა, მიუკერძოებლობა, ქვეყნის მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, ანგარიშვალდებულება, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, კარიერული განვითარება, გამჭვირვალობა და ღიაობა, მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვა[142].

საჯარო მოხელის კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა წინა პლანზე წამოვიდა, ხდება მოხელის კვალიფიკაციის სისტემატური შეფასება[143], კანონში გაიწერა და შესაბამისად სავალდებულო გახდა კონკრეტული საჯარო დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე მასში მომუშავე საჯარო მოხელეების პროფესიული უნარების განვითარება[144].

საჯარო სამსახურის ბიუროს 2019 წლის ანგარიშის თანახმად, საჯარო სამსახურში დასაქმებულია 16 565 ადამიანი, აღნიშნულ რიცხვში არ შედის შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული მოხელეები[145]. 2020 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. გამოიკითხა 1000-ზე მეტი საჯარო მოხელე, უფრო კონკრეტულად კი 1220 მოხელე. გამოიკითხა როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეები. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით გამოკითხვა მიმდინარეობდა დისტანციურად, ელექტრონული ანკეტების დახმარებით.

გამოკითხულთა 50,8% - სახელმწიფო საჯარო სექტორშია დასაქმებული, ხოლო 49,2% ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეა. გამოკითხულ მოხელეთა 4,1%-ეს საჯარო სამსახურში მუშაობის 1 წლამდე სტაჟი აქვთ, 1-5 წლამდე მუშოაბის გამოცდილება აქვს გამოკითხულ მოხელეთა 28,7%-ს. 5-10 წლიანი სტაჟი აქვს გამოკითხულთა 38,5%-ს და 10 წელზე მეტი საჯარო სამსხურში მუშაობის სტაჟი აქვს 28,7%-ს. საჯარო სამსახურში გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს 5-იდან 10 წლამდე მუშაობის გამოცდილება აქვთ.

რესპონდენტთა 1,6%-მა მუშაობა სტაჟირებით დაიწყო, უმცროსი სპეციალისტის პოზიციით დაიწყო კარიერა საჯარო სამსახურში 2,5%-მა, 23,3%-ისთვის პირველი პოზიცია საჯრო სამსახურში სპეციალისტის პოზიცია იყო. გამოკითხულთა 21,7 %-მა მუშაობა უფროს სპეციალისტად დაიწყო, მთავარ სპეციალისტად – 35,8%-მა, შრომითი ხელშეკრულებით დაიწყო მუშაობა გამოკითხულთა 10%-მა. საჯარო სამსახურში პირდაპირ ხელმძღვანელ პოზიციებზე დაიწყეს მოღვაწეობა საერთო ჯამში 5%-მა. განყოფილების უფროსად -4,2%-მა და სამსახურის უფროსად 0,8%-მა. ამ ეტაპზე გამოკითხულთაგან აღარვინ აღარ მუშაობს უმცროს სპეციალისტად. რესპონდენტთა 4,4% სპეციალისტად მუშაობს. უფროს და მთავარ სპეციალისტად მომუშავე საჯარო მოხელეთა რაოდენობაც გაზრდილია და 42-42%-ს შეადგენს. შემცირებულია ხელშეკრულებით დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა, ის მხოლოდ 5%-ს შეადგენს. ხელშეკრულებით დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობის შემცირება შესაძლოა გამოწვეული იყოს ორი მიზეზით, ერთი ეს არის საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით, რომლის მიხედვითაც მკაფიოდ განისაზღვრა თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი შრომით ხელშეკრულების დადება, ამასთანავე შესაძლებელია ხელშეკრუოებით დასაქმებული ადამიანი დროთა განმავლობაში ძირითად შტატში გადასულიყო. გაიზარდა სხვადსხვა თანამდებობაზე მომუშავე საჯარო მოხელეთა რაოდენობაც, რაც იმას მოწმობს რომ საჯარო სამსახურში ხდება თანამშრომელთა კარიერული ზრდა, დაწინაურება. გამოკითხულთა 1,7% მუშაობს სამსახურის უფროსად, სამმართველოს უფროსად და დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ 0,8-0,8%, ხოლო დეპარტამენტის უფროსად 1,7%.

[139] ანგარიში 2019 გვ.6
[140] კანონი მუხლი 1
[141] კანონი მუხლი 2
[142] კანონი თავი 2
[143] კანონი მუხლი 53
[144] კანონი მუხლი 54
[145] ანგარიში 2019 გვ 34

გამოკითხული 1000-ზე მეტი რესპონდენტიდან სამსახურებრივი პოზიცია არ შეუცვლია მხოლოდ 31,2%-ს, დანარჩენი რესპონდენტებიდან 33,3% დაწინაურდა იმავე სტრუქტურაში, რომელშიც მუშაობდა თავიდან, ხოლო 35%-მა დაკავებულ პოზიციასთან ერთად შეიცვალა დასაქმების ადგილი. ის, რომ 68,3%-მა საჯარო სამსახურში მუშაობის პერიოდში ერთხელ მაინც შეიცვალა სამუშაო პოზიცია, მეტყველებს იმაზე, რომ საჯარო სამსახურში კარიერული განვითარება და წინსვლა ხდება. თუმცა მიუხედავად ასეთი მონაცვლეობისა, გამოკითხული საჯარო მოხელეების ნახევარი – 50% თვლის რომ საჯარო სამსახური მათ კარიერულ განვითარებაში არ მონაწილეობს. 5%-ს დამსაქმებელი ხელს უწყობს, რომ განვითარდეს უშუალოდ დასაქმებულის მიერ შერჩეული მიმართულებით, მის მიერ შერჩეული სასწავლო კურსებით. გამოკითხულთა 45% დამსაქმებლის მიერ გაგზავნილი იყო სხვადასხვა სახის კურსებზე და ტრენინგებზე. ის საჯარო მოხელეების 57,3%-ისთვის, რომელთაც გაიარეს დამსაქმებლის მიერ მათთვის შერჩეული კურსები, თვლიან რმ კარიერულ განვითარებაში მათ მიერ გავლილი სასწავლო კურსები არაეფექტური იყო და მხოლოდ 42,7% თვლის რომ ეს კურსები მათ კარიერულ ზრდაში დაეხმარება. მართალია პოზიტიური დამოკიდებულება გავლილი ტრენინგების მიმართ გამოკითხულ საჯარო მოხელეთა შედარებით ნაკლებ რაოდენობას აქვს, თუმცა სხვაობა კმაყოფილ და უკმაყოფილო რესპოდენტებს შორის მცირეა.

2017 წლიდან, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მიხედვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერების როლი საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანების კარიერულ განვითარებაში. საჯარო სამსხურის ბიურო სისტემატურად მუშაობს იმაზე, რომ რეფორმების სხვადასხვა ტალღების საშუალებით გააუმჯობესოს საჯარო მოხელეთა არსებული მდგომარეობა, მოხდეს მოტივირებული და შრომისმოყვარე კადრების შერჩევა, ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი კარდები, გატარდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები მათი კარიერული განვითარებისთვის. მიუხედავად ყველა ამ ცვლილებისა, გამოკითხულთა 55,4% თვლის, რომ მათ კარიერულ განვითარებაში ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი საერთოდ არ მონაწილეობს, 36,4%-ისთვის ეს არის ადმაიანი, რომელიც მათ აწვდით ინფორმაციას სხვადსხვა სახის კურსების და ტრენინგების შესახებ, რომელიც შესაძლოა მათი შემდგომი კარიერული განვითარებისთვის კარგი იყოს და მხოლოდ 8,3% თვლის რომ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ეს არის ერთგავრი შაუმავალი, დამხმარე მასსა და მის უშაულო ხელმძღვანელს შორის, როდესაც საქმე ამ საჯარო მოხელის კარიერულ განვითარებას ეხება.

საჯარო სამსახურში დასაქმებულ და ჩვენ მიერ გამოკითხულ მოხელეთა მხოლოდ 3,3% თვლის რომ კარიერული ზრდისთვის საჭიროა შესაბამისი განათლების ქონა. 13,1% უპირატესობას კვალიფიკაციას ანიჭებს. მოტივაცია და სურვილია კარიერული განვითარებსთვის მნიშვნელოვანი 25,4%-ისთვის. ყველაზე მეტი – 31,1% თვლის რომ საჯარო სამსხურში კარიერული განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სანაცნობო წრე. პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა 27,1%-მა. შესაძლოა საერთო 100%-იდან 31% არაა დიდი მაჩვენებელი, მაგრამ როდესაც შესაძლო პასუხებიდან ყველაზე მეტმა მოხელემ სწორედ სანაცნობო წრე, ანუ სრულად სუბიექტური ფაქტორი დაასახელა კარიერული განვითარებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობად, ეს გვაფიქრებინებს რომ მოხელეს არ აქვს ინსტიტუტის ობიექტურობის და მიუკერძოებლობის განცდა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ საჯარო მოხელეების გარკვეული რაოდენობა თვლის რომ კარიერული განვითარებისთვის მხოლოდ განათლება, კვალიფიკაცია და მოტივაცია საკმარისი არ არის, ყოველწლიურად უამრავი ადამიანი მონაწილეობს საჯარო სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და ცდილობს გახდეს საჯარო მოხელე. მხოლოდ 2019 წელს გამოცხადდა 5582 ვაკანსია, აქედან 4061 კონკურსი იყო ღია[146], რაც ნიშნავს, რომ ყველას შეეძლო მონაწილეობა მიეღო ამ კონკურსში. 2019 წელს სულ მცირე 4061 ადამიანი გახდა საჯარო მოხელე. საინტერესოა რატომ სურთ ადამიანებს საჯარო სამსახურში მუშაობა. თვითონ საჯარო სექტორში დასაქმებულ და ჩვენ მიერ გამოკითხულ ადამიანთა მხოლო 5%-ისთვისაა კონკურენტული ხელფასი საჯარო სამსახურის უპირატესობა. კარიერულ განვითარებას ასახელებს მნიშვნელოვნად გამოკითხულთა 12,4%, პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა/უჭირს კონკრეტული პასუხის გაცემა 10,7%-ს. ყველაზე მეტი, 71,9% თვლის რომ საჯარო სამსახურის უპირატესობა არის მისი სტაბილურობა. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის ჩატარების პერიოდი, 2020 წლის იანვარი-აპრილი, დაემთხვა ქვეყანაში არსებულ განსაკუთრებულ მდგომარეობას და დასაქმებულებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა როგორც სამუშაოს, ისე ხელფასის შენარჩუნება, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და დასაფასებელი გახდა საჯარო სამსახურის სტაბილურობა. უკვე აღვნიშნეთ, გამოკითხულ რესპონდენტთა 68,3% საჯარო სამსახურში მუშაობის პერიოდში დაწინაურდა, ანუ მოხდა მათი კარიერული ზრდა. მიუხედავად ამ მონაცემებისა,

[146] ანგარიში 2019 გვ. 6

რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი, კერძოდ კი 77,7% თვლის რომ კარიერული ზრდისა და განვითარებისთვის კერძო სექტორს უფრო მეტი რესურსი აქვს. გამოკითხულთა მხოლოდ 22,3% თვლის, რომ საჯარო სექტორში შესაძლებელია მოხდეს მოხელის კარიერული ზრდა და განვითარება.

საჯარო სექტორში სისტემატურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის რეფორმები, რომელიც საჯარო სამსახურში არსებული ადამიანური რესურსების უფრო ეფექტიანად მართვისკენაა მიმართული, რეფორმების ბოლო ტალღის მიზანი უკვე არსებული ადამიანური რესურსის უკეთ განვითარება და მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა იყო, თუმცა მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა, თვითონ საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს არ აქვთ აღქმა რომ მათ კარიერულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნავენ. მათთვის საჯარო სექტორი არის სტაბილური სამუშაო გარემო, ხოლო თუ ადამიანს აქვს კარიერული განვითარების, ზრდის ამბიცია მან უნდა აირჩიოს კერძო სექტორი და არა საჯარო. ასეთი დამოკიდებულების გამო საჯარო სექტორი კარგავს ამბიციურ პოტენციურ თანამშრომლებს და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანები გამოხატავენ ნაკლებ ინიციატივას და ნაკლებ ამბიციას, ისინი ნაკლებად ზრუნავენ საკუთარ კარიერულ განვითარებაზე, ძირითადი აქცენტი აღებული აქვთ უკვე არსებული პოზიციის შენარჩუნებაზე და არა უფრო მაღალი პოზიციის მიღწევაზე.

საჯარო სამსახურის ბიურომ, ისევე, როგორც ყველა საჯარო უწყების ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერმა, მეტი ყურადღება უნდა გაამახვილონ დასაქმებულებთან სისტემატურ კომუნიკაციაზე. საჯარო მოხელეების შეფასებასთან ერთად თვითონ საჯარო მოხელეების მიერ უნდა ხდებოდეს სამუშაო გარემოს, გავლილი კურსების შეფასება. მოხელის მოლოდინების და მიღებული შედეგების ანალიზი მნიშვნელოვნად გაზრდის გატარებული რეფორმების ეფექტიანობას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კანონი 2015- საქართველოს კანონი საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ. 2015 წელი. საქართველო, ქუთაისი.
2. ანგარიში 2019 - საჯარო სამსახურის ბიუროს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში. 2019 წელი. საქართველო, თბილისი.

***Nino Sardlishvili***

## THE CAREER DEVELOPMENT IN PUBLIC SERVICE (ANALYSIS OF QUANTITATIVE RESEARCH)

### Summary

The current low about public service was signed in 2015 and fully operational since 2017. The latest wave of public service reform focused on the career and professional development of public servants.

As part of the research on the career development process, was held public servant’s quantitative research, in period of January-April in 2020, These research aim was to clarify the attitude of public servants themselves. In the context of the pandemic in the country, the research process was no less interesting than the results of the study. To ensure the safety of the respondents and the interviewer, the research was conducted remotely, via electronic questionnaires.

The results of the research showed what attitude the public servants themselves have towards the ongoing processes in the public service. Revealed the position of the public servants has about the role of public service human resource management in their career development process. It also highlighted which areas respondents think are better for career development and why they prefer to work in public service.

*ნინო სარდლიშვილი*
*ნინო საჩალელი*

## უმუშევრობის პრობლემა და მდგრადი განვითარების როლი მის აღმოფხვრაში

***ანოტაცია.*** *სტატიაში განხილულია უმუშევრობის პრობლემები საქართველოში და ეკონომიკის მდგრადი განვითარების როლი მის აღმოფხვრაში. კვლევაში მოცემულია სტატისტიკური მონაცემები, მდგრადი განვითარების მიზნები და სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი. დასაქმების პრობლემის აღმოფხვრა ქვეყნის სტაბილურობისა და ეკონომიკური წინსვლის გარანტია. ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემის მოგვარება იწვევს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარების გზაა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *უმუშევრობა, მდგრადი განვითარება, დასაქმება, სამუშაო ადგილები.*

* * *

2015 წლის 25 სექტემბრის გაერთიანებული ერების A/RES/70/1 რეზოლუციით დამტკიცდა "გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები", რომელიც შეიცავს 17 ამოცანასა და 169 მიზანს.გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები საქართველოს მთავრობის შიდა რეფორმების განუყოფელი ნაწილია. მიზნების ნაციონალიზაციის კოორდინაციას, ასევე შესრულების მონიტორინგს უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი. საბჭოს სამდივნოს წარმოადგენს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახური. მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი 2015 წელს დაიწყო. ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით განისაზღვრა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შიდა პრიორიტეტები და მოხდა რიგი ამოცანების საქართველოსთვის მისადაგება. დოკუმენტის კომპლექსურობის გათვალისწინებით, თითოეული სექტორული ამოცანის შესრულება გაწერილია დროში და განსაზღვრულია საბაზისო (2015 წლის მონაცემები) და სამიზნე ინდიკატორები (2030 წლისთვის). აღნიშნული მიდგომა უნიკალური შესაძლებლობაა მომავალში პროგრესის გაზომვისა და მიზნის შესრულების შეფასების კუთხით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მტკიცებულებებითა და ინფორმაციით გამყარებული სექტორული პოლიტიკის დაგეგმვისათვის. მთავრობის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით განისაზღვრა ურთიერთკავშირი შიდა პოლიტიკის დოკუმენტებსა და ქვეყნის მიზნებს შორის. მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები ასევე ინტეგრირებულია საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში. დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა მთავრობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები შემდეგ ეროვნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით: შეთანხმება საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ; საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი; ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 და შესაბამისი სამოქმედო გეგმა; საქართველოს სოციალურეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020; საქართველოს მთავრობის 4 პუნქტიანი სამოქმედო გეგმა[147].

ქვეყანაში გატარებული სხვადსხვა ღონისძიებების და მის მიერ გამოწვეული სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საქართველო კვლავ დგას ეკონომიკური გამოწვევების, მათ შორის სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევის აუცილებლობის წინაშე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, ხელისუფლების მიერ განხორციელებული სხვადსხვა ღონისძიებების შედეგად, 2009-2019 წლებში უმუშევრობის კლებადი მაჩვებენებელი გვაქვს. 2009 წლის 18.3%-იდან 2019 წლისთვის -11.6%-ზე ჩამოვიდა[148], (იხ. დიაგრამა #1) თუმცა 2020 წლის მსოფლიო პანდემიის ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს ბოლო წლების კლებადი მაჩვენებელი შესაძლოა არათუ აღარ შემცირდეს, არამედ კიდევ უფრო მეტადაც კი გაიზარდოს.

**დიაგრამა#1**




***წყარო:*** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

147 გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის ეროვნული დოკუმენტი

148 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba

**დიაგრამა 2. უმუშევრობის დონე (%) და უმუშევართა რაოდენობა (ათასი)**




***წყარო:*** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, უმუშევრობის დონე ნელ-ნელა იკლებს და აღნიშნულმა მონაცემმა 2018 წელს 2019 წელთან შედარებით, თითქმის 5%-ით დაიწია. 2018 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2017 წელთან შედარებით 1.2%-ით შემცირდა და 12.7% შეადგინა, რაც უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება[149].

აღსანიშნია ისიც, რომ მკვეთრად განსხვავდება ქალაქის და სოფლის უმუშევრობის მაჩვენებელი. ქალაქად მყოფთა უმუშევრობის მაჩვენებელი 3-4-ჯერ აღემატება სოფლად მყოფთა მაჩვენებელს. 2009-2019 წლებში 7.6%-4.9%ს შორის მერყეობს, საყურადღებოა ისიც რომ სოფლად უმუშევრობის მაჩვენებელი უფრო სტაბილურია, მაშინ როდესაც ქალაქის მაჩვენებელი 28.8%-იდან 17.4%-მდე ჩამოვიდა[150]. სოფელში ასეთი დაბალი მაჩვენებლის გამომწვევი ფაქტორი ძირითადად სოფლიდან ქალაქში ინტენსიური მიგრაცაა.

***გრაფიკი 1***




***წყარო:*** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

---

[149] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019. გვ.7

[150] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ის, რომ 20-24 ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვხვდება. ქვეყნის უმუშევარი მოსახლეობის 30.5% სწორედ ამ ასაკობრივ ჯგუფშია. საერთო ჯამში, ქვეყნის უმუშევართა თითქმის ნახევარი, უფრო ზუსტად კი 49,4% საქართველოს 20-29 წლის მოქალაქეები არიან.

**დიაგრამა 3**




*წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმუშევრობის მაჩვენებლებში ყველაზე საყურადღებო მაჩვენებელი ეს არის უმუშევრობის მაჩვენებელი განათლების ხარისხის ჭრილში.

**დიაგრამა 4**



**დიაგრამა 5**
**2018 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლები განათლების დონის მიხედვით (worknet.gov.ge)**




***წყარო:*** საქართველოს სტატისიკის ეროვნული სამსახური

რაც უფრო მაღალია განათლების დონე მით უფრო მწვავეა უმუშევრობის პრობლემა, რაც ნიშნავს იმას რომ არსებული საგანმანათლებლო სისტემა ვერ პასუხობს ბაზარზე არსებულ გამოწვევებს[151]. საქართველოში განათლების სისტემაში არსებული ხარვეზები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უმუშევრობის მაჩვენებელზე. აცდენაა როგორც სკოლამდელ, ისე ზოგადი და პროფესიული განათლების სექტორებში. საქართველოში საბავშვო ბაღებში ბავშვების 46% დადის, გამოკითხულ სკოლის მოსწავლეთა მხოლოდ 38%-ის ცოდნა სცილდება ფუქნციურ წერა-კითხვის ზღვარს, მათემატიკის ცოდნის კუთხით ეს მაჩვენებლი კიდევ უფრო მცირე, სულ რაღაც 31%-ია. მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას როგორც პროფესიული, ისე უმაღლესი განათლების სისტემებიც. ისინი სრულად ვერ პასუხობენ ბაზარზე არსებულ გამოწვევებს[152].

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, ბიზნესის კეთების მხრივ, უპირველესი პრობლემა კვლავ კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობაა. ამავე დროს, უმუშევრობა რჩება მწვავე პრობლემად. ეს ვითარება ნათლად მიუთითებს შრომის ბაზარზე არსებულ დისბალანსს. ერთი მხრივ, არსებობს მოთხოვნა კერძო სექტორის მხრიდან, თუმცა, ეს მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება იმ სამუშაო ძალით, რომელიც შრომის ბაზარზეა წარმოდგენილი.[153]

მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, ბოლო წლების მონაცემებით სიღარიბის დონე 35-დან 17.1 პროცენტამდე დაეცა. ამავდროულად შემცირდა უთანასწორობის მაჩვენებელიც, რაც კეთილდღეობის ზრდის[154] ტენდენციაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკამ ვერ შესძლო სამუშაო ადგილების საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა და უმუშევრობის შემცირება, აღნიშნული პრობლემის მოგვარება კი მდგრადი განვითარების მერვე მიზნის აღსრულებისთვის არის გარდაუვალი, რომელიც გულისხმობს სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, სრული და პროდუქტულ დასაქმებას და ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას ყველასთვის. აღნიშნული მიზნის აღსრულება კი იწვევს პირველი მიზნის შესრულებასაც, რაც სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვარას გვავალდებულებს.[155]

საქართველოს მთავრობამ 2014 წელს მიიღო დადგენილება „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან

[151] საქართველოს მთავრობის დადგენილება. 2020. გვ. 42
[152] საქართველოს მთავრობის დადგენილება. 2020. გვ 43
[153] საქართველოს მთავრობა. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის
[154] ეკონომიკური განვითარება. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/economic-development.html
[155] მდგრადი განვითარების მიზნები. http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.XtC2ojozbIU

დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, იხელმძღვანელებს სოციალური უსაფრთხოების და სოციალური სამართლიანობის პრინციპებით. უმუშევრობის შემცირება და ღირსეული შრომის პირობებით მოსახლეობის უზრუნველყოფა, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების, ჯანდაცვისა და საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ინკლუზიურობაზე ორიენტაცია ამ პრინციპების განმახორციელებელ ინსტრუმენტებს წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კეთილდღეობის ზრდას უმუშევრობის შემცირებით მიაღწევს. ამავდროულად, ხელისუფლება მოსახლეობას საბაზისო[156] სოციალური გარანტიებით და უღარიბესი ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფს. საქართველოს მთავრობა პრიორიტეტულად მიიჩნევს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც, პირველ რიგში, დასახული კეთილდღეობის მიღწევას აფერხებს, მაგრამ 2020 წელს, როგორც ვხედავთ, აღნიშნული პრობლემა კვლავ აქტუალურია და მსოფლიოში არსებული ვითარების გამო, გაცილებით უფრო მწვავე და აქტუალური. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ სოციალური პროგრამების განხორციელებით და დახმარებების გაზრდით შეუძლებელია ქვეყანაში არსებული სიღარიბის აღმოფხვრა, ქვეყანაში სიღარიბის აღმოსაფხვრელად სოციალურ პროგრამებზე უფრო ეფექტური უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებაა.

ეკონომიკური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად აუცილებელია სისტემური რეფორმების გატარება როგორც განათლებაში, ისე სოფლის მეურნეობაში. საჭიროა ეკონომიკური შესაძლებ-ლობების, განათლების ხარისხისა და გადამზადების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება, კერძო სექტორი და მოქალაქეები, ჩართულები იქნებიან მდგრადი განვითარების პროცესში, რადგან ეს არის კომპლექსური პრობლემა და მისი მოგვარება განყენებულად მხოლოდ ერთი სექტორისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია.

უმუშევრობა იწვევს ეკონომიკურ კრიზისს და ამცირებს ადამიანების მსყიდველუნარიონობას, ეს კი სიღარიბისკენ მიმავალი გზაა. უმუშევრობა და სიღარიბე უფრო მეტად აქტუალურია ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა გლობალურ დონეზე მიმდინარე ეკონომიკური პრობლმების გამო, აღნიშნული პრობლემა განვითარებული ქვეყნებისთვისაც გახდა აქტუალური.[157] უმუშევრობა და სიღარიბე იმდენად კომპლექსური მოვლენაა, რომ ისინი პირდაპირ კორელაციაში არიან ერთმანეთთან და უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებასთან ერთად იკლებს სიღარიბის დონეც, მაგრამ უმუშევრობის პრობლემის დაძლევა ყველა ქვეყნისთვის და, უფრო მეტიც, ყველა რეგიონისთვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის საფუძველზე უნდა მოხდეს.

კოვიდ 19 - ის პანდემიის გამოცხადების შემდეგ უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო ადგილი, მას შემდეგ რაც სახელმწიფომ უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობის დახმარების პროგრამა წარმოადგინა, თავი იჩინა უამრავმა პრობლემამ, ამ ეტაპზე ყურადღებას გავამახვილებთ დასაქმების სფეროში არსებულ პრობლემატიკიდან ერთ-ერთზე, კერძოდ დასაქმების ბაზრის ჩრდილოვან ნაწილზე. საქართველოში არსებული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თვითდასაქმებულია, თუმცა მოსახლეობის ეს უმრავლესობა  თავს უმუშევრად თვლის, საკმაოდ დიდია ისეთი ადამიანის ნაწილიც, რომლის შემოსავალიც საგადასახადო ბაზებში არ ფიქსირდება, შრომის ბაზარზე მოღვაწე ორივე კატეგორიიის ადამაინი საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებლის სტატისტიკის ობიექტურობის სანდოობას ამცირებს. შრომის ბაზრის ჩრდილოვან ნაწილში დასაქმებული ადამიანები თავს არიდებენ ქვეყანაში დასაქმებულებისთვის სავალდებულო გადასახადებს, მათი ნაწილის შემოსავალი შესაძლოა ბევრ გადასახადების გადამხდელთა შემოსავალს საგრძნობლად აღემატებოდეს, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, შრობის ბაზრის ჩრდილოვან ნაწილში დასაქმებული ადამიანების შემოსავალი საშუალოზე დაბალია, ისინი შესაძლოა სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებებით და შეღავათებით სარგებლობდნენ. შრობის ბაზრის ჩრდილოვან ნაწილში დასაქმებულ ადამიანთა უმრავლესობა, თუმცა არა ყველა, დაბალანაზღაურებადი, არასაკმარისად კვალიფიციური სამუშაო ძალაა.

გარდა იმისა, რომ შრომის ბაზრის ჩრდილოვანი ნაწილის არსებობა ცდომილებას იწვევს ქვეყნის საკამად მნიშვნელოვან სტატისტიკურ მონაცემებში, ქვეყნის ეკონომიკა დაფარული გადასახადების სახით კარგავს შემოსავალს.

---

[156] საქართველოს მთავრობის დადგენილება. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე. გვ. 5.
[157] Šileika, A. and Bekerytė, J., 2013.

საქართველოს მთავრობას მდგრადი განვითარებისთვის დასახული აქვს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასთვის 2030 წლისთვის, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო ზრდის მაჩვენებელი 5% უნდა იყოს. ქალების საშუალო საათობროვი შემოსავალი -14.4 ლარი, ხოლო მამაკაცის საშუალო საათობრივი შემოსავალი 17.4 ლარი უნდა გახდეს. უმუშევრობის მაჩვენებელი 2030 წლისთის 9.5%-მდე უნდა შემცირდეს, ხოლო 32.4%-დან 24.4%-მდე უნდა შემცირდეს იმ ახალგაზრდების (15-24 წლის) პროპორციული რაოდენობა, ვინც არ სწავლობს, არც მუშაობს და არც პროფესიულ მომზადებას გადის. შრომის დაცვისა და შრომითი უსაფრთხოების წესების დარღვევათა რაოდენობა უნდა შემცირდეს, ხოლო 2030 წლისთვის შრომის ინსპექტორები ყოველწლიურად უნდა ამოწმებდნენ კომპანიების სულ მცირე 2.5%-ს. 2025 წლისთვის უნდა შემუშავდეს პოლიტიკა ტურიზმის მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად, რის შედეგადაც შეიქმნება სამუშაო ადგილები და პოპულარიზაცია გაეწევა ადგილობრივ კულტურას და პროდუქტებს.[158] არსებული ინფლაციის და კრიზისის პერიოდში გარდაუვალია აღნიშნული მიზნების გადახედვა და ხელახალი სახით ფორმირება.

საქართველოში არსებული უმუშევრობის პრობლემა ძალზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის პრობლემის დაძლევა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია და აღნიშნული პრობლემის მოგვარების ვალდებულება, მდგრადი განვითარების მიზნების აღსრულებითვისაც აუცილებელია, პრობლემა პრობლემად რჩება და ეს პრობლემა 2020 წელს კიდევ უფრო აქტუალური იქნება ვიდრე 2018-2019 წლებში, რადგან ტურიზმის ინდუსტრიაში სტატისტიკის მიხედვით დასაქმებულია ყოველი მეათე ადამიანი, აღნიშნული სექტორი კი მსოფლიოში მიმდინარე პრობლემების გამო კოლაფსს განიცდის და პრაქტიკულად შეჩერებულია, ამიტომ აუცილებელია ტურიზმის გარდა მოხდეს სხვა მიმართულებების განვითარებაც და ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნა, განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე. ასევე, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, კარგი იქნებოდა უმუშევრობის დაზღვევის სისტემის უფრო ქმედითად გამოყენება, რაც საშუალებას მისცემდა უმუშევრად დარჩენილ ადამიანებს, სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში მიეღოთ შემოსავალი სადაზღვევო კომპანიის მხრიდან და არა სახელმწიფოს მხრიდან, სახელმწიფო კი აღნიშნულ ტვირთს კერძო სექტორსაც დააკისრებდა და მხოლოდ მას არ მოუწევდა ყოველთვიური დახმარების გადახდა. ქვეყანამ ყურადღება უნდა მიაქციოს შრომის ბაზრის ჩრდილოვან ნაწილს, მოახდინოს მისი სრული ან ნაწილობრივი ლეგალიზება მაინც. უმუშევრობის პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის გადახედვა და დახვეწა, განათლების სისტემა მაქსიმალურად მალე, ეფექტიანად და ადეკვატურად უნდა პასუხობდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უმუშევრად დარჩენილ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, დროის მოკლე პერიოდში გაირონ გადამზადების ისეთი კურსი, რომელიც მაქსიმალურად სწრაფად კვლავ მოთხოვნადს გახდის მას შრომის ბაზარზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის ეროვნული დოკუმენტი http://www.iccn.ge/files/national_matrix_explanatory_paper_georgia_geo.pdf
2. ეკონომიკური განვითარება. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/economic-development.html
3. მდგრადი განვითარების მიზნები. http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.XtC2ojozbIU
4. როგორი იქნება საქართველო 2030 წელს. https://netgazeti.ge/news/228797/
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
6. საქართველოს მთავრობა. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის https://mof.ge/images/File/BDD/2018-2021/pirveladi_BDD_2018-2021_05.07.2017.pdf
7. საქართველოს სტატისტიკის ერვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba
8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019. http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=30ad9f6d-7c9e-48f2-b90c-d56bc719d0bd


[158] როგორი იქნება საქართველო 2030 წელს

9. Arabska, E., 2015. Problems of Employment and Unemployment in Bulgaria: Is Sustainable Development Possible?. *Journal of Innovations and Sustainability,* 1(1), pp.47-99. https://www.researchgate.net/profile/Ekaterina_Arabska/publication/305567003_Problems_of_Employment_and_Unemployment_in_Bulgaria_Is_Sustainable_Development_Possible/links/5793a76208ae33e89f88f90b.pdf

10. Šileika, A. and Bekerytė, J., 2013. Theoretical issues of relationship between unemployment, poverty and crime in sustainable development. *Journal of Security and Sustainability Issues*, 2, pp.59 https://etalpykla.lituanistikadb.lt/object/LT-LDB-0001:J.04~2013~136719003 6441/J.04~2013~1367190036441.pdf

***Nino Sardlishvili***
***Nino Sachaleli***

## THE PROBLEM OF UNEMPLOYMENT AND THE ROLE OF SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT IN SOLVING IT

### Summary

In the article, there are discussed the problems of unemployment in Georgia and the role of sustainable economic development in it. The study provides statistical data, sustainable development goals and state policy analysis. Eliminating the employment problem is a guarantee of the country's stability and economic progress. After solving the problem of unemployment in the country it will be possible to achieve sustainable development goals, which in turn is the way to develop the country in the right direction which is very important for Georgia.

Georgian government considers as a priority to solve the problems that primarily hinder the achievement of prosperity, but in 2020, as we see, this problem is still relevant and more serious than it was, due to the current situation in the world, it is much more acute and topical. It can be clearly stated that only by implementing social programs and increasing aid it is impossible to eradicate poverty in the country, to eliminate poverty in the country is to reduce the unemployment rate more effectively than social programs can do it.

The problem of unemployment in Georgia is very important and noteworthy. While tackling the unemployment problem is part of the state's policy and is committed to addressing the problem, sustainable development needs to be achieved. The sector is collapsing due to the current problems in the world and is practically suspended, so it is necessary to develop other directions besides tourism and create alternative jobs, especially at the regional level. Also, according to the current situation it would be better to use the unemployment insurance system more effectively, which would allow unemployed people to receive income from the insurance company and not the state in case of loss of the job and income, and the state would impose this burden on the private sector. The country needs to pay attention to the shadowy part of the labor market, to fully or partially legalize it. In order to eliminate the problem of unemployment, it is necessary to revise and refine the educational programs, the education system must respond to the demands of the labor market as quickly, efficiently and adequately as possible. Unemployed people should be able to take a retraining course in a short period of time that will make them in demand in the labor market as quickly as possible.

***Nino Sachaleli***

## THE ROLE OF PUBLIC PRIVATE PARTNERSHIP IN BUSINESS DEVELOPMENT

***Annotation.*** *Developed countries agree that the development of public-private partnerships is one of the new ways for countries to achieve economic growth,, business development, infrastructure development, and better public services. The results of successful PPP projects around the world have also put developing countries in need of introducing the PPP model. Georgia is one of these countries, but without the necessary institutional, political and legal environment for such a partnership in the country, it will be quite difficult to successfully implement successful PPP projects.*

***Keywords:*** *PPP, government and PPP, business and PPP*

The Public-Private Partnership Model (PPP) is a state-to-business partnership aimed at implementing important political and social projects at the national, regional and local levels. With the Public-Private Partnership model, which involves joint projects developed by business and the state, many areas have been developed around the world in education, healthcare, infrastructure and other important sectors. PPP projects are useful and therefore a priority for the state, as in the case of insufficient capital to implement public projects, most of the costs are covered by the private sector (60-40%).

The goal of the private sector in entering into a PPP is to profit from its capacity and experience in managing businesses (utilities in particular). The private sector seeks compensation for its services through fees for services rendered, resulting in an appropriate return on capital invested (Public Private Partnership handbook, p.9)

The government may decide to enact a PPP law or a concession law for a number of reasons, such as to give priority to a process of developing, procuring and reviewing PPP projects that will take priority over sector laws, or to establish a clear institutional framework for developing, procuring and implementing PPPs. PPP laws can also be used to

close gaps in the laws of a host country may need to allow for successful infrastructure PPP projects, such as enabling the grant of step-in rights to lenders and requiring open and fair procurement processes. These modifications may be embodied in sector-specific law, or in the case of procurement, a procurement or competition law, or it can be included in a general concession or PPP law.

While guidance and examples can be useful, each PPP/ concession law needs careful drafting to be consistent with the host country's existing laws. Legal draftsmen need to strike a balance between setting ground rules that encourage transparency and imposing general restrictions that may hinder bidding teams from achieving value for money or sensible solutions when bidding out PPP projects (World Bank Group).

Most of the countries have regulations for PPP, for the example we have chosen five countries:

**Table 1. Countries and PPP regulations**

| | Regualations |
|---|---|
| **Germany** | • Act Against Restraints of Competition (GWB)<br>• Federal Budget Code (BHO)<br>• PPP Acceleration Act 2005 |
| **Georgia** | • The Law of Georgia on State Procurement |
| **Greece** | • Law on Public Procurement<br>• Law No.3389 Partnerships between the Public and Private Sectors<br>• Summary on Public Procurement in Greece |
| **Ireland** | • National Treasury Management Agency (Amendment) Act 2014<br>• PPP Framework<br>• PPP Guideline<br>• State Authorities (Public Private Partnership Arrangements) Act, 2002<br>• Summary of set of laws in Ireland |
| **Belarus** | • Resolution No. 49 on public-private partnership projects dated July 27, 2016<br>• Resolution No. 532 on Measures to Implement Law on PPP dated July 6, 2016<br>• Law No.345-3 on Public Private Partnerships dated December 30, 2015<br>• Resolution No. 508 on Measures to Implement the Law on PPP dated May 27, 2014<br>• Law No 53-Z on Investments dated July 12, 2013<br>• Law No 63-Z on Concessions dated July 12, 2013 (Public-Private Partnership laws) |

***Source:*** author according to World Bank Public-Private Partnership laws

**Scheme 1. Key components of an enabling institutional framework for PPPs**




***Source:*** Public-Private Partnerships and the 2030 Agenda for Sustainable Development: Fit for purpose?

Georgia is one of the new countries in this area, reflecting an increased willingness to implement PPPs. International agencies are financing various programs to help the government improve fiscal management, including improve-

ments to capital markets which will help to mobilize more long-term finance and encourage PPPs. However, an inadequate concession law, weak coordination and oversight as well as limited experience are some of the challenges faced by the country (PPP standards).

PPPs have not been a priority and over the last decade most infrastructure has been developed either through full privatization or traditional public procurement funded by overseas development agencies. The 1994 concession law makes no mention of institutional arrangements, risk allocation guidelines or procurement. PPPs are therefore largely governed by general public procurement and investment laws, the Civil Code, and where relevant by sector specific regulations. Financial commitments by the government must comply with the Budgetary Code and annual state budget requirements, but these regulations have not been adapted to deal with liabilities in the context of government support to long term PPPs. There is no defined process for choosing a PPP over other procurement modes. Ministries are in charge of setting the long-term policy direction in their sectors (not specific to PPPs), and either procuring authorities or external donors establish criteria for project identification and evaluation. The public procurement law establishes a transparent, non-discriminatory bidding process. In practice, Georgia's track record for transparency is not strong, but has improved somewhat with the introduction of an e-procurement and tracking system (PPP standards).

A strong PPP allocates the tasks, obligations, and risks among the public and private partners in an optimal way. The public partners in a PPP are government entities, including ministries, departments, municipalities, or state-owned enterprises. The private partners can be local or international and may include businesses or investors with technical or financial expertise relevant to the project. Increasingly, PPPs may also include nongovernment organizations (NGOs) and/or community-based organizations (CBOs) who represent stakeholders directly affected by the project (Public Private Partnership handbook, p.7).

**Table 2 Differing conceptualizations of public-private partnerships**

| Definition | Dimension |
|---|---|
| An arrangement between two or more entities that enables them to work cooperatively towards shared or compatible objectives and in which there is some degree of shared authority and responsibility, joint investment of resources, shared risk taking, and mutual benefit (HM Treasury 1998) | Inter-organizational relationship;<br>Cooperation;<br>Shared objectives;<br>Joint investments;<br>Risk sharing; |
| Public-private partnerships are on-going agreements between government and private sector organizations in which the private organization participates in the decision-making and production of a public good or service that has traditionally been provided by the public sector and in which the private sector shares the risk of that production (Forrer et al. 2010). | Risk sharing;<br>Inter-organizational relationship; |
| A legally-binding contract between government and business for the provision of assets and the delivery of services that allocates responsibilities and business risks among the various partners (Partnerships British Columbia, 2003) | Contractual governance;<br>Risk allocation; |
| The main characteristic of a PPP, compared with the traditional approach to the provision of infrastructure, is that it bundles investment and service provision in a single long-term contract. For the duration of the contract, which can be as long as twenty or thirty years, the concessionaire will manage and control the assets, usually in exchange for user fees, which are its compensation for the investment and other costs. (Engel et al., 2008) | Bundling;<br>Service provision;<br>Long-term contract; |
| Partnerships which include contractual arrangements, alliances, cooperative agreements, and collaborative activities used for policy development, program support and delivery of government programs and services (Osborne 2000) | Contractual governance;<br>Inter-organizational relationship; |
| A relationship that consists of shared and/or compatible objectives and an acknowledged distribution of specific roles and responsibilities among the participants which can be formal or informal, contractual or voluntary, between two or more parties. The implication is that there is a cooperative investment of resources and therefore joint risk-taking, sharing of authority, and benefits for all partners (Lewis 2002) | Inter-organizational relationship;<br>Shared objectives;<br>Mutual investments;<br>Risk sharing;<br>Benefit sharing; |
| A relationship involving the sharing of power, work, support and/or information with others for the achievements of joint goals and/or mutual benefits (Kernaghan 1993) | Inter-organizational relationship;<br>Cooperation;<br>Power and information sharing;<br>Shared objectives; |

***Source:*** Roehrich et al (2014)

The public-private partnership is also defined as a form of full-fledged replacement for privatization programs that allows the state to maintain control functions in the socially important sectors of the economy and in strategic sectors.

Principles of Public-Private Partnership:

- People First - core principle of the PPP model is to be beneficial for the society. Interests of the private sector are not the priority. Citizens should gain access to the high-quality services while having fewer expenses.
- Government's Ability to retain ownership of the assets

• Equal distribution of responsibilities and functions between the parties- Private and Public sectors are expected to equally be responsible for resources, decision-making, risk management and number of other functions.

• Both parties should have equal rights in the partnership.

• Concession agreements— Private Sector should be granted the right to operate, maintain and carry out investment in a public utility

• Transparency- Society and Media should be informed about the details of the project (financing, quality) and the members of consortium,

• Supplying citizens with the services by the agreement deadline

• Common interest of both parties (The center of public private partnership 2020)

Benefits of PPP:

• People First
• Cost-effectiveness
• Economic growth
• Attracting investors- Businesses are attracted to areas with new and stable infrastructure.
• Quality and service improvement
• High service availability
• Creating new jobs

• Retention of workforce –Retaining the existing workforce presents opportunities for it to participate in knowledge and skills transfers, as well as learn new technologies.

• Investment in new technology – Part of the upgrades and repairs to systems include new technology, which can improve the quality of the service.

• Ability to retain ownership of the assets –With public-private partnerships that incorporate a concession model, ownership can remain with the community.

• Value for Money - Extracting long-term value-for-money through appropriate risk transfer to the private sector over the life of the project – from design/ construction to operations/ maintenance

• Upfront capital – Many concession models involve an upfront capital infusion to the municipality. This cash can be used on a variety of municipal needs and can help relieve financial pressures on other departments.

• Relief of financial stresses – There are many pension liabilities and health care expenses that are legacy costs that cities struggle to pay. In some PPP arrangements, these can be taken over by the private entity (The center of public private partnership 2020).

A healthy Public-Private Partnership (PPP) has several defining features: strong competition, bankability with low financial costs, lower risk of renegotiations, secure value for money, and efficiency gains. There are suggested three institutional pillars are needed to increase the probability of PPP success by Flor L, at the world bank blog.

**Scheme 2. Three pillars to increase the PPP success**




***Source:*** Three ways governments can create the conditions for successful PPPs

The three main needs that motivate governments to enter into PPPs for infrastructure are: 1. to attract private capital investment (often to either supplement public resources or release them for other public needs); 2. to increase efficiency and use available resources more effectively; and 3. to reform sectors through a reallocation of roles, incentives, and accountability (Public–Private Partnership Handbook. Asian Development bank p.8)

Sectors in which PPPs have been completed worldwide include:

– power generation and distribution
– water and sanitation
– refuse disposal
– pipelines

– hospitals
– school buildings and teaching facilities
– stadiums
– air traffic control
– prisons
– railways
– roads
– billing and other information technology systems
– housing

As it is given around the world PPP projects are in private sector es well as in the state projects too. PPPs are aimed at increasing efficiency of infrastructure projects by means of a long-term collaboration between the public sector and private business. This holistic approach extends over the entire lifecycle (Different models of PPP).

## Conclusion

A successful public-private partnership largely depends on the ability of the government to secure the performance of the contract. This includes setting clear requirements for the partnership, monitoring the work of all parties to the contract, and enforcing the provisions of the contract that are not being fulfilled yet. As the study shows, in the still PPP is not as popular in Georgia as in other countries and there should be done a lot, because the successful PPP gives benefits to the private sector as well as to the government. Business should be developed in the framework of PPP, which are already implemented in various countries and necessary for Georgia too.

## References


1. Different models of PPP. https://ppiaf.org/sites/ppiaf.org/files/documents/toolkits/Cross-Border-Infrastructure-Toolkit/Cross-Border%20Compilation%20ver%2029%20Jan%2007/Session%204%20-%20Private%20Sector%20Participation/Private%20Sector_02%20Diferent%20Models%20of%20PPP%20-%2029%20Jan%2007.pdf
2. Engel E, Fischer R and Galetovic A, (2008). "Public-Private Partnerships: When and How". http://www.econ.uchile.cl/uploads/publicacion/c9b9ea69d84d4c93714c2d3b2d5982a5ca0a67d7.pdf.
3. Forrer J, Kee J, Newcomer K, and BoyerForrer E, (2010). "Public-Private Partnerships and the Public Accountability Question". Public Administration Review, Vol. 70, pp. 475-484
4. HM Treasury, (1998). Partnerships for Prosperity: the Private Finance Initiative. HM Treasury, London.
5. Kernaghan K, (1993). "Partnerships and Public Administration: Conceptual and Practical Considerations". Canadian Public Administration. Vol. 361, pp. 57-76.
6. Lewis M, (2002). "Risk Management in Public-Private Partnerships". Working Paper. School of International Business, University of South Australia.
7. Osborne S, (2000). Public-Private Partnerships: Theory and Practice in International Perspective. Routledge, London
8. Partnerships British Columbia, (2003). An Introduction to Public Private Partnerships. Update June 2003. Partnerships British Columbia
9. Public-Private Partnership laws. https://ppp.worldbank.org/public-private-partnership/legislation-regulation/laws/ppp-and-concession-laws#examples
10. Public-Private Partnerships and the 2030 Agenda for Sustainable Development: Fit for purpose? https://www.un.org/esa/desa/papers/2016/wp148_2016.pdf
11. Public–Private Partnership Handbook. Asian Development bank. https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/31484/public-private-partnership.pdf
12. PPP standards. http://pppstandards.org/georgia/
13. Jens K.R. Lewis M.A, Gerard G, 2014. "Are Public-Private Partnerships a Healthy Option? A systematic Literature Review", Social Science & Medicine 113 (2014), pp. 110-119
14. The center of public private partnership 2020. http://ppp.ge/
15. Three ways governments can create the conditions for successful PPPs. https://blogs.worldbank.org/transport/three-ways-governments-can-create-conditions-successful-ppps
16. World Bank Group. https://ppp.worldbank.org/public-private-partnership/legislation-regulation/laws/ppp-and-concession-laws

*შოთა ყარალაშვილი*

# ესტონეთისა და საქართველოს ცენტრალური ბანკების როლი სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემაში

***ანოტაცია.*** *საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემა ესტონურ მოდელს ეფუძნება. მიუხედავად ამისა, ორი ქვეყნის მოდელების შედარებისას მრავალ განსხვავებას ვხვდებით. სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემების ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ესტონეთისა და საქართველოს ცენტრალური ბანკების უფლებები და მოვალეობებია, რომელსაც თითოეული ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობა განსაზღვრავს.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ცენტრალური ბანკი, ფინანსური ინსპექცია, ანგარიშვალდებულება, კონტროლი, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა.*

## შესავალი

ისეთი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისაგან განსხვავებით, როგორიც არის ლიეტუა, ლატვია და ესტონეთი, საქართველომ საპენსიო სისტემის რეფორმირების საკითხის აქტუალიზაცია ორი ათწლეულით დააგვიანა, რამაც ქართული საპენსიო მოდელის ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამობა განაპირობა. 2018 წელს ქვეყანაში განხორციელებული საპენსიო რეფორმის მიუხედავად, საქართველოს რეფორმირებული საპენსიო სისტემა ევროპულ მოთხოვნებს ვერ პასუხობს.

ევროპის ქვეყნების საპენსიო სისტემები, ძირითადად, სამსაფეხურიან მოდელს ემყარება, სადაც პირველი საფეხური სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პენსიას წარმოადგენს, რომელიც დიფერენცირების პრინციპზეა დაფუძნებული; მეორე საფეხური გულისხმობს სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემას; ხოლო მესამე საფეხური - ნებაყოფლობით დაგროვებით საპენსიო სქემას. საქართველოში განხორციელებული საპენსიო რეფორმის შედეგად, ბიუჯეტური პენსიის პარალელურად, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო მოდელი დაინერგა. აღნიშნული რეფორმა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებისაკენ წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

## ძირითადი ანალიზი

ესტონეთის სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო მოდელი, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო მოდელის საფუძველს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ორი ქვეყნის კანონმდებლობა მრავალი მიმართულებით განსხვავებულ პრინციპს ეფუძნება; დაგროვებითი პენსიის შესახებ ესტონეთისა და საქართველოს კანონებში ასახული ცენტრალური ბანკების უფლებები და მოვალეობები თითოეული ქვეყნის შესაბამის საპენსიო სქემებში ცენტრალური ბანკების ჩართულობის მაჩვენებელს განასხვავებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონით გაწერილი ფუნქციები, არა ესტონეთის ცენტრალური ბანკის, არამედ ესტონეთის ფინანსური ინსპექციის ფუნქციებთან მოდის თანხვედრაში და გარკვეულ შემთხვევებში ერთი ერთში იმეორებს მას.

რაც შეეხება მსგავსებას: ესტონეთის ცენტრალური ბანკი, ისევე, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკი, დეპოზიტარის განსაზღვრის საკითხში იდენტური ფუნქციებით ხასიათდებიან. დაგროვებითი საპენსიო სქემის აღნიშნული მიმართულება ორი ქვეყნის ინსტიტუციათა ფუნქციებს შორის შეიძლება ერთადერთ, სრულ მსგავსებად ჩაითვალოს.

რაც შეეხება, საქართველოს დაგროვებით საპენსიო სქემაში სპეციალიზებული დეპოზიტარის ეროვნული ბანკისადმი ანგარიშვალდებულებას, აღნიშნულზე დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში ჩანაწერს არ ვხვდებით. ეროვნული ბანკი თავად ახორციელებს სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის მონიტორინგს, მაშინ როდესაც ამ მიმართულებით ესტონეთის ცენტრალური ბანკის ჩართულობა დეპოზიტარისათვის შესაბამისი საქმიანობის განხორციელების ნებართვის გაცემით სრულდება. ამასთან, ესტონეთის დაგროვებითი საპენსიო სქემისაგან განსხვავებით, სპეციალიზებული დეპოზიტარი, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, არ წარმოადგენს კონტროლის ჯაჭვში ჩართულ ერთ-ერთ რგოლს და აღნიშნული კუთხით მისი ფუნქციები მხოლოდ საპენსიო აქტივების შეძენისა და განკარგვის თაობაზე დოკუმენტების, საქართველოს კანონმდებლობასა და საპენსიო სააგენტოს მიერ დადგენილ სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფით

შემოიფარგლება. მიუხედავად ამისა, დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებაში იძებნება ჩანაწერი, რომლის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა პერიოდულად უნდა განახორციელოს აქტივების მმართველი კომპანიისა და საპენსიო სააგენტოს საქმიანობის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს კანონმდებლობითა და საპენსიო სააგენტოს წესებით/პოლიტიკით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით[159].

იმ პირობებში, როდესაც ესტონური მოდელის მიხედვით, სადეპოზიტო ბანკი საპენსიო ფონდის მმართველი კომპანიის მაკონტროლებელს წარმოადგენს და მას ფინანსური ინსპექციის წინაშე ანგარიშვალდებულება გააჩნია, საქართველოს შემთხვევაში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანების თანახმად, სპეციალიზებულ დეპოზიტარს საპენსიო სააგენტოსა და აქტივების მმართველი კომპანიის კონტროლის ვალდებულება ეკისრება. ამასთან, ეროვნული ბანკი ახორციელებს სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის მონიტორინგს და ფინანსური ან ორგანიზაციული მდგომარეობის გაუარესების ან შესაძლო გაუარესების შესახებ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, აცნობებს საპენსიო სააგენტოს.

დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონში იძებნება ჩანაწერი, რომელიც გულისხმობს სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზიის გაუქმების, სპეციალიზებული დეპოზიტარის ხელშეკრულების ნებისმიერი არსებითი დარღვევის ან არასათანადოდ შესრულების ან სპეციალიზებული დეპოზიტარის წინააღმდეგ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტას; მაგრამ, ესტონური მოდელისაგან განსხვავებით, კანონში არ გვხვდება ჩანაწერი საპენსიო ფონდის, აქტივების მმართველი კომპანიისა ან დაგროვებითი საპენსიო სქემის წევრთათვის, ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლო მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით სპეციალიზებული დეპოზიტარის პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნულ საკითხი, დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებაში არსებული ჩანაწერით არის გათვალისწინებული: დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა უნდა უზრუნველყოს საპენსიო სქემის აქტივების (ფულადი სახსრები, დეპოზიტები და სხვა აქტივები) მიღება, შენახვა და მათი რეესტრის წარმოება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად[160]. იმავე ბრძანების საფუძველზე, სპეციალიზებულ დეპოზიტარს აქვს უფლება, წინამდებარე ფუნქციის დელეგირება მოახდინოს მესამე პირზე, ეროვნულ ბანკთან წინასწარი შეთანხმებით. ამასთან, მესამე პირის მიერ ნებისმიერი შემდგომი დელეგირება მოითხოვს ეროვნული ბანკის წინასწარ თანხმობას. დელეგირებული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებიმიერ დანაკარგზე, დარღვევაზე ან უზუსტობაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება სპეციალიზებულ დეპოზიტარს.[161]

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, ესტონურ მოდელსა და ქართულ მოდელს შორის, დეპოზიტარის პასუხისმგებლობასთან მიმართებით, მსგავსება ცალსახაა. სპეციალიზებული დეპოზიტარი პასუხისმგებელია საპენსიო სქემის მონაწილეების დანაკარგებზე, რომლებიც გამოწვეულია მასზე დაკისრებული დეპოზიტარის მოვალეობების არა-ჯეროვნად შესრულების გამო.[162] ამასთანავე, სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა უნდა უზრუნველყოს მასთან შენახული საპენსიო სქემის აქტივების დაცვა დაკარგვისაგან; აქტივების დაკარგვის შემთხვევაში იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ ჩაანაცვლოს აღნიშნული აქტივი იდენტური აქტივით ან აანაზღაუროს დაკარგული აქტივის სრული საბაზრო ღირებულება[163].

რაც შეეხება აუდიტის საკითხს, იმის გათვალისწინებით, რომ ჯერჯერობით საპენსიო სააგენტო არის საქართველოს შრომის ბაზარზე დასაქმებული ინდივიდების შენატანების ერთადერთი მმართველი, ესტონურსა და ქართულ მოდელს შორის არანაირი მსგავსება არ იკვეთება. საპენსიო სააგენტოს წლიური

---

159 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №259/04, დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 10/4.

160 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №259/04, დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 10/2ა.

161 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №259/04, დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 10/6.

162 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №259/04, დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 12/1.

163 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №259/04, დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 12/2.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებას, საქართველოს პარლამენტის მიერ შერჩეული მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი მოახდენს. გარდა ამისა, საპენსიო სააგენტოში იქმნება შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. იმ პირობებში, როდესაც შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და, ამავდროულად, არა ეროვნული ბანკის წინაშე, ადგილი აქვს ესტონურ მოდელთან შეუსაბამობას; ესტონურ მოდელში შიდა აუდიტორი ანგარიშვალდებულია როგორც ფინანსური ინსპექციის, ასევე მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველი რგოლის მიმართ, ხოლო საქართველოში ფინანსური ინსპექციის თითქმის იდენტური ფუნქციები კანონმდებლობით ეროვნულ ბანკს აქვს დაკისრებული; აღნიშნული ფაქტი გარკვეულწილად ფუნქციების აღრევის ნიშნებს შეიცავს, რამაც შესაძლოა, საბოლოო ჯამში, საპენსიო სააგენტოს ეფექტიანი მართვისა და კონტროლის პროცესს საფრთხე შეუქმნას.

## დასკვნა

განხილული მსგავსებებისა და განსხვავებების ანალიზის საფუძველზე, შესაძლოა, მსჯელობის საგანი გახდეს, თუ რამდენად გამართლებული იყო, ესტონური გამოცდილებიდან გამომდინარე, მაკონტროლებელ ორგანოდ არა სამთავრობო ინსტიტუტის არამედ ეროვნული ბანკის სახით დამოუკიდებელი ინსტიტუტის შერჩევა. ამ საკითხის შეფასება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც საპენსიო სააგენტო სრულად შეასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს სრულფასოვან საქმიანობას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ყარალაშვილი, შ., ვეშაპიძე, შ. (2017). ესტონური მოდელის ცალკეული ასპექტები და საქართველო. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, მე-3 გამოცემა. თბილისი.
2. ყარალაშვილი, შ., ვეშაპიძე, შ. (2017). ესტონური ეკონომიკური მოდელის შემოღების საფრთხეები საქართველოში. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, მე-3 გამოცემა. თბილისი.
3. Karalashvili, Sh., Veshapidze, Sh. (2018). Pension Reform in Georgia. Ecoforum Journal, Vol. 7, Issue 2(15). Suceava, Romania.
4. საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/4280127?publication=1
5. ესტონეთის კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ - https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/523012014002/consolide/current



***Shota Karalashvili***


## THE ROLE OF THE NATIONAL BANKS OF ESTONIA AND GEORGIA IN THE MANDATORY FUNDED PENSION SCHEME

**Summary**


Pension Reform is a most important part of Development. In the European post soviet countries, the Pension Systems are based on the three pillar schemes. Unfortunately, until 2018, the Pension System of Georgia included only one pillar scheme. In 2018, the Government of Georgia initiated and implemented Pension Reform.

The Mandatory Funded Pension Scheme, which was added in the Pension System of Georgia, is connected to the European models. But, there are some differences between, for example Estonian model and Georgian model. Between The Estonian funded pension act and the Georgian funded pension act are some fundamental differences.

According to the above mentioned, the one of difference between Estonian and Georgian pension system is the role of the National Banks of Estonia and of Georgia in the mandatory pension scheme.



***Keywords:*** *National Bank, Financial Inspection, Accountability, Control, Mandatory Funded Pension Scheme.*

*ფატი შენგელია*

## თანამედროვე ეკონომიკური გამოწვევები და საქართველოს ეკონომიკა

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა კორონავირუსის პანდემიამ გამოწვევების წინაშე დააყენა. მოწინავე განვითარებული ქვეყნებიც მოუმზადებელი შეხვდნენ მიმდინარე პროცესებს. თვეების განმავლობაში გაჩერებული სამრეწველო საწარმოები, მომსახურების სფეროზე შემცირებული მოთხოვნა, ლოგისტიკის შეფერხება და დარღვეული მიწოდების ქსელი, გაზრდილი უმუშევრობა, შემოსავლის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა, სრული დატვირთვით მომუშავე სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც ვერ აუდიოდნენ პაციენტთა ნაკადს; მოშლილი ეკონომიკური ურთიერთობები, გლობალური ეკონომიკური რეცესია ეს არის დღევანდელი რეალობა, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას არასასურველი მდგომარეობიდან ნაკლები დანაკარგით გამოსვლის უზრუნველსაყოფად.

2020 წელს გლობალური ეკონომიკა მკვეთრად შემცირდა, სულ ცოტა 3%-ით მაინც, რაც 2008-2009 წლების გლობალური კრიზისის მაჩვენებელზე უარესია, მსოფლიო ეკონომიკა უპრეცედენტო მასშტაბის ეკონომიკური შოკის ფაზაშია, კორონავირუსმა მილიონობით ადამიანს მიაყენა ეკონომიკური ზიანი, არეულობა გამოიწვია საფონდო ბირჟებზე, გაამწვავა სანავთობო ომი რუსეთსა და საუდის არაბეთს შორის, შეარყია გლობალური ეკონომიკური სტაბილურობა. მსოფლიო ვაქცინის მოლოდინშია, გაურკვეველია როდის აღდგება სრულად ეკონომიკური ურთიერთობები. თანამედროვე ახალი რეალობის გათვალისწინებით სახელმწიფოს აქტიური ჩარევის და არსებული მდგომარეობის დეტალური ეკონომიკური ანალიზის, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებისა და სწრაფი რეაგირების გარეშე შეუძლებელია იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომელიც უწევს თითოეულ ქვეყანას აღნიშნულ სიტუაციაში. World Economic Outlook Reports-ის აპრილის თვის მონაცემებით, ,,2021 წლისთვის ნავარაუდევია ეკონომიკის 5,8 %-ით ზრდა, თუ 2020 წლის მეორე ნახევრიდან თანდათანობით ნორმალიზდება ეკონომიკური აქტივობები[164]",

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2020 წლისთვის - 4 %-ით დაეცემა, ხოლო ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი კი თითქმის გაორმაგდება და 10,5%-ს მიუახლოვდება.[165] სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური პოლიტიკის გატარება აგვარიდებს მოსალოდნელ მძიმე ეკონომიკურ შედეგს. მიმდინარე მოვლენებმა თვალნათლივ დაგვანახა კვალიფიციური კადრების როლი ქვეყნის განვითარებაში, ჩვენი ქვეყნის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამედიცინო პერსონალმა გამოწვევას წარმატებულად გაართვა თავი, რასაც, ჩემი აზრით, ვერ ვიტყვით ეკონომიკურ მიმართულებაზე. იმედია, აქაც მეცნიერების ჩართულობით და პროფესიულ გუნდთან აქტიური თანამშრომლობით სასურველ შედეგამდე მივალთ. საქართველომ უნდა მოახერხოს შიდა და გარე რესურსების მობილიზება და მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ჩვენს სასიკეთოდ გამოიყენოს, მხედველობაში მაქვს ჩინეთიდან ინვესტიციების მოსალოდნელი გატანა. პროფესიონალთა გუნდი არგუმენტირებული წინადადებებით შეძლებს მოიზიდოს ინვესტიციები ჩვენს ქვეყანაში, რაც თავისთავად გაზრდის დასაქმების დონეს, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას და ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე აისახება. ინვესტორთა დაინტერესების უმთავრესი პირობა ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემოა, რეგულაციები, რომელიც ხელს შეუწყობს უცხოური კაპიტალის დამკვიდრებას. მიმდინარე პროცესების შედეგად ამერიკასა და ჩინეთს შორის ჩამოყალიბებულმა ურთიერთობამ შესაძლოა ახალი მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას დაუდოს სათავე. ჩინეთი, რომელიც ადრე სტაბილურ პარტნიორად ითვლებოდა, კორონავირუსზე ინფორმაციის დაგვიანებით გავრცელებაში დაადანაშაულა ამერიკულმა მხარემ, შესაბამისად ის დღევანდელ რეალობაში ინვესტორებისთვის არამიმზიდველ ქვეყნად იქცა. ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა და მომავალშიც მოახდენს, ის გლობალურად ნაწარმოები პროდუქციის მესამედზეა პასუხისმგებელი და მიწოდების ქსელით მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთანაა დაკავშირებული, მათ შორის ჩვენს ქვეყანასთანაც აქვს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ჩინეთის წილი მთლიან იმპორტში 2020 წლის იანვარ-აპრილის თვეებში 8,6%-ს შეადგენს, ხოლო ექსპორტი იმავე პერიოდში 13,5%-ს.[166]

მსოფლიოში ერთდროულად ჩინეთსა და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მხოლოდ შვიდ ქვეყანას და მათ შორის არის საქართველო. ჩვენს ქვეყანას ასევე

---

[164] https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020
[165] World Economic Outlook, April 2020 გვ.23
[166] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს თურქეთთან, ჰონკონგთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებსა (EFTA) და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან. ასე რომ, საქართველო საკმაოდ კონკურენტუნარიანი ქვეყანაა მისი გეოგრაფიული მდებარეობით და ბიზნესის კეთების ხარჯების კუთხითაც. ,,იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ჩინეთიდან საწარმოების გამოტანა და ახალი ინვესტიციებისათვის რუსეთი და ჩინეთი მიუღებელი იქნება, სავსებით რეალურია ასეთი საწარმოების საქართველოში მოზიდვის შანსი'',[167] ნათქვამია Forbes Georgia-ს აპრილის თვის ნომერში.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ეცდება მოიზიდოს ინვესტიციები საკუთარ ქვეყანაში, კონკურენცია მაღალი იქნება, მაგრამ მძლავრი, მრავალმხრივი თანამშრომლობით და თანმიმდევრული გონივრული ნაბიჯების გადადგმით, სწორი რეფორმების გატარებით, ღია და დემოკრატიული სახელმწიფოს გარკვეული სტანდარტების დაცვით საქართველო შეძლებს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ახალი შესაძლებლობების რეალიზებას შეუწყობს ხელს.

კორონავირუსის უარყოფითი ეკონომიკური ეფექტი აისახა მომხმარებელთა მოთხოვნილებების სტრუქტურაზე. ამჟამად კვების პროდუქტებზეა ძირითადი აქცენტი გადატანილი. მომხმარებლები გაურკვეველი მომავლის შიშით და ნაკლები შემოსავლებით ხარჯვითი ნაწილის შემცირების გადაწყვეტილებას იღებენ, რაც თავისთავად იწვევს ბევრი ბიზნესის შემოსავლის გარეშე დატოვებას, სამუშაო ადგილების დაკარგვას და უარეს შემთხვევაში დახურვას.

კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური დაპაუზება საქართველოს ეკონომიკას, როგორც მთლიანად მსოფლიო ეკონომიკას, ძვირი დაუჯდა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მრავალი სექტორი, განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა კრიზისი ტურიზმის, მოგზაურობის და გართობის სექტორისთვის; აღნიშნული სიტუაციის გაანალიზების და უარესი სცენარის თავიდან აცილების მიზნით, მთავრობამ შეიმუშავა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც მოიცავს ფინანსურ დახმარებას იმ პირებისთვის ვინც სამუშაო დაკარგა, ასევე ბიზნესის ხელშეწყობის ღონისძიებებს და კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვის მოხსნის ექვსეტაპიან გეგმას. მოქალაქეებზე ზრუნვისა და მათი სოციალური მხარდაჭერისათვის გამოიყო მილიარდ 35 მილიონი ლარი, ეკონომიკაზე ზრუნვისა და მეწარმეობის მხარდასაჭერად 2 მილიარდ 110 მილიონი ლარი, ჯანდაცვის გაძლიერების და პანდემიასთან ბრძოლისთვის 350 მილიონი ლარი.[168] აღნიშნულ სიტუაციაში უმთავრესი საზრუნავი სოციალურად დაუცველი ფენის დახმარება და მათი სურსათით თუ მედიკამენტებით უზრუნველყოფაა; ასევე განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ფრონტის წინა ხაზზე მყოფ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს, რომლებმაც თავიანთი პროფესიონალიზმით შეძლეს სიტუაციის სწორი მართვა.

კორონავირუსის შედეგად შექმნილი მდგომარეობის გამო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 4 პროცენტით შემცირდება, შესაბამისად ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლები 1,8 მილიარდით მოიკლებს. საერთაშორისო პარტნიორებმა საქართველოს კრიზისის დასაძლევად 3 მილიარდი დოლარი გამოუყვეს. ქვეყანაში მნიშვნელოვანი მიზნობრივი ფისკალური და მონეტარული ღონისძიებები ტარდება. მთავრობის გადაწყვეტილებით ბიზნესის ხელშეწყობის ფარგლებში, ტურიზმთან დაკავშირებულ 4500 ბიზნესსუბიექტს ოთხი თვის ქონებისა და საშემოსავლო გადასახადი პირველ ნოემბრამდე გადაუვადდა. 850 მცირე სასტუმროს 6 თვის საბანკო სესხის ხარჯების 80 პროცენტს სახელმწიფო დაუფინანსებს, ამ ეტაპზე მთავარია დროულად განხორციელდეს ამ სფეროს გადაწყობა არსებული რეალობიდან გამომდინარე მოთხოვნილებების და ჯანდაცვის წარმომადგენლების რეკომენდაციების გათვალისწინებით, რათა სასტუმროები მომზადებული დახვდეს ტურისტთა ნაკადებს. იმედია, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც უცხოეთში გეგმავდნენ დასვენებას, მიმდინარე წელს საქართველოში დარჩებიან აქ დახარჯავენ თანხას და ხელს შეუწყობენ ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას.

მთავრობის გადაწყვეტილებით, მცირე ბიზნესის კიდევ ერთ სფეროს - ავტოიმპორტიორებს ავტომობილების განბაჟების ვადა პირველ სექტემბრამდე გადაუვადდა, აღნიშნული პირობით უკვე ისარგებლა 38 ათასმა იმპორტიორმა. მცირე ბიზნესის გადარჩენა იქ დასაქმებულთა სამუშაო ადგილის შენარჩუნებას და შემოსავლების სტაბილურობას შეუწყობს ხელს, რაც მიმდინარე ეტაპზე სასიცოცხლოდ აუცილებელია. ასევე, სახელმწიფომ იურიდიულ პირებს მისცა სესხის რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობა; სამშენებლო მასალების ზრდა დაუზღვია ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტს და 200 მილიონი ლარი გამოყო ამ მიმართულებით; ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში 6 თვის მანძილზე ყოველი შენარჩუნებული დასაქმებულის ხელფასზე დამსაქმებელი იღებს სუბსიდირებას, რაც გამოიხატება 750 ლარის ფარგლებში ხელფასზე საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებაში. ასევე

[167] https://forbes.ge/news/8209/gamarjvebuli-da-damarcxebuli-qveynebi-post-korona-msoflioSi
[168] https://netgazeti.ge/news/446340/

1500 ლარის ოდენობით ხელფასიდან 750 ლარზე არ დაირიცხება საშემოსავლო გადასახადი; განხორციელდა მოსახლეობისთვის გადასახადების სუბსიდირება, კერძოდ, 1,2 მილიონ ოჯახს გადაუხადეს ელექტროენერგიის, წყლის და დასუფთავების გადასახადი, 670 ოჯახს - ბუნებრივი აირის გადასახადი. 600 ათას მოქალაქეს სესხების გადავადების შესაძლებლობა მიეცა. კორონავირუსით გამოწვეულმა შეზღუდვებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უფრო მეტი ძალების მობილიზება გვჭირდება, რომ შევძლოთ საზღვრების ჩაკეტვის პირობებში საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა. სოფლის მეურნეობის დაფინანსების მიკროსაგრანტო პრო-გრამა, რომელიც მოქმედებდა ქვეყანაში, პრემიერის განცხადებით, გაგრძელდება და ერთ ბენეფიციარზე გასაცემი თანხა გაიზრდება 30 ათას ლარამდე, საერთო ჯამში ამ მიმართულებით დაიხარჯება 40 მილიონი ლარი. ასევე 50 მილიონ ლარამდე გაიზრდება ერთწლიან კულტურებზე გასაცემი აგრო-კრედიტის რაოდენობა; ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ჩამოეწერებათ სამელიორაციო სისტემის 2020 წლამდე არსებული დავალიანება და გათავისუფლდებიან 2020 წლის გადასახადებისგან. ასევე იგეგმება 1,2 მილიონი ჰექტარი მიწის ფართობის სისტემური რეგისტრაცია 3 წლის განმავლობაში. აღნიშნული ღონისძიებები, იმედია, აისახება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე და საქართველო შეძლებს არა მარტო დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა სურსათზე, არამედ განახორციელოს ნატურალური პროდუქციის ექსპორტი საზღვარგარეთ, რაც, თავის მხრივ გაზრდის მყარი ვალუტის შემოდინებას ჩვენს ქვეყანაში, მოსახლეობას გაუზრდის შემოსავალს და ხელს შეუწყობს მათი ცხოვრების დონის ამაღლებას.

კერძო სექტორის დახმარების კუთხით ანტიკრიზისული გეგმით ამოქმედდება დამატებითი ღირებულების გადასახადის ავტომატური დაბრუნებადობის მექანიზმი და გაორმაგდება დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნება; კომერციულ ბანკებს გადაეცემათ 600 ლარის ოდენობის გრძელვადიანი რესურსი, ასევე ბიზნესის მხარდაჭერისთვის დამატებით გამოიყოფა 500 მილიონი ლარი; მთავრობა შეიმუშავებს საკრედიტო-საგარანტიო სქემას, გარანტიით გაიცემა 2 მილიარდი ლარის პორტფელი, გარანტია ახალ სესხზე 90 პროცენტი იქნება, რესტრუქტურიზაციაზე 30 პროცენტი; იგეგმება ცვლილებები სახელმწიფო პროგრამა ,,აწარმოე საქართველოში'' თანადაფინანსების კუთხით, კერძოდ, 24-დან 36 თვემდე გაიზრდება სესხისა და /ან ლიზინგის თანადაფინანსების პერიოდი, ასევე შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მექანიზმი, დაიწევს სესხისა და ლიზინგის მინიმალური ზღვარი, გაიზრდება საქმიანობის სახეები.

ჩემი აზრით, ანტიკრიზისული გეგმით გაწერილ ღონისძიებების შესრულებაზე უნდა გან-ხორციელდეს კონტროლი როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან, რასაკვირველია, წარმომადგენლობა უნდა იყოს კომპეტენტური პირებით დაკომპლექტებული, რაც თავიდან აგვაცილებს მოსალოდნელ კორუფციულ გარიგებებს. დღეს, როგორც არასდროს, ქვეყანას სჭირდება კვალიფიციური, კეთილსინდისიერი, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე კადრები, რომლებიც სათანადოდ შეაფასებენ არსებულ რეალობას, გაითვალისწინებენ მსოფლიო გამოცდილებას, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გააანალიზებენ მოსალოდნელ საფრთხეებს, გაითვლიან ჩვენი ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, სწორად შეაფასებენ ჩვენს შესაძლებლობებს და გრძელვადიან პერსპექტივაში დასახავენ ქვეყნის განვითარების სტრატეგიას, რომელიც საქართველოს კორონავირუსის პანდემიიდან გამარჯვებული ქვეყნების რიცხვში მოაქცევს, საქართველომ შეძლო სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზმის ხარჯზე მინიმალური დანაკარგით გამოსვლა მძიმე კრიზისული სიტუაციიდან და შეძლებს ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევას პროფესიონალ ეკონომისტთა გუნდის დახმარებით, ჩვენ გვაქვს ამის პოტენციალი და ჩვემ ამას შევძლებთ სწორი მენეჯმენტის განხორციელებით.

პოსტკორონალური პერიოდის ეკონომიკის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია თანამედროვე ციფრული სამყაროს შესაძლებლობები, ონლაინ სწავლებები, ონლაინ კონფერენციები, ონლაინ გაყიდვები დამსაქმებლებს დაეხმარება, გადახედონ მათი კომპანიის სტრუქტურას და დღევანდელ სიტუაციაზე მორგებული გადაწყვეტილებები მიიღონ. სწორად გათვლილი სტრატეგია ნაკლებად დააზარალებს ეკონომიკას, ჯერ კიდევ არ არის გამოგონებული ვაქცინა, რომელიც დაამარცხებს ამ ვირუსს და მსოფლიოს მისცემს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას. მოცემული მდგომარეობით ჩვენ უნდა ვისწავლოთ ამ ვირუსთან თანაცხოვრება და ეკონომიკური აქტივობების განხორციელება, უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები და შესაბამისად გადავაწყოთ ბიზნესი, რაც დამატებით ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ თითოეული ადამიანის სიცოცხლე უფრო ღირებულია, ვიდრე მატერიალურად გათვლილი ხარჯები, შესაბამისად, უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და გავაცნობიეროთ, რომ ეკონომიკური განვითარების გარეშე მძიმე მომავალი გველოდება,

ამიტომ უსაფრთხოების ზომების დაცვით განვავითაროთ ეკონომიკა და კორონავირუსის მოსალოდნელ მეორე ტალღას უფრო მომზადებული შევხვდეთ.

ინგლისელი ბიზნესმენი და ეკონომიკური განვითარების სპეციალისტი ომარ ჰასანი წერს: ,,ცვლილებებთან გასამკლავებლად ქვეყნებს დასჭირდებათ დაიცვან დიდი და მცირე ბიზნესის მომავალი და ახალ ეკონომიკურ წყობაზე თვალი კი არ დახუჭონ, არამედ მასში სარგებლის მიღების გზები დასახონ. მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი პანდემიის ეკონომიკური შედეგების კონტროლი"[169].

მთელი მსოფლიო ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფება, საერთო პრობლემები და გადაჭრის გზების ძიება ყველასთვის ერთნაირი სიმწვავით დგას, მიმდინარე პროცესები ერთობლივი ძალების აკუმულირების და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში, პოსტკორონალური სამყარო უფრო მობილური და ერთიანი იქნება, გადაწყვიტოს გლობალური პრობლემები.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. http://geoeconomics.ge/
2. https://www.independent.co.uk
3. https://on.ge/story/
4. https://forbes.ge/news/
5. https://www.economist.com/business/
6. https://netgazeti.ge/news/446340/
7. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba
8. World Economic Outlook, April 2020
9. World Economic Outlook, April 2020 pg 23
10. https://www.geostat.ge/ka



***Fati Shengelia***


**MODERN ECONOMIC CHALLENGES AND THE GEORGIAN ECONOMY**

**Summary**


The modern world economy has been challenged by the Coronavirus pandemic. Advanced developed countries have also been unprepared for the ongoing processes. The world economy is in an unprecedented phase of economic shock. Coronavirus has caused economic damage to millions of people, Real GDP growth in Georgia will Fall by 4% by 2020. The country's balance of payments will almost double and approach 10.5%. The implementation of effective policies by the state is far from the expected severe economic consequences. The Georgian government has developed an anti-crisis plan for the country's economic development. One billion 35 million GEL has been allocated for the care of citizens and their social support; 2 billion 110 million GEL for economic care and entrepreneurship support; 350 million GEL for strengthening health care and fighting the pandemic. In this situation, we need to learn to coexist with this virus and carry out economic activities. We need to take into account the recommendations of the World Health Organization and accordingly reorganize the business. Georgia was able to recover from a severe crisis at the expense of the professionalism of medical staff with minimal losses and be able to overcome economic hardship with the help of a team of professional economists, we have the potential to do that and we will be able to do it with the right management



***ვასილ ხიზანიშვილი***


**გერმანული სოციალური საბაზრო ეკონომიკა და სახელმწიფოს როლი სისტემის ფუნქციონირებაში**


***ანოტაცია.*** *სოცილაური საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელს. მისი კონცეფცია, როგორც სახელმწიფოს მიერ მართული ეკონომიკის ალტერნატივა, დაეფუძნა თავისუფალი ბაზრის პრინციპებს და შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აღსადგენად.*

*აღნიშნულ მოდელში სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა, პრივილეგიების გარეშე უზრუნველყოს თავისუფალი და პატიოსანი კონკურენციის არსებობა. ამას გარდა, სახელმწიფო, გადანაწილების გზით ასევე უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის ღირსეულ არსებობას და ზრუნავს მათი შანსების*


[169] https://www.independent.co.uk/

*თანასწორობისთვის. სოციალური საბაზრო ეკონომიკა, თავისი ქვაკუთხედებით (თავისუფლება, კონკურენცია, საკუთრება, პასუხისმგებლობა და სოლიდარობა), ქმნის კეთილდღეობას ყველასთვის.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ფრაიბურგის სკოლა, სახელმწიფოს წესრიგის პოლიტიკა.*

## შესავალი

სოციალური საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელს. მისი კონცეფცია, როგორც სახელმწიფოს მიერ მართული ეკონომიკის ალტერნატივა, დაეფუძნა თავისუფალი ბაზრის პრინციპებს და შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აღსადგენად.

"სოციალური საბაზრო ეკონომიკის"კონცეფცია არსებითად ეფუძნება ე.წ. ფრაიბურგის სკოლის სამეცნიერო შრომებს, რომელთა მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ (პოლიტ)ეკონომისტი *ვალტერ ოიკენი* (1891-1950) და იურისტი *ფრანც ბიომი.* აღნიშნული ნეოლიბერალური იდეების შემდგომ განვითარებასა და გავრცელებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა *ლუდვიგ ერჰარდმა* (1897-1977) და მისმა სახელმწიფო მდივანმა *ალფრედ მიულერ-არმაკმა* (1901-1978). ამ უკანასკნელს უკავშირდება ,,სოციალური საბაზრო ეკონომიკის" ცნების დამკვიდრებაც. მიულერ-არმაკმა ჩამოაყალიბა "სოციალური საბაზრო ეკონომიკის" ძირითადი იდეა ხშირად ციტირებულ (ირენიულ ანუ მშვიდობის დამამყარებელ) ფორმულაში, რომ "თავისუფლების პრინციპი ბაზარზე სოციალურ თანასწორობასთან უნდა შეკავშირდეს"(A. Müller-Armack, 1956, გვ.390) [**1**]. უკვე ამ ფორმულირებაში ხდება ცხადი, რომ "სოციალური საბაზრო ეკონომიკის" შემოქმედნი ესწრაფოდნენ ფასეულობებით დავალებულ წესრიგს, რომელთა საფუძვლები დამყარებული უნდა ყოფილიყო ეთიკურ, რელიგიურ, ისევე, როგორც ეკონომიკურ შეხედულებებზე.

აღნიშნულ მოდელში სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა, პრივილეგიების გარეშე უზრუნველყოს თავისუფალი და პატიოსანი კონკურენციის არსებობა. ამას გარდა, სახელმწიფო, გადანაწილების გზით ასევე უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის ღირსეულ არსებობას და ზრუნავს მათი შანსების თანასწორობისთვის. სოციალური საბაზრო ეკონომიკა, თავისი ქვაკუთხედებით (თავისუფლება, კონკურენცია, საკუთრება, პასუხისმგებლობა და სოლიდარობა) ქმნის კეთილდღეობას ყველასთვის.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციაზე შემდგომი მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კათოლიკურმა სოციალურმა მოძღვრებამ, შესაბამისად ქრისტიანულმა სოციალურმა ეთიკამ. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მიულერ-არმაკთან, რიოპკესთან და რიუსტოვთან. ეს ეხება, მაგალითად, ანთროპოლოგიურ საფუძველს, სადაც ქრისტიანული სოციალურ სწავლებათა (დოქტრინის) გავლენა დაიყვანება იქამდე, რომ ინდივიდუალისტური ლიბერალი ადამიანის ხატების გვერდით, ჩნდება სოციალურად დავალებული ადამიანი (Martin Nonhoff, 2006, გვ.13).[**2**]

გარდა ამისა, სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციაში შედიოდა ფრაიბურგის წრის პრელიმინარული (მოსამზადებელი/წინასწარი) ნამუშევრებიც, რაშიც ერვინ ფონ ბეკერატის, ვალტერ ოიკენის და ფრანც ბიომის გვერდით, მონაწილეობას იღებდნენ ასევე აღმსარებელი ეკლესიის, ანუ ე.წ. Die Bekennende Kirche -ს(Die Bekennende Kirche [BK] იყო ევანგელისტი ქრისტიანების ოპოზიციური მოძრაობა, გერმანიის ევანგელისტური ეკლესიის [DEK] სწავლებისა და ორგანიზაციის, ნაციონალ-სოციალიზმის გვერდში ამოყენების [გათანაბრების/გატოლების] მცდელობის წინააღმდეგ) წევრები, როგორიცაა ჰელმუტ ტილიკე და, ზოგჯერ, დიტრიხ ბონჰოეფერიც(Traugott Jähnichen, Hella Blum, 25. Januar 201)[**3**]. საკამათოა ის, თუ ფრანც ოპენჰაიმერის "ლიბერალური სოციალიზმი", რომელთანაც ერჰარდი სწავლობდა ფრანკფურტში და რომელმაც ძლიერი გავლენა მოახდინა მასზე, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს როგორც შემდგომი გავლენა სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე (Volkhard Laitenberger, 1986, გვ.16 ff.) [**4**].

*** * ***

მთელ მსოფლიოში საზოგადოებები, რომლებიც ხასიათდებიან შრომის დანაწილებითა და სპეციალიზაციით და რთული გაცვლითი ურთიერთობების ზრდით, ისევე, როგორც აქედან დაკავშირებული ინდივიდთა მაღალი ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულებებით, მოითხოვს კონკრეტულ წესრიგს. აღნიშნული წესრიგის აგებისა და შენარჩუნების პროცესი განიხილება წესრიგის პოლიტიკად. ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ჰუმანური, ადამიანის ღირსების შესაბამისი წესრიგი არა თავისთავად ანდა ისტორიული გარდაუვალობით ჩნდება, არამედ საჭიროებს გაცნობიერებულ პოლიტიკურ ფორმას. ამდენად, წესრიგის პოლიტიკა განეკუთვნება სახელმწიფოს

პრიორიტეტულ ამოცანათა სფეროს. სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში, წესრიგის პოლიტიკით იმგვარად ხდება ცალკეულთა ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებისა და შესაძლებლობათა(სამოქმედო სივრცის) შეზღუდვა-დასაზღვრა და დადგენა-დასისტემება, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და შესაბამისად, მისი ძირითადი არსი გარანტირებული და შენარჩუნებულია.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი არის კონკურენციის წესრიგი. ის ეფუძნება დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს, რომელთა მიხედვით არა ადამიანები, არამედ კანონები უნდა ბატონობდეს. ამის გამო პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება თანმიმდევრულად დასაზღვრულია, ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიმღებნი იძენენ პერსონალური დამოუკიდებლობის არაავტორიტარულ, არაბრძანებლურ სივრცეებს. ამრიგად, სახელმწიფო წესრიგის პოლიტიკას აქვს ამოცანა, უზრუნველყოს ფუნქციური კონკურენციის საჭირო სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობები.

თუმცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში არ არის განსაკუთრებული წესები ეკონომიკური წესრიგისთვის, ამისდამიუხედავად, ფუნდამენტური უფლებები, ხელშეკრულებისა და კოალიციის თავისუფლება, კერძო საკუთრების უზრუნველყოფა, სამართლებრივ და სოციალურ პრინციპებზე დაფუძნებული წესები, ისევე როგორც ფედერაციული სტრუქტურა, წარმოადგენს სოციალური საბაზრო ეკონომიკის საფუძველს და განამტკიცებს ურთიერთდამოკიდებულებას სახელმწიფოებრივ წესრიგს, ეკონომიკურ წესრიგსა და საზოგადოებრივ წესრიგს შორის.

სახელმწიფო წესრიგის პოლიტიკა, ნაცვლად ეკონომიკური პროცესების მართვისა, წესებით, ინსტიტუციებითა და ნორმებით მიმართული უნდა იყოს წესრიგის ფორმების გრძელვადიან ჩამოყალიბებაზე. პირდაპირი სახელმწიფო ინტერვენციები კერძო გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში, აღინიშება როგორც *პროცესის პოლიტიკა*. სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში წესრიგის პოლიტიკა და პრიორიტეტი, პროცესის პოლიტიკის საპირისპიროდ, ერთურთს უახლოვდება (და შეესაბამება). ორივეს შორის არსებობს სუბსიდიარულობა: რაც უფრო წარმატებულია წესრიგის პოლიტიკა ფუნქციონა-ლური/ქმედუნარიანი კონკურენციული წესრიგის მიღწევისას, მით უფრო მეტად შეძლებს პროცესის პოლიტიკა უკან დახევას.

წესრიგის პოლიტიკისა და პროცესის პოლიტიკის გასარჩევად სახელმწიფოს მოეთხოვება დიდი პასუხისმგებლობა: ერთი მხრივ, საბაზრო ეკონომიკური წესრიგი ნიშნავს არა მთელ ავტომატიკას. მიულერ-არმაკი ამ ურთიერთკავშირზე საუბრობს როგორც ნახევრად ავტომატურზე, რომელიც რაციონალ პირობას საჭიროებს. ამასთანავე, წესრიგის პოლიტიკის მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა ძლიერი სახელმწიფო. მაგალითად, ეკონომიკური და სოციალური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად. მეორე მხრივ, სახელმწიფო თავად უნდა შეიზღუდოს იმისათვის, რომ გარანტირებული იქნეს ინდივიდუალური გადაწყვეტილებისა და მოქმედების თავისუფლება. ამდენად, ის წინ უნდა აღუდგეს მუდმივად პუნქტუალურ ინტერვენციათა ცდუნებას და მაგალითად, დამოუკიდებელი ნაციონალური, ფედერალური ბანკის ფულადი პოლიტიკის გადაწყვეტილების ანდა სატარიფო ავტონომიის სფეროში უზრუნველყოს ავტონომიურობა.

კერძოდ, ჩარჩო-პირობებსა თუ რეგულირების ფორმებზე დაფუძნებულ სახელმწიფოში თავს იჩენს დაძაბულობა კონკურენციული პროცესების სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების დროს: ერთი მხრივ სოციალური თანასწორობა წარმოადგენს სოციალური საბაზრო ეკონომიკის ინტეგრალურ ნაწილს. თუმცა ამით არსებობს ცრუ სიგნალების საშიშროება: გადასახადის გადამხდელს დაემუქროს სერვისზე უარის თქმის საფრთხე, მომსახურების მიმღებს - კეთილდღეობის სახელმწიფო მენტალიტეტი. ამიტომ მეორე მხრივ, სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს დაძაბულობის ისე განმუხტვა, რომ არც გადამხდელმა და არც მიმღებმა არ აღძრას არასწორი/მცდარი სტიმულები (და არ გაუშვას მცდარი სიგნალები). "სოლიდარულობისა და სუბსიდიარულობის წესრიგის პრინციპები ახლად უნდა განისაზღვროს და კვლავ რაციონალურ დამოკიდებულებაში მოვიდეს"(Otto Schlecht 1994, გვ. 12)[**5**]. კერძოდ, ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს სოციალური საბაზრო ეკონომიკის სუბსტანციის წესრიგის შესაბამისი, მაშასადამე, არადამაზიანებელი ფორმით.

სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში წესრიგის პოლიტიკამ მთლიანად უნდა ჩართოს საბაზრო ეკონომიკური ეფექტიანობა და საზოგადოებრივი თანასწორობა ჰარმონიულ ურთიერთდამოკი-დებულებაში და პოვოს თავისუფლებისა და ვალდებულების სინთეზი, რომელიც სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეთიკურ მოთხოვნებს (და)აკმაყოფილებს. საბაზრო ეკონომიკური წესრიგის ფუნქციონირების ხანგრძლივი დროით უზრუნველყოფა საჭიროებს გაცნობიერებულ სახელმწიფოებრივ ფორმას. ამასთან, მიღწეული უნდა იქნეს „ბაზრის სიტუაციის ხდომილების გარდაუვალობასა და ძალისხ-მევის/მცდელობის შეხედულებებს შორის სინთეზი ამ საბაზრო ეკონომიკური ორგანიზაციის სტრუქტურის სოციალურ პროგრესთან"(Müller-Armack 1974, გვ. 221)[**6**] შეკავშირებით.

ეს მიიღწევა სოციალური საბაზრო ეკონომიკის „იდეის სისხარტით“: (თუმცა) მრავალრიცხოვან ინდივიდუალურ, დეცენტრალიზებულ პრეფერენციათა და გადაწყვეტილებათა კოორდინაცია ბაზრის წესებისა და ელემენტების შესახებ არის მეტად საჭირო, როდესაც მიღწეული უნდა იქნეს ეფექტური ეკონომიკა და შესაძლებელი თავისუფალი თანაცხოვრება ღია საზოგადოებაში. მაგრამ ეს უნდა შეიზღუდოს და კანალიზირდეს(დაირაბვოს) სახელმწიფო ჩარჩო-წესრიგით, რითაც ცალკეული ეკონომიკური ქმედება არ აღმოჩნდება წინააღმდეგობაში სხვათა სოციალურ მიზნებსა და თავისუფლებასთან (Schlecht 1990, გვ. 43)[7].

ამასთან დაკავშირებით, კონსტიტუტიურ(ძირითადი, არსებითი) და მარეგულირებელ პრინციპებზე დაყრდნობით ხდება სახელმწიფო წესრიგის პოლიტიკის დაკონკრეტება. კერძოდ, კონკურენციული წესრიგის სახელმწიფო ჩარჩო-პირობებს განეკუთვნება ვალტერ ოიკენის კონსტიტუტიური და მარეგულირებელი პრინციპები (Eucken 1952, გვ. 241)[**8**]:

ა) სოციალური საბაზრო ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს *კერძო საკუთრება*, რომელიც არაუფლებამოსილ პირთა მიღებას გამორიცხავს. იმ დროს, როდესაც კოლექტიურ საკუთრებას შედეგად კოლექტიური უპასუხიმგებლობა მოსდევს, კერძო საკუთრება უზრუნველყოფს პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას საკუთრებასთან მიმართებით, რადგან გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა შედეგები, როგორც წესი, ინდივიდუალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული. გარდა ამისა, კონკრეტული პასუხისმგებლობის რეგულაციები (გამაფრთხილებელი ზომები) აძლიერებს საკუთრების მიმართ მზრუნველ მოპყრობას.

ბ) *მხოლოდ კონვერტირებადი და სტაბილური ფული* უზრუნველყოფს კავშირს მსოფლიო-ეკონომიკურ ე.წ. scarcity prices -სთან(ანუ, die Knappheitspreise -სთან, მყარ ფასებთან დეფიციტის პირობებში) და ზრუნავს დაუმახინჯებელი ფასებისთვის და ფასთა კავშირისთვის(თანაფარდობისთვის), რაც მწარმოებლებსა და მომხმარებლებს, საინვესტიციო და სამომხმარებლო გადაწყვეტილებებისთვის, კალკულაციისა და დაგეგმვის უსაფრთხოების გარანტიას ანიჭებთ.

გ) *თავისუფალი ფასწარმოქმნა* ბაზრებზე იწვევს მწირი რესურსების ეფექტურ გამოყენებას და ამდენად, ინფორმაციის ფუნქციის გვერდით, ასევე მოიცავს მართვისა და შერჩევის ფუნქციებსაც.

დ) *თავისუფალი ბაზრები* უზრუნველყოფს შინამრეწველობის(სამამულო მრეწველობის) ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკაში და იძლევა მონაწილეობის გარანტიას საერთაშორისო შრომის დანაწილებაში. ამასთანავე, ღია ბაზრები ხანგრძლივი დროით ზღუდავს შიდა კომპანიების მიერ ძალაუფლებისა და ექსპლუატაციის შესაძლებლობებს და ამდენად ახდენს მონოპოლიზაციის პრევენციას.

ე) *აქტიური კონკურენციული პოლიტიკის* დახმარებით თავიდან უნდა იქნეს აცილებული კონკურენციული შეზღუდვები კარტელების, მონოპოლიებისა და ბაზარზე გაბატონებული კომპანიების ფორმათა მხრიდან.

ვ) ვინაიდან კომპანიებს მათი დეცენტრალიზებული დაგეგმვისთვის სჭირდებათ უსაფრთხოება და კონკურენციის რისკები და არასაიმედოობა დამატებით არა მხოლოდ ხელისუფლების მიერ მატულობს, *ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილურობა* განეკუთვნება სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, რაც სიცხადესა და საიმედოობას (და სანდოობას) უზრუნველყოფს.

ზ) საჯარო ინფრასტრუქტურისა და საშუალოვადიანი სახელმწიფო ზრდის პოლიტიკის უზრუნველყოფა, ხელსაყრელ ჩარჩო-პირობებს/გარემოს ქმნის ინვესტიციებისა და დასაქმებისთვის. მათ შორისაა ინვესტიციებისადმი მეგობრული საგადასახადო კანონმდებლობა, გადაჭარბებული სახელმწიფო რეგულაციების თავიდან აცილება, ბაზრის(საბაზრო პირობების) შესაბამისი სტაბილიზაციის ღონისძიებები კონიუნქტურული რყევების მოსაგვარებლად, ისევე როგორც საშუალო ზომისა და რეგიონული ბიზნესების(ეკონომიკების) მხარდაჭერა-ხელშეწყობა.

თ) დასასრულ, საჭიროა *კანონმდებლობა (წესთა კრებული) გარემოს დასაცავად*, სადაც მარეგულირებელ საშუალებებს საბაზრო ეკონომიკურ ინსტრუმენტებზე უპირატესობა ეძლევა.

თითოეული სახელმწიფო ღონისძიება, შესაბამისად ფორმა, უნდა ითვალისწინებდეს ოიკენისეულ „საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულებას“, - „ყოველი ცალკეული ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევა მთლიან ეკონომიკურ პროცესზე“(იხ.[**8**] გვ. 254) ახდენს ზემოქმედებას. საბაზრო ეკონომიკური ინტერვენციების შემთხვევაში სახელმწიფოს მოეთხოვება იმგვარი ღონისძიებების გატარება, რაც ნეგატიურ გავლენას არ ახდენს ფასების მექანიზმზე. სახელმწიფოს აქვს პრინციპი: „სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ეკონომიკის წესრიგის ფორმების ჩამოყალიბებაზე და არა ეკონომიკური პროცესის კონტროლისკენ.“ (>>Die wirtschaftliche Tätigkeit des Staates sollte auf die Gestaltung der Ordnungsformen der Wirtschaft gerichtet sein, nicht auf die Lenkung des Wirtschaftsproozesses.<< Eucken 1952/1968, გვ. 336) [**9**]

## დასკვნა

დღეს გერმანიის მარეგულირებელი სისტემა დგას ერთგვარი პოსტმოდერნული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების წინაშე. შრომის ბაზრის რეფორმირების მიღმა (რაც ითვალისწინებს შრომის პირობების გაუმჯობესებას. მათ შორის, სამუშაო საათების შემცირებას და დაცვითი მექანიზმების ამოქმედებას ქალებისა და ახალგაზრდობისთვის, ასევე შემოსავლის უზრუნველყოფას მშრომელთათვის ინდივიდუალურ კრიზისულ სიტუაციებში [სოციალური დაზღვევა]) (Kissling 1993, გვ. 274) [**10**], იგი საჭიროებს სოციალური და ეკონომიკური სისტემის ყოვლისმომცველი და მდგრადი წესრიგის პოლიტიკის (მარეგულირებელ) რევიტალიზებას. საბოლოო ჯამში, საუბარია სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელის 21-ე საუკუნის შესაფერისად გარდაქმნაზე. ამ განახლებამ უნდა გაითვალისწინოს შეცვლილი გარემოპირობები, მომსახურებისა და ტელესაკომუნიკაციო საზოგადოების განვითარება, ისევე, როგორც გლობალიზაცია. მნიშვნელოვანია გლობალიზაციისა და ტექნიკური სტრუქტურული ცვლილებების შანსების ათვისება. სოციალური საბაზრო ეკონომიკა კვლავ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ღია და ლიბერალური შესაძლებლობების მქონე საზოგადოებრივი სისტემა. ამ მხრივ საჭიროა ახალი ბალანსი, ერთი მხრივ, თავისუფლებასა და პიროვნულ პასუხისმგებლობას შორის, ხოლო მეორე მხრივ სოლიდარობასა და კოლექტიურ პრინციპს (Kollektivprizip) შორის.

სახელმწიფოს უმთავრესი და უპირატესი პასუხისმგებლობა ეკისრება ახალი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის(მარეგულირებელი ჩარჩო-პირობების) შემუშავებაში, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კონკურენციას, კერძო სექტორის ჩართულობას და ეკონომიკურ დინამიზმს. ეს მოიცავს მთავრობის მოვალეობების შემცირებას სუბსიდიების შემცირებასთან და სახელმწიფო ვალის შეზღუდვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ბიუროკრატია, ჭარბი რეგულირება და ნებართვის მიღების ხანგრძლივი პროცედურები დაძლეული უნდა იქნეს დერეგულირების შეტევით.

პრიორიტეტულ მიზნად უნდა დარჩეს საერთო საგადასახადო ტვირთის შემცირება. ამასთან, დაუყოვნებლივ გასატარებელია გადასახადების გადამხდელთა ტვირთის შემსუბუქების პროგერესული საგადასახადო პოლიტიკა. გადასახადების რადიკალური შემცირება უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებას, კაპიტალის შენარჩუნებასა და მის დამატებით მოზიდვას ქვეყანაში, აგრეთვე ვალდებულების და საგადასახადო მორალის გაძლიერებას.

გერმანიას მომავალში მოუწევს ინტენსიურ საერთაშორისო კონკურენციაში ჩაბმა. ტექნოლოგიური ცვლილებები და პროგრესირებადი დიგიტალიზაცია (ციფრული ტექნოლოგიები) დღეს უკვე აწყდება სერიოზულ პრობლემებს და დგება მთავარი გამოწვევების წინაშე. ამ ქვეყანამ, განახლებადი ენერგიების მიმართულებით, პრაქტიკულად უნდა განახორციელოს ენერგორევოლუცია/ენერგოსისტემების ტრანსფორმაცია, რაც არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც ჰერკულესური ამოცანაა. ენერგეტიკის სისტემის ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესის შესაბამისობაში მოყვანით საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან, ხელი ეწყობა ეკონომიკის ინოვაციურობასა და კონკურენტ-უნარიანობას, რაც უზრუნველყოფს კიდეც კეთილდღეობასა და სამუშაო ადგილებს ქვეყანაში.

დემოგრაფიული ცვლილებები იძენს შეუქცევადი ხასიათის ფორმას და ქვეყნის წინაშე აყენებს სამომავლო ამოცანებს: 2035 წელს, მოსახლეობის დაახლოებით 25% იქნება 67 წელზე უფროსი ასაკის. დღეს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 20 პროცენტს უტოლდება. ეს არის ფუნდამენტური გამოწვევა შრომის ბაზრის, ჯანმრთელობის დაცვისა და საპენსიო სისტემის, კომპანიებისა და საჯარო სექტორისთვის. გერმანიის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი - ინოვაციური სიძლიერე, საფრთხის წინაშეა, როდესაც სულ უფრო ნაკლები ადამიანი მუშაობს და, ამავე დროს, სულ უფრო მეტ ასაკოვან ადამიანზე ჩნდება საზრუნავი. არსებობს დაღმავალი სპირალის საფრთხე, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს გერმანიის ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა. თუმცა, არსებობს წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობაც: მოქნილი შრომის ბაზარი, განათლებისა და გადამზადების საშუალებების შექმნა და ბავშვებზე უფრო და უფრო მეტი ზრუნვა. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ყველასათვის გაიხსნას დასაქმებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს კვალიფიციურ კადრზე ,,შიმშილის“ პრობლემის მოგვარებას.

როგორ შეიძლება დაბერებადი საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მოსახლეობის კლებადი მშრომელი(აქტიური) ნაწილის დაცვის პარალელურად? რა უნდა გაკეთდეს ღია ბაზრებისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად იმ დროს, როდესაც პროტექციონიზმი დაბრუნდა მოდაში? აგრეთვე რა ჩარჩო-პირობებია საჭირო, ბაზრებთან თავისუფალი წვდომისა და ამით კონკურენციის გარანტირებისთვის ციფრულ სივრცეში?

სოციალური საბაზრო ეკონომიკა გვაძლევს პასუხებს ჩვენი დროის კითხვებზე. სავაჭრო ბარიერების გარეშე, ღია საზღვრები ქმნის კეთილდღეობას ყველასთვის როგორც გერმანიაში, ისე

დანარჩენ მსოფლიოში. თანამედროვე კონკურენციული სამართალი იძლევა დიგიტალიზაციის გამოწვევების პასუხებს. სოციალური პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია პირად პასუხისმგებლობაზე და არა სახელმწიფო რჩევებზე(პატერნალიზმზე), თაობათა შორის (კულტურული ასპექტით) ქმნის სამართლიანობას სოციალური უზრუნველყოფის სფეროში(სოციალურ დაცვაში). ამასთან, მიღწევადია მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება წარმატებული საბაზრო ეკონომიკური რეფორმების გამოცდილებით. ამ გზით შესაძლებელია ახალი შანსების გაჩენა გერმანიისთვის, ევროპისა და მსოფლიოსთვის, თუ ადგილი ექნა სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისადმი ერთგულებას. თუ საჭირო რეფორმების ნაბიჯები გაბედულად განხორციელდა, შესაძლებელია, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკა პერსპექტივაში იყოს ყოვლისმომცველი და მდგრადი. შედეგად, მას უჩნდება შანსი, რომ 21-ე საუკუნეშიც დარჩეს როგორც დომინანტური სოციალური და ეკონომიკური მოდელი ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. Müller-Armack, Alfred: *Soziale Marktwirtschaft.* [Handwörterbuch der Sozialwissenschaften., Band 9.] Stuttgart 1956.

2. Nonhoff, Martin: *Politischer Diskurs und Hegemonie: Das Projekt „Soziale Marktwirtschaft“* [16 Absätze]. *Forum Qualitative Sozialforschung*, 2006, *8*(2), Art. 22, http://nbn-resolving.de/urn:nbn:de:0114-fqs0702225.

3. Jähnichen, Traugott/Blum, Hella: *Eng verbunden: Sozialer Protestantismus und Soziale Marktwirtschaft.* [evangelisch.de, 25. Januar 2011. online (Mementovom 17. Februar 2013 im Webarchiv *archive.is*)]

4. Laitenberger, Volkhard: *Ludwig Erhard – Persönlichkeit und Geschichte.* Muster-Schmidt-Verlag, 1986.

5. Schlecht, Otto: Bewährungsprobe für die Soziale Marktwirtschaft in Europa. In: Ludwig-Erhard-Stiftung (Hrsg.): Orientierung zur Wirtschafts- und Gesellschaftspolitik, Ausg. 59 (1/1994), Marburg, März 1994.

6. Müller-Armack, Alfred: *Genealogie der Sozialen Marktwirtschaft. Frühschriften und weiterführende Konzepte.* Haupt, Bern/Stuttgart 1974.

7. Schlecht, Otto: *Grundlagen und Perspektiven der Sozialen Marktwirtschaft*, Vol. 27 In: Untersuchungen zur Ordnungstheorie und Ordnungspolitik], Mohr Siebeck Verlag, Tübingen 1990.

8. Eucken, Walter: Grundsätze der Wirtschaftspolitik. Bonn, Tübingen 1952.

9. Eucken , Walter: Grundsätze der Wirtschaftspolitik. 4 Auflage, Tübingen 1952/1968.

10. Kissling, Christian: Gemeinwohl und Gerechtigkeit (Ein Vergleich von traditioneller Naturrechtsethik und kritischer Gesellschaftstheorie). Verlag Herder, Paulusdruckerei Freiburg Schweiz 1993.



***Vasil Khizanishvili***


## GERMAN SOCIAL MARKET ECONOMY AND THE STATE ROLE IN THE FUNCTION OF THE SESTEM

### Summary


The social market economy is a model of social-economic development of the Federal Republic of Germany. In the above mentioned model the main task of the state is that without privileges to make a guarantee for the egsistence of free and fear competition.

Besides that, the state ensures(guarantees) through a distribution the worthy existence of individual citizens and cares for the equality of their chance(possibility). The social market economy with its cornerstones (freedom, competition, property, responsibility and solidarity) creates prosperity for everything.

The model of the social market economy is the competition system. It is based on the democratic legal principles of state, according to which must rule not the people but the laws. Because of this the political and economic power is successively limited, the individual decision-makers acquire the non-authoritarian spaces of the personal independence. Thus(Consequently), the regulatory policy of the State has the responsibility in order to guarantees a legal and organizational conditions of the functional competition.

Today the German regulatory system stands something a postmodern socio-economic challenges. Besides of(In addition to) the reform to(of )the labour market, it needs the revitalization of the comprehensive and sustainable regulatory policy of the social and economic system. Finally, we are talking about the transformation of the model of the social market economy, suitable for the 21st century. This renewal should takes into account the changed environment, the development of service and telecommunications, as well as globalization.

The social market economy provides the answers about the question of our time.Without the trade barriers, the free borders create a prosperity for all not only in Germany, but also in the rest of the world. The modern competition law(Wettbewerbsrecht) provides the answers to the digitalisation challenges. Social policy, that is based on the personal responsibility and not on the paternalism, (with cultural aspect) creates an justice in social security sphere between generations. Herewith, it is achievable to get the important benefits by experience of the successful market economy reforms. In this way, it’s possible to open up a new chances(opportunities) for Germany, Europe and the world, if will be loyalty to the principles of the social market economy. If the necessary reforms will be boldly implemented, it is

possible that the social market economy would be all-embracing and sustainable in the perspective. As a result, to it stand a chance, that also in 21 century to stay as a dominant social and economic model in Europe and all over the world.

*მარიამ ხურციძე*

## სიღარიბის დაძლევა და უმუშევრობის შემცირება, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა

***ანოტაცია.*** *ნაშრომში განხილულია საქართველოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა - სიღარიბის დაძლევა და უმუშევრობის შემცირება, რომელიც პანდემიის პირობებში კიდევ უფრო მწვავე პრობლემად იქცა მსოფლიოს არაერთი ქვეყნისთვის. სიღარიბეზე მოქმედი, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორების განხილვის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ საქართველოს შრომის ბაზარი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. წარმოდგენილი მასალის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა და გამოთქმულია მოსაზრებები უმუშევრობის შემცირებისა და ქვეყნის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესების გზების შესახებ.*

***საკვანძო სიტყვები:*** *უმუშევრობა, სიღარიბე, შრომის ბაზარი, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა.*

დასაქმების დონის ზრდა, სრულფასოვანი დასაქმება, სიღარიბის დაძლევა და კეთილდღეობის ამაღლება მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის ჯერ კიდევ მთავარ გამოწვევებად რჩება. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს - სიღარიბის დაძლევა და უმუშევრობის შემცირება რჩება საქართველოს მთავარ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად.

უმუშევრობის შემცირება და სიღარიბის დაძლევა კიდევ უფრო აქტუალური გახდება მსოფლიოს არაერთი ქვეყნისთვის პოსტპანდემიურ პერიოდში. როგორც ჩანს, ახალი კორონავირუსის უარყოფითი ეფექტი შრომის გლობალურ სამყაროზე ხანგრძლივი იქნება, რაც ისევ გამოიწვევს მილიონობით ადამიანის უმუშევრობას და სიღარიბეს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით[170], COVID-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში (კრიზისის ჩამოყალიბებისთვის ეკონომიკური ვარდნა სულ მცირე ორი კვარტლის განმავლობაში უნდა დაფიქსირდეს) მოსახლეობის ღარიბი და ყველაზე დაუცველი ნაწილის ცხოვრების პირობები კიდევ უფრო გაუარესდება. მსოფლიო ბანკის პროგნოზირებით[171], კორონავირუსის პანდემიის გამო, მსოფლიოში 60 მილიონ ადამიანს ექსტრემალური სიღარიბე ემუქრება; შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია კი მიიჩნევს[172], COVID-19-ის შედეგად მთელ მსოფლიოში 25 მილიონამდე სამუშაო ადგილი დაიკარგება.

ზოგადად, როდესაც ეკონომიკური აქტივობა მაღალია, უფრო მეტი პროდუქცია იქმნება მეტი ადამიანის ჩართულობით. სიღარიბე ფარდობითი ცნებაა, რომელიც ზომვადი და არაზომვადი ფაქტორებისგან შედგება. სიღარიბე და უთანაბრობა არსებითად აფერხებს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას, ამასთან, ზრდის საზოგადოების შიგნით დაპირისპირების მუხტს.

სიღარიბეზე მოქმედი, (ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით) ფაქტორებიდან შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი ძირითადი ფაქტორი: მისამართული სოციალური დახმარება, პენსია, უმუშევრობა და დასაქმება. კერძოდ:

*1) მისამართული სოციალური დახმარების* მიზანია მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ნაწილის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, სოციალური თანასწორობის ზრდა და სიღარიბის შემცირება. მიზნის მიღწევა პოზიტიურად ზემოქმედებს სიღარიბის დონის შემცირებაზე;

*2) პენსიას* მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა აქვს და, მისამართული სოციალური დახმარების მსგავსად, ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში პენსიის სოციალური დახმარების ფუნქცია თანდათან ეკონომიკურით იცვლება. ამასთან, 2021 წლიდან ამოქმედდება პენსიების ინდექსაცია;

*3) უმუშევრობა* წარმოდგენას გვიქმნის ქვეყნის კეთილდღეობის დონეზე და გავლენას ახდენს სიღარიბის დონეზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების

[170] Davide Furceri, Prakash Loungani, Jonathan D. Ostry. (2020). How Pandemics Leave the Poor Even Farther Behind, IMF.
[171] https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/05/19/world-bank-group-100-countries-get-support-in-response-to-covid-19-coronavirus
[172] https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_738742/lang- en/index.htm

მიხედვით[173], 2019 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 11.6% იყო, რაც რეკორდულად დაბალი მაჩვენებელია გასული წლების მონაცემებთან შედარებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის დონის შემცირება გამოიწვია არა დასაქმებულთა აბსოლუტური რაოდენობის ზრდამ, არამედ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილის შემცირებამ. სამწუხაროდ, უმუშევრობის დონის შემცირება ქვეყნის ეკონომიკაში რაიმე არსებითი ცვლილების შედეგს არ წარმოადგენს. ამასთან, რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობასთან შედარებით, ფაქტობრივ უმუშევართა რიცხოვნობა მნიშვნელოვნად მეტია. მაგალითად, NDI-ის ბოლო კვლევის მიხედვით (13-29 ივლისი, 2019),[174] გამოკითხულთა 61% თავს დაუსაქმებლად თვლის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ უმუშევრობა საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს უმუშევართა დახმარების ქმედითი სისტემა, რის გამოც უმუშევრობის დარეგისტრირებისაგან ბევრი მოქალაქე თავს იკავებს;

*4) დასაქმება* - უმუშევრობისგან განსხვავებით, დასაქმება ამცირებს სიღარიბის რისკს. ამასთან, ეფექტიანი დასაქმება მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისთვის. საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირება ჯერ კიდევ არ დასრულებულა. კერძოდ, მიწოდების მხრივ, შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელია მობილურობის დაბალი ხარისხი, პროდუქტიულობის დაბალი დონე, მშრომელთა არაადეკვატური კვალიფიკაცია, ხოლო მოთხოვნის მიმართულებით, კერძო სექტორის არასაკმარისი დივერსიფიცირება და სექტორების უთანაბრო განვითარება. გასათვალისწინებელია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები ძირითადად განაპირობა მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის თეორიის არარსებობამ.

ამრიგად, სიღარიბის დაძლევა და უმუშევრობის შემცირება კორონავირუსის გავრცლებამდეც მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა. თუმცა, პრობლემა COVID-19-ის ზემოქმედების შედეგად კიდევ უფრო გამწვავდა, შესაბამისად, ახალი დღის წესრიგი მოითხოვს: შრომის ბაზრის პოლიტიკისა და პროგრამების განახლებას; მთავრობების პასიური და აქტიური საბაზრო პოლიტიკისა და პროგრამების გადასინჯვას; სოციალური დაცვის, განსაკუთრებით კი სოციალური დახმარების გაფართოებას; სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობას; ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებების შემუშვებას.

დასასრულ, საქართველოში სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს შრომის ბაზრის არასრულყოფილება, რაც უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოშობს მშრომელთა არაადეკვატური კვალიფიკაციის, უმუშევრობის და სიღარიბის სახით. უმუშევრობის შემცირებას და ქვეყნის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს სათანადო საკანონმდებლო, ორგანიზაციული და ფინანსური ბერკეტების შემუშავება, კერძო სექტორის შემდგომი განვითარება, ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობა და სხვ.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. კაკულია, მ., კაპანაძე, ნ., ქურხული, ლ. (2017). ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი.
2. პაპავა, ვლ. (2015). საქართველოს ეკონომიკა (რეფორმები და ფსევდორეფორმები), გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები, 2019 წელი, https://www.geostat.ge/ka/single-news/1844/mosakhleobis-ekonomikuri-aktivobis-machveneblebi-dasakmeba-da-umushevroba-2019-tseli 22.05.2020
4. Davide Furceri, Prakash Loungani, Jonathan D. Ostry. (2020). How Pandemics Leave the Poor Even Farther Behind, IMF.
5. ILO, Almost 25 million jobs could be lost worldwide as a result of COVID-19, says ILO, https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_738742/lang- en/index.htm 22.05.2020.
6. NDI, Public Attitudes in Georgia, Results of July 2019 survey, https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues_ENG_For%20distribution_VF.pdf 22.05.2020.


[173] https://www.geostat.ge/ka/single-news/1844/mosakhleobis-ekonomikuri-aktivobis-machveneblebi-dasakmeba-da-umushevroba-2019-tseli

[174] https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues_ENG_For%20distribution_VF.pdf

7. World Bank Group, 100 Countries Get Support in Response to COVID-19 (Coronavirus), https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/05/19/world-bank-group-100-countries-get-support-in-response-to-covid-19-coronavirus 22.05.2020.

***Mariam Khurtsidze***

**OVERCOMING POVERTY AND REDUCING UNEMPLOYMENT AS ONE OF THE MAIN CHALLENGES OF GEORGIA**

**Summary**

The work reviews one of the main challenges of Georgia – overcoming poverty and unemployment, which represents the piercing problem for all over the world during the pandemic period. On the base of given material, has been concluded and argumented the ways of reducing unemployment and the means to improve the growth of country's welfare.

The growth of employment, full employment, overcoming poverty and welfare, still remains the main challenges of many countries. Georgia feels the same – reducing unemployment and overcoming poverty represents the meaningful socio-economic problems.

According to the assessment of the international organizations – International Monetary Fund, World Bank and International Labour Organization – the effects of the COVID-19 will be long-termed on the global labour world and it will cause high levels of unemployment and extreme poverty.

From the socio-economic point of view, four main factors are figured which affect the poverty: targeted social assistance, pension, unemployment and employment. Privately:

1. *The targeted social assistance* aims to help the helpless popularity to improve living standards, to grow the social equality and decrease the poverty;

2. *Pension* counts a lot in social sphere and supports to decrease the poverty. It is also important that the social function of pension changes into economical in Georgia.

3. *Unemployment* talks about degree of welfare and affects on the level of poverty. According to the statistics of National Statistics Office of Georgia, in 2019 the unemployment rate in Georgia amounted to 11.6 percent and compared to the previous years this is the lowest indicator. Unfortunately, the decline of unemployment rate doesn't represent the meaningful changes in country's economics.

*4. Employment* declines the poverty risk. Moreover, effective employment speeds up economic recovery and solves the social problems existed in the country. Though, the formation of labour-market has not come to its end.

To sum up, in the face of the COVID-19 crisis, governments should review passive and active labor market policies and programs; upgrade labor market policies and programs. In order to reduce unemployment in Georgia and improve the welfare of the country it is necessary to develop appropriate legislative, organizational and financial leverages; to develop the private sector; to get the inclusive economic growth; etc.

## მიკროეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სექცია

*ქეთევან კოკაია*

### მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება საქართველოში

***ანოტაცია.*** *მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება არის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა საქართველოს ეკონომიკისათვის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სწორედ ასეთი ტიპის ბიზნესი ქმნის კონკრეტულ გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლებისათვის პრო-დუქციის და მომსახურების ხარისხის ზრდას. იმისათვის, რომ ეკონომიკაში მოხდეს მცირე ბიზნესის სრული პოტენციალის გამოყენება, აუცილებელია წვდომა ფინანსურ რესურსებთან, რომლებიც მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს საშუალებას მისცემს აქტიურად და ეფექტიანად განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა.*

*აღნიშნული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მექანიზმების და მოდელების შესწავლა და ამის საფუძველზე მათი საქმიანობის სრულყოფის მიმართულებების ჩამოყალიბება.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ბიზნესგარემო, სამეწარმეო საქმიანობა.*

### შესავალი

ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

საკითხის აქტუალურობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება.

*** * ***

ბიზნესის მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში მეტად დიდია. ადამიანები ბიზნესგარემოს წევრები თავისთავად ხდებიან იმ მარტივი მიზეზის გათვალისწინებით, რომ ისინი ან მისი მომხმარებლები არიან ან თავად აწარმოებენ გარკვეულ ბიზნესსაქმიანობას. ბიზნესი – ეს არის კანონიერი გზით მოგების მიღების მიზნით განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობა, ხოლო ბიზნესმენი ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და პირდაპირი გაგებით საქმიან ადამიანს ნიშნავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი საქმიანობა ვერ ჩაითვლება ბიზნეს საქმიანობად, რადგან საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს ბიზნესს, როდესაც იგი გათვლილია და წარმოებულია მოგების და ფინანსური დოვლათის მისაღებად. წარმოება ხდება ბიზნესი, როდესაც მწარმოებელი არა უბრალოდ უშვებს პროდუქციას, არამედ შედის ეკონომიკურ ურთიერთობაში მყიდველთან წარმოებული საქონლის ხელსაყრელად გაყიდვის, რეალიზაციის, გაცვლის მიზნით.

თანამედროვე, ცივილიზებულ ბიზნესში ბიზნესმენი ვალდებულია, ფიქრობდეს არა მხოლოდ თავის სარგებელზე, არამედ ბიზნესის სხვა მონაწილეების სარგებელზეც, ეს ეხება როგორც პარტნიორს, ისე დაქირავებულ მუშაკს, მომხმარებელს და სახელმწიფოსაც. თუ ბიზნესში მონაწილე ერთი მხარე ღებულობს სარგებელს მეორე მხარის ზარალის ხარჯზე, ეს ბიზნესი არ არის.

მნიშვნელოვანია, ბიზნესზე საუბრისას დავინახოთ, რომ ბიზნესი სისტემაა და მას ოთხი თვისება ახასიათებს:

• მიზანშეწონილობა;
• მთლიანობა;
• წინააღმდეგობრიობა;
• აქტიურობა.

საგულისხმო გარემოებაა, რომ მეწარმეები არიან როგორც დიდ, ისე მცირე კომპანიებში და მომხმარებლებს საქონლისა და მომსახურების ფართო ასორტიმენტიდან არჩევანის ფორმების საშუალებას აძლევენ. სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივი ფორმები ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, საქართველოში კანონმდებლობით რეგულირდება და მას "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი არეგულირებს. აღნიშნული კანონის თანახმად: სამეწარმეო საქ-მიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

მცირე და საშუალო ბიზნესს მსხვილ საწარმოებთან შედარებით უფრო ელასტიურად შეუძლია ბაზარზე ოპერირება. მათი მხრიდან გაცილებით ოპერატიულად ხდება გადაწყვეტილების მიღება და მათი საქმიანობა არ არის გადატვირთული ბიუროკრატიული ბარიერებით. აღნიშნული საქმიანობა მსხვილი ბიზნესისგან განსხვავებით, არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას და ფაქტობრივად ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის, თუმცა თავად ორგანიზაციული საკითხები, რეგისტრირების ფორმები თუ ლიცენზირებისა და სერტიფიცირების ბარიერები იმდენად გართულებულია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის უდიდესი ნაწილი არალეგალურად ფუნქციონირებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ურთიერთობათა სისტემის, ინსტრუმენტებისა და ფინანსური მექანიზმების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფს საწარმოების რეალურ ფინანსურ მომსახურებას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია საკრედიტო სისტემის და მეწარმეთა ფინანსური მხარდაჭერის სისტემის სრულყოფა დაფინანსებაში ბიზნესის მოთხოვნების სწრაფი დაკმაყოფილების მიზნით.

ფინანსური ლიზინგი უაღრესად ხელსაყრელია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რადგანაც იგი ითვალისწინებს მოიჯარის საქმიანობის ხასიათის თავისებურებებს (სეზონურობა, ციკლურობა და ა.შ.), ზრდის მის ოპერაციათა დაფინანსების მოცულობას, აძლევს მას მნიშვნელოვან საგადასახადო უპირატესობებს (იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები არ აღირიცხება საბალანსო ანგარიშებში აქტივების სახით, აგრეთვე, საარენდო შენატანები არ იბეგრება, საერ-თაშორისო კანონმდებლობით ლიზინგის ფორმირთ შემოტანილი მოწყობილობები თავისუფალია საბაჟო გადასახადისგან).

მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ბიზნესის ხელშეწყობის აბსტ-რაქტული პოლიტიკის ტრანსფორმირება მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ხელშეწყობის კონკრეტულ პოლიტიკაზე.

ქართული მცირე საწარმოების ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში განსაკუთერბული როლი განეკუთვნება სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის ქმედებების გან-ხორციელებას. ამ მიზნით მთავრობამ უნდა გაატაროს ეფექტიანი პოლიტიკა, რაც გულისხმობს სწრაფად მზარდ მცირე საწარმოთა ინტერნაციონალიზაციის საჭიროებაში გათვითცნობიერების ხელშეწყობას.

მეწამეობრივი უნარების გაზრდის მიმართულებით დიდი წვლილის შეტანა შეუძლია არა-სამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ქართულ ბიზნესს დღეს ესაჭიროება პრაქტიკული ტრენინგები, ხელმისაწვდომი ბზნესკონსულტაციები და ინფორმაცია საბაზრო შესაძ-ლებლობების შესახებ.

**დასკვნა**

დღევანდელ საქართველოში მრავალი მიზეზი არსებობს, რაც ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის ფინანსურ რესურსებს ეკონომიკის რეალური სექტორისათვის, განსაკუთრებით კი მცირე საწარმოებისათვის. ეს მიზეზებია: კრედიტების აუცილებელი უზრუნველყოფის უქონლობა. სასესხო პროცენტის მაღალი განაკვეთები. გრძელვადიანი კრედიტების დაბალი ხვედრითი წილი. გარან-ტიებისა და გირაოს უქონლობა და სხვ.

აუცილებელია მოგვარდეს საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის სპეციალური რეჟიმებთან დაკავშირებული პრობლემები საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით. ბუნდოვანია მიკრო ან მცირე ბიზნესისათვის დაწესებული ერთობლივი შემოსავლის ზღვრული ოდენობების კონტროლის მექანიზმები იმ პირობებში, როცა მცირე და მიკრობიზნესის წარმომადგენლები საბუღალტრო

დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოებისაგან, ხოლო მიკრო ბიზნესის სტატუსის მრავალი მფლობელი სალარო-აპარატების გამოყენებისგანაც იქნება გათავისუფლებული.

მცირე საწარმოს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას წარმოადგენს ის, რომ მას შეუძლია დიდ მასშტაბებში "შთანთქას" დაუსაქმებელი მუშახელი, რომელიც გამოთავისუფლებულია მსხვილი საწარმოებიდან, შეამციროს ან განმუხტოს ეკონომიკური კრიზისის თუ ვარდნის პირობებში წარმოქმნილი სოციალური დაძაბულობა. ამდენად, ნებისმიერი რეფორმისა თუ ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი სწორედ სამეწარმეო აქტივობის გამოცოცხლება უნდა იქცეს, რომლის "ლომის წილი" მცირე და საშუალო ბიზნესგანვითარებაზე მოდის.

ამრიგად, მივიჩნევთ, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, საშუალო კლასის ჩამოყალიბება, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის და პოლიტიკური სტაბილურობის ხელშეწყობა და მწვავე სოციალური პრობლემის გადაჭრა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბესაძე რ., კაკულია ე., მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2008.
2. ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეჩბაია ბ., მესხიშვილი დ., თანამედროვე ბიზნესსტრატეგიები, გამომცემლობა "უნივერსალი", 2011.
3. ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები. გამომცემლობა "უნივერსალი", 2012.
4. ერქომაიშვილი გ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2013.

***Ketevan Kokaia***

**SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESS FINANCING IN GEORGIA**

**Summary**

Development of small and medium-sized business is one of the priority task for the economy of Georgia. Within the conditions of market economy, precisely this type of business creates a competitive environment, which provides increasing of the production quantity and service quality for the customers. For the purpose of application of the full potential of small business in economics, it is imperative to have access to financial resources, that will give opportunity to small and medium-sized business enterprises to carry out entrepreneurial activities actively and effectively.

***ილია კოჟორიძე***

**საქართველოს სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოლიტიკა**

***ანოტაცია.*** *სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო საქმიანობა უშუალოდ არ არის კავშირში დაზღვევასთან, რადგან ამ შემთხვევაში ხდება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების, სადაზღვევო რეზერვების ინვესტირება შემოსავლების მიღების მიზნით. საინვესტიციო საქმიანობის შედეგად ფინანსურ აქტივებში ინვესტირება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თავად სადაზღვევო კომპანიის ფინანსური სტაბილურობა და ასევე, ფულადი ნაკადები ვადიანობის თვალსაზრისით შეესაბამებოდეს ვალდებულებებს. საქართველოს სადაზღვევო კომპანიები უპირატესობას ანიჭებენ საკრედიტო ინსტიტუტებში განთავსებულ დეპოზიტებს, საიდანაც საინვესტიციო შემოსავლების დაახლოებით 75% მიღებულ იქნა 2019 წელს. განვითარებულ ქვეყნებში სადაზღვევო კომპანიების უმეტესობაში საინვესტიციო პორტფელში 50%-ზე მეტი ობლიგაციებს უჭირავს. ინვესტიციების განხორციელების ერთ-ერთი პრინციპის _ დივერსიფიკაციის პრინციპიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა საქართველოს სადაზღვევო კომპანიებმა რეზერვების ნაწილი განათავსონ ფასიან ქაღალდებშიც, რადგან ამის შესაძლებლობას კანონმდებლობა იძლევა, მათ აქვთ უფლება, სადაზღვევო რეზერვების არაუმეტეს 50% განათავსონ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ცენტრალური ხელისუფლების და მუნიციპალიტეტების მიერ გამოშვებულ ობლიგაციებში.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სადაზღვევო კომპანია, საინვესტიციო პოლიტიკა, საინვესტიციო პორტფელი, სადაზღვევო რეზერვები.*

## შესავალი

სადაზღვევო კომპანიები ეკონომიკაში ინვესტიციების მნიშვნელოვანი წყაროა. ეს გამომდინარეობს დაზღვევის ბუნებიდან, რადგან სადაზღვევო კომპანიებს უჩნდებათ დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებები სადაზღვევო შენატანებიდან. დროის გარკვეულ პერიოდში მათ საკმაოდ დიდი ოდენობის სახსრების განკარგვის საშუალება აქვთ და შეუძლიათ მიიღონ მნიშვნელოვანი შემოსავალი. სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სტაბილურობისა და დამზღვევთა უფლებების უზრუნველსაყოფად სახელმ-წიფო არეგულირებს სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოლიტიკას. საქართველოში სადაზღვევო კომპანიები ვალდებულნი არიან შეიმუშაონ საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მათ ფინანსურ მდგრადობას, ასევე მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას. ამისათვის ინვესტირება უნდა განხორციელდეს აქტივების დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, მომგებიანობისა და ლიკვიდურობის პრინციპების საფუძველზე.

***

ზოგადად, სადაზღვევო კომპანიების მიერ სადაზღვევო პრემიის მიღებასა და სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას შორის არსებობს გარკვეული დროის პერიოდი. ამ პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო პრემიები ინვესტირდება ფინანსურ აქტივებში. იდეალურ შემთხვევაში აღნიშნული ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი ნაკადები ახლოსაა ვალდებულებების გადახდასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებთან, მაგრამ პრაქტიკაში ამის განხორციელება ვერ ხერხდება ორი ძირითადი მიზეზის გამო. ერთ-ერთი მიზეზი არის სიმწიფით და ფულადი ნაკადებით ისეთი აქტივების პოვნა, რომლებიც ვალდებულებებთან არის ახლოს. ასევე შესაძლებელია სადაზღვევო კომპანიებმა აიღონ უფრო დიდი რისკი რათა გაზარდონ მოსალოდნელი უკუგებები. ამის შედეგად ისინი კომპანიები აქტიურად მონაწილეობენ კაპიტალისა და ფულის ბაზრებში.

ვალდებულებების შესრულების კონტექსტში სადაზღვევო კომპანიები დგანან საპროცენტო რისკის წინაშე, როდესაც არსებობს შეუსაბამობა აქტივებისა და ვალდებულებების ფულად ნაკადებს შორის. საპროცენტო რისკი ძირითადად დამახასიათებელია ობლიგაციების ფლობის დროს.

როდესაც საპროცენტო განაკვეთები იზრდება სადაზღვევო კომპანიებზე ახდენს შემდეგ გავლენას:

- პორტფელის გადაფასების ეფექტები. როდესაც საპროცენტო განაკვეთები იცვლება, იცვლება ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების საბაზრო ღირებულება, რომლებიც მგრძნობიარენი არიან საპროცენტო განაკვეთების მიმართ. საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისადმი უფრო მეტად მგრძნობიარეა არიან გრძელვადიანი ობლიგაციები და ვალდებულებები, ვიდრე მოკლევადიანი.
- რეინვესტირების ეფექტი. სადაზღვევო კომპანიები ასევე დამოკიდებულნი არიან ობლიგაციების საკუპონო გადახდებზე, რომლებიც ვალდებულებებს უნდა შეესაბამებოდეს ვადიანობით.
- შეფერხების მაჩვენებლები. საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს პოლისის მფლობელთა ქცევაზე, საპროცენტო განაკვეთების გაზრდა პოლისის მფლობელებს უბიძგებს, გააუქმონ პოლისები და ახალი საინვესტიციო ალტერნატივები მოძებნონ, მაშინ როცა საპროცენტო განაკვეთების შემცირება საპირისპირო შედეგს გვაძლევს[6].

თითქმის ყველა ქვეყანაში კერძო სადაზღვევო კომპანიები რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. ზოგიერთ ქვეყანაში კონტროლი არის ძალიან სუსტი, ხოლო სხვაგან გამოიყენება უფრო დეტალური და მკაცრი კონტროლი.

1972 წელს აქტუართა მე-19 საერთაშორისო კონფერენციაზე ძირითადი სადისკუსიო თემა იყო ,,სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა კერძო სადაზღვევო ინდუსტრიაში". დისკუსიის საფუძვლები მოიცავდა 300 გვერდიან დოკუმენტს, რომელშიც წარმოდგენილი იყო აქტუართა ეროვნული საზოგადოებების მიერ ანგარიშები 30 ქვეყნიდან. ანგარიშები მიუთითებდა, რომ სახელმწიფო ზედამხედველობის მიზნები მნიშვნელოვნად არ იცვლებოდა ქვეყნების მიხედვით, მაგრამ მიზნების მიღწევის საშუალებები განსხვავებული იყო.

სადაზღვევო ინდუსტრიის სახელმწიფო ზედამხედველობის ძირითად მიზნად დასახელდა მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ხოლო მეორეული მიზანი იყო გაკონტროლებულიყო სადაზღვევო კომპანიების საქმიანობა, როგორც ფინანსური ინსტიტუტებისა.

მომხმარებელთა უფლებების დასაცავად სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს წესები, რომლებიც შეგვიძლია დავყოთ ორ ჯგუფად:

1) წესები შექმნილი იმისათვის, რომ საზოგადოებისთვის შეთავაზებული სადაზღვევო კონტრაქტები იყოს სამართლიანი.

2) წესები, რომლებიც უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობას. მთავარი მომენტი აქ არის ის, რომ სადაზღვევო კომპანიამ შეძლოს აღებული ვალდებულებების შესრულება[4].

დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის დაზღვევის ძირითადი პრინციპების მე-15 პრინციპი ეხება ინვესტიციებს. აღნიშნული პრინციპის მიხედვით დაზღვევის ზედამხედველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პორტფელში:

- აქტივები საკმარისად იყოს დაცული;
- პოლისის მფლობელებისა და კრედიტორებისთვის გადახდები განხორციელდეს მათი გაკოტრების შემთხვევაში;
- აქტივები ადეკვატურად იყოს დივერსიფიცირებული[8].

ევროპარლამენტის 2009 წლის 138-ე დირექტივის მე-6 თავის მე-6 სექციაში საუბარია სადაზღვევო კომპანიების ინვესტიციებზე. ამ დირექტივის მიხედვით სადაზღვევო კომპანიებმა უნდა განახორციელონ ინვესტიციები მხოლოდ ისეთ აქტივებსა და ინსტრუმენტებში, სადაც შესაძლებელი იქნება ინვესტიციის რისკის იდენტიფიკაცია, გაზომვა, მონიტორინგი, მართვა, კონტროლი და ანგარიშგება. სადაზღვევო კომპანიის აქტივები იმგვარად უნდა ინვესტირდეს, რომ მთლიანი საინვესტიციო პორტფელი იყოს უსაფრთხო, ხარისხიანი, ლიკვიდური და მომგებიანი. სადაზღვევო რეზერვებისთვის განკუთვნილი სახსრები ასევე იმგვარად უნდა ინვესტირდეს, რომ იგი ვალდებულებებთან მიმართებაში ვადიანობის მიხედვით შესაბამისი იყო. ასევე აუცილებელია კანონით დაშვებულ შემთხვევებში სადაზღვევო კომპანიებს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებაში ჰქონდეთ დამოუკიდებლობა[5].

საქართველოში ბოლო სამი წლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო შემოსავალი მზარდი ტემპებით ხასიათდება. 2017 წელს სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო შემოსავალმა შეადგინა 9,2 მლნ ლარი, 2018 წელს _ 15,3 მლნ და 2019 წელს 19,6 მლნ ლარი[3].

საინვესტიციო შემოსავლების სტრუქტურაში ტრადიციულად პირველ ადგილს იკავებს საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები. 2019 წელს საინვესტიციო შემოსავლების 75% მიღებულ იქნა საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტებიდან _ 14,7 მლნ ლარი, შვილობილ კომპანიებში განთავსებული ინვესტიციებიდან 13,3%, შემოსავალი _ 2,6 მლნ ლარი, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა გაცემულმა სესხებმა, საიდანაც მთლიანი საინვესტიციო შემოსავლის 7,1% იქნა მიღებული. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მეკავშირე კომპანიებში განთავსებული ინვესტიციებიდან სადაზღვევო კომპანიებს უფიქსირდებათ ზარალი, 2019 წელს მისმა მნიშვნელობამ 0,2 მლნ ლარი შეადგინა.

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ 2016 წელს მოდიფიცირება გაუკეთა სტატისტიკური ანგარიშგების ფორმას, რათა უფრო დეტალურად ეჩვენებინა სადაზღვევო კომპანიების ინვესტიციების განაწილება. ცვლილებები მოიცავდა ახალ კატეგორიებს, რომელთა მეშვეობითაც უკეთ მოხდებოდა სადაზღვევო კომპანიების აქტივების განაწილება და საინვესტიციო სტრატეგიის განვითარება. სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება სიცოცხლის დაზღვევის, არასიცოცხლის დაზღვევის და კომპოზიტური დაზღვევის კომპანიებისთვის.

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის წევრ ქვეყნებში 2018 წელს სიცოცხლის დაზღვევის კომპანიების უმეტესობაში საინვესტიციო პორტფელის ნახევარზე მეტი განათავსეს ობლიგაციებში. 39 ქვეყნიდან 28 ქვეყანაში სიცოცხლის დაზღვევის კომპანიებმა ინვესტიციების 50%-ზე მეტი განახორციელეს ობლიგაციებში. აქედან სამ ქვეყანაში: კანადაში, მექსიკასა და საბერძნეთში საინვესტიციო პორტფელის 90%-ზე მეტი ობლიგაციებში იქნა განთავსებული. საბერძნეთსა და მექსიკაში ობლიგაციების უმეტესობას შეადგენდა საჯარო ობლიგაციები, ხოლო კანადაში - კერძო. ინვესტიციები ხორციელდებოდა ასევე აქციებსა და კოლექტიურ საინვესტიციო სქემებში.

არასიცოცხლის დაზღვევის კომპანიებისთვისაც საინვესტიციო შემოსავლების სტაბილურ წყაროს წარმოადგენს ობლიგაციები. 46 ქვეყნიდან 29-ში არასიცოცხლის დაზღვევის კომპანიებში საინვესტიციო პორტფელის ნახევარზე მეტი შეადგინა ობლიგაციებმა. ზოგიერთ ქვეყანაში უპირატესობას ანიჭებენ აქციებს და დეპოზიტებს.

კომპოზიტური სადაზღვევო კომპანიები სთავაზობენ როგორც სიცოცხლის დაზღვევის, ასევე არასიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პროდუქტებს. კომპოზიტური სადაზღვევო კომპანიების შემთხვევაშიც უპირატესობა ენიჭება ინვესტიციების განხორციელებას ობლიგაციებში. 27 ქვეყნიდან 22-ში კომპოზიტური დაზღვევის კომპანიებმა საინვესტიციო პორტფელის ნახევარზე მეტი ობლიგაციებში განათავსეს[7].

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 24 დეკემბრის N4 ბრძანებით ,,სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივებისა და მათი სტრუქტურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ სადაზღვევო რეზერვების დასაფარად შესაძლებელია

გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები ან/და მათი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები. ჯამში ამ ორი კომპონენტის ინვესტიციები არ უნდა აღემატებოდეს ინვესტიციებისთვის გამოყოფილი სადაზღვევო რეზერვების 50%-ს.

## დასკვნა

სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოლიტიკას. სადაზღვევო კომპანიები გარკვეული პერიოდის განმავლობაში განკარგავენ პოლისის მფლობელთა სახსრებს და იღებენ მნიშვნელოვან შემოსავლებს. იმისათვის, რომ საინვესტიციო პოლიტიკამ ეფექტიანად შეძლოს ფუნქციონირება, იგი უნდა ითვალისწინებდეს ფულადი ნაკადების მიხედვით შესაბამისობას აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, ასევე ისინი უნდა ხორციელდებოდეს დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, სარგებლიანობის და ლიკვიდურობის პრინციპების დაცვით. თუ საქართველოში სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პორტფელში უპირატესობა ენიჭება საკრედიტო ორგანიზაციებში განთავსებულ დეპოზიტებს, სადაც საინვესტიციო შემოსავლების დაახლოებით 75% იქნა მიღებული 2019 წელს, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში ძირითადად ობლიგაციებს იყენებენ საინვესტიციო ალტერნატივად. ინვესტიციების განხორციელების ერთ-ერთი საკვანძო პრინციპის, დივერსიფიკაციის პრინციპის მიხედვით უმჯობესი იქნება, საქართველოს სადაზღვევო კომპანიებმა მოახდინონ თავიანთი საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაცია და განათავსონ ობლიგაციებშიც, რაც შექმნის უფრო მდგრად ფინანსურ გარემოს მათი ფუნქციონირებისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ., სადაზღვევო საქმე, თბ., 2012.,
2. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის ბრძანება N4 „ სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივებისა და მათი სტრუქტურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“, თბილისი, 2013.,
3. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სადაზღვევო ბაზრის 2017, 2018 და 2019 წლების ფინანსური მაჩვენებლები.
4. Borch, K. (1974). Capital Markets and the Supervision of Insurance Companies. The Journal of Risk and Insurance*, 41*(3), 397-405.
5. Directive 2009/38/EC of the European parliament and the Council of 25 November 2009 on the Taking up and pursuit of the business insurance and reinsurance (Solvency 2) https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:02009L0138-20190113&from=EN;
6. Global Insurance Market Report, IAIS 2019.
7. Global Insurance Market Trends, OECD 2019 https://www.oecd.org/daf/fin/insurance/Global-Insurance-Market-Trends-2019.pdf;
8. Insurance Core Principles and Common Framework for the Supervision of Internationally Active Insurance Groups, IAIS https://www.iaisweb.org/page/supervisory-material/insurance-core-principles-and-comframe//file/89885/iais-icps-and-comframe-adopted-in-november-2019.



***Ilia Kozhoridze***


## GEORGIAN INSURANCE COMPANIES' INVESTMENT POLICY


**Summary**

Insurance companies' invests is not directly related to insurance, because at this time they invest temporary free assets which are insurance reserves. While investing in financial assets insurance companies should provide both, their financial stability and the closely match between cash flows of these financial assets and liabilities. In Georgia insurance companies prefer to invest in deposits and cash, where 75% of total investment revenue is generated. In developed countries the majority of insurance companies prefer investing in bonds. If we take into account on of the investment rules- diversification, it would be better and efficient if Georgian insurance companies invest some of their insurance reserves in bonds, because our legislation allows them to make invest in OECD countries' federal and municipal bonds, no more than 50% of total insurance reserves.

*თამარ ლაზარიაშვილი*

# სადაზღვევო ბაზარი და აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები

***ანოტაცია.*** *სტატიაში შესწავლილია სადაზღვევო ბაზარი და აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები, შეფასებულია სახელმწიფოს როლი აგროსასურსათო ბიზნესის განვითარებაში, შესაბამისი მეთოდების გამოყენებით გამოვლენილია აგრობიზნესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები და მოცემულია მათი გადაჭრის გზები, განხილულია აგროდაზღვევის სფეროში არსებული პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ბაზრის განვითარებას.*

*სტატიაში დასაბუთებულია სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიების კოორდინაციით საკანონმდებლო აქტების შემუშავების, კადრების მომზადება-გადამზადების, ბაზრის მონოპოლიისაგან დაცვის, კომპანიების მოზიდული სახსრების ინვესტირებისათვის საფონდო ბაზრის განვითარების და სხვათა აუცილებლობა. აგროდაზღვევის ამოქმედება სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ გაზრდის საფინანსო ინსტიტუტების ინტერესს და ფერმერისათვის ხელმისაწვდომი გახდება ფინანსური რესურსი. ნაშრომში სადაზღვევო ბაზრის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები აგრობიზნესში სადაზღვევო ბაზრის განვითარების აუცილებლობის შესახებ და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *აგრობიზნესი, სადაზღვევო ბაზარი, აგროდაზღვევა, რისკის კონტროლი.*

აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებაა. საქართველოს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი აქვს. შესაძლებელია დღევანდელი ფერმერული და აგროინდუსტრიული წარმოების ხუთჯერ გაზრდა. სოფლის მეურნეობის განვითარებას ძალზე დადებითი სოციალური შედეგებიც მოჰყვება. ამდენად, ამ სექტორის შემდგომი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ისე სტაბილურობისთვის. სოფლის მეურნეობის სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში მთლიანობაში სოფლის ცხოვრების განვითარების სტიმულირებაში. ზოგადად, ამ პროცესის მართვას ორი წინაპირობა სჭირდება: ა)სოფლის მეურნეობა მჭიდროდ უნდა იყოს ინტეგრირებული ადგილობრივ ეკონომიკასა და საზოგადოებასთან; ბ) შესაბამისად დამყარებული მჭიდრო ინტეგრაციული კავშირების დახმარებით, სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი გავლენა უნდა ჰქონდეს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების პროცესებზე (Kharaishvili E., 2015). საქართველოს აქვს რეალური შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვნად გაზარდოს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება. სოფლის მეურნეობაში დაზღვევის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად უამრავი ფერმერი, რომელთათვისაც მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შემოსავლის ერთადერთი წყაროა, სხვადასხვა სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის გამო მთელი წლის შემოსავალს კარგავს.

2004-2018 წლებში საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შედეგად ქვეყანამ საგრძნობი ეკონომიკური ზრდა განიცადა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიზნეს გარემო. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) საშუალოდ 7%-ით გაიზარდა. ამის მიუხედავად, ქვეყანა კვლავ დიდი გამოწვევების წინაშე დგას: უმუშევრობის მაღალი დონე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დაბალი მაჩვენებელი, სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე თვითდასაქმებულთა დაბალი პროდუქტიულობა, სიღარიბე (განსაკუთრებით რეგიონებში, სოფლად) და ა.შ. აგრობიზნესის განვითარება დღეს საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსახლეობის 42.8% (1,591.9 ათასი ადამიანი) სოფლად ცხოვრობს (2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) ხოლო მოსახლეობის 48.6% ამ დარგშია დასაქმებული. 2017 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 9.1%-ს შეადგენს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

ბაზრის ფუნქციონირებას მუდმივად თან ახლავს განუსაზღვრელობა. აღნიშნულის გამო აგრობიზნესის განვითარება გარკვეულ რისკფაქტორებზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ ის ძირითადი მიკროეკონომიკური რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს აგრობიზნესის განვითარებაზე. მათ მიეკუთვნება: საკუთრების ფორმა, ფირმის წილი ბაზარზე, ფირმის ფინანსური მდგომარეობა, ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული რისკები, მოსახლეობის შემოსავლები, სიღარიბის დონე, ინვესტიციური მიმზიდველობა, საკადრო პოტენციალი, ინოვაციური პოტენციალი, წარმოების ორგანიზაცია და სხვა. ცალკე უნდა შეფასდეს ფინანსური, საკრედიტო და კონკურენტული რისკები. რისკებს შორის, ასევე, გასათვალისწინებელია: ბიზნესსაქმიანობის მცირე გამოცდილება, მეწარმეობრივი უნარების განვითარების დაბალი დონე და სხვა. მიკროეკონომიკური რისკების შეფასებისას აუცილებელია გარესამეწარმეო ფაქტორების გათვალისწინება (საკანონმდებლო ბაზა, ეკონომიკური

პოლიტიკის მიმართულებები, კონიუნქტურის ცვლილება და სხვა). ნებისმიერი მეწარმისთვის აუცილებელია სარისკო ალტერნატივებისა და სიტუაციების საფუძვლიანი ანალიზი და რისკების მართვის ძლიერი სისტემის შექმნა. რისკებისგან სამეწარმეო საქმიანობის დაცვის საუკეთესო საშუალებაა სწორი ანალიზი, სიტუაციის მართებული შეფასება და ჩამოყალიბებული სამეწარმეო საქმიანობის დაზღვევის მექანიზმის გამოყენება.

აგრობიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვანია ახალი მომხმარებლის მოზიდვა არსებულ და ახალ ბაზრებზე პროდუქტის ცნობადობისა და რეპუტაციის დამკვიდრების გზით. მომხმარებლის მოზიდვა პირდაპირ კავშირშია გაყიდვების ზრდის შესაძლებლობასთან. კონკურენტული რისკების შეფასების დროს გასათვალისწინებელია საწარმოებისა და ინდივიდუალური შემოსავლების დონე. დაბალი შემოსავლები, სიღარიბის მაღალი დონე უარყოფითად აისახება წარმოების ფაქტორთა და პროდუქტების მოთხოვნაზე. გამოკვლევებით, კონკურენტულ რისკფაქტორთა შორის დასახელებულია: საკრედიტო რესურსების სიმცირე, საგადასახადო სისტემა, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, პროდუქტების იმპორტი, არასამართლიანი კონკურენცია (ლაზარიაშვილი თ., 2018).

აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ძლიერი ფაქტორი არის სიღარიბის მაღალი დონე სოფლად. სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა ხელფასები კი ქვეყანაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის მხოლოდ 64%-ს შეადგენს. ამასთან, გამოკითხვები ცხადყოფს, რომ ბოლო წლებში სიღარიბის დონის შემცირებისა და კეთილდღეობის ამაღლების მხრივ თითქმის არაფერი შეცვლილა. ქალაქსა და სოფელს შორის შემოსავლების განსხვავება ძალიან დიდია. სასურველია, სახელმწიფოს მხრიდან შემუშავდეს შესაბამისი პროექტები, წახალისდეს აგრობიზნესის სფეროს საქმიანობები, შეიქმნას სასაწყობო მეურნეობები (ლაზარიაშვილი თ., 2015).

აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას ფერმერები და მოახდინოს შემოსავლების სტაბილიზაცია ისე, რომ ფერმერების აქტივობები წლების განმავლობაში გრძელდებოდეს მათი ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით (სიმონია თ., 2016).

აგროდზაღვევა სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას დაეხმარება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალი საგრძნობლად შეამციროს, რაც სტაბილურს გახდის მათ შემოსავლებს (ლაზარიაშვილი თ., 2017).

საქართველოს 300 ათასი ფერმერიდან აგროდაზღვევით 16 ათასამდე ადამიანი სარგებლობს. მთლიანობაში, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამას ფერმერების მხოლოდ 5 % იყენებს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ცნობით, 2016 წელს 2014 წელთან შედარებით, აგროდაზღვევით 5 000 ბენეფიციარით ნაკლები სარგებლობდა, ბენეფიციარების შემცირება კი სახელმწიფო სუბსიდიის კლებამ გამოიწვია, თუმცა მიზეზებს შორის ექსპერტები აგროდაზღვევის შესახებ ფერმერების ინფორმირებულობის დაბალ დონესა და ზარალის შეფასების სისტემის გაუმართაობაზე მიუთითებენ („რადიო თავისუფლება“).

სადაზღვევო კომპანიები მსხვილ ფერმერებთან ამჯობინებენ, ურთიერთობას რომელთა რაოდენობა საქართველოში ძალზე მცირეა საკრედიტო ბაზრის მსგავსად, ამ სექტორშიც სახელმწიფოს ჩარევა დიდ სიფრთხილესთან არის დაკავშირებული. უმჯობესია, ყველა სადაზღვევო პროდუქტი მომხმარებელს კვლავინდებურად კერძო სადაზღვევო კომპანიებმა შესთავაზონ. თუმცა, სახელმწიფოს შეუძლია გააძლიეროს ფერმერების ინფორმირება სადაზღვევო სისტემის მახასიათებლებისა და უპირატესობების შესახებ, რათა გაიზარდოს დაზღვეულთა რაოდენობა და შემცირდეს სადაზღვევო პრემიები ფერმერთათვის.

2018 წელს აგრობიზნესის სექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვება 2.3%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მონაცემს. აგროსასურსათო სექტორის წილი ქვეყანაში შექმნილ მთლიან შიდა პროდუქტში, 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, 15.8 %-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი 2012 წელს 14.6 %-ს შეადგენდა.

აგრობიზნესის განვითარება ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაციას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და იწვევს სექტორის განვითარების მოდელების ცვლილების საჭიროებას (Kharaishvili E., 2018). აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებაა. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს აგროსფეროში არსებულ რისკებს და ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის დაკრედიტების მოცულობის ზრდას. ამრიგად, საერთაშორისო გამოცდილებისა და საქართველოს აგრარულ ბაზარზე დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს აგრობიზნესში კონკურენტული რისკების შემცირებაში. ამისათვის საჭიროა რეგულირდებოდეს სტრატეგიული და ადმინისტრაციული საკითხები: სტატისტიკური მონაცემების შექმნა ცალ-ცალკე აგროზონებზე, რაშიც ადგილობრივი ორგანოების ჩართულობაა საჭირო; ფერმერებისათვის ტრენინგების ჩატარება და მათთვის კონსულტაციების გაწევა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობა; სათესლე,

საწამლი თუ სასუქი მასალის ხარისხის კონტროლზე აყვანა; აგროდაკრედიტების გაიოლებისა და გაიაფების ხელშეწყობა და ა.შ.

COVID-19-ის საქართველოს აგრობიზნესზე გავლენის შესაფასებლად საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ კვლევა ჩაატარა. გამოკითხული ფერმერებისა და აგრობიზნესის წარმომადგენელთა 60% თანხმდება იმაზე, რომ ისინი ვერ შეძლებენ პროდუქტების გაყიდვას, რადგან სასტუმრო-კაფე-რესტორნები დაიხურა. ფერმერების ნახევარზე მეტი აცხადებს, რომ ტრანსპორტის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო წარმოებული პროდუქტის რეალიზაცია გართულებულია. გარდა ამისა, რესპონდენტების 35% ამბობს, რომ ახალი სესხის აღება გაძნელდება. კვლევაში მთელი საქართველოდან 175-მა ფერმერმა მიიღო მონაწილეობა. მათგან 45 კახეთიდანაა (ალადაშვილი გ., 2020).

აგროდაზღვევის მიმართ უნდობლობის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესახებ დამზღვევთა (ფერმერთა) ინფორმირებულობის ამაღლება (ვერულავა თ., ობგაიძე ნ., 2015).

სადაზღვევო კომპანიებსა და დამზღვევებს შორის არსებული სადავო საკითხების არსებობისას მიზანშეწონილია მედიაციის სამსახურის ამოქმედება, რომელიც შეძლებს დაიცვას დამზღვევთა უფლებები. იმის გამო, რომ სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიები სხვადასხვა სადაზღვევო პირობებს სთავაზობენ დამზღვევებს, მიზანშეწონილია ინფორმაციის გამჭვირვალობის ამაღლება, რომ დამზღვევმა მიიღოს სათანადო, ამომწურავი ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიების მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პირობების შესახებ. იგი ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას, რაც დადებითად იმოქმედებს დამზღვევის მიერ მისთვის სასურველი სადაზღვევო კომპანიის თავისუფალი არჩევის უფლებაზე. ერთ-ერთი დიდი პრობლემა აგროსაშუალებებზე ხელმიუწვდომლობაა. შხამქიმიკატების უმეტესობა იმპორტირებულია, არსებული შეზღუდვების ფონზე მათი შემოტანა გაძნელდა და, ამავდროულად, გაიზარდა ფასები, რადგან გაუფასურდა ეროვნული ვალუტა. ბანკების მიერ სესხების გაცემა მნიშვნელოვნად არის შემცირებული, ამიტომ ფერმერების ნაწილს არა აქვს თანხა საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ქვეყანაში დაწესებულმა შეზღუდვებმა წარმოშვა, ადგილობრივი ბოსტნეულის რეალიზაციაა. ფერმერთა ასოციაცია გადაწყვეტილების მიმღებ პირებს რეკომენდაციით მიმართავს, დროულად მოიძებნოს ბოსტნეულის გასაღების ალტერნატიული ბაზრები, ფერმერებზე გაიცეს იაფი ან უპროცენტო სესხები; უზრუნველყოფილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სერვისებზე წვდომა, მათ შორის, სათესლე მასალასა და მცენარეთა დაცვის საშუალებებზე; დაინერგოს საგრანტო პროექტები მეცხოველეობის დარგის განვითარებისთვის; დაწესდეს საგადასახადო შეღავათები და ასე შემდეგ. საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის სოფლისა და სოფლის მეურნეობის დახმარების პაკეტის ფარგლებში იგეგმება შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- შეღავათიან აგროკრედიტში (იაფი აგროსესხი) დაგეგმილი ცვლილებები:

ა) ,,ძირითადი საშუალებების თანადაფინანსება გაიზარდა 8%-დან 11%-მდე, ხოლო აგროლიზინგის 9%-დან 12%-მდე;

- „აგროდაზღვევის“ პაკეტის შეძენა ფერმერისათვის ერთწლიანის ნაცვლად გახდება 3წლიანი;
- განახლდება „აგროწარმოების სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას და დახურულ გრუნტში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების ზრდის ხელშეწყობას (დაფინანსდება ტრაქტორების შეძენა, სათბურებისა და სარწყავი სისტემების მოწყობა);

აგროდაზღვევის ამოქმედება ფერმერულ მეურნეობაში გაზრდის საფინანსო ინსტიტუტების ინტერესსა და ნდობას, ფერმერისათვის ხელმისაწვდომი გახდება ფინანსური რესურსები, რაც ხელს შეუწყობს დარგის სტაბილურ განვითარებას. ქვეყანაში აგროდაზღვევის ბაზარზე წვდომა გამოიწვევს ახალი ტერიტორიების დაფარვას. საჭიროა სახელმწიფომ აიღოს ვალდებულება, დააზღვიოს ფერმერების რისკების დასაზღვევად და სადაზღვევო კომპანიების სუბსიდირებისათვის. განვითარებისკენ მიმართული მიდგომა უნდა აერთიანებდეს კომპლექსურ და სტრატეგიულ მეთოდებზე დაფუძნებულ სპეციალურ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სოფლად მცხოვრებთა ყოფა და ამავდროულად, უკეთ იქნება დაცული კულტურული მემკვიდრეობა და ბუნებრივი გარემო.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ალადაშვილი გ., „რა გავლენას ახდენს COVID-19 სოფლის მეურნეობაზე“, 13 აპრილი, 2020, https://www.radiotavisupleba.ge/a/30551321.html.

2. ვერულავა თ., ოზგაიძე ნ., „აგროდაზღვევის მნიშვნელობა და მისი ძირითადი ფუნქციები“, ჟურნალი ,,ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა’’, N1, თბილისი, 2015, www.hepoins.com.
3. ლაზარიაშვილი თ., „აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები საქართველოში“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 10-11 ივლისი, 2015.
4. ლაზარიაშვილი თ., „კონკურენტული რისკები აგრობიზნესში და მისი შემცირების გზები“, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, საქართველო, თბილისი 26-27 ოქტომბერი, 2018.
5. ლაზარიაშვილი თ., „სადაზღვევო ბაზარი და მისი განვითარება საქართველოს აგრარულ სექტორში“, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ 3-4 ნოემბერი, თბილისი, 2017.
6. „რადიო თავისუფლება“, https://www.radiotavisupleba.ge/.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge.
8. სიმონია თ., „სადაზღვევო ბიზნესის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“, ავტორეფერატი, თბილისი, 2016.
9. Kharaishvili E., „Farm Diversification and the Corresponding Policy for its Implementation in Georgia“, World Academy of Science, Engineering and Technology, International Science index 101, International Journal of Social, Education, Economics and Management Engineering 9(5), 2015.
10. Kharaishvili E., „The Impact of Preferential Agro Credit on the Development of Agribusiness in Georgia“, 2018. ECOFORUM. Volume 7, Issue 1(14), 2018.

***Tamar Lazariashvili***

**INSURANCE MARKET AND AGRIBUSINESS DEVELOPMENT POSSIBILITIES**

**Summary**

The article studies the insurance market and agribusiness development opportunities, assesses the role of the state in the development of agri-food business, identifies the factors that hinder the development of agribusiness using appropriate methods, and discusses ways to solve them.

The article substantiates the need for the development of legislative acts in coordination with the state and insurance companies, training and retraining of personnel, protection of the market from monopoly, investment of companies attracted by funds, development of the stock market and others. The implementation of agro-insurance will increase the interest of financial institutions in the agricultural sector and make financial resources available to farmers. Based on the analysis of the insurance market, the paper draws conclusions about the need to develop the insurance market in agribusiness and offers relevant recommendations.

***Keywords***: *agribusiness, insurance market, agro insurance, risk control.*

*ბაბულია მღებრიშვილი*
*მ. ბიჭიკაშვილი*

## ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულება სოციალურ ქსელებზე (Facebook-ის მაგალითზე)

***ანოტაცია.*** *თანამედროვე ადამიანების ცხოვრებაში ვირტუალურმა ურთიერთობებმა დიდი ადგილი დაიკავა, რაშიც მნიშვნელოვან როლს სოციალური ქსელები, მათ შორის Facebook, ასრულებს. აღნიშნული სოციალური ქსელი ადამიანთა უმრავლესობისთვის, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ადამიანები ისე გახდნენ Facebook-ზე დამოკიდებულები, რომ ეს ვერც კი გაიაზრეს. სტატიის ავტორების აზრით, „Facebook-ზე მიჯაჭვულობა“ დიდი პრობლემაა, რაც ადამიანებს რამდენიმე მიმართულებით აზარალებს. მაგრამ, მათი აზრით, მთავარი ადამიანთა ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანია. სტატიის ავტორები, საკუთარი დაკვირვებისა და ონლაინგამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, სტატიაში ყურადღებას ამახვილებენ ადამიანების მიერ, „Facebook“-ის გამოყენებით, მიღებულ სარგებელზეც, რაც კორონავირუსული პანდემიის პირობებში ობიექტური რეალობა გახდა. Facebook-მა საქართველოში გარკვეული როლი შეასრულა ადამიანების მიერ „სახლში დარჩი“ მოწოდების შესრულებაში. სტატიის ავტორების მოსაზრებით, Facebook-ის მიერ საზოგადოებისთვის მოტანილი დადებითი შედეგების მიუხედავად,*

*დროულად უნდა გატარდეს ღონისძიებები, რომ Facebook-ზე ადამიანების დამოკიდებულების პრობლემა გადაიჭრას.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სოციალური ქსელი, Facebook , დამოკიდებულება*

**შესავალი**

21-ე საუკუნეში რეალურ ურთიერთობებს ადამიანებს შორის სულ უფრო მეტად ვირტუალური ურთიერთობები ანაცვლებს. საზოგადოებას ამის ფართო შესაძლებლობა ინტერნეტმა მისცა. სწორედ გლობალურმა კომპიუტერულმა ქსელმა შეუწყო ხელი სოციალური ქსელების განვითარებასა და მათში ჩართული ადამიანების რაოდენობის თანდათანობით გაზრდას. ინტერნეტის გამოყენების არეალის გაფართოება, მისი ხელმისაწვდომობის ზრდა საზოგადოების ფართო ფენებისთვის, სულ უფრო მეტ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას თავიანთ ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ნაცნობებს, კოლეგებს და სრულიად უცხო ადამიანებს ვირტუალურ რეჟიმში დაუკავშირდნენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დღევანდელი საქართველოსთვის, რომლის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ემიგრაციაში იმყოფება. ადამიანებს შორის ვირტუალური ურთიერთობების საჭიროება კიდევ უფრო გამოიკვეთა კორონავირუსული პანდემიის პირობებში. ეს არ შეეხო ადამიანებს შორის მხოლოდ უბრალო ურთიერთობებს. ვირტუალურმა ურთიერთობებმა ადამიანთა საქმიანობის ბევრი სფერო მოიცვა.

* * *

ადამიანებს შორის სხვა სახის ურთიერთობების დამყარებასთან ერთად, ინტერნეტმა, როგორც ცნობილია, ელექტრონული კერძო ვაჭრობის განვითარებაც განაპირობა. ცალკეული ადამიანები, ინტერნეტის მეშვეობით, ერთმანეთში ვაჭრობენ საქონლითა და მომსახურებით, ახორციელებენ კომერციული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაციის ურთიერთგაცვლას. ამ მიზანს ემსახურება ფორუმები სარეკლამო განცხადებების, მიმართვების, კატალოგების და ა.შ. სახით, ტარდება ელექტრონული კონფერენციები, იქმნება ბლოგები, სხვადასხვა სახის ქსელები. ინტერნეტმა გააფართოვა ცალკეული ადამიანის საზოგადოების ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინტერნეტის, როგორც თანამედროვე მედიასაშუალების, როლი. ის, სხვა საკომუნიკაციო არხებთან შედარებით, საკმაოდ ეფექტური მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელების საშუალებას იძლევა. სწორედ ინტერნეტში ფოკუსირდება სოციალური ქსელების მრავალფეროვნება [თოდუა ნ. 2012, გვ. 78]. სოციალურმა ქსელებმა გარკვეულ ჯგუფებში გააერთიანა ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთთან მეგობრობა აკავშირებთ, აქვთ ერთნაირი ფასეულობები, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე მსგავსი შეხედულებები, ერთმანეთთან ვაჭრობენ ან სხვა სახის გარიგებებს დებენ და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ქსელები წარმოადგენს ისეთ ვებგვერდებს, რომელთაც თვითონ მომხმარებლები ქმნიან ერთმანეთთან ურთიერთობების დასამყარებლად, საქონლის ან ინფორმაციის, აგრეთვე, სხვადასხვა სახის გამოსახულების, მათ შორის სურათების, გასაცვლელად.

2019 წლის იანვრისთვის ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობამ მსოფლიოში 4,388 მლრდ-ს მიაღწია და მოსახლეობის საერთო რაოდენობის 57%-ს გაუტოლდა. ამ დროს სოციალურ ქსელებში ჩართული იყო 3,484 მლრდ ადამიანი, ანუ მთელი მოსახლეობის 45% [2, ინტერნეტის გლობალური გამოყენება ჩქარდება, 2019] . ეს მონაცემები საკმაოდ აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მონაცემებს. 2018 წლის იანვრისთვის ინტერნეტში ჩართული იყო 4,021 მლრდ ადამიანი, ხოლო სოციალურ ქსელებში 3,196 მლრდ [3, გლობალური ციფრული მიმოხილვა, 2018]. ასე რომ, ერთ წელიწადში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 109, 1%-ით გაიზარდა, ხოლო სოციალურ ქსელში ჩართულთა რაოდენობა კი 109,0%-ით. ეს უმნიშვნელო განსხვავებაა. ჩანს, რომ ადამიანთა უმრავლესობა ინტერნეტს სწორედ სოციალური ქსელების გამოსაყენებლად იყენებს.

მსოფლიოში გავრცელებული სოციალური ქსელებიდან, პირველ რიგში, გამოვყოფთ Facebook-ს, Instagram-ს, Linkedin-ს, Twitter-ს, Yotubee-ს , მათ შორის კი Facebook-ს.

სოციალურ ქსელებში ჩართვა ინტერნეტის მოხმარების ძირითადი მიზანია საქართველოში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წლის სექტემბრისთვის (ბოლო სამი თვის მონაცემებით) ინტერნეტის მოხმარების ძირითად მიზანს აბსოლუტური უმრავლესობისთვის (96%) სოციალური ქსელების გამოყენება წარმოადგენდა [4]. საქართველოში ინტერნეტის სოციალურ ქსელებში ჩართვისთვის გამოყენების მაჩვენებელი სწრაფად გაიზარდა. ასე მაგალითად, 2009 წლის დასაწყისში ინტერნეტის მომხმარებელთა მხოლოდ 43% სარგებლობდა სოციალური ქსელებით, 2010 წლისთვის 68% [წულაძე ლ., 2014], 2018 წლისთვის კი უკვე 92,4% [კვინტრაძე ნ., 2018].

საქართველოში სოციალური ქსელებიდან ყველაზე მეტად Facebook-ს იყენებენ. 2019 წლის მონაცემებით, აღნიშნული სოციალური ქსელის მომხმარებელთა რაოდენობა 2 მლნ-ს აღემატებოდა [6]. ეს მაშინ, როცა 2011 წლისთვის ეს მაჩვენებელი 360 ათასს აჭარბებდა [თოდუა ნ., 2012, გვ. 89]. ბუნებრივია, დაისმის კითხვა - რა მოსაზრებებს ეყრდნობიან მომხმარებლები სოციალურ ქსელებში ჩართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დროს. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ბევრ კვლევაში შეეცადნენ. ამ კვლევებს შორის ერთ-ერთია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგის კათედრაზე ჩატარებული კვლევა, რომლითაც გაირკვა, რომ: სოციალურ ქსელს საქართველოში გასართობი დანიშნულების გარდა ინფორმაციული დატვირთვაც აქვს; სოციალური ქსელების მომხმარებლების უმეტესობა მანდილოსნები არიან და თანაც ახალგაზრდები; საქართველოში სოციალური ქსელების მომხმარებლები უპირატესობას Facebook-ს ანიჭებენ [თოდუა ნ., 2012, გვ.89, 91].

ამ გამოკითხვის ჩატარებიდან საკმაო დრო გავიდა. ჩვენ დაგვაინტერესა იმის გარკვევამ, თუ როგორ შეიცვალა სოციალური ქსელების მიმართ ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება. ბოლო პერიოდში ამ საკითხით სულ უფრო ბევრი საზღვარგარეთელი მკვლევარი ინტერესდება, რადგან აშკარად გამოიკვეთა სოციალური ქსელების მიმართ ზედმეტი ინტერესი და მათზე მიჯაჭვულობა, რაც, თამამად შეიძლება ითქვას, ადამიანებს სიკეთეს არ მოუტანს. ალბათ, საჭირო გახდება გარკვეული ღონისძიებების შემუშავება სოციალურ ქსელებზე გადამეტებული დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად. თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, კორონავირუსული პანდემიის პირობებში სოციალურმა ქსელებმა პოზიტიურად იმოქმედა ადამიანთა ფსიქოლოგიაზე. ის, რაც სულ რამდენიმე თვის წინ კრიტიკის ობიექტი იყო, მხედველობაშია სოციალურ ქსელებზე მიჯაჭვულობა, კორონავირუსული პანდემიის პირობებში სხვა კუთხით დავინახეთ. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ქსელები, გარკვეულწილად, სახლში დარჩენილ ადამიანთა დიდ ნაწილს ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევაში ეხმარება. ვინაიდან საქართველოში მოსახლეობის უმეტესობა Facebook-ის მომხმარებელია, ჩვენ სწორედ აღნიშნული სოციალური ქსელის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების გარკვევა დავისახეთ მიზნად. ამისთვის, ლიტერატურული წყაროების გაცნობასთან ერთად, გამოკითხვის გზით, Facebook-ის მიმართ ქართველი მომხმარებლების შეხედულებების გაგებას შევეცადეთ, ერთწლიანი შუალედით, ჯერ 2019, შემდეგ კი 2020 წელს, კორონავირუსული პანდემიის პირობებში.

## კვლევის მეთოდოლოგია

Facebook-ის მიმართ ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულების გასარკვევად გამოყენებულ იქნა საქართველოში ამ კუთხით ჩატარებული, ჩვენი აზრით, შედარებით მნიშვნელოვანი კვლევების შედეგები და საკითხის შესახებ გამოქვეყნებული შრომები [თოდუა ნ., 2012; წულაძე ლ., 2014; როდრიგესი თ., 2017; ჯაფკარარიმი ჰ. და სხვები, 2016; ადიტა კუმარ შუკლა, შრადდა ტრიპათი, 2013]. აღნიშნულმა შრომებმა მოცემული სტატიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების როლი შეასრულა. Facebook-ის მიმართ ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციის მიღება განხორციელდა ონლაინრეჟიმში ორჯერ, სპეციალურად შედგენილი ანკეტის დახმარებით, ერთწლიანი შუალედით. როგორც უკვე აღინიშნა, აღნიშნული გამოკითხვებით შევეცადეთ Facebook-ზე მომხმარებელთა აზრის გაგებას 2019 წელს და 2020 წელს, უშუალოდ, კორონავირუსული პანდემიის პირობებში. გამოკითხვის შედეგების შესასწავლად გამოყენებულ იქნა როგორც სტატისტიკური, ისე ზოგადი მეთოდები, კერძოდ, ანალიზი და სინთეზი.

## კვლევის შედეგები

როგორც უკვე აღინიშნა, დღეისთვის, საქართველოში Facebook ყველაზე გამოყენებადი სოციალური ქსელია, რომელსაც დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითი მხარეებიც ახასიათებს. არა მარტო მკვლევარები, არამედ ფართო საზოგადოების წევრებიც მთელ მსოფლიოში აქტიურად ალაპარაკდნენ იმის თაობაზე, რომ ადამიანები Facebook-ს ძალიან მიეჯაჭვნენ და მის გარეშე ვერ ძლებენ. მკვლევარებმა ასეთი ტერმინიც კი შემოიღეს - „Facebook-ზე დამოკიდებულება". ალბათ უფრო სწორი იქნება, თუ მას „Facebook-ზე მიჯაჭვულობას" ვუწოდებთ. ამ ტერმინით მკვლევარები Facebook-ის გადაჭარბებულ გამოყენებაზე მიუთითებენ, რაც, ჩვენი აზრით, არ არის პატარა პრობლემა, თუმცა, ამას ხშირად ადამიანები ვერ ამჩნევენ. ის (მხედველობაშია Facebook), დოქტორ მუენჩის აზრით, „ადამიანს ნელ-ნელა გამოსწოვს სიცოცხლეს" და ამის გამო „ექიმებს მხედველობიდან რჩებათ" [როდრიგესი თ., 2017]. Facebook-ის ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების გარკვევა და მისი დაძლევის გზების გამოძებნა

ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების საზრუნავია, მარკეტინგის სპეციალისტების ამოცანა კი ის არის, რომ დაადგინონ ადამიანის Facebook-ზე დამოკიდებულების განმსაზღვრელი ფაქტორები და მათი გავლენით ადამიანის ქცევაში მომხდარი ცვლილებები. ეს აუცილებელია პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების შესამუშავებლად.

ჩვენ მიერ 2019 წელს ჩატარებული რაოდენობრივი კვლევით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია Facebook. გამოკითხულთა 46, 5% ჩართული აღმოჩნდა მხოლოდ Facebook-ში, 6,9% Instagram-ში, 44, 7% კი ერთდროულად რამდენიმე სოციალური ქსელის, მათ შორის Facebook-ის, მომხმარებელია. მაშასადამე, სოციალური ქსელების მომხმარებელთა დიდი ნაწილი Facebook-ის მომხმარებელი იყო. დაახლოებით მსგავსი მდგომარეობა გამოვლინდა 2011 წელსაც. თსუ მარკეტინგის კათედრაზე ამ წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა აბსოლუტური უმეტესობა-87,5% Facebook-ს მოიხმარდა [თოდუა ნ., 2012, გვ.91]. კორონავირუსული პანდემიის პირობებში ჩატარებული მცირე გამოკითხვით გამოჩნდა, რომ გამოკითხულთა დაახლოებით 92% Facebook-ის მომხმარებელია. ე.ი. საქართველოში თუ ადამიანი ინტერნეტშია ჩართული, ძირითადად, Facebook-საც მოიხმარს.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რა უბიძგებს ადამიანებს სოციალური ქსელების და მათ შორის Facebook-ის გამოყენებისკენ. ონლაინგამოკითხვის შედეგებმა უჩვენა, რომ Facebook-ის გამოყენების თავდაპირველი მიზანი, პოტენციურ მომხმარებლებში, საკმაოდ განსხვავებულია. 2019 წელს ჩატარებული გამოკითხვის დროს, რესპონდენტთა დაახლოებით მესამედმა (34,4%) Facebook-ის გამოყენება გადაწყვიტა სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დასამყარებლად; დაახლოებით მეოთხედისთვის (19, %) კი აღნიშნული სოციალური ქსელი მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღების წყარო აღმოჩნდა. გამოკითხულთა 14,1%-მა Facebook გართობის საშუალებად ჩათვალა. ეს სოციალური ქსელი ზოგს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად დასჭირდა (6, 2%), ზოგიც (5,7%) უბრალოდ დაინტერესდა Facebook-ით. ე.ი. ადამიანთა უმეტესობამ Facebook კომუნიკაციის საშუალებად ჩათვალა. კორონავირუსული პანდემიის პირობებში Facebook-ის გამოყენების დანიშნულება ადამიანებმა სხვა თვალით დაინახეს. გაიზარდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთა შეხედულებითაც Facebook-ის მიზანი გართობა (50%) და ინფორმაციის მიღებაა (83%). მაშასადამე, Facebook-ის გამოყენების მიზანი შეიძლება შეიცვალოს ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესაბამისად. სახლში დარჩენის აუცილებლობამ ადამიანებში გაზარდა ვირტუალური გართობისა და ვირტუალური გზით ინფორმაციის მიღების მიმართ მოთხოვნილება. მაშასადამე, Facebook-ის გამოყენება უშუალო კავშირშია ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების საჭიროებებთან (კომუნიკაცია, ინფორმაციის მიღება, გართობა, სამსახურებრივი მოვა-ლეობების შესრულება), რითაც, გარკვეულწილად, აიხსნება კიდეც ადამიანების აღნიშნულ სოციალურ ქსელზე დამოკიდებულება. მხოლოდ ის არის საჭირო, რომ ადამიანებმა ზომიერების გრძნობა არ უნდა დაკარგონ. ამასთან, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ Facebook-ის გამოყენების ფაქტობრივი მდგომარეობა დასახულ მიზნებს არ შეესაბამება. 2019 წლის გამოკითხვით გაირკვა, რომ რესპონდენტთა 47, 9% Facebook -ს მეგობრებთან, ნათესავებთან და ა.შ. ურთიერთობის დასამყარებლად იყენებს, 21,7% მისთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად, ხოლო 17,5% კი გასართობად.

Facebook-ზე დამოკიდებულებას მისი გამოყენების სიხშირის მაჩვენებლები ასახავს. აღმოჩნდა, რომ ქართველ მომხმარებლებში აღნიშნული მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია. რესპონდენტთა უმეტესობა Facebook-ს დღეში რამდენჯერმე სტუმრობს - 61,3%, ზოგი კი მთელი დღის განმავლობაში Facebook - შია ჩართული -28,1%, რაც მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში უძრავ მდგომარეობაში, ფიზიკური აქტივობის გარეშე, იმყოფება. ამასთან, იმავდროულად, თვალიც დაძაბულია. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ Facebook-ზე მიჯაჭვულობას ყველაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა ადამიანის ფსიქიკაზე შეუძლია. თუმცა, ამის შესახებ ჩვენი მსჯელობა ვერ იქნება კომპეტენტური.

Facebook-ით მიღებული ინფორმაცია, როგორც პირადი დაკვირვება და ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის გაცნობა გვიჩვენებს, ხშირად რეალობას მოწყვეტილია. ეს კარგად იცის ადამიანთა დიდმა ნაწილმა, მაგრამ აღნიშნულ სოციალურ ქსელს მაინც აქტიურად იყენებს. 2019 წელს ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეთა მხოლოდ მეოთხედზე ნაკლებმა (21,7%) ჩათვალა აღნიშნული სოციალური ქსელიდან მიღებული ინფორმაცია ღირებულად, გამოკითხულთა 73,3%-ისთვის ის ნაწილობრივ ღირებული აღმოჩნდა. თითქმის ანალოგიური მდგომარეობა დაფიქსირდა კორონავირუსული პანდემიის პირობებში ჩატარებული გამოკითხვის დროსაც, რაც ჩვენ მოსაზრებასაც დაემთხვა. გამოკითხულთა მხოლოდ 15%-მა ჩათვალა Facebook-ით მიღებული ინფორმაცია ღირებულად, 75%-ისთვის კი ის ნაწილობრივ ღირებული აღმოჩნდა. კითხვაზე, მაინც რა სახის ინფორმაციას სთვლიან ადამიანები ღირებულად, ასეთი შედეგები დაფიქსირდა: გამოკითხულმა მომხმარებლებმა ღირებულად, პირველ

რიგში, ჩათვალეს საგანმანათლებლო ინფორმაცია (30,4%) და ახალი ამბები (24,9%); გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილისთვის (13,4%) ღირებული გასართობი ინფორმაცია აღმოჩნდა; რესპონდენტებმა განსაკუთრებით მკაცრად შეაფასეს Facebook-დან მიღებული პოლიტიკური ინფორმაციის ღირებულება - მხოლოდ 1 %-მა ჩათვალა პოლიტიკური ინფორმაცია ღირებულად.

როგორც ჩანს, Facebook-ის მომხმარებლების ნაწილს კარგად ესმის, რომ ეს სოციალური ქსელი ძალიან ბევრ დროს აკარგვინებს ადამიანს, მაგრამ, იმავდროულად, ინფორმაციის მიღების წყაროსაც წარმოადგენს. გამომდინარე აღნიშნულიდან, Facebook-ის როლი ადამიანთა ცხოვრებაში დადებითად შეაფასა რესპონდენტთა 40,1%-მა, უარყოფითად 14,3%-მა, ხოლო 45,6%-ს კი გაუჭირდა პასუხის გაცემა. მაშასადამე, Facebook-ის როლს ადამიანთა ცხოვრებაში მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დადებითად აფასებს, საკმაოდ დიდ ნაწილს ამაზე არ უფიქრია და არც თავისი დამოკიდებულება აქვს გარკვეული. კორონავირუსული პანდემიის პირობებში Facebook-ის მიმართ დადებითად განწყობილი ადამიანების რაოდენობა გაიზარდა (გამოკითხულთა 51%), ხოლო უარყოფითად განწყობილებისა კი შემცირდა (გამოკითხულთა 11%). რესპონდენტთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა (38%) თავისი შეხედულება, კორონავირუსული პანდემიის პირობებში, Facebook-ის როლის შესახებ ვერ დააფიქსირა.

და მაინც, ქართველ მომხმარებლებს Facebook მოსწონთ და მიაჩნიათ, რომ ის არ უნდა გაუქმდეს. კითხვაზე, საშუალება რომ ჰქონდეთ, გააუქმებდნენ თუ არა Facebook-ს, 2019 წელს ჩატარებული გამოკითხვის დროს, რესპონდენტთა 79,3%-მა უარყოფითი პასუხი გასცა. კორონავირუსული პანდემიის პირობებში ჩატარებული გამოკითხვის დროს მსგავსი შინაარსის კითხვა რესპონდენტებისთვის არ დაგვისვამს. მათ დავუსვით კითხვა იმის თაობაზე, თუ რა როლს ასრულებს Facebook „დარჩი სახლში“ მოწოდების შესრულებაში. გამოკითხულთა მესამედზე ცოტა მეტმა (32%) ჩათვალა, რომ Facebook ეხმარება ადამიანებს აღნიშნული მოწოდების შესრულებაში, დიდი ნაწილისთვის (53%) კი ის ამ როლს მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს. გამოკითხულთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილისთვის (4%) Facebook ამ მიმართულებით ვერ მუშაობს, მცირე ნაწილს (11%) კი გაუჭირდა პასუხის გაცემა.

## დასკვნა

Facebook-ის მიმართ დამოკიდებულების საკითხზე გამოქვეყნებული შრომებისა და ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- ✓ ინტერნეტის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ადამიანებს შორის, რეალურთან ერთად, ვირტუალური ურთიერთობების განვითარება. ინტერნეტის გამოყენების არეალის გაფართოებასთან ერთად სოციალური ქსელების მოქმედების არეალიც ფართოვდება. ამასთან, იზრდება სოციალურ ქსელებში ჩართული ადამიანების რაოდენობა, როგორც მთლიანად მსოფლიოში, ისე საქართველოში.
- ✓ სოციალური ქსელებიდან ქართველი მომხმარებლების უმეტესობა უპირატესობას Facebook-ს ანიჭებს.
- ✓ Facebook-ის გამოყენებამ ცალკეულ ადამიანებს ბევრი დადებითი შედეგი მოუტანა. მათ შესაძლებლობა მიეცათ, დაეკონტაქტონ ერთმანეთს ვირტუალურად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვრგარეთ, მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, გაერთონ და ამისთვის დროც დაზოგონ და ფინანსური საშუალებებიც. ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი საქართველოსთვის, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაში იმყოფება.
- ✓ Facebook-ის გამოყენებამ, ბუნებრივია, დადებითი შედეგები ბიზნესსაც მოუტანა. კომპანიებს მისი მარკეტინგული მიზნით გამოყენების დიდი შესაძლებლობები შეუქმნა. პერსპექტივაში შესაძლებელია ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურება.
- ✓ მაგრამ, Facebook-ის გამოყენებას უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა. მათ შორის მთავარია „Facebook-ზე მიჯაჭვულობა“, რაც ბოლო პერიოდში ფსიქოლოგთა და ფსიქიატრთა ყურადღების ცენტრში მოექცა.
- ✓ ქართველმა მომხმარებლებმა იციან, რომ სოციალური ქსელების ძირითადი უარყოფითი თვისებაა მიჩვევის, მიჯაჭვულობის განცდა, რაც იწვევს დროის დაკარგვასა და ხშირად მნიშვნელოვანი საქმის გაუკეთებლობას. მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა აბსოლუტური უმეტესობა მიიჩნევს, რომ Facebook არ უნდა გაუქმდეს.
- ✓ არსებობს სოციალური ქსელებიდან ადამიანთა „დასახსნელად“ მთელი რიგი კვლევები, რომელთა შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობა, შესაბამისი სპეციალისტების მიერ, ვფიქრობთ, დადებით შედეგებს მოიტანს.

✓ ბოლო პერიოდში საქართველოში Facebook-ის გამომყენებელთა რაოდენობა მცირედით, მაგრამ შემცირდა. ჩვენი აზრით, ეს დადებითად უნდა შეფასდეს იმ შემთხვევაში, თუ გართობის მიზნით Facebook-ის გამომყენებელთა რაოდენობა შემცირდება. საჭიროა ამ ფაქტის გამოკვლევა.

✓ კორონავირუსული პანდემიის პირობებში, რესპონდენტთა აზრით, Facebook-მა გარკვეული როლი შეასრულა „დარჩი სახლში" მოწოდების განხორციელებაში. ჩვენი დაკვირვებითაც ეს ასეა, რაც ადამიანთა ცხოვრებაში, მიმდინარე ეტაპზე, მისი როლის დადებით შეფასებას განაპირობებს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ „Facebook-ზე მიჯაჭვულობა" კვლავ გადასაჭრელ პრობლემად რჩება. საჭიროა მუშაობა ამ მიმართულებით.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. თოდუა ნ., 2012. საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, გვ.116-135.
2. Digital 2019: Global Internet Use Accelerates. https://wearesocial-net.s3.amazonaws.com/wp-content/uploads/2019/01/Screen-Shot-2019-01-30-at-11.58.23.png
3. Digital 2018: Global Digital Overview. https://datareportal.com/reports/digital-2018-global-digital-overview
4. საქსტატი - საქართველოში ინტერნეტის მოხმარების ძირითადი მიზანი სოციალური ქსელების გამოყენებაა https://1tv.ge/news/saqstati-saqartveloshi-internetis-mokhmarebis-dziritadi-mizani-socialuri-qselebis-gamoyenebaa/
5. წულაძე ლ., 2014. სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში https://www.tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=5&tid=6—
6. ციფრული სამყაროს ტენდენციები 2019 წელს. https://www.amerikiskhma.com/a/galileo-digital-and-social-media-trends/4861679.html
7. Tori Rodriguez (2017). Facebook Addiction Associated With Social Insecurity https://www.psychiatryadvisor.com/home/topics/mood-disorders/depressive-disorder/facebook-addiction-associated-with-social-insecurity/
8. Hosein Jafarkarimi, Alex Tze Hiang Sim, Robab Saadatdoost, and Jee Mei Hee (2016). Facebook Addiction among Malaysian Students. International Journal of Information and Education Technology, Vol. 6, No. 6, DOI: 10.7763/IJIET.2016.V6.733 465
9. Aditya Kumar Shukla, Shraddha Tripathi (2013). Facebook Addiction: A New Born Psychological Problem. https://www.researchgate.net/publication/334721060



***Babulia Mghebrishvili***
***M. Bichikashvili***


## DEPENDENCE OF GEORGIAN CONSUMERS ON SOCIAL NETWORKS (CASE OF FACEBOOK)


**Summary**

Virtual relationships have taken a big place in the lives of modern people, in which social networks, including Facebook, play an important role. This social network has become an integral part of the lives of most people in many countries of the world, including Georgia. People became so dependent on Facebook that they didn't even realize it. According to the authors of the article,over-reliance on „Facebook " is a big problem that affects people in several ways. But, in their opinion, the main thing is damage to human health. The authors of the article, based on their own observations and the results of the online survey, focus on the benefits that people get through using Facebook, which became an objective reality during the coronavirus pandemic. Facebook has played a role in encouraging people in Georgia to "stay home". According to the authors of the article, despite the positive results brought to the public by Facebook, measures should be taken in time to solve the problem of people's dependence on Facebook.



***Keywords:*** *Social Network, Facebook, Dependence*

***Larysa Syvolap***

# FINANCIAL CONTROLLING AS A TOOL FOR EFFECTIVE ENTERPRISE MANAGEMENT

***Annotation.*** *The article defines the essence of the "controlling" concept and the preconditions for its occurrence. The correlation of controlling components within the enterprise management system is presented. The discussion defines the essence of financial controlling. The functions of financial controlling are presented. The comparative characteristic of operational and strategic financial controlling is presented. The principles that must be taken into account when building a financial controlling system are identified. The stages of financial introduction controlling in the system of sustainable management development of the enterprise are presented. The ways of improving the financial system controlling are given.*

***Keywords:*** *controlling, financial controlling, sustainable development, management, functions, enterprise, effective management.*

**Formulation of the problem.** Modern conditions of enterprises functioning require the management to make the most effective management decisions, to ensure the competitiveness of the enterprise in the realities of today. As you know, the basis of sustainable development of the enterprise is to ensure the financial development of the company, that is why financial controlling is one of the main factors for the effective functioning of the enterprise. Therefore, the lack of an objective assessment of the present and future financial position of the enterprise may lead to the adoption of irrelevant decisions that could lead to the bankruptcy of the enterprise. That's why, the introduction of financial control system allows timely detection of deviations in financial performance, which will efficiently take steps to adjust the activity of the company.

**Analysis of recent publications**. Today, research in the field of controlling, especially financial control, is increasingly being conducted. The research of theoretical and practical aspects of financial controlling is devoted to the work of many scientists, in particular: Prokopets L.V. [1], Tsigilik I.I., Mozil O.I., Kirdyakina N.V. [2], Radziwill I.V., Silina I.V. [4], Veliky Y.M., Kosaraeva I.P., Bagirova A.D. [5], Mayevskaya J.V. [7], Berbar M.M. [8], Golovko O.G., Kirilo O.R. [9] and others.

**The purpose of the article** is to study the nature and features of financial controlling as a tool for effective management of an enterprise in the modern conditions of its operation.

**Presenting main material.** In the modern management system, controlling is a rather recent phenomenon that has emerged at the intersection of such economic areas as: planning, economic analysis, management accounting and management. In terms of strategic and operational goals, controlling takes the enterprise to a whole new level, correlating the activity of all major divisions of the enterprise.

The term itself originated in America, in the 1970s it migrated to Western Europe and in the early 1990s to Ukraine. In the definition, the term combines two components: controlling as a philosophy and controlling as a tool:

controlling is the philosophy and way of thinking of managers, focused on the effective use of resources and the development of the enterprise (organization) in the long run;

controlling - goal-oriented integrated system of information-analytical and methodological support for executives in the planning, control, analysis and adoption of management decisions in all functional areas of the enterprise [1].

The necessity for the appearance of modern enterprises such a phenomenon as controlling, can be explained by the following reasons:

— increasing environmental instability puts additional demands on the enterprise management system;

— shift of emphasis from the control of the past to the analysis of the future;

— increasing the speed of reaction to changes in the environment, increasing the flexibility of the enterprise;

— the need for continuous monitoring of changes occurring in the external and internal environment of the enterprise;

— the need for a thoughtful system of actions to ensure the survival of the enterprise and avoid crises;

— the complexity of enterprise management systems requires a mechanism of coordination within the management system;

— universal - striving for synthesis, integration of different spheres of knowledge and human activity [2].

Analysis of the scientific literature has shown that some scientists consider controlling as a complex tool in the enterprise management system, that is, not dividing it into components. Another group of scientists studies aspects of controlling through the lens of its constituent elements (production control, financial control, marketing control, innovation control, cost management control, quality management control, material security, personnel control). In Fig. 1. the ratio of components of controlling within the enterprise management system is presented.




**Fig. 1. The ratio of components of controlling within the enterprise management system [3].**

One of the most important components of controlling is financial controlling, which allows you to make effective decisions on financial management, which is the key to a positive trend of sustainable development of the company. Let's take a closer look at the nature and features of financial controlling.

So I.V. Radzivilo, I.V. Silina in their scientific work "Conceptual principles of financial controlling at the enterprise" very successfully consider the essence of definition of the concept of "financial controlling", based on the discussions of various scientists (Table 1).

***Table 1***

**Discussion of the essence of financial controlling**

| Author | Definition | Benefits of definition | Disadvantages of definition |
|---|---|---|---|
| Gogua N.K. | Financial controlling is an important element of the overall controlling system and differs in the focus and scope of the activity covered. | integration of financial controlling into the enterprise controlling system. | there is no detail of the components of financial control of the enterprise. |
| Godes O.D. | Financial controlling is a controlling system that provides concentration of control actions on the most priority areas of financial activity of the enterprise, timely detection of deviations of its actual results from the ones envisaged and making prompt management decisions ensuring its normalization. | the precisioness of the components of financial control at the enterprise. | unclear access to financial control at the enterprise. |
| L.O. Kovalenko, L.M. Remnyova | Financial Controlling is a self-regulating system of methods and tools aimed at functional support of financial management in an enterprise by concentrating controlling actions in the main areas of managing its finances, revealing deviations of actual values of control indicators from normative and taking operative measures to normalize the process of financial management. | emphasis on managing the company's finances. | timeframes of financial controlling are not understood. |
| Yu.S. Lauta, B.I. Gerasimov | Financial Controlling is a management system that ensures concentration of management and control actions on priority areas of financial activity of an entity, identifying deviations from its actual results from those envisaged and making operational management decisions that ensure its normalization or optimization. | Emphasis on the relationship between financial control and management. | timeframes of financial controlling are unclear. |
| G. Partin, Y. Mayevskaya | Financial controlling is the art of management (management system), aimed at determining the future financial well-being of the enterprise and ways to achieve it | Emphasis on the relationship between financial | there is no detail of the components of financial |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | control and management. | control of the enterprise. |
| O.V. Ryabenkov | financial controlling is a functional system of financial management support, which involves the integrated use of methods and tools of budgeting, planning, internal control, information support and risk management to assess the overall financial condition of the enterprise, timely detection of deviations from the planned indicators and prompt response to the influence of negative factors and their timely neutralization in order to ensure a positive long-term effect. | detailing the components of financial controlling. | no connection with controlling at the enterprise. |
| M. Khristenko | Financial control should be considered in a complex way, simultaneously in several planes: formal, functional and substantive, which can present it in many ways. | comprehensive approach to financial control. | there is no detail of the components of financial control of the enterprise. |

***Source:*** author-based source [4]

For a deeper understanding of the essence of financial controlling and its role in the enterprise management system, the functions of financial controlling were presented, which were successfully and maximally systematized in the scientific work of Velykyi Y.M., Kosaraeva I.P., Bagirov A.D. "Interpretation of the concept of" financial controlling "and disclosure of its essence" [5]. Therefore, the functions of financial controlling include:

- supervision of the realization process of financial tasks established by the system of planned financial indicators and standards;
- measurement of actual results deviation degree of financial activities from the projected ones;
- diagnostics of the deviation size of serious deterioration in the financial enterprise state and a significant decrease in the pace of its financial development;
- development of operational management decisions on normalization of the enterprise financial activity in accordance with the envisaged goals and indicators;
- adjusting, if necessary, individual goals and indicators of financial development due to changes in the external financial environment, financial market conditions and internal conditions for conducting business activities of the enterprise.anned financial indicators and standards;
- coordination; financial strategy; planning and budgeting;
- budgetary control;
- internal consulting;
- methodological support;
- internal audit;
- audit;
- forecasting;
- financial analysis;
- financial control;
- risk assessment;
- early warning system;
- analysis of financial deviations;
- supervision of the fulfillment of financial tasks, which is regulated by the system of financial norms and indicators;
- diagnostics of serious deviations of financial condition indicators of the enterprise and a significant decrease in the pace of its financial development;
- development of operational management decisions for the normalization of the financial activity of the company;
- adjustment of certain indicators due to changes in the external financial environment, financial market conditions and internal conditions for conducting business activities of the enterprise;
- obtaining, managing and using financial resources.

By target, financial controlling is divided into strategic and operational. Strategic financial control means a set of functional tasks, tools and methods of long-term (three years or more) financial, cost and risk management. Operational financial controlling is focused on the achievement of short-term quantitative targets set within the framework of the developed strategic plans. Operational financial controlling focuses on the achievement of profit, cost, return on equity and more. The objectives of strategic and operational financial control should be consistent and their achievement should be constantly monitored and coordinated by the appropriate controlling services. Table 2 provides a clarified comparative characteristic of strategic and operational financial control, which is developed on the basis of generalization of existing theoretical developments in financial control and based on work [6].

*Table 2*

**Comparative characteristics of operational and strategic financial control**

| The comparison criterion | Strategic Financial Controlling | Comparative characteristics of operational and strategic financial control controlling |
|---|---|---|
| 1. Orientation | External environment, adaptation of the enterprise | Efficiency of internal processes at the enterprise |
| 2. The level of planning | Strategic planning | Tactical and operational planning, budgeting |
| 3. Tasks | Definition of strategic goals and development of financial strategy of the enterprise; identification and formation of strategic success factors and ensuring long-term competitiveness;<br>definition of horizons of financial planning, formulation of target methodology of strategic and operational planning at the enterprise in accordance with<br>established horizons;<br>implementation of an effective early warning and response system; long-term management of the value of the enterprise to ensure the growth of shareholders' well-being; ensuring the integration of long-term strategic goals and operational goals for individual employees and structural units | Establishment of planned operational indicators of financial and economic activity of the enterprise; reporting; timely provision of information on deviations from actual targets; analysis of the causes of deviations, preparation of alternative decisions and recommendations for elimination of negative deviations; provision of internal consulting services |
| 4. Targets | Chances / Risks<br>Strengths / Weaknesses | Revenues / expenses<br>Cash Receipts / Cash Expenses |
| 5. Sources of information for decision making | External and internal sources of information | Internal sources of information |
| 6. Tools | Enterprise Strength and Weakness Analysis (SWOT Analysis), Portfolio Analysis, Early Warning and Response System (EWRS), Benchmarking, Target Costing, ABC Analysis (Activity Based Costing), Functional Value Analysis | ABC analysis (to identify key points and priorities in an enterprise's activity), XYZ analysis, order volume optimization, CVP analysis (Cost-Volyme-Profit), budgeting, financial performance analysis |

Therefore, we see the strategic importance of introducing controlling into the enterprise management system given the above, which will not only achieve the goals of the enterprise in the form of profit, but will allow the enterprise to grow dynamically and continuously.

The following principles must be taken into account when building a financial controlling system:

1) the focus of the financial controlling system on achieving the financial strategy of the enterprise;

2) multifunctionality of financial controlling;

3) focus of financial controlling on quantitative indicators;

4) compliance of financial control methods with the specific methods of financial analysis and financial planning;

5) timeliness, simplicity and flexibility of financial control system construction;

6) economic efficiency of introduction of financial control at the enterprise [7].

In accordance with the introduction of financial controlling in the system of sustainable development management of the enterprise distinguish the following stages:

1. Diagnosis of financial and economic activity of the enterprise.
2. Deciding on the introduction of financial control service at the enterprise.
3. Develop a budget for the implementation of financial controlling.
4. Development of operational and strategic goals related to production, finances and investments, with priority setting.
5. Development and justification of methods and tools of financial control to the specific activity of the enterprise.
6. Creation of a comprehensive information support system.
7. Evaluation of the effectiveness of the control service.
8. Improvement of financial controlling in the system of management of sustainable development of the enterprise [8].

Today there is a problem of inactivity of the controlling system at many enterprises. This indicates the inability of the controlling tools to cope with the tasks. Therefore, Golovko O.G., Kirilo O.R. offer the following ways to improve the financial control system:

1. Reduced time for information submission and decision making. The company should switch to monthly comparison of planned and actual performance indicators, as well as to keep a separate record of the state of affairs at the enterprise in order to be able to make the necessary decisions on a daily basis, based on the current state of affairs.

2. Transparency and reliability of data. In order for the financial control system to be improved, it is necessary that the digital data is true.

3. Introduction of information technologies. There are two ways of implementing information technology: 1) automation of their own efforts, that is, the development of their own software product that would fully take into account the specificity of the enterprise, information needs of managers. But it is too expensive for domestic enterprises; 2) cheaper and easier way - to introduce an information system, which has a special module "controlling", which will facilitate the provision of information - from business planning to analysis of business results.

4. Strategic planning. Implementation of strategic controlling, which on the basis of planning will allow to predict different phenomena and processes.

5. Organization of the controlling service. Although most companies cannot afford to expand their staff, the final stage in improving the financial control system is to set up a financial controlling service. This service may be organized individually at each enterprise, for example, at one enterprise, functions may be performed by one controller and at the other by interconnected departments (economic analysis, planning and internal accounting departments can, in fact, solve the controlling problem by using it methodology) [9].

**Conclusions.** Thus, the analysis of the essence of financial controlling, presented in the work, allows to conclude that financial controlling affects all areas of activity of the enterprise. It is a comprehensive and systematic tool that enables the effective functioning of the enterprise, ensuring its sustainable sustainable development. Financial controlling is interconnected between enterprise management subsystems through audit, analysis, planning, and more. Thanks to an effective system of financial controlling it is possible to achieve the most efficient response to external and internal changes that affect the sustainable development of the enterprise.

## References


1. Prokopecj L.V. Kontrolingh jak instrument upravlinnja pidpryjemstvom / L.V. Prokopecj / Ekonomika ta upravlinnja pidpryjemstvom. 2019. Vyp. 39-2. S. 17-20.
2. Cyghylyk I.I., Mozilj O.I., Kirdjakina N.V. Kontrolingh v systemi upravlinnja. Aktualjni problemy ekonomiky. 2015. # 3. S. 117–123.
3. Kontrolingh jak nova koncepcija upravlinnja. [Elektronnyj resurs]. – Rezhym dostupu: http://www.iib.com.ua/default.asp?cid=156&lang=1.
4. I. V. Radzivilo, I. V. Silina Konceptualjni zasady finansovogho kontrolinghu na pidpryjemstvi. [Elektronnyj resurs]. – Rezhym dostupu: http://www.economy.nayka.com.ua/pdf/11_2015/45.pdf
5. Velykogho Ju.M., Kosarajevoji I.P., Baghirova A.D. «Traktuvannja ponjattja «finansovyj kontrolingh» ta rozkryttja jogho sutnosti» / Ju.M. Velykyj, I.P. Kosarajeva, A.D Baghirov / Ghroshi, finansy i kredyt. 2019. Vyp. 31. S 585-589.
6. Merenkova L.O. Finansovyj kontrolingh jak systema efektyvnogho upravlinnja pidpryjemstvom. [Elektronnyj resurs]. – Rezhym dostupu: http://www.economy.nayka.com.ua/?op=1&z=5147
7. Majevsjka Ja. V. Vydy ta misce finansovogho kontrolinghu na pidpryjemstvi / Ja. V. Majevsjka // Naukovyj visnyk NLTU Ukrajiny. – 2009. – Vyp. 19. – S. 47–52.
8. Berbar M.M. Finansovyj kontrolingh jak skladova systemy upravlinnja stijkym rozvytkom pidpryjemstva / M.M. Berbar // Investyciji: praktyka ta dosvid. 2017. # 18. S. 33-37.
9. Gholovko O.Gh. Osoblyvosti vprovadzhennja systemy finansovogho kontrolinghu na vitchyznjanykh pidpryjemstvakh / O.Gh. Gholovko, O.R. Kyrylo // Visnyk Universytetu bankivsjkoji spravy Nacionaljnogho banku Ukrajiny. 2013. # 1 (16) S.259-262.



*მარინე ცუცქირიძე*


## ბიზნესის ინოვაციური განვითარების პროცესში ინვესტიციების გამოყენება საქართველოში


***ანოტაცია.*** *მსხვილი ბიზნესის განვითარება საქართველოში ძირითადად უკავშირდება შიდა ინვესტიციების მოზიდვას ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და საბაზრო პროცესების ეფექტიანად წარმართვისთვის. ამ მიმართულებით ნაშრომში გამოკვლეულია ბიზნესის სისტემაში შიგა ინვესტიციების გამოყენების საკითხები, ევროინტეგრაციის ვითარებაში ინოვაციური ტექნოლოგიების საშუალებით მსხვილი ბიზნესის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები, გადმოცემულია შიგა ინვესტიციების მოზიდვის შედეგად ინოვაციური ტექნიკისა და წარმოებული პროდუქტების ბიზნესის შემოსავლების გადიდების მიზნით გამოყენების აქტუალური ასპექტები.*



***საკვანძო სიტყვები:*** *ინოვაცია, ინვესტიცია, ბიზნესი, კონკურენცია, ტექნოლოგია.*

## შესავალი

ბიზნესის ინოვაციური განვითარების მიზნით შიგა ინვესტიციების მოზიდვა და გამოყენება საქართველოში არსებული მსხვილი საწარმოების, კომპანიებისა და კორპორაციების მმართველობითი პოტენციალის გეზის მიმცემ საჭირო ფინანსურ საფუძველს წარმოადგენს. მას გადამწყვეტი დანიშნულება აქვს ტექნოლოგიების და პროდუქტების წარმოებისა და მიწოდების, რესურსების შემოზიდვის პროცესების რაციონალურად წარმართვისათვის. ამიტომ შიგა ინვესტიციების მოზიდვა საწარმოო, მომსახურებისა და საბაზრო პროცესების განსახორციელებლად უფრო ეფექტიანია სხვა ფინანსურ დახმარებასთან შედარებით და მნიშვნელოვანი წინაპირობაა უფრო ეფექტიანი საწარმოო შედეგების მიღებისა და ბიზნესის ინოვაციური განვითარებისათვის.

მსხვილი ბიზნესისა და მისი საწარმოო საბაზრო საქმიანობის პროცესში და შიგა ინვესტიციების ფორმირების დროს გადამწყვეტი ადგილი უკავია ინვესტორი საწარმოების ფინანსურ საქმიანობას მსხვილი ბიზნესის სამეწარმეო სფეროებში. შიგა ინვესტიციების მოზიდვა მსხვილი ბიზნესის ობიექტების საქმიანობის გაუმჯობესების საშუალება და ამით ეროვნული ეკონომიკის განვითა-რებისათვის საჭირო და მნიშვნელოვანი ფაქტორია.

* * *

საქართველოს მსხვილ ბიზნესში ინვესტიციების მოზიდვა და გამოყენება ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პროდუქციის წარმოების გაფართოების მიზნით თანამედროვე ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს. იგი ძირითადად დაკავშირებულია მსხვილი ბიზნესის სისტემაში ფუნქციონირებადი დიდი საწარმოების, კომპანიებისა და კორპორაციების დარგობრივი, საწარმოო, საბაზრო და ფინანსური შესაძლებლობების განვითარებასთან. აღნიშნული ინვესტიციების, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი - შიგა ინვესტიციების გამოყენებისათვის აუცილებელი წინამძღვარია. იგი მსხვილ ინვესტორ-საწარმოთა ფინანსური სახსრების რაციონალურად გამოყენებასაც განაპირობებს. ამასთან, ბიზნესის ინოვაციური განვითარების ეფექტიანობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათ შორის ძირითადია: მსხვილი ბიზნესის ინვესტიციური გარემო და დიდ წარმოებათა ინოვაციური აქტიურობა; ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, რაც მიანიშნებს დარგობრივ წარმოებათა ინოვაციური განვითარების ინტენსიურობაზე და მსხვილ საწარმოებთან ინტეგრაციაზე; ასევე ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების ინოვაციების შექმნის პროცესების შიგასისტემურ ორგანიზაციაზე. ამისათვის განისაზღვრება შრომითი რესურსების მსხვილ ბიზნესში გამოყენებისა და ბიზნესის კაპიტალის არსებული მდგომარეობა; მეწარმეობის ევროინტეგრაციისა და შიგა საბაზრო ურთიერთკავშირების მოწესრიგების შიგა ინვესტიციების გამოყენების შესაძლებლობები, ასევე მსხვილი ბიზნესის ობიექტებზე ინოვაციების დანერგვისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების სხვა საშუალებათა მოზიდვის გზები.

შიგა ინვესტირების პროცესი ძირითადად დამოკიდებულია მსხვილი ბიზნესის შემოსავლებზე და ფინანსური რესურსების მოზიდვისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის შესაძლებლობაზე. იგი დაკავშირებულია აგრეთვე მსხვილი ბიზნესის შემოსავლების განაწილებაზე, ინვესტორი საწარმოების ფუნქციონირების შედეგებსა და მისი ფინანსური სახსრების ზრდაზე; ინოვაციური ტექნოლოგიების წარმოებისა და საბაზრო პროცესებში მისი მონაწილეობის მიზნით შიგა ინვესტიციების მოზიდვის არსებულ მექანიზმზე; შიგა ინვესტირების ობიექტების - ბიზნესის საწარმოო და მომსახურების, ასევე საბაზრო სისტემების შემოსავლებზე; მსხვილი კომპანიებისა და კორპორაციების საწარმოო და შრომითი კაპიტალის სიდიდეზე.

აღნიშნული ინვესტიციების მსხვილ ბიზნესში მოზიდვის აუცილებლობას განაპირობებს:

1. ინოვაციების გამოყენების დროს წარმოქმნილი ფინანსური სიძნელეები და ბიზნესის ტექნოლოგიური განვითარების დაფინანსების დაბალი დონე;

2. მსხვილ წარმოებებში ინოვაციებზე მოთხოვნასა და მიწოდების პროცესების ურთიერთ-შეუსაბამობა;

3. სამეცნიერო და ტექნიკური პროდუქციის საბაზრო სივრცის ნაკლოვანებები, რითაც გამოწვეულია კომერციალიზაციის პროცესის გართულება და ინოვაციების შექმნისა და წარმოების პროცესების ურთიერთდამოკიდებულებაში დარღვევების წარმოქმნა ამისათვის საჭირო ეკონომიკური სტიმულების მოქმედების შესუსტების შედეგად.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა დაძლევის მიზნით მსხვილი ბიზნესის განვითარების პროცესში გამოიყენება მსხვილ წარმოებებში ინვესტიციების მოზიდვის არსებული მექანიზმი. ამის საფუძველზე

წარმოიქმნება და ვითარდება სამრეწველო ბიზნესის სხვადასხვა, ახალი სექტორები, მწვანე ბიზნესის განვითარება შესაძლებელი ხდება და მსხვილ წარმოებათა ინტეგრაციის გზით ვითარდება საერთაშორისო ბიზნესი, რაც საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის აუცილებელ და ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს. მსხვილი ბიზნესის ინოვაციური განვითარების საფუძველი შიგა ინვესტიციების მოზიდვაა. იგი ხორციელდება ისეთი სისტემური ღონისძიებების გატარების შედეგად, რომელიც შემდეგ მიმართულებებს აერთიანებს:

1. შიგა ინვესტიციების ტექნიკის და ტექნოლოგიის წარმოებისათვის ბიზნესის საწარმოო ობიექტებზე ფინანსური სახსრების მობილიზება ინოვაციური პროდუქტების შექმნის მიზნით და ამ გზით მსხვილ წარმოებათა კონცენტრაცია, ამით ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესის დაჩქარება;

2. მსხვილ საწარმოთა ინოვაციურობის ზრდა შიგა ინვესტიციების მოზიდვის შედეგად, ფინანსური, მატერიალური და ტექნიკური ბაზის განვითარების საფუძველზე საბიუჯეტო დაფინანსების შეზღუდვა;

3. სახელმწიფოს ღონისძიებათა კონცენტრაციის პირობებში, რომელიც ახალი ტექნოლოგიების წარმოქმნისა და არსებულის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება, გამოიყენება სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინდუსტრიული პარკები, როგორც ბიზნესის ინოვაციური განვითარებისათვის ძირითადი საშუალებანი;

4. საბიუჯეტო დაფინანსების, ინტელექტუალური და სხვა რესურსების მობილიზება მსხვილი ბიზნესის საწარმოო და მომსახურების ობიექტების გაფართოებისა და ინოვაციურობის ასამაღლებლად ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველყოფა, ამით მსხვილ საწარმოთა ფინანსური საფუძვლების გაუმჯობესება.

საქართველოს ბიზნესის სისტემებში შიგა ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების პროცესი აქტიურად უკავშირდება საწარმოო და მომსახურების დიდ ობიექტებზე ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მმართველობითი ინოვაციების დანერგვას. იგი მსხვილი ბიზნესის ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარებისათვის აუცილებელი წინამძღვარია.

## დასკვნა

საქართველოს ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესის ერთ-ერთ აქტიურ ელემენტს წარმოადგენს მსხვილი ბიზნესის ობიექტების - კომპანიებისა და კორპორაციების, დიდი ფირმების წარმოქმნა და ამით შიდასამეწარმეო სისტემის განვითარება, ინოვაციური ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და ახალი პროდუქტების წარმოებათა გაფართოება.

აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად ძირითადი და აუცილებელია სახელმწიფოს საბიუჯეტო დაფინანსების შეზღუდვის დროს საწარმოთა ფინანსური სახსრების მობილიზება, ინოვაციური ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო სახსრებისა და რესურსების გამოყენება, რაც შიგა ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობას განაპირობებს. მსხვილ წარმოებათა გაფართოების მიზნით შიგა ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობას საწარმოო და საბაზრო ფაქტორების დიდ წარმოებებზე ზემოქმედება განაპირობებს, რომელთა მოქმედებისას საჭიროა ინოვაციური და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება, განსაკუთრებით საწარმოო და მომსახურების მსხვილ ობიექტებზე. იგი ინოვაციური პროდუქტების წარმოების სამრეწველო ბიზნესის საქმიანობის გაფართოების და მისი საბაზრო კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობაა. ამისათვის მნიშვნელოვანია მსხვილი ბიზნესის მეცნიერული და ტექნოლოგიური საფუძვლების სრულყოფა, იგი ძირითადად ბიზნესის ინოვაციურობისა და ტექნოლოგიურობის განსაზღვრის მეთოდური საკითხების სრულყოფასაც მოითხოვს, რაც უახლეს მეთოდოლოგიურ საფუძველზე მათი შეფასების საშუალებითაა შესაძლებელი და რაც ბიზნესის სისტემათა საქმიანობის შედეგების შესაფასებლადაა აუცილებელი. ამაზე დამოკიდებულია დიდ წარმოებათა საწარმოო და საბაზრო, მეცნიერულ - ტექნიკურ საქმიანობაში მიღწეულ წარმატებათა შეფასების შედეგები. აღნიშნული ევროსაბაზრო ურთიერთკავშირების გაფართოებისათვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ., ,,დიოგენე'', 2000.

2. რ. აბესაძე, მწვანე ეკონომიკა. არსი და გამოწვევები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ., ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2019.

3. გ. ბერულავა, მ. ცუცქირიძე, თ. გოგოხია. თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XI, თბ., თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018.

***Marine Tsutskiridze***

**THE USE OF INVESTMENTS IN THE PROCESS OF INNOVATION DEVELOPMENT OF BUSINESS IN GEORGIA**

**Summary**

The article deals with the investments in innovation business of Georgian economy.

*ზურაბ წერეთელი*

# ბიზნესის განვითარების მენეჯმენტის პროგნოზირების პრობლემები და მეთოდები

***ანოტაცია.*** *ნაშრომში წარმოდგენილია ბიზნესის განვითარების პროგნოზირების პრობლემები, პროგნოზის და პროგნოზირების ცნებები, მათი შემუშავების საჭიროება, მნიშვნელობა და აუცილებელი პირობები, მენეჯმენტის პროგნოზირების როლი ბიზნესში (მის განვითარებაში), კლასიფიკაციის ძირითადი ნიშნები და სახეები, მეთოდები და მოდელები, მათი უპირატესობები.*

*მოცემულია პროგნოზისა და გეგმის განსხვავებები, მათი თავისებურებები. დასკვნის სახით გადმოცემულია ბიზნესის განვითარების პროგნოზირების პრობლემების გადაჭრისა და ხელსაყრელი მეთოდების გამოყენების გზები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ბიზნესის განვითარების პროგნოზი, პროგნოზირება, პროგნოზირების პრობლემები, კლასიფიკაციის ძირითადი ნიშნები და სახეები, პროგნოზირების მეთოდები.*

## შესავალი

თანამედროვე ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობების პირობებში, როდესაც საქონლისა და მომსახურების მოცულობის მოთხოვნის შესახებ საჭირო ინფორმაცია სრულად არ არის ხელმისაწვდომი, შეუძლებელია კონკურენტებისა და პარტნიორების ქცევის პროგნოზირება, როცა აუცილებელია ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფს არა იმდენად ბიზნესის განვითარებას, არამედ საწარმოს (კომპანიის) გადარჩენას, მწვავედ დგება საკითხი პროგნოზირების მეთოდების ცოდნის აუცილებლობის შესახებ.

პროგნოზირების პრობლემები დღეისათვის უფრო და უფრო რთული ხდება, რადგან ფირმების გარემო სულ უფრო მღელვარე და გაურკვეველია პანდემიისა და ფორსმაჟორული სიტუაციებიდან გამომდინარე. პროგნოზირების ამოცანები არ წარმოადგენს რაიმე კონკრეტული კომპანიის სამმართველოს პრეროგატივას. ზოგადად, ყველა განყოფილება უნდა იყოს დაკავებული მომავალი საქმიანობის პარამეტრების პროგნოზირებით. პროგნოზის სიზუსტე და მისი გამოყენების შესაძლებლობა დიდწილად დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღებთა ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. თავის მხრივ, ინფორმაციის ტიპი განსაზღვრავს მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც გამოყენებული იქნება პროგნოზის შესაქმნელად.

თანამედროვე ბიზნესში მუდმივად ჩნდება დიდი, საშუალო და მცირე საწარმოების მენეჯერების, საუკეთესო მენეჯერების და მენეჯერული პერსონალის პროფესიული საქმიანობის ის საკითხები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს ბიზნესის პროცესის განვითარებას, ეკონომიკურ სიტუაციაში ციკლური რყევების განვითარებას და შეძლებს ეფექტური სტრატეგიის შემუშავებას. ამის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება არასწორი აღმოჩნდეს, ბიზნესპროექტების განხორციელების შედეგები საპირისპირო იქნება მოსალოდნელი შედეგებისგან. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ყურადღებით იქნეს შესწავლილი ყველა არსებული მეთოდი, ტექნიკა და შესაძლებლობები, რაც ამის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაფერი, რაც კაცობრიობამ დააგროვა ამ სფეროში, გამდიდრდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი მიღწევებით და ახალი ინფორმაციული პროგრამული პაკეტების წარმოქმნით. აღნიშნული

ბიზნესის განვითარების საკმაოდ ზუსტი და საიმედო პროგნოზირების გარანტიას იძლევა. რისთვისაც აუცილებელია პროგნოზირების მეთოდებისა და კომპიუტერული შესაძლებლობების შესაბამისი ცოდნა.

* * *

პრაქტიკაში კომპანიებს უამრავი მნიშვნელოვანი პრობლემა აქვთ, რომელთა რეგულირებაც რთულდება. ეს გამოწვეულია როგორც ფინანსური პროგნოზირების შესახებ მეთოდოლოგიის არასაკმარისად განვითარებით, ასევე რისკების გათვალისწინებით, რომლებიც თანამედროვე ბიზნესის საჭიროებებს აკმაყოფილებს და სტრატეგიული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისას მენეჯმენტის ინფორმაციის დაგროვებისა და ანალიზისათვის ორგანიზაციულ მექანიზმებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას არ წარმოადგენს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში კომპანიებში პროგნოზირების პროცესებზე ეკონომიკური განვითარების ტენდენციებისა და ინფორმაციული „რევოლუციის" მნიშვნელოვანი გავლენა დაფიქსირდა. აღნიშნულმა ტენდენციებმა შეცვალა პირობები, რომლებშიც კომპანიები მუშაობენ და გარდაქმნა მოთხოვნები სხვადასხვა მოდელის აუცილებლობის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის მიზანსაც ბიზნესის განვითარების პროგნოზირება წარმოადგენს.

ამასთან, პროგნოზირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესის მენეჯმენტში. უმეტეს შემთხვევაში ის ორი სახით ვლინდება: თეორიულ–მეთოდოლოგიური და გამოყენებითი. ორივე მათგანის წარმატებით განხორციელებაზეა დამოკიდებული სასურველი შედეგების მიღება.

სტატისტიკური პროგნოზირება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კარგი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს მენეჯერებს, უკეთ იმსჯელონ მოვლენათა სამომავლო განვითარებაზე. მსოფლიოში ამჟამად არსებულ სწრაფად ცვალებად ბიზნესგარემოში ეს ნიშნავს წარმატებას ან მარცხს. სამომავლო გაყიდვების, ინვესტიციების ან სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ბიზნესმაჩვენებლების დაგეგმვისას მხოლოდ პირად ინტუიციაზე დაყრდნობა არარაციონალურია. ასეთ შემთხვევებში სტატისტიკური და სხვა რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება გაცილებით ეფექტურია.

სწორედ ამ დროს განსაკუთრებით მწვავედ დგას ბიზნესის პროგნოზირების ცოდნის აუცილებლობა.

პროგნოზი გულისხმობს მომავლის წინასწარმეტყველებას (სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით), ხოლო პროგნოზირება კი პროგნოზის შემუშავებაა [1, გვ. 299].

პროგნოზირება აერთიანებს ეკონომიკური თეორიის უახლეს მიღწევებს, მათემატიკურ მეთოდებსა და თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს [1, გვ. 306].

ამასთანავე, პროგნოზირება არის სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ნებისმიერი ბუნების ობიექტების განვითარების პროგნოზირების ზოგად პრინციპებსა და მეთოდებს, ასევე პროგნოზების განვითარების ნიმუშებს [1, გვ. 307].

ძნელია წარმოვიდგინოთ თანამედროვე ბიზნესი პროგნოზირების საშუალებების გამოყენების გარეშე. ბიზნესის განვითარებისათვის **პროგნოზი,** ეს იგივეა, რაც სახლის მშენებლობაში **საძირკველი**. ჩვეულებრივ, ნებისმიერი საქმე უნდა დაიწყოს მისგან (პროგნოზისგან, ის,ე როგორც სახლის მშენებლობა იწყება საძირკველიდან).

ბევრი კომპანია (განსაკუთრებით დასავლური) აქტიურად ეწევა თავაიანთი საქმიანობის (ბიზნესის) განვითარების ყოველწლიურ პროგნოზირებას, რადგან მათ ესმით, რომ ბაზრის მდგომარეობა დინამიურია და არა სტატიკური.

კომპანიის საქმიანობის პრობლემების უმეტესობა თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია იმასთან, რომ ბიზნესის განვითარების პროგნოზი ან საერთოდ არ განხორციელებულა, ან კიდევ მას აკლდა სრულყოფილება.

ოპერატიული და სტრატეგიული მენეჯმენტის გაურკვევლობის პირობებში მენეჯერებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები.

თითქმის ყველა საწარმო, დიდი თუ მცირე, კერძო ან სახელმწიფო, იყენებს პროგნოზებს, რადგან თითოეულმა საწარმომ უნდა დაგეგმოს მომავალი. პროგნოზები საჭიროა ინვესტიციების, დაფინანსების, მარკეტინგის, კადრებისა და სხვადასხვა წარმოების სფეროებში, საბიუჯეტო და კომერციულ ორგანიზაციებში.

ბიზნესის პროგნოზირების სისტემური მეთოდები ხელს უწყობს: ფსიქიკური ხაფანგების თავიდან აცილებას, რაციონალური მენეჯერული გადაწყვეტილებების შემუშავებას, სიტუაციის ალტერნატივებისა და შესაძლო სცენარების შეფასებას და შესაბამისად აყალიბებს ბიზნესის მენეჯმენტის მაღალ დონეს [2, გვ. 216].

უნდა გვესმოდეს, რომ ბიზნესის პროგნოზირება არის ეკონომიკური განვითარების შესაძლო და არა ერთადერთი სწორი მიმართულების ვარაუდი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული ფაქტორებისა და პარამეტრების ერთობლიობას როგორც არსებული ვითარების, ისე ისტორიული მონაცემების შესახებ.

საერთაშორისო ბიზნესის მონაწილე ფირმების თითქმის ყველა ფუნქციური დანაყოფი იყენებს გარკვეული სახის პროგნოზებს, მაგალითად: 1. ბუღალტრები საგადასახადო დაგეგმვისას ეყრდნობიან ხარჯებისა და შემოსავლების პროგნოზებს; 2. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ეყრდნობა სამომავლო პროგნოზებს ამა თუ იმ კვალიფიკაციისა და რაოდენობის კადრების საჭიროების შესახებ ასაყვანი თანამშრომლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას; 3. ფინანსების ექსპერტები ეყრდნობიან პროგნოზებს აქციებისა და ნაღდი ფულის ნაკადების შესახებ, რათა შეინარჩუნონ კომპანიის ლიკვიდობა; 4. წარმოების მენეჯერები იყენებენ სხვადასხვა პროგნოზს პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულისა და მასალების შესახებ; 5. მარკეტინგის მენეჯერები სარეკლამო ბიუჯეტის განსაზღვრისას ეყრდნობიან პროგნოზებს პროდუქციის გაყიდვების შესახებ და ა. შ. [3, გვ. 275].

პროგნოზირების ყველაზე ცნობილი და გავრცელებული მეთოდები შემდეგია:

1. საექსპერტო შეფასებები, რომლის საფუძველია მაღალკვალიფიციური ექსპერტების მბრძანებლური მოსაზრებები;

2. ექსტრაპოლაცია ან სტატისტიკური მეთოდები, რომელიც ეფუძნება მომავალში წარსული ტენდენციების პროგნოზირების და გავრცელების ობიექტზე რეტროსპექტული მონაცემების დამუშავებას;

3. სამოდელო მეთოდები, ე.ი. სტრუქტურული, ფიზიკური ან მათემატიკური მოდელის შექმნა, რომელიც ადეკვატურად ასახავს პროგნოზირების ობიექტის ქცევის ყველაზე მნიშვნელოვან ნიმუშებს და მათ ურთიერთობას გარე ფაქტორებთან.

**საექსპერტო მეთოდები**, მათი შედარებითი სიმარტივისა და მობილურობის გამო, ამჟამად ყველაზე გავრცელებული მეთოდებია და პროგნოზის დიდი უმრავლესობა მათზეა დაფუძნებული. საექსპერტო მეთოდების წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები არის საექსპერტო ჯგუფების შერჩევა და ფორმირება, საექსპერტო „მოსამართლეების" დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მკაფიო და გააზრებული კითხვარების შედგენა, საექსპერტო დასკვნების ორაზროვნების აღმოფხვრა და ცალსახა რაოდენობრივი შეფასებების უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შემდგომი სტატისტიკური დამუშავებისთვის.

ექსპერტთა შეფასებისას მნიშვნელოვანი შეუსაბამობების შემთხვევაში, მათი მოსაზრებების თანმიმდევრულობის ასამაღლებლად ან შეუსაბამობების მიზეზების დადგენის მიზნით რამდენიმე ტური ტარდება ექსპერტიზის შეცვლით და კითხვარების კორექტირებით.

**ექსტრაპოლაციის მეთოდები** მცირდება წარსული დროის პროგნოზირების ობიექტის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავებაზე და წარსულში ნაპოვნი ტენდენციების გავრცელებაზე. ეს მეთოდი ემყარება იმ ვარაუდს, რომ წარსულის, აწმყოსა და მომავლის წარმოებისა და მოთხოვნილების პირობები მსგავსია, რადგან წარსულში წარმოიქმნება სამომავლო ტენდენციები.

უმარტივესი მეთოდებია ტენდენციების ექსტრაპოლაცია, როდესაც ობიექტის წარსული მდგომარეობისათვის დამახასიათებელი ხელმისაწვდომი რიცხვითი მნიშვნელობები საშუალოდ ფასდება ან შეცვლილია ზოგიერთის, უმარტივეს შემთხვევაში, ხაზოვანი დამოკიდებულების შერჩევით, რომელიც ხდება შემდგომი პროგნოზირების პერიოდამდე.

**მოდელირების მეთოდები** პროგნოზირების ყველაზე რთული მეთოდია, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან მიდგომას რთული პროცესების და ფენომენების პროგნოზირებისთვის.

ყველაზე ზოგადი ფორმით, კომპანიის მდგომარეობის ცალმხრივი პროგნოზის დავალება, მომავალში, შემდეგ / წლების განმავლობაში, შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც ფუნქცია (F), მისი ალტერნატიულად აღწერის, მისი საქმიანობის ცვლადი პარამეტრების დასაშვები მომავალი მნიშვნელობების მოდელის მონაცვლეობით (B):

$$B = F[x(t), y(t), z(t), t],$$

სადაც x არის პროგნოზირებული პარამეტრის ცვლადი, რომელიც განიხილება როგორც კონტროლირებადი: y არის პარამეტრის ცვლადი, განიხილება როგორც პირობები; z არის საწარმოს პროგნოზირებული პარამეტრის საწყისი მნიშვნელობა, როგორც ბაზა.

თავის მხრივ, საწარმოს ისეთი მნიშვნელოვანი პარამეტრების აღწერისას, როგორიცაა ავტორიზებული კაპიტალი, წლიური ბრუნვა, გარკვეული სახის პროდუქციის წარმოება და მათი ღირებულება, წლიური მოგება, შრომის ნაყოფიერება, ჩვენ საბოლოოდ შეგვიძლია მივცეთ საწარმოს

მდგომარეობის სრული პროგნოზი, რომელშიც ის შეიძლება გამოჩნდეს / პროგნოზირებულ წლებში. ამავე დროს, **მმართველებად მიჩნეული ცვლადები** მოიცავს, მაგალითად, ინვესტიციებს, საწარმოს პერსონალს, საწარმოს დარჩენილი მოგების განაწილების სტანდარტებს, დადასტურებული ახალი ტექნოლოგიის შემუშავებას. **უკონტროლო ცვლადები**, რომლებიც პირობითად ითვლება, არის საბაზრო პირობები, სამთავრობო პოლიტიკა, გადასახადები, კლიმატურ პირობებში რყევები და ა.შ.

პროგნოზები ვითარდება არა მხოლოდ როგორც მთლიანად საწარმოსთვის, არამედ ინდი-ვიდუალური ობიექტებისთვისაც (სემინარები, ფილიალები, პროდუქტები და ტექნოლოგიები). როგორც წესი, პროგნოზები წინ უძღვის ინვესტიციებს, როდესაც ამოცანაა წარმოების მასშტაბის გაფართოება და გაზრდა, ახალი პროდუქტების შემუშავება, ახალი ძვირადღირებული ტექნოლოგიების გამოყენება. თუმცა მეთოდები შეიძლება განსხვავებული იყოს. გამოიყენება **სცენარის მეთოდები** - საქმიანი თამაში, სიმულაციის მოდელების გამოყენებისას ჩვენ განვიხილავთ მრავალრიცხოვან ურთიერთობებში რთული ფენომენის განვითარების შესაძლო პერსპექტივებს, რათა განვიხილოთ საერთო ხედვა პრობლემების, მოვლენებისა და პროცესების მთლიანობასთან დაკავშირებით.

პროგნოზირება არ არის ერთჯერადი დავალება, აუცილებელია მუდმივად დაგროვდეს და გაანალიზდეს ინფორმაცია პროგნოზირების ობიექტის შესახებ და პროგნოზების სისტემატიურად კორექტირება მოხდეს.

პროგნოზირების (განსაკუთრებით გრძელვადიანის) შეუცვლელი კომპონენტია:

- საწარმოს მიზნების განსაზღვრა;
- სტრატეგიისა და მისი საქმიანობის ტაქტიკის შემუშავება;
- დაგეგმვა (განსაკუთრებით გრძელვადიანი);
- მიზნობრივი ფუნქციური პროგრამების მომზადება (ბაზრის განვითარებისთვის, ინვეს-ტიციებისა და ინოვაციებისთვის).

პროგნოზირების პრინციპებისა და მეთოდების დაუფლება გადაუდებელი ამოცანაა ყველა დაგეგმვის ორგანოსთვის. პროგნოზირება არ იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს, მაგრამ განსაზღვრავს მიზნების მისაღწევად შესაძლო გზებს.

პროგნოზებს დიდი მნიშვნელობა აქვს მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. დროულად გაკეთებული ხელსაყრელი ან არასახარბიელო პროგნოზი საშუალებას გვაძლევს, დავგეგმოთ და მივიღოთ ზომები, რომ ვისარგებლოთ შესაძლებლობებით ან თავიდან ავიცილოთ საფრთხეები.

ამრიგად, პროგნოზირების გამოყენება ორგანიზაციებში თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანი წარმატების ფაქტორია. კვლევის მიზანს წარმოადგენს ორგანიზაციის განვითარების პროგნოზირების მეთოდოლოგიური ასპექტების კვლევა და საწარმოთა პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობა [4, გვ. 54].

ტრადიციულად, პროგნოზირებას და დაგეგმვას (საერთო ინფორმაციული ბაზის საფუძველზე) შეუძლია გამოიყენოს იგივე მეთოდები და ინდიკატორები. პროგნოზსა და გეგმას შორის ურთიერთობა, პირველ რიგში, არის ის, რომ პროგნოზირება არის დაგეგმვის კვლევის საფუძველი. მათ შორის განსხვავებები განპირობებულია იმით, რომ:

1) მისი არსით პროგნოზირება არის კვლევის ბუნება, მომავლის მეცნიერული აღწერა, ხოლო გეგმა მიზნის განსაზღვრის ბუნებაა;

2) პროგნოზი ბუნებრივად სავარაუდოა, ხოლო გეგმა ნორმატიული;

3) პროგნოზს აქვს შინაარსობრივი ხასიათი, ხოლო გეგმა ერთმნიშვნელოვანი გამოსავალია;

4) პროგნოზირება არსებობს დაგეგმვისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ის შეიძლება იყოს დაგეგმვის პროცესის განუყოფელი ნაწილი;

5) პროგნოზი არის უფრო ინფორმაციული, საკონსულტაციო ხასიათის (გადაწყვეტილების მიღება არჩევითია).

პროგნოზირების პრაქტიკაში მრავალი მიდგომა არსებობს პროგნოზების კლასიფიკაციისთვის. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, პროგნოზების ინტეგრირება ჯგუფებში შეიძლება განხორციელდეს ცხრილში მოცემული ერთ-ერთი კრიტერიუმის მიხედვით:

*ცხრილი 1*

**პროგნოზის სახეები**

| № რიგზე | პროგნოზის კლასიფიკაციის ნიშნები | პროგნოზის სახეები |
|---|---|---|
| 1 | დროის გაშუქება<br>(პროგნოზის ჰორიზონტი) | - ოპერატიული - 1 თვემდე<br>- მოკლევადიანი - 1 თვიდან 1 წლამდე<br>- საშუალოვადიანი - 1 წლიდან 5 წლამდე |

| | | |
|---|---|---|
| | | - გრძელვადიანი - 5 წლიდან 15 წლამდე<br>- გრძელვადიანი - 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში |
| 2 | პროგნოზირების ობიექტის მიხედვით | - ეკონომიკური<br>- ტექნოლოგიის განვითარების პროგნოზები<br>- ბაზრის მდგომარეობის პროგნოზები<br>- სოციალური |
| 3 | მომავლის შედეგზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა | – პასიური<br>– აქტიური |
| 4 | პროგნოზირების მიმართ მიდგომა | - საძიებო<br>-ნორმატიული (მარეგულირებელი)<br>- კომპლექსური (ინტეგრირებული) |
| 5 | მომავალი მოვლენების ალბათობის ხარისხი | - ვარიანტული<br>- შეუცვლელი |
| 6 | შესრულების სიზუსტე | - წერტილოვანი<br>- ინტერვალური |
| 7 | პროგნოზის ობიექტის დონე | - გლობალური<br>- სახელმწიფოთაშორისი<br>- საერთო სახელმწიფოებრივი (ნაციონალური)<br>- ინტერრეგიონული<br>- რეგიონული<br>- ადგილობრივი |
| 8 | მოცვის სიდიდის მიხედვით | - ბაზარი მთლიანობაში<br>- ინდივიდუალური საქონლის ან მომსახურების ბაზრები |
| 9 | განზომილების მახასიათებლები | - ერთგანზომილებიანი<br>- მრავალგანზომილებიანი |
| 10 | პროგნოზირების ფონი | - უპირობო<br>- პირობითი |

შეიძლება საწარმოებსა და ფირმებში სხვადასხვა ტიპის პროგნოზის მთლიანი კომპლექსი ჩამოყალიბდეს.

## დასკვნა

ყოველივე ზემოთ განხილული შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ დასკვნის სახით. კერძოდ:

- ზოგადად, პროგნოზი არის მომავლის შესახებ ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი გზა, ანუ შესაძლებელია ინფორმაცია მომავლის შესახებ მოძიებულ იქნეს სხვადასხვა გზით, სადაც ერთ-ერთი მეთოდი პროგნოზია;
- კონკრეტული მეთოდების არჩევის აუცილებლობა პროგნოზირების ობიექტების მზარდი სირთულითაა გამოწვეული;
- პროგნოზირება არის ეკონომიკური განვითარების შესაძლო და არა ერთადერთი სწორი მიმართულების ვარაუდი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული ფაქტორებისა და პარამეტრების ერთობლიობას როგორც არსებული ვითარების, ისე ისტორიული მონაცემების შესახებ;
- ბიზნესის განვითარების პროგნოზი სხვადასხვა ტიპისაა. შეგვიძლია წინასწარ განვსაზღვროთ, განხორციელდება თუ არა ბიზნესი საერთოდ;
- შეგვიძლია წინასწარ განვსაზღვროთ აგრეთვე, თუ რამდენ ხანს დარჩება ბიზნესი შესაბამისი შემოსავლის გამომუშავებით.
- შესაძლებელია ბიზნესის განვითარების მასშტაბების წინასწარ განსაზღვრაც;
- თუ ბიზნესი დამყარებულია რეალურ (სწორ) იდეაზე და შეესაბამება იმ აზრს, რომელსაც ის ემყარება, მაშინ ის 100% –ით განხორციელდება;
- მიუხედავად იმისა, რომ იდეა, რომელსაც ბიზნესსაფუძველი აქვს, აქტუალურია. დროთა განმავლობაში, ნებისმიერი იდეა კარგავს აქტუალობას;
- შესაბამისად, ბიზნესი, რომელიც მის საფუძველზეა აგებული, მთავრდება;

- იდეის რელევანტობა თანდათან მცირდება, რაც საშუალებას გვაძლევს წინასწარ განვსაზღვროთ ბიზნესის ხანგრძლივობა;
- მაშასადამე, თუ შევქმნით პროგნოზს ბიზნესის განვითარებისთვის, მაღალი ალბათობით შეგვიძლია გავარკვიოთ თუ რამდენად განხორციელდება იგი, რამდენ ხანს გაგრძელდება და რა დონეზე გაიზრდება.

დასარულ, აუცილებელია ერთდროულად გავითვალისწინოთ ბიზნესის პროგნოზის რამდენიმე პარამეტრი. **ჯერ ერთი**, რაც უფრო დიდია პროგნოზირების „სახელი", მით უფრო მეტია მისი სანდოობა. მთავარია შეფასების ან პროგნოზის სიზუსტე და სანდოობა. სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კომპეტენტურად შეიძლება ექსპერტმა დაამუშაოს ცნობილი ფაქტები და მოვლენები, შეადაროს ისინი, დაადგინოს მიზეზობრივი ურთიერთობები, შაბლონები. ასევე იმისგან, თუ რამდენმა იცის და იცის როგორ გამოიყენოს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები. ეს საკმაოდ რთულია პროფესიონალისთვისაც კი. ძალიან სასარგებლოა ყურადღება გამახვილდეს ერთი სპეციალისტის პროგნოზებზე და ამავე დროს მოხდეს მათი საიმედობის მონიტორინგი, რაც შეცდომების რაოდენობის შემცირების შესაძლებლობას იძლევა. **მეორე**, აუცილებელია რამდენიმე პროგნოზის შეჯერება და გათვალისწინება. ბიზნესის პროგნოზების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა, მაგრამ, რა თქმა უნდა, სანდო წყაროს შეფასებები, რათა შესაძლებელი გახდეს მათი შედარება და ანალიზი.

ხშირ შემთხვევაში, ბიზნესის პროგნოზის შემუშავების მიზნით ჩატარებული გამოკითხვები გამართლებულია მხოლოდ შემთხვევების 55-60% -ში.

გარდა აღნიშნულისა, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბიზნესის განვითარების პროგნოზების ინფორმაციულ ბაზას. როგორც წესი, პროგნოზის გაკეთების საფუძველია წინა პერიოდის მიმდინარე ინდიკატორები და მონაცემები, ხოლო შეფასებულია მათი ტენდენციები, დაგეგმილი მოვლენები და ასევე მათი დინამიკა. ყველა ეს პარამეტრი ემსახურება შემდგომი გამოთვლების საფუძველს და ბიზნესის განვითარების მოდელის შექმნას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. თუ ინფორმაცია საიმედოა (ე.ი. მომდინარეობს სანდო წყაროებიდან), სისტემატურად და კომპეტენტურად არის გაანალიზებული, ეს პროგნოზირების ჯანსაღი საფუძველია.

კვლევის შედეგად მიღებული ბიზნესის პროგნოზები ყოველთვის უფრო საიმედოა, ვიდრე სპონტანურად გაკეთებული (პრობლემის არსის გარკვევის გარეშე). კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგნოზს, აფასებენ თავიანთ რეპუტაციას და კარგად იციან, რომ მომხმარებელთა რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია. შესაბამისად, ყველანაირ შესაძლებლობებს იყენებენ მიღებული შედეგების გასავრცელებლად.

საგულისხმოა ისიც, რომ პროგნოზის დანიშნულება წინასწარ მოქმედი ფენომენის ან ობიექტის განვითარების მოდელის შექმნაა. როდესაც გვაქვს მოდელი, მეორადი რაოდენობრივი გამოთვლები უკვე ერთგვარი ინტეგრაციული ფაქტორია. გაცილებით ადვილია გარკვეული სახის რაოდენობრივი მოდელების აგება და იმის გაგება, თუ რა დროს და როგორ გამოიხატება ეს მოდელი მათემატიკური თვალსაზრისით.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Маленков Ю. А. Методы бизнес-прогнозирования. Ростов н/Д, Изд-во Южного фед. ун-та, 2017. – 358 с.
2. Березовская Е. А., Крюков С. В. Методы и инструменты бизнес-анализа: учебное пособие. Ростов н/Д, Изд-во Южного фед. ун-та, 2016. – 340 с.
3. გელაშვილი ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. გამომცემლობა ,,მერიდიანი". თბილისი, 2012. _ 425 გვ.
4. ზურაბ წერეთელი. ბიზნესის პროგნოზირების როლი ბიზნესის მენეჯმენტში. სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის პრობლემები. XXXIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (21.03.2020). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი", 2020. – გვ. 53-54.

*Zurab Tsereteli*

**PROBLEMS AND METHODS OF FORECASTING BUSINESS DEVELOPMENT MANAGEMENT**

**Summary**

The paper presents the problems of business development forecasting, concepts of forecasting and forecasting, the need for their development, importance and necessary conditions, the role of management forecasting in business (its development), the main signs and types of classification, methods and models, their advantages.

The differences between the forecast and the plan, their peculiarities are given. The conclusion is the ways to solve the problems of forecasting business development and using favorable methods.

***Keywords:*** *Business Development Forecasting, Forecasting, Forecasting Problems, Key Signs and Types of Classification, Forecasting Methods.*

*იზოლდა ჭილაძე*

## საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის ანალიზის სრულყოფის საკითხები

***ანოტაცია. ნაშრომის მიზანია*** *საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების იმ ძირითადი ფაქტორების ანალიზის სრულყოფა, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში საწარმოების (გარდა ფინანსური სექტორისა) მდგრადი ზრდის ტენდენციის დამკვიდრებაზე წინა წლების პერიოდში. პასუხი გაეცეს კითხვას, რა ფინანსური გამოწვევების წინაშე დგას დღეს საწარმოები საქართველოში და შესაბამისად შემუშავებულ იქნეს ბიზნესის ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების, გადახდის-უნარიანობის ზრდისა და გაკოტრების რისკების შერბილების პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები.*

***კვლევის საგანია*** *საანალიზო საწარმოთა ფინანსური პოზიციები და ფინანსური შედეგები.*

***კვლევის ობიექტებად*** *შეირჩა საქართველოს პირველი და მეორე კატეგორიის სააქციო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები, სულ ათი საწარმო.*

***კვლევის მეთოდოლოგია*** *მოიცავს ეკონომიკური და სტატისტიკური ანალიზის, ფაქტორული ანალიზისა და კოეფიციენტების ანალიზის მეთოდებს.*

***შრომის დასკვანში*** *გადმოცემულია საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის ანალიზის მეთოდიკის სრულყოფის წინადადებები, შემუშავებულია ფინანსური სტაბილურობის და ფინანსური რისკების მაჩვენებლის მრავალფაქტორული მოდელები, რომელთა საწარმოებში რეგულარული გამოყენება დაეხმარება საწარმოთა მენეჯმენტს, დროულად გამოავლინოს კომპანიის წინაშე არსებული გამოწვევები გადახდისუნარიანობის, ფინანსური დამოუკიდებლობის და რისკების შემცირების მიმართულებით და განახორციელოს ადეკვეტური ღონისძიებები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ფინანსური სტაბილურობა, მდგრადი ზრდა, გადახდისუნარიანობა, ფინანსური რისკები.*

### შესავალი

საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის აუცილებლობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება როგორც საკუთრივ საწარმოთა მდგრადი ზრდის, ასევე საერთაშორისო ფინანსური ბაზრის სტაბილურობის მიზნებისათვის.

განასხვავებენ ფინანსურ სტაბილურობას მაკრო და მიკროეკონომიკურ დონეზე. მეცნიერ ეკონომისტები წერენ, რომ მაკროეკონომიკურ დონეზე „სამწუხაროდ არ არსებობს ფინანსური სტაბილურობის საყოველთაოდ მიღებული ერთი განსაზღვრება. ავტორთა უმრავლესობას ურჩევნია ფინანსური არასტაბილურობის განსაზღვრება გააკეთოს, ვიდრე ფინანსური სტაბილურობის“ [Garry J. Schinasi. გვ.3-13.]. „მიკროეკონომიკური თვალსაზრისით, მდგრადი ზრდა უკავშირდება ინდივიდუალურ საწარმოს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსურ სტაბილურობაზე“ [Jaket Pera. 2017. გვ. 50]. მაშასადამე, ფინანსური სტაბილურობა უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოს მდგრად ანუ პერმანენტულ ზრდას. წინამდებარე სტატიაში არ ვიხილავთ მაკროეკონომიკური სტაბილურობის საკითხებს.

ჩვენი აზრით, უნდა განვასხვაოთ საწარმოს საოპერაციო და ფინანსური სტაბილურობა. **საოპერაციო სტაბილურობა** გულისხმობს საწარმოს უნარს, ერთი მხრივ, წარმოადგინოს თავისი პროდუქტი ან მომსახურება და განახორციელოს ნედლეულის შესყიდვების პროცედურები, გამოიყენოს წარმოების საუკეთესო პრაქტიკა და მეორე მხრივ, შექმნას თანამედროვე განაწილების სისტემები. **ფინანსური სტაბილურობა კი** გულისხმობს საწარმოს უნარს, ფულად-საანგარიშსწორებო ურთიერთობებში მოქმედებდეს უწყვეტად (დაბრკოლებების გარეშე), შეუძლია გაუძლოს პრობლემებს,

უახლოეს ხუთ წელიწადში არ გააჩნია ფინანსური ლიკვიდობის ან გადახდისუნარიანობის დაკარგვის შიში, მოქმედებს დინამიური და სტაბილური ბალანსის პირობებში, ოპერატიულად რეაგირებს გარემო პირობებზე, დაბალია საპროცენტო ხარჯების დაფარვის რისკი.

საწარმოთა ფინანსური სტაბილურობა უწვეტი პროცესია და არა სტატიკური. ამიტომ, მას გარკვეული პრინციპები ახასიათებს. ესენია: დადებითი ფინანსური პოზიციები; გადახდისუნარიანობა; მომგებიანობა; ზომიერი ფინანსური ლევერიჯი; საწარმოთა სტაბილურობის ჩამოთვლილი კომპონენტები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან და ერთმანეთზე ზემოქმედებენ. წინამდებარე სტატიაში შესწავლილია საანალიზო საწარმოების ფინანსური სტაბილურობის პარამეტრები სწორედ ყველა ამ დასახელებული მიმართულებით და შეძლებისადაგვარად ახსნილია მათზე მოქმედი ფაქტორების ბუნება და დადგენილია საწარმოთა წინაშე არსებული გამოწვევები წინა წლების ინფორმაციის საფუძველზე. ამჟამად არსებული „პანდემიით“ გამოწვეული ეკონომიკური შედეგები კი მომავალი კვლევის საგანია და ამ შრომაში, სამწუხაროდ, ვერ აისახა.

## 1. საანალიზო საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის პარამეტრები და ტენდენციები

**საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზის მიმართულებებია** მისი ფინანსური დამოუკიდებლობისა და ფინანსური პოზიციების ხარისხის განსაზღვრა; გადახდისუნარიანობის, მომგებიანობის და ფინანსური რისკების გამოკვლევა.

**საწარმოს ფინანსური** სტაბილურობა უპირველესად გულისხმობს საწარმოს ისეთ მდგომაროებას, როცა მას არ გააჩნია საპროცენტო ვალების ტვირთი. არის მისი ფინანსური რესურსების ისეთი მდგომარეობა, გამოყენება და განაწილება, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს განვითარებას მოგებისა და საკუთარი კაპიტალის ზრდის საფუძველზე, გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის შენარჩუნების პირობებში.

ფინანსური სტაბილურობის შესაფასებლად მრავალი მაჩვენებელი გამოიყენება. შრომაში განვიხილავთ მხოლოდ მთავარ მაჩვენებლებს, როგორიცაა:

**ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი/აქტივების ჯამი**

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის წილს აქტივებში. იგი აჩვენებს საკუთარი კაპიტალის ხარჯზე შეძენილი რესურსების სიდიდეს. დადებითად ითვლება თუ ეს კოეფიციენტი 0,5 -ს აღემატება. რაც უფრო ახლოსაა ერთთან, საწარმო ფიანანსურად მით უფრო დამოუკიდებელია. 0.5-ის ქვემოთ, საწარმო დამოკიდებული ხდება სხვებზე (კრედიტორებზე).

**კაპიტალის ორგანული სტრუქტურა = საკუთარი კაპიტალი/ვადებულებები**

ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი უნდა იყოს. რაც უფრო მაღალია ერთზე, მით უფრო მაღალი დადებითი ფინანსური პოზიციები გააჩნია კომპანიას. მით უფრო მცირდება ფინანსური რისკები.

**მოზიდული და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა =**
= ვალდებულებები/(საკუთარი კაპიტალი)

ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი არ უნდა იყოს.

**კაპიტალის უსაფრთხოების (შენარჩუნების) კოეფიციენტი** =
= საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს / საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში

ეს კოეფიციენტი 1-ზე მეტი უნდა იყოს და საწარმოს ზრდას ახასიათებს. ეს ზრდა უნდა იყო მდგრადი, პერმანენტულად დადებითი. შეიძლება აგრეთვე გამოითვალოს საკუთარი კაპიტალის ცვლილების ფარდობით წინა წლის საკუთარ კაპიტალთან.

ფინანსური სტაბილურობის ზოგიერთი მაჩვენებელი წარმოდგენილია პირველ ცხრილში, საანალიზო საწარმოების მაგალითზე.

ცხრილი 1.1.  ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები 2017-2018

| საწარმოები | 2017 | | | 2018 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ფინანსური დამოუკიდ. კოეფიც. (უნდა იყოს 0.5-ზე  მეტი) | კაპიტალის ორგანული სტრუქტურა (უნდა იყოს 1-ზე მეტი | კაპიტალის შენარჩუნ-ების კოეფიც. (უნდა იყო 1-ზე მეტი) | ფინანსური დამოუკიდ ბის კოეფიც. (უნდა იყოს 0.5-ზე  მეტი) | კაპიტალის ორგანული სტრუქტურა (უნდა იყოს 1-ზე მეტი) | კაპიტალის შენარჩუ-ნების კოეფიც. (უნდა იყო 1-ზე მეტი) |
| 1. სს „კოკა კოლა“ | 0.40 * | 0.667 * | 1.07 | 0.44 * | 0.794 * | 1.22 |
| 2.  სს „თელიანი ველი“ | 0.85 | 5.689 | 2.18 | 0.84 | 5.11 | 1.10 |
| 3.  შპს „სანტე“ | 0,79 | 3.751 | 1.21 | 0.83 | 4.79 | 1.13 |
| 4. სს ,,ნიკორა“ | 0,17 * | 0.621 * | 0,37 * | 0.56 | 1.30 | 1.01 |
| 5.  სს „საქართველოს რკინიგზა“ | 0.42 * | 0.77 * | 0.76 * | 0.23 * | 0.31 * | 0.43 * |
| 6.  შპს „იფქლი დიღომი“ | 0,85 | 5.68 | 0.96 * | 0.73 | 2.65 | 1.09 |
| 7. სს „გუდვილი“ | (0.61) * | (0.49) * | 0.99 * | 0  * | (0.49) * | 0 * |
| 8. სს „თელასი“ | 0.48 * | 0.92 * | 1.12 | 0.53 | 1.13 | 1.18 |
| 9.  სს „იმედი L“ | 0.21 * | 0.26 * | 0.80 * | 0.36 * | 0.57 * | 2.22 |
| 10. სს „საფონდო ბირჟა“ | 0,86 | 29.4 | 0,96 * | 0.94 | 16.36 | 0.69  * |

* ვარსკვლავით მინიშნებულია არასასურველი შედეგები
***წყარო.*** ფინანსური ანგარიშგების პორტალი (reportal.ge)

გამოთვლების შედეგად აღმოჩნდა (იხ.ცხრილი 1.1), რომ ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი 2017 წელს ნორმაზე დაბალი იყო შემდეგ საწარმოებში: „კოკა-კოლა“, „ნიკორა“, „საქართველოს რკინიგზა“, „გუდვილი“, „თელასი“, „იმედი L“. შესაბამისად, მაღალია ამავე საწარმოების კრედიტორებზე ფინანსური დამოკიდებულების ხარისხი. მსგავსი ტენდენციაა დანარჩენი კოეფიციენტების მიხედვით გარდა თელიანი ველის, იფქლი დიღომისა და თელასისა. თუმცა, ამ კომპანიებშიც, ფინანსური პოზიციების წარმოდგენილი მაჩვენებლები 2018 წელს შემცირებულია წინა წელთან შედარებით. ხოლო, „გუდვილსა“ და  „საქართველოს რკინიგზა“-ში, პერმანენტულად ნეგატიური შედეგებია.



საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია კაპიტალის ორგანული (ძირითადი) სტრუქტურის კოეფიციენტი, **საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ფარდობა, რომელიც ერთზე მეტი უნდა იყოს.** რაც უფრო მაღალია ერთზე ნიშნავს, რომ დაფინანსების წყაროებში იზრდება საკუთარი კაპიტალის წილი და მაშასადამე, სხვა თანაბარ პირობებში, საწარმო ფინანსურად სულ უფრო დამოუკიდებელი და სტაბილური ხდება. როცა კოეფციენტი ერთის ტოლია, იგი ფინანსური საფრთხეების ზღვარზე იმყოფება. თუ ეს კოეფიციენტი ერთზე ნაკლებია, ეს საწარმოს ფინანსური სირთულეების დასაწყისია.

ვინაიდან კაპიტალის ორგანული სტრუქტურა სტაბილურობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია, **ჩვენ შევქმენით კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის ცვლილებაზე მოქმედი სამფაქტორიანი მოდელი, ანუ ფაქტორთა მწკრივი, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:**

$$\frac{\text{საკუთარი კაპიტ.}}{\text{ვალდებულებები}} = \frac{\text{საკუთ.კაპ.}}{\text{მოგება დაბეგვრამდე}} * \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე}}{\text{აქტივები სულ}} * \frac{\text{აქტივები სულ}}{\text{ვალდებულებები}} \qquad \text{(I)}$$

საბალანსო მუხლები შეიძლება აღებულ იქნეს წლის ბოლოს არსებული რიცხვითი მნიშვნელობებით:

1. საკუთარი კაპიტალის ფარდობა წლიურ მოგებასთან (მას შეიძლება ვუწოდოთ მოგების კაპიტალტევადობა) რაც უფრო მაღალია, მით უფრო მაღალია საკუთარი კაპიტალის წილი მოგების ფორმირებაში და მცირდება ფინანსური რისკები;

**2**. წლიური მოგების ფარდობა აქტივებთან (აქტივების მომგებიანობა) - ამ მაჩვენებლის ზრდა ნიშნავს აქტივების მომგებიანობის ზრდას. ე.ი. აქტივები სულ უფრო მაღალი ეფექტით გამოიყენება, რაც აძლიერებს საწარმოს ფინანსურ პოზიციებს და ამაღლებს კაპიტალის ორგანული შედგენილობის ხარისხს.

3. აქტივების ფარდობა ვალდებულებებთან - მისი ზრდა ნიშნავს, რომ აქტივების ზრდის ტემპი აღემატება ვალდებულების ზრდის ტემპს. მაშასადამე, იზრდება საკუთარი კაპიტალით დაფინანსებული აქტივების მოცულობა და, შესაბამისად, მცირდება ფინანსური რისკები.

ნაშრომში, ფაქტორული ანალიზის მეთოდიკის დემონსტრირების მიზნით, გამოყენებულია სს „კოკა-კოლას" ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია (იხ. ცხრილი 1.2).

**ცხრილი 1.2. სს „კოკა-კოლას" კაპიტალის ორგანული შედგენილობის კოეფიციენტის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა 2017 და 2018 წელს, წინა წელთნ შედარებთ**

| მაჩვენებლები | 2016 | 2017 | | 2018 | |
|---|---|---|---|---|---|
| | | კოეფ. | გადახრა 2016წ-დან | კოეფ. | გადახრა 2017 წ-დან |
| **-კაპიტალის ორგანული შედგენილობა** (საკუთარი კაპიტალის ფარდობა ვალდებულებებთან) | 0.602 | 0.667 | + 0.065 | 0.794 | +0.127 |
| **მოქმედი ფაქტორები:** | | | | | |
| 1.საკუთარი კაპიტ. ფარდობა მოგებასთან | 4.4475 | 12.2028 | +7.7553 | 5.6147 | -6.5881 |
| 2. აქტივების მომგებიანობა | 0.0912 | 0.0329 | -0.0583 | 0.0788 | +0.0459 |
| 3. აქტივების ფარდობა ვალდებულებებთნ | 1.4841 | 1.6614 | +0.1773 | 1.7944 | +0.133 |
| **მოქმედ ფაქტორთა გავლენა:** | | | გავლენა | | გავლენა |
| პირველი ფაქტორის გავლენა | | | +1.0497 | | -6.5881 |
| მეორე ფაქტორის გავლნა | | | -1.0558 | | +0.0459 |
| მესამე ფაქტორის გავლენა | | | + 0.0711 | | +0.0588 |
| ------------------ | | | ----------- | | -------- |
| ჯამი | | | + 0.065 | | +0.127 |

ფაქტორთა მწკრივში წარმოდგენილი სამი ფაქტორის გავლენის გაზომვა ხდება კარგად ცნობილი **აბსოლუტური სხვაობის ხერხით. ამ ხერხის მიხედვით მოცემული ფაქტორის გავლენა უდრის ამ ფაქტორის გადახრა გამრავლებული, ფაქტორთა მწკრივში, მის წინ მდგომი ფაქტორის მიმდინარე და შემდგომი ფაქტორის საბაზისო მნიშვნელობებზე.**

როგორც იმავე 1.2. ცხრილიდან ჩანს, კაპიტალის ორგანული შედგენილობა 2017 წელს, წინა წელთან შედარებით 0.065 პუნქტით გაიზარდა, ანუ ფინანსური პოზიციები გაუმჯობესდა, თუმცა კვლავ ერთზე ნაკლები რჩება. მეორე ფაქტორი - აქტივების მომგებიანობა კი 2017 წელს, წინა წელთან

შედარებით დაეცა, რამაც კაპიტალის ორგანული შედგენილობა (კაპიტალის ხარისხი), ანუ საწარმოს ფინანსური პოზიციები 1.0558 პუნქტით გააუარესა, რის შედეგადაც დაახლობეით 208 ათ.ლ მოგება დაიკარგა. მაშასადამე, მენეჯმენტმა განსაკუთრებით უნდა გამოიკვლიოს, რატომ შემცირდა აქტივების მომგებიანობა.

2018 წელს კი, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა მოახდინა მეორე და მესამე ფაქტორმა. პირველმა ფაქტორმა კი უარყოფითი გავლენა მოახდინა, ანუ დაეცა საკუთარი კაპიტალის წილი მოგების ფორმირებაში. ამდენად ფინანსური რისკები გაიზარდა.

## 2. საწარმოს გადახდისუნარიანობა და სტაბილურობა

საწარმოთა ფინანსურ სტაბილურობაზე ასევე გავლენას ახდენს მისი გადახდისუნარიანობა, ანუ აქვს თუ არა საწარმოს საკმარისი ფულადი თანხები ვალდებულებების დასაფარავად.

ლიკვიდურობის ანუ საწარმოს გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები განხილულია ყველა საანალიზო საწარმოს მაგალითზე (იხ. ცხრილი 2.1.). როგორც ცხრილიდან ჩანს, აბსოლუტური ლიკვიდობა, საანალიზო საწარმოებში, ,,საფონდო ბირჟის" გარდა, ნორმის ფარგლებში არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ საწარმოებს მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად საკუთარი ფულადი სახსრები არ გააჩნიათ.

**ცხრილი 2.1. საანალიზო საწარმოების ლიკვიდურობის კოეფიციენტები 2016-2018**

| საწარმოები | აბსოლუტური ლიკვიდურობა (არ უნდა იყოს 0.20-ზე ნაკლები) | | | საერთო ლიკვიდურობა (უნდა იყოს 2-ზე მეტი და 3-ზე ნაკლები) | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2016 | 2017 | 2018 | 2016 | 2017 | 2018 |
| სს „კოკა-კოლა" | 0,0289 * | 0,0605 * | 0.003 * | 0,4428 * | 0,6564 * | 0.77 * |
| სს „თელიანი ველი" | 0,6789 | 0,7260 | 0.47 | 2,6291 | 2,4648 | 0.99 * |
| შპს „სანტე" | 0,3870 | 0,3923 | 0.25 | 1,7237 * | 1,5820 * | 1.84 * |
| სს „ნიკორა" | 0,0405 * | 0,1466 * | 0.13 * | 0,5238 * | 0,5630 * | 0.34 * |
| სს „საქართველოს რკინიგზა" | 1,2709 | 1,0718 * | 0.0004* | 1,8904 * | 1,4326 * | 0.91 * |
| შპს „იფქლი დიღომი" | 0,7566 | 0,1770 * | 2.40 | 6,2382 * | 2,0368 | 6.13 * |
| სს „გუდვილი" | 0,0982 * | 0,1216 * | 0.10 * | 0,8706 * | 0,7348 * | 0.70 * |
| სს „თელასი" | 0,1805 * | 0,1501 * | 0.07 * | 0,7233 * | 0,6705 * | 0.63 * |
| სს „საფონდო ბირჟა" | 4,7507 | 4,9249 | 3.46 | 5,1618 * | 5,4033 * | 6.83 * |
| სს „იმედი L" | 0,0908 * | 0,0369 * | 0.06 * | 0,8694 * | 0,8433 * | 1.36 * |

* ვარსკვლავით აღნიშნულია ნორმაზე დაბალი შედეგები.

***წყარო:*** საწარმოთა ფინანსურ ანგარიშგების პორტალი. Reportal.ge

აბსოლუტური ლიკვიდურობა, საანალიზო საწარმოებში დასაშვები ნორმის ფარგლებში 2016-2018 წლებში აქვთ საწარმოებს: თელიან ველს, საფონდო ბირჟას, სანტეს და იფქლი დიღომს. საერთო ლიკვიდურობის, ანუ საერთო გადახდისუნარიანობის დონე კი სამივე წელს ათივე საკვლევ საწარმოში საშიშ დიაპაზონშია. ეს კიდევ უფრო ამლიერებს საწარმოთა ფინანსური არასტაბილურობის ხარისხს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ საწარმოებს არც მენეჯმენტი და არც მესაკუთრეები არ ჰყავთ. ვთვლით, რომ ასეთი გულგრილობა მათი მხრიდან მაღალი არაპროფესიონალიზმისა და უპასუხისმგებლობის ნიშანია. ვითარება ნაჩვენებია 2.1 დიაგრამაზეც.




**დიაგრამა 2.1. საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი**

საანალიზო საწარმოების მაგალითზე ფულის გამოყენების რამდენიმე კოფიციენტი იქნა შესწავლილი, როგორიცაა ფულის ბრუნვის რიცხვი, ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი, დივიდენდის დაფარვის კოეფიციენტი და რეინვესტირების კოეფიციენტი (იხ.ცხრილი 2.2.).

როგორც 2.2. ცხრილიდან ჩანს, საანლიზო საწარმოებში ფულის კოეფიციენტებიც დიდი მერყეობით ხასიათდებოდა, რაც საწარმოთა ფინანსურ არასტაბილურობას უწყობს ხელს. იმავე ცხრილიდან ჩანს, რომ რეინვესტირების კოეფიციენტი ზოგიერთ საწარმოში უარყოფითი რიცხვია, რაც წარმოების შეკვეცაზე მიუთითებს.

**ცხრილი 2.2. ფულით უზრუნველყოფის კოეფიციენტები**
**2018 წელს საანალიზო საწარმოების მიხედვით**
(ცხრილში ვარსკვლავით მითითებულია განსაკუთრებით სახიფათო შედეგები)

| საწარმოები | ფულის ბრუნვის რიცხვი ჯერებში | ფულადი უსაფ-რთხოების ინტერვალი (დღ) | დივიდენდის დაფარვის კოეფიციენტი | რეინვესტი-რების კო-ეფიციენტი |
|---|---|---|---|---|
| 1. სს „კოკა-კოლა“ | 144.41 | 5.03 | 4.56 | -0.003 * |
| 2. სს „თელიანი ველი“ | 5.59 | 97.4 | 0.60 | 0.39 |
| 3. შპს „ სანტე“ | 20.76 | 15.76 | 1 | 0.51 |
| 4. სს „ნიკორა“ | 163.5 | 0.04 | 1.56 | -0.001 * |
| 5. სს „საქ. რკინიგზა | 1.75 | 135.6 | 1 | - 1.28 * |
| 6. სს „გუდვილი“ | 35.87 | 8.01 | 1.07 | -3.29 * |
| 7. შპს „იფქლი დიღომი“ | 153.22 | 31.77 | 1 | -6.02 * |
| 8. სს „თელასი“ | 37.16 | 7.83 | 1.09 | -0.34 * |
| 9. სს „საფონდო ბირჟა“ | 0.55 | 423 | 0 | -1.61 * |
| 10. სს „იმედი L“ | 36.39 | 13.77 | 1.14 | 0.12 |

***წყარო:*** საწარმოთა ფინანსური ანგარიშგება, reportal.ge

ამასთან, ფულის ბრუნვის რიცხვი ზოგიერთ კომპანიაში ძალიან მაღალია, რაც სასურველ მოვლენად არ ითვლება. მას „გადახურებულ ფულს“ უწოდებენ, რადგან ფულადი რესურსი ისე სწრაფად მოძრაობს, რომ ანგარიშებზე ვერ ჩერდება. მაშასადამე, არსებობს ფულის უკმარისობის პრობლემა. რეინვესტირების კოეფიციენტი კი შვიდ საანალიზო საწარმოში უარყოფითია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ წარმოება ზრდის ნაცვლად შეიკვეცა. ასეთი ვითარება თუ 2019-2020 წლებში გაგრძელდა, საწარმოებიდან პერსონალის მასობრივი გათავისუფლება შეიძლება დაიწყოს.

## 3. საწარმოს ფინანსური რისკები და სტაბილურობა

**ფინანსური რისკები** ნიშნავს საწარმოს ვალების ტვირთის ხარისხს. ფინანსური რისკის გავრცელებული მაჩვენებელია **ფინანსური ლევერიჯი.** იგი იკვლევს საწარმოს სესხებსა და სააქციო კაპიტალს შორის თანაფარდობის კავშირს მოგების ცვლილებასთან. **დაფინანსების წყაროების სტრუქტურის ოპტიმიზაციას მოგების გადიდების მიზნით, ფინანსური ლევერიჯის კონცეფციას უწოდებენ.**

ფინანსური ლევერიჯი დამოკიდებულია საწარმოს მმართველობის არჩევანზე, დაფინანსებისათვის გამოიყენოს აღებული სესხები, თუ გამოუშვას პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი აქციები. როცა კომპანია იყენებს სესხებს ან უშვებს პრივილეგირებულ აქციებს, მათ ყოველთვის გააჩნიათ ფინანსური ლევერიჯი, ვინაიდან წარმოიშობა მოზიდული სახსრების გადასახდელი მუდმივი სარგებელი, რაც კომპანიისათვის საპროცენტო ხარჯებია. ამასთან, გამოშვებული პრივილეგირებული აქციები მართალია სესხი არაა, მაგრამ მათ აქვთ გარანტირებული დივიდენდი და კომპანიას გააჩნია ვალდებულება, პრივილეგირებულ აქციებზე აუცილებლად გასცეს დივიდენდი უცვლელი საპროცენტო განაკვეთით და მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემა დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე. ამდენად, ფინანსური ლევერიჯის რეგულირება მენეჯმენტის მიერ გამოიყენება ჩვეულებრივი აქციების შემოსავლიანობის გაზრდის მიზნით, რადგან ლევერიჯის არსებობას გააჩნია პირდაპირი ეფექტი ჩვეულებრივი აქციონერების უკუგების ცვალებადობაზე.

ფინანსური ლევერიჯის მრავალი კოეფიციენტია. წინამდებარე სტატიაში გამოკვლეულია მხოლოდ კაპიტალის (აქტივების ფარდობა საკუთარი კაპიტალთან), პროცენტის (სესხისა, პროცენტისა და პრივილეგირებული აქციების დივიდენდის ჯამის ფარდობა საოპერაციო მოგებასთან), მოგების ლევერიჯის (საოპერაციო მოგების ფარდობა წმინდა მოგებასთან) კოეფიციენტები (იხ. ცხრილი 4.1).

**ცხრილი 4.1. საანალიზო საწარმოების ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი 2016-2018 წლებში**

(ცხრილში ვარსკვლავით მითითებულია განსაკუთრებით სახიფათო შედეგები)

| კ ო მ პ ა ნ ი ე ბ ი | აქტივების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან (არ უნდა იყოს 2-ზე მეტი) | | | პროცენტის საერთო ლევერიჯი (არ უნდა იყოს 1-ზე მეტი) | | | მოგების ლევერიჯი(1-ის ზემოთ იწყება რისკები) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2016 | 2017 | 2018 | 2016 | 2017 | 2018 | 2017 | 2018 |
| 1. სს „კოკა-კოლა“ | 2.663 | 2.499 | 2.142 | 1.202 | 0.823 | 0.327 | 2.90 | 1.36 |
| 2. სს „თელიანი ველი“ | 1.372 | 1.176 | 1.196 | 0.326 | 0.176 | 0.204 | 0.95 | 1.36 |
| 3. შპს „სანტე“ | 1,223 | 1.268 | 1.207 | -0.336 | 0.008 | 0.062 | 0.95 | 0.96 |
| 4. შპს „ნიკორა“ | 13.23 | 5.963 | 1.787 | 5.804 | 0.451 | 0.493 | 0,78 | 0.61 |
| 5. სს „საქართველოს რკინიგზა“ | 2.017 | 2.71 | 4.278 | 0.986 | -0.356 | -0.1318 | (0.79) * | (0.90) * |
| 6. სს „გუდვილი“ | (1,47) * | (34.5) | (1.023) * | - | (1.449) * | 0.159 | 0.99 | 1.18 * |
| 7. შპს „იფქლი დიღომი“ | 1.061 | 1.176 | 1.338 | 0.007 | 0.01 | 0.023 | 1.0 | 2.45 |
| 8. სს „თელასი“ | 1.911 | 2.078 | 1.886 | 0.033 | 1.377 | 0.200 | 1.29 | 1.24 |
| 9. „საფონდო ბირჟა“ | 1.159 | 1.15 | 1.16 | 0 | 0. | 0 | (1.50) * | (1.32) * |
| 10. „ იმედი L“ | 4.634 | 4.875 | 2.7451 | -0.188 | -0.543 | -0.336 | (0.73) * | 1.54 * |

*წყარო:* საწარმოთა ფინანსური ანგარიშგება, reportal.ge

როგორც 4.1. ცხრილიდან ჩანს, ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი (აქტივების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან) ყველა საწარმოში ერთზე მაღალია, მაგრამ საშიშია „კოკა-კოლაში“, „ნიკორაში“, „საქართველოს რკინიგზასა“ და „იმედი L-ში“. ჩანს, რომ საანალიზო საწარმოების ფინანსური რისკები ძალიან მერყევია. პროცენტის ლევერიჯი აჩვენებს, რომ ზოგიერთ საანალიზო საწარმოს გადახდის უნარი დაკარგული აქვს და გაკოტრებისაკენ მიექანება. შეიძლება ითქვას, რომ „გუდვილი“, „საქართველოს რკინიგზა“ და „საფონდო ბირჟა“ თითქმის გაკოტრებულია.




**დიაგრამა 4.1. ფინანსური რისკის კოეფიციენტი: მოგების ლევერიჯი . 2018**

(რაც უფრო მაღალია 1-ზე, მით მაღალია რისკები)

ფინანსური ლევერიჯის არსებული კოეფიციენტებიდან ყველაზე ზოგად მაჩვენებლად მიგვაჩნია **მოგების ლევერიჯი - საოპერაციო მოგების ფარდობა წმინდა მოგებასთან (OP/NP).** ჩვენ მიერ შემუშავებულია ფინანსური ლევერიჯის ამ ზოგადი მაჩვენებლის ექვსფაქტორიანი მოდელი [Chiladze Izolda. 2019. p. 46; ჭილაძე ი. 2019. მონოგრაფია. გვ.84]:

$$\frac{OP}{NP} = \frac{OP}{S} * \frac{S}{PS} * \frac{PS}{A} * \frac{A}{OwC} * \frac{OwC}{P} * \frac{P}{NP}$$ სადაც,

OP/NP არის საოპერაციო მოგების ფარდობა წმინდა მოგებასთან.

I. OP/S – საოპერაციო მოგებისა და ამონაგების ფარდობა - რაც უფრო მაღალია ეს კოფიციენტი, ნიშნავს, რომ იზრდება გაყიდვების რისკები.

II. S/PS – ამონაგებისა და რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა - მისი ზრდა საწარმოო დანახარჯების ნაკლებეფექტიანად გამოყენების რისკებზე მიანიშნებს, ანუ იზრდება საოპერაციო რისკი.

III. PS/A – რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა აქტივების საშუალო წლიურ ნაშთთან. მისი ზრდა აქტივების დაძველების რისკებზე მიუთითებს.

IV. A/OwC – აქტივების საშუალო წლიური ნაშთის ფარდობა საკუთარი კაპიტალის საშუალო წლიურ ნაშთთან - მისი ზრდა მიუთითებს საკრედიტო და საპროცენტო რისკებზე.

V. OwC/P – საკუთარი კაპიტალისა და დაბეგვრამდე მოგების ფარდობა - მისი ზრდა ნიშნავს, რომ ფინანსური რისკი იზრდება დივიდენდის დაფარვის რისკების ზრდის გამო. ე.ი. შესაძლოა მოგება საკმარისი არ აღმოჩნდეს დივიდენდების დასაფარავად.

VI. P/NP - წლიური მოგების (მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა წმინდა მოგებასთან ახასიათებს საგადასახადო ტვირთით წარმოშობილ რისკებს. მისი ზრდა საგადასახადო რისკის ზრდას ნიშნავს.

ამდენად, ფინანსური ლევერიჯის წარმოდგენილი ფაქტორული მოდელის ანალიზი საწარმოთა ფინანსურ მენეჯმენტს დაეხმარება მრავალწახნაგოვანი თვალსაზრისით მართოს და აკონტროლოს ფინანსური რისკები.

ამრიგად, საანალიზო საწარმოთა უმრავლესობას ფინანსური არასტაბილუორბა ახასიათებს და ეს წლებია გრძელდება. ისმება კითხვა, რას ელოდება მენეჯმენტი და კომპანიების მფლობელები? ასეთი ნეგატიური შედეგების მიზეზები შეიძლება იყოს: მფლობელების უპასუხისმგებლობა, მენეჯმენტის დაბალი პროფესიონალიზმი და გარე კანონგარეშე ფარული გავლენები. მაგალითად, „საქართველოს რკინიგზა" რეალურად გაკოტრებულია. ის სახელმწიფო კომპანიაა და გვიქმნის ეჭვს, რომ მასზე მთავრობის მხრიდან არაადეკვატური ზეწოლები მიმდინარეობს.

არსებულ არასასურველ მდგომარეობას ახლა ემატება ე.წ. „პანდემიით" გამოწვეული გაუთვალისწინებელი შედეგები. ვფიქრობთ, ბიზნესმა, მთავრობამ და მეცნიერებამ უნდა შეიმუშოს ჩვენი ქვეყნის განვითარების პროგრამა საწარმოთა ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით.

## დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე შრომაში შერჩეული საწარმოების მაგალითზე გადმოცემულია ფინანსური სტაბილურობის ანალიზის შედეგები და გაკეთებულია დასკვნები საწარმოთა წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ.

***ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ათივე საანალიზო საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. კერძოდ:***

- ფინანსური დამოუკიდებლობა საკვლევი საწარმოების 50%-ს დაკარგული აქვს;
- საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი 2017 წელს ნორმის ფარგლებში მხოლოდ „თელიან ველსა" და „იფქლი დიღომში" იყო. 2018 წელს კი არც ერთ საწარმოში დასაშვებ საზღვრებში აღარაა. მაშასადამე, გადახდისუნარიანობის უნარი თითქმის დაკარგულია. საწარმოებში ხშირია ფულის დეფიციტის შემთხვევები;
- შეიძლება დავასკვნათ, რომ დღევანდელ საქართველოში არცთუ ისე მცირე რაოდენობის საწარმოების წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევებია გადახდისუნარიანობის დაკარგვის, ფინანსური სტაბილურობის დაკარგვის და მოსალოდნელი გაკოტრების საფრთხეები;

არსებული საშიში ვითარების მიზეზები შეიძლება იყოს საწარმოთა მფლობელებისა და მენეჯმენტის დიდი უპასუხისმგებლობა, მენეჯმენტის დაბალი დონე ან ფარული ზეწოლა გარედან ფულადი რესურსების კანონგარეშედ გადინების მიზნით. ყოველივე ამას ამჟამად ემატება „პანდემიით" წარმოშობილი მოულოდნელი გამოწვევები, რომლის შესახებ საინფორმაციო ბაზა ჯერჯერობით არ არსებობს.

**ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:**

- მენეჯმენტის მიერ ფინანსური ანალიზის სრულყოფილი და რეგულარული ჩატარება, რაც შესაძლებელს გახდის საწარმოებში არსებული ფინანსური პრობლემების დროულად გამოვლენასა და გადაწყვეტას;
- რისკების შერბილებისა და ეფექტური მართვის მიზნით, საწარმოთა მენეჯმენტის მიერ რეგულარლად იქნეს გამოყენებული შრომაში წარმოდგენილი ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების ფაქტორული მოდელები;
- საქართველოში ეკონომიკურ მეცნიერებასა და ბიზნესს შორის დამკვიდრდეს ურთიერთ-თანამშრომლობის ტრადიცია ერთობლივი პრაქტიკული კონფერენციების, სემინარების და სტუდენტების პრაქტიკის განვითარების საშუალებებით. ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას ერთი მხრივ და თვით ეკონომიკური აზრის განვითარებას, მეორე მხრივ.

- მიზანშეწონილად ვთვლით, მიღებულ იქნეს სახელმწიფო კანონი იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ კვლევაში გაკეთებული დასკვნები არ იქნება რაიმე სამართლებრივი დევნის მიზნით გამოყენებული.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Altman Z Ccore Model Guide. 1968. https://www.cleverism.com/altman-z-score-model-guide-examples/
2. Springate Score Model. 1978 https://ycharts.com/glossary/terms/springate_score
3. ჭილაძე იზოლდა (2019). საწარმოთა ლევერიჯის ანალიზის მეთოდიკის სრულყოფის საკითხები. მონოგრაფია. თბ., გამომცემლობა „მწიგნობარი“. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/leverij.pdf
4. Chiladze Izolda (2018),Theoretical and Practical Aspects of Profitability Factorial Analysis. 11th International Scientific Conference: Accounting and Finance: Science, Business and Public Sector Partnership. and Studies of Accounting and Finance: Problems and Perspectives, Volume 12, Number 1, pp. 12-18. DOI:https://doi.org/10.15544/ssaf.2018.02 http://erd.asu.lt/ssaf/article/view/269/215
5. Chiladze Izolda (2019), Factorial Analysis of the Financial Leverage of the Enterprise, Journal: Applied Finance and Accounting Vol. 5, No. 1, February 2019 ISSN 2374-2410E-ISSN 2374-2429 Published by Redfame Publishing URL: pp. 42-48. http://afa.redfame.com doi:10.11114/afa.v5i1.4063
6. https://en.wikipedia.org/wiki/DuPont_analysis
7. Garry J. Schinasi (2004) Defining Financial Stability. https://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2004/wp04187.pdf
8. Jacek Pera (2917). An enterprise’s financial stability and its sustainable growth. A risk-based Perspective. file:///C:/Users/G%20comp%20service/Desktop/1196-3937-1-PB.pdf


***Izolda Chiladze***

## THE ISSUES OF IMPROVEMENT OF ANALYSIS OF FINANCIAL STABILITY OF ENTERPRISES


**Summary**

The purpose of this paper is to improve the analysis of the financial stability of enterprises and identify the key factors affecting the establishment of the sustainable growth trend of enterprises (except the financial sector) in Georgia.

The subject of the study is the financial positions and financial results of the analytical enterprises.

The first and second categories of joint-stock companies of Georgia and limited liability companies were selected as the research objects. Ten enterprises in total.

The research methodology includes methods of economic and statistical analysis, factor analysis and ratio analysis.

The results of the study are as follows:

- Solvency and investment ratios are below the norm in most analytical enterprisesს;
- Low profitability of enterprises. The Georgian Railway and the Stock Exchange have suffered losses for the last three years.
- The reinvestment coefficient is negative in the seven analysis firms, indicating that production has declined instead of increasing. If such a situation persists between 2019 and 2020, the mass dismissal of staff will begin;

**Based on the research are elaborated the following recommendations:**

- Complete and regular financial analysis by enterprise management;

- Factor models of financial stability indicators presented on a regular basis are used by enterprise management to mitigate risks and effectively manage them;

- Establish a tradition of economic science and business collaboration in Georgia through joint practical conferences, seminars and students internships.


***მანანა ხარხელი***
***გიორგი მორჩილაძე***

## კრიზისულ სიტუაციაში კომპანიის მართვისას გასათვალისწინებელი საკითხები

***ანოტაცია.*** *მსოფლიოში გავრცელებულმა პანდემიამ, მნიშვნელოვნად შეცვალა საქმის კეთების წესი ბევრ კომპანიაში. ობიექტური გარემოებაა ის, რომ მრავალი ორგანიზაცია აღმოჩნდა კრიზისულ სიტუაციაში. თავის მხრივ, კრიზისულ სიტუაციაში კომპანიებს გადარჩენისთვის ესაჭიროებათ თავიანთი სტრატეგიის გადახედვა და ცვლილება იმისთვის, რომ ადაპტირდნენ შეცვლილ გარემოსთან. ცვლილებების განხორციელება კი ხშირად დაკავშირებულია სირთულეებთან, რადგან, სხვა მიზეზებთან*

*ერთად, მნიშვნელოვნად იკვეთება დაინტერესებული მხარეების (თანამშრომლების, მომწოდებლების, კლიენტების და ა.შ.) ინტერესები. სწორედ ამიტომ, მოცემულ სტატიაში გამოკვლეულია „პროცედურული სამართლიანობის“ პრაქტიკის გამოყენების მნიშვნელობა ორგანიზაციებში კრიზისის დროს, რომელიც კომპანიას ეხმარება შეცვლილი სტრატეგია ეფექტიანად დანერგოს რთულ სიტუაციაში.*

***საკვანძო სიტყვები:*** *კრიზისის მართვა, ცვლილებების მართვა, სამართლიანი პროცესი.*

## შესავალი

გავრცელებულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა საქმის კეთების წესი უამრავ კომპანიაში.

„საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულების შესაბამისად განისაზღვრა გარკვეული ქმედებები, რომლებიც მოიცავდა გარკვეულ შეზღუდვებსა და მითითებებს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისთვის პოტენციური რისკების შემცირების მიზნით, ასე მაგალითად: სსიპ „შემოსავლების სამსახურსა“ და სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოს“ მიეცათ დავალება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ცოცხალი ცხოველების იმპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის დროებით აკრძალვის შესახებ; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სხვა შესაბამის სტრუქტურებს დაევალათ ა)ტურისტთა და მოგზაურთა ინფორმირება კორონავირუსის გადაცემის რისკებისა და საჭირო ქმედებების შესახებ; ბ) სკრინინგის ღონისძიებების ორგანიზებაში ჩართვა უწყებებს შორის, შესაბამისად შეთანხმებული პროტოკოლის ფარგლებში და სხვ.

2020 წლის 21 მარტს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი №1 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“, რომლის შესაბამისად გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, ხოლო 23 მარტს კი აღნიშნული დეკრეტის საფუძველზე გამოიცა საქართველოს მთავრობის #181 დადგენლინება (საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები).

ამ უკანასკნელი დადგენილების საფუძველზე, საქართველოში საგანგებო მდგომარეობის ვადით შეჩერდება/აიკრძალა: 1. საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა; 2. პირდაპირი საერთაშორისო რეგულარული რეისები; 3. თვითმმართველი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანა; 4. ყველა ტიპის კულტურული ღონისძიების ჩატარება და ა.შ.

23 მარტს გამოიცა საქართველოს მთავრობის დადგენილება №185(2020.03.23) პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, რომლის საფუძველზე გამოიყო სუბსიდია 10 000 000 შემდეგ პროდუქტებზე ფასების სტაბილიზაციისთვის: ბრინჯი, მაკარონის ნაწარმი, წიწიბურა, მზესუმზირის ზეთი, შაქარი, ხორბალი, ხორბლის ფქვილი, რძის ფხვნილი და ლობიო იმპორტისას დახმარებაზე.

მთავრობამ დამატებით კიდევ მიიღო არაერთი დადგენილება თუ ბრძანება, მათ შორის აღსანიშნავია, პრემიერ-მინისტრის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ხელისუფლების ანტიკრიზისული სოციალურ-ეკონომიკური გეგმა[175], რომლის საფუძველზეც, კომპანიებში, 2020 წლის 1 მაისიდან, 6 თვის განმავლობაში, თვეში 750 ლარის ხელფასზე საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდებიან ის ფიზიკური პირები, რომლებიც დაქირავებით არიან დასაქმებულები და ამ 6 თვიან პერიოდში, თითოეულ თვეში მათი ხელფასი არ აღემატება 1500 ლარს. აღნიშნული შეღავათის მიზანია, დამსაქმებლებს შეუმცირდეთ ყოველთვიური ხარჯები და ჰქონდეთ შესაძლებლობა, მაქსიმალურად მეტი სამუშაო ადგილი შეინარჩუნონ და დაქირავებულ პირებს აუნაზღაურონ მათი ხელფასები.

როგორც მასალიდან ჩანს, საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა კორონავირუსმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე და, ცხადია, მათ შორის ბიზნესზეც.

გარკვეული სამეცნიერო კვლევების შესაბამისად, კრიზისებმა შეიძლება გაზარდოს დაინტერესებული მხარეების აგრესია (Mitroff, 2007; Coombs & Holladay, 2005). თავის მხრივ, ამგვარი ემოციები დაინტერესებულ მხარეებს ხდის უფრო კონფლიქტურებს, უჩენთ განცდას, რომ მათ არასამართლიანად ექცევიან და იწყებენ მოძრაობას სამართლიანობის მისაღწევად (ertels et al., 2014; Pfarrer, DeCelles, et al., 2008), რაც კრიზისულ სიტუაციას კიდევ უფრო მეტად დაძაბულსა და რთულს გახდის.

სწორედ ამიტომ, მოცემულ ნაშრომში გამოკვლეული გვაქვს „პროცედურული სამართლიანობის“ პრაქტიკის გამოყენების მნიშნველობა ორგანიზაციებში კრიზისის დროს.

[175] http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=75972

## თავი 1. სამართლიანი პროცესის არსი და მნიშვნელობა

კრიზისულ სიტუაციებში კომპანიის ხელმძღვანელობას, სამწუხაროდ, მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღება უწევთ. თავის მხრივ, როგორც მენეჯერული, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით არსებითია, მიღებულმა გადაწყვეტილებებმა თანამშრომლებში აგრესია ან უსამართლობის განცდა არ გამოიწვიოს. ჩვენი აზრით, აღნიშნულ კონტექსტში ეფექტიანი იქნება, თუ კომპანიის მენეჯერები დანერგავენ მართვის პროცესში „პროცედურული სამართლიანობის" პრაქტიკას .

სამართლიანობის პროცესის ცნების შექმნა ორ სოციოლოგს - ჯონ ტიბოსა და ლოურენს უოკერს უკავშირდება [J.Thibaut, L.Walker", 54] . აღნიშნულმა მეცნიერებმა, კვლევის შედეგად გამოავლინეს, რომ ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, არამედ თავად პროცესის სამართლიანობაც. ამასთან, სასამართლოს დადგენილებით კმაყოფილება და მისი შესრულების მზაობა მკვეთრად იზრდებოდა „პროცედურული სამართლიანობის" შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, საკმაოდ საინტერესოა ჩ. კინის და რ. მობორნის [W. chan kim, R. Mauborgn, 209] მიერ შემუშავებული პრაქტიკა, რომელიც ეყრდნობა ჯ. ტიბოსა და ლ. უოკერის კვლევებს. როგორც ავტორები ამბობენ:

„სამართლიანი პროცესი სხვა არაფერია, თუ არა მენეჯერების მიერ პროცედურული სამართლიანობის პრაქტიკული გამოყენება. საკანონმდებლო დარგის მსგავსად, სამართლიანი პროცესი დასაწყისშივე თავის მხარეს იზიდებს თანამშრომლებს, რითაც თავად სტრატეგიაში დებს აღსრულებას. როცა სამართლიანი პროცესი სტარტეგიის შექმნის სტადიაში მოქმედებს, ადამიანებს სჯერათ, რომ თამაში წესების დაცვით მიმდინარეობს. ეს მათ აძლევს სტიმულს, ნებაყოფლობით ითანამშრომლონ საბოლოო სტრატეგიული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად".

აღნიშნული პრაქტიკა სამ ელემენტს ეფუძნება, კერძოდ: (Engagement) მონაწილობას, (Eplanation) ახსნას და (Expectiation) მკაფიო მოლოდინს. სათითაოდ რომ განვმარტოთ:

- მონაწილეობა გულისხმობს თანამშრომლების ჩართვას იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლის ზეგავლენასაც მალე იგძნობენ. მსგავსი პრაქტიკა აღვივებეს გუნდურ სულისკვეთებას და ერთმანეთისადმი პატივისცემას, მიღებული გადაწყვეტილებაც, ცხადია, მეტი ალბათობით, მეტად სინერგიული და ეფექტიანი იქნება.
- ახსნა გულისხმობს, რომ პროცესის მონაწილეებმა კარგად გაიაზრონ, რატომ იქნა მიღებული ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და არა სხვა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მენეჯმენტის მიერ ისეთი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა რომელიმე კონკრეტული თანამშრომლის პოზიციასთან, ახსნა მაინც მნიშვნელოვანია, რადგან უკეთ არკვევს ამ თანამშრომელს საერთო სიტუაციაში და მენეჯერებისთვისაც საკმაოდ კარგი უკუკავშირის საშუალებაა.
- მკაფიო მოლოდინი გულისხმობს, რომ მენეჯმენტმა გასაგებად აუხსნას თანამშრომლებს თამაშის ახალი წესები, სრულად გააგებინოს როგორ მოხდება მათი შეფასება, რა იქნება ახალი სტანდარტები. მკაფიო მოლოდინის შექმნა არსებითია. კვლევის შესაბამისად [176] გამოვლინდა, რომ მკაფიო მოლოდინი თანამშრომლებში იწვევს მოგების ზრდას 14–29%-მდე, შემოსავლების ზრდას 10–19%-მდე და აუმჯობესებს სხვა მაჩვენებლებსაც.

1-ლ დიაგრამაზე მოყვანილია, თუ როგორ ზემოქმედებს სამართლიანი პროცესი ადამიანთა ქცევასა და დამოკიდებულებებზე.

[176] https://news.gallup.com/businessjournal/195803/employees-really-know-expected.aspx




**დიაგრამა 1. სამართლიანი პროცეისის ზეგავლენა ადამიანთა ქცევასა და მოლოდინებზე**
(ჩ. კინი, რ. მორბორნი. 209).

**თავი 2. სამართლიანი პროცესის ზეგავლენა დაინტერესებულ მხარეებზე**

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი ა. მასლოუ[177] ადამიანთა მოტივაციის თეორიაში აღნიშნავს, რომ ადამიანების მოტივაციას განსაზღვრას მათი მოთხოვნილებები. ამ კონტექსტში მან ადამიანთა მოთხოვნილებები წარმოადგინა იერარქიული სახით და დაყო ის შემდეგ საფეხურებად:

1. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები;
2. მომავლის რწმენისა და უსაფრთხოების მოთხოვნილებები;
3. სოციალური მოთხოვნილებები;
4. პატივისცემის და აღიარების მოთხოვნილებები;
5. თვითგამოხატვის მოთხოვნილებები.

ადამიანთა მოთხოვნილებების ზემოთ მოყვანილ იერარქიაში  პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილება მეოთხე საფეხურზეა და საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროცედურული სამართლიანობის პრაქტიკის დანერგვა გულისხმობს თანამშრომელთა მონაწილეობას, ჩართვას და მათთვის მკაფიო მოლოდინების შექმნას. ხოლო, ყოველივე ამის აღსრულების შედეგად კი თანამშრომლები თავს იგრძნობენ დაფასებულად  და შესაბამისად,  უფრო ეფექტიანად გამოიყენებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, ნებაყოფლობით ითანამშრომლებენ კომპანიის კრიზისულ სიტუაციაში შემუშავებული სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად.

ცხადია, იმ შემთხვევაში თუ თანამშრომლები ჩათვლიან, რომ მათ არ ექცევიან სამართლიანად, მათი მხრიდანაც უკუკავშირი იქნება შესაბამისი.

ქვემოთ მოყვანილია დიაგრამა, რომელიც აღწერს სამართლიანი პროცესის როგორც დაცვის, ისე არდაცვის შემთხვევაში თუ როგორი შეიძლება იყოს თანამშრომელთა უკუკავშირი.

[177] Maslow, A. H. (1943). A theory of human motivation. Psychological Review, 50(4), 370–396




**დიაგრამა 2. სამართლიანი პროცესის დაცვის და არდაცვის შემთხვევაში თანამშრომელთა უკუკავშირი**
(ჩ. კინი, რ. მორბორნი. 209)

ჩვენი აზრით, სამართლიანი პროცესის პრაქტიკის დანერგვა ეფექტიანია არა მხოლოდ კომპანიის თანამშრომლებსა და კოლექტივთან ურთიერთობის ეფექტიანად მართვისთვის, არამედ მას დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს გარეშე პირებთან ურთიერთობის დროსაც. როდესაც კომპანია თავის კლიენტებს რთავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აძლევს საშუალებას, სრულყოფილად მიიღონ მონაწილეობა თანამშრომლობის სხვადასხვა ეტაპზე და უქმნის მათ მკაფიო მოლოდინს თუ რაც შეიძლება მოხდეს, გასაგებიცაა, რომ უკუკავშირი უფრო პოზიტიური და შედეგიანი იქნება, ვიდრე ამის არგაკეთების შემთხვაში.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები. ”უნივერსალი” 2008 (195 გვ.).
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება 181, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ, 23.03.2020, თბილისი.
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №202 „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, 28.03.2020, თბილისი.
4. საქართველოს მთავრობის განკარგულება №164, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“, 28.01.2020, თბილისი.
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №185, პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 23.03.2020, თბილისი.
6. Maslow, A. H. (1943). A theory of human motivation. Psychological Review, 50(4), 370–396

7. By John Thibaut and Laurens Walker. Hillsdale, N.J.: Lawrenc, PROCEDURAL JUSTICE: A PSYCHOLOGICAL ANALYSIS. Erlbaum Associates, 1975. Pp. vii, 150.
8. W.chan kim, R. Mauborgn, “Blue Ocean Strategy”, Harvard Business School Publishing Corporation, 2005, 257
9. https://hbr.org/2020/03/build-your-resiliency-in-the-face-of-a-crisis
10. https://hbr.org/2020/03/a-guide-for-working-from-home-parents
11. https://hbr.org/2020/03/the-coronavirus-crisis-doesnt-have-to-lead-to-layoffs
12. https://hbr.org/2020/03/that-discomfort-youre-feeling-is-grief
13. https://hbr.org/2020/04/5-ways-to-stimulate-cash-flow-in-a-downturn
14. http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=75972
15. https://news.gallup.com/businessjournal/195803/employees-really-know-expected.aspx

***Manana Kharkheli***
***Giorgi Morchiladze***

## ISSUES TO BE CONSIDERED IN COMPANIES DURING CRISIS SITUATION

### Summary

The spread of the pandemic around the world has significantly changed the rules for doing business in many companies. Organizations in the services, construction, or other sectors faced serious problems, and some of them stopped working altogether. The reality is that many organizations have turned to a crisis. In turn, in a crisis situation, companies need to rethink their strategy and change, in order to survive and adapt to a changed environment. Making changes is often difficult because, among other reasons, the interests of interested parties (employees, suppliers, customers, etc.) overlap significantly. That is why this article discusses the importance of using the practice of “procedural justice” in organizations, which are in crisis situation, because it helps companies to implement the changed strategy effectively in a difficult condition.

Creation of term "procedural justice" is related to two social scientists: John W. Thibaut and Laurens Walker. Their research determined, that humans care as much about the justice of the process through which an outcome is produced, as they do about the outcome itself. People’s satisfaction with the outcome and their commitment to it rose when procedural justice was exercised [J.Thibaut, L.Walker“, 54].

In our opinion, the practice developed by W. Chan Kim Renée Mauborgne, is quite interesting, which are based on the research of J.Thibaut, L.Walker.

This practice is based on three elements, namely: Engagement, Eplanation, Expectiation. To explain one by one:

- **Engagement** means involving individuals in the strategic decisions that affect them by asking for their input and allowing them to refute the merits of one another’s ideas and assumptions. Such practices promotes the spirit of teamwork and mutual respect, and obviously, made decision will be more synergistic and effective.
- **Explanation** means that everyone involved and affected should understand why final strategic decisions are made as they are. An explanation allows employees to trust managers’ intentions even if their own ideas have been rejected.
- **Expectation clarity** requires that after a strategy is set, managers state clearly the new rules of the game. Although the expectations may be demanding, employees should know up front what standards they will be judged by and the penalties for failure. Related to many researches[178], Creating clear expectations is essential, because it is causes increase of profits (from 14% till 29%), (from 10 till 19%) revenue and other indicators.

In conclusion, we can say that in a crisis situation, companies should be careful when working with interested parties, because if they make a mistake, correcting the situation will be much more difficult than in a situation when the company grows. In turn, implementation of procedural justice will help Management, to reduce the risk of mistake during co - working with stakeholder.

***Keywords:*** *Crisis Management, Change Management, Fair Process*

[178] https://news.gallup.com/businessjournal/195803/employees-really-know-expected.aspx

## სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების სექცია

*ლელა მენაბდიშვილი*

### შრომითი საქმიანობის განწყობა სტუდენტ ახალგაზრდებში

***ანოტაცია.*** *ნაშრომში სოციოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე გადმოცემულია სტუდენტი ახალგაზრდების განწყობები, მოლოდინები და დამოკიდებულებები მომავალი შრომითი საქმიანობისადმი. ყურადღებაა გამახვილებული იმ კრიტერიუმებისადმი, რომლებსაც ახალგაზრდები მიანიჭებენ უპირატესობას სამსახურის არჩევისას ახლო მომავალში. მოცემულია სამშობლოსა და უცხოეთში დასაქმების პირობების შედარებითი ანალიზი.*

***საკვანძო სიტყვები:*** *შრომითი საქმიანობა, სამუშაოს არჩევის კრიტერიუმები, შრომითი ემიგრაცია, თვითდასაქმება.*

### შესავალი

ნებისმიერი ჩვენგანი ნაცნობთან შეხვედრისას სვამს კითხვას: რას საქმიანობ? ამით გვსურს გავიგოთ სად მუშაობს ეს პიროვნება, რადგან სამსახური არის ჩვენი თავის და სხვების დეფინიციის ერთ-ერთი საშუალება. სამსახური არის ის ადგილი, სადაც ადამიანი თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს ატარებს და ის არა მხოლოდ შემოსავლის წყაროა, არამედ ადგილია, სადაც ჩვენი პიროვნების იდენტობის შეგრძნების და დანიშნულების მნიშვნელოვანი ნაწილი იქმნება. სოციოლოგები თვლიან, რომ არ არსებობს ადამიანისთვის იმაზე უფრო დიდი ჯილდო ვიდრე მისთვის სასიამოვნო და სახალისო სამუშაოა. სამუშაო უშუალო გავლენას ახდენს პიროვნების განწყობაზე, მუშაობის უნარიანობაზე და, საბოლოო ჯამში, მის შრომის მწარმოებლურობაზე.

სამსახურით კმაყოფილება არ ნიშნავს მხოლოდ მაღალანაზღაურებად და პრესტიჟულ სამსახურს. არსებითია სამსახურით დაინტერესება - იმის შეგრძნება, რომ რაღაც ფასეულს აკეთებ და წვლილი შეგაქვს საზოგადოებრივ კეთილდღეობაში. თუმცა, სამწუხაროდ, ყველა სამსახური არ ბადებს კმაყოფილების გრძნობას. უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში ადამიანები იძულებულნი არიან დათანხმდნენ მათთვის არასასურველ სამუშაოს. რადგან ხელმისაწვდომი სამუშაო ადგილების რაოდენობა ყოველთვის არ შეესაბამება ხელმისაწვდომი მუშახელის კვალიფიკაციას.

საქართველოში დღეს ბევრი ახალგაზრდისთვის სამუშაოს პოვნა რთულია და ხშირად სამუშაოს ძებნის მცდელობა წარუმატებლად მთავრდება. ს. არჩვაძე, ახასიათებს რა საქართველოში არსებულ უმუშევრობის დონეს, აღნიშნავს: დღეისათვის 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის დონე 2,3–ჯერ მაღლია უფროსი ასაკის მოსახლეობის უმუშევრობის დონესთან შედარებით (შესაბამისად 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის დონე 28,9%-ია, მაშინ როცა 25 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში იგივე მაჩვენებელი 12,4%–ს შეადგენს). ახალგაზრდებში, მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით, 1,6–ჯერ დაბალია ეკონომიკური აქტიურობის დონე და 2–ჯერ უფრო დაბალი დასაქმების დონე. 25 წლამდე ახალგაზრდებში მხოლოდ ყოველი მესამეა დასაქმებული და ყოველი მეექვსე დაქირავებით დასაქმებული. 25 წლამდე ახალგაზრდებში უმუშევრობისა და დასაქმების დონეები თითქმის თანაბარია, მაშინ როცა 25 წელზე უფროსი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში უმუშევრობა ეკონომიკურ აქტიურობაზე თითქმის ოთხჯერ დაბალია. ყველაზე მოკრძალებული შეფასებით, შრომითი საქმიანობით დაკავებული სტუდენტების რაოდენობა საქართველოში 30-35 ათასს აღემატება, რაც სტუდენტთა მთლიანი კონტინგენტის მესამედია[ს. არჩვაძე, 2018, 157-158].

დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტმა სტუდენტ ახალგაზრდებში ჩაატარა სოციოლოგიური გამოკვლევა. გამოკვლევა ჩატარდა სამი ქალაქის (თბილისი, ქუთისი, ბათუმი) სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში. გამოიკითხა ბაკალავრებიდან მესამე და მეოთხეკურსელები და მაგისტრანტები. კვლევის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა სტუდენტების დამოკიდებულებების, აღქმების და განწყობების შესწავლა სამსახურისადმი. ასევე, მათი დამოკიდებულებები საკუთარი დასაქმების შანსებისა და სამომავლო მიზნების მიმართ. ამ საკითხების კვლევა მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეს პრობლემები არსებითად ზრდის ახალგაზრებში ქვეყნიდან შრომითი ემიგრაციის მოტივაციას.

***

ახალგაზრდების ღირებულებების სისტემის შესწავლისას გამოიკვეთა პიროვნული ღირებულებების წინა პლანზე წამოწევა. წინა თობისაგან განსხვავებით, ახალგაზრდებს მკვეთრად გამოხატული

დადებითი დამოკიდებულება აქვთ ისეთი ღირებულებებისადმი, როგორიცაა დამოუკიდებლობა, კარიერული წინსვლა, მატერიალური კეთილდღეობა. საყურადღებოა, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომითი საქმიანობით დაკავებული სტუდენტების რაოდენობა მათი მთლიანი კონტინგენტის მესამედს შეადგენს.

გამოკითხული სტუდენტი ახალგაზრდების უმრავლესობისთვის უმთავრესია სამსახურის ქონა, ხოლო იმას, თუ რომელ სექტორში იქნება დასაქმებული, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. სამსახურისადმი ამგვარი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამუშაო ადგილების სიმწირეს საქართველოში. მათგან, ვისთვისაც მნიშვნელოვანია რომელ სექტორში იმუშავებს, არასამთავრობო სექტორში მუშაობის მსურველთა რაოდენობა 8,7-ჯერ ჩამორჩება სახელმწიფო სამსახურში და 4,9-ჯერ კერძო კომპანიებში მუშაობის მსურველთა რაოდენობას.

სტუდენტები ისეთ სამსახურს ანიჭებენ უპირატესობას, სადაც კარიერული წინსვლა იქნება შესაძლებელი. ცნობილია, რომ სამუშაო კარიერული გზის ერთ–ერთი საფეხურია. კარიერა კი ხშირად ადამიანის ოცნებებს და სურვილებს ასახავს, ამიტომ, სასურველია, თითოეული ადამიანის სამუშაო იყოს ისეთი, რომ ცოტათი მაინც შეძლოს საოცნებო საქმიანობასთან მიახლოება. თუ ამ კუთხით შევხედავთ სასურველი სამსახურისათვის დამახასიათებელ კრიტერიუმებს, აღმოჩნდება, რომ სტუდენტების გარკვეული ნაწილი საოცნებო საქმიანობას ანიჭებს უპირატესობას. კარიერულ წინსვლაზე ქალი სტუდენტები უფრო მეტად არიან ორიენტირებულები მამაკაცებთან შედარებით. ქალები ასევე უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას სპეციალობის შესაფერისი სამუშაოს ქონას, ვიდრე მამაკაცები. ხოლო მაღალი ანაზღაურება და სტაბილური სამუშაო უფრო მეტად მამაკაცებისთვის არის მნიშვნელოვანი. გამოკვლევის შედეგებმა გამოკვეთა, რომ დასაქმებულთა უფლებების დაცვას ახალგაზრდები ფაქტობრივად მნიშვნელობას არ ანიჭებენ. მათთვის უმთავრესია დასაქმება და არა მათი უფლებების დაცულობა დასაქმების დროს.

**ცხრილი 1. სამსახურის არჩევის კრიტერიუმები სტუდენტებში (%)**

| პირობები | მამაკაცი | ქალი | სულ |
|---|---|---|---|
| სამუშაო, სადაც კარიერული წინსვლა იქნება შესაძლებელი | 29,7 | 42,0 | 36,2 |
| მაღალანაზღაურებადი სამუშაო | 24,4 | 15,5 | 19,8 |
| სტაბილური სამუშაო | 24,2 | 17,6 | 20,7 |
| სპეციალობის შესაფერისი სამუშაო | 16,6 | 18,3 | 17,5 |
| სამუშაო, სადაც დაცული იქნება დასაქმებულის უფლებები | 5,0 | 6,6 | 5,9 |

სასურველი სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი მაღლ ანაზღაურებას უკავშირდება. სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ ბევრი ადამიანი პირველ ადგილზე აყენებს ხელფასს, როგორც მუშაობის მიზეზს [ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი. 2008, 644]. შრომის ანაზღაურება ისეთი უნდა იყოს, რომ დააკმაყოფილოს ოჯახის ეკონომიკური მიზანი — ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა – გაფართოება, გაუმჯობესება; შვილების მომავლის უზრუნველყოფა, რასაც საქართველოს ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ახერხებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, ქვეყანაში კვლავ ბევრია გასაკეთებელი. საარსებო მინიმუმი თვიდან თვემდე იზრდება. 2020 წლის მარტის თვისთვის შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის საარსებო მინიმუმმა 206,1 ლარი, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 182,6 ლარი, ხოლო საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმმა 345, 6 ლარი შეადგინა[www.geostat.ge]. სტუდენტი ახალგაზრდებისთვის სასურველი ხელფასი ბევრად აღემატება საარსებო მინიმუმს. ამასთან, დასაქმებულ სტუდენტთა საშუალო თვიური ანაზღაურება დაბალია (479,8 ლარს შეადგენს) და აშკარად გამოკვეთილია მაღლი კოლერაცია სტუდენტთა არსებულ ანაზღაურებასა და იმ მინიმალურ ანაზღაურებას შორის, რის მიღებასაც ვარაუდობენ უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ სამსახურის დაწყებისას. სტუდენტთა ვარაუდით, მათი ხელფასები გაიზრდება ორნახევარჯერ.

გამოკითხულ სტუდენტთა ყველაზე მეტმა ნაწილმა სამუშაოს შეთავაზებისას სასურველ ხელფასად დაასახელა 701–900 ლარი. მათ 1,4–ჯერ ჩამორჩებიან ის სტუდენტები, ვისთვისაც 500 ლარზე ნაკლები ხელფასი არ არის სასურველი. ასე რომ, ახალგაზრდებს სურვილი აქვთ, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დასაქმდნენ სამსახურში, საიდანაც მიღებული ანაზღურებითა, შეძლებენ სხვადასხვა მოთხოვნილებების არა მხოლოდ მინიმალურ დონეზე დაკმაყოფილებას. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მამაკაცებში უფრო მეტადაა გამოხატული მაღალანაზღაურებადი სამსახურის მოთხოვნილება, ვიდრე ქალებში. გარკვეულწილად ეს დაკავშირებული უნდა იყოს მამაკაცის ტრადიციულ „მარჩენლის“ როლთან — მისი, როგორც „ოჯახის მარჩენალის“ ფუნქციის ხაზგასმასთან.

**ცხრილი 2. სტუდენტებისთვის სასურველი ხელფასის ოდენობა სამუშაოს შემოთავაზებისას**

| ანაზღაურება ლარებში | მამაკაცი | ქალი | სულ |
|---|---|---|---|
| არანაკლებ 500 ლარისა | 15,1 | 22,6 | 19,0 |
| 501–700 | 11,3 | 19,4 | 15,6 |
| 701–900 | 27,0 | 26,4 | 26,7 |
| 901–1100 | 27,7 | 19,1 | 23,2 |
| 1101 და მეტი | 18,9 | 12,5 | 15,6 |

სტუდენტების გარკვეული ნაწილისთვის (40,5%) რაიონში დასაქმება მიმზიდველი არ არის. მამაკაცები უფრო მეტად გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებას რაიონში მუშაობაზე, ვიდრე ქალები (მამაკაცების 56%, ქალების 46%). ხოლო იმათგან ვინც რაიონში მუშაობაზე თანხმობა გამოთქვა, 7,2–ჯერ ნაკლებია ის რესპონდენტები, რომლებიც ამას უპირობოდ გააკეთებენ.

**ცხრილი 3. სტუდენტთა დამოკიდებულება რაიონში მუშაობისადმი %**

| | დიახ, უპირობოდ | დიახ, თუ სხვა გამოსავალი არ იქნა | დიახ, თუ ჩემს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს |
|---|---|---|---|
| მამაკაცი | 18,4 | 18,8 | 62,8 |
| ქალი | 9,9 | 20,4 | 69,7 |
| სულ | 13,7 | 19,7 | 66,6 |

გამოკვლევამ გამოკვეთა თბილისში მუდმივად მცხოვრები სტუდენტების ნახევარზე მეტის (53,6%) დადებითი დამოკიდებულება რაიონში მუშაობასთან დაკავშირებით. მათ შორის უმეტესობას (65,4%) წარმოადგენენ ისინი, ვინც ამ გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუკი ეს სამუშაო მათი მოთხოვნების შესაბამისი იქნება. ამ უკანასკნელზე 5,9-ჯერ ნაკლებია რაიონში სამუშაოდ უპირობოდ წამსვლელთა რაოდენობა და 2,8-ჯერ ნაკლებია თბილისელი იმ სტუდენტების რიცხვი, რომლებიც ასეთ ნაბიჯს მხოლოდ მაშინ გადადგამენ თუ სხვა გამოსავალი არ ექნათ.

როგორც გამოვლინდა, სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი დადებით განწყობას ავლენს რაიონში დასაქმებისადმი, ოღონდ გარკვეული მოთხოვნების შესრულების პირობებში. შევეცადეთ გაგვერკვია ეს მოთხოვნები და დაგველაგებინა მნიშვნელობის მიხედვით. პირველი მნიშვნელობის მოთხოვნებში ყველაზე მაღლი პროცენტული მაჩვენებელი კარიერულმა წინსვლამ აიღო (78,6%). ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი თანახმაა ნებისმიერ რაიონში მუშაობაზე თუკი მას ექნება კარიერული წინსვლის პერსპექტივა. მეორე ადგილზე მაღლი პროცენტული მაჩვენებლით აღმოჩნდა სამსახური მაღლი ანაზღაურებით (69,1%), ხოლო მესამეზე სტაბილური სამუშაო (65,9%).

**ცხრილი 4. სტუდენტებისათვის რაიონში დასაქმების უმნიშვნელოვანესი პირობები %**

| პირობები | მამაკაცი | ქალი | სულ |
|---|---|---|---|
| ნებისმიერი რაიონი კარიერული წინსვლის პერსპექტივით | 76,1 | 83,2 | 80,1 |
| ნებისმიერი რაიონი მაღლი ანაზღაურებით | 69,7 | 70,3 | 70,0 |
| ნებისმიერი რაიონი სტაბილური სამსახურით | 63,4 | 69,2 | 66,6 |
| რაიონი განვითარებული ინფრასტრუქტურით | 61,7 | 65,0 | 63,6 |
| მშობლიური რაიონი უპირობოდ | 58,0 | 59,4 | 58,7 |
| ნებისმიერი რაიონი სადაც ბიზნესის განვითარების საშუალება მექნება | 56,7 | 56,2 | 56,4 |
| რაიონი სადაც იცხოვრებენ ჩემი ნათესავები/მეგობრები | 44,3 | 46,5 | 45,5 |

რაიონში დასასაქმებელი აუცილებელი პირობების განხილვამ სტუდენტთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამოკვეთა განსხვავებები. თბილისში მუდმივად მცხოვრები სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან სამ პირობას შორის ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილი - ნებისმიერი რაიონი კარიერული წინსვლის პერსპექტივით, მეორე - ნებისმიერი რაიონი მაღლი ანაზღაურებით და მესამე - რაიონი განვითარებული ინფრასტრუქტურით. ქუთაისში მუდმივად მცხოვრები სტუდენტების მოთხოვნათა პირველი ორი პუნქტი ემთხვევა თბილისელი სტუდენტების მოთხოვნებს, მხოლო განსხვავება მესამე პუნქტშია, ქუთაისელი სტუდენტებისათვის უფრო მნიშვნელოვანია სტაბილური სამუშაო და არა რაიონის განვითარებული ინფრასტრუქტურა, რომლის მნიშვნელობაც აღნიშნეს თბილისელმა სტუდენტებმა. ბათუმში მუდმივად მცხოვრებ სტუდენტებისათვის მნიშვნელოვან პირობათა სამეულის მხოლოდ პირველი პუნქტი ემთხვევა თბილისელი და ქუთაისელი სტუდენტების

აუცილებელ პირველ პუნქტს - ნებისმიერი რაიონი კარიერული წინსვლის პერსპექტივით, მათთან მეორე პუნქტად დასახელდა რაიონი განვითარებული ინფრასტრუქტურით, ხოლო მესამედ _ მშობლიური რაიონი. რაც შეეხება დანარჩენ სტუდენტებს, ისინი უცვლელად იმეორებენ ქუთაისელი სტუდენ-ტებისათვის აუცილებელი მნიშვნელობის პირობებს: ნებისმიერი რაიონი კარიერული წინსვლის პირობებით, ნებისმიერი რაიონი მაღლი ანაზღაურებით, ნებისმიერი რაიონი სტაბილური სამსახურით.

საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მცირე ბიზნესის წასახალისებლად. დავინტერესდით, სტუდენტებს აქვთ თუ არა რაიმე კონკრეტული პროექტები დაგეგმილი ახლო მომავლისთვის. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 16,8%–ს უკვე აქვს თვითდასაქმებისთვის მოფიქრებული კონკრეტული პროექტი, ხოლო 43,8% –ს კონკრეტულად არ აქვს გადაწყვეტილი რას გააკეთებს მომავალში, მაგრამ ამ საკითხზე ფიქრობს. დასახელდა სხვადასხვა სფერო, რომელშიც სტუდენტები აპირებენ კონკრეტული პროექტების განხორციელებას. მათ შორის ყველაზე მაღლი მაჩვენებელი წილად ხვდა ტურიზმს (21,2%). ეს სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან სახელმწიფოს ეკონომიკური აღმავლობის საქმეში ხელისუფლების მხრიდან სწორედ ტურიზმის წახალისება მოიაზრებოდა. თუმცა იმ სიტუაციამ, რომელშიც დღეს აღმოჩნდა მსოფლიო, ნათლად დაგვანახა, რომ მხოლოდ ტურიზმზე იმედების დამყარება არ იქნება მომგებიანი. განათლების სფეროში კონკრეტული პროექტით მუშაობის მსურველი სტუდენტების რაოდენობა მხოლოდ ერთი პროცენტით ჩამორჩებოდა ტურიზმისას (20,2%), ხოლო მომსახურების სფეროში (16,0%) სამუშაოს წამომწყები სტუდენტების რაოდენობა ოთხი პროცენტით ჩამორჩება განათლებისას. დასახელდა ისეთი სფეროები, როგორიცაა: სპორტი (3,6%), კულტურა (5,2%), გართობა (9,1%), საზკვება (6,2%), სოციალური (9,1%), რეკრეაცია (1,6%), ფინანსები (0,3%), დიზაინი (0,3%), თუმცა თითოეული მათგანის მაჩვენებელი არცთუ დიდია. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სოფლის მეურნეობას გამოკითხული სტუდენტებიდან არც ერთი არ უკავშირებს მომავალ საქმიანობას. არადა დღევანდელმა მდგომარეობამ დაგვანახა ამ მიმართულებით საქმიანობის გაუმჯობესების და ახალი პროექტების წამოწყების აუცილებლობა.

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოდან ემიგრაციის დიდი ნაკადი დაკავშირებულია დასაქმებასთან. სტუდენტებში ჩატარებულმა გამოკვლევამ კიდევ ერთხელ მიუთითა ამ პრობლემაზე. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტი რესპონდენტების 44,5% სწავლას უთავსებს შრომით საქმიანობას, ანუ დასაქმებულნი იყვნენ გამოკითხვის ჩატარების დროს, მათმა მნიშვნელობანმა ნაწილმა აღნიშნა, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ — უახლოეს სამ წელიწადში, უცხოეთში აპირებენ წასვლას. ამის მიზეზად სახელდება იქ სწავლისა და შრომითი საქმიანობის შეთავსება ან მხოლოდ შრომითი საქმიანობის დაწყება. საქართველოდან სამუშაოდ წასვლის მიზეზად ყველაზე მეტად ასახელებენ საკუთარ ქვეყანაში შესაფერისი სამუშაო ადგილის შოვნის უპერსპექტივობას (47,1%),

სამშობლოში დაბალი ანაზღაურების გამო უახლოეს სამ წელიწადში საზღვარგარეთ წასვლას აპირებს დასაქმებული სტუდენტებიდან თითქმის ყოველი მეოთხე. საყურადღებოა, რომ ეს მაჩვენებელი 1,4–ჯერ აღემატება ათი წლის წინ სტუდენტებში ჩატარებული გამოკვლევით მიღებულ მონაცემს (17,4%) [ჭელიძე. ნ. 2008: 103].

სტუდენტები საზღვარგარეთ მუშაობაზე იმ შემთხვევაში თანხმდებიან თუკი მათი ანაზღაურება მინიმუმ 1000 დოლარი მაინც იქნება. ეს თანხა კი 2,5–ჯერ აღემატება საქართველოში საშუალო ხელფასს და ხუთჯერ და მეტად სამშობლოში დასაქმებული სტუდენტების ფაქტობრივ ანაზღაურებას [ი. არჩვაძე. 2018. 161] გამოკვლევით გამოიკვეთა ტენდენცია, რომ რაც უფრო მაღლია სტუდენტის ანაზღაურება სამშობლოში, მით უფრო მაღლია მათი მოთხოვნები ემიგრაციაში მისაღები ანაზღაურების მიმართ. ასევე, საზღვარგარეთ მისაღები სასურველი ანაზღაურების თანაფარდობა მნიშვნელოვნად მაღლია სამშობლოში მისაღებ ანაზღაურებაზე. სხვობა ხელფასის სიდიდეს შორია დაახლოებით 30%–ია.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის ანაზღაურება ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სტუდენ-ტებისთვის, ისინი უპირატესობას მაინც საკუთარი სპეციალობით დასაქმებას ანიჭებენ. 2,8–ჯერ მეტია იმ სტუდენტების რიცხვი, ვინც პირველ ადგილზე დააყენა სპეციალობით დასაქმება, მათთან შედარებით ვისთვისაც უმთავრესი მაღლანაზღაურებადი სამუშაოა. ამასთან, მაღლანაზღაურებადი სამუშაოს მოთხოვნა თანხვედრაშია სამუშაოსთან, სადაც დაცული იქნება შრომის ნორმალური პირობები.

**ცხრილი 5. უცხოეთში შრომითი საქმიანობისთვის აუცილებელი კრიტერიუმები სტუდენტებში (%)**

| საზღვარგარეთ როგორი სამუშაოა თქვენთვის ყველაზე მისაღები | % |
|---|---|
| სამუშაო ჩემი სპეციალობით | 49,8 |
| მაღალანაზღაურებადი სამუშაო | 17,3 |
| სამუშაო შრომის ნორმალური პირობებით | 17,3 |
| სამუშაო, სადაც დაცული იქნება ჩემი უფლებები | 13,1 |
| ნებისმიერი სამუშაო | 2,5 |

მნიშვნელოვნად შეიცვალა სტუდენტთა დამოკიდებულება და მოთხოვნა ლეგალური სამუშაო-სადმი. ათწლეულის და ცოტა მეტის წინ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის უმთავრესი იყო უცხოეთში დასაქმება და მის ლეგალურობას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ჩვენმა გამოკვლევამ კი ნათლად აჩვენა სტუდენტების მკვეთრად გამოხატული უარყოფითი პოზიცია არალეგალური სამუშაოსადმი. გამოკითხული სტუდენტების 62% არ აპირებს არალეგალურად დასაქმებას იმ შემთხვევაშიც კი, თუკი საზღვარგარეთ სამუშაოს ლეგალურად ვერ იშოვის.

სამშობლოდან სამუდამოდ აპირებს წასვლას სტუდენტთა 3,9 პროცენტი. ეს მაჩვენებელი თითქმის 1,4–ჯერ აღემატება ათი წლის წინ ასევე სოციოლოგიური კვლევით მიღებულ მაჩვენებელს (2,85) [ჭელიძე ნ. 2008. 103], რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში ახალგაზდების დასაქმება კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ეს გადაუჭრელი პრობლემა კი შრომით ემიგრაციას უწყობს ხელს. თავის მხრივ, ინტენსიური ემიგრაციული ნაკადები დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე. თუ საქართველოდან სამუდამოდ წამსვლელი ახალგაზრების რიცხვი კვლავ ასეთი ტემპით გაგრძელდება, ეს აუცილებლად პოვებს ნეგატიურ ასახვას არა მხოლოდ ქვეყნის დემოგრაფიულ პროცესებზე არამედ ეკონომიკურ მდგომარეობაზეც.

## დასკვნები

ქვეყანაში დასაქმებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახალგაზრდების განწყობებზე განსხვავებულ სექტორში მუშაობასთან დაკავშირებით. სტუდენტი ახალგაზრდობის უმეტესობისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რომელ სექტორში იმუშავებს: სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო, ოღონდ ჰქონდეს სამუშაო და ის აუცილებლად უნდა იყოს მათი სპეციალობის შესაბამისი. ამასთან, ეს სამუშაო უნდა იძლეოდეს კარიერული წინსვლის შესაძლებლობას, უნდა იყოს სტაბილური და მაღალანაზღაურებადი.

სტუდენტთა განწყობები და დამოკიდებულებები ანაზღაურებასთან დაკავშირებით განსხვავდება იმის მიხედვით. სწავლის პერიოდში დასაქმებულია თუ არა სტუდენტი; სწავლის დამთვრების შემდეგ სად აპირებს დასაქმებას – სამშობლოში თუ საზღვარგარეთ. ის სტუდენტები, ვინც სამშობლოში აპირებენ დარჩენას და დასაქმებას უმაღლეს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ორნახევარჯერ მეტ ანაზღაურებას მოელიან მომავალი სამუშაოდან, ვიდრე მათ სწავლის პერიოდში აქვთ. სტუდენტებში საზღვარგარეთ მისაღები სასურველი ანაზღაურების თანაფარდობა თითქმის 30%–ით მაღლია სამშობლოში მისაღებ ანაზღაურებაზე.

რაიონში დასაქმებასთან დაკავშირებით სტუდენტთა განწყობების შესწავლამ დაგვანახა, რომ აუცილებელია რაიონებში სამუშაო ადგილების შექმნა სასოფლო-სამეურნეო სექტორის გარეთ, რათა მოხდეს ახალგაზრდების არა მხოლოდ დამაგრება რაიონებში, არამედ დედაქალაქიდან მიგრაციაც. საერთოდ, სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა გადაჯაჭვული უნდა იყოს დასაქმების პოლიტიკასთან. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე ს. (2018) შრომითი ემიგრაცია. წიგნში: „მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში".
2. მენაბდიშვილი ლ. (2019). საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობა, სოციალურ–დემოგრაფიული ნარკვევები.
3. ჭელიძე ნ. (2008). საქართველოს უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტთა სასწავლო–შრომითი მიგრაციული განწყობები.
4. www.geostat.ge.

***Lela Menabdishvili***

**THE LABOR ACTIVITY ATTITUDE AMONG THE STUDENTYOUTH**

**Summary**

We have studied the labor activity attitude of students based on sociological research. The attitude of students is different and depends on where they plan to work - at the home country or abroad. For the most students who want to stay at home country, it is extremely important to have a job, and it does not matter in which sector they will work. Among those for whom it is important in which sector they will work, the number of students who want to work in the non - government sector is 8.7% less, those who want to work in the public sector and, respectively, by 4.9% who want to work in private companies. Among the criteria by which students will choose a job, career growth, employment by

profession, and high salary were most frequently named. An analysis of the criteria from a gender point of view showed that female students are more career-oriented than male students. In addition, for females, it is more important to have a suitable job in the specialty than males. And the high pay and stable work are more important for males. Students seeking employment abroad, prefer to practice their professions, despite the fact that wages are one of the most important factors. There are 2.8 times more students who put their work in the specialty first, compared to those who prefer a high-paying job. At the same time, the demand for a high-paying job corresponds to a job where the normal working conditions will be protected, which is not important for students who want to work in the home country. Studies have shown a trend that the higher the salaries of students in their homeland, the higher their demand for the remuneration they will receive in emigration. In addition, the ratio of the desired remuneration abroad is much higher than the remuneration received at home. The difference between the salaries is about 30%. As it turned out, a significant proportion of students have a positive attitude towards the employment in the region, but only under the fulfillment of certain requirements. Among the requirements of first importance the highest percentage was made by the career advancement (78.6%). A significant proportion of young people agrees to work in any region if they have the prospect of career advancement. In the second place with a high percentage was named a high-paid job (69.1%), and in the third place - a stable job (65.9%). 16.8% of respondents already have a specific project for self-employment. They want to implement them in different areas. Most of them want to create jobs in tourism, education and services, while agriculture was not named at all.

***ნანა მენაბდიშვილი***

## თვითმოვლითი ქცევის თავისებურებები სტუდენტებში

***ანოტაცია.*** *ნაშრომი ეყრდნობა სტუდენტებში ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკვლევას და გადმოცემულია მათი თვითმოვლითი ქცევის თავისებურებები. ყურადღება არის გამახვილებული სტუდენტებში თვითმოვლითი ქცევის მნიშვნელობაზე. აღწერილია სტუდენტთა ქცევის ის ელემენტები, რომლებიც, მათი აზრით, საშუალებას აძლევთ დაიცვან, განიმტკიცონ და შეინარჩუნონ საკუთარი ჯანმრთელობა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *თვითმოვლითი ქცევა, ჯანმრთელობა, ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორები.*

### შესავალი

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან სოციოლოგები და დემოგრაფები მნიშვნელოვან ყურადღებას იჩენენ თვითმოვლითი ქცევის შესწავლისადმი. ეს უკანასკნელი სოციალური ჯანმრთელობის ძირითად ელემენტს წარმოადგენს და განისაზღვრება, როგორც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა - პიროვნება აცნობიერებს რა საკუთარ შესაძლებლობებს, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე. თვითმოვლითი ქცევა განიხილება როგორც ქმედებებისა და ურთიერთობების სისტემა, რომელიც მიმართულია ცხოვრების სრული ციკლის განმავლობაში ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სიცოცხლის ვადების გაგრძელებისაკენ. თვითმოვლითი ქცევის საფუძველს წარმოადგენს ინდივიდის დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობისადმი. ამიტომ თავად ინდივიდზეა დამოკიდებული როგორი ხასიათისაა მისი თვითმოვლითი ქცვეა: პოზიტიური თუ ნეგატიური. თვითმოვლითი ქცევის წესების, ნორმების, ქმედებებისა და ურთიერთობების დარღვევა გარდაიქმნება თვითგამანადგურებელ ქცევაში, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საზოგადოებას. ამიტომ თვითმოვლითი ქცევისას ინდივიდი პასუხისმგებელია არა მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე, არამედ საზოგადოების წინაშეც. რამდენადაც თითმოვლითი ქცევა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური ჯანმრთელობის ძირითად ელემენტს წარმოადგენს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სოციალური ჯანმრთელობა ასახავს პიროვნების სასიცოცხლო პოტენციალს და მის დამოკიდებულებას როგორც საკუთარ თავთან, ისე გარე სამყაროსთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ, მას აიგივებენ მორალურ ქმედებასთან. ეს არის ადამიანის ქცევა საზოგადოებაში.

თვითმოვლითი ქცევის შესწავლის მიზანი მდგომარეობს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემების გაანალიზებაში, ჯანმრთელობაზე მოქმედი რისკფაქტორების გამოვლენაში.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სოციალურ ჯანმრთელობაზე მოქმედებს მიკრო და მაკრო ფაქტორები. მათ შორის ერთ-ერთს გლობალიზაციის პროცესი წარმოადგენს. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ალბათ ვერც კი ვიფიქრებდით იმაზე, რომ სწორედ გლობალიზაციის პროცესისა და ადამიანთა არაეფექტური თვითმოვლითი ქცევის გამო მსოფლიო პანდემიის წინაშე აღმოჩნდებოდა. წუთებსა და საათებში იცვლება დაინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რიცხვი. მსოფლიოს ჯანდაცვის

ორგანიზაციის უმთავრესი მოთხოვნა ადამიანების მიმართ პირადი ჰიგიენისა და სოციალური დისტაციის დაცვაა. არადა, ყველასთვისაა ცნობილი, რომ ჯანმრთელობა სხვადასხვა ასპექტებს მოიცავს - ბიოლოგიურს, ჰიგიენურს, ფსიქოლოგიურს, სოციალურს, რომ ის კომპლექსური მაჩვენებელია.

ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის განსაზღვრისას, სხვა ფაქტორებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ყოველი საზოგადოებისთვის ღირებულია მისი წევრების ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღე. ამიტომ, სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს დაავადებათა პრევენცია და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების საზიანო ზემოქმედებისაგან დაცვა. სახელმწიფოს და თითოეული მოქალაქის ერთობივი ძალისხმევით განისაზღვრება ქვეყნის მოსახლეობის სიჯანსაღე. მოქალაქემ სრულად უნდა გააცნობიეროს მავნე ჩვევებისა და არასწორი ქცევის უარყოფითი ზეგავლენის მნიშვნელობა, მთავრობამ კი ხელი უნდა შეუწყოს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ადამიანს საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის საშუალებას მისცემს.

* * *

ჯანმრთელობა შეუფასებელი სიმდიდრეა. ის გვევლინება, როგორც ადამიანის სიცოცხლის ხარისხის უმნიშვნელოვანეს განმსაზღვრელ ფაქტორად. ამიტომ ჯანმრთელობა უნდა იყოს პირველი მნიშვნელობის ღირებულება თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. მაგრამ სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ ეს ასე არ არის. 1200 გამოკითხული სტუდენტიდან პირველი მნიშვნელობის ღირებულებად ჯანმრთელობა მხოლოდ მეოთხედმა დაასახელა. ამასთან, მამაკაცებში ორჯერ მეტად დასახელდა, ვიდრე ქალებში. გამოკითხული სტუდენტების ¾-ისთვის ჯანმრთელობაზე უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებებიც არსებობს, მაგალითად ბედნიერი ოჯახური ცხოვრება, თავისუფლება. საყურადღებოა ისიც, რომ ჯანმრთელობის აღიარება პირველი რიგის ღირებულებად ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ მუდმივი ზრუნვა ხდება მის განმტკიცება-შენარჩუნებისათვის. იმ სტუდენტებს შორის რომლებმაც ჯანმრთელობა პირველი რიგის ღირებულებად დაასახელა, მხოლოდ 33% იჩენს მუდმივ ყურადღებას მის შესანარჩუნებლად.

სტუდენტებში ჯანმრთელობაზე ზრუნვის ფაქტორებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცხოვრების წესს. სამეცნიერო ლიტერატურაში დახასიათებულია ჯანმრთელობაზე მოქმედი რისკფაქტორები და მათი მოქმედების წილი. რისკფაქტორებს შორის დასახელებულია: ცხოვრების წესი (49-53%), გენეტიკა (18-22%), გარემო პირობები (17-20%) და ჯანდაცვა (8-10%) [Лисицин Ю. П. Сахно А. В. 1988]. უნდა აღვნიშნოთ, რომ სტუდენტები იზიარებენ მეცნიერთა მოსაზრებას ცხოვრების წესისი მნიშვნელობის შესახებ. მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესი დადებით ასახვას პოვებს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე, რადგან ავადობის კლებით ამცირებს მოკვდაობას, ზრდის ბუნებრივ მატებას და მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას. ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდებში თვითმოვლითი ქცევის ნორმების ჩამოყალიბება-გავრცელებას. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია სტუდენტი ახალგაზრდობა, რადგან, როგორც ბელორუსმა ექსპერტებმა დაადგინეს, სტუდენტებში ყველაზე მეტად შეიმჩნევა თვითმოვლაზე უარის თქმა იმ შემთხვევაში, როცა არჩევანი სწავლაში წარმატებასა და ჯანმრთელობას შორის კეთდება. ასევე დაადგინეს, რომ ჯანმრთელობის გაუარესება ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე ყველაზე მეტად სტუდენტობის პერიოდში ხდება. არსებობს სამეცნიერო კვლევები, რომლის თანახმადაც სტუდენტების მესამედს უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრამდე ქრონიკული დაავადებები ჰქონდათ, ხოლო უმაღლეს სასწავლებლის დამთავრებისას ქრონიკულ დაავადებათა მქონე სტუდენტთა რიცხვი გაიზარდა და შეადგინა ნახევარი [შელია მ.2017, 84].

სტუდენტები ცხოვრების ჯანსაღ წესს 5,4-ჯერ მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე სისტემატურ სამედიცინო შემოწმებას. რესპონდენტების 83,8% თვითმოვლითი ქცევის ფორმებიდან უპირატესობას ცხოვრების ჯანსაღ წესს აკუთვნებს. მამაკაცებში მისი უპირატესობა უფრო მეტადაა გამოხატული (85,7%), ვიდრე ქალებში (81,0%). სტუდენტების უმრავლესობისთვის ჯანმრთელობაზე ზრუნვას არ აქვს პროფილაქტიკური ხასიათი, არადა სწორი თვითმოვლითი ქცევის დროს მნიშვნელოვანია პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმება და დაავადების პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე ექიმთან დროული ვიზიტი. სტუდენტი ქალები უფრო მეტად თანმიმდევრულები არიან ექიმების რეკომენდაციების შესრულებისას, თუკი მათ ხელს არ უშლით უსახსრობა. სტუდენტ მამაკაცებს კი უფრო მეტად ეზარებათ ექიმის რეკომენდაციების შესრულება (28%).

ჯანსაღი ცხოვრების წესის კომპონენტებიდან პირველ რიგში სტუდენტები ასახელებენ ჰიგიენას (41%), სწორ კვებას (32,5%), სპორტს (16%) და დასვენებას (10,5%). ჯანსაღი ცხოვრების ფორმირებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პირადი ჰიგიენის დაცვას. მის გარეშე შეუძლებელია ჯანმრთელობის შენარჩუნება საზოგადოებრივი ჰიგიენის მაღლი დონის პირობებშიც კი. საკითხი მეტად აქტუალურია,

რადგან ერთი ადამიანის მიერ პირადი ჰიგიენის დაუცველობა, სრულიად შესაძლებელია, სხვა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებიას მიზეზი გახდეს. სწორედ პირადი ჰიგიენის დაცვა არის უმთავრესი ინფექციური დაავადებების თავიდან ასაცილებლად. დღეს ამ პრობლემის წინაშე დგას მსოფლიოს მოსახლეობა. სტუდენტ ქალებში ჰიგიენური წესების სრული დაცვა 1,2-ჯერ მეტადაა გამოხატული მამაკაცებთან შედარებით.

ცნობილია, რომ საჭირო დროს სწორი რაციონალური კვება ორგანიზმის ყველა სისტემის ნორმალური ფუნქციონირების საწინდარია. სტუდენტებმა ჯანსაღი ცხოვრებისათვის აუცილებელ კომპონენტებში სწორი კვება მეორე ადგილზე დაასახელეს. თუმცა ჯანსაღი კვება არაა მათი ცხოვრების წესი, რადგან ისინი სისტემატურად სარგებლობენ სწრაფი კვების ობიექტებით, რითაც საფრთხეს უქმნიან საკუთარ ჯანმრთელობას. ჯანმრთელობაზე სწრაფი კვების მავნე ზემოქმედების შესახებ სისტემატურად გვაფრთხილებენ მედიკოსები. კვების სწორი რეჟიმი და ზომიერება 1,4-ჯერ მეტად ახასიათებთ ქალ სტუდენტებს მამაკაცებთან შედარებით.

ადამიანის ჯანმრთელობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა სპორტული დატვირთვა და დასვენების რეჟიმი. ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის ხელის შეწყობის ან აღდგენის მიზნით აუცილებელია მათი სისტემატური გამოყენება. სისტემატური სპორტული დატვირთვა 3,9-ჯერ მეტადაა გამოხატული მამაკაცებში ქალებთან შედარებით, ასევე დასვენების რეჟიმის დაცვას მამაკაცები 1,2-ჯერ მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე ქალები.

ცხოვრების ჯანსაღი წესის უამრავი კომპონენტებიდან ერთ-ერთ ბაზისურ ნაწილად არის გამოყოფილი მავნე ჩვევებისადმი - თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკები_ უარის თქმა. ჯანმრთელობაზე ამ მავნე ჩვევების დამანგრეველი ზემოქმედების შესახებ სხვადასხვა ფორმით გვაფრთხილებენ ჯანდაცვის წარმომადგენლები. ეს პრობლემა საფრთხის წინაშე გვაყენებს დემოგრაფიული თვალსაზრისითაც, რადგან მავნე ჩვევები არა მხოლოდ მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის არის საშიში, არამედ საფრთხეს უქმნის ბუნებრივ მატებას. ხელს უწყობს სხვადასხვა ანომალიების განვითარებას დაავადებულ მშობელთა ახალშობილებში, აფერხებს ნაყოფის განვითარებას ან სულაც უშვილობის მიზეზი ხდება. ურთულესი დემოგრაფიული პირობების დროს აუცილებელია რაც შეიძლება მინიმუმამდე შემცირდეს აღნიშნული ფაქტორების გავლენა. ამისთვის კი აუცილებელია მოსახლეობის ნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლა ამ მწვავე პრობლემისადმი. თამბაქოს მომხმარებლები ორივე სქესის სტუდენტებში არიან. თუმცა გამოიკვეთა ამ მავნე ჩვევისადმი თავის დანებების ტენდენცია. რესპონდენტებში 7,3%-ით შემცირდა თამბაქოს მომხმარებელთა წილი. საინტერსოა, რომ მამაკაც რესპონდენტებში უფრო მეტად მოხდა შემცირება, ვიდრე ქალებში (მამაკაცები - 9,3%, ქალები - 5,4%).

საქართველოში ალკოჰოლური სამელებისადმი დამოკიდებულება ყოვეთვის ზომიერი იყო. სტუდენტ ახალგაზრდებშიც გამოიკვეთა ალკოჰოლური სასმელის ზომიერი მოხმარება. საერთოდ არ სვამს ალკოჰოლურ სასმელს მამაკაცების მხოლოდ 14% და ქალების 49%. მათ შორის კი ვინც ალკოჰოლს სხვადასხვა სიხშირით მოიხმარს, ყველაზე მეტნი არიან ისინი, ვინც თვეში ერთხელ სვამენ. მათი რაოდენობა 18,8-ჯერ აღემატება იმ ახალგაზრდების რაოდენობას, ვინც კვირაში რამდენჯერმე სვამს ალკოჰოლურ სასმელს, ანუ სისტემატიური მომხმარებელია.

სტუდენტი რესპონდენტების 80% ნარკოტიკული საშუალებებისადმი უარყოფით დამოკი-დებულებას აფიქსირებს. უარყოფითი დამოკიდებულება უფრო მეტადაა გამოხატული ქალებში. მამაკაცებიდან ყოველი მესამე აცხადებს, რომ ნარკოტიკული საშუალებები გაუსინჯავს. ყოველი მეხუთისათვის კი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. საყურადღებოა, რომ ნარკოტიკული საშუალებების ხშირ მომხმარებელთა შორის არიან ქალებიც, თუმცა ამ უკანასკნელთა რიცხვი 5-ჯერ ჩამორჩება მამაკაცთა რიცხვს.

ეფექტური თვითმოვლითი ქცევა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სიცოცხლის ხანგრძლივობას. სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოთხოვნა მამაკაცებში უფრო მეტადაა გამოხატული ვიდრე ქალებში (მამაკაცებისთვის სიცოცხლის სასურველი ხანგრძლივობა 89 წელია, ქალებისთვის - 83 წელი). სასურველი არ ნიშნავს მოსალოდნელს. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ უფრო ნაკლებს იცოცხლებენ, ვიდრე მათ სურთ. ამასთან, სხვაობა სასურველსა და მოსალოდნელს შორის მამაკაცებში უფრო დიდია (11 წელი), ვიდრე ქალებში (9 წელი). სტუდენტი ახალგაზრდები სხვაობას სასურველ და მოსალოდნელ სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ხსნიან ჯანმრთელობის მდგომარეობით და გარემო პირობებით.

მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არსებობს ტრადიციულად მამაკაცური და ქალური ქცევის მოდელები. ქალები უფრო ნაკლებ შეფასებას აძლევენ საკუთარ ჯანმრთელობას, უფრო მეტად ზრუნავენ მასზე და უფრო დიდხანს ცოცხლობენ მამაკაცებთან

შედარებით, რომელთა ქცევის მოდელიც მკვეთრად საპირისპიროა. ქცევის ამგვარი მოდელები გამოიკვეთა ჩვენ მიერ გამოკითხულ სტუდენტებთანაც.

თვითმოვლითი ქცევა ყალიბდება თვითმოვლითი მოთხოვნილებების საფუძველზე. თვითმოვლითი მოთხოვნილება შეიძლება განიხილოს როგორც ჯანმრთელობის მოთხოვნილება - სხეულის მთლიანობისა და თვით სიცოცხლის შენარჩუნების კომპლექსის ნაირსახეობად. უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანის მოთხოვნილების მთელი სისტემა დაიყვანება თვითმოვლით მოთხოვნილებაზე. თვითმოვლითი ქცევის ადრეულ ასაკში ჩამოყალიბებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. რაც უფრო ადრე უყალიბდება ადამიანს თვითმოვლითი ქცევა, მით უფრო მაღალია მისი სიცოცხლის ხარისხისა და ხანგრძლივობის ალბათობა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამ მხრივ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა სტუდენტებში.

## დასკვნა

გამოკვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტი ახალგაზრდების თვითმოვლითი ქცევა დაბალი კულტურით ხასიათდება. ეს ძირითადად განპირობებულია მათ სოციალიზაციაში დაშვებული შეცდომებით. ამ ხარვეზის დასაძლევად მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი. აუცილებელია თვითმოვლითი ქცევის კულტურა ჩამოყალიბდეს ადრეულ ასაკში. ამ პროცესში ოჯახთან ერთად უნდა ჩაერთოს სკოლამდელი და სასკოლო განათლების სისტემა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვაზე. ჩვენმა დღევანდელმა ყოფამ დაგვანახა, რომ ეს არის უმთავრესი საკითხი, რომლის გადაჭრაც აუცილებელია. აუცილებელია სასკოლო განათლების როლის გაძლიერება მავნე ჩვევებთან ბრძოლის საკითხში.

მნიშვნელოვანია პიროვნების ღირებულებათა სისტემაში ჯანმრთელობის, როგორც პირველადი ღირებულების დამკვიდრება, ჯანმრთელობაზე ზრუნვის ჩვევების პირველად პრიორიტეტად ჩამოყალიბება. ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა დამკვიდრდეს მოზარდების ფიზიკური აღზრდა. დღეს სპორტით გოგონები ნაკლებად არიან დაკავებულნი, აუცილებელია გადაიჭრას ეს პრობლემა, გაიზარდოს სკოლის როლი ამ საშვილიშვილო საქმეში. ახალგაზრდების ჯანმრთელობის პროფილაქტიკისთვის მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის ყოველწლიური სავალდებულო შემოწმების შემოღება. დღეს თითოეული ჩვენგანი ვალდებულია გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა მომავალი თაობა ჯანმრთელი გვყავდეს. ეს კი აუცილებელია ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. მენაბდიშვილი ნ. 2017. სტუდენტთა დამოკიდებულება ცხოვრების ჯანსაღი წესისადმი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული: დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები.
2. შელია მ. 2017. საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევის თავისებურებანი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული: დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები.
3. Лисицин Ю. П. Сахно А. В. 1988. Здоровье человека - социальная ценность.



***Nana Menabdishvili***


## SELF-CARE BEHAVIOR FEATURES AMONG THE STUDENTS


**Summary**

Self-care behavior is seen as a system of actions and relationships aimed at maintaining health throughout the full life cycle and extending life expectancy. The physical and spiritual health of its members is valuable to every society. Therefore, the study of self-care behavior is of great importance. We have studied the self-care behavior of student youth using the sociological research. For only a quarter of students, health is a core value. At the same time, the importance of health is more expressed in males than in females. Among students who named health as the value of first importance, only 33% showed constant attention to maintaining it. Among the factors of health care, the special attention of students is paid to the lifestyle. They value a healthy lifestyle 5.4 times more than a systematic medical examination. For the most students, the health care is not preventative. Female students are more consistent in following doctors' recommendations if they are not hindered by the *lack of material resources*. Males are more likely reluctant to follow their doctor's recommendations (28%). Among the components of a healthy lifestyle, students name hygiene (41%), proper nutrition (32.5%), sports (16%) and recreation (10.5%). Full compliance with the hygiene rules in females is expressed 1.2 times more often than in males.

Proper diet and moderation are characteristic of females 1.4 times more often than males. And males pay 3.9 times more attention to regular physical exercise and 1.2 times more - to rest than females. As for the attitude of students to bad habits - tobacco, alcohol, drugs, the number of tobacco smokers has decreased, alcohol consumption is moderate, and drug use in every fifth of the surveyed students is common.

Among the drug users are representatives of both sexes. Research has shown that students' self-care culture is quite low, and the important events should be held in the country. It is very important to develop a culture of self-care at an early age. The pre-school and school education system should be involved in this process with the family

*მარინა მუჩიაშვილი*
*ქეთევან ლიპარტელიანი*

## სოციალური სფეროს პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების სტატისტიკური ანალიზი საქართველოში

***ანოტაცია.*** *ნაშრომში წარმოდგენილია სოციალურ სფეროში ბოლო წლებში საქართველოში სოციალურ სფერში რეალიზებული და ასევე, საშუალოვადიან პერიოდში განსახორციელებელი ძირითადი პროგრამები და ქვეპროგრამები . გაანალიზებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სფერში 2012 წლის შემდგომ პერიოდში მომხდარი არსებითი ხასიათის სტრუქტურული ცვლილებები. დეტალურადაა განხილული ყველა სოციალური პროექტი და მოცემულია წინა წლებთან შედარებითი განხორციელებული ახალი პროგრამებისა და პროექტების ანალიზი. წარმოდგენილია 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურაში ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ცვლილებები. შეფასებულია მისi ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობასა და ეკონომიკურ ზრდაზე.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ფისკალური პოლიტიკა, სოციალური სფეროს პროგრამები.*

### შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული მრავალი სერიოზული ხასიათი გამოწვევების გამკლავების მიზნით ჩვენი ქვეყნის მთავრობები მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობდნენ მათ ხელთ არსებული შეზღუდული მოცულობის საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად გამოიყენებას, ეკონომიკური ზრდის სასურველი ზომების მისაღწევად 2004 წლის შემდგომ პერიოდში სერიუზული ხასიათის რეფორმები განხორციელდა ფისკალური პოლიტიკის სამივე ძირითადი მიმართულების - საგადასახადო, ხარჯვითი და ვალის პოლიტიკის სფეროებში. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით ინტენსიურად გატარებული რეფორმების შედეგები აისახა ქვეყანის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებშიც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2010- 2012 წწ-თან შედარებით 2012-2019 წწ-ში ე) იკლო მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალოწლიური ზრდის ტემპებმა (7%-დან 4,5%-მდე), რაც გარკვეულწილად ფისკალური პოლიტიკის არსებითი ხასიათის ცვლი-ლებებითაცაა განპირობებული. კერძოდ, 2012 წლის შემდგომ პერიოდში ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯებში პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა სოციალური სფეროს დარგები, განსაკუთრებით სოციალური დაცვა და ჯანდაცვა. ამ სფეროში ხარჯების ოპტიმიზაციის მიმართულების გამოსავლენად, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების სტატისტიკური ანალიზი და ხარჯების ეფექტიანობის შეფასება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლში აღნიშ-ნულია, რომ საქართველო, როგორც სოციალური სახელმწიფო ზრუნავს: საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე; ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე, (მაღალმთიანი რეგიონების განსავითარებლად კანონი ჰქმნის განსაკუთრებულ პირობებს);- მოქალაქის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებ-ლით უზრუნველყოფაზე; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განვითარებაზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს მოქალაქეს დასაქმებაში და კანონით განსაზღვროს საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები (1)

ამ მიზნის მისაღწევად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრა-ტეგიაში („საქართველო 2020“), ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, ყურადღება არის გამახვილებული სოცი-ალური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვირდების მნიშვნე-ლობაზე. სტრატეგიის მიხედვით ამ პრინციპების განმახორციელებელ ინსტრუმენტებად განიხილება

უმუშევრობის შემცირება და მოსახლეობის უზრუნველყოფა ღირსეული შრომის პირობებით, ასევე ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების, ჯანდაცვისა და საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ინკლუზი-ურობაზე ორიენტაცია.

მიუხედავად ამისა, გრძელვადიან პერსპექტივაში, საჭიროა ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ სამართლიანობას შორის ბალანსის მიღწევა და გზების გამოკვეთა, რომლებიც მიმართული იქნება არა მხოლოდ სიღარიბესთან ბრძოლისკენ, არამედ სოციალური კეთილდღეობის ამაღლებისაკენ .ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სფეროების განვითარების გრძელვადიანი ხედვა საფუძვლად უნდა დაედოს ამ სფეროში შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების ფორმირებას, მათი განხორციელების და შეფასების ეფექტიანი სისტემის შემუშავებას. გრძელვადიანი განვითარების ხედვა უნდა ითვალისწინებსდესდა მიზნად ისახავდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას, საბაზისო სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფასა და უღარიბესი ფენების მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. ის აქცენტს უნდა აკეთებდეს შრომისა და სოციალური დაც-ვის უფრო ყოვლისმომცველი და ეფექტიანი სისტემის განვითარებაზე, რომელიც მოემსახურება რისკების შემცირებას, ჯანმრთე-ლობისა და სოციალური პრობლემების პრევენციასა და დაძლევას, მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის ზრდას

მთავრობის მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით შრომისა და სოციალური დაცვის სისტემის განვითარებისა თუ ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ძირითადი პრინციპები (2):

1. **ინკლუზიურობის უზრუნველყოფა -**

სოციალური დახმარების, შრომისა და სოციალური დაცვის სხვა პროგრამებში მეტად ჩაერთვებიან გარიყული და განსაკუთრებით მოწყვლადი ინდივიდები, ჯგუფები და თემები;

**2. სოციალური რისკების პრევენცია;**

**3. პროდუქტიულობის გაზრდა-ადამიანურ კაპიტალში, განსაკუთრებით კი ბავშვებში;**

**4. სისტემური მიდგომა.**

სოციალური დაცვის პროგრამები უნდა ავსებდეს ერთმანეთს და პასუხობდეს მოწყვლადი მოქალაქეების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

**სტრატეგიული პრიორიტეტებად გამოცხადებულია:**

1. დასაქმებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობათა გაზრდა;
2. ხანდაზმულთა სოციალური დაცვისა და ასაკობრივი პენსიის სისტემის სრულყოფა;
3. ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფა;
4. თემზე დაფუძნებული მომსახურებებისა და სოციალური მუშაკის როლის გაძლიერება, ინდივიდების, ოჯახებისა და თემების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებათა შეთავაზება.

## სოციალური სფეროს პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების სტატისტიკური ანალიზი საქართველოში 2013-2020 წლებში

2013 წლიდან საქართველოს ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურაში სოციალური დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ყველაზე მაღალი წილითაა წარმოდგენილი. ამ წლებში განხორციელდა ბევრი ახალი პროგრამა და პროექტი. მათგან უმნიშვნელოვანესია: 2013 წელს დაწყებული და 2014 წელს გაგრძელებული საყოველთაო სოციალური დაცვის პროგრამა, ,2015 წელს ამოქმედებული C ჰეპატიტის ელამინაციის პროგრამა, 2016 წელს - მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა შეღავათების პროგრამა. 2017 წლიდან კი დაიწყო ახალი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებისათვის საფუძვლების შექმნა და მომდევნო წლებში ხორციელდება მისი ეტაპობრივი დანერგვა

სოციალური დაცვის ხარჯებში ყველაზე მაღალი წილი უკავია საპენსიო უზრუნვეყოფის ხარჯებს. ეს მაჩვენებელი 2015 წელს 1,4 მილიარდი 2020 წლის ბიუჯეტის მიხედვით 2,2 მილიარდ ლარამდეა გაზრდილი. 2015 წლიდან ეტაპობრივად იზრდება მიზნობრივი სოციალური დახმარებები (ზრდა 2015 წლის 615 მილიონი ლარიდან თითქმის 800 მილიონ ლარამდე 2020 წლის გეგმის მიხედვით).

2020 წლის აპრილის თვის მონაცემების მიხედვით, საარსებო შემწეობის მიმღებთა ყველაზე მეტია ქალაქ თბილისში, თუმცა, მისი მიმღებთა წილი მოსახლეობის მხოლოდ 8.9 -% შეადგენს. ყველაზე მაღალი შემწობის მიმღებთა ხვედრითი წილი ფიქსირდება რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონში (41.6 %). ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული რეგიონი სოციალურად დაუცველობის თვალსაზრისით ყველა მძიმე მდგომარეობით გამოირჩევა.

სოციალური დაცვის ხარჯებში მესამე კატეგორიაა სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა. ეს მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდება, 2020 წლის გეგმით გათვალისწინებული ხარჯი 2015 წლის ფაქტიურ დანახარჯებს 1,8 -ჯერ აღემატება და 37,4 მილიონს ლარს აღწევს.

ბიუჯეტში შედარებით მცირე ზომითაა წარმოდგენილი ტრეფიკინგზე გაწეული ხარჯები. თუმცა, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 2020 წლის ბიუჯეტში- 7,3 მლნ ლარი.

საქართველოში 2016 წლიდან ამოქმედებული სოციალური შეღავათების პროგრამა მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთათვის და ყოველწლიურად იზრდება მისი დაფინანსების მოცულობები. თუ 2016 წელს მასზე მხოლოდ 10.6 მლნ ლარი გამოიყო, 2017 წელს ეს თანხა გაიზარდა 4,2-ჯერ, - 41,9 მლნ ლარი, 2020 წლის ბიუჯეტის მიხედვით გათვალისწინებულია 58,3 მლნ ლარის გამოყოფა.

**2013 წლიდან სოციალური სფეროს ხარჯებში განსაკუთრებით გიზარდა ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები.**

მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა ჯანდაცვის ყველაზე მსხვილი კატეგორიაა. 2016 წელს მასზე გაწეული ხარჯები წინა წელთან შედარებით გაზრდილია 1.2ჯერ. 2019 წლის მაჩვენებელი კი 2015 წლის მაჩვენებელს აღემატება 1.5 ჯერ.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის კატეგორიიდან ყველაზე მეტი თანხით ფინანსდება იმუნიზაცია, შიდსისა და ტუბერკულოზის მართვა. იმუნიზაციაზე გაწეული ხარჯები მოცემული 5 წლის მანძილზე მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2019 წელს მასზე გაწეულმა ხარჯმა გადააჭარბა 22 მილიონ ლარს, რაც 2015 წლის მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატება. შიდსის მართვაზე გაწეული ხარჯები 2015 წლიდან 2019 წლამდე შესაბამისად 21.8მილიონი ლარიდან 24.5 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

**სოციალური დაცვის მიმდინარე პროგრამები:**

ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა),

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა,

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისთვის,

სახელმწიფო პენსია,

სახელმწიფო კომპენსაცია,

საყოფაცხოვრებო სუბსიდია,

სოციალური პაკეტი.

**სოციალური დაცვის სფეროს კატეგორიების სტრუქტურის ცვლილებები 2016-2020 წლებში გრაგიკულად შემდეგნაირად გამოისახება.**

**ნახაზი 1. სოციალური დაცვის სფეროს კატეგორიების სტრუქტურა 2016წელს**



**ნახაზი 2. სოციალური დაცვის სფეროს კატეგორიების სტრუქტურა 2020 წელს**




**2013 წლიდან დღემდე პერმანენტულად იზრდებოდა საარსებო შემწეობების მოცულობები.**

**ნახაზი 3. საარსებო შემწოებებაზე გამოყოფილი ასიგნებები 2013=2020 წწ-ში**




ანალოგიურად, ზრდის ტენდენციით ხასიათდება საპენსიო უზრუნველყოფაზე გამოყოფილი სახსრები. ამასთან, იზრდება ერთ დასაქმებულზე მოსული პენსინერების თანაფარდობის კოეფიციენტი.

**ნახაზი 4. საპენსიო უზრუნველყოფაზე გამოყოფილი ასიგნებები 2015-2020 წწ-ში**



**დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა** მოქმედებს 2014 წლის 1 ივნისიდან. ბენეფიციარები არიან მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი.

**ნახაზი 5. ჯანდაცვის სფეროს კატეგორიები**




ქვეყნების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია ჯანაცვის ხარჯების ხვედრითი წილი. ქვემოთ მოტანილი ქვეყნების მაგალითზე 2017 წლის მონაცემების მიხედვით ის 4,3%-დან 12, 3-მდე მერყეობს.

**ნახაზი 6. ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2010-2017 წწ სხვადასხვა ქვეყანაში**



**ნახაზი 7. ჯანდაცვის ხარჯების დინამიკა (მილონი ლარი), და მისი წილი მთლიან დანახარჯებში (%-ში) საქართველოში 2015-2020 წწ-ში.**




ქვემოთ ცხრილის სახით დეტალურადაა წარმოდგენილი ჯანმრთელობის დაცვის კატეგორიის დაფინანსების დინამიკა საქართველოში

**ნახაზი 8.**

**ჯანმრთელობის დაცვის კატეგორიების დაფინანსება 2015-2020**

| წლები | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საყოველთაოჯანმრთელობის დაცვა (მლნ ლარი)** | 573 | 681 | 710 | 760 | 828 | 802 |
| **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (მლნ ლარი)** | 77 | 89 | 96 | 91 | 109 | 90 |
| მ.შ იმუნიზაცია (მლნ ლარი) | 11 | 16 | 17 | 21 | 22 | 23 |
| მ.შ შიდსის მართვა (მლნ ლარი) | 21 | 18 | 21 | 21 | 24 | 13 |
| მ.შ ტუბერკულოზის მართვა (მლნ ლარი) | 15 | 20 | 21 | 20 | 29 | 16 |
| **მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (მლნ ლარი)** | 139 | 148 | 157 | 179 | 197 | 470 |
| მ.შ პირველადი და გადაუდებელი სასწრაფო დახმარება (მლნ ლარი) | 31 | 30 | 34 | 65 | 70 | 113 |

ცხრილიდან ირკვევა, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა ჯანდაცვის ყველაზე მსხვილი კატეგორიაა.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის კატეგორიებიდან ყველაზე დიდი წილით ფინანსდება იმუნიზაცია, შიდსისა და ტუბერკულოზის მართვა

მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების პრიორიტეტულ სფეროებში ყველაზე მსხვილი კატეგორიაა პირველადი და გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

**ბოლო წლებში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული ახალი მნიშვნელოვანი პროგრამებია:** საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა (2014 წელი)- C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. 30%-ით გაიზარდა სოფლის ექიმისა და ექთნის დაფინანსება (2015 წელი), გაუმჯობესდა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა ხარისხობრივად (2017), ამავე წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას, საფუძველი ჩაეყარა ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის თანამედროვე და მაღალეფექტიან მეთოდებს. 2019 წელს დაინერგა ელექტრონული რეცეპტის სისტემა. დაიგეგმა ფარმაცევტული წარმოების საუკეთესო საწარმოო პრაქტიკის და დისტრიბუციის (GMP/GDP)

სტანდარტების დანერგვა, 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონით დაგეგმილია სასწრაფო დახმარებისა და სოფლის ექიმის ერთ მენეჯმენტში მოქცევა და ამით ჯანდაცვის ეფექტურობის ზრდა. ასევე, გათვალისწინებულია სოფლისა და სასწრაფოს ექიმთათვის ანაზღაურების ზრდა. ასევე, იგეგმება საყოველთაო ჯანდაცვის ეფექტურობის ზრდაც.

**ნახაზი 9. ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების სტრუქტურა საქართველოში** (%-ში)




ცხრილის ანალიზიდან ირკვევა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის შემდგომ პერიოდში პერმანენტულად იზრდება სახელმწიფოს წილი ჯანდაცვის სფეროს დაფინანსებაში, კერძო დაფინანსების წილი მაინც მნიშვნელოვნად აჭარბებს მას, რაც ქვეყნის მოსახლეობაში დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახების ჯერ კიდევ ძალიან მაღალი ხვედრითი წილის პირობებში მწვავე პრობლემად რჩება.

**დასკვნა**

1. საქართველოს ბიუჯეტის ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, სოციალურ სფეროში სოციალური დაცვის ხარჯები ყველაზე მსხვილი კატეგორიაა. მასში ყველაზე დიდი წილითაა წარმოდგენილი საპენსიო უზრუნვეყოფა. ეს მაჩვენებელი 2020 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმის მიხედვით 2015 წელს 1,4 მილიარდი ლარიდან 2,2 მილიარდ ლარამდეა (1,6-ჯერ) გაზრდილი. სოციალურ სფეროში სიდიდის მიხედვით მეორე ადგილზეა მიზნობრივი სოციალური დახმარებები. 2015 წელს ხარჯები 615 მილიონ ლარს, 2019 წელს- 770 მილიონ ლარს, ხოლო 2020 წლის გეგმით - 793 მლნ ლარს შეადგენს. სოციალურ სფეროს დანახარჯებში მაღალი ხვედრითი წილი უკავია სოციალური რეაბილიტაციასა და ბავშვზე ზრუნვას. 2020 წლის გეგმის მიხედვით მასზე გათვალისწინებული ასიგნებები 2015 წელს დახარჯულ თანხას 1,8 ჯერ აღემატება და 37,4 მილიონ ლარს აღწევს. ამ სფეროში შედარებით დაბალი წილითაა წარმოდგენილი ტრეფიკინგზე გაწეული ხარჯები. კერძოდ, 2020 წლის ბიუჯეტში იგი 7,3 მლნ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან საქართველოში ამოქმედებული სოციალური შეღავათების პროგრამა მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთათვის. აღსანისნავია, რომ მისი დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების მოცულობები ყოველწლიურად იზრდება.

2. 2013-2019 წლებში დანახარჯები ჯანდაცვაზე პერმანენტულდ გაიზარდა მასში ყველაზე მსხვილი კატეგორიაა მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა. 2016 წელს მასზე გაწეული ხარჯები წინა წელთან შედარებით გაზრდილია 1.2 ჯერ. 2019 წლის მაჩვენებელი კი 2015 წლის მაჩვენებელს აღემატება 1.5 ჯერ. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის კატეგორიიდან ყველაზე მეტი მოცულობით ფინანსდება იმუნიზაცია, შიდსისა და ტუბერკულოზის მართვა. ამასთან, იმუნიზაციაზე გაწეული ხარჯები მოცემული 5 წლის მანძილზე მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2019 წელს მასზე გაწეულმა ხარჯმა გადააჭარბა 22 მილიონ ლარს, რაც 2015 წლის მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატება.

მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით 2020 წლის ბიუჯეტში ყველაზე მეტი სახსრების გამოყოფაა გათვალისწინებული პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის პროგრამაზე.

3. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჯანდაცვაზე გაწეული მთლიანი ხარჯების უდიდესი წილი მოდის კერძო დანახარჯებზე. ყველა ქვეყანაში კერძო დანახარჯები ფინანსდება ჯიბიდან გადახდებისა და კერძო დაზღვევის გზით. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის თავისებურება, სხვა ქვეყნებთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ კერძო გადახდებში უდიდესი წილითაა წარმოდგენილი ჯიბიდან გადახდები, რაც ავადმყოფობის შემთხვევაში მძიმე ტვირთად აწვება განსაკუთრებით დაბალ-შემოსავლიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებს. .

4. საქართველოს მოსახლეობის დაბერების ტენდენციისა და ერთ დასაქმებულზე მოსული პენსიონერების შეფარდების კოეფიციენტის გაუარესების გათვალისწიბნებით საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში საქართველოში საჭიროა კერძო საპენსიო სისტემის დანერგვის სფეროში განსახორციელებელი რეფორმების გაღრმავება, ამ სისტემით მოსახლეობის მოცვის მასშტაბების ზრდა (მ.შ თვითდასაქმებულების მოცვის ჩათვლით) და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებზე სოციალური დაცვის დანახარჯების ტვირთის შემცირება და გამოთავისუფლებული საბიუჯეტო სახსრების უპირატესი წარმართვა ჯანდაცვის სექტორის დაფინანსების ზრდის მიმართულებისაკენ.

5. გრძელვადიან პერსპექტივაში, საჭიროა ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ სამართლიანობას შორის ბალანსის მიღწევა და იმ გზების გამოკვეთა, რომლებიც მიმართული იქნება არა მხოლოდ სიღარიბესთან ბრძოლისკენ, არამედ სოციალური კეთილდღეობის ამაღლებისაკენ .ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სფეროების განვითარების გრძელვადიანი ხედვის შემუშავება საფუძვლად უნდა დაედოს ამ სფეროში შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების ფორმირებას, მათი განხორციელების და შეფასების ეფექტიანი სისტემის შემუშავებას. გეგმა მიზნად უნდა ისახავდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას, საბაზისო სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფასა და უღარიბესი ფენების მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. ის აქცენტს უნდა აკეთებდეს შრომისა და სოციალური დაც-ვის უფრო ყოვლისმომცველი და ეფექტიანი სისტემის განვითარებაზე, რომელიც მოემსახურება რისკების შემცირებას, ჯანმრთელობისა და სოციალური პრობლემების პრევენციასა და დაძლევას, მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის ზრდას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. სააქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995 წელი
2. საქართველოს პარლამენტი, „საქართველოში შრომისა და სოციალური დაცვის სფეროების განვითარების ხედვა 2030 წლისთვის", თბილისი, 2017 წელი.
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები, თბილისი 2003-2020 წწ.
4. სოციალური დაცვის სამინისტროს მასალები, თბილისოი 2020 წელი
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020.
6. Georgia public expenditure review, " managing expenditure pressures for Sustainability and growth, WB„ 2012.
7. www.IMF.com
8. www.geostat.ge



***Marina Muchiashvili***
***Ketevan Liparteliani***


## STATISTICAL ANALYSIS OF FUNDING OF SOCIAL PROGRAMS AND PROJECTS IN GEORGIA


**Summary**

The paper presents the main programs and sub-programs implemented in the social sphere in Georgia in recent years, as well as in the medium term. Substantial structural changes in the state budget expenditures in the post-2012 period are analyzed.

All social projects are reviewed in detail and an analysis of new programs and projects implemented is given. The paper presents the changes envisaged in the anti-crisis plan in the structure of the 2020 budget expenditures. The impact of these changes on the economic sustainability and economic growth of the country is assessed.



***Keywords:*** *Fiscal policy, Social programs, financing of social protection programs, financing of social insurance programs, financing of health care programs*

*ნინო ტალიკაძე*

## კაცები კვლავ მეტს გამოიმუშავებენ ვიდრე ქალები? მითი თუ რეალობა?

***ანოტაცია.*** *საზოგადოდ დასაბუთებულია, რომ გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი ინდიკატორი ხელფასებს შორის არსებული სხვაობაა. წინამდებარე სტატიაში განხილულია გენდერულ ჭრილში საქართველოში შრომის ანაზღაურებაში არსებული განსხვავებები, ტენდენციები, გავრცე-ლებული მოსაზრებები ხელფასებს შორის გენედერული უთანასწორობის გამომწვევი მიზეზების შესახებ, წარმოდგენილია მსოფლიო გამოცდილება და სხვ.*

***საკვანძო სიტყვები:*** *გენდერული უთანასწორობა, ხელფასები, ქალები, კაცები.*

### შესავალი

გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა ნაწილია, რომელიც გულისხმობს ქალისა და კაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში [საქართველოს კანონი...]. გენდერული თანასწორობა მდგრადი და ადამიანზე ორიენტირებული განვითარების წინაპირობად და ერთ-ერთ მაჩვენებლად არის აღიარებული. შესაბამისად, გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ნაწილად იქცა - მიზანი 5: გენდერული თანასწორობა [იუნისეფი]. SDG დღის წესრიგის განხორ-ციელებით, მსოფლიოს მიზანია, რომ 2030 წლისთვის ქალებსა და გოგონებს ჰქონდეთ ისეთივე შესაძლებლობები, როგორც - კაცებსა და ბიჭებს, და დასრულდეს ქალებისა და გოგონების მიმართ ყველა ფორმის ძალადობა და დისკრიმინაცია. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაცია საქართველოს მთავრობამ 2016 წელს დაიწყო. აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის საკითხები და სამიზნეები ასევე გაწერილია სხვადასხვა მიზანში, მაგალითად, მიზანი 8: ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა, რომელიც გულისხმობს ყველასთვის ხელმისაწვდომ ღირსეულ და უსაფრთხო სამუშაოს, მათ შორის, ქალების, ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ასევე, მიზანი 10: შემცირებული უთანასწორობა.

საქართველოში ქალები დასაქმებულთა დისკრიმინაციის მრავალი ფორმის წინაშე დგანან, მათ შორისაა: შუშის ჭერის არსებობა სხვადასხვა სექტორში, ქალების კონცენტრაცია დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე, სამსახურიდან დისკრიმინაციული გათავისუფლება, ღიად დისკრიმინაციული განცხადება ვაკანსიის შესახებ და კანონმდებლობის არარსებობა, რომელიც უზრუნველყოფდა თანაბარ ანაზღაურებას თანაბარი ღირებულების შრომისთვის [საქართველოს პარლამენტი...]. ასევე, მკვლევრები საუბრობენ საქართველოში არსებულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სეგრეგაციაზე. სხვა სიტყვებით, ჰორიზონტალური სეგრეგაციაა, როდესაც ქალები ყველაზე მეტად დაბალანაზღაურებად პროფესიებში არიან დასაქმებულნი, ხოლო ვერტიკალური სეგრეგაციაა, როდესაც მაღალ პოზიციებს და შესაბამისად, მაღალანაზღაურებად სამსახურს კაცები იკავებენ [„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“...].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობასა და პოლიტიკაში გათვალისწინებულია გარკვეული დებულებები დასაქმების სფეროში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე (საქართველოში ქალებისა და კაცების თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი და კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. შექმნილია და ფუნქციონირებს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, უწყებათაშორისი კომისია გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი), ციფრები ამ მხრივ არასახარბიელოა. დღეს ერთი და იმავე ან თანაბარი მნიშვნელობის სამუშაოსთვის ქალის და კაცის შრომის ანაზღაურება განსხვავებულია. ყურადსაღებია ისიც, რომ ამ მიმართულებით უკვე შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები (საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავებული), ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ საჭიროა გაფართოვდეს გენდერული თანასწორობის კანონის მოქმედების სფერო და მოიცვას შრომითი ურთიერთობები როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში [საქართველოს პარლამენტი...].

**და მაინც რას გვიჩვენებენ ციფრები?**

2018 წელს მოსახლეობის დასაქმების დონემ შეადგინა დაახლოებით 56%, რაც წინა 2017 წელთან შედარებით შემცირებულია 1%-ით. ამავე წელს მოსახლეობის უმუშევრობის დონე 13%-ია[179]. დასაქმებულთა უმეტესი ნაწილი ძირითადად წარმოდგენილია შემდეგ ეკონომიკურ სფეროებში: სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა, თევზჭერა, მეთევზეობა, ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი და განათლება.

2018 წელს 2017 წელთან შედარებით, დასაქმებული ქალების რაოდენობა (803,1 ათასი) 2%-ით არის შემცირებული, ხოლო დასაქმებული კაცების რაოდენობა (891,1 ათასი) შემცირებულია ძალიან უმნიშვნელოდ -0,2%-ით[180]. აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში ასევე შემცირებულია უმუშევარი ქალების (101, 6 ათასი) რიცხოვნობა 15%-ით, ხოლო კაცებისთვის (144,1 ათასი) იგივე მაჩვენებელი შემცირებულია 8%-ით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 2018 წელს, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი კაცებისთვის 1281 ლარი, ხოლო ქალებისთვის 823 ლარია. ანუ, კაცის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის სიდიდე 458 ლარით, ანუ დაახლოებით 1,6-ჯერ აღემატება ქალების ხელფასის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ წინა 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს ქალებისა და კაცების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაზრდილია 7%-ით.

საინტერესოა როგორ იცვლებოდა წლების განმავლობაში კაცებსა და ქალების ხელფასს შორის არსებული სხვაობა. შევაფასოთ 1999-2018 წლების პერიოდი. მონაცემები მოცემულია დიაგრამაზე 1.




**დიაგრამა 1. სხვაობა კაცის და ქალის ხელფასებს შორის 1999-2018 წლებში (ლარი)**[181]

როგორც ვხედავთ, აღნიშნული მაჩვენებელი აბსოლუტურ გამოხატულებაში ზრდადია და მატება საშუალოდ 22 ლარს შეადგენს. თუ სხვაობას გამოვსახავთ პროცენტულად, მაშინ განსხვავებულ სურათს მივიღებთ. მაგალითად, ყველაზე დიდი სხვაობა კაცებისა და ქალების საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასს შორის დაფიქსირდა 2005 წელს - 104,3%, ხოლო ყველაზე დაბალი 2016 წელს - 52,7%. (იხ. დიაგრამა 2).

---

[179] **წყარო:** საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით 1998-2018 (ათასი კაცი), იხ. https://www.datalab.ge/

[180] **წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმებულთა და უმუშევართა განაწილება ასაკის მიხედვით, (ათასი ერთეული), https://www.geostat.ge/ka

[181] შენიშვნა: გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით




**დიაგრამა 2. სხვაობა კაცის და ქალის ხელფასებს შორის 1999-2018 წლებში (%)**[182]

როგორც ვხედავთ, ტენდენცია არის კლებადი და სხვაობა კაცის და ქალის ხელფასებს შორის შეფარდებით მაჩვენებელში მცირდება. თუმცა, ეს შემცირების ტემპი არის მცირე[183] და შეადგენს წელიწადში საშუალოდ -2%-ს. თუ დავუშვებთ, რომ შენარჩუნდება აღნიშნული ტენდენცია, მაშინ ქალებისა და კაცების ხელფასებს შორის არსებული სხვაობა უნდა განულდეს 2048 წლისთვის, ანუ დაახლოებით 28 წლის შემდეგ და არა 2030 წლისთვის.

განვიხილოთ ზოგადად, ქალების ხელფასების თანაფარდობა კაცების ხელფასებთან მიმართებაში (იხ. დიაგრამა 3).




**დიაგრამა 3. ქალების ხელფასების თანაფარდობა კაცების ხელფასებთან მიმართებაში (%)**[184]

2018 წელს დასახელებული მაჩვენებელი შეადგენს 64,2%-ს, რაც უფრო გაიზრდება ეს მაჩვენებელი, მით უფრო გათანაბრდება მდგომარეობა ქალების და კაცების ანაზღაურებას შორის. დიაგრამა 3 დიაგრამა

---

[182] შენიშვნა: გაანგარიშებულია ავტორის მიერ

[183] შენიშვნა: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საშუალო აბსოლუტური მატების გამოყენებით, 1999-2018 დროის პერიოდის მონაცემების საფუძველზე

[184] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ქალების ხელფასების თანაფარდობა კაცების ხელფასებთან მიმართებაში (%), https://www.geostat.ge/ka

2-ის ანარეკლია. შეიძლება ითქვას, დღევანდელი 35,8%-იანი განსხვავება ქალებისა და კაცების ანაზღაურებას შორის ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რაც მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა სრული პოტენციალის რეალიზებისთვის.

ასევე საინტერესოა, განვიხილოთ ქალების ხელფასების თანაფარდობა კაცების ხელფასებთან მიმართებაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვითაც. დადგენილია, რომ გენდერული უთანასწორობაა საქმიანობის იმ სფეროებშიც კი, სადაც პროცენტულად ქალი დასაქმებული უფრო მეტია, ვიდრე კაცი [აბესაძე ნ. 2019]. ანალიზისთვის აღებულია 2018 წელი. შესაბამისად, გამოიყო ის ხუთი ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა, სადაც ქალების ხელფასების თანაფარდობა კაცების ხელფასებთან მიმართებაში ყველაზე მაღალია. კერძოდ, ესენია:

1. ელექროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება (104,3%);
2. სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა (95,8%);
3. სახელმწიფო მმართველობა (90,3%);
4. განათლება (84,6%);
5. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (79,6%).

ეს ის სფეროებია, სადაც, თუ შენარჩუნდება აღნიშნული ტენდენცია, შეიძლება მივაღწიოთ ხელფასების გათანაბრებას შედარებით ხანმოკლე ვადებში. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილების სფეროში ქალების ხელფასი უკვე 4%-ით აღემატება კაცებისას.

საინტერესოა როგორი იყო ამ კუთხით მდგომარეობა 10 წლის წინ და შეიცვალა თუ არა დასაქმების ეკონომიკური სფეროები? ამ კითხვაზე პასუხი წარმოდგენილია 1-ლ ცხრილში.

**ცხრილი 1. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით 2008 წელს**

(დალაგებული ქალების ხელფასების თანაფარდობის ზრდის მიხედვით კაცების ხელფასებთან მიმართებით)

| ეკონომიკური საქმიანობის სახეები | ქალი დასაქმებულის (დაქირავებით) საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2008 წელს (ლარი) | კაცი დასაქმებულის (დაქირავებით) საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2008 წელს (ლარი) | ქალების ხელფასების თანაფარდობა კაცების ხელფასებთან მიმართებაში (%) |
|---|---|---|---|
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 795.1 | 811.4 | 98.0 |
| ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 679.1 | 766.7 | 88.6 |
| მშენებლობა | 515.2 | 602.6 | 85.5 |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა | 267.1 | 312.7 | 85.4 |
| განათლება | 232.4 | 286.3 | 81.2 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2018 წელს ბევრად გაუმჯობესდა მდგომარეობა შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობებში: ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება, სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, განათლება, ხოლო სხვა სფეროებში ეს მაჩვენებელი შედარებით გაუარესებულია.

ქალებისა და კაცების ანაზღაურებას შორის არსებული უთანასწორობის სიდიდის განსაზღვრისათვის შესაძლებელია, ასევე, გამოვიყენოთ ჯინის ინდექსი, ხოლო გრაფიკული გამოსახვისთვის - ლორენცის მრუდი. მიღებული შედეგები წარმოდგენილია დიაგრამებზე 4-5. ამასთან, შესადარებლად აღებულია ათწლიანი დროის შუალედი.

ჯინის ინდექსმა 2018 წელს შეადგინა 11%, ხოლო 2008 წელს 15%[185]. შეიძლება ითქვას, დროის ამ პერიოდში ხელფასებს შორის არსებული უთანასწორობის კუთხით მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია. ეს შედეგები კიდევ ერთხელ ამყარებს ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობას.

[185] შენიშვნა: გაანგარიშებულია ავტორის მიერ




დიაგრამა 4. ლორენცის მრუდი (2008 )




დიაგრამა 5. ლორენცის მრუდი (2018 )

**გენდერული უთანასწორობის არსებობის მიზეზები შრომის ანაზღაურებაში და გლობალური გენდერული უთანასწორობის ინდექსი**

გენდერული უთანასწორობა, როგორც უკვე აღინიშნა, არ არის ახლი მსოფლიოსთვის. იგი ნამდვილად არსებობს და მის წინაშე დგას ყველა ქალი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პროგნოზირებით კიდევ 99,5 წელია იმისთვის საჭირო, რომ აღმოიფხვრას არსებული ეკონომიკური უთანასწორობა ქალებსა და კაცებს შორის [Global Gender Gap Report 2020..]. ქვემოთ წარმოდგენილია ქალებისა და კაცების შრომის ანაზღაურებაში უთანაბრობის ხუთი მიზეზი [Robertson L]:

1. დისკრიმინაცია და მიკერძოებული დამოკიდებულება დაქირავების დროს გადაწყვეტილების მიღებისას და შრომის ანაზღაურების განსაზღვრაში (ბაზისური უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში);
2. ბონუსები (ბონუსური უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში);
3. მუშაობა სხვადასხვა ინდუსტრიაში, სადაც დომინანტურია ქალთა დასაქმება დაბალი ხელფასების პირობებში;
4. ქალები უფრო მეტ დროს ხარჯავენ სამუშაოს გარეთ ოჯახზე საზრუნავად;
5. ნაკლები მოქნილობა სამსახურში დაბრუნებული დედებისთვის.

2006 წელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავდა გლობალური გენდერული უთანასწორობის ინდექსი (The Global Gender Gap Index), როგორც გენდერული უთანასწორობის მასშტაბების გასაზომად და მასზე დასაკვირვებლად. ინდექსში აგრეგირებულია უთანასწორობა ეკონომიკური, განათლების, ჯანმრთელობისა და პოლიტიკური კრიტერიუმების მიხედვით. გლობალური გენდერული უთანასწორობის 2020 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მსოფლიოსთვის გლობალური გენდერული უთანასწორობის ინდექსი შეადგენს 68,6%-ს და მის შესავსებად (დასახურად) საჭიროა 31,4%. საქართველო მსოფლიო ქვეყნების რეიტინგში (სულ 153 ქვეყანა) იკავებს 74-ე ადგილს და მისი მაჩვენებელი შეადგენს 0,708-ს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მონაცემები 2006 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია 25 პუნქტით. ცხრილებში 2-3 წარმოდგენილია ქვეყნები ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი გლობალური გენდერული სხვაობებით.

**ცხრილი 2. ქვეყნები ყველაზე დაბალი გლობალური გენდერული სხვაობით:**[186]

| | |
|---|---|
| ისლანდია | 0.887 |
| ნორვეგია | 0.842 |
| ფინეთი | 0.832 |
| შვედეთი | 0.82 |
| ნიკარაგუა | 0.804 |
| ახალი ზელანდია | 0.799 |
| ირლანდია | 0.798 |
| ესპანეთი | 0.795 |
| რუანდა | 0.791 |
| გერმანია | 0.79 |

**ცხრილი 3. ქვეყნები ყველაზე მაღალი გლობალური გენდერული სხვაობით**[187]

| | |
|---|---|
| იემენი | 0.494 |
| ერაყი | 0.53 |
| პაკისტანი | 0.564 |
| სირია | 0.567 |
| კონგო | 0.578 |
| ირანი | 0.584 |
| ჩადი | 0.596 |
| საუდის არაბეთი | 0.599 |
| ლიბანი | 0.599 |
| ომანი | 0.602 |

ყველაზე ნაკლებად გენდერული უთანასწორობა იგრძნობა დასავლეთევროპულ ქვეყნებში (მიახლოებით დასაძლევია 12-16%-იანი სხვაობა), ხოლო ყველაზე მაღალი, როგორც მოსალოდნელი იყო - შუა აღმოსავლეთის და სამხრეთ აზიის ქვეყნებში (მიახლოებით დასაძლევია 43-51%-იანი სხვაობა).

## დასკვნები და მთავარი მიგნებები

- 2018 წელს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი კაცებისთვის 1281 ლარი, ხოლო ქალებისთვის 823 ლარია. ანუ კაცის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის სიდიდე 458 ლარით, ანუ დაახლოებით 1,6-ჯერ აღემატება ქალების ხელფასის მაჩვენებელს.
- სხვაობა კაცის და ქალის ხელფასებს შორის შეფარდებითი მაჩვენებლის მიხედვით მცირდება. თუ დავუშვებთ, რომ შენარჩუნდება აღნიშნული ტენდენცია, მაშინ ქალებისა და კაცების ხელფასებს შორის არსებული სხვაობა უნდა განულდეს 2048 წლისთვის, დაახლოებით 28 წლის შემდეგ.
- ქალების ხელფასების თანაფარდობა კაცების ხელფასებთან მიმართებით 2008 წელს 10%-ით ნაკლები იყო (იხ. დიაგრამა 3. ქალების ხელფასების თანაფარდობა კაცების ხელფასებთან მიმართებაში) ვიდრე 2018 წელს.
- ქალებისა და კაცების ანაზღაურებას შორის არსებული უთანასწორობის სიდიდის განსაზღვრისათვის გაანგარიშებულმა ჯინის ინდექსმა 2018 წელს შეადგინა 11%, ხოლო 2008 წელს 15%. დროის ამ პერიოდში ხელფასებს შორის არსებული უთანასწორობის კუთხით მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია. ამასვე ადასტურებს გლობალური გენდერული უთანასწორობის 2020 წლის ანგარიშის ქვეყნების რეიტინგში საქართველოს გაუმჯობესებული მაჩვენებელი.
- სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, სახელმწიფო მმართველობა, განათლება, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. ეს ის პოტენციური ეკონომიკური სფეროებია, რომლებშიც შეგვიძლია ხანმოკლე ვადებში მივაღწიოთ ქალების და კაცების ხელფასებს შორის თანაბრობას და არსებული სხვაობის აღმოფხვრას.

---

[186] **წყარო:** მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიში, Global Gender Gap Report 2020, World Economic Forum, Insight Report, იხ. http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2020.pdf

[187] **წყარო:** მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიში, Global Gender Gap Report 2020, World Economic Forum, Insight Report, იხ. http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2020.pdf

კვლევის მომდევნო ეტაპი იქნება უფრო სიღრმისეულად გააანალიზდეს აღნიშნული მონაცემები და ჩაირთოს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა განათლების დონე, სამუშაო გამოცდილება, ასაკი და ა.შ. ამასთან, გასათვალისწინებელი იქნება კორონავირუსის პოსტკრიზისული პერიოდი და მისი გავლენა სამუშაო ძალაზე, ხელფასებზე, რამაც შეიძლება შეცვალოს უკვე არსებული პროგნოზები. საბოლოო პანდემიის შედეგებთან დაკავშირებით შეფასებების გაკეთება გაგვიჭირდება, რადგანაც ჯერ კიდევ არსებობს საზღვარგარეთიდან ვირუსის შემოტანის მუდმივი საფრთხე (საზღვრების გახსნის შემდგომ). დანამდვილებით ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამყარო აღარ იქნება ისეთი, როგორშიც კორონავირუსამდე ვცხოვრობდით.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. აბესაძე ნ., შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსები საქართველოში, სტატისტიკის თეორია და პრაქტიკა საქართველოში, თბ., 2019
2. იუნისეფი საქართველოში,მდგრადი განვითარების მიზნები, იხ.https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98
3. „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, არასამთავრობო ორგანიზაცია, კვლევის ანგარიში „გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში, თბ.,2014. იხ.http://www.parliament.ge/uploads/other/75/75600.pdf?fbclid=IwAR3mBVdFIUDd0MoAyvM0bJFSeL9aFazXwPCQmMnXu2LKc9LtX6H_HbIzKY
4. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიში, Global Gender Gap Report 2020, World Economic Forum, Insight Report, იხ. http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2020.pdf
5. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 3. იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=8
6. საქართველოს პარლამენტი, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 1 ნაწილი, თბ. იანვარი, 2018, იხ.http://ewmiprolog.org/images/files/2709GEOVol1_GenderEqualityinGeorgia_BarriersandRecommendations_Final.pdf
7. საქართველოს პარლამენტი, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 2 ნაწილი, იანვარი, 2018 იხ.https://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/DG/UNDP_GE_DG_Gender_Equality_in_Georgia_VOL2_GEO.pdf
8. Robertson L., 5 Reasons The Gender Pay Gap Exists (Yes, There’s Not Just One) იხ. https://futurewomen.com/hotlists/5-reasons-gender-pay-gap-exists/
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები: https://www.geostat.ge/ka (დასაქმებულთა და უმუშევართა განაწილება ასაკის მიხედვით (ათასი ერთეული); ქალების ხელფასების თანაფარდობა კაცების ხელფასებთან მიმართებაში (%); დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით).
10. საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორიის მონაცემები: https://www.datalab.ge/ (დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების (Nace rev. 1.1) მიხედვით (ათასი კაცი); 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით 1998-2018 (ათასი კაცი)).



***Nino Talikadze***


**MEN STILL EARN MORE THAN WOMEN?**
**MYTH OR REALITY?**
**Summary**


Gender inequality is not new to the world. It really exists and is faced by all women in every country in the world. The World Economic Forum predicts another, 99.5 years is needed to eliminate existing economic inequality between women and men.

It has been argued that one of the indicators of gender inequality is the gap between wages. This article discusses the trends of labor market regarding the gender differences in Georgia, also the article discusses world experience and etc.

According to the latest data, the average monthly nominal salary of a man is 458 GEL more than the average salary of a woman, which is about 1.6 times higher. However, the difference between the salaries of men and women is reduced by the ratio. If we assume that this trend will continue, then the gap between women's and men's wages should be equal to zero after about 28 years.

The Gini Index, calculated to determine the magnitude of the inequality between women's and men's wages, was 11% in 2018 and 15% in 2008. During this period, the issue regarding the inequality of salaries has relatively improved. This is confirmed by the improved performance of Georgia's regarding the Global Gender Inequality Report 2020.

Agriculture, hunting and forestry, public administration, education, transport and communications, these are potential economic areas in which we can achieve equality between women’s and men’s wages in the short term and eliminate existing differences.

The next stage of the research will be to analyze these data in more depth and to include factors such as the level of education, work experience, age, etc.

## კონფერენციის მონაწილეები

1. **აბესაძე რამაზ –** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი
2. **ალადაშვილი გელა –** გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
3. **АЛИЕВА РАМИЛЯ –** кандидат экономических наук, преподаватель кафедры «Государственное регулирование экономики» Академии Государственного Управления при Президенте Азербайджанской Республики (г. Баку, Азербайджан)
4. **არჩაია ქეთევან** – ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი, ასისტენტ პროფესორი
5. **ასლანიშვილი დავით** – ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი
6. **ბადათურია გენადი** – კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
7. **ბახტაძე მირზა** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
8. **ბენიძე ვანო** – თსუ დოქტორანტი, კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
9. **ბერიშვილი ხათუნა –** ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, თსუ ასოცირებული პროფესორი
10. **ბერიძე თეიმურაზ –** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი
11. **ბერულავა გიორგი –** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
12. **ბიბილაშვილი ნანა –** ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
13. **ბიძინაშვილი დავით –** ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
14. **ბიჭიკაშვილი მ.** – თსუ სტუდენტი
15. **ბრეგვაძე გიორგი** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
16. **ბურდული ვახტანგ –** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
17. **გამსახურდია თამაზ –** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
18. **გარაყანიძე ზურაბ** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
19. **გეჩბაია ბადრი** – ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
20. **გველესიანი რევაზ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი
21. **გვენეტაძე თამარი** – თსუ დოქტორანტი
22. **გოგლიძე დავით** – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის, კომპიუტინგის და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრი
23. **გოგოხია მაია** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
24. **გოგოხია რევაზ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი
25. **გომელაური ნინო** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი
26. **დავლაშერიძე ნატა –** ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
27. **დათუნაშვილი ლინა –** ეკონომიკის დოქტორი, დოცენტი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
28. **დვალიშვილი ლია –** თსუ პ. გუგუშველის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
29. **დუდაური თამარ –** ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
30. **EREMEEVA NATALIA –** PhD Law, head of department of Economic and Legal Studies of Economic Security and Safety Issues, Institute of Economic and Legal Research of NAS of Ukraine; Ember of editorial board of Economics and Law Journal, worked with Constitutional Court of Ukraine, The National Security and Defense Council of Ukraine, the Ministry of Economic Development, Trade and Agriculture of Ukraine (Ukraine)
31. **ერქომაიშვილი გულნაზ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
32. **ზოიძე გია** – ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მოწვეული სპეციალისტი
33. **თაბაგარი ხათუნა** – თსუ დოქტორანტი

34. **თაფლაძე თამარ –** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
35. **თევდორაძე სოფიკო** – ბიზნესის მართვის დოქტორი, გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
36. **თეთრაული ციცინო –** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
37. **თოდუა ხათუნა** – ეკონომიკის დოქტორი
38. **თოთლაძე ლია –** ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, თსუ ასისტენტ პროფესორი
39. **კაკულია ეთერ –** ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
40. **კახნიაშვილი ნათია** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
41. **კვარაცხელია მურმან –** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
42. **კვარაცხელია რუსუდან** – ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
43. **კიკილაშვილი ლევანი** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
44. **КИНДЗЕРСКИЙ ЮРИЙ –** доктор экономических наук, ведущий научный сотрудник, ГУ «Институт экономики и прогнозирования НАН Украины» (г. Киев, Украина)
45. **კოზაკი იური** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ოდესის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორი
46. **კოკაია ქეთევან** – ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
47. **კოჟორიძე ილია** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
48. **კოღუაშვილი პაატა –** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
49. **კურატაშვილი ალფრედ –** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
50. **კურატაშვილი ქრისტინე (ქეთევან) –** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
51. **ლაზარაშვილი თეა –** ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
52. **ლაზარიაშვილი თამარ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი
53. **ლიპარტელიანი ქეთევან** – თსუ ეკონომიკის მაგისტრი
54. **ლიპარტია ზურაბ –** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
55. **ლობჟანიძე ნინო** – თსუ დოქტორანტი
56. **ლობჯანიძე გელა –** ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
57. **ლომინაძე მერაბ** – თსუ დოქტორანტი
58. **ლორთქიფანიძე რევაზ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
59. **მაბრაქველიძე დალი** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
60. **მამალაძე ლელა** – თსუ დოქტორანტი
61. **მასურაშვილი სოსო** – ეკონომიკის დოქტორი
62. **მელაშვილი მედეა –** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
63. **მელითაური ნინო –** თსუ დოქტორანტი
64. **მენაბდიშვილი ლელა** – ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
65. **მენაბდიშვილი ნანა** – ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი
66. **მორჩილაძე გიორგი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი
67. **მუჩიაშვილი მარინა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
68. **მღებრიშვილი ბაბულია** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
69. **მჭედლიშვილი ზურაბ** – თსუ დოქტორანტი
70. **ნაცვლიშვილი ია** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

71. **ნოზაძე ზურაბ** – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლი
72. **ომაძე ქრისტინე** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
73. **პავლიაშვილი სოლომონ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
74. **პაიჭაძე ნუგზარ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
75. **პაპავა ვლადიმერ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
